წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი უანგარო ფინანსური მხარდაჭერისთვის, ავტორი ულრემს მადლობას უხდის საქართველოს პარლამენტის წევრს, მომავლის წინაშე სიტყვით თუ საქმით თავგაწირულ პიროვნებას, ბატონ კობა ნაყოფიას

Guri Otobaia

ENGIDUNIA

I

© GURI OTOBAIA, I EDITION. 06. 09. 2010.
IBSN 978-9941-0-1638-7

გური ოტობაია

ეგბიდუნია

ბელეტრისტული
მატიანე

I

თბილისი
2010

დაბადება. თავი მეოთხე

აბელი მეცხვარე იყო, კაენი მიწის მუშა... მიართვა კაენმა უფალს ძღვენი, მიწის ნაყოფი. აბელმაც მიართვა თავისი ნათავარი და რჩეული პირუტყვი. მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს... ძალზე გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა... უთხრა კაენმა თავის ძმას, აბელს, გავიდეთ ველად. და როცა ველად იყვნენ, დაეცა და მოკლა. უფალმა უთხრა კაენს: სად არის შენი ძმა აბელი? მიუგო: არ ვიცი. ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარ. უთხრა ღმერთმა: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომ- ღაღადებს... დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას; დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე. უთხრა კაენმა უფალს: მძიმე ასატანია ჩემი სასჯელი... ყოველ შემხვედრს შეეძლება ჩემი მოკვლა. უთხრა უფალმა: ამიტომაც შვიდწილად მიეზღვება კაენის მკვლელს. დაადო უფალმა ნიშანი კაენს, რომ ვერ მოეკლა იგი ყოველ შემხვედრს.

იოანე-ზოსიმე

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

დამარხულ არს ენაი ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა
საწამებლად, რაითა, ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე,
და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე
ხქვიან!და ახალმან ნინო მოაქცია და
ხელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და
მართაი, და მეგობრობაი ამისთ ვის თქუა,
ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა
შინა დამარხულ არს. და ოთხისა დღისა
მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინას
წარმეტყუელმან რამეთუ ,,წელი ათასი —
ვითარცა ერთი დღეი'', და სახარებასა შინა
ქართულსა თავსა ხოლო მათჰესსა წილი
ზის, რომელ ასო არს და იტყვის ყოვლად
ოთხ-ათასსა მარაგსა, და ესე არს ოთხი დღე,
და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის
მისთანავე დაფლული სიკუდილითა
ნათლის-ღებითა უფლისაითა,
და ესე ენაი შემკული და კურთხეული
სახელითა უფლისაითა, მდაბალი და
დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ
მოსვლისა უფლისა, და სასწაულად ესე
აქუს: ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი
უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან
დღესამომდე.და ესე ყოველი, რომელი
წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ,
ესე წილი ანბანისაი.

მამული

ᲨᲣᲠᲝᲑᲣᲛᲣ

ᲑᲝᲠᲯᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ჩემი მითიური კოლხეთი მთვარის სულშია გახვეული, დამცხრალი, მინავლული კერიის მაგვარ მთვარის სულში, რომელიც მამრის საწყისია წარმართული წარმოდგენებით, დედამიწის გამანაყოფიერებელი: ანათებს და არ გათბობს; განაღვლიანებს გუნებამორღვეულს, მაგრამ ზოგჯერ ფართო აივნები წყრთა სიმინდის ტაროების გაცისკროვნებით რომ ამზიანდება როსმე, იქ სპლინისთვის ადგილი უამურია. შემოდგომის სიზულუქე-სინოყივრე ავსებს ყოველ კუთხე-კუნჭულს.

ცხენის გასაჭენებელი ეზო ურმის თვლებს დაულიანდაგებია.

რიკულებიდან მოჩანს ათძნეულებად შექუჩებული, წელში მაფატიას ქამარწაჭერილი ჩალა.

ჩვენი ხედვის კუთხე ამჯერად ჯალაღონიების ასული, ეთერა დეიდას არემიდამოდანაა.

სიტყვაძვირი ნაპო ბიძია მეზობლის კაცებში ტრიალებს.

სიმინდს არჩევენ. ივსება კალათები და ანზორ ჩიტაიას შესადარი შოთა მარღანია ნალიისკენ მიაქანებს მერმე.

საუბრის თემატიკა, რომელიც ჩემისთანა მალხაზის ცნობიერებას სათანადოდ აპურებს, ფულის რეფორმის შინაარსისაა.

თბილი ამინდებია სამურზაყანოში, მზიანი და ბარჩხალა.

ღელეებში წყლის ყვანტალმა იკლო, ისეთი ჩანახშირებული იმზირება თხმელების ფესვებიდან, იური ზანთარაიას გამოადგება კამეჩების შესაფერადებელ აკვარელად.

იხვების მობლაგვებულმა ნისკარტებმა დაიფრინეს ბაყაყების ყურისწამღები ყიყინი.

სოფლის თემშარიდან ეთერა დეიდასკენ მიმავალი შუკა ხუთასიოდე მეტრის სიგრძისაა. მჭიდროდ დაწნული ტრიფოლიატას ბებერი ღობეები გასდევს აქეთ-იქით, ხოლო ვრცეული ეზოს შესასვლელთან, რკინის ჭიშკარი აღმართულა მერამდენე წელიწადია. ჩემი გონების ხსომიერებას შემოუნახავს ხის ბჭეკარი, რომლის დაბლითა რომბულ ქონგურებს უღლიანი ღორები ეხახუნებოდნენ მიწყივ, საურდულე ალაგას — ძროხები და კამეჩები.

ნაპო ბიძიას სამოსახლო პრეისტორიულია ჩვენისგან განსხვავებით. ჩვენ, კუდაბზიკა ხალხის კვალობაზე, ზედ სამანქანო გზის კიდეზე დავმკვიდრებულვართ. როგორც დედა იტყვის ხშირად, ბიქტორ ბაბუას უნებებია ეგრე:

— შვილი მოხერხებულ ადგილას უნდა მყავდეს წინმომგებებლადო, — და ტრიალ მინდორზე დავფუძნებულვართ.

მტვრით გაძეძგილ ქუჩისპირას თეთრული ვერ გაუფენიათ ნიადაგ შვილების მოხმობით ხმაჩაწყვეტილ მშობლებს. ჩემი ხნოვანების წყავების სიმრავლეა გზის პირ, მაგრამ მათ ნაყოფს ვიდრე დაიგემოვნებდე, გულიანად უნდა გაირეცხოს. კარალიოკები და დავარსკვლავებული ლეღვიც იმავ დღეშია. დილაუთენია, სისხამზე თუ მოევლები მათ კენწეროებს, იქ უთუოდ მოიხელთებ ჩაფლა — ქალამანა ლეღვს, პენტაგრამას ფორმის ნაბზარობებით, მაგრამ დეიდა ეთერას საუკუნოვანი ხეხილისკენ მაინც წაგ- ძლევს სული. ხავსის მომწვანო ბალანი მოსდებია მათ ტანს. აქ უკვე ონავრული მონაცემებით ფონს ვერ გახვალ — ოცარშინი კიბეა საჭირო და კიდევ — მომეტებული მოფრთხილება შემხმარი წვეროკანებზე ძრომიალისას.

სწორედ იმგვარი მეურნეობრიობაა, როგორც თომა ბაბუასთან, ბორსუს წიაღში: ცალკეა ყანა, თხილნარი, ხეხილის ბაღი, მანდარინები, ბოსტანი. ეზოში განკერძოებული ბილიკით შემოდის პირუტყვი. ღორები მოშორებით ღუტღუტებენ, იჯგვლიმებიან, აჭყიტინებენ ქვეშმოყოლილ გოჭებს. კავკასიური ნაგაზი ჯაჭვზეა. დაფნების სიუხვეა. ჯერ სურნელოვან შქერს ყავლი არ გასვლია. კილოგრამი ფოთოლი ათ მანეთამდე ღირს და ბუმია მეთესლე ხეების მოსახელთებლად. ჩვენ ვეღარაფრით ვიხეირებთ ამ მცენარით. ბოლოს და ბოლოს დედის ძალისხმევით, როცა მწკრივებს გვა-

რიანად გავჭიმავთ მიჯნების გასწვრივ, დაფნის ფასი ნულამდე ჩამოვარდება: გავაშენებთ და ორ წელიწადში ხალხი ამოძირკვას დაიწყებს.

არაპრაქტიკულობა ჩვენი ოჯახის თანდაყოლილი სენია, მაგრამ სიტყვა შორს ნუ გაგვექცევა და მოვუბრუნდეთ შემოდგომის მთვარიანს, ხექტარზე მეტი გაშლილობის ეზოს, რომელიც ორი ჯალაბის საზიაროა — ბერბიჭა ამირანის, სულ მალე სოფელში ახალჩამოსულ თერაპევტ, ვალია კუჩერივაიაზე რომ დაქორწინდება და ნაპო ბიძიასი, საყვარელი ალაგეებით, ტყრუშული ღობეებით სამივე მისასვლელთან, აკაციის სარების საიმედო წყვილეულით, რომლებშიც დაპობილი შეშა მიჯრითაა ჩაწყობილი.

ხუთ წელიწადს ასეთი ღობე ურყევია. მერმე გამომშრალ ნოწკერიებს ბუხრისკენ მიაბრძანებენ, შეშად მოხმარებულს ახალს შეუნაცვლებენ და ასე იწელება წუთისოფელი, ჟამი-ჟამ, ბილიკ-ბილიკ, სერი-სერ და ცა-ცა.

მოსამსახურეები თუ ეთქმით, ესენი არიან. დეიდა ეთერა, იგივე ეთერ დეი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია, ნაპო ბიძია — ისტორიისა, თანაც— რვაწლიანი სკოლის დირექტორი ხუთიოდე კილომეტრით მოშორებულ გაგიდაში, რომელსაც მოგვიანებით არაფრისმთქმელ ,,განახლებას'' დაანათლავენ. ასე რომ, დაიძრება თუ არა გაგიდისკენ მათი ცოლქმრული ტანდემურობა, მე უკვე ლეღვის კენწეროზე ვისაკუთრებ დავარსკვლავებულ ნაყოფს.

ნაპო ბიძიას ფეხზე წამოდგომას მთელი სამეზობლო აფიქსირებს ელიავებიდან მოყოლებული საჯაიებითა და იზორიებით დამთავრებული, იქითაც— ქარდავებისკენ თუ ბჟინავებისკენ, რომელთაგან ტრიალი მინდვრები გვყოფს ანგარიშგასაწევად.

აივანზე გამოსული ნაპო ბიძია სიგარეტს რომ მოქაჩავს დილაბნელზე, ხველებაც ნაჯახის მჭახე ხმას გაიღებს ტანაშოლტილ თელაზე დაცხებულისმაგვარს, და ეს სიგნალი საკმარისია მეურნე კაცისთვის, ლოგინიდან წამოფუცხუნდეს, ახალი დღის თადარიგი დაიჭიროს, გნებავთ ყინვა ინდაურის ბოლოსავით ალურჯებდეს სარკმლებს.

მოწევის დიაპაზონის მხრივ, ალბათ, გინესის წიგნში ვერავინ შეემეტოქება ნაპო ბიძიას ფილტვების გამძლეობას. ხელფასის მეოთხედი პაპიროსში ეხარჯება. ძვირადღირებულს ახლოსაც არ გაიკარებს, თოთხმეტკაპიკიანი ,,პრიმა'' ქვეყანას ურჩევნია. ბუხრის თაროზე შტაპელებად აწყვია ისინი უკეთ გამოშრობის მიზნით, რათა ცოლ-ქმარი ჯვიდი და ღაღუ ბერანძეების მაღაზიაში ატაცებული ნესტი რამდენადმე შემოიფერთხოს ასანთის შეხებამდე და კვამლმაც ძალდაუტანებლად გამოაღწიოს წეკოს ბნელხვეულებში.

მოწევის თვალსაზრისით არც მამაჩემია გულხელდაკრეფილი სამოხიოს* კაცების ამალითურთ.

ბაბუა თომას ცერისსისხო ჯვემები ხომ ცალკე საუბრის თემად გამოდგება. იგი თვითონ ამზადებს წეკოს. ასიფრიფანებს სამართებელივით ამახული წალდუნათი ძელსკამზე. მერმე თუნუქის ფურცლით, საპურე კეცზე ნაკვერჩხლების დასაყრელად რომ ხმარობენ, გამოამშრალებს კერიის ცეცხლის თამამი ენების თამაშზე და ამ იდილიურ გარემოში, სამზადში ყურყუტი თუ მოგბეზრებია, რაიმე საეშმაკოს უცილობლად გამოჩხრეკ: ქვამარილს იპოვი სადმე და შეუკეთებ ყებურში — ყვერბში იმერულად. მალე გათარანებული მარილი მჭახედ ატკაცუნდება ბაბუა თომას მოხალვათებული სხეულის საზიანოდ და ამისთანა ვითარებაში წყრომა ყოველთვის მარი ჯალაღონხეს დამიზნებული. დიდედა მარი ეთერ დეის მამიდაა. დედაჩემი და მაკსიმოვნა ბიძაშვილ-მამიდაშვილები გახლავან, მაგრამ ჩვენ დეიდად აღვიქვით ერთხელ და სამუდამოდ და ამის შემდეგ, ალბათ, გასაგებია თუ როგორი კუთრი წონისაა ჩვენი ნათესაობა, ჩვენი გადაპატიჟება-გადმოპატიჟებანი, ჩვენი ლხინი და საწუხარი.

ეს წუთია, ბაბუა თომა მენტორული ტონით მოუხმობს მარი ჯალაღონხეს:

— მუთარე, როდემდე უნდა ვიყბედო, ყებურში აკაციას ნუ შეუკეთებთ-მეთქი? უგდე ყური, როგორ ტყვაჟიანობს ფილთა თოფივით?! ისლით გადახურულ ჯარგვალს წამში დაგვინაცრავს, — ამ სიტყვას იგი უთარგმნელი მეგრულით ბრძანებს, ,,მინუტის ქიგემქვაქვალანანია'', მაგრამ ჩვენ დიალექტიზმს უკუვაგდებთ თავანკარა ქართულის სასარგებლოდ და მარი ჯალაღონხე დაძარღვულ რკინისფერ ხელებს რომ გაასავსავებს უსაფუძვლო ბრალდების წიაღ, ბაბუა თომა ყოველივეს იყნოსავს. მიხვდება, რომ აქ აკაცია არაფერ შუაშია, ეს ყველაფერი უფროსი შვილიშვილის დამსახურებაა. წამოკრეფს კიდეც ძვლებს გაქცევის მზადყოფნით, მაგრამ კერიისგან გამიჯნვა უკვე გვიანია, ვინაიდან ქვამარილი თურქი ასკერების ფინთიხივით შემოეფრქვევა შუაცეცხლთან გალაღებულს და არის ერთი ღრიალი:

— უხანე, ურდუ, ებჭყვიდ, ებჭყვიდ, — დამავსო, დამაქციაო, მომსდევს სამარშინიანი სახრის ზუზუნით მისმიერვე ,,გაუხარელის, შე არგასაზრდელოს'' ეკვივალენტური მეტსახელით მონათ-

ლულს აკვნიდანვე.

მე კი უკვე გადახრილი ბებერი ვაშლის კენწეროზე მოვქცეულვარ და არხეინად ვითმენ პაპაჩემის მუდარას:

— უხანე, ჩამოდი ძირს! ურდუ, ზღვაზე სათევზაოდ წაგიყვან დილით.

საკმარისია ასეთი დაპირება, რომ მეც თვინიერად ვუჩერდები წინ სახეაჭარხლებულ ბაბუას.

ამგვარი ლირიკული გადახვევა მოსათმენი მგონია მომავალში შემოხიდული ამბების პრელუდიის საწინდრად: მე ხომ ჩემი განუმეორებელი გარემომცველი სამყაროს გაცოცხლებას ვლამობ უთვალავი რადიუსით, უამრავი ასპექტით: სოციალურია იგი, ეთნოგრაფიული თუ სულაც — ინტელექტუალური.

ხოდა, მოვუბრუნდეთ ეთერ დეის ეზოში თავმოყრილ მეზობლებს. ყველანი აქ არიან დედაწულიანად, სახალხო მგოსნით, თამშუქ მარღანიათი დაწყებული, ყრუ-მუნჯი დებით, ცუცა და ლუბა-შათი დამთავრებული. შინაბერათა ეს ბუნების უიშვიათესი ჯილდო, შეუდარებელი გულკეთილობითა და სიკაპასით გამოირჩევიან. მე მოგვიანებით ზედმიწევნით დავატყვევებ მათ რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილში“ ელასა და მინაკას სახელდებით, მაგრამ უფრო ნათელი შტრიხებისთვის, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ დებთან უბრადაა მთელი სამეზობლო, განსაკუთრებით, როცა საკუთარ ჭიშკართან ტრიალებენ. ხოლო მიშველების ჟამს წყენას სავსებით ივიწყებენ, გულს გადახსნიან და ბოლომდე ამოგიდგებიან მხარში. აი, მერე კი უფრთხილდი მათ წიწმატობას. შენმა პირუტყვმა ვინძლო რამდენადმე შეუწუხა ტრიფოლიატას მიხრწნილი ღობის ძირები, შენდობა-შეწყნარებას ნუ ელი. ზოგისგან განსხვავებით ნაპო ბიძიას და ეთერ დეის აშკარად ყელშიწვდომას ვერ უბედავენ, მაგრამ შუკაში თვალს რომ მიეფარებიან, მიაყოლებენ ქოქოლას ზურგს უკან. გამონაკლისი მე ვარ. ჯერ ერთი, პირუტყვის ხალვათობა მიმართავს ხელს. მერე სულმუდამ მათთან ვაყუდივარ, მუნჯური დედაენასავით ამითვისებია და ესეც რომ არა, მამის მოტანილი „ხემატოგენი“ სანახევროდ ყოველთვის შემომინახავს მათთვის. თუმცა ამჟამად, ამ სიმრავლეში, საზოგადო ცოდვა მიტევებულია. ტკბილისკვერის გრაგნილითა და ორნახადი არყით მოსულან, რომელსაც კაცები შიგადაშიგ წელწვრილ სირჩებში ჩამოარაკრაკებენ ხოლმე. აქვეა ფუმფულა, კეცზეგამოცხობილი პური, სიგრძივ დასერილი სულუგუნი, წითლად მოხასხასე დამჟავებული კანამხალი. ეს ყველაფერი ტაბლაზეა დალაგებული.

ეთერ დეი, მისი უფროსი რძალი ბოჯო იზორხე და კალმით ნახატი მაზლიშვილი თუთურია, სამზარეულოში ტრიალებენ ვახშმის გასახაზირებლად.

კალათი სამია, რომლებსაც გავსებისთანავე ნალიისკენ მიაქანებენ თამშუქუს ერთადერთი ძე, ენაბრგვილი შოთა და ხაბაზი ხუტა ხუფენია. სასიმინდეში ნარდის დიდოსტატი, სქელწარბება იაშა აშორტია მოყუჩებულა, მეტსახელად — „ქანქანესა“. სიმინდის ტაროების გორას კი წრიულად შემოსხდომია მთელი სამეზობლო: უბადლო თავდამსხმელი ფეხბურთში მირია ხუფენია, მისი ნახევარძმა დედით— ნოდარ გამსახურდია, ყირმიზი მათემატიკოსი არლენ ელიავა ჯეირანი მეუღლითურთ, ფაციკო ფაცურიათი, ხმაგაბზარული არჩიკო შამუგია და თვალჭუტია თანამეცხედრე მისი — გული სალაყაია; „რაე“-ს ადგილას ისედაც უხვი „ლას-“ებით მოსაუბრე ნუგზარ ელიავა, ბახვა ჩვენი და ღაჟღაჟა სახის თანამეცხედრე მისი ციალა პაპასქუა — შეუდარებელი გრამაფონი; სოფლის უმეტოქო მჭედელი, ჩია ტანის მამია რატია ცოლითურთ, ბუბცა ხუფენხეთი, რომელსაც მუსაიფის დროს მარჯვენა წარბი შუბლზე აუცოცდება ხოლმე; რამდენიმე სირჩით მარცხენა თვალმოჭუტული მამაჩემი მიხეილი, მიშა, მიხფე და ჩვილატატებული დედა — კლარა გელენახე; ჯერაც ბერბიჭანი— ამირან ხუფენია და გრიშა იზორია. აი, ძირითადი საკრებულო, რომელსაც სამოხიოსაც ვეძახით ხატოვნად ჭირსა და ლხინში თავდაუზოგავი თანადგომის გამო.

ალბათ, უკვე შენიშნავდით, რომ თითოეული, ორატორიის გამორჩეული ნიჭით დაუჯილდოებია მამაზეციერს: აქ მყოფნიც, სიმინდის შეტეხვის მერმე შინმიბრუნებული ლიზიკოცა და მანერა პაპასქუაც, ისინიც— თავთავიანთ კერიებთან რომ ფუსფუსებენ მახლობლად თუ მოშორებით, უკლებლივ ყველა, თითქოს ციცერონის ნამოწაფარიაო, ბაშლაყივით ატრიალებენ ენას და ოტობაიელებს სრულიად სამართლიანად „ნინატოხიებსაც“ გვეძახიან ანუ იგივე ენატრაბახათ, ენაწაგდებულებს. გაივლის ჟამი და ყოველი მათგანის კოლორიტული სამკაული ჩემში მოიყრის თავს ერთიანად, ოღონდაც სამასლაათო-სამიტინგოდ კი არა, მრავლის მომთმენ ქაღალდთან სათარჩიოდ.

სანამ საცივი მზადდება, ნადის ბაბანი პოლიფონიურია, მაგრამ მოვა მარო ღურწკაიხე და შორეული დაფნის ბუჩქებიც კი თითის წვერებზე დგებიან სმენაგამახვილებულნი; თუმცა სადაც გრიშა იზორიაა, მამაჩემის სტილიზებული ულვაშის კუბის ხარისხში მეპატრონე, იქ ადამიანი

საუბრისთვის ვერაფრით მოიცლი, ვინაიდან დაფჩენილი პირი სიცილის რგოლებით გატენილა. იფხრიწება დიდ-პატარა, ერთმანეთს ზურგში მუშტებს უბაგუნებენ, იჭაჭებიან და მიწაზე ფორთხავენ, თვალებიდან ცრემლი ღვარ-ღვარად მონაკადობს; ზოგი მისავათებულია, სულს ძლივს ითქვამს, თვითონ გრიშა იზორია კი არის ხეოფსის მუმიასავით. მაჯისისხო ულვაშში, სადაც ღიმილთა დივიზიონი უპრობლემოდ დაიმალება, მხიარულების გამომხატველი ნაოჭიც არ ვალალებს და აფენია ხალხი მოლსა თუ სიმინდის ტაროებზე.

სავსე მთვარე კი მიგორავს მოსარკულ ცაზე, ამაოდ აღავსებს ორღობეებს მსუბუქი მელანქოლიით. ვის სცალია სულელი მთვარის განწყობილებისთვის. ოდის პირველი სართულის აივანზე გამოტანილი წაგრძელებული სუფრისკენ მიუხმობენ ნადს. იაშა აშორტია, ქანქანესა, მომღერლების ცენტრშია. თავთუხისფერთმიან, მეჩხერკბილიან ცისანა გოგოხიას კალთაში უსვენია ჩონგური. ფიჩორელი გოგოა, ჩემი დედულეთიდან, ობოლი, ხელმოკლე ოჯახის შვილი და მაინც — მთელს დუნიაზე უმდიდრესი. აცეკვდება ცერი და სალოკი. სახუმარო თემატიკისაა სოლო-სიმღერა:

მონადირე ჯგირ ჯოღორი,
ტუნდუ იზორია კოლსუ,
სოთინ ვაწურაფულენდეს
ცეთი ჯოღორიში ტოლსუ,
სუმ საათის ირულედუ
სუმი დღა დო სერიშ ოლსუ,
ჭანდიქ ქუმკუვალუკონი
ქეკუკინდუანდუ თოლსუ.

მონადირე კარგი ძაღლი
ჰყავდა იზორია კოლს,
ვეღარსად ასახელებდნენ
იმა ძაღლის სწორს და ტოლს,
სამ საათში გაირბენდა
სამი დღე-ღამის სავალს,
ბუზიც რომ გაკარებოდა,
წამოადევნებდა თვალს.

ამ სიმღერაში სოფლის ხარაზი, მუდამ თავმოპარსული, სახეღაქღაჟა ჩონჩორ ჯოჯუაც იკვეთება, რომელმაც ვერ შეიშნოვა ნათხოვარი მწევარი და შვლის მაგივრად ზურიკელა ვაშალომიძის მურადასავით განიგმირა ცხელი ტყვიით.

მღერის ნოდარ გამსახურდიას ახალგაზრდა ცოლი და ოდინდელი საერთო ფაფანება მინავლულია, მიმქრალი. თვით ყრუ-მუნჯი დებიც გამომცდელად აკვირდებიან თანამეინახეთა გამომეტყველებას და შესაბამისად მხოლოდ მიმიკრიით უერთდებიან საერთო აღფრთოვანებას: მომნუსხველია ხანგის ფერადოვნება.

თამადობა მასპინძლის თხოვნით, არლენ ელიავას ერგება.

იცლება მგელაძის ჭიქები.

ამასობაში თამშუქ მარღანიაც მოსულა პოეზიის იშტაზე. ორკაპიკიან, ცალხაზიან რვეულს ამოიღებს ჩესუჩას ხალათის გულისჯიბიდან და მიბნედილი ხმით კითხულობს შაირის ყაიდაზე გამართულ ლექსს ვახტანგსა და მის გოჭზე. აქაც იუმორის ფთილებია მიმობნეული, აქაც ჯანსაღი ანეკდოტური სიტუაციაა აღწერილი და სიცილ-ხარხარში ეზოში გამოტანილ სარჩო-საბადებელს მოუბრუნდება ტოლუმბაშის საგანგებოდ შეკვეცილი პურობა.

უკვე სამასი ფუთია ნალიაში ჩაყრილი.

— მეტს ვერ გაუძლებსო, — ამბობს შოთა მარღანია და დიდის ამბით კვერს უკრავენ ხუტა ხუფენია თუ იაშა აშორტია — ქანქანესა.

ოდა-სახლის მეორე სართულის ფართო აივანზე იწყებენ გარჩეული სიმინდის ტაროების დაყრას. აქ უხვადაა ჩვენებური, პრიალა კანის თუ ვარდისფერი გოგრები, ხეშეშკანიანი კვახაბერები, ხაპები, იგივე ტუტლები, ორშიმოებად რომ ახარატებენ კახელი თუ გურული მევენახენი. გაცრეცილ მუშამბაზე გაშლილია გასარჩევი ლობიოს გორაკები. ამ უკანასკნელთან დედაბრები სხედან: ხელითმოსაუბრე მარო ღურწკაიხე, ამირანის შავგვრემანი დედა მარგო და საქალეთის მამფალი თუმაშა, ოჯახის დიდდიასახლისი, ცაზე მიმქროლი მთვარის ალიკვალი, ერთადერთი დედამთილი დედამიწის ზურგზე, რძალს გადაბრუნებულ სიტყვას რომ არ აკადრებს, მომჭირნე და უხვი ერთდროულად; მორჩენილ ლობიოს აივნიდან როდი გადაუძახებს ზოგი დაუდევარივით თუმაშა ქალბატონი, არამედ, ქოთანში ახალი რომ აფართხალდება, მაშინ მიუმატებს, ქინძით გააჯერებს ბლომად, წიწაკის მთელ პარკს დაურთავს და კარგი დედის შვილი ხარ ჭიშკართან მომდგარს ნერწყვმა ენა არ წარგტაცოს.

დახვავებულია კედელთან გაუცეხავი ცოცხი. მისი დაბეჭვის დიდოსტატი მარი ჯალაღონხეა. აიღებ ხელში და ნაგავში ჩასაჩრელად დაგენანება.

ხეჭეჭური მოგვიანებით დაიკრიფება შერჩევით. გიდელ-გიდელ ჩამოეშვება იგი მიწაზე ადესასავით. დანარჩენს, მიუწვდომელი ადგილებისკენ გაპარულებს, დაბერტყავენ, ხის ურიებით დაჩეჩქვავენ როფებში და რკინის რეზერვუარებში ჩაუძახებენ.

ასეთი ცარიელი კასრები გალიდან ჩამოაქვთ არჩიკო შამუგიას და ღუდა ალფენიძეს. ეს უკანასკნელი მამაჩემის მეგობარია, აფხაზეთის სააფთიაქო სამმართველოს მძღოლი. იქ ჩვენებური შოთა ქირთბაია უფროსობს და მისი წყალობით ოტობაიელებს უკვდავების წამალიც კი არ აკლიათ.

რეზერვუარებს ბურვაკის ფასად იშოვი. „ზუბილათი“ ამოაჭრიან ნახვრეტიან მხარეს. თევზის ნაქონარს გამოწვავენ, შეფისავენ შიგნიდან და ჭურჭელიც მზად არის. არაყს ჩვენც ვხდით, ოღონდ — კარალიოკისას. ლეღვი უკვე უშაქროდ უძღურია. აი, მსხალი და კარალიოკი ჯერ-ჯერობით ინახავს „ცეცხლოვანი წყლისთვის“ სამყოფ ენერგიას.

მთვარიანია და თუთის ხეების სიმრავლე. ბჟოლა მეგრულში მთვარის მოსახელე როდია ქართულის მსგავსად. მას ჩვენებურად „ჯამპის“ ეძახიან. ნორჩი ტოტებით, შიმალებით შრიალებენ ღობის გასწვრივ ჩარიგებულნი, ეზოს შუაგულში გაბარჯღულს კი ჯერეთ წალდი არ შეხებია. პერიფერიულებს, ცხადია, მაგრამ საჩრდილობელს ვინ აკადრებს გაჩხოტვას?!

ეთერ დეი დედაჩემის მსგავსად ზაფხულის პერიოდში აბრეშუმის ჭიას უვლის, თუმცა ეს ჟამი უკვე ჩავლილია. ჩვენც შევშველებივართ მშობლებს აბრეშუმის პარკის გარჩევისას. მაგიდაზე მავთულს დავამაგრებთ ხოლმე, სახელურიანს და მოაცილე მერე ზედმეტი ბუსუსები.

ჩვენს სოფელში აბრეშუმის პარკის გადამამუშავებელი დაწესებულებაცაა. ენგურისპირელი მიშიკო ფარულავაა მისი სულისჩამდგმელი. იქ არკვევენ აბრეშუმის პარკის ხავერდოვანებას, ახარისხებენ წელშიგამოყვანილებს, მომრგვალებულებს, ბაკვას, წონიან მონიკელებული სასწორებით თეთრხალათიანი მანდილოსნები, გამოგიწერენ ქვითარს და სანამ სკოლაში სწავლა განახლდებოდეს, ქალები ხელს დაიმშვენებენ ბევრისშემძლე გასამრჯელოთი.

სტალინის დროინდელი ფული უკვე ამოღებულია ხმარებიდან. ახალი, ნიკიტასი, ერთობ მომცროა და ნაკლებად მყიდველუნარიანიც, მაგრამ რას გააწყობ, როგორიც ბერი, ერიც ისეთიო, თქმულა. თანაც ხრუშჩოვი აღუფრთოვანებია სამეგრელოში დანახული სიმინდის მარაგს, მის ყუათიანობას და ჭვიშტარ-ელარჯით პატივმიგებულს უბრძანებია:

— ესენი სიმინდითაც იოლას გავლენო, — და ქატოსსადარ პურის ფქვილს შემოიტანს მთელს რეგიონში. არ ფუვდება, ხმიადივით ცხვება, გინდა ზედ გადახყვე ხუტა ხუფენიასავით.

ცოტა ხანში, როცა ნიკიტას გადააშენებენ და სქელწარბება ბრეჟნევის მარათონული გენსეკობის მრავალჟამიერი დაგუბდება ფილტვებში, უძრავ მდინარესავით, მეც მომიწევს ერთი სეზონი საპარკოში ცეცხლფარეშად მუშაობა.

აქ ბაბუა თამშუქუს გაზრდილი ენაბლუ ვახტანგი მეამხანაგება სოფლის მჭედელ მამია რატიას ავთასთან და თანაკლასელ რევდენ ზანთარაიასთან ერთად.

ქვანახშირს იშვიათი ხარისხის ჭვარტლი ახასიათებს საერთოდ. მინახავს ბაბუა თომა ზეთშიარეულ იმ ნივთიერებით როგორ ღებავდა ხოლმე ხარის ტყავისგან გამოყვანილ ტოპრაკებს. ხოდა, ამის მცოდნე მურს სახეზე მოვაფრქვევ გამოხარშულ პარკზე გაშხლართულ, პაპის ლექსის პერსონაჟს. ამ შემთხვევაში მძინარეს ჭვარტლი გეღუტუნება და უნებლიეთ, ინსტინქტურად სახეს ისრეს, რის შედეგად ღაწვები ისე შთამბეჭდავად გაგეზინთება, შენი ფერი კონგოს მკვიდრს გვარიანი შურით აღანთებს, მაგრამ ამ ანგლობას ერთი უსიამოვნებაც დაერთობა: როგორც შემდგომში ირკვევა, ვახტანგი დამშვენებულ სიფათს ზომაზე მეტად მიახოცავს პირველი ხარისხის პარკს და გასამრჯელოს მომლოდინე დედა ჯიბეზე გვარიანად გააკვრევინებს ხელს მამაჩემ მიხფეს.

გაჩხოტილი თუთის ხეები, ოდესღაც აშოტილები და ზვიადნი, უმწეო ბუჩქებივით მიმოფანტულან სოფლად. მხოლოდ ნაპო ბიძიას ეზოში გაბარჯღული შრიალებს უმაგალითო თავმომწონეობით და ასერგასი ადლის ჩრდილს მიმოისვრის ირიბი მთვარის წიაღში.

თუთის ფოთოლზე ბაბუა თომაც მოაშურებს ხოლმე ოტობაიას ურმით. მარი ჯალაღონხე სანიმუშო მეაბრეშუმეა მთელს სამურზაყანოში, ასე რომ, არაფერია გასაკვირი თუ ქალიშვილიცა და ძმისწულიც მის კვალს გახყოლიან.

კანში შესვლისას თუთის ფოთოლი შემოაკლდება მიმინოსებური გამოხედვის ბებიას. ხოდა, საშოვარზე წამოსული თომა ბაბუაც მოშარიშურე ტოტებით დააკაპანებს ურემს. კოფოზე მოკალათდება, მეც გვერდით მომისვამს, მაგრამ ზოზინა კამეჩების ტემპი გეკმარისება ჭინკების სადევნელი ქარებით დატუმბულს?! და ეძიებ რაღაც გამოსავალს სიჩქარის გასაზრდელად. წვრილ ტოტს

ფოთლებს და კანს გააცლი. გინდა ცოტათი შეუჩიჩხინო ხარკამეჩებს, რამდენადმე აასწრაფო მათი ძარღვების ამშლელი ზოზინიდა უსაშველო გზაც რამეფრად შეამოკლო. პირუტყვი შეიგრძნობს წკნელის წამახულ ბოლოს, ოთხკუთხა თავს გააკანტურებს პროტესტის ნიშნად, მაგრამ ჩხვლეტას ზედიზედ რომ გაუმეორებენ, ტოლის დამდებ ამხანაგს უგანებს, თხრილისკენ გააქანებს ურემს.

— ხიი, ოორე,— შოლტს უზათქუნებს ფერდზე ფეხზეწამომდგარი თომა ბაბუა,— რა ბუზანკალი შეუჩნდა ამ სამგლეს? — წუხს თავისთვის. დაშოშმინებული კამეჩი კვლავ მიზანტობს. ბაბუა დროდადრო მომხედავს ზედმეტი თვინიერებით გარემოსილს. ისევ მიიზლაზნებიან კამეჩები.

შუადღის ხვატისგან ციდის სისქე მტვერი დასდებია ოღროჩოღრო გზას. ღავღავებენ ძაღლები, ყივიან მამლები. გვესალმებიან შარა-შარა მხედრები თუ ქვეითი მანდილოსნები, რომლებიც თემშარაზე ძველმანი კალოშებით მიიჩქარიან. ახლები ბოხჩებით მიაქვთ, როცა სოფლის ცენტრს, ან წვეულება- ქელეხის ადგილს მიუახლოვდებიან, მერმე ჩაიცვამენ, მერმე აღიკაზმებიან საზეიმო ელფერით.

კამეჩის გავაზე საძგერებლად გამზადებული მოუსვენარი წკნელი თავისას ითხოვს მისი შემოქმედისგან. კვლავ ფოთლებში გავატარებ იმ იარაღს და ხარკამეჩის კუდუსუნის ძიებაში აქეთ-იქით ვატრიალებ. ამასობაში გზას აცდენილი წკირი დიახაც რომ ბაბუა თომას ეძგერება რბილობში და ფეხზე გველნაკბენივით წამოვარდნილი კაცი, მიხვდება თუ არა აუცდენელ გასაჭირს, გადამიჭერს ზურგზე სახრეს:

— უხანე,ურდუ! ამოდი, ნუ დამაღამებინე! — მეხვეწება როდის-როდის, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულის სკივრში ყრია ოქროცურვილ მოგონებათა სახელწოდებით.

ამჟამად კი ნაპო ბიძიას ეზოში სიმინდს არჩევენ შეზარხოშებული კაცები. ხეებს ჩრდილები უმკვეთრესად დაგრძელებია. ტაროებს შემოცლილ ფუჩეჩს თხილის გადასატან ვეება ჯვალოს ტომრებში ტენიან და საბძელში მიაქანებენ. საზამთროდ ინახავენ ბოჩოლებისთვის და ზაქებისთვის.

მამაჩემს უკვე მარცხენა თვალი მოკიჟვია და მარჯვენა აქა-იქ უთამაშებს. დედა ძუძუს აწოვებს რიგით მეოთხე შვილს, ომარს. მეხუთე და მეექვსე ასულები მოგვიანებით გაჩნდებიან. მამას დიდხანს არ დასცალდება ნაბოლარა დარიკოსთან გათამაშება, ისე გაუყვება შორი ქვეყნის გზას.

დედაჩემი ჯიშიანი ქალია. ხუთი წელიწადი მასაზრდოებდა მკერდით. მორიდებით იტყვის ხოლმე:

— ოთხად გაკეცილ პირსახოცს დავიტნევდი და ვიდრე სოფლის ცენტრამდე მივაღწევდი, ზედა ტანი წყალში ამოვლებულივით მისველდებოდაო.

კლარა გელენახეს ცხოველმყოფელობა ეთერ დეის უფროს ვაჟიშვილს წაადგება განსაკუთრებით. ნიადაგ სოფლის თემშარას გამოკერებული მოსამსახურე ქალი ნაადრევად მოილოგინებს და „თუნთის მარგვივით“* ოთარი შვიდი თვისა მოევლინება სამყაროს. მედიცინის თვალსაზრისით შვიდთვიანები სრულიად ნორმალურად აგრძელებენ სიცოცხლეს, თუკი მათ სათანადო პირობები შეექმნებათ. რვათვიანები კი აქ-იქ იღუპებიან ხოლმე, როგორც ბებია-ქალი — ბაბი მურღულია თუ საქვეყნოდ ცნობილი მეანი — მარგო ბულისკერხე ირწმუნებიან. მოკლედ, ჩემი ძუძუმტე მთელი ორი თვით ისულსწრაფებს საწუთროში შემოღწევას, ლუკმაში დროულად ჩამეზიარება და პირსახოცებსაც იხსნის გაუთავებელი სინესტისგან.

დეიდა ეთერას მიწოდებული საკვები არ ყოფნის თურმე პირმშოს და აი, აქ დედაჩემის მოჭარბებული ლაქტაცია მაშველი რგოლივით მიუსწრებს მისი უძღები მემკვიდრის მადას. სამ წელიწადზე მეტს დასტრიალებს მალხაზის ტროყია ბუნებას დედაჩემის ბარაქიანი მკერდი. ზამთრის ღამითაც კი ორჯერ დგება, მუგუზალს წამოავლებს ხელს ძაღლების მოსაგერიებლად. ისე დააპურებს პატარას, სახლეულები ვერც მოსვლას იგუმანებენ და ვეღარც — წასვლას. ასე რომ, ჩემი წილი მადლი მკვიდრად დაისადგურებს ძუძუმტე ოთარის ძარღვებში. ეს სიკეთენი მერე და მერე მრავალგზის წაადგება ჩემს დეიდაშვილს წუთისოფელთან კამათში და ახლა, ლამის ერგასი წლით გარემოცული, უნებურად ვასკვნი:

დიდმა მუხამედმა უცილობლად იცოდა დედის რძის განსაკუთრებული თვისებების შესახებ. ამიტომაც, როგორც წესი, მუსულმანები თავიანთ შვილებს სამ წელიწადს მაინც კვებავენ რძით. ეს უებარი საშუალებაა სამყაროისეულ შხამ-სამსალათა საწინააღმდეგოდ, ვინაიდან დედის რძე სტერილურად აწვდის ჩვილს მაღალკალორიულ ნივთიერებებს.

ჩემი ძუძუმტეც, დიახაც, ამიტომ გახლავთ ჯმუხი აგებულებისა, ჩაკირული. ექვსი წლისა მამის ველოსიპედს დააქროლებს შუკა-შუკა. მართალია, ზემოდან ვერ წვდება პედალს, საამისაოდ ჯერ ფრიად პატარაა, მაგრამ მოხერხებულად შეძვრება ჩარჩოში, მარცხენათი საჭეს ჩაფრენია, მარჯვე-

ნათი — „რამას“ და ასე, ხან პური მოაქვს მაღაზიიდან მამისთვის და ხანაც — წითელკოლოფიანი „პრიმა“.

რვა წლისა უკვე ოცკილოგრამიან ბლოკებს იბაგუნებს მკერდზე და სრულიად სამართლიანდ შეარქმევენ „ბრიკეტას“.

ცოტაც და ჩემი ძუძუმტე უფრო შორსაც გაუტევს იმ ველოსიპედით. საბარგულზე ფუთნახევრიან ტომარას შემოიგდებს და ზოგჯერ დოროთე ძაძუას წისქვილისკენ გაქროლდება, ზოგჯერ — გადაჭრილი ჩექმებით მოლაყუნე აყლაყუდა ალე ძოწენიძესთან. ამ უკანასკნელისთვის ოტობაიელებს სალაღობო სტროფები შეუქმნიათ:

ალე, ალე, დუქაქალე,
დუქანეფიშ უკახალე,
დოუცოთ კაჭა,
ქუდვომბალე.

ალე, ალე, დაუქაქანე,
დუქნების უკან,
კვანტი გამოვსდე,
წავაყირავე.

ველოსიპედი იშვიათი ტრანსპორტია ოტობაიაში. ეტლის შემოსვლა მახსოვს. ზანზალაკებიანი ცხენებით რომ შემობრძანდება იგი სოფელში, მთელი სამეზობლოს ბავშვები ავედევნებით, ლამის ფიჩორის საზღვრამდე. უკანა ლილვს შევახტებით რკინისას და ასე დავემგზავრებით რიგ-რიგობით.

მეეტლე თითქოს ვერ გვამჩნევს, კოფოზე არხეინად მოკალათებული გრძელ მათრახს უთავაზებს გაქაფებულ მერნებს, ჩვენც მოგვიწვდენს ერთ-ორს ჩამოსახტუნებლად, თითქოს შეჯიბრში გვიწვევს, ამოწმებს ჩვენს გამძლეობას: ვნახოთ, აბა, რა ბიჭებიც ხართო.

ნაშუადღევიდან მოყოლებული გაფაციცებით ვუცდით მერმე იმ ეტლის ჩამობრუნებას, მაგრამ ამაო გამოგვადგება ლოდინი. მოგვიანებით შევიტყობთ, ნაკარღალიდან განმუხურში გადასულა და იქიდან მეგონა ჯალაღონიას ბორნით ენგურზე გაღწეული, ზუგდიდ-ქალაქს მიბრუნებია.

ამისთანა დაბოგილი რკინის ნავები ბაგირზე მოხრიალე მილითა და ორთაყვირით, ოტობაიელებსაც გაგვაჩნია „პეტრეს პარონის“ სახელწოდებით, მაგრამ მოვუბრუნდეთ ძუძუმტეს ველოსიპედს, და მერმე— თავად მთვარიანში სიმინდის გარჩევას.

ნაპო ბიძიასთვის ველოსიპედი შეუცვლელი ტრანსპორტი გახლავთ წლების მანძილზე. ეთერ დეისაც შემოისვამს ზოგჯერ საბარგულზე, თუმცა ეს უკანასკნელი ქვეითად სიარულს ამჯობინებს და აქ მას ნამდვილად ვერ გაამტყუნებთ, რამეთუ ნაფრონტალი კაცისთვის იოლი არ არის იქითაქეთ ათი კილომეტრის მანძილზე ორი ადამიანის გამუდმებული ტარება, განსაკუთრებით ისეთი კაცისთვის, რომელიც მგზავრობის დროსაც კი ხელიდან არ აგდებს წითელკოლოფიან „პრიმას“ და კვამლის გრაგნილების გრძელი კუდი გაფიქრებინებთ, მომცრო ორთქლმავალს ხომ არ ჩაუვლია გზისპირო.

ველოსიპედი ამირანსაც გააჩნია ჩვენს სამეზობლოში და კიდევ— შოთა მარღანიას. მამაც იყიდის ერთხელ, მაგრამ კვირისთავზე ააწაპნიან სიმთვრალეში მერხზე მიძინებულს. ვის შესჩივლებ? ერთბაშად სერია-ნომრით არ აღმოაჩინო.

სამოხიოში სატვირთო მანქანაც გვყავს, რომელსაც თვალის ჩინივით უვლიან არჩიკო შამუგია და მისი უმცროსი ძმები. სულ ძარის ქვეშ შემძვრალან და ხან კარბიურატორს ჩახკირკიტებენ და ხანაც— რესორებს თუ „გლუშიტელს“.

ორიოდე წელიც არ გავა და ნაპო ბიძიაც შეიძენს მსუბუქ ავტომანქანას, წითელი ფერის „მოსკვიჩს“. ახლა მართლაც ამოისუნთქავს დეიდაჩემი, ოთარი ხომ გაიხარებს და გაიხარებს, ვინაიდან ველოსიპედი ამჯერად აბსოლუტურად მის განკარგულებაში გადავა. თუმცა მამაჩემისა არ იყოს, სოფლის სტადიონზე ფეხბურთის თამაშით გართულს, თვალსა და ხელს შუა ააცლიან მესერზე უპატრონოდ მიყუდებულს. მალე გაირკვევა ველოსიპედის ქურდის ვინაობა. ცრემლად დაღვრილ ოთარს ნაპო ბიძია ხმას გააკმენდინებს.

— ორღობის ფეხისხმას ხომ არ ავყვები?! — გაცხარდება, მაგრამ მომდევნო დღეს, დუქნებისკენ წასული იმ ერთადერთ საეჭვო პიროვნებასღა არ ჩამოართმევს ხელს კლუბთან შეკრებილებში და ამით მომთავრდება ყველაფერი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენებურებს ტრანსპორტის მხრივ არა უშავთ რა, თუმცა რადგანაც სიტყვა ჩვენებურებზე ჩამოვარდნილა, ბარემ ისიც ვთქვათ, თუ როგორი შემადგენლობისაა სოფელი გვარეულობის მხრივ.

„ნეპის“ პერიოდის ოტობაიას , ცხადია, ვერ მოვუსწრებ ასაკური ბარიერის გამო, მაგრამ იმდროინდელი მშენებლობის ნამუსრევი, ახალში ორგანულად მოქცეული, აქამდე შემორჩენია სოფლის ცენტრს, რომელსაც რატომღაც მაღაზიის მაგივრად „დუქანეფის“ ეძახიან, იგივე დუქნებს.

კედლები მონოლითურად ჩასხმული ბეტონისგან ამოუყვანიათ, რომლის უკანა მხარე წვიმას ჩამოურეცხავს და ზედ რამდენიმე დაგვარჯღული ლეღვი ჭინკასავით აცოცებულა. ეს დუქნები თავიდან ხუფენიების ყოფილა. ნაპოს ბაბუას იმდენი ფული მოუგროვებია მუთაქებში, რომ გაუქმების შემდეგ ნახევარი დღე წვავდნენ თურმე ოდის მოფარებულში, მაგრამ— ამაოდ, ცეცხლიც არ ეკიდებოდა იმ ოხერსო.

კოლორიტული გვარი რამდენიმეა ოტობაიაში, თუმცა ვიდრე ამათზე დავძრავდე სიტყვას, ბარემ ერთი საკითხიც მოვისტუმროთ: დიდი ანუ ჩვენი და პატარა, იგივე კუნთხუ ოტობაიას პრობლემა.

პატარა ოტობაია მართლაც ერთიათად ჩამოუვარდება დიდს ტერიტორიით თუ სულადობით, ოღონდ იქ ხალხი გაცილებით შეძლებულია, ვინაიდან მდინარისპირა ზოლში თხილის საარაკო მოსავალი იცის, ხოლო ჩვენები ძირითადად სიმინდით ირჩენენ თავს.

ჩვენი ოჯახი ხომ მთლად ბოგანოა, რამეთუ, როგორც მოსამსახურეებს 1500 კვადრატული მეტრის მიწას მოგვიზომავენ თავიდან. ეს ნაბდისგაშლა მამული დედაჩემის ძალისხმევით ჯერ 2500-მდე გაიზრდება, შემდეგ სახლისგან მოშორებით კიდევ ავიღებთ საყანე ნაკვეთს. მას აქეთ ჩვენი საცხოვრისის წინ, ვახანიებისგან ჩალის ფასად შევიძენთ გაუდაბურებულ სამოსახ- ლოსაც, მაგრამ ნაპო ბიძიასგან განსხვავებით მაინც ალთა-ბალთას გაფანტული მეურნეობა გვაქვს და შესაბამისად იქაურ მადლსა და ბარაქას ვერაფრით შევიტკბობთ.

პატარა ოტობაიელებზე ერთსაც დავსძენ: თავმომწონე ხალხია იქ, მომეტებით თავმოყვარენი, თორემ ოტობაიელის ენიანობისა მომიხსენებია.

ხოდა, ერთხელ, ამერიკაში საგასტროლოდ წარმგზავრებულ ყველასთვის საამაყო ზურაბ სოტკილავას, რომელიღაც სიმღერის ჩამთავრების შემდეგ, დარბაზიდან მეგრულად შემოეხმიანება ფრაკიანი ხანდაზმული:

— სონ რექ წიე, სი?*

— ჭიჭე ოტობაიაშე!*— მკვირცხლად უპასუხებს სცენიდან ტენორი.

— დიდ მუთუნ ვარდ დო ჭიჭე მუ იცი?* — გადაიხარხარებს იანკი კოლხი და ხელებგაშლილი გაემართება მსახიობისკენ.

ეს ყველაფერი სასხვათაშორისოდ.

ჩვენი სამკვიდრობლის ჩრდილოეთით საზანთარაიაოა, ზურგს უკან, რადგან აღმოსავლეთი ჩვენგან ხელმარცხნივაა, უკუღმართად. ისინი ლამის გაგიდამდე არსებულ სივრცეს აღავსებენ და განსაკუთრებული დაბდურხასიათით გამოირჩევიან.

ზანთარაიაზეა თქმული, ღელეში სავსე მთვარის ანარეკლი სულუგუნი ეგონა ბედოვლათს და მოადინა კიდეც შიგ დღვაბანი იანვრის მიწურულსო;

მათზე ხითხითებენ დღემოსწრება, მარილი რომ დათესა თურმე მეურნე კაცმა ხასაიას შემოამხანაგებით, უხვ მოსავალს მოვიწევთ და ავშენდებითო;

ზანთარაიებზე წახუმრებულია მათემატიკის ცოდნის უიშვიათესი მაგალითი, როცა ას ჭოლოკს მიიტანს კაცი შინ და საჭიროებისას ორმოცდაათიღა აღმოჩნდება დიასახლისის ხელმარჯვობის თუ მეზობლის ქურდბაცაცობის მეოხებით:

— გახმა და აბა, რა იქნებოდა, განახევრდაო, — იმართლებს თავს.

სამხრეთით სახუფენიაოა, ნაპო ბიძია, სერაპიონის ბიჭები, ჯიბა გოლკიპერი, მეცხენენი და გუთნისდედანი, ჩემი კბილა ზურა, სიმღერაში უბადლო;

იქ საჯაიებიც მკვიდრობენ უხვად, გულფიცხელანი, ხშირწარბება ვალიკოს მეთაურობით, რომელსაც ნატყვიარი მარჯვენა სულმუდამ მოკეცვია და კიდევ — ალფენიძეები, რუსულის მასწავლებელი ტრიფო, ერთადერთი სალანძღავი ეპითეტით: „სი ძუიკი“ — შე ჟულიკო;

შეუდარებელი ბარიტონი ჭუკა მრავალრიცხოვანი ჯალაბით, ბერანძეები...

დასავლეთი ძაძუებს, იზორიებსა და ჭანიებს დავუთმოთ, ტუჩნაჭრილობევ მეწისქვილე დოროთეს, ჯაგარაულვაშიან გრიშას, ნოეს, ვარადის, როხროხა ორდეს, ხეკულე ვაგის და ვინ მოსთვლის.

მათში გაბნეულა ჩემი თანაკლასელი ტარზან თოდუას მამა გუგუ, გაკვეთილს რომ დააწყებინებენ და ნახევრის შემდეგ:

— ჭუჭუ, შენ გააგრძელეო, გადაულაპარაკებს უმცროს ძმას.

რაც შეეხება აღმოსავლეთს, მესხიებისთვის, შენგელიებისთვის და გამისონიებისთვის გვიბოძებია.

მათში დაუნჯებულა ენაკვიმატი ნოჩო თაკალანძე.

საქვეყნოდ ცნობილია მისი დიალოგი გალის რაიკომის პირველ მდივანთან, დამიანე გოგოხიასთან.

ეკითხება ლადის ძე უხუცეს ოტობაიელს:

— ხომ ვერ გვეტყვით, სოფლის წინსვლას ვინ უშლის ხელს თქვენთან?

— რატომაც არა? — სერიოზულია ნოჩო თაკალანძე, — სამი კაცია სულ, თავმჯდომარე, პარტკომი და ბუღალტერი.

— გაიმეორებთ ამას კრებაზე?

— უეჭველად! — უდასტურებს ნოჩო ყალიონის პლაკუნით.

ოტობაიელები დაფაცურდებიან. კრებამდე გვარიანი დროა და ჩაუყრიან ნალიაში სამ ურემ სიმინდს, ორ ფუთ ლობიოს, ფულსაც ცალკე წეკოსთვის, მთელი წელიწადის სამყოფს.

აგერ, კლუბში მოგროვილია საზოგადოება. აქ ბრძანდება კიტელიანი ნოჩოც. დამიანე ხელით ანიშნებს ასაკმოყრილ წვეროსანს: აბა, ილაპარაკეო და ისიც წამოიმართება სანახევროდ წელშიგაღუნული, ჭერისკენ თვალაპყრობილი:

— ამხანაგო, მდივანო, ტყუილი მოგახსენეთ, სამი კაცი ყვლეფს სოფელს-მეთქი: თავმჯდომარე, პარტკომი და ბუღალტერი; ახლა უკვე ოთხია, გაჩუმებისთვის მომართვეს წეღან სიმინდი ურმეულებით და თავს ზემოთ ძალაა?

ასეთია ჩემებურების არეალი სიყრმისჟამინდელ ოტობაიაში. იქ გოჯით არ შეცვლილა საგვარეულოთა განლაგება გეოგრაფიული თვალსაზრისით. მოხდა მხოლოდ თვისებრივი გადაადგილება ყოველდღიურობიდან მარადისისკენ, ანუ საწუთროდან სამუდამო სასუფევლისკენ — სასაფლაოსკენ. იქ კი, იმ ყურუმ ადგილას, მოშლილია უკვე სამყაროს კოორდინატთა სისტემა, მისი აღმოსავლეთ-დასავლეთი თუ ჩრდილოეთ-სამხრეთი, მაღლითა თუ დაბლითა, შორი თუ ახლო; იქ განსაკუთრებული კანონზომიერებით განისვენებენ ჩემებურების ნათელი სილუეტები: მაგალითისთვის, მიხეილ ფეტელავა, იგივე მიშა, მიხფე, დასავლეთით რომ მოქცეულა, ნაპო ხუფენია აღმოსავლეთითაა, ხერიკო პაპასქუა — ჩრდილოეთით და თომა გელენავა განუყრელი მუთარეთი — სამხრეთით, თუმცა ამ მეტამორფოზას ვითომ გააჩნია არსებითი მნიშვნელობა, როცა ცოკოლამდეა შემუსრილი აფხაზებისა და მათი დამქაში სომეხ-კაზაკ-ჩეჩენის ხელით კოპწია საცხოვრისები?!

ზოგი მათგანის პატრონი იმ ნაგებობის უკეთ ასაბრიალებლად მიმატებია კიდეც ცეცხლის ენებს საწვავ მასალად.

ისე კი მომხდური მთლად არ განაძირალებულა ამ ექვსი წლის მანძილზე და საფლავებისთვის იოტისოდენად არ უხლია ხელი.

ნუთუ ფეთქავს მათ არსებაში სინდის-ნამუსის ძარღვის ნატამალი?

დანაცრეს ოდა-სახლი; დაანახშირეს სამზადი, ნალია, საქათმე და საღორე, საბძელი; აამტუტეს ყოველივე, რაც სიცოცხლის ნიშან-წყალს შეესაბამება, ტუალეტიც კი, მხოლოდ საფლავებს არ გაკარებიან და ისიც იმ მოტივით, ალბათ, რომ სიკვდილის ატმოსფეროსთვის ხაზი გაესვათ; რომ ამ სოფლად ყოველივე მიცვალებულია:

მკვდარია ბუხრები, საიდანაც კვამლი ამოდიოდა ოდესღაც;

გარდაცვლილია ჭები, ვინაიდან მყვარებს გადაელოცა იგი გაუქმებული ოწინარის თამადობით; მორღვეულა ღობეები, ეკალ-ბარდს მინებებულა ჩემებურების ნაოფლარ-ნაღვაწი საუკუნოობით;

მხოლოდ საფლავები, მხოლოდ მარმარილოში ამოვლებული ოტობაიელთა სამუდამო სავანეა ხელუხლებლად.

ესეც მტრის ქვეტექსტური ნიშნისმოგება:

— არაფერი დარჩება შენგან საფლავის გარდა. არარაია ამ მიწაზე შენი საწილო სამარის მეტიო, — გეუბნება დუშმანი უსიტყვოდ.

ჩემი ვარაუდის მართებულობას ერთი ფაქტიც ადასტურებს.

დღესაც, ამ მამასისხლურ დამოკიდებულებაში, მამაპაპისეულ სასაფლაოზე მხოლოდ მიცვალებულთა გადმოსვენებაა შეუფერხებელი, უშლაგბაუმო. ცოცხალს ყელს გჭრიან, სისხლს ხვრეპენ შენი ძარღვებიდან წამოანკრებულს და როცა ცხედრებით მიბრუნდები იმავ მიწაზე, კარები ფარღალალაა შენიანთა ნეშტების დასამარხად. მკვდარი კარგია სათვალთვალოდ, გულის მოსაოხებლად.

— რა ნაზი ბეწვი გქონია, რა ხატულაო, — მახსენდება ფოლკლორიდან დაურვებულ ვეფხვზე

თქმული ბალადა, და ასეა შენი ძვალშესალაგი მომხდურისათვის, ბრჭყალებდალეწილი, უვნებელი, ბუტაფორია მხოლოდრე!

ძუძუმტეს ველოსიპედის აღმა-დაღმა ქროლება მიხსენებია, მაგრამ აღარც ურიკელასთანაა მაინცდამაინც მწყრალად. ტყუილად როდი ვეძახით ბრიკეტას. ხშირად ვმეურვეობ ძუძუმტეს, თუმცა რა მეურვეობა, ჯირკივით ჩაკირული თუ გააბრაზე, ბოკვერივით შემოგიღრენს. ისევ მეგობრობა სჯობია, ხოდა, გამოიძებნება ჩვენი თანხმობის უებარი საშუალება — ბიბლიოთეკა, წიგნები.

ნაპო ბიძიასთან უფრო ისტორიული ხასიათის ტომეულებია: ივანე ჯავახიშვილი, სტრაბონი, ლამბერტი, ბოროზდინი, ხეროდოტე; მხატვრული ლიტერატურაც მსგავსი ყაიდისაა, ისტორიული რომანები: ,,გმირთა ვარამი'', ,,დავით აღმაშენებილი'', ,,აივენჰო''... ეს წიგნები ჩემთანაცაა. ჩვენი ბიბლიოთეკა მხატვრულ-მეცნიერულის ნაჯვარია.

ზედა თაროზე ,,დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის'' სრულყოფილი, შავყდიანი ზორბა ტომეულებია. მერე მოდის თხზულებები ანთროპოლოგიაზე, ბიოლოგიაზე, ფარმაკოლოგიაზე, ქიმიასა და ფიზიკაზე. ათეისტური ხასიათის წიგნების სიმრავლეა. გამადიდებული შუშითაც ვერ დალანდავ ძველსა და ახალ აღთქმას. ეს ყველაფერი ილუსტრირებულია და ამდენად, ოთარიც გამოჭერილი მყავს, როცა საკითხი დათვალიერებას, თვალსაჩინოებას ეხება. ამ მხრივ ჩემი ბიბლიოთეკა მთელი სამეზობლოს თანატოლებს იზიდავს: აშორტიებს, ელიავებს, რატიებს, იზორიებს. ჩვენ ვფურცლავთ ენციკლოპედიებს და რიგრიგობით ვითვისებთ ყოველ შემხვედრ რეპროდუქციას. ვისაც ფერადი ერგება გალაღებულიც ისაა. წრეში ვსხედვართ უმეტესწილად. ერთი კრემლს რომ მიისაკუთრებს, მეორეს მავზოლეუმი ერგება ლენინითურთ, ან კიდევ — დრეზდენის სამხატვრო გალერეა თუ სულაც სფინქსის გამოსახულება. ცხადია, ეს ნაგებობანი ამგვარი თანამიმდევრობით როდი განლაგებულა ძვირფას გამოცემაში, ახლა, ჩემეული მონტაჟის წყალობაა გონებით, მაგრამ ხომ გარკვეულა ჯილდო-მიდრეკილებათა ნუსხა?!

ოთარსთან ძუძუმტეობის გარდა უამრავი ნათესაური განცდა მაკავშირებს. ყველაფერს რომ მოვეშვათ, ჩვენ სისხლხორცი დები გვიყვარს, უფროსი — მე და შუათანა — ბრიკეტას. ისინი ჩვენ-ჩვენი თანაკლასელები არიან. ამის თაობაზე ყველაფერი უწყიან მშობლებმა. შემოტევა ორივე ფლანგზე ანგარიშგასაწევია, მაგრამ ქოქოლას სიყვარული ჯერეთ ვისთვის მოუშლევინებია, ჩვენ რომ მოგვაშლევინოს?!

ისე, გასაოცარია ფრიად, რატომ ზომავენ მშობლები სარძლოებს და სასიძოებს საკუთარი არშინ-ადლებით?! რატომ არ ძალუძთ წამით მაინც გარდაისახონ და იმნაირად ჩააშტერდნენ თავიანთი შვილების სატრფოებს, როგორც ამას მათი მემკვიდრეები ახერხებენ?!

არა, მშობლები გაცილებით უცხონი არიან შვილებისთვის, ვინემ— ქუჩა, მოედანი, წისქვილი, სტადიონი. ხოდა, რადგანაც მიჯნურებითაც ვემოყვრებით ერთმანეთს მე და ოთარი, ბუნებრივია, შეშის დახერხვა გვერდიგვერდ გვირჩევნია, კუნძების დაპობაც, ჭიდან წყლის ამოღებაც თუ წისქვილში წამგზავრება ზოგჯერ ველოსიპედით და უფრო ხშირად — ურიკელათი.

ეთერ დეი დასაქმების წინ უცილობლად დაგანაყრებს ფუმფულა პურით და მტკავლის სიგრძის სულუგუნის ნაჭრით. ჩვენს ოჯახში სულუგუნი დიდხანს ვერ ჩერდება. ერთი ძროხა იძღვანკება ორსამ ლიტრ რძეს, რომლისგან მუჭისისხო კაზლა ყველი ძლივს გამოდის. დანარჩენ რძეს წამოადუღებს დედა და ეგრევე ზეზეურად მივირთმევთ მარილით გაჯერებულს. ხოლო ხუფენიებისას ყოველ დილა-საღამო მოზრდილი ქვაბი მისჩერებია დიასახლისს თვალებში:

— მომიფრთხილდი ჭირიმე, მზერა ნურსაით გაგექცევა, თორემ შეიძლება ისე უცაბედად წამოვფუვდე, ნახევარიც არ დავრჩე ჭურჭელში უპატივცემლობის გამოო.

ეთერ დეი ჩემი დიდი ქომაგია. იცის კალამს ვაჭრაჭუნებ და ვეამაყები. თავისუფალ თემებს, დამრიგებელი ნელი შამუგხე რომ მაწერინებს გაკვეთილებზე, უსულგულო გარჩევების სანაცვლოდ, დეიდა კითხულობს უკლებლივ, მეხსიერებით აღდგენილს. ჩამისწორებს შიგადაშიგ, თანაც რჩევა-დარიგებასაც შემომაშველებს. შეყვარებულის დედისა და დეიდაჩემის შეფასებანი შეთანხმებულივით ემთხვევა ერთურთს.

სადღაც ,,ორმოტრიალი'' მეწერა, რაზედაც ეთერ დეი ბევრს იცინებს, მერე დაყვავებით, გულდინჯად ამიხსნის ამ სიტყვის წარმომავლობას. რაც მე აქამდე ორმოში ტრიალი მეგონა, (ვინაიდან ომი საბოლოოდ ორმოში, საფლავში გვაწვენს აქეთაც და იქითაც მოურჩენელი შედეგებით), თურმე ორი ომის ტრიალი ყოფილა, ანუ ორის ქიშპობა, სამკვდრო-სასიცოცხლო პაექრობა.

ახლა, სანამ უშუალოდ სიყვარულის ფესვებს მოვაშიშვლებდეთ, ბარემ ომის ბატალიებსაც გადავავლოთ მზერა და რადგანაც ნადს ჯერაც არ დაუმთავრებია სიმინდის ტაროების გარჩევა, ჯერ კიდევ მეორე სართულის ფართო აივანზე ააქვთ გაძეძგილი კალათები შოთა მარღანიასა და

ხუტა ხუფენიას; ჯერ კიდევ მწუხარების სუროებით არ შემოსილა ამათი დაკუთხული სვეტები; ჯერ კიდევ თავი არ ჩამოუხრჩვია ოჯინჯალეზე სილოვან ბიძიას, ნაპოს უმცროს ძმას და ხელის ერთი მოსმით არ დაობლებულან ჩვენი კარის მეზობლები, რომელთაც მრავლად მიაგებს პატივს აქამდეც გულჩათხრობილი ბიძა. ხოდა, წარმოუდგენელია ისე ჩამთავრდეს სამუშაო, რომ ერთხელ მაინც არ ამოტივტივდეს ომის თემატიკა სრული მასშტაბით.

სოფლის ცენტრში, ვიდრე ახალ კინოთეატრს აგვიშენებდეს სახელმწიფო ტიტიკო ალფენიძისა და ხერიკო პაპასქუას ხელით, დიდ-პატარა მიწატკეპნილ კლუბში დავყრილვართ, სოხანესაც რომ იტყვიან იმერეთით.

გართობას დანატრებული საზოგადოების სამყოფი სკამი თუ მერხი სად მოიძევება იმ ავგიას თავლაში?! ხოდა, ვბუღრაობთ პრეისტორიულ ბუღში. კადრების გარჩევა ჭირს თამბაქოს კვამლსა და მტვრის გრაგნილებში. მაინც არას ჩივი, ყირაზე გადადიხარ ფილმის მაჟორული პასაჟებით მოხიბლული, მაგრამ „ჭიჭა ხარჩილავა მოვიდაო,“ ჩაგეწვეთება ყურში და ზურგზე ბურძგლი დაგასხდება მყისვე. მკვდრების გამპატიოსნებელია ჭიჭა ხარჩილავა, ეშმაკის ნაშობი, ჭინკა; ჭიანა-ჭამი კბილებით გაგიღიმებს და შუბლი დაგიცვარნამდება. ინდოელი ფაკირი მიმიქარავს, გველები დახყავს უბით და არ იცი ფეხებს რა მოუხერხო: ვაითუ გაუშვა რომელიმე, ან გაეპარა სულაც?!

მისჩერებიხარ ეკრანს კინკრიხოზე თმა აჯაგრული და ომის საშინელებანი, აფეთქებები, ნგრევები, ბომბდამშენების წუილი, მოუხელთებელი პარტიზნების სიმამაცე და სანაცვლოდ მშვიდობიანი მოსახლეობის კედელთან მიყენება, საბოლოოდ გავიწყებს ჭიჭა ხარჩილავას არსებობას თუ უბეებით შემოყვანილი უნასების ლაშქარს.

მოზარდის გონებაში ჯიუტად იკვეთება ეჭვმიუტანელი რეალობა: საბჭოთა ჯარისკაცი უძლეველია დედამიწის ზურგზე. ამიტომაც ჩვენიანებს ვეძახით წითლებს და ცხადია, მტრის ხატიც საპირისპირო განზომილებით წამოგვესვეტება თვალწინ.

გმირების მეტი ვინ ხყავს XX საუკუნის კაცთაკვლას პოლიტიკური ნიშნით, რამაც ორმოცდაათი მილიონი ადამიანის სიცოცხლე წაასულსწრაფა მოუსავლეთში.

სად უნდა ხპოვო ხუმანიზმის ტაძრები, მეჩეთები თუ სინაგოგანი?! ან რა უსუსურია არესის დამანგრეველ ძალასთან შედარებით ბიბლიური შეგონებანი: „არა კაც ხკლა“, „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ და კიდევ უფრო მიუწვდომელი, კაცობრიობის შორადშორეული ოცნება — „გიყვარდეს მტერი შენი“ — ქრისტეს ბაგეთაგან აღმომსკდარი უკვდავების წყარო, ოდეს კიდურებს უმსჭვალავენ და შუბის ბუნიკით ღვიძლს უსინჯავენ ძმარნასვამს?!

რომელი ქორონიკონის მაგნიტურ არეში მოუქცევია სახელმძღვანელო პროგრამად ჩვენი ცივილიზაციის იდეალთა იდეალი არსთაგამრიგეს?

მახვილით და ცეცხლით ჩაიგრიალებს პირველი ათასწლეული.

ხიროსიმასა და ნაგასაკის სოკოსმაგვარი აფეთქებებით ბოთლიდან ამოშვებულ ჯინივით დაგვმხობია თავზე მეორე.

ძალმომრეობის განუზომელი ღვარცოფით მიგვაქანებს მესამისკენ კაცთმოძულეობის საყოველთაო სულისკვეთება და ძველი აღთქმისეული ათმცნებიანი მორალი კვლავაც კედელზე შეყრილი ცერცვია მგლური ხასიათის მოსათოკად.

სასაკლაოა ევროპა.

სისხლი გუბდება კავკასიაში.

გასისხლმდინარებულა აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიისა თუ აზიის კონტინენტები, ზოგან პოლიტიკური, სხვაგან პატროფილური, სოციალური თუ რელიგიური შინაარსით, და ხომო საპიენსი სამისდღემშიოდ დაასაბუთებს, რომ მას მოაზროვნე ცხოველისა არაფერი სცხია, ურეგვენესია უგუნურთა შორის — შეუთავსებელი, პოლარული, უაზრო.

აღარაფრისმთქმელია მისი წამიერი გაცისკროვნების ჟამს მოხელთებული ზევსის ქანდაკებანი, სემირამიდის ცაში დაკიდებული ბაღები, ალექსანდრიის შუქურა, ჩინური კედელი, პირამიდები, ხომეროსთა „ილიადანი“ თუ ბეთჰოვენთა „სიმფონიები“;

ცხოველს კვადრატში ახარისხებული მძვინვარებით აჯობებს ადამიანი. იგი რაღაცნაირად კი გამოეთიშება ამ ველურს, მაგრამ ამაღლებულ განცდათა ქოროს იქ დატოვებს, არსებობისთვის ბრძოლის იმ ჯუნგლურ შხამთაფრქვევაში და ცივილური ურთიერთობისათვის მხოლოდ დრაკონულს, მხოლოდ ურჩხულისათვის სადაგ თვისებებს დაინარჩუნებს. ჩვენი ასწლეული სამარცხივნოზე სამარცხვინო თავფურცელია დედამიწის ცივილიზაციის არსებობის მანძილზე, რომელიც კანიბალიზმის ნაირსახეობა ეგოიზმით აგვირგვინებს სასაკლაო-სამსხვერპლოდ სახელდებული XX საუკუნის ცათამბჯენის გუმბათს, თუმცა მოვეშვათ განსჯა-მედიტაციას და ჩვენი

თხრობის რეალურ პასაჟებს მოვუბრუნდეთ.

აფიშაზე თუკი ომის აჩრდილი გამოკრთება, შეუძლებელია ნაპო ბიძია კინოფილმის საყურებლად წამოიყოლიო. ასეთ დროს მისი ოჯახის წევრები ჩვენ დაგვემგზავრებიან. გაიელვებს ზოგჯერ მაცდური სათაური, როცა ფილმის შინაარსი გაურკვეველია, როდესაც კინოსტუდიის ვინაობაც არ მეღავნდება და თანაც შინაურებიც აგიჯუჯღუნდებიან ზომაზე მეტად. ამისთანა შემთხვევაში კი აიდევნებენ ნაპო ბიძიას სოფლის კლუბისკენ ფილმის სანახავად, მაგრამ კინოლენტს პირველივე მეტრიდან შეატყობს თუ არა, იქ სულ მალე ნატუსალის სუნი უნდა დატრიალდესო, სიგარეტს ამოიღებს, მოუკიდებს და საქვეყნოდ ცნობილი ხველებით გრილ საღამოს მიაშურებს. ის ბუხუნი მერე არანაკლებ ჩაგვესმის ყურში ბომბების დგანდგარსა თუ ქვემეხების გრიალში, თითქოს ნაპო ბიძიაც არტილერიის მხარდამხარ მჭექარებდეს თავისი ფილტვებით ომის გაგანიაში.

ახლა კი, ამ შემთხვევაში, როცა კბილმეჩხერი ცისანა გოგოხხეს ჩონგური დადუმებულია ჩონჩორ ჯოჯუას მონადირულ ხათაბალაზე; როცა ხის ჭიშკრიდან შემოტეულა საკმაოდ შეზარხოშებული სილოვან ხუფენია განუყრელი წინაფრიანი ქუდით; როცა სიმინდის გარჩევის პროცესს წუთშესვენება გასჯდომია ძვალ-რბილში მასლაათის თვალსაზრისით; როცა თვით ელა და მინაკას პროტოტიპი მუნჯი დებიც წამით გარინდულან, მარტო აბრეშუმივით ფუჩეჩი შრიალებს, ნადს ბანჯგვლიანი მაჯები ლასტის ნაირფერი ულვაშით გაგლესვია. ყუნწში მომტვრეული ტაროების ტკაცანია, თხილის ტკეჩისგან მოწნულ კალათაში რომ ცვივიან მერმე ნაირგვარი ხმიანებით, ისევ თამშუქ მარღანია წამოიწყებს ნაპო ბიძიას ნაფაზის მხარდამხარ მომძლავრებულ ხველებათა სერიალში:

— თედოევიჩ, შენ ომის უშუალო მონაწილე ხარ, — „ვიჩებით“ მიმართვა იმდროინდელ ოტობაიაში ჩვეულებრივი მოვლენაა, განსაკუთრებით საუბარი სანდომიანი ხასიათის თუა, — ჯოჯოხეთგამოვლილი კაცი, მაგრამ მე რომ მკითხოს ვინმემ, გულწრფელად ვუპასუხებ, ლენინს და სტალინს რევოლუცია რომ არ მოეხდინათ, ამდენი ადამიანი ნამდვილად არ დაიხოცებოდა მთელს მსოფლიოში. ძალადობას ძალადობა მოსდევს. აზნაურები ვიყავით ჩვენ, მაგრამ შეძლებულ გლეხზე მეტი არაფერი გაგვაჩნდა ტიტულის გარდა და კიდევ — ტრადიციით გადმოცემული ჩვევები. პაპაჩემი გვეტყოდა: ხელცთუნებას ნუ ახყვებით თორემ ფეხები გაგიმრუდდებათ და კბილები დაგცვივათო, — თამშუქ მარღანია აზიურებს აიჭიმავს გალიფე შარვალზე. ჭორფლიანია, სახენაყვავილარი. სერგო კლდიაშვილის ტყუპისცალია ჩესუჩას განუყრელი ხალათითა და დასვრეტილი თახვისფერი ცილინდრით. ლექსებით უხვად ასაჩუქრებს თანასოფლელს თუ ვინმე ნომენკლატურულ პირს, მაგრამ სანაცვლოდ ადრესატს გასამრჯელოსაც მოსთხოვს უცილობლად — ძვირფასყდიან წიგნს და ერგას წელიწადში უნიკალური ბიბლიოთეკა დაურახტავს, რომელიც, ჩვენეული შიოს მარნისგან გამორჩევით საიმედოდაა შემინულ კარადებში დაცხრაკლიტული, — იყო რაღაც მორალი, მდაბიოთა განსხვავებით ზედმიწევნით რომ გადმოგვეცემოდა. ესენი კი მოვიდნენ თედოევიჩ და ორნახადი არაყი თუ რახი, თავის დროზე ჩინებულად გამოცალკევებული, კვლავ ერთ ჭურჭელში ჩაასხეს, გაათანაბრეს მდარე და დაჯაჭვული. რაღა გამოვიდა ყოველივე ამისგან? საერთო სიუშნოე, სიგონჯე, სიბეჩავე, რომელსაც ვეღარაფრით ვიცილებთ თავიდან. ბევრის მნახველი ხარ, კარელიიდან დაიწყე და მანჯურიათი დაამთავრე. ლამის შვიდი წელიწადი დახყავი ზღვასა თუ ხმელეთზე და რომ გეკითხები, სხვებსაც აინტერესებს აქ, რომელთაც ომში წასვლამ არ მოუწიათ მიზეზთა გამო.

— ფულით თუ ნაცნობობით დაიხსნეს თავი საშინელებისგან, — ჩაერთვება საუბარში სილოვანი, ეთერ დეის გამოტანილ, ხელსახოცში შეხვეულ თბილად შენახულ ღომს შეექცევა, თან თანამეინახედ მამაჩემი შეხიდებია.

თამშუქ მარღანია ყურს არ ათხოვებს შეზარხოშებული კარის მეზობლის კომენტარს და ამორჩეული ტემბრით გააგრძელებს:

— აგერ, ხრუშოვმა ხელის ერთი მოსმით წყალში ჩაუყარა ყოველი დამსახურება სტალინს. თუკი ისეთი დესპოტი და არაკაცი იყო, როგორსაც ეგენი ყროყინებენ, მაშინ ცამდე მართალი გერმანია გამოდის: ამათი ტირანიისაგან გავუნთავისუფლებივართ და სიძულვილის მაგივრად ფაშისტების თაყვანი გვმართებს. ხა, რას გვეტყვი, თედოევიჩ?

ნაპო ბიძიას სიტყვაძვირობა ვახსენეთ, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ თექვსმეტსაათიანი მუშაობის მანძილზე გვარიანადაა ნაყლურწი მსხლის არაყი. ამას ზედ დაერთვის ვახშმობისას მირთმეული თავანკარა ადესა, და კვლავ იმავე არყით რომ აგრძელებენ შრომა-მუსაიფს, ბუნებრივია, ლაპარაკის საღერღელი ამ გულჩათხრობილ კაცსაც აეშლება:

— ბრძენკაცი ხარ დათაევიჩ, — მსგავსი ინტონაციით ეხმიანება სოფლის აშუღს ნაპო ბიძია, —

მაგრამ საკითხი იმდენად რთულია, ეგრე იოლად ვერ გაირკვევა. მე ისტორიკოსი ვარ და, დიახაც, მომეხსენება, რომ ჩვენი თაობა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე აღიზარდა. რევოლუციური დოგმების ბრმა მიმდევრები გვეთქმის, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც ნათელი გონება უბოძა ზეციერმა და ბოჩოლასავით როდი მიხყვებიან, როგორც პროლეტარიატის ბელადების, ისე, გნებავთ— თვით ქრისტეს მოძღვრებებს.

ნადი სულგანაბულია. ოფიციალური ხელისუფლების კრიტიკა ესალბუნება თითოეულს, თუმცა საკუთარი აზრის საჯაროდ გამოხატვას ყველა ერიდება. ჯერაც ბოგინობს ოცდაჩვიდმეტის ხსოვნა.

— თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობამ განვითარების რამდენიმე საფეხური გამოიარა. ამას ადასტურებს არქეოლოგია, ანთროპოლოგია, მეცნიერების სხვა დარგები. მარქსიზმი აღიარებს საკითხის ასეთნაირ გაშუქებას: ადამიანი პრიმიტიული ორგანიზმის მუდმივი განვითარების შედეგია, ანუ უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ადამიანი დიალექტიკური პროცესების პროდუქტია, შრომის ნაყოფი. ეს დებულება ხეგელისგანაა აღებული, რაც შემდგომში ინგლისური პოლიტეკონომიითა და ფრანგული სოციალიზმით გამდიდრდა და საბოლოო ჯამში მივიღეთ მარქსის თეორია კლასთა შორის ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი სიტუაციის კაცს, რომელსაც უთოც კი სოციალიზმის უპირატესობას და კომუნიზმის გარდუვალობას გეჩიჩინება, ძნელია განსხვავებული აზრის საზოგადოდ გამოხატვა, მით უფრო — ქადაგება, რადგანაც ამისთანა შემთხვევაში დახვრეტა თუ არა, თავისუფლების აღკვეთა განაღდებული გაქვს, — ნაპო ბიძია ხარბად მოქაჩავს სიგარეტს და ხველების მწკრივის შემდეგ ისევ დააღებს პირს სიტყვის გასაგრძელებლად, თუმცა უმცროსი ძმა დაასწრებს:

— მერედა, საციმბიროდ გვიმეტებ, შე კაცო?! თავი თუ არ გებრალება, ჩვენ მაინც შეგვიცოდე, — სილოვანი პირდაპირია. ეს სითამამე არყისგანაც მოდის და კიდევ ზოგი შინაგანი უთანხმოებისგან, — სახელმწიფომ იმისთვის გასწავლა, რომ ყელში დანა გამოგესვა?

ნაპო ბიძია წაუყრუებს უმცროს ძმას.

— ბოლო დროს ბევრს ვფიქრობ ჩვენს გარემომცველ კოსმოსზე, დროსა და სივრცეზე, რომლებიც წარმოუდგენელი მასშტაბებითა და კანონზომიერებით ექვემდებარებიან, განსაზღვრავენ ერთმანეთს. უფლის ხელი ურევიაო, იტყვი გადაჭრით და კონტრარგუმენტიც იქვე გაჩნდება. დიალექტიკის შედეგია ყოველივეო, განაცხადებ და უმალ წინააღმდეგობათა კედლებიც აღიმართება. სტალინის კულტის გამომზეურება და დაგმობა ხრუშოვისგან, ეროვნულ დაჩაგვრად აღვიქვით ქართველებმა და ასეულობით უცოდველი სტუდენტი შეეწირა ამ პროტესტს, მაგრამ მე სხვანაირად ვიძიებ შურს: უამრავი ჯემალ გამახარიასნაირი მოწაფე მყავს გაგიდაში, რომელთაც საპროგრამო რუსეთის ისტორიის ნაცვლად ეროვნულს ვუტენი თავში. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, დათაევიჩ, ცხადია, სოციალისტური ქვეყნის წარმოშობამაც შეამზადა ის არნახული წყეული ომი. ზოგი თანატოლი თვალს ვერ მისწორებს, ძუით რომ წაიხდინა ფეხი, ძალად დაიკოჭლა თავი, ან ფრონტს რომ გაქცეოდა, ხელი გაიუქმა და მიუხედავად იმისა, ნაძირალები არიან ლაჩრული ბუნების წყალობით, ბედნიერად მიმაჩნია ყველა, ვინაიდან ის საშინელებები ვერ იხილეს, მე რომ გამოვიარე, ადამიანის სისხლი არ დაუღვრიათ...

— ომში ყოფნით არაფერი წაგიგია შენ. ეზო-კარი უფროს ძმას ჩაგაბარე. ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაგრიცხეს. სკოლის დირექტორი ხარ ბოლოს და ბოლოს, როგორც სანდო პიროვნება. ეს უმადურობა ნეტავ, საიდან?!

ნაპო ბიძია მიხედავს წაგრძელებულ მაგიდას, სადაც სილოვანის გარშემო უკვე რამდენიმე მეზობელს მოუყრია თავი მამაჩემით დაწყებულს: ეთერ დეის, იაშა აშორტიას, ქანქანესას, ხუტა ხუფენიას თუ შოთა მარღანიას. სხვები არჩევენ გულმოდგინედ. ნაპო ბიძია ელვისებურად ქორულ მზერას ესვრის სისხლხორცს და ძველებური ტემბრით განაგრძობს:

— ხიტლერი რომ კაციჭამია იყო, ამაზე დავა მკრეხელობად მიმაჩნია. წმინდა რასის თეორია იულიუს კეისრის რომშიც ღვიოდა და უფრო შორეულ — არისტოტელეს ელადაშიც, როცა დანარჩენ ხალხებს ბარბაროსებს ეძახდა ერთიცა და მეორეც უკიდურესი სიძულვილის გამო, მაგრამ მაშინ კაცობრიობას ჯერაც არ ემუქრებოდა მასობრივი განადგურება და ის ანტიადამიანური ღვარძლი განუხორციელებელი დარჩა თითქოს. საბჭოთა კავშირი რომ არ ყოფილიყო, რა, ვითომ არ მოახდენდა გერმანია დანარჩენი მსოფლიოს ანექსიას? ვისაც „მაინ კამპფი“ წაუკითხავს, ნამდვილად მიხვდება თუ როგორი ანტისემიტიზმი ათუხთუხებდა იმ შერეკილ შიკლ გრიუბერს. სხვათა შორის მისი გვარი ფუნაგორია, ნეხვის ჭიაა ჩვენებურად.

— ანტისემიტიზმი რაღაა? — ეკითხება მამია რატია.

— ებრაელების სიძულვილი, — პასუხობს მიუბრუნებლად ნაპო ბიძია.

გუმანი მიგრძნობს, საუბარში შემოჭრილი სუსხი შესაძლოა მკაცრ ზამთარში გადაიზარდოს. მახსენდება ამას წინეებზე ძმების შელაპარაკება გაჩაღებულ ღუმელთან გამოტანილ ტაბლასთან:

ნოქრობა შენი საქმე არ არისო, ეუბნება სილოვანს ნაპო ბიძია.

ყველა ხომ ვერ იქნება ნასწავლიო, იმან.

სწავლა არასდროს არის გვიანო, უფროსმა ძმამ, შენი გაუთავებელი ლოთობა მადარდებს. ყოველდღიურად რა გასმევს ჩონჩორ ჯოჯუასთან, აქსენტ გითოლენდიასთან, შალიკო წარაღბაიასთან და პართე აბშილავასთანო. მამაჩემს რატომღაც არ ახსენებს, თუმცა ისიც ამათი ამქრისაა. მერედა, კარტს თამაშობ დღემოსწრება, ქორწილშია ეს თუ ისე, გასართობად. ცოლ-შვილის მომავლის წართმევის უფლებას არ მოგცემ, გაიგეო!

ბევრს შეეცდება ეთერ დეი, მაგრამ ვერაფრით მოაბრუნებს განაწყენებულ მაზლს.

— საბჭოთა კავშირი და კომუნისტობა მართლაც გადაულახავ ბარიერად აესვეტა გერმანულ ნაციზმს, — აგრძელებს ნაპო ბიძია, — და განადგურდა კიდეც. მეტს ვიტყვი, აღიგავა მიწის პირისაგან, თუმცა სტალინს არ დააცალეს სრული გამარჯვება მოეპოვებინა გერმანიაზე, დაიტაცეს მოკავშირეებმა, რათა ოდესმე ისევ გერმანია გაგვეჩხიროს ყელში ძვალივით.

— ე, ბიჭო, ხომ არ დაგიქირავებია ეს ხალხი? მოსავალი ოჯახში შემოგიზიდავთ, თოვლი ხომ არ არის, დააწვიმოს და დადნეს?! მოიპატიჟე მაგიდასთან და შეატკბე პურ-მარილი. ნახევარ ოტობაიას ჯერ ყანა აღებულიც არა აქვს, მაგრამ თავს არავინ იკლავს.

— ნაპო არაფერ შუაშია, — ესარჩლება არლენ ელიავა, — ჩვენ არ დავიშალეთ, მიტოვებად არ ღირდა.

ნაპო ბიძია შეცბუნებულია. წამოჭარხლება აშკარად დაეტყობა, მკერდის ისედაც ამოწეული ნეკნები უფრო ამოებურცება, თუმცა საკამათოდ შეღერილ ძმას კვლავინდებურად უგანებს:

— დათაევიჩ, დავუშვათ წამით და ვივარაუდოთ, რომ გერმანია მოვლენოდა მსოფლიოს ბატონპატრონად? ამისთანა შემთხვევაში ოსვენციმების, ბუხენვალდებისა და დახაუს „გმირობების“ ფონზე სრული განადგურება ემუქრებდა შავკანიან თუ ფერადკანიან რასებს. ასევე ნაწილობრივი მოსპობა გველოდა ჩვენც, თეთრკანიანებსაც. ეგერ, ებრაელებს კანის შეფერილობამ ვეღარ უშველა, ასე რომ, ნურავინ მოტყუვდება ქართველებს ხელისგულზე დაგვისვამდნენო. ჩვენი მდგომარეობის მაქსიმუმი მოსამსახურის, ქვეშევრდომის სტატუსის შენარჩუნება იქნებოდა, რათა გამრავლების უუნარო კასტრირებულ კასტას მონობის გვირგვინი დაგვედგა თავზე ერთხელ და სამუდამოდ. ვერც ჩეჩნები ეღირსებოდნენ მორჭმულ ცხოვრებას გერმანელების პარპაშის პირობებში; ოქროს უნაგირიანი ბედაურები კი მიართვეს მათ გენერლებს სლავური მონობისგან განთავისუფლების მოლოდინში და ოცდაოთხ საათში შუა აზიაში ამოხყვეს თავი დედაწულიანად, მაგრამ მერწმუნეთ, ისინიც ვერ ეღირსებოდნენ პრივილეგირებულ მდგომარეობას. მართალია, ხეგელი კავკასიურ რასას, კონკრეტულად, ქართულ და ჩერქეზულ მოდგმას მიიჩნევს ევროპეიდულის წინაპრად, მაგრამ ეს ზღაპარი მალე დავიწყებას მიეცემოდა. ნაცისტური გერმანია სრული ხეგემონიის პირობებში დაუშვებდა, გაახარებდა მასზე ხანდაზმულ ერს? დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო გენოციდის შემდეგ, ის ერთადერთი მოგვევლინებოდა შუამდინარული, ეგვიპტური თუ ბერძნულ-რომაული ფასეულობების მემკვიდრედ. ამით მოხდებოდა ისტორიის გაუგონარი ფალსიფიკაცია და არნახული დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

— გეყოფათ, კაცო, ფილოსოფოსობა. მოდით აქ, იმას აწი ბავშვებიც მოერევიან. სად არის ჭაავების ქალი? აქ მომგვარეთ მთვარესავით დედაჩემი და დანარჩენი მე ვიცი.

— პურ-მარილი არ გვაკლდა ჩვენ, — ამბობს თამშუქი, — განაგრძე თედოევიჩ. აი, რატომ ვაქვესკნელებ ხოლმე ლენინს და სტალინს.

— სულელმა ხრუშოვმა მიგიშვათ ნებაზე და რატომაც არა, მაგრამ როგორც ქუხს, ისე არ წვიმს. გრიშა, — ეძახის ცოლის ბიძაშვილს, — მოხვალ თუ არა ბოლოს და ბოლოს?!

— მოვრჩებით, კაცო, გაკვეთილს და მოვალთ, აპა არა?!

ამჯერად ნაპო ბიძიას გაბრაზება მთელ სახეზე შემოენთება. სიმინდის ტაროს ენერგიულად მოისვრის კალათისკენ და ასხლეტილი ტაღანასავით გაბზრიალდება მთვარიანში. საუბარს მაინც არ წყვეტს:

— ნაცისტური ჭირი საბჭოთა კავშირმა შეაჩერა არსებითად და აწი თავად განსაჯეთ, ვუმადლოდეთ თუ არა მას ამის გამო. მაგრამ დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ, სანამ სოციალისტური რუსეთის მიზანსწრაფულობა არ დაგვიხატია. ჩვენში ფართოდაა დამკვიდრებული დებულება:

ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური საზოგადოება, რომელიც სატყუარასავითაა შეთავაზებული მუსულმანური, ქრისტიანული თუ იუდეიზმის მიმდევარი ხალხებისთვის. ამ სატყუარათი დღემდე ერთ ტაბაკზე იკვებებიან ისინი; ხალხთა შორის მეგობრობას ქადაგებენ, ურთიერთპატივისცემას, ძმობას, მაგრამ ყველგან, ყოველთვის მაინც რუსეთის იარლიყით, რუსეთის პასპორტით გადიან და ვიდრე არ შეუგნიათ სახეზე ჩამოფარებული სოციალისტური ჩადრის მომაკვდინებლობა საკუთარი ინდივიდუალობის საწინააღმდეგოდ, დაპირისპირება ყოველთვის თვლემაში, ნირვანაში მყოფად მოგვეჩვენება; თუმცა, საკმარისია ერთხელ წაიბორძიკონ ამ ლამის ჭეშმარიტებად აღიარებულმა დებულებებმა, რომ წინააღმდეგობა ბენზინივით იფეთქებს აზიაშიც, კავკასიაშიც, ბალტიისპირეთსა თუ საკუთრივ რუსეთში. ამ რეალობას ვერავინ გაექცევა, ვინაიდან ადამიანთა საზოგადოებებს აქამდე ეროვნული ფასეულობანი წარმართავდნენ და არა — კოსმოპოლიტური სულისკვეთებანი. რაც იდეალია შორეული მომავლის თვალსაწიერიდან, სრულიად მიუღებელია ერისთვის, როგორც ცოცხალი ორგანიზმისთვის. მას არ შეუძლია მეზობელი ქვეყნის ინტერესებს ანაცვალოს საკუთარი. ასეთი ალტრუიზმი მხოლოდ პიროვნებისთვის, ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, თანაც მაღალი ზნეობრივი ნორმების მატარებლისთვის. გაივლის წლები და სოციალისტური პრინციპებით თუ გავაგრძელებთ ცხოვრებას ასწლეულების მანძილზე, რუსული შეიწოვს თითოეული რესპუბლიკის და ავტონომიური წარმონაქმნის ეროვნულ საგანძურს. ისეთნაირად დამკვიდრდება და გაძლიერდება რუსული ჩვენს ცნობიერებაში, ჩვენს მოთხოვნილებებში, რომ არასდროს მოგვინდება საკუთარის აღზევება. ციმბირში ჩვენს თვალწინ გადაშენდა ათეულობით ეთნოსი, ისე რომ, განგაშის ზარი არავის შემოუკრავს, არც ასიმილირებულს და ცხადია — აღარც ასიმილატორს. ერთეულები თუ აღდგომიან წინ გარუსების პოლიტიკას, უმალ კონცლაგერში გაუქანებიათ და იქ ამოხდომიათ სული. გერმანული ნაციზმის პოლიტიკა დავახასიათეთ: მსოფლიოს სწრაფი, ელვისებური გარდაქმნა, ერთსახოვან, გერმანულენოვან, ევროპეიდულ რასად. იგივეს მოიმოქმედებს საბჭოთა რუსეთი, ოღონდ რევოლუციური მეთოდის საწინააღმდეგოდ ევოლუციის კანონები მოუმარჯვებია. შედეგი ორივეგან ერთნაირია გერმანია-რუსეთის სასარგებლოდ, განსხვავება მხოლოდ დროშია. ნაცისტური სულსწრაფობა მსოფლიო ბატონობის გზაზე შეცვლილია ვითომცდა თავმდაბლური, ხუმანიზმით შენიღბული რუსული შოვინიზმით, თანდათან, მიზანმიმართულად რომ გიკარგავს სახეს და ეროვნულ თავმოყვარეობას. სწორედ ამაზეა თქმული: გინდ მგელს შუჭამიხარ და გინდ — მგლისფერ ძაღლსო.

შეზარხოშებული ნადი შუაზე გაყოფილა. ახლები სილოვანისკენ გადაბარგებულან, ასაკმოყრილნი დარჩენილან პოსტზე თამშუქ მარღანიასა და არლენ ელიავას თამადობით.

ოთხასი ფუთი სიმინდის მოსავალია აღებული, ოჯახში შემოზიდული. მართალია, ძნებად შეკრული ჩალა რამდენიმე დღეს დაყოვნდება ყანაში, სანამ მთლად გააბრეშუმდებოდეს. მერმე ჭოლოკებით ხაერში აიტაცებენ და ნაწილი თხმელებზე ჩამოკონწიალდება, დანარჩენი კი დაზვინდება მოხერხებულ ალაგას.

სილოვანის სეპარატისტულ მობრძანებას ზოგი მანდილოსანიც აუბამს მხარს. წამოიშლებიან, წელში სწორდებიან. ნაპო ბიძიაც დროულად აუღებს ალღოს დედაკაცების მდგომარეობას. ჯორკოდან წამოიმართება. თხელია, ლანდი გასდისო იფიქრებთ. ძვალმსხვილი ნუგზარ ელიავა ურევია ნადს, ბახვა, სხვანი გალეულ სანთლებს ხგვანან.

— მიტოვებად არ ღირს, — ჯიუტობენ თამშუქ მარღანია და არლენ ელიავა.

გავსებული მთვარე მიცურავს ვარსკვლავებში. ღრუბლის ფთილა არსაიდან ილანდება. თხელი ნისლი გაწოლილა სერებსა და თხილნარების მწკრივებში. შეთრთვილულა, შეჟინჟღლულა მოლი, ფოთლები.

— ხვალ მოვამთავრებთ, — ამბობს მირია ხუფენია და სუფრისკენ მიიწევს — გასარჩევი ორმოცდაათიოდე ფუთია დარჩენილი.

ბაბუა თომასგან მისწავლია: ყოველი ფუთი ასი ტაროსგან შედგება. ორმოცდაათი ფუთი ხუთიათასი ტაროა, ათი კაცისთვის ხუთასი ტაროს გარჩევა და კიდევ— ოცდახუთი კალათის ატანა მეორე სართულის აივანზე. ცამეტი შოთა მარღანიას მოუწევს, თორმეტი — ხუტა ხუფენიას. ეს არის და ეს. განა ღირს ჭიქა ღვინისთვის ხარის კუდზე დანის გატეხვა? ასეთია ჩემი გუნება-განწყობილება და მწყინს, რომ საქმეს შუაგზაზე მიტოვება ემუქრება.

დედა და-ძმებს შინისკენ მილალავს. მეც იქითკენ მიმითითებს, მაგრამ მე შეუვალ საბუთს— მამის წამოყვანას მოვიშველიებ და ხელად მომეშვებიან. მშობელი მეზობელი ქალების მხარდამხარ მიემართება ვიწრო შუკით, რომელიც ბრდღვიალა მთვარისგან ხელისგულივითაა განათებული და ჭრიჭინების კრუალით, ბაყაყების ყიყინით თუ ციცინათელების მეყსეული გამოცრიატებით

შეკრულ-მოქსოვილა ჯადოსნურად.

ჯერ ჩემთვის სრულიად უცნობია გერმანიისა და რუსეთის პოლიტიკური დაპირისპირებანი. ის დიალექტიკური მატერიალიზმიც არაფრად მეპიტნავება და აღარც შენს იდეალიზმს დაგიდევ რამედ. მე ომის თემატიკის ფილმების ყურებას არაფერი მირჩევნია. რუსებს ჩვენიანებს ვეძახი, გერმანელებს — მტრებს. გული მითრთის ახლობელი ხალხის საფრთხის ჟამს და სიხარულისგან ერთადგილზე ვცქმუტავ დუშმანის საკადრისად დასჯის გამო, მაგრამ არც ესაა ძირითადი ჩვენი ნადურიდან. ჯერ კიდევ მრავალი რამეა სათქმელი, ოღონდ ამას წინათ შეპირებული მოვისტუმროთ უწინარესად, ოთარისა და ჩემს შეყვარებულებს რომ შეეხება. ჩემი სატრფო თეთრგვრემანია, ძუძუმტესი — ხორბლისფერი. ორივე ფრიადოსანი. სწავლაში გვეჯიბრებიან და არც თუ უშედეგოდ.

პატარა ბიჭის სიყვარული და კოლხეთის რეალობა ურთიერთგამომრიცხავი სიდიდეა. შენ ნდომა, წადილი გთანგავს, თუმცა საქალეთიდან არავის ესმის ამ უმწიკვლო კანკალისა. ღამღამობით შესაძლოა ლოგინში ჩაგიწვინოს მასპინძლის ასაკით უფროსმა ასულმა, როგორც ნივთი, სათამაშო და არავინ უგდებს ყურს შენი გულისძგერის გახშირებას. შენ გინდა თანაგრძნობა დაიმსახურო სატრფოსგან. ამის თაობაზე მთელი სკოლა ჩურჩულებს, დიდპატარიანად. თავად ქალიშვილს კი შორს უჭირავს თავი. მას ასე შთააგონეს, ასე ასწავლიან ბებიები, დედა, ბიცოლები, დეიდები, მამიდები, მეზობლის ქალბატონები. ასეა მომართული მისი გონება, რომ ახლოსაც არ მოგიკაროს, თორემ სამუდამოდ დაიღუპება, სახელი გაუტყდება, და მერე ცხოვრებისთვის უვარგის დანამატად იქცევა, ყველას სათრევად, როგორც მრავალს დამართნია ჩვენეული ყოველდღიურობიდან.

არადა, ძნელი სათქმელია, როდის, რა წუთში დაბნელებია გონება იმ გოგოს, ვის წინაშე, რომელს მინდობილა მთელი არსებით, ჯერ კიდევ მკერდწამოჩიტული. მერე და მერე არგაცხადების შიშით მეორეც მოთხოვს სურვილის განაღდებას, იმ მეორეს მესამე მიემატება, და აი, მშობლები ოდეს ქალიშვილის გათხოვების ზღურბლზე აღმოჩნდებიან, და რაწამს მათ ასულს უკან მოაბრძანებენ, როგორც ოჯახის შემარცხვენელს, წაუშენენ და წაუშენენ უბედურს, თუმცა გარდახდილის მეათედსაც ვერ დააცდენინებენ; ყოველთვის ბოლო მოსურნეს ასახელებენ ისინი, ან— სულაც იმისთანა შემთხვევითს, წამიერად რომ წაცდენია ხელი ქალიშვილის სითამამისკენ და ამის გამოც ზომაზე მეტად იზარალებს, როგორც რეპუტაციით, ისე— ჯიბითაც. ამისთანა შემთხვევაში შინმობრუნებული გოგოსთვის უცილობლად მოიძებნება საქმრო სახელდახელოდ, ოღონდ — ნაცოლარი ან რაიმე ხეიბრობით შეპყრობილი და გარკვეულწილად გამოსყიდულია თითქოს ასულის უნებლიე მანკიერება.

ქართული სინამდვილე უმწიფარია ქალწულის დეფლორაციასთან მიმართებაში. ძველ კოლხეთში კი ფალოსის ღვთაებას სწირავდნენ ქალიშვილის უმანკოებას, სადაც ქვის ადრეკილ სამსხვერპლოზე სხამდნენ მათ უკლებლივ და სათავეშივე სპობდნენ სასიძოთა პრეტენზიებს.

ქალწულობის ბეჭდების სიმრთელე იოტისოდენადაც ვერ ასახავს მათი პატრონების სათნოებას, რამეთუ მსგავს სიტუაციაში გზა ეხსნება ათასგვარ გაუკუღმართებას, და ხშირად, როგორც რუსები იტყვიან, ,,ცელკები'' სინამდვილეში ათას მხრიდან არიან გაბრედილნი, მაგრამ ჩვენი შემთხვევა განკერძოებულია. ჩვენ ახლოსაც ვერ ვეკარებით იმ სიყვარულის ნაყოფს მოსაწყვეტად.

მე ლაბას ნაპირას წარმგზავრების პერიოდში, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე, თავაწყვეტილად გადავეშვები ამურის ბობოქარ მორევში. იქაური თვალხუჭობანანი და უშველებელ, კუბიკურ ზვინებში განმარტოება ყოველნაირად გამიხსნის გზას ამურული ორგიებისკენ. ზოგჯერ კი იმგვარადაც ხდება, რომ კუკუმალაობანა მთელი საღამო გრძელდება და ამისთანა ვითარების გმირს, აქაიქ ორი, ხშირად მეტი პარტნიორი მიმაქანებს სამალავისკენ.

კაბის ალმურით და გამაღიზიანებელი ოფლის სუნის ოხშივრით ინაცრები, ინაცრები უსასრულოდ, თავანკარა სიყვარულიც თვალსა და ხელს შუა გეცლება. ახალ გატაცებებს მორიგი ენაცვლება. ყველას შენი მისაკუთრება სწადია ანიდან ჰოემდე, სინამდვილეში კი ის კოცონი სხვა შეშით დანთებულა და ოდესმე მართლაც გესტუმრება ნაღდი გრძნობა, რომელიც, დიახაც, ღვთაებრივია, დიახაც, შეურყვნელი, თუმცა აწ შენი წელთაღრიცხვა დაშორიშორებულია დამდაგველის სინორჩეს და საკუთარ თავზე გაბოროტებული, სრულიად უცხო მდინარეში გადაეშვები. გულის სიღრმეში კი კვლავინდებურად წკმუტუნია შელახული ღირსებისა. რამდენადაც დავნამცეცებულვარ ამ მარათონულ იდილიაში, იმდენად დავშორებულვარ ყველაზე თავანკარას, ყველაზე სანდომიანს.

ამას წინათ ჩემს ძუძუმტესთან საუბარში გავარკვევ მთავარზე უმთავრესს — დღესაც პირველი

განცდის ტყვეა თურმე, დღესაც პირველი შთაბეჭდილება თანგავს. ჩემი სული კი ათასმეერთე დანესთან შეჩერებულა და წუთისოფელი თავისი კანონზომიერებით მიაგრიალებს ირგვლივეთს კვლავაც ზემორე თუ ქვენა, მარცხნივ თუ მარჯვნივ, შიგნით თუ გარეთ, თუმცა ამ ფერჭვირვალობის უკუმიქცევა უკვე არარას ძალუძს, აღარც — მატერიალიზმს და მით უფრო — მეუფეს ჩვენსას.

მიუტაცნიხარ საწუთროს ოღროჩოღროებს, მიუტაცნიხარ ქვეყნიერების უმართავ მდინარებას.

გაბედითებული ვნებები თუ უსამანო წრიალი ხან თიხაში გადაგაქვს, ხანაც— ტილოსა და ქაღალდზე, მაგრამ მათი დატყვევება მესამედითაც ვერ ხერხდება გარდახდილთან, არსებულთან შედარებით და სევდიანი ღიმილით ეალერსები შენს დაუდგრომელ ბიჭუკელას — მოდერნისტულ მეობას, შენსას — კოკას, რომელსაც რამდენიმე წელიწადში უცილობლად ესტუმრება ეს მოურჩენელი ცოდვა-მადლი ბუნებისა.

ხოდა, ყველაფერი გინდა იღონო, რათა მისთანებმა მაინც შეძლონ შემმუსვრელი განცდების მართვა, მათი დაურვება — შეუთავსებელთა შეთავსება.

დიახაც, ყველაფერი უნდა მოიმოქმედო ამ თორმეტი წლის ონავრების სულიერი წონასწორობის აღსადგენად. კბილიდან ოფლის გამოდენანიც ვერ თოკავს ხოლმე მოზღვავებულ ემოციათა რემას; ვერც— ბურთის ბაწარაღებით დევნა, ვეღარც — ცეკვა-თამაში, ლახტი, ვერანაირი ფიზიკური დატვირთვა გადაფარავს თორმეტი წლის მალხაზის ღრუბლიან ამოოხვრას, რომელიც სამყაროს წარღვნის ტოლფასია პროპორციათა გათვალისწინებით, ოდეს სანუკვარ მტრედს მოშინაურებული ძერა დაპატრონებია. ხოლო მე ვამბობდი და ვიმეორებ:

ხეი, თქვენ, ბიწიერთა კასტავ, თავად მემრუშენო და მესმურენო, სხვათათვის ურცხვად რომ ჭედავთ სიწმინდის არტახებს, უკაცრიელ ნაპირზე დასტოვეთ პატარა ბიჭი და გოგო, დანარჩენი ყველა წამოდით-მეთქი, ვახტანგ ხარჩილავასებურად, ყველა უკლებლივ, მოკეთე-მოყვარეცა და გარმიანელიც, თავიანთი ცნობისწადილა ამალითურთ, ყველანი წამოდით-მეთქი! ისინი თავად მიხედავენ მშობლიურ სატკივრებს. განაღა ავხორცობის მორევში გადაეშვებიან! ერთმანეთის გამონათება-სიკამკამით დაიმწყურვალებენ დაშაშრულ ბაგეებს და არც რამ მწიკვლის ტალღები წალეკავენ. მიუშვით ნებაზე-მეთქი პატარა ბიჭი და გოგო. აყვავებული ატმის დაღალულმა რტოებმა, დაე, იმთავითვე იგრძნონ მაცოცხლებელი მანათობლის მოახლოება, რათა ნაადრევად გამოტყუებული პეული—ფთილა მრისხანე გრიგალის ამოვარდნამდე დასტკბეს სამყაროს იდუმალი მშვენიერებით. დასტოვეთ მდინარის პირას პატარა ბიჭი და გოგო-მეთქი, ერთმანეთის ნუგეშად, ერთმანეთის ციხე-გოდოლად, ერთმანეთის უღლის შემამსუბუქებლად, ხვალ-ზეგ უბატონო ქედზე რომ დაედგმებათ წუთისოფლისგან, თუმცა ამისთანა შემთხვევაში მათი გულებიდან ნაკლებად აღმოსკდება ოხვრა-ჩივილი საწუთროს უკუღმართობაზე: სასურველთან ყოფნა გააცამტვერებს ყოველგვარ საკვნესელს და სამარემდე ასე ხელიხელჩაჭიდებულნი ივლიან ერთმანეთის სურვილითა და წადილით მთვრალი დაფნისი და ქლოა.

სუფრა შუაღამემდე გასტანს. გატრეტილი, ფეხარეული ნადი უკვე ლოგინს მინებებია. სძინავს ყველას, ძმის გამქირდავ სილოვანს თუ ნაპო ბიძიას ქომაგ თამშუქ მარღანიას; სძინავთ ყრუ-მუნჯ დებს, ცუცას და ლუბაშას. წყალიც კი მითვლემს წამით. მხოლოდ ჩვენ ორს გვღვიძავს დუნიაზე, ძუძუმტეს მამას და ჩემში ნაადრევად ამოზიდულ სულს შემოქმედისას. გინესის წიგნის საკადრისი ნაპო ბიძიას ფილტვები კი კვლავინდებურად მიფინთიხებს ძილქუშს. დარწმუნებული ვარ, ხვალ ვერავინ მოიცლის ხარის კუდზე გადამტვრეული საქმის დასასრულებლად. ნაბახუსევ თავებს ვერ წამოსწევენ. მერე საკუთარი ყანების აღების დრო-ჟამიც დადგება. გადაებმება ქორწილს — ქელეხი და უკვე სისხამზე მივიჩქარი ეთერ დეის სამოსახლოსკენ, მაგრამ იქ ფუჩეჩის ნატამალს ვერსად პოულობს გაფაციცებული მზერა. როგორც ჩანს, შემოუთენებიათ თურმე და მოსავალი სრულფასოვნად დაუბინავებიათ. სიხარულის ცრემლი მეყლაპება. კუდის ქიცინით მომაცილებს კავკასიური ნაგაზი. აღმოსავლეთს ჯიღასავით დაადგება თავზე ყირმიზი მანათობელი.

ბორჯი მეორე

ახლა, რადგანაც თემშარაზე გამოვსულვართ, ბარემ მივყვეთ მას სოფლის ცენტრის მიმართულებით.

გზა მოხრეშილია და სქელი მტვრით დაფარული.

ჩვენი სამოსახლოს პირდაპირ ვახანიები ცხოვრობდნენ მუჭა ფიცრულში. უფროსები ბუნდად შემომრჩენია. მეხსიერება განსაკუთრებით მათ რძალ ნარგიზას და ბაჩუკას შემოინახავს.

ძუძუმტე მობანღვალდება ჩვენთან. მესერს ზემოთ გამტვერილი წყავი ღუის. სკოლის მოსწავლე-

ები ამტვრევენ უსულგულოდ და დედა თუ ილანდება სადმე ხორიზონტზე, გარბიან კისრისტეხით.

— შემოდით, გარეცხეთ და ისე შეჭამეთო, — ყვირის გელენახე და მაინც გარბიან.

ბაჩუკას რვაწლედი კი დაუმთავრებია, მაგრამ ოთხჯერ თუ ხუთგზის ჩარჩენილა კლასიდან კლასში და სტაჟიანობის მხრივ ჯუმბერ გამისონია თუ შეედრება. ძვალმსხვილია. გამიგონია ლევანიას მინდორში ჭაკი ცხენების დევნაში სიქა ეცლებაო. მეღიმება ახლა მეგრელის გაოცებაზე კახეთში:

— შეხედე, თხა ხომ არ ხგონია იმ ოხერსო, — უკვირს ძუკუს მიხოს ზოოფილია ვირთან მიმართებაში.

ასეა ამათი საქმეც.

გზისპირზე ლაკვატიებს, იგივე ტაღანას ვაბზრიალებთ მე და ჩემი ძუძუმტე. ღელეში სათამაშო წისქვილებს ვაციბრუტებთ. ერთი ჯოხი მაღალი ძაბვის ელსადენს მოხვდება და ბაჩუკას ამფსონების ცხვირწინ დავარდება.

დაიხრება ვახანიების ვაჟა მის ასაღებად, მაგრამ ძუძუმტე იწივლებს:

— აცალე, ცოტა ხანს, ტოკი გაუვიდეს თორემ დორჩვარჩვალანსია, — დაგნაცრავსო და ბაჩუკაც ორი ნაბიჯით უკუდგება.

მივყვეთ ახლა გზას ძუძუმტეს შუკიდან.

კუთხეში ყრუ-მუნჯი დები სახლობენ. მათ მოსდევს ძეძვნარით დაბურდული, ვახანიებისგან შეძენილი ჩვენი სათადარიგო სამოსახლო. შემდეგ მამია რატიას თხილნარია, წნული ღობით შემოკავებული. მერე ისევ შუკაა მარო ღურწკაიხეს ბიჭების საცხოვრისებით დაგვირგვინებული.

მამია რატიას ეზო-კარი ტრიფოლიატით შემორაგვულა. ბოკონებზე შეყენებული ოდა უდგას. ყველაფერი ბლაგვია მათსას. ეზოში გაფაშფაშებული ნამყენი თუთა აგვისტოს მიწურულს უცილობლად გაიჩხოტება, ვინაიდან წარბმობზაკუნე ბუბცა ხუფენხეს ორმოც გრამ აბრეშუმის ჭიას არაფერი ყოფნის კანში შესვლის შემდეგ. აქ უამრავი ბლის ხეა და მუხლმორყეული ჩექერი, ყალიონს რომ აფუტებს დღემოსწრება ჩაცვენილი კბილების ჩლოფინით.

რატიების ეზო გადატიტვლებულია, ვინაიდან აქ განუწყვეტლივ იმართება შეჯიბრი ლახტში, კოტობანაში; დროშობაია და მგელობანა ხომ ზედგამოჭრილია გატკიცინებული მიწის ზედაპირისთვის.

მამიას ეზოს გვერდით საარვისო მინდორია, სიღრმეში კი — ტყე, სადაც „დრახობანას“ ვთამაშობთ ხოლმე ნაშუადღევს თუ ბინდისპირზე.

ამ ტყეს მალე გაკაფავს ნოდარ გამსახურდია და დაეფუძნება კიდეც მისიანების გარემოცვაში.

მინდორს არლენ ელიავა ემეზობლება. მათი იზოლდა ჩემი კბილაა, დედასავით ჯეირანი. სოსო — ძუძუმტეს კბილაა, თამაზს ჯერ სათვალავში არ ვაგდებთ.

მერე იწყება დაღვარკნილი მავთულბადით შემოკავებული სკოლის ტერიტორია. ათასჯერ გადაბელილი ჭადრების მწკრივი.

სტადიონი სანაქებო გვაქვს.

ფიზიკურ აღზრდას სამი პიროვნება უდგას სათავეში: ჩამოსიძებული, პირმრგვალი ილიკო ცეკვაშვილი, ღაჟღაჟა, ქალების მუსუსი აჩქარა ზანთარაია და სკოლის მომმარაგებელი — შალიკო გუნჯუა.

ეს უკანასკნელი დაწყებით კლასებს მეურვეობს და რადგანაც ამ ასაკის ბავშვებისთვის დედაქართული ჯერაც ინდის ხურმაა, მათთვის გასაგები ენით ამეცადინებს.

— მამია რატიას ოჭკადრეს—კენ!

მიბრუნდებიან ბავშვები.

— არლენ ელიავას უბორნიას—კენ!

კვლავ შეციბრუტდებიან. გზა სკოლის ტერიტორიასთან სამად იყოფა.

ქუჩის კუთხესთან, ბეტონის ფილები, ფიჩორელებს მერხის მაგივრობას უწევს ავტობუსის გამოჩენამდე. გაგიდელები ფეხით მიტუსტუსებენ.

ნაძვის ხეების კორომი მეგონა ბჟინავას სამოსახლოს ესაზღვრება. გაჭირვების ტალკვესია სწორედ. ქორწილსა და ქელეხში ათი მამაკაცი ვერ შეცვლის. მაჯამსხვილია, ბოხხმიანი. მისი ერთ-ერთი ქალიშვილი თინა ჩემს პარალელურ კლასში სწავლობს, მათემატიკის ტრფიალია.

მეგონა ბჟინავას აივნის ტახტაზე უყვარს ძილი საღამოობით. შუადღისით იმდენად არა, მაგრამ მიმწუხრიდან რომ მისთვლემს და ხვრინვას ამოუშვებს, უმწიფარი ხილიც კი პანტაპუნტით ცვივა გარშემო.

ბჟინავების მოპირდაპირედ ყალიჩავების სამფლობელოა. ნაპო ბიძიასავით ისტორიის მასწავლე-

ბელია ჯოტო ყალიჩავა, ტანდაბალი, ვერცხლისწყალივით მოძრავი და ცალი, შუშის თვალით განმგმირავი ყალთაბანდობის შემთხვევაში.

სამხერხაოს, ალეს წისქვილს, ჩვენთვის კარგად ცნობილი საპარკო ემეზობლება. ცოტა იქით პაპაშვილების არემიდამოა. ოქროსფერთმიანი ხერიკო გარმონის ჯადოქარია, ხოლო უმცროსი ედნერი ჩემი განუყრელი მეგობარი, პელეს მაისურით და ეუსებიოს დაუდგრომლობით.

დასახელებულ სივრცეს უპირისპირდება საკმაოდ ვრცელი ღელე, რომელშიც არეკლილი მთვარე სულუგუნის ყველად მოეჩვენება ბედოვლათ ზანთარაიას და ისკუპებს კიდეც გაქანებულ ყიამეთში.

ღელეს მიმდებარე ტერიტორია სკოლის საკუთრებაა. ანჩაბაძეების წაგრძელებული, აივნიანი ოდა-სახლი დაწყებითი კლასის მოზარდთა საუფლოა. აქ მოსვლას ვერვინ დაასწრებს ჟორა რურუას და რუსულის ზემოთგაცნობილ მასწავლებელს, ტრიფონ ალფენიძეს — „სი ძუიკის", („შე ჟულიკო").

მოვუბრუნდეთ ფიჩორის გადასახვევთან შექუჩებულ მგზავრებს და ნაძვის ხეების კორომს. მისი მოსაზღვე მამია რატიას სამჭედლოა, ცალკე მავთულხლართით შემოკავებული. ეზო მოფენილია რკინის ნაჭრებით. გახუნებული ნალები ცხვირჩამოშვებულნი მისცემიან ჟანგის მარწუხებს. დღე არ გავა სამჭედლოს ეზოში მშობიარე ქალივით ფეხებაჩაჩხული გათოკილი კამეჩები თუ ცხენები არ ქშინავდნენ ნალების ამოკვრის პროცესში. მამიას თანაშემწე ნოდარ ჭედია მეცხენე რაბოს ძმაა.

სიგარეტის მოსაკიდებლად მამია რატიასთან შეივლის დიდ-პატარა ნაპო ბიძიას გამოკლებით, რადგანაც ამ უკანასკნელს ტომრობით მოაქვს ასანთი შინ. სამჭედლოში პირდაპირ ნაღვერდლიდან უკიდებენ პაპიროსს, განსაკუთრებით დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, გითოლენდიები და მესხიები, ზანთარაიები და საჯაიები, ჯოჯუები და ხუფენიები.

აჩქარა ზანთარაია ამათი დაუძინებელი მტერია. ანჩაბაძეების მეორე სახლში სოფლის მთავარი სკოლაა გამართული. კედლები მუხისაა, კარ-ფანჯრები— წაბლისა, დანით აჭრელებული და ათასჯერ გადაღებილ-გადმოღებილი. ნაგებობა დაბალ ძეკვენებზე—სვეტებზეა შეყენებული, სადაც ხვლიკებივით დაძვრებიან ზარის მოთამაშენი, ან ხელცთუნობის მიმდევარი კვიცები ღრიჭოიანი იატაკის ჭუჭრუტანებთან. აჩქარა ზანთარაია აქაც არ აყენებს „შატალოზე" წასულ ყოჩებს. ვისაც მოიხელთებს სამასწავლებლოსკენ გაიგდებს და მერე იქ ლაზათიანად დაამუშავებენ, მაგრამ სამჭედლოში მათ დასაკავებლად არაფრისდიდებით შემოიხედავს. ეს უკვე სულ სხვა ტერიტორიაა. მთავარია სკოლაში არ მოწიონ, არ იყომარბაზონ და მის ფარგლებს გარეთ — თუნდაც კისერი უტეხიათ.

სამჭედლოს სოფლის საწყობი ეკვრის საკმაოდ დიდრონი ტერიტორიით. აქ ინახავენ ბენზინს და სალიარს. აქ აყენია გაფუჭებული თუ ახალშეკეთებული „ბელარუსები", „დეტეები", „პოლტარატონკები" და „კოლხიდები".

წაგრძელებული ფარდული ინახავს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, სათადარიგო ნაწილებს, თესლსა და ჯანდაბა-დოზანას.

ფარღალალა წავიწროვებულ ნალიაში ზუსტად იმდენი სიმინდი ყრია ყოველ შემოდგომა, რამდენიც ნაპო ბიძიასთან გავარჩიეთ მთვარიანში.

ჭიშკართან ბუჯგი საჯაიას სამორიგეო ჯიხურია ზამთარ-ზაფხულ აბოლებული მილით. ბუჯგი ქოსაა, დამსკდარი ხელები აქვს და მეორე ცოლს ელოლიავება.

ჩამოვიწევით დაბლა და შოთა მარღანიას ქვითკირის კოპწია სახლი შემოგანათებს, სულმუდამ კირით შეთეთრებული. მისი მეუღლე ლიზიკო მკერავია და განუწყვეტელი გრუხუნია ყურთასმენისათვის.

გადმოინაცვლებ ცოტას და თამშუქის სამკვიდრობელი შეგრჩება ხელთ.

შემდგომ სილოვან ხუფენიას მამულია, მწყაზარი თუთურიას სადედოფლო. სხედან კიბეებზე მეზობლის ბავშვები და „ფურტს" ეთამაშებიან. თუთურიას მოგება იოლი არ არის, რადაგანც ოთხი ვალეტით თოთხმეტჯერ ფურტავს. შეეკამათები და ჭინჭრით აგიჭრელებს წვივებს, თანაც მოპაექრეს თავად დაგაკრეფინებს იმ დამსუსხავ მცენარეს. თუკი მოიგუნება მოტვლეპილ მიწაზე დაგაფურთხებინებს და მადიანად მოგალოკვინებს. მაინც ვერ ელევი, მაინც მას ეტმასნები.

ერგასი მეტრის მოშორებით იაშა აშორტიას, ქანქანესას, ბაშმალებია და საადრეო ჩაყურჭებული მსხლის ხეები. აქ გაქანებული ნარდის თამაშია დავი-დავბასეთი. ამჯერად ენვერ შამუგია მოუხელთებია ქანქანესას და ჭის წყლით გაუტიკნია. წყალს იმ შემთხვევაში ეწაფები, როცა „პრიმის" ღერები შემოგაკლდება.

ათიოდე ნაბიჯი და არჩიკო შამუგიას საცხოვრისია, ცხენოსანი კაცის სიმაღლეზე აწეული, აგუ-

რისგან ამოშენებული სვეტებით. დაშლილი მანქანიდან ზანგელა სახეებს გამოხყოფენ შიგადაშიგ ჯუმბერი და ზაური. ჯუმბერი ჯერაც არ გადაბარგებულა გალში, ხოლო ზაური დარჩელელ ბიგვავებს გაუზრდიათ, მაგრამ ტაოტის სიყვარული ძმებისგან მოსდგამს.

ჩვენს გამოჩინებას ყოველთვის მოვასწრებთ, უმჯობესია ელიავების საკრებულოს მივაპყროთ მზერა.

სამთვლიანი ოდა ცემენტის ოთხკუთხა სვეტებზეა შეჯენებული. სევერიან ელიავა გვარიანი ხნის გამოგლოვილია. ალიოშა ზანთარაიას თხრილისკენ გაექცევა სატვირთო მანქანა, ბორტი გადაიხსნება და გადაცვივდება ხალხი. შვიდი თუ რვა ადამიანი დაიღუპება, მათ შორის— სევერიანიც. მისი მეუღლე, კლარა ნარმანხე, სამგზის შეეცდება თავის მოკვლას, სიცოცხლის მოსწრაფებას.

დილაბნელიდან შემიჩნდება მარი ჯალაღონხე, შეჭამე გეჩახილიაო.

გეჩახილია ნადუღში ჩაფშვნილი პურის შეჭამადია. ტოლჩა კამეჩის რძით, მუჭისსისხო ყველით და ორი ნაჭერი ხაჭაპურით გამაძღრიანებულს გეჩახილია რა ჭირად მენდომება? ჩამაცვემენ ახალუხებს და დავიძრებით ოტობაიასკენ.

გზის ნახევარს უმტკივნეულოდ გამოვივლით, მაგრამ თანდათან ცეროდენას სუნთქვა გამიხშირდება, მუხლები მიმტყუნებს.

— რაღაჩ შუშტად ვარ, — ვეუბნები ბებიას.

სუსტად ყოფნა შიმშილის ეკვივალენტურია და მარი ჯალაღონხეც სავალ ჯოხს მოიმარჯვებს დავარსკვლავებული ლეღვების მოსახელთებლად. გადავსანსლავ ერთ-ორს. ნახევარ კილომეტრში ისევ „სუსტად“ ვხდები. ბოლოს:

— ჩქიმ გეჩახილია მოკო,* — ამოვუშვებ ღრიალს.

კვლავ მისწვდება მარი ბებია ფინიკის ხეს, მაყლაპებს გაფცქვნილ ლეღვს და ამგვარი ზიგზაგებით ჩავაღწევთ ოტობაიაში.

ელიავების ჭიშკარი ფარღალალაა. შუა ეზოში გამოუტანიათ ხის საწოლი და ზედ ულვაშიანი სევერიანი ასვენია.

გასაღვიძებლად მივეჩქარი. გადაჯვარედინებულ ხელებზე ვეპოტინები. ზლუქუნებენ ნუგზარი და ზაური. თმაგაშლილ თინას და კლარას მეზობლის ქალები ძლივს აკავებენ.

— მოვედი შენი გუძუბა, — ვეტიტინები და დიდ-პატარა ქვითქვითებს.

ვიხსენებ აივნის ტახტაზე მოკალათებული ქუსლიდან როგორ მაძრობს ჩარჩენილ ეკალს ქინძისთავით.

ელიავების ჯალაბს სადილობისას ვესტუმრები ხოლმე. იტყვის შემატებული კაცი: თუკი მოკვდება, გეჩახილია ვაჭამოთო და მეც მოწყვეტით დავეცემი იატაკზე. მომიტანენ პირთან რძეში ჩაფშვნილი ღომის ფაფას და დავახელ თვალებს. იქიდან მოყოლებული ყოველ შუა პურობაში აივანზე მოვადენ ხოლმე ბრაგვანს და მყისვე გეჩახილიას მომირბენინებენ.

მას აქეთ მრავალი კვირა გაირბენს. ჩაივლის ორმოცი, წლისთავი. გახუნდება სამგლოვიარო ქსოვილი ოდის სვეტებზე, კლარა ნარმანხე კი კვლავინდებურად მოსთქვამს აივნიდან. საათობით გრძელდება ქვრივის გლოვა. მომწვდება დატირების ხმა და გამოვეშურები ბედით დაჩაგრული ბიცოლასკენ. კალთაზე წავეპოტინები, ლოყაზე ვეფერები ხელებით, სავარცხელს ამოვაცლი ხალათის ჯიბიდან და ნაადრევად გადათეთრებულ თმას ვუვარცხნი. ვუყვები ზღაპრებს სამონადირეო ხასიათისას, რომლის მთავარი გმირები მე, ჩემი მომდევნო ძმა თენგიზი, ძუძუმტე და დეიდაშვილი ემელიანეა, იგივე ბესიკი.

ეს უკანასკნელი ლამარას მეორე ვაჟია სამესხიოდან, ჩვენი სამეურვეო მიზეზთა გამო.

კლარა ბიცოლას მკლავები ჩამოსცვენია. თვალებში ცრემლი შეშრობია. ფიქრებში ჩაძირული მიგდებს ყურს. მუნდშტუკით პაპიროს ეწევა. ასეა მარო ღურწკაიხეც.

— სიგარეტი ქალისთვის მწუხარების შემსუბუქების წამალია კაცთაგან განსხვავებითო, — იტყვიან ხშირ-ხშირად თავის გასამართლებლად და ნუ ერწმუნები სიავე თუ გწადია!

დაიწყებს მოთქმა-გოდებას კლარა ნარმანხე და მყისვე ქორივით დავაცხრები თავზე. მორიგ ზღაპარს ვიშიშვლებ ჭინკებით სავსე წარმოსახვიდან. ასე მივათრევთ საწუთროს. ბიცოლა კლარას გლოვის ჟამს ელიავებთან სახელდახელო არაკებით გადმოსვლა იგივეა, რაც თავის დროზე აივნის იატაკზე წაქცეულის პირთან სუფრის კოვზით მიტანილი გეჩახილია.

ეხ, საიდან სად მოვეშურები, დროის საწინააღმდეგოდ, სამყაროს კანონების უარმყოფელი, ვარსკვლავებისა და პლანეტების მოძრაობის ჯინაზე.

მართუდან, მღვრიე მორევიდან, ანკარა სათავებისკენ მივექანები ქვირითისმყრელი ორაგულების მიმსგავსებით. ეთერში გადასულ, ასტრალურს შერწყმულ სახეებს აღვადგენ, ვცდილობ მისხალი არ

დავუკარგო მათ უმზაკვრო გამოხედვას, მაგრამ ნამცეცები მრჩება მთებს დახარბებულს.

წადინებულან ჭეშმარიტი საწყისისკენ, სადაც დღე და ღამე ერთი სარეცლის თანამეცხედრენია, სადაც მოშლილია ზღვარი ცივსა და ცხელს შორის, სადაც სული და სხეული სამყაროს შეუცვლელი საშენი მასალაა.

მიმქრალ ხატებს — სევერიან ელიავას, ხერიკო პაპაშვილს, შალერ აფაქიძეს, სილოვან ხუფენიას, მამაჩემ მიხეილს, ბაბუებს და დიდედებს, კიდევ მრავალთ და მრავალთ, ახალი შეგზნებია— გუშინწინდელი, გუშინდელი — ბესო მესხია და ბოჩია მეფორია, დეიდაშვილ-მამიდაშვილი, თემურ გელენავა და ბექა ქეცბაია, მაჭკუტია ჩემი, ნაბიჯით მოშორებულნი გულის აუზიდან, რამზე ჯაბუა, გოგი ჯალაღონია, ჩემი კბილა მიხო...

„მე თუ რამე დამემართოს, ჩემი ქალიშვილი თამუნა, თამრიკო, აღზარდოს ჩემმა უფროსმა დამ მზისომ. ჩემი ბინა და რაც მე მეკუთვნის, გადაეცეს ჩემს გოგონას, რომელიც ცხოვრობს ქ.ზუგდიდში თავის ძმასთან, თამაზთან. სახლის ტელეფონია 2-37-18. მზისომ სწავლა გააგრძელებინოს თამრიკოს სამედიცინო ინსტიტუტში და როგორც თავის ასულს უპატრონოს, აღზარდოს თავისთან. ვინც წაიკითხოს ეს პატარა წერილი და ჩემი ნება-სურვილი არ შეასრულოს, ღმერთმა დასაჯოს. მე, ბესიკ მესხია. 1997 წლის 8 სექტემბერი“.

ოცდაექვს დეკემბერს შესრულდება ამ ანდერძის ავტორი ჩემი დეიდაშვილის წლისთავი. აფხაზეთის სანგრებში ნათრევ, ათას ტყვიას და ჭურვს გამოღწეულ კაცს მოძმის ხელი შეიწირავს სვანეთში, ლათასთან: იარაღისთვის თავდასხმულ ბანდას ემსხვერპლება, ვინაიდან საჭურვლის საცავის გასაღებს არ დაუთმობს გულფოლადი ოფიცერი მომხდურ შინაურს და ყურის ბიბილოსთან აფეფებული ტყვია კეფას ახდის.

იქნებ ერთგვარ ლირიკულ გადახვევად ჩამომერთვას, მაგრამ ჩვენს საერთო სატკივარს ბესიკ მესხიას დღიური რამდენადმე მოხფენს ნათელს და ხარის კუდზე ნუ გადამიმტვრევ მოთმინების დანას, მკითხველო, ნაპო ბიძიასთან სიმინდის გარჩევისა არ იყოს, ამასღა გევედრები, ამას გეაჯები.

ჩვენი სანათესაო ორ ასეულს აჭარბებს მხოლოდ დედ-მამის ხაზით; განშტოებებს თუ მივუმატებთ — მრავალერგასს და ერთობ ნიშანდობლივია ის სტატისტიკა, რომ ამ ბატალიონი მამაკაციდან მხოლოდ სამად სამი ვაჟკაცი იბრძვის აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად;

სამად სამი სისხლხორციღა დგას ქართველი კაცის ღირსების სადარაჯოზე: ჩემი მომდევნო ძმა თენგიზი, ბიძაშვილი ლერი ფეტელავა და დეიდაშვილი ბესიკ მესხია.

პირველს სანგარში გდება, აფხაზეთიდან სამარცხვინო გამობუნძურება, საკმაოდ შეარყევს, მორალურად უფრორე;

მეორეს წელშიც გატეხავს და სულიერადაც — სამუდამოდ ჩამოაშორებს ომის ქარტეხილს;

მხოლოდ მესამეს შერჩება არაგველის სიმხნევე, თავგანწირვის აურწყავი ჟინი, მაგრამ როგორი საცოდაობაა — ათასი უბედურების დამტრიალებელი მტრის შურის საძიებლად წარმართულ მეომარს ყაჩაღი „მოძმის“ ტყვიამ მოგისწრაფოს სიცოცხლე?!

ხაი, დედასა!

ჩვენი ბავშვობა არაფრით გამოირჩევა ფიჩორელი თუ ოტობაიელი ონავრების ცხოვრებისგან. ბესო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი მომდევნო ძმის, თენგიზის ხელაა, თანაკლასელი, ყირმიზი სახის, მუდამ მორიდებული და თავჩაქინდრული.

ჩვენი ბაბუები დედით — თომა და ამბროსი — გვერდიგვერდ ცხოვრობენ ბორსუს უბანში, ზღვის სიახლოვეს.

თომა უფროსია, თეთრგვრემანი, აშოლტილი ტანის, გადაყოლილი უმცროსი ძმის მრავალრიცხოვან ოჯახს.

— ამროზიქ ვადომღურ,* — დაიფიცებს უფროსი ძმა და წყალს არ დალევს.

— თომაქ ვადომღურ, — იტყვის უმცროსი და თოფით რომ დაადგე თავზე, წარბს ვერ შეახრევინებ.

ამბროსი გელენავა ჯმუხი აგებულებისაა, ჩაკირული. ენას უკიდებს შიგადაშიგ. ველური ძალღონის პატრონი შინაგანი ენერგიითაც გამოირჩევა. ალბათ, ესეც გახლავთ მიზეზი მისი შვილმრავლობისა.

ჭინჭების გაშრობას ვერ აუდიან მათსას. ჩვილს ჩვილი მოსდევს. საგვარეულო აკვანს მოსვენება დახკვარგვია. დღენიადაგ ირწევა ონწე. საამისოდ უფროსი ძმაც აქეზებს. თავად ქალ-ვაჟს კმარობს. აი, ნაბოლარას კი გამუდმებით აგულიანებს მამრული ორგიებისაკენ. საქეიფოდ და სალხენად გა-

ნაწყობს. ოქროს თუმნიანს ჩუქნის ოტობაიაში ძმები ხუფენიების დუქნებისკენ სანადიმოდ წამგზავრებულს. საუკეთესო ცხენზე აამხედრებს. გამორჩეული ჩოხა-ახალუხით დაატარებს.

ამბროსის, თავის ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად გაურბის თვალები ლამაზმანებისკენ, რითაც მოგვიანებით, ჩვენთან, შვილიშვილებში, თავმომწონეობს კიდეც, მაგრამ მაზლის გაუთავებელი ნადიმები, მისი წვრილშვილის კისერზე წამოსკუპება, თანდათან თანგავს მოამაგე რძალს — მარი ჯალაღონხეს და როცა ერთხელ ფეხს აითრევს ქალი ამბროსისიანების დაუსრულებელი კმაყოფა-რჩენისკენ, თავზე წამოადგება გამეხებული ქმარი, რომელიც ყოველთვის „მუთარეთი“* ინტიმურობის ჟამს) ან „ვერჩქილექოთი“* ოფიციალუ- რობის შემთხვევაში) მიმართავს თანამეცხედრეს და მიახლის:

— რა იყო ქალბატონო, ცხვირი რისთვის ჩამოგიშვია? ხომ არ დაგღალა ჩემი ძმისშვილების მოვლა-პატრონობამ? თუკი გადაიქანცე, ახლავე შევაბამ ურემში ხარ-კამეჩებს, დააწყე ზედ შენი მზითევი და მიბრძანდი, საიდანაც მოსულხარო!

ქალი ხვდება, ამაოა მისი გაბრძოლება. კვლავაც უნდა ააქოთქოთოს ასობით კრუხი, რათა წამში მაზლიშვილებმა გაავლონ მუსრი; ძველებურად უნდა ჩამოწველოს ათობით კამეჩ-ძროხა, რომ მერმე მთვარისხელა სულგუნებს ხელად გამოუვიდეთ წირვა. ხოდა, მიედევნება დღეები დღეებს.

ახა, დარახტული მერნით ეზოში გამოსულა მისი კაცის ნებიერი ნაბოლარა. მოსირმული ჩოხა კოჭებამდე დასთრევია, კარაკულის ქუდი ახურავს ოტობაიის დუქნებისკენ სანადიმოდ დამიზნებულს. უფროსი ძმის ქისას უცდის. თომა გელენავაც ჩვეული გულდინჯობით ჩამოდის აგურითწყობილ კიბეებზე, ოქროს თუმნიანს ააბზინებს სახლეულების თვალსაჩინოდ:

— წესიერ კაცებთან დახარჯე, ჯიმა! — ეტყვის და წარუძღვება ჭიშკრისკენ.

ფიჩორში ჩამოსახლებული გელენავები გელდი კუპეცის შთამომავლებს კი ეძახიან თავიანთ თავს, მაგრამ ძირითადი შემოსავალი მაინც ბარაქიანი მიწის წყალობაა და კიდევ — თავდაუზოგავი შრომისა.

თოხნასა და თიბვაში ამბროსის ბადალი არ ხყავს, ჯაფაც ხვავრიელი იცის ამ ენერგიულმა კაცმა, როგორც მოლხენა და ქალებში გავლა-გამოვლა.

ნათლიად თანამოგვარე, ქუთაისის გუბერნატორი ხყავს. ბევრს ეცდება თომა, მაგრამ სწავლისკენ გულს ვერაფრით აუძგერებს, სამივეჯერ გამოიქცევა გიმნაზიიდან. ახლა, როცა დიდი ნათლია მიცვალებულია, მათ ოჯახს დღითი დღე აძაბუნებს სამხედრო ბეგარა.

ჩამოივლიან სახელმწიფო მოხელენი, გაიმართება მდიდრული სუფრა, ხარს ჩამოხკიდებენ, გოჭებს ააჭყიტინებენ, მარილნაჭამ ელარჯს გაწელავენ, ადესას ააქაფქაფებენ, ქისიდან გადმოაჩხრიალებენ ოქროს და ამბროსის გაწვევასაც რამდენიმე წლით გადაავადებენ, მაგრამ მსწრაფლ თავდება პირობადებული ეს ჟამი და მორიგი ნაკადი ახალ გასამრჯელოს ითხოვს, ახალ საზღაურს. წელზე ფეხს იდგამენ, დიახაც.

ქურახანა ბაწარაღებით გუგუნებს. საბუხრე, რკინასავით ჟღალ აგურს აწრთობენ გელენავები.

რამდენჯერ მიხილავს მეც, ბესოსაც, ძუძუმტესაც, ჩვენი ჯანიანი ბიძები, მათი მამების მეთაურობით ტოტებაკარწახებული ფეხებით როგორ ზელავენ წითელ მიწას. ყალიბებით ჩამოამწკრივებენ საგანგებოდ მოფხეკილ ალაგას და მერმე მათ წასაღებად წამოჭრიალებული ურმების წყებას დასასრული არ უჩანს.

შრომით მართლაც გამოირჩევიან ძმები გელენავები. უბატონო გლეხებს უწოდებენ თავიანთ თავს, სვანეთიდან ჩამოვაკებულებს, გელოვანების ნაშიერთ. ბატონის ბეგარა ჯერ კიდევ როდის გადაუგდიათ ქედიდან მათ წინაპრებს.

ყუდნათ შარაშიას კაცი წელიწადში ერთხელ შემოუვლით ნესვივით გატიკნული გოჭისთვის. მიართმევენ ხელად და გაიხარებს ბატონის მადა, მაგრამ ერთხელ შარაშიას ხელქვეითს, ძვაძვალა კიუტს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდება. ლამის დაკანონებული ხარკის წარსატაცებლად მოსულ მოხელეს ორმაგი ღობის იქით დაუცდის მასპინძელი. მარჯვენა ფეხით კოჭლია გვაჩ გელენა. ნადირობის დროს ტახმა დაუნაფლეთა, ბარძაყიდან მუხლისთავამდე ხორცი ამოაგლიჯა და ექიმბაშების წყალობით სული ძლივს შერჩენია. გამხმარი ფეხით დაკელენაობს, მაგრამ ბოჭოკი რა ბედენაა გული თუ ფოლადისა გაქვს?!

ძვაძვალა ტყუილუბრალოდ როდი შეურქმევიათ მოურავისთვის ფიჩორელებს. ზონზროხაა, სუფრა-სუფრა თრევისგან ღიპმოძალებული. სულ დაძუნძულებს შარაშიას საშოვრებისთვის და ძვაძვალაც ამისთვის შეურქმევიათ.

სიკვდილივით ზარავს გვაჩისთან გამოცხადება. იცის კარგ დღეს არ დააყრის, მაგრამ ერთადერ-

თი ეგღა დარჩენილა სოფელში, ვისთვისაც გოჭი არ გამოურთმევია წლეულს და აბა, სხვასთან როგორ მიესვლება?

— გვაჩის ჭირიმა, პატენ ყუდნათს სტუმრები ხყავს, — ამბობს მორიდებით მოურავი.

— გოჭისთვის მოხვიდოდი, — ლმობიერია გვაჩი, — ნება შენი, მაგას დაგზარდები? — უღიმის ოჯახის უფროსი, — მაგრამ ჯერ იქნებ მსხლის არაყი გაგვესინჯა?!

— სად მცალია გვაჩის ჭირიმა?! მეფორიებისგან ქათმები მყავს წასაყვანი, ხასაიებისგან — ინდაური, სიჭინავებთან ყველს და სიმინდის ფქვილს მიხაზირებენ. იქნებ როგორმე გამანთავისუფლო ამ ჭირისგან. არც ვაპირებდი მოსვლას, მაგრამ ხომ იცი, ყუდნათი როგორი ოხერია, მთელს სოფელს ააწიოკებს სტრაჟნიკებით.

— განა მენანება რამე ბატონისათვის, ოღონდ ეგ არის, ოსქში* სამი წყება გოჭი მიმწყდევია. ზოგი მომცროა საწკირედ, ზოგი ბურვაკია ლამის. იქნებ თავად ამოგერჩია? — მოსჭრის გვაჩ გელენა და თავს ხრის ღიმილით.

სხვა რა გზა აქვს ძვაძვალას. მოზომილი ნაბიჯებით მისდევს საღორესკენ წახვანხვალებულ მასპინძელს.

ძელურ სათავსში გოჭების ჭყიტინია. დედა ღორები ლაფში მიწოლილან, გობები ამოუცარიელებიათ და გოჭების დაძგერების მოლოდინში ღუტღუტებენ.

ოჯახის უფროსი ოსქს ურდულს გამოაცლის და ოდნავ გამოღებული კარიდან გოჭებში შეაჭვრიტინებს მოურავს.

— ხედავ, რა ამბავია?! ჯობია თავად ამოირჩიო, ძუნწობა რომ არ დამბრალდეს. ხომ იტყვის ყუდნათი, მჭლე და უდღეური შემოუჩეჩებიაო?!

ცდუნდება შარაშიას კაცი. შეხყოფს თავს ტომრითურთ საღორეში თუ არა, მასპინძელი წიხლს მიაზელს გათვითვინებულ გავაზე.

— დაე, რწყილებმა იჯირითონ შენს იღლიებსა და უკანალში! ჭკვიანად თუ არ მოიქცევი, დედა ღორებსაც შემოვუშვებ და მერე ნახე შენი დღე, ძვლები სანთლით საძებარი რომ გაგიხდება, უბედურო!

— ვაიმე, მაგას ნუ იზამ, — იბღავლებს ძვაძვალა.

— მაშინ იყავი დილამდე გოჭების მეურვედ, არც ეგენი დაგათენებენ უკეთეს დღეს, რძეს მონატრულნი, — ამბობს და მიატოვებს სანეხვეში ისედაც მობურაცილ* მეალაფეს.

ყუდნათ შარაშიას ზორბა ქვაბით ღომი ჩამოუკიდია შუაცეცხლზე. მეორე წყალს უცვლიან თუხთუხისგან გადაქანცულ ღერღილს. მოურავი კი არა და არ ჩანს.

აფრენენ აცვენილ ბიჭებს გელენავებისკენ: ალბათ, რაღაც უხიმანდრა გვაჩმაო. ხოდა, გამოჩნდებიან თუ არა ჭიშკართან ქაფმოდებული ცხენებით შარაშიას კარისკაცები, ამათ უკვე რიხიანად უხვდება გათარანებული გვაჩ გელენა:

— ჩამობრძანდით ყველანი ცხენებიდან! — უბრძანებს შარაშიას ხალხს,— ეგ თქვენი ზორყანია ძვაძვალა ოსქში დამიმწყდევია გოჭების ბალნის დასათვლელად. როგორც ჩანს, სანამ თქვენი ბატონის ღომი მოიხარშებოდეს, მარტოკა ველარაფრით გაართმევს თავს. დამხმარე ძალა დროზე გამოუგზავნია ყუდნათ პატენს.

— მაგას ნუ იზამ, გვაჩი, — ეხვეწებიან დაფეთებული ბიჭები.

— ჭკუა დამიშლის თუ გონება?! მარდად, მარდად! — მისძახის და მილალავს საღორისკენ წამხდრებს.

ამასობაში დედა ღორებს ჯაგარი აშლიათ. საკმარისია ალაგეზე გადმოაბიჯოს ვინმემ, რომ წამში ბღღვირი ადინონ, დაგლიჯონ ლაშებზე ქაფმოდებული ეშვებით.

არის ბღავილი, ძაღლების ყმუილი, გოჭებდასეული ძვაძვალა კიუტის სიცილგარეული ღრიალი, რადგანაც, დამშეულ ღუტუნიებს დედების სანაცვლოდ შემოგზავნილი მოურავი კუთხეში მიუმწყდევიათ და ვის ახსოვს რწყილების კბენა, თურქული კანფეტების ბადალია; წაუყირავებიათ და ხან იღლიაში აძგერებენ დინგს, ხანაც — ბადექონსა და ხვანჯარში; ხოდა, ამ სურათის შემსწრე პატრონი მეტს ველარ გაუძლებს, გამოაცლის კარს ურდულს, გამოთრეულ ძვაძვალას უთავაზებს კვლავაც ბარაქიან პანღურს, თან მეორე ხელით ჩახმახზე შეყენებული კარაბინი არ ეთმობა.

— მობრძანდეს თავად ყუდნათ შარაშია და არც მაგისთვის დავიშურებ რწყილებს დასათვლელად! — ეღიმება სქელ ულვაშში გვაჩ გელენას.

ყუდნათ შარაშია გულდედალი როდია. სწრაფად შეაკაზმვინებს ცხენს, მიეჭრება საქვეყნოდ თავის მომჭრელ ყაზაყს, დააჯირითებს ქაფმოდებულ მერანს ლაბახასთან.

გვაჩის ფიცრულს რომ მოაღწიო, ჯერ ერთი ღობე უნდა გადმოიარო, გამოირბინო ასიოდე მეტრის მინდორი, კვლავ მეორე ღანდა აგესვეტება, დაპობილი შეშისგან აღმართული, სწორედ ისეთი, როგორც ნაპო ბიძიასთან ვიხილეთ. სანამ აქამდე მოფრინდები, ჩუბინი გვაჩ გელენა ცხრა-ჯერ გაგიხვრეტს შუბლს და სიტყვიერი მუქარითა და გინებით ვითომ გულმოჯერებული ყუდნათ შარაშია მიაბრუნებს სინიბს, იმავე ღამეს გუდა-ნაბადს აუკრავს ცოლ-შვილს და მას აქეთ ვერავინ იხილავს.

იმ დღიდან გადავარდება ფიჩორში ბატონის ბეგარა.

აზნიანი თართაყან ანჩბეია კი ჩამოფუძნდება მოგვიანებით მეზობელ სოფელში, ოტობაიაში, მაგრამ ეს პიროვნება სულ სხვა ყაიდისაა, გლეხების მოქომაგე და თაყვანისმცემელი, მათი ჭირ-ვარამის გამზიარებელი.

ასეთი ლექსიც მსმენია გვაჩის მემკვიდრე ყვაბან გელენაზე.

ქორწილშია კაცი მიპატიჟებული, მაგრამ სტუმრების სიმრავლით თავგზააბნეული მასპინძლები ვერ იცლიან თითოეულის მისახედად. ეს წუთია და ეზოში შემოგელვებულ ყვაბანს არავინ დაუ-ჭერს გაფიცხებული რაშის სადავეს, არავინ ეპატიჟება სეფისკენ და აი, ამისთანა დროს მეხივით სჭექს ამაყი ყვაბან გელენა:

მა ვორექ გელენა ყვაბანი,
ფიჩორს გებდორთი დო
თეიშახ გეკლებტყაბარი,
ქვარა მიღუ ყამბარი.
აქ დახუნალ ვამაშიდუდა
მეზობელს უღუდ კამბანია,
აქ დახუნალ ქოფშიებუდკონ,
ჯიბეს მიღუდ მანათიან
კვარკვალია
ძოკო რეკ თო იაშა,
ჯოლორქ გეიწიკვ კამბანიაშა.

მე ვარ გელენაყვაბანი,
ფიჩორში ავდექი და
აქამდე მოვაღწიე,
მუცელი მაქვს ყავარივით
აქ დასაჯდომს თუ ვიშოვი დი,
მეზობელს ხქონდა ქორწილი,
აქ დასაჯდომი რომ მრგებოდა
ჯიბეში მქონდა მანეთი
მრგვალი,
ძოკო ხარ თუ იაშა,
ძაღლმა დაგისვარა ქორწილზე.

მიაძახებს აბაბანებულ მასპინძლებს, სტკიცავს ქურანას მათრახს და გადააფრენს ჭიშკარს. ხო-ლო რაც შეეხება მარულას, დოღს და თარჩიას, გელენავებმა მართლაც განუმეორებელი იციან.

— კუჭუ გელენაში ცხენშორო გეითოფურუა,* — დაასკვნიან საჭირო- ებისას სამურზაყანოში.

საქმე ის გახლავთ, რომ გვაჩის ბადიში კუჭუ თავისი მომცრო ტაიჭით თავდაპირველად სტვენას და ყიჟინას იმსახურებს მაყურებელისგან, სულ ბოლოს მიჩანჩალებს ხოლმე ლევანიას მინდორზე გამართულ დოღში. ხოდა, უკანასკნელი წრე რომ დაიწყება, თავშენახულ რაშს ლაგამს მიანებებს მხედარი, ფაფარში ჩააფრინდება:

— ეხეხეი, ეხეხეი, ციხუა! — ჩასძახის ყურში ბურთივით შეკრულს და ფრთებს შეასხამს აქამდე თითქოსდა მოჩანჩალეს. რამდენიმე წუთში კუჭუ გელენას თეთრონი ცხენების სათავეში მოექცევა და პირველ ჯილდოსაც უცილობლად ის დაეუფლება.

ასეთი და ამგვარი ხასიათისა გახლავან ჩვენი წინაპრები დედის მხრიდან, მაგრამ უმჯობესია ჯერ ცხენთან დაკავშირებული ფათერაკები სრულფასოვნად ამოვწუროთ არსებითი სათქმელის შემო-ცურებამდე.

მოქრთამული სახელმწიფო მოხელეები მერამდენედ გამოარიდებენ ამბროსი გელენავას სამხედ-რო სამსახურს, თუმცა ბოლოს და ბოლოს გულღიად გაუმხელენ:

— არც პურ-მარილი გვინდა შენი, თომა, აღარც — ფული და ძღვენი. უჩივლიათ თქვენს მტრებს უფროსობაში, მეფის ჯარში სამსახურს თავს არიდებს ამროზ გელენაო და დავალებული გვაქვს ხვალ დილით თან წავიყვანოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონგარეშედ გამოცხადდება და იძულებული შევიქნებით ცოლ-შვილი დავუტყვევოთ. ნუ გაგვაკეთებინებთ ამასო.

თავზარი დაეცემა ნაბოლარას მოამაგე თომა გელენავას.

სად უნდა გაგზავნოს ძმა? ცხრაასთოთხმეტს აგორებულმა ომიანობამ, რუსეთის რევოლუციამ და გერმანიის აბობოქრებამ სიცოცხლე მოუსწრაფა ათასებს. თურქი ასკერები ხიშტწამოცმული კარაბინებით მოჩოჩავენ ბათუმის მხრიდან. ომში წასაყვანი ძმის ცოლ-შვილის რჩენა არაფერში ეპიტნავება თომას, მაგრამ სასაკლაოზე რანაირად გაისტუმროს საკუთარი ხელით შვილივით გა-მოზრდილი? ვინ, რომელი დაუბრუნებს მოუსავლეთიდან სისხლ-ხორცს? და, აი, მაშინ მუდარით

ეწვევა მამაჩემის მამას, ბიქტორ ფეტელავას, თომა ბაბუა.

მეწველ ძროხას უფეშქაშებს ავანსად, ოღონდ რამენაირად გადაურჩინოს ძმა მოსალოდნელი ჯოჯოხეთისგან.

თავად ბიქტორი ახალი დაბრუნებულია პირველი სამამულო ომიდან. იგი პროფესიით ფერშალია, როკივით ძელქვა. იმდენი ადამიანის სიცოცხლე უხსნია საველე პირობებში, მისი დასტაქრული გამოცდილება ჭეშმარიტ ქირურგს შეშურდება. ხოდა, მშველელი მის მეტი არავინ ჩანს თომა გელენავას თვალსაწიერზე. სხვა რა ჩარაა, აიკრეფს ალექსევიჩიც აბგას, ბოთლებს; ფაფარგაკრეჭილი და კუდმოკვეცილი ცხენით □ქურდებმა თვალი რომ არ დაადგან ბედაურს) ეახლება გელენავებს. ადუღებულ წყალს მოსთხოვს მანპინძლებს.

ხელად მოურბენინებენ სოფლის დოხტურს.

მდუღარეს ბოთლებში ჩაასხამს ფერშალი ბაბუაჩემი, ლოგინში ჩაწვენილ ამბროსის შემოულაგებს და რამდენიმე წუთში პაციენტის სიცხე ცელსიუსის ორმოცდაორს მიუკაკუნებს.

მოკლედ, ასწავლის რანაირად აუწიონ სიცხე დეზერტირს, თანაც ყველას არიგებს, როცა ისინი □სახელმწიფო მოხელეებს გულისხმობს) ჭიშკარს მოუახლოვდებიან, ბოთლები საიმედოდ გადამალეთ, თორემ ყველაფერს იყნოსავენო:

— ძმასაც დაღუპავთ და ჩემს ცოდვაშიც ჩადგებითო, — ამას ივედრება.

სწორედ იქ ხკიდებს თურმე თვალს სარძლოდ ყირმიზსახიან დედაჩემს ბიქტორ ბაბუა.

მარტივად რომ ვთქვათ, ყველაფერს ისე მოაკოხტავებენ, როგორც სოფლის ფერშალი დაარიგებთ, მაგრამ წვევამდელების სიაშეუვსებელი მოხელენი შემოუსხდებიან გარშემო ამბროსი გელენავას. იქვე გაამართვინებენ პურ-მარილს და დეზერტირის სიცხეც კატასტროფული სიჩქარით იწყებს ვარდნას. საათნახევარში თუ ორ საათში სრულიად „გამოჯანსაღდება", ბუნებრივი ფერი დაუბრუნდება, ოფლი შეაშრება. შეხედავენ სტუმრები, გაუსინჯავენ მაჯას, შუბლს და, — აბა, ახლა არაფერი გიშავს, სტამბოლის კაჟივით ჯანმრთელი ხარო, — ამ სიტყვებით წამოაგდებენ ლოგინიდან.

იცრემლება ჯალაბი. სხავიან ბავშვები. ამაოდ აჩუმებს სახლეულებს თომა გელენავა.

ჩათბუნებულია მისი ნაბოლარა ძმა. ქამარში ჩატანებულია ოქრო-ვერცხლი. ახა, ამხედრდება სადაც არის. ატირებული ცოლი, ვალია ჯახაიხე, ლაგამს უჭერს.

მოთმინებიდან გამოსული სტუმრები: ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ, შემოგვათენდებაო, იბღვირებიან შუკიდან და თომაც არ დააყოვნებს, გაჭრილ წიწაკას წასცხებს არაბიას კუდუსუნთან, რომელიც ცოცხალ ცხენს კი არა ჭიშკრის სარზე წამოცმულ ხორცშემოცლილ თავისქალას ააჭიხვინებს სიმწრისგან.

მერანი აიჯაგრება, აიფაფრება, ყალყზე შედგება, სადავეს წაართმევს მხედრის მეუღლეს. თავად ამბროსიც ამაოდ ირჯება მის დასაოკებლად. გაჩერებისთვის სცხელა რაშს, ვულკანი გადმოაფრქვიეს კუდუსუნთან და?! ბოლოს, ერთიანად რომ გასულმწარდება ტაიჭი, ორივე ტორით ტერფზე დაახტება სასაკლაოსკენ დამიზნებულ პატრონს და აქ მართლაც მთელი ხმით იღმუვლებს ნაბოლარა გელენავა.

ატყდება ქოთქოთი და გნიასი. დიდ-პატარა გარშემო ეხვევა მიწაზე გართხმულ კაცს. ცხენი ტლინკებს ყრის ბუზანკალშეჩენილივით და ისე გადაევლება ჩაგრაგნილ ღობეებს, თითქოს ისინდიაო. მორგვივით ჩაკირული ამბროსი ეზოში ფორთხავს, სიმწრის ცრემლი სცვივა.

მობრუნდებიან სახელმწიფო მოხელენი, უმზერენ ფეხდასისხლულს, რომელსაც ელვისებურად დაუსივდება ტერფი, ლამის მუხლისთავამდე აედევნება ზაფრანისფერი სიმსივნე.

— არ ყოფილა ჩვენი საშველიო,— შემოეტევიან კვლავ ოდაში სტუმრები, მაგრამ გამთენიაც ვერანაირ ნუგეშს არგუნებს მათ ნაკლულ სიას და ჩაიქნევენ ხელს, ბურტყუნით გაეცლებიან გელენავების საცხოვრისს.

მერე და მერე წლები მოუმრავლდება ამბროსის, მაგრამ საწუთროც თანდათან შეიცვლება. ხელმწიფის ძალაუფლებას რკინის დროების რეჟიმი დავიწყების ქარს გაატანს და დარჩება ცოლ-შვილში სიცოცხლეს დახარბებული ძე ღვთისა, თუმცა თავად ცხოვრება როდია ომის გაგანიაზე უკეთესი, ყოველდღიური სარჩო-საბადებლის მოპოვება არაქათს გააცლის მათ ჯალაბს.

კერიასთან საუბრისას მსმენია:

— თომას და ამროზის ძმობა მართლაც საარაკოაო.

აუმღვრევლად ეწევიან წუთისოფლის ჭაპანს.

ასეც გამიგონია: ზღვისპირეთში ყანებს თოხნიან გელენავები — ოცდაათ, ორმოცდაათ ხექტარს. ძმები ხუფენიების შემდეგ მათხელა მიწები არავის გააჩნია დაბალ ზონაში.

ნადიც კუდში დასდევს ნაბოლარა გელენავას, მაგრამ ამოდენა სამუშაოს პურ-მარილიც შესაფერისი სჭირდება და უხშირებს ლოთობას უმცროსი ძმა.

ჩააწვეთებენ ყურში თომას. ეს უკანასკნელი შეკაზმავს ცხენს, თავზე დაადგება ამბროსის დოსტებს. აიწურებიან..

იცის, დავიდარაბის შემდეგ ყანების გამორიდება საფრთხე დაემუქრება, , მაგრამ ზეზეურად ელუპება შვილივით ნაზარდი სისხლ-ხორცი და ფიცხლად მისული პურ-მარილზე წიხლს უკრავს ორნახადი არყის ყლურწვას გადაყოლილებს. ამასაც არ აკმარებს ნაბოლარას. თავდახრილად გაჩერებულ უმცროს ძმას სილას გააწნავს სახალხოდ, მოახტება ქურანას და ბუზივით გაუჩინარდება.

ხმას ვერავინ სცემს ამხანაგს. იციან თომას და ამბროსის უღალატო ძმობის ამბავი. ცრემლი ნიკაპთან ენასკვება საჯაროდ დასჯილს, მაგრამ გაწყრომის ნაცვლად უფროსის საქციელს ამართლებს მოკიდებულის ენით:

— აბა, გაბედეთ რომელიმემ და ხელი დამარტყით! ცამდე მართალია ჩემი ძმა, ცუდად ავყევი თქვენს ფეხის ხმას. თომაქ ვადომღურ, დღეიდან ვინც დალიეო, მეტყვის, ამ თოხით გავუპობ თავსო, — დაიქადნის და რომელი ჭკუათმყოფელი გამოუწევს მერმე თითით ყელს სირჩა არყის გადასახუხად?

ამასობაში შვილები იზრდებიან.

დედაჩემის ხელის სათხოვნელად მოსულ მათ მესაიდუმლე ბიქტორ ფეტელავას ხათრს ვერ გაუტეხენ გელენვები და პროვიზორ სიძეს უყოყმანოდ გააყოლებენ თავიანთ მწყაზარ ასულს.

დიდოჯახი თანდათან ირღვევა. ვერ ეტევა სადღაც სამურზაყანოს მიყრუებულში, ბორსუს თუ ნაჭკადუს ჭანჭყრობიან ადგილებში. ნელინელ თხელდება ჯოგი. ქურახანას აგურის კლიენტი მოაკლდება, ვინაიდან გელენავებს ოდიშსა თუ გალში მრავლად გამოუჩნდებიან მიმდევრები, თანაც ახალი დროის მობრძანებას სხვანაირი სურნელიც მოხყვება. ცემენტი და რკინა-ბეტონი გამოაძევებს მეგრელი კაცის სამკვიდრობლიდან აგურს და კრამიტს.

მიხილავს სადადიანოს ცენტრისკენ ათურმეულით აბარგებული სახლეულობა. საზამთრო-ნესვით დატვირთული ქარავანი წარემგზავრება ზუგდიდს და შინმობრუნებულნი კვლავინდებურად წუწუნებენ გაბრდღვნილი ჩიტის საფასურის გამო.

დღითი დღე ფასი ეკარგება სიმინდს, ლობიოს, ყველსა და ხორცს. მოსახლეობა ხელს გამოიღებს და დოვლათის მობევრება ერთიათად გააიაფებს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმს. არადა, სოფელს ათასი ხარჯი ახლავს: ქორწილ-ქელეხი, ძეობები, დღეობები, ნათლობები, დიდსტუმრობანი, ახალმოსახლეობა, სადაც ნათესავი ვალდებულია მოსაკითხით ეწვიოს თვისტომს.

მრავალრიცხოვანი ჯალაბის მოთხოვნებს უკვე ამბროსი გელენავას ჭარბი ენერგიაც კი ვერ აუდის და უფრორე ესეც განაპირობებს ნაბოლარა გელენავას მშობლიური მიწა-წყლიდან რაიონის ცენტრში გადაბარგებას.

აიყრებიან და აიყრებიან. მიყიდ-მოყიდიან რისი ფულად გადაქცევაც შეიძლება. უფროსი ძმა ხელს მოუმართავს ნაბოლარას კვლავინდებურად. დიდხანს დასტრიალებს მის ცარიელ-ტარიელ სამოსახლოს გალის ავტოსადგურის მიდამოებში. ძველებურად ამუშავებს ძმის კუთვნილ მამულს, ადრინდელივით მარგლავს და ამოროდებს სისხლ-ხორცის მიწის ნაკვეთს. შემოდგომით კი მოაკითხავენ ძმა, რძალი, ძმისშვილები და წარიტანენ სარჩო-საბადებელს.

სწორედ ბაბუა თომასგან მსმენია ზღაპარი ორ ძმაზე, დაოჯახებულსა და მარტოხელაზე, ღამღამობით საკუთარი ნალიებიდან სიმინდი რომ გადააქვთ კალათებით.

მარტოხელა ამბობს:

— მე ისედაც გავიტან წუთისოფელს, ამან რა ქნას, წვრილშვილმა, თორემო.

ხოლო ოჯახმოკიდებული ასე იტყვის გულში:

— ჩვენ რა გვიჭირს, ბევრნი ვართ, კიდევ ვიმუშავებთ, მხარში ამოვუდგებით ერთმანეთს, დაკენტებულია ცოდვაო.

ამ ზღაპარს მოგვიანებით სულხან-საბასთან რომ წავიკითხავ, გამიკვირდება, ვინაიდან ბაბუა თომამ წერა-კითხვა რიგიანად არც იცის. სალიტერატურო ქართულით კი დაილაპარაკებს აქა-იქ, ოღონდ, როცა თურქეთის ომს გაიხსენებს ხოლმე. ნასალდათარი კაცი, იქაური საშინელებების შემყურე, ყველაფერს ღონობდა თურმე უმცროსი ძმის ჯოჯოხეთიდან გამოსახსნელად. ხოდა, იმას ვამბობთ, სამზადის აივანზე შევკრებილვართ თომას და ამბროსის შვილიშვილები.

დღეს ხვამა აქვთ გელენავებს. ასე მისდევენ წელიწადში ერთხელ, აგვისტოს მიწურულს. ხბოს ჩამოხკიდებენ, ცხვარიც დამწყალობნებულია. გამოილოცავენ გელენავები. არის საზეიმო სუფრის სამზადისი. პატარები ეზოში ვჟრიამულობთ. მეთაურები მე და ძუძუმტე გახლავართ. ყირაზე გადადიან მესხიები, ხუფენიები, ჯალაღონიები, თომა ბაბუას მეზობელი სილოვან ხაფავას შვილიშვი-

ლები. გელენავები ხომ ანცობენ და ონავრობენ ისედაც.

ბაბუა თომას გრძელი სკამი გამოუტანია ხვამარდის ვაშლის ძირას. ზედ ვინმე ბოგანო დაუსვამს, ნახევრად შეპრენტილი ახმახი, რომელსაც მაჯებს ქვემოთ ხელები ოტელოს მიუგავს, სახეზე კი ყირმიზი გადახკრავს, როგორც სიმწიფეში შესულ ატამს.

მამაჩემს და ამბროსის ტაბურეტზე გაუშლიათ სუფრა. მამაჩემის დიდი მოსიყვარულეა ამბროსი ბაბუა.

— წიე, წიე, საზგადო კაციაო, — იტყვის.

აქვე არიან სიძეები ნაპო და კუკური ხუფენიები, ამერიკო მესხია. მსხლის არაყს აჭაშნიკებენ, სანამ ძირითადი პურობა დაიწყებოდეს.

მამას თვალი ეკიჟება ხოლმე სამი-ოთხი სირჩის შემდეგ. ქუთუთო აუხამხამდება, ხოლო რვაცხრა სასმისის მერმე „ჭუკო-ჭუკოს“ შემოსძახებს, მაგრამ ამჯერად დოსტების ყურადღება გლახაკის მისამართითაა. ეტყობა იმერეთიდან მოხეტებულა. სიმინდს მათხოვრობს, ლუკმა პურსაც. ამეებზე ბარვაშიც შემოიშველიებენ ხშირად და უხვადაც ასაჩუქრებენ, ხან ნახმარი ტანსაცმლით, ხან კიდევ — ფულითაც. ხოდა, გამოუტანს ბაბუა თომა ღირღით სავსე ქვაბს. სიმინდის ნაქურჩალი მოუმარჯვებია და უპოვარი დათვის ტორებს მისდგომია, აღვანდალებს და აღვანდალებს თბილ, ღერღილიან წყალში დამბალ მტევნებს, თანაც თავისი ჩიქორთულის არსენალს ამ მსტოვარს ახარჯავს უკლებლივ:

— შე ცოდვის შვილო, საპონი გაწყდომილა ქვეყანაზე? ასე როგორ მიირთმევ საჭმელს, კუჭი არ გეწამლებოდა?! აბა, მარდად, მარდად მოუსვამდეო, — უცაცხანებს.

ბოგანო კი სიმწრის ცრემლს აღვარღვარებს, რადგანაც ნაქურჩალი ხეშეშია და გაუხეშებული კანი ასკეც ჭუჭყთან ერთად სცილდება ბედოვლათს.

— არ კმარა? — კითხულობს აცრემლებული თვალებით.

— უყურე შენ, დაბანვა ეზარებოდეს! მარდად მისცხებდე კაცო, გეყურებოდა?

აჩიქორთულებს ბაბუა თომა.

ეს წუთია და თანამეცხედრესაც გასძახებს სამზადში:

— სუფთა წყალი მომიტანე, მუთარე!

ბებია მარიც მოფრატუნობს, რკინისფერი სახითა და მიმინოსებრი გამოხედვით.ლისა გელენახეც აქ არის მაქსიმე ჯალაღონიას ასულების გარემოცვაში.

ნაპო ბიძიასა და ეთერ დეის საოჯახო ნასკვი ამბროსი ბაბუას გაკვანძულია. ოტობაიას დუქნებში თვეში ორგზის თუ სამჯერ ნადიმობისას დაუახლოვდება თედო ხუფენიას. მერე ძმისშვილის მათ სიახლოვეს ჩამოფუძნება თავისას გაიტანს და ომიდან მობრუნებულ ნაპოს მეზღვაურის გიმნასტურის ხეირიანი გამოცვლა რომ არ დასცალდება, ისე დაამოყვრებენ ჯალაღონიებთან.

ზღვაოსნობის ბოლო აკორდებია. თვეზე მეტია აქ ნებივრობენ თომა ბაბუას ცოლოურები. ეთერ დეი და დედაჩემი ეს-ესაა შემოერთებიათ ლამარას ბაღაჭუჭებთან და სხვებთან ერთად.

ზემოთ ლისა გელენახე ვახსენეთ, პოეზიის მოტრფიალე ხმელ-ხმელი მანდილოსანი. გათხოვებისას ძაძამიძეების ნაოსტატარი ოქროს ძეწკვგამობმულ გულქანს უსახსოვრებს ნათლულს ბაბუა თომა. ამის გამო უშატია ჩხეტია გალექსავს კიდეც ლისა გელენახეს, ამ მართლაც და კალმით ნახატ ქალიშვილს, ყირმიზი სახის გელენავების შთამომავალს:

ბრელიშ ვორექ მაძირაფუ,
მითინ ვოუჯგ ლისასუნი,
თოლცუ ქეკიტყურუანსუ,
შარას სოდგა მიშასუნი,
ფარშავანგიშ ფსუა რე,
ღორონთიში სქუა რე.

ბეგრი რამის მნახველი ვარ,
ვერვინ სჯობნის ლისასაო,
თვალს მოგტაცებს სილამაზით,
გზად სითკენაც მიდიოდეს,
ფარშავანგის ფრთა არის,
ზეციერის შვილია.

და იქვე მეგრელი მოშაირე ქალწული ოხვრით მიადევნებს:

მაფაცალო ხენია,
მარა კუბაკ რენია.

მაფასავით ზის, მაგრამ
წუწურაქი არისო.

ასეთნაირად იმიტომ იენამწარებს, რომ თომა ბაბუას ნაჩუქარ, იშვიათი ნიჭიერებით შესრულებულ ყელსაბამს, სამფად ყელზე შემოხვეული სარტყელამდე რომ სცემს, ნახევარი რას ხქვია,

მესამედსაც არ დაუთმობს. მთლად ჩუქებისთვისაც ვერ გაიმეტებს და წაიკაპასებს მეგრელი პოეტესაც.

ქალბატონ ლისას თაობაზე მეტჯერ სიტყვა არ მოგვიბრუნდება და ვინაიდან იგი ფრიად კოლორიტული პიროვნებაა, ბარემ აქვე დავაკონკრეტებ, რომ გასაბჭოების შემდეგ ჩვენთვის კარგად ცნობილი ძვაძვალას ნაშიერი გელენავების გასამწარებლად მათრახს გადაუჭერს შუა სოფელში სიამიყით განთქმულ დედაკაცს. ქმარ-შვილის უბედურებით გულდამწვარი ლისა გელენახეს ორმაგად დათუთქავს საზოგადო შეურაცხყოფა. მთელი კვირა ჩაიკეტება შინ, მთელი კვირა იშიმშილებს ისედაც სპარტანული კომპლექციისა, არიქა, რაიმე სასირცხვო არ დამემართოს ოჯინჯალეზე ჩამოკონწიალებულსო.

გელენავები კი ძვაძალას შთამომავალზე სხვანაირად იძიებენ შურს. არ შეინანებენ ოქრო-ვერცხლს და მოსყიდულ ყაჩაღს აღასრულებინებენ.

ხოდა, ეს წუთია, ამოაშიშვლებს ღერღილიანი ქვაბიდან ხელებს კუჭუხიძე, თან თავისთვის ლუღლუღებს ცრემლის ღვარულში:

— რა თეთრი ხელები მქონია, რა თეთრი?!

კი, შეიკრიბება ხვამარდის ვაშლის ძირას გელენავების სანათესაო, სიძეები, რძლები, შვილიშვილები, ცოლისიანები, მაგრამ ადრინდელი ერთიანობის აღდგენა უკვე აღარაფერს ძალუძს.

თომას უფროსი ქალიშვილი, დედაჩემი კლარა, ოტობაიაში სახლობს და მრავალრიცხოვანი ჯალაბის მოვლა-პატრონობაში უთენდება და უღამდება.

ოტობაიაშივე დაიბუდებს ბესო მესხიას ყირმიზი დედა ლამარა, სამესხიოში, ისიც მემკვიდრეებით დახუნძლულა.

ეთერა დეიდაზე მოგვიხსენებია.

კაფანდარა მიმოზა ზუგდიდში ქალაქელობს.

აჩიგვარაში დაფუძნებულა ათასგზის ფუძენაცვალი ისკალონი.

ომიანე ოჩამჩირეში ებრძვის თავის წუთისოფელს.

რემიკო მამა ამბროსის სიახლოვეს ბუბუნებს გალშივე.

გიგლას ზანთარაიები ზრდიან თავიანთი ჯილაგის გამგრძელებლად და საპარკოს წინარე ღელეში სავსე მთვარის ანარეკლის სულუგუნივით შესატკბობად.

ზაირა მომთაბარეობს სოხუმსა და გალს შორის.

მხოლოდ ალექსანდრე რჩება მოამაგე ბიძის სიახლოვეს, მხოლოდ ალუ გელენა, რადგანაც თავად თომას ერთადერთი ვაჟიშვილიც ოტობაიაში გადმობარგდება, გაცივილიზებას ამჯობინებს.

ეხ, ვერცხლისწყალივით როგორ განიბნევა ერთ დროს მუშტივით შეკრული გელენავების საუფლო. განიბნევა და მაინცდამაინც — სამურზაყანოს არეალში, აფხაზეთის რადიუსით.

დავუკვირდები და გაოცებული ვრჩები: აფხაზეთიდან ოტების შემდეგ ჩვენი სანათესაოს ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი აფხაზეთშივე მკვიდრობს თურმე. ეს ყველაფერი თვალშისაცემი ლტოლვილობის ჟამს შეიქნება, თუმცა ამაზე მოგვიანებით ვიმსჯელებთ უფრო დაწვრილებით.

აფხაზეთს ვერ ელევა ჩვენი ჯიშ-ჯილაგი: ბიქტორ ფეტელავას ნაშიერი, თომა და ამბროსი გელენავების სახლეულობა, ძმები ხუფენიების მოდგმა, დიანოზ მესხიას ფესვი...

მამაჩემი ქვისლი ამერიკოს დიდი გულშემა- ტკივარია. დიახ, ქვისლებად იწოდებიან ამერიკო მესხია, ნაპო ხუფენია, გივი ბაგათელია, ვალერი ჯინჯოლავა, კუკური ხუფენია, ნოე კაკუბავა — ბაბალი თუ მიშა ფეტელავა. სინამდვილეში კი ძმების სადაგი ტრფიალი ასხივოსნებთ.

ბახუსს, დიონისეს მადლს, თითოეული მისდევს სიყრმიდანვე და ჩვენ, უდანაშაულო შვილები, ხშირად ვიმკით ხოლმე აყალმაყალის ნექტარს, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ჩვენი ოჯახები, მართლაც ნამდვილი ერთგულებითა და ერთმანეთისადმი თავდადების მირონ-საკმევლით ეწევიან კაცურკაცობის ჭაპანს.

იმ დროს მოდაშია თხილის, მანდარინ-ლუფის თუ დაფნის ფოთლის რუსეთის შორეულ ბაზრებში გატანა. სარფასგამოდევნებული კაცი ორი- სამი თვე მოწყდება კერას, გულს მოაჭმევინებს ჩრდილოეთის ციალს. ჩამოიტანს ჭინჭებს, ჩასაცმელ-დასახურს, ცოტაოდენ ფულსაც, რათა ადრე ნავალები გაისტუმროს და რამდენიმე თვის სარჩოც დარჩეს. ასე გააქვს საწუთრო მრავალს, მათ შორის ამერიკო მესხიას ოჯახსაც. მამაჩემი კი პიტნის და ტუხტის სურნელს მიჯაჭვულა მის აღმატებულება სპირტთან ერთად. აქ, შინ, ებრძვის ყოველგვარ გასაჭირს: ნათესავებს ხელს უმართავს, საკუთარ დაძმას მეურვეობს, ცოლისიანებს პატრონობს, განსაკუთრებით ლამარა დეიდას ხუთ ქალ-ვაჟს.

არ გამოეპარებოდა მკითხველს, რომ ამბროსისთვის ჩვენ არასდროს გვიწოდებია „თომა ბაბუას ძმა", ყოველთვის ბაბუას ვეძახით, როგორც ღვიძლი შვილიშვილები და არც მისი მემკვიდრეებისათ-

ვის გვიკადრებია ოდესმე „დედაჩემის ბიძაშვილები“, არამედ — დეიდებად და ბიძებად შეგვირაცხავს სათითაოდ, როგორც ამას სულცხონებული თომა მოითხოვდა თითოეულისგან.

ცხონების ღირსი კი უეჭველადაა იგი. თვეში ერთხელ მაინც ხურჯინებს აჰკიდებს უცილობ- ლად საზიდრის ცხენივით დატლანქებულ შავრას. თავად თვინიერ ბედაურზე ამხედრდება და ყველა ნათესავს მოიკითხავს დღე-ღამეში. დიახ, დღე-ღამის სავალზე მკვიდრობენ მისიანები ჯერ-ჯერობით.

შებოლილ სულუგუნებს ჩამოურიგებს სათითაოდ. ყველას ჩუქნის ნამყენი ვაშლის, მსხლის, ატმის ნერგებს. ასწავლის, სად გააშენონ, როგორ მოუარონ. თაფლს უსახსოვრებს, სანთელს მიართმევს უფლის შეწევნის აღსავლენად, ფულს უბოძებს შეძლებისდაგვარად.

რამდენჯერ მინახავს ბაბუა თომა დახერხილი შეშააკიდებული ჯაგლაგით. ერთხელ შუაღამით გვეწვევა. ჯერ შამგონელ დისშვილს, ვარლამ ღურწკაიას მოინახულებს, მოგვიანებით — ახალკახათელ ბორის გოგიჩაიშვილს; მოიკითხავს ორსანტიელ ნათესავებს, განმუხურელ ცოლოურებს — ჯალაღონიებს; გამოუვლის ლამარა დეიდას, გადმოჭრის ხუფენიებისკენ სამხრეთი შუკით, ჩიჩილაკს მიართმევს ძუძუმტეს; ჩვენთან სულ ბოლოს ჩამოხტება.

ამხელა მანძილზე ოჩანით ატარებს ლაქვათივით მჩატე — ხიხილა შეშას. ხოდა, მძინარეს რომ მიხილავს, მოერიდება ჩემი გაღვიძება. მოზრდილ ჩიჩილაკს, საჩემოს, ბუხრის თაროზე შემოდებს. ჯვარზე ხვამარდის თაფლივით ვაშლებია წამოცმული. სირჩა არყით ყველას დაულოცავს ოჯახს, თავს მაინც ქალიშვილისთვის შემოინახავს. თვინიერი ცხენითაც იმიტომ დადის, შამფურიც რომ აძგერო იმ სინიბს, ვერაფრით დააფრთხობ. ხოდა, ჩაქინდრავს დონ კიხოტს მიმსგავსებული მხედარი თავისი განუყრელი ყაბალახით და ისე მიაყენებს ბედაური ხის ჭიშკარს ბორსუში, რომ თმის ღერიც არ შეერხევა.

წაბრძანდება ათასჯერ გათელილი გზით ბაბუა თომა, მე კი წითელ სანდლებსა და აურაცხელ საჩუქარს რომ ვიხილავ, დავიწყებ ტიტინს ჯერ კიდევ ძუძუთა □გეხსომებათ ხუთ წელიწადს ვერ მომწყვეტენ დედის მკერდს): აძუს, ნოშნერი, თესხი ნოშნერი, თოიძირუნო ნოშნერი*-მეთქი.

ეხ, საიდან სად გადამისვრის ხოლმე მართუ, ფიქრის მდინარება.

ბესო მესხიას ცხოვრებისეული შტრიხების გაცოცხლებას ვლამობ, თანაც ამსიგრძე ექსკურსით აფხაზეთიდან ჩვენი გამოძევების უმთავრეს მიზეზებსაც ვჩხრეკ; ვერც სხვებს ჩავუვლი გულგრილად და თვალი რომ შეავლო ჩემს ოცნებას, მაგნიტსა ხგავს, რომელსაც განურჩევლად მიუტაცნია ჭანჭიკი, ქანჩი, ლურსმანი თუ ნალი, მერან-მხედრიანად.

ამდენს ვძმაკაცობდით და ისე წავა ამქვეყნიდან ბესიკ მესხია, ერთხელ არ მიხსენებს შვილი თუ ხყავს საერთოდ. თურმე რაოდენ ჩაკეტილი ყოფილა, რაოდენ გვემული? ასული დაუდის და ამის თაობაზე არავინ უწყის დუნიაზე, არც — ძმებმა, არც — დებმა , არც — დედ-მამამ, აღარც — მეგობრებმა თუ ძმაკაცებმა. შვიდი წელიწადი მძიმე ლოდივით ატარებს ამ ტვირთს, რადგანაც შიშობს, ვაითუ სანათესაომ სწორად ვერ გამიგოს, მართებულად არ ჩამომართვას ამჩატებული ნაბიჯიო.

ეხ, ბესო! მართლაც სრულიად სამურზაყანოს ტრაგედიის მინიატურაში გამოხატულებაა ჩემი დეიდაშვილის ბედისწერა, თუმცა უმჯობესია ყველაფერზე თანამიმდევრულად:

„ცხეე-სიმაგრე იმას კი არ ეკუთვნის, ვინც ააშენა, არამედ იმას — ვინც დაიბყრო...

მიჯობს აფხაზეთში აფხაზებმა ქართველი მიწოდონ, ვიდრე თბილისში თბილისელებმა — მეგრელი... მთელს ჩემს გამწარებულ ცხოვრებაში ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ ვერავითარი მტერი ვერ წამართმევს ჩემს სინდისს... (სტილი შენარჩუნებულია, გ.ო.)

ჩვენ მოვალენი ვართ ხალხს ვაცნობოთ სიმართლე, ვინ ჩაიყვანა ისინი ჭაში ჩასახრჩობად...

არ მქონდა ზრახვა, არც შიში, ლტოლვილი ვყოფილიყავი და სამარცხვინოდ ფეხით გადამევლო კავკასიონის უღელტეხილი, თანაც იქ გზაზე ჩასაფრებულ ყაჩაღებს გავეძარცვე...

საშინელება ის კი არ არის, რომ დაგამცირეს, მოგატყუეს, გიღალატეს, როგორც ბრმა იარაღი გამოგიყენეს, საშინელება ისაა, რომ შენ ამისი დავიწყება არ შეგიძლია...

მარტო მაშინ გაქვს კაცს ცუდად საქმე, როცა სხვისი გასარჩევი გაგიხდება ცხოვრება...

სიმართლისთვის რომ იბრძოლო, ეს ნიშნავს თავი შესწირო ხალხს სამშობლოს საკეთილდღეოდ...

მთავარია ის, რასაც შენ გააკეთებ და არა ის, რასაც სხვა მოინდომებს...

ვერ შეიყვარებ უღმერთო და დაუნდობელ ადამიანს. ასევე შენც ვერ შეგიყვარებს უღმერთო და დაუნდობელი ადამიანი...

აფხაზებს თავგამოდებით ვებრძოდი, რათა ჩემი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კი არ შემენარჩუნებინა, როგორც ამას უგუნურობით აცხადებს ზოგი, არამედ მე ვიბრძოდი სამშობლოსთვის, ვიბრძოდი, რათა ჩემი ხალხი გადამერჩინა და მეხსნა აფხაზური ტირანული სეპარატიზმისგან. ბრძოლის ველზე აფხაზებმა ვერაფერი დამაკლეს, მაგრამ თუნდაც ჩემი ერის ერთი შვილის დაკარგვა, ჩემი თავის დაკარგვის ტოლფასი იყო, და საოცარი უფრო ის არის, რომ ამ დროს დარწმუნებული ვიყავი, მოწინააღმდეგეც დაახლოებით ასე ფიქრობდა...

მე როგორც აფხაზურ-ქართული ომის მონაწილე უფროსმა ოფიცერმა მინდა საქვეყნოდ განვაცხადო, რომ ომი არის რეგრესი და არა — პირიქით. ომი სულიერ და უსულო საგნებს ანადგურებს, მათაც, ჯერ რომ საერთოდ არ შობილან. წვავს და საბოთხეს ჯოჯოხეთად აქცევს, მაგრამ შემზარავი და ყველაზე საშინელი ისაა, რომ ადამიანის მეხსიერებაში, მის შემეცნებაში სამუდამოდ დარჩება ის წარუშლელი კვალი წამებისა, რაც გადაიტანა ქართველმა ხალხმა, რომლის მსგავსი კაცობრიობას არ ახსოვს და რომლის წაშლა თვით ყოვლისშემძლე დროსაც არ შეუძლია...

ქვეყნად არ არსებობს მთა, რომლის მწვერვალი ადამიანს არ დაეპყროს, მაგრამ სავალალოდ თავის დაოკება არ ძალუძს; აგრეთვე არ არსებობს კონფლიქტიც ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის, რომლის მოგვარება არ შეიძლებოდეს მრგვალი მაგიდის გარშემო, თუმცა საოცარი ისაა, რომ ადამიანები მხოლოდ გამანადგურებელი ომის შემდეგ ხვდებიან ამ ჭეშმარიტებას.

ყოველნაირი ძალადობა, მასობრივი დაუმორჩილებლობა, რასაც თავისთავად მოხყვება იარაღის გასროლა და ადამიანების მსხვერპლი (ერთი მხარის დამარცხება და მეორე მხარის გამარჯვება, რომელსაც ზოგჯერ ისტორიულ მოვლენას — რევოლუციასაც უწოდებენ), მძაგს, რადგან ერთნაირად ისპობა სიკეთე და ბოროტება.

ომის პერიოდში, ქ. სოხუმში მე და ჩემი ამხანაგი შავი ზღვის ნაპირას ვდარაჯობდით ავტომატური იარაღით შეიარაღებულები. დაზვერვის პერიოდში ჩემმა ამხანაგმა ზღვისკენ მიმითითა, მე კი იარაღი მოვიმარჯვე. დავინახე ზღვის სანაპიროსთან ახლოს დელფინების ჯგუფი, რომლებიც არხეინად დაცურავდნენ და მაღლა ხაერში ხტომით თამაშობდნენ. მე თავი ჩავქინდრე და მწარედ გამეცინა.

ჩემმა ამხანაგმა მითხრა, სროლის შედეგად ქალაქი იწვის, შენ კი რა გაცინებსო.

მე ვუპასუხე, ისე მივეჩვიე ომის შემდეგ ამ გამწარებულ ცხოვრებას, რომ არც კი წარმომედგინა თუ სადმე ნორმალური ცხოვრება იყო- მეთქი...

ლტოლვილობის პერიოდში ვინ მოიგონა ეს დაწყევლილი სიტყვა, ან საკუთარ სამშობლოში ლტოლვილობა გაგონილა?!) 1997 წლის ჩათვლით ჩემს სამშობლოში, საქართველოში, თუ მის ფარგლებს გარეთ, ჩემი ნათესავებისგან, ახლობლებისგან, ძველი თუ ახალშეძენილი ამხანაგებისგან, ზოგიერთის გამოკლებით, იმდენი დამცირება, დაცინვა, ღალატი, აბუჩად აგდება, ჩემი ცოდნისა და ავტორიტეტის ანგარებით გამოყენება განვიცადე, რომ სანამ კაცობრიობა იარსებებს, ბევრიც რომ ეცადოს, დაკარგულ სულიერებას, ადამიანურ გრძნობასა და თვისებებს მაინც ვერ დამიბრუნებს...“

მილიციის უმაღლეს სკოლაში რომ შეიყვანს ამერიკო ბიძია უფროს ვაჟიშვილ რაულს, დედაჩემი ლამის შეიცხადებს, რადგანაც მუნდირიანი ხალხი ჭირივით ეზარება. არ ვიცი ამისი მიზეზი რაა, ამბროსი ბაბუას ჯარში წასაყვანად მათ ოჯახს წარამარა ნასტუმრები ჩინოსნები თუ სხვა რამ, მაგრამ მესხიები ეგრე ისურვებენ და გასაკვირი არაფერია, რომ შემდგომში ბესოც და ხენრიც მილიციის სამსახურში ჩადგებიან.

მე თბილისში გადამისვრის ბედი და იშვიათად ვაკითხავ მერმე მშობლიურ ყურე-სავანეს, ათასში ერთხელ ვნახულობ დეიდაშვილ-მამიდა- შვილებს. აი, ბესიკი — გამონაკლისი გახლავთ. განგება ისე ინებებს, რომ სულმუდამ შეაჯვარედინებს ხოლმე ჩვენს გზებს, საგულდაგულოდ გათვლილ-გაანგარიშებულივით, და ამიტომაც მიიოლდება საუბარი ამ, მართლაც და უნიკალური ბუნების ადამიანზე.

არასდროს დამავიწყდება მამაჩემის გარდაცვალება და განსაკუთრებით გასვენების დღე.

მამას დამბლა დაცემია. თითქმის თვენახევარია ებრძვის თურმე სიკვდილს, მაგრამ სწავლაში ხელი შეეშლებაო და დედა მხოლოდ უკიდურეს წუთს მიდეპეშებს. მამას საუბარიც არ შეუძლია. ტუჩების მოძრაობით ვუგებ. შემდეგ დედა იმპორტული წამლისთვის გამგზავნის კულაშს, უნდა

თურმე მშობლის აღსასრულს ამარიდოს. განშორებისას მამა ძარღვიან მარცხენა ხელს მომიჭერს, სამი თხოვნა შემისრულეო, გამენდობა. მე თავს ვუქნევ.

— არაყი არ დალიო დასათრობადო, — მეჩურჩულება. ამით თითქოს ხაზს უსვამს საკუთარ შეცდომას, რომ აფთიაქის სპირტმა მოინელა:

რამდენგზის მინახავს ფულისთვის თუ ხემატოგენისთვის მისულს გაფცქვნილ ხახვთან, გლუკოზის აბებთან, ნაჭერ პურთან მოქეიფე დანაყოფებიანი მენზურით ხელში.

თორმეტი საათი ძლივს იქნება. აქ შემოტეულან ხარაზი ჩონჩორ ჯოჯუა, საბჭოს თავმჯდომარე ავქსენტი გითოლენდია, გაურკვეველი პროფესიის შალიკო წარაღბაია გადმოტრიალებული თვალებით, სოფლის დალაქები — მისაკ ჭანია, ვაჟიკო ხვინგია, მამაჩემის ნათლული რაჟიკო მარღანია, სილოვან ხუფენია, სხვებიც.

— ოოო, მიხიჩს გაუმარჯოს, — ორივე ხელს ამიწევს კიბორჩხალასავით გაწითლებული ჩონჩორ ჯოჯუა, — სანამ მამას უნახიხარ, გადახკარიო,— და მომაწვდის ორმოცდაათ გრამამდე შეზავებულ სპირტს.

სილოვანი თვალებს დაუბრიალებს, ხომ არ გასულელდიო და ზურგში მიბიძგებს.

— ჩემზე ნაკლები შვილები არ იყოლიო, — მამის მეორე სურვილია. ბოლოს ფიქრობს, ფიქრობს და ,,სირცხვილი არ მაჭამო, შვილოო", მომავედრებს, და მეც შეძლებისდაგვარად ვუსრულებ დანაბარებს. მართალია, არაყს და კონიაკს გავურბივარ, თუმცა მათ ფუნქციას ხშირად ღვინოს ვასრულებინებ. ოცდათხუთმეტი წლისა დავქორწინდები. ორი ასული და ერთი ძე შეგვეძინება. რაც შეეხება სირცხვილს, ცხოვრებას ვერაფრით ვეთანაწყობი, სახელ გულადს გურით შევიცვლი და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ფარსმან სპარსის შეგონებას მივეყრდნობი, იმის იმედით, რომ საწერ მაგიდასთან მაინც გავუსწორდები ყოველგვარ ამორალურს და სატანურს.

დიდთოვლობაა.

კუტიკარი ღია რომ მხვდება, გული ყელაფერს მიგრძნობს.

მამას ხომ თავად ჩამოვიყვან სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოდან?! იქ ოტობაიელი დასტაქრები, ანტუშა, ანტონ ბაგათელია და ნაპო მესხია დასტრიალებენ თავზე;

სააფთიაქო სამმართველოს ოტობაიელი უფროსი, შოთა ქირთბაია იმპორტულ წამლებს მოაყრის მის სასთუმალს, მაგრამ ეთილის სპირტით დაფერფლილ ღვიძლს ეშველება განა რამე?!

ხოდა, ბღავილით გულმოჯერებულს ჩემიანები თავს რომ მეხვევიან, მხოლოდ ამერიკო მესხია მომაწოდებს სიგარეტს. კარგად მახსოვს, ,,კოლხეთის" კოლოფიდან ერთ ღერს ამოიღებს, ასანთსაც თვითონ გახკრავს და აცახცახებული ხელით შემომაგებებს.

ნაპო ბიძიას ერთადერთი ძმა სილოვანი გვარიანი ხნის გამოგლოვილი ჰყავს და მაინც გახუნებული სატინის შავი ბლუზა აცვია. მარჯვენა მხარზე დამასვენებს მაჯას, მომიჭერს მერე ტკივილამდე და ამასღა მეტყვის:

— გამაგრდი, აწი შენ კაცი ხარ! — ამის გამგონს ნიკაპი ამითრთოლდება.

ასე დასრულდება ყელაფერი. ასე ჩავეწერები მამრების სათვალავში.

მხარზე მიტყაპუნებენ დასანუგეშებლად მეზობლის კაცები, ნათესავები გულში მიკრავენ, დამქვითინებენ ქალები, მაგრამ ამერიკო მესხიას მოწოდებული სიგარეტი და ნაპო ბიძიას მხარზე ხელის დასვენება გაცილებით მეტს მოიმოქმედებს, ვიდრე მთელი საჭირისუფლოს ქომაგობა.

თვით ამერიკო მესხიას ძმასავით შეერაცხა მიხა, როგორც მამაჩემს ეძახის ხოლმე, მრავალთა უღალატო მიხა, მისი ცოლ-შვილის ღვიძლ ძმასავით მეურვე უმისობის ჟამს. ხოდა, ამას იმიტომ ვყვები, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ბესო მთლად დადნება ზლუქუნისგან. მე უკვე ვერ ვიცრემლები. დედაკაცები რაიმე გულის ამაჩუყებელს თუ დაატირებენ მიცვალებულს, მხოლოდ მაშინ ავთრთოლდები. ეგ არის და ეგ. ბესო კი ხელით დასამაგრებელია ეზოდან ცხედრის გასვენებისას.

მერეც მეტყვის დეიდაშვილი:

— სულ აფთიაქის წინ ხიდურის ამოშვერილ ბეტონის მერხზე იჯდა მიშა ბიძია და როცა სკოლაში გაკვეთილები დამიმთავრდებოდა, გამომიხმობდა ტოლ-ამხანაგებისგან, რამდენიმე ცალ გემატოგენს მიფეშქაშებდა, თან პურის საყიდელ ფულსაც ჩამიკუჭავდაო.

მამაჩემის გარდაცვალების პირველ ზაფხულს ბიქტორ ბაბუას ვესტუმრები სოფელში.

ზღვისკენ გავეშურებით ალიონზე. იქ თხმელის ტოტებისგან საჩრდილობელს გავმართავთ. გავშლით ჭილოფს და ვერთობით პოეზიაზე, ხელოვნებაზე, საწუთროზე მუსაიფით.

პაპაჩემი, მითქვამს, ფერშალია, პირველი სამამულო ომის დროს ევროპაშემოვლილი, ძარღვიანი მოხუცი, ვაჟა-ფშაველასეული წვივებით.

შევცურავთ ზღვაში. მხარულით მივიწევით წინ. ვგრძნობ, მცდის. მეშინია მისიც, ჩემიც, მაგრამ

გატყდომა დედლობაა.

მოვიხედავ უკან და ნაპირი სადღაა?!

ვფიქრობ, ვაითუ გულმა უმტყუნოს, მერე და სად მიდიხარ?! მოხუცის მიხმარებას ვინ ჩივის, საკუთარ დაღლილობას ძლივს ვუმკლავდები. სხვა გამოსავალიც არაა. მალიმალ გულზე ვიდებ ხელს. ამჩნევს ამ მოძრაობას ბერმუხა. მიწისფერი გადაურბენს სახეზე.

— ხოიტ, სი ჩიჩიეო,* — მიცაცხანებს, მაგულიანებს, მეჭიდება და ნაპირისკენ მიმაქანებს ძალად მოშვებულს.

ისე აღესრულება ჩემი სულიერი მამა — პაპა ბიქტორი, ბიქტორ ფეტელავა, რომ ამის თაობაზე კრინტს ვერ დამაცდენინებს, ან დამიჯერებს კი?! ასე რომ, მე მის თვალში დავრჩები ცხოვრებისთვის უვარგის შთამომავლად, ვისაც ლელოს ბოლომდე გატანა ნაკლებ ხელეწიფება.

— ღვინოს, სიგარეტს და ქალებს მოერიდე, — ბაბუა ბიქტორის სიტყვებია, მისი კრედოა, მაგრამ ოღროჩოღრო წუთისოფელი გარონიებს განა სულმნათი წინაპრის ფასდაუდებელი ანდერძისამებრ?!

ორმოცდაექვსს მიტანებული ვრწმუნდები: ნათესაური სიყვარული ყოველდღიური ურთიერთობიდან, უღალატო თანადგომიდან მოდის, რომელიც თანდათან უქრება თომასა და ამბროსის, ბიქტორისა და დიანოზის, თედოსა და მაქსიმეს მრავალრიცხოვან ნაშიერს.

ახლა ამბროსი ბაბუა, ,,თომაშ შურმეო'', იტყვის ხოლმე და ამ ორად ორ სიტყვაში იტუმბება ყველაფერი — მეტი შეპასუხება უმაქნისია, ვინაიდან მკვდარი ძმის დაფიცების მერმე ამბროსი გელენავა კლდიდან გადაიჩეხება თუკი ამას საჭიროება მოსთხოვს, მაგრამ შვილები? ნუთუ მათში არ გადანაწილებულა სრულყოფილი ენერგია?!

ვამბობ და ვიმეორებ, თვისტომის გაფანტვა, საკუთარ კერიებში განმარტოება, ერთხელ და სამუდამოდ გააცივებს, გაანელებს გელენავების, ფეტელავების, მესხიების, ბაგათელიების, კაკუბა-- ვების, ხუფენიების თუ სხვათა ღვთით კურთხეულ ერთიანობას; ჩააწკვარამებს და აფხაზეთს — აფსუას ტყვია კი არ დაგვაკარგვინებს, ჩემთავმკვდრებო, გუდამაყრელი გოდერძი ჩოხელისებურად, არამედ — საკუთარ მეობაში უსულგულო ჩანახშირება; საკუთარი პრობლემებით შემოზღუდვა-შემოფარგლვა; ჭინჭებს და კომფორტს გამოდევნება; დავიწყება იმისა, რომ შეიძლება შენს ობოლ დისწულებს თუ ძმისშვილებს ამ ყიამეთ ღამეში შიათ, შეიძლება ლუკმა პური მილიონი უღირდეთ, შენ რომ ერთი პერანგი მოიკლო ათის პატრონმა და მათ უწილადო, არაფერი დაშავდება, ისინი კი ასმაგად გაიხარებდნენ, ასმაგად გაიმართებოდნენ წელში შენგან დავალებულნი, მაგრამ უგულისყურობა, წაყრუება, თვალის დახუჭვა მოყვასის გასაჭირზე ბადებს ახალ საშინელებას, რომელსაც პრიმიტიულად შეიძლება შურისგება ვუწოდოთ: კბილი— კბილის წილ, თვალი— თვალის წილ, მსგავსი გულცივობის წილ— მსგავსი გულგრილობა, და ოდესღაც სიყვარულით გამთბარ სივრცეს ურთიერთ შორის გამყინვარების მერიდიანები დაქსელავენ.

გაოცებული დავრჩები ქრისტიანული სულისკვეთებით აღზრდილი კაცი, ,,ურჯულოთა წიგნად'' წოდებული ,,ყურანის'' წაკითხვით. შეხედეთ, დასტკბით, როგორი სიმკაცრითაა იქ განსაზღვრული დაობლებული ძმისშვილებისა და დისწულების მეურვეობის საქმე?! ან რანაირი ხუმანურობაა ჩაქსოვილი ვალის მიტევების, პატიების თვალსაზრისით.

ჩვენ კი, ქრისტიანებს, ვითომ ჭეშმარიტების ერთადერთ მფლობელებს, მიგვა- ვიწყდა უარაფროთა, ქვრივ-ობოლთა და დავრდომილთა ხელგამართვა; რომ უწინარესი მოვალეობა ნაზარეველის ნაბოძებ ცნებათა შორის, ალტრუიზმია, სხვისთვის ღვაწლი, თავდადება სიტყვით და საქმით; რამეთუ ბიბლია იტყვის: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო; უფალი მაცხოვარი კი დასძენს: მტერიცო და აქ ყოველივე განსაზღვრულია, ვინაიდან სიყვარული მატერიალური თუ მორალური თანადგომის გამორიცხვით — ნონსენსია, თუმცა ეს ყველაფერი — განსასჯელად.

მრავალთა შორის უმთავრეს მიზეზთა მხარდამხარ, ალბათ, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვა და სხვათათვის თავდადების უნარის დაჩლუნგება თუ მობლაგვება, (რომელიც მოჭარბებულად არგუნა უფალმა პაპაჩემ თომა გელენავას, მის თანატოლებს დროსა და სივრცეში: ბიქტორ ფეტელავას, დიანოზ მესხიას, თედო ხუფენიას თუ მრავალს), შეგვმუსრავს ხორც-ძვლიანა და გამობუნძურ- ებულნი თუ ვართ, ძირძველი მიწის მკვიდრნი, ჩვენი წმიდათა წმიდა სამარხებიდან, ყველაფრის თავი და თავი ეგ არის, ადამის ნაშიერო! მერე და მერე უფრო ნათლად დავინახავთ ამ გულგრილობა-სიცივის დამანგრეველ შედეგებს, როცა ჩვენი სანათესაოს ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ცარიელ-ტარიელზე აღმოჩნდება;

საკენის უღელტეხილით წამოხეტებულებს, სვანი ხალხის სახელით, შლემიანი ბანდიტები ნიფხავში დაუწყებენ იარაღის ,,ძებნას'' ჩვენს დედებს, დებს და იქიდანაც ამოაცლიან უკანასკნელ დანაზოგს ოქრო-ვერცხლის თუ ფულის ნიშნის სახით;

როცა საკუთარი უგუნურობის ამარა დარჩებიან, მოხვეჭილი განიავებულა, სათანადო გონება გამსხლტარა თითებს შორის, რამეთუ მათი მიზანი ხომ ძირითადად შეგროვებაა: უკეთესი სავარძელი და ტახტა; უკეთესი ჭაღი და ხალიჩა; უკეთესი მაცივარი და ტელევიზორი; პრესტიჟული სასწავლებლის დიპლომი, ცოდნა კი ნივრის ქერქის საფასურია, ხოლო ოდეს ხელის გაწვდენამდე ორი ნაბიჯი დაშთენილა, რანაირი პრეტენზიულობით დაესევიან თავზე მისიანებს?! როგორ გამოხრავენ ყუათიან ულუფასავით მათ საარსებო ბელელს და გააჩანაგებენ ჭურჭელ-თეთრეულს, თვალსაც არ დაახამხამებენ ისე?! ქორწილებსა და ქელეხებში კი შემოივლიან წელიწადში ერთხელ შეხვეული ფუთით ან სამი გოჭ-ქათმის საღირალი გინაყოთამალ-გინაფორალით და მიუჩინარდებიან, მიიკარგებიან ფრანგული ლექსისა არ იყოს, შარშანწინდელი თოვლივით, ძრომდე დაიყვანენ დამხდურის საკუჭნაოს, ამგვარი განცხადებით:

— ჩვენ ყველაფერი დავკარგეთ, თქვენ კი ხართ თქვენს გემოზეო! — მაგრამ ის კი არ შეუგნიათ, რამ, რამ დააკარგვინათ ყოველივე! განა რაიმე ჯადოქრობამ?! ტყვიამ ან ავტომატმა?! არაფერიც, ჩემთავმკვდრებო! ისევ იმ მამონას, ჭინჭებს გამოდევნებამ!

ბიბლია კი გვასწავლის, ჯორ-აქლემის აკიდება საგანძურის შეძენაზე, დიბა -ფარჩისა და ხალიჩების შოვნაზე ასწილ უმჯობესია მეგობრების მოპოვება, სადაც უსაყვედუროდ გადაითენებ ღამეს, თვეობით, წლობითო... თუმცა ასეთნაირი გონებისანი ჩვენ ვინა გვქმნა საკუთარ კედლებში ჩაკეტილები, წიწილის ძალისხმევაც რომ არ გაგვაჩნია, ნაჭუჭი გამოვანგრიოთ და თვალებში გამოვიხედოთ?!

ზემოთ გაგაცანით ბესო მესხიას დღიურიდან ამონარიდი, სადაც იგი სილასავით გაგვაწნავს სახეზე ჩვენი გულცივობა-გულგრილობის ჯილდოდ სამყაროისეულ განაჩენს და ათასგზისაც რომ დაგვიბრუნონ ზურმუხტი აფხაზეთი, მეეჭვება ვივარგოთ თხლეებმა მის პატრონად, რამეთუ საკუთარი სულის ვერმოდარაჯე კაცი, მამულის ბჭეების მეციხოვნედ ვერ გამოდგება.

მე სიტყვა მიშველის, პოეზიის მათრობელა ბუნება; შემოქმედებითი უნარები გადამატანინებს აურწყავ უყურადღებობას, სიცივეს, გაუცხოვებას, რომლისკენ სნობიზმით შეპყრობილი ქართველი მერვე წელია მეგა-სიჩქარით მიილტვის და რომელსაც კაპიტალისტური ურთიერთობა ხქვია პოლიტეკონომიის ენაზე, ანუ საკუთარ ბაკანში გამოკეტვა, საკუთარ სისხლში ჭყუმპალაობა, იქვე მოსაქმება, სადაც გვისადილია; ხოდა, გაფრთხილებთ, მაგ სენმა მოინელა რაინდული სულის ჯარისკაცი ბესო მესხიაც.

დიახ, ამ ყინულეთის და ნიხილიზმის სინდრომმა და არა — ცხელმა ტყვიამ! მერე და ვისგან? თოფის დანახვაზე კურდღლებივით რომ ცახცახებენ. არადა, თავისუფალ აფხაზეთში კი სწადიათ საუკუნო დამკვიდრება.

არა, შვილოსა! ჯერ თომა გელენავას უნარს გამოუხმეთ თქვენი მობოშებულ-მობლაგვებული სულებიდან; ერთმანეთის გასაჭირს სანთლები დაუნთეთ, ძვირფასნო; ერთმანეთის სატკივრებს მიაყურადეთ, ჩემთავმკვდრებო; გაჭირვებული თვისტომის წილ შვილების კუთვნილი ლუკმა გაიღეთ, და მხოლოდ მერმე, მხოლოდ შემდგომ ეღირსებით მშობლიურ აფხაზეთს! წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერანაირი კანონი აღგიდგენთ უფლებას იმ კურთხეული ცის ქვეშ, ვინაიდან ვისაც არ უყვარს, იმას არც სძულს და ამ ურთიერთ გადაჯაჭვული გრძნობის უქონელს, მეეჭვება სამშობლოს დაცვა ძალუძდეს, მეეჭვება ქვეყნის გადარჩენა შეეძლოს.

ვინც იძახის, ,,მაინ ხაუზ იზ მაინ ქასტლ''-ს*, ბარემ განვმარტოთ რისთვის ვერ გაუძლეს ამ კედლებმა აფხაზ-სეპარატისტთა, გნებავთ — დაქირავებული ბოევიკების გულმოცემულ შემოძახებასა? რისთვის ჩომოიქცევა თქვენი ბრჭყვიალა ნივთები, დიბა-ფარჩა, მოწკარუნე ბროლის ჭურჭლეულობა ამ შეწრიალებასა შინა?! იმიტომ, ჩემთავმკვდრებო, რომ რამდენადაც თქვენ მოგინამქერდათ გულები ერთმანეთის მიმართ, იმდენად ესათუთებიან ერთმანეთს ოდესღაც ჩვენი ძმები — აფხაზები...

დიახ, ჩეხურ უნიტაზებს, ფინურ შპალერს, იტალიურ ხელსაბანებს და მისთანებს დასდევენ, ამ საყოველთაო წარღვნის შემდეგაც, ვინიცობაა აფხაზეთში დაბრუნება დაგვიანდეს, თავიანთი უფალი გავა-თეძოსთვის საპატიო ადგილი ამთავითვე დაიჯავშნონ. ასეთები, მენდეთ, ვეღარასოდეს შევლენ ქანაანში, ვინაიდან მოსეს მრევლი სარგებლიანობისა თუ მამონასმიმდევრობისგან, იგივე საზიზღარი მონური ფსიქოლოგიისგან, დიახაც, ორმოც წელიწადს უდაბნოში ხეტიალით უნდა განიწმენდოს და მხოლოდ მერმე დააბიჯებს ფეხს აღთქმულ ქვეყანას.

იქ მარტოოდენ მამულისთვის გულანთებულნიღა შევლენ, ლერი და თენგიზ ფეტელავები, ძუძუმტე თუ ბესიკ მესხიასნაირები ჩვენი სანათესაოდან, მაგრამ რადგანც ორასეულის ფონზე ოთხი პიროვნება ორი პროცენტია მხოლოდ და ეს მაჩვენებელი ვიდრემდის არ გაათმაგდება, გაოცმაგდება... მოგვიწევს გვარიანხნობით დახლებთან კოლგოტკებისა და ბარაქიანი კურთების8 ფრიალი ეროვნული დროშების სანაცვლოდ.

ეს ყველაფერი ზოგადი შტრიხებისთვის, სინამდვილეში კი საქმე გაცილებით სერიოზულად გამოიყურება, ვიდრე რეალურად ილანდება, იმ აისბერგის მსგავსად, მესამედითღა რომ მოჩანს წყლის ზედაპირიდან, დანარჩენი კი, ორჯერ მეტი მასა, ოკეანის უკიდეგანობით გარინდებულა.

რაღა შორს მივდივართ. აგერ, ჩვენს თვალწინ, ნახევარი წელიწადია ზეზეურად დნება და იღვენთება ამბროსის ერთ-ერთი შვილიშვილი, ისკალონის უფროსი ვაჟი, ვალერი გელენავა. ეს ენერგიული ახალგაზრდა კაცი, ორი შვილის მამა, რაღაც ბიზნესს იძულებით გადაგებულ-დადარაჯებულა. ექვს თვეზე მეტია სიო არსაიდან ფაჩუნობს. ხპირდებიან, დღეს იქნება, ხვალ, ზეგ, მასზეგო, მაგრამ დრო გარბის და პრაქტიკული შედეგი არსაიდან ჩანს.

რა ქნას, რა წყალში ჩავარდეს? შვილებს ტელეფონით ესაუბრება მაკიეევკაში. ტანსაცმელი შემოაცვდა. კვლავ თომას სისხლისანი გაუმართავენ ხოლმე ხელს, მაგრამ თითო-ოროლას გამოსარჩლება რას უშველის აწიოკებულ მის მდგომარეობას? ლობიოთი და დამადლებული პურით სული ვერ უცხონებია ოდესღაც მომლხენს და გალაღებულს.

იყო დრო, როდესაც ვალერი გელენავას ფინანსურ ლელოში ფორტუნა სწყალობდა, ისკალონოვიჩით მიმართავდნენ, საკუთარი მაღაზიები და სასადილოები ხქონდა, მაგრამ აიყრებიან სამურზაყანოდან ლტოლვილი მისიანები და როგორც ბუზი — თაფლს, ისე დაესევიან ბოლომდე ამოსაწუწნად.

ერთ ბიძას ციკანს დაუკლავს და მეორეს გოჭს რომ აკადრებს, ეს უკანასკნელი აუფხუკიანდება, ხოლო მესამეს უკრაინულ ბორშჩს რომ მიართმევს ყუათიანი არაჟანით, მთლად გაწიწმატდება მავანი. არადა, ისე გაიზარდება ეს მთაკაცი, ცხვირსახოცის საფასური ვინმეს იშვიათად ეწყალობოს. იქ, კი მოგეცათ ლხენა, ყველა მოინდომებს მხრებში გაშლას, ფეშენებელურ ბინებს, სარფიან სამსახურს, მანქანას. ყველა მოითხოვს ცოტამატა ფულს ბიზნესის ასაღორძინებლად და რომ დაესევიან და დაესევიან, ბდღვირს ადენენ წელიწად ნახევარში, როგორც ყუდნათ შარაშიას მოურავ ძვაძვალას გვაჩ გელენავას არშინიანი გოჭები. საკუთარი რომ შემოელევა, გულმართალი კაცი აქეთ ივალებს, იქით მანქანას გაყიდის, მერე სავახშო ფულის სესხებაც მოუწევს მეზობელი ყვერისგან და საქმე იქამდე მიუვა, რომ გუდა-ნაბადს აიკრეფს სახლ-კარიდან. ხოდა, ჩარჩენილა ახლა ზუგდიდ-ქალაქში, რაღაც აბსტრაქტულ ბიზნესის გამართლების მომლოდინე, ზუგდიდში, სადაც ღორჯოს ყურებიდან გროშებს ფხეკენ და ყოველი მეორე ოდიშელი საქმიანი კაცია, ცხადია, ლაქარდიანი ენით, სინამდვილეში სამი წელიწადია ლობიოსა და მწნილს იქით მის სტომაქს არ უხეირია.

რომელ ბიზნესზეა საუბარი, როცა ყველაზე წელგამართული ზუგდიდელიც კი მეჩეჩზე გარჩენილ ხომალდს ხგავს და ამაოდ ელის წყლის მოქცევას, ვინიცობაა მეც ამიყოლიოს იმ ნაკადის დინებამაო. ამისთანა სიტუაციაში მართლაც გულუბრყვილო უნდა იყო რაიმე რეალური მიღწევისა გჯეროდეს.

ერთ-ერთ ნათესავს, რომელსაც შედარებით უკეთ მიუდის საქმე და ითავოს — შეუძლია სისხლ-ხორცის გასაჭირიდან ამოყვანა, ვეკითხები:

— რა იქნება ყველამ მოვინდომოთ, ცოტ-ცოტა გავიჭირვოთ და რაიმე ვუშველოთ-მეთქი.

— სად არის თორემ, მილიონიც მქონდეს, კაპიკის მიმცემი არ ვარო, — გამიშლის ხელებს, — სულ ერთია დალევს, მიაპრადალებსო, — და ასე მოუძებნის გამართლებას საკუთარ წუწურაქობას თუ მოყვასის სახვალიო პერსპექტივებს, — უმჯობესი არ იყო ამდენი ხანი რაიმე სარფიანი საქმისათვის მოეკიდა ხელიო?!

— კი, მაგრამ რითი?! თავის დროზე თქვენ რომ მოგახარჯათ ის ფულები ხომ ოთხ კედელს შორისაა გამსხლტარი -მეთქი.

— არ ვიცი, — მოსჭრის და ვითომ სიმწრისგან თავის კანტურით მილეთ ხალხში თვალს მიეფარება. ეხ, როგორ ჩასვენებულა თომა გელენავას, მიშა ფეტელავას თუ ნაპო ხუფენიას ურთიერთგატანის, ქომაგობის მადლი?!

მახმადიანი ასე არ იზამს, უსამართლოდ ურჯულოს რომ ვეძახით ქრისტიანები: ქუდზე კაცს შეკრებს, უკანასკნელ პერანგს გაყიდის და სისხლ-ხორცს გაჭირვებას მოარიდებს, მაგრამ სად არის მსგავსი განცდა?! ის ხომ დიდი ხანია დაუკარგვს მხოლოდ პირადულს, მხოლოდ საკუთარს გამოკიდებული ბრბოს თახსირ ბუნებას?!

არა, ამისთანები ქანაანში ვერ შევლენ, გნებავთ ასჯერ ორმოც წელიწადს ხეტიალობდნენ აღმადაღმა უსულგულობის ყიამეთ უდაბნოში!

ბორჯი მესამე

აქამდე ჩვენს ქუჩას გადავავლეთ თვალი ზერელად, აწი ცოტათი წინ წავიწიოთ:

გზაჯვარედინი ოტობაიას არა აქვს. სოფლის ცენტრისკენ დაადგები თემშარას. სკოლის ეზოს წინხედი მესერითაა შემორაგვული. სასექტემბროდ ცისფრად იღებება იგი.

დიდი მოედნის მშვენება კინოთეატრია. ვერც კი მოვასწრებ თვალის დახამხამებას, ისე აშენდება. დანადგარებს მოიტანენ, დაამონტაჟებენ, საღამოობით ხალხის ტევა არ არის. განსაკუთრებით ინდურ ფილმებზეა ზედახორა. ოთხასზე მეტ კაცს იტევს დარბაზი და ყოველთვის გადაჭედილია. ელექტრომონტიორი, ანუ სეანსის გამშვები ორია— გუსტა ალფენიძე და ვაგი იზორია. შუქი როცა გამოირთვება, ხალხი დიდ ჭირ-ვარამშია.

ტელევიზორი ჯერ იშვიათი ხილია. სამეზობლოში მხოლოდ იაშა აშორტიას, ქანქანესას, აქვს მუშტისსისხო ეკრანიანი. ფეხბურთის რეპორტაჟის ტრანსლაციისას ასამდე კაცი იკრიბება მათსას.

კინოთეატრი კი მართლაც ჩინებული გამოგვადგება. მისი დირექტორი, ახმახი, გრუზათმიანი შაკუ ქირთბაია აქაურობის ბატონ-პატრონია. თვალის ჩინივით უფრთხილდება ახალთახალ ინვენტარს. ბიჭებს აფრთხილებს: სკამები არ დაჩიჩქნონ დანებით, სიგარეტი არ მოწიონ დარბაზში; თუ ვინმე ურჩი მოიხელთა, მიაბრძანებს ქუჩაში.

შაკუს ასულების ლაშქარი ახვევია. მეუღლე ნელი ახუბა სათნოების განსახიერება მანდილოსანია, წარმოშობით აფხაზი, რუსულს გვასწავლის. ჩემი გულის მესაიდუმლე, მისი კოლეგა პლატონ თაკალანძე, პუჭიკო, ნოჩოს ძმისშვილია. ამ უკანასკნელს ვაჟი გალში დაუსახლებია, სახანძროში მუშაობს. მამას იშვიათად აკითხავს და თუ მოინახულა, ,,პრიმას'' მოუტანს, რამდენიმე კოლოფს. ნოჩოს ,,პრიმა'' არაფერში ეპიტნავება. თომა ბაბუასავით თვითონ ამზადებს წეკოს და დღემოსწრება ყალიონს აფუილებს.

ამას წინებზე ეწვევა მემკვიდრე ქესეტად. წევს ნოჩო ტახტას მუთაქაზე თავმიდებული.

ორთვლიანი ფიცრულია მისი ავლა-დიდება. ჭერი ისლით გადაუხურავს. მზის შუქი ატანს აქა-იქ. დიასახლისი სადილს ახაზირებს. მანათობლის სხივები ორლესულებივით მოისწრაფვიან ნოჩოს მიშრეტილი მხედველობისკენ. ბიჭი თავმომწონეობს მეხანძრის პროფესიით. დეტალურად ჰყვება, თუ სად ვისი სახლი, რომელი დაწესებულება გადაარჩინა დანახშირებას, ,,გექვაქვალუას''.

— აგერ, ქოხი გეწვის რა ხანია და სხვის დვარეცებს აქრობ, ოჯახქორო?! — ცხარობს ნოჩო.

მიწატკეპნილ აივანზე გამოდის. ჯორკოზე მოკალათებული მოსუსტებული მზერით მისჩერებია ალაგესთან ჭრელი კრუხის გააფთრებულ ბრძოლას ქორთან. თავგანწირულია დედა. პირდასისხლული მოძალადე უკუგდებულია. გვიანია ,,ეხა, ეხას'' ძახილი. კრუხი დაუხმარებლად დაიცავს შვილებს.

— მომგვარე აქ, — ეუბნება სოვლაყია ვაჟიშვილს.

— კრუხი რომ არ იჭმევა? — გაოცებით პასუხობს ქალაქელი მეხანძრე.

— გააკეთე რასაც გეუბნები! — მბრძანებლობს ნოჩო.

სხვა რა ჩარაა?! კრუხი იფხორება, ინისკარტება. აგერ, მიაჩეჩებს შვილი გაავებულ დედალს.

ნოჩო მომზადებულია დაჯილდოების ცერემონიალისთვის. ზონარზე გამოუბამს ნიკოიას ჯვარი. კისერზე ჩამოხკიდებს ქათამს სახლეულების გასასახტებლად.

— მე რა ღირსი ვარ ამ მენდალის, — მისძახის თავის კანტურით წაფარფატებულ კრუხს, — ცეცხლმოკიდებული ჯარგვალისა და მეხანძრე შვილის პატრონი!

ოხუნჯობის დიდოსტატები გვყვანან კიდევ, მეწისქვილე დოროთე ძაძუა, რომელიც სულ ხიტლერელების თემატიკაზე იჭინთება;

გერო ტაბაღუა, ძუძუსწოვაში რომ ჩაეზიარება გაჯიუტებულ ბავშვს და დაილეწება კიდეც გათარანებული დედაკაცისგან;

არდა დგებია, სიმღერა-სიმღერით რომ დაჩლახუნობს სოფელში და ხმის ამოუღებლადაც ახარხარებს დიდ-პატარას.

ნოჩო მაინც განსაკუთრებულია, თითოეულის ნიშან-თვისების შემკონავი, გამაერთიანებელი გრიშა იზორიას წამატებით.

კინოთეატრის ხელმარჯვნივ, ქსენია ალფენიძეს ბიბლიოთეკაა განთავსებული. ანჩაბაძეების ოდასახლში, ცოტა ზემოთ, ფინურ შენობაში — სასოფლო საბჭო. აღმა გამისონიების შუკაა. ჩემი თანაკლასელი თამაზის დედა, ნათელა საჯაიხე, მამის თანაშემწეა აფთიაქში, ხოლო ვეშაპკაცი ალიოშა —შეუდარებული მონადირე, მეთევზე და მომლხენი. აქვე ცხოვრობენ გითოლენდიები.

გაცდები ამ შუკას და ქუჩის კიდესთან ჩონჩორა ჯოჯუას ჯიხურია. მუდამ თავგადაპარსული ჩონჩორი ოქროსხელება ხარაზია.

არდადეგების დროს სოფელში ჩამოსული ძუძუმტე იმასღა იხილავს დილაბნელზე საქმეს შემდგა-

რს. შეიპატიჟებს ჯიხურში. სკამს მიართმევს. ფეხსაცმელებს აუთვალიერ-ჩაუთვალიერებს. რაიონულ გაზეთ „ლენინელში“ საქებარი წერილი დაბეჭდილა იმ დღეებში თურმე ძუძუმტეზე სათაურით „სასახელო შვილი“. იქიდან შეუტყვია უნივერსიტეტის სტუდენტი რომ არის, ეკონომისტის სპეციალობას ეუფლება. გამოუტანს ყველს, პურს, ორნახად არაყს. ჩამოუსხამს მგელაძის ჭიქაში მესამედზე:

— მაშ, ეკონომისტი უნდა გამოხვიდე, არა?

— დიახ, — მოკრძალებით პასუხობს ძუძუმტე.

— თუ არ მიწყენ, ერთ სამახსოვროს გეტყვი. ახლოს ვიცნობდი ბაბუაშენ თედოს და მის ძმებს: ბეგის, კირილეს და დომეს. ოტობაიას მიწების ნახევარი მათი იყო, ადლისხელა კი ეკმარათ. ფულებს მუთაქაში ტენიდნენ, ცხოვრების სიამტკბილობასაც არ იკლებდნენ სხვათა შორის. მთავარი მინდა გითხრა. ვერავინ დაასწრებდა მათ დუქნების გაღებას. მეც იმ დროისა ვარ, სანამ საყოფაცხოვრებოს ხალხი მოლაყუნდება, მე ცალი შიპლეტი კალაპოტზე მექნება უკვე დაჭიმული. რატომ? ისინი სახელმწიფოსია, მე — კერძო.

— გასაგებიაო, — მიუგებს ძუძუმტე.

ჩონჩორი ქეიფის მაზანდის პირველი ამგორებელია. ნახევარ ლიტრიან არაყს შემოდგამს სუფრაზე. ორ-სამ მუჭა თხილს, ჯანჯუხას. სხვები სხვას წაუმატებენ.

მათი თანამეინახეა კბილებწართმეული მზარეული პართე აბშილავა, ჩლოფინა პირით.

მამაჩემი და სილოვან ხუფენიაც იმ სუფრის დოსტები გახლავან. ილხენენ გვიანობამდე. მამას ადრე მოუსწრებს სიმთვრალე. მარცხენა თვალის მოკიჟვის შემდეგ მარჯვენაც აუხამხამდება, შემოსძახებს „ჭუკო-ჭუკოს“ და მალე მაგიდაზე მითვლემს.

გაიკრიფებიან. ყველაზე წინ, შუასუფრიდან, ჩონჩორ ჯოჯუა აიპარება, ვითომ ფიზიოლოგიური საჭიროებისათვის. წაცქვარუნდება ღიღინ-ღიღინით, იღლიაში გაჩრილი გულგამოღრუტნული პურით. მას მიხყვება ავქსენტი გითოლენდია, შალიკო წარაღბაია, გივი გამისონია, ცალფეხა მისაკ ჭანია ყავარჯნების ჭრაჭუნით და ვაჟიკო მარღანია.

დარჩება მამაჩემი მარტო, მაგიდაზე მიძინებული. ნავაჭრით გამოტენილი აქვს ჯიბე, მაგრამ არავინ აკადრებს ამოცლას. მიმტანებმა თუკი გამოაღვიძეს, დანახარჯს მამას გადაახდევინებენ, არადა, დედას ვინმეს პირით შემოუთვლიან:

— დათვრა შენი ქმარი და იქნება რამენაირად წაიყვანოო.

ამ შემთხვევაში გამცილებელი მე ვარ.

სილოვანის სიკვდილის შემდეგ კისერი ნოდარ გამსახურდიას სამოსახლოსკენ მეღრიცება, არლენ ელიავას მამულისკენ, იქითობისას— მარჯვნივ, აქეთობისას — მარცხნივ.

ოდნავ მოფხიზლებული მამა მხარზე მაწვება, რაღაც გაურკვეველს მელუღლუღება. ბიქტორევიჩს ძილში აბოდებს ხოლმე, თანამეინახეებს მიმართავს, ჰყვება მთისას და ბარისას, ასე რომ, კარგად თუ მიუგდებ ყურს, ქეიფის პერიპეტიები ცხადლივ გადმოგეშლება.

ჩონჩორის ჯიხურს ოდესღაც ხუფენიების დუქნები ემიჯნება, სადაც ამჟამად სასადილო და მაღაზიებია განთავსებული. შემდეგ ხვინგიების შუკაა, ნაძვებითა და ჭადრებით დაბურული საავადმყოფო და ქირთბაიების ორღობე.

პატარა ოტობაიას გადასახვევთან ძველთაძველი სასაფლაოა.

ამ ტერიტორიის გავლისას ღამ-ღამობით კისერი დასახელებული პოზით მომღრეცვია.

სასაფლაოს გასწვრივ თაკალანძეების ქუჩაზე დედაჩემის ძმა ნოდარი დამკვიდრებულა, ნიჩბისხელა ტორებით და გულისხმიერი მსჯელობით გამორჩეული. სულ თამადობა უწევს ბიძაჩემს. მშობლები ვერაფრით გადმოუყვანია ფიჩორიდან და არიან აღმა-დაღმა მიმოსვლაში.

სასაფლაოზე ოდესღაც სამლოცაო ყოფილა, სამრეკლოც. აქ ბაბუაჩემის ბიძა ვასილი დიაკვნობდა თურმე. ქრისტიანული რიტუალების თეორიულ ცოდნას სწორედ მისგან დააპრაქტიკებს ბიქტორ ბაბუა.

ჩემი ჯიშ-ჯილაგი მარტვილიდან, თამაკონიდან იწყება.

ქესქიამ შვა სიკოია, სიკოიამ შვა ბეკოია, ბეკოიამ შვა ნიკოია, ნიკოიამ შვა ვასილი, ალექსი და კოსტა— ცეკვის ჯადოქარი.

ვასილმა შვა ბართლომე, რომლის სახლ-კარში მალე შევიხედავთ, ლენა ლაგვილავებისა, ზინა ქირიებისა, ომშიდაღუპული კლიმენტო და ტერენტი;

ალექსიმ შვა ბიქტორი, კაპტო, დომე, პელაგია ჯღარკავებისა და აგრა უბილავებისა;

ბიქტორმა შვა მამაჩემი მიხეილი, ლუბა ჯაბუებისა, ლენტო მეფორიებისა, იაშა, თამარა შამათავებისა, პაატა და შაქრო.

უმცროსი მაზლები, მულიშვილები სულ ჩვენთან დაფრთიანდებიან, მაგრამ ამაზეც მოგვიანებით.

სასაფლაოს ხელმარჯვნივ ბართლომეს სამოსახლოა. ორსართულიანი ქვითკირის სახლი ქათქათებს ევკალიპტების ხეივნიდან. ბოკოს ასული მანერა ზანთარაიხე ფილოლოგია, დამამთავრებელ კლასებს ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას.

ბაბუის ბიძაშვილი ბართლომე გამორჩეულია საზოგადოებაში. სულ ცინცხალი „ვოლგებით" დაიარება. სოფლის ექიმია. პერანგის გულისჯიბიდან ფონენდოსკოპის მილი ამოჩრია. მეამაყება ტანსრული ნათლია. მთელი სხეული შავი ჯაგრით დაფარვია. ვიდრე მამამისი ვასილი ცოცხალია, ცანცარა წვერს შვილიშვილი ნუგზარი უმოკლებს. მიეჩვია მაკრატელს და ახლა მამას აცილებს ზედმეტ ბალანს მშობლისვე თხოვნით.

— ფეტელავების თავკაცი იქნებაო, — იტყვის ხოლმე ჩემზე.

მათ უშველებელ კარ-მიდამოს უშვილო მაკარ პატარაია ემეზობლება.

გამოცდები ტრიფოლიატას ღობეს და ელეგანტური პატენტი და მადიშა ბაგათელიების სამკვიდრობელში აღმოჩნდები. მდიდრულია მათი ოდა-სახლი, ფართო ეზო, საჩრდილობელი ლაფანი, ანკარა ჭა, რომლისგანაც წყურვილს იკლავს სოფლის ცენტრი; არის ოწინარის გაუთავებელი წოწიალი.

მაღალი და ტანწვრილი პატენტი ნარდის დიდი გულშემატკივარია. გრძელი თითებით მიმზიდველად ურევს კამათლებს, შთამბეჭდავად გადააქვს ქვები. გაუბზარავი ხმის ჭარმაგი კაცის ასული — თამარა ჩიქოვანებისა — მამაჩემის თანაკურსელია. ამიტომაც ბაგათელიებთან მისვლას არაფერი მირჩევიან. წყლისთვის ვედროებით მგზავნის ხოლმე მამა. მივუჩოჩდები ნარდის თამაშით გართულებს. პირველივე გაგორებაზე დუ შაშით ოთხი ქვა მოხყავს მასპინძელს ფანჯის კარიდან.

— რატომ ასე-მეთქი, — ვკითხავ ერთხელ.

— იმიტომ მიხას ბოჭო, რომ მოწინააღმდეგე სწრაფად შებოჭო.

მაინც არ მესმის მჭექარეხმიანი პატენტი ბიძიას თამაშის ლოგიკა.

გადმომძახებენ აფთიაქის ფანჯრიდან და მეც გამოვფხიზლდები, წყლით გავსებულ ვედროებს მოვარბენინებ.

ბაგათელიების საცხოვრისსა და აფთიაქს შორის ნადე დგებუაძის მოციცქნული ოდაა, ცემენტის დაბალ სვეტებზე შედგმული. ოდესღაც უმშვენიერესი ქალიშვილი წლების სიმრავლეს ლოგინად მიუჯაჭვავს. მსმენელად თუ მოგიხელთა, მშვიდობით მოუსვენრობავ! ცხრაჯერ მოგიყვება ერთსა და იმავეს, ოღონდ — ყოველთვის განსხვავებულად, თუ როგორ მოიტაცა ცხრაკლიტულიდან მისმა მბრძანებელმა.

აფთიაქი ქვიტკირისაა.

შესასვლელთან ბოგირია, ბეტონის მოსასვენებელი მერხებითურთ. ასწლოვანი ჭადრებია წინარე და მოჩხრიალე ღელე. მას მოსდევს საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, კოლმეურნეობის კანტორა. პირველი სართული ფოსტას უკავია, გაბელია ცოლ-ქმრის დაწესებულებას. მეორე სართულზე თავმჯდომარისა და მისი გუნდის სავანეა.

ჩამოსულ მესვეურებს არ სწყალობენ ოტობაიელები და არც თავიანთ წინამძღოლს ეთანაწყობიან მაინცდამაინც.

გალიდან გამოგზავნილს უთქმელი საჩუქრით გაუმასპინძლდებიან.

კიკინია ზანთარაია აქაურია, ნოჩო თაკალანძეს იუმორის გმირი, ორი ხუთწლედი საკვირველად მოუტოვებია ზურგს უკან, მესამეს მიახრიგინებს.

განცხადებების დაფაზე მიუწერენ გამკილავ სტრიქონებს:

ტათე ჩქინი კიკინია,
მუუამუშა იტინია?!

ეგე ჩვენი კიკინია,
როდემდინა იქნებაო?!

კიკინია ჩონჩორ ჯოჯუასი არ იყოს, ყვავების დაჩხავლებამდე ასწრებს სოფლის შემოვლას; კანტორაში საანგარიშოს რომ ურაკუნებს, ჩონჩორის ჩაქუჩი პირველით ეხმიანება აზიურების ლანჩებიდან და კიდევ მამია რატიას სამჭედლოდან ებანება გრდემლზე ურის გუგუნი თუ საბერვლის ქშენა.

ნახავს კბენია სტროფებს. მოაძრობს დაფიდან ფურცელს და ზედ ახალს მიაკრავს:

ტათე თქვანი კიკინია,
ირიათთ იტინია!

ეგე თქვენი კიკინია,
ყოველთვინა იქნებაო!

კანტორის ვარდისფერ შენობას მიწატკეპნილი შუკა აედევნება ტრიფოლიატებითა და ძეძვით

დაძეძგილი.

მარცხნივ ხუტა ხუფენიას ფურნეა. აქ მუშაობენ შენაცვლებით იაშა აშორტია, ქანქანესა და ჭუკა ალფენიძე ნუგზარ ბერანძის მხარდამხარ.

მარჯვნივ სკოლის ტერიტორიაა რამდენიმე ასეული მეტრით, საიდანაც მუქმწვანე ზღვასავით მღელვარებენ ასწლოვანი გიგანტი ნაძვები. პანტაპუნტით ცვივიან გირჩები ქარიშხლიან ამინდებში, ხოლო დილდილაობით კოჭებამდე დაფუყულა რუხი, ნემსა წიწვები.

ერთხელ გრიგალი რისხვასავით გადაუღმუვლებს სოფელს. ორ გიგანტ ნაძვს წააყირავებს სკოლის ეზოში. დანარჩენსაც იგივე ბედი რომ არ ეწიოს, დირექტორის, ონერ ზანთარაიას მითითებით, შალიკო გუნჯუა არმატურათი დააბმევინებს ოთხივე მხრიდან.

იმ რკინის ბაგირზე შეყვარებულის თავის მოსაწონებლად მე ვიწყებ სრიალს მავთულისვე სახელურით, როგორც ეს ეგზოტიკურ ფილმებშია ხოლმე გაბუქებული. ვიწვნევ კიდეც მარცხს, შუაწელიდან მოვწყდები აბსტრაქტული სამკუთხედის ხიპოტენუზას და ერთიანად გადავიყვლეფ იდაყვმუხლისთავებს.

უშველებელ ეზოს გამუდმებით ცოცხავენ ჩემი თანაკლასელის, ვალერი ბაგინსკის დეიდა-დედა და სკოლის დარაჯის, კოჭლი თომა სონგულიას მეუღლე თუ ასული. კოჭლობა დიდ ცოდვად არ მიიჩნევა სოფელში. ეს თანდაყოლილი თუ შეძენილი ნაკლი არარაობაა ნამუსიანი ცხოვრების ფონზე.

საერთოდ ფიზიკური ზადი ფსიქიკურთან ერთად მიტევებულია სულგრძელი ოტობაიასგან ერთხელ და სამუდამოდ. აი, მორალურს, ზნეობრივ დაცემულობას კი — ნურას უკაცრავად, ჩურჩულით, ირონიული ღიმილით, მოღრეცილი ტუჩებით, მოწკურული თვალებით გააყოლებენ მზერას და აქ სამუდამო განაჩენია გამოტანილი შენი დაცემულობისთვის. ამიტომაც მორალურად წაბორძიკებული ოჯახი დიდხანს ვერ ძლებს ოტობაიაში. მათი ნამოსახლარები წლობითაა მიგდებული პირუტყვისა და ეკალ-ჯაგის საჯიჯგნად.

კოჭლი მარტოობაში მოსათმენი რომ არის, დუეტში ღიმილისმომგვრელია და სიმრავლეში— სახარხარო. გვყვანან ამგვარი თანაკლასელები: ენაკვიმატი ოთარ ცირდავა და ქობალიას ბიჭი. ერთი მარჯვნივ კელენაობს, მეორე — მარცხნივ. ფიჩორის საზღვრიდან მოდიან, ყოველთვის გვერდიგვერდ, ერთნაირი წყობით.

— საკმარისია მდებარეობა შევიცვალოთ, ერთმანეთს თავებით მივენარ ცხებითო, — ოხუნჯობს ოთარ ცირდავა.

შრომის გაკვეთილზე ტანდემურად ესენი დაარბენინებენ ნიჩაბს, ბიჭაკიას და სილა გზადაგზა ეპნევათ.

გაცდები რეზო ბაგათელიას, ბაგინსკების ფიცრულებს, რამდენიმე ნამოსახლარს და საჯაიების შუკასთან ისევ ნაპო ბიძიას სამკვიდრობლით ჩემი სამოქმედო არეალიც შემოიხაზება.

ოტობაია ერთადერთი სოფელია სამურზაყანოში და, ალბათ, მთელს კოლხეთშიც, სადაც ჩაის ბუჩქი მტკაველ მიწაზე არ ჭაჭანებს. ყოფილა შემოტევა რაიონული ცენტრიდან, მაგრამ ძველი თაობის წარმომადგენლები მყარად დამდგარან: ცხვირბარაქიანი ნოჩო თაკალანძე, ღვაწლმოსილი მასწავლებლები იპოლიტე ქირთბაია, პილა სექანია, რომლის მუშტი მოსწავლური ანონიმური ლექსით „სამი კილოგრამია", რომ ჩაგარტყამს, თვალებს დაგიბნელებს და ალგებრაშიც არაფრისდიდებით გაღირსებს სამიანს; ტრიფონ, ივლონ და ანდრია ალფენიძეები, მუდამ ორბორტიანი კოსტუმით გამოწკეპილნი, კალოშებში ჩადგმული ჩონჩორ ჯოჯუასეული შიპლეტებით; შეიკრიბებიან კოლმეურნეობის კანტორაში და შემოჩეჩებულ ჩაის კულტურას სამისდღემშიოდ გადააშენებენ.

ამ დარგის სიძულვილს ერთი რეალობა ასაზრდოვებს ოტობაიელებში — მონური შრომით ადამიანის ფიზიკური გადაგვარების საშიშროება, მაგრამ მერე და მერე, როგორც დავინახავთ, ვაის გაცლილები მთლად უის შევეყრებით — მებოსტნეობას შეაკვდება სოფლის ძირითადი ენერგია, თუმცა ყველაფერზე — თანამიმდევრულად:

„უხსოვარ დროში, კოლხურ სოფელში ცხოვრობდა თურმე მწყემსი მზეჭაბუკი ოტობაია.

იმ ხანად ჯერ კიდევ არ იცოდნენ რა იყო ქაღალდი. მგოსნები ჩანგზე უკრავდნენ, მღეროდნენ და ის ხმები, ის ხანგები, მერე თაობიდან თაობას გადაეცემოდნენ უკვდავ ლეგენდებად.

მწყემსი მზეჭაბუკის საკრავს ჯადოსნური ძალა ხქონია. მისი ჟღერა გვალვაში წვიმას მოიყვანდა თურმე, გამხმარ ხეს გაანედლებდა, იმედგადაწურულ ავადმყოფს მოაბრუნებდა, ბოროტ ადამიანს სიყვარულს ჩაუსახავდა გულში.

ჩანგს ასეთი მომნუსხავი ძალა იმისთვის გამოხყვა, რომ მასზე ჩვეულებრივი სიმების

ნაცვლად მზის სხივები ყოფილა გაბმული, მაგრამ თითების შეხება ნიავის სუნთქვას თუ აღეშატებოდა, უსიამოდ აჟღრიალდებოდა ხოლმე და მწყემსი ოტობაიაც ჯადოსნურ საკრავზე ზღაპრულ საგალობლებს აღავლენდა, მუსიკაში ატყვევებდა ოქროცურვილ მითებს და ლეგენდებს, აქვე ენგურის ჭალებში მამულის ოქროსმატყლიან ცხვრის ფარას აძოვებდა.

როდესაც ჩანგი ხმიანებდა, მომხდურს თუ ქურდ-ავაზაკს თავიანთი მგლური ბუნება ავიწყდებოდათ და მრავლდებოდა ფარა, ბედნიერად ცხოვრობდა სოფელი, ქვეყანა.

სასწაულმოქმედმა ჩანგმა ისე გაათამამა მწყემსი მზეჭაბუკი, რომ თავი უძლეველი ეგონა.

ერთხელ ოტობაიას კოლხების წარმართული ღვთაება — ჟინი ანთარი შემოხვედრია ტყეში.

— ვინა ხარ? — უკითხავს ოტობაიას.

— სიკვდილზე ძლიერი! — უპასუხია ჟინი ანთარს.

— სიმღერის მომრევი არ დაბადებულა! — უთქვამს მზეჭაბუკს.

დანიძლავებულან.

გამარჯვება იმას დარჩებოდა, ვინც ზღვის ღელვას და ენგურის დინებას გააჩერებდა.

ბრძანა ჟინი ანთარმა და ზღვის ტალღები გაქვავდნენ, მაგრამ ენგური ძველებურად მოგრიალებდა.

ახლა დაუკრა ოტობაიამ ჯადოსნურ ჩანგზე, ჯერ ზღვა დაშოშმინდა, დაცხრა, გაილურსა, მერე ენგურიც გაჩერდა, დადგა სუნთქვაშეგუბებული და ასე, ორივე სტიქია მოთვინიერებული ლომებივით გაწვა მზეჭაბუკის ფეხებთან.

საშინლად განრისხებულა მაშინ დაჯაბნილი ჟინი ანთარი.

„ადამიანის ნაშიერმა როგორ მაჯობაო“, გაუფიქრებია გაცოფებულს. უშიშვლია ელვის მახვილი, დაუქუხებია, დაუჭექია და მას აქეთ, სად გაქრა მზეჭაბუკი ოტობაია, ან მისი ოქროსმატყლიანი ცხვრის ფარა, არავინ უწყის.

გაბოროტებულ ჟინი ანთარს ჯადოსნური ჩანგის გაცამტვერებაც მოუწადინებია, მაგრამ საკრავს რაკი ვეღარაფერი დააკლო — ვერც სიმები დააწყვიტა და ვეღარც ბუდე მოუშალა, აი, მაშინ, უარესად გახელებულს, არიქა, სხვა ვინმემ არ მოიხელთოსო და ენგურის გიჟმაჟ ტალღებში მოუსროლია ზღაპრული ინსტრუმენტი“.

— სწორედ ამიტომ ხგავს ენგურის შესართავი ჩანგსო, — ამტკიცებს თანამემამულე მწერალი ვლადიმერ ალფენიძე, — ის კი არა, ხანდახან, როცა მდინარე ადიდდება და უკვდავი სიმები პერმოდებულ ჩქერალებში გაეხვევა, თითქოს პატრონის სული შეხებოდეს, საამურად აჟღერდება მძლეთამძლე ჩანგიც და ხელად წყალი იწყებს დგომას. საძირკველს გამართავს ჩიტი ჩიორა. მინდორში გუთანი გახროტინდება. ხორცით ივსება ბალანშეცვლილი საქონელი. ადამიანს მომავლის რწმენა და სიხარული გადასძალავსო, — ხყვება უხსოვარი დროის ამბებს ზეფირებში ჩემი წამტყუებელი, მამაჩემის ნებიერი ტარასის ძე, იგივე ლადო ბახტრიონელი თუ ივერ ეგრისელი.

ქვეყნიერება მოვლილი შვილისგან ზურგმოცემული მხცოვანი ხალხი ამასაც არ კმარობს:

— ოტობაიას სახელი ბიბლიური ტობიას წიგნის სამყოფელს უკავშირდებაო, — დაუჟინია.

— ოტობაია ბერძნული წარმოშობისაა და პონტოს ბაიას ანუ ზღვის ყურეს ნიშნავსო, — ამტკიცებს ბევრი.

— გეკადრებათ, ზღვის ყურე რას მიქვია, ოტობაია ბოტოს ბაიაა, ესე იგი ვერძის უბეს, ოქროს საწმისს — კირბების ნავსაყუდელს გულისხმობსო, — იძახიან სხვები, — ცნობისთვის ,,ბაიოს'' პატარას ნიშნავს ბერძნულში, პატარა ვერძს, იგივე კრავს, კირიბსო, — დასძენენ.

— არც ერთი და აღარც — მეორე, ოტობაია იგივე პროტოს ბაიაა, რაც პირველადს, უმთავრესს, ყოველივეს საწყისს, წინარე საბადისს ეტოლებაო, — არ ილევა ვარაუდები.

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თუ ვერწმუნებით: ოტობაია ნაწარმოებია მეგრულ-ჭანური სიტყვიდან — ტობადან, რაც ტბის იდენტურიცაა და ღრმა ადგილისაც.

მოკლედ, როგორიც უნდა იყოს წყაროები ოტობაიას წარმომავლობის თაობაზე, ერთი რამ ცხადია, ყოველ მათგანში რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ამაღლებული, რაღაც უკვდავი აზრია ჩაქსოვილი. სინამდვილეს კი სულ სხვა განზომილებანი ასაზრდოებენ, სულ სხვა კანონზომიერებანი წარმართავენ და ჩვენც, დიახაც, ამ მასშტაბებზე, ამ წინააღმდეგობებზე ვისაუბრებთ გზადაგზა, რომელიც თვალშისაცემად მოგროვებია როგორც პირველ-მეორე ოტობაიის მაცხოვრებელს, ისე— სამურზაყანოს სრულიად საქართველოს რადიუსით.

შემთხვევით კენჭიც რომ კენჭია, ისიც არ ჩამობზრიალდება პიტალო კლდის ბუმბერაზი მკერდიდან. მექანიკის კანონების წყალობით თუ ღვთის განგების მეოხებით წონასწორობა დარღვეული კენჭი როგორც კი კუნტრუშ-კუნტრუშით გაწკრიალდება ლოდებს შორის, ჯერ თანატოლი კენჭების ამალას აიყოლიებს, მერმე — ყვინჩილებს და მამლაყინწებს; მალე მხიარულ ლაშქარს თვით ყველაზე აუმღვრეველი ბაყბაყდევნიც აედევნებიან. ლავიწს იდაყვი მიეზილება. მუხლი შუბლს მიეხლება. განიავდება ხავსის ბიბინა ქულაჯები, დარაიები და საერთო სრბოლაში სადღაც ჩაიკარგება მეთაური ციცქნა კენჭი; ზორბა-ზორბა ნაბიჯებით ჩაუქროლებენ აქამდე გულდინჯი ლოდები, ჩაუქროლებენ ბუხუნით, ხაფხაფით და ზოგჯერ ხდება იმნაირადაც, რომ ოროომტრიალის მედროშე კენჭს ზვავის ძმათა სასაფლაოზე უკანასკნელს უწევს მიბარება.

ნეტავი შენ, ციცქნა კენჭო, პირველი ჩაებმები ხოლმე ხელჩართულ ბრძოლაში და ასპარეზსაც უკანასკნელი ტოვებ უგვირგვინო, დაუტირებელი მოყმე.

არის რაღაც საერთო ზვავის დაცურებას, მდინარის დაბადებას, ფიქრის აზვირთებასა და ნაწარმოების შექმნას შორის.

ახლა, ამდენი წლის შემდეგ, მიძნელდება იმ უნებლიე წინადადების გახსენება, რომელიც რომანტრიადის განხორციელების პროცესში კენჭის მისიას იტვირთავს იმჟამად, მაგრამ ჩემი შემოქმედების ბიძგისმომცემ ფრაზას სიტყვა „ენგური“ რომ ნამდვილად მეთაურობს — უეჭველია. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა, რამეთუ, დასტურ, ენგურია ის პირველი საოცრება, რომელსაც ხაბოსპირიდან ვიხილავ მამის მკლავზე მოკალათებული მზის ჩასვლისას.

ხელის გაწვდენაზე მიგრიალებს ენგური, მიგრიალებს რაღაცნაირად გაჯავრებული, მედიდური. დასაჭედად დახლართული კამეჩივით ქშინავს, დორბლი გადმოსდის ლაშებიდან. ტალღები მზის სხივებზე ქურიდან გადმოღებული ნალებივით ვარვარებენ. არ ვიცი ჩემს ცნობიერებაში ენგური რატომ მიემსგავსება მამია რატიას სამჭედლოში კამეჩების დანალვის სცენას, ოღონდ გრანდიოზულს, ბავშვური გონებისთვის მიუწვდომელს და მიუხედავად შინაგანი თრთოლვისა, მე მაინც გავიწვდენ ხელს მისკენ.

იმ დღიდან ჩემს ცხოვრებას ენგური მჭიდროდ გადაენასკვება.

სადმე დროს თუ ვიხელთებ, მყისვე საბანაო ადგილებისკენ მოვცოცხავთ, გვაძი ანჩაბაძისა და მამაჩემის ნათლული ვაჟიკო მარღანიას საცხოვრისის გავლით. მერმე იქ იმართება შეჯიბრებანი ხაბოდან უმარჯვეს ხტომაშია ეს თუ გადაგდებული თეთრი ქვების მდინარის ფსკერიდან ამოკრეფაში.

მშიშრები ჭადრის ძირას მისხდებიან, შედარებით თამამნი — ბაკვა და ზიმულ სახეიშვილები, ხალვაშები, მესხიები და შენგელიები, ფარულავები და ახალაიები— ფეხზე დგომელანი ეშვებიან ფაფალადან. ხოლო წყალს შეზრდილი გულადები: თენგო და ჯუმბერ თორდუები, ვახტანგ ხუფენია, ნუგზარ ყალიჩავა, სხვანი და სხვანი წამახული სარივით ჩაერჭობიან მგლისფერ დინებაში, მართუსკენ თავურით წაფრენილები და არის ერთი მითქმა-მოთქმა, მოწონების ყიჟინა, გამარჯვებულის გამოვლენა თუ ყვავილების გვირგვინით შემკობა მოყურადე ასულებისგან.

ამას ზედ ერთვის „პეტრეს პარონთან“ გამუდმებული თავყრილობა.

ხანდაზმულები ბორნის სიახლოვეს გამართულ გრძელ მერხზე სხედან, აპლაკუნებენ ყალიონს და ნება-ნება ხყვებიან მთისას და ბარისას. აცოცხლებენ გარდასული დროის სურათებს. მათგან ზოგიერთს ვიცნობ! მომშვილდულ წარბებიან კაპტო ლოგუას, გოლიათ ფაცურია ძმებს — ნოჩოს, ავქსენტის და ჯაკოს, არჩიკო შამუგიასავით ხმაჩახლეჩილ ახმახს, ვალშა ტუფურიას, პირწავარდნილ ფრანტს — არდაშელ ჩიკვატიას, მოგვიანებით მეგობრად ქცეულ გურია შონიას, მათემატიკის მასწავლებელს, ცხვირკეხიან პილა სექანიას, მამაის განუყრელ თანამეინახე არუშანგ უზარაშვილს, ჩიტაიებს, გაბელიებს, თაკალანძეებს...

იმართება ტაშ-ფანდურა, შაირობაში გაპაექრება. ჩაღდება ფანტი, რომელ თამაშსაც კუნთხოტობაიელები რატომღაც „გორჩქინუას“ ეძახიან.

ხშირად ტყეებიდან გამოკრეფილი ფიჩხით კოცონს დააგიზგიზებენ, ჭყინტი სიმინდის ტაროებს მიუფიცხებენ და მთელი სოფელი გვიანობამდე მხიარულობს; მაგრამ გადის წლები, ენგურის მიმზიდველი ნაპირები დიდ-პატარა ოტობაიას შორის, ჯერ ახალგაზრდებს დახკარგავს მიყოლებით, მერმე — ჭარმაგებს და სულ ბოლოს — თვით ყოვლისმომწრე ხანდაზმულებსაც.

საქმე ის არის, რომ სოფელში სოკოებივით მომრავლდება რადიო და ტელევიზორი, რაც ხალხს ზურგს შეაქცევინებს საუკუნოვანი წეს-ჩვეუ- ლებებისთვის, დაათითოვებს, დაკენტავს.

ახლა მას ენგურზე ღამის თევას ფეხბურთის რეპორტაჟის ყურება ურჩევნია. ვერაფრით ვურიგდები ამ უცნაურ მეტამორფოზას. გულით მწადია რამენაირად შევაფერხო ერთიანობის დამამხობელი ტექნიკური პროგრესი, თუმცა საამისოდ არც ძალა შემწევს და მით უფრო — გამოცდილება.

თავს იმითღა ვინუგეშებ, რომ კვლავინდებურად ენგურის დუდუნს მივაყურადებ, ხაბოსპირიდან გავესაუბრები მდინარეს:

— ნუ მოიწყენ ჩემო, სხვებმა თუ დაგივიწყეს, მე ხომ დაგრჩი ერთგული-მეთქი. ისიც ყურს მიგდებს თითქოს. მომცრო მართუებს დამიტრიალებს წრეებად თვალწინ მადლობის ნიშნად.

ბევრჯერ ვცდილობ თანატოლების აყოლიებას, ზოგჯერ მივაღწევ კიდეც მიზანს, მაგრამ თანდათან ვრწმუნდები, რომ ჩემი ყოველი მეცადინეობა ცერცვისა და კედლის ანდაზაა, ვინაიდან უმცროსებსაც, უფროსებსაც ფეხი სხვა ცხოვრებისთვის აუწყვიათ.

ფულის რეფორმის დღეებში სოფელს ახალი საოცრება აალაპარაკებს.

ყველას ენგურის გადაკეტვის ამბავი აკერია პირზე. როგორც საქმეში ჩახედული თუ არამკითხე მოამბე ირწმუნება, ჯვართან რაღაც უსაშველო კედლის აღმართვას აპირებენ და მოსახლეობაც მოისვენებს. აღარ დასჭირდებათ დღენიადაგ დამბებისა და ჯებირების აგება. დავიწყებას მიეცემა წყალდიდობის გამუდმებული შიში.

ამ განწყობილებისანი განსაკუთრებით კუნთხოტობაიელები არიან, მაგრამ მოსაუბრეებში იძებნებიან ისეთებიც, ენგურის გადაკეტვას ეროვნულ ტრაგედიად რომ მიიჩნევენ, ვინაიდან მათი მტკიცებით, მდინარის დაშრობა მთელს კოლხეთს გადაასხვაფერებს; გადააშენებს მის ფლორას და ფაუნას, ზღვა შემოუტევს ნათესებს, გახშირდება წვიმები.

ჩემი საფიქრალიც ამათ მხარესაა, თანაც ვერაფრით წარმომიდგენია ადამიანის ხელი ენგურის მოთოკვას რანაირად შეძლებს.

— ხიდი ვერ გაუდვიათ, რა ხანია ბორნით ცოდვილობენ და კაშხალის ამგებია ეს ხალხი-მეთქი, ასე ვამხნევებ დედამდინარეს, ასე ვინუგეშებ თავს. მაგრამ მოდით, ამჯერად თვალი მივადევნოთ ორღობეში ველოსიპედით ძუძუმტეს ქროლვებს.

უკვე ,,რამას'' ზემოთ მოქცევია ჩვენი ბრიკეტა. დედაწულიანად აყრილ თანასოფლელებს ჩაუსრიალდება სოფლის ცენტრისკენ. უშველებელ ჭადრებზე გაკრული აფიშები ფეხბურთის მატჩის დაწყებას იუწყება დღის ხუთ საათზე.

სტადიონი კოხტადაა მოვლილი. აქ პირუტყვს დიდი ხანია არ აჭაჭანებენ. კონტურები ახალთახალი ნახერხით გავლებულა დაჭიმულ ბაწარზე. ფრენბურთის მოედანი კირითაა შეთეთრებული, ასევე ფაქიზადაა მოკოპწიავებული კალათბურთის სივრცე.

მე ფრენბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ. ადრიანად რომ ვსტუმრობ სკოლას ამის თაობაზე მითქვამს. ბუხარი რომ დაგუგუნებულია, ესეც გამიცხადებია. გაივლის ცოტა ხანი და ფრენბურთის მოყვარულებიც ჩამობარგდებიან. სამნი ვეპაექრებით ექვსს: ანზორ გუნჯუა, ედნერ პაპასქუა და მე. თამაში ნიძლავზეა, ჩინური ავტოკალმებია ეს თუ ხურდები საჩაიეში საპურმარილოდ. მოწინააღმდეგენი რიგში გვყვანან. ჩვენი სამეულის მთავარი კოზირი ბურთის მოწოდებაა. ამ მხრივ სამივე თანაბარი სიძლიერით ვაყუმბარებთ მოწინააღმდეგეს. იშვიათია, მაგრამ უკანმობრუნებულის დაურვება უკვე გაცილებით ადვილია. წინა ხაზზე ანზორი აგვირგვინებს კომბინაციას. ბურთი სარივით ერჭობა მიწატკეპნილზე და გულშემატკივარი ქალიშვილების ჟივილ-ხივილიც ფრთებს შეგვასხამს. დამარცხებული უფროსკლასელები სიმწრიანი თავისქნევით ახალ გუნდს უთმობენ ადგილს.

ბურთები სამასწავლებლოში ინახება. სასწავლო ნაწილის გამგე კაკო, აკაკი შენგელია თუ მორიგეობს, თავი ქუდში გვაქვს. აჩქარა ზანთარაიაც, ილიკო ცეკვაშვილიც არ დაგვიჭერს ბურთს სათამაშოდ, მაგრამ ოდეს სამკილოგრამ მუშტიანი პილა სექანია მიჯდომია საკონტროლო რვეულებს სქელჩარჩოიანი სათვალით, დაღუპულია საქმე. ამისთანა შემთხვევაში გაჭირვების ტალკვესი ან მე ვარ, ან კიდევ — ძუძუმტე. მას ფრენბურთი არაფერში ეპიტნავება, კალათბურთსაც ცერად უმზერს. აი, ფეხბურთი კი მისი ნამდვილი სტიქიაა, ვერცხლისწყალივით მოუხელთებელია და ფინტების ჯადოქარი.

დილიდანვე საზეიმო განწყობილებაა. ხუთი საათისთვის დარჩელელებს ვმასპინძლობთ, მანამდე კი მთელი საუკუნეა. დარჩელში ფრედ დაგვიმთავრებია ამხანაგური მატჩი და ახლა აქ, შინ თუ ვივარგებთ, სალაპარაკოდ რამდენიმე თვეს გვეყოფა. მაგრამ როგორ გინდა გაიყვანო დრო ქარონის სადარი პილა მასწავლებლის მორიგეობის პირობებში?!

— მიდი, — მეუბნებიან ბიჭები, — არ გაგაწბილებს, კარგ ხასიათზეა დღეს, ღიღინით აიარა კიბეები.

სხვა რა ჩარაა.ძუძუმტე ფეხბურთის სტადიონზე ტრიალებს, რამდენიმე ამხანაგის დახმარებით სილას ყრიან მოტიტვლებულ კარებთან ,,ნასილკებით''.

კალათბურთის მოედნის გვერდით მრგვალი საჭიდაო ალაგია, ისიც ახალთახალი, სურნელოვანი

ნახერხით დაფუყული. აქ შეუდარებელია კოკროჭინა ვალერი ხარჩილავა, გველების მომთვინიერებელი ჭიჭას შუათანა ბიჭი. სწავლისკენ მაინცდამაინც დიდად არ მიუწევს გული და მეშვიდე კლასიდან გვიგანებს. საჭიდაო არენას დღენიადაგ უტრიალებენ ჩემი ძმადნაფიცი სერგო გაბელია, ლუსი ჩაჩიბაიას ძე, სახეიშვილები, მესხიები.

სერგო, იგივე კაჯილია, კუნთხოტობაიელია, მაგრამ ჩვენ ლამის აკვნიდან ვმეგობრობთ. მისი ცერმოწყვეტილი ბაბუა, სილოვან ხაფავა, თომა პაპას კარის მეზოებლია. ბაბუაჩემს რომ ჩამოასვენებენ ოტობაიაში ფიჩორიდან, ხაფავები მარტოკა დარჩებიან ბორსუს უბანში. გვიკინკლავია ერთხელ შაშვის კვერცხების გამო. ვაჟა ხაფავა და ნოდარ გელენავა წაგვაქეზებენ საჭიდაოდ დისშვილებს. დიდხანს ვეძიძგილავებით ერთმანეთს ტოლისტოლნი და როდესაც ჭიდაობა ცემა-ტყეპაში გადაგვეზრდება, ჭიდან მომავალი გოგუცა ბიცოლა, მიხელ ქარდაშ მოთა,* მთელ ვედრო წყალს გადმოგვასხამს გასაზავებლად. გადაგვაკოცნინებენ ერთურთს. მამასავით ხუჭუჭთმიანი კაჯილია სწრაფად შემომირიგდება და იქიდან მოყოლებული ერთად ვეძებთ შაშვის ბუდეებს. სათევზაოდაც გვერდიგვერდ დავიარებით ჯერ მახლობელ ღელეებში, მერე ზღვისკენაც მოვცოცხავთ, ბოღაზისკენ. ენგურისპირას გაზრდილი კაჯილია ცურვაში მჯობნის, გადაუგდებ თეთრ ქვას ზღვაში და რამდენიმე წუთში ამოგირბენინებს.

შაშვის ბუდეს კინაღამ ვემსხვერპლები. მამია რატიას ავთასგან რამდენიმეგზის თავგახეთქილს ბიძაჩემი კინაღამ კეფას ამათლის.

— უხანე, — მეუბნება ჯიმადი,* — შენ აქ ჭკვიანად იყავი და მე შაშვის ბუდეს მოგიტან.

საკმარისი შეპირებაა დაშოშმინებისთვის, მაგრამ რა ბედი ეწევა მერე დაწინწკლულ ლილისფერ კვერცხებს? კაჯილიას ხომ უკვე ოცზე მეტი მოუგროვებია? ავედევნები ცქვარუნით ზღვისპირეთისკენ აბარგებულს.

ბიძიას მხარზე წალდი გაუდვია. თხმელის წკნელების მოსაჭრელად მიემართება. ლეღვის ტოტი უშნოდ გამოჩრილა თურმე ცხენოსანი მგზავრის საზიანოდ. შევასხეპო იაზრებს და მოქნეული წალდის სიბასრე გულს შემიღონებს.

წამოყვირებაზე დამეტაკება ბიძა. ჭრილობიდან ხელს არ მიშვებს. მარჯვენათი მკერდზე მივუკრივარ, მარცხენათი ლაგამს ჩაფრენილი ბიქტორ ბაბუასკენ მიქრის. მისინჯავს იარას ფერშალი პაპა, მაგრამ შეხორცებულა საკვირველად და სიტყვაკაზმული მწერლობაც შვებით ამოისუნთქავს.

ეს ყველაფერი დროებით მოვიტოვოთ და ქარონის ძმადნაფიც პილა სექანიას მივაშუროთ, რომელიც სამასწავლებლოს მძიმე კარებზე დაკაკუნებას ყრუდ შემოეხმიანება:

— რომელი ხარ, შემოდი!

ბიჭები ლაფაროსთან შეჯგროვებულან. კაკუნს ვიმეორებ. ახლა ფეხის ხმა მესმის და გავიტრუნები.

— რატომ არ შემოდიხარ, მიხა, ბიჭო?!

— პილა, მასწ.— გაფუჭებული გრამაფონივით ერთ ხმაზე ვაღირწკინებ მემბრანას.

— ამოღერღე, ადამიანო, საკონტროლოები მაქვს გასასწორებელი!

— პილა, მასწ, ოლიმპიადისათვის ვემზადებით და სატრეინოვკოდ ბურთი გვჭირდება! — ჩავამთავრებ რის ვაივაგლახით.

— ახლავე, ახლავე! — გულუხვია პილა სექანია.

ბიჭებს ხელებით ვანიშნებ, ყველაფერი წესრიგშია-მეთქი. იქ მოგუდულ ყიჟინას დასცხებენ.

ორიოდე წუთში კვლავ მომეახლება პილა მასწავლებელი. ბურთი არა ჩანს. ხელები ზურგს უკან დაუწყია. მერე გამოაელვარებს ორმტკავლიან ცარცს დირიჟორივით.

— აგერ, შენი ბურთი და იტრაინოვკე რადმენიც გენებოს!

ჩამოშვებულია მხრები. ბიჭები ხედავენ ჩემს გასაჭირს. აქა-იქ სიცილი იფეთქებს. ცარცის მართკუთხოვნობა ზოგიერთში სხვა იმპულსს შესძენს გაბედითებულ ფრენბურთს.

იატაკქვეშეთისკენ!

ზარი ძაღლის ძვლებისაა.

აქ ლიდერები ზიმული და ბაკვა სახეიშვილები არიან ტუტუ ეჯიბიას მხარდამხარ. კამათლებს ენერგიულად ურევენ, ქუდში ყრიან, წვივებზე იტკაცუნებენ ხელისგულებს, ანდა — მკერდში. ყველა ჩაყუნცულია, ვინაიდან სკოლის უშველებელი შენობა ოთხმოცამდე სანტიმეტრის ბეტონის სვეტებზე დგას. ოდესღაც ეს სრასახლი ანჩაბაძეების ყოფილა პატარა სკოლასავით, რომლის წინარე ღელეში არეკლილი გაბადრული მთვარე სულგუნად მოსჩვენებია კიკინიას მოგვარეს. კიდევ კარგი, აჩქარა ზანთარაია ჯერ არ გამოჩენილა, თორემ კარგ დღეს დაგვათენებდა. მისი უფროსი ძმა კარლო შეუდარებელი ისტორიკოსია, ზეპირად იცის მარქსის „კაპიტალი", თანაც — რუსულად. ხშირად შეივლის აფთიაქში და ჭუკჭუკებენ მერმე პოლიტეკონომიაზე ის და მამაჩემი ბახუსის ოქტავებით.

იატაკქვეშეთი აკრძალული ზონაა, აქ შატალოზე გასულნი აფარებენ ხოლმე თავს. შპარგალკებითაა წალეკილი მისი სივრცე. კოჭებამდეა მტვერი. წელიწადში რამდენიმეგზის გამოცოცხავენ მის აღმატებულებას ვალერი ბაგინსკის დეიდა-დედა, მაგრამ ღრიჭოიანი იატაკი ცხრილივით ატარებს სასიფვარულო წერილებს თუ ვალმოხდილი შპარგალკების ახალ ნაკადს და დარდუბალა ფენიქსივითაა.

აჩქარა ზანთარაიამ ტურასავით წამოპარება იცის. სკოლის შენობის შუაგულში მოაჯირიანი აივანია, მოციცქნული ღია სივრცე. ხოდა, იქიდან წამოგადგება თავზე, ,,ლოქშზე'' დაფენებულ უმცროსკლასელებს ყურადღება თუ მოუდუნდათ.

თამაშში მე არ ვმონაწილეობ, მაყურებლობას ვჯერდები. ტუტუ ეჯიბია ცაციაა და კამათლების დასმის დიდოსტატი. გაზეთზე მასთან დაჭიდება აბსურდია. იციან ეს ბაკვა და ზიმულ სახეიშვილებმა, ამიტომაც მოუჩოჩებიათ წინაფრიანი ქუდი. ფორტუნა ტუტუს მხარესაა. ცალი ყური მაინც აჩქარას ნაბიჯებს დარაჯობს. კატის თათებით დაიარება. თანაც იმისი იმედი აქვთ, დღეს დიდი შეჯიბრია და რომც მოიხელთონ, მარცხენა გარემარბ ტუტუ ეჯიბიას მიუტევებენ იატაკქვეშეთში საყომარბაზოდ უმცროსკლასელების წატყუებას. აზარტულ თამაშებს პატარა სკოლის იატაკქვეშეთი — კაზინოც ასრულებდა გუშინ თუ გუშინწინ. იქაური სამორინეს ბატონ-პატრონები ახმახი ჯუმბერ გამისონია და ჩაჯიკვინებული ონერ ბელქანია გახლავან. ანდა თამაშის გუნება-განწყობილება თუ გაკრეფილა, ეწევიან გაზეთში შეხვეულ თუთუნს და გაკვეთილების ქრონომეტრაჟს ასრერიგად ამოკლებენ. ზოგჯერ კიდევ ტრიფო ალფენიძეზე იძიებენ შურს, ყურზე ხელის ტაცება რომ უყვარს. გამოძებნიან სადმე ნახევარმეტროიან ხელჯოხს და სადაც მისი ჭრაჭუნა სკამი განთავსებულა, მოფამფალებულ იატაკს მისცხებენ.

— ძუიკები! ძუიკები! — ყვირის საკლასო ოთხიდან ტრიფო ალფენიძე და სკამიანად ხტუნავს ქვემოური ვიბრაციით.

ოთხმტკავლიანი ხორიზონტიდან ძუძუმტეს ველოსიპედის ბორბლები დატრიალდება.ზარს აწკარუნებს, სამჯერ დაარტყამს წრეს სკოლის შენობას. ინფორმაცია გადმოცემულია, რომ საგანმანათლებო სივრცეში აჩქარა ზანთარაია გამოჩენილა.

ტუტუ ეჯიბია მაინც არ იტეხს იხტიბარს. ჯერ ბოლომდე არ გამოუცარიელებია სახეიშვილებისთვის ჯიბეები.

მოსწავლე-მასწავლებლის ხმა მშვენივრად აღწევს საფრთხეგაჩენილ ჩვენს სმენაში.

წრიალებენ ანზორ გუნჯუაცა და ედნერ პაპაშვილიც. ანზორი ორმაგად შეფუცხუნებულია. ეს ზომიერად სახეჭორფლიანი ყმაწვილი სიმაღლეში გავარდნილა მამასავით. მის ქვეშეცნეულ ორჭოფობას მშობლების მახლობლობა კვებავს. წაბლისფერთმიანი დედამისი თალიკო დაწყებით კლასებს ასწავლის. მამა ფიზაღზრდას და შრომის გაკვეთილებს ითავსებს მომმარაგებლის პროფესიასთან ერთად.

— სვანივით გული აქვსო, — იტყვიან შალიკო გუნჯუაზე, — თუკი გაბრაზდა, ათი კაცი ვერ დააკავებსო, — ხოდა, ამისთანა მამა-ბატონის კლანჭებში ჩავარდნა ენდომება სწორედ მშვილდივით მოქნილ ჩვენს ფრენბურთელს?!

ედნერის კრთომას კი მათი ნათესაობა ასაზრდოებს, — აჩქარა ზანთარაია ბიძად ერგება.

ძუძუმტე ახერხებს ფიზკულტურის სახიფათო მასწავლებლის დროებით განმუხტვას ყომარბაზების საუფლოთა მოსათვალიერებლად.

— სილა უკვე დაყრილია, მასწ! — აწეული ხმით განუმარტავს სახეღაჟღაჟა კაცს სტადიონის ტექნიკურ მდგომარეობას, — თხუთმეტი ელიავებისკენ დავყარეთ და ამდენივე — აქეთ. დავტკეპნეთ მერე ,,ტრამბოვკით''.

— მშრალი თუ იყო? — ეკითხება აჩქარა და ველოსიპედის კორპუსით იატაკქვეშთისკენ გზამოჭრილი მოუსვენრობს.

— ხიხილასავით! — მსწრაფლ პასუხობს ოთარი, — ბაგინსკების მისადგომებიდან ავიღეთ. ჯუმბერ ზანთარაია ჩამოსულია, მასწ?

— აქ არის! — ეუბნება აცქმუტებული აჩქარა, — შენ ჯუმბერის მაისურისკენ გიჭირავს თვალი! შაქროც იქნება ფეტელავა. ჩვენი გუნდი ახლა გაცილებით ძლიერი შემადგენლობით გამოვა. დარჩელელები აშკარად გვჯობნიდნენ პირველ თამაშში, უბრალოდ ბედი არ სწყალობდათ თორემ. ჯუმბერი თბილისის ,,დინამოში''არ მიუღიათ, უკვე გვიანია შენთვის ძირითად შემადგენლობაში თამაშიო, სათადარიგოში კი თავად იუკადრისა. საათი ხომ არ მატყუებს, კაციშვილი რომ არ ჭაჭანებს, რა ხდება ნეტავი?

— დიდი თამაშისთვის ემზადება ყველა მასწ., სტუმრების ღირსეული დახვედრა უნდათ ჩვენებს.

თამაშის შემდეგ, ვფიქრობ, პოლიას სასადილოში პურ-მარილის გამართვას აპირებენ. კუკური ბჟინავამ მუხლი იტკინა. ბეკი ვინ გვეყოლება, ეგ თუ ფორმაში ვერ იქნა?

— სერიოზულია?

— კი, კოჭლობდა წეღან ალეს წისქვილთან.

— ხუთ საათამდე გაუვლის, — აჩქარა ზანთარაია სამასწავლებლოსკენ დაძვრას არ აპირებს. იცის, ქალები ჯერ არ გამოჩენილან და რატომ ისულსწრაფოს? ჭანიების სიძეა, ანგელოზი ცოლის პატრონი; მართალია, შვილი არ ხყავთ, მაგრამ არც ზრდიან ვინმე უპატრონოს თუ გნებავთ ნათესავისას. აჩქარა დიდი მექალთანეა და მასთან სიახლოვე თავსაფრიანებისთვის სარისკოა, — კარში ზაურ ჯოჯუა ჩადგება, ნამდვილი კატაა.

— ავშენებულვართ და ეგ არის, — ტაშს შემოხკრავს ძუძუმტე.

— სიგარეტზე გამეგზავნები?

— რას ამბობთ, მასწ?

— აგერ ფული, ორი კოლოფი „კოლხეთი“ მომიტანე!

— სამასწავლებლობში იქნებით, მასწ?

— ხო, სამასწავლებლოში!

ოციოდე წუთში სამასწავლებლოში რომ მობრუნდება ოთარი, ყველანი იქ შევყრილვართ. მაგიდაზე დახვავებულია „პუგაჩები“, ასანთის ფოსფორით რომ ვტენით და ვაბათქუნებთ გოგონების გულის გასახეთქად; ლამაზტარიანი შურდულები, კასტეტები, დაჭყლეტილბოლოიანი გოგებაშვილის თუ ჩინური „პეროები“, ხურდები, რამდენიმე წყვილი კამათელი, მინჭყრეულ-მონჭყრეული სიგარეტები.

კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულნი ვცახცახებთ, დაგვახვევენ თავზე მშობლებს, თუკი აჩქარამ მოიგუნება. თვითონ რომ გვცემოს, შაქარყინულია. აჩქარა არ სულსწრაფობს ჩვენს დასჯას. ძუძუმტეს „კოლხეთის“ კოლოფებს ართმევს, თან დავალებასაც მიაყოლებს:

— მიშას დამიძახე და კიდევ — ხერიკო პაპასქუას. შალიკო სადაც არის გამოჩნდება, დანარჩენს მე თვითონ მოვუვლი.

— ამ ერთხელ გვაპატიე, მასწ, — თავჩაღუნულია ნაფოტივით თხელი ტუტუ ეჯიბია.

— შენ სხვანაირად დაგსჯი, დღეს სათადარიგო სკამზე დაჯდები, თუნდაც ათით ნოლი ამოგვტენონ დარჩელელებმა. აბა, თქვენი დასილაქებით გავიფუჭებ ხელებს?

— ამ ერთხელ, მასწ. მერე თუ დასჯაა, ჩვენ დაგვსაჯე, ბაკვა, ზიმული და მე, ეგენი რა შუაში არიან?

— „ ეგენს“ განახებ მე შენ, სათადარიგო სკამზე რომ მიგალურსმავ დღეს! თვითონ გაფუჭებული რომ ხარ არ კმარობ და სხვიც გინდა წაახდინო?

— „ცეპი“ გამიფუჭდა, მასწ.? — აიტაცებს სიტყვას თავჩაღუნული ძუძუმტე.

— ფეხით წადი, ფეხით! წასვლა და მოსვლა ერთი იყოს!

— ველოსიპედს რომ მომპარავენ, მასწ!

— ამოიყვანე ბიჭო, სკოლის აივანზე. აქ არ არის თომა სონგულია?

სხვა რა გზა აქვს ოთარ ხუფენიას, ვერაფერს საზრიანობს, ვერანაირად გვაშორებს აჩქარა ზანთარაიას რისხვას.

უკვე საკლასო ოთახებში გაქანებული მეცადინეობაა. სამასწავლებლო სავსეა პედაგოგებით. აქ ბრძანდება დირექტორი ონერ ზანთარაია, არლენ ელიავა, ბიყვინტია — კაკო თაკალანძე და პუჭიკო, მისი მოგვარე რუსულის მასწავლებელი. მოსულია აკორდეონის ჯადოქარი, ოქროსთმიანი ხერიკო პაპასქუა, რომელიც მთელი ათი წლით ეუფროსება ძმას. მათი ერთადერთი და ნელიკო რამდენიმე წლის გასვენებულია. ამ მწყაზარ ქალიშვილს გათხოვება არ დასცალდება, ისე ამაღლდება ზეცად. სისხლის გათეთრებით მოკვდება. მათი ზანთარაიხე დედა ლოგინად ჩავარდნილა, მას მერე ფეხები წართმევია უსაზღვრო გლოვისგან. მობრძანებულია შალიკო გუნჯუა, ყოველ დალაპარაკებაზე ფანჯრის მინებს რომ აზანზარებს. მამაჩემიც სადაც არის გამოჩნდება. პუჭიკო ნაალაფარში იქექება. ელეთ-მელეთი მომსდის, ვინაიდან იქ ლექსად გადმოღვრილი ჩემი მიჯნურობა ფართხალებს. სტრიქონები მიძღვნითია, კლასის დამრიგებლის ასულის მიმართ, საკმაოდ თამამი და ქვეტექსტის გაშიფრვის შემთხვევაში ავღრუბლიანი:

მა დო ჩქიმი ელხესუ
ნირსეფ მუმოგუძუნა,
ინგირ ბიჯის ნოტელით
დოყურშილი თხუმწკუმა.

მე და ამ ჩემს ელიხეს
ნისლები მოგვისხამს,
ენგურის პირას ვდგავართ
დაბურულ თხმელასთან.

მართუს მეთხოზ მართუ დო
ხუმინუნსუ ფაფალა,
გასურებე სერწკუმა
დღაში ეკონთხაფალა.
რცხონილ აფუ ზღოურსუ
მესხიეფიშ ნაჭალი,
სამოხიოს მეჭყვადრე
ბაღანეფიშ ჭაჭალი.
ხერზელ ცუჩა მინჭუაფ,
შუმილ მიონჩვალანსუ,
ხვალე თოლ რე ქვერსემელ
კინ თოლიში ჩალამსუ.

მორევს მისდევს მორევი
და ბუყბუყებს ხაბო,
დასრულებულა ღამესთან,
დღის ჭიდილი.
დავარცხნილი აქვს ზღვაურს,
მესხიების ნასიმდინდრები,
სამოხიოში შემწყდარა
ბავშვების ჟრიამული.
ფხიზელი შინ მიიჩქარის,
მთვრალი გზად მიაბოტებს,
მარტო თვალია დამეწბრილა
ისევლე თვალის უფსკრულში.

პლატონ ესტატევიჩი ნაალაფარიდან ნალმივით განმუხტავს ჩემს სატრფიალო სტროფებს. ფანჯარასთან მიმდგარი კითხულობს, მერამდენედ ამათვალიერ-ჩამათვალიერებს, ისევ სტრიქონებს მიაჩერდება. თავსაც აქნევს ირონიული ღიმილით.

ძუძუმტე ვერ ანდობს ველოსიპედს თომა სონგულიას, ხერიკოსა და მიხას მოსაყვანად სხვები დაფაცურებულან.

აგერ, მამაჩემიც შემოტეულა სამასწავლებლოში.

ანზორ გუნჯუას ჭოლოკივით სიმაღლე უკვე ყველასთვის ნათელია, ისე ჩაფრენია ყურებში მშობელი მამა და ახტომიალებს ცერებზე.

ედნერს თითისქნევას აკმარებენ;

ჯერი ჩემზეა. ოთხად გაკეცილი ფურცელი ხელიდან ხელში გადადის. ბოლოს დამრიგებელთან ჩერდება გვარიანხნობით. გაშიფრულია ჩემი ვნებათაღელვანი. წინ გამჩერებია ქართული ენის ბაირახტარი. ხელს შემომიქნევს გაცეცხლებული. მიზეზად ლექსს კი არა ყომარბაზობის თვალთვალს მისახელებს სასიძოდ შეღერილს. მაჯას დავუჭერ მასწავლებელს და როცა გათარანებული ამიყვირდება, გიჟივით გავვარდები სამასწავლებლოდან.

არავინ გამომეკიდება.

სტადიონის ალაგესთან ძუძუმტე შემომეფეთება. ველოსიპედი მარღანიებთან დაუტოვებია.

— მოიყვანეს მიშა ბიძია? — მეკითხება დაღვრემილი.

— ხო, შეუტყობინებიათ, — ვეუბნები არანაკლებ გაფითრებული, — ის ლექსი დამიჭირეს, ყველამ წაიკითხა, ნელი მასწავლებელმაც.

— ნელი მასწავლებელმაც? — თვალებს დააჭყეტს ოთარი.

— უნდა გადავიკარგო!

— რაებს ბოდავ, — მაწყნარებს ძუძუმტე? — მაინც ვერ მიხვდებიან. აი, გამოვლენ ბიჭები და ყველაფერს შევიტყობთ.

— მე მამიას სამჭედლოში დაგიცდი! — ვეუბნები ცოცხალ-მკვდარი.

— კეთილი, — მხარზე დამადებს ხელს ძუძუმტე. — მალე ფეხბურთი დაიწყება და ყველაფერი მიავიწყდებათ.

მამიას სამჭედლოში ხალხმრავლობაა. კამეჩები დაუჭედიათ. საბერველთან ერთმანეთს ეცილებიან კაჩუბ აფაქია და ვალერი ბაგინსკი. რევდენ ზანთარაიაც აქ არის, ავთა რატიაც. მამია ბიძია დღეს რატომღაც იგვიანებს. ნოდარ ჭედია არაკუნებს ურუოს. ესენი გაკეთილებიდან გამოძევებულან საშინაო დავალების შეუსრულებლობის გამო.

უილაჯოდ მოდიან ედნერი და ანზორი. ძუძუმტეც მათ გვერდითაა. ეს მეოთხედი მეორე ცვლისაა და დრო თავზესაყრელად აქვს ბრიკეტას.

სამჭედლოს კუტიკართან მივეგებები ამხანაგებს.

— მაგრად გადარჩი! — მეუბნებიან ბიჭები, — ნელი მასწავლებელმა იტირა. მამაშენი დასაბმელი გახდა.

— რა ვქნათ? — ვეკითხები ძმაკაცებს.

— ერთი ლიტრი არაყი მეგულება სახლში, — ამბობს კაჩუბ აფაქია. მჟავესაც მოვძებნი, პურსაც.

— კონსერვისთვის და პეჩენიასთვის ფული მეყოფა, — შემოგვეხიდება ავთა რატია.

— მაშ, რაღას ვუდგევართ, — მოსჭრის რევდენ ზანთარაია, — ბრიკეტა, წამოხვალ ჩვენთან?

— ზედ გადაგყვებით ახლა! სკოლას წრეებს რომ ვურტყამდი ველოსიპედით, მაშინ უნდა გეზრუნათ

უსაფრთხოებისთვის. რამდენ ხანს ვეტირტინე აჩქარას! არაფერმა გიშველათ! ბედჭვილეფი,* ლოთობაც მომინდომეს! თქვენ— თქვენთვის, მე— ჩემთვის!

ფიჩორის მიმართულებით მივეშურებით. ჯერ თორმეტი საათიც არ არის. ჩვენი პურ-მარილი ტყავის ჩანთებშია მოთავსებული. თადარიგი გულუხვადაა დაჭერილი. აფაქიებისას შევივსებთ მარაგს და ლევანიას მინდვრებით გაგიდისაკენ მივეშურებით.

აქედან ზღვა ორ ნაბიჯზეა. ტლაპოებში კამეჩები ქშინავენ გამხმარი ტალახიანი ზურგებით. ჩაყურყუმელავდებიან ონტყოლაშეში და ასე ენებივრებიან თაკარა ამინდს.

ცხენების რემა დაფეთებული მირბის თხმელიანების გასწრივ.

ზღვის სუნთქვა მალე შეიგრძნობა. საჩრდილობელს გავმართავთ ისლიანების მოშორებით, სადაც ბოღაზის მიდამოებია. ბალახმოკიდებულ ქვიშრობსა და ფიჩხებს შუა, მბზინვარე, გავარვარებული სილაა.

დათრობა ცეროდენობიდანვე დამებედება.

დიდედა მარი ჯალაღონხეს ყოველთვის მოეძევება წინსაფრის ჯიბეში ჯიშიანი ნიორი და მწვანე მინის სირჩა. გადმოიღებს თაროდან ვასაკასფერ ლიტრიანს, ჩამოისხამს ,,მუცლის ტკივილის წამალს'', გადახკრავს და მიაყოლებს ნიორს.

ერთხელ, ,,მაისის ვარდად'' მონათლული ვაშლებისთვის ბაღჩისაკენ დილაუთენია წახეტებულს ზღვაური დამცდის სავალალოდ. ერთიანად მიტრიალებს შიგნეული. ჰოდა, გამახსენდება ამ დროს ბებიას ,,უკვდ ავების წამლად'' მონათლული ბოთლი სამზადში. შევაბობღდები გაჭვარტლულ თაროს, გადმოვიღებ იმ საჯინეს და ჩაის ჭიქაში სანახევროდ ჩამოვისხამ. ორიოდე ყლუპით გამოვაცარიელებ სითხეს. დამითბება გულ-გვამი. ძლივს ავაღწევ კიბეებზე, ისე იატაკზე გავიშხლართები და მერე მაღვიძებს ვაი-ვიში, ,,უხანეს'', ,,ურდუს'' მიქვესკნელება. თომა ბაბუას ,,ებჭყიდ, ებჭყიდ''.

კვლავ ბიქტორ პაპასთან მიმაქანებენ. იქ სწრაფად ამომირეცხავენ კუჭს, ცხელ რძეს მაყლუპებენ ,,მამის გზაზე ნაადრევად დამდგარს''.

თოლიების ფარფატია.

უკაცრიელია სანაპირო.

გამახარიების ბიჭები გამოჩნდებიან მოგვიანებით. ისინიც გვიწყალობებენ ოჯახიდან ერთ გრაფინ მსხლის არაყს, ცოტა ხანში იმ ერთს მეორეც მოხყვება და როცა მზე დასავლეთისკენ გადაიხრება გვარიანად შევქანავდებით ყველა.

აპოშა ძაძუას ოჯახში რევდენ ზანთარაიას განვათავსებთ, ვახანიებისას სახსარამოცლილ ბაგინსკის, დანარჩენი მოვიჩქარით ფეხბურთის სტადიონისკენ.

აქ უკვე პირველი ტაიმი დამთავრებულა. მოედანი გადაჭედილია ხალხით. სიგრძივ გამართულ მერხებზე ქალები და მოხუცები სხედან, ბავშვები მოლზე დაყრილან, კაცები ფეხზედგომელანი გულშემატკივრობენ თავიანთ გუნდს.

კუკურ ბჟინავას მუხლი მართლაც მორჩენია. ზაურ ჯოჯუა კატასავით იგერიებს აბსანძეებისა და კოდუების შემოტევას. ბიგვავებმაც აიწყვიტეს, მირდიკოსიანებმა. ორი ავტობუსით ჩამოსულან ყორშიები, თოდუები, ხუფენიები, არნანიები, ჩანგელიები, სხვანი და სხვანი.

ოტობაიელების თამაში ინდივიდუალური ხელწერისაა. დარჩელელებისაა — კოლექტიური, შეთანხმებული. ერთი ბურთის სხვაობით ვაგებთ. მოუსვენრობა შესჩენია დამსწრე საზოგადოებას. მსაჯი ილიკო ცეკვაშვილია, ოტობაიელების ზედსიძე, მაგრამ — მიუკერძოებელი.

დაარტყამს ბურთს ბეკი კუკურ ბჟინავა და მოხუცები ნიშნისმოგებით გადახედავენ ერთმანეთს:

— მეხია, მეხი! — დასცხებენ ყიჟინას პატარები.

მატჩის მიწურულს შაქრო ფეტელავას და ჯუმბერ ზანთარაიას დუეტი იმარჯვებს, ოსტატობა ბოლოს და ბოლოს შედეგს გამოიღებს. წონასწორობა აღდგენილია. სიმინდის შეტეხილ ყანაში გადავარდნილი ბურთის მოსატანად გაქანდებიან მალხაზები. აქ ტოლს ვერავინ უდებს ძუძუმტეს.

თამაში სამით სამი მთავრდება. კვლავ ფრეა. საერთაშორისო წესების მიხედვით გამარჯვება დარჩელელებს ეკუთვნით, ვინაიდან პირველი მატჩი იქ ნოლით ნოლი დამთავრებულა, მაგრამ ახლა ამას არავინ დაეძებს.

იცვლება მაისურები. ხელიხელგადახვეულნი მიეშურებიან სოფლის ცენტრისკენ. თავი მიბრუალებს, თუმცა სიმთვრალეს არ ვიმჩნევ, ან როგორ მიმესვლება შინ, სანამ მამას გარკვეული დოზა არ მიუღია?!

სუფრა ქუჩაშია გამოტანილი. ერთ მხარეს დარჩელელები სხედან, აღმოსავლთით. მათ პირისპირ მასპინძლები მოკალათებულან: ენვერ ჯოჯუა და კოკი ოყუჯავა, გიგლა და გურგენ ძაძუები, როგავები.

ხერიკო პაპასქუა აკორდეონს აღუღუნებს. მამაჩემს თვალები მოკიჟვია.

გადა მესხია ეს წუთია მოსულა ყანიდან, სიმინდის ტაროებით დატვირთული ურმით, საწყობში ჩაბარება განუზრახავს, მაგრამ ვალიკო საჯაიას ქეიფის ეშხში შეუტოპავს. ოტობაიელებს თავის გამოჩენა უნდათ დარჩელელებთან, ამიტომაც გადა მესხიას დაყოვნება სწადიათ.

— სად მიგეჩქარება, შემოგვიერთდი კაცო, — ანამუსებს ვალიკო საჯაია, — შეირგე პურ-მარილი. საერთო ზეიმი კულმინაციამდეა აჭიმული.

— წუწაობისთვის სად მცალია, მეორე ურემია გამოსატანი შებინ- დებამდე; ამივსეთ მოთითბრული ვედრო და დამეხსენით, — როხროხებს გადა მესხია.

— ოღონდ შენ ეგ დალიე და ორივე ურემი სიმინდი მიპატიებია, — სიხარულისგან ვარსკვლავებს წყვეტს დარჩელელების წინაშე თავის მოსაწონებლად ვალიკო საჯაია.

გადა მესხია ჩამოქვეითდება. ფიცარივით ხმელ-ხმელია, ბავშვობიდანვე დისიდენტი — მეშვიდეკლასელს მოაშორებენ სოფელს „ჩქინ ლავრენტი ბერიას" საზოგადოდ დამღერებისთვის. მოურბენინებენ გაკრიალებულ ვედროს ტანსრული ეთერ აბშილავას ასულები. თორმეტი ბოთლი ჩაყურყუმელავდება იმ სტადიონისფერ ჭურჭელში. სტუმრებიცა და მასპინძლებიც ცნობისმოყვარედ მიადევნევენ თვალს გოლიათი კაცის საქმიანობას.

— საჭყუმპალაოდ სად მცალია, — როხროხებს გადა მესხია. სამი ლუკმა ძლივს უნებებია და ისე აპირებს ამ კასრთან დაჭიდებას. — ერთი ამოსუნთქვის უფლებას ვიტოვებ, — მხიარულობს ოტობაიელი ლომკაცი.

პირთამდე გალიპლიპებულ ვედროზე დაიხრება გადა მესხია. გურჯინ-გურჯინით დაიყვანს ხელისდადებაზე, მერმე აიტაცებს ზემორე და სამიოდე წუთი გასუსულ მრევლში ისმის ზორბა ყლუპების ხმიანება. დადგამს ვედროს, მიაყოლებს ყველის ნაჭერს, პურს, ცოტაც და ისევ წამოსწევს სანახევროდ დაცლილ ჭურჭელს.

— ის პირველი ნახევარი თქვენი სადღეგრძელო იყო, დარჩელელო ძმებო, ახლა ამ მეორეს ოტობაიელებს ვუძღვნი, და რადაგანაც ერთნი ვართ ჩვენ სულით და ხორცით, ამ ერთიანობის უკვდავებისა იყოს! — აგუგუნდება შეფოთლილი ჭადრების ხეივანი.

დაიძრება ღვინო დევკაცის სტომაქისკენ, შეუსვენებლივ, ნება-ნება, ზმორებ-ზმორებით, თითქოს აწ შინაურთა სადღეგრძელებელი საჩქარო არ გახლდეს; ახა, უკანასკნელი ყლუპიც და დასცხებენ ტაშს დარჩელელებიცა და ოტობაიელნიც. კვლავ მიატანს რამდენიმე ლუკმას გადა მესხია, მერმე აუწევს ხელებს მოპურმარილეთ, მოაჯდება სიმინდის ტაროებით დაჭაპანებულ ურემს და ვალიკო საჯაიას ჯილდოთი ხელდამშვენებული უტევს გზას სოფლის შემოსასვლელისკენ.

იმ საღამოს გვიანობამდე გასტანს პურობა. მამა, შაქრო ბიძია და მე დროულად დავემშვიდობებით ქეიფს. მიხეილი გვიძალიანდება თავიდან, მაგრამ მალე მიავიწყდება დაუმთავრებელი სუფრა.

შაქრო ინდუსტრიული ტექნიკუმის სტუდენტია ზუგდიდში. ჩვენს ოჯახში როცა ამთავრებდა სკოლას, გამუდმებით ლეღვის ძირას ამართულ ზვინზე მეცადინეობდა ხოლმე, ვინაიდან პაატას პაპალურს ვერაფრით ეგუებოდა.

პაატა თბილისშია უკვე, ბიოლოგიას ეუფლება.

იაშა ბიძია საშუალო განათლებით მოიჯერებს გულს, ეგრევე იქორწინებს და ცხოვრების უღელს თამამად შეებმება.

ციალა ჯაბუაც კოკში გათხოვილა, ბიჭების ტოლისდამდები ალქერქუა და იშვიათი წკრიალა ხმით დაჯილდოებული. მამას გიტარაზე დაკვრა ემარჯვება. როცა მხიარულობის განწყობილებაა, შეწყობილი ხმები აქარწყლებს წუთისოფლის სიდუხჭირეს.

ორთვლიანში ვეტევით ყველა. ერთ ოთახში ჩვენი ჯალაბი განთავსებულა, მეორეში — ხიზანი ბიძები. ჯადოქარი ხურო პროკოფი პაკატილოვი, , დაუმთავრებელ ოთახში ბინადრობს. ბურბუშელებში, ოქროსფერ მტვერში ათენებს და აღამებს. აფთიაქის კარ-ფანჯრები მზადდება იქ. პარალელურად ჩვენს სახლსაც დასტრიალებს ღიმილისთვის გაჩენილი ადამიანი. ას გრამზე მეტს ვეღარაფრით დაალევინებ.

— მამალიკა, ლობია, გამარდჟობა გოგია, — ახსენებს წარამარა. რუსულს ვახლაფორთებთ მის წინაშე თავის მოსაწონებლად. არასდროს გაეცინება ჩვენს ცოდვილობაზე, ყოველთვის შეგვისწორებს და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ვითვისებთ უფროსი ძმის მაგიურ ენას.

შაქრო მხიარულ გუნებაზეა.

კიბის საფეხურს აჭედებს ფიჩორში. ფიცარი თელისაა. ლურსმანი იღუნება, გარანდავს გაზით და ჩაქუჩით, ისევ მისცხებს, ისევ გამრუდდება სამსჭვალი. ფერშალი ბაბუა გაღიზიანებულია.

— ქონი წაუსვი, ქონი! — ეხმიანება აივნიდან.

შაქრო წითურია — ბაბუას გაცხარებულ ჩარევებს აინუნშიაც არ აგდებს. შიგადაშიგ წაექირქილება. ისევ მარწუხს ახრჭიალებს. დააჭედებს. როგორღაც შვებით ამოისუნთქავს ოჯახის უფროსი, ნაბოლარა ძე კი ღორის ქონს დაატაკებს თითს, და თავს წაუპოხავს საიმედოდ დარჭობილ ლურსმანს.

მომდევნო დღეს ფეხის ალაგს აჩინდრიკებს შაქრო ბიძია. ხუროობა უფრო იაშას ემარჯვება, მაგრამ მოინდომა, ფეხბურთს შეეშვა, თიაქარისგან თავი დაიზღვია და აბა, რომელი აუკრძალავს საოჯახო საქმეს?

მე ბაბუა ბიქტორის წინ მოვკალათებულვარ ჯორკოზე. სხვები ბურთს დასდევენ ფართო ეზოში. ბაბუას უხარია თამაშისკენ გული რომ არ მიმიწევს. მიყვება თავისი მოსწავლეობის წლებზე, გიმნაზიაში ყოფნისას რანაირად უჭირდათ ხოლმე რუსული ტექსტების დაზუთხვა. ვიღაც ღვთისნიერი მასწავლებელი ხყოლიათ, რომელიც ბავშვებს მეგრულად უთარგმნიდა კრილოვის იგავ-არაკებს, პუშკინის პოემებს და შეგირდებიც სწრაფად ითვისებდნენ თურმე საკუთარ კილო-კავზე გამართულ სტრიქონებს:

სოდე რდუ დო სოდე ვარი,
ჟი გვალა დო თუდო ბარი,
კოჩი რდუ დო მუთუნ შხვანი,
კვარიას მეჩუ ნოჭკერ ცვალი,
კვარიას მეჩუ ნოჭკერ ცვალი.
ჯაშა ეშელ ქიონით,
ჭკუმუა ოკო ხიოლით,
მარა ჩე რე, ჭკუმუას ორწჟ ცოდათ,
ნინძგით მარგება მიორჩქ მოდათ.
მუ დროს კვარია აზრენს თეს,
ტურა ორწჟ შორშე ჩეს,
მოტყობუნს, უმარდ ბრელს,
ვოურქენს კუჩხ დო ხეს.
ტურა კვარიას მარდს ოგანს,
ცქუმალათ გურს ურძღანს,
თიშ ცოროფა-ცქუმალას,
ცათენერო რაგადანს:
— კისერ-დუდამო ხანტურელი,
ფსუა გვალო ჭარჭულერი,
მუ გიწუა მა სი ბრელი,
სი თელი დო შხვა ღურელი.
ხონარ ანგელოზი ცალი,
მიჩქუ მითა გიჯგუ შხვანი,
ძირემიარო, ჯგირი დღანი,
ქიგმაგონი ბირა სქანი.
კვარიას მუ დროს უჩქუდ ბირა,
პიჯ განჯუ დო დიძახ: რირა,
გოუტუ ცვალს პიჯდო ნინა,
ტურას ოკოდუნი თინა,
ცვალიშ ხვამილაფა დო ნტინა.

ლექსებით მარი ჯალაღონხეც არანაკლებ მანებივრებს. ჩემთვის გაუგებარია საიდან იტევს ამ ადამიანების გონება ინფორმაციის ესოდენ მარაგს?! ამიტომაც ყოველგვარ თამაშზე მიმზიდველი მათი მოსმენაა. მარი ბებიასგანაც უამრავი სტრიქონი დამხსომებია. აი, ერთ-ერთი მათგანი— „აბრაგის ნათქვამი“:

სამოხიოს კიჟინი რე
დიდი ომაღურეთია,
ციქვლა ქიმეფურცქინუნსუ
კუჩხი უჩაფულეთია:

სამეზობლოში კივილია,
სასიკვდილოდ,ერთის ამბით,
ციქვლა გზა-გზა მიჩურჩულებს
ფეხშიშველი, უქალამნოდ.

— არქა, ძღაბი, ვაკიჟინა,
კოჩი ვეკომკათუა,
სი ურჯულე ცოფექ, მარა
ჩქით მიჩქუნა ნათუა,
შინკაცალო მიმორჩქუნა,
კოჩიშ დუდიშ კვათუა.

— ეხა, გოგო, ნუღარ კივი.
ხალხი აღარ შემიყარო,
შენ ურჯულო ყოფილხარ, თუმც
ჩვენაც ვიცით მონათვლები,
ნესვისმაგვრად მიგვაჩნია
კაცის თავის მოკვეთა.

მოახლაფორთებს როგორღაც შაქრო ჩეჩმას. კარი ჩამოკიდებულია, გვერდითა კედლები— მიჭედებული, ჯერი უკანაზეა. საკაკუტე ლურსმანს აწვალებს თითებში წითური ბიძაჩემი.

— მაგი რისთვის გინდა, სადუმოვკე აიღე! — ჭკუას ასწავლის ბაბუა ბიქტორი აივნიდან.

— ეტკინება? — ქირქილებს შაქრო ბიძია.

— გადაჭერი ქე მაინც, თორემ დახეთქავს ფიცარს.

— ქონს წავუსვამ!

— გადაქლიბე, კაცო!

— კარგი, მასე ვიზამ, — ყაბულდება ნაბოლარა ფეტელავა. სინამდვილეში ყურს არ ათხოვებს ბაბუაჩემის შეგონებას. დაადღლეზს ლურსმანს და მტკაველზე გამოაშვერინებს წამახულ წვერს.

— ალექსევიჩ, ნახე, როგორია?

ბიქტორ პაპა ხვნეშით წამოიმართება. ხომ უნდა შეუფასოს შვილს ნახელავი? გამოაღირწკინებს ტუალეტის კარს, მოათვალიერებს შიდა სივრცეს. გამოშვერილი ლურსმანი უხსენებლის კენტი ლაკარტივით ეცემა თვალში.

— ეგ რაღაა, ბიჭო?! ტვინს მიანთხევს მთვრალი კაცი, — ბრაზობს ბაბუა.

— გეკადრება, ალექსევიჩ, შენი ცილინდრის ჩამოსაკიდია.

მეცადინეობის ჟამს ზაურ ელიავას მოუხმობს ბიძაჩემი. ზაური რამდენიმე წლით ეუმცროსება. შემოიშველიებს ზვინზე ჩემს ამოყვანაში, მერმე ხელს გაუწოდებს ამოსამაღლებლად და სანახევრომდე რომ ამოაღწევინებს, ჩამოაზღართანებს ძირს სევერიანის უმცროს ვაჟს. მე კი ამგვარი დიალოგით მაბიაბრუებს:

— სტალინი გირჩევნია თუ ლენინი?

— სტალინი, — ვიტყვი მიამიტად.

— სტალინს წვერი რომ არა აქვს?

— მაშინ— ლენინი, — არ ვცხრები მე.

— ლენინს თმა რომ გასცვენია?!

— აბა, რომელი? — ვერ ვმალავ გაოცებას.

— ბაბუაშენი ბიჭო, ბაბუაშენი.

— რომელი, ბიქტორი თუ თომა?

— შენ ამოარჩიე.

— ბიქტორი! — მოვჭრი გვარიანი ყოყმანის შემდეგ.

— ბიქტორს რომ ბუზინი უყვარს.

— აბა, თომა.

— თომას რომ ჩუქინი ემარჯვება?

შაქროს ხასიათის სიბასრე მრავლად გააკაფვინებს გზას ცხოვრებაში: ორმოცდაათი წლისას შეეძინება პაპაჩემს, თითქმის შვილიშვილად ერგება. ამიტომაც მარტოკას უხდება ლელოს გატანა. ორ უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებს მიყოლებით, უთვისტომო, ურეპეტიტორო, უფულო, მაგრამ თავის თავში დარწმუნებული. წარბს ვერ შეახრევინებ ჩხუბისას; უსულგულო ლექტორებს მისაღებ გამოცდებზე თვალებს გადმოაკარკვლინებს ყელში წაჭერით. სამართლიანია. სარძლოებს მზითვით და მზეთუნახაობით არ დაეძებს, მთავარია ერთმანეთი სწამდეთ ახალგაზ- რდებსო. არც მძიმე სამუშაოს დაუფრთხება დევნილობის ჟამს, მაგრამ ჯერ ხავერდოვანი წლებია.

მოვისვენებთ სანახევროდ მომთავრებულ ოდა-სახლში. პირველი სართული კვლავაც ფარღალალაა. მართალია, ცემენტის ქათქათა სვეტებისთვის დედაჩემისა და სამეზობლოს ბიჭების დაჩურგუზებული ბლოკები შემოუშენებია შოთა ანჩაბაძეს, მაგრამ შელესვა და მოპირკეთება ვერ მოგვისწრია. კიბეები ხისაა. სახელურები ყოველთვის ყანყალებს. სამ-ოთხ წელიწადში საფეხურები გამოსაცვლელია.

დარაბებს მართლაც ჩინებულს გარანდავს პროკოფი, მაგრამ რად გინდა ხელოსნის ოსტატობა,

როცა ბრიდის პროფილით მოხიბლულს სამიზნედ მიქცევია და ყოველი გოჯი დანის წვერით უმოწ-ყალოდ დასვრეტილა. მიმასიკვდილებს გელენახე, დამამწყალობნებს ბიქტორევიჩი, თუმცა ახირებას ვერაფრით მომაშლევინებენ. გადახრილი, მეწლე მსხლის ძირას ვაყენებ უმცროს და-ძმებს რიგ-რიგობით და ცირკის არენაზე გამოსულ ოსტატივით ვასობ და ვარჭობ გარშემოწერილობაზე. მალე ერთიათად გავიუმჯობესებ ხელმარდიანობას. ასაკეცი ლოგინის, ,,ლეჟანკას'', ალუმინს გადავხერხავ ქლიბით, ამოვ-ტენი ფიჭვის ჯოხით, ერთი მხრიდან ქოლგის ფოლადის ჩხირს ჩავარჭობ სადგისივით, მეორე ბოლოს გახურებული ლურსმნით გავუხვრეტ ბატის ფრთის მისამაგრებლად და მოგეცა ლხენა! კომკავშირის საწევროების ანაკრეფს ახლა ამ საოცარი იარაღის საფასურიც დაემატება. კლიენტურა უამრავი მყავს და გოგოების გამასპინძლებითაც შეუდარებელი ვარ დგებუაძის საჩაიეში.

კომკავშირში გასაწევრიანებლად მოსწავლეები მე დამყავს გალში. იქ უამრავ უფროს მეგობარს გავიჩენ: რუდიკ ჯანაშიას, პავლიკ ქვაჩახიას, ზოია გოცირიძეს, ,,ლენინელის'' რედაქციის თანამშრომ-ლებს: ბერიებს, სალაყაიებს, შონიებს, ფოტოკორესპონდენტ ლერი შენგელიას, დომენტი ჩაკაბერიას, მირიანე ჭკადუას.

მიბეჭადვენ წვრილ-წვრილ წერილებს, ლექსებსაც, რომლებშიც ჩემი სიტყვები სანახევროდ შე-ნარჩუნებულია და თავქარიანი სოფლკორის სიხარულს საზღვარი ძნელად ეძებნება, თუმცა ჯერ საზარელი ღამე არ გათენებულა.

დილაუთენია თავზარი დაეცემა მთელს სოფელს — ხერიკო პაპასქუას სასიკვდილოდ დაჭრის ჟოკერ როგავა. ერთად პურმარილობდნენ დარჩელელებთან, შინ მიიპატიჟებს, იქაც სვამენ ორნახად არაყს, მერმე შელაპარაკდებიან და ამ დროს პურის საჭრელ დანას მუცელში გაუყარის ძმაკაცს ფიცხი ჟოკერი. თვითონ მოიკიდებს ზურგზე სისხლისგან დაცლილ მეგობარს. სოფლის ცენტრამდე მოაღწევენ, საავადმყოფოში მოათავსებს გულშეღონებულ ამხანაგს. ბართლომე ფეტელავა სას-წრაფოდ გალში გაწერს მომაკვდავს. ჟოკერი მილიციაში გამოცხადდება და მერმე ის უბედუ-რისშვილი ციხიდან ვერ გამოაღწევს საგანგებოდ ცხრაკლიტულში ჩამჯდარი ალიოშა პაპასქუას შემწეობით.

შავი კატა გაირბენს როგავებსა და პაპაშვილებს შორის. ჯერ კიდევ არის იმედი, მთელი კვირა სიკვდილს ებრძვის ხერიკო. სოფლის ბიჭები უშურველად გაიღებენ სისხლს: საჯაიები, რატიები, ზან-თარაიები, მესხიები... მოწამლვას ვერაფერი შველის, სანთელივით დნება ისედაც ოქროსფერი ჭაბუ-კი, სევდანარევი ღიმილით ილევა.

ოტობაიაში აყლმაყალი, გამოწვევები და ერთი ერთზე დარტყმები ჩვეულებრივი მოვლენაა. ძალას ისინჯავენ ჯეელები, ზედმეტი სისხლი უნდა გამოუშვან.

ამბროსი ბაბუას ნათქვამია:

— გურგენ ძაძუას ბარძაყის მიწაზე დამდები არ დაბადებულა, მაგრამ ხომ ხედავ, ლოთობამ რო-გორ დააბეჩავაო?

მუშტი-კრივში შეუდარებელი რამდენიმეა: გიგლა ძაძუა, ენვერ ჯოჯოუა და კოკი ოყუჯავა. ესენი ხელდაუკარებლებად არიან მიჩნეული. ერთხელ ენვერი და გიგლაც დაეჯახებიან ერთმანეთს. სასაფ-ლაოს სიახლოვეს ღელემდეც კი ჩაედევნებაინ ურთიერთს. ენვერ ჯოჯუას თავური ემარჯვება, გიგლა ძაძუას კი ახლო ბრძოლაში ვერავინ დაუდგება. კოკი ოყუჯავა აერთიანებს ორივეს ღირსებას. ჯიქსაც ამიტომ ეძახიან. დაცხრებიან ბიჭები ბათქაბუთქით. გადაუკოცნიან დასისხლიანებულ სახეებს. ჩავლენ ეგრევე დაღლეტილები პოლიას სასადილოში და დილამდე მოულხენენ, მკლავის სიძლიერეს უქებენ ერთურთს.

პაექრობა შეყვარებულების გამოც იმართება არცთუ იშვიათად. ჩხუბობენ ბელქანიები, ჭანიები, ქირთბაიები და ბოხუები, მესხიები, თორდუები და ხალვაშები, მაგრამ ბოლო ყოველთვის მშვიდო-ბიანია, ვინაიდან ჩხუბში დანა არ მონაწილეობს. აქ კი ცივმა იარაღმა ტრადიცია დაარღვია, სანთე-ლივით ხერიკოს სიცოცხლე თვალსა და ხელს შუა ქრება.

სოფლის ცენტრში ძუძუმტე მხვდება. ხალხმრავლობაში ავტობუსისკენ გზას ვიკაფავთ. ყველანი სისხლის ჩასაბარებლად მივიჩქარით რაიონული საავადმყოფოსკენ, მაგრამ გვიანია უშურველი დო-ნორობა. ნაბაკევის გადასახვევთან მანქანების ესკორტი შემოგვეგებება. მოასვენებენ სოფლის მშვენება ოქროსთმიან ხერიკოს. ავტობუსი ერთადერთხელ დაარღვევს განრიგს და უკან მოაბრუნებს აქვითქვი-თებულ საზოგადოებას.

პაპაშვილების ტრაგედია მთელს ოტობაიას დაარეტიანებს. ძაძებით შევიმოსებით ნათესავებიც, მოყვრებიც, მოკეთენიც, სრულიად უცხონიც. მთელს წელიწადს გახუნებული სატინით დავიარებით.

უკვე მშობლიური ხდება სოფლის სასაფლაო. უკვე თავი არ მეღრიცება სამშვიდობო სივრცეების-კენ; უკვე ჩვენი ოქრო ხერიკო განისვენებს სამარადისო ალაგას და შიშიც უკუდგება. მამას რომ

გავაპატისონებ მოგვიანებით, ეს შიში საერთოდ გაშორდება გულს და ამიერიდან სასაფლაო განუყოფელ ერთეულად მოევლინება ჩემს არსებას.

უამრავ პიროვნებას გავაცილებთ ამ გზაზე: შალერ აფაქიას და რენცო ბახტაძეს. პირველი აუჩქარებს თავის სიცოცხლეს, გადაჭრილი თოფით მოისწრაფებს საწუთროს. სკოლის სტადიონზე რამდენიმეგზის შემოვატარებთ მის ცხედარს.

რენცო სუხიშვილების ანსამბლში ცეკვავდა ერთ დროს, მერმე „რუსთავში" გადაინაცვლებს. დატალღულთმიანი თანასოფლელიც აქ დაბინავდება, ამ ყურუმ არემიდამოში, და კიდევ მრავალი გულისწამღები მოფასი, ხანდაზმულნი თუ ძუძუთა — ბახვა ელიავას პირმშო, წავლენ, წარიტანენ გულის ნაწილს, გამშობლიურდებიან საუკუნო სავანეში. მარმარილოს თავსასთუმალზე მიასვენებენ დაღლილ-დაქანცულ სხეულებს თუ ნაკადულივით მოჩუხჩუხე სიცოცხლეს.

მამლები კი ყივიან. ბუხრებიდან ძველებურად ამოდის კვამლი. ძაღლები ღავღავებენ. ველოსიპედები დავიწყებას მიეცემა. ავტომობილები მოგროვდება ოტობაიის მოასფალტებულ გზებზე.

ახლა თეთრეულს უშფოთველად გამოფენენ აივანზე ქალები. მტვრის ფენილების მზე ჩაესვენება, მხოლოდ აფავებულ ალუბლებს და ტყემლებს შერჩებიან ისინი წარსულის მონუმენტად და კიდევ — სისხამის ჯანღებს ძვალ-რბილამდე რომ შეანოტიოებს ხოლმე თხილის ქვექვერია ბუჩქებს და ბოლოს უმთავრესს — შემოქმედის სულს, რომელიც დღენიადაგ რაღაც ხელშესახების დასაპყრობად შესჩენია თვალშეუდგამ სივრცეებს თუ ყურისძირას მოჩქაფუნე წუთისოფელს.

ბორჯი მეოთხე

საქართველო ნამყენ ხესა ხგავს, რომლის საძირე კოლხეთია, ხოლო კვირტი— ქართი — ამერ-იმერი ჩვენი.

უერთმანეთოდ ამ ორ ეთნოსს არსებობა არ უწერია, პირველის ცხოველმყოფელობა ზეცისკენ მიასწრაფებსმეორეს, თუმცა ამის თაობაზე უფრო გამოწვლილვით ვიმსჯელებთ ქვემორე.

ახლა კი ისევ ჩვენს ორღობეებს მივუბრუნდეთ, ჩვენს გაჭირვებებს და სიხარულთ, ცრემლის მომგვრელთ ორივე შემთხვევაში.

ოქროს თუ ვერცხლის მედლის მოსახელთებლად თვით დედაჩემის ორანი და შიშიც უძლური აღმოჩნდება, ვინაიდან მათემატიკის ტურში ლოგარითმული ამოცანის ამოხსნის ნაცვლად არშინიან სატირულ ლექსს გავაშანშალებ მიკერძოებულ ოლიმპიადაზე გალში და დავრჩები უჩინმედლოდ, თუმცა სავსებით წარჩინებული — ფრიადოსანი; აკორდეონის, გიტარის, კრივის ხელთათმანებისა და უკარება შეფარებულების მეპატრონე, წინ მომლოდინე ქარიბდასა და სცილას სრუტით, იგივე საწუთროთი, დღენიადაგ ქვიშის საათივით რომ ჩამოგმარცვლავს და ხელისგამწოდებელიც ნაკლებად გამობრწყინდება საადამიანოში; მაგრამ, რადგანაც ვალდებული ხარ ათრიო წარმავალი სხეული სამნათობო საქმეთათვის, ვინაიდან მოწადინებული ხარ აჯობო საკუთარ გულნამცეცობას მარადისის სახელით, მოჭიმულ-მოშვებული ერთდროულად მიემართები გაურკვევლობისაკენ და გეიმედება: საბედნიეროდ მარტო არა ხარ.

უკვე გელენახე უნივერსიტეტში ვერ მმფარველობს „სოფლელ ბაღანას"და ჩემს ჩათვლის წიგნაკში მიყოლებით ჩამწკრივდება „კარგები" და „დამაკმაყოფილებლები" ეული „ფრიადების" გვერდით.

მალე მამაც გარდამეცვლება. ესეც აღმართში მოწეული ქვა.

უნივერსიტეტის წლებიდან ლიტერატურული საღამოები მომყვება.

მახსოვს, ჩემი ლექსების პირველ საჯარო განხილვას კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი ხელმძღვანელობს. წასაკითხ ლექსებში რატომღაც გვერდიგვერდ აღმოჩნდება ორი მინიატურა — „წვიმა" და „ქოლგა". აქამდე მთვლემარე ალბინოსი მეტრი უცებ გამოცოცხლდება:

— შენ რა გიჭირს, ძამია, წვიმაში ქოლგა გქონია, ეს ჩვენ ვიკითხოთ თორემო, — ბრძანებს. ქვეტექსტი ისედაც ნათელია და ირონიით თავმოყვარეობა შელახული კათედრას მივატოვებ, აუდიტორიასაც; დავკუჭავ იმწამამდე ლამის შედევრებად შერაცხულ ავლადიდებას და აბოლებულ სანაგვე ყუთში ვდურთავ.

ლექსებს მერეც ვწერდი და ვწერ. ესეც ცალკე საუბრის თემაა. დავსძენ იმას, რომ ჩემს სტრიქონებს ხელოვნურობის ელფერი დახკრავდა ყოველთვის. არადა, რატომღაც მწამდა უსათუოდ შევქმნიდი ფასეულს.

მოგვიანებით ვხვდები, უმთავრესი მიზეზი ჩემი პოეზიის არაბუნებრიობისა ენობრივი ბარიერია.

ჩვენ, სამეგრელოში დაბადებულებს და გაზრდილთ, სულმუდამ გვიძნელდებოდა გულისნადების

პოეტური ენით გამოხატვა, ცხადია, ვგულისხმობ სალიტერატურო ქართულს.

ვკითხულობ ტერენტის, ჩიქოვანს, საჯაიას, დიდ კონსტანტინეს და ვააშკარავებ, რომ პოეზია ნასწავლი ენით თავისუფლად ვერ ნავარდობს. იმჟამინდელ სამეგრელოში კი მშობლიური ქართული ჯერაც ძუძუენად არ აღიქმება. მხოლოდ გაკვეთილებზე ვსაუბრობთ ქართულად, დანარჩენ დროს მთელი სამეგრელო მეგრულად ფუსფუსებს შინ თუ გარეთ, მეგრულად აზროვნებს, მეგრული კონსტრუქციის წინადადებებს პირდაპირ თარგმნის მეტყველებისას და დედაქალაქში უმეტესწილად მასხარავდება რბილი ,,ლას''-ების გამო.

ჩემი კუთხის უკუღმართი ბედისწერა დამღასავით მეც თან დამყვება წლების მანძილზე და ბუნებრივია, სწორედ ეს მიბიძგებს ლექსების წერა მეგრულად დავიწყო.

ახლა იმ ლექსებს აქა-იქ მღერიან კიდეც, მაგრამ საქართველოს გათიშვის ფასად მოპოვებული დიდება პროვანსელი მისტრალისაგან განსხვავებით ხელს არ მაძლევს და ჭირთათმენით როგორღაც დავიურვებ ცთუნებულ სულს. ისე, იმ ლექსების ადეკვატური გადმოქართულება თუ კი ოდესმე მომიხერხდება, მიმიხვდება მრავალტანჯული სამშობლო, როგორი გენია-ცეცხლი მიბარბანჯებდა გულში თურმე, რა მდუღარე მითუთქავდა სულს, რა ხალასია ძუძუენაზე ვაჟაისაებრ დაქვითინებული, ან კიდევ რანაირ საუნჯე-სალაროზე მითქვამს უარი ნებაყოფლობით.

გვიჭირს. ობლობა. დედა ბაზარში ხუთფუთიანი სიმინდის ფქვილის ტომრებით. ზამთარში ჩალის ფასად გაყიდული მომავალი შემოდგომის თხილის გროშები. ამის დიდოსტატი ამირან ხუფენიაა. ხუთივე და-ძმა მეურნეობის ფართობებში კომბოსტოს ჩითილების დასარგავად. მონური შრომა უფროსი ძმის უძღები მადისთვის.

ფოსტაში ოცმანეთიან კაცად მცნობენ. დედამ იცის ჩემი დარდიმანდული ხასიათი, ჩემი ხარიხარალობა. აკი, ქაქალინოსაც მეძახიან ნათესაობაში, და ფულს ამიტომაც მიგზავნის დანაწევრებით.

პრეფერანსსა და პოკერში ყისმათიანი რომ ვყოფილიყავი შრომის გზას ნამდვილად არ დავადგებოდი. გამოსავალიც გამოჩნდება. რკინიგზის სადგურში ქვანახშირით დატვირთულ ვაგონებს ვცლით სამოც-სამოც მანეთად ორნი, ლექციაზე კი წარამარა მეთვლიმება და ჯგუფელების ქირქილი წამომათარანებს ხოლმე.

კურსზე ნამდვილ ,,ფილოსოფოსებთან'' ვხვდები. ისინი წამადაუწუმ მაღალ მატერიებზე მსჯელობენ. სულ ჰეგელის, ხაიდეგერის, შოპენხაუერის ხსენებაში არიან. გადაკარგვა მინდება ცოდნის ვეშაპებში ჩავარდნილს, თუმცა იგივე ლაყბობა-მასლაათი გრძელდება მომდევნო წლებშიც და როცა ერთხელ ხეგელზე კამათისას, აბსოლუტურ გონს, დიალექტიკას, ტრიადასა და მისთანანს ვახსენებ, თვალებს დააჭყიტენ. გაირკვევა, რომ იმ ჩემი ცოდვით სავსეებს, სახელებიღა ცოდნიათ ცნობიერების ამ მართლაც გიგანტი მკვლევარებისა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო ამაზე ითქმის, ვინაიდან უნებლიეთ ზერელობას გადამარჩენენ; რადგანაც ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სკოლაში ჭირივით მოძულებული ბიოლოგია არსებითად განსაზღვრავს ჩემს შემოქმედებით პალიტრას — რომან-ტრიადა ესე უამრავი ვარიანტისა და რამოდენიმე ასეული სპეციალური ლიტერატურიმს დასინთეზების შედეგია.

უნივერსიტეტში კუნტრუში სწრაფად ჩაივლის და იწყება დიდი უსახსრობისა და უპერსპექტივობის წლები; უნუგეშობის, უსაშველობის ნაღველნარევი განცდა; ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში კარების ჯახუნი, უმიზნო ხეტიალი ჯერ საქართველოს კუთხე-კუნჭულებში, მერმე — მის ფარგლებს გარეთ: ბუხარა, სამარყანდი, კუმისი და ყაყჩოსმიერი ხალუცინაციები; ბალტიისპირეთი, ნევის პროსპექტი, კიევი, მოსკოვი, ტიუმენის ყინვა და ჭირხლი, ლუკმაპური ტყისმჭრელებთან და მებადურებთან.

ცოტაც და ჩემს არსებობას მიზანსწრაფულობა დაეზურგისქარება — მწერალთა კავშირი მშობლიურ კოლხეთში გამგზავნის შემოქმედებითი მივლინებით. იქ, განუმეორებელ ზუგდიდში, ქველმოქმედებიც გამომიჩნდებიან და ჩემი ცხოვრებაც მოჩხუბარიძის ყისმათს დაეტყუპისცალებაგარკვეულწილად.

ბუნება, ხელუხლებელი სივრცეები, კეთილი მწყემსები: იპო ფაჟა, ნუგო ბიჭია, ვალიკო ფიფია, მოტორიანი ნავი, ლერწმოვანები და ნამდვილი ტყაჩუ* იროდი სართანია; ქაღალდი და საწერ-კალამი, ყურადღება, ენითუთქმელი ყურადღება.

ტრიადა გამიჯანჯლდება. დედა წუწუნს უხშირებს. ხელმოცარული შვილის თვალთვალს, ცხადია, როგორც უმეტეს მშობელს, სავარძლიანი, ბინიანი, დაწვრილშვილებული მემკვიდრის სუფევა ურჩევნია. ერთხელაც მკვახედ მომახლის:

— ეტყობა მწერლობის ნიჭი არ მოუმადლია შენთვის მამაზეციერს. გირჩევდი ექიმობას, მაგრამ არ ინებე! შენი წამების შემხედვარეს მეტის მოთმენა არ შემიძლია. წადი, დედაქალაქში და მუშაობა დაიწყო, — წამში წყალში ჩავუყრი ამაგს ნაჯაფარ დედას. შევკრავ ხელნაწერებს, ზუგდიდის შალვა

დადიანის სახელობის თეატრის დირექტორის, ცხონებული ალექსანდრე □საშა) ეგუტიას ნაჩუქარ საბეჭდ მანქანას და თბილისს მოვაშურებ.

ოცი მანეთით გამოვესწრაფები შინიდან. ათი მანეთი გზაში დამეხარჯება, ხოლო მეორე ათით როგორ ვივაგლახებ სტუდქალაქში მთელი ასერგასი დღე, სხვა დროისათვის შემოვინახოთ სათქმელად: ორთქლზე დალბობილი პური და ჩაი, სტუდენტების მოსაკითხი, გულწრფელი ცნობისმოყვარეობა და თანადგომა. ,,ცისკარში'' ,,სიცოცხლემისჯილის'' პირველი წიგნის საჟურნალო ვარიანტის გამოქვეყნებაც უკიდურესი ხელმოკლეობის ნაყოფია. მაინც ვებრძვი სიტყვას, ჯიუტად მივუყვები ერთხელ არჩეულ გზას, რომლის კვალობაზე ჩემი კოლხეთის, ჩემი საფიცარი საქართველოს ორმოცსაუოვანი ისტორიის ზნეობრივი მატიანეს განხორციელება დამისახავს მიზნად. ასე გაიყრება მერამდენედ ჩვენი ბილიკები, რათა კვლავ ვპოვოთ ერთმანეთი, მერამდენედ აღმოვაჩინოთ ერთურთში დანაღმული საგანძურები. უენგურობით მოძალებულ სევდას კი ვერაფერი გამინელებს, ვერც — მტკვრის დუდუნი, ვერც — მთაწმინდის მთვარე და ვეღარც — სულმნათ ადამიანებთან გაბაასება საქართველოს უმაღლეს პანთეონზე.

სიყრმისეული დიალოგი ისევ გრძელდება ჩემსა და ენგურ-მდინარეს შორის, ძილშია ეს თუ ღვიძილში. იკინძება ენგურჰესის კაშხალთან დაკავშირებული მასალები. უბრალო ინფორმაციასაც არ ვუშვებ ხელიდან, ამოვჭრი და სათუთად ვინახავ. ვიხელთებ მერმე დროს, მოხერხებულ ალაგას მოვკალათდები და შორიდან გავესაუბრები მშობელ-მდინარეს. ერთხელ მე ხომ იგი მთლად გადაქათქათებული მესიზმრება დედის რძით სავსე, წამოდუღებული თანაც, ნაპირებს რომ აწყდება. ხოდა, მივძალებივართ ამ უკვდავ წყაროს ორივე ხაბოდან მე და ძუძუმტე: აბა, რომელი დავასწრებთ ამოხვრეპას, მაგრამ ჩვენი გულმოდგინე მეცადინეობა-ჯიბრი უსუსურია; რაც მეტს ეწაფები, უფრორე ბევრდება და ზავთდება ტირიფიანი უბეების ასაწიოკებლად.

დღითი დღე იზრდება ენგურხესის დოსიე, როგორც ღვიძლი მდინარის სიკვდილში მამხილებელი უტყუარი საბუთი.

წელიწადში ორ-სამჯერ მშობლიური სოფლისაკენ გადმოხვეწილი, ბორნით გადავცურავ საყვარელ ენგურს, გავხედავ თვალსა და ხელს შუა მოღონიერებულ ოტობაიას.

— რაც აქ რკინა-ბეტონია, სულ კაშხალის მშენებლობიდანაა დაცინცლული. ხომ ხედავ სურამის ციხესავით როგორ ჭიანურდება შენი მოთოკვა?! — ვეჩურჩულები მდინარეს ნოჩო თაკალანძეს სიტყვებით.

ხანდახან გამამართლებელ სამხილად წინამორბედი მწერლის, ნოდარ წულეისკირის მოქალაქეობრივ პოზიციასაც შემოვიშველიებ, რომელიც შრომის გრანდიოზულ რიტმს მსხვერპლად შესწირავს ორი უმწიკვლო ახალგაზრდის, ზესნახესა და ბუძგურიას უმანკო სიყვარულს და ამით მორალურ საფუძველს გამოაცლის ნებისმიერი რეზონანსის მშენებლობას, თუკი იგი ზოგადკაცობრიულ ინტერესებს უპირისპირდება.

იქ, სადაც ადამიანური განზომილებები, ფასეულობანი მარცხდება, რკინა-ბეტონის ზეიმი აბსურდიაო, იკითხება ნოდარ წულეისკირის რომანის მორალიდან და მეც იმ სირაქლემასავით ვმშვიდდები, აშკარა საფრთხე რომ მოსდგომია კარზე, მაგრამ დიდის მოხერხებულობის წყალობით თავი ქვიშაში უდურთავს.

ამ ადრიან გაზაფხულზე გაზეთები დაუჯერებელ ამბავს მაუწყებენ, გამენდობიან, რომ ენგურს ძველ კალაპოტში დინება შეუწყვეტია და ამიერიდან გალის რაიონში გაჭრილი არხით გაიკვლევს გზას შავი ზღვისკენ.

ვგრძნობ, რაღაც მშობლიური, რაღაც მახლობელი წამერთმევა ერთხელ და სამუდამოდ, მაგრამ იხტიბარს მაინც არ ვიტეხ, ვერ ველევი სულზე ძვირფასსა და სანატრელს. დაახლოებით ამგვარი გრძნობებით შეპყრობილი მივადგები ორსანტიიდან დედა-მდინარეს.

ჩემს სულს ამაზრზენად აშმორებული სივრცე და სანახები მოეყრდნობა სავალალოდ.

ენგურის ორდინარი უხმლო ქარქაშივით აგდია.

წარმოსახვა ვერ აღავსებს ნაკლულ ნაპირებს, გონებას ეუძლურება დანაცრული-დაშრეტილის ფენიქსივით მკვდრეთით აღდგენა, სამაგიეროდ გაოცება იფეთქებს ჩემში, გაოცება და ცრემლის კრიალოსნები.

ალაგ-ალაგ დაგუბებულ მდინარეს ფერადი ზოლივით გასდევს ფაბრიკა-ქარხნების გადმონთხეული დორბლი და დარდუბალა.

გაღმა ნაპირზე დარიყული ბორანი არვეს გაუვსია.

უკაცრიელობა, უთვისტომობა მოერევა ჩემს ნებისყოფას...

იმ დღიდან მოყოლებული შურისძიებით აღივსება ჩემი არსება.

სამსახურს დავაგდებ. ზუგდიდის რაიონის ზღვისპირა ჭაობნარში, ჭურიის მწყემსებში გავერევი. საუკუნეს მიტანებულ მეტყვეს, იროდი სართანიას დავუძმაკაცდები.

ჩავუჯდები დავიწყების მტვერმოყრილ მითებს, არქივის სიყვითლე გამჯდარ მასალებს, რათა ,,უნიკალურ, უბადლო თაღოვან კაშხალს'' რაღაც მატერიალური, სულიერი განზომილება დავუპირისპირო.

ტრიადა ,,სიცოცხლემისჯილების'' პირველი წიგნი როგორღაც გასრულდება. აქ სამი თაობის ადამიანების გვერდით ბინდისფრად რბის ენგური; ებრძვის ნაპირებს, არღვევს დამბებს, ჯებირებსა და გაბაონებს, ატრიალებს წისქვილებს, ანოყივრებს სახნავებს, აწიოკებს ფრინველ-პირუტყვს, რათა ძეხორციელმა სიფრთხილე არ დახკარგოს, არ მოდუნდეს, არ გადაჯიშდეს, თუმცა საბოლოოდ იქამდე მიკნინდება, იქამდე მისაბრალოვდება იგი, რომ კოჭლი ჭოფია ანთარიას ბორნის თრევაც გაუძნელდება.

ასე და ამგვარად დასრულდება მისოუსტის მომტაცებელი სტიქიის ქვემო დინების სევდანარევი ისტორია;

ამგვარად დაირიყება მის ფსკერზე ბორნებიცა და არაბიას ფაფარსწაბღაუჭებული წარსულიც; ასე მინებდება იგი ,,ინდუსტრიული საქართველოს მხურვალე მაჯისცემას''; ასე გაპარტახდება ჩვენი უმწიკვლო, უანგარო მეგობრობა.

,,პეტრეს პარონი'' გაუქმებულია. ხიდისთვის თანადროულად იჩალიჩებენ ოტობიაელები, მაგრამ ამჟამად გარემოება მაიძულებს გზა ოციოდე კილომეტრით გავიბევრო, განმუხურის რკინის ხიდით შემოვუარო ჩემს სამკვიდრობელს, ოდაბადეს ჩემსას, მექას და ოაზისს ჩემი სიტყვიერებისას.

განზე მრჩება მდინარის უშველებელი, საწნახელივით გავეშებული ტანი. განვერიდები ორსანტიას, დედისიანების საუფლოს, საგელენაოს; განველტვი კოკს, საუკუნოვან ნალიმას და გივი ესართიას მითხოვებულ მამიდაშვილ ციალა ჯაბუას საცხოვრისს; გვერდს ავუქცევ ახალ კახათში დაფუძნებულ სისხლხორცთ — გოგიჩაიშვილებისა და ჯალაღონიების საბრძანისს.

მაკვარანცხა ლუარა ბიძაშვილად მერგება. განმუხერელია, ფილოლოგი, აბელის ასული, ეთერ დეის ძმისშვილი, ბებია მარის თარგი ფესვი. ფიჩორში მასწავლებლად ჩამოსულა.

ზამთრისპირია. ოტობაიადან ბაბუა თომას საუფლოსკენ მივაცილებ. მთვარე ჭიოტებს ზემორე და ავყია ძაღლების წამოშლილი ლანდები აქა-იქ ჭინჭარზე უმწვავესად იკბინებიან.

ლუარამ ხუთი თითივით იცის ჩემი გატაცებანი და შეუფერხებლად მაქაქანებს, ოღონდაც რამენაირად შემოკლდეს ცხრაკილომეტრიანი თემშარა და მათხოჯი სტრიქონი უფლისწულად შეფასებულა.

ვახშმობის მიწურულს ჩავაღწევთ ბორსუს უბანში ძაღლების ასაგნიასებლად და ქანდარაზე შემომსხდარი ქათმების ასაკრიახებლად.

— სასაფლაოსთან გამაფრთხილეო,— მეხვეწებოდა ლუარა. თოვლს მივაჭრაჭუნებთ. ხელმარცხნივ ამოვდგომივარ თვისტომს და მივერეკები კოჭლი მერნებითა და ჯაგლაგა როსინანტებით.

შენგელიების სამოსახლოებს რომ გავუთანასწორდებით, ალექსანდრე ბერიშვილის, ამ ცალფეხა დევგმირის (ნებისმიერ ჯანსრულ ადამიანზე უკეთ რომ ჩაგრაგნის ღობეებს თხმელის წკნელით), მოსახვევთან შეყოვნებულს, კვლავ ჩამეკითხება ბიძაშვილი ლუარა:

— ვხედავ, მოვედით, მაგრამ სასაფლაო? სასაფლაო სადღაა?

— საუბარში გამოგავიწყე! — ვუცინი და აქედან მოყოლებული სამუდამოდ ვმეგობრდებით.

მისი გაბედნიერებაც თომა ბაბუას წყალობაა. ეთერ დეისა და ნაპო ბიძიას შეუღლებაზე მომიხსენებია. აწ სიკვდილის პირას მისული ნაბოლარა ამბროსის ანდერძად უტოვებს:

— უკან მომდევნებოდეს ყველა, ვინაც ლუარასა და ბორისის ერთად ყოფნას ხელს შეუშლისო, — დაიბარებს და რომელი გაბედავს აღუსრულებლობას?

ბორის გოგიჩაიშვილი, როგორც ჩვენში იტყვიან, ყვაფიჩალია, ბაბუა თომას დის შვილისშვილი; ლუარა — ბებია მარის ძმისა. ორივე მენათესავება ტრადიციისამებრ და ერთხელაც ახალკახათში ახლობელ ადამიანებს წვეული გაჩაღებულ ბუხართან რომ გავლაღდები, დალოცვისას სიძეს ვუწოდებ ბორისს, რითაც გვარიანად გავანაწყენებ ლუარაზე არანაკლებ მოყვასს, თუმცა ახლა, მშობლიური ოტობაიისკენ დამიზნებულს, აღარ მცალია გოგიჩაიშვილებთან ჩამოსახდომად; არც დარჩელელ თოდუებს და ყორშიებს ვსტუმრობ — ბებია მარის დისშვილებს, თუმცა მანქანა სახალტუროზეა გამოჭერილი ავტოინსპექტორ სერგო როგავას მიერ და სადღეღამისოდ ნაბოძები.

დარჩელის გადასახვევთან დედაბერს წამოვეწევი. ტროტუარზე მიდგება მკვლავდაძაგრული მანდილოსანი. უკანა კარს გამოვუღებ, შემოვიპატიჟებ და ხელის ერთი მოსმით ძუბა ჭანიას პროტოტიპსაც წავაწყდები პელაგია მიქახეს რეალობით.

ცისფერთვალებაა, დაღარული სახე — როდენის ნაოსტატარი. კოპლებიანი მანდილი გვაუწყებს, რომ მწუხარება დაღვინებულა მის გულში და ქუსლში ჩარჩენილი ეკალივით დღემდე ფეთქავს შვილიშვილების ჟრიამულის ფონზე, მაგრამ მეტ სითეთრეს არ გაიკარებს ის ლეჩაქი, რამეთუ ტერენტისა არ იყოს, შავეთით იქამდე გაჯერებულა, ისეთი წკვარამიდან მოაბიჯებს, რომ ძლივს ღამემდე მოღწეულა; და რადგანაც ერთხელ შემომიკედლებია უგასამრჯელო მანქანაში, მისი გზასავალით — განმუხურით შემოვდივარ ოტაბაიაში; და ვინაიდან ჩემი ბედისწერაც ცაშია გადაწყვეტილი ცაბაოთისაგან, მიმოზა გელენახეს, ამბროსის ერთ-ერთი წითური ასულის, დედამთილი შემრჩება ხელთ, გულმართალი კუკურის დედა, სოფრომისგან ოცი წლის ასაკში სამი ბაბაღუათი დაქვრივებული პელაგია მიქახე.

სხვა რა ჩარაა, ვგრძნობ გვარიან ხანს ვერაფრით გავცდები მის მაგნიტურ არეს; ჯალაღონიებთანაც მომიწევს დაყოვნება, რამეთუ უკადრისობაში ჩამომერთმევა ხუფენიებთან ნასტუმრები მშობლიური კერიისკენ უჩუმრად გავიპარო.

ქარზე უკეთ ვინ უწყის გაფრენილი ფოთლების მისამართები? სად დაანეშოებს სადაურს, რომელ ნაკადულს მოუფრესკავს ფსკერთა?! არის მათში ცისკენ წაწეულიც.

დედაზე უკეთ ვის ეცნაუროს შვილის ნაბიჯების ჩქამი?!

აი, აქ, ამ ალაგესთან გაიმაგრეს მუხლი მისმა ბოკვერმა თუ ასულებმა; აი, აქ, ამ ანწლისა და ჭინჭრის გვერდით. მერმე როგორ გაფართოვდა გზა იგი?! როგორ აიზვირთა და გაიმრავლა მგზავრი? როგორ იქცა შიშველი ტერფების ტყაპუნი მტკიცე ნაბიჯების ხმად? განუწყვეტლივ ფეთქავს ეს ტუკტუკი დიდი ქალაქების გუგუნში. აყურადებს მშობელი, მისით იგებს შვილის საწუხარს თუ სასიხარულოს და ფარვანასავით უფართქალებს გული. ზოგჯერ მზერა გაუშტერდება ჭიშკრის მიღმა, შარაწვრილისკენ.

მისი თვალებმოჩრდილული სილუეტი ახლობელია ყველასთვის, ვინც ორიოდე ზაფხულით მაინც მოშორებია მშობლიურ ფუძეს და ახოვანი თუთის ხის ძირას ამოფეთქილი ბაო მონატრებია. დედას კი, შვილის მოლოდინით თვალებამოღამებულ დედას, ნიავის ყოველი გაფაჩუნება შეწკვარამებულ სარკმელს მიაცივებს... ეგ რაღა ამოსაცნობია?! განარჯიის მუხურულ თუ ოტობაიელ დედებს, ეს საკვნესელი ულრღნით გულს. აქაური ახალგაზრდების ერთმა ნაწილმაც ხომ დიდ ქალაქებს შეაფარა თავი ამბროსისიანებისა არ იყოს. დაივიწყა მშობლიური ნანინა, მადლი მიწისა და ცისა. შემოდგომითღა მიაშურებენ კერიას, როცა ხოჯითხილა და დედოფლისთითა დაბერტყილია; როცა ფინიკიური ლეღვი მოდუღებულია, მავთულებზეა გაფენილი ტკბილისკვერებად; როცა სიმინდი შეტეხილია და ბეღელში შეზიდულა; როცა საგვირგვინო დაფნას მზრუნველობით დააბინავებს კოლხი მედეას შთამომავალი.

ისინი კი, ვინც ყოველდღიურ გარჯასთან, თავიანთ უმწიკვლო სინდისის მეზობლად დარჩნენ თენგიზ ფეტელასავით, უპატრონოდ მიტოვებული დედების ეზოებშიც შეიხედავენ ხშირად. ხან შეშას დაუჩეხენ, ხანაც წყალს მოურბენინებენ მოშორებული ჭიდან; აქა-იქ კიბეს შეუკეთებენ და იშვიათად გაბზარულ გულს მოუფონებენ ჭეშმარიტი მემკვიდრის კვალობაზე.ჰოდა, ქვეითად აედევნები მოდუდუნე ენგურის ნაპირებს, რომლის სიკამკამეში ვარსკვლავებივით ჩაკინძულან საუკუნოვანი ლოდები და თვალჭყტია კენჭები; თუკი შეუწყობ ფეხს მის სრბოლას და მაჯისცემას, თუკი გაგემეტება წუთი მის სიგრილეში შესაცურებლად, თუკი აქოჩრილი ძეწნების და გადაჭადრული ხაბოების სულისმოსაბრუნებელ ნიავს ესანდომები, აქვე — შამბიანის გავლით გემშობლიურა ნეტარ კორტოხი ყოველი, შენი წარმოსახვაც უსათუოდ აჩქარდება, მკითხველო, ჩემო, მურყანების ხერხემლიანი ტყეებით მოზღუდული დობადონასკენ, იგივე ოდაბადე-ობადიშისკენ, გნებავთ — ციბედულისკენ, ლარდასკენ თუ მემლექეთისკენ სვანურ-აჭარულად, იმ თავდაპირველი საწყისისაკენ, წყალში ჩავარდნილი კენჭისმიერი რგოლივით რომ ვრცელდება უკიდურესი ნაპირებისკენ, იგივე ოტობაიასკენ, რადგანაც დაუსაბამოდ გეყავარჯნება უმეტყველო მელოდიები ამ უანკარესი დინებისა.

სამხრეთით ათიოდე კილომეტრით მოყრდნობია კუნთხოტობაიას დედა-ენგურის ხატაურები. მერმე განმუხურია, განარჯიის მუხური; ეს მიჯნები ტრიალი მინდვრებით მიაბოტებენ ნაკარღალისკენ, ფიჩორის სანახებისკენ. შემდგომ ზღვაა, ფარღალალა და ხაეროვანი: ჯუჯა კაქტუსები, ქვიშროვანები, წვერნემსა ჭილები ბუჩქურად შეკონილი, დათითოვებული, ქორფა ნაყოფშემოჭმული კამეჩების ჯოგისგან, და კიდევ— ხაიები, ლანცეტა ფოთლებით, კოკორინების გაუთავებელი ყიპყიპით ზამთრობით, სადაც თოლიების შეუსვენებელი ფარფატია ბოღაზსა და პოსეიდონის გადალურჯებულ ნახნავებში; ზღვისპირას გალარული ტელეგრაფის მავთულების ზუზუნია, ახორხილი ალიანჩალიანი ნაფოტნაგავისა, ლაქვათივით დამჩატებულის და მარილის სუნდაკურულის, რომლის წიაღში სილით ამოგლესილი ალისყურებია, პეშვისოდენა ნიჟარები, ზოგჯერ საღი, და ხანაც — მღელვარების ჟამს დაჩეჩ-

ქვილი, დამსხვრეული სრულებით.

გაგიდა ტყისა და ეკალ-ღიჭის ნაჯვარია, მინჯორაიების მინდვრებამდე. მოსახლეობა მაინც გზისპირისკენ შექუჩებულა, როგორც ყარყარა ყელზე მარგალიტების ასხმულა. პერიფერიები თხილნარებსა და ახალულ ნასიმინდრებს მოუხელთებიათ. მჟავე, ძორგო მიწები გატყლარჭულა ჩრდილოაღმოსავლეთით ნაბაკევისკენ, სადაც მომცრო საზღვრად შვერნიკის უბადრუკობაა. გაავლებ წარმოსახვით წრფეებს კვლავაც სამხრეთისკენ და ხურჩის მეზობლობის წვეტებით ენისთვის გამოუთქმელი გეომეტრიული სხეული აილანძება, რომლისთვისაც უცხოა წრეწირის კეთილშობილობა, მისი უკვდავი ფორმულა — Pi = 3, 14. არც რომბებისა და კვადრატების, აღარც სექსტოგრამებისა და ტრაპეციების კანონზომიერებას ემორჩილება ჩემი შურობუმუ-ოტობაიას კონფიგურაცია, თუმცა იგი ხელშეუვალი მუყაითობით მკვიდრობს აბსტრაქტულ გალავნებში და ბიჯსაც არ იზამს სამნებიდან. ასე რომ, თამამად შემეძლება შემდგომ განვაცხადო: რუსეთი ოტობაიის ჩრდილოეთ პროვინციაა-მეთქი, ჩინეთი — აღმოსავლეთი, თურქეთი, ირანი-ამერიკა-აფრიკა — სამხრეთი და კიდევ დასავლეთი — ევროკავშირი მთელი.

ჩვენ შეღამებამდე ვეცდებით ჩავაღწიოთ შურობუმუ-ოტობაიამდე, ქვეყანაც რომ დაიქცეს, რამენაირად დავუსხლტებით პელაგია მიქახეს დედობრივ მადლს. ჯალაღონიების თავგადაკლულ მასპინძლობასაც მოვიგერიებთ შეძლებისდაგვარად. კუნთხოტობაიელების უშურველ პურ-მარილსაც შევიტკბობთ ზომისად. თვალს გავუსწორებთ საუკუნოვან სასაფლაოს ოტობაიას შუაგულში, წამიერდ მივეფერებით მიხფეს, ნაპო ბიძიას დაღვრემილ სამფლობელოს, ხერიკო პაპასქუას ოქროცურვილ სამკვიდრობელს და ომმოხდილი მეომარივით ჩამოვხდებით ვალებით მოხრილი, ნაცხვაბარა გელენახეს გატყვებულ არე-მიდამოში.

ამჯერად კი კოლხური ჟინჟლიანი ნისლების თრთოლა გადამდებია, მათი მკლავებიღა მაკლია, რათა ერთჯეროვნებით ჩავეკონო ყველა ეზოს, ჩუქურთმებიან აივნებს თუ მუჭისტოლა ჯარგვალიებს: თითქოს იისფერი სიზმრებიდან მიხმობდეს ქვეყნის მარჩენალი, მასპინძელი ჩემი. იქ დავახანებ, იმ ქვექვერია ოდა-სახლის არილში. ბომბორას წაყფფებას აუცაცხანდება პელაგია მიქახე. სამზადისკენ მიფრატუნებს დედაბერი, თანაც გამყივანი ხმით გასძახებს მეზობლებს:

— შურა! თინა! ვანო! ხუნტულიიი!

მიმქრალ ბუხარს მალე დაებერება ფილტვი, მალე ამოიდგამს ენას ცეცხლზე შემოდგმული ქვაბები.

— ნუ გერიდება შვილო, ნამგზავრი ხარ, — მუხლებზე დაწყობილ დამჭკნარ ხელებს დროდადრო გაატოკებს დიასახლისი, რათა ცოტათი მომიახლოვოს სახელდახელოდ გახაზირებული საუზმე, — მიირთვი, თოლიგე, თამაზისა და მატიას დეიდაშვილი ხარ. სტუმარი და მასპინძელი ვინ გაგვყო, განა ღვთისშვილნი არა ვართ?!— ამოიოხრებს ერთს, თითქოს ელვისებრ გაკვესებულ სიყრმის სურათებს ჩაექროლოს მეყსეულად, — თუთის არაყია, ჩემს ქმარს უყვარდა ცხონებულს. არც კუკური და შვილიშვილები წუნობენ. გაამოს ბუნების გამჩენმა ძალამ!

ამოუწურავია კოლხი მასპინძლის გული, თუ თითოეული კერძი არ გაუსინჯე, იწყენს, არ შეიმჩნევს კი...

— თქვენია ქვეყანა, შვილო, ჩვენი გაჭირვება და სიდუხჭირე გაშოროთ ღმერთმა! ოღონდ ეგაა, მეტი მოხედვა გვჭირდება დედებს, სოფელს, — ამბობს და დანაოჭებულ სახეზე ღიმილი გაუკრთება, როგორც კი ფუძეს ვუდღეგრძელებ, ჭერს ავუმაღლებ, ქონგურებთან მერცხლების მომლოდინე ბუდეებს დავულოცავ.

მზის ალმაცერ შუქზე, იმ ღიმილში, მაინც გაიელვებს თვალთაგან წამოგორებული კურცხალი. დამნაშავესავით მომაჩერდება, ლეჩაქის წვერს მიაშველებს მალულად.

— იქნება შეგაწყინეთ სტუმარი, მაგრამ იმ მერცხლებმა გამახსენეს თოლიგე, თუმცა რა დროსია, მოვესწრებით ოდესმე, — გააგრძელებს მისუსტებული ხმით. არ მოვეშვები, ვაფიცებ ჯალაბს და სასაუბროდ განვაწყობ.

— თექვსმეტი წლისა მომიტაცა ცხონებულმა, — ვგრძნობ წამისად რარიგად გადახკრავს სიწითლე, — შევეწყვეთ თითიქოს, დავწვრილშვილდით. ჩქარა ომიც დაიწყო...

ახლა მე ვერიდები მის ცრემლს, მინავლულ ცეცხლს მიშტერებული. ეს უიოლებს გულის ამოთქმას, იქნებ კიდეც გრძნობს ჩემი კითხვების მიზანს — რაც შეიძლება მეტი შევიტყო დიდი ტრადიციების მქონე კარის მეზობელი სოფლის ავანჩავანზე: რამ მოსწყვიტა ახალგაზრდობა კერიას, რამ გააუსაქმურა, რამ მიატოვებინა მშობლიური სახლი; დავანახო ქვეყნიერებას უმისო განმუხური თუ ოტობაია, სინაკლულე ჯეელებისა, რათა გონებადაუნჯებით მივაბრუნო სიყრმის უბოროტო დღეებისკენ, უკეთესი მერმისისკენ, სადაც მამია რატიას სამჭედლოსი არ იყოს, მიყოლებით იწრთობა დაფო-

ლადებული კვერ-სახნისი და ნამგალ-წალდუნა.

— იმ დღეს წვიმდა, — თითქოს ხმამაღლა ფიქრობს ქალი, — წვიმდა გამეტებით და კაბის კალთას ჩაბღაუჭებული პატარების ცრემლი ქრებოდა იმ თქარუნში. შლიდნენ, არღვევდნენ ჩვენს ძველისძველ ოდას. ბუხრის ყელი ჯერაც ბოლავდა, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებაო ოჯახს.

შედით მაინცო, სამზადში მაინც შედითო, მეხვეწებოდა სახლის ახალი პატრონი. მას ხომ თავიდან თვითონ ჩავუვარდი მუხლებში, ოღონდ ეყიდა, ოღონდ გავენთავისუფლე მევალეებისგან, ხანდახან შუაღამითაც რომ მომიკაკუნებდნენ სარკმელზე.

არ უძუნწია, არა! ვებრალებოდით, ზედმეტსაც გვიხდიდა, მაგრამ, იმწუთას ეტყობა სიკვდილი ერჩივნა ყველაფერს.

ფორიაქობდნენ თავგზააბნეული მერცხლები. მახსოვს, როგორი სიფაქიზით ჩამოხსნეს სარტყელი. ათიოდე ბუდეში ჭყლოპინებდნენ ყვითელნისკარტიანი ბარტყები.

ამათ ვერ წავიყვანო, თქვა მობუზულმა. ორკაპა სარებზე შეაყენებინა, გადაახურვინა სახლის კუთვნილი კრამიტით და დავრჩით ჩემი პატარები, მე, მერცხლები, დედაბოძი და სახლწართმეული სვეტები.

მიშლიდნენ მეზობლები ამ ნაბიჯს.

შეგიგროვებთო ფულს, მპირდებოდნენ. ამას რას გვიშვებიო განარჯიის მუხურელებს, ცოცხლად გვამარხვინებო პატარებს?! მაგრამ მეც სიმწარე მამჩატებდა... ეტყობა, დაგღალე, აპატიე დედაბერს, — წამოფრატუნდება, ფართე აივანზე გადმოდგება, ამაღლებული მანათობლის შუქზე მოიჩრდილავს და მობოხებული ხმით ისევ გასძახებს მეზობლებს:

— შურა! თინა! ვანო! ხუნტულიიი!

მერცხლების აბსტრაქტულ ჟღურტულს ავყვები. კაკლის ახოვანი ხეების მიღმა, უილაჯო მზიანეთში მოსჩანს აკვამლებული ბუხრები. მოგვიანებით რუებზე შემოდგმულ მუჭა წისქვილებსაც ვიხილავ გელენახესკენ მოსულსწრაფე, ხოლო თვალსაწიერზე რემათა მიმტაცებელი ნასვენი მინდვრებია.

ძროხების ზმუილია. ჩამოწველილი კამეჩები ნებიერად ყროყინებენ და მზრუნველობით სლექენ ცურმინებებულ ზაქებს. ფრუტუნებენ ცხენები. უგულოდ ღავღავებენ ძაღლები და ყივიან ქანდარიდან ჩამოშლილი, აცხადებული ალიონით გულმოცემული მამლები.

საჯალაღონიაოსკენ მოვქრივარ. მეგონას ბორანი ჟამთასვლას მიუთვლია.

ენგურის ქვემო წელში ხიდი ჯერჯერობით ხუთია — დაბა ჯვართან, ოცარცესთან, შამგონა-ოდაბადეში, ოტობაიასა და განმუხურში. აქედან უმეტესი სულ მალე აყირავდება, მაგრამ ამაზეც — მოგვიანებით.

ჯალაღონიების გვარი ძალისა და ღონეს კომპოზიტია. ძალა კამეჩსაც აქვს, ღონე კი მხოლოდ ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. ასე რომ, სტიქიურსა და გონიერ საწყისს აერთიანებენ ისინი საკვირველად.

ჯალაღონიებს საგვარეულო სასაფლაო გააჩნიათ, შემაღლებული ბორცვი — ნახუტურუ, ნაძვებით დაბურული, პრეისტორიული დიხაგუძბა. მომჭირნეობა და ხელგაშლილობა, შეტევა და დათმობა, ჯაფა და დასვენება, სიკვდილი და სიცოცხლე ჯალაღონიების უტყუარი სავიზიტო ბარათია. ამიტომაც ვინაც თანადროულად იალღოიანებს წუთისოფლის მათებურ გაგებას, უმალესად ეზიარება წარმატებებს სამსახურებრივ სარბიელზე.

ჩვენი სანათესაოსგან განსხვავებით ამ მოსაზრებას მათი ფესვების ყოველდღიურობაც ადასტურებს: ძუძუმტე ოთარ ხუფენიას, ოდიშელი თენგიზ ჯინჯოლავას, იგივე ჯინჯიბეის, გალელი გიმერ ბაგათელიას, ტამიშელი რიურიკ კაკუბავას წაღმართიანობას ჯალაღონიების სამყაროისეული ქმედება კვებავს ხელგაშლილად. მეც მათი ჯილაგისა ვარ, მაგრამ— მეოთხედით, დანარჩენი სამოცდათხუთმეტი პროცენტი ზეფირების კუთვნილებაა, საუკუნის მერმე რომ აღმოცენდება უკვდავებად გაჩხინკულ ჩონჩხზე, მივიწყებული საფლავიდან.

მაქსიმე ჯალაღონიამ მეფისდროინდელი ოფიცრის კვალობაზე ერთადერთი ვაჟიშვილი, აბელი, იარაღს შეათამამა, ამიტომაც გამოხყოლია ფოლადისებური გამოხედვა და ხასიათი.

გაიღიმებს და მარი ბებიას შუაზე გაყოფილი ბროლის წინა კბილები შემომანათებს. როგორ ინახავს ჯიში განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებს?!

ყველას დამზრდელი ცარო ჯალაღონხეც ამ ყაიდისაა, დებს, ძმისშვილებს და სამოხიოს გადაყოლილი, მესიაკონი ქალბატონი, რომელიც საკუთარ ოჯახზე უარს იტყვის და სხვათა ბედნიერებას ხელისგულს მიაფარებს სითბოს შესანარჩუნებლად.

შემომეხვევიან ჩემიანები. აბელისათვის მამიდის შვილიშვილი ვარ. ონერი და გოგისათვის სიძის დედისძმის მოთა. ექოსავით გრიალებს ჩემსა და ჩემს გარეთ ნათესაობის მირონ-მადლი, მაგრამ არა

ინდივიდის საზიანოდ, როგორც ეს დიდგვაროვნებს ემართებათ.

ყუდნათ შარაშიას ფიჩორიდან აბარგებაზე მომიხსენებია. ოტობაიას სკოლები და ქოხ-სამკითხველონი ანჩაბაძეების საკუთრებანი რომ გახლდათ, ისიც.

რკინის დროება მუსრს გაავლებს ამ ყირმიზსახიან და გოლიათ ხალხს. მათ მთვარესავით ქალბატონებს თუ ასულებს „პუტანკებად" აქცევს ჯარისკაცული ჩექმები ფალიკური აღვირახსნილობით, მაგრამ უკვდავი გენის გადაჯიშებას მაინც ვერ შეძლებს, ვეღარ მოახერხებს ბუნების კანონების რევოლუციურ გარდაქმნას, და დღესაც ანჩაბაძეთა, შერვაშიძეთა, ემუხვარების თუ მარშანიების ჩამომავლობა ალვასავით ატყორცნილი დაიარება დუნიაზე. მართალია, კანტიკუნტად, თუმცა ლომები ქოფაკთაგან განსხვავებით თითო-ოროლას შობენ და თანაც — მთვარისფერს, ან კიდევ — ნილოსისპირა თუ უდაბნოთა ქვიშნარების კოლორისას.

ბატონ-ყმობას ვიდრე კანონი ასაფუძვლინებს სამურზაყანოში, ამ დახვეწილი მოდგმის არსებობისათვის ხუმუსი ნოყიერია, თუმცა მეფის რუსეთის ლტოლვა მოსახლეობის ხუმანიზაციისაკენ, პლებსის არტახებში მოაქცევს საჯიშე ეგზემპლარებს საბედიანოისას და იწყება უნებლიე მიგრაციები სოფლებიდან დაბა-ქალაქებისკენ.

ასეული ურმით გადაინაცვლებს ანჩაბაძეების მკვიდრად ნაგები სასახლენი ოტობაიადან, ნაბაკევიდან, თაგილონიდან — გალისკენ, ოჩამჩირისკენ, სოხუმისკენ.

დარჩებიან შედარებით მოქნილები, თართაყანის მემკვიდრენი, პეტრე ანჩბეია — მოსახლეობისათვის ბეგარის ხუთი წლით ადრე მომხსნელი რეფორმამდე; გუთნებით, მედიკამენტებით, წიგნებით უგასამრჯებლოდ გადაგებული ხალხის სიდუხჭირეს.

ფორთო, ციცი, ბურღუ ანჩბეიხეები, რომელთა დასასურათებლად რენესანსის ფერწერა უკმარია, გაუხუნარ ტილოებად შერჩებიან ნოჩო თაკალანძეთა თუ ლადი კვაშილავების სხარტულებსა და ჩონგურზე დაკვნესებულ მელოდიებს.

ანჩაბაძეებს-შერვაშიძეებს-მარშანიებს-ემუხვარებსა და ჩხოტუებს შორის დადიანების მესვეურობით განუხრელი მიმოცვლაა ქალ-ვაჟებისა სიძე-პატარძლებად. ერთ წრედშია ჩართული პრივილეგირებული ამ ექვსეულის სისხლი, გენი და ინტელექტი. მხოლოდ და მხოლოდ ჯიშიანობა, სახიერობა, დიდბუნებოვნებაა კრიტერიუმი მოდგმის გაგრძელებისა და თამამად შეიძლება ითქვას: მათი სვე-ბედობის განმსაზღვრელი ზიარი ჭურჭლის პრინციპია. ექვსნაირად გამოითქმის მათი აბსტრაქტული მთლიანობა, როცა სინამდვილეში სხეული ერთია, მსგავსი მასალისგან მოზელილ-ნაშენ-ნაგები, საკუთარ თავში მოხარშული და დაწდევებული.

ხკითხავენ ერთხელ ფორთო ანჩბეიხეს, გამოუსწორებელ სამურზაყანოელ ხანუმას, ათ დღეს მაინც ახალშობილს თვალითაც რომ არ დაანახვებენ, შეასწრებს მზერას და ჩვილი სულს განუტევებს მყისვე. გულით კეთილზე კეთილია ფორთო ანჩბეიხე, მაგრამ ისეთნაირ ენერგიას მოუყრია თავი მის ბუნებაში, ელვასავით ანადგურებს ქორფას და თოთოს:

— კი, მაგრამ დეიდაშვილი ემუხვარი თუ გყავს, მამიდაშვილი ჩხოტუა, რძალი — დადიანი და მული — შერვაშიძე, როცა დასახელებული თითოეული გვარი იგივე სანათესაოში ტრიალებს ოდნავი სახეცვლილებით, ხომ არ ნიშნავს ეს ყოველივე სისხლის აღრევას ქრისტეს რჯულის საწინააღმდეგოდო.

ფორთო ანჩბეიხე ღიმილით მოწკურავს მუქ-მწვანე თვალებს:

— აბა, ყაზაყისგან ვიყოლიოთ შვილები? ყაზაყი თოხისთვის გაუჩენია ღმერთს და კიდევ — მამაკაცურ საქმეთათვის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში— საჯიშედო,— ბრძანებს და ამით წერტილი დაესმება საბედიანოს გენეალოგიის წარმომავლობას შარავანდედიანთა ხაზით.

დუშა ანჩბეიხესაც ენგურისპირას იმიტომ წაიტყუებენ ძმები საზვარაკო კრავივით ყლის გამოსაღადრავად, რომ შეუვალ კანონს ზურგს შეაქცევს და მიმცხრალი სისხლის მამრის ბანოვანობას ცხოველმყოფელი გლეხუჭას თანამეცხედრობას ამჯობინებს, ვაგლახ.

ლევან დადიანისგან შერვაშიძესათვის ნარდში მოგებული განმუხური მომცროა, ენგურის მარჯვენა ნაპირზე ბაშლაყივით გაჭიმული, უბნად თუ გამოადგება ოტობაიას, თუმცა მასზე და კიდევ ორ სოფელს აზნაურებზე ნაკლებად როდი ეჩემებიან ხუფენიებს. ძუძუმტეს ასაკმოყრილ მოგვარეებს რომ ჰკითხო, დარჩელი, განმუხური და ოტობაია სამი ძმა ხუფენიას დაფუძნებულია.

— დარჩელში პირველად დარჩია ხუფენია დამკვიდრდაო, — გეტყვიან, — განმუხურში განარჯია ხუფენიამ გაკაფა უწინარესად უღრანი ტყეებიო, — განგიცხადებენ მთელის დამაჯერებლობით, — ოტობაიაში უადრესი მოსახლე ოტო ხუფენია იყოო, — გაგისწორებენ თვალში თვალს და ბიჭი ხარ, ნუ ერწმუნები სადადიანო-სამურზაყანოს ისტორიაში ჩაუხედავი! ვლადიმერ ალფენიძე უფრო შორს მიდის და სახელ „ხიფას" თუ გვარ „ხუფენიას" ეგვიპტელ ფარაონ ხუფუს უკავშირებს. შუმერული

და ეგვიპტური თავზესაყრელია კოლხურში და დაუჯერებელიც არაფერია.

ჯალაღონიები შორს არიან ამისთანა ყოყლოჩინობისაგან. ისინი ხომ ძალას და ღონეს აერთიანებენ თავიანთ თავში, ბაყბაყდევსა და ნაცარქექიას. ან რამდენი მიცვალებული ეყოლებათ გაცილებული ქვეყნის ოთხივ კუთხით?! მებორნეობა, ქარონის ნათესაობა ოდითგან მოსდგამთ. ამ გვარის ხალხს ცურვაშიც ვერავინ შეედრება. მეგონა ჯალაღონია იხვებს ჯაბნის ტივტივში და მისი სისხლხორცნი გოგი და ონერი — კოკორინებს უფრთხობენ ეშმაკებს. რამდენჯერ გამოუთრევიათ ნაპირზე სვანეთში გადაჩეხილი მოყმე თუ ჯვართან გადავარდნილი ასული?! ჭირისუფალი, როგორც ბოლო ნუგეშს, ჯალაღონიების ჭიშკარს მოადგება და აქაც თუ ვერ დაიგულვებს თვისტომს, უილაჯო ლასლასით გაუტევს შავი ზღვის გამეხებული არეებისკენ. წელაწადში ორ-სამ მიცვალებულს მიანც უცილობ-ლად მიაბარებენ ნახუტურუს, როცა გაპატიოსნებულს პატრონი არ გამოუჩნდება ცხრადღიანი პარაკლისის მერმე.

რაც შეეხება გადარჩენილ სიცოცხლეს, უამრავზე უამრავია მათი ჯიშ-ჯილაგის მადღეგრძელებე-ლი ენგურს გაღმა-გამოღმა.

ბრძენკაცივით იტყვის ხოლმე ჩემი კბილა ონერი:

— დამამხრჩვალს უკნიდან უნდა მოუარო. საკმარისია ხელი სადმე წაგავლოს, რომ უმალ ფსკერზე ამოგაყოფინებს თავს. სიცოცხლის წყურვილი ისეთია, კაცს კი არა, ბორანს დაძირავს. ძმაც რომ იყოს, არ უნდა დაინდო, გაუქანო ყბაში და გათიშო. წაავლებ მერე ქოჩორში ხელს და ნაშველებია უბედურიშვილიო, — მაგრამ ახლა დროებით დავეხსნათ ძალისა და მოხერხების ძარღვებით მოწნულ ხალხს — ჯალაღონიებს და ვუტიოთ ოტობაიისკენ; მოამაგე გელენახეს ორი წლით განრიდებულს, ალბათ, გამეგება.

ოცდაოთხი თვის შემდეგ მშობელი დედისკენ მოვეშურები მწერლობაში უნიჭობაწაყვედრებული შვილი. „ცისკრის“ ნომრები მომაქვს, სადაც ჩემი ბელეტრისტული ნათლობა როგორღაც შემდგა-რა.

ძაღლის ბედი მაქვს სწორედ.

თბილისის რკინიგზის სადგურში, ჩანთებით დაგრუზული მგზავრების გნიასში, ფიჩორელ ზურაბ ხასაიას შევეფეთები. ფილოსოფოსია, მაგრამ პოეზიის სიანკარითაც იმწყურვალებს სულს. გორის პედინსტიტუტის ლექტორია. ლუდს და მწირ საუზმეს მივუჩოჩდებით.

— არაფერია, — მხარზე დამადებს მარჯვენას, როცა გასაჭირს გავუმხელ. ზურაბი ბაბუა თომას სამეზობლოდანაა, ნაკარღალიდან. ასე რომ, სარჩულამდე იცის ჩემი ასავალ-დასავლისა.

— ბინა დასაქირავებელი არ გექნება, — მიცხადებს, რაჟამს „სიცოცხლემისჯილების“ პასაჟებს წავუკითხავ და ტრიადის მიზანდასახულობას გავაცნობ.

გასაღების ასხმულას მაწვდის.

— ასპირანტთა კორპუსში სიმყუდროვეა. შუქი და წყალი არ მოგაკლდება,— გორის მატარებლის ჩამოდგომას იუწყებიან და ფეხზეც ამიტომ წამომართულა, — ბევრი არ არის, მაგრამ უნდა იმყოფი-ნო,— ოცდახუთმანეთიანს მიკუჭავს ჯიბეში, — თვეში ერთხელ აუცილებლად შემოგივლი. იმედია, მიმიღებ! — უშურველად იცინის და ეს ღიმილი ექვსჯერ შემოანათებს მერმე ბაგების ცათამბჯენში.

ძუძუმტეს ელსმენით შევეხმიანები.

— ასპირანტთა კორპუსში ვარ,— ვუმხელ ბრიკეტას, — ვიცი, დამიწყებს გელენახე ძებნას. კარზე თუ მომაყენებ, მამის სულს ვფიცავ, მეცამეტე სართულიდან გადმოვეშვები!

— გალაკტიონს ეჯიბრები?! — ცხარობს ჩვეული დამრიგებლობით, — შენ ღვინო კი არა, რძე უნდა სვა, ბიძია! ცოტათი თავი მოგეთოკა, დიდი ხნის დამთავრებული გექნებოდა! არ აკმაროთ რამეფრად დეიდაჩემს საკუთარი საზრუნავი და საფიქრალი! ფული თუ გაქვს, ოხერო?!

— ზურაბ ხასაიამ მომცა წეღან ოცდახუთი მანეთი!

— გიცხონებია სული ხვალამდე!— უშეღავათოა ძუძუმტე, — გინახულებ საღამოთი და შენი ფეხის მოცვლა არ ვნახო იქიდან! კი, ბატონო, არავის მოგაყენებ კარზე, თვით კლარა დეიდასაც, მაგრამ შხამად შემრგებოდეს შენი წილი რძე, წიგნის გასრულებამდე ღვინოს თუ გაეკარო!

— ეგრე იყოს! — ვბურდღუნებ.

ნახევარ წელიწადში ექვსჯერ მომიკითხავს დედულეთელი ზურაბ ხასაია. ბინის ქირას პუნქტუ-ალურად მიტოვებს. საბრალო მშობელიც ათგზის ჩამოზიდავს პურ-მარილს ამ უბრობის ჟამს, მაგრამ ბაგებში ამოღწევა ეხიფათება იმისთანა სიტყვის დახეთქების შემდეგ და ძუძუმტე მომჭირ-ნეობით მასაზრდოებს გელენახეს კუპატებით, ეთერ დეის ყაურმით, კაგებე ლინა ჯალაღონხეს ნა-ზუქ-დარიგებებით თუ პატიოსანი ხელფასის ნეხევრით.

გზა, ორღობე, თემშარა, შუკა, პროსპექტი ჩემი ბედისწერა-ყისმათია. იაშვილს რომ არ დაეს-

წრო ქუჩიშვილობა, ოტობაიას ნამდვილად არ დავირქმევდი, მაგრამ ოტობაიაც ხომ ხელისგულზეა მორთმეული უსასრულო ავენიუსავით?

— ადამიანის ცხოვრება გზაზე უნდა ელვარებდეს, ბიხვი, ქვაზე დადებულ სიკეთესავით, — მახსენდება ნოჩო თაკალანძეს შეგონება სამესხიოდან მობრუნებულს და თითოეული მოკვდავი ჩემი წიაღიდან თუ სრულიად უცხო ვიგვამებიდან აწ შარაზე გამოფენილია რაღაც გამორჩეული თვისებანიშნის წყალობით.

ნოჩო თაკალანძეს ცხვირი ოტობაიას გზას კი არა ზღვიდან ზღვამდე წვდება კავკასიონის მთაგრეხილივით. შუბლიდან ამოზეგანდება, ცალკუზიანი აქლემივით უცებ ავარდება სიმაღლეში და ასევე სწრაფად დაქანდება ბარისკენ. მერე მიიწელება და მიიგრანება ვიდრე ულვაშის უღრანთან პიტალო კლდესავით ჩამოკონცხდებოდეს.

ერთ კალთამადლიან ქალბატონს ემცხეთება მისი ბარაქიანობა გადატენილ ავტობუსში ამოღწეულს და მგზავრების იდაყვ-მუხლისთავებით ნაჯგვლემი მაინცდამაინც ამ მხცოვანის ცხვირს არ დააცხრება მთელის გააფრთებით?!

— გასწიე, ყაზახო, იქით ცხვირი, კავივით რომ მომსდგომიხარ!

— მიბრძანდით, ქალბატონო, — თითით მოიღუნავს ნოჩო ცხვირს გაქექილი მანდილოსნის გასატარებლად, მაგრამ იქვე დასძენს, — აკაციის სოლებს თუ შეელევი.

დიახ, ნოჩოს ცხვირი სათაკალანძეოდან დაწყებული საძაძუოსთან მთავრდება, და მის აღმატებულობის ჩრდილქვეშ დილიდან საღამომდე იჭრება სხარტულათა მონეტები აურწყავ უზალთუნებად.

გზაზეა გამოტანილი ჯაკა სექანიას ხერაკლესებური ფალიკური ავლადიდება. ისე ვერ დამთავრდება ჩხუბი სამურზაყანოს დაბალ ზონაში, ერთხელ მაინც არ ამოტივტივდეს ჯაკა სექანიას სახელი სრული დიაპაზონით და სადაც ჯამპის სოლები უძლურია, სწორედ ჯაკა სექანიას მოშველიებაა გვირგვინთა გვირგვინი, გულდედალ მოწინააღმდეგესაც რომ გააფთრებს ხოლმე. ვაჟები რწყილებია ჯაკა სექანიასთან შედარებით და როგორც კი ამ საშინელებით დაემუქრებიან მეტოქის დედას, გათარანების მეტი რაღა დარჩენია მემკვიდრეს — ეგრევე ყელში ებრდღვნება მოპაექრეს.

— მაგრამ არის ჭა, რომელსაც ჯაკა სექანიაც ვერ ამოავსებს, — ესეც ნოჩო თაკალანძეს სიტყვიერი სალაროდანაა, — ბიხვი, ერიდე იმ ჭას!

უძირო ღარტაფის ბატონ-პატრონი რამდენიმე მანდილოსანია ოტობაიაში, და რაღა მანცდამაინც ჩვენ ვიქცეთ იმ უსასრულო ხაროთა ამოქოლვის ამაო ზვარაკებად?

მზე აცდენია ორღობეებს, თამამ კენწეროებს; ცარგვალის შუაგულისკენ მიიკვლევს გზას, ჩააღწევს უსიერი ტევრების ფსკერამდე, სადაც ველური დაფნა და ნეკერჩხალი უნაზესი დაიებივით გადაწვნიან ერთიმეორეს. ეს კუნძული— კორომები თვალსაწიერიდან შორს მიმობნეულა აქა-იქ ვრცეული მინდვრების გარემოცვაში.

ორ წელიწადში ეკალ-ჯაგი შეუმუსრავთ, არხებით დაუსერავთ, წყალსაწრეტების ბადეა ტრამალ და ტრამალ.

,,მიწა ადამიანთა სამსახურში''! ასეთია განვითარებული სოციალიზმის დევიზი დასალიერს და დასალიერს შუა მოფუსფუსე ადამიანების საქმიანობა იტაცებს მზერას. იქითკენ მივიჩქარი, იქითკენ, რომელსაც ორი წელიწადია ვაკლივარ. მეც ხომ შემეძლო მათ გვერდით ტრიალი? ჩემი ოფლიც რომ შემატებოდა საერთო ნაკადულს, ხომ წამორუვდებოდა მეტი სიცელქით? ჩემი სიხარულიც რომ ჩაწვნოდა საერთო ზეიმს, ხომ უფრო გაცისკროვნდებოდა თავიანი ცათა?

გზაზე გამოფენილ განძეულობათაგან ოტობაიელების უმთავრესი სიმდიდრე ნაწილობრივ გამოგვიმზეურებია — ენა — ხვრელიდან რომ ამოიყვანს უხსენებელს და ხენეშ ნაპრალში გადაკარგავს თვით ქვეყნის მეუფე მამაზეციერსაც კი.

ოტობაიას ღობეები ვარდისფერი ენითაა დაწნული თხმელის წკნელის მაგივრად. დროთა მსვლელობაში გახუნებულა ის ფერი, წუთისოფლის მტვერი აუტვირთავს და ოდესღაც გადაისებული შემღვრეულა გვარიანად.

ენა თავიდან ძვლიანი იყო ეჭვმიუტანლად, მაგრამ, ალბათ, ოტობაიელებმა ამოაცალეს მოუხეშავს, როგორც ვაზს — ჭიგო და ამიერიდან მიიგრაგნება უმისამართოდ აღმოსავლეთ-დასავლეთ თუ ჩრდილოეთ-სამხრეთით ქარზე მჩატე და ორლესულზე ბასრი.

არ გჯერათ? ახლავე დაგიმტკიცებთ:

„პრესა — რეალური, ობიექტური... მხოლოდ ასეთი წარმომიდგენია მე იგი, — ამგვარად გამომეხმაურება ერთ-ერთი ჩვენებური ქალწული, რომლის მოსახელეებით სავსეა რენესანსის ფერწერა ჩვილატატებული პოზით, — **მაგრამ სამწუხაროდ ხშირად ვკითხულობ გაზეთის ფურცლებზე რაღაცას, ისეთს, რომელიც საერთოდ სინამდვილეს არ შეესაბამება...კომენტარი**

აუცილებელი არ არის, არამედ, მინდა დავსვა კითხვა იმის შესახებ, თუ ვინ მოჩმახა, რომ თითქოს მეორე ოტობაიაში „რა ხანია მწყობრში ჩადგა საბავშვო ბაღი...“

საინტერესოა, როცა წერილი გამოსაქვეყნებლად მზადდებოდა, მის სისწორეში დარწმუნებული იყო თუ არა ავტორი?! დასანანია, რომ ბატონმა გ.ფეტელავამ ზერელე ფაქტები წარუდგინა მკითხველს, როცა იგი ერთმანეთს ადარებდა ორ ოტობაიას. მრთალია, პირველ ოტობაიას საერთოდ არ გააჩნია საბავშვო ბაღი, მაგრამ სჯობს ასე, ვიდრე — მეორე ოტობაიაში, სადაც რამდენიმე წლის უკან აშენდა არახარისხოვანი შენობა, რომელმაც ერთ ჟუჟუნა წვიმას და დასავლურ ნიავს ვერ გაუძლო და უწყლოდ, ულმერთოდ ჩამოდნა, ჩამოინგრა, ჩამონახშირდა; ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი ბავშვებისთვის უცნობი იყო, როცა თანამდებობაზე ხალხი ინიშნებოდა ე.წ. ჩვენებური ანუ ქართული აურზაურით... მე მეორე ოტობაიელი ვარ და რა თქმა უნდა, მწადია ჩემი სოფლის ცენტრიც ისეთივე ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს, როგორც პირველი ოტობაიისაა, ან რატომ არ უნდა იყოს ასე, თუ კი წერილის მიხედვით ვიმსჯელებთ, მეორე ოტობაიის მეურნეობა უფრო შეძლებულია, ხოლო პირველი — ვალებშია?

რატომ უნდა იყოს ფოსტა სკოლის შენობას შეფარებული, ან ის ქოხმახი კლუბი სკოლის ეზოში თვალებდაჭყეტილი?! როდემდე უნდა იწვოდეს სირცხვილით საყოფაცხოვრებო, მედპუნქტი, ბიბლიოთეკა? (რომლებიც ერთ ფიცრულში შეყუჟულან), არც ის ერთადერთი მაღაზიაა ბედოვლათიანი, რომელშიც ერთადაა თავმოყრილი სამრეწველო, სასურსათო თუ სამეურნეო საქონელი. მშვენება არც კანტორა და მუშათა სასადილოა, მაგრამ პატარა, ახალი შენობებია. სოფელი ლამით ჩაბნელებულია. ვფიქრობ, საჭიროა ცენტრალურ ქუჩებში ლამპიონები, ეს კარგი მომსახურება იქნებოდა ტრანსპორტისათვის და მგზავრებისათვის!“

დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, მადონა, ჩვენებურო, ოტობაიის ბედ-იღბალზე გულდამწვარი ჭირისუფლის ხმა ღაღადებს, რისთვისაც უაღრესად გემადლიერები, — ვეხმიანები ფიქრებში ენამჭევრ თანასოფლელს,— ამბობ ამდენი და ამდენი წელია ის საბავშვო ბაღი აშენდაო, თათაქარიძეების საკადრის ყოფაში ვართო;

ნაკლის მხილება დიდუბულია, მე სხვა რაღაცაზე მწყდება გული: ესოდენ ბასრი ენა საკამათო პუბლიკაციის შემდეგღა რომ გასარჯე. ისე ნუ გამიგებ, თითქოს ნაწყენი ვიყო. არამც და არამც, მით უფრო ჩვენებურისადმი სიტყვა ცერად როგორ გამექცევა. ეს მე ვარ ყოველდღიურობაზე მაღლა, თორემ უფალ იესოს თუ მიუგდებ ყურს, მოძღვარს მხოლოდ საკუთარ სოფელში, ნაზარეთშიღა არ შეუნდობენ. ალბათ, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ საპოლემიკო წერილს აბსოლუტური გულგრილობით, დუმილით შეხვდება როგორც პირველი, ისე — მეორე ოტობაია.

ამას წინათ ერთ თანასოფლელს შევხვდები თბილისში ნათესავის გასვე- ნებაზე. საუბარს შევყვებით. მერმე ვიტყვი:

წიგნს ვწერ თქვენზე-მეთქი.

ვინ დაგავალაო, ამომაშტერდება შეცბუნებული.

მამაშენმა-მეთქი.

მამაჩემი რომ ოცი წლის მკვდარიაო.

ეგ თქვენთვის, თორემ ჩემთვის დღესაც ცოცხალია-მეთქი.

პასუხს მთხოვ და ორიოდე სიტყვას როგორ დაგზარდები? ამ ოთხიოდე წლის წინათ ჩავებმები მარათონულ ბრძოლაში, რომელსაც ოტობაიელების აქილევსის ქუსლი, ანუ ჭარბად დაგეგმილი ბოსტანი ხქვია.

ამ საკითხს ორმოცდახუთწუთიან სატალევიზიო გადაცემასაც მივუძღვნი, სათაურით: ,,ორი მეურნეობა, ორი შედეგი''. მეგონა საქმეს ეშველებოდა, მაგრამ როგორც ამჯერად, არც მაშინ გაფაჩუნებულა ბუჩქიც კი ორივე ოტობაიაში.

იმედს მაინც არ გადავიწურავთ, მივდგებ-მოვდგებით. ზოგი მეტად გაირჯება, ზოგი — ნაკლებად და აი, გაერთიანებული ძალით შეუძლებელს მოვახერხებთ — ოტობაიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას პროფილი შეეცვალება, სუბტროპიკული კულტურების მწარმოებელი გახდება, თუმცა გვარიანხნობით მეურნეობამ ძველებურად უნდა წიკოს ქანცისგამწყვეტი ტვირთი — 2500 ტონა ბოსტნეული!

ძუძუმტე მეტყვის: ამაგდარმა ბრიგადირმა, ხუჭუჭთმიანმა ხუტუშა ძაძუამ, სამუშაოს თავი დაანება, ვინაიდან აწი ცარიელი დაპირებებით ოტაბაიელებს პლანტაციაში ვერაფრით შეიყვანო.

ზურგი შეუქცევიათ სამსახურისთვის მკლავმოუღლელ მებოსტნეებს: დინარა გამისონიას, უფ-

როს-უმცროსი და-ძმის მოამაგე თენგოს, თენგიზ ფეტელავას. მუქთად ოფლისღვრა არავის ეხალისება, შინ ჩხირკედელაობს.

ასეთია თურმე ჩვენი საერთო სატკივარი. ასეთი ატმოსფეროს დახატვას ვისახავდი მიზნად, როცა კალამს ხელს ვკიდებდი; ასეთი სულისკვეთებით დავმუხტულვარ ახლაც, შეუდარებელ შურობუმუს ორი წლით მოშორებული, და მეპატიება, ალბათ, ოტობაიას ყველა პრობლემისთვის თუ ვერ მოვიცალე მაშინ-მეთქი, — ვებაასები ფიქრებში უცნობ ოპონენტს, — აწ უშუალოდ ჩემს გამრუდებულ ფაქტებზეც მოგახსენებ, მადონა, ჩვენებურო, — ვაგრძელებ კამათს აბსტრაქტულ თანასოფლელთან, — საბავშვო ბაღის ის შენობა სატელევიზიო გადაცემის მომზადების პერიოდში ჯეირანივით გამოიყურებოდა, მაგრამ რადგანაც სასმელი წყლის პრობლემა ვერ მოგვარდა, □პროექტი არტეზული ჭის გათხრას არ ითვალისწინებდა, სოფელს კი ცენტრალიზებული წყალგაყვანილობა არ გააჩნდა), საზოგადოებამ არ ჩაიბარა, და თუ ახლა ხსენებული დაწესებულება მართლაც შენს სიტყვებს შეესაბამება — პარტახია, ბარაქალა ჩვენ, დიდი შეცდომა მოგვსვლია, უპატრონობით დაგვიღუპავს.

ხომ გაგიგონია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეუფლნენო და გასაკვირი რა არის წლობით გამოკეტილი, ადამიანის უზრუნველობას მოკლებული შენობა გავერანებულიყო-მეთქი. მე სხვა რამეზე მწყდება გული, მადონა, ჩვენებურო: მაინც და მაინც ამ ბორბლებზე ამხედრებული კაცის წერილის გამომზევებას უცდიდი, რომ მამულიშვილობის ძარღვი აგტოკებოდა? რატომ ქვეყანა არ შესძარით?

როცა ენგურზე გადასასვლელ ხიდს მოითხოვთ, ქუდზე კაცი ფეხებში ჩაუვარდებით ცეკას იმდროინდელ მდივანს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

განა სკოლაც მსგავსი ერთსულოვნების შედაგად არ აშენებულა, ან — ის ჯვარცმული ბაგა-ბაღი, მაგრამ რა აზრი აქვს ყოველივეს თუკი არსებულს მოუვლელობით დავაქცევთ-მეთქი.

მერედა, პირველი ოტობაიას ცენტრს რომ შეხხარი, მადონა, ჩვენებურო, ჩაეკითხე დარბაისელ ხალხს; მართალია, უხუცესი ნოჩო თაკალანძე გასულა გაღმა, მარილზე, საკუთარი ცხვირის მთაგრეხილებით, მაგრამ სხვებმა ხომ იციან: სამკილოგრამმუშტიანმა პილა სექანიამ, ხარისთვალება ყირმიზმა ბრძენკაცმა კაპტო ლოგუამ თუ თითებმოღუნულმა კუკუია მესხიამ თუნდაც, დღენიადაგ ქარვის კრიალოსანს რომ აწვეთებს დაბამბულშარვლიან მუხლებთან, რომ ჩვენი რაიონული ცენტრი გალი □რაც მდინარე ღალისის, ღალიძგას, იგივე ღელისპირის რუსული წაკითხვაა, ,,Ãàëè‘‘), ჯერ მოგონილიც არ არის, როცა აქ, ფესვებმაგარ ოტობაიაში საარაკო ბაზრობები იმართება?! გამოფენენ დუქნებში ფართლეულს და აბრეშუმეულს ძმები ხუფენიები — თედო, ბეგი, კირილე და დომე, თოვლივით ქათქათას თუ ზაფრანასავით წითლებს;

გამოიტანენ დახლებზე ირანულ რაჰათლუკუმს და თურქულ შაქარ-ყინულს, ძაძამიძეების ნაოსტატარ ქამარ-ხანჯალს, ჩანგელიების დალიანდაგებულ ჩოხა-ახალუხს;

გამოამზევებენ ოტობაიელის მეცადინეობით ენასა და პირს შუა თუ რამე ითქმება: არის ჯირითი ლევანიას მინდორზე, სადაც აწ კამეჩების სანებივრო ტლაპოების სიმრავლეა. აქ პირველობას არავის დაუთმობს კუჭუ გელენა მოციცქნული, კვერცხივით შეკრული მერნით;

ცხენის მორქიას თარჩია ენაცვლება.

ტრიალებს გიგანტური კარუსელი. თურქული სანდლები თუ ოჩხომელურანი იტვირთება თხილით, კაკლის, წაბლის ხის მასალით. მოკლედ, ცხოვრება დუღს და გადმოდუღს.

მეორე ოტობაია, იგივე კუნთხუოტობაიად წოდებული კი — სულ რაღაც ათი წელიწადია გამიჯვნია პირველს და შედარებით მოკრძალებული იერსახის თუა, საგანგაშო არაფერია, მოსკოვიც ხელის ერთი მოსმით როდი აშენებულა; უცებ ცათამბჯენებს ნუ მოვსთხოვთ სიპ ქვაზე დასახლებულს, სულის მოთქმა ვადროვოთ, ჯერ ფესვი მოიკიდოს, დაეფუძნოს, ადრე თუ გვიან ქარვასლების აღმართვის ჟამიც დადგება-მეთქი.

ლიმონი რომ სათუთი კულტურაა, მადონა, ჩვენებურო, არ გესწავლება. მასზე დამღუპველად მოქმედებს ყინვა, ამიტომაც გამოეყოფა თუ არა დიდ ოტობაიას პატარა, იმთავითვე ლიმონარიუმების მშენებლობას შევუდგებით. ამისი მოწმენი ორივე გახლავართ, მხოლოდ ნოჩო თაკალანძე და სამარადისში გადაბრძანებული ზოგი ჩვენი თანასოფლელიღა ჩამოშორებია საერთო ფაციფუცს.

დახურულ გრუნტში ოცდაათამდე ხექტარი ფართობი მიწა მოქცეულა. ნავარაუდევია მარტივი თუ რთული კონსტრუქციებით აღნიშნული სავარგულების ზედმიწევნით გადახურვა.

ჯოტო ყალიჩავას ვაჟიშვილი, ვერცლისწყალივით დაუდგრომელი ნუგზარი, იგივე ვაჩი მეტსახელად, ცირკისმიერი მალაყებით რომ დაგვაჭყეტინებდა ხოლმე თვალებს სტადიონზე, მექანიზაციის სულისჩამდგმელია.

მართალია, ბაღდადიდან ჩამოყვანილი ვირისა არ იყოს, ძალზე ძვირია მათი აშენება, მაგრამ ხელ-

მძღვანელობის რწმუნებით, ფონდუკუგებას სრული მსხმოიარობიდან მესამე წელს მიიღებენ. ლიმონარიუმების მშენებლობასთან დაკავშირებით ოტობაიელების წინაშე ერთი მოურჩენელი პრობლემა მაინც რჩება — მორგებული ტექნიკა ...

— აი, რა გვჭირდებაო — მეუბნება მეურნეობის დირექტორი იგორ გადელია, — გარკვეული ეკონომია მოგვცა შარშან შეძენილმა რვა მიკროტრაქტორმა. აღსანიშნავია ისიც, რომ მეურნეობაში მხოლოდ 15 ხექტარზეა გაშენებული პროფესორ მამფორიას მიერ გამოყვანილი ყინვაგამძლე ჯიში ,,დიოსკურია''. დიდი სურვილი გვაქვს დავნერგოთ სხვა ჯიშებიც, მჭიდრო კონტაქტები დავამყაროთ მეცნიერ-მუშაკებთან. აგრეთვე ფართოდ გამოვიყენოთ მეციტრუსეობის დარგში საზღვარგარეთ არსებული გამოცდილებაო.

ლაპარაკის ნომენკლატურულ სტილს ძვირად ვეთანაწყობი. ნოჩო თაკალანძეებისა და გრიშა იზორიების ღაბაჩზე აღზრდილს მეხამუშება კანცელარული სტილი.

აკი, თქვა კიდეც ცხვირის პარამეტრებით გინესის წიგნში შესატანმა თანასოფლელმა:

— ყოველ დილა ოცდათხუთმეტი კილომეტრიდან რომ მოლაყუნდება კაცი შენს ასაშენებლად და საღამოთი კვლავ ოცდათხუთმეტი კილომეტრით წაგვანგვალდება გვარიანად ჯიბეგასქელებული, იმისთანა სოფელს მომავალი უწერია?!

— მეურნეობაში ფართოდ ინერგება კოლექტიური იჯარა, — ჩამესმის ყურში იგორ გადელიას როდის თქმული,— სადაც კი მუშაობის ეს პროგრესული ფორმა დამკვიდრდა, სიმინდის სახექტარო მოსავლიანობამ 45-50 ცენტნერს მიაღწია. საიჯარო რგოლები აგრეთვე შექმნილია მეციტრუსეობაშიც. მოვლენებს რეალურად თუ შევხედავთ, ოტობაიელები ციტრუსებმა მართლაც რომ ამოიჰვანა ჭაობიდან. შარშან 16 ტონა ლიმონი მოვკრიფეთ. წლეულს ეს ციფრი გაათმაგდება. საპნის ბუშტივით გასკდა სკეპტიკური შიში იმის თაობაზე, რომ ჭარბტენიან ზოლში ციტრუსები ვერ გაიხარებდნენ. იქნებ სწორედ ციტრუსების გაშენებაა ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება ზღვისპირა მწირი ნიადაგების ათვისების საქმეში, — განმანათლებს, — ცხადია, თუკი მათი ყინვისგან დაცვის საკითხიც მოგვარდება.

ეს პრობლემა ახლო მომავალში უფრო სიღრმისეულ დაკვირვებას საჭიროებს თურმე, მაგრამ ჩვენთვის ახლა არსებითი ის გახლავთ, რომ ოტობაიის საზოგადოების ნაწილი თავის დროზე სწორ არჩევანს გააკეთებს, არ მოერიდება ბიუროკრატიულ გალავნებს, წინა პლანზე ხალხის სასიცოცხლო ინტერესები წამოსწევს და თითქოს დაუჯერებელს შეძლებს: ნაჭაობარ ნიადაგზე კოლხეთის ისტორიაში პირველად გაშენდება ციტრუსები. დანარჩენი უკვე შრომის ორგანიზაციის გერგილიან წარმართვაზე იყო დამოკიდებული, მუშაობის იმ სტილზე, რომელმაც ,,დროთა მსვლელობაში მოსახლეობაში ერთსულოვანი მხარდაჭერა ხპოვა.''

მე სულ სხვანაირად წარმომისახავს კოლხეთის მომავალი. ჩემი კრედო იროდი სართანიას, ნოჩო თაკალანძეს თუ ჩონჩორ ჯოჯუას შეგირდი ძუძუმტეს პრაქტიკა-თეორიის ურღვევი კავშირითაა ნასაზრდოები, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ხუთი თითივით წარმომიდგენია მარილისთვის სხვენზე ხარის აყვანა რა სამოთხესაც მოგვიტანს.

უკვდავების წამალი ლაფაროსთან რომ ხარობს, ესეც ჩინებულად გამიცნობიერებია, ოღონდ არ გაგვაჩნია ამ წამლის მოძებნის ძალისხმევა. ცხრა მთას იქით ვჩხირკედელაობთ, როცა ყურისძირასაღმოცენებულა და კიდევ უმთავრესი, ფორმულა ჩვენი არსობისა: რამაც მოგკლა, მანვე მოგარჩინოს!

პირველ ოტობაიაში კრებაა დანიშნული.

რაბო შონიას სახელმწიფო მანქანით მოვეშურებით შურობუმუსკენ. აღმასკომის თავმჯდომარეა. შოთა შარანგიასთან ორმოცწუთიანი საუბრის შემდეგ მთავრობის წარმომადგენლად მომყვება.

ჩვენს დელიკატურ მასლაათს უსწრებს წერილების ციკლი სამთავრობო გაზეთებში. იციან, ცეკას მდივანი, ბატონი ნოდარ ჭითანავა დაინტერესებულა ჩემი პუბლიკაციებით და დამოკიდებულება შინაური მღვდლის კვალობაზეა: ორივე მანქანის უკანა სალონში ვსხედვართ.

ოტობაიაში შესვენების საათი ჩაგვასწრებს, მაგრამ ვინაიდან მაღაზიის მშენებლობისთვის ბეტონის ხსნარი მიუღიათ, მეურნეობის აპარატის თანამშრომლები, კოოპერატივის მუშაკები თუ ილიკო ცეკვაშვილის მიერ ფიზკულტურის გაკვეთილს მოწყვეტილი მოსწავლეები, ერთად შრომობენ.

ხალხის მხარდაჭერა რომ ხპოვოს, მეურნეობის დირექტორი გურია შონია იმთავითვე სოფლის კეთილდღეობისკენ დაუმიზნებს და ეს გასაგებიცაა, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობია და საამისოდ ოტობაიის მებოსტნეობის მეურნეობას არანაირი სახსარი გააჩნია.

ვალებითა და გრძელვადიანი სესხებით დამძიმებული მისი ბიუჯეტი გასაქანს არ იძლევა, თუმცა

ისიც ნათელია, რომ ურისკოდ ნებისმიერი დიდი საქმე ჩანასახშივეა მკვდარი, და ოტობაიის მებოსტნეობის მეურნეობაში ყველასთვის სასიხარულო შრომის რიტმი რომ გამეფებულა, უწინარესად გურია შონიას დამსახურებაა, მადონა, ჩვენებურო.

ნაშოვნი აქვს კაცს საშვილიშვილო და ტკბილ სიბერეს დადარაჯებია თანასოფლელების მეხსიერების კაბადონზე საცისკროვნოდ. არ უთაკილია რუსთველს სახელის მოხვეჭა ყოველთა მოსახვეჭელს შორის და გურია შონია წამიერად თუ მიაყურადებს სულმნათი წინაპრის საგულისფიცრე შეგონებას, ჩავქოლოთ ბიძად საკადრისი კაცი?!

გზისპირებზე ქვის დეკორატიული ღობები აღმართულა. აშენებულა კაპიტალური სასიმინდე, საწყობი. განახლებულა მეცხოველეობის ფერმა. დასასრულს უახლოვდება მაღაზიის მშენებლობა. მალე მწყობრში ჩადგება მეურნეობის კანტორა. ახალმოსახლეობა უზეიმია ფოსტას, აღმართულა ომში დაღუპულების უკვდავსაყოფი ობელისკი, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია იმ პერსპექტივასთან შედარებით, რომელიც ხვალ-ზეგ ოტობაიელების თვალწინ გაიშლება თურმე.

ძუძუმტესგან ვიცი: პირველ ოტობაიას სამჯერ მეტი სავარგული მიწა ერიცხება, ვიდრე — მეორეს.

პირველ ოტობაიაში 900 კომლზე მეტი ცხოვრობს, ანუ ხუთასით მეტი, ვიდრე — მეორეში.

პირველ ოტობაიაში 300 ქალის შრომაა გამოუყენებული საბავშვო ბაღის უქონლობის გამო, მეორე ოტობაიაში კი რა ხანია მწყობრში ჩამდგარა 200 ადგილიანი ბაგა-ბაღი; □ესეც ჩვენი საკამათო თემა, მადონა, ძვირფასო!).

პირველ ოტობაიას მილიონობით მანეთის დავალიანება აქვს სახელმწიფო ხაზინიდან, როცა მეორე ოტობაია დღითი დღე მომგებიანი ხდება იგორ გადელიას სიტყვებით. აღნიშნული ჩამორჩენის მიზეზები ჩვენც გვიძებნია და დაგვეთანხმებით მოგვიანებით, გვიპოვნია კიდეც.

თანასოფლელებთან საუბარში გარკვეულა ერთხელ და სამუდამოდ, რომ ადგილობრივი მუშახელის პლანტაციაში გაყვანა უკვე თვით ყოვლისშემძლე ბრიგადირს, ხუჭუჭთმიან ხუტუშა ძაძუასაც კი უჭირს. აქამდე მუყაითობით განთქმულ ოტობაიელ გლეხკაცს მებოსტნეობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ლამის არის მამაპაპური მიწისთვის ზურგი შეაქცევინოს.

იბადება კითხვა, კი, მაგრამ რატომ? რა საბაბით? იქნებ ამ სოფლებში მიწები განსხვავებულია, ერთგან — მწირი, უვარგისი, მეორეგან — ბარაქიანი?! ნოყიერი სავარგულები ორივე სოფელს თანაბარი ღირსების მოეპოვება, ცაც საზიარო ხურავთ, მაგრამ ოფლნაპკურებ ფართობებზე გაშენებული კულტურებისა და შრომის ორგანიზაციის სხვადასხვაობა შედეგსაც განსხვავებულს მოგვაშავებს, ვაგლახ.

გალის რაიონს შემთხვევით როდი ეძახიან აფხაზეთის ბეღელს. სამურზაყანოელები საქვეყნოდაა შექებული ჩაის, ციტრუსის უხვი მოსავლებით. მეცხოველეობაში ტოლს არავის უდებენ. თავი უსახელებიათ მესიმინდეებს: ჯოტორია ალფენიძე და ვენერა ჭანია შრომის გმირებია ჩვენი შურობუმუდან. მეაბრეშუმეებს ცა ქუდად მიაჩნიათ და დედამიწა— ქალამნად, მაგრამ მებოსტნეობა გალელებისთვის კვლავინდებურად აქილევსის ქუსლად დაშთენილა.

აფხაზეთში მებოსტნეობის ოთხი საბჭოთა მეურნეობაა. მათ შორის ერთი — გალის რაიონში, ოტობაიაში.

გალის რაიონს ყოველწლიურად სახელმწიფოსთვის ჩასაბარებელი აქვს 3500 ტონა ბოსტნეული, ზუსტად იმდენი, რამდენიც— გაგრისა და ოჩამჩირის რაიონებს; მარტივად თუ ვიტყვით, ჯერ გალის რაონისათვისაა ბოსტნეული ჭარბად დაგეგმილი, მერე აქედან გამომდინარე, კარგი დღე არც ოტობაიელებს ადგათ — ყოველწლიურად 2500 ტონა!!!

ძნელია ახლა არკვიო, თუ რა მოსაზრებით აკისრებენ ოტობაიელებს აფხაზეთის საერთო გეგმის ორ მესამედს! იქნებ ამ მეტად შორსმჭვრეტელურ ღონისძიებას აქაური მოსახლეობის შრომისოყვარეობისა და თვინიერების იმედით განახორციელებენ?! არავინ იცის, ერთი კი ცხადია, რომ მეთორმეტე წელიწადია ზღვისპირეთის საბორშჩე და სასუპე ბოსტნეულის გეგმას კატორღულად უმკლავდებიან ოტობაიელები, წელში წყდებიან, თუმცა შედეგი მაინც არ ჩანს.

ხალხი იმდენი მოზღვავებულა, ხვდებიან, დირექტორის კაბინეტი ვერ დაიტევს და პირდაპირ, ღია ცის ქვეშ, ფეხზედგომელანი ჩავერთვებით პაექრობის ფერხულში. ჩემიანების გარემოცვა ზურგს მიმაგრებს. პუბლიკაციები მომმარჯვებია. მთავარი არგუმენტი ბოლოსთვის შემომინახავს.

— შედარებით ადვილია თავი გამოიჩინო მეცხოველეობის ფერმაში. რიგიანად თუ მოუვლი საქონელს და საკვებს არ მოაკლებ, წველადობაც იმატებს, — მეცნაურება გვაძა გეჯუას უფროსი ვაჟიშვილის, ანტიფოს ხმა. თანაკლასელი რევაზის ძმაა, ერთი ყალიბისანი არიან, მომცრონი, ჩაკირულები, დიდრონი თვალებითა და თავშეუკავებელი სიცილით.

— ჩაის პლანტაციაში სისხამზე გამოხვალ, აავსებ კალათებს დუყბით, გაირჯები, სამაგაეროდ

სიმდიდრითაც აივსები, — დაიჩივლებს აფსიორებული იამზე შამუგია. ჩემი თანაკლასელის დაა, სრიალა თმითა და შრატისფერი თვალებით.

— სიმინდს მოთოხნი, გამარგლავ, გაამოროდებ, სასუქს დროულად შეიტან, წყრთა ტაროებით დააკაპანებ ნალიებს, მაგრამ, აბა, აქაურ ჭინჭყლ პირობებში სცადე და იგივე გმირობა მებოსტნეობაშიც გაიმეორე?! — თვითმომქმედი ანსამბლის ხელმძღვანელს, დაუდგრომელი აჩქარას სიდედრს, ვენერა ჭანიას, ისედაც ყირმიზს და ზომაზე მეტად წამოჭარხლებულს, კისრის ძარღვები დაბერვია, — გაწბილდებით, ბატონო, რაბო და მერე როგორ?! თორმეტი წელიწადია, რაც ოტობაიის ერთი მებოსტნეც არ წარდგენილა ქვეყნის უმაღლეს ჯილდოზე; თორმეტი წელიწადია, რაც პრემიის სახით ერთი მანეთიც არ გახარჯულა ოტობაიელი მშრომელების წასახალისებლად.

— ბოსტნეული რომ საჭიროა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, — დამაჯერებელია ჯიმადი ნოდარ გელენავას ტემბრი. წინაფრიანი ქუდი ხელში მოუკუჭავს. ზენაქარით აწეწილ თმას, რომელსაც გულმოდგინედ იწებებს მოტვლეპილ კეფაზე, არაფერი შველის. ხშირად შემომხედავს მადლიერის იერით, ეამაყება წლების წინათ კოპეშია-თავი მთლად რომ არ წამაცალა თხმელის წკნელებისთვის ტყისკენ დაძრულმა, — თუმცა ამ საყოველთაო მიზანმა, არანაირად უნდა გათელოს ერთი სოფლის სასიცოცხლო ინტერესები. აქამდე რაღაცნაირად ხერხდებოდა მოსახლეობის გაჩუმება, მაგრამ დღეს, საერთო გარდაქმნის, დემოკრატისა და საჯაროობის პირობებში, ძნელია პირში წყალი დაუგუბო ადამიანებს, — ბიძაჩემიც ნომენკლატურის წარმომადგენელია, სანერგე მეურნეობის დირექტორი. სხვებზე ნაკლებად არც მას ემარჯვება განრიგების მიწევ-მოწევა, თუმცა ჭეშმარიტება პიროვნულზე მაღალია,— ეს ყველაფერი ბევრჯერ დაიწერა გაზეთებში, ითქვა მაღალი ტრიბუნიდან, სატელევიზიო გადაცემაც მიეძღვნა სათაურით: „ორი მეურნეობა, ორი შედეგი“, მაგრამ ბოსტნეულით ჯვარცმული სოფელი კვლავაც ერთადერთი — მებოსტნეობის მიმართულებისაა.

სიტყვა „ჯვარცმულის“ ხსენებაზე, ხარაზი დათიკო საჯაია დაბნევით მიმოიხედავს — აშკარაა, მის ცნობიერებაში უცებ კუნძულ ტექსელის კოშმარები ამოტივტიდება, ორ კედელს შორის გაკვეხებულს რომ სძინავს თვეობით, ოდეს აჯანყების მონაწილეებს ნაბიჯ-ნაბიჯ ეძებენ საცხოვრისებში, დანებით ჩხვლეტენ იმ თხელ ფირფიცრებს და ერთი ძგერება ფერდშიც კი გაუვლის, თუმცა ყუხუს უთქმელად აიტანს ყოველივეს მეამბოხე კაცი.

— როცა დაგეგმვაა, ბარემ ჩვენც ჩაგვეკითხონ, თორემ ეს რაღა დემოკრატიაა?!— ხელებს გაასავსავებს ახმახი, ენაკვიმატი და მუდამ წვერმოპარსული ვანჩქა კვარაცხელია. ფიჩორის საზღვართან სახლობს, ბოხუების გადასახვევთან, ტაბაღუებისა და ძაძუების გარემოცვაში. უფროსი ვაჟი ოთარი აბასთუმანის ობსერვატორიაში გაუმწესებია ვარსკვლავების დასათვლელად.

— ჩვენი წარმოებული ბოსტნეულის ნახევარი, ბატონო, რაბო, — დაიხსომე, ეს სიტყვა, მადონა, ჩვენებურო, პირველადაა თქმული გასაბჭოების შემდეგ ვაჟა ხუფენიას მიერ სოფლის თავყრილობაზე. დირექტორის მოადგილეა, მისი ბიჭუნა და მე გალში დავამხანაგებულვართ, ქორწილშიც მომილხენია მათსას, — ტრანსპორტირების დროს გაფუჭდა. ვიდრე დანიშნულ პუნქტამდე ჩააღწია, დასკდა, დაიჩეჩქვა მონჯღრეულ გზებზე ჯაყჯაყით. ახლა საკითხავია, ვინ, რომელი უწყება დაუბრუნებს ხალხს დაღვრილი ოფლის საფასურს? ცხადია, არავინ! ხშირად იმნაირადაც ხდება, რომ ადგილებზე ჩატანილი პროდუქცია შელახულია და აქ დამკვეთ-გამსაღებელს შორის ვაჭრობა იმართება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვინაიდან ის კარნახობს პირობებს. მოკლედ, ოტობაიელების ინტერესები თვალსა და ხელს შუა იწირებოდა და იწირება დღესაც.

— ათი წელიწადია ბოსტანს ვამუშავებთ, — ამბობს გივი ალფენიძე, — ხელფასი იქამდე დაბალია, რომ ყოველთვიურად გამომუშავებული ფული პურსა და სიგარეტს ძლივს მიყიდის, მანეთიან პურს და „პრიმას“ ვგულისხმობ.

— სამუშაოებს ხელით ვასრულებთ, — სიტყვას ჩამოართმევს კოკო ხუფენია, — ბევრი დედაკაცი და მამაკაცი წელში ნამგალივით მოხრილა. ზოგჯერ ისეთ კულტურებსაც გვიგეგმავენ, რომელიც საერთოდ არ მოდის ჩვენთან, მაგალითად, ზაფხულის კომბოსტო. ეს ოხერი დიდი სიცხეების გამო თავს არ იხვევს რატომღაც.

— იჯარის შემოღების შემდეგ ჩვენ მოწეული მოსავლის მიხედვით მოგვეცემა ხელფასი, — დაიჩივლებს დინარა გამისონია, — ცხადია, გაცილებით ნაკლები, ვიდრე დღემდე გვქონდა, რადგანაც მოგვყავს ისეთი კულტურები, რომელთა გასაღება ჭირს, მალე ფუჭდება. არც შესანახი მაცივრები გაგვაჩნია და აღარც — ბოსტნეულის თუნდაც კუსტარული ხერხით გადამამუშავებელი საწარმო. ერთი სიტყვით, ვცოდვილობთ.

აზეითებული სახალხო კრება ერთხელ და სამუდამოდ გაარკვევს, რომ სანერგეში დასაქმებული

მუშახელის გამოკლებით დიდი უმრავლესობის ყოველთვიური გამომუშავება 30-40 მანეთს შეესაბამება. განა იმიტომ — გარჯა ეზარებათ, ან თოხის მოქნევა დაავიწყდათ?! გამოდის, რომ ,,ისნის'' მარკის წყვილი ფეხსაცმლის საზღაურსღა ვუნაღდებთ ოტობაიელებს თორმეტი წელიწადია. ბარაქალა მათ გამძლეობას! ჩვენ, დიახაც, გვჭირდება მაღალხარისხოვანი ბოსტნეული, გვჭირდება მისი სასარგებლო ვიტამინები, ცილები და ნახშირწყლები, მაგრამ, ბუნებრივია, არა— ოტობაიელების სიცოცხლის ხარჯზე.

— მოგვეცით სამუშაო! — აბაბანდებიან ახალგაზრდები.

რაბო შონია ყურებამდე გაწითლებულა. ასეთ შემოტევას ნამდვილად არ ელის, თორემ წამოიძღოლიებდა თავად რაიკომის მდივან შარანგიას.

ხელებს ასავსავებს. დროდადრო მტევნებს შემოიშველიებს დამსწრე საზოგადოების დასაშოშმინებლად, მაგრამ ააფრინე ალალიო, ხომ გსმენიათ და არის ერთ გაწამაწიაში.

— ჩვენ სიმინდისა და თხილის ქვეყანა ვართ, — მისუსტებული ხმით ამბობს ანდრია ალფენიძე. უფროსი პლეადიდან ისღა შემორჩენია ოტობაიას სახელოვან პედკოლექტივს და კიდევ — უბერებელი პილა სექანია, — მამა-პაპური ადათ-წესის ღალატი, იცოდეთ, ძვირად დაგვიჯდება, წარვწყმდებით. არავის ეგონოს ჩაისა და ციტრუსის კულტურები აგვაშენებს! დროის გამოცდილს მივხედოთ, აჯობებს! — სიცხარე ემატება თანდათან პენსიონერი პედაგოგის საუბარს, მაგრამ მისი ქადაგებანი უკვე ჩემთვის ,,ნატვრის ხის'' პერსონაჟი ციციკორა პაპას ჭინთებაა, — რას მოგვიტანს პლანტაციები?! ჩვენს ქალებს და ბავშვებს გადააჯიშებს, — ჩასჩიჩინებს მრევლს, თუმცა ვინ არის ყურის მგდებელი?!

ჯერ არის და შარშან ანასეულის სანერგე მეურნეობიდან ,,კოლხიდის'' მეტად ძვირფასი ჩაის ნერგებს შეიძენენ ოტაბიელები 10 ხექტარზე გასაშენებლად, თუმცა ახალ წამოწყებას იმდენი მხარდამჭერი აღმოუჩნდება, რომ ფაქტობრივად სამჯერ მეტს დარგავენ.

ხალხი გვიან ღამით დგება მეზობლების გადმოცემით. განსაკუთრებით მანერა პაპასქუა აქტიურობს ამ მასლაათში. მახარაძის რაიონიდან ჩამოტანილ ნერგებს გზაში ეგებება მოსახლეობა, რათა მეტი შეიხვედროს და გასამრჯელოც სოლიდური ერგოს. ,,დაგუბებული ენერგიის გამოვლინების აქამდე უჩვეულო მაგალითი'' მაოცებს.

— ახლა ჩვენი ჩაის პლანტაციები ავ თვალს არ დაენახვებაო, — მიმტკიცებს ბარღებელი ქალი და რა ჩარაა ფეხით არ შემოვიარო დრენაჟ-დრენაჟ, მიჯნა-მიჯნა?!

— თქვენი სატკივარი, ოტობაიელებო, სინამდვილეს შეეფარდება, — მუჭში ჩახველებით წამოიწყებს რაბო შონია. მადონა, ჩვენებურო, ვაჟა ხუფენიას ჩამოხგავს, მასავით პირმრგვალია, ყირმიზი სახის, — ნიადაგური და კლიმატური პირობებით მეტად ხელსაყრელი სოფლის შესაძლებლობანი დღემდე გამოუყენებელია. მთავრობა ძიებაშია, ამ ათი წლის მანძილზე რამდენჯერმე ამიტომაც შეგეცვალათ პროფილი.

— დალოცვილებო, ამ ძიებაში ხულის* მეტი ვერაფერი იპოვეთ? — ხეოფსის მუმიასავითაა ულვაშჯაგარა გრიშა იზორია, ხალხი კი ირწევა სიცილისგან. საერთო მხიარულება რაბო შონიასაც გადაედება და აქამდე შებოჭილი რაიაღმასკომის თავმჯდომარე ხელად გამოიცვლება.

— ჯერ თავიდან მეხილეობის სპეციალიზაცია მოგეცათ. შემდეგ გადაგაკეთეს ეთერზეთების მწარმოებელ მეურნეობად, დაბოლოს, ყოველგვარი დასაბუთების, შესწავლის გარეშე ბოსტნეულის მწარმოებელნი გახდით. მეურნეობის სპეციალიზაციის განსაზღვრისას რესპუბლიკური დონის არც ერთმა ხელმძღვანელმა და სპეციალისტმა არ გაითვალისწინა წარმოებისათვის ძირითადი საშუალების, მიწის პირობები. წარმოებისთვის მთავარია მიწა, ჩემო, ოტაბაიელებო, და სწორედ მიწა არ გაგაჩნდათ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. დაუშრობელი კოლხეთის მიწაზე 2500 ტონა ბოსტნეულის წარმოება არც თუ ისე იოლი საქმე იყო.

— თუნდაც დაშრობილზე, — ისევ ჩაუნისკარტებს გრიშა იზორია და კვლავაც სიცილის ფთილა გადაუქროლებს აზეითებულ კრებას.

— ასე რომ, აგროსამრეწველო გაერთიანებამ სოფლის აღორძინება მიწების დაშრობით დაიწყო. ამჟამად მეურნეობისთვის გადმოცემულია 400 ხექტარი დაშრობილი ფართობი. დაშრობითი ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება და ხუთწლედის დასასრულს ის მთლიანად დამთავრდება. აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტებს არც ის გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ ოტობაიის მიწაზე საუკეთესოდ ხარობს უნიკალური ჯიშის თხილი და ამ მიმართულებითაც გადაიდგმება ნაბიჯები. მიმდინარე ხუთწლედში ჩაის კულტურის პლანტაციები მიაღწევს 150-200 ხექტარს. მომავალი წლიდან მეურნეობის დაგეგმვა მოხდება მისი საწარმო შესაძლებლობების გათვალისწინებით. შეგიმცირდებათ ბოსტნეულის გეგმა-ვალდებულება. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მაქსიმალურად დასაქმდეს მუშახელი, რათა მეტი ყურადღება მიექცეს თქვენი საყოფაცხოვრებო პირობების დონის

ამაღლებას...

— თქვენს პირს შაქარი, ბატონო რაბო, — ვაწყვეტინებ სიტყვას მშობლიური სოფლისკენ დამეგზურებულ ფუნქციონერს, — ეს გაზეთი ხვალამდე ვერ ჩამოაღწევს სამურზაყანოში, ამიტომაც თავს ნებას ვაძლევ პირველად თქვენ გაუწყოთ მისი შინაარსი. ჩემი წერილის წაკითხვით არ შეგაწყენთ, აი, რედაქციის მინაწერს კი ხმამაღლა მოგახსენებთ ბატონ რაბოს ნებართვით.

მოზღვავებული ხალხი გასუსულია. გატრუნულა თავად ოფლშიგაწურული აღმასკომის თავმჯდომარეც.

— **„ოდეს ყველაფერი დაზუსტდა, როცა ყოველი ფაქტი შეჯერდა და გაანალიზდა, კომენტარისთვის საქართველოს „სახაგრომრეწვს“ მივმართეთ და ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ხქონდა, როდესაც შევიტყვეთ, რომ ამა წლის 15 მარტს,** — თარიღს დაუკვირდით, ვეუბნები ხალხს მეტი სიფხიზ- ლისთვის, — **ოტობაიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობისათვის სპეციალური დადგენილებით პროფილი შეუცვლიათ: იგი სუბტროპიკული კულტურების მწარმოებელი გამხდარა, მაგრამ ამის შესახებ სოფლელებმა არაფერი იციან, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი მკვიდრად დაბინავებულა რაიონის ხელმძღვანელობის ცეცხლგამძლე სეიფში. როგორც ჩანს, მათ ხელს არ აძლევთ ოტობაიელების 2500 ტონა ბოსტნეული სხვა მერუნეობებს გადაუნაწილონ. ურჩევნიათ ერთმა სოფელმა ზიდოს ავტონომიური რესპუბლიკის გეგმის ძირითადი ჭაბანი! მერე, რა თუ ფაქტობრივად არ შესრულდება, არასტანდარტული პროდუქციით იქნება ეს (მომწიფებელი ნედლეული ფერმებს მიეყიდება), თუ ქაღალდის წყალობით, ხომ მაინც გავლენ ფონს?! პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარიო, ნათქვამია, ამიტომაც პირდაპირ მოვჭრი: დროა, გალის აგროსაშრეწველო გაერთიანებამ, რაიონის მესვეურებმა რიგიანად შეაფასონ არსებული ვითარება, ყურად იღონ მოსახლეობის გულისტკივილი და მისცენ ხალხს არჩევანის უფლება, რადგანაც ეს უფლება ოტობაიის მშრომელებს კარგა ხანია მოპოვებული აქვთ“**.

გაფითრებული რაბო შონია მხრებს იჩეჩავს. ოტობაიელები ტაშს დასცხებენ ფოთლების შემარხველს. ერთმანეთს ზურგში უბაგუნებენ მუშტებს ცუცას და ლუბაშას მიმსგავსებით.

საკმარისია, მადონა, ჩვენებურო?!

კუნთხუოტობაიას ქარით გადახრილი ევკალიპტების კორომში მივირწევით. ახლა, ამ ორი წლის შემდეგ, კერიას ბალღური ბუტიაობით მოშორებულმა ჩინებულად ვუწყი, თუ ვის უმაგრებდა ზურგს ერთბუნებოვანი და ერთარსი ოტობაიას ორად გახლეჩა, ორ დამოუკიდებელ ერთეულად დანაწევრება, მაგრამ ჩვენებურთა თვითგამორკვევისათვის ფაციფუცი მაშინ უკიდურეს ხელმოკლეობას,უნუგეშო მდგომარეობას მიეწერა, თორემ სოფლის ცენტრში წარმოება-დაწესებულებათა კონცენტრაციით გამოწვეულ უკმაყოფილებასაც ეშველებოდა, უგზოობასაც მოევლებოდა და ბაგაბაღის უქონლობასაც.

ოტობაიის გათიშვის მიზეზებსა და აბსურდულობაზე ცალკე მოგახსენებთ მოგვიანებით. ამწუთას კი, იმას დავსჯერდეთ, რომ მებოსტნეობის უპერსპექტივობით წელში გაწყვეტილი სოფლის შედარებით ინიციატივიანი, მოპატრიოტო ჯგუფი, პატარა ოტობაიელების სახით, სეპარატიზმის გზას დაადგება. საამისოდ მრავალი მეცადინეობა, მრავალი თანამდებობის პირის გადმობირება და საქმოსნის ჯიბის მოშველიება გახდება საჭირო. ისე რომ, ოთხმოციანი წლების დამდეგს ოტობაიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ნიადაგზე ორი ოჯახი აღმოცენდება, ძველი — საკუთრივ ბოსტნეულის მწარმოებელი და ახალი — ციტრუსების დამამზადებელი.

ხალხი ისეა გაწამებული, რომ ოღონდაც ბოსტნეულისგან იხსნას თავი და ციტრუსები რა სახსენებელია, თვით ბამბისა და ბრინჯის მოყვანასაც კი არ შეეპუება. მაშინ არავის უფიქრია ლიმონის სათუთი კულტურა გაიხარებდა თუ არა ნაჭაობარ ნიადაგზე. არავის უაზრია ვაის გარიდებულნი შესაძლოა უის შეფეთებოდნენ, მაგრამ როცა თავდახსნისათვის იბრძვი, როგორც ჩანს, მასაღებია მიზნის საშუალებით მაკიაველისეული გამართლება.

ჩვენც გვედგა ეზოში ქართული ჯიშის ლიმონის ვეება ხე, ისეთი ახოვანი, იმდენად გაფოშფოშებული, რომ ყოველწლიურად 2000 ცალს ისხამდა, თითოეული ნაყოფი ორას-სამასი გრამი რომ იქნებოდა, იმნაირს, მაგრამ მოშლიგინდა უკულმართი ზამთარი და ერთიანად შემუსრა არათუ ლიმონი, თვით შედარებით ყინვაგამძლე გრეიპფრუტისა და მანდარინის ნარგავებიც კი, ისე რომ, მთელი წელიწადი შეშისთვის ზღურბლს არ გავმცდარვართ, თუმცა ესეც ცალკე საუბრის თემაა, და ახალი ცოცხის კვალობაზე უპროგნოზოდ გულუხვად დაფინანსებულ მეურნეობაში ლიმონარიუმების მშენებლობის ფართო კამპანია გაჩაღდება — მიყოლებით ჩამწკრივდება გიგანტური სათბურები; ჩამწკ-

რივდება ეპითეტია, იქტიოზავრის ჯოგის ნამარხი ჩონჩხივით წამოეყუდება ჭაობისგან გამოტაცებულ მიწაზე და წარმოიდგინეთ, დღესაც ასეთი მიუსაფარი წამოგესვეტებათ თვალწინ ლითონის აბლაბუდასავით.

საქმე ის გახლავთ, რომ თავის დროზე ვერაფრით მოხერხდება ძვირადღირებული გათბობის მოწყობილობის დამონტაჟება დინოზავრისჩონჩხა სათბურებისათვის. იქ, ცხადია, საბჭოური რეჟიმის მესვეურთა ჩვევებისამებრ მრავალზე მრავალი თანხა მიიდრიკება ხელმარცხნივ ოტობაიაში, ოცდათხუთმეტი კილომეტრიდან მოლაყუნებულ-წაგვანგვალებული ხალხისგან. მოკლედ, რთული კონსტრუქციის ლიმონარიუმები ყოვლად მოუხერხებელი აღმოჩნდება ადგილობრივი კლიმატური პირობების ფონზე, ვინაიდან მოშარიშურდება თოვლი, ჩამობარდნის, ჩამოლეწავს შემინულ სახურავს და ერთიანად მოაშთობს ნაყოფით დახუნძლულ მცენარეებს.

თუკი ღია ცის ქვეშ მოკრუნჩხულ ლიმონებს დეკემბერ-იანვრის სუსხის წილ, ფოთოლცვენა და წაყინვებიღა ემუქრებოდა ახლა მთლად აღიგვება მიწის პირისგან დონდლო კონსტრუქციის ზვავქვეშ მოყოლილი და ფრიად შეჭირვებული სოფელი მარტივი ტიპის გადახურვის იდეას მიემხრობა, რადგანაც საქართველოში, ამ სუბტროპიკულ ქვეყანაში ლიმონარიუმებს, იმდენივე სახსრებს თუ შევალევთ, რამდენიც ეს სუსხიანი ჩრდილოეთისთვისაა საჭირო, მაშინ საერთოდ მეციტრუსეობას რაღა გამართლება ექნება კოლხეთში, კერძოდ, ოტობაიაში, თუნდაც ნაჭაობარ, გაოხრებულ მიწაზე?!

მოუქნელი ლიმონარიუმების დილემასთან ერთად კუნთხოტობაიელების წინაშე მეორე პრობლემაც წამოტივტივდება — მორგებული ტექნიკის დეფიციტი. თავის დროზე შეძენილ რვა მიკროტრაქტორს დაუდევარი მექანიზატორები ხელად გაცვეთენ, ახალი კი, მოგეხსენებათ, ასე იოლად არ ჩალიჩდება. ვერც შეპირებული მონორელსების დამონტაჟება მოხერხდება, ველარც — გადასახურავი მასალის შოვნა და თავიდან ტაშფანდურათი დაწყებული საქმე მოეშვება, თვითდინებას მინებდება. რენტაბელობას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა თუ მეცნიერულ აზრთან მჭიდრო კონტაქტები განსაზღვრავენ ხოლმე, რაც მიუწვდომელი ხურმა აღმოჩნდება მათთვის.

მოკლედ, მადონა, ჩვენებურო, როცა უფროს-უმცროსობა პირადულ სიკეთესაა გადაგებული, რა გაგვახარებს, საიდან დაგვებედება წინსვლა და წარმატებანი?!

ეხ, რისთვის ვიტკივებ აუტკივარ თავს? ეხ, არის კი საჭირო ძარღვების აშლა?! ხომ დარწმუნებული ვარ, არავინ გამოიმეტებს გულიდან ამოსულ სიტყვებს, რომელიც წინ წასწევდა ჩვენი სოფლის მომავალს.

მომიტევე პილპილმოყრილი მადლი, მადონა, ჩვენებურო, მაგრამ ოტობაიელი რომ ვარ ტიალი?! მეც რომ მიღრღნის გულ-გვამს მისი ბედი თუ უბედობა?!

როგორ მოვიქცეთ, ,,ვინ დაგავალას'' ავტორებს სერაპიონის დასტურ-ლამალი ვაახლოთ საიქიოდან თუ ვენდოთ ლათინურ სენტენციას და გონებაში მყარად ჩავიბეჭდოთ მარად ურყევი ჭეშმარიტება: არ გაჩუმდე, როცა ვალდებული ხარ ილაპარაკო-მეთქი, ვემუსაიფები ფიქრებში მშვენიერ ოპონენტს ჯავშანტრანსპორტიორთათვის პოლიგონად სავარგის გზაზე ხუთბალიან ღელვაში მოქცეული.

აგერ, გონიოსავით მოსახვევი. აქედან ოტობაიას ცენტრამდე გაილარება თემშარა. აქ, წლების მერმე ჩასაფრებული ბანდიტები უსულგულოდ ჩაცხრილავენ ,,ჟიგულში'' განუყრელ მამა-შვილ ძაძუებს, თხილის დამამზადებელ შაქროს და მის ერთადერთ მეხუთე ძეს. გამწარებული ოტობაიელი ბიგვახე დედა ნეკა თითს მოიჭრის სახლიკაცების დაკრძალვის დღეს, სამარეში ჩაატანს წაბლისფერთმიან მემკვიდრეს. რკინის ქალამნებს ჩაიცვამს, რაღაც მანქანებით შეიტყობს მათი ოჯახის დამამხობლის ვინაობას და ზუგდიდის ბაზრის წინ ტყვიით გაჭედილი ,,ნაგანით'' წესს აუგებს არამზადას.

ელექტრო ქვესადგურია აქვე. შუასაუკუნეების ხომალდის მსგავსად უთვალავი სადენით დაქსელილი.

გლეხკაცს საკუთარი თუ წაართვი და მომავლის თვალსაწიერი დაუშრიტე, მოდუნდება, გულბოყვი ამოეცლება, და საერთოდ, უღიმღამობა დაისადგურებს გარშემო, მაგრამ ყოველ სოფელს, ყოველ სულიერს ასაზრდოებს მარად ღვთაებრივი, ზენაარული ნიჭით დამპურებელი ძალა და ეს ყველაფერი ერთ უმარტივეს ფრაზაში გამოიხატება: წყალი — მდინარე.

ჩვენ ნაენგურალზე ვსახლობთ, და რომელი ლეთა დამავიწყებს მამაჩემის გარჯას ჭების თხრაში?! ამ სცენებს მოგვიანებით რომან-ტრიადაში გამოვიყენებ კიდეც, ჭოფია ანთარია ამაოდ რომ მრჯება დღენიადაგ კამკამა წყლის მოსახელთებლად. ჩვენთან კი ჭის წყალი ძუძუმტესგან განსხვავებით აგვისტოდან მოყოლებული ზაფრანისფერს დაიდებს და იძულებულნი ვართ სილაჩაყრილი ვედრო-

ებით ვფილტროთ ხოლმე, მაგრამ მთავარი ის არის, მდინარე დიდია თუ მცირე, განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ადამიანთა ბედ-იღბალს, მათ ფსიქიკას.

შეუძლებელია დონისა და თერგის პირას მაცხოვრებელთა ხასიათები იდენტური შინაარსისა იყოს. გამორიცხულია ენგურს თანშეზრდილი მიესადაგოს განგისა თუ ნილოსის მკვიდრის ზნეობას, რამეთუ პირველი განაპირობებს მეორეს. ბუნება ხომ ბრძანებელია, ვაჟას თქმით, თუმცა იქვე დაემატება: იგივ მონაა თავისაო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, უხსოვარი დროიდან ადამიანები მოდიან და ტანმძიმე თუ ტანმჩატე მდინარეთა საიხლოვეს დასცემენ ხოლმე კარვებს. მდინარე არის მათი არსებობის უშრეტი წყარო, იმისდა მიუხედავად, რომ ზოგჯერ გველეშაპივით მოიქნევს კუდს, აიფაფრება, მირეჯგვ-მორეჯგვავს იქაურობას, გააპარტახებს, გაანიავებს ნაჭირნახულევს, ნაოფლარს, მაგრამ მაინც მის უბერებელ სასიცოცხლო მაჯისცემას მიუბრუნდება როსმე ბუდემოშლილი გლეხკაცი.

სოფელი და მდინარე ორი განუყოფელი ცნებაა. უფრო სწორად, თემი, სოფელი, დაბა, გნებავთ— ქალაქი, დიდია თუ პატარა, თავისთავში გულისხმობს მდინარესაც. ჩემში კი სიტყვა ,,ინგირი'', ენგური რომ ეთანაბრება დედაქართულად, იწვევდა და იწვევს საერთოდ მდინარის ასოციაციას.

მართლაც, მეგრელი ცხენისწყალზე, მტკვარზე, რიონსა თუ კოდორზე სახელით კი არ მიუთითებს, არამედ: რა კარგი ინგირიაო, ესე იგი, რა დიდებული მდინარეაო.

სიტყვა ენგურის წარმოშობა ბურუსითაა მოცული; მისი ახსნა ვერც ზოგად-ქართულით ხერხდება, ველარც — სვანურითა და მეგრულ-ჭანური ენებით.

ცნობილ შუმეროლოგს, ზურაბ კიკნაძეს თუ ვენდობით: ,,ენგური — წინარე მდინარეა, წიაღი, რომლის ამოურწყავი მარაგიდან მოსჩქეფს დედამიწის ზურგზე არსებული ყოველი მედინი წყალი''.

ცხადია, ენგური სხვა არაფერია თუ არა აპსუ:* ენგურ — ,,მტკნარი ოკეანე'' და ა.შ. აქ და სხვაგანაც ენგური შუმერის მიხედვით მამრის სიმბოლოა, ფალოსური საწყისი, რომელიც მსჭვალავს ზღვას, ანაყოფიერებს ყოველივეს.

ახლა, კერიას ორი წლით მოშორებული ნაჯაყჯაყარი მგზავრისთვის, ძნელი ასახსნელია თუ შუმერულ მითოლოგიაში დამკვიდრებული ენგური, რისთვის იღებს სათავეს უხვანი-შხარის მყინვარებიდან, და სპარსეთის ყურეს ნაცვლად, შავ ზღვაში რისთვის ჩაედინება 221 კილომეტრის სრბოლის შემდეგ?! ამისი ახსნა ან ყოვლად შეუძლებელია მასალათა სიცოტავის გამო, ან რაღაც სასწაულებრივ აღმოჩენას უცდის და ბედნიერი მომავლის საქმეა.

დედაქალაქში ვარ. ძუძუმტე შემომივლის მისგანვე ნაქირავებ ბინაში, ფულს მისახსოვრებს ჩვეულებისამებრ.

— დეიდა კლარა გაცივებულა. წადი დროზე და მუხლებში ჩაუვარდი!

მატარებლის გასვლამდე შორჟამია. ვფურცლავ უნიკალურ ქართულ ენციკლოპედიას. **„ენგ... ენგ... ენგელსი, ენგლერი, ენგური, მდინარე დას. საქართველოში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრ, კალთაზე და კოლხეთის ბარში. სათავე აქვს მყინვარ ენგურზე, ზ.დ. 2614 მ-ზე. სოფ.ანაკლიასთან** (ალნარკია უფრო ზუსტია, გამიელვებს გონებაში), **ერთვის შავ ზღვას. სიგრძე 213კმ, აუზის ფართ. — 4060 კმ². მთავარი შენაკადებია — მარჯვენა: ადიშის ჭალა, ხალდე ჭალა, მულხრა, დოლრაჭალა, ნაკრა, ნენსკრა; მარცხენა: თხეიში, ხუმფრერი, ლასირი, მაგანა, ჯუმი და სხვა. ე.ზემოთში კვეთს სვანეთის ქვაბულს, შემდეგ კი ღრმა და ვიწრო ხეობაში მიედინება. ზემოთსა და შუა დინებაში მდინარის კალაპოტი ზოგან ჭოროშიანია. დაბა ჯვართან მდინარე გამოდის კოლხეთის დაბლობზე და ქმნის ფართო ხეობას და იტოტება. სოფელ რუხთან იყოფა ორ ტოტად, რ-თა შორის მოთავსებულია 12 კმ სიგრძისა და 0,5 - 2,0 კმ სიგანის კუნძული. მასზე გაშენებულია სოფ. შამგონა,** (,,სიცოცხლემისჯილების'' ეპიცენტრი, იგივე ოდაბადე, შურობუმუ, რომელიც კრებს, ითავსებს ოტობაიელების თუ ფიჩორელების, ნაბაკეველების თუ თაგილონელების, კახათელების თუ დარჩელელების, რუხელებს თუ ერგეტელების ზოგადადამიანურ სატკივრებს, გ.ო.) **ე. შერეული საზრდოობის მდინარეა: ზემოთში წლიური ჩამოდენის...“**

,,მაინც რაა ცხოვრება? — ვფიქრობ მატარებლის გასვლის დროის მოახლოების მოლოდინში, — რვა წლის წინათ, ანაკლიას ერთვისო, იუწყა ენციკლოპედიამ. აი, გავიდა ორჯერ სამი წელიწადი და ენგურმა იერსახე იცვალა, ანაკლიის მაგივრად გალში ჩამდინარდა, 213 კილომეტრისა მთელი 8 კილომეტრით გაიზარდა სიგრძეში, არც სიგანეს უზარალია მისას. მოკლედ, უცნაურია წუთისოფელი, ერთსა და იმავე მდინარეში მართლაც არ შეისვლება თურმე ორჯერ. ესეც შენი ფილოსოფია''.

,,**ენგურის ჰიდროელექტროსადგური,** — კვლავ ენციკლოპედიას მივაცივდები, — **უდიდე-**

სი ხესი ამიერკავკასიაში, შენდება მდ.ენგურზე 1961 წ-დან.. ენგურხესი ხიდროელექ-ტროსადგურების კასკადია, რომელშიც შედის თვით ენგურხესი, რომლის დადგმული სიმძლავრეა 1300 ათ.კვტ □5 აგრეგატი, თითოეული 260 ათ.კვტ სიმძლავრის), ვარ-დნილხესი №1 □სიმძლავრე 1640 ათ. კვტ და სამი 40 ათ.კვტ), საშუალო წლიური გამომუშავება – 5,46 მლრდ კვტ.სთ.ხესის ნაგებობაში შედის 271,5 სიმაღლის უნი-კალური თაღოვანი კაშხალი...''

ისევ სიყრმის წლები მახსენდება, მამის მკლავზე მოკალათებული როგორ ვუქნევ ხელს ჩამავალი მზით დაფოთლილ მდინარეს. ახა, ხაბოსპირიდან ისინდივით მივექანები ღრმაფსკერიანი საბანაო ადგილისკენ.

,, **ე.ხ.-ის მთლიანი სიმძლავრის ამუშავება გათვალისწინებულია X ხუთწლედის დამლევს"** (ენციკლოპედია ისევ ცდომილობს, იქნებ თვით ცხოვრება, წუთისოფელი ცოდავს, ქაღალდზე რომ ერთია და სინამდვილეში — მეორე. ახლა XI ხუთწლედია და კიდევ მრავალათე-ული თვეა საჭირო ენგურხესზე სამუშაოების მოსამთავრებლად: კაშხალმა რომ საპროექტო სი-მაღლეს მიაღწიოს, იგი დამატებით უნდა შეივსოს 20 ათასი კუბური მეტრის ბეტონითო, — ვკითხულობ ენგურხესის მშენებლობის უფროსთან, ნოდარ შარტავასთან ჩამორთმეულ ინტერ-ვიუში). ვფურცლავ,, ენგურხესის'' დოსიეს.

ტელევიზიის საგანგებო გამოშვებაა. უბედურების მაუწყებელ ინფორმაციას შემზარავი ცნობები ენაცვლება. კვლავ ასობით ფუძე-ჭერი მოეშლებათ მესტიელებს და ლენტეხელებს.

თოვლი. თოვლი. თოვლი.

სანამ თენგო და ომარი შინ მეგულება, ვიცი, დედას არაფერს გაუჭირვებენ. ეს მაიმედებს, ეს მანუგეშებს. არც მშობელთან ხელების ფშვნეტით მისვლა ეგების.

ზვავებმა მოსპო სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე სოფლები. მხოლოდ სვანურ კოშკებს ვერა-ფერი დააკლო. იქნებ ეს ყოველივე ენგურის მიზეზიცაა?! აბა, რა, ცის სიახლოვეს ხელოვნური ზღვა შევქმენით და?!

ცნობას ცნობა მოსდევს რაჭიდან, დუშეთიდან, სამაჩაბლოდან. ყოველ ნაბიჯზე ზარალი, ყოველ ნაბიჯზე ცრემლი, მშობლიურ კერიასთან განშორება და უღონოდ ჩამოყრილი მხრები.

სტიქია ამასაც არ გვაკმარებს. გადაირევა რიონი. მოსახლეობის ევაკუაცია კი მოხერხდება, მაგრამ დოვლათს არაფერი ეშველება. ყველაფერი ჯანდაბას ადამიანების მსხვერპლი რომ არ იყოს. წყალდი-დობასთან ბრძოლას მამაცურად ეწირება რიგითი მამედოვი.

საბჭოთა ავიაცია ხაზზეა.

სვანეთი გლოვობს.

დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილია მე-700-ე ანგარიში.

მთელი საქართველო თითის წვერებზე დგას: ძმა ლუკმას უყოფს გაჭირვებაში ჩავარდნილ ძმას...

და უცებ... ენგური!

თითქოს აქამდე არც მიფიქრია ძმადნაფიც მდინარეზე, რომელმაც ნებსით თუ უნებლიეთ კალა-პოტი შეიცვალა, ზურგი შემაქცია და მეც უმადურ წუთისოფელზე გაბოროტებულმა მივივიწყე, სიყრმის მეგობარი გავწირე.

ახლა სრულიად საქართველო ენგურის უნიკალურ თაღოვან კაშხალს მისჩერებია.

— გაუძელებს კი?! გაუძლებს კი?! — გორავს ჭორი აღმა-დაღმა. ნუთუ წყალში ჩაგვეყრება ამდენი წლის ოფლისღვრა, ამდენი წლის კატორღული შრომა?!

და აი, 10 თებერვლის ,,**Ì îëîäåæ Ãðóçèè"**-ს სტატია **„Ï îðà ýäåëüâàéñâ í àñòóï è ò"**. თვალს არ ვუჯერებ რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში დაჩხაპნილ მერხზე მისვენებული. გაოგნე-ბული ვკითხულობ თეთრზე შავით ნაწერს, მეორედ, მეათედ: ,, ესეც შენი მოწონებული კაშხალი! ნუთუ მოვარდნილი პელაგონი ვერაფერმა შეაკავა? ნუთუ ენგურმა შური იძია და იქაურობა პალ-იასტომად აქცია?! მაგრამ არა! არა! მეწურება გული მტევანივით. რას ვიფიქრებ, ესოდენად გადამტერებულს, მახლობლად თუ გავიხდი ოდესმე! მართალია, კაშხალს იმთავითვე შევაქცევ ზურ-გს, როგორც ენგურხესზე გამწყრალი ადამიანი, მაგრამ ცოტა მსმენია და წამიკითხავს განა მის უნიკალურობაზე?! კაშხალის ტანში ხომ სპეციალურადაა დატანებული ოთხი წყალგადამგდები სარ-ქველი, რომელიც ავტომატურად იხსნება და ერთდროულად ძალუძს წამში 2400 კუბური მეტრი წყლის გატარება. ასეთი მოცულობის ნაკადის შემოსვლა კი ენგურში ყოვლად წარმოუდგენელია.

მაშ, რა მოხდა, რა?

იქნებ შეეშალათ ჟურნალისტებს და კაშხალის ოთხივე წყალგადამგდები სარქველიდან მოშვებუ-ლი ჩანჩქერი იხილეს ვერტმფრენიდან?! რას გაუგებ პრესას! თუმცა ასეც რომ იყოს, რა ეშველებათ

ძველი კალაპოტის ზოლში დასახლებულებს?! მდინარის სანაპიროზე განლაგებულ სოფლებს: რიჟეს, რუხს, შამგონას, კოკს და ორსანტიას, განმუხურს, ოტობაიას ბოლოს და ბოლოს?!

უენგურობამ მართლაც გაათამამა ბარის მაცხოვრებლები. გაითავისეს მდინარის მიერ იძულებით დატოვებული ადგილები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გადააქციეს; მოაწყვეს მეცხოველეობის ფერმები. ესეც რომ არა, წყალდიდობის დროს თავისებურად გადაირევა ხოლმე მაგანა, რომელიც ენგურის ძველ კალაპოტში ჩაედინება კაშხალს ქვემოთ.

მოკლედ, ვივიწყებ ძუძუმტეს ქოთებს, დედის ავადმყოფობას, მატარებლის ბილეთს საერთაშორისო ვაგონში და ორსაათიანი ლოდინის შემდეგ რის ვაივაგლახით ვუკავშირდები ჯვარზენს.

— არაფერი მაგის მსგავსი, — ბუხუნებს ელსმენიდან იქაური თავკაცი იური წოწერია. ჩემიანების სოფლიდანაა, ოქტომბერიდან, თარგამულიდან, — რომელმა გაზეთმა დაბეჭდა, რომელმა ჭკუათმყოფელმა?! — შემომიტევს, — ამხანაგო, მწერალო, როგორც ჩანს, იდილიური ცხოვრება გაგიტკბა, თორემ ამისთანა ციებ-ცხელების დროს განზე გადგომა იქნება?! მიდი, იმ ხალხთან და ენგურხესელების გულისწყრომა მიაწვდინე. ენგურხესის კაშხალი წისქვილი ხომ არ ხგონია ზოგიერთს, წყალდიდობა რომ მოსრავს არჩილ სულაკაურის მშვენიერ მოთხრობაში?! თაღოვანი კაშხალი ეს თითქმის საქართველოა, ძვირფასნო-თქო. ისე, სიზუსტისთვის თუ გნებავს, ნამქერმა იმდენი მოახერხა, რომ ახლა ენგურზე სულ ცოტა შვიდ ადგილას მაინც გადაისვლება ერთი ნაპირიდან მეორეზე უხიდოდ და უშიშრად. ხქენი სიკეთე და ეს ინფორმაცია იმ თქვენს კოლეგებს იქნებ რამენაირად მიაწოდო, თან გადაეცი, ხონორარში არ გეცილებიან-თქო. მადლობის მეტი რა გვეთქმის შემოხმიანებისთვის, მაგრამ სიმართლის გამო ნუ მიწყენ: დროა თვალში გამოიხედო, ჩვენს გვერდით დადგე, დადგე იქ, სადაც ნამდვილი ცხოვრება დუღს. შენ ,,სიცოცხლემისჯილებში'' მედალიონის მხოლოდ ერთი მხარე გვანახე — ალჩუ, ავერსი, როცა ენგურს იდილიური სურათებით წარმოგვიჩენ. აწი საჭიროა თოხანის, რევერსის ჩვენებაც. როგორც რუსები იტყვიან, **ó êàæäî é ï àëêè äâà êî í öà.**

ცხრა თვის შემდეგღა გადაწყდება ყოყმანი: ჩემი ცხოვრება ხელახლა უნდა მიუბრუნდეს ენგურს, ოღონდ არა კოლხეთის გაშლილ ჭალაკებში მობუბუნეს, ხაბოსპირიდან რომ დამანახებს მამა ამ ოცდაათიოდე წლის წინათ, არამედ — ახალს, კაცის გენიის მიერ დამორჩილებულს და ისევ ადამიანების სამსახურში ჩამდგარს.

ვიწრო თვალთახედვით, ენგურის ხეობის მაცხოვრებლის პოზიციიდან, იქნებ არც კი ვცოდავთ მე და ჩემი გმირები; იქნებ უსაფუძვლო არ ეთქმის ჩვენს სატკივარსა და სამდურავს, მაგრამ ზოგადკაცობრიულის თვალსაწიერიდან ბრძენკაცს სასაცილოდაც არ ეყოფა საკითხებისადმი ჩვენებური მიდგომა-მეთქი, ვეკამათები საკუთარ თავს:

მაშ, არ უნდა გათხაროს არხი ფაუსტმა?! არ უნდა დაარღვიოს მოხუცი ცოლ-ქმრის წალკოტის მშვენება?! არ უნდა მიანიჭოს ბედნიერება ჭაობით გაწამებულ ათასებს უმცირესის გაწირვის ფასად?!

მაშ, არ უნდა გასცეს იუდამ ქრისტე. არ ეამბოროს რააბის ძახილით და უღვთოდ დატოვოს უფსკრულის პირას მისული კაცობრიობა?!

მაშ, არ უნდა მოაწეროს გეორგიევსკის ტრაქტატს ხელი ერეკლე მეორემ და ფიზიკური განადგურებისთვის გაიმეტოს მრავალტანჯული ქართველობა-მეთქი; რამდენიმე კვირას ამგვარი კითხვები მირიალებს გონებაში ძილგამტყდარს; დაბოლოს, როგორღაც გადამძალავს ზოგადი, საერთო საქმე მიმიმხრობს და რაღა გასაკვირია 271,5 მეტრის სიმაღლის თაღოვანი კაშხალიდან გადმოვყურებდე ახლა კოლხეთის ფირუზისფერ სანახებს?! ეს გაოცება, ცხადია, მხოლოდ ნაწილობრივ თუ გადაფარავს წლების მიღმა განცდილს. მაშინ, სრულიად ცეროდენა, ენგურის ტალღათა გრაგნილებს მამია რატიას გაჩაღებულ სამჭედლოს შევადარებ, სადაც დახლართული კამეჩები საბერველივით ქშენენ დაბერილი ნესტოებიდან და მზესავით ვარვარებენ გაღვივებული ქურიდან მარწუხებით გამოღებული ნალები. რამხელა სხვაობაა ამ განცვიფრებათა შორის?!

პირველად ჩემი გაფაციცებული თვალები შავი ზღვის მიმართულებით მიაცილებს მზის სხივებით გალიცლიცებულ დინებას. ამჯერად კი ამომავალი მანათობლისთვის მიმიპყრია მზერა. დათოვლილი მთებისა და ულურჯესი ტალღების აბლაბუდაში იმნაირად გავხლართულვარ, რომ ვეჭვობ თავდაღწევა გამიიოლდეს და მეც უნებლიეთ ხშავ ზღვაშიელს ვიწვდი ენგურისკენ და მეღიმება, სევდიანად მეღიმება აქამდე გარდახდილ მცირე ომზე, რომელსაც ,,ეთნოგრაფიული ხასიათის რომანიღა მოხყვება'', იური წოწერიას სიტყვებით.

მოშვებულია ერთი წყალგადამგდები სარქველი.

ცისფერი ბურუსით იფარება ხეობა.

ჩანჩქერის თავზე შარავანდედივით იბადება თვალის მიმტაცებელი ცისარტყელა და იური წოწე-

რიაც სინანულით მიმხელს:

— რიონისა და რეგიონის სხვა მდინარეების სიურპრიზებით შეფიქრიანებულები, ენგურის ყოველ წამომატებაზე წყალს იმთავითვე ვიშორებთ თავიდან. არადა, ეს უნიკალური მარაგი იქნებოდა მომდევნო თვეებისთვის, როცა საგრძნობლად იკლებს მისი დონე. ადრე გაზაფხულზე ბუნება ისევ აჭირვეულდება, ამიტომაც ვამჯობინებთ წყალსაცავი მზადყოფნაში ვიქონიოთ. აღნიშნული ღონისძიებანი უფრო გამოუცდელობითაც მოგვსდის, თორემ ჩვენ გაისად ყოველი წვეთის დაზოგვა უფრო გვმართებს, ვინემ — განიავება.

მე ახლა ცხადლივ მესმის ჩემი გმირების მიერ შერისხული თაღოვანი კაშხალის მნიშვნელობა, თუ როგორი მართვადი გამხდარა ენგური და ამით გარკვეული პერიოდი თავიდან აგვიცილებია არათუ მომცრო, თვით — გონებისთვის მოუსაზრებელი კატასტროფაც კი.

— როცა ენგურხესის კომპლექსი სრული სიმძლავრით ამოქმედდება, — განაგრძობს იური წოწერია, — როცა მწყობრში ჩადგება ხუდონხესის, ტობარისა და ფარის ხიდროელექტროსადგურები, ენგურის ხეობაში წყლის საერთო ტევადობა მილიონობით კუბურ მეტრს მიაღწევს და „Ì îëî äåæ ãðóçèè“-ის ფურცლებზე გაპარული შეცდომის შესაძლებლობა საერთოდ მოიხსენება დღის წესრიგიდან. სამაგიეროდ საშუალება მოგვეცემა საათში 10-11 მილიარდი კილოვატი ენერგია ვაწარმოოთ. შეიგნე, ამხანაგო, მწერალო, ენგურხესი — მორიგი საოცრებაა „ვეფხის ტყაოსნისა“ და სვეტიცხოვლის შემდეგ.

ვგრძნობ რაღაც თვისებრივი სხვაობა ხდება ჩემში. ვგრძნობ როგორ უთმობს ადგილს ძველი ახალს. ვგრძნობ როგორ დაგორდება სულის თვალუწვდენელი ციცაბოებიდან სიტყვა „ენგური“. ვიცი ეს უხილავი ზვავი ასე იოლად არ ჩამომთავრდება, მაგრამ რაც მთავარია, დაძრულა და მეც ვაგრძელებ აღმასვლას ხუდონის მიმართულებით.

აგერ, განკარგულება მდინარის გაღმა ნაპირიდან. ვხედავ, როგორ წაფრინდება ხაერში ერთდროულად სამი ფიჭვი. ჯერ გვერდულად გადაიხრება სამივე, მერე თავქვე ჩამოეკიდებიან ცაში მაღლა აშვერილი ფესვებით— თითქოს ყმაწვილობაში დასიზმრებული აცხადებულიყოს: „ჯა დუდგიმე მინმირთუ დო ჩხვიხვებს ფაჩუნს“ — თავდაყირა დგება ხე და ფესვებს ფანტავს.

მოგვიანებით ჩამოაღწევს ყურთასმენამდე გულისწამღები გრუხუნი და ენით აღუწერელი სინანული მომბოჭავს. ვამჩნევ, ხუდონხესის მისადგომებთან კალაპოტშეცვლილ ენგურს, რომელიც ისინდივით მიექანება გვირაბში, არზაყან ზვამბაიამ მოიტაცა ფაფარაწეწილი, ენგური და გზა მშვიდობისა, მეგობარო-მეთქი, ვჩურჩულებ გულში.

ჩასვენებულა ენგურის ალჩუ, ახლა ჯერი თოხანისაა. უკვე დროა სულ სხვა მხრიდან იელვაროს ჩემი ძმადნაფიცი მდინარის ყისმათმა და აშკარად ვატყობ, სულიდან დაცურებული ბგერების გან როგორ ზვავდება უფრორე ტანმძიმე სიტყვანი ფრაზებად და ტირადიებად.

ამ ფიქრებს, ამ მგზავრობას აქეთ, ორი წლით უნახავი კერიისკენ, მრავალი ხანი გამომხდარა, ბევრი რამ შეცვლილა ენგურის მიმართებითაც: შეჩერებულა ხუდონხესის მშენებლობა. 150 მილიონი მანეთის სამუშაოები წყლისთვის გაგვიტანებია. რა გვენაღვლება, ჩვენ ხომ გიჟვრაცუებად აღგვიქვეს მეზობლებმა ერთხელ და სამუდამოდ?! თუმცა ამ თემას ახლავს მომავლის პერსპექტივათა თავისებურება: ყოველივე მასშტაბური, გლობალური მშენებლობა, ადრე თუ გვიან ბუმერანგივით დაგიბრუნდება უსათუოდ ეკოლოგიური პრობლემების სახით, რომელიც ნაკლებად საფიქრალია დამკვრელური სოციალისტური სინამდვილისათვის: მეტი ქვანახშირი, მეტი ნავთობი, მეტი ენერგია, მეტი სიმინდი და სოია, მაგრამ როგორია ამ „მეტის“ მოპოვების გზები ნაკლებადაა სანაღვლო. პირიქით, უარყოფილი გახლავთ კიდეც და კაშხალის მშენებლობა შლამს რომ მიაკლებს ზღვას, ამაზე არავინ ფიქრობს; ნაპირები ხელოვნურად რომ ხდება გასამაგრებელი მდინარიდან ამოტანილი ქვა-ღორღით, ესეც ხომ სიცხადეა?!

რა გამოდის?! ბეკეკა შევიძინეთ თხის გამყიდველებმა?! ქვეყნის მერმისი კი ამგვარი მეთოდებით, ოტობაიელების ლიმონარიუმებისა არ იყოს, იქტიოზავრის ჩონჩხივით რომ მომიტოვებია ზურგს უკან, წაიწევა ვითომ წინ? ნემსს თუ ვერა, ლურსმანს მაინც უნდა აჭედებდე და ნაჯახს აძრობდე! აი, ეროვნული ეკონომიკის გადარჩენის წინაპირობა-მეთქი, ვდაობ საკუთარ თავთან და მივჯაყჯაყებ ოტობაიის დამტვრეულ გზაზე. ხსოვნაში კვლავაც ცრიატებენ ენგურჰესელების კოლორიტული სახეები, ნეტარხსენებული ბატონების გაელვებანი: მიხეილ ცისკარიშვილი, გიორგი მიქავა, ნოდარ შარტავა. ყველაზე შთამბეჭდავი მათ შორის მაინც იური გუგუჩიაა. ამისთანა ერუდირებული პიროვნება იშვიათობაა. ვერაფრით განმისაზღვრავს ამნაირი გამართული რუსულის სწავლა სად, როდის მოაწრო. გამსრესავია მისი ენციკლოპედიური განათლება. ენერგეტიკოსია და თანაბრად გემუსაიფება კინემატოგრაფზე, მუსიკაზე, ლიტერატურაზე. მორგვიანები, როცა სამხარეო გაზეთს

ჩავუდგები სათავეში, ჩვენ უფროორე დავუახლოვდებით ერთმანეთს. ეგ ერთი მყავს ქომაგი მთელს სადადიანოში, ბატონი იური და კიდევ ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი გურამ გუნავა. დიდი ჯოტო ჯერაც ცოცხალია. გუგუჩიების განსაკუთრებული ყურადღება მარგუნა უფალმა და ვშიშობ, ამოვალ კი ოდესმე მათი უანგარო ვალისგან?! ჩვენი საუბრები ზოგჯერ საათობით გრძელდება. ყურისძირას 1300 მეგავატიანი „ენგურჰესი" აღმართულა სამეგრელოს თავზე და ზუგდიდი სრულ წყდიადშია. მჭედელს დანა არ ჰქონდაო, ამაზე ითქმის. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება სადერივაციო გვირაბს. აქაც ბატონი იურია მესვეური, დიდთან დიდი და პატარასთან — პატარა. არ ვიცი, მერე რომელ ჭკუათმყოფელს მოაფიქრდება ენერგეტიკის არეალიდან მისი მოკვეთა, ცხადია — ქვეყნის მაოხრებელს. მილიარდები შემოსულა საქართველოში ენერგეტიკის ასაღორძინებლად და ენგურჰესი კვლავაც გაუსაძლის სიდუხჭირეშია, სამეგრელო კვლავაც ჭრაქითა და ფატმანის ლამპით დახელფათურობს წკვარამ ყიამეთში. საიდან ამომიტივტივდება ახლა „ფატმანის ლამპა.?!"პატარაობისას ვეტყვი ხოლმე დედაჩემს „ვეფხის ტყაოსნის" ილუსტრაციების დათვალიერებისას, „ფატმანის ლაპაჯურა-მეთქი", ფატმანის ლამპარის მსგავსი-თქო. ჩვენი შეჭვარტლული და შუშაფამფალა სანათი მაქვს მხედველობაში. მივყანყალებ ოტობაიის დამეხილ გზაზე, თან თვეების წინათ **ცეკ**-ას მდივანთან, ბატონ ნოდარ ჭითანავასთან გამართული საუბრის დეტალებსაც ვიხსენებ.

ხელმწიფის ტოლი პიროვნება „ახკომში" გამოქვეყნებული წერილის გამო შეხმიანებია რედაქტორ პაატა ნაცვლიშვილს.

ლამის საათს ვიმუსაიფებთ სოფლის მოწყობის თაობაზე. გამაოცებს აქამდე ფუნქციონრად მიჩნეული კაცის ერუდიცია, მაგრამ ენთუზიაზმი ერთია და სინამდვილე — მეორე. განა დონ კიხოტის აზრები უნიკალური არ გახლავთ განხორციელების რეალური ნიადაგი რომ ეძებნებოდეს შუა საუკუნეების ესპანეთსა თუ ქვეყნად საერთოდ?

ქვემოთ მოსათხრობი წერილი დემეკარგება. ახლა გონებით მიძნელდება მისი ზედმიწევნით აღდგენა, მაგრამ დაბეჯითებით მახსოვს, რომ იქ მოშველიებულია ის ჟინი და გამუდმებული გარჯა, რომელსაც აწ განსასჯელი თემის გაცნობიერებას შევალევ.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მოწყობის პრობლემას ხუთ სატელევიზო გადაცემას მივუძღვნი ხანგამოშვებით; ათიოდე წერილს დავბეჭდავ რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, თუმცა ყურს არავინ შეიბერტყავს.

მოკლედ, გულით მინდა ამწუთიერი ფრაზა ადრინდელს ორგანულად გადაებას და რადგანაც ის ტექსტი ხორაციუსით იწყება, მივყვეთ ჩვენც აზრის დაღვინებულ მდინარებას...

ღვთაებრივ ხორაციუსს თუ დავესესხები, ჩვენი ყბადაღებული ბაქიბუქიდან დაიბადება სასაცილო წრუწუნა, ამიტომაც ტელეხედვის მაგიურ ძალას არ დავსჯერდები და იგივე თემატიკაზე ყოფილი „ახლგაზრდა კომუნისტისთვის" ვრცელ პუბლიკაციას მოვამზადებ, სადაც უკვე ბელეტრისტის პოზიციიდან შევეცდები მეკამეჩეობაში არსებული პრობლემების წარმოჩენას.

რედაქციის მინაწერში ვკითხულობთ: **„ამ საუკუნის დამდეგს საქართველოში 160 ათასი კამეჩი იყო, რაც მსხვლფეხა რქოსანი პირუტყვის 15 პროცენტს შეადგენდა. სამწუხაროდ დღეს შესამედიც აღარ არის... ამ ვითარების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 11 აპრილის დადგენილება, რომლის განხორციელება ამ დარგის მუშაკთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა საშური საქმეა"**.

წერილს რამდენიმე საყურადღებო გამოხმაურება მოხვდება. ისინი ხსენებული გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდება კიდეც და ახლა მათზე საგანგებო შეჩერება უადგილოა, მაგრამ თანდათან, დღითი დღე, როგორც მკითხველთ, ისე სპეციალისტებს, კვლავ დაეუფლებათ ჩვეული ლეთარგიული ძილი და რადგანაც ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, მეკამეჩეობის აღორძინების საქმე ისევ სწრაფმკერების უსულგულო ყბებში მოექცევა.

გულს მტკენს ისიც, რომ იმ პუბლიკაციებსაც, როგორც ზემოთ ნახსენებ სატელევიზიო გადაცემებს, არავითარი პრაქტიკული შედეგი მოხვდება. გაძნელდება და მერე როგორ, ამ სავარძლიანი — კამეჩისტყავშუბლა ხალხის ადგილიდან დაძვრა?! მაგრამ განა გაცვდება ოთარაანთ ქვრივის რკინის ქალამნები?! ან ხავსს მოიკიდებს განა წიწამურელი რაინდის ღვთითკურთხეული კალამი და ვინ იცის, მერამდენედ გამოწვლილვით ვუბრუნდები შესწავლილ საკითხს — ჩემი ჭირნახული მამულის გადარჩენის ერთადერთ გარანტს.

შემოვიკრებ ცნობილ სპეციალისტებს, მივუსხდებით მრგვალ მაგიდას, ვისაუბრებთ, ვიმსჯელებთ. ძველი გადაცემების შთამბეჭდავ კადრებსაც შემოვიშველიებთ თვალსაჩინოებად. შიგადაშიგ დასახელებულ პუბლიკაციებსაც მივადევნებთ მზერას. შევიმუშავებთ, დავსახავთ კონკ-

რეტულ ღონისძიებებს, მაგრამ გაივლიან წლები და ქარავნისა და ქოფაკის ანდაზა კვლავაც სტარტზეა.

თავს ზემოთ ძალა აღარ არის, თუმცა ფარ-ხმალის დაყრა რას მიქვია! ისევ ვახმიანებ კალამს, ისევ ვავსებ ფარატინა ქაღალდს, ვინძლო ამ გულისძახილს მაინც მოხვეს სათანადო რეაქცია. ბოლო დროს საქართველოში ხომ მართლაც ბევრი რამ შეიცვლება: თეთრად გასაღებულ შავს როგორც იქნა თავისი ჭეშმარიტი სახელი დაუბრუნდება. 9 მარტ-აპრილის გარიჟრაჟთაგან, უცოდველი და-ძმების გადახსნილი მკერდიდის აისებიდან მოვაბიჯებთ ჩვენ, საფიქრალ მომრავლებულნი. მომავლის ფრთებიც ილანდება ცა-ლაჟვარდიდან.

გზა კი მანჯღრევს მშობლიურ კერას ორი წლით მოსხლეტილს.

წარმართული პერიოდიდან მოყოლებული ხარი მართლაც მიიჩნეოდა ღვთაებად. უხსოვარი დროიდან ნიშას და ნიკორას მთვარე მიმოაქვთ ალაწოდა-ალაწოდა რქებით. წიქარა-ხარს კი მთლად გმირად გვიქცევს ქართველი კაცის ფანტაზია. იგი წარმოგვიდგება, როგორც სიკეთისა და ერთგულების სიმბოლო. აბა, წამით გავიხსენოთ ხელიოსის ხარები, ცეცხლს რომ აფრქვევენ ნესტოებიდან და რიჟეზე გავლისას ნაპერწკლებს სტყორცნიან დაჭედილი ჩლიქებიდან. მათ სიფიცხეს რას დაიურვებდა გადამთიელი იაზონი, რომ არა მედეას სიბრძნე და თავგანწირული სიყვარული?!

ოდითგანვე ხარის გამწევი ძალით აითვლება საქართველოში ეროვნული სულის ცხოველქმედება;

თავად სიცოცხლის, ყოფნა-არსებობის ცნებას მოიცავს მისი სახელი „ხარ"-ი; უპერსპექტივო წლებში მხოლოდ ხარს, ქედდადრეკილ ლაბა ხარს, გაესაუბრება დიდი ილია, ერის საკურთხევლიდან, როგორც იმედს და ხსნას;

„ხარს ვგავარ ნაიალაღარსო", ბუხუნებს ვაჟა ფშავიდან და მაინც სამართლიანი ქართველი ჭეშმარიტებას თვალს ვერ დაუხუჭავს: კამეჩის მორკინალ ხარს რქები არ შერჩებაო, ბრძანებს.

ხელეწიფება ქართველს კეისრისთვის კეისრულის ბოძება და ღმერთისთვის საღმრთოს აღვლენა.

კამეჩი მცოხნელი ძუძუმწოვარა ცხოველია. იგი განეკუთვნება წყვილჩლიქოსანთა რიგის ძროხისებრთა ოჯახს. კამეჩები გავრცელებულნი არიან სამხრეთ აზია-აფრიკაში. ისინი ჯგუფურად ცხოვრობენ. მათი მაკეობა ათ თვესა და ათ დღეს გრძელდება. მყვირალობის პერიოდში კამეჩები პარტნიორს ოცდაათი კილომეტრის მანძილიდანაც კი გრძნობენ. მათ არ გააჩნიათ საოფლე ჯირკვლები. პაპანაქება ზაფხულში ამიტომაც ეტანებიან ტლაპოს. ცნობილია კამეჩის ოთხი სახეობა: ინდური კამეჩი — „ბუბალუს არნეე", ფილიპინური კამეჩი — „ბუბალუს მინდორენსის", ფსიტარქიანი კამეჩი — „ანოა" და აფრიკული ანუ კაფრული კამეჩი — „სინკერუს კაფრერ"-ი.

ინდური კამეჩის გამოკლებით დანარჩენ სამ სახეობას ამჟამად სრული განადგურება ემუქრება: ერთს უშველებელი რქების გამო სპობენ კოლექციონერები, მეორე სპორტული ნადირობის ობიექტია, მესამეს ავადმყოფობა მუსრავს, ასე რომ, ზოგი სახეობა იქამდე შემცირებულა, დღეს დღეობით რამდენიმე ასეული ეგზემპლარია შემორჩენილი.

„არქეოლოგიური მასალების მიხედვით კამეჩის მოშენებას ჩვენში 2600 წლის ისტორია აქვს", მაგრამ საოცარია, ამ უთვინიერესი პირუტყვის შესახებ თითქმის არაფერს გვეუბნებიან ადგილობრივი ისტორიული წყაროები. გარდასული დროის ლეგენდები, როგორც აღვნიშნე, აღმერთებენ ხარს და ტურს, კამეჩზე კი სდუმან თვით „გილგამეშის" ეპოსი თუ „ილიადა". ჩანს, წარმართი თუ ქრისტიანი ხალხი შავი ფერის გამო კამეჩს სრულიად უმართებულოდ სატანურ საწყისს, ბნელ ძალას, გნებავთ — სიკვდილს უკავშირებდა.

ფოლკლორში მოგვიანებით, ალბათ, ამიტომაც გაიდგამს ფესვებს კამეჩზე შეთხზული სტრიქონები და ხანგები. რომელ გულქვას არ შეძრავს თეთრშუბლიან ჩელასა და ბუსკაზე (ამ ლექსს ხარებზე შექმნელად მიიჩნევს ზოგი სპეცი- ალისტი), დაკვნესებული მეგრული სიმღერა, უკუნეთ შუაღამეს ვეღარ გადაცდებიო, რომ შეხგოდებს ბედისწერას საწუთროსგან დაბეჩავებული მეურმე?! მაგრამ ყველაფერზე — თანამიმდევრულად.

ვინ იცის, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე რამდენი განსაცდელი დატყდომია თავზე საქართველოს მიწა-წყალს, რა ძნელბედობისთვის გაუსწორებია თვალი, როგორი შემართებით გაუწალდავს სამომავლო ბილიკები, მაგრამ ჯერეთ არასდროს სმენილა ძროხისთვის მიწა ეხვნევინებინათ ქართლოსიანთა მხარეში, ფურ-კამეჩს კი, იმდენი სიცოცხლე ჩვენ, რამდენი გუთანი გაუხროტინებია ყამირ მიწაზე და რამდენი უღელი გაუთრევია გახეხილი ქედით.

უხვი რძით გამორჩეული ძროხები „ველის წითელი" თუ „შავ-ჭრელი" ახლოსაც ვერ მივლენ წველადობით ფურ-კამეჩთან, რადგანაც მათ რძეში 3-4 პროცენტია ცხიმის შემადგენლობა, კამეჩის რძეში კი ცხიმიანობა 9-10 პროცენტამდე აღწევს. ერთი სიტყვით, დიდი კამათი არ სჭირდება იმას,

რომ ყოველი 100 ლიტრი კამეჩის რძისგან იმდენივე მოცულობის ყველი და კარაქი იწარმოება, რამდენიც 200-300 ლიტრი ძროხის რძისგან.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს მეცხოველეობის საბჭოურ ფერმებსა და კომპლექსებში რა ძვირად ღირებულიცაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შენახვა. აბა, რა იქნება, როცა ბედდაწყევლილ ძროხას გომბეშოსავით ჩაფრენია ცურში გამგე-დირექტორის აფუვებული მადა, ეკონომისტი დავთრებს ამღვრევს, მექანიზატორი კომბინირებულ საკვებს ცინცლავს, მწველავი რძეს აწყალწყალავებს და შიმშილით მისავათებულ ხბოებს კუნტრუშის სურვილი წართმევიათ?!

ითვალისწინებდნენ რა აქილევსის ქუსლება საბჭოურ ეკონომიკას, ბოლო დროს აქა-იქ საოჯახო იჯარამაც მოიკიდა ფეხი, თუმცა ცდაბედისმონახევრეობის მეტი რაღა ახსოვს ექსპერიმენტების პოლიგონად გადაქცეულ საქართველოს?! მოკლედ, ძროხისგან განსხვავებით კამეჩის გამოზამთრება უხეში საკვებითაც მშვენივრად ხერხდება. ასეთი უხეში საკვების დიდძალი მარაგია ამერიმერის ყოველ კუთხე-კუნჭულში, მდინარისპირა ჭალაა ეს, ტბისპირა ლერწმოვანები თუ ზღვისპირეთის ჭაობიანი ლელიანები.

როგორც კი მარტის თვე მიიწურება, სამურზაყანოელი, ოდიშელი, ხობელი, სიღნახელი თუ ლაგოდეხელი მწყემსები კამეჩებს საძოვრებზე მიერეკებიან, სადაც თავზე საყრელადაა ახლად ამობინებული ლერწმები. ოღონდ საკვები მოიგულვოს და კამეჩი არც ტლაპოების გადატოპვას მოერიდება, არც ფამფალა ონტყოლაშეთა გადალახვას და აღარც ღრმაფსკერიანი წყლების გადაცურვას. იქნებ სახარებისეულ თქმულებას შემთხვევით არ გამოუცდია იგი ასერგასი დღე-ღამე ნოეს კიდობანს მიღმა?!

— კამეჩის შესანახად ოთხი-ხუთი თვის საკვები მარაგი სრულიად საკმარისიაო, — მეტყვიან ზუგდიდის რაიონში ერგეტელი მეკამეჩეები, — საველე პირობებში კამეჩის წონამატი შვიდას გრამს აჭარბებსო — მიმტკიცებენ და მაშინვე გამახსენდება სიყრმისდროინდელი უხვთოვლიანი მარტი, დედულეთი ფიჩორი, ბორსუს უბანი, ძვალკანა პაპაჩემი თომა გელენავა, რომელიც კამეჩებს ძროხების დაწუნებული სიმინდის ღეროებით გამოაზამთრებინებს.

— დავუშვათ ერთი წუთით და სულხან-საბა ორბელიანის არაკის ღარიბს იმ ქილაში ერბოს ნაცვლად კამეჩის მაწონი ხქონოდა, ნამდვილად არ იზარალებდა ბედოვლათი, რადგანაც კამეჩის მაწონი კი არ იღვრება, თათარასავით მკვრივია, დანითაა საჭრელიო, — ბრძანებს ხატოვნად ბატონი ნიკო ყოჩიაშვილი და მაშინაც ცხონებული დიდედაჩემის, მარი ჯალაღონხეს ნაფუსფუსარი ამოტივტივდება გონებიდან:

— კამეშიში ბჟაშე ეშალალირ ფალს გექიმინუა ვასაჭირ, ნანაგე, მარა იშენდოიშენით გამასქიდიდა, პიჯშა უჯგუშის მუს მილეზიმუა?!*

გამოცდილება ადასტურებს, რომ მეექვსე ლაქტაციის მერმე ძროხის წველადობა მკვეთრად ეცემა, მეშვიდეზე რძის ცხიმიანობაც კლებულობს, მერვეზე აშკარა ზარალია. ამიტომაც ნაცადი მეურნე კაცი, არაფრისდიდებით დაუშვებს ძროხის მეცხრე ლაქტაციას, რაგინდ ჯიშიანიც იყოს იგი. კამეჩისთვის კი სწორედ მეცხრე ლაქტაციის პერიოდიდან იწყება ნამდვილი გაფურჩქვნის ხანა, ვიდრე მეთექვსმეტე ზაქს გასლექდეს. დაბოლოს, ყველაფერს რომ მოვეშვათ, როგორც ფურკამეჩი, ისე კუროკამეჩი ორჯერ მეტს იწონის ძროხასა და ხარზე, ორჯერ მეტია მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ქმედითუნარიანობა, ორჯერ მეტი გამწევი სამუშაო ძალა გააჩნია თითოეულს, მაგრამ ეს ყოველივე რომ დაინახო და შეაფასო, დაუნჯებული გონებაა საჭირო, რომლის დეფიციტს მეთორმეტე ხუთწლედია განიცდის ზემო ეშელონი.

,,**— ყველაზე ძვირფასს, რაც გაგვაჩნია,** — წერს ერთგან მწერალი ნოდარ წულეისკირი, **— საქართველოს, ქართველს, ქართლს, მეცნიერები საქონლის სადგომს, შემოზღუდულ და შემოღობილ ადგილს, „ქართას“ უკავშირებენ, ხოლო კამბეჩოვანი, ოძროხე, ლანჩხუთი, საღორია, უამრავი ცხენისჭალა და კამბეჩის ვაკე ნახევარი საქართველოა. ეს შემთხვევითი არ არის. ქართველ კაცს შვილივით უყვარდა პირუტყვი, ცხვარი, ძროხა, ცხენი, კამეჩი...**

როგორც ბავშვობიდან ვიცი, კამეჩი გვაძლევს იშვიათ რძეს. კამეჩის რძე ორჯერ უკეთესია, ვიდრე ძროხისა... კამეჩის ძირითადი საკვები ხომ ბალახია, ხოლო რაიონის ჭალაში ერთი მწყემსი მთელს ჯოგს ხყოფნის მომვლელად. მაშ, რატომ არის კამეჩი წამგებიანი?! — კითხულობს მწერალი და იქვე დასძენს, — **თურმე ანაკლიის მეურნეობაში კამეჩებს არ წველიან. ბატია, ზაქი, უჩინოდუ, ფურკამეჩი და ბუღა ერთად ძოვს მინდროში ბალახს. ბატია ძუძუზეა მიშვებული. ეს კამეჩის იაფი ხორცის წარმოების ამერიკული წესი ყოფილა. ყოველივე ამან ღრმად ჩამაფიქრა,** — ჩივის ნ. წულეისკირი,

— რას ნიშნავს კამეჩის რძეზე უარის თქმა?! აქამდე კამეჩი თავისი ძვირფასი რძით იყო ცნობილი, თორემ კამეჩის ხორცს ქართველი კაცი არ ჭამდა. რა ახალი მეთოდია ეს მეკამეჩეობაში?!

მე ჯოგის დათვალიერებას შევუდექი, — განაგრძობს მწერალი, — **თითქმის გაველურებული ათასი კამეჩი, ერთად თავშეყრილი, ისიც ასე ვიწრო ქართაში, იშვიათი სანახავი იყო. ზღვასავით ღელავდა ჯოგი. ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ხანაც — მეორეს. გადათელეს, გადაჯეგეს ყველაფერი.**

— შეხედათ, ორი ზაქი წოვს ერთ ფურს, — გავიკვირვე მე.

— ორი კი არა, სამიც წოვს, — მშვიდად მეუბნება მწყემსი, — ეს გახლავთ ის ახალი მეთოდი, ველური გაზრდა.

გაოცებული, პირდაღებული შევყურებდი საცოდავ ფურკამეჩს, რომელიც გააფთრებით ებრძოდა ორწლიან ზაქებს, ძუძუზე მისეულთ. როცა მათ შემოტევას ვეღარ გაუძლო, თავი მაღლა აიღო, ზეცას შებღავლა საწყალობლად, — ნოეო, და დაწვა".

ჩვენი ჭირნახული მამულის დემოკრატიზაციის ფსევდოთერაპიით მოტანილი თანამედროვე სიტუაცია, ქართული მწერლობისგანაც დიდად დავალებულა. მართლაც, წლების წინათ გამოქვეყნებული პამფლეტი ,,ნოე'' სულ სხვა რეზონანსისა იყო. მწერალს ედავებოდნენ, თითს უქნევდნენ, მოკლედ, მარტივად რომ ვთქვათ, კაბინეტისა და სავარძლის ხალხმა ლამის არის ანათემას გადასცეს. მერედა, რისთვის?! სიმართლეს რომ თვალი გაუსწორა, კახაბერს — კახაბერი უწოდა, კეისარს კეისრისა მიაგო და ღმერთს — ღმრთისა!

რასაკვირველია, გაველურების გზით ძნელია რაიმე პერსპექტიულ შედეგს მიაღწიო მესაქონლეობაში, განსაკუთრებით მეკამეჩეობაში. საქმე, რომელსაც ადამიანის ხელი მოაკლდება, იმთავითვე განწირულია დასაღუპავად. კამეჩის ხორცის წარმოების ამერიკული წესი კოლხურ სინამდვილეს ვერ ხგუებს, ისევე, როგორც ტრადიციული მომთაბარეობის სანაცვლოდ დანერგილი ჩრდილოური კომპლექსომანია.

როგორც იქნა ვხვდებით: ბუნებას მოფრთხილება სჭირდება. არ შეიძლება ხელაღებით მოსპო და გადაასხვაფერო ის, რაც საუკუნეების მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებულა.

კოლხეთს თავის კოლორიტს თუ წაართმევ, კახეთს თავის იერსახეს თუ წახგვრი, რაღაც შეჩვენებულს, უცხვირპიროს დაემსგავსება საქართველო და აქ ბუნების კანონები კი არ დადანაშაულდება, არამედ— ადამიანი, უგუნური და უმეცარი ადამიანი! გაოცებას ვერ ვმალავ, ვერაფრით გამიგია ასე მამასისხლად რისთვის ვემტერებით ჭაობს?! მოგებას და გეგმებს გამოდევნებულები მარილისთვის სხვენზე პირუტყვის აყვანას არ ვკმარობთ და ნაბან წყალს ბავშვსაც მივაყოლებთ ხოლმე — მითაჟამინდელ კოლხეთს უსულგულოდ ვუმახინჯებთ სახეს, მაგრამ გარდასულს აღარაფერი ეშველება. ის ღია ჭრილობასავით დიდხანს ინათებს სასოწარკვეთილ გაფრთხილებად:

— კმარა! გონს მოდით! შეჩერდითო!

ჭურიის მისადგომებთან ,,კოლხიდმშენის'' მესვეურები ათეულ ათასობით ხექტარ მიწას ,,ითვისებენ'', კაფავენ საუკუნოვან ულრანებს, ტრიალ მინდვრებად აქცევენ აქამდე გაუვალ მუხნარებს თუ თხმელიანებს.

ქარმაც ენა ამოიდგა.

ზღვამ შემოუტია ნაპირს. მილიონებს ვხარჯავთ ახლა ნაპირგამაგრებითი სამუშაოებისთვის. ძვირადღირებული ტექნიკით ხრეშს ვიღებთ ენგურის კალაპოტიდან და ზღვაში ვყრით, ვჩალიჩობთ იმას, რასაც მდინარე ბუნებრივად აწესრიგებდა. ხოლო მხცოვან მეტყევეს, იროდი სართანიას თუ ვერწმუნებით, ათვისებულზე ორჯერ მეტი მიწა წაგვართვა ზღვამ ანაკლია-განმუხურის მისადგომებთან.

იმის ნაცვლად, რომ სახალხო მეურნეობა ადგილობრივ კლიმატურ პირობებს შევუხამოთ, ბიუროკრატი და დოყლაპია მესვეურთა გაუმართლებელ ნება-სურვილს ვუქვემდებარებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს— ლამის არის ჩაის ნარგავებს შევაჭამოთ მთელი კოლხეთი, წარმოიდგინეთ, თვით ის მიწებიც კი, სადაც ეს კულტურა სრულ მოსავლიანობას ველარაფრით ეღირსა.

ამომავალი მზის ქვეყანაში, იაპონიაში, სადაც მიწის ყადრი მართლაც ესმით, ვიდრე უცხო კულტურას მასობრივად დანერგავდნენ, მას სულ მცირე რამდენიმე ათეულ წელიწადს მაინც დააყოვნებენ კარანტინში თურმე; ჩვენ კი, სოციალისტური საქართველოს არსებობის სამოცდაათი წლის მანძილზე თვალის დაუხამხამებლად გავაშენეთ ჩაი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ფეიხოა, გრეიპფრუტი, ევკალიპტი, ტუნგი და ვინ მოსთვლის! ახლა შედეგს არ იკითხავთ?!

გამეჩხერიანებულია ათასობით ხექტარი ჩაის პლანტაცია. ყინვამ მოსრა ასობით ხექტარი მანდარინი. თავის დროზე კოლხეთის ეკოსისტემის თავისებურებანი მეცნიერული თვალსაზრისით რომ შეგვეფასებინა, აქაურობა დღეს მეკამეჩეობის სასახელო მხარე იქნებოდა, მაგრამ სად მეცნიერული თვალსაზრისი და სად — ჩვენ?!

სრულიად ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ საფურაჟე ძროხას მთელი წლის მანძილზე გამოსაკვებად ერთი ხექტარი საძოვარი მაინც სჭირდება. ამჟამად საქართველოს მეცხოველეობის ფერმებსა და კომპლექსებში კერძო სექტორითურთ მილიონ ნახევარზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია თავმოყრილი. აქედან გამომდინარე, მეცხოველეობის დარგი მომგებიანი, რენტაბელური რომ იყოს, სულ ცოტა მილიონ ნახევარი ხექტარი საძოვარია საჭირო, როცა 352 ათასი, ესე იგი მეხუთედი სავარგული ძლივს მოგვეპოვება. გამოდის რომ მეხუთედითღა ვიკმაყოფილებთ მოთხოვნილებებს. ამიტომაც ჩვენი წარმოებული რძე და ხორცი სამჯერ და ხუთჯერ ძვირია, ვიდრე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, რომ არაფერი ვთქვათ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებზე. ისეთი მცირემიწიანი რესპუბლიკისთვის, როგორიც საქართველოა, არც 352 ათასი ხექტარი სავარგულის სათიბისთვის დათმობა იყო იოლი საქმე, მაგრამ აღნიშნული რაოდენობის პირუტყვის ხელოვნურმა კონცენტრაციამ, ეგრეთწოდებულმა კომპლექსომანიამ, გვაიძულა ერთი ხექტარი მიწა 2000-3000 ლიტრი რძისთვის მოგვეცდინა წელიწადში, რისი საერთო ღირებულება 800-იოდე მანეთით განისაზღვრება და თუ აქედან გამოვქვითავთ პირუტყვის მოვლა-პატრონობისთვის გახარჯულ თანხებსაც, მთლად მიზერული მაჩვენებლები შეგვრჩება ხელთ.

რა იაფია თურმე ჩვენი ხექტარი საძოვარი?! რა იაფია თურმე მეცხოველეობის სამსახურში, უკეთ — უღელში, შებმული ქართული მიწა?! მამაპაპური სიბრძნე კი თოფი მეთოფესო, გვასწავლის, მაგრამ შეაყარე ცერცვი კედელს!

ახლა შევხედოთ თუ როგორი სურათია მეკამეჩეობაში?

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით (1988) მთლიანად რესპუბლიკაში ირიცხებოდა 54000 სული ფური და ხარი კამეჩი. საზოგადოებრივ მეურნეობაში 15200 კამეჩია თავმოყრილი, მოსახლეობას კი 35200 სული კამეჩი ხყავს.

კამეჩი დიდი რაოდენობით ხყავთ განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მისი მოშენება-შენახვისთვის. ასე მაგალითად, ზუგდიდის რაიონში 4886 სული კამეჩი ბინადრობს, გალში — 4858, სიღნახში — 3608, ლაგოდეხში — 2841. კამეჩების რაოდენობა ათასიდან სამიათასამდე მერყეობს სენაკში, ოჩამჩირეში, ხობში, ხულოში, დედოფლისწყაროში, თელავში, ლანჩხუთსა და მარტვილში. ასე რომ, აღმოსავლეთ საქართველოში კამეჩების რაოდენობა ოციათასზე მეტია, ხოლო დასავლეთ საქართველოში ოცდაათიათასზე ნაკლები. როგორც შევნიშნეთ, კამეჩებს თავი მოუყრიათ კლიმატური პირობებით რამდენიმე განსხვავებულ რეგიონებში. ამასთანავე განსხვავებულია მათი მოშენების პრინციპ-ხასიათი: დასავლეთ საქართველოში კერძო სექტორი მძლავრობს, აღმოსავლეთში — საზოგადოებრივი.

იბადება კითხვა — დასავლეთი საქართველო მაინც დასავლეთი საქართველოა. აქ ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ლელიანები, ტლაპოები და ისლიანები; აქ უნიკალური პირობებია მეკამეჩეობის ინტენსიური განვითარებისათვის, მაგრამ ინტერესს მოკლებულია განა იმისი გაგებაც, თუ როგორ უხერხდებათ ამ პრობლემის გადაწყვეტა სიღნახის, ლაგოდეხის, დედოფ- ლისწყაროსა თუ თელავის საზოგადოებრივ მეურნეობებს?!

მოსახლეობის გულისნადები დამარწმუნებს, რომ მეკამეჩეობა განსაკუთრებით ხელსაყრელია საზოგადოებრივ მეურნეობებში. ჯოგში მყოფი კამეჩი უფრო პროდუქტიულია, სიცოცხლისუნარიანი, დაკენტებული კი მალე ჩაჩანაკდება.

მეკამეჩეობა განსაკუთრებით რენტაბელურია იქ, სადაც მდინარეთა ატეხილი ჭალებია გაშლილი, სადაც უხვადაა ლელიანები, ეკალ-ბარდის გაუვალი კორომები, სადაც ნაკლებად მიუწვდება ხელი ტექნიკას. არც მთიანეთის ნოყიერი საძოვრებია მისთვის პრობლემა, მთის კალთების დამრეცი იალაღები, იქაური მსუსხავი ქარი კამეჩისთვის აუღებელი ციხე-სიმაგრე როდია, ოღონდ გასაგრილებელი წყალიღა მოიპოვებოდეს ახლომახლო. გამოდის, რომ აქამდე გამოუყენებელი მიწის ფართობები, აქამდე ხელუხლებელი უბნები, ვიტყოდი — ოქროს უზალთუნები, ტყუილუბრალოდ მოგვიცდენია წლების მანძილზე.

— ყველა მდინარის ხეობას თავისუფლად შეუძლია სულ ცოტა ორმოცდაათიდან ხუთასამდე სული კამეჩის გამოკვება მაინცო,— განმიმარტავს ცნობილი მეცნიერი ელბერდ ბატიაშვილი და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში 25 ათასზე მეტი დიდი და პატარა მდინარეა, ჩემს კითხვაზე ხუთიანზეა ნაპასუხები — გასაგები გახდება თუ რა მძლავრი პოტენციური შესაძლებლო-

ბაა მეკამეჩეობის განვითარებისთვის. აღნიშნული რეზერვების მაქსიმალური ამოქმედება საქართველოს მოსახლეობას დღემდე არსებულზე ათჯერ მეტის, ანუ მიახლოებით ხუთასი ათასი სული კამეჩის გამოკვებას შეაძლებინებს, რაც რვაას-ცხრაას მილიონ ლიტრ რძეს ნიშნავს წელიწადში ყველაზე ზერელე გაანგარიშებითაც კი.

შავი ზღვისპირეთის რომელ რაიონს, ან ალაზნისა და მტკვრის აუზის რომელ კოლმეურნეობას არ ძალუძს მეკამეჩეობის კომპლექსის მოწყობა? სოხუმიდან მოყოლებული ბათუმამდე და მის იქითაც — აჭარა-მესხეთსა თუ კახეთში ამგვარი მიმართულების რატომ ოცი-ოცდაათი მეურნეობის შექმნა მაინც არ არის შესაძლებელი დროთა მსვლელობაში, რაც საქართველოს გადააქცევდა რძისა და ხორცის წარმოების მძლავრ რესპუბლიკად.

აქვე დავსძენ, რომ შესყიდული, შემოყვანილი კამეჩებით ჩვენ ფონს ვერ გავალთ. საჭირო იქნება მთავრობამ გარკვეული თანხები დააბანდოს მეკამეჩეობის ეროვნული სანაშენე კომპლექსის შესაქმნელად, რაც მაღალპროდუქტიული კამეჩების კვლავწარმოების საწინდარი გახდება. ეს ხომ უტოპია არ არის, ან რაიმე ილუზიურ მოლანდებებს გამოდევნება?!

საქართველო მიკროკლიმატის ქვეყანაა, ამიტომაც აუცილებელია ჩაისთვის სასარგებლო ადგილას ჩაი მოვაშენოთ, ციტრუსებისთვის სავარგულ მიწებზე ციტრუსები გავახაროთ, ქვიშნარ ფართობებზე — თხილი და დაფნა, მთიანეთის ეკალ-ღიჭებში — არვე, ახოებსა და იალაღებზე — კვარაცხელიას ჯიშის რქასვიტალი ძროხები, ხოლო რაც შეეხება ტლაპოებსა და ჭორომებს, გვიჯობს მის ათვისებას ნუ შევალევთ საშვილიშვილო ენერგიას, კამეჩებს დავუთმოთ, ეკოლოგიურ წონასწორობასაც შევინარჩუნებთ, სოფელიც მადლიერი გვეყოლება და ქალაქიც.

ამას წინათ ხრიოკი დაშუზუ გვიმასპინძლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

იქ ტელევიზიის მივლინებით ჩავალ გადამღებ ჯგუფთან ერთად.

დასამალი რაა, დაშუზუელების მეცხოველეობის კომპლექსის დათვალიერება მრავალ საფიქრალს გამიჩენს. ექვსასი ათასი მანეთი დახარჯულა მის ასაშენებლად, რაც ექსპლუატაციის მეხუთე წელიწადს დაფარულა. კომპლექსი ზედმიწევნით მექანიზებულია. მექანიზებულია საკვების და წყლის მიწოდება, ჩამოწველა, სადგომების დასუფთავება. მოწესრიგებულია გათბობის რეჟიმი. ის კი არა, დაშუზუელებს კამეჩის ხიგიენისთვისაც უზრუნიათ და მათთვის საშხაპეებიც მოუწყვიათ. ასე რომ, ტლაპოდან ამოსული კამეჩი ჩამოწველის წინ არხეინად ნებივრობს გრილი შხაპის ქვეშ. ეს პროცედურა, როგორც სადილობისას გაგვიმხილეს მასპინძლებმა, დადებითად მოქმედებს თურმე რძის ხარისხზეც და რაოდენობაზეც.

მართალია, ბუნებრივი პირობებით დაშუზუ ვერც კახეთს შეედრება და ვეღარც — კოლხეთს; დაშუზუ ხომ დაშ — ქვისა და უზუ — სახის კომპოზიტია, ხრიოკის სინონიმი, მაგრამ მონდომების წყალობით მეკამეჩეობა მათთან სასახელო საქმეა — მეკამეჩეობის პრობლემებს საერთაშორისო რანგის კონფერენციებს და სიმპოზიუმებს უძღვნიან. ინდოეთთან ამყარებენ კონტაქტებს, სელექციას ავითარებენ, კავკასიურ კამეჩს ტურთან აჯვარებენ და თეთრი კამეჩის გამოყვანას ლამობენ. ბარაქალა მათ!

ეხ, რამდენად შეგაწყინე თავი, გულისხმიერო, მკითხველო, მაგრამ ერის ხვალინდელი დღის უკეთესობის მცდელობისთვის მივუტევოთ ერთმანეთს. დროა, აწი მაინც დავარქვათ საგნებს საკუთარი სახელები. დროა, ერთხელ და სამუდამოდ დავასკვნათ, რომ ქართულ სინამდვილეში კამეჩს ძროხასთან შედარებით გარკვეული უპირატესობა ახასიათებს.

მაშ, რატომ ვერ წავწეულვართ წინ? რა ბარიერი გვაბრკოლებს? რა წინააღმდეგობა გვიბორკავს ხელ-ფეხს?! აქ პასუხი უკვე ერთმნიშვნელოვანია, ცალსახა. უმთავრესი სიძნელე თვით სამეურნეო მექანიზმშია საძიებელი. საქმე ის გახლავთ, რომ სახელმწიფო წარმოება მეცხოველეობაში ათვლის ერთეულად ძროხის რძეს მიიჩნევს და სტატისტიკური აღრიცხვის დროს კამეჩის რძეც ძროხის რძის ტოლფასად ბარდება, როცა პირველისა ორჯერ და სამჯერ აღემატება ცხიმიანობით მეორისას.

— სწორედ დაბალი წველადობა იქცა კამეჩისთვის დამოკლეს მახვილადო, — გონებაში ისევ ცხარობს ღვაწლმოსილი მეცნიერი ელბერდ ბატიაშვილი, — არადა, რა გადაუჭრელი პრობლემა ეგ არის ტრანსკავკასიისა და ხუდონხესის მშენებლობათა შემჩერებელი ხალხისთვისო?! განა შეუძლებელია ძროხის რძე ცალკე აღირიცხოს და კამეჩისა — ცალკე? ერთზე სხვა ფასი დაწესდეს და მეორეზე — სხვა? განა ოქროსა და ვერცხლს საზიარო სასწორით აღარ არწყავენ ხოლმე, მაგრამ შეფასებაანაზღაურებისას პერი მოედება აშიშინებულს.

საბეჭდ მანქანას ვარაკუნებ თავგადახოტრილი. წარბებსაც შეველევი, ოღონდ რამენაირად შევძლო შინ ჩაკეტვა. სარკეში ჩახედვა მეზარება. ბოხოხს შუბლზე ჩამოვიფხატავ. თუ ვინმესთან გადავალ,

ისიც საღამოობით, იაშა აშორტიასთან, ქანქანესასთან, ნარდის სათამაშოდ. უფრო ხშირად კი ეთერ დეის და ნაპო ბიძიას მივაკითხავ ახალგადაბეჭდილი თაბახებით.

ძუძუმტე და ქეთინო — აფონ-ბრატი, თბილისში არიან; უმცროსი, დიდრონთვალება ნინო ჯერაც სკოლის მოსწავლეა, დარიკოსავით მამის სიცოცხლის კენწეროზე მოვლენია საწუთროს.

ბიქტოროვიჩის საფლავისკენ გვიან ღამით წავეხეტები. ძვირფასი ბორცვი უკვე ხელისგულივით გასწორებულა. ამ დროს თემშარა უკაცრიელია, სოფლის ცენტრი— უარვინო.

კინოთეატრში მოძველებული დანადგარები გაფუჭებულა და დიდ-პატარა საკუთარ წიაღში გამოკეტილ-გამოხარშულა.

აქა-იქ ბჟუტავს ობოლი ნათურა. ლამპიონები ჩაბნელებულია უმეტესწილად, გამომცვლელი არავინ ბოგინობს.

სასაფლაოს შემოვლა ტერენტი გრანელის მელანქოლიას გადმომდებს. გავესაუბრები ზეცაში მყოფ ხალხს. უმეტესი უფალთანაა და ამდენად, მეადვილება გულის ამობერტყვა, რამეთუ იქ უდანაკარგოდ აღიქმება უხინჯო აზრი.

პეტრეს ბორანთან ოტობაიის ხიდი გვარიანი ხანია გადებულა და ახლომახლო სოფლების ხვავ-ბარაქა შეუფერხებლად მიედინება ზუგდიდ-ქალაქისკენ, ჩემი ქააბისკენ. პეტრე ანჩაბაძე დრო-ჟამის კუთვნილებაა მრავალი ჭკუამოსაკითხი კოლხივით.

ნეპმანობის ჟამს, როცა კაპიტალიზმის ნაწილობრივი რესტავრაცია განხორციელდება, ძმები ხუფენიებივით ბაბუაჩემი ბიქტორიც ათობით დესეტინა მიწას შეიძენს, ცალკე — დიაკვნობით და ცალკე — ფერშლობით.

ბიძამისი ვასილი გადმოიყვანს ოდიშური თარგამულიდან და ფიჩორის მრევლს ჩააბარებს სამეურვეოდ.

ბესარაბიაში უმსახურია პირველი სამამულო ომის წლებში. რამდენიმე ენა აუთვისებია ბუნებით გონებაგახსნილს. საველე პირობებში დაჭრილ-დასახიჩრებულებს ომის გაგანიას გამოარიდებდა თურმე. მერმე საფერშლო კურსები დაუმთავრებია იქვე და ლანცეტ-სკალპელს დასტრიალებია.

ასე გაცვლის თეთრ ხალათში სასულიერო სემინარიის ანაფორას, თუმცა წირვა-ლოცვას გამუდმებით მისდევს. მოგვიანებით, ღმერთთან სიახლოვის გამო, კინაღამ ციმბირი ზურგს უკან დარჩება, თუმცა ბედზე თანაგიმნაზიელი ლაგვილავა გამოესარჩლება და შერჩება სული ფაფარშეკრეჭილი ცხენით სოფელ-სოფელ სახეტიალოდ.

წელიწადში ერთხელ მაინც უცილობლად მოაწყობს ხვამას, სადაც ახლო ნათესავებში მხოლოდ სიძეები არ მონაწილეობენ თომა გელენას ხელწერისგან განსხვავებით.

ცხენით სავალი კი ათობით კილომეტრია, ზოგჯერ ავადმყოფთა სამკურნალოდ, სხვა დროს — სამედიატოროდ. შუაკაცობის, საზოგადოებრივი პროფესია დიდ პატივად მიაჩნიათ სამურზაყანოელებს. ყველა სოფელს ხყავს გამორჩეული შვილი, რომელიც ცხენზე ამხედრებას არ დაიზარებს ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ ადამიანებთა შესარიგებლად.

მარტოკა გამოეშურება ფიჩორიდან ბიქტორ ფეტელავა, გამოუვლის თედო ხუფენიას, რომელსაც საამისო საქმეებისთვის ყოველთვის დაურახტავს ხშირფაფრიანი ტაიჭი. პეტრე ანჩაბაძეს უკვე სინიბზე აზეითება წყენს, მუხლში ღონე მოაკლდა, თვალში — სინათლე, შინაურ პრობლემებს აგვარებს. სათაკალანძეოსთან ვერეხი ნოჩო დაემგზავრებათ; ნაბაკევს როცა გაუპირდაპირებენ, ასჯერ თოკიდან გამომძვრალი, ყირმიზსახიანი ყარა თორია და წარბებგადახ- ლართული ჭანჭახი კოსტა ბერაია შემოუამხანაგდებათ; ქვემო ბარღებთან ღაბუაცხვირიანი, თაფლისთვალება, თხელულვაშიანი ლადი გოგოხია შემოუერთდებათ; თაგილონიდან ნაუ აბლოთია მოთოხარიკდება, ჭუბურხინჯიდან — ნეტო ყოლბაია და ასე, ათიოდე გაქაფულმერნიანი შუაკაცი, დინჯის საუბრით მიაშურებს ხან შეშელეთს და ხანაც — ოქუმს.

ოტობაია და ოქუმი ტყუპისცალი ძმებივით ამაყობენ თავიანთი ტრადიციებით, სტუმართმოყვრობით, ადამიანებისათვის თავდადებით. გზა კი მომქანცველია. სისხამზე გამოსული რაზმი შინიდან წამოტანილი საგზლით საზიარო სუფრას გამართავს მოხერხებულ ალაგას. ორნახანად არაყსაც ინებებენ ზომიერად და ისევ უტევენ დანიშნულების ადგილისკენ. შესვენების დროს, პურობისას თუ ცხენდაცხენ წათოხარიკებისას, ყველა ასწრებს თავისი სატკივარ-სალხენელის გამომზეურებას. საკამათო არაფერი აქვთ სამურზაყანოელ მედიატორებს. სხვათა ოჯახების დამზავებლებს აწეული ხმით დალაპარაკება არც ეკადრებათ . თანაც ასეთი შეკრება ყოველთვის როდი ხერხდება: ზოგჯერ წელიწადი ისე გაირბენს, საშუაკაცო არაფერი გაფაჩუნდება მთელს არე-მიდამოში.

ოხუნჯობის ყველა სადავე ნოჩო თაკალანძის ხელთაა, ლაგამივით მოუბოჭავს ძარღვიან მარჯვენაში;

— ასეა, ბიხვიო, — მიწურავს სხარტულას და კაცების ჯანსაღი სიცილი დააფრთხობს თხმელიანებში მიუჩინარებულ შაშვებს.

თედო ხუფენია ტანწვრილია, თმა პირწმინდად გასთეთრებია ცისფერთვალება ჭარმაგს. დაიჩივლებს აბრაგების მომრავლებასა თუ კარზემომდგარი დროების ცვლილებაზე. არც თურქების სანდლები აკითხავს ახლა ზღვისპირეთს. გაძვირებულა შაქარი და მარილი, აბრეშუმეული. ფულს ყავლი გასვლია. სახელმწიფო მოხელეები წურბელებივით ასხედან კოოპერატორ-მეპაიეთა ძარღვებს.

— მალე სოფელში არ დაიდგომება, — ცქმუტავს უზანგზე ფართოსახიანი ყარა თორია, — გლეხკაცს ნორმალური ცხოვრების პირობები წართმევია. ალბათ, სოხუმისკენ გავუტევ ადრე თუ გვიან, — დაასკვნის და უცხუნებს მათრახს ფეხათრეულ ოჩანს.

ლადი გოგოხია შიგადაშიგ იღიმის თხელ ულვაშში. დაიჭერს თანამოაზრის გამოხედვას ნოჩო თაკალანძე და ამგვარად ჩაეკითხება:

— ეგ როგორ იყო კოოპერატივის თავჯდომარეობაზე უარი რომ განაცხადე, ჯერ ნაადრევიაო?

— აი, როცა დედაგაღლეტილების ჟამი დადგება, მოგიწევს ენის დამოკლება, ბიხვი, — მოუქცევს ნოჩოსებურად მხედარი, —ჯერ ყველა ეკლესია როდი დაქცეულა. გაავლებენ მუსრს შენს ხატებს, ჯვრებს და ანაფორებს. გაკრეჭენ ვასილ ფეტელას თუ გიორგი რურუას და იხტუნე მერე; გინდა გულწრფელად გითხრა? კაი დედის შვილი იქნები რამე სამსახურს შემოგთავაზებენ და სიტყვას ბანზე აუგდებ.

მართალიც გამოდგება ლადი გოგოხია. ეკლესია-მონასტრები თითო-ოროლა დარჩება სამურზაყანოში — ბედია, ილორი, დანარჩენი — ხისა თუ ქვიტკირის — დაიცხრილება. ზარები სასაფლაოს თავზე დაენარცხება, სახურავს ქურდ-ბაცაცანი გაძარცვავენ ღამ-ღამობით. ფიცარ-ფიცარ წაიღებენ ქარს და ცეცხლს გადარჩენილს.

ანჩაბაძეების სიძე რურუა შორეულ ციმბირში ამოხყოფს თავს. ვასილ ფეტელავა თვითონ შეიმოკლებს წაწვეტებულ წვერს, ან კვიმატი შვილიშვილი ნუგო გაუწევს სამსახურს;

მართალი გამოდგება ლადი გოგოხია, გაღლეტილები კვლავაც აღზევდებიან. ახმაურდება მაუზერი. მედიატორობისთვის სავალალოდ ვერავინ მოიცლის, ვინაიდან ყველას საკუთარი ტყავი გაუხდება გადასარჩენი;

ბიქტორს ხომ თანაგიმნაზიელი ლაგვილავას წყალობა შეუნარჩუნებს სიცოცხლეს, და თავად ოთხი ძმა ხუფენიას ნარუდუნებ-ნაღვაწი დუქნები ოტობაიას ცენტრში, მალე გაფარღალალდება: კედლებს ქარ-წვიმა ჩამოიტანს. ჩამოართმევენ ნახირს, რემას; საგვარეულო თოფ-იარაღს მოხალიჩებულ კედლებს ააღლეტენ ნოხებთან ერთად, მიწებსაც, ცხადია, ოთხივ კუთხით და რკინის ხელი ყანყრატოში წაუჭერს კულაკს თუ ნააზნაურალს შეძლებული გლეხითურთ.

უარაფრონი თავიანთი ნამარხულევი სტომაქებით დაესევიან წლობით დაგროვილ სარჩოსაბადებელს და უყაირათობის ჩვეული სენით მსწრაფლ წირვას გამოუყვანენ;

მართალი გამოდგება ლადი გოგოხია: თავმჯდომარეობას შესთავაზებენ ამღვრეული ჟამის რამდენადმე დაწდევების მერმე. წვეულ ორათეულ სტუმარს არაყს ვერ გამოუტანს ხილისას. ხორცი, მჭადი და ყველი კი დახვავდება ჩეროვანში მიმყუდროვებულ სუფრაზე და ვიდრე გალმა-გამოღმით დაგზავნილი ბიჭები ღვინოს მოასწრაფებენ, ჭიდან ამოღებული გრილწყაროთი შეუდგებიან მამა-პაპურ სადღეგრძელოებს, და რაჟამს ჯეელები ღვინო-არაყს მოაშველებენ პურობას, ფსიქოლოგიურად მთვრალია სტუმარიცა და მასპინძელიც.

ეცოდინება ამის თაობაზე ნოჩო თაკალანძეს დამიანე გოგოხიას რაიკომის პირველმდივნობის ჟამს, მაგრამ ბრძენკაცისთვის ენას კბილები ტყუილად როდი შემოვლებია გადაულახავ გალავნად?!

ცხიროგალს გამოცდებიან მზის აზენიტებამდე.

ახალი მთვარის გავსებამდე მესამედ მიეშურებიან ოქუმისკენ.

ფარფალიებსა და ემუხვარებს შორის გაუთავებელმა ხანჯლისტრიალმა ლამის მუსრი გაავლოს ამ ორი ძირძველი გვარის შთამომავლობას.

დედაბრების თვალებში ცრემლი გამქრალა აქეთაც და იქითაც. საშველი კი არა და არ ჩანს.

აჩიგვარასთან ათ ცხენოსანს კიდევ ათი შემოუერთდება. წვრილი, კირქვიანი გზით მიეშურებიან.

მედიატორებმა კარგად იციან, რომ იოლი არ არის ერგასობით შეწირული სიცოცხლის გადავიწყება, ხელის ერთი მოსმით დაზავება, სამაგიეროს გადახდაზე უარის თქმევინება შურისმაძიებლობის ადათით თვალდაბნელებული ხალხისთვის; ბევრი სვანეთში გახიზნულა, მორდუებთან; ზოგი ქმარმკვდარი მანდილოსანი შვილს გაასხვისებს: ემუხვარები ჯგუბურიებად გარდაისახებიან. ფარფალიებიც აქა-იქ თავს შინაყმებს მიაყრდნობენ. მთლად წარბშეუხრელნი ისევ ბერდანკებსა და კარაბინებს ჩაფრენიან. შანსი კი მაინც არის.

ბიქტორ ფეტელავას მოუფიქრებია უკანასკნელი ცდაბედისმონახევრეობა. ჯერ არ უმხელს თანამგზავრებს, მაგრამ ოქუმამდე ხომ სავალიც საკმარისია.

იშვიათია სოფელს მასზე გამავალი მდინარის სახელი ერქვას. ქვიან ადგილადაც აღიქმება შემოგარენი ესე, მაგრამ ენათმეცნიერებს რომ ჩაეკითხო, ქუმელის სიმრავლის ბრალია ყოველივე.

მედიატორები გუმანობენ, რაღაც მენცარული მოუსაზრებია ბიქტორ ფეტელავას, თუმცა კონკრეტულად რა, უცნობია ყველასთვის და არც ვინმე ჩაეძიება საჭიროებამდე ნადიაკვნარ ფერშალს.

ხუთიოდე წლის წინათ გაგიდელ გამახარიებს ფარსაგი დამართა.

ცივ ქვაზე შედგება მეჯოგე ბაჯგა, ნორჩ ასულს, რომ მოსტაცებს ორჟონია ქვრივი. არც ისინი არიან გულდედლები, თუმცა ბაჯგა მთლად შიშტიგინია, ხუთი თითივით ცნობს ზღვისპირეთის უღრანებს.

ჯაგარა ტანს მუგუზლით შემოიტრუსავს. დაიგინებს და დაიქადნება სიძის მისამართით, ობლად დარჩენილ ბავშვებს გადაუბუგავს, ზედ მიაყოლებს თავის ქალიშვილსაც, ჯერ ჩვიდმეტისაც რომ არ გამხდარა: მამისტოლ კაცთან სარეცელი გაიზიარა, თავსლაფი გადმოასხა პატიოსან ოჯახს.

ბაჯგა გამახარიას ქადილის წაყრუება იქნება, მუხურიდან გამოხიზნული კაცისა, შემოფეთებულ მგელს ყბებით რომ ხლეჩს?

მიუდგომელია მათი ეზო-კარი შუაკაცებისთვის. ჭურჭელი არ გაჩხარუნდება, ჭიშკრამდე არავინ მოგაცილებს, ხმასაც არ გაგცემენ.

მობეზრდებათ მედიატორებს გამახარიების შუკის ატალახება.

— შვილიშვილი შეეძინება და მოლმობიერდებაო, — დაასკვნიან.

ბიქტორ ფეტელავა კი ცოტა შორს იხედება: საკმარისია ორჟონიას წვეთი სისხლი დაიღვაროს, რომ ნათესავს ნათესავი ამოუდგება, თვისტომი თვისტომს გამოექომაგება, მთელი სოფელი ჯაგარს აიყრის და მშვიდობით მერმე უზრუნველო ცხოვრებავ!

ქრისტეშობა გადასულია. დაკლულია ბურვაკები. მალე საახალწლო ჩიჩილაკები აბზინდება მიბნელებულ კუთხეებში. ჯერ მამლები ქანდარიდან არ ჩამოსულან. კავკასიონის მწვერვალებს საიმედოდ მიფარებია მანათობელი. ფაფარშეკრეჭილი და ძუამოკვეცილი ცხენით შემოეტევა გამახარიების შუკაში ბიქტორ ფეტელავა.

მარტოდმარტოა. განუყრელი აბგა თან ახლავს. ამჯერად წამლებთან ერთად საგზალიც წამოუმძღვარებია. ქისა გამოტენილია წეკოთი. კვესი და აბედი განიერი შარვლის ჯიბეში უდევს. საჭიროების შემთხვევაში აფუტებს ხოლმე, თორემ თამბაქო ჭირივით ეჯავრება. ყეფენ ძაღლები, მაგრამ რადგანაც მასპინძელს არავინ ეხმიანება, შინაურებიც იყუჩებენ. იგუმანებენ — შუაკაცები მოსდგომიათ სისხამზე შერიგების დასტურ-ლამალის დასატყუებლად. ცხენს ჯარგვალის აივანზე აშვერილ, დაგვარჯღნილ სვეტზე მიაბამს ნადიაკვნარი ფერშალი.

საცხოვრისი ტიპიურია აქაურობისთვის, ხვეწით კანგაცლილი თხმელისგან აგებული. სახურავი ისლისაა, უფანჯრებო. ზამთარ-ზაფხულ კვამლი ტრიალებს შენობაში, რომლის იატაკი მიწატკეპნილია. ოთახის შუაში დღემოსწრება მხრჩოლავი კერიაა თვალებს რომ ავიწროვებს და შაშხ-სულუგუნს ყვითელ წვენს გამოუყვანს ძალუმად.

ლოგინები კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულა და თავფეხშექცეულ ბავშვებში მშფოთვარე ძილს მისცემია ბაჯგა გამახარია. სტუმარი ზრდილობის გულისთვის ჩაახველებს ბოხად, მათრახის ტარს ორგზის მიუკაკუნებს მძიმე კარს, მიაწვება და შეაღებს სიტყვებით:

— აქა მშვიდობა, ბიქტორი ვარ, ფეტელა!

სად არის ჭრაქი, მხოლოდ გამომშრალი ჭადარი ღუის ოდნავად. მიუჯდება კერიას და მოვლენების განვითარებას დაუცდის მედიატორი პაპაჩემი. დრო ავისმომასწავებლად იწელება. უკვე ქანდარებიდან ქათმები ჩამობარგებულან. ეზოში კრიახია, ზმუიან ბაკიდან ძროხები და კამეჩები. ზაქები და ხბოები მთელის გულაჩვილებით უხმობენ დედებს. დამშეული ღორები ჯგირჯგინებენ, ცხენების ხვიხვინია.

ბაჯგა გამახარია თავს იმძინარებს.

დიასახლისი კედლისკენ მიტრიალებულა, ცერით ხაზები გამოხყავს დაჩრჩილულ მორზე, მაგრამ იცის, ხმის გაღება არაფრით იქნება. შეპასუხება აშკარა თანხმობაა ორჟონიებთან შერიგებაზე.

დღის სინათლე ნემსებივით დაუვლის მთელს ჯარგვალს, ჭუჭრუტანებიდან თითებს შემოხყოფს მანათობელი და საკმარისად გამოააშკარავებს გლეხკაცის ოჯახურ ხელმოკლეობას.

თაროზე კერამიკის დოქებია. მოშორებით მოჩანს მაღალი დერგები და კავებზე ჩამოკიდებული გაჭვარტლული ქვაბები.

ნაჭაზე აწეულია წუკალა, რომელშიც ნავახშმევი ღომებია თავდაღმა ჩამხობილი, მარო გაბისკი-

რიას რომ უყვარს, ისეთი, სამსართულიანი ღომები. ჭყორი ჩხაპელიას სტომაქისთვისაც სამყოფი, მაგრამ მასპინძლის საუზმის მარაგს ხელს არ ახლებს ბიქტორ ფეტელავა. ამოალაგებს აბგიდან ღორის კისრის ნაწილს, მოხარშულს. ფიცხინიას დაბერტყავს ყვერბზე, გამოჩხრეკს ნაკვერჩხალს, დასერავს ღომს საკუთარი მარაგიდან. ომის დროინდელი მათარა ორნახადი არყითაა გალიპლიპებული. გადმოისხამს ხრახნიან ხუფზე და პირველი სადღეგრძელოთი ფუძის ანგელოზს დაულოცავს მასპინძელს შესაშური გულწრფელობით.

ამ ბაღაჭუჭებში გათხოვილი ასულიცაა ნაგულისხმევი. დაცლის მადიანად, ფიცხინიაზე აშიშხინებულ ხორცს ჩამოითლის, მიაწობს სურნელოვან აჯიკას, მიაყოლებს კანშემოტკიცინებულ ღომს, რომლის მეზობლობაში შებოლილი სულუგუნის ნაჭრები აბზინებულან.

ბავშვები ლოგინში წრიალებენ. განსაკუთრებით უმცროსების მუცელშია ხანჯლების ტრიალი, მაგრამ წვანან გამახარიები გაუნძრევლად. მიეგებები სტუმარ შუაკაცს და ფარ-ხმალი დაყრილია — შერიგებას წინ არაფერი დაუდგება. არადა, არც ფერშალი ფეტელას მომდურება ეპრიანება მაინცდამაინც წვრილშვილის პატრონ ბაჯგას.

ყალიონი გამართულია, ნოჩო თაკალანძეს ცხვირსაც რომ შებურავს ჯანღიანი ამინდით.

ნაკვერჩხალს შიშველი ხელით იღებს შემოჩენილი კაცი და ეგრევე უკიდებს. ამისთანა მოთმინება მხოლოდ ჩემს მომდევნო ძმა თენგოს ემარჯვება სანათესაოდან და კიდევ— არსენა მარაბდელს ბელეტრისტიკიდან.

აბოლებს ჯალაბის მიმართულებით. გამოღებული კარი კერიის კვამლთან ერთად მადიანად შეუღიტინებს ცხვირში ბაჯგა გამახარიას. ხმის ამომღები არ არის, მაგრამ თუთუნი თავისას შვრება, მწეველი კაცის ფილტვები აიჯაგრება ნაპო ხუფენიას ხველებათა ლაშქრით, სასთუმალზე თავი არ უჩერდება. უკვე ეზოში დიდთურქობის შესადარი ალიაქოთია. გადარეულან პირუტყვები, ფრინველები ლამის კუტიკარში შემოცვივდნენ, წვრილ-წვრილ ღრიჭოებში ყოფენ კისრებს დაპურების მოლოდინში. იქით ნაბოლარა ჩართავს კრინით, შემდეგ სოლო კვარტეტად იქცევა და ახლა ბაჯგა გამახარიას ჯარგვალში პატარათა დისხარმონიული ქოროს უკანასკნელი რეგისტრით იფხრიწება ჩაჭვარტლული კედლები. ჩაახველებს ცოლი და ბაჯგაც ჯგვლემს იდაყვს ფერდში!

შარვლის ტოტებში ჩახყოფს საკუთარი ჯარგვალივით გაფისულ ბარძაყებს. წამში შეიმოსება. მასპინძლის ჩაცმის კუთხეს ზურგს შეაქცევს სტუმარი, თანამეცხედრეთ სივრცეს უთავისუფლებს აღსაკაზმად. ბავშვები ყირაზე გადადიან ლოგინში. ეღიმილება ნადიაკვნარ ფერშალს. ზის ჯორკოზე ბაჯგა გამახარია. თავადაც აფუტებს ყალიონს, გულისპირიდან ბალანი ტახივით ამოჯაგრვია, ზედმიწევნით შეხამებია არსებულ ყოფას. ბავშვები კი კალთაზე ებღაუჭებიან დედას: გვშია, გვშიას, ძახილით!

და აქ მუხლისთავზე დაირტყამს ხელს მომუშტულად ბაჯგა გამახარია:

— დედაკაცო, ბღარტებს მიხედე! — შეუბღვერს, თითქოს დიასახლისი რამეს ცოდავდეს, — შენზე ილოცოს, ალექსევიჩ, იმ ხრონცმა! არ გავისვრი ხელებს მისი სისხლით, აი, ამ ცეცხლს და ნაკვერჩხალს ვფიცავ, რომლითაც ტანი შემიტრუსავს, მაგრამ ჩემსკენ მოუხედავთ და ამ მუგუზლის წერად ვაქცევ უბედურებს!

იციან ეს მედიატორებმა და რამდენადაც უახლოვდებიან წამომარჩხებულ, თეთრი ქვებით ამოვსებულ ოქუმწყალს, ყველა ბიქტორ ფეტელასკენ იმზირება. ისეთი რა უნდა მოიმოქმედოს, დადრა ფარფალიას ფეხი გადმოადგმევინოს ჭიშკრისკენ?! უკანასკნელი ვაჟიშვილი განუგმირეს ემუხვარებმა. ახლა ჯერი მისიანებზეა. მოიხელთებენ სადმე მოქიშპე თავადის ნაშიერთ, ქორწილისკენ მიმავლებს, თუ სანადიროდ წამგზავრებულთ და შურისძიებით წონასწორობასაც აღადგენენ; კიდევ ერთი ადამიანი გამოაკლდება სამზეოს, რათა შავეთმა მადიანად მოცოხნოს მისი სახსენებელი; კიდევ ერთი ჩაუქის მზე ჩაესვენება. ასეთი განწყობილება გამეფებულა საფარფალიაოში. ჭაბუკის ორმოცამდე უნდა მოხერხდეს ყოველივე, ცხონება თუ უწერია მნათშემოკლებულს.

ხოდა, შებინდების მაუწყებელ ნიავქროლვაში ჩამობარგდება მედიატორთა ოცეული ფარფალიების ფანჩატურიან ჭიშკართან.

მერნებს ლაგამებით მიაბამენ მესრებზე. იციან არავინ შემოეგებება მათ სიმრავლეს, არავინ დაუყრის თივას ლაგამის მხრავ სინიბებს, არც მათი სტომაქისთვის იზრუნებს სტუმართმოყვრობით განთქმული ოჯახი — შეუძლებელს სთხოვენ, შეუთავსებლთა შეთავსებას — ხელი გაუწოდოს ვაჟიშვილის აღმსრულებელ მოსისხლეს.

წინ, რამდენიმე ნაბიჯით დაწინაურებული ბიქტორ ფეტელა მიუძღვის შუაკაცებს.

ფართოაივნიან ოდამდე ასიოდე მეტრია.

ეზო ხეხილით გადაჭედილა. ოდესღაც ხასხასა მოლი ცხენების ფლოქვებს გადაუთქერავს, მას-

პინძელთა უბედურების მაუწყებელია აზუნზლული მიწა. ხოდა, აივანზე გამოშლილი ფარფალიების თვალწინ, თითქოს მოფარდაგებული იატაკიაო, ორივე მუხლზე დაეშვება ნადიაკვნარი ფერშალი.

თავზარი ეცემათ შუაკაცებს, მაგრამ მოწინავე ჩაკვეხებულია ფამფალა ტალახში, თავდახრილი, მკერდზე მიხუტებული მარჯვენათი და გაუძელი ამ სურათს კაცთმოყვარეობის სახელდაგდებულმა მთელს სამურზაყანოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, ლეკუხონიდან გუდავამდე და ჭუბურხინჯიდან ფსოუმდე.

მომდევნო ჩამმუხლებელი ამბროსი გელენავაა, მესამე — ნოჩო თაკალანძე, მეორეს ხელმარჯვნით. ხელმარცხნივ ლადი გოგოხია იყოჩაღებს, შემდეგ— კოსტა ბერაია და ასე რიგრიგობით, დათქმულივით იხრება და იღუნება მუხლისთავები დადრა ფარფალიას წინაშე.

აივანზე ჩოჩქოლი შექმნილა. ჯერხანობით ქალებს ხმა გაუკმენდიათ, მაგრამ როცა უკანასკნელი მედიატორი თედო ხუფენია ატალახებულ ეზოში ჩაიკეცება, დედაკაცების მოთქმა დამშეული სვავივით გადაუქროლებს იქაურობას.

კაცებს ყამაზე ჩამოდებული მკლავები ჩამოუცვივდებათ;

გადაწყვეტილია შურისძიების ბედ-იღბალი: უარესი შერცხვენა ელის ოჯახს, მუხლზე დავარდნილ ოც მამაკაცს უნუგეშოდ თუ გაისტუმრებს, მთელს სამურზაყანოს მოედება გაუგონარი ამბავი: ფარფალიებმა ჩამუხლებულ შუაკაცებს ზურგი შეაქციესო, მერე და რომლებს — ორ კვირაში მესამედ რომ მოსულან გადამტერებული ოჯახების დასაზავებლად, საერთო მშვიდობის დასამყარებლად ოქუმს; მოსულან, რათა წერტილი დაესვას უაზრო კაცთაკვლას, პაპებისა და მამების სითარანე-სიფიცხე შვილიშვილებთან მაინც შეწყდეს; იმათ მაინც იბედნიერონ უკუნეთი უკუნისამდე. წავა მათ საგვარეულოებს შორის ნორმალური მეზობლობა, შეიძლება მორდუობის მადლიც გადაესხათ, ან ქორწინების ძაფებიც გაიბას მერე და მერე, და ამ ფიქრებით გონებაშეძრული ფარფალიების თავკაცი წვერზე ხელის ჩამოსმის შემდეგ ჩამოსვლას იწყებს ოცდაათხარისხიან კიბეზე.

უკან მოსდევენ ძმისწულები, ბიძაშვილები, ახოვნები და ჩასხმულები. სათითაოდ თუ არ შეეხო მასპინძლის ხელი მათი ბედნიერებისთვის თავდამცირებულ შუაკაცებს, თავსლაფი განაღდებული აქვთ საზოგადოების თვალში და მედიატორებიც ნელ-ნელა იმართებიან წელში.

მარცხენა მხარზე ამბორი მოსდევს ხელისჩამორთმევას.დამშეულ-მწყურ- ვალე ცხენებისკენ ჯეელები მიაბიჯებენ. ქალები ჭურჭლეულს აკრიახებენ ხანგამოშვებული მოთქმა-ქვითინით, მაგრამ ფარფალიებსა და ემუხვარებს შორის მშვიდობის ჩამოვარდნის ბედ-იღბალი გადაწურულია, გადაწყვეტილია დროებით მაინც, ვინემ შუამავლობის მადლი ტრიალებს სამურზაყანოში, სანამ დედაგაღლეტილთა კასტას კუდის რიკამდე გაუჩხოტია საუკუნოვანი ტრადიციები; ვიდრე ენა განსხვავებული მეზობელი მეზობლისთვის წაუკიდებია უფრო ჭკვიან მტერს, და დედის ძუძუზე კბილის დაბიჯებას თუ შუაკაცის ჩამომუხლებას ზურგს შეაქცევდეს თავმოყვარე ოჯახი.

თოვლი კი უფრო ადრე მოვა, ვინემ ბოხოხის გადაგდების პირობები შემექმნებოდეს. აწ მეტი სითამამით გაისვლება გარეთ. საღამოსპირზე გაურევს ფანტელს ზეცა და მთელს არემარეს გადაპენტავს სავახშმოდ. მამაჩემის გასვენების დღეებშიც უხვად ჩამობარდნის ცარგვალი. მივაცილებ პროცესიას და სულ თაკარა აგვისტო მიტრიალებს თვალწინ.

ყველა გამოცდა ჩამიბარებია, თექვსმეტი ქულა მომიგროვებია, ჩარიცხვა უეჭველია, მაგრამ გელენახე მაღლივი კორპუსის საგამოცდო სიებს მანამდე არ მოეშვება, ვიდრე საკუთარი თვალით არ იხილავს იქ სიტყვას შეჭიდებული ვაჟიშვილის გვარ-სახელს; მე დილის ავტობუსში მოვკალათებულვარ მძღოლის მხარეს. პახმელიიდან გამოსული მამა თვალს შემასწრებს ფანჯრიდან, მაგრამ უცებ მომეჯარება დედის გაწამებული სახე, შინიდან რომ აგდებს ან თოფს უმიზნებს შესაშინებლად და არ ვიკადრებ ფეხის წადგმას სპირტის სურნელისკენ. კიბეზე ჩამოიშლებიან დოსტები: ჩონჩორ ჯოჯუა, შალიკო წარალბაია, ავქსენტი გითოლენდია, გულიკო საჯაია, შაქრო ძაძუა, ჯუჯა ხუფენია, სხვანი და სხვანი. მამა პროკოფის ნალოლიავებ კარებს აბოქლომებს, მაგრამ ნურას უკაცრავად, მე არხეინად მოვკალათებულვარ სავარძელში და დაძრული მანქანიდან ხელსაც არ ვუქნევ გულშემატკივრებს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყოველგვარი გარჯა წყალში ჩაყრილა, ჩავჭრილვარ. მშობელს გული შეკუმშვია. ბრიკეტა შემოეფეთება და ველოსიპედს ენათხოვრება აცახცახებული. ძუძუმტე თავადაც ჩინებულად გამომეკიდებოდა ვითარების გასარკვევად. ამ ავტობუსს ჩვენს სახლამდე სამჯერ გადაასწრებდა, მაგრამ სულშეჭირვებულ მამაჩემს ვერ დაუჭერს სახელგანთქმულ ტრანსპორტს და როცა ავტობუსის კუდი მოსახვევში მიიმალება, მამაც მოამუხრუჭებს ჩვენს ღირწკინა, ცალფა ჭიშკართან. მე და-ძმანი მეხვევიან. ყველანი აქ არიან დარიკოთურთ დედის მოლოდინში, თუმცა ჩემი გამოჩენაც

ნაკლებ სასიხარულო როდია, მით უფრო, რამდენიმე პარკით ხელდამშვენებული ჩამოვსულვარ. მამა სულს ძლივს ითქვამს.

— როგორ არის საქმე? — მეკითხება თავზე ხელის გადასმით, — დედაშენი სად არის?

— ჩავაბარე და სიებს უცდის. მგონი მოვხვდები, — ვიზღვევ თავს.

მამა ცახცახებს, მკერდში მიკრავს, მე კი მის მიერ დაუმსახურებლად გამოვლილი მანძილი დუქნებიდან ჩვენს ჭიშკრამდე სინდისის ქენჯნასავით მაწვება დღემდე და ალბათ— მის იქითაც.

თოვს და თოვს. გაიხედავ აივნიდან და საწიერზე წყავებს მიღმა არაფერი ილანდება. უკვე ნახევარ მეტრომდე ჩამოზვინულა. დრეკადი დაფნები მიწაზე გართხმულან, მაგრამ ხეხილს შეშველება სჭირდება, სახურავსაც, აქა-იქ რომ გაიჭრაჭუნებს უჩვეულო ტვირთით დაჯორგილი.

თენგო ჩალახვეტით კუნწუხოსთან აცოცებულა, სადაც ბუხრის ალიბჭეა.

ბათქა-ბუთქით ცვივა ნამქერი ლაფაროსთან. ომარი და მე მანდარინებს ვარხევთ. სამუშაო სინქრონულად მთავრდება.

მხარზე გადებული ბამბუკისტარიანი სახვეტით უმწიკვლო თოვლს მივკვალავთ ეთერ დეის სამოსახლოსკენ.

თბილა. უქარო ამინდია. მანდარინების ჩამოთოვლვა ამისთანა პირობებში დასაშვებია, თოვლი ყინვისგან იცავს ციტრუსებს.

ნაპო ბიძიას დამბლამ ჩაუქროლა და მარჯვენა ხელ-ფეხს ძველებურად ვერ ამოძრავებს მამაჩემის მსგავსად. პირველ სართულზე ამჯობინებენ მოსვენებას, სადაც უშველებელი ბუხარი სადღეღამისოდ გუგუნებს.

შუაღამე გადასულია. აივნიდან ლამპას გვინათებს ეთერ დეი. ვიცით მისი გულჩვილობის ამბავი, ალბათ, ცრემლით ეღარება სახე. განთავისუფლდებიან ხეები და ახლა ჯერი თუნუქით დასრულებულ სახურავზე მიდგება. სიმაღლეს უმცროსები დაუტრიალდებიან. შევლაგდებით გათარანებულ ღუმელთან, ჯორკოებით მივუსხდებით ტაბლას.

მაჯის სისხო პრასის მწნილი, სურნელოვანი ლობიო, ყველი, შემწვარი კუპატი, ფუმფულა პური და დასერილი ღომი, არაყი მომცრო, ვარდისფერი გრაფინით და თავანკარა ადესათი გავსებული ხელადა.

ეთერ დეი ზურგით მიფიცხებია ბუხარს. ვახსენე, ეს კვირეები, თვეები ნაპო ბიძიას ხშირი სტუმარი ვარ-მეთქი. საუბრის დასასრულს რომანის გადაბეჭდილ ფურცლებს დავუტოვებ და ვიდრე ახალს მივაშველებდე, ძველი გულისყურითაა წაკითხული.

— ,,დათა თუთაშხიაზე'' უკეთესი გამოსულიყოსო, — მიდღეგრძელებს თხზულებას ნაპო ბიძია. არაყს მოწრუპავს ცოტაოდენს, სიგარეტს კი ძველებური სიშმაგით ქაჩავს.

— მე არავის ვეჯიბრები, თედოევიჩ. მე ჩემი სამყარო უნდა შევქმნა, რომანი-ტრიადა, რომელიც დროსა და სივრცეში მოიცავს სრულიად საქართველოს.

— ოდაბადე ამიტომაც შეარქვი შამგონას? — მომაჩერდება ნაპო ბიძია.

— სამშობლოს გაგებით, რადგანაც ერთადერთი კუნძულია საქართველოში მდინარეზე, დიდი ქვეყნის პატარა უჯრედი.

— ჩვენი შუკა ვიცანი მე იქ. ჯერ ზანთარაიების სამოსახლო, ანთარიებისად რომ გარდაიქმნება. მერე შენ სიმბოლოებით აზროვნებ და ეს ართულებს ხოლმე ქარაგმებიდან ნამდვილი ცხოვრების დანახვას. გამსახურდია და ამირეჯიბი კი პირიქით, წამითაც არ გაურბიან ბუნებაში რეალურად მოცემულ ტოპონიმებს: ოქუმს, ოტობაიას, ზუგდიდს, თბილისს, მაგრამ ელა და მინაკაში მყისვე ამოვიცანი ცუცა და ლუბაშა, — ნაპო ბიძია ფაქტობრივად არც მეკამათება. ჩვენ ძალდაუტანებლად ვსაუბრობთ ,,სიცოცხლემისჯილის'' პირველი წიგნის გარშემო, რომელმაც თეზას როლი უნდა იტვირთოს ტრიადის განხორციელების გზაზე. ოდაბადე-შამგონა კუნძულია, უჯრედის ტოლფარდი, რომელიც შემდგომში ანტითეზის სახით მამულის გარკვეულ დრო-არეალს გაითავისებს სრულიად ოდიშის ფონზე. დაბოლოს, სინთეზისას მოხდება მიკროს და მეზოს მაკროში გადმოსვლა. აი, ჩემეული მსჯელობის ძირითადი მონახაზი. ნაპო ბიძია მაინც კონკრეტიზაციის მომხრეა და რადგანაც შესაძლოა კამათი გამწვავდეს მასპინძლის ჯანმრთელობის საზიანოდ, თვინიერი გამოხედვით თავს ვუქნევ თანხმობის ნიშნად.

მიმიხვდებით, რომ ეს სიტუაციები თბილისში გუდა-ნაბადის აყრამდეა, ვიდრე თმა ამოჯეჯილდებოდეს, წარბები ამეპრიხებოდეს და გელენახესგან მწერლობაში ნიჭიერება შეკურთხებული ოცი მანეთით მივაშურებდე დედაქალაქს. ჩაწვდებით, ალბათ, იმასაც, რომ ჩვენი თხრობის სტილი და მანერა ასოციაციურ მეთოდზეა აგებული, რომელიც რამდენადმე უახლოვდება ,,ცნობიერების ნაკადს''.

— მე ზღვამ მაქცია მოაზროვნედ, — ჩამომაშორებს ფიქრების სპირალს ნაპო ბიძიას ხმა, — აღარ მახსოვს მომიყოლია თუ არა, ქერჩის მისადგომებთან როგორ დაგვბომბეს და რანაირად ვიტივტივე მერე გამთენიამდე ნაპირისკენ.

ზამთარია. ზღვა შედარებით თბილია დეკემბერში, ამიტომაც შეელევი ყველაფერს: შინელსაც, დაბამბულსაც, ჩექმებსაც, ქამარი კი აუცილებელია წელზე შემოსაჭერად, მით უფრო, როცა ხელში პლასტმასის კალისტრა მოგყვება. გაუყრი სახელურში თავმოხუფულს და რამდენადმე შეიმსუბუქებ ქვასავით დამძიმებულ სხეულს. პელაგონში მოხვედრილი სწრაფად აუღებ ალღოს ცხოვრებას. ნაპირამდე კბილებით მიგიტანია სული და ამის შემდეგ აღარაფრით დათმობ, გნებავს აკოპში მომწყდეულს თავზე ,,ვეფხვები'' დაგტრიალებდეს მუხლუხოებით.

— ადამიანის მამოძრავებელი ფენომენი არსებობისთვის ბრძოლაა, — ჩავერთვები.

— ეგ მალთუსის თეორიიდან, დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში, მაგრამ თაობების გადარჩენას საფუძვლად ბუნებრივი გადარჩევა უდევს.

გეხსომება, მურმანი ცოლს ირთავსოო, რომ მითხრეს, გავთავდი კაცი. ჩემს დაუკითხავად რანაირად შვება-მეთქი. განა სარძლოს სიმდიდრეს დავეძებდი, ან ოჯახურ მდგომარეობას? არამც და არამც! უწინარესად მისი წარმომავლობა მადარდებდა. ცოტათი მეც გავუმართავდი ხელს ობოლ ძმისშვილს, ეს ჩემი მოვალეობა იყო, მაგრამ უჯიშო თუ შემოეჩეჩებოდა, ხომ წყალში ჩაიყრებოდა ყველაფერი?! შემოსარიგებლად მომგვარეს უკვე ზრდასრული სისხლხორცი. აწურულია, აი, ამ ბუხრის კიდესთან მეზობლები შემომაპარებენ მრავლისგან მოტანილ ამბავს: ცოლის მოყვანის ნებართვას ითხოვს შენგანო. მეტყვიან, ასეთი და ასეთი ოჯახიდანააო. მიქებენ შესახედაობით, ზნეობრიობით.

გიყვარს-მეთქი, მივუბრუნდები ძმისშვილს და ბუხრის კიდეს თავს რომ მიურახუნებს, იქ ჩემთვის ყველაფერი მისახვედრია. მერჩივნა თავიდან მცოდნოდა, მოვიკითხავდით რძლისიანებს. არავინ წაართმევდა, იცხოვრებდნენ ბედნიერად, მაგრამ თავისით რომ გაჭრა და შეკერა, იქ ჩემი დასტური მოჩვენებითი ნებართვაა და მეც გულით დავლოცე. ნატომ გაამართლა, ჭვამაკა გამოდგა, ყირათიანი, მაგრამ ხომ შეიძლება სხვანაირი შეხვედროდა, ფეთხუმი, წასაგებელი?! შორს გამექცა სიტყვა. ზღვიდან ნაპირზე გამოღწეულ კაცს თმა ჩემსავით ერთ ღამეში უთეთრდება და გონებაც სხვანაირად აუმუშავდება.

მახსენდება ბიქტორ ბაბუას ცოფები ქალიშვილების გათხოვებისას. ზოგან ბაჯგა გამახარიასმაგვარი დაემართება თავად, სხვაგან კოკაში ჩატენილი კაბით გაეპარება ასული. ჩემთვის კი სრულიად გაუგებარი რჩება, აქამდე თუ რატომ მოითხოვენ მშობლები შვილების მორჩილებას, განსაკუთრებით ოჯახის შექმნისას?! აკი, დედაჩემს ნებით მიათხოვებენ პროვიზორ სიძეს, მაგრამ სიამტკბილობას მაინც არაფრით არგუნებს მამაზეციერი. ზღვა აქ არაფერ შუაშია, ვასკვნი ჩემთვის, და არც — ბუნების კანონების მოშველიება.

არაფერი მირჩევნია მე მამიდების სიახლოვეს ტრიალს. ერთ ღამეს უფროსთან რომ დაყოვნდები, მეორე შუათანასთან უნდა გაათენო და მესამე — ნაბოლარასთან, სხვანაირად დაგემდურებიან. მერედა, ჩემი კბილა მამიდაშვილები ხომ გასაოცარი ოსტატობით ისვრიან ანკესებს ბოღაზში, ხესქერით დაუყვებიან სათავედან მორებითა და ტალახით გადაკეტილ გვადიას ღელეს. ხელაობის ოსტატი რამზეა. შეგაყოფინებს ჯილეში მტევანს და გატრუნული თევზით რომ გამოხვალ ნაპირზე, ზეიმი მაშინ ნახე. ერთხელ კი უხსენებელსაც ამოგათრევინებს ზემორე, რომელიც ახლაც დაუსრულებლად იწელება და იგრიხება ერთდროულად, თუმცა ბუნებასთან ესენი გაცილებით ახლოს არიან და აბა, გული საითკენ გაგიწევს უფრო?!

— მიხო ბესას გუ!* — ამ ფრაზით დავქრი ცხენ-ჯოხით ბაბუა თომას ეზოში, სადაც მართლაც ვინმე ბესა ხყოლიათ სტუმრად. ეღიმილება იმ კაცს, მაგრამ ოჯახაშენებულმა რა იცის, ჩემი მამიდაშვილი მიხო ჯაბუა მართლაც ბაბუამისის ალი-კვალი რომაა?

ან ბებალე გითოლენდიას ფათერაკი დაგავიწყდება მისდღემში? აქეთკენ მოეშურება სათევზაოდ, ალიოშა გამისონიასთან, ორდე იზორაიასთან და კიდევ რამდენიმე ოტობაიელთან ერთად. ღელეს ამღვრევამდე ბებალე წყლით განწმენდას მოიწადინებს იოანე ნათლისმცემლის კვალობაზე. ხელკეტებით შეიარაღებულან სხვები, წყრთა კობრები გოჭებზე უმსხვილეს თავებს რომ ამოხყოფენ, აი, მაშინ სდრუზავენ. ბებალე საძმოსთანაა და სრულიად ტიტლიკანა ნებივრობს მოცისფრო ნაკადში. ამოტრიალდება, ჩაყვინთავს, და ასე რამდენჯერმე. კაცებს მობეზრდებათ მეგობრის ნავარდი და საქმისთვის თადარიგს დაიჭერენ. ერთხელაც ამოვეშაპდება ბებალე, ზორბა, საჯიშე ჯირკვლებიღა გაიელვებს მერმე თევზის მიმსგავსებით წყლის ზედაპირზე და დასცხებს რომელიღაც მრავალი ლუფის დამქეჟავ ხელჯოხს. ამოხყოფს თავს ბებალე საცრისხელა თვალებით, რომელიც მზადაა მოწინააღმდეგეს შესასანსლად, ხელკეტიანი კი ჯიქურ აესვეტება ლამის სიცოცხლეწართმეულს:

— ვერ მოგართვეს! გგონია შენია? — დარწმუნებულია თევზზე ეცილებიან უბედურიშვილს.

ან თავთხელად მოჩვენებული ცქროლებისკენ რომ წაგიყვანენ ბოჩია მეფორია, ვალერი ჯაბუა და ილუშა შამათავა; ახლახან დამაყრუებლად დაგიქუხებია თოფი მამიდაშვილის ყურისძირას, თანაც გამსხლტარ ტყისქათამას საფლობ და საფლობ მისდევ ნადირობის ჟინით გადარეული:

— ნუ წახვალ, იქითკენ, ღრმაა, დაიძირები, — გიყივიან შუა დეკემბერში. შენ კი მაინც ჯიუტად მიდგაფუნებ ჩალამისკენ, სანამ ყელამდე ამოილუფხებოდე. კიდევ კარგი, სწრაფად მოგაშველებენ ახალმოჭრილ ჭოლოკს და რის ვაივაგლახით გამოგათრევენ აქამდე „ნიშ, ნიშ"-ის მოლუღლუღეს გაოცების საწინდრად.

ან კიდევ ზღვაში რომ გაიშლება სიგრძივ დაბანდღილი ბადე და ვარდიშას ბიჭი ბონდო ყალიჩავა, თავისი ბოკვერებით მედუზების სიმრავლეს გიყიჟინებს, შენ კი იყოჩაღებ ვითომ და ერთიანად დასუსხული ცალ ფეხზე ხტუნაობ სიმწვავის ზღვაურით განსაქარვებლად, ღმერთმა უწყის, რატომ შემოაცურებს ნაპო ბიძიას ზღვის ხსენება შენს არსებაში?

ამაზე ადრეც მითქვამს სხვაგან: ფოლკნერისა არ იყოს, ყოველი ადამიანი საკუთარი წარსულის ჯამია და მსგავს სიტუაციაში, რაც შენში დალექილა, ელვისებურად გაირბენს ათწლეულებს, კილომეტრთა ათასეულს, ტყვე ხარ იმ განცდათა, ოღონდ საკმარისია მინავლული ფერადოვნების სიმები შეირხას.

ეთერ დეის ეთვლიმება. გელენახეს ძილი გაკრთომია. ამ ორ განზომილებაში დაჭიმული, ემშვიდობები გულის ამოსაბერტყად მომართულ პიროვნებას, კარელია-ფინეთიდან მოყოლებული მანჯურიამდე რომ აღსდგომია ბოროტებას ზოგადად და ტკბილი სულის გადარჩენას — კონკრეტულად.

მეათე კლასს ვამთავრებთ. გრიგალი უამრავ ხეს წააყირავებს ჩვენი სამოსახლოს გაყოლებაზე. ოთხკუთხა, ქათქათა სვეტებზე შემდგარი ჩვენი ოდა სასწაულად გადაურჩება მისი მძლავრი ფრთების დგაფუნს. ძირს ჩამოვბარგდებით, დაუმთავრებელ პირველ სართულზე. ბევრს აჭრიალებს, ბევრს აკვნესებს კედლებს ქარიშხალი, მაგრამ მკვიდრად შეკავშირებულ ნაჭდევებთან როცა ვერაფერს გააწყობს, კუდამოძუებული გაგვეცლება.

ადრე მეხიც გამოსცდის ჩვენს საცხოვრისს, ბუხრის თავზე, ფირფიცრით აჭედილ ჭერს ნეკისსისხო ნახვრეტს დაუტოვებს. კერიასთან მიმჯდარ დედას მხარმარცხნით ჩაუქროლებს და იმ თავსხმაში კინოსეანსიდან მობრუნებულებს სწორედ პირველ სართულზე დაგვიხვდება მიწაზე გართხმული გელენახე. ედისონს შეცილებია ელექტროობის ცოდნაში, „ზაზემლენიე"-თი უშველია თავისთვის, მაგრამ მოვუბრუნდეთ წაქცეულ, უშველებელ აკაციას, რომელსაც მოპირდაპირე ეზოში წააყირავებს ზენაქარი, გზას გადახერგავს, ელსადენებს დაწყვეტს.

ფეხბურთის დღეა. „დინამოს" მძიმე წუთები უდგას. ხოდა, სკოლის დირექტორი, არლენ ელიავა გაკვეთილებიდან გვათავისუფლებს მეათე კლასელ ყველა ბიჭს, ოღონდაც ეს ხე მოვაშოროთ შუქის დამზიანებლის წყაროს, თან დეტალებში მაფრთხილებს კომკავშირის ექსმდივანს, მე ხომ წელიწადზე მეტია თანამდებობა ძუძუმტესთვის გადამილოცნია:

— ნწუ, ორმა მონტიორი მოძებნეთ, ტრანსფორმატორი გამოართვევინეთ. იქ ორი დარჩეს და სანამ თქვენგან მისული ორი წარმომადგენელი არ აუწყებს ელსადენის აღდგენას, არ ჩაართვევინოთ! გასაგებია, პოეტო?!

— გასაგებია, მასწ... — მეღიმება.

— რა იყო? — ჩამეძიება სკოლის დირექტორი.

— არაფერი, გამახსენდა ერთ-ერთ გაკვეთილზე დაფასთან გასული ცარცს რომ ვაწვალებ ამოცანის ამოხსნაში გაჭედილი და სიტყვა „გაყოფილს" მეათედ ვიმეორებ, თქვენ კი ბრაზი მოგსდით ჩემი თავმოუბმელობის გამო და მოჭრილად გამირითმავთ; „გაყოფილს კი არ გინდა — კარტოფილსო". გამაყრუებელი სიცილი იფეთქებს კლასში, ლოგარითმები გვავიწყდება და ამასობაში ზარიც დაირეკება.

აკაციის ხეც დაახლოებით ეგეთია.

— გულთმისნობას მოეშვი, საქმეს მიხედე!

გაკვეთილების ჩაშლის დიდოსტატი ვარ.

პუჭიკო თაკალანძესთან პრობლემები არა მაქვს, ვინაიდან ჩემი გულის მესაიდუმლეა და თუ რომელიმე რუსი კლასიკოსის ლექსის დაზუთხვა ვერ მომისწრია, კარებთან შევხვდები, განზე გავიხმობ და თავდახრილი ვეტყვი:

— გრძნობები მომაწვა მასწ. და კითხვას გული ვერაფრით დავუდე. სამაგიეროდ ეს ლექსი შემით-

ხზავს, — მივაწვდი და მერე ისე წარიმართება გაკვეთილი, რომ სულ სიყვარულის თემა ტრიალებს საკლასო ოთახში, უნიადაგო ვნებით გათანგული მოსწავლეების დასაშოშმინებლად.

ონერ ზანთარაიას ალიყურები მტრისას! გავა დაფასთან ქიმიური ფორმულების ჩამოსამწკრივებლად. მოჭარბებული ენერგიით გამოირჩევა და ცარცი წარამარა ეფშვნება ფიცარზე მიჭერისას! ნატრიუმის ფორმულა განსაკუთრებით ბარაქიანი გამოსდის. სიცილი წამსკდება.

— რომელი იყო? — მოტრიალდება ბოკოს ძე მსწრაფლ.

— მე, მასწ! — ფეხზე წამომდგარი მერხის ასაკეცს ვაწვალებ.

— მაინც რატომ გაგეცინა? — ჩამაჟინდება.

— აბა, რა მექნა, მასწ, როცა N-ი თქვენს ცხვირზე გრძელი გამოგივიდათ?!

სამად გაიკვეცება ბართლომეს ცოლისძმა და წავა მერე ღადავი ნოჩო თაკალანძეს ცხვირსა თუ ანზორ ჩიტაიას ფეხებზე, აივანზე გაშხლართულს ჭიშკრებიდან რომ უჩანს ონავრების საღუტუნებლად.

უფრო ცუდად წამივა საქმე ზაირა გითოლენდიასთან.

— კიდევ არ მოგიმზადებია გაკვეთილი?

— სრული სიმართლეა, მასწ?

— სამჯერ დავტოვე შენს გამო კვერცხუჯრედის განაყოფიერება. მეტი რაღა ვქნა, პროგრამას როდის დავეწიო?

— პრაქტიკულებს არ გვიტარებთ მასწ. და რა ჩემი ბრალია? ხომ ვითვისებთ კაკო თაკალანძის ქიმიას?! თვალსაჩინოების ძალას ეხუმრები?! — ფრაზა რიგიანად არც დამისრულებია და ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი ქალიშვილი მდუღარე ცრემლით აქვითინდება. გაკვეთილი კი ჩაიშლება, მაგრამ ვაი ასეთ ჩაშლას: ცალკე ონერ ზანთარაიას ალიყურები, ცალკე დამრიგებელი ნელი შამუგიას ყურზე წვდომა, ცალკე თვალმოკიჟული მამაჩემის გამოჩენა! ამიკრავენ გუდა-ნაბადს შინისკენ, იქ კი არ გინდა გელენახეს რისხვას გადაურჩე?!

გაკვეთილის ჩაშლას ვისთან არ ვახერხებ: არშაკო გამისონიას პოლიტიკაზე ჩამოვუგდებ საუბარს და მოგჭამა მერე ჭირი ,,საზოგადოებათმცოდნეობის'' პასაჟებმა; ვენერა ციკოლიას დარვინის ,,მოგზაურობა გემ ,,ბიგლით''-ზე გავუბამ ბაასს და მსოფლიოს ფლორა თვალსაწიერიდან ქრება გიგანტური გვიმრებითურთ.

ერთადერთი, ვისთანაც ჩემი ოინები არ ჭრის, აკაკი შანიძის ოდნავ ენაბრგვილი უმცროსი ძმა, ჟორა რურუაა. კაი დედის შვილი ხარ ნუ დაიზუთხავ სერიებსა და მწკრივებს, სინტაქსისა და მორფოლოგიის საკვანძო საკითხებს, ფონეტიკის ალქიმიას.

— შუაღამეც რომ წამოგაგდონ ლოგინიდან, უნდა ჩაასხაპასხუპო, — ასეთია ჟორა რურუას კრედო.

გასათხოვარი დედაჩემისკენ სჭერია თვალი ბიჭობაში, მაგრამ გადაუჯოკრეს ფეტელავებმა და ჩემს საქილვაშეს კარგი დღე არ ადგას. საკმარისია სადმე წავბორძიკდე გრამატიკული ნორმების გადმოლაგებისას, რომ ეგრევე თითისწვერებზე შემაყენებს. ამიტომაც ვითარებას სწრაფად ვამუღამებ და მისაკ ჭანიას ,,ნოლმაშინკათი'' ავასუფთავებინებ ,,ბაკებს'', მაგრამ დასჯის ობიექტი წაერთმევა ხექტარიანი თავის პატრონს? და ციცრის საალდგომო კვერცხის დამტვრევი, მუშტიდან გამოჩრილი შუათითი მომინისკარტებს დროდადრო, როცა ,,სატყარო'', იგივე ბალანი თურქულ კეხსაც შემოეცლება ქოჩრიანად ვაჟიკო ხვინგიას წყალობით.

ასე რომ, გასაკვირია განა დღესაც საკაკუტე ლურსმანივით ჩამჭედვოდეს გონებაში გრამატიკის შეუვალი ფორმულები. სამაგალითოდ ვცადოთ: ,,**ენა არის საზოგადოებათა ურთიერთგაგებინების საშუალება ანუ აზროვნების იარაღი. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავის განცდას გააგებინებს მეორე ამხანაგს თავისი ენის საშუალებით"...**

ჩვენი ჭიშკრის წინ ვტრიალებთ. ვალერი ბაგინსკი და რევდენ ზანთარაია ტრანსფორმატორთან დაყუდებულან სასაფლაოს მოპირდაპირე მხარეს, საქირთბაიოს პორტალთან. მოვიძიებთ ნაჯახებს, განის ხერხს, ფიწალს, წალდუნებს, ურიკებს.

აკაციის კბენია ტოტებს ვსხეპთ, ვახანიების ყოფილ ეზოში ვყრით. ადრე აქ ჭელიძეებს უცხოვრიათ. ვერ გამოდგება ბედნიერი სამოსახლო, ფეხს ვერავინ მოიკიდებს.

მორებს ჩვენსკენ მივათრევთ. რამდენიმე საათში აკაციის სახსენებლი გაქრება სამანქანო გზიდან თუ ღელისპირიდან.

სამუშაო ზედმიწევნითაა განაწილებული: თამაზ გამისონია, სერგო გაბელია, ზურა თაკალანძე და ონერ ბჟინავა ხერხავენ;

ზაურ ბოხუას, თამაზ სონგულიას, კაჩუბი აფაქიას, როინ ალფენიძეს ტოტები და მორები დააქვთ;

გოგი ფაცურია ნათხოვარი რკინის კაუჭებით ცუცას და ლუბაშას ეზო-კარის კუთხესთან ამართულ ბოძზე აცოცებულა. დაჭიმულია ორი ზედა ელსადენი, ფაზა. ჯერი მესამეზეა.

ფეხშიშველანი დავტანტალებთ ასფალტზე. ალუმინის მრავალძარღვა მავთულს „პლოსკოთი“ ვეჭიდები ბიჭებამდე გასათრევად. სული წამძლევს, მარცხენასაც მივაშველებ და ხდება სასწაული, შვიდი სიტყვაღა გამიელვებს თავში:„ოღონდ ახლა გადავრჩებოდე და ელექტრონს აღარასდროს მივეკარები-“შეთქი. ფიქრი აქ მიწყდება. უკუმგდები ძალა გაუაზრებლად მომისვრის თემშარის ერთი კიდედან მეორემდე. ეგრევე ღელეში მოვადენ დღვაბანს.

ამხანაგები თავიდან იცინიან. მერმე გაოგნებულები შემომეჯგუფებიან, მანჯღრევენ, გადარჩენას მილოცავენ.

ყველაფერი მალე გაირკვევა: ტრანსფორმატორთან დატოვებულებს სამუშაო მორჩენილად მიუჩნევიათ და ჩვენსკენ გამოშურებულან. მონტიორს კი, როცა არავინ უხილავს, ელექტროენერგია ჩაურთავს და ძაღლის ბედად წოდებული იღბალი რომ არა, გინესის წიგნში შესატანი სალტო-მორტალეთი გადავეშვებოდი დღემდე გაურკვეველ მარადისში.

ოდნავ განსხვავებული, მაგრამ მსგავსი ბედისწერისაა ძუძუმტეს ყისმათიც. გაქანებული ტაქსი დაეჯახება გადასასვლელთან. ინსტინქტურად წაებღაუჭება ბრიკეტა ბუფერს და რამდენიმე ათეულ მეტრს გაათრევს ქვეშმოგდებულს. ხერხემალი დაუზიანდება. მარჯვენა ფეხი წაერთმევა. ხელები ამოეთუთქება. გახდება, ჩამონაცრდება. სწავლა მთელი წლით გაუცდება უნივერსიტეტში. თაბაშირსა და კორსეტში ჩამჯდარი მოსკოვსაც მიაშურებს სამკურნალოდ. რიურიკ კაკუბავას მეცადინეობით მარილის აბაზანაში ინებივრებს. ქალებს ძველებურად არ მოიკლებს. ჯერ აცაბაცათი გაივლის კასტელებით, მერმე ხელჯოხს დაეყრდნობა და წლისთავზე გაირბენს კიდეც, მაგრამ ჩაესვენება ძუძუმტეს „ყაზბეგურის“ და ფინტების მზე, თუმცა მაგიდის ჩოგბურთსა და ნარდში მაინც შეუდარებელია ყანწთან ერთად.

ვერასდროს ვივიწყებ ეთერ დეის სასოწარკვეთილ სახეს კვირეების მანძილზე. იატაკზე გაუხდელად წევს ვაჟიშვილის ფეხრთით. ჩვილსავით უტარებს წყლის პროცედურებს და ერთხელ გაღიმებით რომ იტყვის:

— აწი არა გვიშავს ...დაუმსხვილდაო, — შვებით ამოვისუნთქავთ, თითქოს ძუძუმტეს სიცოცხლე ბებალე გითოლენდიას წყლის ზედაპირზე გაელვებული ავლადიდებისა არ იყოს, მრავალი ლუფის მქეჟავი ხელკეტით რომ დაიბეთქება, კვლავ მწყობრშია და კაცის ფეხზე წამოდგომას წინ რაღა დაუდგება?!

მშობელი ლუკმას როგორ დაგაყვედრის, მაგრამ მუქთამჭამელის პოზა სინდისს მიწუხებს. დედულეთისკენ ავიბარგები, თუმცა რაღა დედულეთია, როცა ბაბუა თომას ნამოსახლარზე სანთლითაც რომ ეძებდე თანშეზრდილ ერთ ხესაც ვერ იპოვი.

ჯერ კოკოშა შენგელიას ჩალის ფასად მიხყიდიან ჩემები ეზო-კარს ქვექვერია ოდითურთ. იგი თავის მხრივ არქეოლოგიურ პარტიას გადაულოცავს უფრო სარფიანად. ეს უკანასკნელნი ბულდოზერებით პირწმინდად გაატიალებენ საუკუნოვან ბაღჩა-ბოსტანს.

ცხადია, ჩვენი წარსულის მიწის წიაღიდან ამოშუქმეტება გაცილებით ძვირფასია, ვინემ დაღვარკნილი ხეების შრიალი, მაგრამ რანაირად უწამლებ გონებაში მკვიდრად ჩახისტულ სანახებს?! სადღაა ხუჭუჭა თხმელების კოროომი?! სადღაა აჩხოტილ ოთხ აკაციაზე აღმართული სათვალთვალო პუნქტი მოჭრაჭუნე კბოდეთი?! აქ საზამთროებისა და ნესვების სიმრავლე იტაცებს ყმაწვილურ გონებას.

მოვა სტუმარი. გაიხარებენ გელენავები. ტომარას და სანამყენე დანას მომაწოდებენ.

— უხანე, წადი და ჯიშიანი ნესვ-საზამთრო მოიტანე, — მეტყვის ბაბუა თომა.

ბურვაკივით ტანსლიპინა ნესვის ამოცნობა ადვილია, ას მეტრში აფრქვევს დამათრობელ სურნელს ბალახებში მიწოლილი, მაგრამ საზამთრო განსხვავებული აღნაგობისაა, ჭრელი, მყიფე, მრგვალი, სფინქსის გამოცანა, ჰოდა, ჩაჭრი დანით ცერისხელას ჩასაჭვრიტინებლად, ერთს, მეორეს, მესამეს. ბოლოს ბედი გაგიღიმებს მომდევნო გამთენიამდე. აქ კი სათიბიდან სახარე წკნელით მოსულწრაფობს ბაბუა თომა:

— უხანე, ურდუ, ებჭყიდ, ებჭყიდ!

აყროლებულა მაჯაგასინჯული ხაბურზაკი. სწორედ ამ ბექობზეა განლაგებული არქეოლოგების ორსართულიანი შენობა.

უკაცრიელობაა.

ზაფხულამდე არავინ შეიწუხებს თავს ჩვენი პრეისტორიული ცხოვრების დიხაგუძბადან ამოსაქექად.

თომა ბაბუა ნათელშია, მისი პერანგის სუნი კი კვლავაც მიღიტინებს ცხვირის ნესტოებში.

ამბროსი დამიმარტოხელებს ერთხელ, ბელეტრისტიკაში უკვე გვარიანად კალამნაცადს.

— წიე, წიე, საზგადო კაცი იქნები, ცოტა სმას რომ მოუკლებდე! დედაშენი ჩემი გაზრდილია, შაქარყინულით ვანებივრებდი, ძმები ხუფენიების აბრეშუმით ვმოსავდი. ქომ, ჯიჯი, შანტალიო,* მეტყოდა და უსაჩუქროდ მისვლა იქნებოდა?! ცხონებული მამაშენი, წამებიერი კაცი იყო, არაყმა მოუღო ბოლო თორემ. ჩვენს ნამოსახლარში მინდა როდისმე წაგიყვანო. ხვნის დროს გუთანი რაღაც უჯიათს წამოედო. ლაგვანი შეგვრჩა ხელთ, შაბიამნისფერი სამუშაო იარაღებით სავსე; ორპირა ცულები, წერაქვები, ვინ მოსთვლის, რამდენია. გავწმინდეთ, გავაპრიალეთ, ბზინავს საკვირველად. ოქრო გვგონია, მაგრამ სპილენძი არ ყოფილა?! ხოდა, მალულად გადავიტანეთ სხვაგან, იმის შიშით, არიქა, აგვასახლებენ აქედან, წაგვართმევენ სარჩო-საბადებელსო. მე მგონი მივაგნებ იმ ადგილს. იქნებ რა საგანძურს ფარავს ჩვენი დიხაგუძბა?!

ალექსანდრეს დავემგზავრებით. დიდხანს ვეძებთ ქვევრის ადგილსამყოფელს, მაგრამ — ამაოდ.

მალე განცხადებით მივმართავ მწერალთა კავშირის მდივანს, უიშვიათეს იოსებ ნონეშვილს. ის თავის მხრივ არქეოლოგებს შეეხმიანება და დაიძრება ადგილიდან ჩემი ბავშვობის სამკვიდრობლის იავარქმნის საქმე. თუმცა მეხსიერების დანგრევა არაფერს შეძლებია. ცაბაოთს მიტომაც არ უჭირს, ალბათ, სამყაროს წარმოსახვით აშენება, გაცამტვერება და კვლავ მკვდრეთით აღდგენა სულში წარუშლელად ჩაჩნეულის მეოხებით.

კვლავ გალში ვარ. რაბო შონიასთვის ჯერ ოტობაიური ოინი არ გამიკეთებია, მებოსტნეობის გადაშენებასთან მიმართებაში და დაზიანებული სახლის შესაკეთებელი თანხის გამოყოფის განცხადებისთვის სარეზოლუციოდ არც კალამი ენანება და აღარც — მაჯა.

დედას არაფერი გამოსდის, თავდებად ვერავის დაიყენებს, ვერც — საკუთარი სისხლხორციდან და ვეღარც — ქმრისიანებიდან.

დგას თვალცრემლიანი გელენახე ბანკის რიარიაში და ამ დროს ღვთისნიერი ჭარმაგი გრიშა ბერაია შეეხმიანება ყარა თორიას სოფლიდან, ნაბაკევიდან. მისი გასხვისებული ვაჟიშვილი ვახტანგ მიშველია ჩემი პერანგის ამხანაგია. მის ასულ ნონას, მოგვიანებით ფრენბურთის თანაგუნდელი ანზორ გუნჯუა დაეწყვილება, ანზორა გუნჯალათი რომ ვცინებ მამია რატიას დალილას და ყურებამდე ვაწითლებ კოჭებამდე დალალებით გამორჩეულს, ის ანზორი.

გამოკითხავს გაჭირვებას, ვინაობას, და როცა შეიტყობს პროვიზორი მიშა ფეტელავას მეუღლეა, მთელი ბანკის წინაშე დაუდგება ,,აპეკუნად'' სესხზე. კი, საბუთები მომზადებულია, მაგრამ ბიუროკრატიული იერარქიის კიბე გალშიც მოიძებნება და სანამ რაბო შონია მწვანე შუქს არ აუნთებს ჩვენს დახმარებას, ვართ გულხელდაკრეფილები.

ხელად შედგება პროექტი სათანადო სამსახურში. ოცი ათასი მანეთიც მსწრაფლ დაჯდება დედის ანგარიშზე და მამისეულ სახლს ძირს ჩამოვაბრძანებთ ცოკოლზე მოსასვენებლად — იკმაროს რაც ქანდარიდან ზღვაურმა და ზენაქარმა უქიქინა.

გალი ცივილიზაციასთან შეხების პირველი აკვანია ჩემს მეხსიერებაში. რემიკო გელენავასთან ქორწილში თანწარტანილს რკინიგზა გამაოცებს, გვირაბში გამავალს ზედ რომ მატარებელი გადამიხრიგინდება და მეც მხრებში ვღუნცავ თავს. ზუგდიდს მოგვიანებით ვიხილავ და ჩხოუშიას ვალალი ვერ გამიქარწყლებს ენგურის სიზვიადით მონიჭებულ ნეტარებას.

და მაინც ჩემი სახტად დარჩენის ობიექტი გუთიკოა, ტუჩებს რომ მოღრიცავს წარამარა და ორთქმავლის საყვირის ხმებს გამოსცემს ფორნებს შებმული ჯაგლაგების დასაფეთებლად. გუთიკოს დალანდვა მოპირდაპირე ტროტუარზე გადამისვრის. სკედების ზონარს ისწორებს ყასიდად. წაიწევი ცოტას და ჩართავს მომაკვდინებლად განგმირავ სირენას.

კომკავშირის რაიკომი ზედ ბაბუა ამბროსის საცხოვრისის კუნწუხოზეა. იქამდე შემიძლია ფერდობ-ფერდობ ჩავირბინო. ოქუმის ქუჩა ტალახნარევია, მაგრამ მომცრო გუბეები რას დაგაკლებს ბორსუს საფლობებს გამოღწეულს?! დაფასებულია მამის სალაროდან შევსებული საწევროების რეგულარული გადახდა.

კომკავშირული საგზურით მგზავნიან გუდაუთას.

სოხუმში საბოლოოდ დაკომპლექტდება ჩვენი რაზმი.

გალიდან ოთხნი ვართ: ლადი გოგოხიას საუფლოს მკვიდრნი — გურამ შამუგია და თამაზ ჯოლოგუა; საცრისხელა თვალებით გამორჩეული, წაბლისფერთმიანი მეოთხე სკოლელი დალილა ხორავა და მე.

სიმწვანეში წაკლაკნილ გზებით ჩავაღწევთ გუდაუთამდე.

ახალი ნაკადი განსხვავებული ხელწერით შეაფერადებს ბრეზენტის კარვებს. ვანკა-სტანკას და

მატროშკებს ჩოხაახალუხიანი ონავრები ცვლიან. ასაკეც ლოგინებზე გვძინავს სამეულს. აკრეფილია კარვის კალთები, ვინაიდან სულ ერთია გურამ შამუგიას ხვრინვა და სირღალი ფეხები მაინც შეიწირავს აქამდეც ზღვაურთაგან მრავალგზის ნანჯღრევს. თამაზ ჯოლოგუა მოციცქნულია, თომა ბაბუას სალეს ქვასავით გალეული, მე კი შუალედური ამ ორ განზომილებას შორის.

მაღალი სვანეთის ქალ-ვაჟების სიმრავლეა: ხაფთანები და გულედანები, მერლანები და კვიციანები — სწრაფად გვიმოყრდებიან. ძირითადი გასართობი ფრენბურთია, წრეში ჩაჯდომა და მოშვერილ ზურგებზე ბათქაბუთქი. კავეენის გამართვასაც მოვასწრებთ თხუმეტ დღეში ორგზის.

სოფელში მობრუნებული სწორედ ამ კავეენს ჩავაჟინდები.

— ალბათ, პროჟექტორი! — მეუბნება კურატორი არლენ ელიავა იდეოლოგიის განხრით. უკვე დრანდაში გადასული ონერ ზანთარაიას სკამ-კაბინეტის მესაკუთრეა. კაკო შენგელია კვლავინდებურად სასწავლო ნაწილის გამგის პოსტს ჯერდება. ჩემი დამრიგებლის მეუღლეა, თანაც მიმიხვდებით — ვისი მამა და ურთიერთობა ჩვენს შორის ყოველთვის მამაშვილურია.

— არა, კავეენი! — ვჯიუტობ მე, — იგივე საზრიანთა და გონებამახვილთა კლუბი!

— პროჟექტორი ხომ არ აჯობებს?! — ჩამჯინებია დირექტორი, მაგრამ ჩემს ახირებას საშველი რომ არ დაადგება, ხელს ჩაიქნევს, — ნწუ, პროგრამა, პროგრამისთვის ვიზრუნოთო.

ორ კვირას საკლასო ჟურნალში გამოძახებას ვინ გვაკადრებს. მეცადინეობაზე თავარიდების რეკორდს მოვხსნი. ზოგჯერ შებინდებამდე ვრჩებით. კლასებს შორის შუღლი რომ არ ჩამოვარდეს ძალები გადაჯგუფდება. არლენის იზოლდა და მე ბარიკადის ერთ ნაპირზე ვდგავართ, ნელის ცუცუ და ჯულიეტა ძაძუა — მეორე მხარეს.

იქექება ენციკლოპედიები. იძებნება მახვილგონივრული კითხვები. მოყურიადეთა მთელი ქსელია შეგზავნილი ჩვენთვის საკმაოდ ცნობილ იატაკქვეშეთში. წაუყომარებენ კიდეც ზოგჯერ მონდობილი პროფესიის შესანიღბად. იხატება პლაკატები, კარიკატურები გადამწყვეტი მომენტისთვის. ითხზვება მეგობრული შარჟები, რომლებშიც ხშირად დარღვეულია პოეტური ლიცენცია.

მალე საერთო ორომტრიალში მასწავლებლებთან მშობლებიც ჩაერთვებიან. მოგვიანებით უბანი უბანს დაუპირისპირდება, ქუჩა — ქუჩას, როგორც ამას რეალურად აღვიქვამთ ათწლეულების შემდეგ და ახა, ჩვენი სკოლის ფართო ეზოში, გიგანტი, დინოზავრების ქერეჭიანი ტანით აღჭურვილი ნაძვების ძირას, მთელს სოფელს წრე შეუკრავს. გულშემატკივრებიანად წარმდგარა ერთმანეთის პირისპირ ორივე გუნდი ქაღალდისგან გამოჭრილი, მოვარაყებული აღკაზმულობებით, კომიკური სიუჟეტების ნიღბებით, გიტარა-აკორდიონით. რამდენადაც პომპეზურია ჩვენი იერსახე, იმდენად წრფელია შინაგანად წარმოდგენის ყოველი დეტალი.

უმიკროფონოდ, უმეგაფონოდ, ბაღრია ჩიტების ჟღურტულში, სოფლის ძირითადი მოსახლეობის თანდასწრებით ვეტოქებით ერთიმეორეს. იცვლება პოზიციები, ქომაგობა;

ჟიურის თავმჯდომარე მხცოვანი ჯოტო ყალიჩავაა. მსაჯულთათვის სასკოლო მაგიდებია გამოტანილი შინიდან წამოძღოლიებული სუფრებით, ლარნაკებითა და გეორგინას გაქუჩუჩებული თაიგულებით. როდის-როდის დამთავრდება პაექრობა და მსაჯულთა სიმპათიებიც გაწონასწორდება: ფრე— ოდნავი მიკერძოებით, მაგრამ ერთმანეთის სამოყროდ გამიზნული. მომდევნო დღეს კომკავშირულ მოღვაწეობას დელიკატურად ჩამოვშორდები. გაცდენილი საათების სიმრავლით გავამართლებ გადადგომას. რეკომენდაციას ძუძუმტეს გავუწევ, როგორც ორგანიზატორული ნიჭით ყველაზე მეტად მომადლებულს და დაიწყება სერიოზული მეცადინეობა ყველა მიმართულებით.

ჩაესვენება დრახობაიას მზე. დავიწყებას მიეცემა ფრენბურთის არენა. ახლა ნებისმიერი შტრიხი ძუძუმტეს აღზევებას ხმარდება. მასაც ხომ ხყავს ხორბლისფერი გულისწორი, ათასი წეს-ჩვეულებითა და ოჯახური ტრადიციით თავმოზღუდული?!

მოგვიანებით შემთხვევით მესიზმრება განა აბობოქრებული ენგურ-მდინარე, გაპიპინებული, დედის რძით აგვარგვასებული, რომელსაც გაღმა-გამოღმა ნაპირიდან მივსდგომივართ ამოსახვრეპად მე და ჩემი ბრიკეტა, მაგრამ ამაოდ ვცდილობთ ამ მაუკვდავებელი ნექტარის ამოსრუტვას და ისიც მყარად შემიგნია, სწორედ ამ წერტილებზე დაიდგმება ოდესმე დაუნგრეველი ხიდის ბურჯ-საყრდენები უსაწყისო შთამომავლობის სამიმოსვლოდ.

ცრის. ირიბია კაფანდარა წვიმის ნეკნები. მატარებლის ჩამოწეული სარკმლიდან თავისუფლად დაითვლება ის სუსტი ღერები.

დედა სასაფლაომდე მომაცილებს. თავმობოჭილ ჩანთას ხელში შევატოვებ. ოც მანეთს ვიკმარებ ვენებგადიდებული წინდიდან ამოცოცებულს.

უკვე დავმშვიდობებივარ ფილთა თოფის მაგვარი ხველებით გაჯერებული ნაპო ბიძიას წამობურცულ მკერდს.

ეთერ დეის თავზე ხელი შემოუვლებია. თვალებით მივუალერსებ ყრუ-მუნჯი დების, ცუცას და ლუბაშას ბუტბუტს. მანდარინ-კარალიოკით ჩრდილოეთს წამგზავრებული ნუგზარ ელიავას ჩიქორთული დეპეშა წინადღითაა მიღებული:

— მანდალინი დამპალდა. ვშიო, ჩემგან ალაფელს ელოდეთ! — მაგრამ ვიცი, ჩამობრუნდება ბახვა სადაც არის და კვლავ სატვირთო მანქანის ძარას დაეჯაჯგურება.

გავცდები შამუგიებს და აშორტიებს;

გავცდები რატიებს და ხუფენიებს; ჯამბული სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულა, პოპო და გელა რაიკომის ,,გაზ-24''-ს უკირკიტებენ.

ანზორა გუნჯალას დაძახილზე ყურის ბიბილომდე ასჯერ განაწითლები დალილა რატხე თერჯოლაში გათხოვილა, ჩვენებური კილოს მალე ამთვისებელი ბიცოლა გულის სამოყროში.

მურმანს შვილები წამოსწრებია, სახურავს მოარგებს ბელეტაჟ სახლს. . იზო თბილისში დაქმარშვილებულა. სოსო და თამაზი სოხუმში ტრიალებენ.

თამშუქ მარღანიას ლექსის პერსონაჟ ვახტანგსაც წვრილშვილი შემოჯარვია, ასევეა — რეზო და ნათელა.

სოფლის საყწობში დაკენტებული ლაფეტი დგას; ბუჯგი საჯაიას საყარაულო ჯიხურიდან კვამლი ამოდის; მეგონა ბჟინავას ეზოში ილეწება შეკვირტული ტოტები სახლიკაცის ხვრინვაზე.

მერე — სოფლის ცენტრი. შემდგომ — მამაჩემის დაობლებული აფთიაქი, რომელსაც ვერაფრისდიდებით ელევა გელენახე: ქმრის ნათელში დამლაგებლად მუშაობა ურჩევნია. მოგვიანებით — უეკლესიო სასაფლაო, მამის სახურავჩაზნექილი მომცრო სახლაკი. ცოტაც და გზაგასაყართან თავმობოჭილი ჩანთით მიტოვებული დედა, და არშინიანი ნაბიჯებით სწრაფვა კუნთხოტობაიასკენ, რომლის იქით ჩემი ძმადნაფიცი ოდიშის ანიაგანია უმაგალითო თანადგომებით, მაგრამ იქაც არ დაყოვნდება კალამდაწუნებული შვილის გული და ახა, მატარებლის ჩამოწეული სარკმლიდან მორბის და მოთოხარიკაობს შურობუმუ ჩემი, ყრმობის თუ სიჭაბუკის საბრძანისი, აწგარდასული თუ დღესაც მოელვარე სახეთა დამტევი;

დანისლულია სათანჯოს მთები, სატანჯოდ რომ ჩამოსახლებულა ზღვისპირა ჭურიაში და სხვა მრავალი — მაგნიტივით მონახვეჭი უმცირესიდან დაწყებული უდიდესით დამთავრებული.

მთვარეული ხარტონ გამისონიაც ამ სიკამკამეშია — გუთიკოს მორიდებული თანამოლაშქრე და გნებავთ თავად — ვო, სოხუმე, სოხუმე, თოლცუ ვავორწყქია,* — დღემდე რომ არავინ იცის მისი ალიანჩალიანისა, თუ წიგნებით ჩანთადატენილი ფიჩორის სკოლის მასწავლებელი ბროლა, პეტრარკასა და დანტეზე რომ გაგიბამს გულმხურვალე საუბარს, ლაურასა და ბეატრიჩეს სიყვარულს მისტირის ნიადაგ და კალთამადლიანი ქალბატონების მხიარულ შეხმიანებაზე თავჩაღუნული დაადგება უკაცრიელ გზას.

მატარებელი კი მიქრის მოცრიატე უკუნში.

— დახერხილ შეშას ძლივს ავალაგებდი თაგილონში მატარებლის ვაგონზე, — მეტყვის პაპა ბიქტორი, — ვეშმეშოკივით ზურგზე მოგდებული, ბურვაკებით გაძეძგილი ტომრით სახელურზე ვკიდივარ მერე.

ასე არჩენს სტუდენტ უფროს შვილს.

ბაზარში შეივლიან ერთი ბურვაკის გასაყიდად. მემკვიდრეს დახლთან დასტოვებს, თვითონ რაღაც საშოვარს გადაეგება.

მობრუნდება ცოტა ხანში, მაგრამ პირმშოს მხრები ჩამოუყრია. თურმე თანაკურსელები დაულანდავს და დახლში ჩამძვრალა. ამოუყვია თავი მოგვიანებით, მაგრამ სად არის გვაჩ გელენას კოლტის დამამშვენებელი ღრუტუნია?! ვიღაც მოხერხებულის სალოკ თითს ასდევნებია მიუნხაუზენის ბრმა ტახივით.

ბიქტორ ბაბუა შეუდარებელია გალობა-მჭევრმეტყველებით ქუთაისის სემინარიაში მოსწავლეობისას. ოთხივე სახარებას მუხლ-მუხლად ჩაარაკრაკებს. სემინარიის მნათე ათასნაირი საცთუნებლით გამოცდის თურმე სენაკებში განცალკავებულ შეგირდებს. შემოწირულ ვერცხლის ფულს ლოგინში უყრის მუჭა-მუჭა. მხოლოდ ალექსევიჩის სული არ წამოეგება იმ ანკესზე და უკლებლივ მიართმევს ვითომცდა ,,ღვთის'' მოწყალებას. დიდბატონებით რომ დაეღუპება ზრდასრული ქალ-ვაჟი, უმცროსების გადასარჩენად ნიკაპთან ცრემლაგანასკული მღერის წმინდა გიორგის ხატთან.

ბევრს ეცდება, მაგრამ მამას და არაყს ვეღარაფრით განაშორიშორებს ერთიმეორისგან.რომელიღაც სისხამზე ბნედა დარევს ხელს ნაბახუსევ მიხფეს. ახლა ვიცი, თეთრი ციებ-ცხელების შედეგია ყოველივე, დილერიუმ ტრემენსისა. დედა მეზობლებს შეყრის კივილით. კუთხეში მიყუჟულ პატარებს თავზე გვადგანან ახლობლები: ქათქათა ბებია პისტი, ბიძები.

გაფითრებული მამა საწოლზე ზის, საბანშემოხვეული. ყველა ჭკუას ასწავლის, ბაბუა ბიქტორის მეთაურობით და მხოლოდ ნაპო ბიძია მიაწოდებს სირჩა არაყს, მომცრო, ვარდისფერი გრაფინიდან. მამა ხელის კანკალით მიიტანს ტუჩებთან, სულმოუთქმელად დაცლის და მყისვე სახე გაუღაჟღაჟდება. ბაბუა ბიქტორი მარჯვენას მოწყვეტით ჩაიქნევს და ტარიან ხელჯოხს დაყრდნობილი იქაურობას გაეცლება. ავედევნები. ელიავებთან მომაბრუნებს თვალცრემლიანი.

— რა გეშველება ჩემს შემდეგ? — ამას იტყვის და წაბარბაცდება.

— შინ მოსვლამდე ვერ უნდა მოითოკო, ბიჭო თავი, — ეუბნება მომჯობინებულ მამას ნაპო ბიძია, — აფთიაქის სპირტი, იცი, ეთილისაა, ორგანიზმის დამანგრეველი. მოდი, ოჯახაშენებულო ჩემთან, მსხლის არაყი არ გამომელევა, დავსხდეთ და ვისაუბროთ.

— ასე ვიზამ, — პასუხობს ბალიშზე თავამომაღლებული მამა, მაგრამ მოახლოვდება მორიგი საღამო, შემოაღწევს შინ ორკილოგრამიანი პურით, გამომკითხავს გაკვეთილებს, ნასმურევი ტანსაცმლიანად მიწვება ლოგინში და მოხყვება განუყრელ ბოდვებს.

შუაღამე გადაივლის და ახალ ჩვენს ჭიშკარს მუხლებზე დავარდნილი, ნადირობისას ფეხის თოფით დაზიანების შემდეგ ნარკომანად ქცეული ბოჯო ახალაია აუხირდება:

— კაცი, არა ხარ, მიშველე, მიხა!

წამომაგდებენ ლოგინიდან. მამა ჯერაც ბანცალებს. გავივილით ჩაბნელებულ ქუჩას. ლამპის შუქზე აფთიაქში „A“ უჯრიდან ამოაცოცებს საჭირო მედიკამენტს. ტუხტის სურნელი მიღიტინებს ცხვირში. სინჯარებთან მისული მამა აბსოლუტურად გამოფხიზლებულია. თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია. კალიგრაფია ისეთი აქვს, აფხაზეთის სააფთიაქო სამმართველო მის ნაწერებს სანიმუშოდ დააფრიალებს. იშვიათად შეკრული ასოები გამოხყავს პლაკატებზე. აღწერის სიაც მისი ხელიდან გამოდის. კალიგრაფიით გამორჩეული კიდევ არის სოფელში რადიონ ცხონდია, დასტობით რომ გადაუწერია ჩემი დახასიათებანი, ერთმანეთში ჩაწნული ასოების დიდოსტატს. უნივერსიტეტში წაღმაუკუღმა ატრიალებენ ჩემს დავთრებს, მაგრამ მამის ასომთავრული განსაკუთრებულია. გულს ამოიღებს ადამიანისთვის, ქვრივ-ობოლს არასდროს გააცუდებს, ხურდის დატოვებას როგორ იკადრებს:

— მერე რა თვალით შევხედო საზოგადოებასო, — გვებაასება დედის წუწუნზე. რაც შეეხება მის გაკეთებულ წამალს — უკვდავებისაა. მრავალგზის იტყვის გაღიმილებით:

— ზოგიერთი ექიმის გამოწერილი რეცეპტით წამალი რომ გავუმზადო ავადმყოფს, ნახევარს სული არ შერჩებაო.

ბიძაშვილ ბართლომეს სცემს პატივს განსაკუთრებით, რადაგანც სულ წიგნებშია თავჩარგული ჩემი დაუსწრებელი ნათლია.

ჯერ კიდევ ფეხაუდგმელს წამიყვანენ ილორში. მღვდელს რიტუალის ჩამთავრებამდე წვერში ვებრდღვნები თურმე და ვერაფრით მომაშორებენ. კვლავ თავიდან დაიწყებს ანაფორიანი საზეო საქმეს, მაგრამ როგორც კი ხელს გავიწვდენ ბრჭყვიალა ჯვრისკენ, გულგადაქანებული გავარდება ტაძრიდან და მირონწაუსმელად შემატოვებს მშობლებს.

იცის ამის თაობაზე ზეციერმა და განსაკუთრებით ამიტომაც მომაპყრობს მზერას, მონათლული ხომ ისედაც მის მოსასხამქვეშ მოთვინიერებულა. აი, ძე ცთომილი კი ზენაარის ყოველდღიური ზრუნვის საგანია;

უეჭველად ესეც გახლავთ უმთავრესი მიზეზი, დღენიადაგ რომ გამომეცხადება ხოლმე მაცილის ჩამოსაშორებლად, ბელზებლის გზების შესაკრავად, ხან— ვის და ხანაც — რომლის სახით.

რაც შეეხება ძუძუმტეს, ისედაც მთელი ორი თვის აჩქარებით გამოსტყორცნის მზის ნათლად ჩემს გარშემო მოჯარული წკვარამების დასაწიოკებლად.

მიქრის უკუნეთში მატარებელი. თბილისის რკინიგზის სადგურში ზურაბ ხასაია მელოდება გასაღებების ასხმულას ჩხარუნით და ტკიცინა ოცდახუთმანეთიანით, მაგრამ უფრო შორეულ წრეებს, ძნელმოსახელთებელ რგოლებს რომ შევასწრებ მზერას, აქ არჩივი გაცხადებულია;

დიახ, ყველგან და ყოველთვის ჩემთანაა ადამიანების ხორცში გადაცმული უფალი, სხვადასხვა გამოხედვითა და კორპუსით, გამორჩეული აურათი დაჯილდოებული:

ქობულეთის აღმართი შემოცურდება. ძიძიგურების ბინა. ტანშხვართი გულქანი და გობეჯიშვილების სამრევლო, მურმან ლებანიძესთან მეგობრობით რომ ხარობენ. სულ მალე ზუგდიდელი ნოდარ ტიბუა შემოეხეტება იმ ჩიხში, იგივე ჭკოლა და დღეღამეში მუჭისსისხო ოთახში დავბინავდებით. მოგვიანებით გაირკვევა, რომ ჭკოლას მშობელი მამა გრიშა ტიბუა და ბიქტორევიჩი განუყრელი მეგობრები არიან: ეს კაფანდარა კაცი, მუმაშსქუათი რომ ესიტყვება ნაცნობ-უცნობს, ტყემზიდს დააგორებს ოდიშში, სვანეთსა და სამურზაყანოში, აფთიაქის სპირტის განუყრელი სტუმარია. ეკონომიკურს უმიზ-

ნებს ჩემი პირველი მეგობარი. არლენ ელიავას ლოგარითმული შტუდირების წყალობით მეგზურობას ვუწევ ჯერხანობით, მაგრამ მერე და მერე დაწინაურდება. რის ვაივაგლახით გავსტუდენტდებით.

ოჯახის უფროსს, კავშირგაბმულობის ძველ მუშაკს, სიმბოლურ ქირას ხშირად გამოვსთხოვთ უკან, მაგრამ არის შემთხვევა, როცა უკვე პერსონალური პენსიაც შემოშველიებულია და აქედან იწყება კუპრისფერი ,,ალჟირულის'' გამოწრუპული ბოთლების რაწკარუწკი. ესეც მალე განქარდება და ამიერიდან ჯერი როსტოკაკა წიგნებზე მიდგება ბუკინისტურ მაღაზიაში ოცდახუთი პროცენტის ფასდაკლებით. ცოტაც და საზამთროდ განწესებული დათვის თათები გამზადებულა პირში ჩასალაგებლად.

ქვაბში ცხრაპეშვი სიმინდის ფქვილი ფითქინებს. ჭკოლა დილის ცვლაა, მე — შუადღისა.

მჭადი გამოაცხვეო, დამეღრიჯება. ამასობაში ამანათის უწყებაც ამოფრინდება ლუდა ფოსტალიონის აბგიდან.

ყველაფერი გახაზირებულია, მაგრამ მეგობრის მოსვლამდე რანაირი სინდისით დააკარებ პირს მადიან ლუკმას?

იღება კუტიკარი, მობანდალებს შიმშილით მისავათებული ჭკოლა, გამოცდება აივანს და შორიდან მომაძახებს:

— წიე, დოჭვიო ჭკიდი?!*

გაფაციცებული ყნოსვა უცებ აღიქვამს სამზარეულოს სასწაულებს. ვილუკმებით და ცრემლი უციაგებს თვალებში, რადგანაც იცის, რომ მის მეგობარსაც არანაკლებ უმარხულია კუპატების გამაბრუებელ სურნელში.

მერე და მერე ჩვენს გარშემო შემომჭიდროვდებიან გივი, იგივე ბურდღუ — უნჩაშ-ფაშა თუ გენო ტიბუები.

ეს უკანასკნელი წიგნის ყუაში მალავს ბოლო თუმნიანს ბურდღუს გეშის სასარგებლოდ.

შემომჭიდროვდებიან კატალა, ,,პირველად მიმიშვი ქალთანო'' რომ ეხვეწება უნჩაშ-ფაშას, ,,შენს შემდეგ რა გემო ექნებაო''.

აქვე არიან იგორ მესხია, ,,ლოსიონით'' რომ იპოხავს ქოჩორს წარამარა, მაგრამ არაფერი შველის კატასტროფულ ფოთოლცვენას. მზევარ ადამიაც ჩვენს საძმოშია, ონანის პროფესიაზე მსჯელობისას გაბუნჩული პოზით მჯდომარე. ასახელებენ ციფრებს ასერგასიდან ათასერთ ღამემდე.

— შენ რა, ანგელოზი ხარ? — მიაჩერდებიან ბიჭები.

— მე ბუღალტერი არ მყოლია შტატში! — დაასკვნის.

ჩვენი დოსტია მოხო და თემურ თოდუები, გაჭირვების ტალკვესი ივანიჩი, სულზე რომ მოგისწრებს უბედურებაში გაკვეხებულს.

შემომჭიდროვებულან ამქარში ბორის ქარჩავა და გრიშა იზორიას შორეული ფესვი აბესალომი, ქლიბების დიდოსტატი ბურდღუსთან მიმართებაში; გურმანობს მოდათა კანონმდებელი ხელმარჯვე ოსტატი ჭამბოვ- სკი — ნუგზარ ტიბუა თეატრალი ასულების ამალით და ყიყი ჩვენი, ჯამბულ ნარსია. ვერეხი ძმები წოწონავებიც მხარს გვიმშვენებენ. არჩილ რაფავას ბიჭების ერთობაა, ბიძაჩემი პაატა ფეტელავას თანამეცხედრე რაისა გელენიძეს სანათესაო. თავზე დაგვსტრიალებენ განუმეორებელი გუჯო ხუფენია, ძუძუმტეს მოგვარე განმუხურიდან, აწ ზუგდიდის მკვიდრი და ქისაულევი აბელის პირმშო თუ ტუკა — არაბული ცხენის გულის პატრონი ირაკლი ჩიქავა. უანკარესი პოლიფონიური ხარმონიით შემოგვჯარვია, ყანყრატოიანი კოლკა მალაზონია; ძმები სორდიები — ბორის და იგორ; ფითულ ზარქუაც აქ ბრძანდება, ტანთხელი და ღიმილმოუშორებელი, ჩემი მოგვარე რძალი რომ უვის ოჯახში; განუყრელობაა ტუზა შეროზიისა და გივი ანჩაბაძესი, ყირმიზი ხალხის, არყისგან დაყენებული ხმებით; მოცქაფუნდება ჩაპო ჩემინავა, მირიანი და გოლიათი, რკინის მუშტებიანი გადი ლომაია მეზღვაურული ზმორებ-ზმორებით. მოგვიანებით ამ ამქარს შეავსებენ იური მაკალათია — ექვსიმიანი გიტარის ფაზისელი სანტანა; ნუგზარ ანთელავა— საფირმო სიმღერით: ,,ვაი საით გაფრენილა ჩემი ჟღალი მიმინო''.

ახლა ყველანი, აქ ჩამოთვლილნიცა და მეხსიერებიდან ამოსატივტივებელნიც ჯემალ პაჭკორიას ერთოთახიანი ბინისკენ დავიძრათ. ფეხის მოსაცვლელი ადგილი მოიძებნება კუთხე-კუნჭულში. სუფრა საზიაროა. ალფენიძეების ბიჭი ბუზღუნებს მხოლოდ ჩემი სოფლიდან:

— ხო, დალიე ზუგდიდი, ჭამე წალენჯიხა, ჩაცეცხლე სენაკი და ხრაკე და დაასხი გალი!

წელიწადნახევარს ვიცხოვრებ მერმე ამ ბინაში იატაკამდე ჩაზნექილ ,,ლეჟანკაზე'', სერაპიონოვიჩის პატიოსანი ასოთხმოცი მანეთით.

ძუძუმტე, თენგო ჯინჯოლავას — ჯინჯიბეის შეკედლებია ქეთინო — ,,აფონ-ბრატთან'' ერთად და

კაგებე ლინას ხშირსტუმრიანობის წყალობით ჩემი რეპუტაციის ნათესავისთვის იქ გამოჩენა რამდენადმე სახიფათოა.

არა, ღმერთის ხელი ურევია-მეთქი ჩემს გაუთავებელ ბორიალს ბორბლებიდან ბორბლებზე, სტეპიდან— სტეპ, ტრამალ და ტრამალ, ქარბუქ და ქარბუქ — სულის გასაწრთობად.

ჯემალ პაჭკორია მარქსის ,,კაპიტალს'' დამაჭიდებს იაკობსავით და დამიფასეთ გარჯა ორივე ფეხით რომ არ ვკოჭლობ ტრელი. აქ მისი შუათანა ძმა ჯუმბერიც მობუნჩულდება სივრცეში გაჭრილი თვალებით და როცა ადამიანის არსზე საუბარი ქარტეხილებს წამოჭრის, ნარდის ქვებსა და ფუთიან წიგნებს მეხამრიდივით იზიდავს ჟორა რურუსასგან მრავალნაცადი ჩემი კეფა თუ საფეთქლები.

მატარებელი კი მიქრის ნათურებით აქა-იქ გამოჭმულ ღამეში, თითქოს ბნელეთი ათაშანგის გავეშებული სხეულია და კუპეში არაკრაკებული არყისკენ არც მეხედება.

დღეს ფეხზე უნდა დავუდგე ხსომიერებაში ერთგული ჯარისკაცებივით გაჭიმულ დაუვიწყარ წუთებს.

მიხქრის მატარებელი მოწკავწკავე წკვარამეთში.

სადღაც მოლითთან, ნუნისის მთათა კომპლექსისგან რამდენიმე ათეული სტადიონის მოშორებით, მიაკივლებს სადგურს და ისევ უტევს გზას.

თავად დედამიწაც ხომ იგივე შემადგენლობაა ირმის ნახტომის წიაღ წამში ოცდაათიოდე კილომეტრით მსწრაფველი, ექვსამდე მილიარდი მგზავრით დატვირთული და იოტისოდენა სხვაობას ვერ ვპოულობ მოხასხასე პლანეტას, ხვლიკისფერ მატარებელსა თუ ულურჯესად გადახავერდებულ მეხსიერებას შორის. ისინი თავიანთი ბუნებით ერთი გლობალურის განსაკუთრებული გამოვლინებაა განზომილებებში — მიკროს, მეზოს და მაკროს ურღვევი სამერთიანობა.

მიჰქრის მატარებელი ბერთაკლდის აღმოსავლეთით და ყოველივე ,,მობილე ინ მობილედ'' წარმომესახება, მოძრავი — მოძრავში ან უფრო ხატოვნად: შეუთავსებელთა შეთავსებად. განსხვავება მხოლოდ მგზავრების დაჯგუფების პრინციპშია, როგორც დაბეჭდილი კარტი, მასტების მიხედვითაა დალაგებული, ასევე რეალური მატარებლის მგზავრთაგან განკერძოებით ჩემი ხსომიერების შემადგენლობაში, ადამიანებიც გარკვეული ნიშან-თვისებით განლაგებულან — მსგავსი მსგავსის მეზობლობაში.

აკი, გვაძა გეჯუას ვაჟებითურთ გამოჩენაზე, უფარდა სხარტულას მოშველიება ნოჩო თაკალანძეს:

კუშ სქუა კუ იტი, �ბა, მორო მუ იტი?!

კუს შვილი კუ იქნება, ababa, მეტი რა იქნება?!

— ჭინჭრისგან ჭინჭარი აღმოცენდებაო, — ამნაირადაც იგულთმისნებდა ის მენცარკოჩი, მაგრამ სიტყვა ,,აღმოცენდა'' ვერ გამოხატავს ნაკვეს'ში ჩაქსოვილ ნიუანსს, ვინაიდან დედანში მოშველიებულია ,,ელაფალუნს'', რაც უთარგმნელია ფაქტობრივად.

პერსონაჟები ხომ ლაგდებიან და ეწყობიან ტოლძალოვნების პრინციპით, როგორც დედამიწის ქერქში ქანები კუთრი წონის შესაბამისად — მჩატენი ზედაპირისკენ ქვაბში ჩაგდებული ფილტვის თვისებით, და მძიმენი — ცენტრისკენ, ფსკერისკენ მდინარეში მოსროლილი კენჭის მსგავსად. უმოყვრდებიან ჩემს მეხსიერება — მატარებელში: გვაძა გეჯუას — ტარას ბახტანძე, პირწავარდნილი ქოლერიკი ბონაპარტეს პროფილით; ვალოდია მესხია, ენასწრაფი ,,ტეტესგან'' გასროლილი ტყვიებივით; ვაჟიკო ბიბლაია, დღენიადაგ განუყრელი ფრაზით მოღიღინე :

გონწყმ ოსური კურთაშმ ზორტი, ქუმოძირი პირველმ სორტი.

გახსენ ქალო ნიფხვის ბალთა, დაშანახვე პირველ ხარისხისა.

თანამეინახობენ გვერდიგვერდ სახეფართო ერა სოსელია ნაჭკადუდან; ქიქი ქობალია ბორსუდან — ნაცარქექიას ალიკვალი ბაყბაყდევის მხარზე, როცა ურმის კოფოზე მოკალათდება და ოჩან ხარკამეჩებს სახრეს მისცხებს ზოლებით ასაჭრელებლად;

ძვები გიდელია ამ უკანასკნელის ძმადნაფიცია პროფესიის თვალსაზრისით, სამაგიეროდ მისი ქვედა ტუჩი ყველაზე პრეისტორიულ ქვევრს შეშურდება მესხეთიდან, გადმობარბაცებულს, გადმოლურჯებულს შავი ზღვის თვინიერი ზვირთივით.

ძვების ეპითეტით მიბედითებენ პირველი სიყვარულის ჟუჟუნა წვიმას და კიდევაც ამოუშანთავი ბელტებით მომსდევს ჩვენება ესე ამ ცხოვრების ნახევარგზაზე, დანტესებურად.

მიხელ ქარდაც ამ ქარავნისაა, ქარვის გაუხუნარი კრიალოსნით, შელოცვების მაესტრო, ბიცოლა-

ჩემი გოგუცას უმრწემესი ბაბუა, გახუნებული სვანური ქუდით, უკვდავების წამლებით რომ მოათვინიერებს თანასოფლელების ბნედიან სულებს:

—შუი, შუი, ფუი თაშ გაქარი!* — ჩიფჩიფებს უკბილებო ტუჩებით მიხელ ქარდა. შელოცვების დასტაქარია. შავტარიანი დანა და ნახშირი დახფვება ბრეზენტის ბოხჩით, საიდანაც პაციენტის ნაბოძებ წითელბიბილოიან მამლებს ამოუცქვიტინებიათ ყივილის სურვილდაკარგული თავები.

სულ მალე ჩაგრაგნილი ღობეებიდან ყიყლიყოს შემოძახება დავიწყების ნიავქარს მიეცამა. აფხიანებული მომცრო დანით დაუტრიალდება მათი სიფიცხის სათავე — მდოგვისხელა კაკლებს მიხელ ქარდა და შემდეგ კრუხების შესაშური მზრუნველობით დაუწყებენ მწყემსვას ღაბუა წიწილების სიანცეს.

— შუი, მამლის ხორცზე გემრიელი არაფერია, დაკვლის წინ არაყს თუ გადააყლუპებ, — იტყვის ყალიონის პლაკუნით ბაბუაჩემის კოლეგა. სხვა რა ჩარაა, უნდა ერწმუნო. ან კიდევ სადღაა ამდენი მამალი საექსპერიმენტოდ?! ან კიდევ მამაჩემის პატრონს არაყი ბოთლში გაუჩერდება?

ადგომილ დადგა,
დადგომილ დადგა,
მიწა დადგა, ცა დადგა,
ქარი დადგა, ზღვა დადგა,
შუშანიკას მუცელში
ნაყოფი ჩადგა.

მიხვდებოდით მიხელ ქარდას ლოცვის მიზანდასახულობას. ამგვარი ლექსემა ბერწთა გასანაყოფიერებლადაა განკუთვნილი. ვინ იცის, რამდენი ქარავანი გალარულა ბიცოლაჩემი გოგუცას ყურებთან ბაბუამისის შთაგონებული ფაციფუცით, მაგრამ მშობლიური ჩვილის ჭყლოპინს გელენავების ჭერი ვერაფრით ელირსება.

რაც შეეხება მომნუსხველ სტრიქონებში მოხსენიებულ შუშანიკას, ვარსქენ პიტიახშის თანამეცხედრე არ გეგონოთ, ისიც ქარდავაა, მხცოვანი აქიმის მოგვარე. კორპის, მაღალძირიანი ლაკის მოჭრაჭუნე ფეხსაცმელებით დაიარება. მიწა ტორტმანებს მის ჩავლისას და საშენგელიაოდან საავადმყოფომდე უფრო ამიტომაც დამსგავსებია პოლიგონს თემშარის მონაკვეთი. კბილის ექიმია შუშანიკა ქარდახე, სტომატოლოგი. ვინძლო ბედმა გაგიღიმა და ერთხელ მაინც მოგიწია მის ბზრიალა სავარძელში განცხრომამ, მერწმუნეთ, შენი ჭიანი კბილი ვერანაირად დაუსხლტება ნიკელნაპკურებ მარწუხს და იღბლიანად დაიგულვე თავი, საღიც თუ არ მიხყვა მტკივანის წკმუტუნს წრუწუნების დასაპურებლად.

ვიდრე უშვილობის საბაბით ქმარი გაეყრებოდეს, ტორტმანებს შუშანიკას ფეხქვეშ აღმოსავლეთ ოტობაია, ნოჩო თაკალანძეს საუფლო, მაგრამ განქორწინების შემდეგ, სემიპალატინსკისა და ნევადას ბიძგები ჩრდილოეთით გადმოინაცვლებს, ჩვენი სამოსახლოს ზურგს უკან და დილა-საღამო შტორმიან გემბანს ემსგავსებამთელი სამოხიო. გული კი ჩაწიკწიკებული კბილებივით ბაჯაღლო ოქროსი აქვს შუშანიკა ქარდახეს. ხშირად შევუვლი ღრძილების მკურნალობის საბაბით. სატრფოს ექსბიცოლაა და ჯერაც გარკვეული ზეგავლენებით სარგებლობს. რაც შეეხება თავად კბილებს, ალმასისას მომიბოძებს ზეციერი. იაშა ბიძიასი არ იყოს, ღმერთმა უწყის, რამდენი ფუჟერი და მგელაძის ჭიქა გადახფვება მის სიბასრეს.

ქესეტა სტუდენტები ხშირად ვსტუმრობთ გამყრელიძეებს. იქ აუღებელი სუფრებია ორშაბათიდან მოყოლებული შაბათ-კვირა.

— აამღერე ჩვენი ბროლიო, — იტყვის ოჯახის უფროსი, ბატონი ირაკლი.

თანაკურსელი მზია, სიმაღლის მიხედვით ჩამოარიგებს საგვარეულო ბროლეულს. ამ ხაეროვანი მწკრივის მეთაური საცურაოდ ეყოფა ქიქი ქობალიას, ხოლო დამამთავრებელი გადაყლაპვისას ყელშიც არ გაეჩხირება გადა მესხიას.

თითოეულში მეხუთედზე ჩაასხამს წყალს ხორბლისფერი დედოფალი. სველი სალოკი თითით წრეებს შემოავლებს სასმურთა ბაგეს აღირწკინებამდე და გასაოცარი ხანგებით აგუგუნდება ბროლის დივიზიონი.

პირველად ეგზოტიკაა, მეორედაც, მეათედაც, მაგრამ მეერგასედ მოსაწყენია და ათასმეერთედ— მოსაბეზრებელი. როცა გამყრელიძეები ტრადიციას არ მოიშლიან, შუალედურს დავწვდები, აი, ნოჩო თაკალანძეს ცხვირის პროპორციულს, კოჭამდე შევახრამუნებ თვალებგადმოცვენილ სახლეუ-

ლებში და სადესერტოდ ოქტავის ბოლო კლავიშითაც რომ ჩავიკოკლოწინებ ყელს, ბროლის მასკარადი სამისდღემშიოდ აღიკვეთება იმ მაგიდიდან, ცხადია, ჩემს ფეხთან ერთად.

ჭიქებისადმი გაფაქიზებული მიდრეკილება სავალალოდ იქედან დამებედება და ჩემს გამოჩენაზე თრთიან, ცახცახებენ ფუჟერები თუ ფიალები სიფრიფანა-მოუხეშავი სხეულებით.

მეგობრები წინასწარ მაფრთხილებენ ხოლმე: აქ ყველაფერი ბროლისაა და არ დაგვღუპოო.

ერთგან ბახუსის ეტლებით მიღმეთში გაქროლებულს დამავიწყდება ზღურბლთან დადებული პირობა და რაჟამს ჭურჭლის სრული აღნაგობა შაქარივითაა დაფქული დოლაბთა შესაშურად:

— დამღუპეო, — იკივლებს კვარაცხელიას ბიჭი, — ხომ იცოდი, ყველაფერი ნათხოვარი იყოო, — ცოფიანი ქოფაკივით დამადგება თავზე. მე კი ლმობიერი ღიმილით დავამშვიდებ:

— ნურაფერი გედარდება, ვალერი დავიდოვიჩ, მგელაძისაა, — დავაჩუმებ და დამამტკიცებელ საბუთად სანახევროდ მორჩენილ ჭიქას ვუწვდი დიდის ამბით.

ჩემი თანაჯგუფელიც არ იბნევა, მომიბრუნებს ჭიქის ნამუსრევს:

— მაშინ, გააგრძელო!

ჭიქებთან მიმართებაში მეგობარი მწერალი ზაურ კალანდიაც კინაღამ მიმისავათდება. ერთადერთ ჭურჭელს რომ ვებრდღვნები და მის მკვიდრად აშენებულ კედლებს წამში ცოკოლამდე დავიყვან, თანაც გემოს ჩასატანებლად რიხიანად მივუბრუნებ პატრონსვე, ვალოდიას ძეც წყლით მოსაბრუნებელი გაუხდება შუკო ჯიქიას.

მიხქრის ადა უზუ — დედამიწის მატარებელი მელიავასებურად, კოსმოსში.

ჩვენი შემადგენლობა კი პლანეტის 43-42 კვადრატს მიაპობს თავგამოდებით და უჩინარი ბორბლებით მოსრიალებს ჩემში მეხსიერების მახინა — წარსული, გარდახდილი, ნამყო.

ვისგანაა ნაბოძები ასეთი ფოტოგრაფიული სიზუსტე, ვის გამოუწევია ყელი თითებით, არიქა, გინდა თუ არა დატოვე ჩემში თავის სამტვრევადო?!

ახლა უფრო ვგრძნობ ბესიკ მესხიას სიტყვების ძალას, რომ ამაოა ყოველი მეცადინეობა: გარდასულის დავიწყება იოტისოდენადაც არ ხელგეწიფების. ხმ, იოტისოდენა! ატომის მემილიარდედით ხერხდება ვითომ წარსულის თავიდან მოშორება?! ან როგორი ტყვე ხარ სრულიად უმაქნისი წვრილმანებისა?!

რა ჩემი გონების საქმეა მიშა ძაძუას ლანჩამდე რომ ეცვითება ორივე ქუსლი ჩონჩორ ჯოჯუას ჩაქუჩების საზეიმოდ?

ვინ მაძალებს გონების პირღია სარკოფაგში მოვლენების და საგნების ზედახორა გორგალივით ტრიალებდეს განუწყვეტლივ?!

ან რომელი შემნახავი საკნის მესვეური მნახეს ამდენი რეკვიზიტი მუქთად, უგასამრჯელოდ რომ მომიბარებია?!

მამია რატიას მოფამფალებულ გადმოფერდილ ღობეს შემოდგომის წვიმებით გაზიზინებული ღელე მუხლებამდე შესდგომია;

აივანზე ფართხუნა ტრუსებით გადმომდგარი არჩიკო შამუგია, იგინება მანხეტემის სართულებით და სამშობიარო ჭინთვებით გაწამებული გული სალაყაიხე, მოსულსწრაფობს ჩვენი ტრიფოლიატას ღობისკენ გამოროდებული სიმინდის ყანით:

— ვო, გულადი! ვო, გულადი! — პოპოს გაჩენის წკიპზე მისული ქალი მშველელად მიხმობს მეანი მარო ბულისკერხეს დანათლული სახელით. ამ დროს იქვე, მეწლე მსხლის ძირას მოპუტუნე ,,ტიტოვი'', ჩემი შუათანა ძმა, თენგო, არხეინად ეპასუხება:

— მა გულადი ვაბრექ!* — თითიქოს მოლოგინე დედაკაცს სანოტარო ბეჭდებით სწადდეს ჩვენს შორის განსხვავების დადგენა. რაც შეეხება ,,ტიტოვის'' სახელდებას, ამგვარად იმიტომ შერქმევია თენგოს, მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოფრენილა გაფოშფოშებული პალტო — პარაშუტით კოსმონავტის აღკაზმულობის მაგივრად და იშვიათი ყისმათიანობით ჩაშვებულა დასაპობი მორების ღარტაფებში.

ენამოჩლექილი საუბრის განსახიერებაა ,,თენგულია დო ბოშეფი''*, გელენახეს სამუსიკო რეპერტუარით. ამასწინებზე ღელედან ამოათრევენ კატის კნუტივით გაზუნზლულს. ბონდის ხიდით ბექობისკენ წაბობღებულს ხკითხავენ სახიფათო მოგზაურობის მიზეზს და ეს უკანასკნელიც თავს ამნაირად იმართლებს:

— იდი სუდასთვის თხილის მოკრეფვა მინდოდაო. — ,,იდი სუდა'' კი გეგუმანებათ, ალბათ, ჩვენი კარ-ფანჯრების სულისჩამდგმელი, სალოკთითმოღუნული ხურო, პროკოფი პაკატილოვია.

აგერ, ქანქანესა, იაშა აშორტია, მუშმალის ძირას. ჯიბეში ჩატენილი მარცხენათი დაუსრულებლად არაკუნებს უჩინარი კრიალოსნის წყილ- ეულს და აქვე, ნარდში გაწაფული მარჯვენათი ყვითელი

ნაყოფით დაგვერგვილი ტოტი მოუახლოვებულია ტარსრიალა კავით. კაღუიას* აღნაგობით ბევრი ვიწონებთ თავს, განსაკუთრებული — მოტოციკლიანი ჯანიკო და კიდევ — ორი რეზო, ბაგათელია და ოყუჯავა.

ძარღვების ამშლელია პირდაპირ! რომელი ჭკუათმყოფელი ინებებდა ამისთანა ჩალის საფასური ნამცეცების გენერლობას?! ბალზაკის ანტიკვარი ახლოსაც ვერ მოვა ჩემი მეხსიერების საცავებთან და — ვერც ლუვრის თუ ერმიტაჟის გალერეანი დრეზდენის მიმატებით.

ეს-ეს არის მორჩნენ ჭიჭა ხარჩილავას თანამეცხედრის ოპერაციას ვალერი ჯოჯუა, ცხვირპაჭუა ანია ექთანის მემკვიდრე და ვახტანგ რურუა, ჩემი სატყარო-საქილვაშეების უბადლო მომთვინიერებლის ალი-კვალი ვაჟიშვილი. მკვდრების გამპატისონებელი ჭიჭა, ვინაც არშინიანი ნემსით დალაყუნობს ჭირისუფლებში მიცვალებულთა დასაბალზამებლად და რომლის მისამართით შეშფოთბულად იტყვის მოგვიანებით ბახვა ელიავა:

— არა, გენამცვალე, დედაჩემისთვის მუცლიდან არავის დავარჭიპვინებ, — ეს მერე, რაჟამს ერთგულებით ნამუსშენახული ნარმანხე თამამად წააბიჯებს მეუღლე სევერიანისაკენ, მაგრამ ახლა, ჭიჭა ხარჩილავა ჯანიკოს კიდურების შეჭირვებულობით ატუზულა საოპერაციოს პირველი სართულის ფანჯარასთან და მოადგება თუ არა სარკმელს განგებ სახემოღრუბლული ახმახი შალიკოს შთამომავალი დასისხლულრეზინიანი ხელის გამალებული ქნევით:

— რა იყო, დავიღუპეთ? — მოთავებულია ცხედრების ჯადოქარი.

— შეხედე ამას, — ამოკვეთილ სიმსივნეს ანახვებს დასტაქარი ჯოჯუა.

— თქვი, რა ჯანდაბაა! — სულსწრაფობს ჭიჭა ხარჩილავა.

— აი, რამხელა კაკალი ამოვაცალეთ საშვილისნოდან. შენია?

ჭიჭა ხვანჯარს ებრდღვნება.

— სამი მქონია?! — დაიღრიჯება და წყავნაჭამისმაგვარ კბილებს გადმოყრის ცოლის სიწმინდის შესანახად.

ვინ მაიძულებს ხსოვნის ცეცხლგამძლე სეიფში ვამყუდროვო ათასი არაფრისთქმელი უღიმღამობა?! რატიებთან ასფალტი ამოღრანტულა და მაბზანკუნა ბუბცას ეზოს ნაგვით ამოუვსია დილიდანვე, აივანზე გადმოფენილ ლეიბებს კი ზორბა წრეები ატვიფრია — მამიას წუხანდელი წვიმების კვალი;

ბოჯო იზორხეს ჩხაზე გაქათქათებული ლუფები წამოუცვამს და საზიარო ღელედან ისმის ხელჯოხის ბათქაბუთქი მურმანის მყივანა ხმაზე: ფეხბურთზე არ უშვებენ, ხოლო კიკინებიანი, კაფანდარა ციალა ურიკელათი ეზიდება დედისკენ მწყაზარი თუთურიას გარეცხილს; სანამყენე დანით ხეჭეჭურის ხორკლიან მსხალს თლის კირილე, თანაც ცოლის თხოვაზე რაღაც მსუნაგურს ებაასება სახელოაკარწახებულ მარო ღურწკაიხეს. ამასობაში ლია კემულარიას კისკისს ლურჯად შეღებილ ხის ჭიშკართან შეუყოვნდება თანკალასელი ბიჭების ამალა გიგლა ზანთარაიას გასაგნებული იერით; ლიზიკოს საკერავი მანქანის გუგუნზე ლოპლოპებენ მამალი ინდაურები, ნათელას დღეობასთან დაკავშირებით მალე ქვაბში რომ ელით თუხთუხი მარო ღურწკაიხეს სუნელების ამბროზიაში გახვეულთ; წალდი გამიცურდება ხელიდან ტუტუ ბჟინავასთან შელაპარაკებულს და ყანყრატოზე ეძგერება ყუათი; სამთვლიანი საპირფარეშოდან ტუსტუსით გამორბიან მასწავლებლები წიწაკაწასმული ქაღალდების წყალობით, მაგრამ არავინ ამჟღავნებს გარდახდილ სიმწარეს სხვათა გასაბედნიერებად;

მთელი სამედიცინო პერსონალი უტრიალებს ბათიას — ბართლომე ფეტელავას დაფნარს: ვალოდია ფაცურია, კლიმენტო ფეტელავა, ანზორ ჩიტაია, სხვანი. სამზადისკენ მიაქროლებენ შეკონილ ნედლ შიმალებს, ხოლო ამბულატორიაში გაფითრებული ქალების რიგია კვარტალში სამჯერ მთავარი ექიმის საამებლად—რაიონში პირველობას არავის უთმობენ ოტობაიელი დონორები; დედის ამნახატია კინტიკო ფიფიას უმცროსი ასული ანა; კიკული ქირთბაიას ხშირად მიაქვს საფეთქელთან მაჯასთან მოწყვეტილი მარჯვენა.

— ბაბა, ჭაკ ტორს ინჭანს, — მამი, ჭაკი ტლინკებს ყრისო, ბღავის კოტე ქირთბაია და ვერაფრით აოკებს საზიდარს შებმულ ოჩანს.

კოტე ქირთბაიას მოგვიანებით კრივში გავეჯიბრები. სკოლის ეზოში გვარიანად შემომელილავება რინგის წესების კვალობაზე, მაგრამ ჩქარა სიფიცხე წამოუვლის და გულის მოსაფხანად მოყურადეთა წრეში დამედევნება შიშველი, ტყიასავით მუშტებით. სისხლის გამოშვება ამათი ხელობაა, განსაკუთრებით ნუგზარ ბოხუასთან ფაცურიების ქალი გამო.

კრივის ხელთათმანებით კოკი ოყუჯავასაც შევეტოქები საკლასო ოთახში აჩქარა მასწავლებლის თანდასწრებით. დარტყმა მოუზომავი გამომივა ნებაზე მოშვებულს, მერხებზე გადავარდება ჯიქად წოდებული ჩხუბისთავი, ყბას ათამაშებს ტაკატუკით, მერმე ღიმილით მაკოცებს შუბლზე.

რა მრჯის ამეების დახსომებას? ვერ გამიგია ჩემი ტყვეა ეს ყოველი თუ პირიქით, მე ვარ მათი

მარადიული ტუსაღი? ხმ, მარადიული! განა შეიძლება ამ სიტყვის მატერიალურ განზომილებებთან წარამარა მისადაგება?! უბადრუკ ყოველდღიურობას მოვეშვათ, თავად ციური სხეულებიც ხომ ვერ თავსდებიან მარადიულობის საზღვრებში? სამყაროს კანონები რუდუნებით ნათალ ლოდებს, ერთმანეთზე მიჯრით დაწყობილებს, მომუჭავენ როსმე და დავიწყებისას უამურ წვენს გაადენენ.

მაშ, რომელია ნაღდი, აქამდე არსებული და მდინარესავით ჩავლილი, ხაერს რომ შეუნახია ვაჟაესებრ, თუ ჩემი სიტყვებით დარახტული და ამოშუქებული მზესაბრძანისში, მასაც რომ დაჭმუჭნის ოდესმე ცეცხლიანი გრიგალების მოძალება?!

რომელ სიდიდეშია საგანთა თავისუფლება ფორმის და შინაარსის თვალსაზრისით?

ვინ მიპასუხებს ამ კითხვაზე უფლის გარდა, ჯერხანობით ადამიანების აღნაგობით რომ გამომეცხადება ხოლმე და მათგან მომაწვდის სულისთვის საჭირო არსობის პურს, მაგრამ მიხდება ხანი და მედიუმი ძე ხორციელი ამოვარდება საკრალური ურთიერთობიდან, თავად ინებებს მობრძანებას, შემცირდება მანძილი ჩემსა და ცაბაოთს შორის.

ექვსჯერ მომევლინება იგი ამ ცხოვრების ნახევარგზაზე და ხელისგულზე გადმომეშლება სამყაროს აგებულება აქამდე უჩინარი კონტურებით.

ლიანა შამუგხეს ფოსო უჩნდება ლოყაზე გაღიმებისას.

მირიანე შონიას ჯიბეში მოუყუჩებია ხელი ნაკლული ფეხის მხარეს და დაჟინებით გვეჩიჩინება გეოგრაფიულ გრძედებსა და განედებში ხელმოცარულთ:

— თქვენთვის მინდა, თორემ მე რა?!

ტოტოშა მესხია ცალი ხელით ბღუჯავს ბურთს და ცენტრიდან ათავსებს დაბოწოწებულ ბადეში.

რევკა ქირთბაია პეტროსიანთან და ტალთან პაექრობაზე ოცნებობს, არადა, პირწავარდნილი სტეინეცია.

ზაურ ელიავა ლია კემულარიას კაბით იმოსება თანატოლებთან საანგლოდ და ბიძია კირილეს ხელკავით დააპროწიალებს მოლით გადახასხასებულ ეზოში;

უკვე „ტუდორაში“ იზოლდასკენ თვალს გამოაპარებენ ასაკოვანი ტრისტანები და ჩემი უღლისგამწევი „კავეენში“, ფერ-უმარილს წაეტანება ვალიკო ზანთარაიას ვალერის ოფოფების მოსამრავლებლად.

სამენოვან ფირნიშებს ჩამოკიდებენ ყველგან. თავში „ამაგაზინაა“ აფხაზურად, შუაში — „მაგაზინ“ რუსულად და ბოლოს ქართული — „მაღაზია“. ჯერჯერობით ჩემში აფხაზი შაკუ ქირთბაიას მეუღლე ნელი ახუბათი შემოდის, მუდამ ალერსიანი, თხელი და შავთვალწარბა ქალბატონით.

ჟორჟ რატია ცინცხალ „გაზ-24“ ჩამოიყვანს რუსეთიდან, ნიკელის კალბაკებიანს და ერთბაშად გადაუჯოკრავს ჟონგლერ ჩიკვატიას თუ ვალშა ტუფურიას.

შუშანიკა არ მოეშვება ბითქუბათქუს და შენგელიებს კოვზსაც არ დაუტოვებს ჩაის სახვრეპად, ისე წამოხვეტავს ყველაფერს საქარდაოსკენ;

ზარენი ფეხით იჭერს ყანაში შესულ ღორებს და კეფასთან მისხეპილი ყურებით ისტუმრებს უკან;

ხელით სარაკუნებელ სკოლის ზარს, ენაზე ზონარგამობმულს, ელექტროზარით შეცვლიან, მაგრამ დრო-ჟამის ყურებს მაინც არაფერი ესმის, მიშლიგინებს თავის ნებაზე ბერთაკლდეს აღმოსავლეთით მოჩაჭჩაქე შემადგენლობასავით და სულაც არ ედარდება როგორ გამიმართავენ ხელს უფლისგან თბილისის რკინიგზის სადგურში საგანგებოდ დაყოვნებული ზურაბ ხასაია თუ ორი თვით დედის წიაღიდან წამოსულსწრაფებული ძუძუმტე ბრიკეტა, ჩემი ოთარ ხუფენია. მაცხოვრის ხელი მაფარია-მეთქი, ჯერაც წარმავალ ჭურჭელში რომ კიანთებს — ადამიანში პროზაულად, მაგრამ მალე ექვსგზის გამომეცხადება მეუფე იგი და კურაშაიტების ნაშიერივით საკუთარ გოდოლში მოვიზღუდები.

„რა მექნას“ ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოიდნენ
იმ ციხის სანახავადა,
ბევრი უარეს გარშემო,
კარ ვერ ვატეხეს ძალადა,
ბოლოს თქვეს: დრო რომ გავალის,
კარ გაიღება თავადა.

ეს გულისშემძვრელი სიმღერა ახლაც მიგუგუნებს ყურთასმენაში.

ჩემი ,,ტორტილა ფლეტიდან'' ხმიანებს იგი, მარინა მაჭავარიანის აყაროსხელა ბინიდან. აქ ყავისფერ დისკო-ტაბლას პირისკანი ძვრება ბანქოს ტკლაცუნით.

გულფიცხელია ბეწვიანი ვალერი ვაშაკიძე, ,,ვაჟაევიჩი'', ტყუპი ბოკვერის მამფალი, კოლხეთის ოქრონაპკურები მითების მჩხრეკელი დღემოსწრება; და თავად ამირანის შუალა ძმა ბადრივით სანდომიანი გურამ აღნიაშვილი, ოქროს ნამცეცების შემკონავია პროფესიით, ქიმიკოსი, მაგრამ რაჟამს ,,კახურის'' ალმური ძვალ-რბილში დაურბენს, თავად ბუღა კამეჩის სადილად არმკმარებელი გმირთაგმირიც უკუდგება მისი სითარანის წინაშე;

და კიდევ პირწავარდნილი ,,პოდპოიასნის'' მემკვიდრე, ნაძალადეველეობით თავმომწონე ნუკრი ცისკაძე, დინჯად მოსაუბრე თითქოს დამაჯერებლობის დასტურ-ლამალით, სანამ პარტნიორს ,,ჯოკერი'' უხეიროდ გაუხარჯავს.

და კიდევ დათო სართანია, ციხე-ქალაქი გოჯიდან, ცხვირსახოცივით რომ გიფრიალებს ხელისგულებს თვალწინ ,,აკადემიური'' ტონით კამათისას.

ერთმანეთს რომ გადააკონო ,,ფლეტელთა'' ფარღალალა ჯიბეები, ჯელალ ედ დინს ეყოფა კარვად და სიუს თუ კამანჩის ტომს — ვიგვამად, მაგრამ მაინც გამოიქექება საიდანმე დასანაყრებლად საკმარი.

ღამღამობით კი ზაურკალანდიას, მაჭავარიანებისაზე არანაკლებ მოციცქნულ ბინაში, პერსეფონეს ხელებს მივენდობი ,,ლეჟანკას'' ჟანგიანი ძვლების ხრჭიალში, ოდეს მიკროსკოპული ხელნაწერი თაბახზე გადააქვს საბეჭდი მანქანით მასპინძელს და კარისმეზობელი ანიკო ვეება ჩაიდანს დაფრატუნებს კოლეგა ძმაკაცის უდაბნოეთის თაკარა სულის დასამწყურვალებლად.

კუს ტბის სიახლოვეს, დუმბაძეების საცხოვრისის არილში დანთებული კოცონი კი ისევ გიზგიზებს. ნესტიანია საღამო. შალმოხურულ მარინა მაჭავარიანს ლოყა ხელისგულზე დაუყრდნია, როგორც ეს გახმაურებულ ფერწერულ ტილოზეა, ჯაგარა ,,ჩუნჩო ბარაბანჩიკი'' — ნუგო ანთელა ქადაგად დამდგარა და დაუდგრომელ ჩემს სულსაც წვრილ-წვრილი ვარსკვლავების ბაწრეულით მიეზიდება ნაზარეთიდან აღმომსკდარი კაცობრიული წყარო.

ვინ დამაწყვლა თითქოსდა ყოფითი ნამცეცების მექარავნეობა, გამახარიების კერიასავით მიდაისებული მათი დაუსრულებელი ჩქამი და მდუმარება?! როინ პაპავაც აქ გახლავთ, რომაელის ელფერით, კირცხელი ეროდიონის მემკვიდრე: ბიძამისი საშა სრული ხუთი წელიწადი მამაჩემთან მეინახეობდა თურმე. მუჭისხელა პური ვერ გაუყვია სამეულს. შოთა შამათავა ესტუმრებათ სასტომაქოს დანაწევრებაში მოყოყმანეთ. პრობლემას უცებ გადაჭრის ოდიშელი მონ რასტინიაკი, ოთხად გაამტვრევს, სიმბოლურ ჯვარს გამოსახავს ჩვენი არსობის საგანზე და ჩვეული მოხერხებულობით გააზავებს უმცროსკურსელებს.

რაც შეეხება ზაზა ფეტელავას ახლაც მებღაუჭება ორბორტიანი, პიჯაკის კიდეზე პაწუა თითებით. ეგზიუპერის უფლისწულის ტყუპისცალია. ბიძებთან ვეღარ გავჩერებულვარ, მამიდაშვილებთან გადაღამებაზე ხომ ფიქრიც ზედმეტია. იდაყდაყრდნობილი ლურსმნის მაგვარი თვალებით უცდის ჩემი ორგიების დასრულებას ტყემლის არაყთან. გნებავს გონება დაგბინდვია, გნებავს მუხლი დაგმძიმებია დიონისეს ბალზამებით, არაფრით ეთმობი სხვისი საბან-ლეიბისთვის.

—ჯინჯ ცუდეს ოკო გისერუე, — ძირეულ სახლში უნდა გადაიღამო,ო, მეტიტინება ნიადაგ. ჭადრაკის დალაქავებულ არენათი მეპაექრება. ღრანჭი მოქცევია ,,ცხენს''; მეფეს და დედოფალს გვირგვინები წაგვრია, მაგრამ შეუპოვარია ზაზას ჟინ-წადილი. დაუთმობ? მიხვდება და ატირდება. მოუგებ? უფრორე ამოესკვნება გული. დილით მაგიდის ჩოგბურთით შეეცდება შელახული ღირსების აღდგენას. დაჭიმული ბადიდან ხოტორა თავიღა მოუჩანს, ბიქტორ ფეტელას კინკრიხო, როცა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში მნათე ვერცხლის წვრილი ფულით გამოცდის მის სათნოიანობას.

წამოფრენილ პლასტმასტის ბურთს ჩოგანს უმიზნებს, მაგრამ ეშმაკურად მოჭრილი დაბზრიალდება და როცა ორიენტაციას შეიცვლის ათწლეულობით გაწაფულობის კვალობაზე, მიწაზე დავარდნილი ცრემლებს გადმოყრის კვლავაც. არა, დათმობით ვერ აფხიანდება ჩემი ჯილაგის სული. რაც მეტი იქნება მომთხოვნელობა, მით უფრო გაიზრდება მონდომებაც. უპირატესობას როდი ვუმტკიცებ ცეროდენას, მისთვის უკეთესია ეტალონში არ შეეჭვდეს, მისაბაძი არ გაუბედითდეს, იდეალი არ გაუცამტვერდეს ჩემი სახით. მოვაბოტებთ შუალამე მეფორიებისგან, ჯაბუებისგან, შამათავებისგან თუ გელენავებისგან. ჯვარს დაასვამენ ნახშირით ბიქტორის ალი-კვალ შუბლზე, ავსულებმა რომ არ გათვალონ, მაგრამ თხისჩლიქება რას დაგვაკლებს ზენაარის აურათი გარემოსილებს?!

ანგლობის იშტაზე მოვსულვარ:

სი ყოყოლი ჩქიმი ზაზა,
ბატიცალო გილაკვაზა,
მუსხი ოცოთი ამჭუანი,
ღუმანერი გინაკასა?!

შე ღლაპუნა ჩემო ზაზა,
ზაქივით რომ დაკუნტრუშობ,
თქვი, რამდენი გაისროლე
წუხანდელი დატენილი?!

— სხვანაირად თქვი, სხვანაირად თქვი! — გამომიწევს ყელს ბაკულია თითებით.
— კეთილი, — დავიბოხებ ხმას:

სი ყოყორო წიე, ზაზა,
ჭოლით რექო გინათხვასა
მინ მარგალ ძლაბ დოიცაღურუ,
მინ — რუსი დო მინ — აფხაზა.

შე ღლაპუნა, ბიჭო, ზაზა,
ჭორფლით რომ ხარ დაპენტილი,
ზოგჯერ მეგრელს უქაქუნებ,
ხან — რუსსა და ხანაც — აფხაზს.

დავასრულებ კაფიას და მყისვე დამაცხრება.
— ხო,. მართლა, — მეტყვის ფეხის შენელებით, — ცოლს რომ მოიყვან, ჩვენთან დასვი!
— მერე სად გაქვს შენ უჭრაჭუნო საწოლი?
— როგორ არა, შარშანწინ არ გამზითვეს დედა?!
— მაშინ ხვალვე მომიგვრია პატარძალი და ეგ არის.
— ასე ჩქარა საიდან? — ამომხედავს მთვარიანში.
— აი, თუნდაც ფოფო.
— ფუფ, ფოფო კიბირ რისალიო?*
— ცალიჩახე რომ იყოს?
— მაგას არა უშავს რა, მაგრამ მაინც ვარდიშას შვილიშვილია. შენ მზეთუნახავი უნდა ჩამოიყ-ვანო, აი, იქიდან, იქიდან, ხელმწიფეს ქალიშვილი. სხვაზე თქვი რა, ლექსი...
— მაინც რომელზე?
— ვთქვათ და მიხოზე.

მიხო რექო ჯაბუა,
ჩუანს გიგორჩხაფუა,
ნაჭკადუშა მიდაიტუნა,
ჭაკის დიგონჭყაფუა.

მიხოი ხარ ჯაბუა,
ქვაბებს გაგარეცხვინებ,
ნაჭკადუში წაგიყვან,
ჭაკ ცხენს გაგახედნინებ.

— ხა-ხა-ხა-ხა, — ტყვარცალებს ზაზა, — კიდევ, კიდევ მითხარი, ბოჩიაზე.

ბოჩო რექო მეფორია,
წიე, მუჭო გებორია,
ქვარა ეთეშ გიბიზანსუ,
ვითომც რყინტკო ჩხე ბორია.

ბოჩია ხარ მეფორია,
ბიჭო როგორ გასულელდი,
იმოდენა მუცელი გაქვს,
თითქოს ყლაპე ცხელი ქარი.

— ხა-ხა-ხა-ხა, — ზეიმობს ნაბოლარა ფეტელავას სული, — კიდევ თქვი, ტუკულიზე.
— ტუკული სათამაშო სახელია, მურთაზზე არ ჯობია?
— იყოს მურთაზზე, — მყაბულდება ხელად.

თე შამათა მურთაზგ,
განთხის ეთეშ ურთანს,
მემიჩქ მალას ეიოფშანს
ბაბმუშიშო კურთას.

ეს შამათავა მურთაზი,
ბარძაყს ისე ატრიალებს,
მგონი მალე აავსებს
ბაბუამისისთვის ნიფხავს.

— ხი-ხი-ხი-ხი, — მდუღარებს ზაზა ფეტელა. ხვალ უკვე მთელს სოფელს მოსდებს მამიდაშვილებზე გამოთქმულ კაფიებს.ფეხაწყობით მოვიარებით.
— ვისი დორინი გირჩევნია, ბიქტორ ბაბუისა თუ ღადასი? — ვეღადავები გზადაგზა წითური მამის ოდინდელი იერნაცვალი სიტყვებით.

— ბიქტორის, — მიპასუხებს პიჯაკის კიდეს ჩაბღაუჭებული.
— ბიქტორი რომ ბუღინაა? — დავუდინჯდები მე.
— მაშინ ღადასი, — მეტიტინება ვერცხლისწყალი ფესვი.
— ღადა რომ ჩუღინაა?! — ვეპირქუშები განუყრელ თანამგზავრს.
— აბა, ვისი? — უსაგნოა ცნობისწადილი.
— დორინი არც მამაშენისაა ვინმეზე ნაკლები, — მივახვედრებ ქარაგმას.
ისევ მეჯგვლიმება ჭაჭა.
— ეგენი იქით იყოს. შევრიგდეთ, — ცაცს ჩამოვართმევთ ერთმანეთს, — აბა, მაგარზე მაგარი იქნები, თუკი მიხვდები რომელი სჯობია, ხრუშოვი თუ ბრეჟნევი?
— ხრუშოვი! — მომიგებს მკვირცხლად.
— ხრუშოვი, რომ ქონიანი ღორია? — ვეკამათები ყასიდად.
— მაშინ, ბრეჟნევი! — მომახლის სხარტად.
— ბრეჟნევი რომ ბალნიანი გორილაა?! — დავასკვნი და უწყინარ მუშტს კვლავაც მომიბაგუნებს ქამარს ზემოთ, თირკმელთან.
ხელში ავიტაცებ. მხარზე დამაყრდნობს თავს. მივირწევით უხმოდ და ვიდრე პაპისეულ ძველისძველ ჭიშკარს გადავცდებოდეთ, ძილისგან ამჩატდება მოხელთებული ჯიშ-ჯილაგის სიახლოვით უსაზღვროდ ბედნიერი.

ბორჯი მეექვსე

სამშობლო რამდენადაც გიყვარს, იანვარში გამოიცდება მთელი სიღრმე-სიმაღლით, რაჟამს ღელეში წყალი გაბროლებულა, მამალს დაყივლების ეშინია: არიქა, ნისკარტზე არ შემახმეს სანაქებო ყიყლიყოო; როცა მიცვალებულთა მზე ბუზანკალივით იკბინება, ღამე არშინებით ხვართქალებს და ქიქი ქობალიას ციდისხელაა მობუზული დღე;
შეჭირხლული მიწა ჩონჩორ ჯოჯუას ახალნაკერი აზიურებივით ჭრაჭუნებს ფეხქვეშ.
გადასარკული გუბეები გაუპატიოსნებელი ცხედრის თვალებით მოგაშტერდება.
ქარს ვეღარ მოუსწრია თხმელის დაგვარჯღნილი ტოტებიდან ეული ფოთლის მოტაცება, მიკემსვია შტოებს ყინვის უბასრესი სამსჭვალებით.
ბუხრების კვამლი კი მიბურღავს და მიბურღავს კუნწუხოებამდე ჩამოდაბლებულ ცარგვალს.
სამშობლო რამდენადაც გისენავს გულს, იანვარში, იანვარში მოიძიე, ყიამეთში მიაკითხე მის შეთრთვილულ ჭალაკებს და ნაყანარებს, წამახვილებულ ბოლოიან სიმინდის ღეროებს, ადრე გაზაფხულზე რომ დაუწყებენ ღვინკუას; ალაგ-ალაგ შექუჩებულს ცეცხლს წაუკიდებენ და ფუმფულა ბოლი შეგინგლულ ველობს გაეკვრება ნახტომისთვის გამზადებულ მწევარივით, თანაც თვალთა გუგასაც ამოგიშანთავს ზომიერად უტყუარი ცრემლის მოსაგვრელად.
აი, იმის წინამორბედ იანვარში მოისაკლისე დედულეთის ანიაგანი და იოტისოდენა თანაგრძნობა თუ გიკამკამებს ძვალ-რბილში, ერთიანად ამოხორცმეტდება სულის ორწოხებიდან სამამულო შემართება შენი.
სამშობლოს სინონიმი ჩემი ენასაწიერის ლამის ათეროვნებას ნაკლებად ეძებნება, ან თუ გააჩნია — თითო-ოროლა და ისიც — უიშვიათესად:
გერმანელები— „ჰაიმატს“ ეძახიან ჩვენი მსჯელობის საგანს, ინგლისელები — „მადერლანდს“ , ლათინები — „ფრატრიას“, რუსები — „როდინას“, სომხები „ჰაირენიკს“ და ვინ მოსთვლის, მაგრამ შეხედეთ ქართულს: „სამშობლოს“ ცნებას ოდითგანვე „მამული“ დაწყვილებია უღლისგამწევ სინონიმად. აჭარაში ამ სიდიდეს „მემლექეთ“-ს უხმობენ, და ოდნავ მოშორებით, წაგვრილ ლაზისტანში, „დობადონად“ ელვარებს მისი აღნაგი, თუმცა ოდეს ჩვენებური ფილოსოფიურ მწვერვალთა დალაშქვას მოეგუნებებს, ყოვლისმომცველელ „ოდაბადეს“ ამოაწიაღებს სიტყვათსაცავიდან ჯოჯოხეთი იგი, რომელსაც საფეხურით ქვემდგომი „ობადიშიც“ ჩაენაცვლება აქა-იქ, საბადისის ქვეტექსტ-ნიუანსით; მუშვანისთვის სამშობლოს კრებითობა ფონემა „ლარდა“-ში ჩამოინაკვთება თეთნულდის სპეტაკი მკერდივით და როსმე აზრის გაბუნდოვანება დაგჭირდეს დრაკონული ეპოქების კვალობაზე, „ციბედულს“ დაიკვნესებ შალვა დადიანისებურად — დაქვრივებული დედულეთის სიმბოლოს; მაგრამ რაწამს იანვრებით იწნეხება სული; რაწუთს შემომსხვრეულია ვარჯი შტამბამდე დედაწულიანად; რადღეს ფესვებიანად ამოყირავდები საცხოვრისიდან და მიწამოწყურებული საცეცებით ებრძვი ქარტეხილების მოთავსხმეობას; რათვეს გამაოგნებელი ყმუილია სოფლიდან ჯაჭვზე დაბმული ნაგაზ-ქოფაკებისა მეოტი პატრონის წყალობით და არავინაა ცისქვეშეთში მისავათებუ-

ლსთვის ცხელი ტყვიის მოწილადე; რაწელს ზამბარებივით იკუმშებიან მიწის წიაღში ეკალ-ჯაგის უბასრესი ღოჯები და მამრის ნიკაპს საქვითინო სახსარი გამოცლია; რასაუკუნეს სული ამოგდის ფოლკნერის რომანის გმირებივით და ორაგულების თავგანწირვით მიესწრაფვი მტკაველ მიწას სამუდამო დავანებისთვის, სამშობლოს ეკვივალენტური სიტყვა დედაქართულში კოლხური მეტყველებიდან შემონივთებული ,,შურობუმუა''.

შურობუმუ — იგივე სულის სათხეველი, სულის გარდამტევი, სულის გადასაღვრელი ალაგ-სავანე და ქალის მიჯნურობაში ძირისძირამდე გარკვევა თუ გწადია, ეგეც იანუსის თვეს გამომჟღავნდება უცილობლად, რამეთუ აბსოლუტურად შემოძარცულია ვარდ-ყვავილობის პერსპექტივა. ცივი უდაბნოეთი დაითვლის გულის ფსკერში დაძირულ უზალთუნებს და მოჩვენებით ხაიხუის კარი მიეხშობა.

სილაში გაბნეული ვარდფურცლობის ჟამს, სილაჟვარდესა და ტატანი ტანის ტალანებში მიმოდენისას, იოლია გრძნობებისთვის თვალმიდევნება. აი, იანვრის გაგანია ყინულეთში, ყვავის ბოლოსავით გადალურჯებული სტიქიის წინარე, უსაშველოდ დაარტახებულს თუკი აღმოგაჩნდება ღონე შორეული სატრფოს ეული საცხოვრისის კედლების დასაკოცნად, ჭეშმარიტი ყოფილა მონატრება ესე.

თექვსმეტი წლისაა დანე, გაფრენილი წარბებით, ატმის მიღმიერი ბუსუსებით ზედა ტუჩზე და მომაჯადოებელი ღიმილით ალისფერ ბაგეთა კუთხესთან.

ყელი შემართულია სევდიანი ფიქრების გულქანთა შესამკობად. იასამნისფერი სინორჩე იფრქვევა წამობურცული მკერდიდან და გავაზივით მოქნეული წელი დამტყვევებელ ლასოებს გესვრის არამხუტუს ნებაყოფლობითი ჯაჭვების საჩხარუნოდ; და წყვირთალი ბროლის წვივები, ნუკრებს რომ შეშურდებათ მზითევ-განძად, როდენის საჭრეთლისთვის მიუწვდომელი ხაზებით იქარგება გაშტერებულ მზერაში.

მხარაქცეული მოკვალავ თოვლს. იცი, სრული მდუმარებით შემოგეხმიანება მისი ფუძე-საბრძანისი, და მხოლოდ იმიტომ გამოშურებულხარ ამ ბარდნაში კილომეტრებიდან, რომ ჭიშკრის დაბამბულ ქულაჯებს ვერავინ დააკაროს ხელი შენზე უადრეს და ბედნიერი ხარ, აზვირთებული, მარადიული ძალის შეხებით.,,მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა... აი, განცდათა სრული თან- ხვდომა.''

ჯერ შენ უფალთუფალი არ გამოგცხადებია ექვსგზის, ჯერ ძეხორციელთა სხეულებრივი აღნაგობით წარმოჩინდება შენს წინაშე ცაბაოთი, რათა ბელზებელმა გზები არ დაგიხვანჯოს უმაღლესი მწვერვალისკენ დამიზნებულს. ეს ადამიანები მიგიკაფავენ დაშამბულ, გავერანებულ წავარნებს ზესახიერი განზომილებებისაკენ მანტუელ წინამძღოლს ადევნებული ალიგიერივით. მაგრამ დანე?! მილიარდში ერთი ნიჟარიდან გამოცისკროვნებული მარგალიტი, ჩემი ესმერალდა, კვაზიმოდოს კორძიანი სხეულისთვის ვერგასამეტებელი და ჯიშტის თოვლივით საბრალოდ მიწურვილ-მიშრეტილი დედოფლის ყურთბალიშთან.

ელხე... მარადიული კვნესა ჩემი სულისა, წელამდე ჩამოშვებული ქარითმისატაცებელი სრიალა თმით, ლორელაივით ხარცის მთაზე გადმომდგარი ოქროს სავარცხლის სანავარდოდ მებადურთა დასაბრმავებლად თუ ხომალდების რიფებზე მისამსხვრევლად.

ელხე... სამოხიოს მწყაზარი ასული, დაუშრეტელ ენერგიად გადმოღვრილი უზეშთაესისგან ორჭოფი სულის ასაბასრებლად.

ელხე...შვება ატლანტისა ოდეს აფროდიტე შეეხიდება — სამყაროის გამგებლისგან მომადლებული ღვთაებრივი სიკეთე საგნების და უფრორე — საკუთარი მეობის დასამკვიდრებლად.

სად მიმოფანტულან და განქარვებულან შენი სიყრმის ჟამინდელი სიყვარულების თავნება წყარონი?! ცუცუნები თუ დანელიები, დგებუაძეები თუ გოლიაძენი, კანდელაკები თუ ვეკუანი, ფილიპოვები თუ ოქრომელიძენი, თორდიები თუ ცხოვრებაშვილები, გოცირიძეები თუ კემულარიანი, ასი და ათასი სერაფიტა საირხეს სამაროვანიდან, ათიათასი ჯულიეტა და ერგასჯერ მეტი ოფელია გრეთხენებისა და ლაურა-ლინორთა ამალით, აურაცხელად გამრავლებული და შენივთული ერთარსში, ერთმთელში, ერთხატში ცხოვრების მიზნად და ნუგეშად.

ელხე... გადაულახავი საზღვარი კოსმოსიდან, მაცხოვრის ხელით გამოწვდილი ფიალა უკდავების ჩქერალით სავსე.

ახლა ჩემს სიფიცხეს ორი მერანი მიაქროლებს — პოეზია და სიყვარული, შემოქმედება და მიჯნურობა, გარდასახვა და ტრფიალი, მოხანგეობა და ყოროფა, ჭოროფასაც რომ ერითმება და გოლოფასაც, ანუ წყალდიდობა-გვალვას ერთდროულად, და მართლაც ერთბაშად გარგარებს ჩემში წყალმეტობა-უდაბნოეთ-საკირეთი— არსთაგამრიგეს წინმსწრაფველობის უმთავრესი ძალა-ღონე — ჯალაღონიების გვარში შედუღაბებული ერთ ცნებად.

ენგურის პირას, რომელიც ეს წუთია გამოვ- ვლე, მავანი ქურდბაცაცა და ანტო ჯალაღონია

სხედან. მავანი ქვირქვუა, ცხენებისა და კამეჩების გაუჩინარების გენია. მოადგება ერთხელ დაკარგული საქონლის პატრონი ბოქაულებით. ეს უკანასკნელი დედას ფეხებს გააჩაჩხვინებს, გაუძვრება ლაჯებს შუა და რაჟამს თავზე დაატყდება მომხდურის რისხვა, მშობელს ოდა-სახლიდან წმინდა გიორგის ხატს ჩამოასვენებინებს, აკოცებს სამგზის და ამნაირი სიტყვებით შეხფიცებს:

— რაც დედის ლაჯებიდან გამოვძვერი, მას აქეთ ქურდობისკენ ხელი თუ გამქცევია, წმინდა გიორგის ბორზალი დამცემოდესო! — და დაკარგული საქონლის პატრონიც ირწმუნებს მისი სიტყვების სიწრფელეს კანონიერების დამცველებთან ერთად.

აი, ამ მავან ხარიპარიასთან ზის სკამმერხზე მდინარისპირას რკინისფერი შეფერილობის ნაოფიცრალი მაქსიმეს ძმა, ანტო ჯალაღონია. მესამე დღეა მათ ოდა-სახლში ასვენია ენგურის ჩამოტანილი უპატრონო დამხრჩვალი ყმაწვილი. ტანსაცმელი შემოძარცვია. საკუთარით შეუმოსავთ. ჭირისუფალი კი არა და არ ჩანს. ეტყობა მაღალი სვანეთიდანაა უჭირისუფლო უწვერული... მესამე დღეა საჯალაღონიოში ჭირის სუფრა გაშლილა. ჩვეულებისამებრ პატივს მიაგებენ მოყვასის ცხედარს. ამჯერად ანტოს ძმისშვილი იმარჯვებს. გადარეულ ენგურს შეერკინება და ნაპირზე რის ვაივაგლახით გამოიყვანს. ეს რიგით მეორეა ყმაწვილკაცობის პერიოდში. პირველი ასულია, კოკელი, ნარმანხე. მოგვიანებით აბელს უბედურება დაატყდება თავს. ერთ-ერთ ქორწილში თამადის მოპასუხე იარაღით მოიწადინებს შეზარხოშებულ თანამეინახეთა დაწყნარებას, გაისვრის ხაერში და ბრეზენტის დამკავებელ რგოლზე ასხლეტილი ტყვიით მექორწილე განიგმირება. ეს მოურჩენელი იარა სამუდამოდ გახყვება მის ცხოვრებას. ადამიანებს კვლავაც იხსნის აბობოქრებული ენგურიდან აბელ ჯალაღონია, მაგრამ მისივე თქმით, გამქრალ ერთ სიცოცხლეს ქვეყნიერების გადარჩენაც ვერ გააბათილებს თურმე. ხოდა, სხედან აბობოქრებული ენგურის პირას მავანი ხარიპარია და ანტო ჯალაღონია. ბორანი ჯაჭვზეა დაბმული. იმხელა მორებს მოაგორებს სტიქიონი, ბორნის აშვება ყოვლად გამორიცხულია, მასაც ჩაკარგავს შავი ზღვის მართუ-ჯურღმულებში.

— არ გირჩევნია, — ეუბნება თანასოფლელს ანტო ჯალაღონია, — ხიდის იმ თავში შენი ძეგლი იდგას, აქეთ — ჩემი და სულაც არ ვიყოთ ამ ქვეყნად?

— არა, ჭირიმე, სიცოცხლეს არაფერი ჯობია, — პრაქტიკულია ხარიპარია მავანი.

— ეხ, შურკუნტა* ხარ, უბედურო, აქ უჩვენოდაც გადებენ ხიდს ადრე თუ გვიან. ჩვენი სახსენებელიც გადაშენდება წლების მერე. კარგ რამეს გთავაზობდი, ღმერთმანი.

ყველა თავისებური იარაღით აღჭურვილა.

აბელისა და ნაპო ხუფენიას სამაგალითო სიძე-ცოლისძმობა ცნობილია. ახალთახალი ,,ტეტეთი'' სწვევია უმცროს დას აბელ ჯალაღონია. ძუძუმტეს ჩაგზავნიან დაბლა, ვინემ იარაღის დაშლაყოობაა. ბრიკეტა საკეტურების ჩხაკუნით გუმანობს ყოველივეს.

— სქვამ რე, ლამაზია, — ღიმილით იტყვის ნაპო ხუფენია. ის ,,ნაგანის'' ერთგულია. გამოცდიან კიდეც ერთმანეთს ჩუბინობაში. აბელი თავისი ,,ტეტეთი'' სილაყრილზე განთავსებულ სამიზნე ასანთის კოლოფსაც ვერ დააზიანებს, ქვიშაყრილს აფუტებს მხოლოდრე გზასაცდენილი ტყვიებით, ნაპო კი იმ კოლოფიდან ამოშვერილ ასანთის ოთხი ღერიდან ორს წაწყვეტს თავს.

— ლამაზია, სქვამ რე, — სიდინჯეგარეული ირონიით ებაასება თედოს ძე ცოლისძმას.

იარაღი უთვალივია. კარაბინები და ბერდანკები ბეგი ხუფენიას სტიქიაა. ყარა თორიასთან მეგობრობს. უცვლელი თამადაა სოფელში. ანჩაბაძეების ქორწილში ტოლუმბაშად სხვას არ გააჭაჭანებენ.

შებინდებულზე მოკრძალებულად მოადგება მათ სანაქებო ვრცეულ ეზოს მავანი ნაბოლარა ძმა. გაყრილან. მამისეული ფუძე უმცროსს რგებია წესისამებრ. ხოლო შუათანა და უფროსი ვერაფრით მორიგებულან, წილში ედავებიან ერთმანეთს. შელაპარაკების ნიადაგზე ასაკოვანი ხელსაც კი დააკარებს მომდევნოს დამამცირებელი სიტყვით და ახლა თედოს წყლის წისქვილის მოშორებით ჩასაფრებულა ქორწილიდან მომავალი ნაღვინევი ძმის ჭკუის სასწავლებლად.

ყოველ შემთხვევაში ასე გაუმხელს ბეგის შეძრწუნებული მავანი ნაბოლარა.

— ჩემს წილს ვუთმობ, ოღონდ საშვილიშვილო ცოდვას ნუ აგვკიდებს, ბეგის ჭირმა, — ამბობს თავჩაღუნული კაცი.

ათ წუთში ბეგი აღკაზმულია საიერიშოდ. მთავარი თემშარათი დაურბენს სოფელს ჩოხა-ახალუხში გამოწვართული.

შავფაფრიან რაშს ლაშებზე ქაფი მოსდებია გამალებულ ქროლვაში. გაუპირდაპირებს ჩასაფრებული შუათანა მავანის სამალავს ბეგი ხუფენია და შორიდან გადასძახებს:

— გერა, ვიცი სად და რისთვის იმალები! ვაჟკაცი თუ ხარ მე მესროლე, ბეგი ხუფენიას. ძღინკიანი ძროხის და ტურტლიანი ლეიბის გულისთვის ვინც ძმას ტყვიისთვის გაიმეტებს, იმას ამქვეყნი-

დან აღარც ჩემი გასტუმრება გაუძნელდება, მაგრამ გახსოვდეს, ვიდრე ჩახმახს შემართავდე, ორჯერ გაგიხვრეტ შუბლს მოკლელულიანი კარაბინით.

მეტი რა ჩარაა. ეკალ-ბარდიდან ნაბდიანი შუათანა მავანი გამოაბიჯებს. მაჯებზე დანა რომ გადაუსვა წვეთი სისხლი არ წამოუვა.

— იცი, რა მითხრა შენმა ნაბოლარა ძმამ? — გამომცდელად ჩააშტერდება თვალებში ბეგი ხუფენია, — ოღონდ მაგ საქმეებზე ხელი აიღოს, აპატიოს საჯარო შეურაცხყოფა და მამისეული ეზო-კარი დამითმიაო.

— მოსაკლავად როდი ჩავსაფრებივარ, შეშინება კი მინდოდა, დიახაც, — თავს იმართლებს მავანი შუათანა ძმა.

— უკეთესი, — მხარზე დაადებს მარჯვენას ნაბდიანს ბეგი ხუფენია, — მე დავავალე შენს ნაბოლარს, საუკეთესო ხარს ყელში დანა გამოუსვას, როგორც კი დათქმულ ნიშანს მივუწვდენ. ამაღამვე უნდა ჩაეხუტოთ ერთმანეთს. წელში გასამართად კი, ათი ოქრო მისესხებია მომავალ შემოდგომამდე. — ჩაუჩხრიალებს მონეტებს კინაღამ კაენის მოლიპულ გზაზე შესრიალებულს ბეგი ხუფენია და მიეგებებიან შუკაში წამოთოხარიკებულ ცხენს.

— მეტით ვეღარ მოგეწიენით, — ეუბნება აწურულ უფროს მავან ძმას ბეგი ხუფენია, — მაგრამ აი, შემიჩნდნენ შენი ძმები, სადავო და გასაყოფი არაფერი გვაქვსო. უცოლშვილო უმცროსმა მამისეული კერა შუათანას დაუთმო და არც მე დამიკლია ზრუნვა, ათი ოქრო მისესხებია ერთი წლის ვადით. ამოუდექით მხარში ერთმანეთს და ჯუჯღუნ-წუწუნი არ გამაგონოთ! ხარია ჩამოკიდებული თქვენსა და ვიჩქაროთ, მარტოკაცს მიხმარება სჭირდება, — ამ სიტყვებზე კარაბინს ზედიზედ სამჯერ აამჭეხარებს ბეგი ხუფენია და ნაბოლარა მავანი ძმისთვის ყველაფერი მისახვედრებელია, რომ საავდროდ აწეწილი ვითარება ნაშველებია, გადაგდებულია თავიდან, გარდატეხებული.

ოტობაიას წარმომავლობის თაობაზე გვითქვამს რამდენადმე, დილეტანტური თუ პროფესიული პოზიციიდან, მაგრამ მისი გეოგრაფიული მდებარეობა დამატებით გვავარაუდებს, რომ ამ სოფლის პარამეტრებს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მდინარე ენგურის კალაპოტის ცვლა.

მხცოვანი ხალხის ხსომიერება ათერგასეულ წელიწადს მაინც წვდება, რომლის გათვალის- წინებით ენგური ანაკლიის ნაცვლად სოფელ გაგიდასთან ჩაედინება, გამახარიების საუფლოში, ნაპო ბიძიასა და ეთერ დეის საასპარეზო სივრცეში. ამ ფაქტს იმითაც ადასტურებენ, რომ კუნთხოტობაიაში ჭები, როგორც წესი, კამკამაა, ღრმაძირიანი, კერამიკის გვიმებითა და ოწინარებით დამშვენებული, ხოლო პირველი ოტობაიას სასმელი წყლის „გამოხდის“ ჩვენეულ მეთოდებზე გვიმსჯელია ზომიერად— სილაჩაყრილი ვედროებით როგორ ვფილტრავთ ნიადაგ.

ჩანს, მდინარე ასწლეულობის მანძილზე სამხრეთით მიიჯერება, მაგრამ ეს ყოველივე აბსოლუტურ სიმართლედ ვერ გაცნაურდება.

საქმე ის გახლავთ, რომ ენგურისპირა ორსანტიაში დღესაც ოტობაიას უწოდებენ მომცრო უბანს. არსებული ვითარების ანალიზით ძირითადად სამი ვერსია შეგვრჩება ხელთ:

პირველი ის არის, რომ მდინარე, ოდიშის ტერიტორიის გარკვეულწილად დალაშქვრის შემდეგ, კვლავ უკუმდგარა, და იქ დარჩენილ მოსახლეობას შეუნახავს ტოპონიმი ესე;

სხვა მოსაზრებით ენგურის მარცხენა ნაპირას ჯერაც მფეთქავი ოტობაია არსებითად მიგრირების შედეგია;

დაბოლოს, მესამე შეხედულება — ოდიშური ოტობაია სამურზაყანოულის სათავეა.

ჩემი კალმის წვერი კი ჭკუა დაუნჯებულთა ნასაუბრებს ეფუძნება არსე- ბითად. მათი დაუცხრომელი ლტოლვა ზუგდიდისკენ, ცხადია, მხოლოდ სათავესთან მიბრუნებას არ უნდა ასახავდეს, ვინაიდან ენგურზე ხიდის გადების შემდეგ, ოთხმოციან წლებს ვგულისხმობ, იქაური მაცხოვრებელი გალს ლამის მიივიწყებს, ადრე თქმულისამებრ და ეს არ გახლავთ გენეტიკური ნათესაობის ძიების დეტალები, არამედ — უწინარესად ცხოვრების გაიაფებით, გაიოლებით აიხსნება.

ჯერ ერთი, საკოლმეურნეო ბაზრამდე მანძილი განახევრდება. მეორე კუნთხოტობაიელნი ზედმეტად თავმომწონენიც არიან: ამაყნი, იარაღისკენ გაურბით ხელი. მიმტევებლობაც შეხფერით საჭიროებისას, მაგრამ შეურაცხყოფას არავის აპატიებენ. დავიხსომოთ ეს სენტენცია: აკი, გალში, ჩემთან ჭიდაობაში დამარცხებულ მეტოქეს, ავსიტყვაობის გამო ცხვირით მიწას ახვნევინებს ძმადნაფიცი სერგო გაბელია. თუმცა უმჯობესია ჯერ ხიდის და სკოლის აშენების პერიპეტიებზე ვიმსჯელოთ თანადროულად და შემდგომ სათქმელიც თავისთავად წაედინება.

სამოცდაათიანი წლების მიწურულს ენგურის კალაპოტში მერამდენედ მიუშვებენ კაშხალთან მოზღვავებულ წყალს. გაუფრთხილებელ მოსახლეობას პირუტყვი და სარჩო-საბადებელი რომ გაუქარწყლდება — არაფერი, ადამიანებსაც იმსხვერპლებს სტიქია. მოღვარცოფებული პელაგონი პე-

ტრეს პარონს გადააბრუნებს და მდინარის ფსკერზე დაძირავს; რის ვაივაგლახით გააღწევს ხალხი გაღმა-გამოღმა ნაპირზე, მაგრამ დედა-შვილის გადარჩენას არაფერი ეშველება. ოტობაია ხომ აფხაზეთის სანაქებო სოფელია და რუხის მეგობრობის ნაძალადევი ზეიმებით მოლმობიერებულ მოსახლეობას მთავრობის დელეგაცია ესტუმრება ვეტმფრენით. შვეულმფრენის გამოჩენას კუნთხოტობაიელნი მიჩვეულნი არიან. სოფლის ულამაზესი ქალის, ლუშა კვარაცხელხეს, ძმისშვილი სერაპიონის ქვისლი, იმდენჯერ ჩამოფრენილა მათსას, რომ ზოგს ,,ჟიგულით'' არ გაუვლია, ალბათ, იმ ოღროჩოღრო გზებზე. მუხურელი ემზარ სვიმონია გეოლოგიური პარტიის უფროსია და შეუფერხებლად დაფრინავს მშობლიური სამურზაყანოს ცაში წიაღისეული სიმდიდრეების საჭვრეტად. როცა საბადოთა მაძებარ ბიჭებს მობეზრდებათ ,,ივასისა'' და ,,კილკას'' კონსერვებით დანაყრება, აქეთკენ გადმოუხვევენ — კვარაცხელიებისკენ. სრული მდირანესპირეთი გამორბის ვეტმფრენის გამოჩენისას წაგრძელებული მინდვრისკენ. თავიდან ბოჩო კორკელიას ოჯახი შეშინდება ლაჟვარდოვანი მახინას ჩამოდაბლებით: ეგზეკუცია ხომ არ არისო, მაგრამ როდესაც ემზარ სვიმონიას შვეულმფრენი ოტობაიელების გამასეირნებელ ფუნქციას შეიძენს, წარმოიდგინეთ, თვით ფეხმძიმე ცოლსაც მოუნდება მისით ,,გაგულავება'' და ვეტმფრენის ზანზარ-გუგუნში, დიხაც, ოტობაიის ცაში დაიჭყივლებს ბოჩო კორკელიას პირმშო.როცა ახლები საჰაერო ოდისეით გულს მოიჯერებენ, მშობლიური სოფლის სიმაღლიდან მოხილვის რიგში ხანდაზმულებიც ჩადგებიან.

ფეხქვეშ ყრია უზალთუნებად სექანიების თუ თაკალანძეების, ბაგათელიების თუ ბესელიების, ფაცურიების თუ ლოგუების მსხმოიარე კარალიოკები, ხურმები, მანდარინები და ლიმონ-ფორთოხალი.

უხუცესები ყალიონს გამართავენ, მაგრამ ასანთის გაკვრას არავინ ლამობს: ეხუმრები, ოტობაიის ცას გამოკერებულხარ, თანაც ოტობაიას თავზე და უცებ რაიმე ფარსაგი დაგემართოს, საითკენ მიხვალ?! ნათესავები დასამარხავად ვერ მოგკრეფენ.

გამორჩეულ, კაცურკაცობით ნაქებ დამიანე თაკალანძეს, ნოჩოს გარებიძაშვილს და ბონდოს მამას, კი დამგზავრებიან პილა სექანია — ცხვირნავარდა, საცრისთვალებიანი კაპტო ლოგუა, შემპარავი ხმით მოსაუბრე არსენა ბაგათელია, ქვაბუნა ქუდიანი, წოწოლა არუშანგ უზარაშვილი, არწივისებური გამოხედვის ლავრენტი ბესელია — შვეულმფრენის პატრონის ქვისლის ბიძა; სევერიან კვარაცხელიაც აქ გახლავთ, რომელსაც ძლივს დაიყოლიებენ საპატიო სტუმრის ტრანსპორტზე ასაბრძანებლად; რაც შეეხება ფაცურია ძმებს: ნოჩოს, ავქსენტის და ჯაკოს (თამშუქ მარღანიას ლექსით: ნოჩო, აქსენტი დო ჯაკო, კვირკვეს ინგირს მინნოცვენა, ანჭუდეს თინეფი დო— მანგო)*, ყველაზე ტანმაღალ ოტობაიელებს, აივანზე გამოვლენ თუ არა, მოშორებით გათხოვილი ქალიშვილების, ფაციკოს, ქიონიას, ვალიას, კატოს... ბუხრის ალიბჭეები შეუიარაღებელი თვალითაც ამჩნევენ, თავად იმ კვამლთა მოძრაობით ადგენენ მშობლიური სოფლის ტოპოგრაფიულ რუკას და აი, მხცოვანი კუნთხოტობაიელების ოცეული რომ აუხირდება ფაცურია ძმებს, წელში მოღუნვა საქმეს ვერ უშველის, ლამის სამად გაიკეცონ, მაგრამ ახლა, როგორ გინდა შვეულმფრენის მერხზე ჩამოჯდე?! საკმაოდ შეთხელებული თხემი შენს განუყრელ კოლხურ ქუდთან ერთად ხომ ამოეშვირება, ამოანგრევს თუნუქის სახურავს სამგზის?! აქ კი უსაფრთხოების გარანტიები დაირღვევა და განსაკუთრებული სიახმახით გამორჩეული კუნთხოტობაიელები რუკზაკზე ჩამოსხდებიან, ისე რომ, თვალები ილუმინატორს მაინც ზემოდან ჩასცქერის.

თანდათან პატარავდება კოპწია ოდა-სახლები.

ეფექტისთვის პილოტი გარკვეული სიმაღლის დაპყრობას აპირებს ემზარ სვიმონიას ეშმაკური მითითებით.

გაბმულია ბაწარივით სოფლის ორღობეები. ბუზებს ემსგავსებიან ცხენები და ტრიალ მინდორზე გამოშლილი კამეჩები. თანდათან იკუმშება ოტობაია, ახალ მასშტაბს იძენს, როგორც ეს სასოფლო საბჭოთი მონიჭება, განუყოფელს, გამთლიანებულს, კვერცხის ბუნებით შეკრულს.

თვალისმიმტაცებელია ნაყანარების კონტურები, როგორც მიკროსკოპის ქვეშ დანახული უჯრედის მოხაზულობანი, გასაოცარი წესრიგით აშენებული, და არასდროს დაქვემდებარებული გეომეტრიულ პედანტურ აღნაგობებს: პენტაგრამებს, რომბებს, კვადრატებს თუ სამკუთხედებს თუნდაც. აწ ორიენტაციითღა აღიქმება თანასოფლელთა საცხოვრისები.

მხედველობით ჩუბინი რამდენიმე ურევია ასაკმოყრილ ოცეულში და სწორედ ისინი აფიქსირებენ ერთმანეთზე გადაჭდობილ ეზოებს. ოტობაიას ცენტრით ადვილდასადგენია უბნების ადგილმდებარეობა. ფიჩორის ლარივით დაჭიმულ გზას მისდევენ. ჩვენი სამოხიოს მონაკვეთთან ნოჩო ფაცურიას გული ვერ მოუთმენს და ლუღლუღით იტყვის:

— ჩემი ფაციას სახლი! ეტყობა ღმერთიც ასეა, დაცურავს ზეფირებში უჩინმაჩინი და ხალხის ჭირ-ვარამის გამო გული ეწურება, მაგრამ რად გინდა, ადამიანი იშვიათად აიხედავ ცისკენ, როცა

ელჭექი გაკვესავს, ან გვალვით დამსკდარ მიწას წვიმა სწყურია, ან კიდევ რაიმე გასაჭირი დაატყდება თავს და საშველი არსაიდან ჩანს. დაილოცოს მისი განგება!

გადაუფრენენ ჩვენს სამოხიოს. უფლის დასადგენია სად ვყიალებ მე იმ დროს. თბილისში ვიმყოფები, ჭურიაში ვარაკუნებ საშა ეგუტიას ნაჩუქარ საბეჭდ მანქანას, თუ სულაც ნაპო ბიძიასთან გაჩაღებულ ბუხარს მივჯდომივარ ნამუსიანი ადესით აფერადებულ, წელშიგამოყვანილი ჭიქით. საორიენტაციოა ყოველივე, ხიდის და სკოლის მშენებლობებს შუა ხდება, შემოდგომის პირას, თუ რაჟამს ზამთრის თადარიგს შესდგომია მეურნე კაცი, მაგრამ მთავარი სხვა რამ გახლავთ: სრულიად ოტობაიის ზემორე არწივივით ირაოს კრავს ემზარ სვიმონიას შვეულმფრენი და ამ ბარაქიანი წრეწირის შემორკალვამდე, როგორც შორ გზაზე გასაგზავნ შვილს თავზე ხელს შემოავლებს მშობელი დედა, მხცოვანთა ოცეული მუსაიფს განაგრძობს ჯერაც გაუჩაღებელი ყალიონების ალერსსა თუ სიგარეტების სრესვა-ჟღვლემაში.

— იცი, რა გამახსენა უცებ შენმა ნათქვამმა, — სიტყვას ჩამოართმევს ნოჩო ფაცურიას კაპტო ლოგუა, — ვერეხი ბახვა ბიძაშვილად გერგებოდათ. არ გეწყინოთ და მთელი ციდით მაღალი იყო თქვენზე. ბეჭებიც მტკავლით განიერი ხქონდა. მართალია, ამ სიმაღლიდან არასდროს შეუხედავს ცხოვრებისათვის, ისე აღესრულა, მაგრამ არანაკლები სიტყვა წამოსცდენია, ვფიქრობ. პეტრეს ბორნის ამბავს ვიხსენებ. ყველამ იცით, თუმცა გამეორება ცოდნის დედაო, თქმულა.

ჩამობრუნებულია ბახვა ფაცურია ზუგდიდიდან ნავაჭრით. მიმიხვდებით ახლა ბახვას ფეხზე წამოდგომა რამხელა მანძილს მოიქცევს თვალქვეშ.

ხოპ, შეაბრუნე ბორანიო, ეუბნება ხოპს ჩაბღაუჭებულ თანასოფლელს.

მებორნე იცნობს ბაგირთან აქაფებული ცხენით მოსულსწრაფებულ თედორია გაბელიას. ერთმანეთის მოსისხლენი არიან ბახვა ფაცურია და ეგ. გაება შარში ყაზაყი. მაინც და მაინც მის ბორანზე უნდა დახოცონ ერთმანეთი მოქიშპეებმა?! შეხედავს მგზავრს ტუფურია მებორნე და როცა ვერანაირ შინაარს წაიკითხავს ბახვა ფაცურიას გამომეტყველებიდან, სხვა რა ჩარაა, მიაწვება ორთაყვირს. ამასობაში, ხაზალიების შუკიდან, შავცხენოსანი მხედარიც გამოჩნდება. მებორნე ახლა ამჩნევს მდევარს, თორემ ბახვა ფაცურიას ჯერ კიდევ ნარმანიების სამოსახლოსთან გაურკვევია შავწვერიანში არსენა შონია. ეს უკანასკნელი თედორია გაბელიას დაუძინებელი მტერია.

— აბრაგი არსენას შვილიშვილი, — ჩაერთვება საუბარში ავქსენტი ფაცურია.

— ცხადია, — დაუმოწმებს კაპტო ლოგუა, — მაგრამ, მაინც არანაკლები მტერი, და ახლა მიხვდება ყველაფერს ჩვენი ტუფურიას ვაჟი, რომ ცეცხლი გასამკეცებულია, სამი მტერი შეყრილა ბორნის სივრცეში. მერედა, რომელი ჩუბინების გარემოცვაა, თუმცა დახანება არ ივარგებს და ნაპირისკენ მიაგელვებს ბორანს. ახა, უყოყმანოდ შემოახტუნებს ცხენს ტუფურიაზე არანაკლებ განცვიფრებული თედორია გაბელია. ჩამოხტება, ამოეფარება ოთხფეხს და უკვე მდინარეში მესამედით შემოცურებულ ბორანს თოფის სამიზნეზე მაინც მოუსწრებს არსენა შონია. არც ამისთვისაა თედორიასა და ბახვა ფაცურიას მტრობა უცნობი და უფრორე ამით გაოცებული მოკლელულიან კარაბინს ძირს რომ დაუშვებს, ბახვა ფაცურია დაიროხროხებს:

ხო, მასე სჯობია, დიდი არსენას ფესვო. შენ რომ ახლა ეგ შემომაკლა ხელში, უნებურად მტრად გადამექცევი, ვინაიდან მე შემიფარებია მოქიშპე და ვეღარ დამიცავს სხვა მომხდურისაგან. ნუ გეშინია, აქედან გაღწეულები, ჩვენ მაინც ძველებურად მტრებად დავრჩებით, მოსისხლეებად. თედორია დამასწრებს?! ბედნიერი იქნები, ვინაიდან ყოველთვის შეგეძლება სამაგიეროს გადახდა. მე აღვასრულებ თედორია გაბელიას?! შენ, ბუნებრივია, მთლად ხელ-ფეხი გაგეხსნება საუფლო საქმეთათვის და ეშმაკეულის თავგზააბნეულობას სამისდღემშიოდ გადაურჩებიო.

ხაიტ, სამგლევ, მათრახს დაარტყამს შავ მერანს არსენა შონია და გავარდება ხაზალიების შუკით.

ხაიტ, გერიშ ოძირძონალი,* შემოსცხებს აქეთაც წაბლას თედორია გაბელია და ასკუპებს ცხენს მოდიდებულ ენგურში.

ბორანზე კი დარჩებიან ვერეხი ბახვა ფაცურია და გაოგნებული ტუფურიების ვაჟი.

აი, შენეული უხილავი ღმერთი სად ტრიალებს ნოჩოს ჭირმა, — დაასრულებს საუბარს ილუმინატორისკენ მიბრუნებული კაპტო ლოგუა.

გასახტებულია საუბრით ვერტმფრენის მეპატრონე სერას ქვისლი. უამრავი საინტერესო ამბავი სმენია შუაგულ სამურზაყანოში, ფარფალიებისა და ემუხვარების შერიგების თაობაზე თუ სხვა მომნუსხავი, მაგრამ ეს მთლად სასწაულია. ამიტომაც მოთმინება დაკარგულს სულსწრაფობით ხკითხავს მოტორის გუგუნში კაპტო ლოგუას:

— კი, მაგრამ მერე?! მერე როგორ დასრულდება ბახვა ფაცურიასა და თედორია გაბელიას

მტრობა? — სახეზე მიაჩერდება პირისპირ მოკალათებულ კაპტო ლოგუას მუხურელი ემზარ სვიმონია.

— ეგ მთლად ფარსაგი ხელოვნებაა. დატრიალდებიან შუაკაცები: ნოჩო თაკალანძე, ბიქტორ ფეტელავა, ყარა თორია, ლადი გოგოხია, სხვანი და შეკრავენ ძმობის მტკიცე ფიცით.

— შონია? შონია სადღაა?— ვერ ითმენს ემზარ სვიმონია.

— ეგ უკვე სინდის-ნამუსის საქმეა. გაიგებს თუ არა მოსისხლე მტრები შერიგებულანო, მიხვდება, რომ ასე იოლად ვერ შეძლებს თედორია გაბელიას მოკვლას, რადგანაც მსგავსი საქციელით ამიერიდან ბახვა ფაცურიას გადაიმტერებს და ერთ მშვენიერ დღეს ულამაზესი დის ხელის სათხოვნელად მიადგება კარზე. ამის შემდეგ ხომ მაინც გარკვეულია ყველაფერი, ჯიმაჯამი?!*

— მდა�ა, — გააბამს სიტყვას ცნობისწადილ დაკმაყოფილებული ემზარ სვიმონია.

ვერტმფრენი აეროდრომად ქცეული მინდვრისგან განსხვავებით სოფლის ცენტრში ეშვება მხცოვანი ოცეულის საპატივცემლოდ.

და აი, სწორედ, იმ ადგილზე რომ დაფრინდება სამთავრობო დელეგაცია ბატონების: ედუარდ შევარდნაძის, ზურაბ პატარიძის, ვლადიმერ ალფენიძის (იმჟამად ქვეყნის მესვეურის რეფერენტი), „საქტელერადიოს“ კომიტეტის თავმჯდომარის არმაზ სანებლიძის და კიდევ სხვათა შემადგენლობით, მთელი სოფელი მოაწყდება ჩვეულების თანახმად, მაგრამ ამჯერად ვიზიტი წინასწარაა ცნობილი სატელეფონო კავშირებით და თანაც ოტობაიელებს გული მოყირჭებიათ შვეულსფრენით სეირნობებისგან. უფრო სერიოზული საქმეა გადასაწყვეტი — ასაშენებელია სკოლა და გასადებია ხიდი ენგურზე, რათა სამურზაყანო-ოდიში კიდევ ერთი ძარღვით გადაენასკვოს ერთურთს.

ყოფიერების უბადრუკობის ამსახველ ზოგადსაგანმანათლებლო სურათს დახატვა არც სჭირდება. უბორნოდ დარჩენილი სოფლის პრეტენზიებიც გასაგებია. დედა-შვილის ჭირისუფლის განცდებსაც თანაგრძნობით მიეხედება. ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ არც მაშინდელი მთავრობის თავზე თქლაშუნებს ათასების წვიმა. ხოდა, ეს წუთია წააბიჯოს უნდა დელეგაციამ შვეულმფრენისკენ, მაგრამ შეუვალია წრე, არ ირღვევა! თავმოდრეკილია თითქოს გარემომცველი სახეები და მაინც პიტალოსავით უკარება.

კვლავ კაპტო ლოგუა იმარჯვებს და ამისთანა ამბავს ამოქექავს მეხსიერების სკივრიდან:

— ბატონებო, ჩვენთან, კუთხუ ოტობაიაში ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული მეურნე კაცი, კოწია ბესელია, თქვენებურად კონსტანტინე, რომელსაც ხუთი ვაჟიშვილი და ერთიც ასული ყავდა. ყველანი წესიერებით ცხებული, მაგრამ მათ შორის გამორჩეული მაინც იასონი გახლდათ, რომელიც სახმელეთო ჯარებს უფროსობდა სოხუმში. ჩვენი უგზოობის ამბავი მოგეხსენებათ, ბატონებო, ბორნით ტონობით თხილს ვერ გადაიტან ზუგდიდში, თანაც სადადიანოს ბაზარი იმ დროს სოხუმისაზე ნაკლებად ხელსაყრელია და აი, იქ ჩაღწეული თხუთმეტიოდე ოტობაიელის თხილით კი დატვირთავენ გემს, მაგრამ პატრონები არავის გაახსენდება: მიაყვირებს პარახოდი „ბუმ-ბუმო“ და უტევს გზას ოდესისკენ. დროის წართმევისთვის მომიტევეთ ცოტა, — ჩაურთავს კაპტო ლოგუა, როცა დელეგაციის წევრები მაჯის საათისკენ მერამდენედ გააპარებენ მზერას, — რა ქნან ოტობაიელებმა, ცარიელი ურმებიღა დარჩენიათ, ყლამდე სირცხვილით სავსე, — სტუმრებიცა და მასპინძლებიც აქა-იქ ჩაიცინებენ, განსაკუთრებით, როცა სიტყვას ხელსაც მიაშველებს მოსაუბრე და ამით უფრორე გათამამებული კაპტო ლოგუა ხმას აუწევს უბორნო-უხიდო გამეხებული ენგურის მჩქეფარების გადასაფარად, — ნირწამხდარი ოტობაიელები დაადებენ თავს, ბატონებო, ამსუბუქებული ურმებით სახმელეთო ჯარების თანასოფლელი უფროსის, იასონ ბესელიას მიმართულებით და აუწყებენ თავიანთ გასაჭირს დიდის მორიდებით. ხარხარით გულს მოიჯერებს კოწიას მემკვიდრე, თანაც აქა-იქ აქილიკებს თანამოძმეებს:

მოგეკითხეთ ქე მაინც, ოჯახაშენებულებო! მოხუცი დედის ამბავს მეტყოდით, მეც გამახარებდით, არც თქვენ გაწვალდებოდით ამდენს, მაგრამ შინაურ მღვდელს შენდობა რომ არა აქვს?! ეძებე ახლა შავი ზღვის შუაგულში ნაცხვაბარა თხილი! იმ ტომრებზე „ოტობაია“ თუ იყო მიწერილიო, აშკარად აბიაბრუებს თანასოფლელებს.

როგორ არაო, პასუხობენ გულუბრყვილოდ.

რომელ ენაზეო, ხითხითებს იასონი.

ქართულადო, სიმწრის ოფლში იწურებიან, ჩვენ-ჩვენ გვარებიანადო.

მაშინ დაღუპულა თქვენი საქმეო, დაუნდობელია ჩაბჟირებული იასონი. აფხაზურად მაინც მიგეწერათ, ოჯახაშენებულებო, თუ რუსულზე მწყრალად იყავითო. მერე დასერიოზულდება უცებ. დაუძახებს თანაშემწეს თუ ადიუტანტს, მისცემს რადიოგრამას, თან თანასოფლელებს დამაჯერებლად ეუბნება:

წადით პორტში, დაუცადეთ გემის დაბრუნებას, ურმებიანად ნუ აბარგდებით ზედ. მთლად ოდესაში ნუ დარჩებით. ცოტა ფული ოჯახისთვისაც შემოიტოვეთო. ხო, კიდევ, ერთი, ტომრების და რამდენიმე კილოგრამი საჯანჯუხე თხილის წამოღება არ დაგავიწყდეთ ჩემთვის. აქაური კერკეტია, შველიყურა კი, ხომ იცით, თითის მოჭერითაც იმტვრევაო.

მიმოავლებს საცრისხელა თვალებს კაპტო ლოგუა მსმენელებში და როდესაც საერთო გულისყურს ძარღვს დაუჭერს, კვლავ განაგრძნობს ოდნავ ჩახველებით:

— ასეთია ჩვენი ვითარება, ბატონებო. ის გემი მართლაც დაბრუნდება პორტში, მართლაც დაემგზავრება თხუთმეტიოდე ოტობაიელი. თითო-ოროლა ჩაესიძება ადმირალ-კაპიტანს, დანარჩენი მოლაყუნდება ქესეტად, იასონ ბესელია კი კვლავინდებურად არავის გაახსენდება, არც — მოსაკითხი რამდენიმე კილოგრამი თხილი, მაგრამ გემის უკანმობრუნების ამბავი თაობებს საარაკოდ დარჩება. ორ სიტყვასაც დავამატებ და დავასრულებ. აგერ, ჩვენი კარის მეზობელი ვაჟიკო შონია მიდის ურმით თემშარაზე. გზისპირას წაქცეულ მორზე ჩამოსვენებული სერაპიონ უზარაშვილი დაუძახებს თანასოფლელს:

თუ ღმერთი გწამს, ერთი წუთით გააჩერე ურემი, სოფლის ცენტრამდე დამიმგზავრე მუხლწართმეულიო, მაგრამ ვაჟიკოს ხარები სამგლეებია. ამაოა, ,,ორე-ხის'' ძახილი. არაფრით ემორჩილებიან მეურმეს. სახრეს ტყლაშუნზე ხომ აეშვებიან მთლად. შეესწრება ამ ამბავს ედი კვარაცხელია და ამგვარად გაამასხარავებს გაწბილებულ მხცოვანს:

სერაპიონ, პატენი, კოწიას ვაჟმა, იასონ ბესელიამ, გაშლილ ზღვაში პარახოდი გააჩერა, უკან დააბურნა და შენ ვაჟიკო შონია წამითაც ვერ შეგიყოვნებია, რაღა კაცობა ეგ არისო.

წამოიმართება სერაპიონ უზარაშვილი, მოწკურავს თვალებს ჩვეულებისამებრ, ამოაცოცებს სათმოს, თქვენებურად — ყალიონს, ბატონებო, მესამედ უკიდებს ასანთით ქარიან ამინდში, გააჩაღებს და აი, ასე გაეპასუხება წინ გაჩერებულ თანასოფლელს:

შე, სულელო, იმ გემს კაპიტანი მართავდა, ამ ხარებს კი ზოგიერთივით რქიანიო.

ბატონებო, ვფიქრობ, მისახვედრებლად ვთქვი ყოველივე; რამდენი ძვირფასი დრო წაგართვით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მთლად უშედეგოდ — არა, ვინაიდან დაბეჯითებით ვიცი, ისეთი მესვეური გვარგუნა უფალმა, მდინარის მიერ მოტაცებულ ბორანს გარიწკინებული ხიდით დაგვიბრუნებს ხვალ-ზეგ და წიხლსაკრავ ხუხულებს — დვარეცი სკოლითო. იმდენი სიცოცხლე ჩვენ, რამდენიც კაპტო ლოგუას ნაწინასწარმეტყველებით ორ წელიწადში შემოაბიჯებს ოტობაიაში გაკრალებული ხიდი თუ სამსართულიანი სკოლა-სასახლე, რომელსაც მოგვიანებით აფხაზები დანაცრავენ ორგზის და ჩვენებურებიც ორგზისვე განაახლებენ. ნაპო ბიძია ვერ მოესწრება მხოლოდ იმ ხიდზე გადავლას. თქვენთვისაც სავარაუდებელია, ალბათ, რომ პელაგია მიქახესგან შემობრუნებული, ჯალაღონიებთანაც ჩამოვმხდარვარ გვარიანხნობით. მას აქეთ კუნთხუოტობაიას შუკებში შემომიხეტებია სერგო როგავას მოხელთებული ჭიჭიკო სახალტუროდან.

გავმცდარვარ სექანიების სამოსახლოს, ქარით გადახრილ ევკალიპტების კორომს, გონიოსმაგვარ მოსახვევს, ბესელიას მობრუნებული ხომალდის ანძების შესაშურად დაქსელილ ელექტროქვესადგურს;

გავმცდარვარ მოსახვევს, სადაც ძაძუა ქმარ-შვილს მანქანაში ჩაუცხრიავენ ბიგვახეს და ოტობაიელი დედა ნეკათითს ჩაატანს მემკვიდრეს სამარეში, რათა ზუგდიდის ბაზართან აღასრულოს სამართალი;

გავმცდარვარ ბოკუჩავებს, რატიების სამკვიდრობელს, ბერანძეებს, საალფენიძეოს, ვიტალის კარგამოხშულ ეზო-მამულს.

სასაფლაოსთან ჩამოვქვეითდები. მაშველ რგოლებად მომეგებებიან მიხეილ ფეტელავას განსასვენებელი, მარი ჯალაღონხესა და თომა გელენავას სავანე, ხერიკო პაპასქუას, რენცო ბახტანძის, ნოჩო თაკალანძის სამკვიდრობელი და როდესაც ნაპო ბიძიას ვერცხლისფრად შეღებილ მოაჯირებს მივაჩერდები, არ აზვირთდება ეს აივანი გინესის წიგნში შესატანი ხველებით, მხრებჩამოყრილი ქვეითად გავუდგები გზას შინისკენ.

...აჰა, ოთხსაათიანი მუსაიფით მოჯერებულია სული გელენახესთან; ნაყლურწია დუჟინი სირჩა მსხლის არაყი, ხანძარი წაკიდებია დასალიერს, ჩანაცრებულა, ჩანამქერებულა.

გაცისკროვნებული თვალებით, ეთერ დეიც აქ მოკალათებულა, გაშლილ სუფრასთან, ოდეს მამლები ვახშმისპირულს დასცხებენ და ღამე დილის საარისკენ გადაიზნიქება; როცა ჩამოტარებულია ,,ცისკრის'' ნომრები დაწუნებული მწერლობის გასაბათილებლად; როდესაც მთელი სამოხიო, სიმღერა-სიმღერით აღმა მიუყვება იაშა აშორტიას, ქანქანესას, მოძახილს, შენ კი ეთერ დეის მიაცილებ გადატიხრულ ეზომდე.

ეს ყველაფერი ამირანის წყალობაა. მის ქორწილში არლენ ელიავა თამადობდა, მოპასუხედ კი აბელ ჯალაღონიას დაუყენებენ. მაშინ ეზო ჯერ კიდევ მთლიანია, ვრცეული, ცხენისგასაჭენებელი, გადახასხასებული და ზურგდახავსული ხეხილით დარაზმული.

ამირანს აქა-იქ ემდურიან სამოხიოში და შესაძლოა პურობა უცხვირპირო გამოდგეს, მაგრამ როცა ქორწილის დღეს ნაპო წალდუნას დასწვდება და სარების წათლას შეუდგება, უბრად მყოფი მეზობლები უსიტყვოდ დატრიალდებიან. თავად ქორწილი კი ჩინებულად ჩაივლის. ძუძუმტე ვერცხლისწყალივით დაგორავს სეფაში, ბილბაშ ბიძიას ქომაგობს.

ზამთარია ოტობაიაში. შეთრთვილულია არემიდამო. ამისთანა შემთხვევისათვის ჩვენეული ტრადიციული სუფრისწყობა მოიკოჭლებს რამდენადმე კახურთან, გნებავთ — იმერულთან, ვინაიდან სამეგრელოში ცხელი კერძი მხოლოდ ღომი შემოდის და კიდევ — ენა-სასის ამგლესავი ცხარედ შეკმაზული კუჭმაჭი; იქით კი, აღმოსავლეთში, არათუ ქორწილში, თვით — ქელეხშიც, ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ ცხელ-ცხელი კერძის ქარავნებია.

ნუ გადამაშლევინებთ ახლა კულინარიული ცოდნის არსენალს შემჩატებული სტომაქის ჭირისუფლებისთვის! ხოდა, მიურბენინებს გახურებულ აგურებს ბიძიას გაცივებული ფეხების დასათბუნებლად ძუძუმტე, ძველმანებში შეფუთნილს თვალის ასახვევად, მაგრამ დისშვილის სიკეთეს იუკადრისებს აბელი:

— ონჯღორე რე ბიძია!*— ეტყვის დინჯად, აკოცებს შუბლზე და გაწბილებულს გაისტუმრებს უკან.

ხოდა, ეს ეზო გადატიხრულია ახლაც გავლენიანი ქალების შემწე- ობით. მხოლოდ დრო-ჟამი აღადგენს ოდინდელ კანონზომიერებას: შურობუმუდან პირველი გამობუნძურების მერმე უკლებლივ აიკრიფება ის მავთულბადე, — ვიღაც ღვთისნიერი გააყოლებს ხელს და შემდგომ ოტებულებს ვინ მიაშავებს მისი აღდგენის სახსარ-ღონეს?!

პირველი სიტყვის თქმა, საქმეში დასწრება, ნაპო ხუფენიას ზღვისგან ნასწავლი სიბრძნეა, ოდეს ფართე ქამარში სახელურით კალისტრაგაყრ- ილი გააღწევს ნაპირს ათიოდე საათში თმაგათეთრებული.

თამშუქ მარღანიას სატირალზე ცხელი წყლის უქონლობის გამო, ყიამეთში, მამაკაცები კი არა ქალებიც იუკადრისებენ ნახმარი ჭურჭლის გარეცხვას. წაიკაპიწებს მკლავს ნაპო ბიძია და როცა ღრმა თეფშს დას- წვდება გასაკრიალებლად, დაბზრიალდება დიდ-პატარა.

დაიხსომებს ამ სცენას თამშუქ მარღანიას შუათანა შვილიშვილი, სამხედრო სამსახურიდან ახალ დემობილიზებული რეზო, და ნაპო ბიძიას გასვენების დღეებში არავის გააკარებს სამი ათასი საინის გაღვარწკალებას. ასეთია ჩემებურების ყისმათი ოთხივ კუთხით.

ვუახლოვდებით ეთერ დეი, თვალებბრიალა ნინო და მე ორი წლით უნახავ ჭიშკარს. ოდესღაც ერთ პორტალს მარჩბივის დარად უბარტყია. ამათ თავიანთი შესასვლელი აქვთ, ამირანს — თავისი.

არ მეგონა რამე თუ მოერეოდა ნაპო ბიძიას, კაცს, რომელსაც შვიდი წელიწადი უტივტივია ზღვაში, ტყვიების წვიმასა და ტალღების გრაგნილებში; ნიკოტინს ფუთობით რომ გადაიტარებს ფილტვებში; ყოველდღიურად ათობით კილომეტრს რომ გადასერავს სისხამ-შუადღე-შებინდებულზე, მაგრამ ყოფილა ადამიანის გამანადგურებელი განზომილება, რომელიც სულის უმთავრეს ცხრაკლიტულშია გადანახული თურმე და საკმარისია იმ სიდიდეს რაიმე საფრთხე დაემუქროს, მსწრაფლ დანაცრდები შენც. ამნაირი პარამეტრი კი ნაპო ბიძიასთვის, როგორც უმეტესი მშობლისთვის, შვილის უბედურება გამოდგება — ზემორე გაკვრით მოხმობილი ძუძუმტეს ავტოკატასტროფა, და რადგანაც მისი პორტრეტის მოხაზვის შესაძლებ- ლობაა, მენდეთ, უკეთეს დრო-ალაგს, ვერც შევირჩევ.

ჩამომართმევს თუ არა ესტაფეტას კომკავშირული ხაზით ბრიკეტა, შენი კავეენები თუ პროჟექტორები დავიწყებას მიეცემა.

რაზმეულებს შექმნის დაორმოვებული შუკების შესაკეთებლად. ველოსიპედი ხომ ისედაც მის ხელთაა, მთელს სოფელს დაუვლის თავიდან ბოლომდე. სადაც საქმის დამში მოყვანა ვერ მოხერხდება, დავალების ვერშემსრუ- ლებელი კომკავშირის რიგებიდან გარიცხვის ქანდარაზე შემოსკუპდება.

ჩვენ ახლა გვეცინება ამ ყბედია ორგანიზაციაზე, მაგრამ ხალხისთვის სიკეთის მოტანა თუ შეუძლია, გნებავთ ბელზებელთა ასოციაცია დარქმევია, ოღონდ გაჭირვებულთა თანადგომას გაუხსნას გზა-შარა. აკი, ფაუსტიც განაცხადებს ერთგან: მე ის ძალა ვარ, ბოროტს რომ ეყრდნობა და სიკეთეს მოიმოქმედებსო.

მომიტევებენ ახლა გოეთეს გენიალური პოემის მთარგმნელები, გერმანულად თუ გამომიფრიალ-

დება თავიდან დასახელებული სტრიქონები, ესეც გასაგებად ჩამომერთმევა, მით უფრო — საოჯახო ბიბლიოთეკა დანაცრულს; პლუს ყოველივეს რამდენიმე წელიწადს წიგნების ფულით სულგამოღწეული შვილების მშობელს. მაგრამ მგონი მთავარი მაორგანიზებელი ძარღვი შევნიშნეთ ძუძუმტეს საზოგადოებასთან შეხებისას.

ნადე დგეუბაძე გეხსომებათ, მამია ბარიტონის მამიდა, ცქრიალა სამანას, სექანიების რძლის დიდბებია, მოლაყუნე არდას და მისი ხმაწკრიალა ყოყოჩიას მოგვარე?! ხოდა, დგებიების დედაბერთან ამ ჩემს სოლო ვიზიტებს ძუძუმტე ქოროდ გადააქცევს: მორიგეობას დაუწესებს მის უპატრონო ეზოკარს, მის მიხრწნილ ქვეშაგებს, ჟანგით გაჯერებულ სამუშაო იარაღს თუ ობმოკიდებულ ჭურჭელს. შეშა დაბალ სვეტებქვეშ დალაგდება, სადაც პოლიას სასადილოს წყალობით მუცლის გვრემაატეხილი მაწანწალა ძაღლები აფარებენ ხოლმე თავს.

იმ შეშას აქა-იქ მაღაზიის დარაჯები ააწაპნიან ხოლმე. ამასაც არ კმარობენ ისინი და მარყუჟიანი ჯოხით გისოსებიანი ფანჯრიდან კონიაკებს და არაყს იპარავენ ოსტატურად, მაგრამ შეშის მარაგის ასეთი განიმამაჩემი მისი ნაბიჯების დიდი მოყურადეა თურმე. თავად არასდროს, მაგრამ უფროს კოლეგას უთქვამს მოგვიანებით, რომ ხელმოკლე სტუდენტს ხშირად მეხმარებოდა ხოლმე ფინანსურადო.

მოსკოვში ჟურნალისტიკას ეუფლება. ინგლისურსა და გერმანულში ხან ზვიგენივით ცურავს, ხანაც— დელფინივით. საგაზეთო სტატიების მეფეა. ეს-ეს არის მომცრო პოეტური კრებულიც გამოუცია, ,,ალიონის'' სახელწოდებით. მერე და წარმოიდგინეთ, ვინ ულოცავს გზას, თვით გიორგი ლეონიძე, გოგლა, — ,,ყივჩაღის პაემანისა'' და შიგნიდანვე შხამით გამომწვარი მარტოხე ,,ოლეს'' შემოქმედი. ჰოდა, დაუდე გული ახლა ზაირა გითოლენდიას ბიოლოგიას და მიეცი საბაბი მშობლებს სამედიცინო სასწავლებელში განსამწესებლად! მიდი და არ უხსენო ლამის თანატოლ ქალწულს: შენს გაკვეთილებს იმიტომაც ვერ ვითვისებ, ნაკლები თვალსაჩინოებაა, და მეცადი- ნეობის ჩამშლელი ფიანდაზად გაეგები ონერ ზანთარაიას შეუდარებელ ალიყურებს, ერთ ყბაზე რომ მოგილაწუნებს, მიიტაცებს მარჯვენა ყურს, შემოუვლის კეფას, შემოწერს ნახევარწრეს და თითების კონცხებით მეორე ყურის ნიჟარის ღრმულობს ააგუგუნებს კვირის სამყოფად. მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის, მით უფრო, როდესაც ორბორტიანი კოსტუმით აღკაზმული ვიტალი შენი ახალთახალი ზალის სტუმარია, თორმეტიოდე ადამიანი თავმოყრილა — აფხაზეთის საავტონომიო სამმართველოს უფროსის, შოთა ქირთბაიას მწყაზარი ლეილა, იპოლიტე ქირთბაიას მზიანა თუ სხვანი და სხვანი.

სუფრა, ცხადია, სამაჭანკლოა და ამას ქვეტექსტებით ამჟღავნებენ შიგადაშიგ, მაგრამ ოტობაიელი ჯონ რიდის პროფილს ბევრი მისჩერებია შინ თუ გარეთ. გვარ-სახელების ჩამოთვლა სახამუშოა ნაწარმოების დოკუმენტურობის გამო, თუმცა დავსძენთ, რამდენიმე წლის მერმე ყველას ბაბუაჩემის ბიძაშვილი ბართლომე გადაუჯოკრავს და შეიკვრება კიდეც ამ ორი გვარის ერთიანობა, უხანე-ურდუს გონების მოსაწამლად ხელოვნების მწვერვალების დალაშქვრის გზაზე.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და კაგებე ლინას მხოლოდშობილი თენგოს გენიოსობებზე ვაგონებით ჩამობაქანდება შექსპირული ტრაგედიის ფლატეები: მაცი ხვიტიაზე პიესა შეუქმნია ჩემი ცოდვით სავსეს და მეც სისხლი მიყივლებს ძარღვებში. ასახვის ობიექტი ხომ არენაზეა დამრიგებლის უკარება ასულის სახით. გულისმურაზი მასწავლებელიც მხარში მიდგას ხორაციოსავით — პლატონ თაკალანძე, იგივე პუჭიკო, კვირაში ორათეულ ლექსს რომ ხარშავს რუსული განსწავლულობით გაკრიალებულ ცნობიერების ქვაბში.

ეხ, მოვარდება მოგვიანებით მესამე მერეხ-მეხი — ხომეროსი, მაგრამ ამიერიდან ჩემი შეჩერება დაგვიანებულია სავსებით.

საიდან სად გამექცევა სიტყვა?! აგერ ვართ ჯინჯოლავებ-ბერულავებ-ხუფენიების ტორტილა ფლეტში. ოთარი სამჯერ გარბის გარეთ ფანჩატურიანი ტელეფონისკენ. დორონინას ტყუპისცალი გამოუჭერია— ვინმე კურცხალხე. 31-60-71. ყველამ ზეპირად ვიცით ამ ტელეფონის ასავალ-დასავლისა, ვინაიდან იქ ჩემი ერთი ციფრიც ურევია — 6 — ჩემი სიმბოლო საერთოდ, ჩემი დაბადების დღის ეკვივალენტი, და როგორც ადრე აღმინიშნავს — ბედისწერა ჩემი მერკურთან მიმართებაში.

გვიანობით სიგარეტისთვის გავა გარეთ ვარჯიშობებს შეგიჟებული ძუძუმტე. ჩამოივლის ოთხი.

— ქართველს შხამს როგორ დაგიკავებთო, — დაანუგეშებენ და აქ ოთხივეს ყბები დაელეწება ძალუმად. ხმაურზე გამოვცვივდებით. ოყლაყ ბერულავას ბაბუას ჟანგიანი მაუზერი უშიშვლებია და იმნაირად მისდევს დაბეგვილებს, თითქოს დაზარალებული ჩვენიანი იყოს. მერე გამოჩნდება კაგებე ლინა და სათადარიგო კარით გავცქვარუნდები კვალის დაუტოვებლად. დასწყევლოს ლოთის რეპუტაცია, ღმერთმა! თვეში ოთხგზის მიწევს დალევა, ისიც ხა და ხა ათი ლიტრი, როცა ესენი

ყოველდღიურად ფუთობით ნთქავენ ჰერეთ-ალჟირულს, მაგრამ რადგანაც ჯიშით მომსდგამს ალ-კოხოლისკენ მიდრეკილება, ამათი დამღუპველი მქვია და სულელი ვარ ყულფში თავი საკუთარი ნებით გავყო?!

უბედურების დღეც შემზადდება. გადასასვლელთან გამოქანებულ ტაქსს დალანდავს ძუძუმტე — ÃÀÍ 02-68: წინმდგომ გოგონას აიტაცებს, გადაისვრის მანქანიდან, სისწრაფეში მეტს ვერ მო-ახერხებს, ,,ვოლგის'' ფართუკს ჩაეჭიდება თითებით და ასე გაათრევინებს თავს რამდენიმე ათეულ მეტრზე.

ქუსლები გადაფლეფია. ხერხემალი დაზიანებია, საჯიშეები დაწვრილებია. ამის თაობაზე გვით-ქვამს და არ გავმეორდებით, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ გადარჩენილი ქეთი ფურცელაძე იშვიათი შესახედაო- ბის აღმოჩნდება, ანტონის მოგვარე, ჩემი მეორე გამგიჟებლის პერსონაჟის მერომანეს ფესვი.

დამშვიდდება ყველაფერი თითქოს. დიდხანს უმალავენ ნაპო ხუფენიას ვაჟიშვილის ბედისწერას, მაგრამ ინფორმაცია მაინც გაჟონავს საიდანღაც, და თბილისს ცახცახით ჩაღწეული, როცა მემკვ-იდრის საცოდაობას იხილავს, კედელს მიურახუნებს თავს ძმისშვილის მსგავსად.

ჩამობრუნდება ოტობაიაში, დაჭიმული, გალანდული. მუდამ გაპარსულს ხელი არ მისდის სა-მართებლისკენ. მოციცქნის ლუკმას, მსხლის არაყსაც იგუნებებს აქა-იქ, ხველებით კი ძველებურად ბურღავს სამოხიოს ყურთასმენას ოთხივ კუთხით და ვიდრე შვილი ჩამოსვლია ოჯახში, ჩამოუქრო-ლებს დამბლა, ტყვიით მომტვრეულ ფრთასავით ჩამოეკიდება მარჯვენა ხელ-ფეხი. თუმცა ჯერ ნუგეში წინ არის — მოსკოვიდან მოსაბრუნებელი ძუძუმტეს გამოჩენა — და ახა, ბრიკეტაც მოახ-ლოვებია ოტობაიას.

კასტელებს თავი გამოუფია უკანა ფანჯრიდან. ამირანის ,,ჟიგულით'' მოდის. ორმაგი სიდუხჭი-რე უკმაყოფილებას მიაფუჩეჩებს, თუმცა გავლებული ღობის თუ და გაორებული ჭიშკრის აკრეფ-ას მაინც ვერაფრით შეძლებს..

აჩერებენ გზა-გზა. ულოცავენ გადარჩენას ქუჩის მარჯვენა თუ მარცხენა ჭიშკრებიდან დაძრული მეზობლები. მორდუსთანაც შეყოვნდება, ცხადია. ცხარე ცრემლებისგან იხრჩობა ისედაც გულჩვ-ილი გელენახე. კოცნის საკუთარზე არანაკლებ საფარელს და თანაც გაუგონარი ზლუქუნით ამას ეხვეწება:

— ქოიცორქდა, ართ მაჭუკ ვარა გეგნაცათი, სქუა.*

იცის ძუძუმტემ მაჭუკი რაც არის, იგივე კასტელი, ყავარჯენი ქართულად, მისაკ ჭანია რომ დააჭრაჭუნებდა და კიდევ — ბოჯო ახალაია.

მეტს ვერ გაუძლებს ძუძუმტე, ავაზას ბეწვივით მბზინვარეს იქვე, გალიპლიპებულ ღელეში მოისვრის. ხელს არავინ ახლებს იმას მერმე. მიივიწყებენ. იხვები უმღვრევენ გაანკარებულ სილუეტს. ლიფსიტები ამაოდ ეხვევიან თავზე, წურბელებიც გაუჯდებიან ფუღურო ძვალში და წლისთავზე, გაგანია ზაფხულში ძმები რომ დაიწყებენ თხრილის ამოსუფთავებას, ისეთი ჟანგიანი ამოხყვება ნიჩაბს, ვერავინ დაიჯერებს ძუძუმტეს გადაგდებული ყავარჯენიაო, მოსკოვში რიურიკ კაკუბავას მიერ საგანგებოდ შეძენილი, ძვირადღირებული, გერმანული წარმოებისა სხვათა შორის.

მეორე ყავარჯენის გადაგდება ძუძუმტეს ზედ ჭიშკართან მოუწევს. ორივე მოხერხებულად ნიღბავს, რომ ერთმანეთისკენ ხელგაშლილად სირბილი აღარ შეუძლიათ. სვეტს მიყრდნობია საღი მარცხენათი და მტკივანი მარჯვენა ლამის ქარმა აუფრიალოს.

მარო ღურწკაიხე მანქანიდან წვალებით გადმოსულ ბრიკეტას ყურში უჩურჩულებს:

— ქიდამბალე მაჭუკი ღორონთ ქორწანსდა,* — ეტყვის და რა ჩარაა.

მხარში ამოუდგებიან. საკუთარი ფეხით გაატარებენ განახევრებულ, დახავერდებულ მინდორზე. მცირდება ნაბიჯები ნაპო ხუფენიასკენ და ოდეს ერთმანეთს გადაეკონება მამა-შვილი, მოგუდული ქვითინი მოდიდებული ენგურივით ჩაშრიალდება აივნის გასწვრივ.

მას აქეთ რამდენიმეჯერ იცვლის ზნეობას წელიწადი. მოაკითხავენ ძუძუმტეს ფურცელაძეები მწყაზარი ასულითურთ, სიძეობას სთხოვენ, მაგრამ ოთარი ხორბლისფერი სატრფოს ერთგულია.

ცოტაც და ჩვენს სამეზობლოში სამუდამოდ ჩაქრება გინესის წიგნში შესატანი ნაპო ბიძიას ხველება.

მათ შუკასთან მთელი ქუჩის გაყოლებაზე გაიჭიმება ადამიანების ცოცხალი რიგი. ხელზე ატა-ტებულს წაასვენებენ ჩვენთვის საკმაოდ ცნობილი ადგილისკენ და მარადისის სუნთქვას შეუერთ-დება კიდევ ერთი მამულიშვილის პატიოსანი მეობა. ჩაუხვევს პროცესია შუკის თავიდან, იმ გონ-იოსმაგვარ გასაყართან მანქანების სამწყება კოლონის შესაყოვნებლად, თითქოს შლაგბაუმი ჩამოუშ-ვიათო. დამტირებელთა საწყისი შაკუ ქირთბაიას კინოთეატრთან რომ ინაკვთება, ბოლო ჯერაც

ვერ გაღწეულა განახევრებული ეზოდან. ტრიფოლიატას ტოტებით დაჯავშნულ ხის ჭიშკართან, გულხელდაკრეფილი ცუცა და ლუბაშა დგანან.

გეორგინების სისხლია ყოველ ნაბიჯზე. სასახლეს მარჯვენა მხრით შევდგომივარ. ვერავინ წამართმევს ამ ტვირთს დანიშნულ ადგილამდე.

ფეხდაფეხ მომსდევენ მოვიშვიშე ქალები, რაჟიკო ხუბუას მითხოვილი ლოყებდაკაწრული და — ველიო, ბიძაშვილ-მამიდაშვილები. სანთელივით გაცვილისფრებულ ეთერ დეის კი იღლიაში შესდგომია ძუძუმტე. მამისთვის ხელს ვერაფრით შეახებინებენ.

— საოცრად თბილი იყო მუდამ და მისი ქვაყინულოვანი სიცივე სამუდამოდ წამართმევდა მამასო, — თავს იმართლებს მოგვიანებით ძუძუმტე.

მე კი თავად გავაპატიოსნებ ბაბაჩიას და მიცვალებულისადმი რიდს თუ გლოვას იქ დავასრულებ.

პროცესიაზე საერთოდ მთელი რომანი დაიწერება. აქ უკეთესად ჩანს ადამიანთა სახეები, მანამდე შენიღბული თუ დაგრიმასებული, უტყუარი სარკიდან არეკლილივით კამკამებს.

ოთარი სეფიდან რომ გააძევებს გალეშილ მოგვარეს, სიტყვებით: ,,როდის იყო ხუფენია ქელეხში გამოტყვრებოდაო'', ზოგი ვერ გაუგებს, მაგრამ ჩემთვის ცასავით ნათელი ხდება: ღმერთად შერაცხული მშობლის სახელს ძუძუმტე არავის მიუგდებს ფეხქვეშ გასათელად.

ახლაც ყურში ჩამესმის მისი ათრთოლებული ხმა ზურგს უკან:

— დედა, მამას არ წაჰყვე!

მუდარაგარეული ეს კილო უმალ გელენახეს ამოატივტივებს ჩემში, ოდეს მამის გაცილებისა და ქელეხის შემდეგ, ციცქნა ოთახში მოვიჭუჭ- კებით. ყველას ღვიძავს, ცეროდენა დარიკოსაც კი და აქ ქვითინისა და კლარა ნარმანხესმიერი მოთქმის სანაცვლოდ თვალებს ამოგვიკოცნის გელენახე სათითაოდ, კრუხივით შემოგვიყუჟებს მკლავებში:

— ნურაფრის გეშინიათ, შვილებო, აგერ არ გყავართ! — ამასღა ჩურჩულებს და წაეწყობა მერე დღეები დღეებს.

— კოლხი ოთარაანთ ქვრივი! — ვასკვნი ჩემთვის.

უკან მობრუნების დროსაც ძუძუმტესა და ეთერ დეის სიახლოვეს მოვა- ბიჯებ და აწ ჯალაღონხე უმწეო ცრემლის ფრქვევით ამოიგოდებს ერთს:

— მარტო არ უნდა დაგვეტოვებინა, ნანა!

ჭირის სუფრაც უცნაურია. თბილისელი უთვალავი საპატიო სტუმრის, მამის აურაცხელი მეგობრის თუ სოფლის მრავალრიცხოვანი დამფასებლის მოპასუხედ თავად ძუძუმტე დადგება. ღვინოსაც ბლომად შესვამს. ხოლო მოასვენებენ თუ არა მეორე სართულზე, აბელ ჯალაღონია აგუგუნებულ ბუხართან დარჩება ოდინდელი ლაპლაპა ,,ტეტეთი''. ამოიღებს მჭდეს, ჩამოკენჭავს ტყვიებს, ისევ მუხტავს, თითქოს მუსულმანი კრიალოსნით ერთობაო.

— მოისვენეო, — ეტყვიან სახლეულები, მაგრამ თვალს რა მოახუჭვინებს აბელს?! აბზრიალებს ტეტეს, ალაპლაპებს ცხვირსახოცით და სულ ნაპო ბიძიას სიტყვები ჩაესმის ყურში:

— სქვამ რე, სქვამი, — ლამაზია, ლამაზიო, რომ გაუქილიკებს იარაღს წლების წინათ ჩუბინობით თავმომწონე ცოლისძმას ნიშნის გაბედითების გამო. ცხადია, ნასაუბრებით ჩვენ ცვრისხელადაც ვერ ამოვსრუტავთ ოკეანე — შურობუმუს, ვინაიდან წინ მრავალზე მრავალი ჭირთათმენაა კვლავაც. აქ პირობითი საზღვრის გავლებაც შეიძლებოდა წამით — ბუნიობისმაგვარი, თუმცა ვინაიდან წელიწადს თავისი კანონზომიერებანი აფერციაგებს, უკეთ პლანეტა დედამიწის ოცდაათკილომეტრიან ფრენას წამში მზის გარშემო, ათასწლეულები რომ აფიქსირებენ ქურუმები შუამდინარეთ-ეგვიპტე-კოლხეთისა, არაფერი დაშავდება — ერთგვარ გადასასვლელ ხიდს გავსდებდეთ აღქმულ სინამდვილესა და განსაცდელს შორის: რამდენადაც მკაცრი პერიოდი შერჩეულა ჩვენი თვითმყოფადი მეობის წარმოსაჩენად, იმდენად მცხუნვარე დღეებია მოსალოდნელი წაგვრილი, გათელილი თავისთავადობის გასაცნობიერებლად. ასე თუ ისე, ხან სევდით, ხანაც — გულისტკივილით შეგვისისხლხორცებია ჩვენებურების განუმეორებელი ხასიათები, ამიტომაც თამამად შემიძლია ,,სუფევის'' მრავალწიგნეულს ჟანრობრივად ფოლკსრომანი დავარქვა, რომლის შემოქმედი ხალხია, ჩემი შურობუმუს მკვიდრი ათასწლეულებიდან; ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ენგური კავკასიონიდან დაეშვებოდეს, ხიპერბოლურად, გამგონესთვის, ჩვენი ძირძველი კოლხის ჯიში და ჯილაგი, ოტობაიელებში განივთებული, განსულიერებული და გამობრწყინებული ათას სახე-იერად და თუ მისი მამოძრავებელი იმპულსი ძუძუმტეებია აქა-იქ, ლამის მარჩბივი ძველქართულით, განა დაბადებულა ოდნავ თავმისაყრდნობი ნაწარმოები, რომელსაც რაიმე კანონზომიერება, რაიმე არტახი თუ ულო არ კრავდეს გაუფანტველობის თვალსაზრისით?!

ჯერ კიდევ თხზულების კარიბჭესთან მთვარიანში ნაპო ბიძიას ნაყანარში აჭრილ სიმინდებს ქამრებად მაფატიები შემოსჭერია, რათა მერმე ჭოლოკებით ადვილად აიტაცონ ხაერში ტოტებზე ჩამოსაკონწიალებლად. ხოდა, ისეთ უპრეტენზიო მცენარეს, რომელსაც პირუტყვიც იშვიათად ეტანება ხალისით, თუკი სჭირვებია შემკონავი ძალა, ნაწარმოებს — მით უმეტეს.

ეს მეთოდიკა არც მომავალში განელდება იოტისოდენად, ვინაიდან იშვიათია ღონისძიება აფხაზეთში, სადაც ძუძუმტეს ჩემთვის არ ჩაესწროს, ან — პირიქით.

ორი კუთხიდან შეგვიხედავს ერთი და იმავე მოვლენა-ვითარებისთვის: როცა ერთი სანგრებში დაიარება, შიმშილით მისავათებულ პენსიონრებს არსებობის მცირე საშუალებას უწილადებს მეორე ; როცა მაისელი პარლამენტარებთან არკვევს პოზიციებს, ძმადნაფიც მწერლებთან ალალმართლად ამოიფერ თხავს გულს მომავლის უპერსპექტივობით შეშფოთებული სექტემბრელი, მაგრამ მოსალოდნელია ,,მეიროხანში'', ,,ფადა ასსა'' თუ სხვაგან მეტის ცხოველმყო- ფელობით წარმოჩინდნენ უშუალოდ სიტუაციის გმირები, თუნდაც სოსო ელიავა — აფხაზურ-ქართული ომის კომპიუტერული გონება, ნოჩო ფაცურიას შვილიშვილი დედის მხრიდან, თუ წვერმოკვეცილი ვასილ ფეტელავას დასტაქარი უფროსი მოთა ვალერი, დღეს — ღამეს რომ გადააბამს დაჭრილების თავსსათუმალთან; არც ნეიროქირურგი ნაპო მესხიას მენცარული ბუნება დაგვავიწყდება გზადაგზა და აღარც — პარლამენტარ ჯემალ გამახარიას უტეხი ხასიათი; ნაბიჯ-ნაბიჯუამრავ მოკეთეს მიეგება პატივი პრინციპით:კეისარს კეისრისა და ღმერთს — ღმრთისა, ჯერ კიდევ მაჭარივით მბორგავს ჩემში.

ოტობაიაში კი ისევ ყივიან მამლები; ისევ აბზენენ კბილებს უჟანგავი მავთულბადის ღობეებს ადევნებული ქოფაკები; ისევ მიზოზინებენ ლევანიას მინდვრისკენ ჩემი სამოხიოელების კამეჩები; ისევ დაკუნტრუშობენ განმუ- ხურ-ნაკარღალის თუ ხურჩა-ნაბაკევის ტრამალებზე სერაპიონის უფროსი ვაჟის, ბაგეკბილწამტვრეული, ნაცხაცხელი ვახტანგ ხუფენიას ცხენების თვალწინ ფაშატკვიცები; ძველებუ- რად ამოდის კვამლი ბუხრების ყელიდან; ჭრიალებენ ოწინარები კერამიკის თუ ბეტონის გვიმების თავზე და იჭირხლება მთვარისგან ყველგამოსახული ზანთარაიების ღელე; ძველებურად მეჯუჯღუნება უცოლობაზე დაბამბულით გაგვაჯული გელენახე;ძველებურად ამღერებენ ნარდს იაშა აშორტია, ქანქანესა და ნოდარ გამსახურდია ამ უკანასკნელის წყლით გასატიკნად ან ,,კოლხეთის'' თუ ,,კოსმოსის'' ღერების დასაცინცლად; ადრინდელივით ამოდის მზე ჩვენი ოჯახისთვის დასავლეთიდან და ჩაესვენება აღმოსავლეთით; კვლავინდებურად მიქილიკებს ბუტიაობის პერიოდში გამოგზავნილ ამანათებს გელენახე, სამახარობლოს რომ მოსთხოვს თავიდან თამშუქ მარღანიას ენამოკიდებული ვახტანგი, მაგრამ იქიდან ჰომეროს-დანტეები და შექსპირ-გოეთენი რომ ამოანათებენ, თავს ჩაღუნავს, შარვლის ტოტს წინდაში ჩაიტნევს, მოაჯდება ჭიშკარზე მიყუდებულ ველოსიპედს და უტევს მორიგი ბარათის თუ დეპეშის ჩამოსარიგებლად. დიახ, სამშობლოს ზედმიწევნით შეტკობობა თუ გწადია, იანვარში მიაკითხე მის გადაბროლილ სანახებს, იანვარში მოისაკლისე დედულეთის იისფერი ლაჟვარდების უსამნობა, იანუსის თვეში იცოტავე გაძვალულ ძეძვებში შაშვების გაჭახჭახება და ზღვაურის ამობერტყილი ღრუბლების მოჯარება შურობუმუს ჭირთამძლე ცაზე.

1997 წ.

მეიროხანი

მართუ პირველი

ამინ, უკვდავება შენი!

დიახ, ნაბდით დაჭედილი ბედაურებით ჩაიქროლებენ ცხრაასოთხმოცდაცამეტი... თოთხმეტი... თხუთმეტი... თექვსმეტი... ჩაიქროლებენ კბილების ღრჭიალით, პოლიტიკური ბატალიებით; მრავალ უმწეო მზერას და უნუგეშოდ გაწვდილი ხელის სევდას გაიყოლებენ თან... საკუთარ მიწა-წყალს მოწყვეტილი 300 ათასი ქართველის სიმწრის ოფლის ნიაღვარში მივტოპავთ ჯერაც. ძახველივით ანათებს აქა-იქ მშობლიურ კერას მალულად მიბრუნებული თვისტომის მკერდიდან გულბოროტი მტრის ხელით გადმომსკდარი სისხლი.

მძევლები... მძევლები... პოტენციურ მძევლად ორმოცდაათი ათასი სამურზაყანოელი. საშველი კი მაინც არსაიდან ჩანს. არც გვირაბის ბოლოს კიანთებს რაიმე ნაფლეთი შუქ-ნათლისა. ამ ოთხი წელიწადის მანძილზე რამდენიმე ათეული კაციღა მიუბრუნდება კონსტიტუციურად მამულს თავისას ლტოლვილთა დივიზიონიდან. თანაც გაურკვეველია ჯეროვნად, რომელ მაცილს გადავულოცავთ მათ სვეს, მათ ბედ-იღბალს. მივაბიჯებთ შემკვრივებულ წკვარამში, ისე რომ, თვალთან თითის მიტანა ჭირს და არც ხავსი ილანდება სადმე ხელჩასაჭიდ ბოლო ნუგეშად, მაგრამ გაუტეხელია ქართველის ნება: როგორც ორაგულები ესწრაფ- ვიან მშობლიურ მდინარეთა ძვირფას სათავეებს უფრო ჯანსაღი შთამომავლობის გასაგრძელებლად, ისე კუნაპეტი ღამიდან ფურკამეჩ-შებმული ურმებით, ჯაგლაგცხენიანი საზიდრებით, ურიკების ყანყალ-ჭრიალით, მიედინება და მიედინება პრეისტორიული სისხლი იავარქმნილი ნაფუძრებისკენ.

იციან, დიბა-ფარჩებითა და ჯეჯიმებით იქ მათ არავინ შეეგებება: პარტიზანთაგან დახოცილი ყოველი სეპარატისტის სანაცვლოდ ათი მშვიდობიანი ქართველის სიცოცხლეა სასწორის პინაზე შეგდებული, მაგრამ იოანე ზოსიმესი არ იყოს, უკვდავია გეორგიანელის სული, და შენი ეკლიანი გზებით, იარე ღვთისმშობლის წილმხვდომილო ქვეყანავ! შენი ბილიკ-წავარნა ათადან და ბაბადან მოყოლებული ორ ურჩხულს შორის წაკლაკნილი ვიწრობია ჰგავს ფეხშიშველა მგზავრისთვის დაკბილული და გათარანებული უსაზმოდ...

მეკითხებიან ოტობაიელები — თანასოფლელნი ჩემნი — გური ოტობაიას:

— სადაც არის ხუთი წელიწადი მიიწურება, რაც მამის საფლავი არ მოგინახულებია, საკუთარ მამულში არ გაგივლია. აფხაზი სეპარატისტები რომ ბობოქრობდნენ, ჰო, საშიში იყო შემოსვლა, საფრთხილო, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი მიწყნარებულა და განმუხურის ხიდით ორი ,,პაზიკიც'' კი დაიარება ჩვენსას, მშობელი ხალხის სატკივრებს რისთვის გაურბიხარო, — და ამისთანა მიამიტებისთვის ყოველთვის ხელთა მაქვს მათეს შეგონება: ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, რამეთუ გათელონ ფეხით და წაბილწონ დინგითა იგი. ესეც რომ არა, გური ოტობაია, რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამშობლოში, ან იარაღით უნდა შევიდეს, ან კიდევ — კანონის ძალით. სხვა მხრივ, მალულად, იჩქითად ცრემლს ვერ დააპკურებს მამის უკაცრიელ საფლავს; მანამდე კი იგი იბრძვის სიტყვით და როგორია პაექრობა ესე, გზადაგზა თავად განსაჯეთ: მოკლედ, წინ, ქართული ჯილაგის აღსაზევებლად ჯიშო, ჩემო! წინ, უდაბნოში აბსტრაქტულ მოსეს ადევნებულო მრევლო! წინ, ქანაანისკენ და საუკუნო სასუფევლისკენ! ჩემი სული ცისფერი ოაზისია წყურვილით დაშაშრულ შენს ბაგეთათვის! ჩემი სული სავანეა უძილობით ჩადაისებულ თვალთათვის შენთა! ჩემი სული კვარცხლბეკია საუკუნის უღელტეხილებში ნაწრთობი შენი სხეულისთვის! ჩემი სული ბუდეა შენი ყაშყაშა მართვეების ასაფრენი!

მაშ, წინ და მხოლოდ წინ, მამულო ჩემო! სხვა საშველი ისედაც არსაიდან ფაჩუნობს სცილას და ქარიბდას შორის მიმავალი მარადიული მგზავრისათვის! მაშ, წინ, წინ და მხოლოდ წინ, საკუთარ სისუსტეებზე გადაბიჯებით, საკუთარ ტკივილებზე გამარჯვებით და ამინ, ამინ უკვდავება შენი, დედა საქართველოვ!

რეანიმაციული სამი
წელიწადის შემდეგ

აპერიოდული გაზეთი „ოდოია“ რეანიმაციული ოცდათექვსმეტი თვის შემდეგ თავაწეული ეთხოვება სიცოცხლეს ჟურნალ „კირბისის“ სასარგებლოდ, პრინციპით: „კეისარს — კეისრისა და ღმერთს — ღმრთისა“.

საქმე ის გახლავთ, რომ ეფემერული სპონსორობის იმედით „ოდოიას“ ერთადერთი ნომრის გამოცემაღა მოხერხდება.

წინდებული პუბლიკაციაც ფაქტობრივად ჩვენი მომავალი საქმიანობის პროლოგ-ეპილოგია. ცხადია, დაცულია „ოდოიას“ პირველი ნომრის პრინციპების გენეტიკური მემკვიდრეობა, თუმცა საწუთრო შავ-თეთრი ტილოებით გაძეძგილა და მკითხველი საზოგადოებაც გაგებით მოეკიდება, ალბათ, იმ აზრს, რომ საგაზეთო ჯიხურებში არასოდეს გამოჩნდება იგი ახალი აღთქმის შეგონებისამებრ: „არის ქვების შეგროვების და არის ქვების სროლის დრო“. და რადგანაც „ოდოია“ ვერ შეძლებს მრავალი ორგანიზაციული საკითხის მოგვარებას, ბუნებ- რივია, პერიოდული გაზეთის იერსახის უქონელი, ციცინათელას ელვარებით სიარულს არ ინებს.

უტრანსპორტო და უკავშირგაბმულო კოლხეთში საფოსტო მტრედებით მასალების მოძიება-მოხელთებაც, დაგვეთანხმებით, ერთობ გაჭირდება და, უდაბნოში გაჩენილ მდინარესავით უდაბნოშივე დაიშრიტება ოკეანეში ჩაუღ- წევლად.

„ოდოიას“ მატერიალურ-ტექნიკურ ნიუანსებზე, ვგონებ, საკმარისად ვილაყფეთანით, მაგრამ მკითხველისთვის არანაკლებ საინტერესოა, ალბათ, ჩვენი პოლიტიკური პლატფორმის გაგებაც.

ჩვენ კვლავაც ჯიუტად მივუყვებით თავდაპირველად არჩეულ გზას მოვლენათა შეფასებისას: ეს გახლავთ ზომიერების გრძნობა, ოქროს კვეთის კლასიკური განცდა — Aurea mediocritas, რადგანაც გულთმისან ბერძნებს თუ ვერწმუნებით: ჭეშმარიტება სწორედ რომ შუალედური მოსაზრებაა. ამას ზედ ერთვის სამხარეო გაზეთ „კოლხეთის მაცნეს“ („ენგური“) მიწიერი გამოცდილებაც:

„მოვედით განსაწმენდავად, განსანათლებლად და არა — შურისგებისთვის ჰერაკლეს ერთ-ერთი გმირობის კვალობაზე ავგიას მიმართებაში“.

მაშინ, იმ ამღვრეულ პერიოდში, არ დაკონკრეტდება „ავგიას მიმართებაში“ რასაც ვგულისხმობთ, ვინაიდან დასახელებული საჯინიბო ყველასთვის ცნობილ ფენომენად წარმოგვისახავს. თუმცა, როგორც ჩანს, კომენტარები საქმეს არც ამჯერად აწყენს:

„ჰერაკლეს უამრავი გმირობიდან ყველაზე ვაჟკაცურ და მამულიშვილურ საქმედ მიჩნეულია ავგიას თავლების დასუფთავება, რომელი თავლებიც წლობით არ იწმინდებოდა ფეკალური მასისაგან. მხოლოდ ჰერაკლე არ ითაკილებს საჩოთირო შრომას; ერთი მხრიდან მისმიერვე გათხრილი არხით მდინარე ალფეის ტალღებს მიუშვებს საჯინიბოში, მეორიდან მკერდით მიაწვება იმ ამაზრზენ მასას. მარტივად რომ ვთქვათ, გულზე გადაიტარებს საშობლოს დამამცირებელ დარდუბალას და ნაცარქექიები მიმსგავსებული საქმეებისთვის თუ მოვმართულვართ, დაე, საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს ჩვენ!“

როგორც აღვნიშნეთ, სექტემბერში სამი წელიწადი შესრულდება „ოდოიას“ პირველი ნომრის გამოსვლიდან. ბუნებრივია, ჩვენ იმთავითვე ვითვალისწინებდით საქართველოში შექმნილ ურთუ- ლეს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და აქედან გამომდინარე გაზეთს აპერიოდულსაც კი ვუწოდებთ, მაგრამ მთლად სამის- დღემშიოდ თუ მოგვიწევს პირის მომუწვა, ნამდვილად ვერ ვიაზრებდით.

ტანის ხანის ერთ-ერთ ჩინელ პოეტს იმპერატორის მოხელენი ეწვევიან. ის პროვინციელი მგოსანი სათევზაოდ წაბრძანებულა და სტუმრებს დიასახლისი უმასპინძლებს საკადრისად, თუმცა შეკითხვაზე: წავა თუ არა მისი თანამეცხედრე მეფის კარზე სამსახურად მწიგნობართუხუცესის ხალათით, ანუ ლებანიძისეულად თუ ვიტყვით, ჩაჯდება თუ არა ხელმწიფის ნავში, ცალსახად აუხსნის:

— ტყუილად უცდით, რადგანაც დაბეჯითებით ვიცი, ჩემ კაცს ხელისგულისოდენა ხორცის ნაჭერი ჰყოფნის და ამის გულისთვის იმპერატორის კარზე წაბრძანება უაზროა, როცა აქაც საკმარისად მოიპოვებაო, — იტყვის ამას და დაიფერთხავს კაბის კალთას.

არ დაუჯერებენ დიასახლისს და საკეს მიძალებულნი დაელოდებიან პოეტის გამოჩენას. და აი, მობრძანდება იგიც, კონკია, სამყაროს შვილი, ისეთივე პირველყოფილი, როგორც თავად უკვდავი ბუნებაა.

გაცვლიან სალმებს და გადასცემენ სტუმრები იმპერატორის დანაბარებს, თანაც ცოლის პასუხსაც აუწყებენ გამომცდელის მზერით.

— სწორი ყოფილა ჩემი მეორე ნახევარი, — ჩაეღიმება ოჯახის უფროსს, — და იმედს გადაუწურავს იმპერატორის მოხელეებს.

მაშინ გაწბილებულნი სთხოვენ პოეტს აზრის გამოთქმას ძალა-უფლებაზე.

ისედაც ვიწრო თვალები ახლა მთლად მოეწკურება მგოსანს და ბრძანებს დაუფარავად:

— პოლიტიკა რა ხილიცაა ძნელია ჩემთვის განსამარტად, მაგრამ პოლიტიკაში ყოფნა რაც გახლავთ, მესმის, და თუ არ მიწყენთ, გაგიმხელთ: არაფერი ისეთი საგანგაშო: ორ კალთამადლიანს შორის წოლა, — აღმოსავლელს ეყოფა გამოცდილება სიტყვა „მეძავის"ნაცვლად „კალთამადლიანი " მოიშველიოს, — მარჯვნივ მიბრუნდები?! კალთამადლიანი შეგრჩება ხელთ. მარცხნივ მიტრიალდები?! კალთამადლიანის სიყვარულის მორევში აღმოჩნდები ისევ.

სად ჩინელი პოეტის სიბრძნე და სად ქართველი გური ოტობაიას უბადრუკი სუფევა, მაგრამ უდაბნოსა შინა ღაღადით ქრისტეს ბილიკების განმზადება როგორი უმადური შრომა ყოფილა, ისტორიაც დაგვანახებს.

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგანო", გვასწავლის გულთმისანი მოშაირე და იქვე დასძენს: **„ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო"** და უკეთ რომ გავერკვე საწუთროს ალიანჩალიანში, კვლავაც კოლხეთს მოვუბრუნდები — ჩვენი ყოფიერების ეპიცენტრს მრავალი ასპექტით, ეპიცენტრსა და პასუხს ამავდროულად ჰაერშიგამოკიდებულ უამრავ ამოცანაზე.

არავის ეგონოს სამსაათიანი პურის რიგებს გამოვექცევი დედაქალაქიდან, ან ის რწმენაღა მომასწრაფებს დედულეთში, რომ ჩვენს ფანჯრებში ვითომ ნაკლებად აკაკანდება კალაშნიკოვის ავტომატი?!

სამეგრელოში ჩამოსული მართლაც თვალის ერთი შევლებით აღვიქვამ „ერთიანი" საქართველოს სატკივარს, უკეთ დიდი ილიას დასესხებით, ჩამოვალ სამეგრელოში და ვიხილავ სრულიად საქართველოს, ვიხილავ ნაწილში მთელს, როგორც მიკროსკოპქვეშ შეგორებულ წვეთში — ვრცელი ოკეანის ბობოქრობას.

ათი ათასი ტირაჟით დასტამბული „ოდოიას" „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში შეტანა უაზრობაა. მარტივად რომ ვთქვათ, ხალხს გაზეთის ფული კი არა პურის გროშები ძლივს უჭყავის ჯიბეში და მეც წარბის შეუხრელად გავასაჩუქრებ. „ოდოიას" ერთი ნომერიც არ გაჰყვა მაკულატურას . იგი უკლებლივ მიუვა ინფორმაციული ვაკუუმით ბაგედაშაშრულ მკითხველს და ჩემდა ჭირად ერთობ პოპულარული შევიქნები არა მხოლოდ კოლხეთში: „ოდოიას" პირველი ნომერი ხომ გური ოტობაიას ბენეფისსაც ჰგავს რამდენადმე, რადგანაც მისით ფაქტობრივად ზედმიწევნით ეცნობა ერთმანეთს მკითხველი თუ გამომცემელ-რედაქტორი.

უამრავ მეგობარს შევიძენ ერთბაშად, ასევე — მოშურნეებსაც, რომლებიც დაუფარავად მიმხელენ:

— ნუთუ მართლაც ესოდენი წარმოდგენა გაქვს საკუთარ თავზე?!

— გამუდმებით საკუთარ თავზე წერს, თავისთვის წალდავსო, — გამკენწლავს ერთი მეგობარი პოეტი.

მავანი მოუკრეფავში გადავა და „საშიშზე საშიშ პიროვნებას" მიწოდებს, რადგანაც მისი ჭკუით, „ნახევარ სიმართლეს ვამბობ", სიკეთესა და ბოროტებას ერთ სინჯარაში ვაზავებ.

სხვა, ფრიად განსწავლული და წუთისოფელზე ჩაფიქრებული ხელოვანი, „ამიერიდან ნუ მომესალმებიო", შემიბღვერს და იქიდან მოყოლე- ბული ამ სამოთხეთა გამოჩენისას გაჭვარტლულ შუშებს ავიკრავ თვალისჩინზე, გნებავთ მოქუფრული ამინდი ბაბანებდეს გაერთ. მეათასე მთლად ირონიით დამცეცხლავს:

— შენ რა, ილიაობა მოგინდა?!

— რატომ, ძმობილო, ნუთუ ჩემი შუბლი ვიწროა სამამულო ტყვიისათვის? — გავიოცებ ყასიდად.

— დაგაგვიანდა და ეგ არის, — კბილებში გამოსცრის იგი, — ილია 24 წლის იყო, როცა სამშობლოში „მგზავრის წერილებით" ჩამობრუნდა.

— ჭეშმარიტებას ღაღადებენ თქვენი ბაგენი, — შევაგებებ მოჭარბებული პათეტიკით, — ზოგი 24 წლის ასაკში იღვიძებს და ზოგიც — 42 წლისას-მეთქი.

მოკლედ, სამი წელიწადია ვაგროვებთ კენჭებს და ვეძებთ ხელსაყრელ დროს მათ განსაბნევად.

აჰა, ამისი ჟამიც მოახლოებულა. მართალია, ამ გამოცხადებას უსწრებს წუთისოფლისგან მომადლიერებული თუ საკუთარ წიაღში გაცისკროვნებული უამრავი აღმოჩენა, მაგრამ ყველაფერზე — თანამიმდევრულად...

მეცენატები ჩემი...

ვალერიან მიხაილოვიჩი

სპონსორების ძიებაში დაქანცულს, მეტყვიან:

— შენი მშველელი ფოთის ნავსადგურის უფროსის, ვალერიან გეგიძის, მეტი არავინ არისო და მეც მაშინვე ისტორიული ფაზის-ქალაქისკენ ავიკრავ გუდა-ნაბადს.

ბინდბუნდია.

ნავსადგურის ადმინისტრაციული შენობის უფროსის მოსაცდელთან ორმოცდაათამდე პიროვნებას მოუყრია თავი. ვის, რანაირი ჯურისას არ შეხვდებით აქ?! გაიგონებთ რუსულს, ინგლისურს, აზერბაიჯანულს, სომხურს და ვინ მოსთვლის. მომლოდინე ხალხში უმეტესი იარაღასხმულია, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილებს იღლიაში თერმომეტრივით გაუჩრიათ „მაკაროვი“ თუ „ბრაუნინგი“. ამ სმოგსა და სიმჭიდროვეში ძლივს მოვიძიებ ჩემთვის მოხერხებულ ყურეს, ტექნიკური მდივნის ხელმარჯვნივ. ეს ქალბატონი მეტად ყურადღებიანია, წყალსაც კი დამალევინებს მოთხოვნისამებრ. მე ჩავაწერინებ გეგიძესთან ვიზიტის მიზანს და მოვლენების განვითარებას დავუცდი.

დერეფანში ექსტაზიანი საუბარია იტალიურ პურის ფქვილზე, ბულგარულ შაქარზე, ბრინჯსა და ბენზინზე. არის ბაასი პროცენტებზე, „მერსედესისა“ და „BMW“ მარკის ავტომანქანებზე. სოხუმიდან რაღაც თვეების წინათ სამარცხვინოდ გამოვქცეულვართ და თვალსა და ხელს შუა დაგვივიწყებია ეროვნული ტრაგედია.

გაღეღილი, ბანჯგვლიანი მკერდიდან მოუჩანთ ოქროს ზორბა ჯვრები. უტიფრად ფარჩხავენ თითებს და მოუზომავად იცინიან. მათი შემხედვარე იგრძნობ, რომ ადამიანს ჭიანჭველადაც არ აგდებენ. იარაღსა და ფულს პუჭურა „ღმერთის“ იერსახე მიუნიჭებია მათთვის და გასაკვირია განა, საქართველოში შემოსულ ნებისმიერ ქარავანს ესენი აკონტროლებდნენ?! საქონლის საერთო ღირებულების ათი-თხუთმეტი პროცენტი მათ ჯიბეში მიჩხრიალებს. თავად მათი ტვირთი ბაჟისგან განთავისუფლებულია. ესენი ხომ რეკეტთა რეკეტები გახლავან?!

„მიხაილოვიჩი“ იგვიანებს. ასე ეძახიან ახლობლები ნავსადგურის უფროსს, ბატონ ვალერიან გეგიძეს. მე არ ვიცნობ მას. ხოლო დერეფნის ორსაათიან ყურყუტში ყურმოკრული საუბრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჯიგარი კაცი უნდა იყოს:

„გაჭირვებულ ადამიანთათვის ხელგამართვა მისი სტიქიაა. ფოთში ის განაგებს ყველაფერს. მელია ჩექმაში ჩასვა, რადგანაც მელია მარიაჟობდა ზვიადსა და შევარდნაძეს შუა“.

რას არ მოისმენ დერეფანსა თუ მოსაცდელში ხელგამართვის მომლოდინე?

ფოთში უკვე სრული სიბნელეა, უკიდეგანო წკვარამი. კაბინეტიც სავსეა საეჭვო ტიპებით. საქმიანი ხალხი მძიმე სავარძლებში სხედან და ელექტრო-ფანრის შუქზე უცდიან ფოთის ნავკოსალარს.

სიგარეტის კვამლი ღრუბელივით ჩამოწოლილა ნავსადგურის უფროსის კაბინეტში. მდივანი ქალი საფერფლეების დაცლას ვერ აუდის.

ამასობაში მოსაცდელში ტელევიზიის ხალხი შემოდის. „პანასონიკის“ საკონტროლო ნათურის შუქზე ვცნობ ტელეკომპანია „კავკასიის“ პრეზიდენტ დათო აჭუბარდიას. იგი ამას წინათ დიდ პატივს დაგვდებს და საკმაოდ მიმზიდველ რეკლამას გაგვიწევს „ოდოიელებს“. შემდგომ ამას სხვა ტელე-პროგრამებიც აუბამენ მხარს.

გეგიძეც კოლეგების გარემოცვაშია. შევლენ კაბინეტში და ჩაიკეტებიან. წუთი წუთს მისდევს. მოთმინების ფიალაავსებული მთხოვნელები, რომლებიც უმეტესად ოჯახური სიდუხჭირის გამო მოსულან და რამდენიმე დოლარით ხელგამართვას ელიან, ფეხს არ იცვლიან კვლავინდებურად. ხოლო შეიარაღიანებულნი, მდივნის დაუკითხავად, უდიერად შეალაჯუნებენ კაბინეტში, ან სწრაფად გამობრუნდებიან კმაყოფილის იერით, ან კიდევ რამდენიმე წუთის დაყოვნების მერმე, საქმიანი გამოხედვით მედიდურად მიხურავენ ფუმფულა კარს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ღამის თეთრმეტი საათია. მდივანი ამჩნევს ჩემს შეჭირვებას, მაგრამ თვალებით მანიშნებს: რა ვქნა,

უფროსის მყუდროებას ვერაფრით დავარღვევო, და აი, ზარის წკრიალიც: მესმის ჩემი გვარი, პასპორტის ტრანსკრიპციით კი არა, სწორედ რომ ფსევდონომით:

— მოუხმეთ გური ოტობაიას, — ბრძანებს სელექტორი და მეც მისდაუნებურად კაბინეტისკენ მივაბიჯებ. როგორც ჩანს, თავიანთი საქმის მოსტუმრების შემდეგ, ტელეკომპანია „კავკასიის" მესვეურებს გავახსენდები. ჩემი წარდგინებაც მათი ინიციატივიდან მოდის. არ იშურებენ ჰიპერბოლურ შტრიხებს. მეგრული პოეზიის უგვირგვინო მეფეს მეძახიან და მეც თავს ვიქაჩლებ. ერთი ფრაზა მახსენდება რომელიღაც ტრაპეზიდან:

როდესაც მავან პიროვნებას უზომო ქება-დიდებით გულს აუჩუყებენ და ცრემლსაც აღვრევინებენ ჯეროვნად, სამადლობელ სიტყვისას ეს გვამი ამნაირად შეეხმიანება თანამეინახეთ:

— ბატონებო, ის კი არ მიკვირს, ყველა რომ ამდენს მაქებდით და მადიდებდით, არამედ სიმართლის ნიშნად მეც დიდის ამბით გიქნევდით თავსო.

ბატონი ვალერიანი გახარებულია ჩემი გაცნობით. მე ვჩუქნი მას „ოდოიას" პირველი ნომრის ეგზემპლარებს, რომან-ტრიადა „სიცოცხლე მისჯილების" პირველ წიგნს მსუყე წარწერით; მრავალტომეული „ნობელის პრემიის ლაურეატების" სასიგნალო გამოცემას — უ. ფოლ- კნერს. ასეთივე მსუყე წარწერით მიმასპინძლდება ნავსადგურის უფროსიც. გადმომცემს სავიზიტო ბარათს, ბურთულებიან კალმისტარს ქაღალდის საჭრელითურთ.

ყველა პრობლემა მოგვარებულია. აშენებულია ცათამბჯენები. ჩემს ფეხრთით ყრია შავი ზღვის აუზის მთელი ავლა-დიდება. კოლხეთის აღორძინებისთვის თავგადადებული გაზეთი და მისი რედაქტორი საარაკო კვარცხლბეკზეა ატყორცნილი.

უშუქობაა, მაგრამ რა ჭირი დამაძინებს?!

დოლბაიების ოჯახში საკადრისად მიმასპინძლდებიან. საუზმეს, სადილს და ვახშამს ერთად ვაგვარებ. იმავე ღამით შევთხზავ ხელშეკრულების ტექსტს, (მიმართვის ტიტულიან წერილზე უკვე დაფიქსირებულია სასურველი ვიზა) და გათენებას მოუთმენლად ველი. ვაყალიბებ კონტრაქტის პირობებს, რომ ნავსადგურის უფროსი სესხად მაძლევს ათი ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტ კუპონს ერთი წლით, უპროცენტოდ. სანაცვლოდ „ოდოიას" რედაქტორი უფასოდ უწევს რეკლამირებას ფოთის ნავსადგურს და აქვე უსასყიდლოდ გადასცემს გაზეთის ყოველი ნომრის 1000 ეგზემპლარს. ეს გახლავთ აღნიშნული ხელშეკრულების ალფა და ომეგა.

ჩემი ვარაუდები ასეთია: თუკი ნავსადგური აღნიშნული ოდენობის თანხას მართლაც გადმომირიცხავს, (ანგარიშები კი იცოცხლეთ, უამრავი გამაჩნია „ინდუსტრიაბანკში": სავალუტოც, სარუბლოც, საკარბოვანეცოც და ვინ მოსთვლის), ჩემს სანუკვარ ჩანაფიქრს განხორციელება ნაღდად უწერია: ბოლოს და ბოლოს დაარსდება მაღალპროფესიული გაზეთი — ერთი ბელეტრისტის ტრიბუნად წოდებული, რედაქტორის ხელწერითა და მსოფლგანცდით ცხებული; გაზეთი, რომელიც მთელი ქვეყნის ჭირ-ვარამს ხელისგულზე მიართმევს სრულიად საქართველოს.

დილით ჩემს გულღია მასპინძელს ვეახლები. კვლავაც იგივე ხალხმრავლობაა, კვლავაც იგივე ბაკქანალია. ხელშეკრულების ტექსტი გადაბეჭდილია და ყოველგვარი ინსტანცია შემოვლილი. აჰ ა, ხელმოწერის ცერემონიალიც! დაესმება ბეჭდები და თითქოს თავი ქუდში მაქვს, თუმცა როგორც ქვემოთ დაინახავთ, უბედურებაც სწორედ რომ აქედან იწყება.

უკვე ჩვენი ერთობლივი ხელშეკრულების რამდენიმე ქსეროასლი არსებობს. ჩემი განცხადებანი და თავად ორმხრივი ხელშეკრულება ჩაბარებულია სათანადო სამსახურს. ბუხჰალტერია გაფრთხილებულია. ეს ქალბატონი ტომით ჰაიასტნელია. ფერიც ერთობ შემღვრევია და ხასიათიც.

მეუბნებიან: ასი დოლარი უეჭველადაა მოსამზადებელი მისი მადისთვისო და მეც ყევერის ვალს არ ვუშინდები. რეკვიზიტების დაზუსტება ვერანაირ ნუგეშს მარგუნებს. ფული არ აღმოაჩნდებათ ნავსადგურელებს. ბატონი ვალერიანი თავის იმართლებს, ცოტა ხანიც მაცალე და ყველაფერი რიგზე იქნებაო; მოგვიხსნიან ყადაღას და საქმესაც ეშველებაო.

ორშაბათს სამშაბათი მოსდევს, სამშაბათს — პარასკევი, პარასკევს — მომდევნო თუთაშხა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. „ყადაღას" კი ვერანაირად მოიცილებს ფოთის ნავსადგური. არადა, აღმოვაჩენ, რომ მათ თბილისშიც გააჩნიათ ბანკი, რომლის მეშვეობით თავისუფლად შეუძლიათ ფულის გადმორიცხვა, მაგრამ სადღაა ახლა თავად გეგიძე? ხან ამერიკაშია, ხანაც — ინგლისსა თუ ესპანეთში; ან თავად მისი ხელქვეითები დაიარებიან თურქეთს თუ ბულგარეთს, უმათებოდ კი ჩემი საქმე ვერაფრით მოგვარდება. საკმარისია თუნდაც ერთი კომპონენტი აკლდეს ამ პროცესს, რომ ჩემი მეორმოცე თუ მეერგასე ვიზიტი წყალში ჩაყრილა.

ტექნიკური მდივანი მოუშინაურდება ფოთის ნავსადგურის უფროსის მისაღებში ჩემს გეგმა-

ზომიერ მიმოსვლებს. მე უკვე ზეპირად ვცნობ გეგიძის კაბინეტის შეჭირვებულ მრევლს. ამას ემატება მრავალი ხელმოცარული კალმოსანი თუ სპორტსმენი, ავადმყოფი თუ ბიზნესმენი. მოდიან, მიდიან...

გულს უფრორე ის მიხეთქავს, რომ გეგიძე ყოველთვის ახალ-ახალი დაპირებით მისტუმრებს. დახმარებაზე უარს მტკიცავდეს, კიდევ ჰო, ავიკრავდი გუდა-ნაბადს და ჩემს გზას ვეწეოდი, მაგრამ გაგონილა! კვლავინდებურად მეგობარს მიწოდებს, კვლავინდებურად რაღაც საბანკო საქმიანობით შეფორხილებას იმოწმებს და ამასობაში წელიწადიც მიიწრიტება.

ფოთში უთავბოლო მიმოსვლები ბატონ ტარიელ ქანთარიას ბოძებულ მილიონ რუბლსაც შემოიფლანგავს და სხვათა შემოწირულობებსაც მოინელებს, მაგრამ მაინც ჩემსას არ ვიშლი: „ქავა გუტტა ლაპიდემ"*-მეთქი, ვიმხნევებ თავს და იობის მოთმინებით ველი აღთქმულის აღსრულებას, მაგრამ, როგორც იტყვიან — თან საქმე.

ორ ზღვას შუა...

— ყველაფრის თავი და თავი იყო, არის და იქნება საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ზემლიაკ, გური, ძამა, რელიგიათა, ტერიტორიათა, სავაჭრო საშუალებათა გზაჯვარედინზე ყოფნა, რაც ცხადია, ზედმიწევნით განაპირობებდა და უნდა განაპირობებდეს წესით მისი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს.

ჯერ ერთი, გუბაზ მეფის ზეობის ხანაში ფარტაზისა და აეტის ცნობილი რიტორიკიდან მოყოლებული, საქართველო დროსა და სივრცეში იყო ორ ზღვას შუა საომარი ლელო. ქვეყანას ჩვენსას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვგულისხმობთ დავით აღმაშენებლის, თამარის ეპოქებს, დამოუკიდებელი აზროვნების საშუალება არასდროს ჰქონია. ის ან რომის ვასალობას ამჯობინებდა, ან— მუსულმანურ სამყაროსთან კონტაქტებს.

ეს დილემა უფრო გამოკვეთილად XVIII საუკუნეში ამოტივტივდა ერეკლე II-ის მეფობის ჟამს. ცნობილ პოემაში ბარათაშვილმა თვალსაჩინოდ დაგვიხატა ქართული სულის მდგომარეობა: თავისუფლებასაც ვერ ველევით (სოფიო, ლიონიძე), მაგრამ არ არსებობს ამ თავისუფლების რეალურად შენარჩუნების გარანტიები ერის შიგნით. საჭიროა ქვეყნის დამცავი მექანიზმის პოვნა ფიზიკური განადგურებისაგან.

კვლავ დილემის წინაშეა ქართველი კაცი.

ვისთან? რომელთან? მუსულმანურ სამყაროსთან, შენს თვითმყოფადობას იავარქმნით რომ ემუქრება, თუ ერთმორწმუნე რუსეთთან, რომელიც ყოველნაირად შეეცდება შენს ასიმილაციას, თუმცა ფრთხილი პოლიტიკის წყალობით შენი თავისთავადობის გადაარჩენის რაღაც შანსი არსებობს?!

აჰა, ჩვენი მოღვაწეობის პერიოდში უკვე მერამდენედ ამოტივტივდა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი:

ვისთან? ისევ რუსეთთან თუ მუსულმანურ ქვეყნებთან?!

სხვანაირი ახსნა წინდებულ ალტერნატივას არ უწერია. გამოდის, რომ მთელი თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს დამოუკიდებლობის განხორციელებისათვის ეროვნული ენერგია არ ჰყოფნიდა.

ცხრაასჩვიდმეტი წლის რუსეთის წაბორძიკებით მოპოვებული ჟორდანიასეული თავისუფლება და ცხრაასოთხმოცდაათი წლის საბჭოეთის წაბარბაცებით მოხვეჭილი გამსახურდიასეული თავისთავადობა, ტყუპისცალივით ჰგვანან ერთმანეთს, ვინაიდან, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ჩვენს თავისუფლებას გარეგანი ფაქტორები უფრო კვებავდა და არა მხოლოდ შინაგანი კანონზომიერებანი.

თავისუფლება ჩვენ რევოლუციის გზით, სახალხო აჯანყების მეოხებით არ მოგვიპოვებია. ისტორიული გამოცდილებით კი ადვილად მოპოვებულს ადვილადვე თმობენ.

გამოდის, რომ თავისუფლების ცნება საქართველოსათვის ფრიად ფუფუნების მსგავსი აბია, შორეული ოცნება, რომელიც სხვათა გუნება-განწყობილებაზე ჰკიდია სავალალოდ. საქართველოს საკუთარი ძალებით აღარ ძალუძს ფეშქაშად ბოძებული დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ვინაიდან ჩალმიანი მუსულმანეთისა და ჩექმებიანი რუსეთის წნეხში მომწყდეულებს აღარ ხელგვეწიფება პატროფილური ხაზის გატარება.

შესაძლოა მოვიშველიოთ რობაქიძე-მიწიშვილის ურთიერთ გამომრიცხავი პოზიციები, საქართველოს როგორც მისიის თაობაზე; ან მოვუხმოთ დამატებით ჰეგელის, ვახუშტი ბატონიშვილის

ანალიზს, ვიტყოდი, ჩინებულს, ქართულ ფენომენზე. ჩვენ რომ საკუთარი პოლიტიკის წარმოებისათვის მზად არა ვართ ჩვენივე გაორებების წყალობით, ეჭვსგარეშეა. აქედან გამომდინარე, ჩვენი პოლიტიკური კურსის წარმართვა ექვემდებარება გადაულახავ წინააღმდეგობებს, რომელიც ასჯერ და მეტწილად აღემატება რეალურად ჩვენს ხელთ არსებულ რესურსებს.

გასარკვევია ვინ უფრო ნაღდია, ჭეშმარიტი, ის, რომელიც „შერეკი- ლების" მოფამფალებული ურმით მთვარეზე აფრენას გვპირდება, თუ, ვინაც იმავე ურმით ტალახიანი და აშმორებული გზიდან გაღწევას გვიქადის?!

ჩვენ არ ვივიწყებთ დონ კიხოტის პასაჟებს, როცა დროებით თავისუფლებამოპოვებულ ყმაწვილს ორმაგად გააძრობენ ტყავს, მწუხარე სახის რაინდის წასვლის შემდეგ.

რეალიზმი და არა — ფერადი სათვალე. ჩვენ ხომ სცილას და ქარიბდას შორის ვიყავით და ვიქნებით კვლავაც ბარე რამდენიმე ათეულ წელიწადს, სანამ თავად რუსეთსა თუ მუსულმანურ სამყაროში არ დამკვიდრდება ჰუმანიზმის კეთილშობილური იდეალები.

მანამდე კი თავის შენახვა, დიახ, თავის შენახვა გვმართებს: ფრთხილი საგარეო და აქტიური საშინაო პოლიტიკის გატარება, როგორც ამას ახერხებდა ჰომეროსის რჩეული გმირი ოდისევსი, ვინაიდან მხოლოდ იგი შეძლებს ულევი ჭკუის, გნებავთ — ცბიერების წყალობით, სიცოცხლის შენარჩუნებას და შინ უვნებლად მისვლას მრავალწლიანი სახიფათო ხეტიალის შემდეგ.

ილიას „ **მამული, ენა, სარწმუნოება**" — ჩვენი არსებობის ფორმულაა, მაგრამ ბარემ გადავავლოთ თვალი და ვთქვათ გულახდილად, როგორია ჩვენი ეროვნული კუთრი წონა ამ დებულების თვალსაზრისით?!

ტერიტორიული მთლიანობა ჩვენი, თავის დროზე მრავლად დაინაღმა ნელი მოქმედების დენთით, უკეთ — ავტონომიური ფორმირებების შექმნით: სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის თუ აჭარის სახით და პოტენციაში სავარაუდო — სამეგრელოს, სომხეთისა თუ აზერბაიჯანის ავტონომიების შესაძლებლობით — დასავლეთ საქართველოში, მესხეთში, ქვემო ქართლში.

მაშასადამე, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა წყალშეყენებულია. კიდევ ოდნავი წაბორძიკება და საქმე ასწილ გაგვირთულდება ვიდრე სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. ესე იგი ჩათრევას ჩაყოლა უნდა ვამჯობინოთ!

მოვა სანატრელი დრო ადრე თუ გვიან, მანამდე კი ჩვენი შინაგანი რეორგანიზაციით, დემოგრაფიული ბალანსის გაუმჯობესებით, ქართული სულის გამრთელებით, მსხვილი ქალაქების დეურბანიზაციითა და მამა-პაპური კულტურების აღორძინებით სოფლებში, მივაღწევთ სანატრელ თვითმყოფადობას — ჯერ შინაგანს და მერე— პოლიტიკურ თავისუფლებასაც.

ახლა შევხედოთ რა ვითარებაა ენობრივი თვალთახედვით?! საქართველო, დიახაც, გახლავს ქართის ტომის ენაზე მოსაუბრე ქვეყანა საუკუნეების მანძილზე, მაგრამ ჩვენი უგუნური პოლიტიკის წყალობით ვერ მოვახდინეთ მეგრულ-სვანური ელემენტების შერწყმა დედაქართულთან.

— ჩვენ არ უნდა დაგვეშვა მათი განვითარება, მათი ჩამოყალიბება ენობრივ ფორმებადო, — გაიგონებთ აქა-იქ, და ახლა, როცა ერთიან ქართულზე გვიხდება მსჯელობა, — ეს „პატუა" ენები პრეტენზიას აცხადებენ დამოუკიდებელი არსებობისათვისო, — ჭინჭყლობენ.

მაშასადამე, აქაც დარღვეულია მონოლითურობის პრინციპი. ჩვენ თუ არ შევეცდებით ჭკვიანური პოლიტიკით მეგრულ-სვანურის შემოკავშირებას დედაქართულთან, მაშინ მოსალოდნელია მეგრულის გადანასკვა ლაზურთან.

შეხედე, ლაზეთში თავი წამოჰყო უკვე ეროვნულმა თვითშეგნებამ და ჟურნალიც კი გამოიცა, როგორც მოსალოდნელი იყო, რეაქციული, ანტიქართული სულისკვეთებისა, „სქანი ნენა — ოგნი"-ს სახელწოდებით. ასე რომ, მეგრულმა შესაძლოა გენეტიკურად ახლომდგომ ლაზურთან ამჯობინოს მომავალში კონტაქტი და ათასი ხათაბალა გაგვიჩინოს ამ მხრივ.

ამიტომ ზემლიაკ, გური, ძამა, მთლად უსაფუძვლოდ როდი გამოკვეთავ პოზიციას, როცა საკითხს წამოწევ ქართველურ ენათა სინთეზური ლექსიკონის შექმნის თაობაზე, სადაც მეგრული, ლაზური და სვანური დაფიქსირდებოდა, როგორც ძირძველი ქართულის სინონიმები.

მომავალი, ალბათ, გაითვალისწინებს შენს მოსაზრებას „გოგოს" პარალელურად მეგრული „ცირას", ლაზური „კულანისა" და სვანური „დინას" დამკვიდრების მხრივ. ეს ენობრივი რეფორმა ჩანასახშივე ჩაახშობს ლაზურ-მეგრულის შეერთების ხარჯზე ქართულისგან გამოცალკევების საშიშროებას. ამასთანავე ასწილად გაამდიდრებს ჩვენს სასიქადულო სალიტერატურო ენას და რაც მთავარია, მოგვევლინება ჩვენი ქვეყნის თვით ეკონომიკური თუ პოლიტიკური აღმავლობის საწინდრადაც.

რაც შეეხება სარწმუნოებას, ნუ ზემლიაკ, გური, ძამა, აქაც იგივე სურათია, იგივე დაქსაქსუ-

ლობა და დანაწევრება:

ვიყავით წარმართები, ციურ სხეულებს ვეთაყვანებოდით: „**ეზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, გაბადრული ვარსკვლავები — და და ძმაა ჩემი“**-ო, ვიძახდით ოციოდე საუკუნის წინათ.

ქრისტეს მიმდევრებს 1300 წელიწადია ისლამი გვიპირისპირდება და კოცონზედაც გავდიოდით არც თუ ისე იშვიათად ქეთევან დედოფალსავით, რისი წყალობითაც ვინარჩუნებდით კიდეც თვითმყოფადობას ჩვენსას.

მოგვიანებით ასოთხმოცი გრადუსით შემოვტრიალდით მატერიალისტური მსოფლმხედველობისაკენ და ახლახან კვლავ დავლეწეთ ჩვენი კერპები.

ასეთია ქართველი კაცის შინაგანი ზიგზაგიანი ცხოვრება თეოლოგიისა თუ ათეიზმის გზაზე; ე.ი. ქართველი თავისი გენეტიკური ნატურით წარმართიცაა, ქრისტიანიც, მატერიალისტიც და ისლამის მიმდევარიც. ამდენად, მისი გამოცხადება მხოლოდ ქრისტეს მრევლად წინდაუხედავი პოლიტიკაა. აქ სამაგალითოდ გამოგვადგება დავით აღმაშენებლის შორსმჭვრეტელური გენია, როცა მეზობელ რელიგიებს შემწყნარებლობას გამოუცხადებს და ფაქტობრივად იხსნის საქართველოს რელიგიური წარღვნისაგან.

დასკვნისათვის შეგვიძლია დავძინოთ, რომ საქართველო სამივე განზომილებაში — „მამული, ენა, სარწმუნოება“ — რამდენადმე დანაწევრებულია, დაქუცმაცებული ურთიერთგამომრიცხავ ელემენტად და თუ არ განხორციელდება ქმედითი რეფორმა თითოეული მიმართულებით, მართლაც დასაღუპავად გავიწირებით — ბუნებით ნიჭიერი, მაგრამ საყველპურო სიბრძნეს მოკლებული ერი.“

05.20.1994 წ.
„ენგური“, №1, 1996 წ.

Mingrelia, Maranne, Gueguidze.

„ოდოიას“ გამოცემაზე უკვე ხელი ჩამიქნევია. სამხარეოს ვეგაზეთჩიკები. დღეების წინათ გამიგზავნია ვალერიან მიხაილოვიჩისათვის ნომრის ეგზემპლარები. რიხიანად ახლა ამ პუბლიკაციის გამო ვარ.

იგივე გულისწამღები სმოგი მხვდება გეგიძის კაბინეტში. ჩემდა საკვირველად სრულიად მარტოა, მისაღებში ატუზულ რამდენიმე აბეზარ მთხოვნელს და ჯარასავით მოტრიალე მდივანს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში.

ხელით ვკითხავ მასპინძლის გუნება-ხასიათს.

ისიც მიმიკრიით შეეპასუხება, ცხვირს ჩამოიბზუებს, ფოთის წვიმიან ცასავით ჩამოიქუფრება.

მაინც გავუპირდაპირებ. დასაკარგავი ისედაც არაფერია. განზრახულისამებრ ბოლო მცდელობაა. მომივა ფოთის ნავსადგურისაგან შეპირებული დაფინანსება და ჩავერთვები კვლავ პოლემიკურ ოროომტრიალში, არადა, „ენგურითაც“ გავალ ფონს.

საჩუქრად დამატებით ბოროზდინის „სამეგრელო და სვანეთი“ მომაქვს, ლამის საუკუნოვანი გამოცემა. დროის მოგების მიზნით ჩანიშნულია 299-ე გვერდი, სადაც ვალერიან მიხაილოვიჩისათვის ფრიად სანუკვარი ინფორმაცია აღმომიჩენია.

თამბაქოს კვამლში გახვეული ხელს მიქნევს შორიდან.

გადავკოცნით ერთმანეთს. თვალში მეცემა აქა-იქ შავი მელნით გახაზული „ორ ზღვას შორის“. რატომღაც გული ამიკანკალდება.

დათვური სამსახური ხომ არ გავუწიე-მეთქი, გამიელვებს გონებაში, მაგრამ ჩემდა სასიკეთოდ ცერს მაღლა შემართავს.

კარადას მიაშურებს, სომხურ კონიაკს, სირჩებს და ფილა შოკოლადს გამოიღებს. წინ დამიჯდება.

არ მინდა ხელშეკრულება შევახსენო. გულგახსნილ მასლაათში ავიყოლიო მიჯობს. წიგნს გადავუშლი მაშუქის სიახლოვეს და მიამიტურად გავენდობი:

— ვალერიან მიხაილოვიჩ, შეხედეთ რა ბაჯაღლო მასალა მომიპოვებია.

კონიაკს თავგადაწეული გადახკრავს. მუჭით მოიხოცავს ტუჩებს. ვატყობ, წიგნისკენ გული მაინცდამაინც არ მისდის და მეტი შთაბეჭდილებისათვის დავსძენ:

— მიხაილოვიჩ, გეგიძეების პირველსაწყისს მივაკვლიე.

— დროულად ვერ მითხარი, შე კაცო. გური, ძამა, ზემლიაკ, აქედან დავიწყო?

— ხო, აქედან, — ვეხმიანები და გადაშლილ წიგნს ხელში ვაჩეჩებ.

სავარძლის საზურგეს მიეყრდნობა. შუქი სანახევროდ სცემს სახეზე. ეგზალტირებულს თვალები სიხარულისგან უბრწყინავს. კონიაკს ვასხამ ხმაურით. ამ ხმას ქვეშეცნეულად აფიქსირებს იგი, რადგანაც სასმისი სანახევროდ გაივსება თუ არა, შეჩერდიო მანიშნებს ხელით.

ჩაამთავრებს პირველ ფურცელს და ახლა თავად წამაქეზებს ნება-ნება გამოწრუპული სითხის შესავსებად. კიდევ ორგზის განმეორდება ასე. თუმცა უმჯობესია ამჯერად თავად ბოროზდინს მივუგდოთ ყური:

,,მაისის ოციან რიცხვებში სამსახურის გამო ისევ მომიხდა ორპირში წასვლა. ვეწვიე სტუმრად ისევ პატივცემულ მოხუცს იაგორა დავითის ძე გეგიძეს, რომელსაც არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვუძღვნა.

გეგიძე გურული იყო, თავად მაჭუტაძის აზნაური, სამის წლის ბავშვი, დედ-მამით ობოლი, ბატონის სასახლეში აუყვანიათ და იქ იზრდებოდა, როცა იმერეთის მეფე სოლომონი გურიის მოსაზღვრე სოფელ საჯავახოში მოსულა. თავადი მაჭუტაძე გაქანებულა მეფესთან თაყვანის საცემად. მეფე მეტის-მეტად მოფერებია და საჩუქრად რიონში დაჭერილი უშველებელი ცოცხალი ზუთხი უბოძებია. ასეთი წყალობა მეფისა მაჭუტაძესათვის ფასდაუდებელი იყო. იმან კარგად იცოდა, რომ მეფე სულმუდამ თავისს უშვლობას უჩივოდა, ასწია და მოიყვანა თავისი აზნაური პატარა გეგიძე და მეფეს მიართვა. მეფეს ძალიან გაუხარდა ბავშვის ჩუქება, დედოფალი, ხომ ცასა სწია. ობოლი მათთან დაბინავდა, როგორც საკუთარი ღვიძლი შვილი მათი და იზრდებოდა თავის დედობილისა და მამობილის გულის გასახარელად. 1820 წელს როცა სოლომონ მეფე ოსმალეთში გაიქცა და იმერეთში რუსის მმართველობა იქმნა შემოღებული, გეგიძე, უკვე 18 წლის ყმაწვილი, სამსახურში შევიდა იუნკრად მეგრელთა ლეგიონში და მალე, ყველა თავის თანამემამულეთა მსგავსად, მშვენიერი რუსის ოფიცერი გამოვიდა.

გეგიძე უკვე კაპიტანი იყო, როცა, ორმოციან წლებში, კავკასიაში რუსეთიდან გამოგზავნეს საჭურისები, მათგან შეადგინეს ინვალიდების 96-ე როტა, დააბანაკეს რიონისა და ცხენის წყალის შესართავთან და გეგიძეს ამ როტის კომანდირობა ჩაბარეს. ეს თანამდებობა მისთვის სწორედ რომ ზედმოჭრილი იყო, რადგან მაინც და მაინც კარგი ტანსიმრთელე და ჯან-ღონე არა ხქონდა; სამწყობრო და საომარი სამსახური მისთვის მეტის-მეტად ძნელი იყო, აქ კი გასაკეთებელი და სადავიდარაბო თითქმის არა ხქონდა რა და თავიდათავი ის იყო, რომ სამშობლოში უხდებოდა ყოფნა. საჭურისები პირველში 380 კაცი იყო, აქ მშვენივრად მოეწყვნენ, ხელი მიხყვეს ნავების კეთებას, იცოდენ სხვადასხვა გვარი ხელობა და იქაურობისათვის, როგორც ეს მეხუთე თავში ვსთქვით, დიდი სარგებლობა მოხქონდათ. გეგიძე კიდენ მათ ხელს არ უშლიდა და მათს შორის ნამდვილი მამამთავარივით ცხოვრობდა. ეზოში რამდენიმე პატარა სახლი ხქონდა გაშენებული, და ვინც კი გამოივლიდა ტფილისიდან ყულევში ან ყულევიდან ტფილისში, უეჭველად აქ უნდა მოხყოლოდენ სტუმრებად და ყველას გულუხვად უმასპინძლდებოდა ჯერ კაპიტანი, მერე მაიორი და, ბოლოს ლეგიონის უფროსის მოადგილე გეგიძე. ტალახისა და ცუდის გზების გამო მგზავრები ზოგჯერ იძულებულნი იყვნენ აქ მთელის კვირაობით დარჩენილიყვნენ ხოლმე და მერე თავის დღეში არ ავიწყდებოდათ პატარა ტანის, დაჩიავებული მოხუცი, რომელიც სულ თავს ევლებოდათ, ცდილობდა გაერთო, საჭმელ-სასმელი არ მოეკლო და მგზავრობისათვის რაცა სჭიროდათ, ყველაფერი ეშოვნა. ერთხელ მასთან როგორღაც მოხყვა ერთი ინგლისელების ოჯახობა ბავშვებიანათ, თეირანიდან ტფილისზე გამოევლოთ და ყულევში უნდა ჩასულიყვნენ, და სწორეთ ორპირში ბავშვებს წითელა გამოაჩნდათ; გზის გაგრძელება შეუძლებელი შეიქმნა. გეგიძეს-კი მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ინგლისური ორპირში ყველასათვის გაუგებარი შეიქმნა და ამ გზადგამვლელ სტუმრებთან მხოლოდ ხელების საშუალებით უნდა გაეგებინებინა თავისი აზრი. ბოლოს გეგიძემ გადასწყვიტა თურმე, ქუთაისში ეტლი გაეგზავნა და ჩამოეყვანა გერმანულის ენის მასწავლებელი ბორნი ინგლისელებთან სათარჯიმნოდ, მაგრამ ბორნი რომ ჩამოიყვანეს, აღმოჩნდა, რომ სტუმარ-ინგლისელთათვის გერმანული ენაც ისევე უცხო იყო, როგორც რუსული. აქ რამდენსამე კვირას დარჩენილან და როცა ბავშვები სულ მოკეთებულან, წავიდნენ და თავისი მადლიერება სახის ალერსიან გამომეტყველებით და ხელებით გადასცეს. გეგიძე სულ იმასა ნაღვლობდა, რომ მათთან გამოლაპარაკება ვერ შეეძლო.

— კაი ხალხი-კი უნდა ყოფილიყვნენ, — იტყოდა ხოლმე, როცა მათი სტუმრობა მოაგონდებოდა, — მათთან ოთახში რომ შევიდოდი, ერთმანეთს ხელს ჩამოვართმევდით, მერე ხელებს გავშლიდით,

თავებს გავაქნევდით, გავიცინებდით... და ერთმანეთს გავშორდებოდითო...

სტუმართმოყვარე სახლი გეგიძისა ამიტომაც ცნობილი იყო როგორც ლონდონში, ისე პარიზში, და ვინც იქიდან კავკასიაში ან სპარსეთში წამოვიდოდენ, ჩვეულებრივ ასეთს მისამართს აძლევდნენ ხოლმე:

Mingrelie, Maranne, Gueguidze. და ღმერთმა დაიფაროს, რომ ვისმეს პოლკოვნიკისათვის ფულის მიცემა განეზრახა ღამის გათევის ან გამასპინძლებისათვის, ეს მისთვის უდიდესი შეურაცხყოფა იქნებოდა; გამვლელებს კი არ უშლიდა, რაცა სჭიროდათ, ორპირის ბაზარზე ეყიდნათ, ხოლო როცა თვითონ უმასპინძლდებოდა, იმ შემთხვევაში თავს მოიკლავდა, ვისმე რამე სასყიდელი შეეძლია.

და განა ვინმე იფიქრებდა-კი, რომ ამ საუცხოვო და უწყინარ მოხუცის ცხოვრებაში კინაღამ მეტად საშინელი ხასიათის დრამა არ დატრიალებულა...

ორმოციან წლების დასაწყისში გურიაში ხალხის აჯანყება მოხდა. მის დასამშვიდებლად ჯარები გაგზავნეს. ამ ჯარების უფროსად იყო ცნობილი კავკასიელი გმირი თავადი მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი. აჯანყება ჩაცხრობილ იქნა და მთავარ დამნაშავეთაგანი, თავადი შალიკაშვილი, საველე სასამართლოს დადგენილებით, კატორღაში გაგზავნეს. სანამ ეს უბედურება დაემართებოდა, შალიკაშვილმა ცოტა ხნის წინად ცოლად შეირთო ერთი მშვენიერი ქალი, თავად ტიმოთე მიქელაძის ასული ანა. ცოლი, რა თქმა უნდა, ქმარს არ გახყვა კატორღაში და ცოლ-ქმარი განაქორწილეს. ამის შემდეგ ორიოდ წელმა განვლო, ისე გეგიძეს შეუყვარდა ეს ქალი, ცოლობა სთხოვა და ჯვარი დაიწერა.

უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, რაც შალიკაშვილი სასჯელს იხდიდა კატორღაში, აღმოსავლეთ ციმბირში, სადაც მაშინ გენერალ- გუბენრატორად მისულა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი. ერთხელ როგორღაც კატორღელთა სიებს ათვალიერებდა თურმე, ისე თვალი მოუკრავს შალიკაშვილის გვარისათვის და შეჩერებულა. ამ გვარის კაცს სიკვდილს გადაურჩენია ამ ათიოდ წლის წინად მურავიოვი, როცა ის შავი ზღვის სანაპირო ხაზის მესამე განყოფილების უფროსად ყოფილა; ეს მომხდარა ერთ-ერთ მის გალაშქრების დროს მთიულების წინააღმდეგ. მურავიოვს უბრძანებია დაწვრილებით გამოეკითხნათ ამ კატორღელის ამბავი, და გამომდგარა, რომ სწორედ ეს კაცი ყოფილა მისი მაშინდელი მხსნელი. რა თქმა უნდა მურავიოვისათვის, როგორც გენერალ-გუბერნატორის ათვის, დიდი არაფერი ბედენა იყო შალიკაშვილის გამოხსნა უბედურებისაგან, შესდგომია გულმოდგინედ შუამდგომლობას. შალიკაშვილი, როგორც კატორღელი, დანაშაულის ერთი ხარისხიდან მეორე ხარისხში გადახყავდა, ბოლოს სრული პატივება გამოუთხოვა ხელმწიფის წინაშე და ამავე დროს სამშობლოში დაბრუნების ნებართვაც.

და ერთბაშად მშვიდობიანს, თავის ქორწინებით გაბედნიერებულს და უკვე რამდენისამე შვილის პატრონ გეგიძეს წინ გამოეჭიმა კაცი, რომელმაც ცოლის დაბრუნება მოსთხოვა და მერე ვინ კაცი? — ერთი თოკიდან აწყვეტილი ვინმე. თანაც იძახდა — ჩემთვის არ არსებობს რაღაც კაცობრიული კანონი, რომელსაც შეეძლოს დარღვევა ქორწინებისა, რომელიც ნაკურთხია ღვთიური კანონის მიერო. მიქელაძეთა გვარი ძლიერი გვარია იმერეთში, საბედნიეროთ გამოესარჩლა საწყალს გეგიძეს და მხოლოდ მათს ჩარევას და სერიოზულ დამუქრებას შეეძლო ანას პირველ ქმრისათვის ხელი აეღებინებინა თავის მოთხოვნაზე. საქმე მაინც იმით გათავდა, რომ გეგიძე შალიკაშვილის მოხარკედ გახდა და მთელის წლების განმავლობაში თავის ჯამაგირის ერთს ნაწილს აძლევდა, მაგრამ გეგიძის ოჯახის საბედნიეროდ, შალიკაშვილი ავად გახდა და გარდაიცვალა. და აი, რა მწარე დღენი გამოუვლია გეგიძეს, და ერიდებოდა კიდეც ამ ამბის მოგონებასა.

მე რომ გეგიძე გავიცანი, იმ დროს საჭურისების რიცხვის მხოლოდ ნახევარი იყო დარჩენილი, დანარჩენები დახოცილან და გულკეთილი პოდპოლკოვნიკი ნაღვლიანად მიამბობდა, რომ რამდენჯერმე მივიწერე და მოვითხოვე შემცირებული როტა შემივსეთ-მეთქი, მაგრამ დღემდე შეუვსებლადა�ა. საკვირველის შორსმჭვრეტელობით ხედავდა, რომ სულ მოკლე ხანში საჭურისები სულ ამოსწყდებოდნენ.

ამგვარად, მაისის 23, როცა მე სტუმრად ვიყავი გეგიძესთან, მის სახლის აივანზე იჯდა რამდენიმე მგზავრი, ფოთში მიმავალი. ლაპარაკობდნენ მეორე დღისათვის ნავის დაქირავების შესახებ. ამ დროს შორი-ახლოდან ზარბაზნის დაცლის ხმა მოისმა. ნეტავ, რა ამბავი უნდა იყოს? აქ ზარბაზანს რა უნდოდა?

ცოტახანს სიჩუმეს შემდეგ, ვიღაცამ სთქვა: „ალბათ, თოფი დასცალეს, დიდი ხმა იმიტომა ხქონდა, რომ წყლის ზედაპირს გახყვა ხმაო“. მაგრამ ზარბაზნის ხმა განმეორდა და ეზოში ჩოჩქოლი ასტყდა და იძახდნენ: „ორთქმავალი! ორთქმავალი!“

თვალის დახამხამებაში გამოვცვივდით ნაპირზე და დავინახეთ პირველი და სრულიად მოულოდნელი ორთქმავალი გემი, რომელიც დიდის ხმაურით მოაპობდა რიონის ტალღებს.“

ქველმოქმედება წვეთ-წვეთობით

ლამბერტისა არ იყოს, ბოროზდინიც ჩინებული მთხრობელია. მიხსენებია სადღაც: მათი ნაწარმოებების სახით, იშვიათი ბელეტრისტული მასალა დევს ახალ საქართველოზე მხატვრული ტილოს გამოსაძერწად-მეთქი.

— აქამდე ჩემი თავი სამურზაყანოელი მეგონა, თაგილონელი. ზემლიაკს ტყუილად გეძახდი თურმე, — მიმზერს ალმაცერად. გაურკვეველი მუხტის ღიმილი დასთამაშებს სახეზე. შემელოტებული თხემის მფარავი თმის თხელი ფენა ყურთან ჩამოშლია, — ევნუხებისა და სკაპცების კომანდირობა რა დიდი ბედენაა, მაგრამ მასპინძლობით შეუდარებელი რომ ყოფილა იაგორა, ფრიად მეამა. აი, თურმე საიდან მომსდგამს სტუმრების დახვედრის ნიჭი?! რამხელა ამბავია, შენი გვარით იცნობდნენ მთელს დუნიაზე შენს ხალხს და კუთხეს?! დააღებენ პირს პარიზელები თუ ლონდონელები და ყველაფერი გარკვეულია: მინგრელია, მარანი, გეგიძე.

დიდად გამახარე და ეგ არის. საგიჟეთია პირდაპირ. ეს დღეები შენთვის ვეღარაფრით მოვიცალე, მაგრამ თავად ხარ მოწმე, რა გაწამაწიაშიც ვარ. უსაშველო არაფერია. თანაც გაზეთში გაგიწერივარ, ბრატ! გუშინწინ დილით მომიტანეს მთელი შეკვრა. ვკითხულობ სტატიას და აქა-იქ სარკისკენ გამექცევა თვალი: ფილოსოფოსად გადაგიქცევივარ მარსკოი ვოლკ! კი, ბევრი გვისაუბრია ჩვენ ამ საკითხებზე, უფრო მწვავედ და ღიადაც. ვგონებ, ეს ანალიზიც ჩემი პირუთვნელი დამოკიდებულებაა შენს გაზეთზე.

ამ სტატიაში ზემლიაკ, გური, ძამა, ზოგი სიტყვა ნაკლებად დამახასიათებელია ჩემი მეტყველებისათვის, — გახაზულ გაზეთს მოიმარჯვებს, ცხვირზე ჩამოწეული სათვალით მიაჩერდება, — მე უბრალოების მომხრე ვარ, თანაც ჟარგონიც მომიმრავლდა ბოლო დროს. სადაც შენ „წინდებული“ გიწერია, მე „მოცემულს“ ვამჯობინებდი. „მეოხების“ ნაცვლად „მეშვეობითს“ გამოვიყენებდი. „პატუა“ რაღაა? — დაჟინებით მიყურებს ჩემსკენ სანახევროდ გადმოხრილი.

— ადგილობრივი კილო-კავია, მიხაილოვიჩ, — მივაგებებ ხელად. დაახლოებით იგივეა, რაც ქართლური ქართულისათვის, გნებავთ — კახური, იმერული, გურული თუ მეგრული.

— მერე და თქვი გულღიად, ადამიანო, — ფართოდ გაშლის ხელებს.

წაგრძელებული მაგიდისკენ დაიძრება. ზარის ღილაკს აახმიანებს და მდივანიც მყისვე შემოანათებს.

— ბუღალტერს დამიძახე! — იბღვირება მოსაცდელში მოჯგროვებული ხალხის შემსწრე.

— ბუღალტერი წასულია უკვე, მიხაილოვიჩ, — მორიდებულია მდივანი.

— დაურეკე და მოვიდეს ჩქარა! ხომ მითქვამს, სანამ აქ ვარ, საჭირო სამი-ოთხი კაცი სამსახურში ღუზასავით ჩაშვებული იყოს-მეთქი?!

მდივანი მოიხურავს ტყავგადაკრულ კარს და კაბინეტში უხერხული სიჩუმე ჩამოწვება.

— ზემლიაკ, გური, ძამა, რევოლუციას გავუძელი. ათბალიანი შტორმებიც ვერაფერს მაკლებს. აქეთ აზერებს და სომხებს ვუმკლავდები, იქით — ფაცაციას როხროხს, მაგრამ აი, შენი კონტრაქტი, შენი მორიდებული მიმოსვლები მომინელებს, ღმერთმანი! ფაცაცია ვახსენე და გაქო, იცოდე. შენი ლექსის რომელიღაცა სტრიქონი მიხსენა. ჯიბეს მონტუ ჭიჭე ფარაო*, თუ რაღაც. ტიტულიანი წერილებიც მომსვლია შენზე სამხარეოდან, ლომინაძის თუ კვარაცხელიას ხელმოწერით. მოკლედ, მიტევ მარჯვნიდან და მარცხნიდან. აქამდე მარსკოი ვოლკად ცნობილი პიროვნება, კენინსბერგელ კანტს დამატოლე. აქვე მეუბნებიან, გულისწამღები ჩასტუშკა გამოგითქვაო. სიცილით დავიხოცეთო. ქვეყანას მოფინე და მე მიმალავ?

ყურებში შხუილი ჩამიდგება.თვენახევრის წინათ იყო, ფოთში ჩემი მარათონული მიმოსვლების წლისთავზე. რომელიღაც სუფრაზე საკმაოდ ეგზალტირებული ექსპრომტებით გავჭენდები და აგერ, შედეგიც — ენაი ჩემი მიმტრობს მე. კონიაკისკენ გამექცევა ხელი. ჩამოვიწურწკურებ ბოლომდე და სულმოუთქმელად გამოვცლი სითამამის მოსაკრებად.

— ნუ, ზემლიაკ, გური, ძამა, მეტყვი თუ არა? — არ მეშვება ვალერიან მიხაილოვიჩი. — შვილებს ვფიცავარ არ მეწყინება.

— ფუნაგორია გაგიგონია, მიხაილოვიჩ? ერთგვარი ხოჭოა, აგუნდავებს ჩონჩორიკს და ასეთნაირად ბუდისკენ მიაგორებს ხოლმე.

— ზღვის ნაპირას მაგის მეტი რა მინახავს, კაცო!

— ხოდა, იმ მწერსაა მიმგვანებული კაფია-ლექსის ერთ-ერთი სახეობა, ვგონებ — ლადო ასათიანისაგან. სამაგალითოდ რამდენიმეს გავიხსენებ:

აგიაშვილისა ნიკასო,
არ ნაყვარება ბიკასო,
გადარეულა ბიკასო:
რა დავუშავე ნიკასო.

— ციგანი! — გადაფიჩინდება ვალერიან მიხაილოვიჩი, მერე უცებ დასერიოზულდება, — ასათიანი არ მინდა მე. შენეული მითხარი...

— ცნობილია აკაკის ენამოსწრებულობა, — ვაგრძელებ საუბარს, მაგრამ არ გინდა მოხერხებულად მიუახლოვდე რიფებიან ნაპირს? — ფუნაგორიას არ გააჩნია ლიტერატურული ფასეულობა. ლიტერატურულ ფაქტად ეგ არ გამოდგება, თუმცა აქვს გარკვეული მორალური ზეგავლენის ძალა. ათიოდე კაცი ვქეიფობდით და ვაჯახე კიდეც პილპილიანი სტრიქონები სათითაოდ, — უკვე ვგრძნობ სათანადო მხნეობას, — დაახლოებით ასეა, მიხაილოვიჩ:

მიყოლებით ჩავამწკრივებ ერთს, მეორეს, მესამეს.

ვალერიან გეგიძეს გაბმული ხითხითი დარევს ხელს.

— დაგიმარხია ცოცხლად და ეგ არის. — ახალი, გაუხსნელი კონიაკისთვის მიეშურება კარადისკენ. მოთმინების ძაფგაწყვეტილი ზოგი მთხოვნელი კარს გოჯზე გამოაღებს, შემოიჭვრიტება, მაგრამ მიხაილოვიჩი საქმიან თადარიგს იჭერს, ხელით ანიშნებს: დამიცადეთო, და რომელი ჭკუათმყოფელია ნავკოსალარს განრისხებულ ხახაში ჩაუვარდეს?!

— ჩემთან რა უზალთუნები დაყარე, გური, ძამა?

— არ ვიცი სხვამ როგორ და რანაირად მოგიტანა ამბავი, მაგრამ სინამდვილეში ამნაირადაა მიხაილოვიჩ-მეთქი და ამოვიბერტყავ გულს.

მიმზერს დაბინდული თვალებით. ჩემს მიღმა, ჩაწკვარებულ შორეთში იკარგება მასპინძლის გუნება-განწყობილების ნამდვილი შინაარსი. ყოველ წუთს ველი ვალერიან მიხაილოვიჩის აფეთქებას და თავის დასაცავად ხაეროვან ბარიკადებს ვაკოკოლავებ.

მისდაუნებურად კონიაკს წაეტანება, ხრახნიან საცობს მოხსნის და ჩამოასხამს თანაბრად.

— ეხ, ზემლიაკ! ეხ, გური, ძამა! ეს მე მაქვს ბიჭო, გრძელი ენა? ერთი ხელით ათიათას დოლარს მთხოვ და მეორეთი ნაგავი ჩამომიყენე ვაგონებით?!

წასასვლელად წამოვიმართები, მაგრამ მხარზე მსუბუქად დამადებს ხელს და შემაყოვნებს.

— შენს ჩასტუშკაზე უფრო უწმაწურად მომიტანეს ამბავი. სიკეთე რომ არ მდომებოდა, თვალითაც დაგინახვებდი? რომანებს წერ და ვერ ყოფილხარ სათანადო ფსიქოლოგი, ძამა. ესეც შენი ოტობაიელი! ესეც შენი თანამემამულე! ვალერიან მიხაილოვიჩს, ზემლიაკ, ცხრამეტი ზვიგენი ძიძგნის დილიდან საღამომდე, ზამთარ და ზაფხულ. ყველას ფულისთვის გაუწვდია ხელი: მსახიობია ეს, სპორტსმენი, ავადმყოფი, სახელმწიფო მოხელე თუ რეკეტი. რამდენს უნდა იწველებოდეს ეს საწყალი ნავსადგური? საქართველო ხუთი მილიონია, ფოთი კი — ერთი. შენი თვალით ხედავ მთხოვნელების ჯარს. ორი იმდენი სამეზობლოში მელის. ზღვა ხომ არ არის ბოლოს და ბოლოს ჩვენი ხაზინა, თუმცა ისიც ნათქვამია, ზღვა კოვზით დაილევაო. სატირალში ვერ მივსულვარ, ქორწილსა და დღეობაზე. ყველას ხელი გამოუშვერია. — თავდახრილი ვუსმენ, მაგრამ ალმური სახეზე თანდათან მედება. ქარაგმულად ლამის არის ბოგანო მათხოვრად მაქციოს.

— მიხაილოვიჩ, ლექსი თუ გამოვთქვი შენზე, მთლად უმიზეზოდ არა. მართალია, მე უპროცენტო ფული ვთხოვე ნავსადგურს, მაგრამ ამავე დროს უფასო სარეკლამო მომსახურებასაც შევპირდი. გაზეთის ყოველი ნომრის ათას ეგზემპლარს უსასყიდლოდ გადავცემ, ვჩუქნი. მეტი რა შემიძლია ხელმოცარულ ჟურნალისტს, რომელსაც გულწრფელად განუზრახავს სიტყვით მაინც ამოუდგეს მხარში მრავალტანჯულ სამშობლოს?! სად არის აქ მათხოვრობა, მიხაილოვიჩ, პირდაპირი თუ ირიბი მნიშვნელობით?

— ზემლიაკ, გური, ძამა, რეკლამები მაკლია მე? აქამდე ათიათასი დოლარის ეკვივალენტურ კუპონს რომ გაძლევდი სესხად, კიდევ არ ვიყავი გარკვეული შენს პოლიტიკურ პლატფორმაში, მაგრამ ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ შენი ფინანსური უზრუნველყოფა იგივეა, რაც შიზოფრენიკს ატომური იარაღი ჩაუდო ხელში. თავხედობა ორგვარია, ნიჭიერი და უნიჭო. უნიჭო თავხედის გასაჩუმებლად უამრავი საშუალება არსებობს: ქალი, ფული, იარაღი, მაგრამ, აი, ნიჭიერი თავგასულობაა ყველაზე სახიფათო და უმეტესად — თვითონ პიროვნებისათვის.

გრძელი ენა გაქვსო, მომდექი. ესე იგი, ბევრის დაპირება გიყვარს და შესრულებით ნაფოტსაც არ გამოიმეტებო. ამისთანა უსამართლო ბრალდება გაგონილა?! მოვა ბუღალტერი და შენი თვალით ნახავ რანაირი ძუნწი და ხელმოჭერილიც ვყოფილვარ. განა ფული მენანება მე კარგი საქმისთვის?! მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ დავრწმუნდი, ზემლიაკ, გური, ძამა, შენთვის დიდი ფულის მიცემა წმინდა სისხლის დანაშაულია. ჯერ ერთი სახელმწიფოს წინაშე, ერის ინტერესებიდან გამომდინარე. მერე — თავად შენს მისამართითაც.

ხომ ხედავ ცხოვრება როგორ ამღვრეულა: დედა შვილს ვერ აიყვანს ხელში, გაიხლიჩა და გაიყლიფა საქართველო. საზოგადოების ერთი ნაწილი მეორეს დევნის, მეორე — მესამეს და ასე დაუსრულებელ პაექრობაში სამშობლო დაგვექცა, გაგვიჩანაგდა. ყოველ მეორეს იარაღი გაუჩრია ქამარში. ყოველი მესამე წმინდანის ანაფორაში შემძვრალა. ყოველი მეოთხე მამულის გულდამწარი ჭირისუფალია. ხოდა, ამისთანა ვითარებაში, ზემლიაკ, გური, ძამა, შენი ტემპერამენტისა და გაქანების კაცს ხელში დიდძალი მაყუთი ჩაუდო თავისუფალი მოქმედების გარანტად, უეჭველი სიკვდილია და სხვა არაფერი.

ბიზნესმენი იყო, ჯართს და ხე-ტყეს უკირკიტებდე, თვალსაც არ დავახამხამებდი, როგორც გუშინწინ თუ გუშინ. იყო მეცნიერი მათემატიკის განხრით ჩვენს ვეკუასავით, ან პერსპექტიული სპორტსმენი კანდელაკივით, ორივე ხელს ავწევდი, მაგრამ რედაქტორი ხარ ეს ოხერი და თანაც სიტყვა სამართებელივით გიჭრის. ის სამი პიროვნება, შენ რომ ჩასტუშკა მიუძღვენი, ჩემგან განსხვავებით კბილებს აკრაჭუნებენ, ძამა. შეიძლება პირად ურთიერთობაში არ გამოამჟღავნონ ბოღმა, მაგრამ ყოველთვის შეეცდებიან შენს გაბითურებას, შენს წაქცევას, ესეც უეჭველია.

მისაუბრია შენზე ედიშერთან, ჩვენ სადღაც ვენათესავებით ერთმანეთს.

თბილისიდან ტაქსით მომადგა კარზე გატრეტილი და აბანო მომთხოვაო, მითხრა დაუფარავად. თავიდან შემოგზავნილი მეგონა, მაგრამ მერე დავრწმუნდი, უღალატო კაცია, ოღონდ ესეც არის, თამაშის წესები ნაკლებად იცისო. მოკლედ, ამისთანა არაორდინალურ პიროვნებას ბომბზე უარესი გაზეთი დაგიფინანსო, ხომ დაგღუპე ჩემივე ხელით და ეგ არის. ისე გაიჭყლიტები ზემლიაკ, გური, ძამა, ვერც გაიგებ. ქიმშეჭყანჭყუქ.* ხოდა, მოვიფიქრე მგონია შენთვის ხელგამართვის სათანადო ფორმა. შენ ჩემგან პადდერჟკა არ მოგაკლდება, მაგრამ ერთბაშად კი არა, ნაწილ-ნაწილ. სახელის მაძიებლად მიცნიხარ, მაგრამ გაზეთჩიკობისათვის გახვრეტილ შაურიანსაც არ მოგცემ. აი, მწერლობა — მესმის. წერე რომანები, გური, ძამა, და იცურავე მერე ვეშაპივით მშვენიერების ოკეანეში.

— ოტობაიას კონტრაქტი და პარუჩენია მოიტანე, — ეტყვის კაბინეტში მორიდებულად შემოსულ ბუღალტერს.

რამდენიმე წუთში ისიც აქ გახლავთ. ნაძალადევად იღმინჭება, თითქოს ვალი მმართებდეს მისი ან ყურადღება მომეკლოს დარიგებისამებრ.

— ა, შეხედე, ზემლიაკ, მომიწერია თუ არა ხელი პარუჩენიაზე?! გამომართვი, გამომართვი, დაიტოვე სამახსოვროდ. — ერთს მიწვდის, დანარჩენს გადახვევს მესამედზე. კონტრაქტს მიიჩოჩებს. ბუღალტერს მიაჩერდება. ისიც უსიტყვოდ მიუხვდება და ბურთულიან კალმისტარს მიაწვდის. გამალებით დაადებს რეზოლუციას. ხან ერთს ამოგვხედავს სათვალიდან, ხანაც — მეორეს.

— აქ განკარგულებაა გაცემული ათიათას დოლარზე. დღეს კუპონი დოლარზე მეტია, მაგრამ არავინ იცის ხვალ და ზეგ რა ბალაგანი დატრიალდება და საქმისათვის ამგვარად ჯობია. თვეში ხუთასზე მეტი მიგიცია და დაემშვიდობე სამსახურს! გასაგებია?! სხვა დოკუმენტების გაფორმება შენთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს. ფოთზე წიგნს გვიწერს კაცი და არ შევუწყოთ, აბა, ხელი? — ისევ გაჩხაკუნებს ღილაკს.

შემოწრიალებულ მდივანს, მძღოლიო, უბრძანებს მოუსვენარი ხელის მიშველიებით.

— ჯერ ბუღალტერს გაიყვანს სახლში, მერე... შენ ვისთან გაჩერებულხარ?— მომაშტერდება.

— დოლბაიებთან, ვალერიან მიხაილოვიჩ, თემურ დოლბაიასთან.

— მოვრჩით, აბა, საქმეს. შემოლაგდეს ყველა. რიგი და თავპატიჟი არ დამიწყონ. დილაადრიან თბილისში მივემგზავრები. აბა, მარდად, მარდად! — ჩახლართულ თითებს ატკაცუნებს ზურგისკენ გადაზნექილი.

გადავეხვევი ერთიანად შეძრული.

ყურისძირას მტკიცავს მსუბუქად, მერე სალოკი თითის ქნევას მოაყოლებს გაფრთხილების ნიშნად.

სხვა არავითარი ხმა. სხვა არანაირი მოძრაობა. ჩაეშვება სკამზე მაშუქის ალმაცერი ნათებით იანუსივით გაწონასწორებული და ფიქრის ნისლეულში გემივით შეცურდება.

დიახ,ზურგისქარი უამრავი მახსოვს ამ ერგასი წლის მანძილზე, უცაბედი, ეფემერული თუ ნელთბილი, მაგრამ ვალერიან მიხაილოვიჩისეული შეუდარებელია.

დიდი ჯოტო

ოთხმოციანი წლების დამდეგს საქართველოს მწერალთა კავშირი ზუგდიდში მიმავლენს. ეს ის პერიოდია, როცა ბელეტრისტიკას გარკვეულ ანგარიშს უწევს პარტოკრატია, მაგრამ სიტყვის ოსტატი რამდენადმე ცნობილი უნდა იყოს. სრულიად ახალბედას, ცხადია, ხელს არავინ გაუმართავს. ჰოდა, მაშინდელი რაიკომის მდივნისგან, ივლიანე თოდუასგან, დელიკატურად ჩამოშორებულს, ბოჰემური ცხოვრების ტალღა გამიტაცებს.

შემოდგომის ერთ, ანკარა დილით, ფოსტამტის წინ ბატონი ჯოტო გუგუჩია შემხვდება. თავდადრეკით მივესალმები, რადგანაც შორიდან ვიცნობ და ჩავუვლი, მაგრამ დიდი ჯოტო. მკლავზე წამეტანება და გასაოცარი ღიმილით მეტყვის:

— საით, ყმაწვილო?

დავიბნევი. მღელვარებისგან ტყუილსაც ვერ მოვახლაფორთებ და გულღიად გავუმხელ:

— წუხანდელი ნაბახუსევი ვარ და პახმელიიდან ლუდით ვაპირებ გამოსვლას-მეთქი.

— მეც მაგიტომ შეგაჩერეო, — გამომცდელად ჩამხედავს თვალებში, — ბიძია, ღვინო ხომ იცი, ჯოჯოხეთია, ქვევრებს ხეთქავს. მერედა, ზუგდიდი ძლიერია, სტუმრის დაფასება იცის. მასპინძელს რა გამოგილევს შენ, სადადიანოში?! ყველას ფეხი თუ აუწყვე, დაიღუპები და ეგ არის. მაქვს მე შენთვის ჩინებული ადგილი. მითხრეს: ნიჭიერი ყმაწვილიაო და მართლაც, სიკეთე თუ გწადია ჩვენი კუთხისთვის, ქვეყნისათვის, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანიო.

არ ჩავეძიები, რა ადგილი გამოუნახავს ჩემთვის ბატონ ჯოტოს, უყოყმანოდ დავთანხმდები, და როცა მკითხავს, მზად თუ ხარო, არც ამაზე დავიხევ უკან, ჩემი ბარგი-ბარხანა ხომ სპორტულ ჩანთაში ეტევა — რამდენიმე პერანგი, ქაღალდები, ორთოგრაფიული ლექსიკონი თუ მისთანანი.

წელიწადზე მეტს დავყოვნდები ზღვისპირა ჭურიაში, კახათელების ახალშენში, როგორც საპატიო სტუმარი. გუგუჩიების საბან-ლეიბზე მძინავს. ქალბატონი ნათელა გაქათქათებულ თეთრეულს მიგზავნის თვეში სამჯერ. კვირაში ერთხელ უთუოდ მომიკითხავენ განსაკუთრებული კერძით. არ მაკლია ახალ-ახალი ჟურნალ-გაზეთები. ხუთი ძროხა იწველება ჩემთვის. ხუთი ჰექტარი მარწყვის მორევში ვცურავ.

ამ ხნის მანძილზე, როგორც ტექნიკაში გაუწაფავი, ორი მოტორიანი ნავის გაფუჭებას მოვასწრებ, მაგრამ ამის თაობაზე საყვედური ერთხელაც არ დასცდება ნეტარხსენებულს. ისე კი თავის გარაჟში საგანგებოდ ჩაკეტილი, (რომლის გასაღები იპო ფაჟას აბარია) ხელუხლებელია ყველასათვის. აქვს ნათქვამი:

— ამ მოტორიან ნავს ნურავინ დაქოქავს, რადგანაც როცა სტუმრებს მოვიყვან, გაკრიალებული უნდა დამხვდესო.

ერთხელ, წვიმები იმძლავრებს ჩვენში, ინტენსიურ დნობას იწყებს კავკასიის ფერდობებზე ჩამოზვინული თოვლიც და ჯუმის ხიდს ერთიანად წაიღებს აბობოქრებული მდინარე. მთელი ათი დღით მოვწყდებით კონტინენტს. შემოგვაკლდება პური, სიმინდის ფქვილი. მხოლოდ ყველით თავის შენახვა კი შეუძლებელი ყოფილა თურმე. გამოგველევა სიგარეტი, გაზეთები.

ჩვენგან, კახათელების ფარეხიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით, კიდევ არის იროდი სართანიას კარე8 , მაგრამ იქამდე ხმელეთით ვერ მიაღწევ. არადა, დიდი ჯოტოს მოტორიან ნავზე როგორ დავჯდე?! ვიდავებთ, ვიკამათებთ, და მანუგეშებენ:

— ხუთი კილომეტრის გავლისას რა ჭირი უნდა დაგემართოს?! თავდებად დაგიდგებითო, — შემაგულიანებენ და ტაბუდადებულ ნავს დამაქოქვინებენ.

მშვიდობიანად ვიმგზავრებ იროდი სართანიამდე. ის გასაოცარი ტყაჩუ8 ღვინითაც გამიმასპინძლდება. ათიოდე ბოთლსაც გამომატანს ამდენივე პურთან და ორჯერ მეტ „პრიმასთან“ ერთად.

ბინდისპირია.

ჩამავალი მზე ფარავს ყველას და ყველაფერს.

ნაპირთან მისვლა მომინდება.

ტალღები ლიცლიცებენ და თვალს მიჭრელებენ. თურმე ვიღაც ბრაკონიერს მთელი ჭურიის სიგანეზე ბადე გაუშლია და გავიხლართები კიდეც იმ ქსელში.

ტექნიკაში გამოუცდელობა ვახსენე. გავუჯიუტდი ჩემს მდგომარეობას და ძრავას გადავწვავ. ბევრს ვიჯახირებ ვიდრე თავს დავაღწევდე აბრეშუმის ბადეს.

ამასობაში დაღამდება კიდეც და მწყემსები აქეთ მომეახლებინ ანთებული ჩირაღდნებით. იგუმანებენ თურმე ჩემს გასაჭირს, რომ დიდი ჯოტოს მოტორიან ნავსაც გამოვუყვანე წირვა . ვვა-

რაუდობ, მომდევნო დღეს ზუგდიდში წავიღო „ვიხრ-65“, შევაკეთო, ან ახალი ვიყიდო, ისე რომ, სახლიკაცმა ვერარა შეიტყოს, მაგრამ მეორე დილით აქეთ გვეწვევა სოფლისთავი მეგობარი ქალების ამალით.

გავშრებით, გავხევდებით აქამდე აწრიალებულები. არ ვიცით სად წავიდეთ, რა მოვიფიქროთ. ბატონი ჯოტო გარაჟის გასაღებს მოითხოვს. დიდხანს ეძებენ კახათელი მწყემსები იმ კლიტეს, მაგრამ როცა ყასიდად ვერაფერს იპოვიან, გუგუჩიების თავკაცი მსუბუქად წაახემსებს თავის მრევლს და უხმოდ ზუგდიდში მიბრუნდება.

არც მე დავრჩები დიდხანს, რამეთუ გასაგებია, რომ ბატონმა ჯოტომ ყველაფერი იყნოსა და კახათელების ფარეხში უკვე შინაგანადაც არ დამედგომება დამნაშავეს. მობარებულს ხომ მგელიც შეიფარებს?! რამდენიმე კვირას ნათესავ რაფავებთან ჩავიკეტები. იქაც მიპოვის განუმეორებელი კაცი. ჩვეული ღიმილით და მოჭუტული თვალებით დამიცაცხანებს:

— აიკარი გუდა-ნაბადი, მწყემსები გელიანო, — მეტყვის. მოტორიან ნავს არც ახსენებს, ან რა სახსენებელია, როცა მომდევნო დღეს ახალი ჩაუტანია მწყემსებთან.

მოდით და განსაჯეთ, როგორი შესაფარებელია მთელი წელიწადით პიროვნება, რომლის ძმაკაცები კვირაში ერთხელ უსათუოდ დაბრძანდებიან მუქთა პურ-მარილზე?! ან როგორი შესანახია ოტროველა კალმოსანი, ვისი უნარები ჯერაც დაუდგენელია და აქა-იქ უცილობლად გაუტევს დედაქალაქისკენ მასპინძლის ჯიბეს მიჩერებული?! ან კიდევ პიროვნება, ვისაც სამი მოტორიანი ნავი გაუფუჭებია მეურნე კაცისთვის?! დიახ, დიდი იყო ბატონი ჯოტო გუგუჩია...

ბატონი საშა ეგუტია

მეორეს ვიტყვი: უკვე ზუგდიდში ჩამოვბრუნებულვარ.მერამდენედ გადამიწერია „სიცოცხლემის-ჯილების“ პირველი წიგნი, მაგრამ გადასაბეჭდი ფულის უქონლობის გამო გამომცემლობაში ვერ მიმიტანია. ვიცი შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორს, ბატონ საშა ეგუტიას, ორი საბეჭდი მანქანა აქვს და გავბედავ რამდენიმე კვირით დავენათხოვრო.

იმხანად ბატონი საშა ავადმყოფობს. დიდად გაახარებს ჩემი სტუმრობა. თავსასთუმალთან გაუშლის სათნო მეუღლე სახელდახელო სუფრას. ბევრს ვისაუბრებთ პოეზიაზე, მომავალ წიგნზე, გეგმებზე. წამაკითხებს ლექსებს. ბოლოს სატკივარსაც შევაპარებ.

— ისეთი კალიგრაფია მაქვს, ბატონო, საშა, უჭირთ მბეჭდავს ჩემი ხელნაწერის ამოკითხვა. იქნებ ათიოდე დღით საბეჭდი მანქანა მათხოვოთ-მეთქი.

— გაგჩენია პრობლემაო, — ბრძანებს. მეუღლეს კალმისტრისა და ქაღალდის მოტანას დაავალებს. ბალიშზე თავამომაღლებული გაკრული ხელით დაწერს ბარათს. მერმე კონვერტს მოსთხოვს თანამეცხედრეს. ისიცმოუტანს. მახსოვს, კარგად მახსოვს, ცერს დაინერწყვავს ბატონი საშა, კონვერტის წიბოებს წაუსვამს და გულმოდგინედ დაწებავს. გამიკვირდება, ისეთი რა წერია, ამდენს რომ უფრთხილდება მეთქი.

— ჩემს ბუღალტერს მიუტანე და მოგცემსო, — ამ სიტყვებით გამომემშვიდობება.

იმავ დღეს მივართმევ სანდომიან მანდილოსანს ბატონი საშას წერილს. ბუხჰ-ალტერი ჩაიკითხავს, ამხედ-დამხედავს და მოგუდული ხმით მოჭრის:

— ხვალ მობრძანდით, სამი საათის შემდეგო.

დამწყდება გული, რადგანაც სამუშაოდ ავღრენილვარ. უკვე მომიმარაგებია ფურცლები, 13-მილიმეტრიანი ლენტაც. დღეს რამდენიმე გვერდის გადაბეჭდვას მოვასწრებდი-მეთქი, მაგრამ რას გავაწყობ და აჰა, ბატონი საშას ბუხჰალტრის კაბინეტში ვარ ისევ. ოთხის ათი წუთია. მანდილოსანი ღიმილით მიმზერს და თვალებით მანიშნებს ნივთზე:

— ეგეც თქვენი საბეჭდი მანქანა.

შევხედავ და ფერი მეცვლება. საბეჭდი მანქანის კლავიატურიდან რუსული შრიფტი მეპირქუშება.

— ქალბატონო, კი, მაგრამ როგორ? მე ჯერჯერობით ქართულად ვწერ საბედნიეროდ და არა რუსულად-მეთქი.

— მოიცათ, მოიცათ, ეგ საშამ „გიპადარკათო,“ — ასე დამიკონკრეტებს.

თმა ნემსებივით დამადგება თხემზე, იმდენად მოულოდნელია ყოველივე. „ერიკა“ ჰქვია ქათქათა საბეჭდ მანქანას.

ბუხჰალტერი თავისკენ მიხმობს და მშვიდი ხმით მეუბნება:

— აქ მომიწერე ხელიო.

მეც ინსტინქტურად ვემორჩილები ქალბატონის მითითებას და ჩემი გვარის გასწვრივ უწყისზე ხელს ვაწერ, სადაც გარკვევით ანათებს: **„220 მანეთი“**.

არ ვიცი როგორ მოვიქცე, ტელეფონით ვუთხრა მადლობა ბატონ საშას თუ კვლავაც შინ ვესტუმრო.

— მოიცა, საით ჩქარობ, — მიწყრება უკვე ბოლომდე გაშინაურებული ბუხჰალტერი, — მეორე უწყისს ამოაცოცებს უჯრიდან, — ხელი აქაცაა მოსაწერი, — მბრძანებლობს.

ახლა მთლად ვიბნევი, კვლავ ჩემი გვარის გაყოლებაზე ვაწერ ხელს, სადაც **„280 მანეთია“** ღუზაჩაშვებული.

— ეს ფული ამ საბეჭდი მანქანის გადაკეთებისაა. ასოცი მანეთი უნდა მაგ ამბავს. დანარჩენი სამგზავროდ უნდა იმყოფინო, — მეუბნება და კვლავ მებურძგლება თმა კინკრიხოზე.დიახ, დიდი იყო ბატონი საშა ეგუტია...

1997 წ.

ზუკის ანგელოზის აურა

ადამიანებთან ურთიერთობისას განსაკუთრებული ქუდბედიანობა მმფარველობს. ამის თაობაზე მეტის სიცხადით ვისაუბრებ გზადაგზა, მაგრამ დღემდე ვერაფრით ამიხსნია რისი მიზეზითაა ყოველი, თანამოძმეთა გულქართლობით თუ სულაც გამოსადეგი ადამიანის მოლოდინით ქვაზე დადებული სიკეთის მსგავსად, გამოივლი და წინ რომ დაგხვდება. იქნებ უფლის კალთა მაფარია-მეთქი, ამიჩქროლდება ხოლმე გული, თუმცა უმთავრესი ის გახლავთ, რომ კიბის ქვეშ სულამოხდილი ფიროსმანის მამულში, განჯელი ყაჩაღების დევნით დაფერფლილი ტატოს სამშობლოში, საფლავ-საფლავ სამადლო ტრაპეზს ჩასაფრებული ტერენტის დობადონაში, წინდების კერვით გაწიწმატებული გალაკტიონის მემლექეთში, სულზე მომისწრებს ხოლმე მოყვასის წელში გამმართავი მეოხება.

ტარიელ ქანთარია „ფათოხლის“ პურის ფქვილით ყოველთვიურად მომიკითხავს მარტოხელა დედას;

ირაკლი ჩიქავა, ჩვენი ტუკა, ხელგაშლილად დამიფინანსებს ბილინგვა ლექსების კრებულს — „გვიმარა“;

რევაზ ფაჩულიას ფინანსური მხარდაჭერა რის ვაივაგლახით დამიხსნის მაქინატორი ბიზნესმენისაგან.

თამაზ ლომაია, გიორგევიჩი...

ახლაც მისი საცხოვრისისაკენ მივეშურებით ორნი, მე და სიყრმის მეგობარი ვახტანგ მიშველია. სოფელ კოკის გადასახვევამდე გზა გაკრიალებულია, ქუვეითის პროგრამა დარჩელის მისადგომამდე თვალგასახარად წაადგება აქაურობას. მერე ზურგის ქარი მოაკლდება იმ ძალისხმევას და ოთხივ კუთხით შენარჩუნდება ათწლეულის დამაოსებელი ოღროჩოღრო.

ვახტანგი მოსკოვიდან ჩამოსვლისას აქაური გზატეხილების შესადარ „ჯაგლაგს“ შეიძენს ხოლმე ზუგდიდის მანქანების ბაზრობაზე და მისით დახრიგინებს შუკა-შუკა, მოიჯერებს დედულეთში ხეტიალით გულს და უსახსროვრებს მერმე რომელიმე ნათესავს.

სიყრმის მეგობრები გვეთქმის სამოცდაათიანელების კვალობაზე. სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ-მეორე კორპუსში აქა-იქ საზიარო სემინარებიც გამოგვეჩითება. განსაკთრებული ინტერესი აკადემიკოს შოთა მესხიას ლექციებისკენაა. ხან სტუდენტურ პურობაზე შევეხიდებით ერთურთს. მამით ადრე დაობლდება ჩემსავით, მაგრამ ამაზეც — შემდგომ.

ორსანტიისკენ მეორედ მოვეშურებით. 14 იანვარს თამაზ ლომაიას წლისთავი იყო. ახლა მარტის მიწურულია, მისი საფლავისკენ მივირწევით ნალიმას გავლით. აქ, კოკთან, ომერ ფაშას ასკერებს კუდით ქვას ასროლინებს სამეგრელოს სახალხო ლაშქარი, ეკატერინე ჭავჭავაძის წინამძღოლობით. ცოტა ზემოთ, ენგურის მარცხენა სანაპიროსკენ ორსანტიის სანახებია; გავცდებით რემიკო ბესელიას საარაკო სამოსახლოს. აქაურობას ოტობაიასაც ეძახიან რატომღაც. ოტობაია ორი გამეგონა დღემდე — დიდი და პატარა, პირველი და მეორე; აგერ, მესამეც გამომტყვრალა. როგორც ხანდაზმული ხალხისაგან შევიტყობ, საუკუნეების წინათ მდინარეს კალაპოტი მკვეთრად შეუცვლია, მარ-

ჯვნივ მიჯრილა, ნარდში წაუგებლად უფეშქაშებია ოდიშელებისათვის სამურზაყანოს ნოყიერი მიწები. ამას იტყვიან მხცოვანნი, მაგრამ ვის ახსოვს ახლა შენი ოტობაიის ნაბდისგაშლა ტერიტორია? ორსანტიას შერწყმია, მის საყანე-სავენახეს, მის ეზოებს და სასაფლაოებს.

ვახტანგის დედა, ანეტა კანსტანტინოვნა ბერაიხეა, ნაბაკეველი, ენგურსგადაღმელი და ჩემი მედაჩხირე მეზობელი. აქაც უამრავ წვრილმანს მოეფინება ნათელი ნარდის ჭახაჭუხში გავარკვევ თმასპეტაკი მანდილოსნისაგან, რომ მამაჩემის ბიძაშვილს ხყვარებია, მირონის წამცხებ მორდია ბართლომეს. თუმცა ეს თემაც განშტოებითია და თავის ჟამს დაუცდის.

— მე არ ვიცნობდი თამაზს, არადა, მაგარი ბიჭი ყოფილა, — მეტყვის დაღვრემილი იერით ვახტანგი და ისედაც დაღარულ სახეზე ახალი ნაოჭები დაასხდება.

— ჭკოლასთან მინახულა წლების წინათ ცუგრუმელა ასულთან ერთად, — მხრებჩამოყრილი ვარ მეც, სიკეთის განსახიერება იყო სწორედ. ჭკოლა ხომ იცი როგორი უგულისყუროა, მომიცადეო გეტყვის, ორ საათში მოვალო, დაგიბევებს და 24-ის მერმე თუ მოტრიალდა, უფალს მადლი შესწირე. ჯერ კიდევ როდის გისაყვედურებია ჩემთვის: მშურს თქვენი მეგობრობაო. გამუდმებით ერთად რომ ვეთრეოდით, ეს გიწიწკნიდა სულს. იმხანად ჩემთვის აღარც ჭკოლას ეცალა და აღარც — შენ. მწერლობაში ეს-ეს არის ფეხს ვიდგამ. ტიტე მალაშხიას პროფტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში შემჩურთავენ. სერგო რიგვავა თავის სისტემაზე სარომანოდ მაქეზებს. ბორის ლომაიას ფინანსური მხარდაჭერით ნახევარ წელიწადში რაღაცას მოვახლაფორთებ, მაგრამ გამოცხადებულ კონკურსში, აწ მოძრაობა „მძლეველის“ სასძლო აკაკი ჯორჯაძის რომანი „ანგელოზი დადის მიწაზე“ მიიღებს პირველ პრემიას. აბა, რა იქნება, როცა ფაბულა ენგურივით შეიცვლის კალაპოტს და გადი ლომაიას ბიძის პროფორიენტაციის პრობლემებს ოტობაიის მიწის ნაგლეჯივით წერჩება ხელში ტკბილ-მწარე სინამ- დვილე, ოდაბადე რომ ხქვია სახელად, წუთისოფელი, კუზიანი საწუთრო. შევთანხმდეთ: ბრალეულობა თანაბარია ჩემო, იზლერ, — სტუდენტობის პერიოდის სახელით მივმართავ, — ნაკლებად ვიცლიდით ერთმანეთისათვის. აი, გიორგევიჩი კი შეუდარებელი იყო. ტიტე მალაშხიას „ფეზეოს“ სხვენზე შეკვეხებულს რომ მიხილავს, ხელს წამოავლებს გაქერქილ ჩანთას და საკუთარ ბინაში მომათავსებს; ეგერ, დამწვარი მილიციის შენობის პირდაპირ გამომითავისუფლებს სივრცეს, სანამ ზღვისპირა ჭურიაში კახათელების ფარეხში გადავბარგდებოდე.

თამაზი დაუსწრებლად სწავლობდა იურიდიულზე, მაგრამ პოეზიის ნამდვილი ტრფიალი გახლდათ. განსაკუთრებით ჩემს მეგრულ ლექსებზე ეკეტებოდა გონება. სად არ დავყავდი, ვისთან? სამოწყალოა ბენზინის ფული ცინცხალი „ჟიგულისათვის“, რომელსაც ნიადაგ აღმა-დაღმა ბობღიალი რამდენიმე თვეში შენს ბეხრეკ „ოცდაოთხს“ დაამგვანებს ტაოტიან მანქანას: წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ჯვარი, სალხინო, იმერეთი და გურია. კვირაში ორგზის ორსანტიაში დავყავარ. არა, ზნეობის განსახიერება იყო ნამდვილად. ხარის თვალები ხქონდა ბეჭებგანიერს და აშოლტილს. მისი გარდერობი მონომახისაა ჩემთვის, მაგრამ მოიძიებს სამეგრელოში რამერუმე სადაგს და მივაცილებთ ამნაირად დღეებს, კვირებს, თვეებს. განსაკუთრებით ციური ქირიას ჯიბეს ვეიმედებით და კიდევ — თამაზის შუათანა დისას. აქ, ამ შუაგულ ქალაქში, ლომაიებისას თავყრილობენ ქვარცხავები, ბერიშვილები, ახალაიები, კიტიები... სხვანი და სხვანი; დიახაც, უშურველია ჩემი ძმობილი. სოფლიდან რძე და ყველი ჩამოაქვს, თხილი და თაფლი. ნადარაიებთან მეფური სუფრა გაიშლება ხოლმე. თვითონ რა აბადია და ჯიბეს ამოიცარიელებს. ამგვარად გავახათაბალებთ წელიწადზე მეტს. მერე ჭურიაში გადავიკარგები-მეთქი, მიხსენებია. იქაც მომაკითხავს გვარიანად შერყეული „ნოლშესტით“. ოთხმოცდახუთში დედაქალაქისაკენ რომ ვუტევ, წელიწადში ერთგზის უცილობლად მომძებნის სტუდქალაქსა თუ მიყრუებულ გარეუბანში. ბავშვივით ხარობს ჩემი „წარმატებებით“. ჩამოვფუძნდები ზუგდიდში და აქაც გამონახავს დროს უკვე ოჯახური პრობლემებით დატვირთული და ამავდროულად საშინელი სენის უღელს შებმული თურმე. გვიან შევიტყობ მის ავადმყოფობას, მძიმე ოპერაცია გადაუტანია. ერთხელაც ვერ ვინახულებ. მერე მთლად უარესი — მთვარიან ღამით აღესრულება.

ყოველ შემთხვევაში ასეთნაირად დამამუნათებს ერთი აყარო ოდიშარი ფილარმონიის საკონცერტო დარბაზთან შემოფეთებულს.

მეგობრებს მაგრად გაგვიტყდა შენზეო, ამგვარად მომაცივდება.

კი, მაგრამ რის გამო-მეთქი.

რისთვის და გიორგევიჩის სატირალში რომ არ ჩამოხვედიო. სულ შენს ხსენებაში ამოხდა სული, შურ სქანდა მიშუხედუა. უთარგმნელია ეგ სიტყვა.

მერე და ვიცოდი-მეთქი. სისხლი ამასხამს ტვინში. ვინ შემატყობინეთ, რომელმა? მისამართი თუ

არ გქონდათ, მწერალთა კავშირისათვის მაინც გედეპეშათ, ვინმეს მომიგზავნიდნენ-მეთქი.

დავიჯერო, არ იცოდიო.

მტყუანის-მეთქი და შევიკურთხები მრავალ სართულიანს.

— სამაგიეროდ ხომ დასაჯე წლისთავზე ყველა საკადრისად?!

— დავსაჯე და, როგორ! იმ დღეს მანქანიდან შენ არც ჩამოსულხარ. სპორტულებში იყავი, როგორც ამჯერად. ქურქი მოგესხა ზედ, ჭიჭიკოს როლი შეიშნოვე. სანთელი ისედაც ანთებული გვქონდა საფლავზე. ოჯახში შესული საკმეველს ვუკმევ საკურთხს. ჭიქას წავუქცევ. გამოვესაუბრები შავოსან დებს, მეუღლეს, შვილებს. ჭირის სუფრა ბაბანებს. განმარტოების საბაბი უამრავი გამაჩნია: წელიწადზე მეტია არ ვეკარები ღვინოს. მომაკითხავენ გაქანებული ქელეხიდან ბიჭები, მაგრამ ყველას გავაწბილებ:

თქვენთან პურის გამტეხავი არა ვარ-მეთქი. თუკი მეგობრად მიმიჩნევდით, თამაზის აღსასრული რატომ არ შემატყობინეთ? ან თუ მოუცლელობით ვერ მოგიხერხდათ ჩემი გაფრთხილება, უსამართლო საყვედურები მაინც რა იყო-მეთქი და იქაურობას გავეცლები.

ლომაიების სასაფლაოზე სიწყნარეა. მარმარილოდან სევდიანად იღიმის დაუტირებელი ძმობილი. ღვინოს მოვასხურებთ მოწყენილ ყვავილებს. გავაბოლებ და კარგა ხნის დუმილის შემდეგ ანაკლიისაკენ დავეშვებით.ზღვისპირა ჭურიაში სოლივით გახეშილი მერომანე ძმაკაცისათვის ვახტანგს რამდენიმეგზის მოუკითხავს. გვითევზავია კახათელების არხებში. ახლა ზღვაში ბანაობა მოგუნებებია და ხასიათი უმჩატდება. ჩვენც გვქონია სიახლოვე და წყვეტა. ბოლო ათი წელიწადია მოსკოვში გადაბარგებულა. ბიზნესში მერკური მფარველობს და ,,ნადსმენობის'' მიუხედავად საწუწუნო არაფერი აქვს: უფროსი ასული და სიძე სამი შვილიშვილითურთ დანიაში დაუბინავებია მიშვილიების გვარით. უმცროს შოთიკოს ჟურნალისტიკა დაუმთავრებია ,,ემგეუში'' და ახლა დიპლომატიურზე აგრძელებს სწავლას. მემკვიდრის დაწუნებული მობილურები და ,,ინომარკები'' მის გამგებლობაშია.ჭაბუკობის წლებში ერთი ქალი გვხიბლავდა ორივეს. მერე პოლიტიკოსობას მოუსინჯავს ფხას გურამ ყორანაშვილის თანამეინახეობით. მოგვიანებით ლეიბორისტებისაკენ გაუწევს გული, მაგრამ დიდხანს ვერც იქ დამკვიდრდება და გადაეშვება მოსკოვისაკენ. აქ, სადადიანოში, წელიწადში ერთხელ მაინც უთუოდ შემომხმიანება, როცა ძარღვებში ნერჩის მადლი შეუსუსტდება; როცა სულში ფუძის ანგელოზის აურას მაგნიტური ზემოქმედება გაუნელდება.

ორი წელიწადია რამდენიმე კვირით გადავენასკვებით ხოლმე ერთურთს. არ ილევა მგზავრობები სამეგრელოს კუთხე-კუნჭულში. ნათესავ-მეგობრის ცვენაა მის ჭიშკართან. თითით ყელს გამოუწევენ დახმარებისათვის: ვის სამარშრუტო ტაქსის შეძენა უნდა, ვის — ,,იკარუსისა''; ზოგი აღებ-მიცემობასაა ჩასაფრებული და საქმის წამოსაწყები თანხა სჭირდება. არავის გააწბილებს, ოღონდ მთავარია საამისოდ თავი დაუდრიკონ.

— თანდათან ვკარგავ ნათესავებსო, — მიმხელს მოჟამული — ამხანაგებსაცო, — დასძენს, — ხელი გამიმართავს ყველასათვის, და რადგან ვალის დაბრუნება ჯოჯოხეთია, თავს მარიდებს დიდ-პატარაო, — წუხს.

თუთაშხიას იგავს შევახსენებ, უკეთ მორდოხაის ეპიზოდს — როგორ დაუკლებს ბიჭს ხალათში აბაზს თუ შაურს და ისიც გაყიდის თხას შეღავათიანად. საგანგებოდ გამოვკვეთავ ფორმულასავით ჩამოქანდაკებულს:,,**ვისაც ჩავაცვი, სწორედ იმან გამხადა**''.

მე სათხოვარი რა უნდა მქონდეს ვახტანგთან, მესიტყვე კაცს, თავზე სხვისი ჭერი რომ მახურავს და ბედუინებივით ვხეტიალობ პარტახ მამულში? ქაღალდისა და კალმისტრის გროშებს ყოველთვის მოაკოწიწებს გური ოტობაია. ან როდის ყოფილა დახმარებისათვის მუცელზე ეხოხიალა? დილით ხაშის და ზედ ლავაშის ფული მეც მიჭყავის ჯიბეში. თვითმფრინავის და ერმიტაჟის ყიდვას ნამდვილად ვერ გაწვდება ჩემი ბიუჯეტი და თავი ტყუილუბრალოდ რისთვის წავხარო?! ეგ არის და ეგ. ხო, მართლაც შარშან ,,სიცოცხლემისჯილების'' პირველი წიგნის ნორა ნეიმანისეული რუსული თარგმანი ჩამიბარებია ჟურნალ ,,დრუჟბა ნაროდოვში'' მისატანად. უკეთ მისი რედაქტორისათვის, ბატონ საშა ებანოიძისთვის, გამიგზავნია იგი რამდენიმე წლის წინათ, მაგრამ მოსკოვში გულშემატკივარი არავინ აღმოაჩნდება, რომელიც ჩემს რომანს უქომაგებს, არც —ნათესავი, აღარც—მეგობარი.

— მებორნის ზღაპარი თუ გაგიგონია-მეთქი, ვეუბნები ღიმილით.

— აბაო, — და მომაჩერდება სახეში.

— ვიღაც ბოგანოს მებორნეობა მიესჯება ზეცით. ერთხელ უფალი ესტუმრება მის დაწყევლილ ,,ზავედენიას'' და რაჟამს გაღმა ნაპირზე გადაიყვანს ცაბაოთს, სთხოვს, ურჩიოს, როგორ, რანაირად დააღწიოს თავი ქარონის ჯოჯოხეთურ საქმეს. ხოდა, მაცხოვარიც არ დაახანებს:

როცა ვინმე მარტოხელა მგზავრს შემოიკედლებ, შეეშვი ორთაყვირს, უბიძგე ბორანს მდინარისაკენ, შენ კი ნაპირზე გადმოხტი და ეჯაჯგუროს მერე რამდენიც ნებავდესო. ამისა არ იყოს, იზლერ, ძმაო, ჩამიბარებია რომანის ბოლო ეგზემპლარი. გადმომხტარვარ მე აქეთ, საქართველოში, ახლის ასაკოკოლავებლად და აწი დანარჩენი შენზეა, გინდა გამოგიცია და გინდა — არა-მეთქი.

— ნეტ პრობლემ, ეშეველობა საქმესო, — დამაიმედებს.

დღეების წინათ შემოგვივლია ჯვარი, წალენჯიხა და ლია. სად მარმარილოს ეძებს ეზოს მოსაპირკეთებლად, სად წაბლის და მაკაგონის ფიცრებს. ვეწვევით ბატონ ოთარ ფაცაციას, ქარჩავებს — ოირემეში; ფოთს; აბაშაში — გამსახურდიების სახლ-მუზეუმს. ახლა კი, აგერ, ანაკლიისკენ მივჯაყჯაყებთ მარტის მიწურულს. ზღვაში ბანაობა მოსურვებია. თბილა თითქოს, მაგრამ ზენა ქარი ისე შემპარავად უბერავს ურთიდან, ფილტვების ანთება განაღდებულია სახვალიოდ.

ანაკლიაში მოხერხებულ ეზო-კარს დაეძებს. თადარიგს იჭერს ხანდაზმულობისთვის. რამდენიმე დღეში სოჭისკენ გაუტევს ვახტანგი. იქ საძირკველშივე ჩამქრალი ქართული ეკლესიის განახლება განუზრახავს. გადაბარგდება ,,ფრთოსან კომეტაზე'' და ოდინდელი სამშობლო მიწიდან მიაშურებს მესამე რომად წოდებულ მოსკოვს. თუმცა ჯერ მთავარზე მთავარი პრობლემაა მოსაგვარებელი — საოპერაციოდაა დასაყოლიებელი ერთადერთი დაი — ნონა ბერაიხე.

აქ გვარების სხვადასხვაობა ნუ გეხამუშებათ. წლების წინ ჩემთვისაც უცხოა ვახტანგ მიშველიას ასავალ-დასავალი. ძუძუთა ბავშვი მამიდას უშვილებია, შოთა მიშველიას ძე გამხდარა. გრიშა ბერაია რა კაციცაა, ვისაუბრებთ ქვემორე: სანათესაოსაგან ზურგ შექცეულ დაქვრივებულ დედაჩემს როგორ დაუდგება თავდებად სესხის აღებისას.

— ყველაზე მნიშვნელოვანი ნერჩის წყალობა ყოფილა, ფუძის ანგელოზის აურა, — მოსჭრის და გამომცდელ მზერას მომაპყრობს, — წელიწადში მაინც რომ მოვაშურებ აქაურობას, მთლად უმიზეზოდ როდია. რაღაც უთქმელი განცდა მომაწვება ყელში. სულს მიხუთავს, დიასპორელები ნოსტალგიასაც ეძახიან. დიახ, ,,ი დიმ ატეჩესტვა სლადოკ!'' ნეტარებაა სიცოცხლის მომნიჭებელ ძალასთან მისვლა. გეხსომება ანთეოსი მითოლოგიიდან. ხერაკლე ვერაფერს უხერხებს დაჭიდებისას ამ დევ-გმირს, სანამ მიწიდან არ მოწყვეტს და ხაერში არ მოახრჩობს. დაწყებით კლასში შევიტყობ აყვანილი რომ ვყოფილვართ. უარესი თავზარდამცემი ამბავი ცეროდენა ბავშვისთვის გამორიცხულია. უცებ იმსხვრევა შენს გარშემო ლამაზად შემოშენებული გარემო. ფერი უხუნდება ხასხასა ბალახს, კედლებს. აქამდე დედად მიჩნეულ მშობელს სახე ეჭმუხნება. ხმა ებზარება მამას. ჭაში წყალი ტყვიასავით მძიმდება. ჩაწვები ლოგინში და კედელზე კაცუნები აცეკვდებიან. დამცირებული ხარ, გათელილი, განწირული. ბატკანს ემსგავსები სამსხვერპლოდ გამზადებულს, რომელსაც, სადაც არის ყელში დანას გამოუსვამენ უსულგულოდ. ამიერიდან უღრანივით შორეული ხდება დედა, რომელსაც თამარას ეძახდი წლების მანძილზე და და-ძმებიც რიგითებზე უნდილი გეჩვენება. ორი გვარი იწყებს სასწორის პინაზე ბოლოქანქარასავით მერყეობას, მიშველია-ბერაია, ბერაია-მიშველია. გჯავრდება, გძულდება ,,შ'' და ,,რ'' ბგერები, რადგანაც განსაკუთრებით მათ გაგონებაზე გესუსხება ყურთასმენა დაჭინჭრულივით. წიგნებში ეძებ ნუგეშს, თუმცა იქაც არაფერია სახეირო. ცხრა მთას იქით გადაკარგვა გწადია. შურიანობა დაგრეკს ხელს. თავის გამოჩენას ლამობ, რათა შენს მშობელ დედასა და და-ძმებს უპირატესობა დაუმტკიცო, რომ არჩევანში შეცდნენ, განსაკუთრებული გაუსხვისებიხართ და შედარებით თვინიერები შეუმყუდროვებიათ. საქმე იმგვარადაა, როგორც ერბომოხდილ მაწონთან. ხანგრძლივია ეს პროცესი. ფუმფულა ლოგინში გძინავს. თითქოს ხალიჩები და ფარდაგებია ირგვლივ, სითბო და სიმყუდროვე, სინამდვილეში — სავსებით დაუცველი ხარ უარყოფითი ენერგიების შემოტევისაგან.შენი მეხამრიდი, შენი ნერჩი, შენი დედაბოძის აურა სხვაგანაა, კილომეტრების იქით, შენამდე ვერ წვდება და ასე განძარცვულს გთანგავს და გწნიხავს მაცილის ძალმოსილება. ეს განცდა უცხოა რიგითებისათვის. სამშობლოს მოშორებულმა კაცმა უკეთ უწყის ამის თაობაზე, როგორც — ხე ჯი ჯანმა ჩხენკეულისეულ თარგმანში:

ყრმა ვიყავ, როცა დავაგდე სახლი
და ჰა, ბებერი დავბრუნდი ახლა.
ისევ ისე ჟღერს მშობლური სიტყვა,
მე კი, ბერიკაცს, ჭაღარა მახლავს.
და ჩემი უბნის გოგო-ბიჭები —
ვერა, ვერ იცნეს სტუმარი მსხვილი —
მთხოვენ, ავუხსნა — საიდან მოველ
ან საით არის საშობლო ჩემი.

— ექვსი და-ძმა ვართ ჩვენ. უმცროსი ომარის შვილად აყვანას მოიწადინებს ბიძაჩემი, მაგრამ გელანახე ბვას ააგდებს და თავს შეუშვერს: გოჭი ხომ არ არისო. გავუძლებთ ობლობას, ლობიოთი გამოვზრდი და ნერჩს არაფრით მოვაშორებო.

— სწორედაც მაგ ნერჩზე მოგახსენებ, ძმობილო. შენ რა გიჭირს, ხუთი წელი დედის მკერდით გისულდგმულია, მე კი ხელად მომწყვიტეს იმ აურას და სოსკა ჩამჩარეს პირში. გგონია გაორებებს იოლად დავეხსენი?

გმირობაზე მეტია საკუთარ თავს გადაახტე, როცა ჩანასახშივე დამარცხებისათვის გაწირულხარ. აქედან იბადება ეგოიზმიც. ჭკოლასა და შენი მეგობრობის მშურდა. ჩვენ არ გვეთქმოდა ურიგო ძმაკაცები, მაგრამ გამუდმებით ერთად რომ ტრიალებდით, სული მეხუთებოდა. არ არის ეგ მხოლოდ ბიბლიური შური, მეათე მცნების არტახები, რომელზეც საბა იტყვის: ესე არს ბოროტება მოყვასისა კეთილსა ზედაო. რაღაც ამგვარი, ხელის ჩაქნევის მსგავსი ყოველსა და ყველაფერზე. ეხ, აურის მადლისა რა იცი შენ, დღემოსწრება მის ფრთებქვეშ გალაღებულმა? აი, მე მკითხე, წლობით იმ მადლის უქონელს. ამიტომაც ერთხელ მაინც თუ არ ჩავეხუტები ჩემს ცას და მიწას, ერთხელ მაინც თუ არ ვიბანავებ ჩემს ზღვასა და მდინარეში, სული ამომძვრება, გავთავდები!!! რუსეთს როგორ არ უნდა ვუმადლოდე მე. დანიას რანაირად არ უნდა ვეთაყვანებოდე. დიახაც, ამ ფიზიკურმა სიშორემ შემძინა მშობელი დედა და ღვიძლი და-ძმები. ჩემს გამზრდელ მშობლებს ნამდვილიც მიემატა და სიყვარული გამიორმაგდა. ნამყენი უსუსურია ბუნებრივთან შედარებით. მართალია, შეეწყობა იგი საძირეს, ადრე თუ გვიან სასურველ ნაყოფსაც გამოისხამს, მაგრამ საჯიშედ უვარგისია. მხოლოდ დიდ მანძილს შესძლებია ამ სიცარიელის ამოვსება. მაშინ აყმუვლდება სულში რაღაც უთქმელი, რაღაც უხილავი და თავს ზემოთ ძალა აღარ არის: უნდა ჩამობრუნდე შენს ნერჩთან, შენს ფუძის ანგელოზთან, რათა ჯავშანივით ტანზე მოისხა შემოჩვეული სტრესების უკუსაყრელად. შეხედე როგორ კამკამებს ზღვა?! უკაცრიელია ნაპირი.

— ამ ყიამეთში ბანაობა ვის მოაფიქრდება შენს მეტს? — ვიტყვი ერთიანად შეძრული.

— მოდი, ტიტლიკანებმა შევცუროთ. გასამშრალებელი ისედაც არაფერი გვატიალია.

— ვიბანაოთ, კაცო, ჭაჭებისკენ გავაქციოთ კაკლები.

ნაპირი მართლაც უდაბურია. დიდღელვებს უხვად გამოურიყავს ფიჩხი, ნიჟარები. ტალღებში ვდგაფუნებთ. ხაერი შედარებით სუსხიანია, მაგრამ წყალი გასაოცარ სითბოდ გვეღვრება სხეულში. დედიშობილანი ვართ, დიახაც, ხემინგუეი და ფიცჯერალდი რომ შემყუდროვდებიან აბანოში, იმგვარად. ჯერაც არ დაწყვეტილა ძარღვები მაჯებზე, წვივებთან. ვახტანგს ქვედა კიდურების ვენების გაგანიერება აწუხებს და წურბელებით მკურნალობას ვურჩევ.

კოცონის დანთებისთვის ვერ ვიცლით, ვინაიდან სანაპიროზე სოფლის გოგო-ბიჭების გუნდი შემოეხეტება და მანქანაში შევლაგდებით. ღუმელი ჩართულია. სწრაფად შეგვაშრება მომლაშო წყალი. ბენზინის სუნს განდევნის ზღვის ხაერი. დასალიერზე მზე კრუხივით ეშვება აქოჩრილ ტალღებში. ზეგ თბილისში ჩამოვბრუნდებით. ნონა ბერაიხე ღირწკინ-ღირწკინით გადაიტანს ლანცეტის სიბასრეს.

ბატონ ჭაბუა ამირეჯიბსაც ვესტუმრებით ვაკის პარკის სიახლოვეს, თამარაშვილის მომცრო ხეობაში. ეს შეხვედრა სხვა დროის სასაუბროდ შემოვინახოთ, ჩვენ კი უმჯობესია ფუძის ანგელოზს აურას მივუჩოჩდეთ ერთხელაც.

ლაინერი სისხამზე მიფრინავს. მთელი ღამე მთისას და ბარისას ვისაუბრებთ. ტახტაზე წამოწოლილს წამთვლემს თურმე და ვიგრძნობ მეგობრის გამგზავრებას. წამოვფეთდები. ტაქსს დავიჭერ უკაცრიელ ქალაქში და მძღოლს გავარეკვინებ აეროპორტისაკენ. ბილეთის რეგისტრაციის რიგში მივუსწრებ ძმობილს.

— დამენანა შენი გაღვიძებაო, — მეტყვის ერთიანად აღგზნებული. დუბლიონკა მოგახურე. ფული თუ შენიშნეო, — ჩამაცქერდება თვალებში.

— რა ფული, რისი ფული-მეთქი, — შევყრი წარბებს.

— მცირეოდენი დაგიტოვე. შენს შემოქმედებას მიხედე. ცოტაც მადროვე და კიდევ მოგიხერხებ რამეს. ხელის გამშვერს შენ არ გავხარ, არადა ვიცი, როგორ იჭირვებ, წელებზე ფეხს იდგამ. ჭაბუასთანაც მიდი აქა-იქ, მოფერება ახლა მისთვის წამალია.

მიხსენებია, ძაღლის ბედი მაქვს-მეთქი, უფლის კალთა მაფარია, იქნებ ნერჩის ძალმოსილება, ვახტანგ მიშველიასებურად, ფუძის ანგელოზის აურა?!

— ხო, მართლაც, — სახეზე მომაშტერდება გაკვირვებით, — ის ხორცმეტი რა იქნა?

— რომელი ხორცმეტი? — დავიბნევი და ინსტინქტურად ნიკაპზე ჩამოვისვამ ხელს.

— კირკინტივით რომ გქონდა, კაცო. დიაგნოსტიკის ცენტრში რომ გარბენინა. ერთიანად რომ დაგაფეთა, არიქა, რაიმე უსაშველო არ იყოსო?!

სარკისკენ მივეშურები.

თვალებს არ ვუჯერებ. ორი წლის მანძილზე ნიკაპსა და ქვედა ტუჩს შუა მეჭეჭივით ამოზრდილი ხორცმეტი იმნაირად მომცილებია, წერტილისხელა ნაკვალევიც არსად ჩანს. წვერი მოპარსული მქონდეს, სამართებელს დავაბრალებდი მის გაუჩინარებას.

— სიზმარი ვნახე წუხელ, — ვეუბნები მორიდებით,— დიდი ხელი შემოცურდება სიბნელიდან, უშველებელი, ქათქათა, ლამის ნიჩბისხელა. ამგვარი რამ ხუთჯერ დამმართნია უკვე, ოღონდ განსხვავებული ფორმით. ნურაფრის გეშინია, იარე წინო, ჩამესმის შორეულზე შორეული ხმა და ჩამომისვამს თითებს ჟრუანტელისმომგვრელად.

— მიდი, საქმეს მიხედე, გულადი ძვირფასო, გულადი დარაგოი, — მომძახის ვახტანგი და აწეული მარჯვენით აეკიდება ტრაპისკენ დაძრულ მგზავრებს.

გამოხმაურებანი

აი, რას წერს „ოდოიას“ პირველ ნომერზე 1994 წლის 22 სექტემბერს „საქართველოს რესპუბლიკა“ მომცრო რეცენზიაში „ოდოიას“ — ოდოია“:

„ახალი გაზეთი „ოდოია“, რომელიც ამ დღეებში გამოჩნდა დედაქალაქის ჯიხურებში, არ ჰგავს სხვებს, ტრადიციული არ გახლავთ. ეს არის გაზეთი-ალმანახი, ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა. ჭაშნიკად წარმოდგენილია ავანგარდისტი მწერალი გური ოტობაია, რომლის რომანმა „სიცოცხლეშისჯილმა“ გამოცემის უმალ მიიქცია მკითხველის ყურადღება ზნეობრივ-ფილოსოფიური პრობლემატიკითა და წერის უჩვეულო მანერით.

გაზეთის თექვსმეტივე გვერდზე ინტერვიუს, პუბლიცისტურ თუ კვლევით-ანალიზური წერილებით გური ოტობაია გვამცნობს თავის მწერლურ კრედოს: დამოკიდებულებას ყოფიერებისადმი — დღევანდელობისა და წარსულისადმი, ქართული სინამდვილის მსოფლგანცდას.

საინტერესოა მისი პოზიცია სალიტერატურო ენაში, მეგრული და სვანური ლექსიკის ფაქიზი, მართებული შემოტანის მნიშვნელობაზე ზოგადეროვნული ფსიქიკის ჩამოყალიბებაში, ძველკოლხური სიმღერის „ოდოიას“ ფესვების ჰიპოთეზური ძიება ჰომეროსის „ილიადაში“ და დაასკვნა, რომ ეს სიმღერა თავიდან სალაშქრო იყო და შემდგომ იქცა შრომის ჰიმნად. იქვეა მშვენივრად გადმოქართულებული მეგრული ხალხური ფოლკლორის ნიმუშები.

შეიძლება ზოგი რამ სადავო იყოს, მაგრამ წაკითხული გულგრილს ნამდვილად არ გვტოვებს.

„მაშ, ერთად, ჩემო სისხლო და ხორცო, საქართველოსთვის ყველა და ყველაფერი“! — გური ოტობაიას ეს ცხოვრებისეული დევიზი „ოდოიაში“ დაბეჭდილ მის ყველა წერილსა თუ ფილოსოფიურ მსჯელობას გასდევს.

გაზეთმა პირველი განაცხადი უკვე გააკეთა: — დაველოდოთ შემდეგ ნომრებს — უფრო სწორედ, მის სტუმარ ქართველ მწერლებს“.

არანაკლებ საინტერესოა ჩვენთვის ამავე გაზეთში გამოქვეყნებული ავთანდილ გველესიანის რეცენზია „ფერადი სიზმრების“ სათაურით.

ფერადი სიზმრები

„— რთული, ამოუცნობია ადამიანის გონება, მისი გუნება-განწყობილება, ასოციაციური აზროვნების უნარი.

ქართველის გრძნობად-ემოციური მუხტი ისტორიზმს, დაკანონებულს, ზოგჯერ ნაკლებად ეპუება, ჯებირებს ეხეთქება, ანგრევს, ლეწავს, მერე, მერე, ისევ აშენებს, შემდეგ ისევ ანგრევს...

ამ დღეებში დამფუძნებელი-რედაქტორის, ბატონ გულადი ფეტელავას ახალი გაზეთის „ოდოიას“ პირველი, თავისი არსით „შუამავლის“ კეთილშობილური პატრიოტული მისიის მაღალპროფესიულ დონეზე გამოცემული ნომერი ჩამივარდა ხელთ. გაზეთ-

მა მრავალმხრივი, ურთიერთსაწინააღმდეგო შთაბეჭდილება დატოვა. მის ირგვლივ გამოწვლილვით, ნაადრევი საუბარი შორს წაგვიყვანდა. ამჯერად, ვფიქრობ, ახალმა გაზეთმა აზრისა და სიტყვის ყადრი გაამყღავნა. ამჯერად მთავარზე, არსებითზე, ჩემი სუბიექტური აზრი მსურს მოგახსენოთ, რომელიც ოფიციალურ და ოპოზიციურ მხარეთა შორის „შუამავალი“ გაზეთის დაინტერესებული წაკითხვის შემდეგ გამიჩნდა, უფრო შემემთხვა.

ოცნება და ასეთი?!

კვირაძალ ღამეს, 10 სექტემბერს, კარგა ხნის წარსული ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული უხილავი ფერადი სიზმარი ვნახე: დიდ დარბაზში, მამა-პაპისეული, ოთხკუთხა, გრძელი გაწყობილი მაგიდის თავში ყველასთვის ცნობილი პიროვნება — ედუარდ შევარდნაძე იჯდა, ოი, საოცრებავ! კაცი რაღას არ ნახავ?! მაგიდას აქეთ-იქიდან, ასევე ყველასათვის ნაცნობი მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, ჭაბუა ამირეჯიბი და ნოდარ წულეისკირი, ელიზბარ ჯაველიძე და თამაზ წივწივაძე, მამუკა წიკლაური და რევაზ მიშველაძე, ენვერ ნიჟარაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი, კიდევ მრავალი სხვა, ჩვენი საზოგადოებისთვის ასევე ცნობილი (ლამის არის წამომცდა — „ცთომილი“) პიროვნება ეჯდა.

ოქროსფერ შანდლებში სანთლებით გაჩახჩახებულ მაგიდასთან მჯდომნი (სტილი დაცულია, გ.ო.) თითქოს ერთმანეთისათვის თვალებში შეხედვა ეთაკილებოდათ, თავჩაღუნულები პირჯვარს იწერდნენ, ტუჩების მოძრაობაზე ეტყობოდათ, — უსიტყვოდ ლოცვას აღავლენდნენ.

ამ დროს, ნაუცბადევად, ღამის სარკმელში რაღაცამ თვალისმომჭრელად გაიელვა, შემდეგ შორს ყრუდ დაიგრუხუნა, სადღაც მეხი გავარდა, მოულოდნელი წარღვნა წამოვიდა, ქარმა დარბაზის ღია ფანჯრები ხმაურით გამოაჯახუნა და მაგიდაზე ჩამორიგებული სანთლები ერთიანად ჩააქრო.

რაღას არ ნახავ კაცი?!

წარღვნა და ქარი, მოულოდნელად, როგორც ამოვარდა, ასევე მოულოდნელად, ნაუცბათევად, მეორე წუთში უმალვე სანთლებთან ერთად ჩაქრა.

მაგიდასთან მჯდომებმა, ჯერ ერთმა, მერე მეორემ, მესამემ, ყველამ ფეხზე ადგომით, მათ წინ შანდლებში ჩადგმული სანთლები უხმოდ აანთეს. ერთი, მეორე, მესამე... სანთლების შუქზე დარბაზი თანდათან ნათდებოდა. როცა ყველა სანთელი აინთო, გარეთ სარკმლებშიც ცისკარი იღებოდა. ამ დროს მაგიდის შუაგულიდან ყანწით ხელში შოთა ნიშნიანიძე წამოდგა, მაგიდის წევრებს მიმართა:

— ბატონებო! მაქვს პატივი... — ფანჯრებში რიჟრაჟი იბადებოდა...

სიზმრით გაოგნებულმა, დილაუთენია ერთი გაზეთის მეგობარ მთავარ რედაქტორს სახლში დავურეკე:

— გეტყობა, არ გამოგიძინიათ... — სარკაზმნარევი იუმორით მითხრა.. მერე დააყოლა, — პატარა ხანს კიდევ წაუძინე, სიზმარი განაგრძე, მეც დამასვენე, მერე მოდი და ნასიზმრევის „დეგუსტაცია“ ერთად შევაჯეროთო.

ვერა და ვერ დავიძინე, ამდენად სიზმარიც აღარ გამიგრძელდა.

მთავარ რედაქტორს მაინც ვეახელ.

მის სამუშაო ოთახში ბატონი შოთა ნიშნიანიძე იჯდა...

ა. გ.

***

ასეთნაირად აღიქვამს ბატონ ავთანდილ გველესიანი ,,ოდოიას'' პირველ ნომერს — კონფრონტაციით გათანგულ მამულში მედიატორობა -შერიგებისკენ, ერთობისკენ ჩვენს მოწოდებას. მოვლენების განვითარება მერე და მერე ნათლად დაგვანახებს, რომ მთლად ამაოდ არ გავრჯილვართ: მრავალი კატაკლიზმის, ლამის სამოქალაქო ომის მიუხედავად, (რომლის ლოგიკური შედეგია აფხაზეთის უთანასწორო ომში ჩვენი სავალალო კრახი), დაიწყება ძალადდაზავების პროცესი — და დღეს ერთ საკანში შეყრილა, ბარიკადის სხვადასხვა მხარის ლიდერები — ,,მრგვალმაგიდელები'' თუ ,,მხედრიონელები''.

ჰომეროსის გმირებს შორის ერთადერთი ოდისევსი გადარჩება უვნებლად.

ფეხმარდ აქილევსს ვერ უშველის ჰეფესტოს გამოჭედილი აბჯარი თუ მოელვარე ზუჩი — პარისის ისარი განგმირავს; ვერც მეფეთ მეფე აგამემნონი შერჩება წუთისოფელს დიდხანს — მეუღლე კლიტემნესტრა და მისი კურო ეგისთე ბაგაში დაბმული ხარივით დაკლავენ აბანოში მონებივრეს;

სიკვდილის მსახვრალი ხელი შემუსრავს ტროას მცხოვრებლებს თუ მის დამაქცევართ, მარტოოდენ ოდისევსი, ბრმა აედის სიტყვებით — ჭკუაუხვი და ცბიერებით ცხებული, ცხოვრებისგან ნაგვემ-ნათრევი ოდისევსი, მოუბრუნდება ითაკაში მშობლიურ კერას, მაგრამ — სულიერად მხნე და იმძლავრებს კიდევაც პენელოპეს სასიძოებზე მოხერხებულობის, ნაცარქექიაობის წყალობით — ბრძენი უნდა იყო და სულელივით ვლიდე; მამაცობა გმოსავდეს და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი — თითო-ოროლამ, უკეთ ერთეულებმაღა აითვისეს საწუთროს ლოგიკიდან: ზნეობრივი თვალსაზრისით ბევრჯერ გაუმართლებელი ქმედება, პოლიტიკის ენით აუცილებელი და უმთავრესი პირობაა თურმე.

ამჟამად კი ორი მომცრო წერილსაც შემოგთავაზებთ საკმაოდ მწირი ჩვენი ფოსტიდან:

ავტორთა სტილი დაცულია

ფრაგმენტი მასალიდან კონკურსისა:
„ათი ზეღირსეული ქართველი“:

„ნათქვამია: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო“.

ძვირფასო რედაქცია, ძალიან სასიხარულოა თქვენი გაზეთ „ოდოიას“ არსებობა და თქვენი მონა-მორჩილი, ერთ-ერთი რიგითი პატრიოტის რჩევა-დარიგება ასეთია: გაზეთი უფრო სტრატეგიული და ბრძოლისუნარიანი რომ იყოს, ამისთვის საჭიროა, მის ყოველ სტატიაში პირდაპირობა, ყოველგვარ მიკიბულ-მოკიბულის გარეშე მოწინააღმდეგის სააშკარაოზე გამოტანა, მტრის მიმართ სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლის მეთოდთა გამოყენება და ქვეყნის უდიდეს ნაწილს შეაგონოთ და შეასწავლოთ ბრძოლის თუნდაც ის ერთადერთი მიმართება, რომელსაც რუმინული ვარიანტი ჰქვია.

სხვა გზა არა გვაქვს, სხვა გზით საქართველოს სამუდამოდ გადაყლაპავს კომუნისტურ კანიბალთა მანქანა!

ბოდიშს ვიხდი, განუმარტავ, მოკლე და ბუნდოვან საკითხებზე, იმედია, გამიგებთ. ვიმეორებ, თქვენ შეგიძლიათ გადაარჩინოთ საქართველო, თუ სწორი და მართალი გზით წარმართავთ პროპაგანდა-აგიტაციას, საიდანაც წარმოიშვებიან მებრძოლი ლიდერები!“

გ. ქარჩავა,

***

ძნელია ახლა ბატონ გიორგი ქარჩავას თავიდანვე ავუხსნათ ჩვენი მისია: შეკავშირება — კონფრონტაციის ნაცვლად, თანხმობა — ბრძოლის მაგივრად, თანამშრომლობა— დაპირისპირების წილ, ანუ შეუთავსებლის შეთავსება! აკი, ვამბობდით და ვიმეორებთ: პლუს-მინუსის ერთიანობის მიუღწევლად არ გვექნება შუქი წკვარამ ღამეში-თქო.

მამაღმერთი ოდაბადეს გაჩენის კვირაძალში მიუკერძოებელი სიყვარულით ქმნის უსულო თუ სულიერ არსებათა ერთობლიობას და არაფერია გასაკვირი, თუ სამყაროში ხელაღებითაა დაშვებული ვასაკას მორჩილება გიურზას აგრესიის გვერდით. თვით დანარცხებული ანგელოზიც კი, სათანაელის სახელით რომ ისწავლება თეოლოგიაში, სათნოების ალტერნატივაა და, ცხადია, უაზრობაა ბოროტის კეთილ საწყისთან შეჯვარება. მათი სინთეზი ძნელი სავარაუდებელია იდეალურს მიუახლოვდეს, თუმცა ჩვენი მიზანი უარყოფით ემოციათა დადებითი მომენტების სამსახურში ჩაყენებაა! ბოროტის მოსპობა კი არა — ძლევა, როგორც უხსენებელის შხამის გამოყენება, ისევ და ისევ კაცობრიობის საკეთილდღეოდ და თუ არჩეულ პოზიციაში ვცდებით, კვლავაც მზად ვართ პოლემიკისათვის.

მომდევნო წერილი შედარებით ვრცელია, რომელსაც პირობითად შემდეგნაირად დავასათაურებთ:

მეგობარ მწერალს!

,,ვით ძმასა და მეგობარს, მწადს ორიოდე სიტყვა მოგაწოდოთ თქვენი პუბლიკაციის, ,,შუაკაცის'' თაობაზედ.

მართალი ვთქვა, ისე აღმაფრთოვანა მცნება — შუაკაცის თქვენს მიერ წარმოჩენამ, რომ სიხარულს ვერ ვმალავ, ეგრე ესადაგება ჩემს გულის ნადებს.

შუაკაცი... რა დიადი, ღრმა და საიდუმლოებით აღსავსე თქმულია. ჩვენს მრავალჭირნახულ ერს, თანამედროვეთაგან ათასგზის წელში გატეხილს, გაბითურებულსა და მარტოდ დარჩენილს, დროზედ რომ შეშველებოდნენ შუაკაცნი, ვინ იცის, იქნებ სხვაგვარად დატრიალებულიყო ბედის ბორბალი. შუაკაცი — კაცი მიწასა და ცას შორის, ღვთიურსა და მიწიერს, ხილულსა და უხილავს შორის; შუაში მდგომი ადამიანთა დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის. მდგარი სხვებზე მაღლა, გადმომდგარი მაღლიდან, მნახველი ყოველივესი დაწვრილებით. ამასთან ზეგარდმო მადლით მოსილი დაშორიშორებულთა გამაერთიანებელი და სულიერი მკურნალი ამავდროს.

თქვენ ამბობთ: ,,გია აბესაძის მიერ საქართველოს ერთიანობისათვის ზვარაკად შეწირვამ მთელი არსებით შემძრა, შევფიცე მის სულს, არაფერს დავიშურებდი საქართველოს ერთიანობისათვის''.

თვითშეწირვაა, ალბათ, ყველაზე უფრო მისასადაგებელი შუაკაცისათვის. ქრისტეს გზაც ხომ ეგაა — ადამიანსა და ღმერთს შორის შუამავლობა. თვითტანჯვითა და თვითგვემით.

მეგობარო, აცხადებთ რა შუაკაცობაზე პრეტენზიას, ამით საკუთარ თავზე მსჯავრი გამოგაქვთ — ეწამოთ და დაუღალავად ზიდოთ გოლგოთას ჯვარი.

მწერლის მოვალეობაც უთუოდ, უპირველესად ეგ არის, მაგრამ ამ ეშმაკისეულ საუკუნეში მიავიწყდათ სიტყვის ოსტატებს თავიანთი უპირველესი მოვალეობა. შუაკაცის რა გითხრა და შუამხლეჩელის როლი სანაქებოდ შეასრულა მრავალთაგან უმრავლესმა. ბუნებითგან ზეგარდმო მადლით მოსილი სიბრძნე — შუაკაცი, მივიწყებული, შეურაცხყოფილი და ფეხქვეშგათელილი აღმოჩნდა. ქართველთაგან მერაბ კოსტავა დაიბადა ერთადერთი ამ გზით მოარული და ისიც სიკვდილის შემდეგ გაიხადა მრავალმა სათაყვანოდ. ცოცხლებს ვერ ვგუობთ რატომღაც თანამედროვენი. კონსტანტინესი არ იყოს — თუ ერთი კაცი გამოგვერია...

შემინდე როს არ მოგეწონოს ქვემოთ თქმული, ვფიქრობ შუაკაცი არ უნდა აღმოჩნდეს შემფასებლის როლში. მისი სასწორი არ უნდა გადაიხაროს წვრილმან კითხვაშიაც კი. თქვენ ამბობთ: ,,ჯერ ერთი, უზენაესი საბჭოდან პრეზიდენტისაგან ხალხის მიერვე არჩეული კომპარტიის წარმომადგენლების დათხოვნამ არსებითად განსაზღვრა საქართველოს სადღეისო ვითარებაო''. ვითომც მართლა ასეა? იქნებ თბილისის ქუჩებში ბარიკადის აგება იყოს სათავე ჩვენი უბედურებისა? შესაძლოა მსგავსი ბედისწერა დასდევს ბიზანტიელების, ირანელების, არაბების, მონღოლების, თურქების თუ სხვათა და სხვათაგან ნაოხრალ ქართველებს.

მე თქვენი პატივისმცემელი ვარ და თქვენთან ერთად მეცა მწადს ღრმად შთავიდე შუაკაცის არსში, რომ როგორმე ,,დემოკრატობანას'' თამაშის მსგავსი რამ არ შეგვემთხვას.

შუაკაცობაზე პრეტენზიამთქმელი ულევი სიყვარულით აღსავსეა უსათუოდ, რაც თქვენში ჭარბობს კიდევ და მოსიყვარულე კაცის ხელში მათრახი მიუღებელია, რანაირი წრფელი გრძნობით და კეთილი განზრახვით იყოს ეს ქმნილი.

შუაკაცი ხართ? ე.ი. თქვენ სიყვარულს სთავაზობთ შევარდნაძესაც და კიტოვანს, ქობალიას; ჭანტურიასაც და წერეთელს; გამსახურდიას, მის მომხრეებსა და ნარო კოლხარსაც ამავ დროს. საკუთარი ერის სხეულის ნაწილებია ისინი და როგორ შეიძლება მათთან ,,პოლემიკაში'' ჩაბმა?! შუაკაცი მოკამათის როლში ვერ ივარგებს. ის ხომ შემრიგებლობაზე სდებს თავს. მითუმეტეს, თქვენი გულისტკივილი ნიშანდობლივია ამ მხრივაც, როდესაც ამბობთ: ,,თუკი დაუსრულებელი ყოჩობანა გაგრძელდა... ორ ძიძას შორის დაკარგული ბავშვის ბედი გველისო''.

მეოცე საუკუნის მიწურული ქრისტეს მეორედ მოსვლის დროდაა მიჩნეული. განსაკუთრებით რთული იქნება 1993-1996 წლები. ეზოთერული მოძღვრების თანახმად რკინის ხანის აღსრულების ჟამია საუკუნის ბოლო. კაცობრიობა თავის განვითარების ახალ ეტაპზე გადადის. მომავალი სრული აღმასვლისაა, მხოლოდ ნებისმიერი გარდამტეხი ეტაპი დიდი კატაკლიზმებითაა ნიშანდობლივი და მსგავს ჟამს შუაკაცობის ინსტიტუტის შექმნის იდეასაც უნდა ჰქონდეს უთუოდ წინსვლა და გასავალი.

კარგად ამბობთ, ორ აჩემებულ ,,სიმართლეზე'' საქართველოს აწმყოდ წოდებულ მოულოდნელ ჯოჯოხეთზე... და თქვენი გულის ტკივილიც გათავისებული მაქვს, როცა შესძახებთ: ,,ბარაქალა

რომ კიდევ შეგვწევს უნარი ავუჯანყდეთ უსამართლობასო“.

შუაკაციც ხომ უსამართლობის წინააღმდეგ აჯანყებულია, მხოლოდ სხვაგვარად, არა მახვილით, არა ცეცხლით, არა ზარბაზნებით, არა ავტომატით, არამედ სულის სინათლით, სულიერი ძალმოსილებით, იმგვარად, რომ ავტომატაკიდებულის გულისწუხილიც გაიზიაროს, შიმშილობაგამოცხადებულსაც გაუგოს, ტყეში გაჭრილსაც და მთის მწვერვალებიდან გადმომხედვარის მსგავსად მთლიანობაში ნახოს სატკივარი და სათავე წუხილისა.

დღეს ხომ ეგრეა: საწუხრის ვაშლი თითქოს ძმებს გაუყვიათ, თავთავიანთი წილი საწუხარი მიუღიათ, მერე დაბნელებულან და ეშმაკშეჩენილებს ყველაზე უფრო მტკივნეული საკუთარი წილი საწუხარი, მართებულ და ნამდვილ საწუხრად მიუჩნევიათ.

მსგავსი სიბნელის ჟამს საქართველოში ვერც სარწმუნოების, ვეღარც ერისა და ბერის წარმომადგენელი ამაღლდა შუაკაცობის სიმაღლემდე და ვხოცეთ კიდევაც ძმებმა ერთმანეთი დიდის მონდომებით. სხვათა შორის, ვისაც სიტყვა უჭრიდა, სიძულვილის თესვას მოუნდა უფრორე. სიძულვილშეყრილი კაცის ადგილი სათავეშივე უნდა მოიკვეთოს.

ჩვენ ორივე სამეგრელოს კუთხის შვილნი ვართ, ორივეს დედის რძესთან ერთად შეთვისებული გვაქვს სიყვარული მეგრული სიტყვის, მეგრული ყოფის, მეგრელი კაცის ჰუმანიზმი და სიბრძნე; გათავისებული გვაქვს ამავ დროს თუ როგორ უერთდება სამეგრელოს წმინდა მდინარე საქართველოს „ბაზალეთის ტბას“.

მეგრელი კაცისთვის იმაზე მეტი შეურაცხყოფა რა უნდა იყოს, როდესაც ბრალს დასდებენ, შენ ქართველი არა ხარო და შეუგინებენ მეგრულს?!

დედის ძუძუ, მარცხენაც და მარჯვენაც, განა ერთნაირად შესარგისი არ არის? მხოლოდ, მეგობარო, ჩვენი საქმე არ უნდა იყოს, მეგრელებზე ამხედრებულთა წინააღმდეგ „გალაშქრება“. თუ შუაკაცობაზეა საუბარი, მეგრელთა მოძულეც ჩვენი სიყვარულით უნდა გათბეს, რომ განიკურნოს დროზე როგორმე.

მე შენი მეგრული ლექსები, მეგრულ სიმღერებთან ერთად ქართველი ერის სადიდებლად მიმაჩნია, ისევე, როგორც სადიდებელია ქართველთა სვანური სიტყვა, მოხევური თქმა, იმერული ნანინა და თუ ვინმე გონთ ბნელდება ქართული სიტყვა-თქმის სიმდიდრის და მრავალფეროვნებასთან შეყრისას, ნუ გამოვეკიდებით მას, საკუთარი ჭკუის გასაჭირიც ჰყოფნის საცოდავს. შევიცოდოთ სამეგრელოს დამოუკიდებლობის შიშით შეპყრობილნიც და გულში ჩავიკრათ, თანაც ხმას ნუ გავცემთ, უბრალ ყოფნა უპირველესი დასტურია მოძულეთა მიმართ სიყვარულის გამოვლინებისა.

ყოველივე ამაზე თავად მეტყველებ და თუ მეც ვმეორდები, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელაც ხაზი გაესვას სანაქებო აზრს:

ნეტავი ერის რომელ ნაწილს ეკუთვნის მუხრან მაჭავარიანის პოეზია, ბარიკადის იქით მდგარს თუ აქეთას?

ვის, რომელ ნაწილს აქვს უფლება იკითხოს „დათა თუთაშხია“?

ბუბას სიმღერები რომელი ნაწილისთვისაა განკუთვნილი?

ვისთვის მღერის ნანი ბრეგვაძე?

ვისთვის თამაშობს როლებს მეღვინეთუხუცესი?

კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის ფავილებით მორთვა და მისი ეზო-კარის გადაბუგვა-გადაწვა როგორ თავსდება ერთმანეთში?...

არა, ბატონებო, თქვენ ვისთვის წერთ, ერის რომელი ნაწილისთვის მღერიხართ, თამაშობთ ფილმებში, არ ვიცი, მაგრამ ესაა ჩემს სისხლად და ხორცად რომ მიმაჩნია, თითოეული ნიჭიერი ქართველის ზოგადეროვნული შემოქმედება.

ყოველგვარი უფლების აუღებლად დიდი გულისყურით ვუსმენ ჯანსუღ კახიძეს, ვკითხულობ „დათა თუთაშხიას“, თაყვანს ვცემ ზვიადის „ვეფხისტყაოსნის“ სახის მეტყველებასა“ და „საქართველოს სულიერ მისიას“.

ბუბა, რომელ ბარიკადზედაც უნდა იდგეს და მღეროდეს, მოვუსმენ მას... განა მთელი ერის საკუთრებანი არ არიან ისინი და შუაკაცობაც უპირველეს, მათი სატვირთი იყო.

მე ამგვარად გავშალე შენგან თქმული და მომიტევე თუ რამე სწორად ვერ აღვიქვი; თავადაც კარგად შენიშნავ: „მოღალატე შეიძლება იყოს ინდივიდი, ადამიანთა ჯგუფი, მაგრამ მილიონნახევარი ქართველი, ერის მესამედი ძალა, როცა სხვანაირად ფიქრობს, ამას ღალატი კი არა მსოფლმხედველობა ჰქვია“.

ბრმების მიერ სპილოს აღმწერელი იგავი, ქართველებზეა ზედგამოჭრილი.

არა მგონია სარწმუნოებათა სიმრავლე ერის გაუბედურების მიზეზი იყოს, მოსკოვი ცდილობს

ცენტრად იქცეს, როგორც ქრისტიანული, ისევე მუსულმანური რელიგიისა... ყურად იღოს ქართველობამ ეგება.

არც პარტიათა სიმრავლეა უბედურება, არც — მილიონმეათასე შეხედულება და აზრი, თუ ერის ინტერესებს მოემსახურება.

რომელი ფიგურაა ჭადრაკის დაფაზე ზედმეტი?!

ყველა საჭიროა თავის დროზედ და თავის ადგილზედო, მიპასუხებს მავანი. მაშ, რატომ ვსდევთ და ვკლავთ ერთურთს, ქართველნო?!

ან პოლიტპატიმრების სიმრავლე და ამ ფაქტის უარყოფა საქართველოსთვის საკადრისია? ციხეებში ვერ ჩავსვამთ სიმართლეს, ის მუდამ გარეთ, თავისუფლებაში რჩება.

ხმას ვუერთებ, ოტობაიელო, შენს ტკივილებს გაბარჩხალებული დილის ლოდინში! საწადელი აგსრულებოდეს, ძმობილო, შუაკაცობის ლამპარში ნავთი არ გამოგლეოდეს-მეთქი და ასემც ყოფილიყოს ნიადაგ!

თამაზ პაჭკორია,
ფოთი, 1994 წ.

მართუ მეორე

დასაბამი

საქართველოს სამოქმედო პროგრამის დასახვა ილია-მართლის საკუთრებაა. ჩვენ, ხელმოცარულებმა, შესაძლოა განმარტებაღა მოვახერხოთ ამ ფენომენისა — **„მაშული, ენა, სარწმუნოება“.** რაც შეეხება მართლის- მთქმელის მანტიას, მთლად ცაბაოთისგან ბოძებულა იგი და აწ ჭეშმარიტების ღაღადისზე კრულვით დაღდასმული სათანაელი ხელს ვეღარაფრით ამაღებინებს.

მივყვეთ საქმეს.

გერმანელი ფიზიკოსის ალფრედ ვეგნერის წიგნის ,, კონტინენტებისა და ოკეანეების წარმოშობის'' (1913) მიხედვით, (რომელსაც მოდრეიფე კონტინენტების თეორიასაც უწოდებენ), ზოგიერთი მატერიკის სანაპირო ხაზები ისე ავსებენ ერთურთს, როგორც დამსხვრეული დოქის ნაწილები. მაგალითად: სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე და აფრიკის გვინეის უბე; ასევე ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ კიდეს, ჩვენს წარმოდგენაში ევროპის დასავლეთ სანაპიროს თუკი მივატოლებთ, მივიღებთ ერთმთლიანს.

ეს უკვე ჰიპოთეზა არ არის. როგორც ირკვევა, დედამიწაზე ოდესღაც ერთი მატერიკი არსებობს, ე.წ. გონდვანა. იგი უძლებს ათასგვარ გლობალურ ძვრას, მეტამორფოზას. დინოზავრების ტიტანური ბრძოლები, თუ მოაზროვნე ადამიანის წარმოშობა გუშინდელი კულინარიაა. გახლეჩა, მანტიის გადაადგილების პროცესი შემდეგშიც გრძელდება, აგერ, კაცობრიობის გარიჟრაჟზეც, რასაც მეტყველებს ბუნდოვანი წარმოდგენები მითიურ ,,ატლანტიდაზე'', რამდენიმე საუკუნეში □ან ერთბაშად) რომ ჩაიძირება ცისფერ ოკეანეში. ატლანტიდელების განბნევა მთელს დედამიწაზე, ეგებ წარღვნის ბიბლიური დადასტურებაცაა, რომელიც **დასაბამიდან 6153 წელს მე-8-ე თვის მე-4-ე რიცხვში მოხდება!**

ადამიანის ასაკი კი გაცილებით ბებერია, ვიდრე ბიბლიური წარმოდგენები. სფინქსივით გამოუცნობია დღესაც 4000 მეტრის სიმაღლეზე აზიდული ქალაქ ტიახუანაკუს ნანგრევები. ის ოდესღაც პორტი ყოფილა, მაგრამ გეოლოგები ვარაუდობენ, რომ ანდების ამოწევა მესამეულ პერიოდს ეკუთვნის, როცა დედამიწაზე ადამიანი არც კი ჭაჭანებს.

ან კიდევ, კოსმოდრომი გერმანული ფილმიდან ,,მოგონებანი მომავალზე, ანუ უკან ვარსკვლავებისაკენ — მიქცევა წარსულისაკენ'', რომლის კონტურები ქვეითად მოსიარულეთათვის უშინაარსოა, მხოლოდ გარკვეული სიმაღლიდან აღიქმება.

ან კიდევ, ცოლკინი, დაფა-იეროგლიფი, ახლახან რომ გაიშიფრება და ბორბლის უქონელი მაიას ცივილიზაცია შემოუნახავს მსოფლიოს, როგორც გენის სტრუქტურის სქემატურ ჩანაწერს. ამას წინათ ბატონი არნოლდ გეგეჭკორის უნიკალური ფოტოების დათვალიერებისას მაიელების ტაძრის გამოსახულებას მოვკრავ თვალს და ფრიზებზე 13 ფიგურას რომ დავითვლი, გამეღიმება. მეცნიერი ჯერაც არ არის ზიარებული ამ ეზოტერიკას, მაგრამ ნათქვამია: ყველაფერს თავისი ჟამი მიითვლისო.

ჩვენ უკვე აღმოჩენილი გვაქვს ნეანდერტალელი, დრიოპითეკი, პარაპითეკი, ავსტრალოპითეკი, სინანთროპი, და ბოლოს, თვით რწქწ თფზშუტთ-ი — მარჯვე ადამიანი — პრეზინჯანტროპი. ჩვენი წარმოდგენები სავალალოდ კოლხეთის მითიურ სამყაროს იქით ვერ მიდის, თუმცა იგი ისეთივე მხცოვანია, როგორც გილგამეში და ეგვიპტეს პირამიდები. თვით ხალიძონების პრობლემა განა გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ უძველესი ცივილიზაციის მემკვიდრე საქართველოს (რაც არიულ ტალღას ჭირივით ეჯავრება საერთოდ), სიდიადე რომ არა, ფეხით გათელავს, დიახაც, მაგრამ რადგანაც წინამორბედი დიდია, იძულებულია ანგარიში გაუწიოს მის კაპრიზებს:

ოქროს მოპოვების სიბრძნე, რკინის გამოდნობის საიდუმლო, კირბები ანუ გზათა მაჩვენებელი ნიშნების ავტორობა, რომელიც იგივეა, რაც დამწერლობა, ანბანი, ცოტას მეტყველია განა?!

პირველად კირბების შესახებ ცნობებს გვაწვდის აპოლონ როდოსელი — ეს უნიკალური სქოლიასტი პოეტი. „არგონავტიკის“ IV თავში 278-279 სტროფები შემდეგნაირად იკითხება:

კოლხებს **„შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წერილსვეტები, და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა.“** ერთი სიტყვით, აპოლონ როდოსელის ხანაში ძველ კოლხებს შემორჩენილი ხქონიათ სამანძილო კირბები, რომლებიც, ალბათ, კარტოგრაფიის მნიშვნელობას ასრულებდნენ. ისინი სხვადასხვა წარწერის შემცველი მაღალი ბოძებია.

სვიდას ლექსიკონი კი შემდეგს გადმოგვცემს: **კირბები ქვისგან აღმართულ სვეტებზე მიკრული სამწახნაგა დაფებია. ამ დაფებზე სასულიერო და საერო კანონები იწერებოდაო.**

კირბების შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული აპოლოდორე ათენელის თხზულებაში „ღმერთების შესახებ“. აპოლოდორე ამბობს, რომ **კირბები შეიცავდნენ ნაწერ კანონებს,** რომ **„ყველა საზოგადო კანონსა და საბუთს კირბისი ერქვა; რომ ძველები ქვებს აღმართავდნენ და ზედ გადაწყვეტილებებს წერდნენ... რომ კირბისი წმინდა წარწერათა შემცველი ბოძებია. რომ აქსონები და კირბები ბუტროფედონით იყო ნაწერი“**.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფრაგმენტი, სადაც აპოლოდორეს კირბების სახელი კორიბანტებისგან გამოხყავს, რადგანაც კირბების აღმოჩენა კორიბანტებს მიეწერება.

სტრაბონის ცნობით კი, კორიბანტები კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან ლემნოსელ კაბირებს. და რაკი კირბების აღმოჩენის ხელოვნება კოლხებს მიეწერებათ, ხოლო კორიბანტები □კაბირები) კოლხთა ღვთაებებად და ქურუმებადაა მიიჩნეული, სამართლიანად გვეჩვენება გ. მელიქიშვილის შეხედულება იმის თაობაზე, რომ ეს უძველესი ჩანაწერები უნდა მივაკუთვნოთ ძველკოლხეთის სამეფოს □პროფ. აკ. უშრუშაძე).მოდით, ვიყოთ შორსმჭვრეტელნი და გავაანალიზოთ: განა შეიძლება დიდებით მოსილი კოლხეთისგან არ დარჩენილიყო ფარატინა ქაღალდი თუ ფირფიტა?! განა ძნელი მისახვედრია რატომ ეწოდებათ იმ წერილსვეტებს და მათზე წარწერილ კანონთა ერთობლიობას კირბისი, კირბიში, იგივე კირიბიში?! კოლხური კირიბი განა კრავი არ არის ქართულად, ცხვრის შვილი, იგივე საწმისი (ბ-ნ მილორდ სიჭინავას ვერსიის თაობაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ), აიეტის მუხაზე რომ ეკიდა და ცეცხლმფრქვეველი დრაკონი იცავდა ზამთარ-ზაფხულ?!

კირიბი და ოქროს საწმისი იდენტური ცნებები რომ არის, ამას მრავალი მომხრე ჰყავს დღესაც და მეტი გამოუჩნდება მომავალში ახალ-ახალი მასალის მოპოვების მხარდამხარ; მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ აიეტის დროინდელი კოლხეთი 3600 წლის წინათ ზეობდა და მქუხარებდა; თანაც თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმდროინდელ კოლხებს უკვე გააჩნდათ დამწერლობა, წერილსვეტები, საეჭვოა, წარმართულ მესამე საუკუნეში ქუჯისა და ფარნავაზის კოალიციის ჟამს, საქართველოს სახელმწიფოებრიობას ანბანის შექმნა-გამოგონება დასჭირვებოდა, უბრალო ჭეშმარიტების გათვალისწინებით: კოლხეთს უკვე გააჩნია ეს სიმდიდრე, ოღონდაც შედარებით დაუძლურებულს. ქართლის ახალგაზრდა ტომი კი მკერდში ჩაიხუტებს წინაპართაგან ნაბოძებ საუნჯეს და მოგვიანებით საკუთარ აღმოჩენადაც კი მიითვლის, რითაც სავალალოდ ქართული დამწერლობის 5 ათასეული წლის (და შესაძლოა მეტისაც), ისტორია ლამის გამესამედდება.

აქილევსის პელაზგობა, ოდოიას წყალობით ილიონის შენარჩუნება 9 წელიწადს (ციფრ 10-ზე, ყველგან საკრალურად რომ ფიგურირებს „ილიადაში“, ჩვენ ქვემოთ უფრო საფუძვლიანად ვიმსჯელებთ), უკეთ, კოლხეთის იარაღის მონაწილეობით ამ ომში; ამირანის მიერ ცეცხლის მოტაცება მამა-ღმერთისგან და თავად პრომეთეოსის ნაირსახეობა ბერძნული გაფორმებით, გრეკის მძვინვარება ძველი, პელაზგური ცივილიზაციის მოსაშთობად; პლუს ამას, იოანე ზოსიმეს „ქებაი“ — მისი წინასწარმეტყველებანი, რომ უფალი ქვეყნიერებას განიკითხავს ქართული ენით (ეთნოსით); რომ

ოთხი დღის მიძინებული ლაზარე, სიმბოლო ქართული ენისა, (ეთნოსისა), აწ დაწუნებულია და ყველასგან მივიწყებული, ხომ არ მიგვანიშნებს კოლხურის პრიორი- ტეტულ შტრიხებზე?!

აბა, ახლახან აღზევებულ ქართულს რა აქვს მისაძინებელი, მით უფრო დასაწუნებელი?! იქნებ კოლხურ ენაშია დამარხული მსოფლიო სიბრძნე, რომელიც საუკუნეების მანძილზე მოახდენს ენობრივ სრულყოფას, სინთეზს, შექმნის დამწერლობას; ქურუმთა მეშვეობით ელაპარაკება მეუფეს თვისას. რაც შეეხება ფრაზას: ,,ენაი ქართული არის ლაზ(ი)არე'', ადვილმოსალოდნელია კოლ-ხეთს, კოლხურს გულისხმობდეს სწორედ, და იმასაც, კაცობრიობის მხცოვანი ჟამთააღმწერლის, აიას ბოლო მეცხოვნე ქუჯი თვალის დაუხამხამებლად თავს დაუდრეკს მისივე წიაღიდან ამოფეთ-ქილ ახალ ფენომენს — საქართველოს შემოქმედ ქართის ტომს ფარნავაზის მეთაურობით, რათა დაიწყოს ხელახალი წრებრუნვა, ხელახალი თანამშრომლობის პროცესი მორიგი სინთეზისკენ?

ოდეს პროტოქართული ცნობიერება, უკეთ პროტოიბერიული, გნებავთ კოლხური სამყარო ჯერაც გაუბზარავია; ოდეს ჩვენს წინაპრებს არაფერი აქვთ საძებარი პირინეებში, სკანდინავიაში, დიდ ბრიტანეთსა თუ კავკასიაში; ოდეს მთელს მატერიკს მონოლითური სული შთანერგვია, ბასკს (ბჟაშ სკუა — მზის შვილი, გ.ო.), თუ კოლხეთის მრავალრიცხოვან ტომს, რაღაც საკრალური რამ აერთებს და ეს მენცარობა ერთ ხალხში დასინთეზებული მსოფლიო სიბრძნეა. მერე კი გლობალუ-რი კატასტროფის შედეგად მიმოიბნევიან, გაიფანტებიან, დაკნინდებიან ოდესღაც აზეითებულნი, ნუთუ ვერ მოხერხდება ყოველივეს აბსტრაქტული რესტავრაცია თუ რეგენერაცია?!

განა ბიბლიური იონა და მამლის ყიონი, ანუ მახარობლის მოვლენა, იდენტური არაა?! (ზაურ მესხია) ან კიდევ თვით სიდონიას ჩაბღუჯული ქრისტეს კვართი საქართველოში რომ მარხია და მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრად იწოდება ქვეყანა ჩვენი, ცოტა ფიქრის აღმძვრელია?!

იგურუ, (გურუ მასწავლებელია ჰინდუსტანში) ქურუმ — გურაფა საღვთო საქმეთა და სწავლა ანუ წაულა ტექნოკრატის გასაკილად, ხომ არ მიგვითითებს საქართველოს თეოსოფიის სულის სამჭედ-ლოობას?! (ზაურ მესხია).

ისე არ გამოგვივიდეს, თითქოს ყველაფრის კოლხეთთან მიტმასნა გვწადდეს ზოგი ერივით, მაგ-რამ სხვანაირი ახსნაც რომ არ ეძებნება მომწიფებულ საკითხთა წყებას?

საქართველოს გეოგრაფიული კოორდინატების დადგენისას (43-42 კვადრატი) მისი აბორიგე-ნობის თუ ავტოქთონურობის დასაზუსტებლად უთუოდ წაგვადგება ვლადიმერ ჩუბინიძის ,,სასწა-ული'' და გივი ალაზნისპირელის ,,მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა''. დასახელებული ორივე ნაწარმოები სენსაციური მიგნების პრეტენზიითაა ნაკვები.

პირველი თხზულების ავტორი აუმღვრევლად აცხადებს, რომ იგი აბსოლუტური ჭეშმარიტე-ბის მფლობელია, თუმცა 4000-მდე სტილისტური და გრამატიკული შეცდომა გაპარვია მოხმო-ბილ წიგნში აზრობ- რივის მხარდამხარ. ესეც რომ არა, კაჭარავების ოჯახის ცნობით, ,,სასწაულის'' მამოძრავებელი რამდენიმე ცენტრალური პოსტულატი მათ უკითხავად ,,კოლხეთის ცისკრის'' ტყემალივით, ზოგჯერ შეცდომებითაც, აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელი კაცის მონოგ-რაფიაში დამკვიდრებულა. მაგრამ მთავარი ჩვენთვის სხვა რამ გახლავთ — აბსოლუტური ჭეშმა-რიტების ნამდვილი მატარებელი ლაო ძი გენიალური ,,დაო დე ძინის'' მიხედვით ყბადაღებული როდი ბაქიბუქობს, ჩრდილში დგას და თაფლით სავსე ფიჭასავით მისცემია მარადიულ ნეტარებას.

ასევე მაღალფარდოვანია გივი ალაზნისპირელის კატეგორიული ტონი მსოფლიო დასაბამისე-ული აღმოჩენის თაობაზე, როცა ეს მკვლევარიც არ არის დაზღვეული ლაფსუს-ხარვეზთა რიგის-გან. ჩვენთვის სასიხარულო სხვა რამეა — როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, შეურყეველი რწმენით, გნებავთ ზეგარდმო ინტუიციით ზოგადკაცობრიული საიდუმლოება კოლხეთის არე-ალში ტრიალებს.

ვლ. ჩუბინიძის სწავლებით (სასწაული მისებურად სასწავლს შეესატყვისება), მეგრული ენაა სწორედ დასაბამისეული, თავდაპირველი, კოლხური განსწავლულობის მახასიათებელი, რადგა-ნაც კაცობრიული კატასტროფის ჟამს, დიხაც, ამ ენაში ჩაკოდირება ყოველი ზემატერიალური ინფორმაცია. გივი ალაზნისპირელიც კოლხეთის ტერიტორიას წარმოაჩენს ცივილიზაციის ჭი-პად, გონიერი სულის მკვებავ ქვეყნად, სადაც პროექცირდება კოსმოსური ნათება, თუმცა კი ამ ტერიტორიას ჯიუტად და დაბეჯითებით იმერეთად, იმერეთის კუთვნილებად მიიჩნევს, როდესაც მშვენიერი იმერეთი ბებერ კოლხეთს მეორასე თაობად ძლივს ერგება.

ვლ. ჩუბინიძესთან სამყაროს სურათი, ადამიანის ანატომია, გააზრებულია თეოლოგიისა და დი-ალექტიკის მიმართებათაგან განსხვავებული გზით, (?) მესამე პასუხს ეძებს ტერენტი გრანელივით და ადამიანს ღმერთკაცად ამკვიდრებს, (თუმცა, არ ჩაეძიება ამ ღმერთკაცის წარმოშობის ძირისძირს), რომელსაც გააჩნდა ღვთიური მდგომარეობა, ფლობდა აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ხოლო იმ უნი-

კალური აპარატურის მოსპობის, განადგურების შემდეგ უეცრად ქვის ხანაში აღმოჩნდება.

გასაოცარი დებულებაა პირდაპირ, რადგან თუკი ღმერთკაცი გამაოგნებელ კატასტროფას რაღაც მანქანებით დაუსხლტება ხელიდან, და არ მოისპობა სრულებით, როგორც ბიოლოგიური არსება, ლოგიკურია, ხომ უნდა შემორჩეს წელზე ვერცხლის ქამარი თუ ოქროს ბალთა მაჯაზე, ან სპილენძის სავარცხელი მაინც, რათა ეგრევე რიყის ქვებს არ დარიოს და წამახული კაჟი ბუნიკად არ მიაკრას ხელშუბს; რათა საჭიროების შემთხვევაში მამონტების ჯოგს ამ უნიკალური იარაღით შეებას?!

დიახაც, პარადოქსულია ჩუბინიძისეული ღმერთკაცის მდგომარეობა, რომელიც აგერ, ახლახან კომპიუტერებით მართავდა სამყაროს და უცებ, გნებავთ ზეკოლოსალური ბიძგების თუ წარღვნის მეოხებით, ტექნიკურ საშუალებათა აბსოლუტურად დამკარგავი, რობინზონის გონიერებასაც კი ვერ იჩენს და ცივილიზაციის ათვლის წერტილს ნეოლითიდან იწყებს?!

თუკი ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება, გადაურჩებოდა ჰიროსიმისა და ნაგასაკის ტოლფას კატასტროფას, მას ხელაღებით არ შემოეძარცვებოდა მისმიერვე, მის გონებაში დაპროექტებული საგნები, ფორმულები, ახლის შექმნის კოლოსალური მზითევი ცნობიერების სახით და შიშველი ხელებით არ შეეჭიდებოდა წუთისოფლის ყოველდღიურ პრობლემებს, თუმცა ამდაგვარი ღმერთკაცი ვლ. ჩუბინიძეს სხვა მოსაზრებისათვის სჭირდება, რათა ქართული, კონკრეტულად კი მეგრული ენის ზოგადკაცობრიული მისია გაამართლოს; რადგანაც ნუ იტყვით და, ამ ენაში ფიქსირდება თურმე კაცობრიობის ცოდნა სამყაროზე, მის კანონებსა და წესებზე.

ჩვენეული, აბსოლუტურად ჭეშმარიტი შენიშვნა, ვფიქრობ, ვლ. ჩუბინიძის თეორიას ჩიხში მოაქცევს, თუმცა მისი თხზულება სულ სხვა რამით არის გენიალური: კონკრეტულად რიცხვი „13“ გაშიფრვით და გასაოცარი სისტემის აღმოჩენით. ამის თაობაზე ჩვენ დაწვრილებით მოგითხრობთ თხზულების მეორე საწმისში, აქ კი შეგვიძლია თეზისების სახით მოგაწოდოთ, რომ ნებისმიერი ნატურალური რიცხვის 13-ზე გაყოფისას ვღებულობთ რაღაც მთელს და ექვსნიშნა პერიოდს; მაგ.: 1:13 ტოლია 0,076 923. ეს ბოლო ექვსი ციფრი პერიოდულია, და ასე შემდეგ.

დავუბრუნდეთ ადამიანის თუ ღმერთკაცის წარმოშობის საკითხს.

ავტორი შეგვიძლია დავამშვიდოთ იმით, რომ ადამიანის გაჩენის ორი გზა — თეოლოგიური და დიალექტიკური, კვლავაც ძალაში რჩება. ჰომო საპიენსი ვერაფრით გაექცევა დემიურგს თუ ბუნების მატერიალისტურ კანონს, სხვანაირად გამართლებას ვერ უპოვი მის ბიოლოგიურ სუფევას დროსა და სივრცეში. დედამიწაზე მოსვლამდე ჩუბინიძისეული ღმერთკაცი უთუოდ ან ღმერთის ხელისგან უნდა გამოიზილოს და გამომცხვეს ინდივიდად, ან კიდევ ერთუჯრედიანი ამებისგან დაიწყოს ხვანცალი, რათა ოდესმე მაინც ეზიაროს ნიცშესეული ზეკაცის გონების ძალმოსილებას. „სასწაულის“ ყურადსაღებ დებულებებზე ქვემოთ მრავალგზის ვისაუბრებთ, და აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელი ავტორის მოსაზრებებიდან თუკი გამოვხშირავთ მეტაფიზიკურ მომენტებს — ქვიშის გროვისგან ოქროს მარცვლებს ვჯერდებით, მოგვიტევებს, ალბათ, მისი ყოვლისმომცველი ბუნება.

გივი ალაზნისპირელის ქვაკუთხედი რამდენადმე ზომიერია სამყაროს, ადამიანის ბედ-იღბლის გააზრებისას, ოღონდ აქ არის დაშვებული არაქართველთათვის ფრიად გამაღიზიანებელი დებულება: **მთელი კაცობრიობის ეპიცენტრი საქართველოა**, უფრო კონკრეტულად კი ხარაგაულის რაიონის კოპწია სოფელი ნუნისი, სადაც პროექცირდება კოსმოსური ნათება, იგივე სამყაროსეული ველი — სვეტიცხოველი. თურმე ჩვენს წინაპრებს გონიოს პრინციპით ჩაჰყავდათ დასახელებული ციალი ნუნისთან არსებულ ჭაში, ამიერკავკასიის ქვეშ მდებარე უკიდეგანო სიცარიელეში; ზედმიწევნით იმორჩილებდნენ გრანდიოზულ ძალას, რომელიც ბერმუდის სამკუთხედში დღესაც მოქმედებს ერთობ დაუდგენელი და ამოუხსნელი ხასიათით.

ამ ველში მოხვედრილი ადამიანი უმალ აღიდგენს სხეულებრივ თუ სულიერ დეფექტებს, ხელად განიკურნება ყოველგვარი უარყოფითი ემოციისგან და ეძლევა სამყაროსეულ ჭვრეტას, შემოქმედებით კულმინაციებს.

გივი ალაზნისპირელისა და მისი სულიერი მოძღვრის — გიორგი იონთა იბერიონის, იგივე გიორგი მაზიაშვილის ამ განცხადებას ესაფუძვლება ნუნისში აღმოჩენილი მთათა კომპლექსი, რომელსაც ოთხივ კუთხით 3-3 შესასვლელი გააჩნია. აქვეა გამოთქმული ჰიპოთეზა, რომ ეს კომპლექსი ადამიანის ხელითაა აშენებული და შეესაბამება ნოეს კიდობანს. ნოეს კიდობანი მათი მტკიცებით შეუძლებელია ძელთაგან შეკრულიყო, რადგანაც ბიბლიაში მოკირწყვლაზე, კირით შედუღაბებაზეა საუბარი. ხოლო შესასვლელი ამ ქვის კიდობანს გააჩნდა ქვემოდან, ვინაიდან ფიზიკის კანონიდან გამომდინარე, ჰაერით სავსე ჭურჭელში წყალი ვერ აღწევს, თუნდაც მთლიანად

ჩავძიროთ სითხის მასაში, და თურმე ნოე მთელ თავის ჯალაბს, ნათესაობას და სამიათასამდე წყვილეულ სულიერ არსებას, წარღვნისაგან დასახსნელად, სწორედ რომ ნუნისის ქვის ნაგებობაში შეყრის — 300ჩ:%ჩ''%, 450 ათასი კუბური წყრთის ვრცეულობაში.

წყრთა იდაყვიდან შუა თითის ბოლომდე მანძილის იდენტურია, დაახლოებით 48 სანტიმეტრი, ან უფრო უხეშად თუ ვიტყვით, ნახევარ მეტრს შეესაბამება. 450 ათასი კუბური წყრთა დღევანდელი გაგებით 225 ათას კუბმეტრია, რაც თბილისის ოპერის თეატრის მოცულობას რამდენადმე აღემატება, თუმცა მთავარი სხვა რამ არის. ეს ქვის კიდობანი თურმე ნოეს განგებ ჩაუშენებია მიწაში, წყალს რომ ზევით არ ამოეტყორცნა; აქვე ეს ნაგებობა არა მხოლოდ საკუთარი ოჯახისა და ჯიშთა წყვილეულის გადასარჩენი მოწყობილობაა, არამედ იმ მიწისეული წიაღის ჩასასვლელი ჭის, სამყაროს საშოს, დასაფარი, ამოსაგმანი დანადგარიც, რომელი ხვრელის მეშვეობით საქართველოს მიწისქვეშა სიცარიელეში კოსმიური ნათება, სვეტიცხოველი პროექცირდება. ამ ხაროს დახშობა ნოეს იმიტომაც დასჭირდება, რომ საქართველოს, უფრო ზუსტად — ამიერკავკასიის მიწის წიაღისეული სიცარიელე სხივოსნობდა არა მზისა და მთვარის შუქით, არამედ — კოსმოსური ელვარებით, და მთლიანობაში სამოთხეს, ედემის ბაღს რომ ეფარდებოდა, თანდათან წყლით ამოივსება. წყლის თვისებამ კი იმ ენერგიას მუხტს შეუცვლის და შიგ ჩასული ადამიანები ადრე თუ დადებითი სულისკვეთებით იმუხტებოდნენ, უკვე გველის, დრაკონის, ლუციფერის კანონებს დაექვემდებიან, სასიკეთოს ნაცვლად ბოროტი ძალით აღიჭურვებიან, და რადგანაც ღმერთის რჩეულმა ნოემ იცის აქ გაცხადებული ამბის ანი და ჰოე, ხელოვნურად გამოიწვევს დედამიწაზე კატასტროფას, ხელოვნურად მოაწყობს ჩვენს პლანეტაზე წარღვნას, რათა ჯერ დედამიწის ბრუნვა შეჩერდეს, შემდგომ წაღმა დაატრიალოს.

შეხედეთ, როგორი მასშტაბის ქმედებებზეა საუბარი, რაც გივი ალაზნისპირელის მტკიცებით, ფრიად ხელეწიფებოდათ თურმე ჩვენს წინაპრებს, მიწისქვეშა სიცარიელეში ჩამავალი, სპირალისებური კიბეების წყალობით.

მარტივად რომ ვთქვათ, ჯერ დედამიწის მოძრაობის შეჩერება, მერე მისი ბორბლის წაღმა დატრიალება, კალაპოტებიდან გადმოღვრის მსოფლიო წყლებს და მოიშთობს ნოეს ქვის კიდობანს შეფარებულთა გარდა ყოველ სულიერს. თავის სამსართულიან ნაგებობაში იაფეტის მამა ლამის დაუჯერებლად მოახერხებს მსოფლიოს ფაუნის ეგზემპლართა შემოკედლებას, მაგრამ ჩვენთვის ძნელად აღსაქმელია სამყაროს მოძრაობის შემჩერებელ და უკუღმა დამტრიალებელ კაცს, ე.ი. კოლოსალური ცოდნის პატრონს, რისთვის დასჭირდება ქვის კიდობანში ცხოველთა და ფრინველთა წყვილეულების ფიზიკური შემოხიზნვა, როცა ნაწარმოების მიხედვით ნოე ამ საქმისთვის საკმაოდ დიდხანს ემზადება?!

განა მისთვის უფრო იოლი არ არის ბიოსამყაროს ეგზემპლართა მხოლოდ გენეტიკურ მასალას დასჯერდეს, რათა ევგენისტიკის (გნებავთ კლონირების) კვალობაზე წარღვნის მერმე მათი ხელახალი შეჯვარებით სრულყოფილად აღადგინოს ცისქვეშეთში არსებული ყოველი ინდივიდუუმი?!

მოკლედ, ნუნისის მთათა კომპლექსის ნახვრეტის ალაზნისპირისეული ნოეს კიდობნით ამოქოლვის მერმე, დედამიწა ერთხანობას გაირინდება, მოგვიანებით უკუმობრუნდება, გადმოიღვრება ნაპირებიდან მსოფლიო წყლები და წარმოიდგინეთ, ყოველივე ეს გრანდიოზული მუშაკობა ნოეს იმისთვის დასჭირვებია, რომ ადამიანის უკუღმართად მომართულ გონებისგან მიწისქვეშეთში შეძენილი ავზნიანი ცოდნა წაშალოს.

ჰიპოთეზა ჰიპოთეზის წილ, ჩვენ კი მივყვეთ მსჯელობას. ნუნისის შვიდრიცხვობრივი მთათა კომპლექსის სპირალური გვირაბებით გონიოს პრინციპს ხაროში ჩაჰყავს სამყაროისეული სული, რაც ალაზნისპირელის ვერსიით ყოველი ცივილიზაციის მოდელია, მაკეტი, დასაბამი, როგორც ახლახან ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის მერმე მსოფლიოს გეოგრაფიული სახელებით გადაინათლება იქაურობა, იმდაგვარად: გაჩნდება მეორე იერუსალიმი, მეორე შუამდინარეთი, მეორე ეგვიპტე და ასე შემდეგ.

არ გამოვედევნებით ბატონ გივის ცთომილებებს თუ მართებულობებს. ერთი რამ კი ნამდვილად გადაუდებელია: ნუნისთან არსებული მთათა კომპლექსი დროა ცნობილ მეცნიერთა კვლევის ობიექტად იქცეს. გამორიცხული არ არის იგი დიახაც ემსახურებოდა რაღაც საკრალურ საქმეებს?! გავიხსენოთ სიცოცხლის ხეზე ჩამოკიდებული აიეტის ოქროს საწმისი, რომელსაც ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი იცავს ზამთარ-ზაფხულ. ვინ იცის, კოლხეთის სამეფოს აღმოსავლეთით იქნებ მართლაც არსებობდა მსგავსი პანთეონი, ქურუმთა მექა?!

ერთი სიტყვით, ამჯერად შემოთავაზებული დოზით ვიკმაროთ „სასწაულსა'' და „აღმოჩენაზე'' მსჯელობა, რადგანაც დასახელებული წიგნები, როგორი სენსაციური თუ ფანტასტიკური ფორმით ასახავ-

დნენ სინამდვილეს, საქართველოს ტერიტორიას, მის გენს, მის სულიერ განზომილებებს; რანაირი პარამეტ-
რებითაც გვთავაზობდნენ კოლხეთს ბებერი ცივილიზაციის ეპიცენტრად, გნებავთ მოძრაობის არისტო-
ტელესეულ ბიძგად, ამ მიმართებით კვლევა-ძიების ფართომასშტაბიანი შტურმი XX საუკუნის ფინიშის
გადაუდებელი ამოცანაა.

ახლა კი დავეშვათ დაბლა და შედარებით ვიწრო თემატიკით — პატროფილური მსოფლგანც-
დით შემოვისაზღვროთ.

კოლხეთის ისტორია, სრულიად კაცობრიობის, სრულიად ცივილიზაციის ტრაგიზმით სავსე
ქრონოლოგიაა, რომელსაც აითვისებს და საკმაოდ ცუდადაც გადაიმღერებს ახალი (გრეკი —
ელინი, ქართი — საქართველო). ქართის ტომის მისია (ქართა — წრე, რგოლი, შარავანდედი, გარსი)
შემოიკრიბოს გარშემო ყოველივე მშობლიური და თვისტომი, ღვთით ნაკარნახევი ძალისხმევა
უფროა, ვინემ შემთხვევითობა, მაგრამ მიგვაჩნია, ქართიზაცია დასჯერდება მხოლოდ საკუთარ
ძალებს და არ ეცდება წავიდეს სინთეზის იმ გზით, რომლითაც მისი ღირსეული წინაპარნი ვლიდ-
ნენ. ჰეგემონური გახდება მისი მოღვაწეობა, ამიტომ მრავალწახნაგა ცივილიზაციის სატკივრების
სრულფასოვნად აწევას ვეღარ შეძლებს ერთი ტომის მხრები. არადა, საჭირო იყო უფრო გლობალუ-
რი მიდგომები საკითხთა წრესთან, გლობალური სინთეზი — უწინარესად კი სვანურისა და მეგრულ-
ჭანური (ლაზური), იგივე ზანური მონაპოვრების, ენობრივი ფენომენის ათვისება. თვალსაჩინოების-
თვის აქვე შევნიშნავ „სუფევის“ მესამე წიგნში მეტი სისავსით გაშლილს — ქართულს 14 ზმნისწინი
გააჩნია, კოლხურის უშუალო მემკვიდრეს, მეგრულს კი — 83, ანუ 6-ჯერ მეტი, ე.ი. ლექსიკური
მარაგიც შესაბამისად ამდენჯერ აღმატებულია.

ჰეგელი იზიარებს შეხედულებას, რომ ცივილიზაცია კავკასიური რასისგან, იბერიული გენის-
გან იწყება; რომ ევროპოიდულ აღნაგობას ესაფუძვლება პროტოიბერიული — თაღოვანი შუბლი-
თა და პროფილით. ჰეგელს აქ, ცხადია, მხოლოდ ინტუიცია როდი კარნახობს ყოველივეს. ის,
როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, უწინარესად ანთროპოლოგიურ მონაცემებს ეყრდნობა, რომლის
მოშველიებით რამდენადმე შესაძლებელია ზოგადქართული ხასიათის დადგენა.

ვახუშტი ბატონიშვილს თუკი ვერწმუნებით, ქართველი არის ყირმიზი, ახოვანი, გამბედავიცა
და ლაჩარიც, სულგრძელიცა და მამონას მოთაყვანეც, ესე იგი — გაწონასწორებული, გაორებული
ბუნებისა.

გავიხსენოთ არქანჯელო ლამბერტი: როგორ მიყიდის თურქებს 12 გაპარსულ მღვდელს თავადი
ჭილაძე, სანაცვლოდ რანაირად დაუთმობს მაშველ რგოლს ზანგ გოგონას პროფესორი იოსებ ჟორ-
დანია.

პარადოქსების ხალხი ვართ სწორედ. იქნებ ამას გარემო პირობებიც გვკარნახობს მეტნაკლებად?!
ჩვენ ხომ მეიროხანის, ბუნიობის მსგავსი ზნეობის მემკვიდრენი ვართ რამოდენიმე ათასწლეულის
მანძილზე?! უეჭველია, ზოგადქართული ტიპის თვისება, ხასიათი, ერის ცნობიერების მასშტაბური
ფსიქოგრამიდან მომდინარეობს, სადაც კრებითიც გაორებულია ყველა განზომილებით. გუბაზ მეფის
მკვლელობაც ამისი დასტურია. ლაზიკის მპყრობელი (როგორც მისი უამრავი შთამომავალი),
იძულებულია ორ საჩოთირო რეალობას შორის უკეთესი ამოირჩიოს. ის ალტერნატივის წინაშე
დგას, როცა ბიზანტიელებს ემხრობა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა ლაზთა მეუფეს
არაფერში ეპიტნავება რომაელთა სამხედრო წარმატებანი. მისთვის მთავარია სახელმწიფოს სცი-
ლას და ქარიბდას შორის გამოტარება.

განა იგივეს არ გვიმტკიცებენ კოლხეთის გენიალურ მჭევრმეტყველების, აეტისა და ფარტაზის
საშვილიშვილო სიტყვა-თქმანი?!

ალტერნატივა გამუდმებით დგას ქართლოსიანთა წინაშე. საქართველოს ანექსია ვერაფრით მო-
ხერხდება, ÀÊÑÔÑÐ-ს წევრ ქვეყნებმა საერთო ენა რომ გამონახონ, მაგრამ აზერბაიჯანელი მუსა-
ვატელების, სომეხი დაშნაკებისა და ქართველი მენშევიკების ალიანსი კრილოვის იგავ-არაკის თემა
აღმოჩნდება.

თავად განსაჯეთ:

ვ. ი. ლენინი — ორჯონიკიძეს
20 წლის 17 აპრილი.

„ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ. ამასთან აუცილებელია განცხადებებში უაღრესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში... იგივე ეხება საქართველოს. თუმცა გირჩევთ მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ“.

სტალინი — ORJONIKIDZES

,,შენ, ალბათ, უკვე მიიღე დეპეშა ლენინისა და ჩემი ხელმოწერით, რომ ცეკა გავალებს შენ მიიღო ყველა ზომა გაიყვანოთ სამხედრო ნაწილები რუსეთისა აზერბაიჯანის საზღვრებისკენ და ხელი აიღოთ საქართველოს წინააღმდეგ რაიმე შეტევით მოქმედებაზე.

მე მივედი აპარატთან იმისთვის, რომ გავიმეორო ცეკას ეს მოთხოვნა. მხედველობაში მქონდა, რომ ცეკას მოთხოვნა ნაკარნახევია საერთაშორისო მდგომარეობის თანამედროვე ვითარებით. გარდა ამისა, პოლიტბიუროს სურს იცოდეს აჯანყებულთა მდგომარეობა, რომლის შესახებ შენ გვაცნობებდი და მივიღოთ მათ შესახებ, რაც შეიძლება დაწვრილებითი ცნობები.

ურატაძეს საუბარი ჰქონდა გეგეჭკორთან, რომელმაც დაამტკიცა მისი მანდატი და მისცა მას ხელშეკრულების დადების უფლება, რომელიც შეიცავს საბჭოთა რუსეთის ყველა მოთხოვნას საქართველოს კომუნისტების ლეგალიზაციამდეც კი. ხელი რომ არ შეეშალა ჩვენი პოლიტიკის გატარებისათვის ჩვენი ნაწილების, ასევე აზერბაიჯანის ნაწილების ზოგიერთ გამოსვლებს, ხელშეკრულება უკვე იქნებოდა დადებული, ველი პასუხს აპარატთან.“

ცეკას პოლიტბიუროს დავალებით სტალინი.
20 წლის 6 მაისი, ღამის 0 საათი და 30 წუთი.

ორჯონიკიძე, კიროვი — ლენინს, სტალინს, ჩიჩერინს
სრულიად საიდუმლოდ (შიფრით)

„თქვენს ბრძანებას ზუსტად შევასრულებთ. წინა მოსაზრებების გარდა მოგვყავს შემდეგიც:

1. თუ საქართველოს არ დავეუფლებით, თითქმის შეუძლებელი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ აზერბაიჯანი საბჭოთა რუსეთის იყოს. საქართველო უკვე ახლა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აზერბაიჯანში კონტრრევოლუცია ასაზრდოოს. აგრეთვე ინტრიგებს ეწევა მთიელთა შორის, მილიონებს ყრის იქ, აქეზებს მთიელთ დამოუკიდებლობისათვის.

2. საქართველო სამხრეთში კონტრრევოლუციის კერად იქცა, უთუოდ განუწყვეტლივ ასაზრდოებს კონტრრევოლუციას ჩრდილოეთ კავკასიაში, დონზე, სადაც მალე ვერ შევძლებთ მის ჩაკვლას. ამ მხრივ საქართველოს არავითარი ხელშეკრულების, არავითარი განცხადების ნდობა არ შეიძლება. საქართველოში თავი მოიყარეს თეთრების მასებმა, იარაღმა, რასაც გადაისვრიან ჩრდილო კავკასიაში, ყირიმში.

3. საქართველოში არის ფართლეულობა, რომლითაც შეგვიძლია მოვამარაგოთ ყუბანი, სტავროპოლი და გამოვიტანოთ პური, რომელიც თერგს, დაღესტანს, აზერბაიჯანს, საქართველოს სჭირდება.

4. თუ **საქართველოს დავეუფლებით,** ინგლისელებს გავაპანღურებთ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან, გზას გავხსნით თურქეთისკენ.

5. საქართველოს მებრძოლ ძალთა მდგომარეობა ერთობ ხელსაყრელია ჩვენთვის. აქ შესაძლოა მცირედი ცვლილებებით იგივე განმეორდეს, რაც აზერბაიჯანში მოხდა.

და, ბოლოს, აზერბაიჯანის დაპყრობა და საქართველოს დატოვება უაღრესად ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს მუსლიმანებზე, მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანის ძველი მთავრობა მზად იყო ყოველგვარი დათმობისთვის, ოღონდ კი ზავი დაედო ჩვენთან. **მარტო იმის ვარაუდი, რომ ჩვენ ძალგვიძს არ გავილაშქროთ საქართველოს წინააღმდეგ, მომაკვდინებელ შთაბეჭდილებას დატოვებს.** მეამბოხეთა რაიონებია: **სამხრეთ ოსეთი** (ხაზი ყველგან ჩვენია, გ.ო.), დუშეთის მაზრა, ლაგოდეხისა, **აფხაზეთი** და თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია. თუ ჩვენ საზღვრებისკენ დავიძრებით, აღნიშნულ რაიონებში აჯანყება გარდუვალია, რას გვიბრძანებთ — მხარი დავუჭიროთ მას თუ არა?! ჩვენი აზრით საქართველოსთან დასადები ზავის პირობებში აუცილებლად უნდა იყოს მოთხოვნა: საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება საქართველოში. ჩვენი ცნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მენშევიკები მზად არიან ამისთვის, ოღონდ ძალიან ივაჭრებენ. 7.V.20 წ.“

ლენინი — სტალინს

„...მიგაჩნიათ თუ არა თქვენ შესაძლებლად საქართველოსთან და სომხეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება, და რა საფუძველზე? შემდეგ სწარმოებს თუ არა სავსებით სერიოზული მუშაობა ბაქოს მისადგომების გამაგრებისთვის?“

სტალინი — ლენინს

„გაცნობებთ ორიენტირისთვის: საქართველო შევიდა ეროვნებათა ლიგის შემადგენლობაში, სადაც იგი წარმოდგენილი იქნება გეგეჭკორით — ბათუმის დათმობა, თუ ეს დასჭირდა ანტანტას, სავსებით შესაძლებელია, მიუხედავად საქართველოს მთავრობის შიგნით მერყეობისა... საჭიროა საქართველოს მიეცეს ნავთი მცირე დოზით იმისთვის, რომ გაძლიერდეს საქართველოს მთავრობის შიგნით უთანხმოება და გაგრძელდეს მერყეობის პერიოდი დროის მოგების მიზნით... მეთერთმეტე არმია სუსტია, ვერ გაუძლებს ბრძოლებს. თუ ანტანტა დაიკავებს ბათუმს და დაიძრება დასავლეთისკენ, ჩვენ უნდა გადავიდეთ შეტევაზე, დავიკავოთ თბილისი და ავაფეთქოთ გვირაბი სურამის უღელტეხილთან. ე.ი. საჭიროა მივმართოთ აქტიურ თავდაცვას... წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დავკარგოთ ბაქოც.

1920 წლის 17 ნოემბერი“.

ორჯონიკიძე — ლენინს, ტროცკის

„ბაქო. 15.XII.20. თათბირმა კავკასიის ბიუროსთან, რომლის შემადგენლობაში არიან სტასოვა, ნარიმანოვი, მდივანი და ორჯონიკიძე, ელიავას, ლეგრანის, სტარკის, დუმბაძის, ოკუჯავას, არმიის სარდლის გეკერის, არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრის მიხაილოვის თანდასწრებით ერთხმად და საიდუმლოდ გადაწყვიტა გარიჟრაჟზე საქართველოს საზღვრის გადალახვა. ყველაფერი მომზადებულია“.

ლენინი, ტროცკი — ორჯონიკიძეს

„ეს-ეს არის წავიკითხეთ პირველი ნომერი დაშიფრული წერილი. აი, პასუხი: ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. შეიძლება დამღუპველი შედეგები მოჰყვეს, ცენტრალური კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ გრთავთ ნებას. კატეგორიულად მოვითხოვთ შეაჩეროთ შესრულება და გააუქმოთ გადაწყვეტილება“.

სრულიად საიდუმლოდ რკპბ ცენტრალური კომიტეტის ყოველ წევრს, ასლი ამხ. ტროცკის

„მოკლედ გაცნობებთ ჩვენს მოსაზრებებს იმაზე, თუ რატომ მიგვაჩნია საჭიროდ მენშევიკური საქართველოს ახლავე გასაბჭოება.

პირველი. აზერბაიჯანის გასაბჭოების მერე აღვნიშნავდი, რომ მაშინვე უნდა გაგვესაბჭოებინა საქართველოც, როგორც კონტრრევოლუციის ბაზა. ამის მერე კავკასიაში დატრიალებულმა ამბებმა უცილობლად დაამტკიცეს ეს: საქართველოს მთავრობამ დახეული ყველა დენიკინელი ყირიმში გადაისროლა. ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში მომხდარ ყველა აჯანყებაში საქართველო უშუალოდ მონაწილეობდა, კერძოდ. ახლანდელ დაღესტანის აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხელმძღვანელობდნენ საქართველოს აგენტები — აჯანყებულთა შტაბი ლაგოდეხშია (საქართველოში, სიღნაღის მაზრაში) ჩრდილო კავკასიაში გახსნილ ყველა კონტრრევოლუციურ შეთქმულებას განუხრელად მივყავართ საქართველოსთან კავშირამდე. ჩრდილო კავკასია რომ მტკიცედ დავიმკვიდროთ (პური და ნავთობი), საჭიროა საქართველო გავასაბჭოოთ.

მეორე. საქართველოს მთავრობა, რომელიც ყოველნაირად მხარს უჭერს და აწყობს აჯანყებებს ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში, იმედოვნებს რომ ამით ჩვენს ყურადღებას ჩამოაშორებს მას და წარმატებითაც გვიტეხდა სახელს მუსლიმანთა თვალში იმით, რომ უსაშველოდ აზვიადებდა ჩვენი ჯარების მოქმედებას აჯანყებათა ჩაქრობის დროს. მაგალითად, აჯანყების ჩაქრობა განჯაში, რის შედეგაც ანგორაში შეიმჩნეოდა გარკვეული გაცივება ჩვენს მიმართ საქართველოს პრესის გაძლიერებული აგიტაციის წყალობით.

მესამე. საბჭოთა სომხეთი საბჭოთა საქართველოს გარეშე ფაქტობრივად უფრო თურქეთის გავლენის ქვეშ რჩება, ვიდრე ჩვენი გავლენის ქვეშ, იმის წყალობით, რომ სომხეთისკენ მიმავალი რკინიგზა საქართველოზე გადის (ნავთლუღიდან), **ამჟამად საქართველო სომხეთისკენ პურსაც არ ატარებს.**

მეოთხე. არსებულ ვითარებაში თურქებს ადვილად შეუძლიათ შეიქმნან ბუფერი ნახჭევანის რაიონში, სადაც განზრახული აქვთ ცალკე სახანოს შექმნა, რომლის ხელში იქნება თავრიზისკენ მიმავალი რკინიგზა. ეს მოგვწყვეტს ჩვენ სპარსეთს და დაანაწევრებს სომხეთს.

მეხუთე. ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება გვაიძულებს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები ვიყოლიოთ აზერბაიჯანში, რაც ერთობ არასასურველია მოსახლეობისთვის. ასეთმა ვითარებამ შეიძლება სახიფათო ფორმები მიიღოს და გართულებები შექმნას თვით აზერბაიჯანში.

მეექვსე. ჩვენგან საქართველოს გასაბჭოება, ბათუმის დაკავება, ანტანტას წაართმევს უკანასკნელ ჩვენს საწინააღმდეგო ბაზას სამხრეთში.

მეშვიდე. საქართველოს გასაბჭოება ახლა მიტომაც არის საჭირო, რომ ანტანტამ ჯერ ვერ მოასწრო ვრანგელის არმიის ნაშთების ორგანიზება და არ ჰყავს საკმაო ძალები ჩვენს წინააღმდეგ.

მერვე. იმის იმედი, რომ თვით საქართველოში შიგნიდან მოხდება გადამწყვეტი აფეთქება, არ უნდა გვქონდეს. ამას ამტკიცებს ის ამბები, რაც საქართველოში ხდება. საქართველოს ჩვენს დაუხმარებლად გასაბჭოება არ ძალუძს.

მეცხრე. საბაბი საქართველოს საქმეებში ჩვენი ჩარევისათვის გვაქვს. სააშისოდ საჭირო არ არის აშკარად თავს დავესხათ საქართველოს, გვაქვს შესაძლებლობა, რომ დავიწყოთ მოძრაობა აფხაზეთში, აჭარაში, ბორჩალოს მაზრაში, სადაც სააშისო ნიადაგია, ამ მხრივ ჩვენი დახმარება შეუძლია აგრეთვე თურქეთსა და სომხეთს და შესაძლებელია შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ მხსნელებად მოვევლინოთ საქართველოს, რომელიც იხრწნება და ანარქიას ეძლევა.

დასასრულ, საჭიროა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ თუ მთელი ამიერკავკასია არ გავასაბჭოეთ, ვერავითარ შემთხვევაში მტკიცედ ვერ ვიგრძნობთ თავს ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში და თუ ყუბანსა და თერგზე შედარებით სიმშვიდეა, ეს მხოლოდ პირველ შემთხვევამდე, ვიდრე კაზაკობა გონს მოვიდოდეს ჩვენგან მიყენებული გადამწყვეტი დარტყმების მერე, ხოლო საქართველოს მთავრობა ყველაფერს იღონებს, რათა კაზაკობას და მთიელებს დაეხმაროს ჩვენს წინააღმდეგ გამოლაშქრებაში.

რკპ ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურომ უკვე არაერთხელ წარმოგიდგინათ თავისი ერთმხრივი გადაწყვეტილებანი, რომ საჭიროა საქართველოს გასაბჭოება.

რკპ ცენტრალური კომიტეტის
კავკასიის ბიუროს წევრები
ორჯონიკიძე, ს.კიროვი".
2. 1. 21.

სტალინი — ორჯონიკიძეს

„ახლა გადმოგცემ ცეკას დაშიფრულ პასუხს, აგრეთვე წინადადებას გაძლევ ეხლავე შეუტიო, დასტურია, აიღე ქალაქი.“

15. 16 საათი.

ორჯონიკიძე — სტალინს

„ჩვენ მივიღეთ ფრიად დიდმნიშვნელოვანი ცნობები, შიმშილითა და საქართველოს მთავრობის ძალადობით გაწამებული საქართველოს მშრომელები აჯანყდნენ ბურჟუაზიის აღვირახსნილი ღრეობის წინააღმდეგ... და მძლავრი ნიაღვარივით დაიძრნენ თბილისისაკენ... და ახლა წითელი ნიაღვარი უახლოვდება თბილისს, ბურჟუაზიული ღრეობის ამ საძულველ კერას. თბილისის საათები დათვლილია, შესაძლოა, ამ წუთს თბილისის თავზე უკვე ფრიალებს პროლეტარული დიქტატურის წითელი დროშა“.

***

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

დაახლოებით ამგვარი შინაარსისაა, ალბათ, სუვერენული საქართველოს ხელმეორე ანექსია 1992 წლის 6 იანვარს. უბრალოდ გვარები და სახელები შეიცვლება მხოლოდრე, ხასიათი კი იგივე დარჩებ ა მცირეოდენი ნიუანსობრივი სხვაობით.

როგორ ფიქრობთ, შევძლებდით ჩვენ კავკასიური ოჯახის შექმნას იმ პირობებში, როცა გუშინ ტყაპუჭიდან გამომძვრალი შანიბოვი მორალს გვიკითხავს ქართველებს, თითქოს საშვილიშვილო სირცხვილს გადაგვარჩინეს, რაჟამს მუჭა აფხაზებს გენოციდს ვერ მოვუწყობთ მათი ზეწოლის ძალისხმევით, თან მენტორულ ტონს არაფრით თმობს:

— როდის მოეშვებით ქართველები ღვთის რჩეულ შვილებად თავის წარმოსახვასო. — დაბოლოს, უფრო გულდამშვიდებით რომ ვიყოთ, თბილისის ერევნად გადაქცევასაც გვიპირდება.

ამას გვთავაზობს რესპონდენტისგან ინტერვიუერი, ქალბატონი ნაირა გელაშვილი, რომელიც ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით „ხელისუფლე- ბისგან“ სამგზის ბარბაროსულად დალაშქრულ სამეგრელოს აფხაზეთის ომში „მთავრობის“ თანაუდგომლობისთვის მოღალატეს უწოდებს (ეპითეტებს არც სხვები გვაკლებენ იმ ხანად — ზოგი ბერმუდის სამკუთხედს ამგავსებს სამეგრელოს, სადაც ყველაფერი იკარგება თურმე; მავანი „ტაკუნა ტაკუნაიებს“ გვეძახის და ვინ მოსთვლის) ამას წინათ, მერვეკლასელი გოგონას პოზით წარსდგომია წინ კონფედერაციის მესვეურს და იქ თუ ვერა, სამშობლოშიც უჭირს საქართველოს იავარქმნით დამქადნებელი კაცისთვის საკადრისი პასუხის გაცემა.

ეროვნული მოძრაობის აქცენტი კავკასიური ოჯახის შექმნისაკენ მოუმწიფებელ კონცეფციად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ამ რელიგიურ თუ მიზნობრივ სხვადასხვაობაში, მით უფრო ისეთი საერთო იმპერიული წნეხის პირობებში, როგორც ველიკორუსული შოვინიზმია.

ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ გაჭრილი ვაშლივით იმეორებს ჩვენს დღევანდლობას, ოღონდაც მაშინ პატარა კახი „პატარ-პატარა“ უფლებებით აღჭურვავს თავის ტახტისმტეებს მეფე ლირის მსგავსად და რაწამს რეალური განადგურების საფრთხე დაგვემუქრება, თითქოს დაგვსჯის მემკვიდრეებს, ოდეს სამეფო რეგალიებს წაჰგვის მათ — ერეკლეს ქმედება, როგორც ჩვენი ცხოვრების გენეოლოგია გვანახებს, ერთადერთი მართებული აღმოჩნდება იმ ეპოქასა და იმ სიტუაციაში, ვინაიდან თურქეთის ლაზეთის თუ ირანის ფერეიდნის ორსაუკუნოვანი მოწყდომა ეროვნულ თვითშეგნებას, მოსპობს ფაქტობრივად მათ პატროფილურ მსოფლშეგრძნებას.

გვიკვირს ერეკლეს პიროვნების უმართებულო განქიქება ქართულით, რომელი ენაც მისი გონივრული გადაწყვეტილების ერთადერთი უტყუარი ნაყოფია.

სიტყვისგება
გუბაზ-ეფფის მკვლელებს

აეტი

„— რომაელები რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი, მაგრამ ეხლა ნუთუ მისაღებია, რომ, იმ დროს როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევიან, სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული, ვერაგობის დასამტკიცებლად: საკმარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე საცოდავად იქნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოს.

იმათ, ვინც ემორჩილება, ისინი, რა თქმა უნდა უფრო თავხედად ეპყრობიან და, ჩვეულებრივ, ქედმაღლურად უყურებენ მოსამსახურეებს. მეფეც გაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის უხარია ცხოვრების პირობების არეულობა: და ეს ბოროტმოქმედება რომ ასე ერთბაშად იქნა სისრულეში მოყვანილი, ცხადია, იმის წყალობით, რომ მეფე მხურვალედ მოუწოდებდა ამას, ხოლო სხვებმა ეს გულმოდგინედ შეასრულეს. მარტო ის კი არ არის, რომ მათ გაგვანადგურეს, თუმცა ჩვენ არც უსამართლობა ჩაგვიდენია და არც რაიმე მტრობა ყოფილა ჩვენს შორის, არამედ, რა ჩვეულებაც წინაც ჰქონდათ, იმასვე მისდევენ, თითქოს ერთბაშად შეეპყრას ისინი სიმხეცეს, სიგიჟეს, სიძულვილს და ყველა ამგვარ მოვლენას.

სპარსელები კი ასეთი ხასიათისანი არ არიან: ისინი შორს არიან ამისგან. თუ ვინმე გაიხადეს თავში მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული, ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ მანამ, სანამ ის მტრად რჩება. მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირვებოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, საკუთარ თავს ეყრდნობოდეს, მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკულმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ, ამრიგად, ჩვენ გავიმარჯვებთ ჩვენს ნამდვილ მტერზე, თუ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ დაუსჯელად იმ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მივიღებთ საჭირო ზომებს, რომ უზრუნველი გავხადოთ ჩვენი მომავალი ცხოვრება.

ზედმეტი და უშედეგო იქნება ის გაიძვერობა და ფლიდობა, რომლითაც ისინი მზაკვრული პირფერობითა და ხელოვნური მოპყრობით იყენებენ იმათ მიმართ, ვინც მათ დაენდო და რომელთა საშუალებით ისინი უსამართლო საქციელს სჩადიან, და ისინი ვეღარ გამოიყენებენ იმათ ჩვენ წინააღმდეგ, თუ მტერთან საერთო აღარაფერი გვექნება და აშკარად გამოვეთიშებით მას. თუ ისინი სცდიან ჩვენთან შეომებას, მათ მოუხდებათ ბრძოლა ერთსა და იმავე დროს ლაზებთან და სპარსელებთან, ისიც მტრის მიწა-წყალზე, ესე იგი აქ და ცხადია, მათ შემოტევას ვერ გაუძლებენ.

აი, ეხლახან არ იყო, რომ მიდიელთა მცირეოდენ ჯარს შეებნენ მთელი თავისი ჯარით და მაშინვე სასირცხვილოდ გაიქცნენ ისე, რომ დღემდისაც კი ვერ მოუთქვამთ სული იმ რბენისაგან? ისინი, ასე ვთქვათ, ყველაფერში დამარცხდნენ. მხოლოდ სისწრაფით აჯობეს დამდევნებლებს. ამის ცხად და აშკარა მიზეზად შეგვეძლო ჩაგვეთვალა მათი სილაჩრე და ის, რომ შეუფერებელ გეგმებს ადგენენ. ეს ცუდი თვისებები ხომ ახასიათებთ მათ, როგორც ჭეშმარიტად მათი კუთვნილი და თითქოს თანდაყოლილი. გარდა ამისა ამ ბუნებით თანდაყოლილ, ცუდ თვისებებს ემატება თავისი ნებით ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსამართლოდ სისხლის დაღვრის გამო უზენაეს მფარველობას მოკლებულებს უორკეცდებათ უბედურება. გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოებიანობა. მაგრამ არა მგონია ბოროტმოქმედი და სისხლში გასვრილი ადამიანები ოდესმე ეზიარონ ამ კეთილ საწყისს.

არ შეეფერება გონიერ ადამიანებს, რომ ჩვენ სრულის მოდრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნებანი და აუნაზღაურებელი ზარალი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ და არაფრით შევებრძოლოთ ამ უწ-

მინდურ და შეუფერებელ საქმეებს: ეს უფრო შეეფერება მხდალ და ლაჩარ ადამიანებს, რომლებიც თავისი უქნარობით სახელმწიფო საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ.

რაც შეეხება ამ უკანასკნელ მკვლელობას, არა მგონი სხვაგან სადმე მომხდარიყოს მაგაზე უფრო დიდი უბედურება, ან რომ მომხდარიყო, ასე იოლად ჩაევლო. ამიტომ არც ჩვენ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ ეს საქმე: სასირცხვო იქნება, თუ ჩვენ მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დავუწყებთ. ის რომ ეხლა აქ იყოს, საყვედურით აგვავსებდა და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო, რომ ეს ბოროტმოქმედნი, იმის მაგიერ რომ დიდი ხნის წინათ ყოფილიყვნენ გაძევებულნი, ჯერ კიდევ დაიარებიან ამ მიწა-წყალზე. მაგრამ ვინაიდან ამიერიდან ის ვეღარ გამოჩნდება ჩვენს შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს კაცი: დე ის წარმოუდგეს თქვენს გონებას, თითქოს ის ამ კრებაზე იყოს და მიგითითებდეთ თქვენ თავის ჭრილობაზე, მკერდსა და კისერზე და თვისტომთ თხოვდეს ეხლა მაინც გადაუხადონ მტერს სამაგიერო, მერმე რომელი თქვენგანი დაუჭერს მხარს იმათ, რომელნიც ყოყმანობენ და კიდევ მსჯელობენ იმის შესახებ, სამართლიანია თუ არა კოლხების მხრით გუბაზის გლოვა? თუ ჩვენ შეუფერებლად მივიჩნევთ რომაელებისაგან გადადგომას და შევშინდებით, სიფრთხილე გვმართებს, რომ ამ ბოროტმოქმედების მონაწილეებად არ ჩაგვთვალონ, ვინაიდან დაუდევრობას ვიჩენთ და მიცვალებულის სისხლის აღებას ვაყოვნებთ.

მაშ, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა, სასწრაფოდ შევუდგეთ საქმეს და გამოამჟღავნეთ თქვენი გულის ნადები: რომ გავაკეთებთ იმას, რაც სწორია და სამართლიანია და რაც სარგებლობას მოგვიტანს, — ამით ჩვენ უდიდეს სახელს მოვიხვეჭთ. ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივაღწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო, ნუთუ უკიდურეს უგუნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვზივართ (სტილი მთარგმნელი ნ. კანდელაკისაა, გ.ო.) და ვმსჯელობთ, მტრებად მივიჩნიოთ ისინი თუ მეგობრებად?“

ფარტაზი

„— ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ, კოლხებო, რომ მეტად მოხერხებულად და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს.

უძლეველი რაღაც არის მჭევრმეტყველება და ის თითქოს ყველას ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ გამოუცდია. ნათქვამი იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ თქვენ, რომ ის თავისი მოულოდნელობითა და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამარწმუნებლად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და სასარგებლო. კარგად უნდა შეიგნოთ, რომ, რაგინდ სასიამოვნო არ იყოს ნათქვამი, უნდა ამოირჩიოთ იქიდან ის, რაც უმჯობესია: იმის აშკარა საბუთად, რომ თქვენ მოტყუვდით, ის გამოდგება, რომ თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აეტს. ვინც **ყალბ რჩევა-დარიგებას იძლევა, მას ესაჭიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა და სიჭრელე;** რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იხმარს ის, მით უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს. ასე დაგემართათ თქვენც: აეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახსენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოსტყუვდით. სხვა თუ არაფერი, ის კი მაინც ნათლად უნდა შეგემჩნიათ, რომ მან იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთაგან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ.

მისი სიტყვებით ის გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყოს საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ კიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები; თვითონ კი მკვლელების დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია. მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი არა მარტო იმათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს და აგრეთვე იმათაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ. თუმცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნება სასარგებლო: არავინ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს, თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს და იმ ვერაგებს კი არ გამოვუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მოვიპოვოთ ამგვარივე სახელი. ეხლა აღარ არის საჭირო იმაზე ფიქრი, რაც მოხდა და დასრულდა, და უკვე აღარ შეიძლება დაბრუნებულ იქნას (თითქოს არ მომხდარიყოს); ნუ ავყვებით, მსჯელობის დროს

მოწოლილ ბოღმას და გულისტკივილს, რომ არ დავკარგოთ მოსაზრების უნარი და არ დავაბუნდოვნოთ ჩვენი მსჯავრი: შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა. გამოვაჩინოთ ჩვენი მწუხარება, რამდენადაც ეს საჭიროა იმის დასამტკიცებლად, რომ დაუდევრობას არ ვიჩენთ, და მოვისაზროთ მომავლისთვის, თუ როგორ მოვაგვაროთ საქმეები უფრო უკეთ.

უგუნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აღაშფოთებთ ცვლილებები, და როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს. მაგრამ ეს მრჩეველი (აეტი), რომელიც დიდი ხანია მიდიელების მომხრეობას იჩენს და მოწადინებულია ჩვენც გადაგვიყვანოს მათ მხარეზე, ცდილობს შეგვაშინოს — თითქოს ბავშვები ვიყვეთ — და გვიმტკიცებს, რომაელები არ იკმარებენ იმას, რაც გაბედეს, კიდევ მეტი უბედურება მოგველისო. ამბობს იმასაც, რომ მათ დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთ, რომელიც თვითონ არის ამ მკვლელობის სულის ჩამდგმელი; დიდი ხანია ეს მკვლელობა მომზადებული და მოფიქრებული იყო. ამას ამბობს ის და აქებს და ადიდებს სპარსელებს; ის ფიქრობს, რომ ამ გზით დაგვარწმუნებს ჩვენ და ჩვენც ეხლავე საკუთარი ფეხით ვეახლებით აშკარა მტრებს და ხვეწნას დავუწყებთ. ამ მიზნისთვის ხმარობს ის ყოველგვარ საშუალებას; იმთავითვე იღვწის და ცდილობს იმისთვის, რომ განახორციელოს ის, რაც მას განზრახული აქვს; მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ, ჩვეულებრივ, წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი. ხოლო, როგორც კი მიაგნებს იმას, რისი გაკეთებაც არის საჭირო, მაშინ გვმართებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგენილება. ამან კი ბოლო თავში გადაიტანა და, ვიდრე ჩვენ საბოლოოდ რასმე გადავწყვეტდეთ, ის უკვე შეუდგა შესრულებას. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება?

უმართებულო იქნებოდა, ჩემი აზრით და ამასთანავე ერთად მიზანშეუწონელიც ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვიღია ჩვენს თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შევეგუეთ, იმათ მიმართ კი, რომლებიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნაირ ხიფათში ვარდებიან იმის გულისთვის, რომ ჩვენ უდარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ, გამცემლები გამოვსულიყავით; ყველაზე უფრო უწმინდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლოობას. აბა, სხვა რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენ საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და ამავე დროს მკვდრებიც?

ნურავინ ცდილობს წარმოგვიდგინოს აქ მიცვალებული გუბაზი, სრულიად არა ვაჟკაცურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ, შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს გუბაზს. ის რომ აქ იყოს, უეჭველია ის, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვკიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრახვებისთვის; მოგვიწოდებდა არ მივცემოდით სასოწარკვეთილებას და გულაჩუყებას, და მონების მსგავსად კი არ მოვქცეულიყავით, არამედ აღჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და სასირცხვო და მამაპაპური წესების შემბილწველი არაფერი ჩაგვედინა, არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით და იმედი გვქონოდა, რომ უზენაესის თვალი არ მოაკლდება ერს.

მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომალებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჭაპანს. თუკი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ. თუ ასე მოვიქცევით, იმასაც დავამტკიცებთ, რომ ცხონებული გუბაზი არ დაგვივიწყნია და იმასაც, რომ საქმეებს მოფიქრებით ვაგვარებთ და არა წინდაუხედავად.

ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირეს მიერ ჩადენილი კეთილი საქმე აიძულებს, მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასდროს არის მტკიცე, ჰოდა, აბა, რის გულისთვის გადავიდეთ, კოლხებო, სპარსელების მხარეზე, თუკი ისინი მაინც ჩვენს მტრებად დარჩებიან და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ისღა გვექნება, რომ ისინი უფრო ადვილად მოგვაყენებენ ვნებას, ვინაიდან ფარული მტრისგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარისაგან.“

რიტორთა ეროვნული სკოლა

ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ, რომელმაც მშვენივრად უწყის, თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობისაა კოლხეთთან კავშირი, 554 წელს, არქეოპოლისში მოაწყობს გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლებას. ორატორთა სახელები ისტორიას არ შემოუნახავს, მაგრამ გასაოცარია მათი თანამიმდევრული შეუპოვრობა და მაღალი პროფესიონალიზმი.

თვითონვე დარწმუნდით:

,, — ჩვენ რომ არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თავად ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოს... რა გამართლება შეიძლება ვუპოვოთ იმათ, რომელთაც ასე შეუპოვრად მოკლეს ასეთი დიდებული კაცი, თქვენი მეგობარი და მოკეთე, მოკავშირე ომიანობის დროს და მშვიდობიანი ცხოვრებისა და ზავის დროს, უზენაესის შესახებაც თქვენნაირად მოაზროვნე და თქვენი წესების მიმდევარი... მოკლული ხომ მეფე იყო, მსაჯულო, არა დაბალი გვარისა, და ვაჟკაცობით განთქმული, და რომაელთა საქმეებისთვის მუდამ იყო მკვლელებზე უფრო ერთგული?!

ისინი ისეთ უსამართლობამდე მივიდნენ, რომ განსვენებულს აბრალებენ მედიზმსაც: საბრალო! სიკვდილის შემდეგაც ვერ განთავისუფლდა უბედურებისგან, და ეხლაც, როდესაც მას აღარ შეუძლია თავი იმართლოს, მოღალატეობაში ედება ბრალი. რომელი კანონი — თქვენი ან ბარბაროსებისა — მოიწონებს ასეთ მდგომარეობას, რომ ჯერ განაჩენი გამოუტანოს ადამიანს და მერე წამოუყენოს ბრალდება?... ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგდო და ამ დროს, როდესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმდიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო გამხდარი და თქვენი დამხმარე ჯარები იგვიანებდნენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ველურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ ჩასულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომელიც არ უშინდებოდა არავითარ გაჭირვებას, თუკი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი.

სად ხართ კანონებო, სად არის სამართალი!''.

ასეთი ექსტაზითა და პათოსით აგვირგვინებს თავის საბრალდებო სიტყვას ორატორი და რომაული სასამართლო, ცხადია, იუსტინიანე კეისრის დასტურ-ლამალით, იძულებულია ტელეფასის ციხესთან, (551 წ.) თავიანთი უგერგილობის გამო ძლეული ბიზანტიელი სარდლები, (დამარცხების ნამდვილი მიზეზი გუბაზ მეფის მოგონილი ღალატით რომ მიჩქმალეს), სიკვდილით დასაჯოს. სამართალი პურის ჭამს!

ასეთი წინაპრები გვყვანან ჩვენ ჯერ კიდევ ქრისტეს აქეთ VI საუკუნეში.

ჩვენთვის გაურკვეველია ,,ქართული მჭევრმეტყველების'' ავტორის, ბატონ ნიკოლოზ კანდელაკის, ერთი ფრაზა, როცა იგი აღნიშნავს: **,,აეტისა და ფარტაზის სიტყვები წარმოითქვა ლაზიკაში", კერძოდ, „კავკასიის ერთ ხეობაში**'', სადაც ,,**შეყარეს დიდძალი ხალხი**'', ცხადია, კოლხები და მაშასადამე, ორატორების ენა მშობლიური უნდა ყოფილიყო კოლხებისთვის და იქვე **,,აეტისა და ფარტაზის სიტყვები თავდაპირველად ითქვა ქართულ ენაზე"!**

არა, ჩვენ არ გამოვეკიდებით ამ ფრაზას, არც იმ ფაქტს, თუ VI საუკუნის ლაზიკა რომელი ენით საუბრობს, ჩვენთვის უფრო მთავარია ერთი ურყევი ჭეშმარიტება: ლაზეთის საერთო ძალისხმევით კეისარი იუსტინიანე იძულებულია რჩეულ სარდლებს თავები გადაბალთოს ,,ბარბაროსი'' მოკავშირის გულისთვის, აქ კი, მეოცე საუკუნის საქართველოში, ჭაქვინჯის ტერიტორიაზე გაურკვეველ ვითარებაში მიცვალებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიცოცხლის თვითმოსწრაფვის თუ გაანგარიშებული ხელყოფის გამოსამზეურებლად თითიც არ გატოკდება. გვეპატიება ვითომ ამგვარი გულგრილობა ოცდამეერთე საუკუნის საღად მოაზროვნე გონებისაგან?

ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ცნობილი მწერალი ჩინგიზ აითმათოვი მოკრძალებით განაცხადებს:

— ვღელავ, მეშინია, ვაითუ სწორად ვერ გამიგონ ჩემმა ქართველმა ძმებმაო.

უნიჭიერეს მწერალი გულისხმობს „საქონდაქრეს“ („Ï ËÀÕÀ“) ეპიზოდს, რომელსაც პირობითად შეიძლება „ქართული სინდრომი“ ვუწოდოთ.

თითქოს ენას ეყივლოს ხელოვანისთვის. იმ სიტყვის წარმოთქმიდან რაღაც წელიწადნახევარში დავერიეთ ერთმანეთს ქართველები და ვჟუჟეთ, ვმუსრეთ ანგარიშმიუცემლად. თუმცა უმჯობესია თავად მწერალს მივუგდოთ ყური. როგორც ჩანს, უცხო თვალი მეტი სიზუსტით იჭერს ხოლმე ჩვენს მანკიერ მხარეებს, ხშირად შინაურთათვის შეუმჩნეველს თუ გაუცნობიერებელს.

ჩინგიზ აითმატოვი

„ექვსი და მეშვიდე“

ფრაგმენტი რომანიდან

„საქონდაქრე“ („Ï ËÀÕÀ“)

„მდინარეზე საშინელი ჟლეტვის შემდეგ გურამ ჯოხაძე, რომელმაც ხეობების თითოეული გასასვლელ-გამოსასვლელი იცის, იმავე დღეს, საღამო ხანს ერთ მიუვალ ადგილზე — თურქეთის საზღვრის მახლობლად მთაზე შეფენილ ტყეში ჩერდება და ცხენებისთვის უნაგირის მოხდისთანავე დაღლილობისგან მიწაზე ეცემა ყველა — ექვსი და მეშვიდე. ხუთი იმავ წუთში იძინებს მკვდარივით, ხოლო ორს რული არ ეკიდება. რული არ ეკიდება ჩეკისტ სანდროს, სატანჯველი გასჩენია, ფიქრობს — რა ქნას, უკეთ როგორ აისრულოს საწადელი, როგორ მიაგოს მისაგებელი გურამ ჯოხაძეს. არც მამაც გურამ ჯოხაძეს ეკიდება რული დამღუპველი კატასტროფის შემდეგ — განიცდის რაზმის განადგურებას. სტანჯავს ხვალინდელი დღე, და მხოლოდ ღმერთმა უწყის, კიდევ რაზე ფიქრობს რევოლუციის მიერ გათიშული ეს ორი შეურიგებელი მტერი.

მათი სასთუმლის მარჯვნივ სავსე მთვარე იდგა. ტყე ღამისებრ გულდამძიმებულად და დაყურსულად ირხეოდა. ქვემოთ მდინარე დაუყუჩებლად მიდგაფუნებდა ქვებზე და მთები ირგვლივ ქვის მდუმარებაში გარინდულიყვნენ. უცებ გურამ ჯოხაძე ზეზე წამოხტა, თითქოს რაღაცით შეშფოთებული.

— არ გძინავს, სანდრო? — გაკვირვებით ჰკითხა მეშვიდეს.

— არა, შენ რაღას წამოხტი? — იქით ჰკითხა სანდრომ.

— ისე. არ მეძინება, ამ ადგილზე რატომღაც გული არ მიჩერდება. მთვარე ნამეტანი ანათებს. წავალ, გამოქვაბულში დავწვები, — ჯოხაძემ თავისი ნაბადი, იარაღი და უნაგირი წამოკრიფა და წასვლისას დასძინა: — დანარჩენზე ხვალ მოვილაპარაკებთ. დიდი ხანიც აღარ დაგვრჩა სალაპარაკოდ.

იგი წავიდა და გამოქვაბულის პირას მოიწყო დასაწოლი — აქ მწყემსობისას ბევრჯერ შეუფარებია თავი ცუდ ამინდში. ახლაც შეაფარა ან იმისთვის, რომ უზომო უბედურება გამოეგლოვა, ან წინათგრძნობამ უკარნახა, ისე მოეკალათებინა, ვერსაიდან მიდგომოდნენ, ხოლო თვითონ, პირიქით, ყველა დაენახა, ვინც კი გამოქვაბულს მოუახლოვდებოდა. სანდრო შეშფოთდა: როგორ გავიგო მეთაურის ეს თითქოსდა საზრიანი საქციელი? რაიმეს ხომ არ ხვდებაო?

ასე გაილია მათთვის ეს ღამე, დილით კი გურამ ჯოხაძემ ბრძანა, ცხენები შეკაზმეთო. და არავინ უწყოდა, რას ფიქრობდა, რას იზრახავდა, როცა ცხენები უკვე შეკაზმული იყო, როცა უკვე ყველა მდუმარედ იდგა მის წინ და ცხენები აღვირით ეჭირათ, გურამ ჯოხაძემ ამოიოხრა და თქვა:

— არა, არ ვარგა მშობლიური მიწიდან ასე წასვლა. დღეს გამოვემშვიდობებით მიწას, რომელმაც გვზარდა, შემდეგ აქეთ-იქით წავალთ-წამოვალთ, ჯერჯერობით კი აქა ვართ და ისე მოვიქცეთ, როგორც საკუთარ სახლში.

მან ორი მხედარი ღვინის და საჭმლის მოსატანად ჩაგზავნა უახლოეს სოფელში, სადაც ერთგული ხალხი ჰყავდა, ორიც, სანდრო და მეორე ჭაბუკი — აქ დატოვა საკოცონო ფიჩხის მოსაგროვებლად და ცხენების სადარაჯოდ. ხოლო თვითონ სხვა ორთან ერთად სანადიროდ წავიდა — უნდოდა, თუ ღმერთი კეთილი თვალით გადმოხედავდა, გამოსამშვიდობებელი ვახშმისთვის რომელიმე გარეული ფრინველი მოეკლა, იქნებ შველიც.

რა ექნა ჩეკისტ სანდროს — ჯოხაძეს უნდა დამორჩილებოდა და დალოდებოდა შესაფერ დროს, როცა ბრძანების აღსრულებას შეძლებდა. ჯერჯერობით კი საქმეს საამისო პირი არ უჩანდა.

საღამოს ექვსი და მეშვიდე კვლავ შეიყარნენ: ტყის განაპირას, გამოქვაბულთან ცეცხლი გააჩაღეს, სოფლიდან ამოტანილ ხამ ტილოზე დააწყვეს გურამ ჯოხაძის ერთგული ხალხის მიერ ამოგზავნილი პური, ღვინო, მარილი, საჭმელი. კოცონი გიზგიზებდა, შვიდი ცეცხლს მიუახ-

ლოვდა.

— ყველა ცხენი შეკაზმულია და ყველა ჩვენგანი მზადაა ცხენს მოახტეს? — იკითხა გურამ ჯოხაძემ.

პასუხად ყველამ მდუმარედ დაუქნია თავი.

— მისმინე სანდრო, — შენიშნა გურამ ჯოხაძემ, — კარგი შეშა მოგიქუჩებია, რიგიანად ეკიდება ცეცხლი, მაგრამ ასე შორს რად დაგიწყია?

— ნუ წუხხარ, გურამ, ამ საქმეს მე მოვუვლი. ცეცხლზე მე ვაგებ პასუხს. შენ კი შენი თქვი.

და გურამ ჯოხაძემ თქვა:

— მეგობრებო, საქმე წავაგეთ, როცა, მხარეები იბრძვიან, რომელიღაც იმარჯვებს, რომელიღაც მარცხდება. ამიტომაც იბრძვიან ისინი. ჩვენ სისხლს ვღვრიდით, ჩვენს სისხლსაც ღვრიდნენ, ამ მხრიდანაც და იმ მხრიდანაც ბევრმა სანუკვარი სიცოცხლე გასწირა. რაც მოხდა, მოხდა. პატიებას ვთხოვ დაღუპულ მეგობრებს და დაღუპულ მტრებს. როცა მტერი ბრძოლაში იღუპება, იგი მტერი აღარაა. ახლა ბრძოლის განგრძობა რომ შემეძლოს, მაინც ვთხოვდი პატიებას დაღუპულებს. მაგრამ ბედმა ზურგი გვაქცია. ამიტომ ხალხის უმრავლესობამაც გვიგანა. მიწასაც კი, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ, არ სურს აქ დავრჩეთ. აქ ჩემი ადგილი აღარაა და არც არავინ შეგვინდობს. მე რომ გამემარჯვა, ჩემს მტრებს არ შევიწყალებდი, ამას გულზე ხელდადებული ვამბობ. ახლა ისღა დაგვრჩენია, უცხო, შორეულ მხარეებში გავაღწიოთ. აი, ამ დიდი მთის გადაღმა თურქეთია, ყურის ძირშია. ოდნავ განზე, იმ ქედის იქით, მთვარე რომ ამოდის — ირანი, ამოირჩიეთ, ვის საით გინდათ წასვლა. მე თვითონ თურქეთში, სტამბოლში მივდივარ. იქ მტვირთავად ვიქნები გემებზე. ახლა ყოველმა ჩვენგანმა უნდა გადაწყვიტოს, სად მოიდრიკოს ქედი. ჩვენ შვიდნი დავრჩით, და რამდენიმე ხნის შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით გავსწევთ შვიდ უცხო მხარეს. ამქვეყნად მიმოფანტულთ ყველას მოგვიწევს საკუთარი მწარე ფიალის გამოცლა, ამიერიდან ველარ შევხვდებით. ეს უკანასკნელი დღეა, როცა ჩვენ, ცოცხლად გადარჩენილი შვიდი კაცი, ერთად ვართ, ერთმანეთს ვხედავთ, ერთმანეთს ვუსმენთ. მაშ, გამოვემშვიდობოთ ურთიერთს და გამოვემშვიდობოთ მიწას ჩვენსას, გამოვემშვიდობოთ ქართულ პურსა და მარილს, გამოვემშვიდობოთ ღვინოს ჩვენსას. ასეთ ღვინოს ვერსად დააკარებ პირს, გამოვემშვიდობებით და ჩვენ ჩვენი გზით წავალთ. თან არაფერი მიგვაქვს, ნაფხვენიც კი ქართული მიწისა. შეუძლებელია სამშობლო წაიღო, შეიძლება მხოლოდ სევდა წაიღო, სამშობლოს თან წაღება რომ შეიძლებოდეს ტომარასავით, მაშინ იგი ფეხის ფრჩხილადაც არ ეღირებოდა. მაშ, დავლიოთ უკანასკნელად და უკანასკნელად ვიმღეროთ ჩვენი სიმღერები...

ღვინო ტიკისა იყო, გლეხური, გაჯერებული მიწიერით და ზეციერით, ტვინს მწველად შეუღიტინა და დარდ-ვარამის გადმოშლის საღერღელს პირი მოუხსნა. სულში ხელახლა შეეჭიდა ერთმანეთის მხიარულება და ნაღველი. და თავისთავად წარმოდინდა სიმღერა, ისე როგორც მთის ფერდობზე ქვებში უცებ წყარო გამოატანს და ყველაფერი აყვავდება და გამრავლდება, რასაც კი მისი წყალი გზადაგზა შეეხება და წყნარად გააბეს მამა-პაპათა სიმღერა, და წყნარად ძლიერდებოდა სიმღერა იგი, ძალუმად რაკრაკებდა ფერდობიდან ჩამომდინარე წყაროსავით. შვიდივე ჩინებულად მღეროდა, ვინაიდან არ არსებობს ქართველი, რომელიც არ მღეროდეს. მღეროდნენ ხმაშეწყობილად, ყველა თავისებურად და თავისი შეძლებისამებრ, და სიმღერა დაიგზნო, როგორც კოცონი, რომლის გარშემოც ისინი იდგნენ.

ასე იწყებოდა გამოსამშვიდობებელი საგალობელი შვიდისა. უფრო სწორად, ექვსისა და მეშვიდესი, რომელსაც წუთით არ ავიწყდებოდა თავისი საქმე. არც ერთ მათგანს, უპირველეს ყოვლისა, გურამ ჯოხაძეს დაუსჯელად ფეხი არ უნდა გაედგა საზღვარგარეთ, მას, ჩეკისტს, არ შეეძლო ამას შერიგებოდა — ასე მიუთითებდა ბრძანება და ეს ბრძანება უნდა აღესრულებინა.

ხოლო სიმღერა სიმღერას ენაცვლებოდა, ისმებოდა ღვინო, რომელსაც რაც უფრო მეტს სვამ, მით უფრო მეტი ხალისით ისმება, მით უფრო ეკიდება ცეცხლი სულს, ისევ და ისევ რო სწყურდება ღვინო და სიმღერა.

წრეზე მდგომნი ხელებს თანდათან ერთმანეთს გადახვევდნენ, ხანდახან წამისწამად ისევ ჩამოყრიდნენ ძირს, ცისკენ აღაპყრობდნენ, როცა სურდათ მათი ხმა მისწვდენოდა ღვთაებრივ ძალას, იდუმალსა და აურიდებელს, მაგრამ ყოვლისმხილველსა და ყოვლისმცოდნეს. როგორ, თუ ღმერთი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის, საით მიერეკება მათ თავიანთი მიწიდან? და ცხოვრება რატომაა აგრე მოწყობილი, რომ ადამიანები ერთმანეთს ეომებიან, ებრძვიან, იღვრება სისხლი, იღვრება ცრემლი და ყოველ მათგანს თავი მართალი ჰგონია, სხვა კი — მტყუანი. სადღაა ჭეშმარიტება, და ვისა აქვს უფლება მისი წარმოთქმისა? სადაა ის წინასწარმეტყველი, ვინც მათ სამარ-

თლიანად განსჯიდა?.. ხალხის მეხსიერებაში შემონახული ეს ძირძველი სიმღერები ხომ არ უბნობდა ამას, ხომ არ გადმოსცემდა ჰანგში გაცხადებულ ტანჯვას, რომელიც მამა-პაპებმა ძველისძველად იგემეს, კეთილისა და ბოროტის დასაბამიერ ჭირნახადობად გაიაზრეს, მისივე სილამაზითა და მარადიულობით იგრძნეს. ამიტომაც იმ შვიდის ბაგეებში ერთი სიმღერა მეორეს შობდა და მომღერალნი არ იშლებოდნენ. მეშვიდე, სანდრო კი დროგამოშვებით ტოვებდა წრეს, რათა შეშა მოეტანა და კოცონისთვის შეეკეთებინა, მართლაცდა, ტყუილად (ყველაფერს ხომ თავისი მიზეზი აქვს ცხოვრებაში), ტყუილად კი არ დაახვავა ტყეში უამრავი ფიჩხი. სამაგიეროდ ახლა თვითონ განაგებდა ცეცხლს. მღეროდა კიდევაც სხვებივით, მთელი არსებით — სიმღერები ხომ ყველას თანაბრად ეკუთვნის. არ არსებობს სიმღერები, მხოლოდ მეფეთ სამღერალი და სხვათათვის აკრძალული, ისევე როგორც არ არსებობს მარტოოდენ მდაბიოთა შესაშვენი სიმღერები, იმღერე და იმხიარულე, ინაღვლე და იტირე, იცეკვე, ვიდრე ცოცხალი ხარ...

გიყვარდა და თრთოლვით ელოდი პაემანზე, გადაგიყვარა და რარიგ იტანჯებოდი, რარიგ გეწადა, სული ამოგხდომოდა, რადგან გული არ გაგიზიარა. გინდოდა სიკვდილის წინ გემღერა და ეს სიმღერა მას მოესმინა. რარიგ გეფერებოდა დედა ბავშვობაში, სად აღესრულა მამა, როგორ ბრუნავდნენ სისხლისმღვრელ ბრძოლაში შენი მეგობრები, რომელ ღმერთებს უშლიდი გულს უბიწო და სპეტაკი აღტკინების ჟამს და გიფიქრია, რა არის ადამიანის დაბადება, გიფიქრია, რომ სიკვდილი მუდამ შენს გვერდითაა, ვიდრე სულს არ განუტევებ, ხოლო სიკვდილის შემდეგ სიკვდილი ქრება. სიცოცხლე კი სიკვდილზე მაღლა დგას. სიცოცხლეზე დიდი სასწაული სამყაროში არ არსებობს. — ამიტომაც ერიდე კვლას. მაგრამ თუ მტერი მოგიხტა, დაიცავი მიწა შენი; და მშობელი მიწასავით გაუფრთხილდი სატრფოს პატიოსნებას. თუ გამოგიცდია, რომ უსატრფოოდ არაფერი გგვრის სიხარულს: არც ყვავილი, არც სინათლე, არც ხვალინდელი დღე — და, კიდევ ვინ იცის, რას უბნობენ სიმღერები — განა ყველაფერს გადმოსცემ...

და განშორების ჟამს გულდამძიმებულად და აღმაფრენით მომღერალი შვიდი ქართველივით ერთმანეთისთვის უფრო გულისგული და ახლობელი ადამიანები იმ ღამეს ქვეყნად არ არსებობდნენ, მათ კიდევ უფრო ადუღაბებდა სიმღერის სტიქია. წინაპრებმა მაინც რა ბევრი რამ განიცადეს და უკვდავი ჰარმონიით აღსავსეს, რამდენი გულითადი სიტყვა მოიგონეს შთამომავლობის სასიკეთოდ. როგორც შეიძლება ფრინველი ფრენით გამოარჩიო, ისე ქართველი ქართველს სიმღერით გამოარჩევს ათ ვერსზე და იტყვის, ვინაა, საიდანაა, რა სჭირს, რა უტრიალებს სულში — მხიარულ ქორწილში იყო თუ დარდ-ვარამი კლავს...

მთვარემ უკვე საკმაოდ აიმაღლა მთებზემოთ. მთვარე მკრთალ შუქს ჰფენდა მთელ დედამიწას — ქარის აქროლვაზე ტყე შემპარავად არხევდა ხეთა შავ კენწეროებს, დახშული ხმით ხმაურობდა მდინარე, ბზინავდა, ვერცხლისფრად ციაგებდა სველი რიყის ქვებზე. ღამეული ფრინველები ლანდებივით უხმაუროდ გადაქროდნენ კოცონთან მომღერალი ადამიანების თავზე და შეკაზმული ცხენებიც, მოთმინებით რომ ელოდნენ თავიანთ პატრონებს, ფხიზელ ყურებს ცქვეტდნენ, თვალებში ცეცხლის ათინათები უცეკვავდათ... იმ ცხენებს გზა ედოთ უცხოეთისკენ და წასვლის ჟამიც ახლოვდებოდა...

მაგრამ სიმღერები, ეტყობა, არ დასრულდებოდა, გურამ ჯოხაძეს თითქოს ყველა სიმღერის ჩამოთავება სურდა. „აბა, იმღერეთ, მეგობრებო, სვით ღვინო, ამიერიდან ვეღარასოდეს ჩავდგებით წრეში და სმენას ვეღარასოდეს დაგვიტკბობს ქართული ჰანგები“... ხან ცალ-ცალკე მღეროდნენ, ხან ერთად, ხან საკუთარ სიმღერაზე ცეკვავდნენ გულდაგულ და გააფთრებით, როგორც სიკვდილის წინ ცეკვავენ და ისევ დგებოდა წრეზე შვიდი, უფრო სწორად ექვსი და მეშვიდე. ხოლო სანდრო წამდაუწუმ ტოვებდა წრეს — შეშას აყრიდა კოცონს — და კოცონსაც მცხუნვარება ემატებოდა.

გადაწყვიტეს, ბოლო სიმღერა ეთქვათ, შემდეგ — კიდევ ერთი, კიდევ ერთი გამოსამშვიდობებლად. ვერა და ვერ წყნარდებოდნენ. ისევ შექუჩდნენ წრეზე, ჩაჰკიდეს თავი და ქვესკნელიდან მომდინარე გუგუნივით ფიქრიანად, ძალუმად ზღვავდებოდა ჰანგი. ხოლო სანდრო ისევ წავიდა შეშის მოსატანად. თუმცა კოცონს ბრიალი გაუდიოდა. ყოველივე ზედმიწევნით ჰქონდა აწონილ-დაწონილი — შეშის ნაყარიდან თვითონ ნათლად ხედავდა ექვსივეს. წრეზე მდგომთ, ხოლო ისინი, თვალისმომჭრელ კოცონთან მომღერალნი, ცუდად ხედავდნენ მას... მძიმე მაუზერი გამზადებული — ჩახმახშეყენებული ჰქონდა. დადგა ანგარიშსწორების გარდაუვალი ჟამი, მისაგებელის მიგების ჟამი. ასწია მრავალმუხტიანი სწრაფმსროლი მაუზერი, ხელზე დაიყრდნო და სიბნელეში მეხივით დაქუხებული პირველი გასროლით ძირს დასცა მეთაური გურამ ჯოხაძე, და ბაგეთაგან აფრენილი სიმღერის სიტყვები ჯერ კიდევ არ გაციებულიყო, რომ უმალ ზედიზედ მიაწვინა დანარჩენი, რომელთაც ვერც კი მოასწრეს იმის გაგება, რა მოხდა. და ამრიგად და კიდევ ერთხელ მოკვდინების

ბიწიერ ჩარხის ტრიალში, კიდევ ერთხელ დაღვრილი სისხლისთვის სისხლი დაიღვარა.

დიახ, ადამიანთა ურთიერთობების კანონები მათემატიკურ გამოთვლებს არ დაგიდევს და ამ აზრით დედამიწა სისხლიანი დრამების კარუსელივით ბრუნავს... ნუთუ ამ კარუსელმა ქვეყნიერების დასასრულამდე უნდა იბრუნოს, ვიდრე დედამიწა მნათობის ირგვლივ ტრიალებს?

ტყვიები მიზანს არ ასცდენია. მხოლოდ ერთი რაზმელი უცებ გაშმაგებით წამოიწია ხელებზე, მაგრამ სანდრო მიეჭრა, კეფაში ესროლა და ისევ დააწვინა... დაბმულ ცხენებს ელდა ეცათ, განზე გახტნენ და ისევ გაირინდნენ.

ისევ ენთო კოცონი, ხმაურობდა მდინარე. თავ-თავიანთ ადგილებზე იდგნენ ტყე და მთები. მთვარეც თავის ადგილას იდგა უდრტვინველ ცარგვალზე. მხოლოდ სიმღერა შეწყდა, ასე დიდხანს რომ ჟღერდა იმ საღამოს...

სანდროს სახე გათეთრებული ჩანდა ღამეში. ჰაერი არ ჰყოფნიდა, დასწვდა ტიკს და შიგ ჩარჩენილ ღვინოს მიეძალა, რათა გულგვამში დაგზნებული ცეცხლი გაენელებინა... ისე სვამდა, ღვინო ეღვრებოდა, სული ეგუბებოდა... შემდეგ დაცხრა, მშვიდად დაუარა კოცონის გარშემო სხვადასხვანაირად მიმოყრილ მოკლულთ, იარაღი ახსნა, მათივე უნაგირების კოტაზე ჩამოჰკიდა, ცხენებს ლაგამ-ავშარა წააძრო და ყველა გაუშვა. შვიდივე გაუშვა; მათ შორის თავისი ქურანაც და გასცქეროდა, ცხენები, რომლებმაც თავისუფლება იგრძნეს, ერთმანეთის მიყოლებით როგორ ჩაჰყვნენ მდინარეს, მთისძირა სოფელს, ადამიანებს მიაშურეს... მაგრამ აი, ნალების ჭახაჭუხიც მიჩუმდა და ქვემოთ დაწალიკებით მიმავალი ცხენების ლანდები მთვარის შუქდაფრქვეულ მონანავე ფოშფოშში გაუჩინარდნენ...

ყველაფერი მოთავებული იყო. სანდრომ კიდევ ერთხელ მდუმარედ ჩამოუარა იქვე განგმირულ ექვსს, მათ ოდნავ მოშორდა და მაუზერის ლულა საფეთქელზე მიიდო. მთებში კიდევ ერთხელ დაირხა გასროლის მეყსეული ნახმევი. ახლა უკვე მეშვიდემ შეწყვიტა თავისი სიმღერა.“

თარგმანი **აკ. ბაქრაძისა**

***

ასე გასრულდება ის ქართული ბალადა და ბუნებრივია, შვიდივე რაღაც უცხო ძალის მიერ განადგურებულად გამოჩნდება ალიონიდანვე მიამიტი სოფლის თვალში, ან იმ შავბნელ წლებში, რომელი ექსპერტიზა მოიცლის ჭეშმარიტების, რეალური სურათის აღსადგენად?

ჩინგიზ აითმათოვის „საქონდაქრეს“ მოვუხმეთ აქ წინასწარმეტყველურ აპოკალიფსად. როგორც ვახსენეთ, შემოქმედში არის შორსმზირალი ღვთიური ნიჭი, განჭვრიტოს ინტუიციურად ესა თუ ის მოვლენა. იგი ფაქტობრივად საკუთარ მეობასაც კი კრიტიკის ნიაღვარს დაატეხს, რაჟამს მანქურთის სინდრომით დაისნეულებს თავს რუსულ ენას ჩაბღაუჭებული ყირგიზი ხელოვანი.

ჩვენთვის ამოსავალი წერტილი მაინც სხვაა, კერძოდ, გრიგოლ რობაქიძის ზეპატროფილური პოზიცია და ნიკოლო მიწიშვილის ქართველოფობიური მრწამსი, ორი ურთიერთ გამომრიცხავი პლასტი, სადაც პირველი გაიძახის:

— **რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო**, — ხოლო მეორე აბსოლუტურად აბათილებს ამ დებულებას და მოსჭრის:

— **რაც ბითურები ვართ, ქართველები გახლავართო**.— იქნებ ამ ორ მაქსიმალისტურ პლატფორმას ვემსხვერპლებით, ოდეს მუშტშემართული ნაცარქექიები ბაყბაყდევს ავუმხედრდებით და ჩვენს რეალურ შესაძლებლობებს დავივიწყებთ, რომ კერიის მჩხრეკელნი უფრორე გვეთქმის, ვინემ გველვეშაპის შემმუსვრელი ჯეგე მისარონები, ჯგრაგები, წმინდა გიორგნი.

შესაძლოა ჩვენ XXI და შემდგომ საუკუნეთათვის დავსახოთ კიდეც ოპტიმალური გზები ქვეყნის აღმშენებლობის არენაზე, დღეს კი ამაოდ ვცდილობთ რეანიმაციაში მყოფი სამშობლოს გაჯანსაღებას თერაპიის მეშვეობით, როცა შესაძლოა ქირურგიული ჩარევაც საქმეს ვერაფერს შველოდეს. და უმთავრესი — რანაირად უნდა წარმოვსახოთ მეორე ათასწლეულის მიწურულს ქართლოსიანთა გამაერთიანებელ დევიზად ტრიადა: „ **მამული, ენა, სარწმუნოება**“, როცა ქვემორე მოტანილის- ამებრ, ერთიანი არც „მამულია“ ჯერეთ, არც „სარწმუნოება“ და აღარც სათაყვანებელი „ენა“ — დედაენა ჩვენი?

უუაკაცი მსაჯულის მანტიით (I)

ახლა, როცა სპექტაკლი გათამაშებულია, უმეცრების პოლიტიკური ურემი გადაყირავებულა და ოპოზიციის ე.წ. დემოკრატიისთვის გაჩაღებული მარათონული ისტერიკებით რესტავრირებულია კომუნისტების ღირსებააყრილი არმია;

ახლა, როცა მთავრობის სახლთან მოგრუხუნე ესკადრილიის ექო ჩემი ბავშვების საძინებელშიც შეირბენს აკაკანებული ავტომატის ნიღბით და ფლეიტას მიმსგავსებულ სულს დამიტოვებს ვაგლახ;

ახლა, როცა ხალხის ნებას ნამდვილი დიქტატურა დაპირისპირებია სურნელოვანი ბალახით — Cannabis-ით, იგივე კანაფით, გიმბაშ კიფით გაბანგული;

ახლა, როდესაც სიტყვა ,,დემოკრატიას'' პანდორას ყუთში გამოკეტილ იმედს დაუწყვილებს ხუნტაძე ტელევიზია და მორჩილავა პრესა;

ახლა, როდესაც ჩრდილოეთიდან მზესავით ამოანათებს ,,პერესტროიკა-გლასტნოსტის №2 რაინდი'' და ისტორიული ბაზალეთი ყოველდღიურობის ნორმად დაგვიმკივდრდება დედაქალაქსა თუ კოლხეთში;

ახლა, როდესაც უტყუარ რეალობად მოგვევლინება პრეზიდენტის შეგონებანი:

— მე კი გადავდგები, მაგრამ ამით ფაქტობრივად ქაოსსა და სიდუხჭირეში ამოვყოფთ თავს; ავტონომიები თავთავიანთთვის გაიწევ-გამოიწევიან; დაიწყება გაუთავებელი ბრძოლები პირველობისთვის, სავარძლებისთვის, უფსკრულში გადავჩეხავთ დედა-საქართველოსო, — ჩემს სულს ერთიანად მოეძალება კოშმარულ დღეებში დანახულ-განცდილი და როგორი სიმწყობრითაც შევეცდები სათქმელის გადმოცემას, ვეჭვობ სიტყვას ლარში მივსდიო, თუმცა რაჟამს შენს არსებობას ბობოქარი ზღვა და თავკერძა ქარიშხალი დაეუფლება, მომიტევებდეთ ჩემებურნო, რომელი მხრიდანაც უნდა მივუდგე ამ სტიქიონს, მაინც განსასჯელად ქაღალდზეა გადმოსახაპი მომავალ თაობათათვის, და კიდევ უფრო იმისთვისაც— ერთი რიგითი კალმოსანიც დავუსხლტე ყოველდღიურობის დაწოლას, წნეხს; ვაჯობო მოსალოდნელ ხვალინდელ ხიფათებს, ინკვიზიციურ წამება-მწვალებ ლობებს ჯურღმულებში და ჭეშმარიტება ყველაფერია-მეთქი, განვაცხადო თავაწეულმა, არა მხოლოდ იდეალიზმის მამის — პლატონის გასაგონად; და რადგანაც მედიატორის, მომრიგებლის როლი სრულიად ფუჭი, უსაგნური აღმომაჩნდება კენტავრასტიკის ინჟინერიით, მსაჯულის მეწამულ ტოგას მოვისხამ, მიუმხრობლობის გადასახედამდე ავმაღლდები, იქიდან შევაფასებ ყოველივე მრუდსა თუ სწორს, დემოკრატიულსა თუ ანტიხალხურს; ერთხელაც განზე გადავდებ პირადულ სიმპათია-ანტიპათიებს და უშეღავათო პროცესს ვმართავ წამებული მამულის სასიკეთოდ; მაგრამ უმჯობესია, ჯერ ,,რესპუბლიკაში'' გამოქვეყნებულ წერილს გავეცნოთ, რომელმაც ავტომატების ჯერისთვის გამწირა, და მერმე სათქმელიც თავისით წარედინება:

წინ, სინთეზისკენ!
ანუ ნეიტრალიტეტის პოზიციიდან

ვფიქრობ, სათაურშივე მინიშნებულია, რომ არცერთი პოლიტიკური პლატფორმიდან ვაპირებ გულის ამობერტყვას, რამეთუ კალმოსანს, დიახაც, ეს მიუკერძოებლობა განარჩევს მავანთაგან; რამეთუ თავად შემოქმედებითი პროცესის ხასიათი ვერაფრით ეგუება ე.წ. ,,პროლეტარი- ატის ბელადისეულ'' კონცეფციას ლიტერატურის პარტიულობა-ტენდენციურობაზე, (ამის კლასიკურ მაგალითად გამოდგება მაქსიმ გორკის — ამ დიდი გაქანების მწერლის ხელისუფლების სასარგებლო გადმობირება და თითქმის ტრაქტატების მოცოდვილება, თუ მაიაკოვსკის — პოეტი-ტრიბუნის ლოგიკური ესთეტიკური კრახი ფსევდო-აღიარებების პირობებში), რომ არა ფრიად ფეთქებადსაშიში სადღეისო პოლიტიკური ვითარება-გარემოებანი — სამოქალაქო ომის დილემა, ათას ყულფგამოვლილი მამულის საბედისწერო განსაცდელი.

დასამალი არაფერია, მეკითხებოდნენ და მეკითხებიან კვლავაც, თუ რომელ პარტიას ვეკუთვნი, ან რომელი ხალათით ვაპირებ მომავალში სიარულს. ვიმეორებ, რომ ჩემი მოკრძალებული შემოქმედებითი პალიტრა თავისუფალია ნებისმიერი პოლიტიკური ხუნდისგან თუ ჩარჩოსგან, ვინაიდან

მიმაჩნია: მწერალი გაცილებით მაღალი მცნებაა, ვინემ ყოველდღიურობის ცოფი და ხვანცალი. მისთვის თანაბრადმნიშვნელოვანია ქრისტეს ძვლის მკვნეტელი თუ ქვეყნის აღმაშენებელი, თანაბრად- მნიშვნელოვანია, ოღონდ, როგორც ასასახი ობიექტი, ვინაიდან ტენდენციური დასურათხატება პერსონაჟისა ფორმულით: **„მოვიდა მგელი იგი ვარსქენ“**, უკვე გამჟღავნებული პოზიციაა, ანგარებიანი დამოკიდებულება და ამდენად — ჩანასახშივე დამარცხებული, ბაბუაწვერას უსუსურობით შეძრული ჟამთასვლის წინაშე.

საყვედურობდნენ კიდეც **„რუსეთის რევოლუციის სარკეს“** — ტოლსტოის თავის მიუმხრობლობას ამა თუ იმ მოვლენისადმი, მაგრამ ბუმბერაზ ხელოვანს ტოლფასად უყვარდა ბატონი და ყმა, ომი და მშვიდობა, ოქროღილა და არყის ხე, როგორც სამშენებლო მასალა და ის ყველასთვის მისაბაძია ამ მხრივ. თუმცა არის ხანდახან წამი, წუთი, დრო, როცა მწერალს მოქალაქეობრიობა გმართებს — პუბლიცისტის ბასრი კალმის მომარჯვება; როცა თუთაშხიასეული **„არავის საქმეში ჩავერევი მე“**, აშკარა გულდედლობაა, ერის ღალატი.

სტუდენტებს თითქმის გმირობად მიგვაჩნია დისიდენტურ ჟურნალ „ოქროს საწმისში“ ჩაჭვრეტა, ხოლო თუ მოიხელთებ, მთლად წმინდა გიორგის თეთრონზე ამხედრებულს ემსგავსები თანაკურსელების თვალში, მაგრამ უნივერსიტეტის ლიტერატურული გაერთიანება „პირველი სხივის“ ხელმძღვანელობა რატომღაც გულმოდგინე დუმილს ამჯობინებს მასზე;

წვიმასა და ქოლგაზე მსჯელობას საათებს ვუთმობთ, ბუდეშურ თვალებსა და ომბალო-პიტნის სურნელზე ლაქლაქით ვათენებთ, ბუკოლიკურ და რუტინულ განწყობილებებს ვერგაქცეულნი ლიტერატურულ ფორმა-ხერხებზე დისპუტებს ვსჯერდებით, ხოლო აშკარა ეროვნული სულისკვეთების პერიოდიკას კეთროვანსავით გავურბივართ.

ვანახებ როსმე ერთს, ახლა ფრიად მორჭმულ პროფესორ-ნოველისტ-პარლამენტარს დასახელებულ თვითგამოცემა. შეათვალიერ-შემოათვალიე- რებს, აწონ-აზომავს, სარჩევს დახედავს და მენტორული გაღიმილებით დამიბრუნებს უკან.

მოკლედ, კულისებსა თუ კულუარებში ხმაპარვით, თითისწვერებზე, თვალის ცეცებითა და გადაჩურჩულებით აღიქმება იგი წლობით და ცხადია, უშუალოდ ჟურნალის სათავესთან მისვლა გამიჭირდება. ან რანაირად მომიხერხდება ყოველივე მონურ გარემოში აღზრდილს?! დასტურ, მე დიდი კონსტანტინეს მემკვიდრეობა როდი დამებედება?! მე ხომ რიგითი პროვიზორის ძე ვარ, ვისაც ტყვიით ნატუსალის ნაცვლად კატაბალახას სურნელში უტრიალია; ვის ოჯახში „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ტომეულები თვლემენ წიგნის კარადაში, რომლის გვერდებზე ბევრგან იპოვით ტუშის საგულდაგულო ნაკვალევს, განსაკუთრებით „ბან“-ისა და „სან“-ის სივრცეებში, იმდენად ოსტატურს, რომ ლუპითაც ძნელდება იქიდან ბერია-სტალინის ამოკითხვა. ესეც არაფერი, მე იმდაგვარი წიაღიდან მოვდივარ, სადაც მოჭარბებული სიფრთხილით უმზერენ პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებას. არაერთგზის მსმენია სასაკლაო ომებში ნათრევი პაპაჩემი ბიქტორისგან:

— ბაბაგე, გური, არასდროს შეხვიდე პარტიაში, თორემ ამით არსებითად შეიბორკავ თავსო. — პარტიაში კომუნისტურს გულისხმობს ის მრავლისმომსწრე გუთნისდედა-ფერშალ-ნადიაკვნარი და მეც პირნათლად შევუსრულებ დანაპირებს. ის კი არა, უფრო შორს გავუტევ მგონია და ამ პარტომანიის ხანაში მეყოფა ლამის ანდერძად ბოძებული თავდაჭერილობა — არავის ბაქანთან შევჩერდე, არავის ნავსაყუდელთან ჩავუშვა ღუზა; არავის ფიალიდან ვსვა წყალი მწყურვალმა, თუმცა ღალიძგის დღეებში, სასტუმრო „ოდიშის“ მკვიდრს, სახელდახელო სუფრასთან მრავალი პარტიის ლიდერი შემომთავაზებს სათანადო პოლიტიკური თავშესაფარს. თუმცაღა ეს როდი ნიშნავს, რომ, როგორც მასა, როგორც საზარბაზნე ხორცი, ვაკლივარ მე საქართველოს ჭირვარამს. დაწყებული სამოცდათვრამეტი წლის აზვირთებიდან, ძნელია ღონისძიებისა და აქციის დასახელება, რომლის რიგითი მონაწილე არ ვიყო. მოკლედ, გულწრფელობაში თუ ჩამომერთმევა, ქართული ეროვნული მოძრაობის სამოცდაათ-ოთხმოციანი წლების მემტიანედ რამდენადმე გამოვდგები.

ახლაც მშვენივრად მახსოვს გახმაურებული ის პროცესი, კაფანდარა პროკურორი იოსავა, ორასკაციანი დახურული დარბაზი. მე ჩემი ყბადაღებული განმანათლებელი ორგანიზაციის — „ცოდნის“ ხელმძღვანლის (ბატონი დამიანე გოგოხია, გ. ო.) სპეცსაშვით მოვხვდები იმ სასამართლოზე ბოლო ორ დღეს, ამბის მომტანად.

ვერაფრით დავივიწყებ აწგანსვენებულ მერაბ კოსტავას შემართულობას თუ ბატონ ზვიად გამსახურდიას წამიერ თრთოლვას. განსჯიან ორ თანამემამულეს, სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგის“ და მისთანათა გადმოქართულებისთვის; განაქიქებენ ოფიციოზთან კრიჭაში დგომის

გამო, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მეურვეობისთვის, ადამიანთა უფლებების დაცვისათვის. ლამის ამერიკის ჯაშუშობა ბრალდებათ, რამეთუ აქაურ დარიწკინებულ ამბებს უკუღმართად აწვდიან თურმე დასავლეთის ინფორმაციულ სამსახურებს; ასამართლებენ, მაგრამ მოსარჩლე არავინ ჰყავთ, თვით დამცველიც კი შამფურისა და მწვადის ანდაზის კვალობაზე ადვოკატობს.

ჩემი კოლეგა ჟურნალისტებიც მეცნაურებიან იქ, თუმცა მერე და მერე იმ პროცესზე სულ ცალსახა, სულ ერთმნიშვნელოვანი სტატიები გაშანშალდება. შედარებით „ნამუსიანები" ერთიანად მოვმუწავთ პირს. რაც შეეხება მართლისმთქმელს — შეკაზმული ცხენი რა ბედენაა უმხედროდ?!

შფოთავს კალამლიქნიათა დინასტია.

მარჯვნიდან და მარცხნიდან მოედინება ცილისმწამებლური წერილების წყება და ბუნებრივია, ეს ორი ადამიანი ხალხის ძალადმოწამლულ ფსიქიკაში ავანტურისტად აღიბეჭდება: ვითომდა, ესენი შებღალავენ ყოველივე წმიდათა წმიდას, შეარცხვენენ სასიქადულო წინაპართა საფლავებს, ცოცხლებს, წარსულს, აწმყოს და მომავალს, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ახლაღა ვაანალიზებ სხვანაირი აზროვნებისთვის შერაცხულთა განცდებს. განაჩენის გამოტანის შემდეგ, თემიდის გამრუდებული სასწორის შეჩერების, მოსამართლის ხალათის კალთების დაბერტყვისა და პილატესმიერი ხელების გადაბანვის მერმე, ქუჩაში გამოსულს ჰაერი არ მყოფნის.

სამად სამი მოქალაქე დავლანდავ უმაღლესი სასამართლოს ალაყაფის კარებთან. მხოლოდ ერთს ვიცნობ, პოეტ რამინ თბილელს, როგორც იმ დროს იბეჭდება რამინ ამონაშვილი.

— გამოუტანეს განაჩენი?

— რამდენი მიუსაჯეს?

— თავი როგორ ეჭირათ? — აინტერესებს მას და იმ ორს, ჩემთვის უცნობს.

მეც ვპასუხობ. რამდენადაც შემიძლია ვამუქებ სასამართლო პროცესის ნიუანსებს ბრალდებულთა სასარგებლოდ, რადგანაც მათი სახით ბაირონსა და პეტეფს მოითხოვს ჩემი სული. ბატონი ზვიადის იმჟამინდელი აგულჩვილება კი კერპის ნატურას მიცამტვერებს.

ამას აქეთ, ამდენი წლის მერმე, ამ ძმათა სისხლისღვრის ზღურბლამდე მისული, ვხვდები ყოველივეს, თუ რა ათრთოლებს მის მეობას — ეს სულიერი ძვრები თითქმის იგივეა, რაც ვატერლოოს გმირის მელანქოლია, რადგანაც მამულისთვის თავდადებულის ბედისწერასთან კამათი ორასკაციან ოპონენტურ დარბაზს და სამად სამ გულშემატკივარსღა ჰპოვებს მამულისგანვე რამინ ამონაშვილის მეთაურობით.

ექსპერიმენტების ლაბორატორიად გადაქცეულ საქართველოს კი არ აცლიან თვითშეგნებისკენ სწრაფვას. პირში ქვას ჩრიან. აქა-იქ ალეგორიულ ნაწარმოებს თუ გავაპარებთ ცენზურას, ესეც დიდ ვაჟკაცობად გვერთმევა და ვწერთ ჩვენც სტრიქონებს, როგორიცაა:

„სხვა ქვეყანას არ გაფრინდე, ჩემი ქვეყნის მაფშალია", სადაც მაფშალია-მესვია — იგივე ბულბულ-იადონი, მშობლიური ენის სიმბოლოა;

ვთხზავთ მოთხრობებს „უცხო ქალაქში"-ს მაგვარს, სადაც ქაფა ჯაო, იგივე პროლეტარიატის აწშერისხული ბელადია — საშვილიშვილოდ გაკოტრებული პოლიტიკურ-ზნეობრივად;

ვიღებთ „გიორგობის თვეს", სადაც ჟელატინით წახდენილი ღვინისგან ენამოკიდებული რუსი ექსკურსანტები „სულიკოს" ერთ ხმაზე მღერიან;

ვამუსიკებთ „რწყილსა და ჭიანჭველას", რომელიც აღვირახსნილ მექრთამეობის ციტადელად ქცეულ მამულს, მეგობრის დასახსნელად მოხტუნავე-მოკუნტრუშე მწერის დოზით კბენს;

ვასცენიურებთ „კავკასიურ ცარცის წრეს", სადაც მართალმოსიტყვე აზდაკის გზა სახრჩობელისკენ მარადიული სვლაა;

ვაქანდაკებთ „კიდევაც დაიზრდებიანს" — დედასაქართველოს უღონო ხელებისკენ რომ მიაქვს დაცურებული ორლესული ალგეთელი ბოკვერების მეოხებით, მაგრამ ეს ყოველივე ხომ ენაბრგვილის ნახევრად თქმულს ჰგავს უმთავრესად?! უსირცხვილოდ იარება შიშველი მეფე — ქართული სინამდვილე, თუმცა ამისი განმცხადებელი არც ბავშვი ჩანს სადმე და მით უფრო — ბრძენთაბრძენი მხცოვანი.

რესპუბლიკა გეგმებს ასრულებს ციხეებში წარგზავნილი პოლიტპატიმრებითა და ქურდბაცაცა-კომბინატორებით;

ცხენის ვერმომრევნი უნაგირს ვამტვრევთ დუჟმორეულები;

ფესვებში დასნებოვნებულ სოციალიზმის საბჭოთა იმპერიალიზმის ხე — ანჩარს ტოტების თერაპიით ვკურნავთ;

კომპლექსომანია აგვიტანს ხელისუფლების ეშელონის მემანქანეებს თუ უბადრუკ მგზავრებს;

აბაშაში მოხდენილი „სასწაულებით“ ფრთაშესხმულები კავკასიონის მთაგრეხილს მივადგებით გასაბურღავად — ლამის მეორე კატას გამოვთხრით წრუწუნას გულმოდგინებით, ლამის მეორე არტერია-მაგისტრალს გადავხსნით საქართველოს გულიდან საკუთარი მეობის, საკუთარი ნაოფლარის ნებაყოფლობით განსაძარცვად;

„ლაზარეს“ სულისჩამდგმელი გეგა კობახიძეს და მის თანამესაგრეებს სრულიად უდანაშაულო მღვდელი ჩიხლაძითურთ საგილიოტინედ გავწირავთ; ზოლებიან ხალათს ვუბოძებთ ასობით შამანაურს.

ვის სინდისზე, ვის ნამუსზე ეს ყოველივე?!

ასე ვათრევთ წუთისოფელს ლამის ათ წელიწადს.

მერედა, მოვა გასაოცარი აბობოქრების ჟამი. პერესტროიკისა და გლასტნოსტის მამამთავრის სადავეების მოშვება თუ კომუნისტური იდეოლოგიის კრახი სარდაფებიდან ქუჩაში გამოგვამზეურებს.

ცხრა აპრილი.

ძლივსგასაგონი ჩურჩული მიკროფონთან ყოვლადწმინდა ილია II-სა და ბატონ ზვიადს შორის:

— მართლაც გვესვრიან?!

და პასუხად:

— შეიძლება გვესროლონ!

შემდეგ სამარისებურ სიჩუმეში, ჯავშანტრანსპორტიორების ნელ სვლაში წერეთლის ომახიანი ხმა:

— რას გაჩუმებულხართ, ხალხნო! მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა? — და გაოგნებული საზოგადოების ერთი ბაგით ამეტყველება, ერთ მუშტად შეკვრა; მერე ცეკვა-თამაში, ბრმათა ტრიოს **„დაუკარით, ჯერ ხომ სისხლი გვიდუღს ძარღვში“** და შმაგი დოლიძის ჯოხით მიხტომა რკინის ურჩხულზე.

ქარის წისქვილებთან მებრძოლი სულისკვეთვება.

ორლესული ნიჩბები!

ჩვენი დებისა და დედების ვერდალეწილი ნება.

ჭყლეტა და გვარგვასი, „სი-ე-სი“ და „ჩერიომუხა“.

თამრიკო ჭოველიძის უკვდავებაში შეცურებული ოცეული.

ამაო დავა განგებასთან.

გიორგი ხაინდრავას მამხილებელი ფირი.

ლანა ღოღობერიძისა და ელდარ შენგელაიას პრესკონფერენციები.

იური როსტის წარუშლელი ფოტორეპორტაჟები.

პროფესორი ადვაძე მაღალ კათედრასთან კედელზე ცერცვის შესაყრელად.

თანაბარი ტაში აკადემიკოს გამყრელიძეს და ჯალათ როდიონოვს.

სატაბელო იარაღასხმული მოსახლეობა, მილიცია მუნდირისა და სიფითრის ამარა.

დოსააფის მანქანების გრუხუნი.

მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის სპეტაკ ნეშტებთან თავმოყრილი სრულიად საქართველო.

მთაწმინდის კურთხეული მიწა ეროვნულ გმირს; საგვარეულო ძვალთშესალაგი ილიას შთამომავალს და სანაცვლოდ ძირს დაცურება, დემონტაჟი ზოგი საუკუნო გვამისა.

იპოდრომის აქციები.

ხელშიატაცებული ზვიადი.

პირველი ეროვნული ფორუმი.

პირველი განხეთქილება.

ქუჩა-სკვერების ხელახალი ნათლობა.

პირველი მრავალპარტიული არჩევნები.

პირველი უსისხლო რევოლუცია — კომუნისტების პირველი კრახი.

პირველი ეროვნული პარლამენტი.

საბჭოური კონსტიტუციის კოსმეტიკა — 1918 წლის 26 მაისის თავისუფალი საქართველოს საქვეყნოდ აღიარებული დოკუმენტის მაგივრად თეთრად შეღებილი წითელი უღელი.

ჯვაროსნული ლაშქრობა ყოველგვარი სოციალისტურის წინააღმდეგ.

პირველი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

პირველი დანიშნული პრეზიდენტი. პირველი ზედმეტი ხელმოწერანი ეროვნულ დოკუმენტზე.

პირველი ნება ხალხისა — საქართველოის პირველი პრეზიდენტი ამომრჩეველთა თითქმის ოთხ-მოცდაშვიდი პროცენტი ხმის უმრავლესობით.

უფრო წინ — ვოვა ვეკუას უმანკო სისხლი და მოგვიანებით ცხინვალის შესასვლელის პიკეტი-რებით გულმოცემული ოსი ექსტრემისტების ჩვეული განდგომა.

იარაღჩაბღუჯული მაიორ ქირიას ნეშტი ლიახვის პირას თუ ცეცხლში დაფერფლილი რაინდე-ბი...

„მხედრიონის" გაგვარდიელება.

აქამდე კერიასთან მოფუსფუსე დებისა და დედების ჟანა დ, არკისეული ამბოხი და მათი მდედ-რიონად სახელდება...

პირტიტველი თუ პოგონოფორა8 ყმაწვილების განუკითხავი გამინისტრება.

ძეგლთცვენანი მოედნებიდან.

კადრების დენადობა ზევიდან ქვევით, მინისტრების წარამარაული გადაყენება თუ ნებსითი გადადგომები.

რუსული პუტჩი.

გვარდიის დროებითი ფერისცვალება მოსალოდნელი მსხვერპლის ასარიდებლად.

ქართველი ქართველის პირისპირ იარაღით ხელში მეათასედ.

დაახლოებით ასეთია, არაქრონოლოგიური, მეტნაკლები მშრალი ინფორმაციული სტილით დანახული საქართველოს პოლიტიკური ვითარება.

ბარიკადების ერთი მხრიდან: „ზვი-ა-დი"...

მეორე მხრიდან — „ჩა-უ-შეს-კუ"...

ბოლოს შეწყობილი: „სა-ქარ-თვე-ლო"!

დიახ! წინააღმდეგობრივია დღევანდელი სულისკვეთება.

მადლობა უფალს, პრეზიდენტს ჩვენსას, არ უღალატებს მაშინ ფარსმან სპარსის წინდახედულე-ბა, რუსთველის შეგონებას ენდობა: **საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგა-ნო**, მიჰყვა გენიოსის მცნებას და წამით ჩაქინდრავს, რაინდი ჯაბანად მოგვაჩვენებს თავს — „**მონანიების გრძელი სიტყვით**" გადაურჩება ფიზიკურ განადგურებას, შემოინახავს, შეინარ-ჩუნებს სიცოცხლეს ერის საკეთილდღეოდ, უფრო ბობოქარი ბორჯალის საწინდრად.

ქართველი ხალხის გუშინწინდელი, გუშინდელი თუ სადღეისო მღელვარებანი უწყის უმეტე-სობამ, რომ ოდენ ცხონებული მერაბ კოსტავასა და ბატონ ზვიად გამსახურდიას სულის განვრცო-ბაა, ამ ორი ეროვნული გმირის გაათასკეცება და მომიტევონ ქრისტეს ასაკში გაპროფესორებულ-გადისიდენტებულთა.

აქამდეც ბევრი მიფიქრია ქართულ ფენომენზე, მის ინდივიდუალობაზე, ყველა ჯარისკაცში რომ გენერლის პრეტენზიაა.

„უჩვენოდ ვით იმღერეთაოს" კომპლექსი გვაქცევდა სულ მუდამ.

საერთოდ, ცნობილია, რომ დოღში მხოლოდ წმინდა სისხლის ცხენები დაიშვებიან. იქ მხოლოდ ახლო გენების შერწყმით გამოყვანილი ჯიშის ქურანები ჯირითობენ, ჰიბრიდულს კი სათოფეზე-დაც არ გაიკარებენ. ევროპაში ბიძაშვილ-მამიდაშვილების შეუღლება ჩვეულებრივი მოვლენაა. კუზინების დაწყვილებას მარკუს ავრელიუსისა და იულიუს კეისრის ეპოქებიდან მოყოლებული გააჩნია მერკანტილური საფუძველი — ქონების შენარჩუნების ავადმყოფური ფსიქოლოგია, უზ-რუნველი ცხოვრების გარანტიები გენეტიკური დეგრადაციის ხარჯზე. ეს ტენდენცია არც ატომის საუკუნეში განელდება. ინბრიდინგი კაპიტალის გაბევრების ერთ-ერთი წყაროა დღესაც. ქართვე-ლი კი ოდითგანვე ცოდვად მიიჩნევს სისხლის აღრევას, ახლო ნათესაურ ქორწინებებს ტაბუს ადებს, შერეულ ჯვრისწერას აკანონებს და უნებლიეთ თავიდან იცილებს ინბრედულ დეპრესიებს. აქედან გამომდინარე, თუ ყოველი ქართველი არა, უმეტესი მაინც ჰიბრიდულია, პროგრესული, ცხოველმყოფელი თავისი ნატურით. ალბათ, ესეც არის მისი თხემით ტერფამდე პირველობის მოსურნეობის მიზეზი, მაგრამ ერთ ქარქაშში ჩაეგება ორი მახვილი განა?!

ნაწილობრივ აი, სწორედ ეს დილემაც დაგვაყენებს ბარიკადების გარდიგარდმო. და კიდევ — ყოველ აღზევებულს, თუკი ასეთი გამოგვერევა ხოლმე, მეფე გიორგის თქმულისამებრ, დავკორ-ტნით.

სადღაც ავტობუსში ყურმოკრული ანეკდოტი მახსენდება:

ერთხელ ზეციურ იდილიაში მორჭმულ ცაბაოთს მოსწყინდება მარადიულ ზეფირებში სუფევა და გადაწყვეტს მის მიერვე დაგუზგუზებული ჯოჯოხეთის მონახულებას. ლუციფერ-მეფისტოფელის სული წარუძღვება უფალს და ერთ ალაგას მიიყვანს, სადაც ცეცხლზე შედგმული, ფისით სავსე სამი

უშველებელი ქვაბი თუხთუხებს. პირველს მთელი ეშმაკობა დარაჯობს. მეორეს თვით იმ ქვაბში დახრუკულნი შთაუგზნებენ ცეცხლს და ისევ მდუღარეში ტუცავენ თავს. მესამესთან კი ჩამიჩუმიც არ ისმის.

გაიოცებს მამაღმერთი დანახულს და მოახსენებენ:

— პირველში სომხები არიან. საკმარისია ერთიც ამოძვრეს ქვაბიდან, რომ ყველას დაიხსნის. ამიტომაც მთელი საჯოჯოხეთო ძალები მათთანაა მობილიზებულიო.

— მეორეში რუსობაა, თვითმმართველობაზე არიან გადასულნიო.

— მესამეში კი ქართველები გახლავან, მაგათ მცველი რაში სჭირდებათ, ვინმე თუ მოიწადინებს ამოსვლას, მაშინვე კოჭებში ებრდღვნება ათასი და უკან ჩამოათრევენო.

გვენიშნება?!

რუბიკონის გადალახვით მოიპოვებს იულიუსი კეისრობას და აღმოხდება კიდეც მეგობრის მიმართ: **„შენცა, ბრუტუს?!“** მაგრამ ეს რუბიკონი ჩვენს პრეზიდენტს თვითნებურად ხომ არ გადაუტოპავს. იგი ყოველივეს ჩვენ მოგვანდობს განსასჯელად, ასაწონ-დასაწონად: რომელს ვამჯობინებთ, ძლიერი ხელისუფლების ინსტიტუტს თუ მრავალთა მმართველობის აპარატს. ჩვენ წილს ვუყრით და ჩვენს ბედ-იღბალს მივანდობთ მმართველობის დღევანდელ ფორმას, რადგანაც გვწამს — ეროვნული ინტერესებისათვის მოვლენილ არაფრით მოემოქმედებს რაიმე ქვეყნის დამაქცევარს.

ახლა ყველა გასაჭირს — ეკონომიკურს, პოლიტიკურს, სოციალურს, ვაბრალებთ ერთი კაცის დიქტატს, როცა თვით ხესაც კი თუ შესძახებ გამუდმებით „გახმი, გახმიო“, გოგლასეული ოლესი არ იყოს, შესაძლოა მართლაც ჩამობერწდეს, ჩამოხრიოკდეს.

ცულით დაკოდილის ანდაზის შეხსენება არავის გვჭირდება, მაგრამ სამეტყველო არსენალიდან „დიქტატორი“ და „მოღალატე“ რომ გასაძევებელია — ეჭვსგარეშეა.

კიდევ ერთი ადგილი მახსენდება სახარებიდან, როცა ფარისეველნი და მწიგნობარნი ვინმე მეძავით წარსდგებიან ქრისტეს წინაშე.

მოსეს სჯული ჩაქოლვას ითვალისწინებს ასეთი დედაკაცისას და ჩაეკითხებიან უფალსაც, ერთხელ, მეორედ, მესამედ. ბოლოს, როცა ჩაუჟინდებიან ბაგედადუმებულს, ბრძანებს მოძღვარი:

— ვინც თქვენს შორის უცოდველია, იმან ესროლოს ქვა პირველმაო. მიხდება ხანი და რომ მიმოიხედავს უფალი, მობუზული სიძვის დედაკაცღა შთენილა მის წინარე და იტყვის ზეციერი:

— არავინ განგიკითხა?

ქალი უპასუხებს:

— არავინ, უფალო.

— მაშინ, არცა მე განგიკითხავ შენო, — დაასრულებს იესო და ამით ფაქტობრივად გაამჟღავნებს საკუთარი მეობას, რომ მას, ღმერთს, უზენაესს, არსთა გამრიგესაც კი არა გააჩნია ამ დედაკაცისთვის ქვის დაკარების მორალური უფლება, ვინაიდან აღარც ისაა უცოდველი.

მაშ, როგორ შეიძლება მოკვდავს — ამ შემთხვევაში ვინმე ზვიად გამსახურდიას — არ მივუტევოთ მიწიერი, ადამიანური შეცოდებანი, რომლისგანაც დაზღვეული არავინაა, მით უფრო თუ ეს ყოველივე განგებ არ ჩადენილა, უნებლიეა, გამოცდილების უკმარისობის ბრალია. რომელი პარლამენტული ტრადიციების ქვეყანა ჩვენ ვართ, რომ არსად წავბორძიკდეთ, არსად გადავამეტოთ უფლებებს ჩვენსას, არსად წაგვცდეს ზედმეტი სიტყვა. განა ბატონ ზვიადს პრეზიდენტობა დედის მუცლით გამოჰყოლია? განა ისიც ჩვენთან ერთად არ სწავლობს დიპლომატიის ანბანს? განა ისიც ჩვენთან ერთად არ მკვიდრდება საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე?

იყო თუ არა დიპლომატიურად გამართლებული ბუშის მისამართით თითის ქნევაო, ვკითხულობთ ჩვენ, რომელ ბუშისგანაც ხმიადებს ველოდებით სამერმისოდ, და აქვე რაღაც წინდაუხედავ, უტაქტობისმაგვარ ქმედებად ილანდება პრეზიდენტის საქციელი, თუმცა ისიც ხომ ნათელია, რომ ბატონ ზვიადის უკომპრომისობით ფარდა აეხადება ოკეანისიქითა პოლიტიკას — პატარა ერების თავისუფლებისკენ მისწრაფების იგნორირებას, თუკი ყოველივე მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს მიღმაა.

აქ დემოკრატიის უქონლობის ბრალდება წმინდა სისხლის დემაგოგიაა, სხვა არაფერი.

ბუშს კუვეიტის ნავთობი რომ არა, შესაძლოა, თითიც არ გაეტოკებინა ჰუსეინის სისხლიანი კლანჭების დასაძრობად. ამერიკის საგარეო პოლიტიკა ყოველთვის გამიზნული ხასიათისაა: იგი წიაღისეული ნედლეულის პირველი იმპორტიორია და მისით წარმოებული პროდუქცია-საქონლის უმთავრესი ექსპორტიორი. საქართველო რომ ურანის საბადოების მქონე ერთადერთი ქვეყანა რომ იბოს, იგი დღეს არათუ აღიარებული, მერწმუნეთ, ზომაზე მეტად დაფასებულ-ნალოლიავები გვეყოლება.

ისევ ნოემბრის აქციებს ვუბრუნდები.

სახალხო ფრონტი.

მოსახლეობის მღელვარება ზენიტს აღწევს.

მთავრობის სრასახლის კიბეებზე შიმშილობა პიკზეა მისული.

დერეფნები, დერეფნები და ირაკლი მენაღარიშვილის ექსპრეს-ინტერვიუები.

სასწრაფოები, თეთრხალათიანები.

კინოს სახლში ნაღები ქართველობის თავყრილობაა.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიან ბატონები გიორგი (ლალი) ჯავახიშვილი, ნოდარ ნათაძე, აწგანსვენებული რევაზ თაბუკაშვილი.

გარემო ისტერიკული დაძაბულობით დამუხტულა. ყველაფერი იქითკენაა მიმართული, რათა მთავრობის ულტიმატუმი დროულად შესრულდეს, აქცია შეწყდეს და მოსალოდნელი სისხლიღვრა საშოშივე აღიკვეთოს, მაგრამ ვერაფერი ჭრის მომიტინგეებთან, ვერც — სიბრძნე, ველარც — შორსმჭვრეტელობა.

ქუჩაში, მტვერში, სიცივეში სხედან ქართველი ასულები და ჭაბუკები.

ჩემს ,,დასაშოშმინებლად'' მიყრუებული ოტობაიიდან ჩამოსულ გელენახეს პლაკატი გაუშლია მოშიმშილე ათასეულის წინაშე და მიკროფონისკენ გზის გაკვლევას ამაოდ ცდილობს.

უშედეგოა დელეგაციების მიმოსვლა კინოსა და მთავრობის სასახლეებს შორის.

არის უნუგეშო წინასწარმეტყველებანი, ვარაუდები, მარჩიელობა, ხალხი კი არ იძვრის. ხალხი მზადაა თვითგანწირვისთვის და ბატონი ზვიადის მხოლოდ სამად სამი სიტყვა :

— გამარჯვება ჩვენია! შინისკენ! — საკმარისია მოშიმშილე-მომიტინგეთა დასაშლელად.

მოდით, მეგობრებო, ნუ წავართმევთ ათასებს ამ რწმენას, ნურც თავად პრეზიდენტი და ნუღარც — მისი ოპოზიცია.

რკინა მაშინ იჭედება, როცა ცხელია. მართალია, საგანგაშოა სადღეისო დაპირისპირებულება, მაგრამ ჭეშმარიტება ხომ მხოლოდ კამათში, აზრთა შეხლა-შემოხლაში იბადება. არ არსებობს აბსოლუტურად მართალი და აბსოლუტურად მტყუანი მხარე. სიცოცხლე და სიკვდილი ისეთივე განუყრელი და-ძმაა, როგორც — დღე და ღამე, მატერია და იდეა.

ჩვენ ვასამართლებთ ხალხს, უწინარესად რაიონებიდან ჩამოსულებს — ვითომ თბილისურ პრობლემებში ჩარევისათვის, და ვივიწყებთ ანბანურ ჭეშმარიტებას: თვალში როგორ გამოიხედოს, თავაწეულმა რანაირად იაროს ქართველმა, თუ სამი თვის წინათ არჩეულ თავის პრეზიდენტს ზურგს შეაქცევს?! განა ამაზე დიდი დანაშაული იქნება ქვეყანაზე?! აქვე საკითხავია, იყო თუ არა საჭიროება ქუდზე კაცის მოსახმობად?! როგორც ჩანს, იყო, ვინაიდან ბოლო დღეების აქციები და ზარბაზნის ბათქიც ამის დასტურია.

საქართველოს აღიარება პრეზიდენტიან სამშობლოში იქნება ეს თუ პერლამენტიანში, გარდაუვალია, რადგანაც ყოველივე ისტორიული აუცილებლობითაა ნაკარნახევი, ხოლო რაც შეეხება თავისუფლება-დემოკრატიას შორის პირველადობას, ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას-მეთქი, ვიტყვი; ჯერ ღრუბელია, მერე — წვიმა; ჯერ ორსულობაა, შემდეგ — ნინოობა-ძეობა; ჯერ ავადმყოფობაა, მოგვიანებით — წამალი.

მონურ პირობებში მცხოვრები, ქედმოხრილი ადამიანის სულიერი მდგომარეობის ადეკვატურია, ხოლო თავისუფალისა — ლაღი, თავისთავადი. აქედან გამომდინარე, დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება იმას, რომ თავისუფლების მოპოვების აქტი განაპირობებს თუნდაც ერთი ნაბიჯით უსწრებს, ამა თუ იმ ქვეყნის სამერმისო სტრუქტურებს. დემოკრატია, დიახაც, ჰაერივით სჭირდება ჩვენს საზოგადოებას.

აზრის თავისუფლება გვიხსნის ჩვენ, აზრის თავისუფლება და არა — აზრის განუკითხაობა. სწორედ აზრის ლიბერალიზაცია ააღორძინებს ელადას ოლიმპომდე, აზრის თავისუფლება და განსხვავებული შეხედულების დაფასება. აბა, რა ფასი ექნება ქეთელაურის საფიხვნოს თავში ჯდომას, თუ იგი მუცალის ცხედარს შეურაცხყოფს? ან ალხასტაიძის მეობა გაიმარჯვებს ზვიადაურის ხელისკვრით? ისიც კარგად გავიხსენოთ პირტიტველი მოყმის მშობელი როგორ იარება შვილმოკლული ვეფხის დედის მისასამძიმრებლად.

დღევანდელ საქართველოში მეტი საჭიროებაა სხვათა აზრების მოსასმენად, სხვათა შეხედულებების დასანახად, სხვათა პიროვნებების პატივსაცემად.

ევას მაცდუნებელი მაშინ იკბინება, როცა ფეხს დააბიჯებენ, მაგრამ არსებობს ეტიკეტი, არსებობს მორალი, კანონი, რომელიც ზღვარს დაუდებს კამათსა და ბილწსიტყვაობას;

ტკბილად მოუბარი ენის ფენომენზეც გვსმენია. ვერც პრეზიდენტის მმართველობა გვიშველის

და ვეღარც პარლამენტური — მრავალში განაწილებული ერთი ძალაუფლება, თუ კი არ განხორციელდება ურთიერთშეთანხმება. ათასი კურიოზის მოხმობა შეიძლება სენატის ისტორიიდანაც და პრეზიდენტთა მოღვაწეობიდანაც, მაგრამ არსებითი კანტისეული მრავალერთიანობისკენ ლტოლვაა, დიახაც, ისეთი მმართველობისკენ, როგორც ქართულ პოლიფონიურ საგალობლებშია.

განუმეორებელ ჰამლეტ გონაშვილს უთქვამს:

— ჩვენი სამომავლო ასპარეზის პროგრამა ქართულ სიმღერებშია მოცემულიო, რადგანაც განსაკუთრებით აქ მჟღავნდება ერის ქვეცნობიერი მეობა: უკიდურესად ინდივიდუალური ერთეულების მთლიანში ჰარმონიული თავმოყრა, სადაც პირველიც პირველია, მეორეც პირველია, მესამეც, მეოთხეც... მეშვიდეც; სადაც ზოგადის სრულყოფას ემორჩილება ნაწილი; სადაც გადარჩენილია პიროვნულიცა და საქვეყნოცო.

ასევეა ორკესტრიც, მაგრამ იმ ჰარმონიას ხომ დირიჟორი წარმართავს უწინარესად?! და ჩემდა საკვირველად, ასეთი მაღალი, იშვიათი მუსიკალური სმენადობის ერს, უცნაურია, ესოდენ დაუჯერებელი დისჰარმონია რომ გვახასიათებს სცენის, სუფრის მიღმა — ყოველდღიურ ცხოვრებაში!

დაე, საამწუთისოფლო სარბიელზე მხოლოდ ვიოლინოებისა ნუ იქნება ეს კონცერტი, ნურც — ვოლტორნებისა და ფლეიტებისა! დაე, ნურც ორკესტრანტები აუმხედრდებიან თავიანთ დირიჟორს, აქაოდა, არ ვსაჭიროებთ თქვენეული ჯადოსნური ჯოხის ტრაექტორიებსო. ნურც ეს ჯოხი ჩააჩუმებს აუცილებელ საყვირებსა და დაფდაფებს — მრავალერთიანობა, მრავალერთიანობა და მხოლოდ მრავალერთიანობა! აი, ჩვენი ხსნისა და უძლეველობის ერთადერთი უტყუარი გარანტია.

პრეზიდენტს — პრეზიდენტობა, მართალ-მტყუვნის გარჩევა, საუკეთესო თვისებების ამოკრეფა თავისი ერის სულიერი საგანძურიდან; ყოველნაირი ქმედება თანხმობისკენ, შეკავშირებისკენ, ერთობისკენ;

პარლამენტს — პარლამენტარიზმი, კომპეტენტურობა და კომპეტენტურობა! ხელები არა მხოლოდ მანდატების ასაწევად, არა მხოლოდ მიკროფონის ჩასაგდებად, ან ცხვირწინ სატრიალებლად, არამედ — მართალი საქმეების კეთებისთვის!

კინემატოგრაფს თუ გუთნისდედას, პოეტს თუ ხარატს, კრიტიკოსს თუ ფეიქარს — გულმოდგინება, ფუტკრის ფუსფუსი და რუდუნი, საერთო ბეღელის ასავსებად სულიერი თუ ხორციელი ჭირნახულით!

ვიკმაროთ რაც გარდაგვხდენია! თვალი გავუსწოროთ საქართველოს ერთობას ზვარაკად შეწირული გია აბესაძის ჩირაღდანივით აგიზგიზებულ სულს. სხვა ალტერნატივა გამორიცხულია...

„ჩვენ ვინ მოგვცა გასაწირი, საქართველო საფიცარი!“

მოვიგონოთ ნაპოლეონს ზურგშექცეული გენერლები და მერე ისიც, ბონაპარტი როგორ აღუდგენს მუნდირის ღირსებას ამ უკანასკნელთ, ან რანაირად უერთგულებენ ისინიც ვატერლოოსას იმპერატორს თავისას.

ღმერთმა ნუ ქნას მოღალატე ქართველი! დიდგულანი, თავაწეულნი, ბუტიები, ჯუჯღუნები კი — თავზესაყრელად, მაგრამ რა გაეწყობა, მათ ხომ გენებით მოსდგამთ პირველობის სინდრომი?!

დაბოლოს, წერილს ვამთავრებ დეპეშის ტექსტით, რომლითაც თავის დროზე ჩვენს პრეზიდენტს თანადგომა გამოვუცხადებ — ვუსახსოვრებ ჩემს ნაცოდვილვარ რომან-ტრიადა „სიცოცხლე მისჯილის“ პირველი წიგნს და რომელსაც ოდნავი გადასხვაფერებით მოვუხმობ აქ:

ბატონო, ზვიად, ვუ ოგკუ-დ თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტი ბრძანდებით და ხვალ-ზეგ ვუ აფსეწ-დ თავისთავადი, ერიან-ბერიანად შეკავშირებული, ლიბოძლიერი და მართალმოსიტყვე, ყურისმიმგდებელი და სმენამოხვეჭილი მესია მაშული გვენახოს ამორჩეულსაც და ამომრჩეველსაც-მეთქი — და, **ამინ**, დავამატებდი კვლავაც.

წერილი აწყობილია დასაბეჭდად, როცა ერთგვარ შვებას იგრძნობს ჩემი აფორიაქებული სული: **პრეზიდენტის შემწყნარებლური ბრძანებულება, რომ რეპრესიებს არ მიმართავს, ბოლოს და ბოლოს შედეგს გამოიღებს-მეთქი, ვიფიქრებ; გვეშველა**-მეთქი, სიხარულისგან მიკანკალებს გული. **რახან ხმალი ქარქაშში ჩაგებულია, რახან საავდრო ღრუბლები გაფანტულა, ჩვენი ეროვნული ენერგია აწი მაინც მოხმარდება თავზესაყრელ ათას საქმეს**-მეთქი: **დასათმენს დაუთმენენ, მისატევებელს მიუტევებენ, მაღალი ჩამოიხრება, დაბალი აიწევა, ფართო ასპარეზი გადაეშლება თანამშრომლობას, თანადგომას, კონსენსუსს**-მეთქი, მაგრამ ყვავილების ნაცვლად ისევ ტყვიები ზუზუნებენ ჩვენს ფანჯრებთან; ისევ გაბმული საყვირით მიმოქრიან მანქანები ქუჩებში; ისევ ბობოქრობს ალტერნატიული აზრი, მოითხოვს არსებობისთვის დროს, სივრცეს, მოქალაქეობას, ჩვენ კი, გვინდა თუ არა, ინგლისურის ცოდ-

ნას ვიღრმავებთ „სუპერ არხის“ გადაცემებით. კვლავ ბნელდება ადამიანის ისედაც გაძაღლებული სიცოცხლე! როდემდის? როდემდის!

ალბათ, უმრავლესობას გვახსოვს ტარკოვსკის გენიალური „ანდრეი რუბლოვი“. ამ ფილმში ერთ-ერთ ბოლო ნაწილს „ზარები“ ჰქვია. რუსეთი როგორღაც გადაიგდო მონოლ-თათართა თითქმის სამსაუკუნოვან ბატონობას. ეკლესიებში აღსდგება ლოცვა-წირვანი, თუმცა მტრის მიერ დალეწილი ზარები კვლავაც დადუმებულან. საჭიროა განადგურებულის განახლება — ხელმეორედ ჩამოსხმა, მაგრამ ამისი ერთადერთი მესაიდუმლე ოსტატი გარდაცვლილია. და, აი, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ყმაწვილი მამის ხელობას დაიბრალებს და შეუდგებიან კიდეც საქმეს; ზოგს წითელი მიწა მოაქვს ახოებიდან, ზოგს — ნახშირი. სხვები ხარაჩოებს აღმართავენ. არის განსაცვიფრებელი შეთანხმებული დინამიკა და ამ საყოველთაო ზეიმში, საყოველთაო აღმაფრენაში, გულამოსკვნით ქვითინებს ეკლესიის ყურეს მიყუდებული ის ყმაწვილი. მივა ვინმე მოხუცთაგანი, ჰკითხავს მწუხარების მიზეზს და ბიჭიც გაენდობა:

— ვიცრუე მაშინ. მე ზარის ჩამოსხმა არ ვიცოდი, ეს თქვენ, ხალხმა მოიმოქმედეთ ყოველივეო.

თუკი უხეშ პარალელად არ ჩამომერთმევა, არც ჩვენი პრეზიდენტი და აღარც ჩვენი პარლამენტი ცალკ-ცალკე, დღეს სრული დანამდვილებით, სააფთიაქო სასწორის სიზუსტით ვერაფრით დაგვიხატავენ ხვალინდელი საქართველოს მომავლის აშენების ოპტიმალურ გზებს, ფორმას; ეს თანამშრომლობის, დროის ფაქტორის, სიტუაციათა ცვლილებების, პოლიტიკური კლიმატის, ერის ფსიქიკისა და ათასი სუბიექტურ-ობიექტური მიზეზის შეხმატკბილებული მოქმედების მერმინდელი შედეგია.

ქვეყნის ჩამოქანდაკება, ცხადია, გაცილებით ძნელია, ვინემ თუნდაც ცარგვალისოდენა ზარის ჩამოსხმა. ამიტომაც, როგორც არასდროს, სწორედ ახლაა საჭირო მოსახლეობის ყველა ფენის შეხედულების შესწავლა, მშრომელი მასების იქნება ეს, ინტელიგენციისა თუ ოფიციალური და არარეგისტრირებული ოპოზიციისა; აუცილებელია მათი პრეტენზიების გააზრება, განხილვა;

იგნორირება, ჯერ ერთი, უზნეოა და მეორე — დამღუპველი; როგორც არასდროს, თანადროულია ახლა ოპონენტთა ნააზრევში გაფანტული დადებითი მომენტების ამოკრეფა, უარყოფითის უკუგდება; საჭიროა გლობალური სინთეზი.

მეგობრებში სულ გამშველებლად მცნობდნენ, და ჩემივე გამოცდილება მალაპარაკებს: მედიატორობა უმადური უმადური შრომაა დღემდე. სულცხონებული პაპაჩემი ბიქტორ ფეტელავას შეგონება მახსენდება:

— ვინ იცის, რამდენი ჭკუათხლესათვის მომიხრია მუხლი, რამდენი უღირსისთვის და ვიგინდარასთვის; განა საკუთარი ცხოვრების გამო — გულდედლობით?! მაგრამ სოფელში სიმშვიდე რომ ყოფილიყო, მდურვას და აყალმაყალს არ დაესადგურა, სისხლი არ დაღვრილიყო, ობლობას არ დავეთრგუნეთ, ჩავუხრიდი ხოლმე მუხლს წაკიდებულებს და უეჭველად შევარიგებდიო, — ასევე მეც წაქიშპებულ ამხანაგებს შორის ჩამდგარს, ყოველთვის გაცილებით მეტი მხვდება, ვიდრე —დანარჩენს, რადგანაც წაკინკლავებულებს ეს გაზავება უფრორე გააფთრებთ ხოლმე, ჩხუბის ახალ-ახალ ჟინს უღვიძებთ და იბეგვება ჩემი გულ-მკერდი თუ მხარ-ბეჭი. ის მუჯლუგუნები ჯანდაბას, ორ დოლაბს შორის მოქცეულ სიმინდის მარცვალს რომ არ ვგავდეთ ამ წუთას. უმწეოა ჩემი ხმა და გაორებულს მექვითინება ბალანაშლილი სამშობლოს გამო.

ღმერთო, ძლიერო, მოგვხედე ამ გაჭირვების ჟამს, მოგვმადლე ურთიერთშერიგების, ურთიერთშეწყალების ძალი! არადა, ვეზუვისმაგვარ საწუთროში ყოფნას შუბლში ცხრა გრამი ლითონი მიჯობს!

1991 წ.

***

ასეთი და ამგვარია ჩემი დამოკიდებულება პრეზიდენტის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მიმართ გასული წლის აგვისტო-სექტემბრის თვეებში. ზემოთ მოხმობილი წერილის მიხედვით ზვიადისტობას რამდენადაც ვიმსახურებ, განსასჯელად მკითხველისთვის მიმინდვია. მე სიმართლის თქმისათვის მოვლინივარ ქვეყნიერებას და გასაკვირი არაფერია თუ ვითარების შეფასებისას სასწორის იმ პინაზე აღმოვჩნდები, საითკენაც მეტი ჭეშმარიტებაა.

პოლიტიკურ ციებ-ცხელებაზე ენკენიის 23-ს „რესპუბლიკაში“ წარდგენილი მასალა გიორგობისთვის ათსღა გამოქვეყნდება, მაგრამ უმადურობაა ჩემს მხრივ ამის გამო რედაქტორს დავემდუ-

რო. გულს არც ის ჩარევები მისერავს მაინცდამაინც — წინადადება თუ შეიკრიჭება, ზოგი ფრაზა და ტერმინი შერბილდება დასკვნებისას; ესეც გასაძლისია ქართული პრესის ალამდარი, ზურგშექცეული მეგობრების ფონზე.

აღნიშნული წერილი და კიდეც ადრინდელი „ღვთიური სამების" მაკულატურისთვის განწირულ დედნებს, კოლხური თავაზიანობით შემკული ყმაწვილი — მამუკა ვაშაკიძეს შემოინახავს თურმე და მიხარია: ავტორისეული დანაკარგები აღდგენილა ორიგინალის დონეზე.

ვაგრძელებ ხუთი თვის წინათ დაწყებულ საუბარს და ათასი პასუხგასაცემი კითხვა ფუთფუთებს ჩემს სულში ახლა:

— რატომ ერთგულობს პრეზიდენტს უბრალო ხალხი? — ვკითხულობ ჩემთვის, — რატომ აღაზევებენ მას მრავალი შეჭირვებულობის ჟამს და რისთვის აღივსება ქართული ინტელიგენციის გული გამსახურდიასადმი განსაკუთრებული სიძულვილით?!

— რა გამართლება აქვს პერესტროიკასა და გლასტნოსტს თუკი ორივეს აკვანშივე მოშთობა უწერია, თუკი მათი სულისჩამდგმელი პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი თამაშგარეთ აღმოჩნდებიან **ÑÍ Ã**-ს სავალალო შეკოწიწებით-მეთქი, ვეძებ ხელჩასაჭიდებელს.

— ჰქონდათ თუ არა მორალური უფლება თავად მდედრობითი სქესის ხალხს: ირინე სარიშვილს, იზა ორჯონიკიძეს, ლუიზა შაკიაშვილს თუ სხვათა, „მდედრიონის" დამამცირებელი იარლიყი მიეკერებინათ კერიებიდან ქუჩებში გამოფენილ მანდილოსანების □ლეგიონისთვის?! პოლიტიკაში გარეულებს რატომ ეჩოთირებათ მათსავით კოლგოტკიანებისა და გრძელთმიანების საქვეყნო საქმეებში მონაწილეობა?! ასეთი დამოკიდებულება ხომ აბსოლუტურად გამოაცლის ნიადაგს მათ ასპარეზს?! თუმცაღა გვსმენია: ქაჩალმა იგივე მდგომარეობის ხვლეპუსას სიმელოტე წამოაყვედრაო;

— გამართლებულია განა თავისუფალი, დემოკრატიული ეწოდოს გაზეთს, რომელიც „კრონოსს" დაირქმევს ქართული ვერსიით, იმ მოტივით, რომ ისინი მეფობენ და არა მეფენი; რომელიც გზას გაუხსნის პასკვილებს:

„ოპოზიციურ მიტინგებზე იშვიათად, მაგრამ მაინც გაისმის მოუზომავი ფრაზები ზვიად გამსახურდიას გასამართლების შესახებ, არა ვარ მომხრე. ღმერთმა დაგვიფაროს რეპრესიებისგან. ჩემი ნება იყოს, გადადგომის შემდეგ ზვიადს დაუცველად დოქტორის ხარისხს მივანიჭებდი, პროფესორად ავირჩევდი და უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი მრჩეველის თანამდებობასაც შევთავაზებდი" (მიშველაძე)— მსგავსი თავდასხმებით შეიკლავენ ხელში თვეების წინათ ხმათა უმრავლესობით არჩეულ პრეზიდენტს, თან დემოკრატია არ გვაქვსო, დემაგოგობენ-მეთქი, ვკამათობ.

— დაიბანს თუ არა ხელს ოპოზიცია მას შემდეგ, რაც დეკემბრის აქციების მერმე, აღგზნებულ თანამზრახველებს ჩახერგილი რუსთაველის პროსპექტიდან ავტობუსებისა და „კამაზების" რიგს გაათრევინებს, მზაკვრული ხერხებით გაუკაფავს გზას შეიარაღებულ ფორმირებებს მთავრობის სასახლისკენ, თვითონ კი იმ წუთში უკუდგება, ისევ პოლიტიკური მოთვალთვალის პოზას შეინარჩუნებს და საკუთარი ქვენა ქმედებებს გაამართლა ფრაზით: „**ჩვენ რა შუაში ვართ, როცა განხეთქილება მრგვალებს შიგნითაა**", — რიალებენ ფიქრები გონებაში.

— იქნებ ჯობდა პრეზიდენტი გადამდგარიყო?! არც ძმათა სისხლი დაიღვრებოდა და აღარც საფიცარი გამზირი გაპარტახდებოდა. მაგრამ მეორე ხმა მედავება: მაშ, ეღალატა საკუთარი პრინციპებისთვის? უგულებელეყო ხალხის ნება? დაეშრიტა უმრავლესობის ნდობის ლამპარი?! უზნეობასთან ერთად უგუნურობა არ არის განა საზოგადოების წინააღმდეგ წასვლა, ვინაიდან სტიქიას აღმა შეჭიდებული დედამიწას მოწყვეტილი ანთეოსია-მეთქი, განვსჯი, ვეორჭოფები მეობას ჩემსას.

— ანდა შეძლებდნენ ოპოზიციონერები მთავრობის სასახლის თუნდაც კოშმარული შტურმებით დალაშქვრას, ციხე შიგნიდან რომ არ გამტყდარიყო?! როდიდან გაიბზარება ეს ციტადელი, რა მომენტიდან, რა ეტაპიდან-მეთქი, მეწმახნება სული.

— ამბოხი მოინათლება ვითომ სახალხო აჯანყებად, მით უფრო, როცა პრეზიდენტისა და პარლამენტის დასაცავად მილიონკაციან დედაქალაქში ორასათასიან დემონსტრაცია-მიტინგებს მიყოლებით დახვრეტენ დემოკრატია-თავისუფლების დასამყარებლად მოღვარცოფებული ხუნტელები-მეთქი, ლამის თავისქალა ამეხადოს.

თვალწინ მიტრიალებს პრეზიდენტის აღზევებისა და დაცემის ნიუანსები. კადრი კადრს ენაცვლება. სახეები სახეებში ითქვიფება. ფრაზები ფრაზებს ერწყმის და რაღაც უფორმო, ძნელადგასარჩევ მასალად იკვრება, იკონება.

აგერ, ბატონი თენგიზ სიგუა:

— გამოვიდეს ხალხში, ბუნკერიდან, თქვენი კურდღელი პრეზიდენტი! გამსახურდია ხელახალ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ვინაიდან იგი ფსიქიკურად ავადმყოფია. არსებობს ამისი 1956-69-78 წლებით დათარიღებული სამხილი მასალა. შესაბამისად უკანონოა მისი დასჯაც.

— ყველანი ,,იკარუსებში'' ჩავსხედით. პრეზიდენტმა სულ ბოლოს დასტოვა ბუნკერი, — ეს ნემო ბურჭულაძეა.

— ჰიტლერმა ბუნკერში მოიკლა თავი, დე გოლი გადადგა, ნიქსონმა თავის დანიშნულმა ერთმა მინისტრმა რომ ვერ გაუმართლა (ლოთი გამოდგა), პოლიტიკას ჩამოშორდა, გამსახურდიას კი ყოველმა არჩეულმა მინისტრმა უღალატა და სამარცხვინოდ გაიქცა სამშობლოდან, — მეჩიჩინება ტელევიზიის პოლიტიკური მიმომხილველი ცინცაძე.

— პრეზიდენტმა, მართალია, მეამბოხეთა ალყა გაარღვია, მაგრამ მან ვერ შეძლო მთავარი — ქალების ალყის გარღვევა, — ერთსა და იმავეს იმეორებს ,,ავღანელი'' გიორგაძე.

— პრეზიდენტის მომხრეებს ძირითადად ორი არგუმენტი მოჰყავთ მის დასაცავად: ,,87 პროცენტი'' და ,,ვაცალოთ'', მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ,,87 პროცენტი'' მას წილად ხვდა, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, ნდობის სახით, და არა — პრეზიდენტს; მერედა, სამი წლის ბავშვი თუ ხმას არ იღებს, არასდროს იტყვიან: ვაცალოთ, ალაპარაკდებაო, არამედ მაშინვე ექიმს მიაშურებენ. — ვერაფრით ვიხსენებ რუსთაველის სახელობის თეატრის ამ მსახიობის გვარს; ვიცი რომ დუმბაძის ,,მარადისობის კანონში'' რედაქტორის როლი უთამაშია, ფანჯიკიძის ,,თვალი პატიოსანშიც'' გარდაისახებოდა მაყურებელთათვის მოსათმენად.

— საქართველოში პრეზიდენტობის ღირსი კაცი არ მეგულება, — მერამდენედ გვთავაზობს ერთუცნობიან განტოლებას მინორული ხმით ბატონი აკაკი ბაქრაძე. ე.ი. ამონახსნი მის ფარგლებს გარეთაა.

არა, რაღაც მოჯადოებულ წრეში შეგდებულ, სიბნელეში დაყოვნებულ ხარს ვგავარ, წითელ ხელსახოცებს რომ უფრიალებენ თვალწინ და ზურგსუკან დამალულ დაშნებს სადაც არის ოსტატურად უმარჯვებენ ამბოხებულ ქედში.

განხეთქილება

ჯერ კიდევ, თავზედამტყდარი უბედურებანი სადღაც ცხრა მთას იქით იმალება, როდესაც ფილარმონიის სააქტო დარბაზში გამართულ ეროვნულ ფორუმს ბზარი გაუჩნდება. ამის ძირითად მიზეზად ასახელებენ შეიარაღებული ფორმირებების დაწოლას, კერძოდ, იქ გამართულ სროლას — ზვიად გამსახურდიაზე თავდასხმას, თუ უფრო მნიშვნელოვანს — აზრთა სხვადასხვაობას საქართველოს განთავისუფლების საკითხში: გამსახურდია ამჯობინებს მშვიდობიანი, საპარლამენტო გზით მოპოვებულ თავისუფლებას, რასაც არსებითად უპირისპირდება ფორუმის მონაწილეთა დიდი უმეტესობა.

ბალტიისპირელი ხალხების უიარაღო ბრძოლა თავისუფლებისთვის მათ უტოპიურად მიაჩნიათ, და გათიშულობა, ცხადია, მოქმედების ორ სტრატეგიას დასახავს.

პირველ ხანებში ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივდება ეროვნული ფორუმი. ზვიად გამსახურდია და ,,მრგვალი მაგიდის'' წევრი პარტიები ნაწილობრივ მიიჩრდილება, თვალს მიეფარება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყოველივე კონგრესის სულისკვეთებით გაისჭვალება, მაგრამ სინამდვილე დაგვანახებს — ფორუმის იდეას კომუნისტური რეჟიმის ბატონობისა და ზვიად გამსახურდიას განზე დგომის პირობებში გამარჯვება არ უწერია.

კვირას დილა-ადრიან მივალ ედპ-ს შტაბბინაში რუსთაველის პროსპექტზე. თვეების წინათ იქ კომკავშირის რაიკომი ბინადრობს, მაგრამ ენერგიულ-აგრესიული კასტა კინწისკვრით გარეკავს ყავით გაჭყეპილ ჰალსტუხიან კომსომოლებს. აი, სწორედ აქ მდებარეობს ერთ-ერთი საარჩევნო უბანი. მომაწოდებენ ბიულეტენს. მე ეროვნულ-დემოკრატებს ვუყრი კენჭს გიორგი ჭანტურიას სასარგებლოდ. უფრო მეტიც, მე ჩემი ფეხმძიმე მეუღლის სახელითაც გამოვუცხადებ ნდობას ამ პარტიას და მის ლიდერს. გრაფაში უზუსტესად ჩავწერინებ ჩემსა და ჩემი თანამეცხედრის ვინაობებს, სხვა აუცილებელი მონაცემებს.

მოკლედ, ეროვნულ კონგრესს, ფორუმის იდეას, ერთი ხმით მეტი აღმოაჩნდება ჩემი ოჯახიდან. ეს განწყობილება სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ცხრა აპრილის შემდეგ ნებისმიერ ალიანსს მივყიდდი სულს, გნებავთ — თვით მეფისტოფელსაც კი, ოღონდ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას რამე შველებოდა, მაგრამ იმ ბუზღუნა კვირაძალს, იმ როსტოკაკა ამომრჩევლის შემხედვარეს, შემეეჭვება ფორუმის იდეის გამარჯვება.

მაშინაც მიერთგულებს გუმანი. არჩევნები მომდევნო დღესაც გაგრძელდება, თუმცა საჭირო რაოდენობის ხმა ვეღარაფრით მოგროვდება.

ზოგიერთი ლიდერი სატელევიზიო გამოსვლაში შეეცდება შავის თეთრად წარმოჩენას: კვორუმი შედგაო, რაც მერე და მერე წმინდა წყლის სიცრუე აღმოჩნდება; საერთო განწყობილების და უფრო სარწმუნო მასალის — არჩევნების შედეგების მიხედვით, ფორუმის იდეა ჩაფლავდება.

იწყება ახალი ეტაპი ქართულ ეროვნულ მოძრაობაში, ახალი ერა ქართულ საარჩევნო პრაქტიკაში. მართლაც, განა ცოტა ომი და გაწამაწია დასჭირდება ჩვენში მრავალპარტიული არჩევნების ორგანიზებას პირველად სსრკ-ს ტერიტორიაზე?! და თუ გუმბარიძის მთავრობა წავა ამ დათმობაზე, ისევ და ისევ ცხრა აპრილის აჩრდილის მომნუსხველი ვიბრაციით დამფრთხალი; ვინძლო, ცალსახა კომპარტიის არჩევნებიც გაბითურდეს ფორუმის მსგავსად, მთლად ცარიელ-ტარიელზე აღმოჩნდებოდებიან ისინი და ეროვნულ ძალებს მმართველობის აპარატისკენ გზა მისდაუნებურად ეხსნებათ. აბსოლუტურ კრახს კვლავ გარკვეულ დანაკარგებს ამჯობინებენ ფუნქციონერები და აი, დაიწყება მრავალპარტიული საარჩევნო კამპანიაც.

მართალია, ბრძოლა უთანასწოროა, მაგრამ ენთუზიაზმი — დაუოკებელი, ენითუთქმელი. დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ არაფორმალების სასარ გებლოდ განისაზღვრება დეპუტატების რაოდენობა. დამტკიცდება არჩევნების პრინციპიც — მაჟორიტარული და პროპორციული.

მოკლედ, უკუდო ხარის მსგავსი კომპარტია თავისას ჩალიჩობს, ეროვნული მოძრაობის ლიდერები თავისას ცდილობენ. სატალევიზიო ეთერიც შესაბამისად განაწილდება. გაჩაღდება ისტერიული თავდასხმები „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ სპიკერისა და მისი ქვეშევრდომი პარტიების პროგრამათა მიმართ.

ამას არც „სახალხო ფრონტი“ ერიდება და აღარც — „რუსთაველის საზოგადოება“. სხვები შედარებით კორექტულობას იჩენენ, ვთქვათ, მაგალითად, როგორიც ფედერალისტი ირაკლი შენგელაიაა, მაგრამ ყველასდა გასაოცრად, თვალსა და ხელს შუა გამოიძერწება სწორუპოვარი პიროვნება — ზვიად გამსახურდია, ერთი — ყველას წინააღმდეგ.

შედეგმაც არ დააყოვნებს — „მრგვალი მაგიდის“ დამანგრეველი ძალა თვალსაჩინო შეიქნება: ისინი პარლამენტში თითქმის ორ მესამედ მანდატს გაინაღდებენ, რაც ფაქტობრივად ერთი ინდივიდუუმის, ერთი ავტორიტეტის — ზვიად გამსახურდიას წყალობაა.

აქედან გამომდინარე, პირველსავე შეკრებაზე, ბატონ მუხრან მაჭავარიანი უზენაესი საბჭოს თავჯდომარედ ზვიად გამსახურდიას კანდიდატურას შესთავაზებს პარლამენტს და მტერი თუ მოყვარე ერთსულოვნად დასცხებს მრავალწუთიან ტაშს, იმდენად ძლიერი აღმოჩნდება მისი ზემოქმედების მაგნიტური არე, იმდენად დამმუხტველი და ზეამწევი, რომ ძნელია იმ აპლოდისმენტების სიყალბეში შეეჭვება, მით უფრო, როცა აქა-იქ წამოძახებულ „ზვი-ა-დის“ ფეხზეწამომართული აჰყვება მთელი დარბაზი. ეს დღეები, ეს კვირანი ჩემთვის აღიქმება, როგორც ხალხის სულში დაგუბებული საუკუნოვანი ბოლმის ამონთხევის, გულის მოოხების უნეტარესი ხანა.

ყირამალა წამოტივტივდება პროლეტარიატის ბელადის ძეგლი თავისუფლების მოედანზე. არსად დარჩება საქართველოში მისი სახსენებელი ცხინვალსა და სოხუმს გარდა.

ჩამოიზლიტება ქუჩებიდან აბრები და ფირნიშები. მშობლიურ გამზირებზე პირველად განათდება სათაყვანებელი სახელები: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, მერაბ კოსტავა, კონსტანტინე გამსახურდია თუ ათასი სხვა.

აქ უპრიანია სამი მომცრო წერილის შემოშველიება, რომელთაგან ერთი „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაიბეჭდება 1988 წლის 22 ნოემბერს, ხოლო მეორეს არქივის მთვარეულ მასალებში აღმოვაჩენ ახლახან, მესამეს კი მოგვიანებით შევქმნი, ოლიგარქიული აზროვნების პერიოდში:

გაიღვიძა და დაიძრა (1)

სულ რაღაც ორი კვირის წინათ გამოქვეყნდა პრესაში „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი“, რომელ საშვილიშვილო კურსს რა ხანია ამკვიდრებს ლევან ღვინჯილიას ტელესიუჟეტი „მოამბის“ გამოშვებაში — „ენა დედაა ერისა“.

ვიტყოდი გულწრფელად, რომ ერთსულოვანნი ვეღარ გამოვდექით, თორემ აქამდე არსებული მრავალი კურიოზი დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა:

არ გამოიცემოდა ტელეფონების ცნობარი რუსულ ენაზე;

რკინიგზის სადგურის სასაუზმეს არ დაასახიჩრებდა ფირნიში „ბისტრო“;

არ მიეწებებოდა რძეს და მაწონს უცხოენოვანი იარლიყები;

ჩვენი მოურჩენელი გულგრილობა რომ არა, აქამდეც მოვნათლავდით ღირსეული სახელებით დედაქალაქის უამრავზე უამრავ ქუჩას, როგორიცაა: ანაპის, დივიზიის, არარატის, ახალარსენალის, ენგურ-ჰესის, ზედამეტალურგიის, ინტერნატის, ინდუსტრიული ინგურის (!) კამოს (?) კოლექტივიზაციის, კომკავშირის, კომუნისტური შრომის, კონსტიტუციის (საინტერესოა რომელი კონსტიტუციისა), ლიბანის, მაღაროს, მუშკორის, ოქრომჭედლების (სადღაა ბექა და ბეშქენ ოპიზარები), პიონერის, პრავდის, პროლეტარის, რევოლუციის, საბარგო დასახლების, საზეინკლოს, სანერგის, საფირის, სახალხოსი, სკოლის, სტამბის, ტრანსპორტის, ფერშალის, ფიზკულტურის, ფოსტის, ღვინის, შავი ზღვის, წყალსადენის, ხაზეინის, ხრამჰესის, ხუთწლედის, როცა აქამდე არ მოგვეპოვება არისტოტელეს, ავიცენას, ბაირონის, ბეთჰოვენის, ბალზაკის, გოეთეს, დოსტოევსკის, დანტეს, ვიიონის, შექსპირის, სერვანტესის, ჰომეროსის სახელობის ქუჩები.

ამახდევინა ერთი იმ ნათლიმამათა თავისქალანი წამით, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში რომ ბუღრაობდნენ და მერე არარას ვჩივი!

ახლა, რაც შეეხება ტელესიუჟეტს „ენა დედაა ერისა“:

მოსაგვარებელია მისი პერიოდულობის საკითხი. საჭიროა ეს სიუჟეტი ყოველდღიურად თუ ვერა, კვირაში ერთხელ მაინც გადიოდეს ეთერში. მასალების დაგროვებას კი არ უცდიდეს, არამედ წვეთ-წვეთობით გვაწვდიდეს ინფორმაციას, წვეთი კი, ლათინებს თუ ვერწმუნებით, ქვასაც ხვრეტს.

ჟურნალისტი და ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილიას მამულიშვილობის მეოხებით ფეხადგმულ საქმეში ერთი გაუხსნელი შტრიხიც ნამდვილად მოითხოვს ამეტყველებას. ვგულისხმობ სიუჟეტის ვიზუალურ ქუდს — დედა-ენის სიმბოლოს — ცაში აჭრილი ბიჭის სკულპტურას, თავისთავად მორგებულსა და მშვენიერს, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე გაუშიფრავს. აღნიშნული სიმბოლოთვალსაჩინოების გვერდით ზედმეტად მიმაჩნია ნებისმიერი მუსიკალური ჩარევა, უმჯობესია მას ნამდვილი ზარის ჩამორეკვის ხმა შეენაცვლოს, მით უმეტეს, რომ ცაში აფრენილი ყმაწვილიც სწორედ ამ დადუმებული ზარისკენ, ერის გასუსული სულისკენ მიილტვის, მაგრამ თუ მაინცდამაინც სიმღერა „ო, დედა-ენის“ გარეშე ვერ გვისულდგმულია, დაე, მის ფონზე სამჯერ გაისმას: — **ძიიინ! ძიიინ! ძიიინ!** რაც ტოლფასია ცნებისა: **ეროვნულმა თვითშეგნებამ გამოიღვიძა და დაიძრა!**

რაა სახელი?!

სადიპლომო თემაზე მუშაობისას ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ წავაწყდები გრიგოლ რობაქიძის ესსეს „სიტყვის როია“, რომელშიც მეტად ორიგინალურადაა გაშუქებული სახისა და სხეულის (ალბათ, სახლისაც), ურთიერთმიმართების საკითხი.

სახე-სახეული-სხეული, ასეთია რობაქიძისეული დაკვირვებით სხეულის წარმოშობის ლინგვისტიკური სურათი. დავსძენდი, რომ წესით იგივე გზა უნდა გაევლო სახელსაც — **სახე-სახეული-სახელი.**

პირველ შემთხვევაში სხეული სახის ფიზიკური, სპეკულატური, ტელარული გაგებაა, ხოლო მეორეგან — მისი შინაარსი, იმანენტურობის დამადასტურებელი. სხეული სახის გარეგნული გამოხატულებაა, სახელი კი შინაგანი ბუნების აღქმა. სახელის მოხვეჭა შოთასთან გაიგივებულია უზენაესთან, უმაღლეს კატეგორიასთან, რადგანაც მხოლოდ მისითაა შესაძლებელი თვითმყოფადობის, სხეულებრიობის დამკვიდრება ცისქვეშეთში. ამიტომაცაა თავად სახელოვანი სიკვდილი ნაზრახი სიცოცხლის დამთრგუნველი, რამეთუ სახელი აღემატება სხეულს და მთელი სიზუსტით გადმოგვცემს ყოველი ტანის სახეში დაფიქსირებულ აზრს.

ექვსი ათეული წლის წინანდელი კურიოზია: ავყრით კაპიტალისტურ ლიანდაგებს და სოციალისტურს დავაგებთ, გადავნათლავთ ქალაქებს და სოფლებს, მოედნებს და ქუჩებს, მაგრამ თანასწორუფლებიან საზოგადოებას მაინც ვერაფრით ავაშენებთ.

დავწურავთ ახალი ღვინოს და ჩავასხამთ ახალ ტიკებში, თუმცა სულის აღმაფრენას ვერანაირად ვეზიარებით — გამოცდილის, ძელგის სანაცვლოდ თავთხელსა და უჟმურს გავაყოველთავებთ. დავარქმევთ შვილებს, ვილენს (ვლადიმერ ილიჩ ლენინ), ლესტას (ლენინ-სტალინ), რევდენს (რევოლუციონნი დენ), რევდიკს (რევოლუციონნაია დიკტატურა), მაგრამ თითიდან გამოწოვილი ნეოლოგიზმები სიზიფეს შრომა გამოგვადგება, ფორმა შეუთავსებადი აღმოჩნდება შინაარსთან.

აღარც სნობიზმი და სიბეცე მოგვინელებ ნაკლებად. დღეს ირონიულ ღიმილს იწვევენ ჩემში ქართველი ჰამლეტები თუ ფაუსტები, იაგოები თუ ტრისტანები, ოფელიები თუ ჯულიეტანი.

უნიკალური ჩვევა ჰქონდათ ევროპელებისგან ჯვარცმულ ინდიელებს, ისინი პატარაობისას ბიჭუნათი და გოგონათი მიმართავდნენ შვილებს, მხოლოდ ხასიათის ჩამოყალიბების შემდეგ მიაკუთნებდნენ ზედწოდებას დამსახურებისამებრ.

მოკლედ, ნუ ჩავაყენებთ შვილებს უხერხულ მდგომარეობაში, ნუ მოვნათლავთ ყბადაღებული სახელებით, როგორიცაა: გულადი, არველოდი, არდალიონი, მეგონა, მისრული და კიდევ ვინ მოსთვლის.

ან მოსათმენია განა აქამდე რომ ვეღარაფრით აღდგენილა ისტორიული სინამდვილე და მარტვილს გეგეჭკორი ჰქვია დღესაც, (მარტვილი ტანჯული, მოწამეა ბერძნულად, გეგეჭკორი — გეგეს, წმ. გიორგის ყმა, მეგრულად), სენაკს — ცხაკაია, ოზურგეთს — მახარაძე, ხონს — წულუკიძე, ბაღდათს — მაიაკოვსკი?! მაინც და მაინც რევოლუციის რაინდების გაუკვდავება თუ გვეწადა, ხომ შეგვეძლო მათი გვარ-სახელები ამ ქალაქთა მთავარი ქუჩებისთვის მიგვეკუთვნებინა ლენინის სანაცვლოდ?! წარსულსაც ვუერთგულებდით და მომავალსაც.

იუმორის თემაა ჩვენი რესტორნების სახელები, ხოლო ღვინო**ებ**ი ხომ მთლად კუთხეკუნჭულიანად აყრილან უგემოვნო და არაფრისმთქმელი იარლიყებით ჩრდილოეთისკენ თუ მის ფარგლებს გარეთ. რა საჭიროა „ჰერეთი“, „იმერეთი“, „კახეთი“ (უკეთეს შემთხვევაში უნდა იყოს ჰერული, იმერული, კახური), როცა სამასი ჯიშ-ჯილაგის ვენახი ხარობს საქართველოში?! მაშ, მოვეშვათ გამომგონებლობას და მივაგოთ კეისარს კეისრისა — რქაწითელს რქაწითელი ვუწოდოთ, ჩხავერს — ჩხავერი, საფერავს — საფერავი, ოჯალეშს — ოჯალეში. ხომ მოგსვდგამდა ამისი გამოცდილება ოდითგანვე?! ჰოდა, ბოლომდე ვუერთგულოთ, ჯანსაღ ტრადიციებს, ბატონებო!

* * *

სათანადო კოსმეტიკა ჩაუტარდება აქამდე მოპარპაშე კომუნისტურ კონსტიტუციას. სანთლით საძებარი გახდება შიგნით სიტყვა „სოციალისტური“ და ამ იდეოლოგიასთან დაკავშირებული ტერმინები, მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ სტრუქტურა იგივე დარჩება, ახალ ღვინოს კი ახალ ტიკებში შთაასხამენ ხოლმე სახარების რწმუნებით და მოგვიანებით, როგორც მოსალოდნელია, ქუჩის ოპოზიციად მონათლული პოლიტიკური ძალა, ხელზე დაიხვევს ყმაწვილი მთავრობის გაუბედავ ნაბიჯებს — უკუგდებულია ცხრაასთვრამეტი წლის კანონმდებლობა, კონსტიტუცია, რომელიც ცივილიზებული მსოფლიოს მიერ საქართველოს აღიარების სრული გარანტიაა, როგორც დე-იურედ, ისე — დე-ფაქტოდაც.

ხელისუფლება დუმილს ამჯობინებს აღნიშნული აქციების გასანეიტრალებლად და რამდენადაც ახლა ვსაზღვრავ, სხვანაირად მას აღარც ძალუძს; ჯერ კონკრეტული მიზანი — საქართველოს თავისუფლებაა განსახორციელებელი, ხსენებული კონსტიტუციის მიღება კი ფაქტობრივ დაპირისპირებას ნიშნავს მეზობელ ქვეყნებთან; ეს იგივე ომის გამოცხადებას გულისხმობს, საზღვრების გადასინჯვას, სადავო, მამაპაპურ მიწებზე პრეტენზიების გამჟღავნებას.

მიძნელდება ახლა ოპოზიციის მოთხოვნების გაზიარებაც, რომლის დაჟინებული მტკიცებით ეროვნულ მთავრობას საერთოდ არ სურს საქართველოს თავისუფლება; რომ საბჭოეთიდან გასვლას არც კი აპირებს, მზადაა ახალ სამოკავშირეო დოკუმენტზე ხელის მოსაწერად; რომ განუხრელად ხორციელდება საქართველოს ლიბანიზაცია, კარჩაკეტილობა და მასთან დაკავშირებული აურაცხელი ეკონომიკური თუ პოლიტიკური შეზღუდვა.

ამასობაში წარმატებით ჩატარდება რეფერენდუმი, რომელიც თვალნათლივ ცხადყოფს საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან მისწრაფებას სრული დამოუკიდებლობისკენ.

საქართველოს რესპუბლიკის მომავლის კონტურები დღითი დღე იკვეთება. მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ირგვლივ კვლავინდებურად გესლს ანთხევს TÑÍ -ი, „ვრემია“. უცხოეთის პრესა წაილეკება არსებული ხელისუფლების „ცხვირს იქით გაუხედავი“ პოლიტიკის „მხილებით“.

ამას ზედ წაემატება საერთო აღმშენებლობით საქმიანობაში იგნორირებული ჭრელი ძალების (თუმცა მთავრობა არაერთგზის შეეცდება მათთან საერთო ენის გამონახვას), დაუღლელი მუშაკობა ხელისუფლების ლიბოს გამოსაშლელად.

ბუნებაც გვიმტყუნებს. მიწისძვრა ნამოსახლარად გვიქცევს ასობით ოჯახს რაჭაში; წყალდიდობა იავარქმნის მთიან აჭარას; სამხრეთ ოსეთის, ძირძველი სამაჩაბლოს, სეპარატისტულად განწყობილი წრეებიც, დროს იხელთებენ, როგორც საუკუნის დამდეგს და საჯაროდ რესპუბლიკად გამოაცხადებენ ფეშქაშად ბოძებულ შიდა ქართლს ჩვენსას; კომუნისტების ინტერნაციონალიზმის

ბეცი თუ ცბიერი პოლიტიკა ბუმერანგივით დაგვიბრუნდება.

საჭირო ენერგიას მოვიძიებთ სისხლხორცეული მიწა-წყლის დასაცავად; საჭირო გახდება სამხედრო პოლიტიკის მოშველიება, რათა სამაჩაბლოს ქართველობა ჯაყოს ხიზნებად არ იქცნენ. და ბუნებრივია, უკვე პარლამენტისგანვე პრეზიდენტად შერაცხული უზენაესი საბჭოს თავჯდომარე, უკიდურეს ფორმას მიმართავს — კომენდანტის მმართველობას შემოიღებს შიდა ქართლში.

მოგვიანებით ამ აქციას ულტიმატუმის შემცველი უკაზიც მოჰყვება გორბაჩოვისგან, რომელსაც ზურგს უმაგრებს ვინმე ღამურა ბუჩუკურის „ვრემიასთვის" მიცემული ინტერვიუ.

იმავე საღამოს საკმაოდ ვრცელ წერილს მოვამზადებ სსრკ-ს პრეზიდენტის სახელზე და ორასმანეთიანი დეპეშით მოსკოვს ვაფრენ. „საქართველოს რესპუბლიკასაც" წარვუდგენ მის ასლს დასაბეჭდად, მაგრამ ვერც ამჯერად მოვიპოვებ ამ პირტიტველი მამუკელა-რედაქტიორის ნდობას. ახლა ოპერატიულობაზე ვერაფერს მეტყვის: ქანდარიდან ქათმები ძლივს ჩამოშლილან, ისე ვაახლებ წერილს.

— ვრცელია, ვრცელიო, — დამისხლტება ხელიდან კუდით დაჭერილი თევზის მსგავსად და ასე მიჩუმდება ერთ-ერთი ქართველი მწერლის ხმა საზოგადოებისათვის.

შესაძლოა, აქ, ოთხმოცდაათიანი წლების ეროვნული მოძრაობის ჩვენებისას, ზოგს უადგილოდ მოეჩვენოს მისი მოხმობა, მაგრამ რადგანაც იგი მეტნაკლებად უკავშირდება დასახელებულ თემას, მცირეოდენ ლირიკულ გადახვევად ჩამეთვალოს:

ღია წერილი
პრეზიდენტ გორბაჩოვს

ბატონო, პრეზიდენტო, ბოლომდე გულწრფელი რომ ვიყო, მიუკიბ-მოუკიბავად ვიწყებ: თითქმის კოლეგები გვეთქმის — თქვენ ლაურეატი ბრძანდებით იმ პრემიისა, რომლისთვის, აჰა, ლამის საუკუნეა იბრძვის ჩვენი ქართული მწერლობა და ცხადია, მათ შორის თქვენს მონა-მორჩილსაც უღიტინებს სულში სტოკჰოლმის მეტად საპატიო კათედრაზე ამაღლება. აქ საჩოთიროს ვერაფერს ვხედავ, ვინაიდან ჩემი სულმნათი წინაპარი რუსთველიც ამას გვიქადაგებს: სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსაო. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ბატონო, პრეზიდენტო, ჩემი აღმატებულების ლიტერატურული ფსევდონომი გახლავთ გური ოტობაია. ისე კი ცნობისათვის, მეც მიხეილის ძე ვარ, ოღონდ— ფეტელავას გვარით. ეს ფსევდონიმი ჩემი მშობლიური სოფლის სახელის ანარეკლია — ხალხის ინტერესების მნათეობა მწადდა გვარითაც და ამიტომაც მიმიმართავს აქამდისაც მრავლად ნაცად ხერხისთვის; თანაც საამისოდ ჩემი დიდი თანამემამულის, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას, შემოქმედებაც მაქეზებდა. მის უკვდავ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა" ჩემი ფსევდონიმი შემდეგნაირად მოიხსენიება:

— **ხარაჩოებიდან ჩამოვარდა მეფის მხატვარი ოტობაიაო.**

ქვეტექსტი ასეთია:

— **ხელოვანი იღუპება ტირანიის პირობებშიო,** — აცხადებს სწორუპოვარი მწერალი, რომელი ბელეტრისტიც სხვათა შორის, თვით პროლეტარიატის ბელად ლენინსაც კი სამარცხვინო ბოძზე აკრავს ცხრაას ოცდაერთი წლის ვანდალური აქციისათვის — სუვერენული, დემოკრატიული საქართველოს მუხთალი ანექსიისათვის. სიცხადისათვის, სწორედ ამ მწერლის ძე გახლავთ ჩვენი ხალხის რჩეული, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე — ბატონი ზვიად გამსახურდია.

ვიცი, დეპეშაში ძნელია სრულყოფილად ჩავტიო სათქმელი, და მაინც ცოტა შორიდან დავიწყებ. თქვენეული სიტყვის თავისუფლებით საშუალება მომეცემა საკუთარი ხარჯით რომანი დავსტამბო. ასე რომ, ფინანსური მხარეები ნაკლებად მაწუხებს. თქვენც ხომ იქმთ ხშირად ქველმოქმედებას, როცა კუთვნილ ჰონორარს გაჭირვებულ და ულუკმაპურო საბჭოელებს უწილადებთ ხოლმე. ჩემი საქმეც დაახლოებით ასე.

დამერწმუნეთ, ბატონო, პრეზიდენტო, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ მობრძანდიებთ ქვეყნის მეთაურად, დავიღუპები კაცი, რადგანაც საკუთარი პროფესია გადამავიწყდება, დამავიწყდება, რომ დღენიადაგ უნდა ვწერდე, კალამს ვაწრიპინებდე, ვშლიდე და აღვადგენდე, რადგან იმდენ სიკეთეს მოველი ე.წ. პერესტროიკიდან და გლასტნოსტიდან, ტელევიზორის ეკრანს მივეჯაჭვები მე უბედური.

სესიებს სესიები გადაებმეა, ყრილობებს — ყრილობები, მოგზაურობებს — მოგზაურობანი, (ისე ღმერთს მართლაც დაუჯილდოებიხართ ციცერონის ენამჭევრობით) და რა გამოდის, საუბრობთ

თქვენ მთელი ხუთი წელიწადია, გისმენთ მე ადეკვატური ქრონომეტრაჟით. ერთი სიტყვით, მიგელ დე საავადრას განუმეორებელი გმირის — მწუხარე სახის რაინდის სიტუაციაში თუ არ ვარ, იმ ცხვრის ფარის რიგით წევრს რამდენადმე ვემსგავსები, გამხმარ გუდაში კატას რომ ჩაუსვამს მოხერხებული მწყემსი და სხვენზე ჩამოუკიდებს ცოხნის შესაწყვეტად, სულის შესანარჩუნებლად.

ბატონო, პრეზიდენტო, ვიწყებ საფრანგეთში თქვენი ვიზიტით. როგორ დამავიწყდება მაშინდელი თქვენი თავგამოდებული მტკიცებანი, თითქოს შეუდარებელი საზოგადოების წიაღიდან საუბრობთ, საზოგადოებისა, რომელსაც უფასოდ ატიალია სწავლა-განათლება, სამედიცინო მომსახურება. ის კი მიიჩქმალება მაშინ, რომ ეს სიკეთენი თითქმის ფარსია ჩვენეული სინამდვილიდან გამომდინარე, მაგრამ მე უფრო გლობალური საკითხი მაინტერესებს.

ბატონო, პრეზიდენტო, ნუთუ მართლაც სერიოზულად მიგაჩნიათ დებულება — ,,უფასო მომსახურება?'' მაშინ გეკითხებით, საიდან აჩალიჩებს სახელმწიფო სათანადო სახსრებს ამ საქმეთათვის, მამა ღმერთისგან ხომ არა ციურ მანანას მიმსგავსებით?!

ცხდია, მარცხენა შემოსავალი ერთადერთს, სახელმწიფოსღა, არ უნდა გააჩნდეს წესით, თუ იგი ავადხსენებული იარაღით არ ითბობს ხელებს, ვთქვათ და ისეთი პროფაშისტური ქვეყნისაგან, როგორც სადამ ჰუსეინის ერაყია; ჰოდა, იმას ვამბობ, რომ ვინ, რომელმა გონებამ შეთითხნა სახელმწიფოსაგან თავისი ხალხის უფასოდ მომსახურება?! განა საბჭოთა მოქალაქეს სრულყოფილად უნაზღაურდება გასამრჯელო, ხელფასი, ჯამაგირი თავისი რეალური შრომიდან?! ეს ხომ თემაა კომედიისა ,,ვაი ჭკუისაგან''?

ასე რომ, ბატონო, პრეზიდენტო, უმჯობესია ვაღიაროთ: ჩვენ საწყლები ჩვენი ნამუშევრის ერთ მეხუთედსღა ძლივს ვინაღდებთ, როცა ამ ფულის ოთხი მეხუთედი იმპერიალისტური მიზნებისკენაა მიმართული და ხშირად ხერხდება კიდეც მისი რეალიზაცია ავღანური გენოციდების, ქართული ცხრა აპრილების თუ აზერბაიჯანული იანვრების სახით.

მადლობა უფალს, მსოფლიო ჩალით არ არის დახურული! მადლობა უფალს, კრახს განიცდის რუსული ჩექმითა და ხიშტით ქვეყნიერების საყოველთაო გაწითლების გეგმა. ამ საქმეში უთუოდ ყვანტალებს თქვენეული წვლილიც ავღანეთიდან თუ ევროპის ქვეყნებიდან საბჭოთა უკანდახევაში, მაგრამ ამიხსენით ღვთის გულისათვის, რისთვის უხმობთ რესპუბლიკებიდან კიდევ ათასობით წვევამდელ ახალგაზრდას, როცა ტვინნაღრძობი ალქსნესის სიტყვებს თუ დავესესხები, ასეულ ათასობით უსახლკარო სამხედროსთვის ვერაფერი მოგიხერხებიათ?!

ბარემ აქვე გაგანდობთ, სამხედრო სამსახური რანაირადაც მესმის. თითქმის უმეტეს სამხედრო ნაწილში უფუნქციო არსებობაა წლების მანძილზე. ჩვენი ყაზარმული ცხოვრება ,,სბორებზე'' (სამხედრო ნაწილის ნომერს არ ვასახელებ სახელმწიფოებრივი უშიშროების მიზნით), იმით ამოიწურება, რომ გორაკი-საფარი მოვხსნათ ერთი პოზიციიდან და სხვაგან გადავიტანოთ-გადავნნერგოთ. მოკლედ, ასეულის მეთაურის დაწყებულ საქმეს გენერალი აგვირგვინებ. ასე რომ, მათი გემოვნებისა და სტრატეგიული შეხედულების შესაბამისად, ხეტიალობს ეს გორაკი ჰომეროსისა არ იყოს, სამხრეთიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.

რაც შეეხება ავღანეთიდან დემობილიზებულებს, სისხლში ხელგასვრილებს და ამდენად, დასახიჩრებულებს, როგორც ფიზიკურად, ისე — სულიერად, კეთილი ინებონ და ÀÊÌ -ის ნაცვლად ბარს და თოხს მოჰკიდონ ხელი! რა, ვითომ, ნაოფიცრალს არ ეკადრება პროფესიის გამოცვლა?! შტატების შემცირების გამო ხომ ინერგება პრაქტიკაში ინჟინრის გაექიმება და ექიმის გაბეითლება, ან ხარაზის გადალაქება და დალაქის გაყასბება?! (სპიდის საშიშროება პარიკმახერებსაც დაატყო თავის მსახვრალ ხელი, წვერის მოპარსვა რომ აიკრძალება. მალე შესაძლოა პეტრე დიდის ნაჯახებიც დაგვჭირდეს, ქოსათა გამოკლებით). ერთი სიტყვით, კეთილი ინებონ და იმ დემობილიზებულმა თუ დემონტაჟებულმა ამხანაგებმა დროა იზრუნონ თავიანთი კვალიფიკაციის პროფილის შესაცვლელად, მაგრამ ფუჭია ყოველივე, ბატონო პრეზიდენტო, თუნდაც იმიტომ — ეს უკანასკნელნი არაფრით დათმობენ ღვთიურ პრივილეგიებს.

პრივილეგიებს-მეთქი, რომ ვამბობ, ამასაც გაგიმხელთ და თავად განსაჯეთ: ოცდაორი წლის ასაკში მხარზე მოციმციმე ორი მომცრო ვასრკვლავი, სამას მანეთამდე ხელფასი, უფასო კვება, უფასო ბინა, უფასო ჩაცმა-დახურვა; დავუმატოთ ყოველივეს ნებიერი ცოლი, რომელიც წელიწადში ერთხელ მაინც უთუოდ იკაჟებს ჯიგრებს სამხრეთის ზღვისპირეთში. მიუმატეთ ამას ორი მიბნედილი ასული და დანაზოგი ფულით შეძენილი ,,ჟიგული'', რომელსაც გაყიდვის მოსურნეს, საკომისიო ფასებში ცინცლავენ, ე.ი. გადააგდებენ იგივე თაღლითი სამხრეთელები; ჩვენ კი, ბატონო, პრეზიდენტო, კლიმატი გვიფუჭდება ჭარბი გამონაბოლქვით, ეკოლოგიური კატასტროფა გვიტევს, მაგრამ მთავარია, რომ სულ რაღაც ორმოცს მიტანებული ქუდბედი სიკვდილის ბოლომდე გარანტირებუ-

ლია საკმაოდ სოლიდური პენსიით, და მეყოლეთ ვარდივით, რამდენიც ასეთნაირი ცხოვრებით გაზულუქებულმა უკან დაიხიოს, ნებაყოფლობით უკუაგდოს ციდან ჩამოვარდნილი განცხრომა?!

ანდა გენეტიკურად სახელმწიფო კაცად ჩამოყალიბებული ამ კაცუნა-რობოტისათვის, რა დიდი ბედენაა რუსთაველის პროსპექტზე ბარ-ნიჩბის სამიოდე შემოქნევა?! შრომის ნოსტალგიასაც ხომ უნდა მიეგოს პატივი ხანდახან?! აი, ჯულბასია ძაღლის თავი სად ამორიხვინდა?! აი, სად ამოტივტივდა საფრანგეთში ხსენებული უფასო მომსახურების კუდი და ეშვები! მაშინ, თქვენ, ბატონო, პრეზიდენტო, საქართველოში ექსპერიმენტების რაინდად ცნობილი პიროვნებაც გახლავთ და თავს გიქიცინებთ მომეტებით, მაგრამ იმას ეყოფა აღმოსავლური სიბრძნე, ბოლომდე გაუხსნელი გაგცლოდათ უკიდურესობის ჟამს, სრულებით რომ არ ამოირეცხოს ერის ცნობიერებიდან! ისე კი მეტი ერთგულება მართებდა, მეტი გულწრფე ლობა უანგარო პატრონის წინაშე, თუმცა მაშინ სუფთა ჰაერიც ხომ უნდა ჩაეყლაპა?! ასე რომ, ცეცხლთან თამაშის მიუხედავად, ცხენიც შეკაზმული მყავს და საგარეო ტანსაცმელიც, მაგრამ მე არისტოტელეს სიტყვები უფრო მეძვირფასება, როცა ეს უკანასკნელი პლატონთან მეგობრობას ჭეშმარიტების სახიფათო სამსახურს ამჯობინებს.

მოკლედ, ჩვენი ნამუშევრის ოთხი მეხუთედით შენახულ მუნდიროსნებს თავზე რომ დავისვამთ მოლოქივით, ბუნებრივია, დემოკრატიის განხორციელების სურვილი ინფანტილიზმია მხოლოდ; მიუხედავად ამისა, ბატონო, პრეზიდენტო, თქვენ უეჭველად შეხვალთ კაცობრიობის ისტორიაში, როგორც სოციალიზმ-კომუნიზმის „მაცდური იდეოლოგიის ბალავრის მომშლელი, უტოპიური თეორიული ახლომხედველობის მამხილებელი“, თუმცა შიგადაშიგ საბჭოური მონაპოვრებიც გწამთ გულუბრყვილოდ. ასე რომ გაორებულ ყოფნას გარგუნებთ იღბალი.

მართლაც, რა დიდებული იდეალებს დასახავს ჩვიდმეტი წლის სოციალსტური რევოლუცი?! რა მაცდუნებელია პუშკინისეული ამ ანჩარის: თანასწორუფლებიანობა, ინტერნაციონალიზმი, ძმობა და ერთობა, მაგრამ მე უფრო ტოლსტოის „აღდგომის“ პათოსი მხიბლავს და ის ბუნებრიობა, რაც ცხოვრებას ახასიათებს საერთოდ, ყოველგვარი შელამაზებისა და ტენდენციურობის გამოხშირვით, რუპორი მაიაკოვსკისა თუ ძალადპარტიელი გორკისგან განსხვავებით. ამდენად, ბატონო, პრეზიდენტო, ნათელი გახდება ჩემთვის, თუ რა ძვირადღირებულია ეს „უფასო მომსახურებანი“; სწავლა, განათლება, ჯანდაცვა; ჩვენი უმთავრესი ნაოფლარი კი ისევ ჩვენს სამტროდ კონცენტრირდება თურმე სახელმწიფოს ხელში უთვალავი შენაერთის შესანახად; ჩვენი ნაამაგარი ჩვენვე გვიჭერს ყელში, ჩვენი ნაჭირნახულევით ლამის მონებად ვიქცეთ.

ახლა, რაც შეეხება ჩემს ეროვნულ პოზიციას: დიახ, მე ტომით ქართველი ვარ, მაგრამ ამავდროულად მთელი კაცობრიობის შვილი, მსოფლიო მროქალაქეც, ვისაც თუშური ქუდი რომ არ ხურებოდა იმ კვიმატი აპრილის სისხამს, ვინძლო ამ საუბრისათვის მოცლოდა: ალესილი ლითონი ვერ მოერევა ერის მიერ ჭირ-ვარამში გამობრძმედილს! (მწერლური ჰიპერბოლა) აქვე ერთ წინადადებას ვთავაზობ თქვენს უზენაესობას, რათა ეს ქუდი მასობრივად დავნერგოთ წარმოებაში. შესაძლოა ხვალ-ზეგ ყველას დაგვჭირდეს, ლიფსიტებით დაწყებული მთლად ვეშაპებით დამთავრებულს. მოკლედ, ქართველი ვარ და ამით მომაქვს თავი, როგორც თქვენ — რუსობით, ან ლანდსბერგისს — ლიტველობით.

საქართველო ავგაროზივით ასვენია ჩემს გულთან და ეჭვსგარეშეა, ვერაფრით გავხდები ოსი, თუნდაც ხეთაგუროვის გვარისა და ვერც ღამურა ბუჩუკურობა მეჭაშნიკება მაინცდამაინც, ახლახან მაღალი ტრიბუნიდან ნაბჟუტურალით დიდებულ გვარ ლაფში რომ აყურყუმელავებს, თუმცა მე ხომ ვიცი მის ზურგს უკან ვინ მართავს მარიონეტების სპექტაკლს?!

ერთი სიტყვით, ქართველად დარჩენას ვაპირებ, ბატონო, პრეზიდენტო,! ვერავითარი გარდაქმნა და პერესტროიკა უშველის ამ საქმეს! ქართველი ვარ და ასეც აღვესრულები! თვითონ ქართველობა კი შემდეგნაირად წარმომესახება: ღირსეული მასპინძელი — ძმისკვლელ სტუმარსაც შეივრდომებს, მაგრამ არც გადამთიელ ყივჩაღს შეალანძღვინებს თანამეცხედრის მანდილს და აღარც სამშობლოს მტკაველ მიწაზე შემოცილებულ შენი ქვეყნის ხიზნებს გაატანს რამეს.

თქვენი წინამორბედები ახერხებენ ყოველივეს მზაკვრობით, ინკვიზიციური მეთოდებით, და დღემდე ვიმკით მათ მიერ დათესილ ღვარძლს, თუმცა არ გაუმართლბს ფოლადის კაცად წოდებულს და ვფიქრობ, პროლეტარიატის ბელადსაც დიდ ხანს არ უწერია უკვდავების წინაშე თავმომწონეობა პედესტალიდან. ისე კი, რამდენადმე შევასრულებდით მძიმე მეტალურგიის ჩავარდნილ გეგმებს ორივე მონუმენტის ლეგიონისათვის უძირო ხრამ-უფსკრულების ნაცვლად მარტენის ღუმელებში რომ გვეკრა თავი!

არ ვაპირებ-მეთქი ქართველობაზე უარის თქმას! პირიქით, ბატონო, პრეზიდენტო, პირიქით!

თქვენი ნაუცბადევი უკაზის შემდეგ მთლად ხელ-ფეხი შემეხსნება. უნეტარეს სულიერ თავისუფლებას განვიცდი, რადგანაც მართლისმთქმელს, შესაძლოა ფეხმარდი სინიბი შესაკაზმი არც გამიხდეს გრძელი ქვეყნის გზაზე შემდგარს; რადგანაც ჩემი ქართველი ძმების გვერდით ვდგავარ, ოღონდ არა ტყვიაგაუმტარი ჟილეტითა და ჩაფხუტიანი მუზარადით; არც კალაშნიკოვისეული ავტომატი მეკავება ხელთ, ვინაიდან ჩემში პუშკინის სულის მეტნაკლები გარდმოვლენაა, იმ არაბის შთამომავალის, უიარაღოდ რომ გავა დუელში რუსეთის სინდისის გადასარჩენად.

მე მწერალი ვარ და ვერ ვესვრი პოტენციურად ჩემს მკვლელ ალან ძმობილს,, სხვათა შორის თქვენი უკაზის მერმე ნადირივით გაცოფებულს! ჰოდა, დავდგები მე ჩემი ქართული მიწის დასაცავად, ისე რომ, ჩემგან მოზიდული სასხლეტი ვერ აატირებს მრავალტანჯული ოსი დედის გულს, თუმცა იმასაც ვათქმევინებ მსოფლიოს: **ოსმა ხალხმა და გორბაჩოვმა მოკლეს ქართველი ბელეტრისტი, რომელსაც თავად პრეზიდენტივით, ვინ იცის, იქნებ ნობელის პრემიისათვისაც კი გამოეკრა ხელით**, და მე — ბარიერის მეორე მხარეს — გიხსნით თქვენ სამუდამო დავიწყებისაგან.

ხოლო, რაც შეეხება ჩემს ბრძენ რუსეთს, ჩემი პუშკინის, ტოლსტოისა და დოსტოევსკის რუსეთს, თვითონ გამოუტანს განაჩენს თქვენსა და ჩემს მამაშვილურ ფილოსოფიას, (თქვენც ხომ ფილოსოფია უფრო გიტაცებთ, ვიდრე პოლიტეკონომია?! რომელიღაცა ინტერვიუდან გამახსენდით უცებ), ჰოდა, ბატონო, პრეზიდენტო, გამორიცხულია თავისუფალი იყოს ერი, რომელიც სხვას იმონებს; გამორიცხულია თვალახელილი იყოს ერი, რომელიც სხვას აბრმავებს; გამორიცხულია ამაღლებული იყოს ერი, რომელიც სხვას უქრობს მყოფადის რწმენას (ჩაიხედეთ ლაო ძის — ,,დაო დე ძინში''), თუმცა უკვე შემომთენებია, თქვენს უკაზსაც ვადა გასვლია, და ისღა დამრჩენია, კვლავ აღმოსავლურ გონიერებას დავესესხო: **უმაქნისია ლექსების ჯღაბნვა, როცა სამშობლოს კარიბჭეს მტერი მოსდგომია!**

უსაფუძვლო ავტონომიის შენარჩუნებასთან დაკავშირებით კი იმას დავძენდი, რომ , თქვენებურად ცეზარი იულიუს კეისრის ,,დავიდე ეტ იმპერას'' ყავლგასულია, ნიღაბახდილი და გა რადგანაც მშვენივრად მოგვეხსენება ყველას — რასაც დაჰყოფ და დაანაწევრებ, მეტოქედ ვერ გამოგადგება ხელოვნური შინაგანი წინააღმდეგობების წყალობით, თუმცა წარმოიდგინეთ, ბატონო, პრეზიდენტო, მე მიყვარს და ვაფასებ შემოქმედ ალან ხალხს — ნართებს, როგორც ბუნების ჯილდოს და თითო-ოროლა რაგინდარა პოლიტიკანის წყლების ამღვრევით მათი განქიქება არანაირად გამართლდება.

ითქმის განა ძვირი გერმანელ ერზე შერეკილი შიკლ გრიუბერის ოსვენციმ- ბუჰენვალდების გამო; ან დადანაშაულდება ვითომ რუსობა ამბიციური ტახტისმტეების ორსაუკუნოვანი მონღოლური ჩვევების წილ?!

დარწმუნებული ვარ, ბატონო, პრეზიდენტო, რომ ნებისმიერ მოძალადე ერში ოდესმე უცილობლად გაიღვიძებს ღვთაებრივი ნიჭი — ჯერ თავის უმეცრებას დაგმობს საჯაროდ, შემდგომში სრულფასოვნად აღიარებს სუვერენიტეტს, განუმეორებლობას ადრე დამონებულისას, სხვანაირად თვითონაა დასაღუპავად განწირული.

ახლა, კი მშვიდობით, ბატონო, პრეზიდენტო! მშვიდობით-მეთქი, იმისათვის გშორდებით მწუხარე სახის რაინდის იერით, რომ, როგორც დონ კიხანოს ერთობ შეანჯღრევს რაინდული რომანების კითხვა და გონებასაც საგრძნობლად აუმღვრევს, ისე ამ მარათონული ტელედებატების, სესიებისა და ყრილობების ჭვრეტა-თვალთვალი მეც საკმაოზე მეტად შემაჭანჭყარებს და თუ რაიმე ისე ვერა, მიეტევოს თვინიერების სახლის ბინადართათვის ხუთი თითივით ცნობილ, ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობას.

ბარაბას არჩევი

როგორც ჩანს, გორბაჩოვთან შეხმიანება მეტჯერ აღარ მომიწევს — ამაო გამოდგება ორ ცხენზე ჯირითი დემოკრატიზაციისა და ცენტრის შენარჩუნების მარულაზე. ვეღარ გაითვლიან გონებადაუნჯებით, რომ პირველი გამორიცხავს მეორეს, და მართლაც, რაღაც თვენახევარში 15 რესპუბლიკის ნაკალაპოტარში 11-ღა მიედინება ახლა ÑÍ Ã-ს სახელწოდებით, 11 სუვერენული სახელმწიფოს სტატუსით, ოღონდაც ერთიანი ეკონომიკური სივრცითა და სამხედრო სტრატეგიით.

გარდასახვას ნუ იკითხავთ: უკრაინა ჯიუტად ებღაუჭება ყირიმს, შავი ზღვის ფლოტს; ელცინი ყველასაგან დაუკითხავად ადგილმდებარეობას შეუნაცვლებს სტრატეგიული მნიშვნელობის ორი

ათასზე მეტ რაკეტას, ისე რომ, კრავჩუკი მხრების აჩეჩვასაც ვერ ასწრებს; მოლდავეთში მეთოთხმეტე არმია ბანაკდება მშვიდობის მისიით.

ყველაფერი ნათელია. ტოტალიტარული რეჟიმის სსრკ-ს მაგივრად მივიღებთ ვითომ ნაკლებად აგრესიულს, ვითომ ცენტრის მაჯისცემას მოკლებულს, მაგრამ უკვე აშკარად რუსეთის ყბებში მოქცეულ იმპერიას და ამისთანა ვითარებაში, ბუნებრივია, სამოკავშირეო ხელშეკრულების დაუძინებელი მტრისათვის — ზვიად გამსახურდიასთვის პოლიტიკური ასპარეზი ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ ამ საკითხს მოგვიანებით უფრო დაწვრილებით მივუბრუნდებით, ახლა კი უშუალოდ მოვლენების განვითარებას მივყვეთ.

საჭირო შეიქნება საქართველოში ჩამოყალიბდეს შეუვალი ძალაუფლების ინსტიტუტი, საპრეზიდენტო მმართველობის სახით, მაგრამ ამისათვის პარლამენტის დასტურ-ლამალი არ კმარა, აუცილებელია ხალხისგან ნდობის გამოხმება და უკვე იურიდიულად პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებას ერთხელაც შეაგდებს სასწორის პინაზე — გამოცხადდება საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნები. და ჩვენც ქართველი ინტელიგენციის ნაწილის არნახული ისტერიკის მოწმე შევიქენებით.

პრეზიდენტობის მაძიებელ ზოგ პიროვნებას შესაძლოა გარკვეული წარმატების იმედი უფხაკუნებს სულში, მაგრამ ყველა კანდიდატს სრულიად ცალსახა მიზანი ამოძრავებს: რაც შეიძლება მეტი ხმა წაართვას ბატონ ზვიად გამსახურდიას; ოღონდაც გამსახურდიამ არ გააღწიოს პრეზიდენტის პოსტზე და არაფერს ჩივიან. ისეთი პასკვილებისა და ცინიზმის ნიაღვარი დაიძრება ტელევიზიის ეკრანიდან, რომ ჰერაკლეს მკერდსაც გაუჭირდებოდა იმ წუნწუხოს შეჩერება.

ვინ, რომელი არ იყრის კენჭს, თავიანთი მერმინდელი განმარტებით, საპრეზიდენტო მმართველობის გასაუქმებლად:

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, ბატონი ნოდარ ნათაძე;

„საზოგადოება რუსთაველის" ვიცე-პრეზიდენტი, ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე;

სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (როცა საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადებს და დე-იურედ მაინც საერთაშორისო სამართლის სუბიექტია), ბატონი ვალერიან ადვაძე;

საქართველოს კომპარტიის სახელდახელო ლიდერი, ბატონი ჯემალ მიქელაძე;

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის მესვეური, ბატონი მიხეილ ნანეიშვილი;

ფედერალისტების ფლაგმანი, ბატონი ირაკლი შენგელაია, თუ ჰომეროსის ჩინებული მთარგმნელი ბატონი რომან მიმინოშვილი.

ნდობით აღჭურვილი რამდენიმე პირი აილესავს ენას საპრეზიდენტო მმართველობის ჩასაფუშად. ის კი არა, ამჯერად სრულიად არამკითხე მოამბე, სედპ-ს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი წერეთელი, უკადრებელს იკადრებს — იარაღის ჟღარუნით ხელში ჩაიგდებს ეთერს და უკვე ამომრჩევლებისადმი ზვიად გამსახურდიას გამოსვლა-მიმართვის მერმე, ლამის შუაღამით, ხალხს მოუწოდებს: უზურპატორი გამსახურდიას არ მიევცეთ საშუალება თვითნებურად იპარპაშოსო.

მოგვიანებით, 87 პროცენტი ამომრჩევლისაგან აღიარებული პრეზიდენტი, ერთ-ერთ ინტერვიუში მადლობასაც კი მოუხდის მრისხანე ოპონენტს უნებლიეთ გაწეული სამსახურისათვის:

— მისმა გათათხვამ დაახლოებით ოცი პროცენტი ხმა შემძინაო.

ოცდაექვს მაისს ხალხი დილაადრიან დაიძრება საარჩევნო უბნებისაკენ.

ამჯერადაც შეუძლოდაა ჩემი მეუღლე, მაგრამ ეროვნული ფორუმის არჩევნების გამოცდილება არ გამომადგება. ჩემს ბიულეტენსღა იკმარებენ. დამპირდებიან, რომ შინ მიაკითხავენ ლოგინად ჩავარდნილს, თუმცა დღის თორმეტი საათისათვის ყველაფერი გადაწყვეტილია და ოთხკედელშუა გამოკეტილი თანამეცხედრის ხმისათვის ვინ მოიცლის?!

წარმატება მართლაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს: ოთხმოცდაექვსი მთელი და რაღაც მეათედი, ანუ ფორსირებული ტრიუმფი.

მილოცვები.

საერთო ზეიმი.

აწეული განწყობილება, რომ ხალხი და პრეზიდენტი ერთიანია; რომ ხალხისა და პრეზიდენტის გულისთქმა იდენტურია; რომ გამსახურდიას გზა ქრისტესმიერია ყოველდღიურობის გოლგოთიდან სამერმისო მარადიული სასუფევლისაკენ.

ოპოზიცია მაინც არ ცხრება, მოითხოვს სიტყვის, პრესის თავისუფლებას, მოითხოვს ტელევიზიის დეიდეოლოგიზაციას; მოითხოვს პრივატიზაციის დაჩქარებას, საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლას, პრეფექტურის ინსტიტუტის შეჩერებას, იმისდა მიუხედავად, რომ პრეზიდენტი სათანადოდ განმარტავს საქართველოში მისი დანერგვის აუცილებლობას:

— ქართული ხასიათი ფრანგისას უახლოვდება რამდენადმე. ფიცხი ბუნების ქართველებისთვის უცხოა ქვეყნის მართვის გერმანული წესი, სადაც ინტელექტი, ცივი გონება, კანონის უზენაესობა განსაზღვრავს ყოველივესო.

ოპოზიციური გაზეთები: ,,დრონი'', ,,საქართველო'', ,,ახალგაზრდა ივერიელი'' დაუღალავად იღვწიან მიწის რეფორმის დაჩქარებისათვის, რაც პრეზიდენტის განცხადებით ფრიად სათუთი საქმეა ისედაც მცირემიწიანი ქართველებისათვის. ჯერ ერთი, მზადდება პროექტი, მერედა, მიწა გლეხს სრულ უფლებამოსილებაში თუ გადაეცემა, მესხეთი, მარნეულის რაიონი ავტომატურად უცხოტომელთა ხელში აღმოჩნდებაო. დრო კი არ ითმენს. საქართველოს აღიარებას სასიკეთო პირი არა და არ უჩანს.

— ვერც ვეღირსებითო, — დაუფარავად აცხადებენ მიტინგებზე, — ვინემ დიქტატორი გამსახურდია გვაზის თავზე, საქართველოს დამოუკიდებლობა ფუჭი ოცნებააო, — მწარობენ.

ქართული მწერლობა სდუმს.

საქილიკო თემად იქცევა მთავრობათა სასახლის წინ აღმართული კარვები და ტელეფონითა და სახაზინო კვებით უზრუნველყოფილი მისი ,,შტატიანი'' ქალები, ხან ,,მდედრიონს'' რომ უწოდებენ აგდებით და ხანაც — ,,ზვიადის ბეტეერებს''.

გამოიძებნება სახსრები ეროვნული გვარდიის ჩამოსაყალიბებლად. შეწყდება საკავშირო კომისარიატის ქართველი წვევამდელებით მომარაგება. გაუქმდება არაკანონიერ ფორმირებებად წოდებული ,,მხედრიონი'', სხვანი და სხვანი, მაგრამ მოსკოვის ინსცენირებული ,,პუტჩი'', რომელსაც ერთი დღით გამოვასწარებ ცოლ-შვილთან ერთად, დამანგრეველ დარტყმას აგემებს უკანსკნელ იმპერიას. ცენტრის გასამტკიცებლად გამიზნული ამბოხი, კარდინალურად საპირისპირო შედეგს გამოიღებს. გორბაჩოვის ზეასატყორცნად გათვლილი გადატრიალება, რიკოშეტის პრინციპით ელცინს დაუდაფნავს შუბლს. იანაევის ხელების კანკალის საწინააღმდეგოდ დარაზმულ ინტელიგენციას ედუარდ შევარდნაძეს კრაველის ქუდიც მიუძღვის თეთრი სასახლისაკენ.

ჰუგოს და პავლოვის ,,თითმკვლელობა'', ალბათ, მრავალ საიდუმლოს ჩაიტანს შავ სამარეში. პრეზიდენტის სავარძელი მთელის განწირულობით აჭრაჭუნდება.

მოსკოვური მოვლენები საქართველოშიც გაამწვავებს პოლიტიკურ კლიმატს. ზვიად გამსახურდია ეროვნულ გვარდიას სტატუსს შეუცვლის, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარებს, იმ მოტივით, რომ ახალგაზრდობა მოვარიდე მოსალოდნელ მსხვერპლსო! გვარდიის გენერალიტეტი კი ამ ქმედებას პრეზიდენტს პუტჩში თანადგომად ჩამოართმევს. ასახელებენ კიდეც მეამბოხეებთან კონტაქტის დამყარების ,,ფაქტებს''. გვარდიის ძირითადი ბირთვი ფიცმიცემულ თავის პრეზიდენტს გაემიჯნება, შავნაბადაზე დაბანაკდება. ასე რომ, პოლიტიკურ დაპირისპირებულობას ახლა სამხედრო კონფრონტაციაც დაემატება.

ორი სექტემბრის მშვიდობიანი მიტინგის იარაღით დარბევა ხომ ნაპრალს უფსკრულად აქცევს. არადა, ისვრიან მაშინ, როცა პრეზიდენტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის ჩამობრძანებულ ამერიკელ კონგრესმენებს მასპინძლობს. ეროვნული მილიციის საბოტაჟს, პროვოკაციული ხასიათის გასროლებს, უკვე მასები არაფრად დაგიდევს. და, ცხადია, აქამდისაც ჩასაფრებული ოპოზიცია მთავრობის ანკესზე წამოგებას აწი ხელიდან არაფრით გაუშვებს. მით უფრო, რომ აღნიშნულ ვნებათა ღელვას წინ უსწრებს ედპ-ს თავმჯდომარის, ბატონი გიორგი ჭანტურიას ,,მოსსოვეტში'' გამსახურდიას ,,მაკომპრომე- ტირებელი'' პრესკონფერენცია: ოდესღაც ზვიადის გამო სხვათათვის ,,ტყვიით შუბლის გამხვრეტელი'' პოლიტიკოსი, წარამარა მოიშველიებს სიტყვიერ საბუთებს ,,ფალსი ფიცირებული არჩევნების'' გასაბათილებლად.

ოპოზიცია ბობოქრობს. ყოველგვარი ეფექტს დაჰკარგავს პრეზიდენტის მხარდამჭერთა მიტინგების თითქმის შეუცვლელი კონფერანსიეს — ავთანდილ რცხილაძის ბზარშეპარული ხმა.

კრიტიკოსი თამაზ წივწივაძე მედოლეობას და ჯუღაშვილზე შეთხზული სიმღერებით ქორწილ-ქორწილ პროწიალს წააყვედრის ხელმწიფის ტოლ კაცს — პრეფექტს, რის გამოც დაზარალებული სასამართლოში უჩივლებს ბრალმდებელს და პილპილმოყრილი სტრიქონების ავტორს, ვინ უწყის, რა ბედი ეწევა, მომჩივანის სასამართლოზე გამოუცხადებლობა რომ არა.

წამოვა ურთიერთდამაკნინებელი და ურთიერთდამთრგუნავი წერილების წვიმა. ზოგი ახალგამოჩეკილი მწერალიც აჰყვება ამ ფეხის ხმას. ადრე პრეზიდენტის ხელებს მიჩერებული, ახლა ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს. პრეზიდენტის გაკიცხვა გმირობას გაუტოლდება. ჰუმანურობის კომპლექსით შებოჭილი გამსახურდიას პოლიტიკა ოპოზიციის მიმართ დაბალი ღობის იერით წარსდგება. წინ კი ხუთი ოქტომბრის განსაცდელი ელით მთავრობის სასახლის დამცველებსაც და თავდამსხმელებსაც. ამ ურთიერთ შეხლა-შემოხლას, ადამიანების ერთი ბანაკიდან მეორეში ლახტს

მიმსგავსებულ გადათრევებს, მალე ტყვიების სეტყვა მოჰყვება, რომელიც სრულებით არ ჰგავს პრეზიდენტის შეპირებულ **ვარდებს** და უკვე ქართველების სულში გაჩენილი ხრამის გამთლიანება სასწაულმოქმედსღა თუ ძალუძს.

რუსთაველის პროსპექტს ბარიკადების წყება გადახერგავს. მეგაფონებიდან და ხმის გამაძლიერებლებიდან უკვე აშკარად მოუწოდებენ პრეზიდენტს გადადგომას. ოპოზიციის მხრიდან მთავრობის სასახლის რეალური დალაშქვრის საშიშროება შეიქმნა და ბატონი ზვიადი ერთხელაც მოუხმობს თავის ამომრჩევლებს;

სოფლებიდან, წარმოება-დაწესებულებებიდან მერამდენედ დაიძრება ისედაც გაწამებული ხალხი, მერამდენედ დაირაზმება მთავრობის სასახლის მისადგომებთან. ამასობაში დაატიმრებენ კინოოპერატორ გიორგი ხაინდრავას და ედპ-ს თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია. ეს ყველაფერი ცეცხლზე ნავთის დასხმას მიემგვანება.

საზოგადოების ნაწილი უფრო ქმედით ღონისძიებებს მოითხოვს მთავრობისაგან. სხვა ფენები კი პოლიტიკური მოღვაწეების ხულიგნობის მოტივაციით დაპატიმრებებს მასობრივი რესპრესიების ყლორტებად წარმოსახავენ.

ოპოზიციას ახალ-ახალი საფუძველი ეძლეოდა მოქმედებისათვის.

საერთო მღელვარებას გარკვეულწილად გააძლიერებს პრემიერ-მინისტრის, ბატონ თენგიზ სიგუას ნებაყოფლობითი გადადგომა და საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონ გიორგი ხოშტარიას სამსახურიდან დათხოვნა.

ირგვლივ სასოწარკვეთილი განწყობილება მკვიდრდება, განსაკუთრებით საქტელერადიოს დეპარტამენტთან გამართული აქციების მერმე და როგორც კი იმ შენობას „ქართული დემოკრატიის შვარცკოფი" — ბ-ნ თენგიზ კიტოვან — დაიკავებს, დაძაბულობა კულმინაციას მიაღწევს, მაგრამ ისევ და ისევ საზოგადოების ძალისხმევით, ისევ და ისევ ალალ-მართალი ხალხის თავგანწირული თანადგომით, რუსთაველის პროსპექტი არათუ გაიწმინდება ოპოზიციური ძალებისაგან, დაიხურება კიდეც მათი შტაბბინები, განადგურდა მათი არქივი და ა.შ. ეს ყველაფერი ხალხის ნებით აღსრულდება. აქ სამხედრო ფორმირებები უმნიშვნელო როლი ითამაშებენ, თუმცა მიტინგებზე, პრესაში რატომღაც ზუგდიდის ბატალიონის სახელი წამოტივტივდება, როგორც თბილისელი კაცის დამსჯელისა.

მთავრობა აქტიურად მოქმედებს. შავნაბადაზე სამი პირტიტველა ყმაწვილის განიარაღება, რაინდული სულის მედიკოსის, გია აბესაძის თავგანწირვა — ბენზინს რომ გადაისხამს ტანზე და ზეზეურად აბრიალდება სიტყვებით: **დაე, მე ვიყო უკანასკნელი მსხვერპლი საქართველოს თავისუფლების გზაზეო**; გვარდიელი ჩეჩელაშვილის დაუდგენელი მხრიდან დაღვრილი სისხლი და ოპოზიციის თქმით, პრეზიდენტის კულტით გონებამოწამლული ბრბოს არნახული ერთგულება, დროებით უკან დაახევინებს „დემოკრატიულ" ძალებს.

სამხედრო შენაერთები ქალაქიდან გაიხიზნება. არტილერია მომავალი კონცერტის უვერტურასავით მხოლოდ ერთხელ დაამთქნარებს მთავრობათა სასახლის მიმართულებით. მინების ზრიალით დასრულდება ეს ფუჭი გასროლა. თითქოსდა დადგება საერთო შერიგება-მიტევების ხელსაყრელი წუთი. მიტინგებზე მოიხსნება ლოზუნგები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით.

საპარლამენტო ოპოზიცია ისევ ჭიჭყინებდება, რადგანაც ახლა მას ქართულ პუტჩში მონაწილეობა ბრალდება პრეზიდენტისაგან, რასაც პარლამენტიც დაადასტურებს ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. ბატონი ვაჟა ადამია პირველად წამოჭრის სესიაზე პრეზიდენტის გარემომცველი სამეული მანდილოსნის — დები არჩვაძეებისა და ჯანდაცვის მინისტრი ძოძუაშვილის ალაგმვის აუცილებლობას, ვინაიდან მისი მტკიცებით, ყოველგვარი სიავე მათგან მომდინარეობს. და ახლა, როცა ოთხასიათასი კომუნისტობა სავარძელგამოცლილი უთვალთვალებს ძმათა შეხლა-შემოხლას; როცა კომპარტიის სიით გასულ 73 ამხანაგ-დეპუტატს („**ეპა შორის 14 უპარტიო, ნაღები ელიტა,**" ა. მარგიანი), პარლამენტიდან დაითხოვენ, ხოლო სანაცვლოდ ხელახალი არჩევნები დაინიშნა და აწგანცდილი ფაციფუცი შეიქმნება, ოპოზიციაც ჩვეულებისამებრ ჩაიხრინწიანებს ყელს: ისევ წამოსწევს დაზეპირებულ ლოზუნგებს, ისევ მოუღერებს მუშტს მთავრობათა სასახლეს.

მინისტრთა საბჭოს ახალმა თავმჯდომარე, ბატონ ბესარიონ გუგუშვილი ორგზის მოახსენებს პარლამენტს სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და სატელევიზიო პრობლემების შესახებ. დასაბუთებული მსჯელობიდან აშკარად ჩანს, რომ მთავრობა არაფრით დაუშვებს კრემლის დიქტატს, თავისუფლების გზაზე იგი არანაირი ვალდებულებით შეიკრავს ხელ-ფეხს, მაგრამ ოპოზიციისათვის საეთერო დროის გამოძებნა მაინც ვერ მოხერხდება, რაც უმთავრესად სექტემბერ-ოქტომბრის აქციებისას ტელევიზიის ძვირადღირებული აპარატურის გაპარტახებით გამართლდება.

ამასობაში მოვა პირველი ცნობები საქართველოს აღიარების თაობაზე: უკრაინა, მოლდავეთისა და სომხეთის შემდეგ, სოლიდარობას გამოუცხადებს თავის ისტორიულად მეზობელ სახელმწიფოს. როგორც მთავრობა ირწმუნება, უახლოეს ხანებში ევროპის მთელი რიგი ქვეყნები გამოგვიწვდიან დახმარების ხელს, მაგრამ მათივე თქმით, ისინი თურმე განგებ არ უსწრებენ მოვლენებს, ვინაიდან ამისთანა განცხადებებს ყოველთვის ახლავს ისტერიკული გააფთრებანი ოპოზიციის მხრიდან, შინ თუ გარეთ, საელჩოების კარიბჭეებთან.

იმ დღეებში რუსეთის ცენტრალური ტელევიზია ვრცელი ინტერვიუთი წარუდგენს აუდიტორიას საქართველოს პრეზიდენტს. საუბარი მეტად გულწრფელად წარიმართება. სამახსოვროა ჟურნალისტის ბოლო შეკითხვა და რესპონდენტის ლაკონური პასუხი:

— როგორ ფიქრობთ, მე თქვენ მოღვაწეობის დასაწყისში მოგისწარით, ზენიტსა თუ ფინალში?!

— ეგ არავინ იცის, — დაახლოებით ასეთნაირად დასრულებს ზემოთ აღნიშნულ საუბარს და უნებურად კეისრისდროინდელი დიალოგი წარმომიდგება თვალწინ რომელიღაც კინოფილმიდან:

— როგორი იქნება თქვენი სიკვდილი?! — ჩაეძიება ერთი სენატორი იულიუსს, და ,,მოულოდნელი, უეცარი!'' — არ დააყოვნებს ისიც. თუმცა იქვე, მწერლის გონება ათასნაირ პარალელს დაუძებნის ხოლმე ნებისმიერ ჭირვეულ ფაქტს და მერეც ხალხის სიბრძნისამებრ, როგორც ქუხს ისე არ წვიმს-მეთქი, გავივლებ გუნებაში, მაგრამ მთავარი მოვლენები თურმე კარზე მოგვდგომა.

კონტრრევოლუცია

დავდივართ დაცარიელებულ რუსთაველზე.

მთავრობათა სასახლეს რა ხანია ავტობუსებისა და ბეტონის ფილებით დატვირთული ,,კამაზების'' სამფა მწკრივი შემოერკალება.

ბაზარში გეომეტრიული პროგრესიის სისწრაფით მატულობს ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. და მაინც ვიტანთ ყოველივე სიდუხჭირეს, ვინაიდან ძმათა შორის სისხლისღვრას რაღაცნაირად ავიშორებთ, რაღაცნაირად მივაღწევთ ესოდენად სანატრელ კონსენსუსს.

ოპოზიციის ეროვნული გვარდიის შენაერთები ისევ თბილისის ზღვაზეა დისლოცირებული, რომელსაც იქაური ჭრელი მოსახლეობა ,,გულთბილად შეხვდება, პურს და მარილს გაუზიარებს'': როცა ლაფაროსთან, ყურისძირას იარაღს გიჟღარუნებენ, ბუნებრივია, იხელგაშლილებ. სამთავრობო ოპოზიციის მრავალი წარმომადგენელი აფარებს თავს ,,ჭეშმარიტი დემოკრატიისათვის'' მომართულ ამ ციტადელს, როგორც შემდგომში გაირკვა, თუმცა ხელისუფლება არაფერს მოიმოქმედებს მათ განსაიარაღებლად, მშვიდობიანად განაგრძობს საქმიანობას, მოსალოდნელ განსაცდელს არხეინად უმზერს. ვითარების ზერელე თვალით შემფასებელს შეიძლება ეჭვი შეგეპაროს მთავრობის მიამიტობაში, უგუნურობასა თუ გნებავთ, გაუბედაობაში, მაგრამ მრავალჯერადი ანალიზის შემდეგ დავრწმუნდები, რომ პრეზიდენტისათვის უმთავრესი საკუთარი სამწყსოს წინაშე **სამართლიანის** იერსახის შენარჩუნებაა; ცხოვრების, წუთისოფლის საჭადრაკო დაფასთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ზურგს უმაგრებს პრეზიდენტისვე თქმით, კორუმპირებული ინტელიგენცია, პატივაყრილი კომუნისტობა თუ იმპერიის ,,მთვლემარე'' ბრჭყალები სამხედრო შენაერთების სახით, ნებაყოფლობით უთმობს პირველ სვლას.

კარზემომდგარი ზამთარი ურჩხულივით იზმორება. საჭიროა ევროპის ქვეყნებისაგან დაუყოვნებელი აღიარება. საგარეო ურთიერთობათა კომისიის ახალი თავმჯდომარის, ქალბატონ მედეა თუშმელაშვილის საფრანგეთში ვიზიტიც ამ მიზანს ემსახურება ძირითადად. ყველაფერი კეთდება სიტუაციის გადასარჩენად. ყოველნაირად შეეწყობა ხელი ბარტერულ გაცვლებს: ღვინო, ჩაი, ციტრუსი, მარგანეცი კოლოსალური მასშტაბით ჩაენაცვლება ხორბალს. სადაც პურია, იქ სიცოცხლეა. პურია ჩვენი არსობის თავი და თავი.

ამასთან ერთად მთავრობა ადრინდელი ცოდვების ლიკვლიდაციის გზას დაადგება. სოფლის მეურნეობის მინისტრად ფრიად ერუდირებული სპეციალისტის, ბატონი ნოდარ ჭითანავას, მოყვანა მიზანდასახულს გახდის ქვეყნის გამოზამთრების საქმეს, და რაც მთავარია, აღიარებებს აღიარებები ემატება.

აწ თვალნათელი შეიქნება, რომ ხელისუფლება დაძლევს კრიზისს, სულიერი წონასწორობას აღიდგენს, და მუშაობის კოშმარული წელიწადიც სადაც არის ისტორიას ჩაბარდება.

უკვე არავინ მალავს პრემიერ-მინისტრის, ბატონი თენგიზ სიგუას მავნებლობას საკუთარი ერის წინაშე. მოიშველიებენ ათასობით მამხილებელ ფაქტს: არსებული სავალუტო ფონდით, რესურსე-

ბით თუ სხვა საშუალებით, საზოგადოებისათვის აუცილებელი პროდუქტების ნაცვლად დიდძალი მასშტაბით შემოიზიდება საღეჭი რეზინი, ლუდი, სიგარეტი. მათ საქმიანობას ამიტომაც ეძლევა ძირგამომთხრელის კვალიფიკაცია. იგივე ბრალდებით ფორსირებულად გამოცვლება კადრებისაბანკო სისტემაშიც.

კვლავინდებურად გრძელდება ედუარდ შევარდნაძის — „ჩრდილოეთის თეთრი მელიის" ერის მოღალატედ შერაცხვა. წარსულის ცოდვებთან ერთად ცენტრში მის ანტიეროვნულ მოღვაწეობას მიეწერება საქართველოს აწეწილი პოლიტიკური ვითარებანი. იმდროინდელი საინფორმაციო საშუალებათა მასალების ზერელე ანალიზითაც ვარკვევთ, რომ თურმე „შევარდნაძე უშლის ხელს საქართველოს აღიარება-ცნობას საზღვარგარეთის ქვეყნებისაგან." კორუმპირებულ ოპოზიციასაც თითქოს იგი მართავს გეგმაზომიერად და საქართველოს თავისუფლებას უკვე მერამდენედ ემუქრება აშკარა საფრთხე.

თავად ბატონი ედუარდი პრეზიდენტის პოლიტიკური კურსის შეფასებისას მომეტებულად თავდაჭერილია.

— სახელმწიფო მოღვაწე ხალხში უნდა ტრიალებდესო, — დაასკვნის ერთხელ და ამით არსებული ხელისუფლებას მოსახლეობისგან მოწყვეტილად, კაბინეტში ჩაკეტილად წარმოსახავს.

— შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი ჩინური კედელივით აესვეტება ეროვნულ ხელისუფლებასო, — ბრძანებენ და ივიწყებენ, რომ ყველაფერი როდი გაკეთდება ამ კოლოსალური ენერგიის სამშობლოს სასიკეთო კალაპოტში ჩასაყენებლად. პირიქით, ამათრახებენ, და თანაც საზოგადოებას თხოვენ:

— აღარავინ გყავთ ნათესავები, რომ რაღაცნაირი ზეგავლენა მოვახდინოთ ამ კაცზეო, — იხვეწებიან, — ჩვენი გინებითა და ცილისწამებით წაილეკა უცხოეთის პრესაო, — წუხან.

შეუთავსებელი აღმოჩნდება ყოფილი დისიდენტისა და ფუნქციონერის თანამშრომლობა. თითქოსდა ეს ნაბიჯი შეურაცხყოფს ეროვნულ მოძრაობას საერთოდ, რადგანაც შევარდნაძის ზეობის პერიოდში ციხეებში გამწესდებიან კოსტავა, გამსახურდია, ჩხეიძე და კიდევ ათობით პოლიტიკური მოღვაწე.

ბედის ირონიაა სწორედ. განგება მაინცდამაინც ეროვნული თვითგამორკვევის საბედისწერო ჟამს, ისევ ქართველს წამოატივტივებს საერთაშორისო ასპარეზზე გადაულახავ ბარიერად, და ამდენად, პრეზიდენტსაც ერთადერთი გზა დარჩება — გახსნილი კარტებით პოკერის თამაშის გზა, კომპრომეტირების გზა, რაც განსაკუთრებით დეკემბრის დამდეგს მიიღებს მწვავე ხასიათი.

მანამდე ბატონ ზვიადის გაპრეზიდენტებისათვის ყელმომართული ერთი ჩემი თანაკურსელი ლერწამაძე, ახლა აშკარა მტრად მოევლინება „დრონის" ფურცლებიდან ოდესღაც მისთვის რჩეულს და მოსკოვში, ემიგრაციაში გადაიხვეწება — პროკურორობა ცუდად ჩამოერთმევა ვექილს.

ამასობაში ოპოზიციური განწყობილებები უმაღლეს სასწავლებლებშიც შეაღწევს. სწორედ აქედან დაიწყება მთავრობათა სასახლის შტურმის პირველი აკორდები.

პარლამენტი და მისი დამცველები ქვიშაში თავჩარგულ სირაქლემას დაემსგავსებიან, რადგანაც ავტობუსებისა და ბეტონის კონსტრუქციებით დატვირთული „კამაზების" სამფა გალავანი კინკლაობის ახალ თემად იქცევა. უკვე რუსთაველის პროსპექტის გადაკეტვის გამო აბიაბრუებენ ხელისუფლებას. თავიდან ხომ ამ ბრალდებით დაპატიმრდება ედპ-ს თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია: პოლიტმოღვაწეს ხულიგნობის მუხლი შეეფარდება.

პრეზიდენტის მხარდამჭერნი კვლავაც გროვდებოდებიან, მაგრამ მათ სიმრავლეს ტელევიზია ამჯერად უკვე ახლო ხედებით ქმნის. დილით, შედარებით მშვიდობიან ვითარებაში, ბარიკადის აქეთა მხარე მასიური მერხებით შემოსხდომა ცარცის წრეს და შაურიანებს ესვრის შიგ დიდი ოსტატობით ჩახატულ ფიგურებს: პეტრიაშვილს, ქორიძეს, გუგუშვილს, გამსახურდია-არჩვაძეს.

მომდევნო დღეს სატირულ გაზეთ „კუჭკუჭელას" დაიტაცებს თბილისის მოსახლეობა. შარჟებს მეგობრულს ძნელად უწოდებ: ბაზალეთის ტბის ძირას მოთავსებულ ოქროს აკვანშია ჩაკრული ჩვილის ტანიანი ზვიადი, ერთობ შეუფერებელი და უხერხული პოზით და იქიდან მის ამოყვანას ამაოდ ცდილობენ კოლგოტკებიანი ქორიძე თუ არლეკინო ასათიანი.

ამავე საღამოს შეურიგებელია ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, რომელიც თავის კოლეგას — ბატონ ბესარიონ გუგუშვილს იწვევს სადისკუსიოდ, გულდედლობას სწამებს პრეზიდენტს და მრისხანებით აცხადებს: მთელს თბილისს გამოიყვანს ქუჩებში და ქართველი ერისადმი საახალწლო მილოცვას არ დააცლიან ისე გადათელავენ.

მართალია, მთავრობის სასახლის დალაშქვრა თითქმის ორ კვირას გაგრძელდება და მხოლოდ ექვს იანვარს დამთავრდება, მაგრამ პრეზიდენტი მართლაც ვერ მოახერხებს მშობელ ხალხთან

მისალმნბას, თუ რადიოგადაცემას არ ჩავაგდებთ სათვალავში. მოძრავი სატელევიზიო სადგური მწყობრიდანაა გამოსული დაბომბვისას.

სამხატვრო გალერეის კუთხესთან მიჯნებულ საზენიტო ქვემეხთან რამდენიმე ახალგაზრდას შევესწრები, რომლებიც ყლგამოწეულნი ეხვეწებიან სახეშლემიან გვარდიელებს:

— სასიკვდილოდ ნუ გავწირავთ პირველ ეროვნულ პარლამენტს! საშვილიშვილოდ მოგვეჭრება თავი! ბარემ ჩვენც ჩაგვხოცეთ აქვეო, — მაგრამ ჭიჭყინები ვის ენაღვლება, როცა ღლავ-ვეშაპებზე ნადირობენ?!

გვიან გამოვა ხალხი შოკიდან. საარტილერიო ცეცხლის ინტენსივობისა და სიმძლავრის მიუხედავად, როგორც პრეზიდენტი, ისე პარლამენტი გადადგომას არ აპირებს. შეტევის დაწყებამდე სატელევიზიო მიმართვები მკრთომარე და გაუბედავი თუა, ცეცხლის გახსნის შემდეგ ალყაშემორტყმულები ერთ ბირთვად შეიკვრებიან. მოგვიანებით ხელისუფლების დამცველები თავდამსხმელების უკუქცევასაც მოახერხებენ. ერთხანობას თვითონ ოპოზიცია აღმოჩნდება ოტებულის როლში, მაგრამ იმპერიის ფარული ზურგის ქარი აშკარაა და საზოგადოების მხარდაჭერის ამარა დარჩენილი ხელისუფლების გადარჩენა უკვე თვით მამაზეციერსაც აღარ ძალუძს.

მთავრობის დამცველების შეუდრეკლობით იმედმოცემული ხალხი მეტროს შესასვლელებიდან ტროტუარზე გადმოვა, ტროტუარიდან შუაქუჩაში იწყებს სიარულს.

კაკანებენ ავტომატები და ამ ხელჩართულ ომში ყოველ ნაბიჯზე იხილავთ აქა-იქ შეჯგუფებულ მოკამათეებს, რომლებიც აღგზნებულად განაქიქებენ ამა თუ იმ მხარეს, თუმცა არავინ აზრობს შუაში ჩაუდგეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებულ ძმებს და ძირშივე აღეკვეთოს უკანონო ქმედებანი, ბოროტება, ღვიძლთა შორის სისხლისღვრა. ხოლო დეკემბრის მიწურულიდან მოხშირდება მასობრივი მიტინგ-მანიფესტაციები.

დაუვიწყარია ჩემთვის უნივერსიტეტთან გამართული აქცია, რომელიც მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან ლამის იუსტიციის სამინისტრომდე გაიჭიმება. დაახლოებით ასოცი ათასი კაცი მონაწილეობს იმ მსვლელობაში. წინ თეთრ ცხენზე ამხედრებული სახელმწიფო ცირკის მხატვრული ხელმძღვანელი მიგვიძღვის ეროვნული დროშით. დემონსტრაცია ძირითადად მოსახლეობის გამხნევებას ისახავს მიზნად. ღია ფანჯრებიდან ვხედავთ შეფიქრიანებულ სახეებს, აცრემლებულ დედებს, მომუჭულ, ზეაწეულ ხელებს, გამოფენილ ბაირაღებსაც, ცბიერ ღიმილსაც, ირონიასაც.

დავით აღმაშენებლის გამზირზე, ფოსტამტთან ძვალკანა მეგობარს დავლანდავ, ერთიანად შეძრულს ხალხის სიმრავლით. თუ ასე გაგრძელდება, მისი იერიდან გამომდინარე, ლეგიტიმური მთავრობის გამარჯვება უეჭველია, და დარწმუნებული ვარ, იმ წუთას სული უკანკალებს სექტემბრის დღეებში კანონიერი ხელისუფლე- ბისათვის თითის ქნევის გამო.

აქცია ეროვნულ მილიციას გადაჭრით მოსთხოვს შექმნილი ვითარებისადმი ცალსახა დამოკიდებულების გამოხატვას და ვინიცობაა, კანონიერ მთავრობას მხარში არ ამოუდგება, მაშინ იარაღი გადმოსცეს მოსახლეობს და მერე ის თვითონ განსჯის საითკენაც მიმართავს ლულას.

ასე გაგრძელდება შემდგომში მეტრო „დელისთანაც", რკინიგზის სადგურთანაც, სააკაძის მოედანზეც, თუმცა პირველი დღისაგან განსხვავებით მსვლელობები უკლებლივ ავტომატის ჯერით დაიცხრილება, რაც ხალხს უფრო და უფრო მატებს გამბედაობას. მოკლედ, პრეზიდენტის მხარდამჭერთა ინიციატივა ნელ-ნელა ოპოზიციონერთათვის საგანგაშო მასშტაბებს შეიძენს. რაიონებიდანაც დაიძრებიან მასები და ახლა მათ მოპიკეტეები იარაღით ვეღარ უმკლავდებიან.

ულმობელია სტიქიის ძალა და ფრიად მომართული გონება, რომელიც ჭადრაკის გადადებულ პარტიასავით საგულდაგულოდ გამო ჩხრეკს ოპტიმალურ ვარიანტებს, ვერსიებს, აქამდეც გამბედავი ხელწერით წარმართავდა მოვლენებს, მსწრაფლ იყნოსავს მოსალოდნელ საფრთხეს, უკანასკნელ, გადამწყვეტ იერიშს მიიტანს მთავრობათა სასახლეზე, თუმცა დილის ექვსი საათისათვის დატრიალებულ ჯოჯოხეთს საპასუხო სროლა არ მოჰყვება.

მალე ყოველივე გაირკვევა: ალყაშემორტყმულები მოახერხებენ გაქცევას, კერძოდ, პრეზიდენტის ამალას სამმხრივი ცეცხლი მიჰყვება წითელ ხიდამდე. იქით კი სასურველი მასპინძელი ცერზე დგას— სომეხი ხალხი და მისი მთავრობა მანამდეც შესთავაზებს მასპინძლობას დევნილებს, ოღონდ ჰაიასტანი ამჯერად სატრანზიტო ფუნქციას შეასრულებს, თუმცა როგორც მერმინდელი მოვლენები დაგვანახებს, ჰაოსის ხალხი ვერ ისახელებს თავს მაინცდამაინც, საკადრისად ვერ უმასპინძლებს სტუმარს; პირიქით ტერ-პეტროსიანი ერთხელაც არ ეწვევა რომელიღაც პროვინციულ ქალაქ იჯევანში იზოლირებულებს. ოტებულებს არათუ გადაადგილების, თვით უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრის საშუალებაც მოესპობათ, და დასავლეთ საქართველოში სახელდახელოდ შექმნილი ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი ლამის ნოტას შინაარსის შემცველი წერილით

მიმართავს სომხეთის პრეზიდენტს, რომ ბატონი ზვიადის შევიწროება თუ არ შეწყდება, (რომელიც პროტესტის ნიშნად შიმშილობს), თვითონ სომხეთი აღმოჩნდება სრულ იზოლაციაში: სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტები რა სახსენებელია, ჩიტიც ვერ ჩააღწევს იქამდე, რასაც მომდევნო დღეებში პრაქტიკულადაც განახორციელებენ.

სომხეთი, რომელიც სამართლიადან თავმომწონეობს უძველესი, თვითმყოფადი არქიტექტურით, გმირული ისტორიითა და შესაშური ხელოვნებით; სომხეთი, რომელსაც მძლავრი ემიგრაცია უმაგრებს ზურგს მიკირტუმ-გასპარიჩების თანდაყოლილი ხელოვნების წყალობით; სომხეთი, რომელიც არაერთი დიდებულ რძალს გვაჩუქებს ქართველებს შუშანიკის მეთაურობით; სომხეთი, რომლის არარატის მწვერვალებს ნოეს კიდობანი შეახებს ქიმს (თუმცა არსებობს გივი ალაზნისპირელის ალტერნატიული აზრი, ნუნისის ქვის ვეშაპის სახით), და განახლებული სიცოცხლის ბაქნად მოევლინება ქვეყნიერებას; სომხეთს, რომელსაც ეროვნული ტრაგედიის დღეებში, (სპიტაკისა და ლენინაკანის მიწისძვრით იავარქნას ვგულისხმობ), ორას გრამ სისხლ ვუწილადებ უშურველად, ამ ამბების შემსწრე, ცალყბად შევცინებ ჩემს გიჟვრაცუულ საქციელს, ვინაიდან დავრწმუნდები, უკიდურესი გაჭირვების ჟამს ყოველთვის უმადურად გარდაგვეხდება გადამეტებული გულქართლობა; თუმცა ძმათაგან ტყვიანაკრავ ჩვენსავე პრეზიდენტს უცხოტომელი ვითომ რისთვის უნდა შეეგებოს დიბა-ფარჩითა და ჯეჯიმების დაფოთლილი ბილიკებით-მეთქი, მიხურს გონება.

დასავლეთ საქართველო ყალყზე დგას თავისი პრეზიდენტის ღირსების დასაცავად, ისე როგორც — აღმოსავლეთი და ქვეყნის შუაგული — თბილისი. მშვიდობიან მომიტინგეებს თავიდან ჰაერში გასროლით თუ აშინებენ, მალე უდანაშაულოთა სისხლიც დაიღვრება. ესეც „დემოკრატიის" პირველი საიანვრო ყვავილები. გამსახურდიას ორი სექტემბრის ინსცენირებული გასროლები თუ წამწარდება, ძნელადდასაჯერებელია უკანონო მთავრობას სისხლის წვიმები შერჩეს! დეკემბრის დღეებში რუსთაველის პროსპექტზე მონჯღრეული ორად ორი ჯავშანტრანსპორტიორი რომ დაჯაყჯაყებს, სადღეისოდ მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულს აჭარბებს, თანაც სრულიად მოდერნიზებულს, წინ რომ ვერც მდინარე დაუდგება და ვეღარც — კლდე-ღრე.

საკითხავი ერთია, ხელის ერთი მოსმით საიდან მოუგროვებია ოპოზიციას ესოდენი სამხედრო არსენალი, რომ არა იმპერიის ჩვეული მფარველობ?!

— ვინათხოვრეთო, — წამოცდება ინტერვიუს დროს ერთ გენერალს, და ჩვენც ნუ ჩავეძიებით, თუ რა მოცულობისაა იგი, ან როდემდე გასტანს აღებ-მიცემობის ქლესური ტრადიციები. უმჯობესია, კვალში მივსდიოთ სათქმელს.

ასე და ამგვარად, ზუგდიდში ჩამოყალიბებული ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის ზეწოლა რომ არა, ბატონი ზვიადი შესაძლოა შიმშილით სიკვდილს ემსხვერპლა, ან სამოკავშირეო ხელშეკრულების სასარგებლოდ ფარ-ხმალი დაეყრა, გამტყდარიყო, საკუთარი ნებით პრეზიდენტობიდან გადამდგარიყო, ან კიდევ შორეულ ემიგრაციაში წასულიყო, საფრანგეთია ეს თუ შეერთებული შტატები, მაგრამ, როცა სომხეთს მჭიდროდ შემოეჭირა ქამარი წელზე, მაშინვე გამოჩნდება ცინცხალი ლაინერი მისი ოჯახის წევრებისათვის თუ თანამესაგრეთათვის (ავი ენების მტკიცებით ეს ლაინერი თურმე სუკის წყალობაა?!)

უმეგობრო კაცი განწირული რომაა, მტკიცება არ სჭირდება და მერაბ კოსტავას დამკარგავს, განაწყენებული ოპოზიციისაგან ჩაქოლილს, ჩეჩენი ხალხი უბოძებს თავშესაფარს. სწორედ ჩვენი სისხლხორცეული ძმების, ჩვენი ერთარსი კავკასიელი რასის თანადგომით, ბატონი ზვიადი უვნებელია დღეს, ისე რომ, ჯოჰარ დუდაევთან ბილიარდის სათამაშოდაც იცლის ხანდახან. უვნებელია მისი იდეა, იმისდა მიუხედავად, ბარბაროსულად დალაშქრულა მთავრობათა სასახლე, დათხოვნილია პარლამენტი, რომელიც გროზნოშიღა მოახერხებს შეკრებას, და მისი თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი ბურიდანულ გაორებას განიცდის კვლავაც; იმისდა მიუხედავად, დაპატიმრებულნი არიან დეპუტატები; დახვრეტილია მშვიდობიანი მიტინგები; დასჯილია ურჩი ქალაქები: ფაზისი, სენაკი და ზუგდიდი, მორალური მხარე, გამუდმებული კომპრომეტირებისა და განჩინების ფონზე, ბატონ ზვიადის ეკლიან გზას რომ ახლავს, კოლოსალურია.

გუშინ საქართველოში ეროვნული დაუმორჩილებლობის ნება სუფევდა ყველგან, წარმოებადაწესებულებებში, საგანმანათლებლო სისტემაში, მთასა თუ ბარად; გუშინ ქარაგმული საუბრები თუ იმართებოდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის თაობაზე ბეიკერის თანხლებით, დღეს იგი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეა; გუშინ რესტავრირებული პრემიერ მინისტრი ბატონი თენგიზ სიგუა მეთვალყურის როლში რომ იმყოფებოდა მოსკოვში **ÑÍ Ã**-ს ერთიანობაში შემავალი

ქვეყნების წარმომადგენლებთან, აფორმებდა ცალკეულ ხელშეკრულებებს, ხოლო შეკითხვაზე: შევიდოდა თუ არა საქართველო განახლებული იმპერიის შემადგენლობაში,

— ეს ყოველივე მომავალი მთავრობის საქმეაო, — აცხადებს ახლა და ივიწყებს, გამსახურდიას რანაირად გადასჭამენ თავს „კრემლის აგენტობით", თუმცა მაშინ პრეზიდენტი ბრძანებს:

— თქვენგან განსხვავებით ბილწთ არ შევეკვრი ზავითო, — დღეს სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის ჯარი პრაქტიკულად გაყვანილია და საქართველო თავის ტერიტორიულ მთლიანობაში აღდგენილია თითქოს;

გუშინ კილომეტრიანი რიგები რომ იმართებოდა პურზე, უსინათლობითა და უტრანსპორტობით ეწამებოდა ხალხი, ოჯახს გიწიოკებდნენ, გართმევდნენ სარჩო-საბადებელს, თითქოს ქართველები კი არა ჯალალედინის ამალისანი ყოფილიყვნენ, დღეს შედარებით სიმშვიდეა.

დასავლეთ საქართველო თითქოს ცხრება. თორმეტჯერ გაზრდილ ცხოვრებას გაორმაგებული ხელფასებით ვუმკლავდებით.

ბატონი ედუარდი აჭარაში, ფოთსა და ქუთაისში ჩასვლით ნიადაგს უმზადებს სადადიანოს მოსახლეობასთან შეხვედრას. მოკლედ, საკითხში ჩაუხედავ ადამიანს, გენშერისა და უკვე დანიშნული რამდენიმე ელჩის თვალსაწიერით, შეიძლება მოეჩვენოს, კრიზისი დაძლეულიაო, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, არავინ იცის ხვალ-ზეგ პოლიტიკური კლიმატი რაფორმით წარმოჩინდება.

მართუ მეოთხე

ეროვნული მოძრაობის
მეორე ფორპოსტი (I)

დედაქალაქში თებერვლის მიწურულს ჩამოვბრუნდები. განცდილ-გარდახდილი ქუსლიდან ამოძრობილი ეკალივითაა ხოლმე. სიტყვა ფრიად უძლურია მის თუნდაც მიახლოებით აღსადგენად.

ზუგდიდი, ბატონი მერაბ კოსტავას ბრძანებით, ეროვნული მოძრაობის მეორე ფორპოსტი თბილისის შემდეგ, აბობოქრებულ ზღვას ჰგავს. მთელი დასავლეთ საქართველო, ქუთაისიდან მოყოლებული, სოხუმითურთ, მაჭარივით დუღს.

პირველსავე პრესკონფერეციაზე ბატონ თენგიზ სიგუა ჟურნალისტებს საჯაროდ განუცხადებს, რომ ჭკუანაღრძობ პრეზიდენტს მხოლოდ სამეგრელო ექომაგება, ვინაიდან ისიც ჩემსავით ტომით მეგრელიაო. კოლხურ წარმომავლობას მეგრელების მოსალმობიერებლად მოიშველიებს, თორემ ეს სიმდიდრე არავის გაახსენდება კანონიერი ხელისუფლების დამცველ ზუგდიდის ბატალიონს ავტობუსებში რომ ჟუჟავენ. თუმცა თავად გამსახურდიაც ორიოდე წლის წინათ სიტყვა „მეგრელს" საკმაოდ უდიერად მოიხსენიებს „ლიტერატურულ საქართველოში": „მარგალი" მისი მტკიცებით გაუნათლებლის, გლეხის, რისამე დამრგველის იდენტურია და არა — ენათმეცნიერების პოზიცია: ეგრის, ეგრისის, ენგურის ცივილიზაციის მკვიდრი.

— თავად-აზნაურობა ქართულად საუბრობდა, მეგრული გლეხების ენა იყოო.

საკითხავია, მაშ, რატომ გამოუცხადებს ილია ერისთავების სალონურ ენას უარს, და სანაცვლოდ ხალხის მეტყველებას რისთვის ჩაიხუტებს გულში?! მშობლიური კუთხის დატუქსვა აქ უვერტურაა თურმე შემდგომში მოსალოდნელი სეპარატიზმის აღსაკვეთად.

საუკუნის დამდეგს მაფალუისტები ავტონომიას რომ მოითხოვენ, ამას ერთგვარი გამართლება ეძებნება, ვინაიდან მასას, სამეგრელოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, ქართული არ ესმის.

რაღა შორს მივდივარ, ცხონებული პაპაჩემი თომა გელენავა და დიდედა მარი ჯალაღონხე იმნაირად აღესრულებიანნ, რომ გაქცეულ იმერელს ვეღარაფრით მოაბრუნებენ. ისე კი, ისტორიული სიმართლე რომ აღსდგეს, ჩვენი დედასაქართველოს, ჩვენი სანუკვარი ერთიანობის წინაშე ზუგდიდს არაერთი სიკეთე მიუძღვის. მთავარზე უმთავრესი მაინც მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებს ემთხვევა. საქმე ის გახლავთ, რომ კრემლში, სადაც მოჩვენებითი ავტონომიების გუჯრებს გულუხვად არიგებს რკინის კაცად წოდებული იოსები, საქართველოდან წარგზავნილთა შორის სამეგრელოს წარმომადგენლებიც არიან, „ყაზაყი38 გაზეთის" რედაქტორის, ისაკ ჟვანიას მეთაურობით. ისიც წარუდგენს ბელადს სრულიად სამეგრელოს გულისხმად გასაღებული მაფალუისტების ურაპატრიოტულ მოთხოვნას, რომლის მიხედვით სამეგრელო თავისი შვიდივე რაიონით საქართველოს ერთ-ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად ცხადდება. რამდენადაც ვიცი, წარმოდგენილ დოკუმენტზე დადებითი რეზო-

ლუცია დაფიქსირდება წითელი ფანქრით და მხოლოდ შემდეგ, ოდნავ მოგვიანებით იკითხავს ის რკინის კაცი:

— დედაქალაქი სად გექნებათო.

ისაკ ჟვანია უყოყმანოდ ზუგდიდშიო, უპასუხებს. დაასაბუთა კიდეც ისტორიული სადადიანოს ფლაგმანობას სხვებთან შედარებით, მაგრამ ფოლადის კაცი არ იჭაშნიკებს არჩევანს. დადიანების სატახტო ქალაქში კლასობრივად საშიშ საფრთხეს იყნოსავს და სამეგრელოს ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრად ფოთს შესთავაზებს. ცხადია, საამისო არგუმენტებსაც მოიშველიებს. გაიხსენებს ანტიკური ფაზისის დიდებით მოსილ წარსულს, არგონავტებს: ოქროს საწმისს, მედეას, სახელგანთქმულ აკადემიას. დაასაბუთებს იმასაც, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრს ზღვაც ესაჭიროება, მდინარეც, რკინიგზაც, რაც ხელს შეუწყობს მის ინდუსტრიალიზაციას, სწრაფ წინსვლას, რომელსაც ზუგდიდი არსებითად მოკლებულია კონტინენტური გეოგრაფიის წყალობით, მაგრამ საბედნიეროდ, ისაკ ჟვანიას არ ეყოფა დიპლომატიური მოქნილობა, თავისას დასჩემდება, აყრის და აყრის კედელს ცერცვს.

ბოლოს მოთმინებიდან გამოსული ჩიბუხიანი, მომიცადეთ, მოვიფიქრებ და პასუხსაც მოგახსენებთო, დაუბარებს დელეგაციას და როგორც წყაროებიდან ვგებულობთ, ისინი დიდხანს, დიდხანს ელიან თურმე კაცი-ფოლადის გამოჩენას, ელიან, მაგრამ — ამაოდ.

ასე გადაურჩება საქართველო კიდევ ერთი პოლიტიკური ერთეულით დანაწევრებას. სამეგრელოს ავტონომიის შექმნა თუ რა სავალალო შედეგს მოუტანს საქართველოს, ქართველ ერს, სტალინს იოტისოდენადაც არ ანაღვლებს, ვინაიდან, მეგრულიც, სვანურიც, აფხაზურიც, ოსურიც თუ საკუთრივ ქართულიც მას დიდი ხანია ზვარაკად მიეუტანია კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების ერთიანი ენის — რუსულის სამსხვერპლოსთან, თუმცა იღბალიც გვწყალობს ხოლმე საბედნიეროდ

მტრისას! ავტონომია რომ ჰქონდეს სამეგრელოს, კატასტროფა გარდაუვალია, იუგოსლავიური ძმათაკვლის მასშტაბები სანატრელი გაგვიხდება. ასე რომ, იმ დღეებში ჟვანიასაც ვემადლიერები თავისი ხეპრულობის წილ და სტალინსაც ვეთაყვანები საქვეყნოდ აღიარებული სიკერპე-სიჯიუტის გამო, მაგრამ უმთავრესი ის გახლავთ, რომ „ეროვნული გვარდიის“ მიერ სამეგრელოს ორგზის დალაშქვრის მიუხედავად, სამარცხვინოდ დაწიოკებულ მშვიდობიან მოსახლეობას სეპარატისტული განწყობილებანი წამითაც არ გაუჩდება, ვინაიდან მეგრელს უწინარეს ქართველად მოაქვს თავი და საკუთარ მეობას, აბა, რომელი ჭკუათმყოფელი გაქცევია?!

ვინმე ტეტია ტელეჟურნალისტი, ადრე გაზეთჩიკი და სიყრმის წლებში ხელმოცარული ხელოვანიც, დაქოქვასთან წილნაყარი გვარით, გაცხარებით მიმტკიცებს:

— რომ ხტუნაობთ, რას ხტუნაობთ ნეტავი?! ხომ იცით, მეგრელები მეომარი ხალხი არა ხართ, წამოვალთ აღმოსავლეთიდან და „კატოკივით“ გადაგივლითო.

„კატოკი“... კატოკი... შესატყვისს ვერ ვუძებნი ქართულში, თუმცა რა დროს ლექსიკონებში ჩხირკედელაობაა, როცა გაბრტყელებით მემუქრება ეს ინტელიგენტ-ყბედი?!

ვეტყვი კიდეც დაუფარავად:

— სამი-ორი საუკუნის წინათ კიდევ არა გიშავდათ რა-მეთქი, ერეკლეს დროშის ქვეშ დარაზმულებს, მაგრამ ახლა თქვენც, ჩვენის არ იყოს, ღვინით გაბერილი ტიკ-ჭორები უფრო ხართ, ვიდრე მამულის ერთიანობისათვის გულანთებული რაინდები-მეთქი.

ჩემს ასეთნაირ გაწიწმატებას გაზეთ „შარავანდში“ გადმობეჭდილი ლაფთაცვენანიც ესაძირკვლება უცხოეთის პრესიდან: რომ არავინ ვიცავთ ქუჩაში მოძრაობის წესებს — დიდიც, პატარაც, სპორტსმენიცა და ინვალიდიც, ხულიგანიცა და პოლიტიკოსიც; რომ სადარბაზოები ავგიას თავლას ეჯიბრებიან ყოველ ნაბიჯზე შარდის შეუკავებლობის სინდრომით შეპყრობილი მოქალაქეების წყალობით; რომ ტროტუარზე ორკუზიანი აქლემის კვალობაზე ვიფურთხებით; ვბერტყავთ ქვეშაგებს და ფარდაგებს აივნებიდან, თითქოს დაბლა თანამემამულენი კი არა ჭიანჭველები დაცოცავდნენ.

მეც ბევრჯერ მიფიქრია ჩვენს დაუდევრობებზე, ჩვენს ამაზრზენ ქცევებზე საზოგადოებაში, კინოთეატრსა თუ სტადიონზე. წერილიც მომიმზადებია წლების წინათ, მაგრამ იმ წუთას უცხოელი ჟურნალისტის მკვახე შეძახილით შეძრულს, მომეტევება.

— ქართველები ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში არიან გულმაგრებიო. საკმარისია სიგარეტი ან სანთებელა არ აღმოგაჩნდეს და დანა მუცელში განაღდებული გაქვსო, — როცა, იმ რეპორტიორისვე მტკიცებით, — ორმოცამდე „იკარუსით“ სამაჩაბლოში ჩასულ ქართველთა ლაშქარს მოპიკეტე ოთხი ათეული ოსი ყმაწვილი კუდით ქვას ასროლინებსო. მეტი კუდამოძუებით გამოეძურ-

წება შეიარაღებული ქართველების მრისხანე ბრბო აფხაზების აკაკანებულ ავტომატებს ღალიძ-
გასთანო.

უცხოელი ჟურნალისტი ქვეტექსტს დასჯერდება, ფრაზას ბოლომდე არ დაასრულებს, ლერმონ-
ტოვის საუკუნის წინანდელ მსუსხავ სტრიქონს — „ბეჟალი რობკიე გრუზინის“8 მრავალწერტილში
იგულისხმა.

სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, როგორც ჩანს, მძორად აქცევს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარე-
ობას. აკვნიდანვე ჯარისკაცად, მხედრად, მეციხოვნედ ნაწრთობი ქართველის სანაქებო ღირსებები
სამუზეუმო ექსპონატებად დახვავდება ჟამთა მსვლელობაში: ხანჯლების ტრიალი, თვალებიდან
ნაპერწკლების ფრქვევა, ფერხულის სიმწყობრე და ხორუმის სიფხიზლე, მხოლოდღა სცენას შე-
მორჩება რეკვიზიტად და რაღა გასაკვირია, ყოველდღიურობაში საზოგადო სილაჩრე გვჯაბნიდეს?
ცხადია, მამაკაცებს ვგულისხმობ, თორემ ჩვენი დედები ცხრა აპრილსაც ისახელენ თავს და ამჟა-
მადაც ამაყად ეგებებიან მკერდით შვილების მოღერებულ ლულებს.

ქართველს დიდი ხანია ქვეშეცნეულად უყნოსია საკუთარი ქალაჩუნობა. ის სხვა ეროვნების
მოწინააღმდეგესთან შეჯახებას მოხერხებულად თუ არიდებს თავს, გულზვიადი სწორედ თანამოძ-
მესთანაა, რადგანაც მშვენივრად უწყის როგორი ჩუტლაყიაცაა, განსაკუთრებით მამლის გამო-
საწმენდად ვარგისი ჯაყვა მაინც თუ მოუბღუჯავს, არაფერს ვამბობთ ცეცხლსასროლ იარაღზე.
ასე რომ, უცხო ტომელთან შედარ- ებით თანამემამულის დაჩაგვრა გაცილებით უსაფრთხოა.
ვასაკასავით მონუსხული მსხვერპლი წინააღმდეგობის მაგივრად ტყავის გადარჩენაზე ფიქრობს
მარტოოდენ, რადგანაც ოდესღაც ფოლადი გული, ცვილზე ურბილესი გახდომია. გავიხსენოთ
ეროვნული გვარდიის არწივები რარიგ მოთვინიერდებიან ზუგდიდური ტყვეობის ჟამს. ოხ, რო-
გორ ცხონდებოდა დარლას სული ქისტებს ზვიადაურის ნაცვლად ჩვენნაირები რომ მოეხელთები-
ნათ?!

ახლა კი, იმაზედაც ვიტყვი, 16 იანვარს რისთვის წარვსდგები ზუგდიდელი ასიათასი მომიტინგეს
წინაშე. ამ ქმედებას არავინ მკარნახობს საკუთარი სინდისის გარდა. თბილისში სამგზის გვესვრიან
მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს. მოგვიანებით დედაქალაქს გარიდებულს სახლსაც დამიცხრი-
ლავენ. ფლეიტას მიმსგავსებული სულით დავიარები, მაგრამ მე უნდა მეთქვა საჯაროდ, ფიცის მსგავ-
სად, უზნეობას და სიცრუეს არ შევეკვროდი; კახაბერს ვერ ვუწოდებდი მავანს; ჯალათს მსახურად
ველარ დავუდგებოდი; რომ კანკალისა და კბილების კაწკაწის საყმაწვილო სენი მოხდილია; რომ ოთ-
ხჯერ მოკლულს სასიქადულო წინაპრების სული და მხნეობა მომიხვეჭავს საკუთარ გულნამცეცობა-
ზე აზეითებით.

მეგრული ლექსით დავასრულებ იმ გამოსვლა.

ამ ათიოდე წლის წინათ „ცისკარში“ გამოქვეყნებულია „გვიმარას“ ჩემეული თარგმანი. ფრედერიკ
მისტრალს პროვანსული ენის გადარჩენის გამო ფრანგები რომ დადაფნავენ საუკუნის დამდეგს, ჩვენ
მეგრელობა წაგვმწარდება; შურისძიების საბაბად ჩამომავლობას წაგვაკლავენ, და სალიტერატურო
ქართულითაც რომ წავუკითხავ იგივე ლექსს დემონსტრატებს, ერთადერთი მოსაზრებით — სეპარა-
ტისტულ მოწოდებაში არ ჩამომერთვას სადადიანოს მრევლისადმი ძუძუენაზე შეხმიანება.

დედაქალაქში ჩამობრუნებულს ათასნაირი ხმებს დამახვედრებენ, თითქოსდა თვითგამორკვევი-
საკენ მოვუწოდებდი სამეგრელოს მოსახლეობას; თითქოსდა ავტომატმომარჯვებული ხალხს თბი-
ლისის დასალაშქრავად ვრაზმავდი; თითქოსდა ზვიად გამსახურდიას მშობლიურ ოტობაიაში ვმა-
ლავდი. ხატი, რჯული, სულ ორჯერ შევხვედრივარ ჩვენს პრეზიდენტს. ერთხელ სასტუმრო
„აჭარის“ წინ, პრესკონფერეციიდან გამოსულს ხელს ჩამოვართმევთ მე და მწერალი ზაურ კალან-
დია. მეორედ— მთავრობათა სახლში რომანი რომ ვუსახსოვრებ მსუყე წარწერით. ისე კი, ვინ
აღირსებს თორემ, ჩემი ღარიბული ქოხი ყოველთვის ღიაა დიდი კონსტანტინეს შთამომავლის
გასამასპინძლებლად, თუმცა აქვე დავსძენ: ბევრისაგან გამორჩევით, გამორჩენის მიზნით მე არას-
დროს მივტმასნივარ მთავრობას. დღესაც ქირით ვცხოვრობ; დღესაც ქვეითი მოქალაქე მქვია; დღე-
საც ხანდაზმული ვალები კანტიკუნტად შემახსენებენ თავს... ჰოდა, იმას ვამბობ, მწერალთა კავშირ-
ში, გამომცემლობებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა თუ ტელე-რადიო კომიტეტში ჭორების
გაქანებულ პერსონაჟად ვიქცევი თურმე. არადა, იყო მომენტი, როცა ხალხს ვარწმუნებდი: ისინი
სამეგრელოში ვერ შემობედავენ-მეთქი; მთლად უგნურები თუ არ არიან, საქართველოს რეალურ
გახლეჩას არაფრით დაუშვებენ-მეთქი, მაგრამ მოვლენები, დიახაც, ჩემი მტკიცების საპირისპიროდ
განვითარდება და ყელში ბურთი გამეჩხირება.

ფეთქდება მამასისხლად აშენებული ხიდები ცხენისწყალზე, ჯუმზე, ენგურზე.

ავლებენ ტრანშეებს, ჭადრაკულად აწყობენ სილით დატენილ ტომრებს.

თვალის დახამხამებაში განიარაღდება ანაკლიასთან დისლოცირებული რუსეთის ჯარის ბატალიონი.

ქალაქის თავზე დაუღალავად ირაოს კრავს რაკეტებით აღჭურვილი ყვითელი შვეულმფრენი.

მოსახლეობა ერთსულოვნად მოითხოვს კანონიერი პრეზიდენტის ჩამოსვლას. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პორტრეტებით მთელი კოლხეთი ზუგდიდისაკენ დაიძრება. არ ილევა ხალხით დაძეძგილი ავტობუსების წყება ფოთიდან თუ სენაკიდან, ხობიდან თუ წალენჯიხიდან, აბაშიდან თუ ჩხოროწყუდან, გალიდან თუ მარტვილიდან, ოჩამჩირიდან თუ სოხუმიდან. ერთიანი საქართველოს იდეით ნასაზრდოები ტრანსპარანტები ამათრახებს ხუნტას. სამხედრო საბჭოს პირსისხლიანს და ერის მოღალატეს უწოდებს. სამაგიეროდ კვლავინდებურად პარლამენტის უზენაესობას ეთაყვანება.

არის ეჭვმიუტანელი მტკიცებანი, რომ საქართველოს თავისუფლება ყოველთვის კოლხეთიდან იწყებოდა; რომ კოლხეთი იყო და იქნება კუთხეებად დანაწევრებული დედასაქართველოს შემკონავი მარადიული ულო.

წამდაუწუმ გესმის საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებული ქუჯის და ცოტნეს სახელები.

ყოველივე ამის შემხედვარეს სული მითრთის, მეგობარი პოეტის, შერმადინ ქალდანის, ჩვეული ღიმილით ნათქვამი მახსენდება:

— ზვიადი თუ დამარცხდა, მეგრელებს ხომ დაგმარხავენ ერთიანად და სვანებსაც ზედ მიგვაყოლებენ გვირგვინებადო. — ისეთი ხუმრობისა რა ვთქვა, სადაც ნახევარი თუ არა, მესამედი სიმართლე არ ურევია.

სწორედ იმ დღეებში შეერევა ჰაერს „კამაზი" და ყოფილი ხელისუფლების ქუჩა-ქუჩა მაგინებელი სამი გვარდიელი. აფეთქების სიმძლავრე წირვას გამოუყვანს ასობით ოჯახის ფანჯრის მინებს, დაწყვეტს მაღალი ძაბვის სადენებს, არ დაინდობს გზის პირას მობალახე საქონელს თუ მაწანწალა ძაღლებს. უბედური მშობლები ცხვირსახოცში ახვევნენ შვილების აქა-იქ ნაპოვნ წმინდა ნაწილებს.

სოფლის ორღობეებში პრიმიტიული შლაგბაუმები აღიმართება და მკვიდრი მოსახლეობა ქვეყნის სადარაჯოზე დადგება, მაგრამ ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო, და თარხვანტიათი8 შეიარაღებული კოლხეთი რას გაუმკლავდება იმპერიის ყველგანმავალ ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს?!

ცხოვრება აუტანელი გახდება. სამხედრო საბჭო თბილისიდან მოყოლებული ზუგდიდითურთ განურჩევლად აღვირს ამოსდებს ხალხის ნებას.

როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში პრეზიდენტის მომხრეებს გასაქანი არ მიეცემათ მშვიდობიანი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. სიტყვას, თავისუფალ აზრს, იარაღი დაუპირისპირდება ყოველთვის.

მაროდიორობა, ყოყლოჩინობა ზენიტს მიაღწევს.

დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ სამხედრო საბჭო ხელს იბანდა მათი ქმედებისაგან. დარწმუნებული ვარ, პირიქით, აქეზებდა კიდეც ძარცვა-გლეჯისაკენ, რადგანაც სამხედრო გადატრიალების პერიოდში შეპირებული თამასუქების განაღდება, აურაცხელი საომარი ტექნიკის შემძენს, აღარ შეუძლია. ძმათა სისხლზე დაგეშილი ბანდის გაწბილება-განაწყენებაც არაფრით იქნება და მშიერმწყურვალ გიჟსაც ნებას მიუშვებენ.

მოთმინების ფიალა აივსება. ხალხი თვითონ გამოუტანს განაჩენს ზნედაცემულთა ხროვას და ცეცხლს წაუკიდებს მათ ადგილსამყოფელს სასტუმრო „ეგრისსა" თუ მილიციის შენობაში. ტელევიზია მერე ჩვეული ტენდენციურობით აბრალებს მეგრელებს, თითქოს დაჭრილები ეწამებინოთ, მკვდრები ხელახლა ჩაეყაროთ ცეცხლში. „მეგრელთა სასიძოების" თავმომწონეობით წამოსულებს ახლა რატომღაც წარამარა ეპარებათ ზურგზე დაწყობილი ხელების სიახლოვეს.

თითქმის უბრძოლველად განიარაღდება ვერტმფრენით მოახლებული გენერალი ყარყარაშვილისა და ტელეანძის დამცველი ბესიკ ქუთათელაძის მაშველი ძალა. ტყვეებს მშობლების თვალწინ სიცოცხლემოსწრაფებული დედისერთა გოჩა ჯიქიას ოჯახში დააბინავებენ, რომელი ახალგაზრდაც ორმოცამდე ზუგდიდელივით უაზროდ გაიწირება იარაღით გადიდგულებული თანამოძმის ხელისაგან. გაუბედურებული ოჯახი კოლხური გულუხვობით უმასპინძლებს მომხდურს და ამით მთელს ქვეყნიერებას აუწყებს მეგრელების დიდსულოვნებას, რომ ვეფხვისა და მოყმის ბალადა მხოლოდ პოეზიის ფენომენი როდია.

პრეზიდენტის მომხრეები სახელმწიფო საბჭოდ ტრანსფორმირებულ ხუნტას გვარდიის დაუყოვნებელ გაყვანას მოსთხოვენ რეგიონიდან. ამასთანავე მოლაპარაკება ითვალისწინებს მომავალ არჩევ-

ნებში „მრგვალი მაგიდის“ პარტიებისა და ზვიად გამსახურდიას სწორუფლებიან თანამონაწილეობას, თუმცა პრესაში გამოქვეყნებული ეროვნული დაუმორჩილბლობის კომიტეტის მოთხოვნაში კანონიერი პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიაში ჩართვაზე სიტყვა არ დაიძრება, და რადგანაც პრინციპული შეთანხმება ძირისძირშივე დაირღვევა, ვითარება ისევ აიწეწება.

შეიარაღებული, მიმოფანტული ძალები ისევ შეერთდება. ზემოდან დასმული გამგებლებ ცენტრისკენ მოკურცხლავენ; ისევ აღსდგება პრეფექტურები; ისევ დაიღვრება სისხლი მალთაყვასთან, ცხენისწყალთან.

კვლავ დაიქოქება გვარდია სამეგრელოს დასალაშქრად. კვლავ დაიხევენ პრეზიდენტის მომხრეები და ცხოვრების ნორმალურ რიტმს საშველი არ უჩანს.

დასავლეთ საქართველო ფაქტობრივად მოწვეტილია აღმოსავლეთს. რკინიგზის პარალიზებით რესპუბლიკის დანაკარგი ექვს მილიარდ მანეთს გადააჭარბებს. სახელმწიფო საბჭო „კომპეტენტურობის“ მიუხედავად, საქმეს ჯერჯერობითთავს ვეღარაფრით ართმევს.

ორდღიანი ვიზიტი პოლიტიკური გედის სიმღერა აღმოჩნდება გენშერისათვის. როგორც ჩანს, პრესკონფერენციაზე ჯერ კიდევ როდის გასაიდუმლოებული გარიგების უნებლიეთ წამოცდენა ნიღაბს ჩამოგლეჯს ბერლინის კედლის დანგრევის საკითხს.

მობრძანდებიან ელჩები კომენდანტის რეჟიმის ქვეყანაში, მაგრამ ჰუმანიტარული მოწყალებანი ოცმაგად გაძვირებულ ცხოვრებას ვეღარაფრით აიოლებენ.

მოკლედ, თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოსათვის სამოქალაქო ომს მიახლოებული ვითარება პრეზიდენტის ნაწინასწარმეტყველები უფსკრულისაკენ მიგვაქანებს დღითი დღე.

1992 წ.

მწვანე ჯიხურები

რუსულ პუტჩამდე ექვსი თვით ადრე მე ლიტვას ვეწვევი.. კვირაზე მეტ ხანს დავრჩები იქ და მოსახლეობის გასაოცარი ერთსულოვნება-თანადგომა, პოლიტიკურად დაქსაქსული ჩემი უბედური ქვეყნის მომავალში შემაეჭვებს.

კაუნასში ჩაფრენილს „კაუნა ლაიკას“ (კაუნასის დრო) კორესპონდენტი აუდრონე ვაიტკაუტე მმეგზურობს. მისი წყალობით ყველა კარი ღია აღმოჩნდება ჩემთვის, მუზეუმებისაა ეს, ქალაქის მერისა, მის ლიტვასი — გაიოზ ბარდაველიძის ასულის — ბარდავეიტესი, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბატონ ვიტაუტას ლანდსბერგისისა.

ჩვენი დანაგვიანებული ქუჩების შემდეგ იქაურ სკვერებსა და ქვაფენილებზე გავლა წმინდა წყლის ლირიკის თემაა. საღამოს ექვს საათამდე ჩიტების იდუმალი გალობებით დასტკბები. მერე კი მაღალ ქუსლებზე ამხედრებული ჯიშიანი ფეხების კაკუნით გაბრუვდება ყოველი.

კაუნასში მეორე ტელეანძაცაა, რომლის არსებობის შესახებ, სამხედროებმა შესაძლოა არაფერი უწყოდნენ, და ვილნიუსის ტელეხედვის ბლოკირების შემდეგ, როგორც ზუგდიდი საქართველოსათვის, ისე კაუნასი გახდება ლიტვის თავისუფალი ხმის მეორე ფორპოსტი. მისი დირექტორი ჩემი მეგზურის ძმა აღმოჩნდება სწორედ. მრავალ სამხილ მასალას მაჩვენებენ, თუ იმპერია მუხლუხოებით როგორ გადათელავს თავისუფლებისმოყვარე სულს. ვიდეოკასეტაც მისახსოვრებენ. სანაცვლოდ ქართველი ერის სახელით ხუთასმანეთიანი პრემიას გამოვაცხადებ „კაუნა ლაიკაში“, რომელიც ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე შექმნილ წლის საუკეთესო პუბლიკაციის ავტორს მიენიჭება.

დაუკავშირდებიან ბატონ ლანდსბერგისის რეფერენტს, ქართველ მწერალთან შეხვედრის დროს სთხოვენ, რომელ კალმოსანს ეროვნულ მოძრაობაზე მართალი წიგნის დაწერა განუზრახავს. თვრამეტი საათისათვის დამიბარეენ მომდევნო დღეს.

ამ წერილში გაძნელდება ლიტვური იშვიათი სტუმართმოყვარეობის თუნდაც მიახლოებით წარმოჩენა; ვერც ინდივიდუალური არქიტექტურის თავისებურებებზე ვიტყვი რამეს, წამახულ კონუსებს ანტენებივით უკვდავებისაკენ რომ მიაქვთ ამ თვითმყოფადი ერის ერთიანი ძალისხმევით ნაჭედი თავისუფლება; ვერც ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრის ნიუანსებზე დავწვრილმანდები, ვინაიდან უფრო მნიშვნელოვანი სათქმელი მომჩერებია თვალებში — მწვანე ჯიხურები, ანუ ის ცოცხალი ძალა, ლიტვის აზატობას რომ უდგას ფხიზელ დარაჯად.

იმპერია მოახერხებს ლიტვაში ინტერფრონტის შექმნას კომუნისტების სახით, საქართველოში კი კომუნისტების რეიტინგი ზნეობრივ სკალაზე ნულს ქვემოთაა ცხრა აპრილის შემდეგ და ამრიგად, კანონიერ მთავრობას დემოკრატიის უქონლობას გამოუძებნიან აქილევსის ქუსლად, დე-

მოკრატიისა, რომელსაც ორასი წელიწადია ჩემულობს ამერიკის შეერთებული შტატები და დღემდე სანახევროდაც ვერ განუხორციელებია.

ვილნიუსში ესკორტით ჩაცილებული დათქმულ დროს ბატონ ლანდსბერგისს ვეღარ შევხდები. მრჩეველი თავად ჩამოვა ვესტიბიულში, მომიბოდიშებს:

— ხვალ ამა და ამ საათზე რამდენიმე ჟურნალისტთან ერთადო.

სასტუმროში ნომერი დაუჯავშნავთ, მაგრამ იმ საღამოს კომფორტისათვის ნამდვილად ვერ მოვიცლი. მწვანე ჯიხურები მომნუსხავს. სწორედ იქ ვიხილავ ჭეშმარიტ ლიტვას. ათვალწუნებული ჩვენი კარვების ფუნქცია მაცნეს როლითღა თუ ამოიწურება, მავანთა საქირქილოდ წამოჭიმულა იგი, ვინძლო ოპოზიცია მთავრობათა სასახლის კიბეებზე არ დამჯდეს საშიმშილოდ და ნოემბრის აქციები თავიდან ავიშოროთ, სამ ათეულზე მეტი ლიტვური მწვანე ჯიხური პარლამენტის გარშემო, ხელისუფლების უსაფრთხოებისათვის ფხიზლობს დღედაღამ.

ნაჩქარევ ხელს შეუკოწიწებია ისინი. არავის უზრუნვია მათი არქიტექტურული სრულყოფილებისათვის. არც ოღროჩოღრო ფიცარი გაურანდავს ვინმეს. აღარც შალაშინი შეხებია მათ ხორკლიან ზედაპირს. ღრიჭოში ქარი წუის. თავხეებიდან გამოჩრილ საკაკუტე ლურსმნებზე სხვადასხვა გაბარიტისა და სიჭრელის პარკები კონწიალებენ.

გადაპრიალებული, ხის გრძელი მერხების შუაგულში, რკინის კასრი დგას, ვარდისფრად გათარანებული. აგუგუნებულ ცეცხლს მიფიცხებიან მოქალაქენი. მოდიან ხანდაზმულები, ჭარმაგნი, ყმაწვილები, ორივე სქესისა და ამ მარადიულ კოცონში დურთავენ ხოლმე დამტვრეული სკამის საზურგეს, კამოდის ფეხს, ნაპობ შეშას თუ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ტომეულებს.

— აბა, როგორ, ეროვნულ მონაპოვრებს მოფრთხილება სჭირდება. მარტო მიტინგებით ფონს ვერ გავალთო, — მიხსნიან, — მგზნებარე სიტყვებით კი აბრიალდები ჩალასავით, მაგრამ სამაგიეროდ ხელადვე მინავლდებიო, — მებაასებიან და იქაურობას კარგად რომ დავაკვირდები, მაშინვე დავასკვნი, რომ ჩვენი მთავრობის საზოგადოებრივი აზრის შექმნის სტრატეგია საკმაოზე მეტად მოიკოჭლებს. ლაყბობის ნაცვლად ლიტველები თავიანთი პარლამენტის გარშემო ერთგულების მარადიულ კოცონს დააგიზგიზებენ და მეიმედება, ქართული მწარე გაკვეთილები გამოირიცხება მათთან.

იმ მწვანე ჯიხურებში არც ყაზარმული პედანტური წესრიგი მინახავს და აღარც პირატული ბაკქანალია; ლაღი, შინაგანი თავისუფლებით გამსჭვალული ცხოვრება დუღს ირგვლივ. ზოგს საგზალი მოაქვს, ზოგს — ახალი გაზეთები. მიდიან ერთნი და სხდებიან მეორენი. არავითარი დაგეგმვა, არანაირი სიები, ოღონდ ერის განუწყვეტელი მოძრაობა თავისი ხელისუფლების გარშემო.

მოდიან აუცილებლობის შეგნებით. მერხებზე ადგილი თავისუფალი თუ არ დახვდებათ, ათთხუთმეტ წუთს იმუსაიფებენ და წავლენ, წავლენ კმაყოფილნი, თავისთავში დაჯერებულნი, რომ მათი პარლამენტი უთვისტომოდ არაა მიტოვებული.

მე იქ წავუწერ ჩემს რომანზე ბატონ ლანდსბერგისს არანაკლებ თბილ და შთამბეჭდავ სიტყვას, ვინემ ბატონ ზვიად გამსახურდიას. იქვე ვათარგმნინებ კოლეგა თავთუხის დალალებიან ლიტველს, მაგრამ ჯიხურში სხვა ეროვნებისანიც აღმოჩნდებიან: უკრაინელები, სომხები, აზერები... და რომანტრიადა „სიცოცხლემისჯილის“ პირველი წიგნი ბარემ ათორმეტი ერის გულისძახილის უმესვეურებს.

დიახ, იქ ცეცხლით დარაჯობენ მოსალოდნელ ცეცხლს; დიახ, იქ რაიონის მოსახლეობაც მიმოდის, მაგრამ ძირითადი მასა ქალაქელებისაა; დიახ, იქაც ჯუჯღუნებს კორუმპირებული ოპოზიცია, და წრფელი ცრემლი მერევა ახლა, ჩვენთან ელიოტისეული ნაცრის გარემო რომაა. ამასთან სავსებით ვიზიარებ ვახუშტის სიტყვებს ქართველებზე დადებითის გამოკლებით; თანაც ვერაფრით მიმიტევებია აკაკისათვის ერთადერთი შეცდომა, აგრერიგად რომ შეურაცხყოფს საქართველოსთან გაიგივებულ ნერწყვის პირმშოს.

დაახლოებით ასეთია სადღეისოდ საქართველოს შიდაპოლიტიკური თუ საგარეო ვითარება.

ჯერ კიდევ მთავრობათა სახლის შტურმების დროს ოცდაორზე მეტმა ქვეყანა ცნობს ჩვენს სუვერენიტეტს. ეს ტენდენცია სამხედრო საბჭოს მმართველობის პირობებში კვლავაც გაგრძელდება. თითქმის გაორმაგებულია საქართველოს აღიარება, მაგრამ უმთავრესი სხვა რამეა: ძნელი მისახვედრი როდია უბრალო მშრომელი მასები ადამიანურ პარამეტრებში რისთვის ვეღარ ატევენ ბატონ ზვიად გამსახურდიას პიროვნებას, რისთვის სახავენ მას მერაბ კოსტავასთან კონტექსტში ქართული ეროვნული მოძრაობის პატრიარქად, პანკავკასიური ორიენტაციის სწორუპოვარ ბელადად, და ხშირ შემთხვევაში — ღმერთკაცადაც კი, ადამიანთა მაუკვდავებელი სულიერი ცეცხლისათვის ციურ ძალებს შერკინებულ ამირანსავით. ეს რწმენები და სიმპათიები, ცხადია, ცარი-

ელ ნიადაგზე ვერ აღმოცენდებოდა; მისი მარათონული ბრძოლა მამულის განთავისუფლებისათვის, მეწამულ მოსასხამში ჰხვევდა და ჰხვევს, ვითარცა ერის მხსნელ რაინდს. ხალხის ფართო ფენები ზვიადის სახით აღავლენდნენ და აღივლენენ აუხდენელ-განუხორციელებელ ოცნებათა ქოროს, ხოლო კლანურ ინტელიგენციას, პირიქით, აღიზიანებს რიგითი მოკვდავის ღვთაებას მიახლოებული პიროვნება.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, იტყვიან; მარტოოდენ ნაზარეთში არ ირწმუნებენ მაცხოვრის ძე-ღმერთობასო, ესეც გამოცდილია, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, ესოდენ პოპულარული პიროვნება თითზეჩამოსათვლელი გვყოლია ქართველებს; თანაც ყოველივეს ზურგს უმაგრებს მზითევვით ბოძებული დიდი კონსტანტინეს მემკვიდრეობაც.

მერედა, მას, როგორც ინდივიდუუმს, არასდროს დასჭირვებია ეთაღლითა, მოექრთამა ან მოქრთამულიყო; ემლიქვნელა, ან კიდევ მუცელზე ეხოხიალა იერარქიულ კიბეებზე გადანაცვლებისას; აქვე, ბატონი ზვიადი შეუფარავია საგნების შეფასებისას. მას არაფრად ეპიტნავება გამომცემლობის დირექტორ-პოეტთან კუდის ქიცინი ქეციანი წიგნის გამოსაცემად. ის ჯერ ქვებს აგროვებს, რადგანაც იცის, ოდესმე მათი სროლის ჟამიც მოაწევს. ის ჯერ წერს, ქმნის, ელოდება თავის ბორჯალს და ამდენად, დითირამბების ნაცვლად იმ ჩინოვნიკის ციებაშეყრილი პოეზია, ადრე თუ გვიან გვჯეროდეს, შესაფერისი გვირგვინებით შეიმკობა.

1992 წ.

ინტელიგენცია

გამსახურდიას მშვენივრად მოეხსენება ინტელიგენციის აქილევსის ქუსლებისა, (ვგულისხმობთ ქართულ ფსევდოინტელიგენციას), რომ თითქმის ვერ იპოვით მოხელეს, რომელსაც რაღაცნაირად არ შეეცოდოს თავისი იმპულსური სისუსტეების წყალობით; ძნელია დაასახელო თანამდებობის პირი, რომელიც დღეს ეროვნულ მოძრაობაში ტრიალებს და გმირობის ჯინჯილებს მოითხოვს მამულისაგან, სამი-ოთხი მანქანა არ გამოეფანოს საბჭოურ ხუთწლედში; სათითაოდ ორმაგ-სამმაგ ფასში არ გაეყიდოს სამშობლოსა თუ მის ფარგლებს გარეთ; გარიწკინებული ბინებით არ უზრუნველეყოს სანათესაო თვისი; დაუმსახურებელი საზღაური არ წარეტაცოს სახალხო დოვლათისათვის და აქედან გამომდინარე, საკუთარ თავთან დარჩენილს არ ქეჯნიდეს სინდისის ნატამალი.

ეს პიროვნების გადაგვარების ერთი მხარეა, რომელიც ეპიდემიასავით მოსდებია საზოგადოების ნაღებ ფენას და ვაჟას საუკუნის წინანდელ სიტყვებს თუ დავესესხები: ინტელეგენცია მომწყდარია ეროვნული არსებობის ხის ძირებს.

ერი, საქართველო, სამშობლო, დედაენა მკერდში საბაგუნებელი ფრაზებია, ნიანგის ცრემლები მოჭირნახულე მამულიშვილის პოზის შესანარჩუნებლად.

ინტელიგენცია ერისაგან მიიღებს მაქსიმუმს და გასცემს მინიმუმს. ესაა ერთგვარი სწრაფვა კომფორტიზმისაკენ; ესაა ცრუპატრიოტული მსოფლმხედველობა, როცა რეჟისორის შვილები აუცილებლად კინემატოგრაფისტები უნდა იყვნენ, პოეტებისა — პოეტები, მხატვრებისა — მხატვრები, რადგანაც დღეს საქართველოში ,,თვითდამკვიდრებისათვის'' უფრო იოლი გზა არ არსებობს, როცა ფიროსმანი კიბის ქვეშ აღესრულება, ტერენტი გრანელი ლაზარეთის კედლებს შეჰგოდებს, ფშაველა იაიას ნატრობს მოწყალების დის ხელებს მისვენებული, გალაკტიონი წინდებს აკერებს, სამადაშვილს რუტინა, გულგრილობა მოილევს, არაფერს ვამბობ ბარათაშვილის სიდუხჭირის წნეხში გატარებულ სულზე, მაგრამ ნურავის ეგონება, თითქოს შემოქმედებითი წვის აუცილებელ პირობად მხოლოდ და მხოლოდ ხელმოკლეობა, წუთისოფლის არენაზე გამუდმებული ხელმოცარვა და თარსი იღბლიანობა გვესახება.

ამ ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე, ალიგიერისა არ იყოს, გამომცემლობით საქმიანობასაც შევეჭიდები, შევქმნი ჩემი გემოვნებისა და სტილის კოოპერაციულ ფირმა ,,ოდაბადეს'' და მიზნად დავისახავ ნობელის პრემიის ლაურეატების თხზულებათა მრავალტომეულთან ერთად, ქართველურ ენათა (ქართლურ-მეგრულ-ლაზურ-სვანური) სინთეზური ლექსიკონისა და ქართული სულის ანთოლოგიის დასტამბვას; ეს უკანასკნელი ზედმიწევნით შეისრუტავს ყოველივე ქართულს — ფოლკლორული ნიმუშებიდან მოყოლებულს, თვითნაბად ზღაპრებს ჩვენსას, რეპროდუქციებს მონუმენტური, ხუროთმოძღვრული, იუველირული ხელოვნებისა. ძირითადი მოტორული ძალა კი, ცხადია, სიტყვაკაზმულ მწერლობას დაეკისრება.

ჩვენ წინ დავილაგებთ სვეკურთხეულ კალმოსანთა კრებულებს თუ ტომეულებს და გული

მომიკვდება პირდაპირ, რამეთუ ეროვნულ მგოსნად თავმომწონე კოლეგას იოტისოდენა ძლივს აღმოაჩნდება ესთეტიკური მუხტისა. არადა, რამდენი ქაღალდი რამდენგზის გახარჯულა თურმე თითებიდან გამოწოვილ ამ მათხოჯებზე?!

დაახლოებით იგივე სურათია პროზაშიც.

ლექსების მთხზველებად მოგვაქვს თავი და ნამდვილი ლექსი იშვიათად მოგვეპოვება. მოთხრობების წყებით ვყოყლოჩინობთ და მოთხრობას ვერ გვიძ- ებნიან. მკერდში ხელების ბაგუნი კი ლამის დათვებს დაგვიფრთხობს ხუდადოვის ტყეში.

აი, სწორედ, უნიჭობასაც რომ გადაწვდება ბატონი ზვიადი უზნეობასთან ერთად, აქამდე პატივმიგებულ ინტელიგენციას უზომოდ შეერყევა პრივილეგიებიცა და ფუყედ მოხვეჭილი სახელიც. ჰოდა, იმას ვამბობ, სიმდიდრე როდი ლახავს შემოქმედის კალამ-ღირსებას-მეთქი. ქონებას არავინ თაკილობს გოეთესეულს, თუ იგი ფაუსტისმიერი გენია-ცეცხლით მოხვეჭილა.

მერედა, სიმართლე გამხელილი სჯობია, დასამალი რაა?! ზვიად გამსახურდიას საკმარისად არ ურბენია სოფლის ორღობეებში, არ დაკაწრულა ეკალ-ბარდში ძრომიალით, არც მისი მდინარე-ჭალის მშვენიერება შეუტკბია წელიწადის ოთხივე დროის გაუხუნარი აკვარელით; აღარც გუთნისდედის თვინიერი სახრეთი მისდევნებია ნიშა ხარებს და ტყისმჭრელების ნაჯახთა ჭახჭუხისათვის მიუგდია ყური მზერაშეუღწევად უსიერში; აღარც ბირდაბირით მისდგომია მერმე საფიცრე მუხებს და წაბლებს; მას არ უხეტიალია ჭრიჭინების კრუალით მოქსოვილ ბინდმიძალებულ შუკებში და კოლხური კოშკის აივნის ტახტაზე თავქვეშ ხელამოდებული ოცნებობდა თუთარჩელა ღამით საქართველოს მერმისზე; სიყმაწვილეში მას ნაკლებად განუცდია ფიზიკური დაწოლა ცხოვრებისაგან თავისი რეალური მასშტაბებით.

ის დღემოსწრება ქალაქში ტრიალებდა, ურბანისტული თემატიკა და ინტელექტუალური განწყობილებანი აპურებენ მის მეობას; ის სიყრმიდანვე არსაკიძის სულისკვეთებით იზრდება, ბოროტებას ებრძვის წმინდა გიორგის თეთრონზე ამხედრებული, როცა შესაძლოა ჯერ ურა კვიციც არ გაუხედნია; მას არ უწვნევია ჭაობნარში ჩაფლულობის სიმძიმე ზამთრის ღამით; არც აკანკალებული ხელით დაუნთია კოცონი და ზედ შეფიცხინებული პურის ყუათი დაუკმაყოფილებია აყმუვლებული სტომაქის ნება-სურვილი.

იგი შიმშილობათა დიდოსტატია, მაგრამ არც ციხეში მჯდარა ხეირიანად და აღარც იქაური მგლური კანონებისათვის გაუსწორებია თვალი წლების მანძილზე ნენსონ მანდელასავით თუ ვერა, კოსტავასავით მაინც. მას აკლდა ცხოვრების კუნჭულების შეგრძნება, ის აუცილებელი, რაც ყმაწვილ დავით აღმაშენებელს მიაწურთნიან და ამდენად, წარმოსახულს სჯერდებოდა. ნებავდა თუ არა, უნიჭო მრჩეველთათვის უნდა გაეწია ანგარიში, მათი უდღეური ნააზრევისათვის დაეკრა კვერი, და უფრო მეტიც, მათი შეცდომები ეტვირთა უნებლიეთ, როგორც წუთისოფლის არსში ძირისძირამდე გაუთვითცნობიერებელს; ასე რომ არა, შეუძლებელია პრეზიდენტს ჩვენსას დავიწყნოდა ნაცარქექიასეული ეშმაკური ბუნება, განსაკუთრებით ბაყბაყდევებთან ბრძოლის ჟამს: შეუძლებელია შუბლით შეტაკებოდა ოპოზიციის წარამარა აღმართულ კედლებს; წარმოუდგენელია ფსევდო-ინტელიგენციაზე გაგულისებულს ბატონი ნოდარ დუმბაძის დიდებული სული შეეწუხებინა საფლავში, გაფრენილ სიტყვას კი ქამანდს ვერ მოსდებ.

ტყუილად როდი უწოდებენ მას საკუთარი მეგობრების საკუთარ მტრად გადაქცევის დიდოსტატს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტე ფარისეველებს და მწიგნობრებს კი არა რიგით მეთევზეებს და მიწის მუშაკთ შეიამხანაგებს გოლგოთის გზაზე შემდგარი.

ამდენად, ღმერთმა უწყის, იქნებ ყოველივე უფლის განგებით წარიმართება, იქნებ მისი იდეალი დე გოლისა არ იყოს, ზვიად გამსახურდიასაც ბედი ფენიქსის ყისმათს, ფერფლიდან აღსდგომას არგუნებს?! იქნებ კანონზომიერიცაა ეს წაფორხილება — სამშობლოდან დევნილის იღბალი?! ბატონი ზვიადი ხომ ძირითადად თეორიულად, წიგნიერი სამყაროდან, ქრისტესმიერი დოგმებიდან განიხილავდა საწუთროს ავანჩავანს?! სამაგიეროდ ჯოჯოხეთურ ცეცხლში გამოატარებს განსაცდელი; ტფილის სუნს და ყუმბარის დამანგრეველ ვიბრაციას გაუსინჯავს მაჯას; თვალნათლივ დაინახავს ერთგულს და ლიქნიას.

იქნებ ზემიზნისეულია, დიალექტიკურიც ეს დანარცხება, ვინაიდან გარემომცველი სნებოვანი სინამდვილის განკურნებას მეტი პრაქტიციზმი სჭირდება: აღვირი დროულად უნდა ამოსდო ჭკუამოკლეს და თმაგრძელს; არც საკუთარი ბოკვერები უნდა აღაზევო ეროვნული დროშით.

გავიხსენოთ რკინის კაცის კონცეფცია მტერი გენერლისა და შვილი ჯარისკაცის თანაფარდობაზე, რამეთუ საკუთარის წინწამოწევა აკნინებს ზოგადს და კიდევ სხვა მრავალი წვრილმანმსხვილმანი, რომელთა მიტევება შეიძლებოდა წესით, იმ იდეის წილ, კავკასიური ცივილიზაცი-

ის გადარჩენისათვის ამბოხი რომ ჰქვია სახელად; ცივილიზაციისა, რომელსაც ოდითგანვე მხარ-დამხარ ჭედდნენ ქართველები და ვაინახები, ალბანები და ბალყარელები, ინგუშები და ყაბარდო-ელები, კიდევ რამდენიმე ათეული თვითმყოფადი ხალხი.

კავკასიური სამყარო ხომ თავის დროზე ამირანს ცეცხლს წაართმევინებს ღმერთისათვის და პრომეთეოსის თემატიკით დაამკვიდრებს მერმე მსოფლიოს აზროვნებაში;

სწორედ აქ, კავკასიაში, კოლხები მოავა რაყებენ პირველად ოქროს ქვიშით ხუჭუჭა საწმისებს და აღმართავენ წერილსვეტებს — კირ- ბებს, კირბისებს;

სწორედ აქ, კავკავსიაში, გამოკვერავენ პირველ ფოლადს ხალიბები და პირველ მალამოს დაა-დებენ მედეას ხელით ნაიარევ მკერდს. კიდევ ათასი რამ, იმპერიების შემოტევებით რომ დაქუცმა-ცებულა, გაფანტულა, იავარქმნილა, და შამილის ოცდახუთწლიანი ომების მემკვიდრეს, დემოკრა-ტიის უქონლობის ბრალდებით ხახამშრალი ზარბაზანი ესროლო, უზნეობასთან და მკრეხელობას-თან ერთად, ღალატიცაა უთუოდ ზოგადსაკაცობრიო იდეალების წინაშე.

ბატონ ზვიადს ისღა დარჩენოდა, შიშველი ხელებით შეჭიდებოდა დრაკონს. მსოფლიოს თვალ-ში პატარა იმპერიის დიქტატორად მონათლულს უმნიშვნელო ღონისძიებების გატარებაც არ ძალუძდა ოპოზიციის წინააღმდეგ. ბუზისოდენა ქმედება ხელად აქლემად აღიქმებოდა და იგი მთელი არსებით ალალ-მართალ ხალხს მიენდობა, მაგრამ უკვე ნებსით თუ უნებლიეთ, მტრის დაკრულზე ცეკვავს, მტრის ტაქტიკით მოქმედებს, არ ითვალისწინებს ალიენდეს გუშინწინდელ გაკვეთილებს:

ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას აპირებდა ვენახის გაუსხვლელად;

სიმინდით ნალიების გაძეძგვას ლამობდა გაუმარგვლავად და გაუმოროდებლად;

ჭაობით გათანგული ხალხის გადარჩენას ცდილობდა მოხუცი ცოლ-ქმრის წალკოტში არხის გაუტარებლად ფაუსტის კვალობაზე. სამაგიეროდ შედარებით კონსერვატორული კონცეფცია — ურუსეთოდ ვერ ვიარსებებთ, ოკეანესგაღმელი სუბსიდიების გარეშე დავიღუპებით, არათუ გამო-ირჩეოდა ჩასაფრებული ღონისძიებით, იარაღითაც იმუქრებოდა და ჯაჭვი გაწყდება სწორედ იქ, სადაც რგოლი სუსტი აღმოჩნდება — მშვიდობიანი რევოლუციით მოპოვებულ საქართველოს თავისუფლებას ქრისტესმიერი მორალი ალიყურთან მიმართებაში დამცველად ვერ წაადგება.

ბატონი ედუარდ შევარდნაძეს ფენომენის ზერელე, სწორხაზოვანი ინტერპრეტაცია ან პოლიტიკურ სიბეცედ მიმაჩნია, ან საერთოდ წაყრუებად ტალანტისა და ნიჭის მიმართ, მაგრამ საკითხავია, რას ემსა-ხურება ეს უნარი, ერის ღირსების დამაქცევარია თუ საღი რეალიზმით ნასაზრდოები?! თავი რომ დავა-ნებოთ მის ელასტიკურ სვლას, თანდათანობითს და დამაჯერებელს, შთამბეჭდავს ამავდროულად, სატა-ნისა და ღმერთის თანაბარი ექსტაზით ნინალუასგ, ნიკიტა ხრუშჩოვის მოთიმთიმე ლოყების დაკოცნას თუ რეიგანის ყურის აწევას ვაჟი შვილიშვილის მილოცვის ჟამს ქართული ადათ-წესის შესაფერისად, მისი მოღვაწეობით ჩვენს თავისუფლებას თავისებური ვერსია ეძებნება.

არის გზა ბატონ ზვიადის მიერ არჩეული: რთული, ეკლიანი, მართალია, უსისხლო, მაგრამ უთვა-ლავი წინაღობის გადალახვის მერმინდელი გზა — ორმოცწლიანი ხეტიალი მოსესი უდაბნოსა შინა: წყურვილი და შიმშილი, ციურ მანანათა ეფემერული ცვენა, სამაგიეროდ საკუთარი მეობის, თვითმ-ყოფადობის შემნარჩუნებელი ულტრანაციონალური პათოსი, კოსმოპოლიტური წარღვნის სანაცვ-ლოდ.

არის გზა შევარდნაძისეული, გზა მსოფლიო პროცესებთან გადაჯაჭვული, გზა მატერიალური კეთილდღეობის მოხვეჭისა ეროვნული დანაკარგების ხარჯზე. თუკი დავუშვებთ, რომ ბატონი ედუარდი მხოლოდ თანამდებობისათვის ჩაბრძანდება მოსკოვს და მას არავითარი ქართული მისია უწიოკებს სულს, ეს უწინარესად თავად საქართველოს ტრაგედიაა, მაგრამ მწერლური ალღო მალაპარაკებს: უთუოდ შევარდნაძის ძალისხმევის შედეგიცაა ევროპის ქვეყნებისაგან რუსული ბორკილების უმტკივნეულო შეხსნა, რაც თავისთავად ახლებურ სტრუქტურებს წარმოშობს შინ, საბჭოეთში — ამ კატასტროფულად დამშეული, კვადრატში ახარისხებული დრაკონის წიაღ.

ან ქართულ ეროვნულ მოძრაობას ესოდენ მშვიდობიანად, ესოდენ ტრიუმფალურად მოუხერ-ხდებოდა კი სახელმწიფო მმართველობაში მოსვლა, რომ არა დამანგრეველი რეფორმატორული ღონისძიებანი უზენაეს ეშელონებში?! ეს ჰგავს ერთგვარ შურისძიებას ცენტრის მიმართ წლების მანძილზე დედა-საქართველოს დაბეჩავების წილ, და თუ შევარდნაძის პიროვნება, როგორც ასე-თი, სხვანაირ ახსნას ექვემდებარება, იგი ჩემთვის არარაობასთან წილნაყარი კარიერისტია; მაგრამ დარწმუნებული ვარ მის ფენომენზე მთელი წიგნი დაიწერება, რომელ უნართაგან ჰომეროსის რჩეული გმირის, ოდისევსისა არ იყოს, უმთავრესი ცბიერი გამჭრიახობაა.

ჰომეროსი ამაყობს კიდეც ამ ეპითეტით. ფეხმარდ აქილევსს ჰეფესტოს გამოჭედილი ფარი და მახვილი ვეღარ უშველის, პარისის ისრები იმსხვერპლებენ დევგმირს;

საკუთარი მეუღლის ხელით გაიწირება ტროის დამლაშქრავი მეფეთ მეფე აგამემნონი აბანოში;

მოკვდება ილიონის ზღუდე — ზუჩმოელვარე ჰექტორი და ჰალიძონების გოლიათი წინამძღოლი ოდიოსი;

მრავალზე მრავალს წააფარებს თვალებზე ბინდს აგასფერი სიკვდილი. კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი შინ მშვიდობით მოისული ჩავარდებოდა ჰადესს, ოდისევსის ბედ-იღბალი რომ ეწვნია.

ცბიერება, გველის გონება იხსნის ლაერტიდს ციკლოპისაგან;

მოხერხებულობა, ეშმაკობა გამოარიდებს სცილას და ქარიბდას;

ულევი ჭკუა გამოაღწევინებს სირინოზების გალობებიდან, მამაკაცის ხმით მოსაუბრე კირკეს ჯადოსნობისაგან;

საზრიანობა, წინდახედულობა სიმამაცესთან ერთად, დაამარცხებინებს ოჯახის გამჩანაგებელ სასიძოებს.

დიახ, ბერძენი ამაყობს ცბიერებით, რომელიც სრულფასოვანი გამარ- ჯვების ერთადერთი გარანტიაა, ცხადია, თანდაყოლილი გამბედაობის თანხლებით.

გავიხსენოთ სამოცდათვრამეტი წლის თოთხმეტი აპრილი. მხოლოდ ქუჩის მღელვარებით ქართული ენის შენარჩუნება გაძნელდებოდა ფრიად. რამდენიმე ავტომატის აკაკანება იმ ვნებათაღელვასაც გაფანტავდა თამარ-დედოფლის გამზირზე დაშლილ ამას წინანდელ ორას ათასკაციან მსვლელობასავით. შევარდნაძეს სჭირდებოდა ერის მძვინვარების ფაქტი, რომელიც გონივრულად გამოიყენებს ქართული ენის ღირსების დასაცავად.

გავიხსენოთ აფხაზური ექსცესები, სამი-ოთხი წელიწადიც არ გასულა იმ კონფლიქტიდან და აქამდე ძარღვებაშლილი ხალხი რძლებად და სიძეებად მოგვეკიდება.

გავიხსენოთ მრისხანე სტადიონის მიერ დაპანღურებული უსამართლო მსაჯი. არც ტენდენციურობის წყალობით წაგებული იმ მატჩის გადათამაშება გაძნელდება.

გავიხსენოთ მოსკოვური პუტჩი: შევარდნაძე არ მოერიდება ქუჩაში, ხალხში გასვლას ჩახმახზე შეყენებული იარაღის წინაშე, არ მოერიდება ბარიერთან დადგომას, იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლოა ეს ნაბიჯი საბედისწეროც გამოდგეს.

როგორც ჩვენს პრეზიდენტს, ისე ბატონ ედუარდსაც ორგზის შევხვედრივარ. პირველად ოთხმოციან წლებში ზუგდიდის რაიონში, ზღვისპირა ჭურიაში, კახათელ მწყემსებთან განმარტოებული. იგი მაშინაც გამოირჩევა იშვიათი გულისხმიერებით. ფოტოსურათს მხცოვან მეტყევესთან, იროდი სართანიასთან გადაიღებს და არა მეჩაიე შრომის გმირებთან თუ პარტიელ ამხანაგებთან. მდიდრული სუფრის გალაღებულ წევრთაგან განსხვავებით, მხოლოდ იგი მოგვიკითხავს უაზნონთ — მწყემსებს, მებადურებს, მზარეულებს, მძღოლებს. მოგვიანებით სხვებიც გამოიშლებიან, შემოგვეხმიანებიან კიდეც, მაგრამ ეს ქმედებანი ახლა სველი წერტილის საჭიროებით უფროა ნაკარნახევი. გამორიცხული არ არის ქვეყნის მეთაურის მიერ მდაბიოთა მონახულებას ერთი ზუგდიდელი ფუნქციონერის შეკითხვაზე გაცემული ჩემი პასუხიც განსაზღვრავს რამდენადმე.

მწვადების ჩამორიგებას ძლივს დავამთავრებ, რომ ცნობისმოყვარეობით ჩამეძიება:

— რას მწყემსავთ ერთი, აქო. — მემწარება და მემცხეთება მეოცე საუკუნის ყაზბეგის უმადური მდგომარეობა:

— ბატონო, კლიმენტ, კაბინეტური შრომით დაქანცული თქვენისთანა ხალხი, უგზოობას, ჭირვეულ კლიმატს რომ არ დაერიდება და უბრალო მშრომელების ჭირ-ვარამის მოსახილველად წელიწადში ერთხელ მაინც მოაშურებთ აქაურობას, ამისთანებზე რომანს ვმწყემსავ, აჰა, ბარემ თერთმეტი თვეა-მეთქი, და მოვიქექავ ხანდაზმულ წვერს.

მეორედ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ამპლუაში შევხვდები ბატონ ედუარდს. დელეგაცია კოლაბორაციონალისტურია სავსებით, თუ გამოვრიცხავთ ჩემს სულს, რომელიც უკვე ოპოზიციაში უდგას სსრკ-ას უფლებააყრილი საგარეო საქმეთა მინისტრის მშვიდ იერს.

ვისაუბრებთ ზუგდიდის, საერთოდ სადადიანოს, სატკივრებზე, რომ იარაღის ჟღარუნი არათუ სამაჩაბლოს და აფხაზეთს, თვით სამეგრელოსაც დაგვაკარგვინებს; რომ ტელევიზიის ხუნტაძე ხელმძღვანელობა დროა გონს მოეგოს, დემო(ნ)კრატობა იკმაროს და ალტერნატიულ აზრსაც აღირსოს საეთერო დრო; რომ დღეს მშვიდობიანი მიტინგების მისამართით გადასროლილი ყოველი კენჭი ხვალ-ზეგ ლოდებად დაუბრუნდება ადრესატს.

ბატონი ედუარდი ყურადღებით ისმენს შეხედულებებს. აქა-იქ მოინიშნავს ხოლმე ფრაზას, აზრს. კითხვები ძირითადად გადატრიალების მერმინდელი თემატიკით ამოიწურება, რადგანაც ჩამოხ-

რჩობილის სახლში თოკზე არ საუბრობენ. ის კი უხმოდ, თავის კანტურით, გაღიმილებით, დამრგვალებული თვალებით წვრილად იწერს მელნის ავტოკალმით. ლამის მთელ ფურცელს გადააშავებს.

— დაბრძანდითო, — ხელით მიუთითებს ფეხზე წამომდგარს. შინაურულ ატმოსფეროს ქმნის. მერე ზუგდიდში ჩასვლის აუცილებლობას ახსენებენ.

— საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაა საჭიროო, —შესთავაზებენ და ისიც ჩვეული ბაგეპობით, — დიდად მადლიერი დაგრჩებითო, — ბრძანებს. ზარანდიას მიმსგავსებით დელეგაციასვე დასტყუებს საკუთარ გულისთქმას.

შუაზე გადაკეცილ ფურცელზე დევს დახურული ავტოკალამი. შევარდნაძე აზეითებული მსჯელობს.

ბატონი კიტოვანი ყურს მიუგდებს ამ საუბარს, თან პეგასებისა და მერნების ნაცვლად ახლა სტუმრებს გვაპორტრეტებს. და სწორედ მაშინ გავავლებ პარალელს მუშნსა და შევარდნაძეს შორის — ერთის ქმედება მამას მოაკვლევინებს შვილს, მეორის ღვაწლი ამბიციურ წრეებს კანონიერი პრეზიდენტისათვის წესს ააგებინებს-მეთქი, დავასკვენი.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომა მაშოკირებელი რეზონანსისა თუა, იმავე თანამდებობაზე მიბრუნება და თვენახევარში სავარძლის გამოცლა თქვენი ალღოიანი უნარების მოჩლუნგებაზე ხომ არ მიუთითებს, ბატონო, სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეე-მეთქი, ვეკამათები გონებაში ჩრდილოეთის იმპერიიდან მზესავით მოვლენილს;

იქნებ გიორგი სააკაძის პატივმოყვარეობას ენათესავება თქვენი ნატურა, ბაზალეთისას ქარქაშიანი ხმლით რომ ბალთავს თანამომძეებს?! არც თქვენ ჩანხართ ავანსცენაზე, თუმცა ეს მარიონეტები ვის თითებს გამობმული ძაფებით ფაციფუცობენ ცნობილი ბატალიებისას-მეთქი, ვაგრძელებ დავას.

ცხრა აპრილის ტრაგედიის ჟამს, პატიაშვილის ადგილას თქვენ რომ ყოფილიყავით დარწმუნებული ვარ, ის სისხლისღვრა აგვშორდებოდა, რადგან თავად აქცია გამოირიცხებოდა. საკადრისი ლეონობას გაუწევთ ადრინდელი ბწკენების გამო ჯუმბერს, მაგრამ მას მერე, დავით აღმაშენებლისა და თამარ-დედოფლის ჩამომავალი ნაცარქექიები თოხსა და თითისტარს ზურგი შევაქცევთ, პოლიტიკაში გავერევთ, კერპს მოითხოვს ჩვენი სული, რომელ ბომონდსაც დანდობილად მივედევნებით აღთქმული ქვეყნისაკენ, და თითქოს აღვისრულებთ კიდეც საწადელს: რჩეულ ერთ შვილს ზეაღვტყორცნით ღრუბლებისაკენ მეორის მიწაზე ჩამონარცხების ფასად და ამირეჯიბის რომანის ფინალიც არ დააყოვნებს-მეთქი.

ღმერთმა უწყის, რას მივედ-მოვედები, თუმცა ახლა დაბეჯითებით შემიძლია დავასკვნა, რომ საქართველოს ბედი და უბედობა არსებითად გამსახურდია-შევარდნაძის პოლიტიკურ პლატფორმათა მიმართებაზე ჰკიდია:

ითანამშრომლებენ?! მთებს დავძრავთ ადგილიდან!

დაპირისპირდებიან?! აღვიგვებით მიწის პირისაგან!

როგორც არასდროს, დიახაც, აქ არის საჭირო შეუთავსებლის შეთავსება!

ივო ანდრიჩის „დრინის ხიდის“ დილემა მაგონდება ჩვენეულ ძიძგილობანას მიყურადებულს.

ვიშეგრადელი სოკოლი ქრისტიანია სიყმაწვილეში, მაგრამ თურქეთში წატყვევნილს რჯულს შეუცვლიან და ამდენად, ორი რელიგიის, ორი ბატონის მსახურის როლს არგუნებს იღბალი — ვერც იესოს სამწყსოს ელევა და ვეღარც — მუჰამედისას, ამიტომაც გასდებს ხიდს ორივე მრევლის სამოყვროდ და სამიმოსვლოდ.

ქართველ ხალხსაც სოკოლისა არ იყოს, სხვაგვარი არჩევანი არ გააჩნია. მოჩვენებითი სადღეისო პარტიული სიჭრელე სინამდვილეში ძირითადად ორ პოლიტიკურ ერთეულამდე დაიყვანება.

პირველი — ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობაა, რომელიც უზენაესია, კანონიერი, მაგრამ ამავდროულად — იარაღით დამხობილი, პირდაპირ ქუჩიდან, მიტინგებიდან მოსულა სახელმწიფო მმართველობაში და მოჭარბებული ენერგიულობის მიუხედავად უმწეო, მოუხეშავი აღმოჩნდება მოზღვავებული პრობლემების გადაწყვეტისას. ასე რომ, კომუნისტური პარტიის ხალხისავე არჩეული დეპუტაციის პარლამენტიდან დათხოვნის შემდეგ, ქართველთათვის ესოდენი სანუკვარი ოცნება — ერის ერთ მონოლითურ სხეულად შემთლიანება ვერაფრით განხორციელდება.

ლეგიტიმური მთავრობისაგან ცხვირსახოცის გადაგდებას მოჰყვება კიდეც დეკემბერ-იანვარში ძალისმიერი პოლიტიკის სუსხი! მოკლედ, აქა-იქ ბალასტიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უკვე აშკარად დაუპირისპირდება ათასი ცოდვა-ბრალის მტვირთველი, ქამელეონისა და იანუსის იშვიათი ჰიბრიდი — საყოველთაო კეთილდღეობის იდეას ამოფარებული

კომუნისტობა და მიკვირს დემოკრატიული გარდაქმნების მომლოდინე საზოგადოების გულუბრიყვილობა — ყოფილი ფუნქციონერებით აავსო მთავრობაო, რომ საყვედურობენ შევარდნაძეს.

ამის თაობაზე სამხედრო საბჭოს ფორმირებამდე გამოამჟღავნებს ხვაშიადს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბატონი რომან გვენცაძე:

— პოლიტიკურ პარტიებს, სახალხო აჯანყებისას(?!)შორიდან რომ უთვალთვალებდნენ ჩვენს სისხლისღვრას, გაშლილ სუფრასთან მისხდომის იმედი ნუ ექნებათო.

იმ წინადადებაში ნაცვალსახელი „ჩვენ" დღეს მეტი სიზუსტით იშიფრება. როცა ლეგიტიმური მთავრობა ჩამოგდებულია და ეროვნული მოძრაობის შენაკადები იგნორირებული, ვის რჩება ბუერთი და მოედანი, თუ არა კომუნისტებს?! ერთი სიტყვით, დამხობილი კანონიერი ხელისუფლების ზოგი წევრის ანგარებიანი სულისკვეთება, სიყეყეჩე და გაუთავებელი ძახილი: „მგელი"! „მგელი"! ინიციატივას პროკომუნისტურ ძალას ჩაუგდებს ხელში. ასე რომ, კომპარტიის ცოდვიანი წარსული თუ ანტიხალხური ხასიათის მოღვაწეობა ვერაფრით გაამართლებს ეროვნული მოძრაობის მესვეურთა უგერგილობას, ხშირად უმეცარ საქმიანობასაც კი.

გუშინ ძარღვების დასკდომამდე უკიჟინებდნენ გამსახურდიას დიქტატორობას, ანტიდემოკრატიულობას, საკადრო პოლიტიკის ხარვეზებსა და ქვეყნის ეკონომიკური მართვის ნაკლოვანებებს; პრესის, სიტყვის თავისუფლების დეფიციტს. აქსიომაა, რომ უმეტეს შემთხვევაში ჰიპერბოლურად წარმოსახავდნენ რეალურ სინამდვილეს, მაგრამ შევხედოთ რა ვითარებაა ცეცხლითა და მახვილით დამკვიდრებული ხელისუფლების რეჟიმის ჟამს?!

ახლა შეუიარაღებელი თვალითაც დიდებულად საჩინოვდება დათრგუნვილი პოლიტიკური ორგანიზაციების უკიდურესი დევნა. ტერორსა და რეპრესიებს ბოლო არ უჩანს. ხელის აუკანკალებლად იხვრიტება კანონიერი მთავრობის მხარდამჭერი მასობრივი დემონსტრაციები თუ მიტინგები. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მოსახლეობის დაუმორჩილებლობას განსაკუთრებული სისატიკით გაუსწორდება თვითმარქვია ხელისუფლება — მშობელ ერს საჯიჯგნად და საძარცვად მიუქსევს გაღლეტილ-დამშეულ გვარდიელობას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ტენდენციურობის წყალობით დღითი დღე ღვივდება დაპირისპირებანი: ქალაქი სოფელს გადაეკიდება, შუღლი და უნდობლობაა დათესილი ოჯახებში, მეზობლებში, თანამშრომლებში; ამრეზით უმზერენ ერთმანეთს „გენეტიკური თბილისელი" და „გუშინ ჩამოთესლილი", ელიტა და ბრბო, კრიმინალები და პატრიოტნი. ნელ-ნელა თვალნათელი ხდება ექსკომუნისტთა ჰეგემონიის ნიშნები. უკვე ნაკლები სიფრთხილით მსჯელობენ იმპერიის საოკუპაციო ჯარების ახალი შენაერთების შემოყვანისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საქართველოში დამკვიდრების თაობაზე. უახლოეს მომავალში რეპატრიანტი თურქი-მესხების პირველ ნაკადს (დაუზუსტებელი მონაცემებით 50 000 მოქალაქე) აღუთქვამენ ჩამოსახლებას, როცა „ბამისა" და სხვა დამკვრელურ მშენებლობაზე წატყუებული ათასობით ქართველი სამშობლოში დაბრუნებაზე ამაოდ ოცნებობს. პოლიტიკური ცხელი კერების ჩაქრობას გადაყოლილი მთავრობა საერთოდ მიივიწყებს ძირძველ სამაჩაბლოს და უიარაღო ქართველობას ოს ბანდიტებს გადაულოცავს კოცონების ასაბრიალებლად.

— ყველაფერი გასაყიდად! — ასეთია სამხედრო საბჭოს იდეოლოგი ერთი ყიამყრალი ფილოსოფოსის რეცეპტები. ე.ი. ვაზეიმოთ კუჭი ეროვნული სულის გაცამტვერების წილო!

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება არაფერს იშურებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა დისკრედიტაციისათვის, და ამით, ფაქტობრივად მიწასთან ასწორებს ქვეყნის დამოუკიდებლობის, თავისუფლების იდეას საქართველოში. ელიტარული უმცირესობის თანადგომით იმპერია კვლავაც ახერხებს ქართველი ხალხის ნების ფეხქვეშ გათელვას, რაც თავის დროზე რეფერენდუმით, პარლამენტისა და პრეზიდენტის დემოკრატიული არჩევნებით გამოიხატება. ძალადობის მეოხებით ქართველი ერის თავმოყვარეობა შელახული რომ არის, თვით საზღვარგარეთის პოლიტიკური წრეებისთვისაც დღესავით ნათელია, მაგრამ უსამართლობის წაყრუება და აქა-იქ აშკარა მხარდაჭერაც კი, საგონებელში გვაგდებს თითოეულს — საეჭვო გარიგებანი ხომ არ ილამბება ერის ზურგს უკან?!

განსაკუთრებით შემაშფოთებელია პოლიტიკური მიზნებისათვის ქართველის მიერ ქართველის მოკვდინების ბარიერის უმტკივნეულო გადალახვა. თვითმარქვია ხელისუფლების პოზიციის გასამტკიცებლად სამიათასამდე კრიმინალისათვის ნაფეშქაშები თავისუფლება დანაშაულობათა ახალ ტალღას ააგორებს. განუხრელადაა დაქვეითებული ადამიანის მაღალი ფასეულობანი. ეროვნული გვარდიის სახელის გატეხვა ქართველ ახალგაზრდობას გულს აუცრუებს ყველაზე წმიდათა წმიდა მოვალეობაზე — სამშობლოს დაცვაზე.

უკიდურესი სიღატაკის ზღვარამდეა მისული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ შრო-

მისმოყვარე ქართველის მათხოვრის როლში წარმოჩენა — საზღვარგარეთისაკენ ხელის გაწვდენა ჰ უმანიტარული დახმარებისათვის, დიახაც, რომ შეურაცხმყოფელია. დახმარებას არავინ თაკილობს კრედიტების, გრძელვადიანი სესხების ფორმით, მაგრამ მოწყალება ამცრობს ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას.

აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა მოხერხებულად იყენებს ამღვრეულ შიდაპოლიტიკურ ვითარებას — ხელისუფლების არალეგიტიმურობას და ღორჯოების დაჭერა უიოლდება. ენგურსგაღმა ტერიტორიებს კრასნოდარის მხარედ აცხადებს უტიფრად; საქართველოს დროშებს ძირს ჩამოყრის და სანაცვლოდ ცნობილი ორიენტაციის, ხელის მტევანამოსახულ ბაირაღებ ააფრიალებს.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა გოგებაშვილის გიგოლას დაემსგავსება, მაგრამ არც მარქენალი ბეკეკა ჩანს სადმე. (შეხრამუნებულია ძვლიან-ტყავიანად არცთუ ძნელადამოსაცნობი ხალხის მიერ) მიგდებულია ათეულათასობით ჰექტარი სახნავ-სათესი. საქმოსნები აიშვებენ, გაუგონრად იყვლიფება ეროვნული სიმდიდრე.

— ძაღლივით დამკლეს! — ლამის განწირულობით ვიბღავლო კაფკას „პროცესის" გმირივით.

რა ვქნათ, რომელ წყალში გადავცვივდეთ?! კანონიერი მთავრობის ქომაგი დუბინკებითა და ტყვიებით აღიკვეთება. თვითმარქვია ხელისუფლების ყოველგვარ მცდელობას სტაბილიზაციისკენ, გარდაქმნისაკენ ფარული თუ აშკარა დაუმორჩილებლობა უპირისპირდება უმეტეს რეგიონში.

— მოგვეცით ნორმალური მუშაობის პირობებიო, — ანამუსებენ დღევანდელი სიტუაციის მესვეურნი ტყვიანაკრავ გუშინდელ მმართველობას, რომელსაც ასპარეზზე გამოსვლის პირველსავე დღიდან ყელში წაუჭერენ სამოთხის დამკვიდრების პრეტენზიებით. ჩვენ კი გაცილებული მშობლების იმ შვილებს ვემსგავსებით, უდედმამოთა თავშესაფარში რომ ყურყუტებენ ოცდაოთხი საათი. ბედიც ამას ჰქვია! უკვე კეთილდღეობას ჩვენსას ხან ფეთხუმი დედაა გადაყოლილი და ხანაც — ლოთი მამიკო! მოვა ქალი, ფოჩიანი კანფეტებით აგვავსებს, მიწაში ჩააქვესკნელებს „ბედნიერი ოჯახის დამანგრეველ" მესუფრია და ჩხუბისთავ ექს-მეუღლეს. მიხდება ხანი და ახლა გალეშილი კაცი გვლოშნის, ხელგაშლილად გვიბოძებს გროშებს ფუნთუშებისთვის. ისიც ოჯახის დამაქცევრად შერაცხავს ყოფილ თანამეცხედრეს; ჩვენ კი, გვინდა თუ არა, საფლავის ქვასავით გვაწევს თავშესაფრის კედლები, ჭერი, და ბუნებრივია, ნებაყოფლობით ობლობას ისევ ჯამ-ჭურჭლის ლაწალუწში ყოფნა გვირჩევნია!

ნათესავ-გულშემატკივრიანად ერის მესამედი კომუნისტების გარიყვით ცდილობდა ბატონი ზვიადი საქართველოს განთავისუფლებას.

უფრო მეტი მოწინააღმდეგის იგნორირებით განუზრახავს ბატონ ედუარდს ქვეყნის აღმშენებლობა. საქართველოს მომავალს კი ეს ცალმხრივობანი არაფრად ეპიტნავება. იგი პიროვნული ამბიციების მოთოკვის ღირსია, არადა, მართლაც უდედმამოთა თავშესაფრისათვის გავუწირივართ უფალს.

განა სხვანაირადაა ბუნებაში?! განა პლუს-მინუსის ერთიანობა არ კრავს ატომგულს?! განა დღეღამის თანამშრომლობის უარყოფით იღავღავებს წუთისოფელი?! ან სიკვდილ-სიცოცხლის ჰარმონიის მიღმა გავიჭრებოდით კოსმოსში?!

ვირი ბაღდადში თუმანი ღირს, ჩამოყვანა ფასობს თავისი წონა ოქრო თორემო, უთქვამთ.

სახლის აგებისას ყოველთვის ხელმისაწვდომ მასალას ეპოტინება კაცი.

შუმერები გამომწვარი თიხის ზიკურატებში მკვიდრობენ;

ინდიელები — ტყავის ვიგვამებში;

ეთიოპელები ლერწმის ქოხებს ამჯობინებენ;

კოლხები— თხმელის ოდას, მაგრამ მურყანის ფიცრებით შეკრული საცხოვრისი არაა საშვილიშვილო-საწმოხუნო, მალე იჩრჩილება, მალე გაუჯდება ძარღვებში ქარ-წვიმა, მალე იჯაბნება საწუთროსაგან, თუმცა რადგანაც არჩევანის სხვა საშუალება არ გაგვაჩნდა, ისევ არსებული მასალით ვცდილობდით შეუძლებელს და გენიოსი წინაპარიც მალელპობად თხმელას წყალში დაძირავს ორსამ წელიწადს, რათა გააძელქვოს იგი — პრობლემას ხალხური სიბრძნით მოთოკავს, შეუთავსებელს შეათავსებს, მორიელის ნაკბენს მორიელის შხამსვე მოარჩენინებს; რითაც მოკვდება მითვე იმარადისებს.

იქნებ ჩვენც მსგავსი დამოკიდებულებით ვუწამლოთ მამასისხლურ პოლიტიკურ დაპირისპირებას?! კონფრონტაცია მოგვინელებს და კონფრონტაციავე გადაგვარჩენს, ოღონდ არა იარაღის ენით მოსაუბრე — ჯანსაღი, საპარლამენტო! რასაც ვერც ეროვნულ-განმათავისუფლე- ბელი მოძრაობა მოახერხებს იზოლირებულ და ვეღარც რესტავრირებული კომუნისტობა შეძლებს გან-

ცალკევებული, და საერთოდ, როცა ერის ყოფნა-არყოფნაზეა საუბარი, უმჯობესია მოვეშვათ იარლიყებს: ეროვნული ძალები, კომუნისტები და ა.შ. ნუ დავივიწყებთ, რომ უწინარესად ერთი სისხლხორცისანი ვართ — ქართველები; რომ ოცდაცხრა პროცენტი (1988წ.) უცხოტომელი შემოგვიხიზნავს, რომელთა მომავალზეც თანაბრად ვაგებთ პასუხს თითოეული; რომ ეს მესამედი ძალა ნეიტრალურია და სწორედ მას მიემხრობა, ვინც უფრო ჰუმანურ პროგრამას წამოაყენებს და განახორციელებს ცხოვრებაში; რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყოფნა ყოველთვის როდი ნიშნავს იდეალის ეტალონს და არც კომუნისტობა უდრიდა მაინცდამაინც ქვეყნის დამაქცეველს, დამანგრეველს. მათ რიგებშიც მრავლად არიან ერის კეთილდღეობისათვის თავდადებული ადამიანები. კომუნისტობა ხომ უწინარესად ადგილზე დამკვიდრების, ლუკმაპურის მოპოვების საშუალებად იქცევა?! ის იყო ნიღაბი, შირმა. სხვანაირად ვერც იმეცნიერებდი და ვეღარც იბელეტრისტებდი. ესეც რომ არა, ბოლოს და ბოლოს როგორ საზოგადოებას ვაშენებთ ჩვენ?! როცა დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს ზურგს შევაქცევთ, როგორც მოქმედების ფილოსოფიურ-ეკონომიკურ სტრატეგიას, ხომ უნებლიეთ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას ვუკმევთ გუნდრუკს, რაც იმთავითვე ყვითელი ეშმაკის ომნიბუსით შეგვასრიალებს საბაზრო პოლიტიკაში, გვიკანონებს ფასების ლიბერალიზაციას და აქედან გამომდინარე, აღიარებს ძალისმიერ პოზიციას?!

გულხელდაკრეფითა და მუხლზე მუხლის გადადებით არც კომუნისტური რეჟიმის დროს გვიდღეგრძელია და მით უფრო, ვერც კაპიტალის პირობებში ავშენდებით.

ხსენებული პოლიტიკური ძალების დაჯახება არსებითად ქვეყნის მოწყობის ორი კონცეფციის შედეგიცაა: ზვიადისეული თვალსაწიერი — კავკასიური ერთიანი ოჯახის შექმნა, საკუთარი მეობის, ინდივიდუალობის შენარჩუნება (რაც მოგების ხასიათის გათვალისწინებით, ევროპის და საერთოდ, მთელი რიგი კაპიტალისტური ყაიდის ქვეყნებისათვის, ნაკლებად მტკივნეულია) — დიამეტრალურად ეწინააღმდეგება შევარდნაძისეულ არჩევანს, ვითომ რუსოფილურს, რომელიც გარკვეულწილად ემთხვევა **ÑÍ Ã**-ს მიზნებსა და ამოცანებს, მაგრამ მაინც აისბერგული შინაარსის. ჰოდა, ხიშტით მოპოვებული კავკასიის თვითგამორკვევას, მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დანაკარგებს, დაუშვებდა კი თვითმპყრობელობა?! იმპერიას ამ ეტაპზე საქართველო ჩინური კედელივით თუ აესვეტებოდა, კავკასიაში ძველებურად თუ ვერ იპარპაშებდა, საშვებითა და სავიზიტო ბარათებით თუ მოუხდებოდა სიარული, რაღა დარჩებოდა რუსეთს — პეტრე დიდის გაჭრილი ერთადერთი სარკმელი ბალტიის ზღვაში?! შეეგუებოდა კი თვითმპყრობელობა ამისთანა ახლომხედველობას და თუნდაც აკრძალული ილეთებით მოერიდებოდა მსოფლიოს ჭიპის — კავკასიის დანარჩუნებას?! მაგრამ ქვეყნიერების თვალში ეს ყველაფერი დელიკატურად უნდა გამოჩენილიყო. რუსეთს მოსალოდნელია გაექირავებინა ჯავშანტრანსპორტიორი, ტანკი; გაეყიდა ან გაეჩუქებინა შვეულმფრენი, თუმცა თვითონ მისი ჯარისკაცი არაფრით უნდა გამოჩენილიყო არენაზე, და თუ მაინც და მაინც პარტნიორის უგერგილობის გამო კონტიგენტის ამოქმედება აუცილებელი შეიქნებოდა, მაშინ შალის შლემები ამოიდგამდა ენას ქერა თმისა და აპრეხილი ცხვირების დასამალად. ძნელი დასაჯერებელია რუსეთი ასე იოლად შელეოდა ტერიტორიებს, სივრცეებს, სიმდიდრეებს და პლაცდარმებს ახალი ზეგავლენისათვის.

ბატონ ედუარდს რა კოზირები მოუმარჯვებია საქართველოს მერმისისათვის, უცნობია ჩვენთვის. ფლეშ-როიალის მაგივრად სტრიტით თუ ბლეფობს, ესეც მალე გაირკვევა. მისი პოპულარობა საერთაშორისო სარბიელზე ადვილი მოსალოდნელია საპნის ბუშტივით გასკდეს. აკი, უმტყუნებს ერთხელ ალღო, უარყოფილ პოსტს რომ მიუბრუნდება და რაღაც თვენახევარში უფუნქციო აღმოჩნდება რუსული პუტჩის კრახის მერმე?! მაშ, რომელ იდეას მიჰყვეს ქართველი — ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შთამომავალი, იდეას, ინდივიდუალიზმის ბილიკებით რომ მიიწალდავს წავარნებს ზოგადკაცობრიულისაკენ, თუ რუსულ პრიზმაში გარდატეხილს ევროპულ ფასეულობებს?!

ბატონი ზვიადი მარტოკაცი როდია ამ ნარ-ეკლიან სავალზე, ათასები თანაუგრძობენ მას კვლავაც, მაგრამ არც ბატონი ედუარდია გალოკილი თითივით. ის, რაც პროგრესიულია ლეგიტიმური მთავრობისათვის, მომაკვდინებელია საქმიანი წრეების პოზიციიდან: ფარული (გნებავთ აშკარა) ბიზნესის მესვეურნი ისევ შეჩვეულ საუკუნოვან ჭირთან ყოფნას ამჯობინებენ (იაფი ნედლეული, ენის ბარიერი). ამას თან ერთვის ახლის გაუთვითცნობიერებელობა, დღევანდელი კვერცხის უკეთესობის მორალი ხვალინდელ ქათამთან. ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, წინდებული გადატრიალება ვერაფრით მიიჩნევა დემოკრატიულად, სახალხოდ და გამორიცხული არ არის დეკემბერ-იანვრის ამბოხის მესვეურთა ჯიბეში ოცდაათი ერთეულის ნაცვლად ექვსნულმიმატებუ-

ლი ვერცხლი გადაჩხრიალებულიყო რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ხაზინიდან, ბაქოს ნავთობის, სომხური მარმარილოს, ქართული მარგანეცის და კიდევ ვინ მოსთვლის, ჩალის ფასად არსებული რამდენი სიამე-სიკეთის დასანარჩუნებლად.

დასაშვებია, რომ მწერალი ცდებოდეს ფაქტების ინტერპრეტაციისას, მაგრამ ნახევარი წლის წინათ სრულიად ძალდაუტანებლად ამორჩეულ პრეზიდენტს საკუთარი რეზიდენციიდან რომ გამოაბუნძურებენ, შიგ ულრმეს სულში ჩააფურთხებენ ახლახან საკუთარი ნების გამომხატველ ერს, თანაც „სახალხო აჯანყების" სახელით ხალხსავე მიუშვერენ ლულას, კომენტარი ადვილდება.

სინქრონული ბიძგების წყალობით იმპერიის შეტორტმანება, როგორც ზემოდან, ისე — ქვემოდან (აგრეთვე გვერდებიდანაც), განაპირობებს ეროვნული ძალების გამარჯვებას ჩვენში და სხვაგანაც, მაგრამ თვითმპყრობელობა დროზე მოეგება გონს. იგი ხელად მიხვდება, რომ დემოკრატობანა ერთიანად გააცამტვერებს მის სუფევას, ამიტომაც ახალ ამპლუაში აღსდგება **ÑÍ Ã**-ს სახით და საქართველოში გამართული სისხლის კალოც ამისი უტყუარი დასტურია.

ლეგიტიმური მთავრობა თუ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განშტოებანი, როგორც იტყვიან, პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩებიან. ეს უკანასკნელნი ახლა დუმილის პოლიტიკას ამჯობინებენ შემოდგომის არჩევნებში გამარჯვების იმედით, მაგრამ ისიც ცხადია, წიწილებს შემოდგომით ითვლიან, და ეს მეცადინეობანი წყლის მონდომებით ნაყვაა. ასე რომ, იმედის საბოლოოდ გადაწურვის შემდეგ ისინი უსათუოდ გავლენ ბარიკადებზე!

თუკი იოტისოდენად მაინც გვიყვარს ჩვენი ჭირნახული საქართველო; თუკი ფრჩხილისოდენად მაინც ვგმობთ ყოველგვარ მასონურს თუ მესიანურს — ერთადერთობის პრეტენზიას ქვეყნის გადარჩენის საქმეში, უთუოდ მოვძებნით ოქროს შუალედს — მთლად უცხოური ბიზნესისათვის არ გავწირავთ თვითმყოფადობას ჩვენსას და არც ლიბანურ კარჩაკეტილობას გარდავეგებით, ანუ გონებამახვილ- ურად შევათავსებთ შეუთავსებელს!

საქართველოს თავისუფლებისათვის ასპარეზი ვრცელია და არა მხოლოდ სადღეისო, მრავალი წინაღობისა და დაბრკოლების გადალახვის მერმინდელი, საერთო ძალისხმევის სფერო.

შევარდნაძისეული ახალი პოლიტიკური აზროვნების ანტურაჟს პლუს ზვიადისეული სანგვისტიკური პატროფილია — აი, ჩამოწკვარამებული ჩვენი დღევანდელობის სწრაფი გაცისკროვნებისა და გავეშებული უფსკრულებიდან ერის ამოღწევის უებარი მალამო, რომ არა პიროვნულში გადაზრდილი ბედი ქართლისა და კიდევ — მოურჩენელი ჭირი კაცობრიობისა: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს".

ჩემო თვალნათელო ქართველო, ჩემო დამაშვრალო და ძმისაგან ზურგში ლახვარდაკრულო მრავალგზის, ერთხელ მაინც მომაპყარი დაუნჯებული მზერა, ერთხელ მაინც შეაყარე თვალში ნაცარი ნებსით თუ უნებლიეთ შენი ანკარა წყლების ამამღვრეველთ, მომაპყარი მზერა, რათა შეგახსენო: ბაღვაშების ზეობის ჟამს, შენ, ერთადერთი მოისაკლისებ დავითს და აღისრულებ კიდეცსაწადელს — გადაგვარებული, დაქსაქსული შენი სხეული აღიარებული გათიშულობის წყალობით, სინთეზური წეს-წყობილების ლიბოძლიერ ქვეყნად გადაიქცევი, სადაც ქრისტიანული მონასტრების გვერდით სინაგოგა-მეჩეთებშიც შეუფერხებლად აღავლენენ უცხოტომისეულ რიტუალებს, ოღონდ სამშობლოს საზღვრების საიმედოდ განმტკიცების მერმე;

ჩემო თვალნათელო, ჩემო დამაშვრალო და ძმისგან ზურგში ლახვარდაკრულო მრავალგზის, ახლაც, ამ მეოცე საუკუნეში, მეჯღანუაშვილების ზეობის ეპოქაში, შენ ერთადერთ მოისაკლისებ ეროვნული მთავრობა და აღისრულებ კიდეც საწადელს, მაგრამ დევნილი პრეზიდენტის მამულში ჯერ ძმის თავზე აღმართული ძმის მახვილია ქარქაშში ჩასაგები. შემდეგ ერთმანეთის გულებისაკენ მიმავალი გზები თავისით გამოჩნდება. ძლიერი ხელისუფლება გადაგვარჩენს მეთორმეტე საუკუნეში და კონსტიტუციის ფარგლებში შეუვალი მთავრობა გვიხსნის მეოცეში ახლა!

ჩემო თვალნათელო, ჩემო გაპოლიტიკოსებელო პროფესორობავ, ცენტრისტებო და მემარჯვენე-მემარცხენენო, სულის მსახურნო, ოსტატებო სინთეზური თუ მონუმენტურის ხელოვნებისა, უკლებლივ ყველა — ხელმოცარულნო თუ ღვთით კურთხეულნო, თქვენც ფულის მხვეტავნო მამონას შეუბრალებელი ჯადო-თილისმით, გეაჯვებით, გემუდარებით; კრილოვის იგავის კვალობაზე სიარული მოგვაშთობს ნაწილ-ნაწილ; გედის, კიბორჩხალისა და ქარიყლაპიას გზებით ქმედება-სწრაფვა უძირო უფსკრულში გადაგვიჩეხავს თვითმყოფადობას ჩვენსას. მოვერიოთ ვნებათა ღელვას, ჭრილობაზე მარილი მოვიყაროთ, ცერა თითზე ვიკბინოთ საკუთარი უნებისყოფობისა და გათიშულობის წილ! დავივიწყოთ ჩვენი დამაქცეველი შური, რომელიც სულხან-საბას თუ ვერწმუნებით, „... **არს მწუხარება მოყვასისა კეთილსა ზედა**". განა გაუთავებელი ქაოსი წაგვწევს წინ?! ქარიშხალი ხომ არ მოვიმკეთ ნიავის მაძაგებლებმა?! განა ყოველი სტიქია არ საჭიროებს სათანადო

კალაპოტს?! განა მძლეთა მძლე ზღვას ძალუძს ციცქნა წისქვილის დოლაბის დატრიალება, ან თუნდაც ბობოქარ მდინარეს, თუ მას თანაზომიერ ღარში არ მივუშვებთ?! ან იქნებ ათი ძიძა მივუჩინოთ თავისუფლებას ჩვენსას, ჭირვეული ბალღივით აკვნის არტახებში ჩაკრულს ჯერაც?!

ვამბობდი და ვიმეორებ, მწერლურ ალღოს ვენდობი უწინარესად-მეთქი, რადგანაც დაცდილი მაქვს, იშვიათად მღალატობს იგი მოვლენების შეფასებისას: როდესაც კაცი ერთხელ ხანჯალს იშიშვლებ და მისი წყეული პირი მზის შუქზე ალაპლაპდება, მერე ქარქაშში ჩაგება ძნელია, რადგანაც ერთ წინააღმდეგობას მეორე წაემატება ხოლმე და შეიკვრება ბარიერების ჯაჭვი.

კანონიერი ხელისუფლების დამხობა ჯერ კიდევ როდი მოასწავებდა დღევანდელი მთავრობის „ტრიუმფს"; ჯერ მრავალი წინაღობის დაძლევა იყო საჭირო, განსაკუთრებით— სამეგრელოში, რომლის სამჯერადი ეგზეკუციით ზედმიწევნით განხორციელდება ეროვნული თვითმკვლე- ლობა ჩვენდა სამარცხვინოდ, თუმცა ესეც არ ნიშნავდა მთავარს — აფხაზეთის დაუჩოქებლად არსებული რეჟიმი ვერაფრით დაიმკვიდრებდა თავს — „დემოკრატიული" არჩევნების გაუთამაშებლად მას ხუნტის ჟარგონით უნდა ესაუბრა არისტოკრატიულ მსოფლიოსთან, რაც ცხადია, ვალპურგის ბალ-მასკარადის ფარგლებს გარეთ დარჩენას ეთანაბრებოდა ქართველი ნეოკომუნისტებისათვის. ასე რომ, კროსინგოვერი — არჩევნები აფხაზეთის გავლით — ბიოლოგიურ „სუმმა სუმმარუმად" წამოელანდება შემღვრეულ გონებას.

აფხაზეთში საქართველოს სული რომ გადანახულა, არძინბამაც ჩინებულად უწყის. ის ხომ საქართველოს კარიბჭე, მისი არსებობის უმთავრესი წინაპირობაა?! ამასთან, აფხაზეთის პოზიცია განსაზღვრავს საბოლოოდ სამეგრელოს ორიენტაციასაც და ვინძლო პუტჩიანელები ვერ შეძლებდნენ საზღვაოსნო არტერიების დაუფლებას, გამოგორდებოდა რობესპიერის საჯალათო კუნძი.

ბუნებრივია, მაღალ ეშელონებში მოეხსენებოდათ ამის თაობაზე, მოეხსენებოდათ, რომ მრავლად ნაგვემ სამეგრელო ადვილმოსალოდნელია მოკავშირედ გენეტიკურად თვისტომს ამოსდგომოდა მხარში, თუნდაც იმიტომ, რომ სოხუმში ყოველდღიურად ხელისშეუშლელად იმართებოდა პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდამჭერი მიტინგები, და შარის მჩხრეკელივით გაფაციცებით ეძებდა საბაბს აფხაზეთში შესასვლელად.

კონფრონტაციის მიზეზს რა გამოლევს, მით უმეტეს, როცა რუსეთიდან დაძრული შემადგენლობანი მოხუცი სანტიაგოს თევზივით გამოაღწევენ აფხაზეთ-სამეგრელოს გადასარბენიდან, და გამოვიგონებთ შარებსაც: ზუგდიდში მოსალაპარაკებლად ჩასული ოციოდე დეპუტატის დატყვევებას და სამურზაყანოში გახიზვნას, თუმცა ღიმილისმომგვრელია ეს ქმედებანი. განა აფხაზეთის უღრანების გაუვლელად სადადიანოს ან სვანეთის უსიერ ტყეებში გაძნელდებოდა „დემოკრატიული საქართველოს მშენებელი" ოცეულის გადამალვა, მაგრამ სამხედრო შენაერთებს მეტი საფუძველი რომ გააჩნდეთ მხრების გასაშლელად, მძევლებს აფხაზეთის ტერიტორიის კლანჭებში მოამწყვდევენ საზოგადოებრივი აზრის გასამძაფრებლად. და დაიძრება საომრად აღრენილი მძიმე ტექნიკა აბშილეთისაკენ, არა მარტო აფხაზ-ქართველის, არამედ იქ მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანის საბედისწეროდაც.

შესაძლო შედეგები ამ შემთხვევაში, განსჯის თემას ნაკლებად წარმოადგენდა, ვინაიდან, ნებისმიერ ვითარებაში, ჯერ ერთი, პრეზიდენტის მომხრეთა ენთუზიაზმს წყალი შეუდგებოდა, მეორეც, თუკი გვარდია ბრძოლაში გაეხვეოდა, აფხაზეთის მკვიდრ ქართველობას ჩაითრევდა ორომტრიალში და რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, თუნდაც მოსახლეობის განახევრებით არ გაძნელდებოდა მთლიანი ტერიტორიის დარეგულირება.

აკი, დაუგამისის 3 სექტემბრის პოლიტიკურ „მონაპოვრებზე" მკერდში მჯიღის ცემით ვაუწყებთ მსოფლიოს ეთნოკომფლიქტის გადაწყვეტის ქართულ ვარიანტზე, რომელიც თურმე საკუთარი ეროვნული ინტერესების იგნორირებით პრობლემის მოგვარების გასაოცარი მოდელია.

ამას ახლა ვწერ, პარლამენტართა და მაღალ ჩინოსანთა ნიანგის ცრემლების შემდეგ, თორემ მაშინ ძნელია ჩანასახიდან წიწილის თუ დინოზავრის განჭვრეტა. ხელისუფლება, რომელიც იარაღით დათრგუნვილ გარემოში ბინადრობს ნასაკირალის ტყეებში გაჭრილ ფირალსავით; მთავრობა, რომელიც 24 საათში გისოსებს აიფარებს თვალებზე (იმელის შენობის პირველი სართულის ფანჯრების გაუსაფრთხოებას ვგულისხმობ); მმართველობა, რომლის რეზიდენციის ფრიზებიდან წაიშლება პროლეტარიატის ბელადთა ბარელიეფები და 4 ვაკანტური ადგილია გამოთავისუფლებული ახალი სახეების დასატყვევებლად, არც ისე გულუბრიყვილოა, რომ თავის კანტურს მოჰყვეს. მას ჰყოფნის წლების მანძილზე გამომუშავებული ისტორიული ცბიერი გამოცდილება: შეინარჩუნოს წონასწორობა ყველგან და ყველა სიტუაციაში ყველაფრის ფასად; და ცხადია, როცა სამაჩაბ-

ლო ხელიდან გამოცლილია; როდესაც სამეგრელო სიმწრისაგან თითებს იკვნეტს; როდესაც აჭარა ყარსის საზავო ხელშეკრულების აჩრდილს მოისხამს მხრებზე ხელშეუხებლობის ნაბდად, წყალწაღებულისათვის ერთადერთი ჩასაჭიდებელი ხავსი ისევ და ისევ აფხაზეთი დარჩება.

ომის გაჩაღების დებიუტში ჩავაღწევ იქ, მეგობარ პოეტთან, ავთო ჩხაიძესთან ერთად. ის განწყობილებანი დაფიქსირებულია ქაღალდზე და დაიბეჭდება კიდეც „საქართველოს რესპუბლიკაში". ასე რომ, ცარიელ მსჯელობებს იქნებ უშუალოდ მისი მოხმობა სჯობდეს:

ჯიმაგე

ცოტა შორიდან ვიწყებ სისხლითა და ცრემლით შეზავებულ ამ ბარათს ძმადნაფიცო, ჩემო, ჯუმა ახუბავ! შენი სახელი ხომ ძმას ნიშნავს მეგრულად?! ესეც რომ არა, უკეთესს ვის მივმართო, თუ არა შენ, რჩეულთა შორის ურჩეულეს აფხაზს, ავტორს „აბზუსი" — თავისუფლებისათვის და სამართლიანობისათვის დარახტული მერნისა?!

ორიოდე კვირის წინათ გახლდით ჩვენს დიდებულ აფხაზეთში. მოგეხსენება, სამურზაყანოელი ვარ, გალელი, ოტობაიელი, იმ ძირძველი მიწის შვილი, მარადჟამს ქომაგად რომ ედგა აფხაზი და ქართველი კაცის უკუღმართ ბედისტრიალს.

მოგიკითხე, შინ, მეგობრებში, მაგრამ რას გიპოვიდი ჩამოქუფრულ ქალაქში?! ძმისათვის ფეხი მოეკვეთათ. ალბათ, გუდაუთაშიაო, მითხრეს ახლობლებმა — თანამოკალმეებმა შენმა, სიტყვის ჩინებულმა ოსტატებმა ალექსი გოგუამ და შალოდია აჯინჯალმა, მწერალ გენო კალანდიას ბინაში სახელდახელო სუფრაზე თავმოყრილებმა.

დაუნჯებული სახით, გულდამძიმებულნი, ალალმართლად ვიტყოდით მთისას და ბარისას. ჩვენი ხვალინდელი დღის გადარჩენაზე ვმუსაიფობდით, ჩვენი ბედკრული ხალხების მერმისზე ვსაუბრობდით. უფრო დიდი უბედურება კი კარზე მოგვდგომოდა თურმე — მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის სისხლიანი კალო გაგრაში.

ახავაი, ავაჰმე, ჯიმაგე! ვაი, ჩვენს თავს, უბედურს!

პატარაობიდანვე მოწიწებით მზრდიდნენ აფხაზი კაცის მიმართ პაპაჩემი და დიდედა. რამდენი ზღაპარი, რამდენი სიბრძნე გამიგონია მათგან ამ სისხლით და ხორცით ნათესავ ხალხზე. ჩემს ცნობიერებას სიყრმიდანვე აპოხიერებდნენ აბრსკილი, სათანხე გვაშა, ინი ჭკვეტერია, ჰაჯი უსუბი თუ კაც ზვამბაია.

— შენი არ გაცოდინა და სხვისთვის არ მოგესმინოსო, — აფხაზური წყევლაა.

— ზრდილობის, თავდადების, სამართლიანობის განსახიერებაა აფხაზიო, — მეჩიჩინებოდნენ გამუდმებით.

განსაკუთრებით კი ერთი ზღაპარი დამახსომდება დღემდე ეშმაკსა და ახალგაზრდა რძალზე თქმული.

თურმე, ჯალაბით და საქონლით სავსე ოჯახის უფროსს, დილაუთენია მაცილი აუჩნდება თვალწინ ბაკში გამოსულს.

— ხრონცო, ბერიკაცო, — აგდებით შეესიტყვება მოხუცს ღობეზე წამოპლაკული ავსული, — ამოირჩიე ერთი რამე, ქონება იქნება ეს თუ სხვა, დანარჩენს ამთავითვე შეელიე, ნაცარტუტად გიქცევ ყოველივესო, — დაექადნება და მრავლისმომსწრე მხცოვანიც ოჯახის ჩაუკითხავად არჩევანს ვეღარ გაბედავს.

— მადროვე, ჩემიანებს დავეთათბირებიო, — ამ სიტყვებით გაეცლება ეშმაკს.

— ჩქარა, ჩქარა, ხრონცო, ბერიკაცო! ფეხს ნუ ითრევ, მარტო შენს ასაოხრებლად როდი მოვსულვარ! — მისძახის ბნელი ძალა.

შეფიქრიანებული მოხუცი უკლებლივ შემოიკრიბს ნათესავებს და დაუფარავად გაუმხელს თავს დატეხილი უბედურებას.

იმსჯელებენ, იდავეებენ, იკამათებენ.

ზოგი საქონლის იღბალი დაგვებედოსო, ბრძანებს.

სხვები ტაროსიან ამინდებ ისურვებენ;

რას არ მიედ-მოებიან: ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს. ბოლოს აქამდე კუთხეში ატუზული ახალგარზდა რძალი, რომელსაც წესით უფროსების თანდასწრებით ხმის ამოღება ეკრძალება, „მამავ, ბატონო, თუ შეიძლება მეც ვიტყვი ერთსო", ძლივს-ძლივობით ამოთქვამს ერთიანად აყირმიზებული. ასეთი საბედისწერო წუთი რომ არა, ისვრიან კარში კინწისკვრით,

როგორც თავკერძას, გაუზრდელს, მამაპაპური ადათის შემბღალავს, მაგრამ მამამთილი მორჩილად დაუქნევს თავს თანხმობის ნიშნად.

— ერთმანეთის დაყოლის ნიჭი გვიბოძოს, მამავ, ბატონო, იმ წყეულმა, — დაიჩურჩულებს რძალი და კვლავ გასაგნდება.

— ხრონცო, ბერიკაცო, — მოჰყვება ხელების ფშვნეტას მოხუცის გამოჩენით შეფუცხუნებული ეშმაკი, — მოიფიქრეთ ბოლოს და ბოლოს?! აბა, ჩქარა, ამოშაქრე, მარტო შენს ასაოხრებლად როდი მოვსულვარ!

— ბევრს არაფერს ვითხოვთ ჩვენ, — ქისას და ყალიონს დააძრობს ოჯახის უფროსი, — ერთმანეთის დაყოლის ნიჭი გვიბოძე მხოლოდ.

შეტოკდება თხისჩლიქებიანი, თვალები გადმოეკარკლება, ღრანჭი მოექცევა, დორბლი დაუფარავს მყრალ ლაშებს.

— ჰაიტ, ხრონცო, ბერიკაცო! ერთმანეთის დაყოლის ნიჭს თუ მოგცემთ, მერე რისი დამკლები ვარ მე?! — გამოსცრის გამოხრულ კბილებში და კოჭლობ-კოჭლობით დაუყვება ორღობეებს მორიგი საკბილოს საძებრად.

რატომ გავიხსენებ მაინცდამაინც ყმაწვილობის ჟამს მოსმენილ მომხიბვლელ ზღაპარს?! უთუოდ გენიშნება, ჯიმაგე, რადგანაც ურთიერთ დაყოლაზე უკეთესი ჯილდო ჯერეთ არაფერი მოუზრებია განგებას, არათუ სისხლით და ტომით ახლობელი, არამედ სრულიად განსხვავებული ზნე-ჩვეულებისა და სარწმუნოების ადამიანების შესაკავშირებლად; თუმცა, როგორც ჩანს, იმ გონებანათელ რძალს ვეღარაფრით შემოვიყვანთ ოდესღაც ბეღელსავსე ჩვენს ძმურ ოჯახში, და მესამე ძალა, ცხრაასჯერ მეტი ჩლიქი და ეშვი რომ მოუმადლებია უკუღმართ ყისმათს ბერიკაცს შემოჩენილ იმ ეშმაკთან შედარებით, მუსრს გაგვავლებს თვალსა და ხელს შუა.

ოცი წლის წინათ ბაკურიანში გამართულ ახალგაზრდულ შემოქმედთა სიმპოზიუმს ვიხსენებ. ჩვენ იქ შევხვდებით ერთმანეთს პირველად. მე თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მესამე კურსის სტუდნტი, შენ — უკვე საკმაოდ აღიარებული მწერალი, მაგრამ ორივე — ერთი მიწა-წყლის შვილი, მზიური აფხაზეთის მოდგმა.

ძმადნაფიცობას ჩვენსას სანოტარო კანტორების დასტურ-ლამალი არ დასჭირდება, არც— ეგზოტიკური ფიცვერცხლის ჭამა. თავისთავად, ძალდაუტანებლად მოხდება ყოველივე. მე ეს თვითნაბადი ძმადნაფიცობა ყოველთვის ნათლის სვეტივით მიმიძღვის აფხაზეთისაკენ დაძრულს, მაგრამ ახლა ერთი დიალოგი მაგონდება, რომელიც სხვანაირ ელფერს სძენს დღევანდელ ვითარებას.

საქმე ის გახლავთ, რომ ბაკურიანის ახალგაზრდა შემოქმედთა სიმპოზიუმს ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებიც ესწრებიან ჯეროვნად, მაშინ ჩემთვის ზოგადად — ლეკები და დაღესტნელები, თუმცა მერე და მერე შევიტყობ — ხალხური შემოქმედებითა და სიბრძნით ცხებული უამრავი თვითმყოფადი ტომის ნაშიერი.

განსაკუთრებით შენი პოლიგლოტობა გამაოცებს, ჯიმაგე. მიკვირს, ჩვენი მზიური აფხაზეთის ცის ქვეშ გაზრდილი, როგორ გაესაუბრები მათ სათითაოდ, და ჩემი განცვიფრება რომ გააქარწყლო, **„ჩვენ ხომ ერთნი ვართო“**, იტყვი უშურველად.

მართალი გითხრა, რაღაცნაირად სული მომეწიწკნება, რადგანაც იოტისოდენად არ მემეტები სხვისათვის, ვინაიდან ძმადნაფიცად მეგულვი ათადან და ბაბადან, ჩემი სამურზაყანოს, ჩემი საქართველოს უშფოთველი ძილის ყურისმიმგდებლად, ჩემ ჯუმა ახუბად!

მას აქეთ მრავალი ხანი გამოხდება. ჩვენ არაერთგზის შევხვდებით სოხუმსა თუ რუხში, რედაქციებსა თუ მარულაზე. შევიყრებით ოდიშის კურთხეულ მიწაზე, წამოვრეკავთ დარახტულ აბზუებს და ყურებაცქვეტილ სინიბებს, მეგობრობის ყბადაღებული ტრანსპარანტებით ავაჭრელებთ იქაურობას. ციცერონისებურ ცეცხლს შევუნთებთ მიკროფონებს. შევმუსრავთ ხონჩით და ბარქაშით მორთმეულს. მკერდში მჯიღის ცემით და კოცნა-პროშნით დავცილდებით ერთმანეთს და დოპინგივით წლისთავამდე ძლივს გვყოფნის გაბუქებული ფიცის მადლი და სითბო.

მსოფლიოში ერთადერთი უნივერსიტეტი გებოძებათ ეროვნული ნიშნით ცხებული.

არ დაგხარბდებით რადიომაუწყებლობას, ტელევიზიას ოღონდ აფხაზებად დარჩეთ, აფხაზურად იაზროვნოთ, აფხაზეთისათვის იღვაწოთ; ოღონდ ბზარი არ გაუჩნდეს ჩვენს ოდინდელ ძმობას.

ხუთიოდე წლის წინათ, ჯვარში, ფეშენებელურ კოტეჯში საკუთარ თავთან განმარტოებულს, ნაღები აფხაზობა „მეწვიეთ“ . ქართველ მწერლებს, შოთა აკობიას და ელიზბარ უბილავას, იუბილეს უხდიან თურმე წალენჯიხელები. მასპინძლები სტუმრებსაც ამიტომ წინამძღვრობენ ბუნების წიაღისაკენ. ჩემი არსებობა იქ არავის ახსოვს, კოტეჯი აინტერესებთ თორემ. რა დამავიწყებს იმ

საღამოს. ვმღერით შეწყობილად, ერთი ჩანგივით მომართულები. მე ვკითხულობ მეგრულ ლექსებს და თარჯიმანი არ გვჭირდება.

— მორჩები თუ არა რომანს, აფხაზურად ავაჟღერებო, — მპირდები.

დრო კი რბის. ის მესამე ძალა, მხცოვან აფხაზს ეშმაკის სახით რომ გამოეცხადება გამთენიისას, არ ცხრება, ახალ-ახალ ხაფანგებს გვიგებს, ბალღამს გვაწვეთებ სულში, უხსენებელსავით გვისისინებს გამუდმებით.

მერეა და ვოვა ვეკუას თავზარდამცემი, მუხანათური მკვლელობა მთელს საქართველო შეძრავს. მიზეზს რა გამოულევს ჩასაფრებულ კაცს?! აფხაზური უნივერსიტეტისაგან ქართული სექტორის გამოყოფა, აფხაზური თეატრის გახლეჩა, მწერალთა კავშირის განცალკევება დიდსა და პატარას გონება დაგვიბნელებს. არადა, რამდენადაც ვიცი, ქართველები იქამდე იჩაგრებიან ხსენებულ დაწესებულებებში, რომ არ დაედგომებათ იქ ერთადერთი საბაბის — ქართველობის გამო.

ქართი — დედათბილისი თქვენებურად, ქართველი, რაღაც უსაშველოდ აუტანელს გაუიგივდება თქვენს წარმოდგენაში, რომელიც თითქოს დაღუპვით, გაქრობით ემუქრება თვითმყოფადობას თქვენსას, როდესაც ამ ჭირნახულ მიწაზე როსტოკაკა ეროვნებებსაც განაღდებული აქვთ კულტურული ავტონომიები: სოკოებივით მომრავლებულან მათი გაზეთები, სკოლები, თეატრები.

პირისპირ აღმოვჩნდებით ღალიძგასთან. აზვირთებული, განრისხებული ხალხის ტალღა მიმაგდებს იმ ნაპირს უიარაღოს, შიშველი ხელებით, მაგრამ როგორც იტყვიან, მე ძმადნაფიცთან მახვილით ველარ დავადგენ ჭეშმარიტებას. თვალის თვალში გასწორება მწადია მარტოკა, თუმცა იმ ცოფმორეულ ორმხრივ ღანჩალში შენს მზერას როგორ დავიჭერ? მაინტერესებს კი, რას ამოვიკითხავ იმ გამოხედვაში, მოსისხლე მტერს თუ უზენაესი ფიცის ერთგულს?!

მას აქეთ ვერაფრით მოგიხელთებ, ჯიმაგე; ტელეფონით შეგეხმიანები ორგზის. იმ ხმაში, საბედნიეროდ, არ გვრძნობ საყვედურს თუ ქარაგმას. ან რისთვის უნდა შემომხედო უნდობლობით ჩვენი ძმობის გადასარჩენად სანთელივით ანთებულს — ძმას, დადრა დირმიტის, დიდი დიმიტრი გულიას ლექსები რომ მითარგმნია აქა-იქ; ძმას, რომელსაც „ვარადა“ „ოდოია“ — „ლილეოსავით“ შემოუძახია აცამზევების თუ სულთაპყრობის ჟამს; ძმას, რომელსაც მშობლიურივით სტკივა ყოველი აფხაზური — ჭირში მოზარეა და ლხინში — ბანისმომცემი?!

ისევ სოხუმში გაჯახირებულ ამასწინანდელ დღეებს ვუბრუნდები. იქ, მწერალ გენო კალანდიასთან, თავზარდამცემ ამბავს შევიტყობ: თურმე ვინმე კოზმიდს გალისა და ოჩამჩირის რაიონების დატბორვის გეგმას აღმოუჩენენ სრულიად შემთხვევით, რომელიც ენგურჰესის წყალსაცავის აფეთქებას ითვალისწინებს სამურზაყანოს ტერიტორიაზე. მაშინ ვერ ვერწმუნები იმ ინფორმაციას, გადამეტებულია-მეთქი, გავივლებ გულში. ნუთუ მართლა ასე გაგვწირავენ აფხაზი ძმები-მეთქი. იგივეს გვიმტკიცებს ბატონი შალოდია აჯინჯალიც:

— ჭორია, ამისი გამფიქრებელიც კი შეუძლებელია მოიძებნოს მთელს აფხაზობაშიო, — ღრუბელი გადაურბენს სახეზე, — ის არშბაც ფიქტიური პიროვნებაა, ასეთი სინამდვილეში არ არსებობსო! — მოსჭრის და შუბლს ხელისგულს დააყრდნობს.

— შენს პირს შაქარი, — შეეხმიანება სამზარეულოდან ქალბატონი ლუნა.

— განუმეორებელია, — ხმას დაუწევს ბატონი ალექსი გოგუა, — ეს დღეები პირველი დგება პურის რიგში, დაიტვირთება, ამოაღწევს კიბეებს და კარის მეზობლებსაც ჩამოგვირიგებს. გაჭირვება გამოგცდის თურმე, გაბრძენებს კიდეც. შეცდომა ბევრი დავუშვით ჩვენ, წარსულშიც, დღესაც, მაგრამ ახლა განკითხვის დრო არ არის. როგორც არასდროს ახლა გვჭირდება მეტი სულგრძელობა. ჩვენივე ხელით უნდა ამოვშანთოთ ყოველგვარი შოვინისტური და სეპარატისტული. გენოს თანადგომა რომ არა, ვინ იცის, რა დღეში ჩავცვივდებოდით: „შემოწმებებს“, „ჩხრეკვებს“ საშველი არ დაადგა, მისი გამოსარჩლების წყალობით ვერაფერი გააყოლეს ხელს. კაცი კაცითაო, თქმულა.

— ეგ რა სახსენებელია, — თავს დაიმდაბლებს ბატონი გენო, — შემძრა ლორიკ მარშანიას მიმართვამ აფხაზი ერისადმი. ხელოვნება, ჰუმანიზმი, მართალი სიტყვა გადაგვარჩენს ყველას, აფხაზსაც, ქართველსაც ... ახლაც თვალწინ მიდგას ერთი ხანდაზმული აფხაზი მანდილოსანი, ყალიონით ხელში, ციცქნა ბავშვს ფეხზე რომ წამომიდგებოდა ყოველი სტუმრობის ჟამს. ერთმანეთის დაფასება ჩვენი უძლეველობისსაწინდარია.

სროლა მთელი ღამე არ ცხრება. კოკისპირული წვიმა დაუშვებს. დილით შოთა აკობიას ბიჭი ამოვარდება.

— გვიშველე, გენო ძია, გვარდიელები უბრაგუნებენ მეზობელი აფხაზის კარსო.

სასიკეთო საქმისათვის მოსულებს მართლაც არ ჰგვანან ის სულამღვრეული ჯეელები. ავტომატის საკეტს აჩხაკუნებენ, ხელყუმბარას გამოაჩენენ წარამარა, პასპორტებს მოითხოვენ მასპინძლე-

ბისგან. არ შევდრკებით, არა. არ დავუშვებთ ჩვენ სისხლისმიერი ძმების ისედაც აფორიაქებული სულების აწიოკებას. ამასობაში ქალაქში წესრიგის დამცველი პოლიციელებიც მოიჭრებიან და ვარდისფერი ფარდებიდან შეშფოთებული თვალებით მოყურადე ბავშვებიც დაშოშმინდებიან.

ასე იქცევა უმეტესი ქართლოსიანი სოხუმიდან არძინბას მთავრობის ოტების მერმე, მაგრამ ჯიმაგე, ჯუმა, გაგრის მშვიდობიანი ქართველების სისხლიანი კალოს შემდეგ მიჭირს ვინმე კოზმიდის ბინაში აღმოჩენილი ჩვენი მასობრივი ამოჟუჟვის გეგმა-პროექტის წაყრუება.

ომი — ომია, გულზე ხელებს დაუკრეფს იგი მრავალ თოფიან კაცს აქეთაც და იქითაც, თუმცა მშვიდობიან მოსახლეობას სტადიონზე რომ შეყრი დროებით გამარჯვებული, ქართველობის გამო ფაშისტების შესაშური გულმხეცობით დახვრეტ, დაწვავ და საშემოდგომოდ შექუჩებულ სიმინდის ღეროებსავით ჩაფლავ მიწაში, არ ვიცი, რა ვუწოდო ყოველივეს?!

ან ორსულ ქალს მუცელს რომ გაუფატრავ და ჯერაც თვალაუხლელ ჩვილს ხიშტზე ააგებ ცოფმორეული, რა ცოდვისტრიალია ნეტავ?!

ან ყელს რომ გამოჭრი ცოცხალ ადამიანს, ენას ჩამოუზლეტ ყანყრატოდან და ჰალსტუხივით გადმოუგდებ მკერდზე, იქნებ ესაა კაცთმოყვარეობის ეტალონი?!

ან ქართველების თავებით ფეხბურთს რომ ითამაშებ სტადიონზე, ჰუმანიზმის ნიმუშებთან გვაქვს საქმე უთუოდ.

სისხლი მეყინება ძარღვებში, ლამის თავისქალა ამეხადოს. მიკვირს ისლამის კლანჭებს როგორ ეთანაწყობა ქრისტიანი აფხაზის სული.

რელიგია ყველა პატივსაცემია თუ იგი კაცთმოყვარეა, ჰუმანური. აქ ქრისტიანობის ჰეგელისმიერი აპოლოგია არ უპირისპირდება მუჰამედის სჯულს, მაგრამ როგორი ადამიანური განზომილებით გამართლდება გონების შუა საუკუნეობრივი სიბნელე, ოდეს ქრისტიანის მოკვდინებისათვის სამოთხეს ჰპირდება მის ზედმიწევნით აღმსრულებელს?!

კონფედერაციის დაქირავებული ჯარისკაცები ჭიქებს, პეშვებს ივსებდნენ გაკოჭილი ადამიანის ნაიარევიდან მოჩქაფუნე სისხლით და უკვდავების წყაროსავით ხვრეპდნენ მერმე მომაკვდავის თვალწინ. ბარაქალა მათ ღრეობას!

მთიელთა კონფედერაცია კავკასიის მთების ალყაში მომწყვდეულ მდინარესავით ბორგავს. სამაჩაბლოს გავლით კასპიის ზღვისკენ გზების გაკაფვა რადგანაც ჩაფუშვია, ისევ აფხაზეთის მეურვეობას ჩაებღაუჭება, აფხაზი ხალხის ინტერესების დაცვას ამოფარებული აფხაზური პასპორტებითა და ბოხოხებით მოხოხავს ჯერ ქართველების იავარსაქმნელად, მერმე — თავად აფხაზების დასანთქავად. აფხაზი ერის მისიაც იქნებ ეგაა, ჯიმაგე, იმ შორეული წლებიდან, იმ ჩამოვაკებიდან მოყოლებული — საკუთარი მეობა სალამანდრასავით ანაცვალოს პანისლამიზმის ლავისებრ გასრიალებას კავკასიონის გასწვრივ.

კი, ჩვენ ვიცნობთ დიდი ილიას გზას, რომელიც მთელს კავკასიას ერთ ცივილიზაციად განიხილავს, მაგრამ შეიცვლება დრო, პრობლემები და ზვიადაურის სადისტური წამება დღეს მასობრივ ხასიათს შეიძენს არა მხოლოდ საქართველოში — სარაევოში, ყველგან. ნუთუ მსოფლიო რელიგიური ანგარიშსწორების უფსკრულამდე მისულა?!

— ჩიტსაც აქვს თავისი ბუდე, — გითქვამს შენ, — ბაიაზე დამთავრებული ყოველი ქართული გვარი: ყოლბაია, ეზუგბაია, ქეცბაია, ლაკერბაია, და კიდევ მრავალი სხვა, აფხაზური წარმოშობისაა, (მოგვიანებით, „სუფევას“ მესამე წიგნში ჯ. ჯ. კაკულიასთან დავინახავთ, რომ „ბა“, „ბაია“ შვილს შეესაბამება ქართულად), ძალად გაქართველების მეოხებითო, — შემკამათებიხარ.

— მაშინ წერეთლების აფხაზობა ვინ თქვა, „გამზრდელი“ რომ დაწერა მისმა დიდმა წინაპარმა და ჰაჯი უსუბის დიდსულოვნებას გუნდრუკი უკმია?! მეგრელების მასობრივ გააფხაზებას სწორედ აფხაზურმა პრივილეგიებმა შეუწყვეს ხელი თავის დროზე. აფხაზი ჯარში რომ არ მიჰყავდათ, დღეს ამის წყალობით ერთი ძმა ქართველია და მეორე — აფხაზი, — შეგპასუხებივარ მეც, მაგრამ მთავარზე მთავარი ისაა, ჯიმაგე, წყალნი წავლენ-წამოვლენ, ქართველები და აფხაზები კი გვერდიგვერდ იცხოვრებენ მარადის, როგორც მშვიდობისა და სიკეთის დამამკვიდრებლები; და ვერც იმას ვირწმუნებ, ძმადნაფიცო, ჩემო, რომ ოქროსთმიანი ქართველი ქალ-ვაჟების მუხლუხოებით გადათელვას თვალს უხუჭავდი; რომ ადამიანობების სადარაჯოზე არ იდექი მწერლის მოვალეობისამებრ.

არა, იარაღით არ მოვალ შენსას; არა, არ აგესვეტები ყინჩად, კითხვიან მზერას მოგაპყრობ მხოლოდღა და თუ მოიძებნება სადმე დანა ჩემს ყელში გასაყრელად, მიუხედავად დიდი ხათრისა, ვეღარაფრით შევეწირები დარლას, ჯიმაგე! წუთისოფლით ისედაც ნაგვემი ჩემი სული ვეღარაფრით უზიდავს საიქიოში წყალს და შეშას მის აღმატებულებას!

***

წერილში მოცემული შემაძრწუნებელი ფაქტები, რომელიც იმ დღეებში ორმხრივი კაცთმოძულეობის ნიშნით განხორციელდება მთელს აფხაზეთში, წარუხოცელ ლაქად გაჰყვება ამ ორი ერის ძმურ თანაარსებობას ასწლეულების მანძილზე, მაგრამ ამწუთას ჩემთვის ძნელი ამოსახსნელი არ არის მოძალადე ხელისუფლების ზრახვები: იგი შეძლებს მთელი საქართველოს ყურადღების გადართვას პოლიტიკური ბრძოლიდან ფაქტობრივ ომში. ძაძები, გლოვა-ზარი მოუმრავლდება ქართულ და აფხაზურ ოჯახებს. ისედაც თავკომბალა თბილისის სასტუმროები, პანსიონატები გადაიჭედება სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ლტოლვილებით, რომელთა საერთო რაოდენობა სამას ათას გადააჭარბებს და უზენაესმაღა უწყის, რა უბედურებას შობს ხვალ-ზეგ მრავალი სნეულებით ფეხმძიმე ქალაქი.

მე აქ მწარე სინანულით მახსენდება ჭადრაკის სასახლეში გამართული ქართველ მწერალთა ყრილობა. ამ ფაქტს ოდესმე ცალკე წერილს მივუძღვნი უთუოდ. ამჯერად კი იმითღა შემოვიფარგლები, რომ ინტელიგენციის ნაღები ფენა სასურველი მასალა აღმოჩნდება ბოროტების წამყრუებელი ხალხის გამოსაძერწად. ზოგი სიტუაციის შესაფერისად მოკეკლუცდება, ზოგს შიში ხელისგულებს დაუცვარნამებს, მაგრამ უგმირო ეპოქა სად თქმულა და ბარაქალა მუხრან მაჭავარიანს ვაჟკაცურად რომ დაგმობს ყოველგვარ ამორალურ-უზნეოს; ბარაქალა მწერალთა იმ ჯგუფს, თავაწეული რომ დაირაზმება ბერმუხა კაცის გარშემო, თუმცა მე ისედაც სამართლიანობის მხარეს ვდგავარ ნიადაგ, როგორც სიტყვით, ისე — საქმით, და თუ წერილებს გაზეთების მიმართულება-პლატფორმის განურჩევლობით ვბეჭდავ, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოსაზრებით: სწორი აზრი ბერბეცი ღამის შემანგრეველი ძალაა თუთაშხიასეული სანთლის მიმსგავსებით.

არ უხარია ჩემს სულს, არა! ბაწარაღებით ვწრიალებ, ოთხ კედელშუა მომწყდეული სიკვდილმისჯილივით, და მაინც ხელი კალმისკენ გამირბის.

შემოქმედებითი აღმაფრენა თითქოსდა ზურგს შემაქცევს. განსჯას, მშრალ პუბლიცისტიკას დაენდობა ჩემი ხმა და მრავალი ისტორიული პარალელი დაეძებნება სადღეისო სანგვინოფილიას. მხოლოდ „ასავალ-დასავალში“ მოვახერხებ იმ წერილის დაბეჭდვას, „მითაჟამის“ სათაურით რომ შობილა. მოვახერხე-მეთქი რომ ვიძახი, იმდენადაა გამჯდარი სისხლში ტყვიისფერი სიკვდილის შიშნეული აჩრდილი, რედაქტორები აუტკივარ თავს ნაკლებად იტკივებენ. ერთადერთი „იბერია-სპექტრზე“ არ ითქმის ეგ, სამართლიანობისათვის უხორცოსავით თავდადებულ პერიოდიკაზე.

ამ გამოცემას მალე მხარს აუბამენ აფხაზეთში— „აღდგომა“ და დედაქალაქში — „საქართველოს სამრეკლო“; სხვა გაზეთებიც აწკავწკავდებიან ასეული სახესიჭრელით, მოუსავლეთისაკენ, არამართებული უდაბნოეთისაკენ დაძრული ქარავნების გამო, მაგრამ ვამბობ: ყველფერს თავისი დრო და ადგილი აქვს-მეთქი, და მცირეტირაჟიან გაზეთში რომ მოვათავსებ საკუთარ რომანს დასესხებულ მასალას — არჩევანის უქონლობის წიაღ.

ამასთან, ვფიქრობ, მკითხველი მომიტევებს სიმბოლოებით აზროვნებას, ვინაიდან, როდესაც ძალადობაზეა საუბარი, განა არსებითი მნიშვნელობისაა პერსონაჟს ოდოია დაერქმევა, თენგიზი თუ ჯაბა? განა მკითხველის გონება განზოგადებულს ვეღარ გარდაქმნის რეალურ სახეთა გალერეად?! ასე რომ, ქარაგმებით, მინიშნებებით საუბარი სირაქლემას პოზად, ან პირწყლიანი თევზის მდგომარეობად, ვიმედოვნებ, ნაკლებად ჩამომერთმევა.

როცა ზემოთ ვაცხადებ: მე ვერ ვესვრი თუნდაც ჩემს პოტენციურ მკვლელს, გონებაარეულ ოს ძმას; ან აფხაზეთში იარაღით შემსვლელი არა ვარ-მეთქი, შესაძლოა ზოგმა დეზერტირად ჩამაგდოს, მაგრამ არავის დაავიწყდეს, მწერლის მიერ გასროლილი სიტყვა სამარადჟამოდ იზუზუნებს კაცობრიობის ყურთასმენაში და დანაფლეთებულ გულს ხომ არასდროს მოასვენებს ამირანის ღვიძლისმკორტნელ არწივის ნისკარტივით.

ამიტომაც მოვუწოდებდი შთამომავლობას, ვაგულიანებ კვლავაც და არც მომავალში დავიღლები სამყაროსეული მისიისაკენ მოძახილით:

—ზეთისხილის რტოთა სურნელისაკენ თითოეული-მეთქი, შეუთავ- სებლის შეთავსებისკენ, ხალხო!

ამ მოსაზრებით ვააშკარავებ „მითაჟამში“ ტროას ათწლიანი ომის აბსურდულობას, როგორი მოტივითაც მართლდებოდეს იგი: მოტაცებული ელენე მშვენიერის გამოხსნისათვის თავდადებაა ეს, სარაევოში მოკლული ერცჰერცოგისათვის შურისძიება, თუ დეკემბერ-იანვარში დამხობილი ხელისუფლების მომხრეთაგან პარლამენტარების დატყვევება და აფხაზეთში გადამალვა;

როგორც წლების წინათ ერთხელაც მიკივლია:

— დამანგრეველი ომიდან ვერავინ, იხეირებს, ძმებო! მით უფრო, როცა ზესოლიდური ხელ-ფასიც კი ვერ აკოწიწებს ოსეთ-აფხაზეთში მომქმედი ძალების გასანეიტრალებელ შენაერთებს, ვინაიდან ხალხს ეს ომი სამართლიანად არ მიაჩნია; ვინაიდან არსებული წინააღმდეგობების გა-დაჭრა დიალოგის გზითაც მშვენივრად მოგვარდებოდა; ან პარადოქსული არ არის განა დღევან-დელი საქართველოს სიტუაცია?! ვამბობთ, თავსმოხვეულ ომში ვიბრძვითო, ვაცხადებთ მტრის აურაცხელ დანაკარგს და მათ მიერ გამოსროლილი ჭურვები რწყილებზე ნაკლებად იკბინებიან ჩვენი ბიჭებისათვის! მერე და მერე კი პარაკლისების დრო რომ მოახლოვდება, გვერდები არ ჰ ყოფნით „თბილისს“ და კიდევ მრავალ კომერციულ გაზეთს, ნეკროლოგებისათვის. ესეც რომ არა, ზნეობრივია ვითომ ცალი ყბით მღეროდე და მეორეთი მოთქვამდე?!

იმის ნაცვლად საკაცობრიო ზარებს ვარისხებდეთ, საქართველოში, ამ გასაოცარ ქვეყანაში, ამ უჰუმანურეს თვალ-მარგალიტში, სადაც ცა — ფირუზია და ხმელეთი — ზურმუხტი, დღისით, მზისით, მეოცე საუკუნის მიწურულს, საკუთარი მიწა-წყლისათვის მებრძოლ აფხაზს თრგუნავს ასევე საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისათვის თავგადაკლული ქართველი; ვიღვწით, ვილევით იმავ მიწისათვის, ხვალ თუ ზეგ თვითვე რომ ვიქნებით, მაგრამ რას მოვიმოქმედებთ როსმე ნაპო-ლეონივით თუ გვევიწროვება ეს ხელისდადება მიწა?! ვატყობ სიტყვა განზე გამირბის და გაქაფულ მერანს სადავეებს ვუმოკლებ. მაშინ არ მომეძევებოდა ინფორმაციათა ის წყება, რომელიც დღესაა ჩემთვის გაცხადებულ-გაცნობიერებული, თუმცა თავდაჯერებული ვადასტურებ: აფხაზეთში ომის წამოუწყებლად ვერაფრით განხორციელდებოდა საქართველოში „დემოკრატიული“ არჩევნები. ურომლისობა კი დასავლეთ საქართველოს სრულ ამპუტაციას ნიშნავს მეამბოხე მთავრობისათვის. ამდენად, იგი მსოფლიო პარტნიორების წინაშე ლეგიტიმური აღნაგობით ვერაფრით წარსდგებო-და; ასე რომ, იურიდიულ საფუძველს მოკლებულს არა რა დარჩენოდა მარწუხების მოჭერის გარ-და, რაც ბოლოს და ბოლოს გილიოტინით მთავრდება მისი სულისჩამდგმელებისათვის ყველგან და ყოველთვის.

არჩევნებს ვახსენებ და ბარემ ამ თემასაც აქვე მოვისტუმრებ.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე უმეტოქედ წარსდგება სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე, თანაც ისეთნაირად, რომ ამომრჩეველთა მესამედის დასტური (?) გამარჯვებულის გვირგვინით უდაფნავს თხემს! მოკლედ, მე ვარ და ჩემი ნაბადიაო, ბრძანებს. რას ვერჩით, გაუვა, თუმცა ღმერთმა უწყის, მართლაც ხუთი ერთეულიღა აკლია ვითომ მის ძლევამოსილებას ხმათა გასაასპროცენტებლად?! ფრიად უჩვეულოა ჩემთვის აგრეთვე დეპუტატობის კანდიდატთა ხმების გადანაწილ-გადმონაწი-ლების მეთოდი: თუკი ერთ საარჩევნო უბანსა ან ოლქში, ვთქვათ, ასარჩევ პიროვნებას ოცი პრო-ცენტით მეტი ხმა მოუგროვდება, ეს ოცი პროცენტი შეუძლია მისმა თანაპარტიელმა წაიმატოს ნაკლული ქულების შესავსებად და ამდაგვარი, დაუჯერებელი ხერხებით, აკი შეკოწიწდება კიდეც პარლამენტი.

არანაკლებ განსაცვიფრებელია ის ფაქტიც, რომ არჩევნები აფხაზეთში ტყვიების წვიმის თქრი-ალში ჩაივლის. ჯავშანტრანსპორტიორებით გადაჰყათ ხალხი საარჩევნო ყუთებიდან ყუთებს დამ-სგავსებულ (ქართველ მაროდიორთაგან გამოცარიელებულ ბინებს ვგულისხმობ), კორპუსებს შო-რის. მიკვირს, როგორ მოახერხებენ ისინი ყოველივეს უბენზინობისა და ტექნიკის დეფიციტის პირობებში, მაგრამ ნათქვამია: ძალა აღმართს ხნავსო და არ დააყოვნებს სახნისიც ქართველების თავზე: პორცია-პორციობით არჩეულ აფხაზეთის დეპუტაცია წართმევია თავმოყვარეობის გრძნობა — მეოთხე მოწვევის კანონმდებელია და სიწითლის ნატამალი არასად უფაჩუნებს — ჯიბის მარადმწვანე ვასაკაა მოახლოებული ავი ტაროსის უტყუარი ბარომეტრი.

რაც შეეხება ეროვნულ მოძრაობას დემოკრატიულ ელემენტად მაინც წარმოსდგება ამ არ-ჩევნების შედეგებით. თავის დროზე ბობოქარ ოპოზიციურ პარტიათა ლაშქარს თითო მანდატი და მეტიც გაუჩალიჩდება „დემოკრატიის“ დამკვიდრების გზაზე, თუმცა იუმორის თემაა უცილობლად მისი სადღეისო ვითარება: გამართლდება ჩემი პროგნოზი, წიწილებს შემოდგომით ითვლიან-მეთქი; რომ ისინი უსათუოდ გავლენ ბარიკადებზე, როცა პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩებიან-მეთქი.

უკვე პარლამენტში აშკარად იგრძნობა ორი ფრთის არსებობა: უმრავლესობა — პარტოკრატია მენტორული ტონით უცაცხანებს უმცირესობა — ეროვნულ მოძრაობას. მოკლედ, გასაკვირი არა-ფერია თუ ზოგი დეპუტატი სინდისის ქენჯნას განიცდიდეს და ნებაყოფლობით ცდილობდეს დატ-რიალებული ალიანსიდან გასვლას, მაგრამ უკვე თითზე კბენა გვიანია.

პრეზიდენტი გამსახურდია სრულიად უბრძოლველად, თავის თავზე დიდძალი დარტყმების მიღებით, შეძლებს ყველას გაშიშვლებას, კომპრომეტირებას, რაც სიკვდილითა სიკვდილის დათ-რგუნვის ტოლ-ფასია ჩვენს პირობებში, ჩვენი სინამდვილისათვის.

ყველაფერს თავთავისი სახელი დაერქმევა: გამოცალკევდება ნათლისაგან ბნელი, სწორისაგან — მრუდი, მართლისაგან — მტყუანი, კეთილისაგან — ბოროტი, ასე რომ, პუტჩში მონაწილე თითოეული პასიური თუ მძვინვარე ძალა ნიღაბახდილია აწ და ხელისგულზე გამოსახულა შემდგომი მოქმედების თვალსაწიერიც.

ცხადია, ერის ფიზიკური გადარჩენის საშუალებად კონფრონტაციისაკენ მოწოდება — ცეცხლზე ნავთის დასხმა — გულმხეცობასთან ერთად ღალატიცაა, ალბათ, ჩემს მხრივ მრავლადნაგვემი სამშობლოს წინაშე; უეჭველია ისიც, რომ წინააღმდეგობათა მშვიდობიანი მოგვარება კონსენსუსის, პარტნიორობის პრინციპიდან გამომდინარე, საყოველთაო ბედნიერებას გვაზიარებს თითოეულს, და რადგანაც ხსნის უფრო ოპტიმალურ გზას ჩემი გონება ვეღარაფრით პოულობს, ურთიერთშემრიგებლური, კომპრომისული წერილების ციკლს გამოვაქვეყნებ „ქართველ ერში", რომლებშიც სინთეზური აზროვნებისაკენ მოვუწოდებ ორივეს — უსამართლოდ გაძევებულ და სამართლიანად მოძულებულ ხელისუფლებებს, თუმცა მათ გთავაზობთ იმ ფორმით, რა ფორმითაც ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა „ოდოიაში" გამოქვეყნებულა.

მართუ მეხუთე

შუაკაცი მსაჯულის მანტიით (II)

ამ დღეებში გაზეთ „აღდგომაში" დაგმობილია ჯერ კიდევ ახალფეხადგმული საზოგადოება „სამეგრელო"; მოგვიანებით იგივე წერილს გადმობეჭდავს „საქართველოს სამრეკლო", ხოლო ამას წინათ „იბერია-სპექტრი" 12-19 იანვრის ნომერში მოათავსებს ქალაქ ზუგდიდის ოთხმოცდაცამეტი წლის ექვსი იანვრის, (ვისთვის ეროვნული ტრაგედიის (!) და ვისთვის ეროვნული ზეიმის (?) დღეს), მიტინგის დადგენილებას, რომლის ძირითადი სამი პოსტულატი შემდეგი შინაარსისაა:

— საზოგადოება „სამეგრელოს" დაუყოვნებლივ დაშლა;

— მისი ინიციატორების ერის მოღალატეებად შერაცხვა და სისხლის სამართალში მიცემა;

— სამეგრელოს რეგიონში საზოგადოება „სამეგრელოს" პირველადი ორგანიზაციების აღკვეთა;

— დაბოლოს, მოწოდება მთელი ქართველი ერისათვის კუთხობრივი ნიშნით ჩამოყალიბებულ საზოგადოებათა მასობრივი გაუქმება (ოპერატიულობის ნიმუში — თითქმის ორი წელიწადია არსებობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები: „ქართლი", „კახეთი", „რაჭა", „იმერეთი", „ეგრისი"...)

წარმოდგენილ მასალებში მსჯელობა უმეტესწილად სწორია — საქართველოს საზოგადოებების რესპუბლიკად გადაქცევა მართლაც რომ დამღუპველია (რასაც ავტორიც შენიშნავს „ქართველი ერის" დეკემბრის პუბლიკაციაში — „მეიროხანი თუ სინთეზი"?!) მაგრამ გური ოტობაიას მოღალატეთა კონტექსტში მოხსენიება, ცხადია, მემცხეთება (საზოგა- დოების გამგეობის წევრი ვარ), ამიტომაც დაუოკებელი სურვილი გამიჩნდება ვექილად დავუდგე ჩემს პერსონას, როგორც ასეთს. ამასთან გადავწყვეტ, სხვა მრავალ საკამათო საკითხსაც მოვფინო ნათელი.

პუბლიცისტურ წერილებს სამოცდაათიან წლებიდან ვწერ, მაგრამ პოლიტიკური ჟღერადობას ისინი მხოლოდ 1988 წლიდან შეიძენენ. ჯერ კანტიკუნტად გამოვეხმაურები ხოლმე ცხოვრებისეულ პრობლემებს, ხოლო, როცა კანონიერი ხელისუფლებისა და „ქუჩის ოპოზიციის" დაპირისპირება საანგარიშო მასშტაბს შეიძენს, სული მიკივლებს;

გია აბესაძის საქართველოს ერთიანობისათვის ზვარაკად თვითშეწირვა მთელი არსებით შემძრავს: შევფიცავ მის საფლავს, რომ არაფერს დავიშურებ საქართველოს ერთიანობისათვის.

„ნეიტრალიტეტის პოზიციიდან..." ჰქვია „რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წერილს, სადაც შეძლებისდაგვარად ვცდილობ ეროვნული მოძრაობის ლიდერების, აწგანსვენებულ მერაბ კოსტავასა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამსახურებათა მიუკერძოებელ წარმოჩენას. არ მივჩქმალავ ექსპერიმენტების ლაბორატორიად გადაქცეული საქართველოსათვის პირში ქვის ჩაჩრას თუ რუსოფილურ ტენდენციებს. არ გამომრჩება 9 აპრილს ბ-ნ ზვიადსა და პატრიარქს შორის სამიტინგო მიკროფონთან ჩურჩულით გამართული დიალოგის — („მართლაც გვესვრიან?!" და პასუხად: „შეიძლება გვესროლონ!") — ფონზე ირაკლი წერეთლის ომახიანი „მამაო ჩვენო". შევეცდნები ქართული ფენომენის გახსნას — თითოეულ ინდივიდში გენერალი და მეფე რისთვის ზის, ან „უჩვენოდ ვით იმღერეთოს" კომპლექსი როგორ გვაქცევს მუდამ.

იმ პუბლიკაციაში არის საუბარი ზედმეტ ხელმოწერებზე, ავტომატის ლულებიდან გამოტყორ-

ცნილ ყაყაჩოებზე, კიდევ მრავალსა და მრავალზე, რაც აგრერიგად გვთიშავს, რაც აგრერიგად გვათითოებს ოდითგანვე და დავსახავ გზებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის. სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეულს კი თითოეული მხარე სრულ მომხრობას მთხოვს, რაც ჩემს ძალას აღემატება, ვინაიდან მაშინაც და დღესაც მყარად მწამს: არ არსებობს აბსოლუტურად მართალი და აბსოლუტურად მტყუანი მხარე; ცდომილიცა და ყურადსაღებიც, ცხადია, ორივეში ერთდროულადაა მოცემული განსხვავებული დოზით.

მერმინდელ წერილებში უფრო და უფრო შევეცადები საგნის არსში ჩაწვდომას და ლოგიკურად ერთ ჭეშმარიტებამდე მივალ: სინთეზური აზროვნების მოუმარჯვებლად — შეთავსებელთა შეუთავსებლად — საქართველო დაღუპულია აწ და მარადის.

ჯერ ერთი, უზენაესი საბჭოდან პრეზიდენტისაგან ხალხის მიერვე არჩეული კომპარტიის წარმომადგენელთა დათხოვნა არსებითად განსაზღვრავს საქართველოს სადღეისო ვითარებას, ვინაიდან 400 ათასი კომუნისტობა, თავის სიდედრ-სიმამრიანად მილიონ ნახევარს რომ აჭარბებს, აშკარად თუ ფარულად „ქუჩის ოპოზიციის“ მოკავშირედ გადაიქცევა. ჩვენ ვერ შევძლებთ მაშინ დიდსულოვან მიმტევებლობას — წელში გადამსხვრეული, კომპრომეტირებული პოლიტიკური ძალის ერის სამსახურში ჩაყენებას.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე დღესაც, როცა ავტომატის ლულიდან აღმოცენებული პარლამენტის ორგანიზმიდან უგულებელყოფილია ერის თითქმის მესამედი — მრგვალმაგიდელები თავიანთი სამწყსოთი. ე.ი. გამოდის რომ, ორივეს მეტნაკლებად შეუცოდავს კონსოლიდაციის თვალსაზრისით.

არის კიდევ მესამედი ძალა, ქვეყნის არაქართული მოსახლეობის სახით, რომელიც ზედმიწევნით ინდიფერენტულია პოლიტიკური ბატალიებისას, ლერწამივით იქითკენ იხრება, ქარი საითკენაც დაუბერავს. ასე რომ, თუკი დაუსრულებელი ყოჩობანა გაგრძელდება, ვამბობდი და ვიმეორებ: ორ ძიძას შორის დაკარგული ბავშვის ბედი გველის, როცა ჩვენ ერთი, მოამაგე და მოსიყვარულე მშობლები გვჭირდება.

ჩემეული კონცეფცია არსებითად ისტორიულ გამოცდილებებს ეფუძნება.

ცნობილია, რომ სამყარო, როგორც ასეთი, გმობს ცალმხრივობას. იქ, სადაც სინათლეა, აუცილებელია სიბნელეც; იქ, სადაც სიცოცხლეა, სიკვდილიც გარდუვალია; იქ, სადაც სიბრძნეა, სირეგვენესაც უნდა შეეგუო, ვინაიდან ისინი ერთ მთელს ავსებენ. წარმოიდგინეთ, ტლუშიც აურაცხელი საჭირო ელემენტია გენიალურის გამოსავლენად. სიბრძნე თავისი ტელარულობით პასიურია, რაჟამს ყეყჩში ფიზიკური ენერგია მჩქეფარებს. ჩვიდმეტი წლის ყმაწვილის თავი ცხელია, ოთხმოცი წლის ბერიკაცის სხეულებრივი სიძაბუნე კი — საწუთროსეული სიცხადითაა გაბრწყინებული. როგორ მოვიქცეთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში?! ყმაწვილის უმწიფარ გამოცდილებას თუ დავენდობით, სულსწრაფობით სადმე უფსრკულში გადაგვჩეხავს, ხოლო განსწავლული მოხუცის მოფამფალებულ სიარულში მატარებელი გაგვასწრებს. მოსაძებნია ოქროს შუალედი. სხვა გზა აღარ გვაქვს, ხანდაზმულის გონიერება და ჯეელის ცხოველმყოფელობა უნდა შეირწყას, შეჯვარდეს. ძალ-ღონით აღსავსე ჭაბუკის მხრებს ხრონცის განსწავლული თავი უნდა გამოებას, მაგრამ მსგავსი ქირურგიული ოპერაცია ჯერჯერობით მხოლოდ ფანტასტიკურ წიგნებში თუა შესაძლებელი და ჩვენ, მიწიერნიც, იძულებულნი ვართ მივყვეთ ბერიკაცაკიდებულ მოყმეს; აი, ჩვენული სინთეზი! აი, ჩვენეული შეუთავსებლის შეთავსება! აი, ჩვენეული კენტავრისტიკა!

სულ გარემო პირობების პირმშოა აფრიკელის პიგმენტაცია, მონგოლოიდის თვალის ჭრილის ოვალურობა, იაპონელის ლაკონიზმი, ქართველის დარდიმანდობა: კენიელს ტროპიკული მზის მცხუნვარება რუჯავს; ტიბეტელს — უდაბნოს ქარების განუწყვეტელი ქროლვა აჭუტვინებს თვალს; ამომავალი ქვეყნის შვილს — საარსებო სივრცის სივიწროვე უბიძგებს მიკროსამყაროსეული ძიებებისაკენ; ქართველს მადლიანი მიწა-წყალი ადუნებს და აზულუქებს. მარტივად რომ ვთქვათ, ნებისმიერი ერი ზედმიწევნით უხამებს გარემომცველ ლანდშტაფს თავის მოთხოვნებს და მიზნებს.

მთელი კაცობრიობის ოცნებაა კოსმოსში სწრაფი გაჭრა, ახალ-ახალი პლანეტის ათვისება, მაგრამ რადგანაც ჯერ კიდევ ატომურ აზროვნებას ვერ გავცდით, წამში 13-ოდე კილომეტრის სისწრაფეს ვჯერდებით.

ერი უკუაგდებს მეცნიერის დონკიხოტურ ფანტაზიორობას. მისი ქმედება ყოველთვის სანჩო პანსასეულია, პრაქტიკული, ყოველდღიურობით ნაკარნახევი; ხოლო წინამძღოლი, რომელიც თავისთავში არ აერთიანებს მჭვუნვარე სახის რაინდისა და მისი საჭურველმტვირთველის თვისებებს, განწირულია, დამარცხებული.

რუსთაველის პროსპექტის ავადმოსაგონარი აქციები მახსენდება.

ორი უმცროსი ძმა მესტუმრება ერთი და იმავე სოფლიდან, ოღონდ— სხვადასხვა მატარებლით, თითო საათის ინტერვალით, ორივე დატვირთული; ალერსითა და სიყვარულით ჩავიხუტებ თითოეულს. ყოველდღიურობის აღრენილ-აყაყანებულ ღრიანჭში მოქცეული გავიხარებ, გავლაღდები. დავსხდებით სახელდახელო სუფრასთან, მაგრამ უმალ შევატყობ, რომ ჩვენი საზოგადოების უკურნებელი სენი — პოლიტიკომანია, ჩემს ძმებსაც შეჰყრია.

გახელებული გახაზირებული სუფრიდან წამოვყრი ორივე ძმას, ჯერ მთავრობის სასახლესთან გამართულ მიტინგს დავასწრებ სისხლხორცს, მერე — ტელევიზიასთან გაჭენებულ სამხედრო აღლუმს და როცა ერთსა და იმავე სინამდვილეზე ორი აჩემებული „სიმართლეს“ მოვასმენინებ, აქეთ იქით მხარში ამომიდგებიან. დავნაყრდებით იმ გონქირაფილი8 პურ-მარილით. დაიხურავენ ქუდებს და მშობლიურ ორღობეს მიაშურებენ, მე კი შემატოვებენ ხელში საქართველოს აწმყოდ წოდებულ ამ მოუნელებელ ჯოჯოხეთს.

ადვილია შიშველი მეფის დანახვა, ხმამაღლა თქმაა ძნელი თორემ. მლიქვნელის მოქნილი ხერხემალი და ცბიერის იქედნური ნააზრევიც ვერსად გაგვექცევა თუ გულში გამბედაობის ნასახი კიანთებს.

ათასწლეულები დასჭირდება წკნელის ორი ბოლოს შეერთებას, რომელიც გვაზიარებს ახალ რეალობას — ბორბალს;

ათასწლეულები დასჭირდება რკინის ნაჭრისა და ჯოხის შეკავშირებას, რაც მესამე განზომილებას — ცულს გვიბოძებს;

ათასწლეულები დასჭირდება პლუს-მინუსის თანამშრომლობას, რომელიც მაცოცხლებელ სინათლეს მოგვივლენს;

სიკეთისა და ბოროტების თანამეზობლობა კი ათადან და ბაბადან მოყოლებული, ყოველთვის გვაძლევს რინას, ცხოვრებას, სიცოცხლეს, ეგზისტენცს, მაგრამ საკითხავია, რანაირია ეს ყოფა — კოშმარული, უნიათო თუ შემოქმედებითი, რაც პროგრესულ და რეაქციულ ძალებს შორის არსებული პროპორციებით არის განსაზღვრული: თუ სიკეთე სჭარბობს ბოროტებას, ილხინე სულო — თაფლისა და რძის მდინარე გადმოგვედინება თავზე; თუკი ამ ორ სტიქიას შორის სასწორის პინა გათანაბრებულია — ლუკმა-პურის სიმწრით შოვნა მოხერხდება აქა-იქ, მაგრამ როცა ვილანდი ზეობს, გულში — შიშია, ცაზე — წკვარამი და მუცელში — შიმშილის ყმუილი.

ჩვენი სადღეისო ვითარება მეიროხანს, ბუნიობას მომაგონებს რამდენადმე, სადაც დღე-ღამის გარჩევა ჭირს; სადაც მართალ-მტყუანი თანაბრად ფასობს; სადაც სრული განუკითხაობაა ყველგან და ყველაფერში.

როგორც ჩანს, ცაბაოთი შემთხვევით არ მოგვივლენს ქრისტეს გვერდით მაცილს. უფალთუფალი ხომ მარადიულ ძალას განასახიერებს, სადაც სატანური და ღვთაებრივი ერთ წრედშია ჩართული და ჩვენ, თიხის ფეხებით მოარულ მოკვდავებს, ბარაქალა რომ კიდევ შეგვწევს უნარი ავუჯანყდეთ უსამართლობას!

გლობალური პროცესების დაწყება ჩვენს პლანეტაზე მრავალს თავისი დაუცხრომელი საქმიანობის შედეგი ჰგონია — ზოგი იმპერიებს დაანგრევს, ზოგი მსოფლიოს საერთო სახლად გადააქცევს, მაგრამ ეს პიროვნებანი მოსეებსა და ნოეთ იმდენად ჰგვანან, რამდენად განსაცდელის ძალისხმევით შეჩქვიფებული საზოგადოებრიობის სასოწარკვეთილ დესპანებს.

ცივი ომის მოთოკვა დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ასჯერად მომსპობი ენერგიის განმუხტვის ცხოველური ინსტინქტის პირმშო უფროა, ვინემ ამა თუ იმ ინდივიდუუმის დამსახურება.

კარზემომდგარი მეორე ათასწლეულის ფინიში გულს შეუკუმშავს მსოფლიოს, ჯიგარს შეუტრიალებს და აქამდე რკინის ფარდით გათიშულები გვერდიგვერდ აღმოვჩნდიებთ უდაბნოში წყურვილით გათანგულ ცხოველებსავით; გვერდიგვერდ აღმოვჩნდიებთ ლომი და შველი, მგელი და კრავი, კატა და წრუწუნა, ასპიტი და ვასაკა; იმდენად რეალურია მოსალოდნელი კატასტროფა, იმდენად ხელშესახები და თვალნათელი, რომ დავთმობთ უკლასო საზოგადოების შექმნის მანიაკურ იდეას, დავთმობთ ქედმაღლურ ამერიკანიზმს, განსხვავებულ ინტერესებს მივუახლოვებთ ერთმანეთს, გავკაპიტალისტდებით ერთნი, გავსოციალისტდებით მეორენი, რადგანაც შემდგომი კონფრონტაცია სამარადჟამოდ გაანაცარტუტებს: „ილიადას“ და „ფაუსტს“, „მეხუთე სიმფონიას“ და „მადონას“, „ზევსის ქანდაკებას“, პირამიდებს და რაც მთავარია, დინოზავრთაგან განსხვავებით, ნამარხ ფორმებშიც კი ვერ მოვიძიებთ მზის სისტემაში ადამიანის არსებობის ნატამალს: ქვეშეცნეულად შევათავსებთ შეუთავსებელს!

დიახ, გენები სასოწარკვეთით კივიან ჩვენს წიაღში, „სახარებისა“ და „ყურანის“ ფანატიკური დოგმებით: სიმართლე მხოლოდ ჩემთან არისო! ეგზალტირებული მილიარდნახევარი ქრისტეს

მრევლი თვალწინ ასვეტებია მუჰამედის ამდენსავე მიმდევარს და დედამიწა მზად არის სისხლის ნიაღვრებისათვის, არაფერს ვამბობ დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის დაბუდებულ ოდინდელ ანტაგონიზმზე.

ასე რომ, საქართველოს პრობლემების განხილვა იზოლირებულად, მის სოციალურ-პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ჩარჩოებში მომწყდევით, ზემოთხსენებულ დილემათა გაუთვალისწინებლად, ახლომხედველის პროვინციული გულდამშვიდებაა და სხვა არაფერი. დასკვნებს ფინალში შემოგთავაზებთ, ახლა კი ვიტყვი იმას, რომ დაახლოებით ამგვარი სულისკვეთების წერილებს დავბეჭდავ ჩვენი გათიშულობის ფარულ მიზეზებზე: სრულიად საქართველოს სახელწიფო ენისაკენ გზები რომ შეუკრავთ მავანთ სისხლხორცეული მეგრულ-სვანურისათვის („ღვთიური სამება,“ „რესპუბლიკა“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „ლიტერატურული საქართველო“);

კონფრონტაციის, ომის დამანგრეველ აბსურდულობაზე, („მითაქამი“, „ასავალ-დასავალი“) ;

სხვადასხვა ეთნოსის ჰარმონიულ თანაარსებობაზე ერთ ძმურ ოჯახში („ჯიმაგე“, „საქართველოს რესპუბლიკა“);

შემოქმედის მოქალაქეობრივ ვალზე, როცა იარაღი ჟღარუნებს და მუზები გაჩუმებულან, („გამონათებისათვის მოველ“, „აისბერგი“);

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბუმზე ისედაც დაქუცმაცებულ მამულში, და ყველაზე ბოლოს შექმნილ „სამეგრელოს“ დადებით თუ უარყოფით მომენტებზე, („მეიროხანი თუ სინთეზი“, „ქართველი ერი“);

მოვიშველიებ ამ უკანასკნელის ფრაგმენტებს:

მეიროხანი თუ სინთეზი

„მიუკიბ-მოუკიბავად მითხრეს, (იგულის- ხმება სამეგრელოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენა), ჩვენ ჯერ არცერთი საზოგადოების არცერთი წარმომადგენელი არ გვიხილავსო თვალით; (საქველმოქმედო საზოგადოებებს ვგულისხმობ. სტილი რესპოდენტებისაა, გ.ო.), გამათრახებულებს, განწირულებს მოძმის ხელისაგან და რა უფლებით და მორალით იმაღლებენო ხმას ჩვენი სახელით!

საზოგადოებისათვის „სამეგრელო“ რომ გიწოდებიათ, წინგადადგმული ნაბიჯია ფრიად, ვინაიდან წლების მანძილზე მრავალი კუთხის წარმომადგენლისაგან განსხვავებით, მხოლოდ ჩვენ გვიწევდა და გვიწევს ეგრისს, კოლხეთს, ლაზიკას ამოფარება! დაე, ყველამ იცოდეს, არის ასეთი ხალხი — ტომით მეგრელები, მაგრამ ნამდვილქართველები. 300 ათასი მეგრელი მზადაა მამულის მკერდით დასაცავად, ოღონდ მთავრობამ სწორი პოლიტიკა გაატაროსო აქ. არ აპარპაშოს დედის თვალწინ არქიტექტორ ჯიქიას მკვლელისნაირები. ბოლოს და ბოლოს გამოჰყოს კომპეტენტური კომისია და სამართალი დაუდგინოს გაუბედურებულ ოჯახებსო.

ლტოლვილებით რომ აგვეგსო ეზო-კარი, საქმიანი თუ ვერა, სიტყვიერი მოხედვა ხომ მაინც გვჭირდებაო.

მრგვალი ბეჭდისა და ოთხკუთხა შტამპის გამოტანას რადა უნდა, მთავარია ხალხში ტრიალიო, ამიტომ ისეთებთან ურთიერთობას მოერიდეთ, თავიანთი ავსიტყვიანობის წყალობით სამეგრელოში რომ არ ჩამოესვლებათო!

იქნებ შემეკამათოს ვინმე, ეს სიტყვები რიგითი მეგრელებისაგან არ თქმულა, გუთანს, ხვნა-თესვას მონატრებულ ხალხს არ ამოსვლია პირიდან, რომლებიც თავიანთი ბუნებით პოლიტიკისაგან შორს დგანან, უფრო სწორად — პოლიტიკა მათთვის კერიასთან სამასლაათო თემაა მხოლოდ?!

ახლა უშუალოდ შევეცდები ავხსნა ის ვითარება, რაც ნიადაგს შეუმზადებს საზოგადოება „სამეგრელოს“ ჩამოყალიბებას.

მართალია, ზუგდიდში აქამდეც უწყოდნენ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობის თაობაზე, მაგრამ მაგიური სიტყვა „სამეგრელო“ ზოგ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ერთიანობას ფრიად სახიფათო კონკურენტს მოუვლენს: ყველამ მშვენივრად იცის XX საუკუნის მიწურულს ქართულ-ეროვნულ თვითშეგნებაში მეგრული სეპარატიზმი ყურით მოთრეული განგაშია. მით უფრო ძნელად დასაჯერებელია ასეთი ქმედება მშობლიური სიტყვიერების მსახური ხალხისაგან: და რადგანაც სხვაფრივ მასთან ბრძოლა წაგებულია, უნდა დააბრალო, დიახაც, ის, რაც არავის მოლანდებია,

მაგრამ გარკვეული აუდიტორიის წინაშე ეფექტიანი და გასაგლიანია. საზოგადოება „სამეგრელო“ თუკი განახორციელებდა ეროვნული ფსიქიკის გამთლიანებას, ეს ხომ მრავალთათვის წართმეული ლუკმა იქნებოდა?! ასევე საზოგადოება „სამეგრელოს“ განზრახული ჰქონდა ემოქმედა ერთადერთი მამულიშვილური კრიტერიუმით: ბატივისცემა და თავისუფლება ყოველ აზრს. სრულიად საქართველო ყველასა და ყველაფერზე მაღლა!

მოკლედ, საზოგადოება „სამეგრელოს“ შექმნის იდეა ერთიანობის უზენაეს თვითშეგნებას, მრავალთაგან განსხვავებით კომერციულ საქმიანობაზე უარის თქმას, შემწყნარებლობას, ეროვნული კონსოლიდაციის დამკვიდრებას, მედიატორობას, შუამავლობას, შეუთავსებელთა შეთავსებას ეფუძნებოდა მამასისხლად დაბირისპირებულ ძალთა შორის; საზოგადოებაში არ გაწევრიანდებოდნენ პოლიტიკური და კუთხური ნიშნით, ვინაიდან სამეგრელო სრულიად საქართველოს კუთვნილებაა, როგორც გულია მთელი ორგანიზმის ბურჯი და ეს გული შემდგომში თავისი კეთილმოსაქმეობით თუკი სანაშიერო მისიას დაუდებდა სათავეს, საკითხავია, რისთვის უნდა გაეშვა ხელიდან ამისთანა შესაძლებლობა?! თუკი სადმე ბჟუტავდა ერის გადარჩენის შანსი, ჩვენი გახლეჩილი საქართველო ღირსი არ იყო განა გვეტვირთა ფრიად უმადური შრომა — არ მოვრიდებოდით წაღმა-უკუღმა ნასროლ ტალახს, მით უფრო, როცა დღემდე არსებული ნებისმიერი პარტია, კვლავაც ძალის პოლიტიკას ამჯობინებს, რამაც ტაძრამდე ვერაფრით მიგვიყვანა?!

საზოგადოება „სამეგრელოში“ ჩემს მოსვლას სხვა მიზანიც ამოძრავებდა — შემექმნა გაზეთი, რომელიც ხელს შეუწყობდა ტერიტორიულად უთვალავ მიკროორგანიზმად დაყოფილ; ენობრივად: ქართლურ-მეგრულ-სვანურ სამ ნაკადად განშტოებულ; პოლიტიკურად ორ ძირითად ფრთად — ბატონების: ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ორიენტაცია-ტაქტიკით გასხლტომილ საქართველოს სინამდვილეში მომეჩანა უმთავრესი მაცოცხლებელი ძარღვი, რომელსაც ორგანულად ვუერთდებით. ეს არის სამშობლო — ფენიქსი ტ ხარისხში; მისი გმირული წარსული, მისი ამღვრეული დღევანდელობა, მისი ნათელი მომავალი — თანაბრად საზრუნავი ყველასათვის და არა თითო-ოროლას გასატანი ლელო.

აქედან გამომდინარე, ჩემეული გაზეთი გადაიქცეოდა განსხვავებულ აზრთა ბაექრობის სანიმუშო არენად, ყოველგვარი მაკრატლისა და შლაგბაუმის გამოუყენებლად. რედაქტორი კი მომრიგებლად, მსაჯულად მოევლინებოდა ორივე მხარეს;

ეს გაზეთი იქნებოდა ერთგვარი ლაბორატორია საერთო-ეროვნული კონცეფციის შესამუშავებლად. აქვე გამოქვეყნდებოდა აფხაზი და ოსი ხალხების ხმები, მათი პრეტენზიები, მათი სატკივრები, რომლებიც ჩვენი პრესის ფურცლებზე ფაქტობრივად უგულებელყოფილია. მოკლედ, მთელი არსებით მეწადა შემექმნა სამაგალითო დიალოგის ატმოსფერო.

დიახ, ამგვარად აღტკინებული მივალ საზოგადოება „სამეგრელოში“, მაგრამ ამავე დროს ყოველმხრივ წინააღმდეგი ვიყავი იმ ფაციფუცის, იმ თავბირისმტვრევისა, რაც მის ჩამოყალიბებას თანხვდება წილად: შაფიქრებდა ის გამალებული ტემპებიც, რომლითაც რეგისტრაციაში გატარდება საზოგადოება. ჩემი მრავალჯერადი ცდა სამეგრელოს რეგიონსა თუ მის ფარგლებს გარეთ არსებული ყოველი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციის (ასეთი დღესდღეობით ცამეტია) ერთობლივი ყრილობის გამართვისა და საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტა: რა სახელი შერქმეოდა საზოგადოებას, ვთქვათ, „ეგრისი“, „სამეგრელო“, თუ კიდევ სხვა, ამაო გამოდგება.

აქვე, უყურადღებოდ დარჩება უმთავრესი ფაქტორი, რომელზედაც ზემოთ მოგახსენებდით — სამეგრელოს რეგიონის თითოული ფენის შეხედულების, ყოველი პოლიტიკური ძალის აზრის გაუანალიზებლად, მათთან საერთო ენის გამოუნახავად, იქაური მოსახლეობის ლოცვა-კურთხევის მიუღებლად, პირველადი ორგანიზაციების შეუქმნელად და დელეგატების ჩამოუსვლელად, სამეგრელოს სახელით მოქმედება, მით უფრო— ყრილობის მოწვევა, არ წაადგებოდა, როგორც საზოგადოებას, ისე — მის კეთილშობილურ იდეასაც.

ასევე უმართებულოდ მიმაჩნდა განუკითხავად კარის გამოღრიალება ყველა პი-

როვნებისათვის: მწერლის, მსახიობის ყბადაღებული ტიტულები, ნათესაური ძაფები, ვერ გააქართლებდა საზოგადოებაში მათ ყოფნას: იქ გასაწევრიანებლად საკვანძოთ იკმარებდა ერთადერთი ფასეულობა — საქართველოსათვის თავდადება სიტყვით და საქმით.

საინიციატივო ჯგუფის წევრები ჩვიტანთ ინფორმაციებს ადგილებზე, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ ვაქცევთ მას ფართო მსჯელობის საგნად და შეძახილიც არ დააყოვნებს.

რაც შეეხება ნარიმან იაშადაშვილის „ტორონჯს“, ეს მართლაც მრავალი ეჭვის აღმძვრელი უნიკალური შემთხვევაა.

დავიჯერო, რომანებისა და პიესების ავტორი ნარო კოლხარი, იმდენად გულუბრიყვილოა, რომ საჩოთირო საქციელს ჭკუა ვერ დაატანოს?! ან ვინ მიუბოძა მას უფლება, გნებავთ — იურიდიული, გნებავთ — მორალური, ჯერ კიდევ დაურეგისტრირებული გაზეთი მისთვის აბსოლუტურად უცნობი საზოგადოების ყრილობას მიეძღვნას! დავუშვათ, როგორც თვითონ ასაბუთებს, კეთილისმყოფელობა მოამოქმედებინებს ყოველივეს, მაგრამ ხომ უნდა მაუწყო პატრონს, ვინემ ჩემი სახელით საჯაროდ გამომაჭენებდე?! როგორც ჩანს, უფალი კოლეგა მაცდუნებელ პოპულარობას დახარბდება და ლოქოს დაჭერაში გაუწაფავ ბონდოიაზე (ანკესზე ჭიაყელის ნაცვლად პურის ნამცეცი წამოუცვამს) ყბედობას გადაგვაყოლებს.

დავკონკრეტდები: ადრეც უჩუქნია ჩემთვის ნარო კოლხარს მოთხრობების მომცრო კრებული — საინტერესო პასაჟებით, მსუბუქი იუმორით შეკონილი ორენოვანი წიგნი, მაგრამ აშკარა მაფალუისტური ნიშნით ცხებული: პროგრესიულია ის, რაც მთელისაკენ ისწრაფის და არა — პირიქით. როცა ჩვენ მეგრულიდან ქართულად ვთარგმნით, მამულს ერთ თაველად შევკონავთ ხოლმე, მაგრამ თუ უკუშექცევადია ეს პროცესი, ვამუხრუჭებთ სინთეზური საქართველოს შექმნას. ვგულისხმობ პროზაული ნაწარმოების მეგრულ ენაზე შეთხზვის ტენდენციას. ჰა და ჰა, პოეზია მოსათმენია სადღაც, მელოდიის, სიმღერის დედაა. ლექსს თავისი უბადლო კანონები ახლავს, თავისი მეტრიკა და ინტონაციები, განუმეორებელი პოეტური სახეები, მინანქრული სისადავე (რითაც განთქმულია საერთოდ მეგრული პოეზია), მშვენიერების ავტონომია, დამოუკიდებელ სხეულებრიობას რომ ანიჭებს, და ამგვარად — არსებობის იურიდიულ უფლებასაც, მაგრამ ისეთი რა გაგვჭირვებია, ორღობის საყველპურო ლაყაფი დედაქართულზე ვერ გავმართთოთ?! აქ ტოსკანური და პროვანსული გამოცდილების მოშველიება არაფრად წაგვადგება. ნუთუ სამაგალითოდ ვერ იკმარებს ვაჟას შემოქმედებითი გენია: აკაკის დაწუნებულ კილოზე მარგალიტების მთესველი მგოსანი, შეუდარებლად ანკარაზე ანკარა სალიტერატურო ქართულით რომ ქმნის შვლის ნუკრის, ბეხრეკი წიფლის, მაღალი მთების სულისშემძვრელ ტრაგედიებს?!

ჩემი მიზანი სულაც არ არის ნარო კოლხარის გაკილვა ან გულის დაწყვეტა. მივუთითებ უბრალოდ, რომ მისთვისაც და ერისთვისაც აჯობებს თავისი პროზა ქართულ სიმებზე ააჟღეროს, ხოლო მეგრულ ზღაპრებს თუ გვითარგმნის ბრეგაძეებისა და ჩხენკელების სხივმოსილებით, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ან მოსათმენია განა კერიის „პოეტებს“ შორის „ჟეფხისტყაოსნის“ მეგრულად თარგმნაში გამართული გაცხოველებული ჯიბრი?! საჭირო ყოფილიყო ვერავინ დამასწრებდა ამ საქმეს! ის კი არა საკუთარ პოეზიასაც მოვბოჭავ, (აქა-იქ რომ იმღერება კიდეც), საერთო საქმის სასარგებლოდ.

აბა, დავუკვირდეთ, ვინ უმართავს ხელს შანავას ვაითარგმანის სოლიდურტირაჟიან საუცხოო გამოცემას? არაფრით დამიჯერებთ, თვით საქართველოს დაუძინებელი მტერი, ვლადისლავ არძინბა!

„ჟეფხის ტყაოსანს“ რუსთველზე უკეთესად ვერავინ დაწერს, ვერც ცხონებული კაკა ფუანია და ვეღარც — უორდროპი, ნუცუბიძე თუ თქვენი მონა-მორჩილი გური ოტობაია! მეგრელებისათვის კი იმაზე მეტი ბედნიერება რა უნდა იყოს, ორიგინალში რომ ძალგვიძს ამ მართლაც და უკვდავი ქმნილების ადეკვატური აღქმა?!

მახსოვს, ერთხელ, გამომცემლობა „საშშობლოს“ დერეფანში გაზეთ „ტორონჯს“ მიხსენებს ნარო კოლხარი და წარმოიდგინეთ, თანაშრომლობასაც კი შეომთავაზებს.

მე თავაზიანად მოუცლელობა მოვიმიზეზებ, რაც თანამოსაუბრეს არ ეჭაშნიკება და უფრო ღირსეულად წარმომიჩენს თავს:

— გინესის წიგნში ვარ შეტანილიო, — გამეცინდობა.

გავიოცებ, როგორ-მეთქი?

— როგორ და 78 საათში (მომიტევოს ადრესატმა, დროს თუ ზუსტად ვერ ვასახელებ), რომანი დავწერეო.

თვალებს დავჭყეტ:

— მწერალი თუ გეთქმის, შენ, ძმობილო! მე საწყალი ათი წელიწადია ჩემს „სიცოცხლეისჯილებს“ ვეჯახირები და ჯერაც ვერ გამიმართავს რიგიანად-მეთქი.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ნარო კოლხარის სტახანოვური ტემპით წერა რა ჩემი სადარდებელია, მისი ნამოქმედარის გამო ტალახს რომ არ მესროდნენ.

ერთი სიტყვით, საზოგადოება „სამეგრ ელოს“ ყრილობა (უკეთესია ვუწოდოთ შეკრება), ნაჩქარევად, პრესინგში ჩატარდება (შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციაში რაღაც სასარგებლო წვლილის შეტანის საბაბით), რეგიონის საზოგადოების ფსიქოლოგიის შეუსწავლელად და გამოვკვეთავ, გარკვეულწილად საძართლიანად მიმაჩნია 1993 წლის 6 იანვრის ზუგდიდის მიტინგის რეზოლუცია, ცხადია, მოუზომავ ბრალდებათა გამოხშირვით.

ამასთან ცრემლი მერევა უნებლიეთ: ზუსტად 1992 წლის 6 იანვარს ავტომატების ჯერით დაიცხრილება ჩემი ბინა, ჩემი ბავშვების ციდამტკავლა ლოგინები, და აჰა, წლისთავზე არანაკლები ჯილდო — კაკალ გულში ნასროლი სიტყვა „მოღალატე!“

საოცარია, მინორულ განწყობილებას ჩემსას, რატომღაც დედულეთის იავარქმნის დღეებში შეთხზული სტრიქონები მოეჯარებიან დასეტყვილი მეხსიერებიდან:

დამორჩილი	შემოდგომა
მეურს ურემი, დამორჩილი რე,	შემოდგომაა, მიდის ურემი,
გინძე სერი დო დღა მორჩილი რე,	დღე მოკლეა და ღამე — ულევი,
ჯათ გორჩვილი რე თავრენ ცურენი,	ვერას დამაკლებს ჟამი ტიალი
საქორთუოშო მოკო ბღურენი!	თუ სამშობლოსთვის აღვესრულები!
მეურს ურემი დო მირსიოლუ,	მიდის ურემი და მისრიალებს,
ცოროფაქ დუდი მომირსიოლუ,	ტრფიალი თვალებს მინისლიანებს,
ტან მარზიოლუნ, აკა მუ რენი?!	ვერას დამშლიან ლეთა-სულები
საქორთუოშო მოკო ბღურენი!	თუ სამშობლოსთვის აღვესრულები!
ემერ სქუა დო ემერ ჩილე რე,	ამ საზვარაკე შვილებს მზე შობდა,
შურ ფურცელეფით მოფორჩილე რე,	სული ფოთლებით გადანეშოვდა,
ფოფორჭვილი რე?ვეფანდურენი?!	ფაფარი დამწვარია? არ იმღერება?!
საქორთუოშო მოკო ბღურენი!	თუ სამშობლოსთვის აღვესრულები!

გამოიძებნა სამიზნე! მაგრამ მე მაინც კვლავინდებურად ვიბრძოლებ ერთიანი საქართველოსათვის, რომელიც სამ წელიწადში სამი ხელისუფლებას შეიცვლის, ცხოვრება კი ძველებურად უფსკრულისაკენ მიგვაქროლებს გრუხუნ-გრიალით. ორმოცდაათ მილიარდ რუბლზე მეტი ვალით დავიმშვენებთ შთამომავლობის სამერმისო გადასახედს! არც სანაქებო უცხოეთიდან ილანდება მუქთად ხელგამმართველი ძია სემი თუ პაპა ჰანსი; შვილებისათვის შაქარი და კარაქი ვერ გვიყიდია საამოწყალო ხელფასით! ჯანდაბას, დოზანას ყველაფერი, საჯიშე ბიჭებს სამიწე ხელებით რომ არ ვუხუჭავდეთ საქართველოწართმეულ თვალებს!

დიახ, როგორც არასდროს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ ერთიანი საქართველოსათვის! სხვებზე ნაკლებად როდი მტკივა დიდი კონსტანტინეს ბოკვერა შვილიშვილების სამშობლოს კალთისაგან მოწყვეტა! არც იმ კოლხური კოშკის ჩამოშლილი ქონგური მიმზიანებს სულს მაინცდამაინც! ვიკმაროთ ლევილის მიუსაფრობა! იმპერიის უკანასკნელი მოჰიკანის ჯანგატეხილი იერიც ამ სულის წრიალ-კაეშანია.

ამას წინათ ვაკე-საბურთალოს პანთეონს მიბარებული სისხლ-ხორცი ზაზა ფეტელავას გვემული სხეულიც დაუღვრელ ცრემლს მთხოვს წარბშეკრული გამოხედვით.

დიახ, კვლავინდებურად ვიბრძოლებ ერთიანი საქართველოსათვის! საკუთარი ძმების შემრიგებელს, დიახაც, მევალება პირისპირ დავსხა ბატონები: მუხრან მაჭავარიანი და გურამ ფანჯიკიძე, ჭაბუა ამირეჯიბი და ნოდარ წულეისკირი, ელიზბარ ჯაველიძე და თამაზ წივწივაძე, მამუკა წიკლაური და რევაზ მიშველაძე, ენვერ ნიფარაძე და ჯანსულ ჩარკვიანი; დავსხა და იმისდა მიუხედავად ერთმანეთი ჭირივით გვეჯავრება, ერთმანეთს მამასისხლად გადავკიდებივართ, კაცთმოყვარეობის პრინციპები თუ ჯერაც არ წაუშლია ჩვენი გონებიდან იუპიტერს, ვაუწყო:

მწერალთა კავშირში გაჩენილი ნაპრალიდან იწყება საქართველოს შემზარავი უფსკრული, რომელ ღრიჭოს ერთეულთა სხეულები ვერ ამოავსებენ სავალალოდ, სხვა უფრო ნოყიერი და ბარაქიანი ულუფაა საჭირო — საქართველო რომ ჰქვია სახელად, საქართველო კი როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე მხარესაა. რა შეფარდებითაა ეს საქართველო თითოეულთან, სამერმისო წუთისოფელი განსჯის. სიმცდარეც ხომ საკმარისად მოგვეძევება ხურჯინის ორივე თვალში?!

დიახაც, მევალება დავსხა შუშტშეკუმშული კოლეგები, მუზათა საუფლო რომ გადაივიწყნიათ და ლამის პლაკატების ენაზე მეტყველებენ, თუმცა შემეკამათება ზოგიერთი: რა დროს მშვენიერსა და ამაღლებულზე ფიქრია, როცა ოთხივე მხრიდან ცეცხლი გვიკიდიათ, მაგრამ იმ ცეცხლს სულის შებერვის ნაცვლად ვედროების მომარჯვება და წყლის მისხმა რომ სჭირდება, ბალღმაც უწყის.

დიახაც, მევალება დავსხა და ვაუბნო ერთხელაც: საქართველოს თუ გადაარჩენს რამე, უწინარესად სიტყვა „მოღალატის“ ქარქაშში ჩაგება. მოღალატე შეიძლება იყოს ინდივიდი, ადამიანთა ჯგუფი, მაგრამ მილიონნახევარი ქართველი, ერის მესამედი ძალა, როცა სხვანაირად ფიქრობს, ამას ღალატი კი არა, მსოფლმხედველობა ჰ ქვია, შესაძლოა კონსერვატორული, საზიანო, მაგრამ მაინც მსოფლმხედველობა და ჩვენივე წონადობის აზრს ნაგავს კი ნუ ჩავახუტებთ, ბეშურაზნო, არამედ მოვუსმინოთ ერთურთს და მერე დამაჯერებლად, დასაბუთებულად დავუმტკიცოთ მავნებლობაა ეს თუ დამაქცევრობა.

გავიხსენოთ, პასექის დღეს ებრაელი ხალხი „ბარაბას“ რისთვის იღრიალებს „მაცხოვრის“ ნაცვლად. განა ისრაელებმა ნაკლებად უწყიან ქრისტეს ღვთაებრივი სხივმოსილებისა, მაგრამ ნაზარეთელის მკერდში ჩახუტება მთლიანად ერს აკრავს რომაული მახვილის გიგანტურ ჯვარზე და მცირე ზვარაკს ამჯობინებენ საყოველთაოს. ეს ქმედება ურიების სინდის-ნამუსზე იყოს, ჩვენ ჩვენი ვთქვათ, ჩვენი ვიტიროთ. განა შესამეცნებლად არ კმარა გარდახდილი, რომ ერთ ნავში ვსხედვართ, უკან მეწყერია და წარღვნა?! დამღუპველი ტალღა დღითი დღე გვეწევა, მენავეთა ერთი ჯგუფი გამალებით უსვამს ნიჩბებს, ხოლო მეორე — ან გულარხეინობს, ან პირიქით— აფერხებს კიდეც ამ სწრაფვას. ასე დაგვებედება თავიდან, სანამ წყალი აიმღვრევა, და ასეა დღესაც. იცვლება ხალხი, პრობლემა კი იგივე რჩება და აღარც ნაპირი ჩანს თვალსაწიერზე.

გავიხსენოთ, როგორ დასჯის მითიური რაჯა მენაღარე და მეწინწილე ტყვეებს მეაბჯრეთაგან განსხვავებით:

— შუბოსანი შუბს ულერებდა, ფარს იფარებდა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ესენი კი ადამიანებს აქეზებდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდო — დავიხსომოთ, ვინაიდან როდესაც ერთს ვექომაგებით, მეორეს ვწირავთ, როცა გამარჯვებისათვის ორივე ხელ-მუხლია საჭირო; როდესაც ორივე შეხედულებიდან ამოსაკრეფია თითოეული ფასეული და შესადუღაბებელია ერთ მთელად.

დიახაც, მევალება დავსხა პირისპირ და ერთხმად ვაღიარებინო: პრეფექტების ასეულიც მამონას ისეთივე მოთაყვანე გახლდათ, როგორც ახლანდელი გამგებლობა და უწინდლის უწინდელი რაიკომმდივნები, ჩვენ კი ეროვნული იდეის სპეკულაციით სამოთხეს ვერ ავაშენებთ. რა, ეროვნული იდეით მოსულს ეკადრება მანკიერებასთან კუდის გადანასკვა?! ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით ნიადაგი უნდა შევუმზადოთ საერთო ეროვნული კონცეფციის შექმნას, სადაც მემარჯვენე, მემარცხენე თუ ცენტრისტული შეხედულებანი ერთი მიზნისაკენაა მიმართული. ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი

ეროვნული აღმსარებლობის დამკვიდრებას, სადაც ქრისტიანი, მაჰმადიანი, წარმართი თუ თავად ნაკომუნისტარიც, თუკი ქართველადაა გაჩენილი — ქართველია (ისე კი ღმერთმა უწყის, რომელი სარწმუნოებაა უფრო ჭეშმარიტი: ბუდაც ერთადერთობს, ზარატუსტრაც, ქრისტეც და მუჰამედიც, მაგრამ საბოლოო ჯამში ოთხივე დიადი ღვთაების ჩამონატეხია მარტოოდენ და თავად დიალექტიკური მატერიალიზმიც რა-ღაც გლობალური მთელის ნამსხვრევია), მაშ, თავს რატომ ვიმტვრევთ ჭეშმარიტების ჩვენეული მოდელის განზოგადებით?!

ეს ხომ იგივეა, რაც ბრმებს სპილოს აღწერას სთხოვენ და სხვადასხვა ნაწილზე ჩაავლებინებენ ხელს, სადაც ერთი ხორთუმის ელასტიურობით ახსნის მის ფენომენს, მეორე — კუდის ბანჯგვლიანობით, მესამე კი ფეხების მონუმენტურობით. ჩვენ კი გვეღიმება — სპილო ხომ სპილოა, გოლიათი, ბრმების „დანახ- ული“ ნაწილების ჯამზე ასწილ მეტი. რატომ გვგონია, რომ ჭეშმარიტების დადგენა უფრო იოლი ამოცანაა და იმ ბრმებზე უკეთეს პოზაში ვიმყოფებით?!

ჩვენ უნდა დავსხდეთ ერთად, გვნებავს თუ არა ეს, ეწინააღმდეგება თუ არა ჩვენს პრინციპებს, მორალს, უნდა დავსხდეთ და ვაღიაროთ, რომ კანონიერების გზით მო-სული ეროვნული მთავრობა ვერ გამოგვადგება თავდაცვისუნარიანი, დემოკრატიის ნაკლებობის ბრალდება-ანკესს წამოეგება და ხელიდან გაუშვებს სიტუაციას; აქ წყალს სწორედ ის მეორე ძალა ამღვრევს, რომელსაც ვერაფრით ამოიყენებს ხელისუფლება გვერდში, და პრესინგში მოღვაწეობის პირობებში მრავალი ტაქტიკური შეცდომის მერე, მთლად მიუტევებელ ცოდვას წამოვიკიდეთ ზურგზე — ზარბაზანს დავახალით მოძმეს, სისხლხორცს, მოკეთეს, ჩვენივე ხელით კურთხეულს: მარჯვენა მოიძულებს მარცხენას, ბოროტება წალეკავს სრულიად საქართველოს; დროთა ვითარებაში არც საკუთარი თავის დაკანონებას ითაკილებს ეს უხეში ძალა და ვკანკალებთ გაშჭოლ ქარში მოხვედრილები, ისინიც, ერთხელაც რომ არ გვისარგებლია სახაზინო ბინების წყებით, მანქანების რიგით, უცხოეთში მოგზაურობებით, შემოქმედებითი მივლინებ-ბით, აგარაკებით და ისინიც, ეს მუქთა განძეული-ჯილდო ზედმიწევნით რომ აუთვი-სებია; ამიტომ აღვიკვეთოთ იულიუსის სიტყვებზე სრბოლა — ვეღარ გვიმეგზურებს ზგე სფუთფკბ ფგე ტშრშდ! ჩვენ სხვა მორალი გვჭირდება, რომელიც წინდებული წინააღმდეგობის ორივე ბოლოს მაგრად შენასკვავს, შეუთავსებელს შეათავსებს და საერთო ჭირ-ვარამის ღარში მიუშვებს ერის მთლიან ენერგიას.

დიახაც, ვალდებული ვარ განმეცხადებინა ეს ყოველივე, ძვირფასო კოლეგებო, რადგანაც აზროვნების თქვენეული ცალმხრივი მოდელითაც ზომაზე მეტად ვვალა-ლებთ ყველა! ამიტომ გვინდა თუ არა, ეთანხმება თუ არა ჩვენს მრწამსს და სულის-კვეთებას, ამართლებს თუ არა ჩვენი სულის პრეტენზიებს, ხელი უნდა გავუწოდოთ ერთმანეთს, რამეთუ თქმულა: რაშაც მოგკლა, მანვე მოგარჩინოსო; ან უფრო მარტი-ვად, ძაღლის ნაკბენს ძაღლის ბალანი ჰკურნავსო. ჰოდა, ერთმანეთი მოვარჩინოთ ერთმანეთის შეშწეობით, ჩემო ცალმხარიანო ქართველებო!

დიახ, დავსტამბავ ქართული ხალხური პოეზიის ანთოლოგიას, ქართველურ ენათა სინთეზურ ლექსიკონს, ქართლურ-სვანურ-მეგრულ-ლაზურ საუნჯეთა საკაცობრიო გა-ცისკროვნებით, და რადგანაც საამისოდ წაყვედრებულ თუ ჯვარცმულ საზოგადოება „სამეგრელოში“ ყოფნა აუცილებელი არაა, ვიხსნი მოვალეობას მისი გამგეობის წევ-რობისაგან, და ვრჩები ერთადერთი უკვდავი საზოგადოების რიგით ჯარისკაცად, რო-მელსაც თავისუფლებისა და თანასწორობისათვის მებრძოლი საქართველო ჰქვია.

მაშ, იყივლე ჩემო დილის გამთენებელო მამალო, იყივლე და გაგვიბარჩხალე იმე-დისმომცემი დილა! არა რომელიმე მხარის ან ჯგუფის მააშებელი, არამედ თითოეუ-ლისათვის თანაბრად შუქმფენი, ლაღი, თავისთავადი, ურთიერთმიმტევებლური; დილა ხომ თვით თუთარჩელა ღამეზეც ასწილ ბრძენია?!

აი, ჩემი ყოფიერების ანი და ჰოე, დამტირებელო დედულ-მამულო, და ვინიცობაა, საჭირო შეიქმნას, ნუ წააყვედრებ ხელისგულისოდენა მიწას „ორგულ“ შვილს, რა-მეთუ ისიც მამაპაპური თიხისაა საფიცარი საქართველოს ჭურჭლის გამოსაძერწად რომ იზილება ახლა, სისხლივით წებოვანი, ოდესღაც სამების პირველი იპოსტასი სულს რომ შთაბერავს მთელის ძალისხმევით და კინწისკვრით ისვრის სამოთხის წალკოტიდან.

ჯამების ჯამი —
SUMMA SUMMARUM

მოარული თქმაა: ნებისმიერი გაზეთი ერთი დღით ცხოვრობს, ერთი დღით სულდგმულობს, როგორც პეპლები ესიყვარულებიან მაცოცხლებელ მანათობელს, ან ბაბუაწვერანი და ეფემერები თრთიან ალიონიდან ალიონამდე, იმგვარად;

ყოველი გაზეთი ერთი დღით დადგმულ თოვლის ძეგლსა ჰგავს, მხოლოდ „ოდოია" არ ეპუება ჟამთა ტრიალს, ვინაიდან წამის შეჩერების ჟინი უცხოა მარადიულ თემებს შეჭიდებულისათვის ასე რომ, მოგვეტევება რამდენადმე თუ მოვარაყებულ ყდაში ჩამჯდარი წიგნების გვერდით უშფოთველ ცხოვრებას გმირულ სიკვდილს ვარჩევთ, ოდეს ერთი ადგილისაკენ გააქანებენ, თუმცა უმჯობესია ჯერხანობით სათაურში მოქცეული სიმბოლიკების გაშიფვრას დავჯერდეთ, რათა გულმა გული იცნოს და ღონემ — ღონე.

დავიწყებთ უმარტივესით — თავისუფალი ფასით, რამეთუ იგი დღეს ბოთლიდან ამოსულ ჯინს დამსგავსებია და ცხრაათასი მკითხველისათვის 150 000 კუპონი ეღირება, ცხრაასი მეჯღანუაშვილისათვის, (თითები ფულის თვლაში რომ გალაპლაპებია), 300 მანეთი, ხოლო ასამდე ფრანტისთვის — სულ რაღაც 15 ცენტი. ამასობაში ვფიქრობთ, რედაქტორის კალმის სურნელიც საკმარისად გამოიფრქვა **ეკლიანი ვარდებისაგან**, რომელი არომატიც რამდენადმე შეეფარდება ერთი კოლეგის წერის მანერას, იმ განსხვავებით, რომ თქვენი მონა-მორჩილი ყველასათვის საფიცარ ქუთაიას თუ იმერეთს არასდროს მიამსგავსებს ბერმუდის სამკუთხედს, გნებავთ მთელი ჰავანის შაქარი და აფრიკის ბანანი ჩაიკარგოს შიგ.

„ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა" დიდ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს, ალბათ, რადგანაც ერთი მსახიობის თეატრის გონივრული გამოცდილება მრავალ ამაღლებულ წუთს გვაზიარებს ბატონ კოტე მახარაძის თაოსნობით.

არც სათაური „ოდოიას" განქიქებით შეგაწყენთ თავს მაინცდამაინც, ვინაიდან გაზეთის მეორე გვერდზე გამოწვლილვითაა გაშუქებული ამ ძველკოლხური საგალობლის ესთეტიკური პარამეტრები — ჩვენი საფიცარი საქართველოს უკვდავებისათვის ზურაბივით ზეზეური ჩაშენებას ყოველდღიურობაში.

რაც შეეხება ჰორაციისეულ „ოქროს შუალედს", დიახაც, რომ ზომიერება, სინთეზური აზროვნება მიგვიჩნევია მთავარ ფასეულობად. პირში ქვის ჩაჩრის მაგივრად ყურის მიგდება, შეუთავსებლის შეთავსება, პატივისცემა განსხვავებული აზრისადმი, თანაალმობა, სხვაგვარი შეხედულებისათვის მტრად და ჯაშუშად გამოცხადების ნაცვლად შეგნება იმისა, რომ ისიც ბედკრული საქართველოს შვილია, ოღონდ თავისებურად მომართული, ჩვენი ხსნისა და გადარჩენის განსხვავებული თვალთახედვით მჭვრეტელი.

დიახ, სინთეზური აზროვნება აგვირჩევია ჩვენი გაზეთის დედაბოძად, გამნათებელ ლამპარად, რამეთუ ვერაფერი უშველის ჩვენს შურობუმუს, თუ არა ურთიერთგაგება, ურთიერთმიტევება, ურთიერთთანადგომა; რამეთუ საერთო ძალისხმევით ერთადერთი, სწორი და მართებული გზის ძიების მოუწადინებლად, უპერსპექტივოა ჩვენთვის XXI საუკუნის გადასახედი.

გაცილებით მეტს შევყოვნდები ფირმა „ოდაბადე"-სგან დავალებულ სიმბოლიკაზე: ყურადღებით თუ დააკვირდებით მითითებულ კრიპტოგრამას, ადვილად შენიშნავთ, რომ იქ პიკასოს მტრედსა და ედგარ ალან პოს ყორანს კაცობრიობის გადასარჩენად ერთი მიმართულებით მიაქვთ ზეთისხილის რტო. ჩვენ ამით ჯიუტად ვამტკიცებთ, რომ დღე და ღამე განუყოფელია! სიკვდილ-სიცოცხლე მარადიული და-ძმაა! პლუს-მინუსის თანამშრომლობა აჩახჩახებს მონმარტსაც და ჩუღურეთსაც. ასე იყო ათადან და ბაბადან მოყოლებული, ოღონდ აქამდე სულ დაპირისპირებაში განვიხილავდით მათ დამოკიდებულებას, იმისდა მიუხედავად, კანტისეული მრავალერთიანობის კანონი გვარიანად გვილოღნია ყმაწვილობის ჟამს და ხანდახან ჰეგელისეული ტრიადის ბუნებაშიც ჩაგვიჭვრეტია სიჭარმაგეში შიგადაშიგ. თუმცა რადგანაც ფირმა „ოდაბადე" ვახსენეთ ერთხელ, აქ ცოტა ხანს შევჩერდებით მოგვიწევს მიზეზთა გამო.

ჯერ ერთი, როგორც „ოდოიას" ფურცლებიდან გვეუწყება, ტერმინი „ოდაბადე" ფაქტობრივად გური ოტობაიას შემოტანილია ქართულ ცნობიერებაში, ვინაიდან რომან-ტრიადაში „სიცოცხლემისჯილები" სწორედ რომ ოდაბადეში, (როგორც მაკონდოში მარკესთან და იოკნაპატოფაში ფოლკნერთან), ტრიალდება ასწლიანი წუთისოფლის ვნებათა ბატალიები. ესეც რომ არა, „ოდაბადე" ხსენებულ თხზულებაში გააზრებულია, როგორც ყოვლისმომცველი სამყარო, სადაც უნდა გაჩნდეს, იშვას ახალი

რეალობა, ახალი მრწამსი. ფირმა „ოდაბადე“-ს დაარსებაც ჩვენი სტუმრის ახირებაა. ნობელიანტების სერიალის გამოცემას დაისახავს მიზნად, (ალბათ, უკუდო ხარის ანდაზა სჭირს ბედოვლათს), თუმცა ისიც მართალია, მხოლოდ ფოლკნერის ერთადერთი ტომის დასტამბვას და კიდევ ცხრა წიგნის გამოსაქვეყნებლად მომზადებაღა მოუხერხდება ოთხი წლის მანძილზე გამომცემლობა „სამშობლოს“ დიდი „ჭაპანწყვეტა“-„რუდუნების“ გამოისობით.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გური ოტობაიას გმირების სამოქმედო სივრცე იმდენად მოსვლია თვალში ზოგ პოლიტდაჯგუფებას ჩამავალი მზის ქვეყნიდან, რომ მისი სახელით სეპარატისტული განწყობილების პროკლამაციებიც კი ამოუმზეურებია იატაკქვეშეთიდან.

პოპულარობაც ამას ჰქვია!

შეხედეთ რა ძნელადდასაჯერებელ ამბავს გვატყობინებს ამა წლის 24-31 მაისის „მსგეფსი“ „ფრთხილად ქართველებოს“ სათაურით, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა — „მრგვალი მაგიდის“ განცხადება-შოლტია, „სამეგრელოს ხსნის კომიტეტი“ „ოდაბადეს“ პროვოკაციული გამოხდომის წინააღმდეგ, და ერთი პირის საწარმოო ფირმა „ოდაბადეს“ რეპუტაციის საზიანოდ:

„**უკანასკნელ პერიოდში დასავლეთ საქართველოში,** — ვკითხულობთ აღნიშნულ განცხადებაში, — **კერძოდ, სამეგრელოში, ვრცელდება პროვოკაციული შინაარსის პროკლამაციები ქართულ და რუსულ ენებზე, რომელთა ავტორებადაც წარმოგვიდგება საზოგადოებისათვის უცნობი ორგანიზაციები: „სამეგრელოს ხსნის კომიტეტი „ოდაბადე“.** (რუსულად იგი მოიხსენიება, როგორც "Êîì èòåò ñïàñåíèÿ îáîðîíû Ì åãðåëèè Î äàáàäå", გ.ო.) **„კოლხთა ერთიანობის ასაბლეა“, აგრეთვე ამ ასაბლეის გალის რეგიონული ორგანიზაცია. პროკლამაციების ავტორები ვითომდა შევარდნაძის რეჟიმის დანაშაულებრივი პოლიტიკისაგან თავდაცვისა და გენოციდის თავიდან აცილების მიზნით, აცხადებენ სამეგრელოს რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობას, რაც მათივე თქმით „მომავალში იქნება სრულიად საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის, მის კავკასიაში და მსოფლიოში, როგორც საერთაშორისო საშართალსუბიექტის, თვითდამკვიდრების გარანტი“** (სტილი დაცულია, გ.ო.).

ალბათ, აჯობებდა განცხადებაში ეს პროკლამაცია მთლიანად დაბეჭდილიყო თვალსაჩინოებისათვის თუ დამაჯერებლობისათვის და კომენტარიც მერმე უკეთ მოერგებოდა სათქმელს, მაგრამ ვაგრძელებ ციტირებას: „**მათი აზრით, საქართველოში არსებული პოლიტიკური დაპირისპირებულობა აიხსნება არა საოკუპაციო კოლაბორაციონალისტურ რეჟიმთან სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით, არამედ აღმოსავლელი ქართების დასავლელი კოლხებისადმი სიძულვილით, მათი ეთნიკური შეუთავსებლობით, რისი გამოხატულებაც იყო ვითომდა შევარდნაძის ბანდიტური ფორმირებების მიერ სამეგრელოს ხუთგზის დალაშქვრა“.**

ვინაიდან განცხადების მთლიანი გადმობეჭდვა ჩვენი გაზეთის შესაძლებლობას აღემატება, თანაც „მსგეფსის“ 24-31 მაისის №6 შოვნა გადაულახავ სიძნელეს არ წარმოადგენს საკითხით დაინტერესებულ პირთათვის, ჩვენი ძირითადი სათქმელით შემოვიფარგლებით, (ისე კი გონებაამღვრეულ დედას, თუნდაც დაუმსახურებელი წიხლის გამო, ფეხს არ ჰკვეთენ). მოკლედ, როგორც იტყვიან, ფირმა „ოდაბადეს“ და კომიტეტ „ოდაბადეს“ შუა უზის დიდი ზღვარი.

სამეგრელოს სამომავლო მოწყობა ფირმა „ოდაბადეს“ სრულიად ნათლად წარმოუდგენია — იგი იყო, არის და იქნება „საქართველოს ხერხემალი“, როგორც ამას წინათ ეწოდება მაღალი ტრიბუნიდან.

არაფრით გავცვლით ჩვენ სალსა კლდეებს უკვდავების ხეზედა, რადგანაც სამეგრელო წარმოგვესახება საქართველოს უკვდავი სულის მშენებელ უტად და აღარც მოკვეთილი მარჯვენის გამო წაგვცდება წუწუნი დედის ძუძუზე ტკბილი სამშობლოსადმი. მარტივად რომ ვთქვათ, ფირმა „ოდაბადეს“ მიზნები დიდად არ წაადგება ჩვენს სახელს ამოფარებულ კომიტეტს, ვინაიდან, სამეგრელოს ნებისმიერი ხელშესახები ფასეულობა, მატერიალურია ეს თუ სულიერი, ერთიანი საქართველოს აღსაშენებლად გადაგვიდია აწ და მარადის.

ჩვენი გაზეთი ერთი ბელეტრისტის ტრიბუნის ეგიდით რომ აპირებს სარბიელს, ამაზე უკვე გაუწყებთ ზემორე, რაც არითმეტიკის ენაზე წელიწადში სულ ცოტა თორმეტი სასურველი პიროვნების მოძიებასაც ნიშნავს. ამის თაობაზე გაზეთის მე-16-ე გვერდზე უფრო დაწვრილებით შეიტყობთ 10 ზეღირსეული ქართველის გამოსავლენად გამოცხადებული კონკურსის შინაარსიდან, მაგრამ რადგანაც გური ოტობაიაც შორიახლო ასდევნებია გოლგოთის გზაზე შემდგარ

სამშობლოს გვემულ სხეულს, შეჩვეულ ჭირთან გასაუბრებას ვამჯობინებთ, უფრორე — იმიტომაც, რომ ნიმუშის, თვალსაჩინოების, თუნდაც ლაბორატორიული ჩხირკედელაობის გარემო შევქმნათ; დავანახოთ ყველას თუ როგორ, რანაირად ვაპირებთ ამა თუ იმ პიროვნების წარმოჩენას, რაფერ განგვიზრახავს თემატიკის გაშლა და გაანალიზება.

ესეც რომ არა, გური ოტობაია ხომ ოთხ წელიწადზე მეტია, რაც საყდრის ჩიტივით უსტვენს მოკვდავი გულადი ფეტელავას თიხის ჭურჭლიდან?! მერედა, იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია?! ჯერ ერთი, მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც ჰამლეტის დანიისმაგვარ სამშობლოს (სადაც ზეზეურად დალპა ზოგი, უკეთ ნაგავმა წალეკა), არ მოსცილებია. ფილოსოფიური წიგნების კითხვა, თეზა-ანტითეზა-სინთეზის კირკიტი და ბოდვა, დღენიადაგ მამულის გადარჩენაზე ფიქრი, უბედურს სერვანტესის მწუხარე სახის რაინდს დაამსგავსებს, იმ ცვლილებით, რომ საავედრას კიხანოს გვერდებზე უფრორე ჩემსა და სანჩო პანსას ფერდებს გაუდით ლაწალუწი სრული ორმოცდარვა თვის მანძილზე, მაგრამ ბედისწერას გაქცევია ვინმე?! და თქვენი მონა-მორჩილიც იძულებული შეიქნება, პირველ სტუმრადაც □ვიდრე ათი ზეღირსეული ქართველის ვინაობა გარკვეულა), ეს დამთხვეული მოიწვიოს.

ახლა არ იფიქროთ, მთლად გადაწეულთან სასაუბროდ გავუწირივათ „ოდოიელებსო". ასეთები იმდენი მოგვძალებია ტელეეკრანიდან, რომ ყვითელ სახლში ზოლებიან ხალათით მოსეირნეთ დავემსგავსებით დროთა მსვლელობაში, თუმცა ხშირად იმდაგვარ სამახსოვროს და გულში ჩასადებს გამოურევს შეჩვენებული, რომ მზად ხარ თვით ქარების წისქვილებთან საომრადაც აედევნო. მოკლედ, როცა ზოგი რამ გარკვეულა ჩვენი გაზეთის მიმართულების, მიზნისა და სტუმრის შესახებ, ბარემ გური ოტობაიას პუბლიცისტიკის რეტროსპექტივასაც მივადევნოთ თვალი, თუნდაც იმიტომ, აქა-იქ თითი შევუქნიოთ სხვათა დასანახავად, ხალხური შეგონების: კოკას ეუბნებოდნენ და ლიტრავ, შენ გესმოდესოს, კვალობაზე.

„მითაქამი": გური ოტობაია ამ წერილში საჯაროდ აცხადებს, რომ „ოდოია" თავიდან სალაშქრო სიმღერა იყო. შრომის ჰიმნად მას ხალხი მონათლავს, ვინაიდან საზოგადოებას მმართველი ძალებისგან განსხვავებით, არაფრად ეპიტნავება სისხლისღვრა, ომიო. აქვე იმასაც გვიმხელს გულგახსნილად, რომ კოლხეთს იარაღით ვაჭრობა, იარაღის ჟღარუნი მოინელებსო, რადგანაც ზურგს შეაქცევს ტრადიციულ კულტურებს და საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი ქვეყანა გაპარტახდება, გაჩანაგდება, როგორც ზნეობრივად, ისე — მორალურადო.

„გამონათებისთვის მოველ... და არა მოხმარებისთვისო" — გვიმჟღვავნებს გური ოტობაია მომდევნო პუბლიკაციაში.

„ღვთიური სამება": გური ოტობაიას მყარად სწამს, რომ ტერმინი ქართველი, ქართული, საქართველო მხოლოდ მაშინ შეიძენს სრულყოფილებას, როცა ჩვენი მამულის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მონათესავე ეთნიკური ჯგუფი მისი სულიერი ტაძრის აშენების ფერხულში ჩაებმება მაქსიმალურად; რომ სანამ ქართლურ-კახურისა და იმერულ-გურულის გვერდით ჩვენი სიტყვიერება თანაბრად არ დაესესხება მეგრულ-სვანურ ფორმებს, სრულფასოვან ქართველებად ვერ ვიშოდებით. დაახლოებით იგივე აზრს გამოხატავს „მზე დედაა ჩემი", „ჰოუ ნანა". გური ოტობაიას დაბეჯითებული მტკიცებით, ხელახლა შესაკონია ქართული ხალხური პოეზიის ანთოლოგია, სადაც „ვეფხისა და მოყმის ბალადას" მხარს დაუმშვენებს სვანური „თამბი" თუ მეგრული „ბორჯი".

სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება ცნობილი უკაზის გამოტანის დღეებში პრეზიდენტ გორბაჩოვისადმი გაგზავნილ დეპეშაში. მართალია, თქვენს მონა-მორჩილს ჯერ მისი გადარუსულება და შემდგომ მოსკოვს გაგზავნა უკიდურესად შემოაჭერინებს სამ კვირას ქამარს, რაც ლამის ორჯონიკიძის ელვა-ინფორმაციის შებრუნებული ვარიანტია: თბილისის თავზე თავისუფალი საქართველოს სამფეროვანი დროშა ფრიალებს, მაგრამ უფრო ნიშანდობლივი ის გახლავთ, რომ გური ოტობაია ოსტატურად ამოხსნის იმპერიის გაუმაძღარ ბუნებას, რუსის გენეტიკურ ლტოლვას სახელმწიფო კაცად ყოფნისკენ. აქვე იმასაც უწინასწარმეტყველებს ჩრდილოეთს, (საიდანაც მზე არასდროს ამოსულა), რომ ლაო ძისა არ იყოს, შეუძლებელია სხვისმა დამმონებელმა თავისუფლად ისუნთქოს ცისქვეშეთში; ვინაიდან, სწორედ მისი უძღები ბუნებაა ბორკილი, საკუთარ ხელ-ფეხისთვის გამოჭედილი ხუნდები.

რაც შეეხება „ჯიმაგეს", ძმაო, გენაცვალედ, ძმაო შემოგევლედ ითარგმნება ქართულად. გური ოტობაიას არ გაუძნელდება ამ წერილში სამი უმთავრესი მომენტის დაფიქსირება: პირველი და უმნიშვნელოვანესი ის გახლავთ, რომ იმპერია ჩვენი დონკიხოტური სითამამისთვის სამ არათანაბარ ნაწილად გაგვთიშავს, გაგვხლეჩს საკუთარივე სულმოკლეობითა და უმეცრებით. აბა, ტკიპას სიფიცხეს და ბობოქრობას დაუდგება წინ მუხლმაგარი მგელი, როცა ლომის ფაფარიდან გებრძ-

ვის?! ტკიპას ფაფხურს არაფრით აღემატება ოსებისა და აფხაზების „ჯანყი“ ქართველების წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთი ამ საქციელით საქართველოს, (რომელიც დენთის როლს ითამაშებს საბჭოეთის დაქცევაში შევარდნაძე-გამსახურდიას ბიპოლარული ქმედებით, ვოლტერის დიპლომატიითა და კამიკაძის თავგანწირულობით), თვალნათლივ დაანახებს, თუ რა ყოფილა ტერიტორიების დაკარგავა.

— თქვენი ცბიერებისა და ხტუნაობის წყალობით ხომ დამაქციეთ, დამაქუცმაცეთ?! იწვნიეთ ახლა ჩემი ბედიო, — გვეტყვის ნიშნის მოგებით. ამასთან, რუსეთი აფხაზურ-ოსური კონფლიქტის წამოგორებით ერთგვარ საზრდოს გადაუგდებს მთიელთა კონფედერაციას, □ნაძიებია შური მოძმე ხალხის დამონებაში გრიგოლ ორბელიანის დაბლაგვებული ხმლის უგუნური ქნევის წილ), სადაც ჩვენზე გაცილებით მაღალი აღმოჩნდება ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული თავისუფლებისკენ სწრაფვა.

ეროვნული მოძრაობის ეპიცენტრი საქართველოდან ჩეჩნეთში გადაინაცვლებს ცნობილი მიზეზების წყალობით და შამილის შთამომავლობა ვულკანივით ბუყბუყებს ახლა პომპეის თავზე.

რუსეთი აფხაზეთის მოხელეთებით, შავი ზღვის ზოლის ხელში ჩაგდებით, ერთხელაც გზა მოუჭრის თავისუფალი სივრცეებისკენ მათ ლტოლვას. თანაც ხელდაბანილი გამოვა კონფლიქტიდან, ვინაიდან ფაქტობრივად დამპყრობელს მშვიდობსმყოფლის სტატუსს მივუბოძებთ. რუსეთი თვითონ შექმნის წყლულსაც და მალამოსაც. ასე რომ, იმპერია, რომელიც ორასი წელიწადია ხვეწს, ამუშავებს პატარ-პატარა ერების დამორჩილების მეთოდებსა და საშუალებებს, ასე იოლად არ დაგისხლტომიებს ხელიდან. მით უფრო, როცა მამულისთვის გულანთებული ელგუჯა კი ხარ, მაგრამ— გვარიანი მოტლუვოც. ჩვენი აზვირთება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ჰგავს იმ იაჟუჟუნას მძვინვარებას, რომელიც ათი თაობაა ვეება მუხის ჩეროს შეფარვია და ეს მიბნედილ ნესტან-დარეჯანიც ერთბაშად მოინდომებს თავს ზემოთ აღმართული გიგანტური ფრთების ჩრდილიდან გასვლას.

„ოდოიას“ სტუმრის გაორება ქართველობას რამდენადაც წაგვადგება, მეტროპოლიტენის სადგურების შესასვლელებთან ყუთებითა და ვედროებით დაყრილმა ბარე სამას ათასმა ლტოლვილმა უკეთ უწყის.

აფხაზები გვარიანი ხანი იღლიიდან რომ სუნთქავდნენ, დაფარული არ ყოფილა ჩვენი საზოგადოებისთვის, მაგრამ რა გვეღონა?! ხელის გულზე ერბო-კვერცხს შევიწვით თარსი არძიმბასგან გონებადაბინდულ ერისთვის და ახია ჩვენზე საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად თუ ვქცეულვართ.

გური ოტობაიასნაირთა უსაზღვრო ტოლერანტობითა და ალტრუიზმით შესაძლოა, მართლაც ისტორიის კუთვნილებად იქცეს ჯიშ-ჯილაგი, თვითმყოფადობა ჩვენი.

რამდენ ნუკრი ცისკაძეს და გურამ აღნიაშვილს იმსხვერპლებს დადარაჯებული ტყვია?!

რამდენ კოკი ოყუჯავას, პლატონ თაკალანძეს და აკაკი შენგელიას ამოგვიბუგავენ საკუთარ სახლ-კარში?!

აფხაზი დღეს ქართველის სისხლითაა მთვრალი და გური ოტობაიას „ძმადნაფიც“ ჯუმა ახუბას საძმოს ყასბის ფეშტამალი უფრო მოუხდება ჯალათის ნიღაბთან ერთად, ვინემ ადამიანური სამოსელი.

აღარაფერს ვამბობთ „სისოცხლემისჯილების“ სინოფსისსა, და მის მიხედვით ფილმის შექმნის პერიპეტიებზე, რომელიც იღბლიან შეხვედრებზეა დამოკიდებული, მაგრამ გაცილებით მეტს ვისაუბრებთ „შუაკაცის“ ავანჩავანზე.

ეს დღეები ფრიად „პოპულარულ“ პიროვნებად ვიქცევი: რედაქციებში, გამომცემლობებში, „საქტელერადიოს“ დეპარტამენტში, სხვაგან, მეკითხებიან ერთსა და იმავეს:

— მართალია, რასაც ამბობენ: გური ოტობაიას ფანჯიკიძის მწერალთა კავშირი მიუტოვებია და მუხრანთან მისულა, „მარტი-92“-შიო.

— როგორ გითხრათ... — დავაღებ პირს და მაშინვე, — გასაგებია, გასაგებიო, — არ მაცლიან ფრაზის დასრულებას, მხარზე მიტყაპუნებენ ხელებს და დაჩუტული ჩანთებით გარბიან. არადა, რანაირად აუხსნი დუხჭირი ცხოვრებით გაწამებულთ, რომ გური ოტობაიას საქციელი, როგორც ლომს კატა, რაღაცნაირად მიმსგავსებია რაინდი ქართველი მზეჭაბუკის, გია აბესაძის ცოტნესეულ ქმედებას, რომელიც ზეზეურად შეწირვია საქართველოს ერთიანობას სიტყვებით: „**დაე, მე ვიყო უკანასკნელი მსხვერპლი საქართველოს თავისუფლების გზაზე“.**

დაახლოებით იგივე სწადია გური ოტობაიას გვემულ სულსაც, რადგანაც გათიშულობა, დაპირისპირება კულმინაციას მიაღწევს: იქამდე შეგვძულებია, იქამდე წავკიდებივართ ერთმანეთს,

რომ აშმორებული ტალახის სროლა, თავზე ლაფის გადასხმა, ხბოსტოლა ნაგაზების მიქსევა თუ დუბინკების ბაგაბუგი ზურგზე, ნორმად და წესად ქცეულა ბევრზე ბევრისთვის. შემრიგებელი კი არ ჩანს; დედის მანდილიც იგვიანებს; მედიატორი სდუმს, ჩუმათობს, დამუნჯებულა და ეს ხმაგაკმენდა, სამწუხაროდ, უკვე აღარაა საბასეული ოქრო.

ამ კოშმარულ ოთხ წელიწადში გური ოტობაია არაერთ წერილს მიუძღვნის საქართველოს ჩიხიდან გამოღწევის გზებისა და საშუალებების ჩხრეკას, ქარონის პერმოდებულ ლეთაზე ფონების ძიებას, ასე რომ, მის სიტყვებს თამამად ვიმეორებთ:

ჩვენი ერთადერთი ხსნა საყოველთაო სინთეზური აზროვნებაა — შეუთავსებლის შეთავსება! და რადგანაც ,,ლიტერატურულ საქართველო'' ამას წინათ გამოაქვეყნებს ინფორმაციას გური ოტობაიას მწერალთა კავშირიდან გამიჯვნის თაობაზე, თანაც მკითხველს ასეთნაირად მიაწოდებს ინფორმაციას: **„სოსო სიგუამ წაიკითხა გური ოტობაიას განცხადება საქართველოს მწერალთა კავშირიდან გამოსვლისა და „მარტი 92"-ში შესვლის შესახებ"**. (თურმე ნუ იკითხავთ, ერთი ბანაკიდან აყრილი გური ოტობაია მეორეში გადაბარგებულა). ჰაი, დედასა, მავანნი რა პრიმიტიულად აფასებენ გური ოტობაიას?! ქართული მწერლობის, და ზოგადად, მთელი ერის შეერთება-შეკავშირებისთვის ხმალშემართულს, დაქუცმაცების, გათიშულობის გაღრმავება ბრალდება! ბედის ირონია სრული! სხვა რა ჩარაა, იძულებული ვხდები სრულიად საქართველოს ვაუწყო მისი პიროვნების სადარდელ-საკვნესელი, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების კონფერენციისადმი მიძღვნილ წერილში გამოიხატება არსებითად და რომლის წაკითხვა ვერაფრით მოუხერხდება იქაურობას ნიაღვარივით მომწყდარი ხალხის გამოისობით:

,,**ძვირფასო, მეგობრებო**, — აცხადებს გური ოტობაია აღნიშნულ წერილში, — **მოწიწებით თავს ვხრი აქ დამსწრე თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოჩერებული ათასების წინაშე; მუხლს მოვუყრი უმანკოდ დაღვრილ ქართულ სისხლს, გზადაგზა ავბედითი შავი ყორნის მიერ შეხვრეპილს უხვად და სიტყვას ვიწყებ წერილის ფრაგმენტების მოშველიებით, რომელიც „ქართველი ერის" 12-13 ნომრებში გამოვაქვეყნე წლეულს „შუაკაცის" სათაურით და რომელსაც მცირეოდენი სახეცვლილებით შემოგთავაზებთ აქ.** (გამეორებას რომ გავექცეთ, ხსენებული წერილის მონაკვეთს გამოვტოვებთ, გ.ო.) **თებერვლის ამ პუბლიკაციით მე დემონსტრაციულად დავტოვე სრულიად საქართველოს (?) საზოგადოება „სამეგრელო", როგორც სინთეზური მამულის კონცეფციისთვის გამოუსადეგარი ორგანიზაცია. ახლა კი ასევე გადაჭრით უარს ვუცხადებ საქართველოს მწერალთა კავშირს, ხაზს ვუსვამ, დაფლეთილი საქართველოს გახლეჩილ მწერალთა კავშირს, მაგრამ ვტოვებ რა მესიტყვეთა ერთ ბანაკს, ეს როდი ნიშნავს ვწევრიანდები შემოქმედთა მეორე ოლიგარქიაში, არამედ ყველაფერს ვიღონებ მათ შესაკავშირებლად, მათ შესაერთებლად. ასე რომ, ჯერჯერობით ვრჩები ერთადერთი, განსაცდელში მყოფი, მაგრამ უკვდავი საზოგადოება-კავშირის რიგით ჯარისკაცად, მწერლად, რომელსაც სამართლიანობისთვის, თავისუფლებისთვის და თანასწორობისთვის მებრძოლი საქართველო ჰქვია"**.

ასეთია გური ოტობაიას მსოფლგანცდა ქართული სინამდვილისადმი ჯერ კიდევ შარშანდელი თებერვლის თუ 14 მაისის მიჯნაზე. მაგრამ რადგანაც ცხოვრება ახალ-ახალ სიურპრიზს გვიმზადებს ნიადაგ და ვინაიდან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შექმნია ოსურ-აფხაზური ,,პრობლემების'' წყალობით, აუცილებლად მიმაჩნია ზოგიერთი მომენტის დამატებით დაკონკრეტება:

,,**მწერალთა კავშირში რა გამაჩერებდა, — აცხადებს გური ოტობაია, — როცა სამშობლო იქცევა, სამაჩაბლო და აფხაზეთი სისხლისგან დაწრეტილა, თბილისის სასტუმროები, პანსიონატები, პროფსასწავლებლები გადაჭედილია ქართველი ემიგრანტებით; მოსახლეობა დამშეულია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კუპონი ვერ კუპონობს. მთავრობა ვერაფრით იკიდებს მიწაზე ფეხს ხმელეთს მოწყვეტილი ანთეოსივით?!**

მწერალთა კავშირში რა გამაჩერებდა, როცა სირაქლემასავით ქვიშაში თავი ჩაურგია გუშინწინ დემოკრატიის მაძებარ ბელეტრისტს, ჩირად არ უღირს დაუყაჩაღებენ თანამოძმეთ, აუწიოკებენ თუ სიცოცხლეს მოუსწრაფებენ სულაც. თვითონ ხომ გაუნაღდებია ერთხელ უსაფრთხოება, რადგანაც ოფიციოზთან შეკვრა უზრუნველი ცხოვრების გარანტიაა. ბაზარში ხორცი ოთხი ათასი მანეთი ფასობს, როცა რეალური ხელფასი ათასი მანეთიც არ არის კუპონის ჰიპერინფლაციის გამო, ნუთუ უკმარია გახლეჩილი მწერალთა კავშირიდან კი არა თვით ქართველობაზე ხელის ასაღებად?!

ამისთანა სიტუაციაში ხელისუფლებას თავზე ქუდის დახურვის მეტი აღარაფერი დარჩენია, მაგრამ დარწმუნებული ვარ უკვე ეს მომენტიც ვერ უშველის უკიდურესად ჩახლართულ საქმეს, უფრო გონივრული ქმედებაა საჭირო: მოვა მართალ-მტყუვნის გარჩევის დრო; დადგება განსჯის, განვლილი გზების გადაფასების, მონანიების თუ მიტევების ჟამი, მანამდე კი უკლებლივ ყველას ერთად დგომა გვმართებს საბას არაკისამებრ, ერთად დგომა ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად.

ამ საქმეში კი ქართულ მწერლობას ისტორიული მისიის განხორციელება ძალუძს და ევალება კიდეც. ზურგის შექცევა, გაბუტვა, შერისხვა იოლია, ჭრილობათა მოშუშებაა ჯოჯოხეთი თორემ. და რადგანაც ვალდებულნი ვართ თვალი გავუსწოროთ სინამდვილის ბნელხვეულებს, ზეადამიანური მისიისკენ უნდა წარგვიძღვეს ყისმათი ჩვენი, ზეკაცურისკენ, რამეთუ ხუთმილიონიან საქართველოში ოთხი წელიწადია ვარ-ვარებს ძმათა შორის გაჩაღებული ხანძარ-ფორიაქი და ამხელა დროის მანძილზე სიტყვიერებას ჩვენსას მამასისხლად გადაკიდებულ ღვიძლთა შესარიგებლად იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითიც არ გაუტოკებია. პირიქით, კონფრონტაციის, დაპირისპირების შუხტად მოგვევლინება, საკუთარი პოზიციის ერთადერთობის მქადაგებლად.

ჩვენი ლიტერატურულ სარბიელს, „მიმომხილველის“ მუჯლუგუნებიდან მოყოლებული, უხამსობა წალეკავს. დაირღვევა პრინციპი მთავრის, არსებითის პოვნისა შემოქმედის პალიტრაში. ბატონ ხუტა ბერულავას პოეზიის განქიქებას ვერ გაცდება ეს ოთხი წელიწადი ჩვენი მწერლური პოტენციალი. გამართლდება რუსთველის სიტყვები კოკასთან მიმართებაში. უფრო მეტიც, თვალში დირეგაყრილები ბეწვის ძებნას შეგუდგებით დანარჩენში და ჩვენდა საგალალოდ ეს ჩვეულება დღემდე ვერ მოგვიშლია.

ბატონებო, ხალხნო, ქრისტიანნო, არ დაიღალეთ?! ამ ხელმოკლეობის ჟამს ან ქაღალდი არ გამოგელიათ, ან — მელანი?! ჭარბი ენერგია თუ დაგანათლათ განგებამ, მე მიგასწავლით საასპარეზო სივრცეებს. ნუთუ ვეღარ ამჩნევთ ხელიდან რომ გვეცლება მამული?! რა დროს ჭინჭებზე კინკლაობაა, როცა გეჰენიაში გვეთუთქება დედა-საქართველო!

დეპარტიულობა, კომპარტიის მანდატების ტყლაშა-ტყლუშით გადაყრა ვერ უშველის ჩვენს ლერწამ სულებს, ზოგი მარჯვნივ მიიდრიკება და ზოგიც — მარცხნივ, როცა მამული კაკალ გულშია!

— სადღაა მისი გენეტიკური მემკვიდრე?!

— ისევ შეხმატკბილებულ ქართველებში, ძვირფასებო!

ჩვენ დღის სიყვარულის გამო ღამეს ვერ გავაძევებთ სამყაროდან და ვეღარც სიცოცხლის თაყვანის წილ ავუგებთ წესს სიკვდილს და ვერც ეთნიკურ წმენდას დავიწყებთ ზოგიერთი ყუმი ხალხივით, რადგანაც ქართველის მრწამსი გამოკვეთილია ფრაზაში: თათარიც დედის შვილია!

ვთქვათ და ხვალ-ზეგ, საზოგადოების გარკვეული ფენის ძალისხმევით შეიცვალა ჩვენში პოლიტიკური კლიმატი, ხელისუფლების სათავეში უსამართლოდ განდევნილნი მობრუნდნენ ისევ, გადასხვაფერდება ვითომ სიტუაცია თუკი ოპოზიცია კვლავინდებურად გააგრძელებს კრიჭაში დგომას და აქა-იქ წაბორძიკების გამო ზარბაზნითაც დააფინთიხებს?! ამდაგვარი გზა ხომ გავიარეთ ერთხელ?! არადა, ისიც ნათელია, რომ კანონიერი ხელისუფლების გულშემატკივარი მრევლის დაუმორჩილებლობის წყალობით არსებულ მთავრობას აურაცხელი საქმისთვის თავი ვერაფრით გაურთმევია და ვერც განახორციელებს იგი მოღვაწეობის დებიუტში შეპირებული თამასუქების მეათედსაც კი; თუ საქართველო თვითონ არ აწარმოებს სიმინდს და ღვინოს, თავად არ მოკრეფს ჩაის და არ მოაბევრებს რძე-ხორცს, გარედან ჩამოცვენილი უფლისეული მანანებით წელში ვერასდროს გავიმართებით. მაშასადამე სურათი სრულიად გამოკვეთილია. ამას მეოთხეკლასელი გიგლა ბიჭიც უპასუხებს ფრიადზე. მოკლედ, ამ ორ ძალას ცალ-ცალკე აღარაფრით ძალუძს ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე კუს ნაბიჯისხელა მანძილის დაძლევა, რადგანაც დაპირისპირება, შუღლი და ქიშპი ზენიტზე ასულა. ესე იგი, როცა დავინახავთ საქართველოში პოლიტიკური ვაკუუმის ძირითად მიზეზს, ხომ უნდა დავსახოთ რაიმე ღონისძიება ამ ჩიხიდან გამოსაღწევად? ხსნა ყველგან არის და ასეთ ხსნად გური ოტობაიას გლობალური სინთეზი მიაჩნია, შეუთავსებლის შეთავსება!

ვთქვათ და გადადგა შეკარდნაძე, ამით გვეშველება ვითომ უკვე ზედმიწევნით გაესენგეკვებულებს?! საზოგადოებაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობა მოიხსნება ვითომ დღის წესრიგიდან? ათასობით კლეპტომანი და მაფიოზური ელემენტი გადადებს კი მისი არსებობის ერთადერთ გარანტს — იარაღს? — კითხულობს გური ოტობაია და იქვე პასუხობს:

„შავ სამყაროს“ მშვენივრად მოეხსენება მისი ბარაბასეული მოღვაწეობა წლების მანძილზე. იგი არაფერს დაერიდება მოპოვებული პრივილეგიების შესანარჩუნებლად. ათასგვარ ხერხს და ღონეს მოიშველიებს, რათა ქვეყნის მმართველი ძალები საკუთარი ზეგავლენის სფეროში იყოლიოს. ზოგიერთი სარბიელწართმეული პარტიის განცხადება, რომ მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით იბრძოლებს სამართლიანობის აღსადგენად, ქარავნისადმი გაშართულ ღავღავს მიმსგავსებია მარტოოდენ.

ერთი სიტყვით, ცივილური ფორმებით ცხრაას ოთხმოცდაათი წლის მთავრობის რეანიმაცია უტოპიურია, დროის ფაქტორის მერმინდელი აქტი, სანამ ხალხი უკიდურესობამდე არ გაწამდება, ვიდრე ტყვიით სიკვდილის შიშს არ დასძლევს შიმშილით სიკვდილის რეალობა.

რჩება ძალადობის ფაქტორი, უკეთ, მორალი: მახვილს მახვილი მიაგებო, თვალის წილ თვალი ამოარიდო მოწინააღმდეგეს, მაგრამ გაუძლებს კი ამისთანა დაჯახებას ისედაც წელში გაწყვეტილი ჩვენი სამშობლო?! ის მესამედი ძალა — უცხოტომელი, სოროებში შემძვრალი დაგვიწყებს თვალთვალს სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებულებს და როცა სისხლის რუები წარედინება, აღმოჩნდება რომ იგი საქართველოს მოსახლეობის ოცდაათი პროცენტი კი არა ორმოცდაათზე მეტიც ყოფილა ჩვენი ურთიერთ გამუსვრის წყალობით.

მოჭრილად რომ ვთქვათ, მშვიდობით არა თუ საქართველოს თავისუფლებავ, — თვითონ საქართველოვ, ღამაზოოო!

გური ოტობაიას მარათონული შეგონება სინთეზური აზროვნებისკენ მთლად შიშველ ნიადაგზე აღმოცენებულს არ ჰგავს. სამყაროს მამოძრავებელ ძალად ფუჭად როდი მიიჩნევს იგი დადებით-უარყოფითის, მყიფე-თხიერის, სინათლე-სიბნელის, ცხელ-ცივის და კიდევ უამრავი დაპირისპირებული ცნების ერთობლიობას.

ბუნებრივია, ეკვატორს და ანტრაქტიდას ერთ ხელისგულზე ვერ დაიტევ. ისინი მოსპობენ, გაანადგურებენ ერთმანეთს. საჭიროა მათ შორის დისტანცია, რათა დაბალანსდეს ძალები, რათა თანამშრომლობაში ჩაებას ორივე მხარე.

— სამყაროს აგებულების დადასტურება არ არის განა ბოროტ-კეთილის დაუსრულებელი ორომტრიალიო, — შეგვახსენებს გური ოტობაია.

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო, მოიშველიებს რუსთველის შეგონებას, სძლია და არა გაანადგურაო, ვინაიდან ძლევაში აქ დაქვემდებარება იგულისხმება და არა გაცამტვერებაო; ვინაიდან უხსენებლის გადაშენებით სასარგებლოს ვერაფერს მოიმკის სამყარო, რამეთუ ამ ქვეწარმავალისთვისაც კი რაღაც მადლი დაუნათლებია განგებას, რომელიც აუცილებელი კომპონენტია სიკეთის გასამარჯვებლადო.

მეფისტოფელ-ფაუსტის კავშირი აპურებს დამაშვრალთ;

მარილი ციცქნაა, მაგრამ უმისოდ დაზნექილი სუფრა ყელში გაგეჩხირება;

ჩვენ ყველაფერში ან მტერი უნდა დავინახოთ — მოღალატე, ან მოყვარე — მხოლოდ კეთილისმყოფელი, რაც წმინდა წყლის ნონსენსიაო, გვმოძღვრავს.

ადამიანი გარკვეული თვალსაზრისით, მისივე ბიბლიური ოსტატის — ცაბაოთის მოდელია, ანუ—უარყოფით-დადებითის თავისთავში გამაერთიანებელი, შეუთავსებლის შემთავსებელი.

დავუშვათ, გავაძევეთ დედამიწიდან ღამე, ხომ ერთ კვირაში მუსრს გაგვავლებს ესოდენ საქებარი ნათელი?!

ადამიანი იმით არის ბედნიერი და უძლეველი, შეგვაგონებს გური ოტობაია, რომ ამ ორი საწყისის წარმართველი გენიაა. დიახ, შემოქმედი გენია და არა— გულუბრყვილო მომხმარებელი.

შენ გაგიმარჯოს სიკვდილო, სიცოცხლე ხარობს შენითაო, გვაშაღლებს ვაჟა. ამ გასაოცარი პიროვნების პოემები იმიტომაც იკითხება ესოდენი ინტერესით, რომ სიკვ-

დიალ-სიცოცხლეს განუყრელ და-ძმად მიიჩნევს; რომ ბუნება მბრძანებელიცაა და საკუთარი თავის მონაც, ანუ ერთდროულად— ბატონიცაა და ყმაც; რომ შვილდაბინდული მოყმის დედაი ბოკვერმოკვდინებული ძუ ვეფხვის მშობლის თანასწორუფლებიანია და თუ რომელიმე არ წააბიჯებს მისასაძიმრებლად მეორისკენ, თავად ცხოვრება ჰკარგავს შინაარსს, როგორც უმიზნო და უსაგნური ავგიას თავლა;

ვარდსა და ჭინჭარს ერთად ჰქონდათ ბინაო, ნათქვამია ერთ მეგრულ ხალხურ ლექსში, ვარდს თუ კოცნა ხვდა წილად, ნუთუ ჭინჭარი შეხედვის ღირსიც არ იყოო, და სწორედ აქ არის ნაგულისხმევი ჩვენი თავსატეხი დილემა, რომ ორივე ბუნების შვილია, საამყაროს აუცილებელი შემადგენელი ნაწილი; მაგრამ როგორ გინდა ურთიერთგამომრიცხავი ეს ორი ფენომენი ერთ საცხოვრისში ასულდგმულო?! ნუთუ ჩვენ ვერ დავსახავთ მიზანს, რომელსაც ეს ორი განზომილება თანაბარი ექსტაზით შეისისხლხორცებს?! ვუპასუხებთ გური ოტობაიას რიტორიკულ შეკითხვას და ჩვენეული დაძაბული ცხოვრებაც გააღწევს ფონზე.

იმპერიული ძალები, ველიკორუსული ხრიკები საქართველოს ერთიანობას ათასნაირ კაკანათსა და ხაფანგს დაუგებს, ვინძლო ერთ მთელში განსხეულება მოგვეს- წრაფოს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის გარიჟრაჟიდან მესხეთსა და ქვემო ქართლში ქართველი ერის დაუკითხავად ჩამოასახლებს ხალხებს. ორ საუკუნეზე მეტია ისინი შრომობენ, იღვწიან აღნიშნულ ტერიტორიებზე და მათი მსოფლშეგრძნება უკვე ალმაცერად უმზერს ყოველივე ქართულს. ჩვენს ეკლესია- მონასტრებს ბოსლებად გაიხდის, საკუთარ „ანბანთქმას“ ამოტვიფრავს ოფლ-ცრემლ-სისხლით შეზავებული ჩვენი ტაძრების პერანგებზე. განდევნილია ამ რეგიონებიდან ქართული ენა, ქართული სული. ეს არის ფაქტობრივად ოკუპირებული მიწა-წყალი, სადაც ეთნიკური წმენდა ზედმიწევნითაა განხორციელებული ქართველების საზიანოდ.

იმპერია ლოკალურ მასშტაბებს არ იკმარებს და შემდგომ პერიოდში დამატებით შექმნის ახალ წარმონაქმნებს: ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიებს; ცდილობდა და ცდილობს სამეგრელოს გამოცალკევებას დედასაქართველოსაგან. იმპერია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ფეხი ვერაფრით მოვიკიდოთ მოლიპულ ბილიკზე. მოლიპული გზებით მოარული ქართველი, დიახაც, ხელს აძლევს თვითმპყრობელობას, უკეთ — შოვინისტურ რუსეთს, რომელიც ამაყობს კიდეც ერმაკის, ერმოლოვის, ტოტლებენის „ექსპედიცია“-ლაშქრობებით, ხიშტით მოპოვებული ტერიტორიებით, რადგანაც მისი ფსიქოლოგია „ვლადეთ“-იდან გამომდინარეობს. დანარჩენი სულ ერთია მისთვის თუ რას მიუმატებს ამ „ვლადეთ“-ს — „ვოსტოკს,“ „კავკაზს,“ „სევერ-იუგს“ თუ „შირს.“ მისთვის მთავარია ფლობა, რასაც ინგლისი იარაღის მეშვეობით ახერხებდა ინდიელებში და საფრანგეთი — სპირტითა და ქალებით.

როგორია ამ გარე და შიდა პრობლემებისადმი ერთვნული მოძრაობის დამოკიდებულება?! ან რას ნიშნავს კავკასიური ოჯახის პრინციპი — თვითშენარჩუნების მკაცრ მოთხოვნას კატასტროფული დემოგრაფიული ვითარების გამო, თუ ლიბანიზაციას, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას, როგორც ამას ზერელედ, ვულგარულად წარმოაჩენენ ზოგნი.

რა გზებით დაუსახავს დღევანდელ ხელისუფლებას საქართველოს მერმისის მშენებლობა?! მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოქვეყნდება მთავრობის ვრცელი პროგრამა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის სტრატეგიაზე, თუმცა როდესაც ევროპული სახლის აგებაზეა საუბარი, სავარაუდებელია ის სოციალურ-პოლიტიკური შედეგებიც, ამ სახლის წამოჭიმვას მოჰყვება წესით — ევროპული სახლის მშენებლობა ხომ საერთო ბაზარს ითვალისწინებს უწინარესად, სადაც მთავარი მოთხოვნა ურთიერთხელსაყრელი პირობების შექმნაა კონტინენტზე წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციოდ?!

აი, სად არის საჭირო გური ოტობაიას მანიაკურად აკვიატებული სინთეზური აზროვნების მეთოდი — შეუთავსებლის შეთავსება!

ცოცხალი ორგანიზმის განაყოფიერებისას დედისეულ-მამისეული გენები გასაოცარ ჰარმონიას ამყარებენ ხოლმე, რაც შეიძლება სრულყოფილი ინდივიდის გამოსავლენად. ეს ყველაფერი ინსტინქტის პირობებში წყდება, არაცნობიერ სამყაროში, ხოლო

ჩვენ, ცივილიზებული სნობები, ვერაფრით აგმაღლებულვართ ბრიმიტივების დონეზე. თვისება, რომელიც ამა თუ იმ პროცენტითაა ტიბში მოცემული, კი არ ქრება, კი არ იკარგება, არამედ წამით მიიჩრდილება, წამით მიეფარება თვალს, რეცესიული ხდება. ბირთვნების გარეგნული იერი ჩვეულებრივი ფორმით რომაა გამოვლენილ-გაბატონებული — დომინანტურად წარმოგვესახება და დაუსრულებელია მათი მონაცვლეობა შემდგომ თაობებში. ასეა ბიოლოგიაში, მაგრამ დახეთ, ცხოვრებაში როგორ ვერ ურიგდება თავის უმცირესობას ესა თუ ის კლანი! მას ამწუთასვე სწადია გაასპარეზება, აუჯანყდება საყოველთაო ფორმას და ძალადობით, ლომის ფაფარს ჩაფრენილი ტკიბასი არ იყოს, ამხობს მის ერთადერთობას. ამით ხომ თვით სამყაროს კანონების წინააღმდეგ იბრძვის უმეცარი იგი და ამისთანა ინტრიგების მატარებელს, უკვე აღარ ძალუძს მომავლის შექმნა, ვინაიდან უარყოფს განვითარების ბუნებრივ გზას და საკუთარ თავს უმწიფრობაში მოიწყვეტს.

დავუშვათ და სინთეზის არენაზე გაგვიყვანია ორი პოსტულატი: კავკასიური და ევროპული სახლი. დავაკვირდეთ თუ რა აერთებს თითოეულ კონცეფციას. ვცადოთ შუალედური შეხედულების მოძებნა.

ორივე მოსაზრებაში უეჭველია ფიგურირებს საქართველო, როგორც ცოცხალი ორგანიზმი დროსა და სივრცეში, როგორც ცივილიზაციის გოლიათი სხეულის სულდგმული უჯრედი. რა შეიძლება ისესხოს ევროპული მოდელისაგან კავკასიურმა?! შეეწყობა თუ არა ისტორიულ „დიდი აბრეშუმის გზას“?! ყოველ შემთხვევისათვის ქართული ეროვნული პოლიტიკა კავკასიონის მთაგრეხილივით არაფრისდიდებით გადაეღობება საერთაშორისო ინტერესებს. ის მეტ ელასტიურობას გამოიჩენს მომავალში, რათა შემაკავშირებელი ხიდის მისია იტვირთოს აზია- ევროპას შორის.

— ჩვენ ერთდროულად პატროფილურ პოლიტიკასაც უნდა ვემხრობოდეთგამტარებელნი და კოსმოპოლიტიურნიცო, — გვასწავლის გური ოტობაია. — ჩვენ უნდა ვაშენოთ ჩვენი საშობლო ქართველის ჯიშ-ჯილაგის გაჯანსაღების ნიშნით, მაგრამ არა — უცხოტომელთა გენოციდის თუ ეთნიკური წმენდის ხარჯზე.

გური ოტობაიას აზრით, ამჟამინდელ ხელისუფლებას არ ძალუძს მოძალებული პრობლემების გადაწყვეტა ეროვნული მოძრაობის ფრთის წინააღმდეგობის პირობებში, როგორც ადრინდელი ლეგიტიმური მმართველობა ვერ განახორციელებს ერის დაწინაურების პროგრამას „ქუჩის ოპოზიციის“ კრიჭაში დგომის ძალისხმევით.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გური ოტობაიას რწმენებით, საქართველოში ობიექტურად მომწიფებულია სინთეზის ხანა, შეუთავსებლის შეთავსების ეპოქა.

განვლილია თეზა — მაქსიმალისტურ-ზეპატრიოტული ჟამი.

განვლილია ანტითეზა — სხვათამოიმედობის, საკუთარ ძალებში შეეჭვების ბორჯალი. ორივე ვითარება გამოცდილია, ვერც ერთი მიგვიყვანს სრულ ჭეშმარიტებამდე.

მაშასადამე, საძიებელია ახალი, მესამე განზომილება, რომელიც ამ ორი სიდიდის გონივრული შერწყმით მიიღწევა მხოლოდ.

ჩვენ იარაღით ვერაფრით დავთრგუნავთ ქართველი ერის ნებას, ვერც ტალახის სროლითა და ავსიტყვაობით მოვიმკით სასუფევველს. ასეთნაირი კონფრონტაციის ვითარებაში გოჯისხელადაც ვერ წავიწევთ წინ უკვდავების წყაროსკენ, რომელიც აგერ, ხელისგაწვდენაზეა, რაც ორჯერ ორივით მეტყველებს მშვიდობიანი თანამოსაქმეობისათვის საუკუნო მოუცლელობას.

როგორც წინა, ისე დღევანდელ ხელისუფლებას გური ოტობაია ზუსტ განსაზღვრებას უსადაგებს და მათ ცალუღელა ხარებს ამსგავსებს, ანუ საქართველოს ადარებს იმ ურემს, რომლის აბეურებს ხან ნიშა შეებმება ჯიქურ, ხანაც — ნიკორა, ურემი კი, ამ დაკენტებულ ოჩანთა თავდაუზოგავი მეცადინეობის მიუხედავად, მაინც ადგილზე ბზრიალებს. ტყლაშუნებს სახრე, ერთ-ერთი ხარი კი შეშველების ნაცვლად არხეინად ბუღრაობს იალაღზე, ან „გამოეცალე იმ აბეურებს, მე მიმიშვი ურემთან და ნახავთ ყველაფერსო,“ იქადნება. დაახლოებით ასეა ჩვენი საქმე!

გამოსავალი ერთია: უნდა გამოცხადდეს მორატორიუმი! უნდა გამოცხადდეს რეფერენდუმი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური შეკავშირების თაობაზე! უნდა დაინიშნოს საყოველთაო, თანასწორუფლებიანი არჩევნები თითოეული პოლიტიკური ძალისა და მოღვაწის გათვალისწინებით, რომელიც მოგვევლინება თვისებრივად სრულიად ახალი მმარ-

თველობის ჩამოყალიბების საწინდრად, და აქედან გამომდინარე, საქართველოს მართებული, გეგმაზომიერი აღმშენებლობის გარანტად.

ნუ შეგვაშინებს მკაცრი სიმართლის მოსმენა. იქნება თავის ჩაღუნვები; დაიცვარება შუბლები ოფლით, მაგრამ მაინც ყველაფერს გააბათილებს ერთად დგომის სურვილი სამშობლოს სასოწარკვეთის გასაცამტვერებლად.

გავა დრო და მომავალი არავის დაუკარგავს კუთვნილ დაფნის გვირგვინებს, დღეს კი მხარდამხარ უნდა შევეჭიდოთ მამულის ზღურბლთან გაწოლილ ურჩხულსაო, აი, გური ოტობაიას ადრინდელი თუ სადღეისო საწადელი. აი, რისთვის მოითხოვდა და მოითხოვს მწერალთა კავშირის გამოცხადებას ერთიანი საქართველოს სამჭედლოდ, რომელიც უნდა გახდეს ყოველი პოლიტიკური ძალის შეკავშირება-შემთლიანების მძლავრი ბიძგიო.

აი, რისთვის მოითხოვდა და მოითხოვს საყოველთაო სინთეზს.

აბა, დავუკვირდეთ, რა გადაგვარჩენს ამდენი იმპერიის გარემოცვაში მომწყვდეულ ქართველობას?! განა მხოლოდ ხმლის ქნევა?! არა, ძვირფასებო, სწორედ ის, რომ დიდი დავითი მოწიწებით უხრის თავს სინაგოგასაც, მეჩეთსაც, გრიგორიანულ ეკლესიასაც, ცხადია, ყელაწვართული სიონის თამადობით.

მესმის, ძნელია, ძალზე ძნელი საკუთარი შეხედულების გადასინჯვა. ამას ბუნებრივია, დრო თავად მოაგვარებს წლების მერმე, თუმცა ჩვენ, ცაიტნოტში ჩავარდნილ ესენგეველთა, მოცალეობის ჟამი ვინ მოგვაშავა?! ამიტომაც ამთავითვე ოდნავ მაინც თუ გადავიბერტყავთ მხრებიდან ერთადერთობის ავადსახსენებელ ილუზიას, ყველაფერი თავისი კალაპოტით წარიმართებაო, არ იშლის თავისას.

ჩვენ რომ სინთეზური აზროვნების მოდელს მოვიმარჯვებდეთ უმცირესობა-უმრავლესობას შორის არსებულ წინააღმდეგობათა დასაძლევ საშუალებად, ყოველგვარი პრობლემა უსწრაფესად მოიხსნებაო, გვიმტკიცებს.

ან ფანჯიკიძეს რა მიზეზით უნდა დაემდუროს იგი?! ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცება, როცა ერთადერთი ბატონი გურამი გამოუწოდებს დახმარების ხელს და დავით აღმაშენებლის საზოგადოებიდან ათას მანეთს უწყალობებს. ის სოლიდური თანხა გური ოტობაიას ნაკლებად ეკუთვნის; წესით, უფრო გაჭირვებულ მრავალშვილიან ოჯახს უნდა შეხვდეს, მაგრამ ხელოვანი კაცს კოლეგას გამოექო- მაგება: „ ერთ წელიწადში ორი შვილი შესძენიათო“, ბრძანებს და პრეზიდიუმს გადაიბირებს. მიდი და ამის წემდეგ აუგი აკადრე! გაგახარებს ღმერთი?!

ან ბერმუხა მუხრან მაჭავარიანისგან რა უნდა სწადდეს ყველასთვის უღნობ ბელეტრისტ-მედიატორს?! მისი უშურველი მხარდაჭერა რომ არა, ხომ ვეღარაფრით ეღირსება გური ოტობაიას რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველი წიგნი დღის ნათელს?! შეჰპირდება, მოინდომებს, გამოარიდებს ცენზურის კლანჭებს და წელში გამართავს, როგორც ეკონომიკურად, ისე — მორალურად.

განა ვინმეს ეშართლება გური ოტობაია, კონკრეტულს, ხელშესახებს, მაგრამ ეროვნული მწერლობის ბედ-იღბალი, სამშობლოს მერმისი და აქამდე უნდობლობით მოწამლული ატმოსფერო, ჯიგარს უტრიალებს.

მწერალთა კავშირიდან გასვლის მისეული ზეპირი განცხადებაც, ხომ ვიცით, პროტესტი, შეძახილი უფროა გაჯიქებული შემოქმედი ხალხის გონზე მოსაყვანად, ვინემ საერთო სატკივრებისგან გაქცევა. ამ საქციელით გური ოტობაია მოქიშპე თანამოკალმეებს კონსენსუსისკენ მიუთითებს:

— მოვეშვათ კონფრონტაციას, ერთმანეთის წეწვა-გლეჯას, ერთმანეთის ტალახის სროლას, თორემ ხრამში გადავიჩეხებით ყველაო, — გმინავს, მაგრამ ვინ შეისმენს?!

გური ოტობაიას მწერალთა კავშირიდან გასვლის თაობაზე უსტარი არ მიურბენინებია ბატონ გურამ ფანჯიკიძესთვის და აღარც ბატონ მუხრან მაჭავარიანისთვის მიურთმევია არზა „მარტი-92“-ში დასაფუძნებლად. ამ ორ პიროვნებას და მათ მრევლს საერთო ენის გამოძებნისკენ მოუწოდებდა, თორემ მაჩაბლის 13-ში, სადაც ჩვენი სულმნათი წინაპრების გენია-ნათელი ბრდღვიალებს კვლავაც, თავისი თავისთვის სიარული დღემდე არ აუკრძალავს.

ასე რომ, სანამ საქართველოს მწერალთა კავშირი არ აღიდგენს ოდინდელ პირველსახეს — ერთი ოჯახის დედააზრს, რომელიც სრულიად საქართველოს მონოლითურო-

ბის მინიატურული მოდელია; სანამ ერთმანეთს თვალში თვალს არ გაუსწორებენ ოდესღაც თანამეინახე კალმოსნები; ვინემ უდროოდ წასულ, პოლიტიკური მოსაზრებით დაუტირებელ ძმებს ჩვენსას: გოდერძი ჭეიშვილს, ბერდია ბერიაშვილს, მორის ფოცხიშვილს, თენგიზ ბუაჩიძეს ცრემლს არ დააწვეთებენ აქედან და იქიდან; ვიდრე დაკენტებულნი თვინიერად არ შეებმებიან საშვილიშვილო ტვირთს და საერთო ძალისხმევით არ ასწევენ საქართველოს დადაბლებულ ცას, გური ოტობაია იქნება გალოკილი თითივით, შუაკაცის, მედიატორის, შემრიგებლის უმადურ წანწალს გამოკერებული.

თუმცა საქართველოს მომავლის ყოველთვის სჯეროდა და სჯერა გური ოტობაიას, განსაკუთრებით მას მერმე, რაც დაახლოებით თვენახევრის წინათ უსაყვარლეს ქრისტესმიერ თანამოკალმეებს, ორივე ჩინებულ პოეტს, ადრე ერთმანეთისთვის თავგადაკლულებს, მოგვიანებით ყინჩად მომზირალთ, ერთს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, ხოლო მეორეს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების ამქრიდან — მურმან ჯგუბურიას და ნომადი ბართაიას რუსთაველზე ვეება ჭადართან დაუნჯებულად მოსაუბრეებს რომ იხილავს, ისე აუძგერდება გული, ისე აუჩქროლდება სისხლი, კინაღამ საქვეყნოდ იყვირებს:

— მორჩა, უგუნურობის ამღვრეული მზე ჩაესვენა! მოახლოებულია ყველა ტკივილის მომშუშებელი დრო-ჟამი! — ესეც შენი სინთეზური აზროვნების ცხოვრებისეული გადაწყვეტა! ესეც შენი შეუთავსებლის შეთავსება: პოლიტიკურ განსხვავებულობას, მოვლენების ალტერნატიულ აღქმას და მის ნიადაგზე აღმოცენებულ ზურგშექცევას, ბოლოს და ბოლოს აჯობებს ჭეშმარიტი განცდა — პოეზია, მეგობრობის მადლი; რომ ყველანი ქართველები ვართ და ერთსა და იმავე კედელს ვამაგრებთ, ზოგი ბინდისპირისას და ზოგიც — სისხამზე.

— მაშ, ერთად ჩემო სისხლო და ხორცო! საქართველოსთვის ყველა და ყველაფერი! — გური ოტობაიას ეს ფრაზა დეკიზად უნდა ავიტაცოთ თითოეულმა! — დღეს განსაცდელში საამაჩაბლო და აფხაზეთი კი არა, სრულიად საქართველოა! დღეს გადასადებია პოლიტიკურ-ლიტერატურული ანგარიშსწორებანი და გვერდიგვერდ დადგომა გვმართებს სათითაოდ, როგორც კრამერის „გადაჯაჭვულნის“ გმირებს. საჭიროა? მუხლიც უნდა მოვუხაროთ ერთურთს, ოღონდ დედასაქართველოს ეშველოს. დღეს ჩვენ, ჩვენი ზარი გვიხმობს თითოეულს დედასაქართველოსთვის და აქ გულგრილობა, ზურგშექცევა, ნამდვილი ღალატის ტოლფასიაო, — გვიკიჟინებს იგი, — მაშ, ერთად ჩემო მარჯვენავ და მარცხენავ! მაშ, ერთად, ჩემო ამერ-იმერო! მაშ, ერთად ჩემო ღვინიავ და ლაბავ, ჩემო ბუსკავ და ჩელავ! ერთად, ერთად შეკვებათ ქედდადრეკილი მამულის საშვილიშვილო ტვირთს! ჩვენ ხომ, პოეტისა არ იყოს: დავბადებულვართ, რომ ვიყოთ მონა და საქართველოს გვედგას უღელი! — ესეც ტიციანის სტრიქონის პერიფრაზთან ერთად, გური ოტობაიას სიტყვებია“.

— მოჭარბებულად გიწერიათ გური ოტობა- იაზეო, — შემიბღვერს დედაქალაქში ერთი გამობრძმედილი რედაქტორი, მართლის თქმაც რომ სწადია, მაგრამ აღარც გამბედაობა ჰყოფნის.

მკითხველი კი მიმიხვდება, რომ ეს ყოველივე ლიტერატურული ფორმაა მხოლოდ —მედიატორობა, გამმარიგებლობა, შუამავლობა, შუაკაცობა შუაზე გახლეჩილ საქართველოს გონებაამღვრეულ შვილებს შორის.

— გვაცალონო, — იძახიან პუტჩისტები.

— ჩვენ დაგვაცალეს? — გააფთრებით პასუხობენ დამხობილნი.

და ასეთ ვითარებაში, ფიზიკურ შეურაცხყოფას, ლაფთაცვენას, აბუჩად აგდებას და განქიქებას თუ აკმარებენ სამეგრელოში ჩასულ ჟურნალისტებს: ლევან ღვინჯილიას, მერაბ ბერაძეს, ,,შანსელებს'', მწერლებს გენო კალანდიას და შუკო ჯიქიას მთლად კედელთან მისაყენებლადაც გაიმეტებენ.

— უარესის ღირსნი არიანო, — დამანუგეშებს ერთი უზენაესელი, იდეოლოგიის ატმოსფეროს რომ განსაზღვრავს რესპუბლიკაში თავის დროზე. მაგალითსაც მოიშველიებს:

— მე მივაღებინე შუკოს ბინა და მანქანა მწერალთა კავშირიდან, მან კი, აი, რანაირად დამიფასა ამაგი:

მივდივარ ქუჩაში. უცებ მანქანამ მომამუხრუჭა. ხელებგაშლილი მივეგებე უმცროს კოლეგას. მგონია დეპუტატობას მილოცავს, და წარმოგიდგენია, არც აცია და არც აცხელა — გაშლილი სილა გამაწნა. თურმე ზვიადთან ყოფილა მწყრალადო.

— მოვეშვათ სამაგიეროს გადახდას, თორემ ვერასდროს დასრულდება მართალ-მტყუვნის გარკვევა-მეთქი.

— დასრულდებაო, — მხარზე მომიტყაპუნებს ხელს. ადრინდელ პუბლიკაციებს შემიქებს. — უფრო მეტს მოველით შენგანო. ჩამოდი ზუგდიდში, ჭეშმარიტი ქართველის ადგილი აქ არისო, — დამმოძღვრავს.

ოჯახურ პირობებს და მისთანებს მოვიშველიებ, თან ვერაფრით ვამხელ ოდიშში ჩემი ჩამოსვლა ცეცხლზე ნავთის დასხმას რომ უქადის საქართველოს, თუ შუამავლობის გზიდან გადავცდები და წონასწორობას დავკარგავ.

დრო, ვითარება, სიტუაცია, მაინც თავისას გაიტანს და მეც, აჰა, კოლხეთში ვარ.

ვეწვევი ლოთი ქობალიას შტაბს ქალაქის ცენტრში, რომელიც აქამდე ფირმა „ეგრს“ ეკუთვნოდა.

კოოპერატორები მშვენივრად გაარემონტებენ პრივატიზებულ „გრენქარხანას“ და ასე, გაკრიალებულ კაბინეტებს ჩააბარებენ კანონიერების ქომაგთ.

საკმაო ლოდინის შემდეგ შემიყვანენ ბატონ ვახტანგ (ლოთი) ქობალიას რეზიდენციაში. თითქმის საათნახევარს დავყოვნდები იქ. გენერალი როდის-როდის მოიცლის ჩემთვის. დაინტერესდება ჩემი შემოქმედებით, ცხოვრებით. ბევრს ვისაუბრებთ ქვეყნის აწმყოზე, მის მომავალზე. მე გულგახსნილად გავუმხელ და დავუსაბუთებ ჩემებურად კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებლობას. ამასობაში წნევა აუწევს და მისდაუნებურად შევესწრები თბილისელებისთვის ლეგენდად ქცეული კაცის კარდიოგრამის გადაღების სცენას. სამუდამოდ დამამახსოვრდება ქობალიების ძე ჭაბუკური აღნაგობით, ბრინჯაოსგან ნაქანდაკები ტანით. მოგვიანებით მის ოჯახშიც მოვხვდები სინწის მისადგომებთან, სადაც ფუძის ანგელოზი დიასახლისი — „უტუ მიქავას ღირსეული მემკვიდრის თანამეცხედრე“ საარჯე ქვაბებით ამზადებს ყოველდღიურ სადილ-ვახშამს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოჯარებული ლაშქრისათვის. დამასაჩუქრებენ აურაცხელი ვაზნით, სამხედრო ფორმით, მაგრამ ყოველივე განცდილი ლირიკულ ინტერმეცოდ წარმოვისახოთ მოვლენების ელვისებური განვითარების ფონზე.

მართუ მეექვსე

ცარიელი აუზის დირექტორი

აჰა, მიიწურება თაკარა ზაფხულიც. ჩრდილოეთის დათვის ბუნისმაგვარი ბურტყუნი და დატორვა წკავწკავით მიმოფანტავს ჩვენს სამხედრო ძლიერებას. მთავრობა ცხრა ტყავში ძვრება, რათა როგორმე გააუმჯობესოს სიტუაცია, ბირჟაზე კი ათასი რუსული რუბლი თექვსმეტ ათას კუპონად იყიდება და აშკარად ვამჩნევთ ყველა, რომ შიმშილის ცოფიან ხახაში უგზო-უკვლოდ მივეხეტებით.

ამ პოსტსკრიპტუმისგან თავს უთუოდ შევიკავებდი, რომ არა ზემორე წერილის ფაქტების რამდენადმე მოძველება. მერედა, ამ თვენახევარში მრავალი კანის გამოცვლასაც მოვასწარებთ. დაბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გავერკვეთ საითკენ მივდივართ, რა პერსპექტივა გველის?!დათხოვილია, უკეთ — გადამდგარი მინისტრთა კაბინეტი.

ბატონ ოთარ ფაცაციას პრემიერად დანიშვნა განსხვავებულად შეფასდება პარლამენტარებისგან თუ რიგითებისგან. ერთი დეპუტატი ამბაკოევიჩს ცარიელი აუზის დირექტორს შეადარებს მოსწრებულად.

მე ვიცნობ ბატონ ოთარ ფაცაციას, როგორც ქველმოქმედს და ხელგამმართველს, როგორც ფრიად გამჭრიახი გონების ადამიანს.

პეტრე პირველი სწორედ ამისთანებს აწინაურებდა ტლუ რუსეთში. ბატონი ოთარი თეორიებს ნაკლებად დაგიდევთ. მისთვის უმთავრესი სასურველი შედეგია.

დიახაც, ამნაირი უნარების წყალობით ხატოვნად ზუგდიდელები ქალაქში არსებულ ქალაქს ეძახდნენ „ენგურქაღალდკომბინატს“, სადაც მართლაც ევროპის დონეზე მოისვენებდი სასტუმროში, ევროპის დონეზე გიმკურნალებდნენ საავადმყოფოში, ევროპის დონეზე მოგემსახურებოდნენ მაღაზიასა თუ რესტორანში, მაგრამ შესძლებს კი ბატონი ოთარი სიცოცხლისუნარიანი მინისტრთა კაბინეტის შეკვრას?! ან კიდევ, მოახერხებს იგი ძალადობით დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საერთო ენის გამონახვას და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას?!

— სამეგრელოს გულის მოსანადირებლად დაინიშნა პრემიერადო, — წაისისინებენ აქა-იქ, სინამდვილეში კი დღეს ლოთი ქობალიას შენაერთები აკონტროლებენ რეგიონს ცხენისწყლიდან მოყოლებული ენგურამდე.

მომინელებს, მომსპობს ჩვენი პრესის ქამელეონობა. ჭაღარაწვერიანი, კვერცხივით შეკრული, სამშობლოსთვის დაკოჭლებული, პრინციპების ერთგული პიროვნება, გვჭირდება?! — ბატონი ვახტანგია, გენერალი. გვჭირდება?! — ბანდიტი და ნაძირალა. მამულისთვის იბრძვის ტამიშთან?! — გმირია. გზას გვიკეტავს?! — ყაჩაღი. ჰოდა, საქმეს იქამდე ავწეწავთ, ,,იბერია სპექტრის'' ინფორმაციით, ფოთთან ლიანდაგებზე ვაგონებს დაადუღებენ!

,,საქართველოს რესპუბლიკა'' ბატონ რომან მელიას სიტყვებით აბათილებს ამ ბრალდებას, და იქვე აკონკრეტებს, რომ ჩვენ ხორბალი სხვა მოტივებით ვერ ჩაგვიტანია თბილისსო; უკეთ, გზაში გაძარცვისგან ვიზღვევთ თავსო.

ახლა სამეგრელოს მიმართ მორიგი ისტერიკებია გამართული. □გეხსომებათ სატელევიზიო პასკვილები: დახოცილი მეომრების ცეცხლში დაწვის ,,მხეცური მაგალითები'' ზუგდიდელებისგან).

ვრცელდება ხმები დედაქალაქის მერამდენედ დალაშქრვის თაობაზე.

,,საქტელერადიოს'' დეპარტამენტში ერთი ხეპრე რეპორტიორი აფოფრილი მიმტკიცებს, რომ თუ უფრო გამწვავდება იქით, (იმედია, ადრესს უკომენტაროდაც მიხვდებით), უკლებლივ გაგყრით რიკოთს მიღმაო.

მერედა, ვგონებ ორას ათასზე მეტი მარტო თბილისშია ასეთი ჰუმანური სანქციის სუბიექტი და ბარაქალა ჩვენ, თუ ცეცხლზე ნავთის დასხმა განგვიზრახავს-მეთქი, ასე ვეტყვი. ,,ნავთის დასხმის'' ნაცვლად გულში გავლებული ,,ლოთი ქობალიას ლაშქრის გაძლიერება'', ცხადია, ხუმრობაში არ ჩამომერთმევა.

ქვეყანაში სიტუაცია შემდეგნაირია: გადამდგარია მთავრობა. ზუგდიდში ფაქტობრივად აღდგენილია კანონიერი ხელისუფლება.

ყოფილი პრემიერის თქმით, დღევანდელი მმართველობა გამოწვეულია მშვიდობიან ეკონომიკურ შეჯიბრში.

ბატონ ასლან აბაშიძესთან, მედიატორად რომ მოევლინება დაპირისპირებულებს, კონფრონტაციულ მხარეთა წარმომადგენლების დიალოგი რა შედეგს გამოიღებს, უცნობია ჩვენთვის, მაგრამ თამამად შეიძლება განვაცხადოთ: დღევანდელი ხელისუფლების მოქმედების არეალი უსულგულოდ გაკრეჭილ ფარშავანგის ალი-კვალია. მისი იურისდიქციის ფარგლებიდან გასულია სამაჩაბლო, აფხაზეთის ტერიტორიის ნახევარი, სამეგრელო, აჭარა. რა დაგვრჩენია?! ქართლ-კახეთი, გურია-იმერეთი და დედათბილისი ვახტანგ გორგასლის სანადირო ადგილებითურთ.

პარლამენტისა და მთავრობის მეთაურის საუბარში ნელ-ნელა გამოჟონავს ხელახალი არჩევნების აუცილებლობა. ამ უკანასკნელს მრავალი პიროვნება ემხრობა, როგორც ყოფილი, ისე არსებული პლატფორმიდან, მაგრამ ვთქვათ და, რომელიმე მხარემ წააგო კენჭისყრის მერე, გვაქვს კი დამარცხებულთა დაშოშმინებისგარანტიები?! რომ მშვიდობიანად, თვინიერად იმოღვაწებენ მომავალ არჩევნებამდე?! ამიტომაც ძველებური დაჟინებით გავიძახი: სინთეზი, მეგობრებო!! შეუთავსებლის შეთავსება, ძმგბო!

საილუსტრაციოდ ერთ გენიალურ ფილმს შემოვიშველიებ — კრამერის ,,გადაჯაჭვულნს''.

გაგვახსენდება: საპყრობილედან გამოიქცევიან საზიარო ბორკილით შეკრული ზანგი და თეთრკანიანი პატიმარი. ისინი თითქოსდა მოიპოვებენ თავისუფლებას, მაგრამ მათდა სავალალოდ, კვლავაც დამონებულნი არიან ერთმანეთის ზიზღით და სიძულვილით. ათასი ფათერაკისა და განსაცდლის მერმე ფილმის გმირები ახერხებენ ავბედითი ჯაჭვის გაწყვეტას. მოსალოდნელია, რომ ისინი დამოუკიდებლად გააგრძელებენ ცხოვრებას, ბოლოს და ბოლოს დაშორდებიან მაინც ერთურთს.

თეთრკანიანი დაზღვეულია უზრუნველი ცხოვრებით — ქერის ორმოში ჩავარდნილა — ლამაზმანი ქვრივის გარდერობს ზედმიწევნით მორგებია, მაგრამ ხელაღებით უარყოფს ცის გახსნასავით მოვლენილ სიკეთეს — ვნებიან დიასახლისს და მისგან პოლიციაში დასმენილ, ანუ ჩაშვებულ ფერადკანიანს გამოეკიდება. ასე რომ, კრამერის გენიალურობის წყალობით, აქამდე ურთიერთგამომრიცხავი რასის ეს ორი წარმომადგენელი ხელიხელგადახვეული გაუყვება ზოგადსაკაცობრიო იდეალების მშვენიერ, მაგრამ მძიმე აღმართს. ახლა ისინი გადაჯაჭვულნი არიან კვლავაც, ოღონდ არა ასხმული რკინის რგოლებით, არამედ — ყოვლისმომცველი სიყვარულით.

რაც შეეხება ჩვენეულ ზაფრას, შედარებით დაბალი ხარისხისაა:

იაყარქმნილ სამშობლოს პატროფილური მისიით მოვლენილი მიამიტი კანონიერი

ხელისუფლება დაემხობა კოსმოპოლიტური, პროკომუნისტური, მრავალნაცადი ძალისგან და მათ შორის არსებული მარათონული წინააღმდეგობის მეოხებით საშვილიშვილო ტვირთი ადგილიდან ვერ აფრით დაგვიძრავს. ისინი ბაგირის ბოლოებს ჩაბღაუჭებული მძლეოსნებივით ცდილობენ ბედნიერი საქართველოს საკუთარი სახელის ნათელში შემოსრიალებას, ანუ აუჩემებიათ:

—საქართველოს თავისუფლება მაინცდა- მაინც ჩემს მიერაა მონეტასავით მოჭრილიო, — რაც აუხდენელი ოცნებაა. სანამ მეტოქეები ერთ მხარეს, ერთი დამიზნებით არ მიმართავენ ჭკუა-გონებას, წინდებულ ხაბაკებს გაჩოჩიალება არ უწერია.

ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება მაღალპროფესიული პერიოდული ორგანო, რომელიც გზას გაუხსნის ალტერნატიულ აზროვნებას: ერთსა და იმავე პრობლემაზე შეულამაზებლად აუნთებ სმწვანე შუქს ორივე შეხედულებას. სხვანაირად, ცალმხრივობით, ჭეშმარიტებას ვერასდროს დავადგენთ. დღემდე არსებული ნებისმიერი გაზეთი, კერძოა თუ ოფიციალური, პოპულარულია თუ ნაკლებადცნობილი, ხომ მოვლენის მხოლოდ ერთ მხარეს ასახავდა და ასახავს პარტიულობის არტახებით შებოჭილი?! ამდენად, ცალუღელაშვილია, ცალქალამანიძე.

ამასთან, აუცილებლად მიმაჩნია შუამავალი ინსტიტუტის შექმნა საპატიო ადამიანებისგან, რომელნიც ითავებენ და უზრუნველყოფენ დაპირისპირებულ ძალებს შორის კონსტრუქციული დიალოგის წარმართვას.

მთავარი შუაკაცი დასახელებულია — ბატონი ასლან აბაშიძე. იმედია, სანთელივით მართალ ათიოდე ლელთღუნიასაც მოვუყრით თავს როგორმე. ესეც რომ არა, დროა რეალობას თვალი გავუსწოროთ და საქართველო ყველაფერსა და ყველაზე მაღლა-თქო, დავსჭექოთ. აქედან გამომდინარე, მეტი პასუხისმგებლობით უნდა ვაჟღარუნებდეთ იარაღს. რანაირი სიმწრის ნაყოფს გვაგემებ სმისი ჩქამი, თვალსაჩინოებისთვის სამისდღემშიოდ კმარა!

მაშ, კიდევ ერთხელ, ჩემებურნო! მეტი ვიფიქროთ ერთიანი საქართველოსთვის, მეტი ვიფიქროთ გლობალური სინთეზისათვის, შეუთავსებლის შესათავსებლად! ურთიერთმიტევების ქრისტიანულ მორალს მივანდოთ ჩვენი ბორგნეული სულები და მერწმუნეთ, საყოველთაო ბედნიერებაც მხარზე იობივით დაგვაფრინდება!

უადრეფანი

ბოლო კვირის მოვლენებს შეუძლებელია სულის შეუკუმშველად მიადევნო თვალი, რომელშიც უფლის ხელი ურევია უეჭველად ჩვენს გაორებულ ცნობიერებაში სინთეზური აზროვნების სხივის გამოცრიატების თვალსაზრისით, მაგრამ ვიდრე კონკრეტულ ფაქტებს მოვიშველიებდე, ბარემ აქვე ვიტყვი: მაცხოვარი ოთხჯერ თუ ხუთგზის, მინიშნებით, ქარაგმულად აქამდეც დაგვიდასტურებს თანადგომას.

პირველად ეს ბატონი ედუარდის ჩამოსვლისთანავე გაცხადდება, როცა სამხედრო საბჭოზე პრეზიდენტ გამსახურდიას საქართველოში ჩამოყვანის საკითხს წამოჭრის, თუკი ეს ნაბიჯი ქვეყნის ინტერესებისთვის აუცილებელია... მართალია, აღნიშნულ წინადადებას ჟესტად, ნიადაგის მოსინჯვად აღიქვამს მოსახლეობა. კამერულ წრეებში კი ფრიად სუსხიანი ჟარგონითაც გაიკიცხება სახელმწიფოს მეთაურის განცხადება.

ზეციერის არანაკლები გამობრწყინებაა ბატონი ზვიადის დასტური შევარდნაძესთან დიალოგის შესაძლებლობის თაობაზე, თუკი ეს უკანასკნელი მოახერხებს პუტჩისტებისა და მაფიოზური ელემენტების ზეგავლენისგან გათავისუფლებას. ფხიზელ თვალს არ გამოეპარება დღევანდელი ხელისუფლების გეგმაზომიერი სვლა დასახელებული ვითარებისკენ. წელიწადზე მეტია მიმდინარეობს მთავრობის განუხრელი კათარზისი და სადღეისოდ მის რიგებში ამბოხების პირდაპირი მონაწილე თითქმის სანთლითაა საპოვნი. ამდენად, პრეზიდენტის წინაპირობა თითქოსდა განხორციელებულია.

მოძღვარი აღარც შემდგომ მიგვატოვებს: ცნობილი დაპირისპირების მიუხედავად, ,ლოთი ქობალიას ხალხი თავგამეტებით შეებრძოლება მომხდურს ტამიშთან, ზურგზე ზურგს მიაყრდნობს სისხლხორცს და ერთობლივი ძალით მტერს კუდით ქვა ვასროლინებთ! მართალია, ამ ფაქტს მეტი განზოგადება სჭირდებოდა, მაგრამ 16 სექტემბრის ამბების შემდეგ შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ საქართველოს ყოველი პოლიტიკური ძალა ფაქტობრივად გაერთიანებულია. ნებსით თუ უნებლიეთ გადალახულია წინააღმდეგობა, რომელიც ოთხი წელიწადია გვამხობს და გვაჩანაგებს. მიღწეულია ესოდენ სანატრელი კონსენსუსი. იარაღის ლოკალური ჟღარუნი ლანჩხუთში, ცხენისწყალთან, იმდენად უმნიშვნელოა მოპოვებულ შეთანხმებასთან შედარებით, რომ სათქმელადაც არ ღირს.

ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ბატონ ასლან აბაშიძესთან წამოწყებულ დიალოგს (რომლის აუცილებლობას ოთხი წელიწადია თავგადაკლული ქოთქოთებს გური ოტობაია), იმთავითვე შედეგი არ მოჰყოლია ზოგიერთი უმწიფარი მინისტრის წამხედურებით, მაგრამ მკვდარი წერტილიდან დაძრულ საქმეს შეუძლებელია მორიგი შეხვედრების მოთხოვნილება არ წარმოეშვა. მოკლედ, ზეციური თუ მიწიერი ძალების შემწეობით ჩვენ მისდაუნებურად შევსულვართ სინთეზის ფაზაში.

ყოველ კუთხეს ჯაგარი აუშლია აფხაზეთის გადასარჩენად.

ბანკირები და ბიზნესმენები შეუნანებლად გაიღებენ უკანასკნელ დოლარებს.

მანდილოსანთა ათასეული (გურანდა გაბუნიას მეთაურობით), ფეხშიშველა მიემგზავრება ფრონტის წინა ხაზისკენ.

კაპიტულაციას მოითხოვს შევარდნაძისგან საკუთარი ერის დამაქცევარი არძინბა და წბილდება თარაშ ემხვარის სიტყვებით: **ჩვენ იმ გვარისანი ვართ, რომელთაც უკან დახევა არა სჩვეოდათ.**

ამასობაში პრეზიდენტი გამსახურდიაც სამეგრელოშია ჩამოსული და მოსახლეობას აფხაზეთის დასაცავად მოუწოდებს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საქართველო მთელი კაცობრიობის წინაშე წარსდგება სამართლიანი ქვეყნის იერსახით. მერამდენედ გაშიშვლდება იმპერიის აგრესიული, ცბიერი პროფილი. აფხაზეთში თავმოყრილი მძიმე საომარი ტექნიკის დემონტაჟი ქართველების მხრივ და ათასობით ლტოლვილის მობრუნება იავარქმნილ ოჯახებში, სეპარატისტ აფხაზებსა და მის დამქაშებს სოხუმის ვერაგული მოხელეთების ილუზიას შეუქმნის, მაგრამ ქართველი რომ ყველგან ქართველია, დაავიწყდებათ.

არა გვყავს ასობით ნუკრი ცისკაძე და გურამ აღნიაშვილი, თუმცა საქართველო მაინც დგას და იდგება, სანამ დედაწულიანად უშველებელ სტადიონზე შეგვყრიდნენ... ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი მეტად ნიშანდობლივი შტრიხი იკვეთება: ბუნებრივია, პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებს გულზე არ ეხატებათ დღევანდელი ხელისუფლება და მისი პოლიტიკა, მაგრამ ისიც აშკარაზე აშკარაა, რომ აღარც იმდენად გაუწირავთ, კბილებამდე შეიარაღებულ დუშმანს ხელში შეატოვონ ეულად, უთვისტომოდ. ძმა ძმისთვისო, ამაზე ითქმის. ერთი გობიდან გაზიარებულ ლუკმას კი რა ფასიცა აქვს, მომავალი დაგვანახებს.

მწერალ გურამ პეტრიაშვილს აქვს ჩინებული ზღაპარი-ნოველა, რომელშიც ლაკონურადაა მოთხრობილი გიგანტური შადრევნის გამართვის ხათაბალანი, და როცა წამოამხობენ კიდეც ამ გოლიათს და მის ვეება ძარღვებში ჩქერალებს მიუშვებენ, დასიცხული ქალაქი უწყლოდ დარჩება. სულ მეშინოდა მსგავსი რამ არ გადაგვხდენოდა თავისუფლების გზაზე შემდგართ, ვინაიდან დაპირისპირებულ მხარეებს შორის გაჩაღებულ კონფრონტაციას ლამის არის გადაჰყვეს საფიცარი დედულმამული, თუმცა დღეს საერთო მტრის წინააღმდეგ მერამდენე შეკავშირება თვისებრივად ახალ პერსპექტივას გადაუშლის ჩვენს მერმისს. ამას ზედ ერთვის ანაკლიაში, ბატონების: ასლან აბაშიძის, ოთარ ფაცაციას, ავთანდილ მარგიანის, ტარიელ გელანტიას, გურამ აბსანძისა და სხვათა, გაშლილ ზღვაზე ხელისმოწერით დადასტურებული შეთანხმება ერთობლივად მოქმედების თაობაზე, ასე რომ, უკიდურესად აფორიაქებულმა ლამის ვიბღავლო:

— ხალხნო, თავები მაღლა! გადარჩენილია ჩვენი სამშობლო, ჩვენი ლარდა, ჩვენი დობადონა და ოდაბადე! სიხარულ-სინანულის ბევრი ცრემლი იქნება, სიმწრისაც, მაგრამ სიტყვაკაზმული მწერლობის მსახურებს, წესით ჰუმანიზმისთვის თავგამოდებულ ხალხს, ენაწაგდებულს თუ ბაგედადუმებულს, ისევ სანგარში მხარიმხარს მიყრდნობილი დაპირისპირებული ძალა გვიჩვენებს თანადგომის გასაოცარ მაგალითს!

დიახ! იქნება, ბევრი რამე იქნება დუნიაზე! შესაძლოა მხოლოდ ჩვენ ვერ მოვესწროთ ნეტარების იმ წუთებს, მაგრამ გია აბესაძის გვემული სხეული ხომ დაგვადგება თავზე სამშობლოს შეწირულთა ამალით?! იქ მერაბ კოსტავას ახოვანი ლანდიც შეგვიმყუდროვებს მერმე თითოეულს — გაგრის სტადიონის ზვარაკებს, ღვიძლის ხელით მოცელილებს თუ გუშინწინდელ თავდადებულ ოცეულს ჭოველიძისას და მეიროხანად წოდებული ჩვენი საწუთრო დაემსგავსება ქვეყანას, სადაც უტყუარი მზებუდობა ისახება უეჭველად; სადაც ძველებურად წითლად ღუის ამირანის დაკორტნილი ღვიძლი; სადაც უშგულის კოშკები ზარბაზნის ლულებივით ყალყზე შემდგარან საქართველოსთვის დაყრუებული სამყაროს მისამართით, მაგრამ განთიადს მაინც თავისი გააქვს, მონდომებით არღვევს მამულის თვალსაწიერზე ასვეტებულ წკვარამებს, და საბედნიეროდ ყოველივე, ისევ და ისევ აღმოსავლეთითაა.

დრაკონის ნადიმის თვე!

27 სექტემბერი...

სისხლი მოჟონავს გატეხილი პურიდან.

აფროდიტეს სინორჩით ქათქათებენ ზღვის ტალღებიდან ჩვენი დების და ასულების ნაჯიჯგნი სხეულები! სამუდამოდ დაფხრეწს გრიგალი ოცნების აფრას და ხბოს კუნტრუშს, ილუზიას, ველური ყმუილი დაეუფლება.

ჰოი, წმინდა გულუბრყვილობავ! შერიგების, ჰარმონიის გჯეროდა გური ოტობაია, ბალღო! საყოველთაო სინთეზისთვის იღვწოდი და ეშმაკი ჭეშმარიტებისკენ სავალ გზებს მუხთლად აგიბურდავდა თურმე! ძმამ მერამდენედ უჩვენა ზურგი ბრძოლის ველზე დაკენტებულ ძმას. არადა, როგორ ელოდნენ დახმარებას?!

— აჰა, გადმოლახეს კოდორი!

— ეს-ეს არის მოვლენ!

— ცოტაც გაუძელით ბიჭებო, და გამარჯვება ჩვენიაო, — აშოშმინებდნენ მერამდენედ უთავო მეთაურები განწირულობას მიხვედრილ ლომგულ რიგითებს და მაინც პანიკა თავისას გაიტანს.

ყველა საკუთარი ოჯახის გადარჩენისთვის ჩალიჩობს, ყველა საკუთარ ტყავს წაეპოტინება, თავზარდაცემული გარბოის ნაალაფარით და უკვე აფხაზეთისთვის არავის სცხელა.

ვაი, სირცხვილო, საუკუნოვ! ხარხარებს ურჩხული, ჯეგე მისარონს კი ამირანის ჯაჭვი ადევს და არც მისი თეთრონი ჭიხვინებს სამზეოდან.

ფეიერვერკები აჩახჩახებს დაცემული ქალაქის ჩამოუკუნეთებულ ზეცას.

დედაწულიანად აყრილები მკერდში მჯიღის ცემითა და ქვითინით დასტოვებენ ჯვარცმულ სოხუმს და ლტოლვილების უშველებელი მასა გოლგოთის გზას შეუდგება სვანეთისკენ.

მოგვიანებით ამ ხალხს საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებს ზოგი. სამეგრელოს მისადგომებთან ჩასაფრებული მოპიკეტეები იარაღის ჩაბარებას მოსთხოვენ მეომრებს და აქ გენერლობა საკუთარი ქურქის გადასარჩენად მეგრელებისგან დაყაჩაღებით დააშინებს ისედაც თავგზააბნეულ მოსახლეობას. შორი სავალით შინ მშვიდობით მისვლას ურჩევს, თითქოს ეს ,,შინ'' სამეგრელოს არ ეხებოდეს, თითქოს ამ საეჭვო სამეგრელოში ასოცდაათი ათასი ლტოლვილი არ ბინადრობდეს სარდაფშუაცეცხლ-სხვენიანად.

არც ავსიტყვაობას დააკლებენ სადადიანოს აქამდეც ზომიერად ენაგესლიანი პიიტები. ხოლო შუბლისძარღვგაწყვეტილნი, ,,სამეგრელოს დედაქალაქისკენ'' მიასწავლიან ყველა მოღალატეს. ჰო და, დევნილი ადამიანების გოლიათი სხეულიც შეუყვება ძალად გამრუდებულ, ძალად გაჭიანურებულ გზა-სავალს სამშვიდობოსკენ, ასობით გათოშილი ჩვილის ფასად.

თავიდან აქლემის ტვირთით დაძრული ლტოლვილები ნელ-ნელა შეელევიან ტყვიასავით დამძიმებულ ნივთებს, დაამტვრევენ, ან ბენზინს გადაასხამენ და დაწვავენ. ასე განიავდება სახალხო დოვლათის ნაწილი. დანარჩენს — გალოკილი თითივით შთენილებს პირწმინდად წაჰგვრის ,,ლილეოს'' ტომის სახელით საგანგებოდ ჩამოხდომილი გარეწრობა და მაინც ბედნიერად ჩააგდებს მერამდენედ წაკვეთილ თავს! მიდი და ამის შემდეგ, ლერმონტოვის სიტყვებს ნუ ერწმუნები! ამათ ძმადნაფიცი ჯუმა ახუბა დამიხვრიტეს (სულიერად) იმათ — მეგობარი ჟიული შარტავა (ფიზიკურად), დრაკონს კი კვლავინდებურად შია და სწყურია აფხაზ-ქართველობა!

გიორგობისთვის პირველს დედაბუდიანად აიყრება სამურზაყანოს მოსახლეობაც. გალში პრეზიდენტის მიტინგებით დაშოშმინებული ხალხი ასოცი ასტრონომიული საათი საკუთარი ეზო-კარიდან ფეხს არ მოიცლის, მაგრამ შუაღამე ატყდება განგაში და პერანგისამარა ჯამაათი გავარდება ენგურისკენ.

პრეზიდენტის შეპირებანი, რომ აფხაზები სამურზაყანოში არ შემოვლენო, ყინულზე ამოქარგული აღმოჩნდება. ჩაესვენება ვარდისფერი სათვალის ხანა:

— ენგურამდეო, — დააყრანტალებს თვალებგადმოქაჩული კაზაკი, — იქ უნდა დავლიო თავანკარა ღვინოო — და გამსახურდია-შევარდნაძის ჯიბრზე გადმოალაჯებს ღალიძგას, აისრულებს საუკუნის საწადელს.

უპატრონოდ ჩარჩება მამაჩემის საფლავი ოტობაიაში. ვისაც ტრაქტორი ჰყავს სართულებად აჰკიდებს ადგილიდან ძვრადს. ურმისა და საზიდრის ჭალებზე თავდაღმა ჩამოაკონწიალებენ გადაბაწრულ, აკრიახებულ ქათმებს, აყაყანებულ ბატებს, აპლოპინებულ ინდაურებს. უბენზინო ავტომობილებს გა-

მოაბამენ იმ ტრაქტორებს, ან გამოაგორებენ ხელით და ძალადდაქვრივებული მამლების ყივილს შერჩება ძირძველი სამურზაყანო.

სისხლგამშრალი საზოგადოება დაუტევებს ფარღალალა ჭიშკრებს, აუღებელ სიმინდის ყანებს, მობუზულ ეზოებს. ვეღარ წაუკიდებენ ცეცხლს წლობით ნაჯაფარ, გამოგლოვილ სახლებს — ოდესმე უკან მობრუნების იმედი ბჟუტავდა და ბჟუტავს დღესაც. ზოგი ფეხს აითრევს, აფხაზი რას დამაკლებსო, დაიტრაბახებს; ვეღარ დაუჯერებია ადამიანისგან ესოდენი გულმხეცობა. ბევრი მათგანი დახვრეტილია უკვე და საერთაშორისო სამართლისთვის სამხილის მოსპობის მიზნით, დახანძრულია საკუთარ სარჩო-საბადებელთან ერთად, ან თვინიერად ახლაც აგროვებს ლიმონს, მანდარინს და კარალიოკს აფხაზთა ნალიებისათვის.

ცერზე დგას გასაქცევად ერთადერთი ბარის სოფელი აფხაზეთის ტერიტორიაზე — განმუხური, რომელსაც ნარდში მოუგებს დადიანი საუკუნის წინათ მურზაყან შარვაშიძეს და ზუგდიდს ეკუთვნის დღემდე, მაგრამ ძაღლის ძვლის კამათლების იგავს დაგიდევს რამედ აფხაზთა დაქირავებული ძაღლთავა რუს-ჩეჩენ-კაზაკობა და ჩემს სანაქებო ოტობაიას, ალბათ, სხვა სახელს მოაზომავენ პირსისხლიანი ნათლიმამებო, იმის იმედით, ჩემს ფსევდონიმშიღა ისულდგმულოს ჟამიერ.

მოკლედ, არძინბასგან გონებაარეული ლორიკ მარშანიას ერი ბელზებელს მიჰყიდის სულს, ზურგს შეაქცევს მორდუობის წმიდათა წმიდა საუნჯეს, ათიათასწილად გადაუხდიან „მეგრელებს“ საქართველოს ერთიანობისთვის მკერდში მჯიღის ცემას ღალიძგასთან, მაგრამ მშვიდობიანი ქართველობის მიმართ გაუგონარი სისასტიკის გამო რა სიკეთესაც მოიხვეჭს ხვალ-ზეგ, ნახავს მთელი მსოფლიო. განა შემთხვევით აკერია ახლა ყველას პირზე პარტიზანული ომი?! სეპარატისტი აფხაზები და მათი დამქაშების ხროვა სულ მალე იხილავენ თუ როგორია სასაკლაოს მოწყობა სტადიონებზე. აღდგომა და ხვალეო. მალე იმასაც შევიტყობთ, ალბათ, მშვიდად რაფერ დაიძინებენ ისინი ფუმფულა ბალიშებზე, როგორ მომკიან ყანას, ან რანაირი გულდინჯობით გამართავენ ქორწილს თუ ქელეხს!

მე, როგორც მოქალაქეს და მემატიანეს, აქამდეც არ გამძნელებია ამ არნახული ტრაგედიის მთავარი თუ მეორეხარისხოვანი „გმირების“ მხილება, მაგრამ ერთხელაც თავს მაღლა ვწევ ცოდვათა მიმტევებლის იერით და დინების წინააღმდეგ მიმავალი მეათასედ შევძახებ:

— ჰეი, თქვენ, მამულისათვის ზეზეურად დაფერფლილნო თუ ცეცხლის წამკიდებელნო ჭერხოთათვის და ნაცრისშემყრელნო თვალში! ჰეი, თქვენ, კურდღლებივით ოტებულნო თუ გასალკლდევებულნო ტყვიების წვიმაში! ჰეი, თქვენ, კრწანისელებო თუ ბაზალეთისანნო, ამირანისა და ნაცარქექიას მოდგმავ! ჰეი, თქვენ, ამერნო და იმერნო, ზედმეტად გულგრილნო თუ თავგამოდებულნო ერთდროულად, მაინც ფერი ფერისანნო და ხორცი ხორცისავ, ყველანი ა ჭარა-საკენ-მეთქი, ჩვენი ბედისწერისაკენ, ბატონ ასლან აბაშიძისკენ-მეთქი, შეწყვეტილი დიალოგის გასაახლებლად.

ვერაფერი ნუგეშია პრეზიდენტს დაფორაჯებული მუნდირი თუ ჩაუცვამს და **„დრანგ ნახ ტიფლისენო“** მოუწოდებს მრევლს. აკი, ბრძოლის მშვიდობიანი ფორმებით ვაპირებდით სკიპტრა-გვირგვინის დაბრუნებას?! მაოცებს პოლიტიკოსთა ფენომენი. რა იოლია მათთვის რუბიკონის გადალახვა, გორდიას ნასკვის გახსნა, ჰიროსიმასა და ნაგასაკის გადახაზვა, გადადგომა-გადმოდგომები, ქარს გატანებული სიტყვების გამოდევნება?!

თავის დროზე ჩვენ ნონსენსად მივიჩნიევთ მომხრეთა ძიებას ქალაქის უბნებისა და ქუჩების მიხედვით. ვირწმუნებთ, რომ პოლიტიკა მოზარდთა შორის ტყავის ბურთის ჩემპიონატი როდია, მაგრამ არანაკლები ცდომილებაა უთუოდ საქართველოს ხსნა-გადარჩენად თბილისის გამოცხადება, თუმცა ჯანდაბას ყოველივე! მთავარია ხელს ნუ ვკრავთ კონფრონტაციის პოლიტიკური გზით მოგვარების შესაძლებლობას; ნუ მოვნათლავთ ამ ღონისძიებას მოწინააღმდეგის წისქვილზე წყლის დასხმად.

სამაჩაბლოსა და აფხაზეთის უთანასწორო ბრძოლებს ღვთის განგებით გადარჩენილ ჩვენს საჯიშე ბიჭებს ნუ დავაყენებთ პირისპირ. ღირსებით შემკულმა ადამიანმა საკუთარ ძალაუფლებას არ უნდა უმსხვერპლოს ერის მომავალი! აკრძალული ილეთებით ხელისუფლებაში მოკალათებას თუ მობრუნებას შეაჩვენებს ოდესმე სამშობლო! მანამდე კი ორი ჯიუტი ყოჩის იგავს დამსგავსებია ჩვენი მამულის ბედ-ილბალი: ისედაც ფრთაშეჭრილი, ახლა მთლად შუაზე გახლეჩის რეალობის წინაშე დგას. გონს თუ არ მოვეგებით, დასავლეთ საქართველო მოსწყდება მის ორგანულ ნაწილს — აღმოსავლეთს და უნდობლობა-სიძულვილის ზვავი ჩამოწვება რიკოთზე წლობით, ვიდრე ახალ გმირს წარმოშობდეს ყელში ლუკმაგაჩხერილი საქართველოს წიაღი, დავით აღმაშენებლის მაგვარს, რომლის მსგავსი ამჟამად სკოლის მერხს უცილობლად გამომცდარა.. ამიტომაც დღეს გამოჩნდება ცხადლივ ქვეყნის მერმისი გულთან ახლოს ვისაც მიუტანია — კავკასიური პოლიგონის წრეში შეგდებულ თვისტომს რომელი არ გაიმეტებს, არათუ შუაზე გასაგლეჯად, არამედ — გასაჟუჟად საერთოდ.

შეჩერდით! დაე, პატროფილურმა გრძნობამ გადასძალოს პატივმოყვარეობა ჩვენი!

შეჩერდით! წინ რუბიკონია — ერის ყოფნა-არყოფნის ზღვარი და მისი გადალახვა არავის ეპატიება, არც პრეზიდენტს ინტერნაციონალური ლაშქრითურთ და აღარც სახელმწიფოს მეთაურს — ადგილობრივ ურდოებიანად.

შეჩერდით-მეთქი, სანამ კიდევ შეიძლება საქართველოს შველა! აჭარისაკენ, ასლან აბაშიძისაკენ იბრუნეთ ყველამ პირი! იქ უთვალავი მაგიდაა, მრგვალიც, მართკუთხაც. კეთილი ინებეთ, ამოირჩიეთ, მიუსხედით და თქვენი აწეწილი საქმეები თქვენვე მოაგვარეთ! დანარჩენს კი, გატოლვილებულ და გაღლეტილ მასას, გვაცალეთ ლუკმის ლოღნაში მარაზმით სიკვდილი!

სინთეზი, გლობალური სინთეზი! ფილაინქაინთ — მრავალერ- თიანობა! კენტავრასტიკა — შეუთავსებლის შეთავსება! აი, ჩვენი ერთადერთი ხსნა-მეთქი, ვკიოდი და ვკივი კვლავაც ხმის ჩახლეჩვამდე, კარზემომდგარი საერთო განსაცდელით ჯიგარშეტრიალებული.

სინთეზი-მეთქი, არადა, ახია აკაკის გაასკაცებული სიტყვები დამსახუ რე ბულად აგვეტვირთოს საუკუნო სასჯელად!

სახელდახელო პასუხი გაზეთ „ფენომენის“ ერთადერთ კითხვაზე

ამა უსტარს დიდხანს ვაწანწალებ რედაქციების კარდაკარ, მაგრამ დღის სინათლეს ვეღარაფრით ვაღირსებ. ჩანს, ჩემი შეგონება პილპილმოყრილი მადლია, როგორც მრგვალებისათვის, ისე — იმელელთათვის.

ამას წინათ ,,ფენომენის'' რედაქტორი (გიგლა გობეჩია) მთხოვს ოპერატიულად ვუპასუხო ანკეტის ერთადერთ კითხვას: **„ეოსალოდნელია თუ არა საქართველოში სამოქალაქო ომი?!“** დავალება დროულად შევუსრულებ მეგობარს, მაგრამ მოვლენები აქაც დამასწრებს და სავალალოდ კვლავაც — ჩემი პროგნოზების საწინააღმდეგოდ:

სამოქალაქო ომს ყველგან, ყოველ დროში — საფრანგეთშიც, ამერიკაშიც, რუსეთშიც ძირითადად ერთი მიზეზი აჩაღებდა — სოცილური უთანასწორობა. აბა, ეთნიკური გონებაშეზღუდულობას ჩვენ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისათვის დავძლიევთ. ფეოდალიზმის პარტიკულარული ხანა ერთხელ და სამუდამოდ ჩაესვენება თითქოს. ამიტომაც ვიწოდებით დღეს ქართველ ერად და არა კუთხეების: ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელო-სვანეთის... მათემატიკურ ჯამად. რაც შეეხება სოციალურ საფუძველს, მართალია, დღევანდელ საქართველოში, როგორც არასდროს, გვიჭირს, შიმშილის წკიპზეა მიწყვეტილი მოსახლეობის ძირითადი ფენა; ნახევარი მილიონი ადამიანი ძალით მოშორებია მშობლიურ კერას, მაგრამ რადგანაც მათ გააჩნიათ საარსებო მინიმუმი, და ნერჩის — ფუძის ანგელოზის რედუქციის ბუნდოვანი პერსპექტივა, საქართველოში შინაგანი წინააღმდეგობა თუკი არსებობს — უწინარესად კლანსა და მასას შორის, ჭუჭყიან ბიზნესსა და უმწეო ჯამაგირს შორის, რაც სამოქალაქო ომის საფუძვლად ნაკლებად გამოდგება ოქტომბრის რევოლუციის საბედისწერო შედეგების გათვალისწინებით.

ჩვენში იუგოსლავიისაგან გამორჩევით არც რელიგიური ვენდეტაა ნოყიერნიადაგიანი. ქართველი თავისი ბუნებით აღმსარებელია, ყოველი სარწმუნოების შემწყნარებელი, რის დასტურადაც ძველი თბილისის ხელისგულისოდენა ტერიტორიაზე აზიდული მეჩეთი და სინაგოგა იკმარებს მართლმადიდებლური, სომხური თუ კათოლიკური ეკლესიების მეზობლობაში. მოკლედ, არესს აქაც მოცარვია ხელი.

ქართველი არც გამოკვეთილი ქრისტიანი ყოფილა ოდესმე. იგი წმინდა გიორგისა და იესოს შუა მერყეობდა გამუდმებით და აქედან გამომდინარე,, აღარც ათეისტური იდალებისათვის დამშვრალა მაინცდამაინც.

სამოქალაქო ომისათვის ჰუმუსს ვერც ცალსახად დასმული საკითხის — საქართველოს თავისუფლების სხვადასხვანაირი გადაწყვეტა — გაამართლებს ჩვენში. ,,ესენგეს'' არც ესენი მიაყრდნობდნენ თავს (გარეგნულადო, ამტკიცებენ ავი ენები. არ დასცალდათ თორემ უკიდურეს წამს თანახმა იყვნენ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზეო, გაიძახიან), და აღარც ისინი უტალახიანებენ კარს ჯერჯერობით, (პარლამენტის სპიკერის კაპიტულანტური კალიგრაფია, შესაძლოა ხვალისათვის უფრო სადაგი ბორკილის უვერტიურად მოგვევლინოს).

კერძო საკუთრებას, საბაზრო ურთიერთობას, შოკურ თერაპიას, რაც ბოლოს და ბოლოს ძალადობის დაკანონებაა, მრგვალმაგიდელებიც აღიარებდნენ და პროკომუნისტებიც.

უნიჭოები არც იმათ კლებიათ და ამათაც მოეძევებათ საკმარისზე მეტად. ქრთამს პრეფექტებიც იჯიბავდნენ სინდისის უქეჯნავად და მამა აბრამის ბატკნებად აღარც გამგებლები გამოგვადგებიან.

მაშ, სად არის უთანხმოება?! კარდინალური განსხვავება კავკასიური ოჯახის პრინციპსა და ევროპული სახლის აშენებას შორისაა საძებარი უცილობლად. პირველი (გნებავთ ფორმალურად) უარყოფს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, როცა მეორე (უკვე უცერემონიოდ) თანდათან მიჩოჩავს მისკენ.

დასასრულ, გენეტიკური კოდი — ვახუშტი ბატონიშვილისაგან კონგენიალურად შენიშნული ჩვენი კლასიკური გაორება და ყველაფერთან ერთად მარადუკურნელი სენი ქართლოსიანთა — ერთი ქარქაში და ორი ხმალი!

მაშ, როგორ უნდა დასთმოს კავკასიური ოჯახისა და ევროპული სახლის იდეამ წინააღმდეგობის კრამერისეული ბორკილი და რანაირად შეიკრას თანამშრომლობის სტენლისეული ხუნდებით?!

სმოკინგითა და ჩოხა-ახალუხით ერთდროულად ვერ შეიმოსები, მაგრამ დილემა-ალტერნატივას გაგებით თუ მივუდგებით, თითოეულს განესაზღვრება მოქმედების ადეკვატური დრო და სივრცე, ვინაიდან ზოგადკაცობრიულსა და ეროვნულს შორის ანტაგონიზმისათვის ადგილი უნაყოფოა, ოდეს ორივე ჭეშმარიტის გადასახედიდან მეტყველებს.

სინთეზური აზროვნება ეპოქალური აღმოჩენების ალმა მატერია — მაწოვარი დედა. ასეთ გრანდიოზულ გამონათებებს თითზე თუ ჩამოითვლის კაცობრიობა. ცივილიზაციები ევოლუციურად, მომქანცველი სპირალური თანდათანობით — ცოტა წინწაწევითა და ნაკლები უკანდახევით — აღწევენ ხოლმე სასურველ შედეგს.

წამახული ქვის შეკავშირება გაჩორკნილ ჯოხთან ფრენის უნარს მიანიჭებს ჰოროლს და ადამიანიც შუბივით გაიმართება წელში.

ადამიანი! ამაყად ჟღერს სიტყვა ესე, განსაკუთრებით მისი საგმირო და ალტრუისტული საქმეების წარმოსახვისას, მაგრამ საკმარისია კაენის ღრუბელი ჩამოწვეს საუბარში, რომ თავს უნებლიეთ ჩავქინდრავთ.

უკვდავი ჰიმნების სათავე ჰომეროსიც კი მილიარდი ბაქტერიით მორყეული ბერიკაცია, რომელიც ჩვეულებრივ სვამს და ჭამს, იქექავს სპეტაკ წვერს, მალიმალ მიაკითხავს ერთ ადგილს, სადაც ხელმწიფენიც საკუთარი ფეხით ვლიან.

დიახ, უფლისეულს და ცხოველურს აერთებს თავისთავში ადამიანი და უძლეველიც ამითაა.

არა კავკასიური ოჯახი ცალკე, ან ევროპული სახლი განკერძოებით, არამედ — ერთისა და მეორის გავლით მსოფლიო საცხოვრისისაკენ, ანუ ეროვნული თვითმყოფადობის მძლავრი მოთხოვნით ზოგადკაცობრიული იდეალებისაკენ, რის ნიმუშადაც გამოდგება მეოცე საუკუნის მონაპოვარი იაპონია.

ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდესო, ბრძანებენ ლათინები და ყველაზე სწორი ნაბიჯი, იქნებ კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა ჩვენში, პატივაყრილი სამართლიანობის საზეიმოდ, მაგრამ დღევანდელი მმართველობა უსაფუძვლოდ როდი შიშობს მოპირდაპირე ძალის რევანშიზმს, რომ ამბოხების ბევრ მონაწილეს და თანამზრახველს თავებს გადაბალთავენ.

აქვე დასავლეთ საქართველოში, ანუ ცხენისწყალს გაღმა, როგორი ეპითეტითაც მიმართავს სამეგრელოს ზოგი ბელეტრისტ-პარლამენტარი, პრეზიდენტის მომხრეთა გააქტიურება, მრავალ ოპონენტს დასვამს საბრალდებო სკამზე დედაქალაქში, ჯერჯერობით გამოკვეთილ „ზვიადისტს“, მაგრამ ჩემამდე მოღწეული ხმების თანახმად, რეპრესიების მასშტაბი მომავალში პირდაპირპროპორციულად შეეფარდება პრეზიდენტის ერთგულთა საომარ ქმედებებს. მეტად შეჭირვებულობის ჟამს გამსახურდიას არესის მანტიით ჩამოსვლა საქართველოში ან საზოგადოება „თბილისელის“ წასისინებით ერთხელ არჩეული „დემოკრატიული“ კურსის გამძაფრება ქვეყნის მეთაურის მხრივ, უკიდურესად ძაბავს ისედაც აწეწილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და ხელაღებით გვაფიქრებინებს: სამოქალაქო ომის ალბათობა ორად-ორ პიროვნებამდე დაიყვანება. ჩვენ კი ყველაფრის გათვალისწინებით, ვასაბუთებდით და ვადასტურებთ კვლავაც, რომ კონფრონტაციის შემდგომი ესკალაცია უაზრობაა, რასაც სამაჩაბლო-აფხაზეთის ომში წვნეული ფიასკოც დაგვიმტკიცებს. ესეც რომ არა, მამა-პაპათა საფლავების მიმტაცებლებს ხომ უნდა გავცეთ საკადრისი პასუხი ოდესმე, თუ ის ტერიტორიები ჩვენი სავარძლების ურყეობის ზვარაკია აწ და მარადის?!

ხსნა ყველგან არის. ასეთ ხსნად გლობალური სინთეზი წარმომესახება — შეუთავსებლის

შეთავსება! ზემოთ ხსენებულ ძალებს ცალ-ცალკე ქვეყნის მართვა უჭირდათ და გაუჭირდებათ მომავალშიც, რადგანაც ერთის აღმა ხნულს, დაღმა ფარცხავს მეორე. ამ ეტაპზე ჩვენ გვჭირდება კოალიციური მთავრობა, რომელშიც გაერთიანებული დაპირისპირებული მხარეები ერთდროულად ანგარიშვალდებულნი იქნებიან სახელმწიფოს ბედ-იღბალზე. არადა, ფეთქდება ხიდი, რკინიგზა, დამნაშავე კი ვერ მოგვიხელთებია. ხან ყოფილ ხელისუფლებას ბრალდება დივერსია, ხანაც — დღევანდელს. ამასობაში კი ქვეყანა დაიქცა. ჩვენ, დიახაც, გვჭირდება მმართველობის ისეთი მექანიზმი, რომელიც თანაბრად პასუხისმგებელს გაგვხდის ერის წინაშე ხიდზეც, რკინიგზაზეც და ბევრ სხვა რამეზეც.

დუალისტობა დღეს ,,სკრიტი ზვიადისტის'' სახელითაა მონათლული, მაგრამ რადგანაც სხვა გამოსავალიც მომსპარა, მიმაჩნია: **ყოფილი მთავრობის სანგვინიკურ პათოსს ორგანულად უნდა შეერწყას ახლანდელი ხელისუფლების მემკვიდრეობით შეძენილი წინდახედულება, გნებავთ ცბიერი გეზი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საქმიანობაში** და კიდევ ერთიც: დაპირისპირებულ მხარეთა შორის ასლან აბაშიძესთან წამოწყებულმა საუბრებმა, შეუძლებელია არ წარმოშვას მორიგი შეხვედრის აუცილბლობა.

დღეს ღამე უთენებიაო, გვინუგეშებია თავი ასკეცი წყდიადით გარემოსილებს — გესერელებს8 და ქვითკირად ვქცეულვართ ჭირსა შიგან, და რადგანაც ჯერ არ დამდგარა ხმლების ქარქაშში ჩაგების დრო, ჯერ ორივე მკლავით ბრძოლა გვმართებს თავგასული დუშმანის წინააღმდეგ — სახვალიო ორომტრიალი გვანახებს რომელია უფრო ბასრი და ვადასანდო.

დასასრულ, მაინცდამაინც თუ ის ერთადერთ ქარქაშს ამოიჩემებს რომელიმე, ცოტაა განა ხალიჩები მამაპაპური აბჯრის გამოსაჩენად?!

გიორგი ალევამოსილი

გაივლიან წლები, ჩაიხრიგინებს ეს ჟანგიანი შემადგენლობა, ჩვენეული ყოველდღიურობა რომ ჰქვია სახელად; ყოველდღიურობა, რომელიც თავს ,,გამოიჩენს'' ძმათამკვლელ ომში. მშვიდობიან მოსახლეობას ტროტუარებზე ჩამოსხამს მრავლად თვალებზე მანდილჩამოფარებულს თუ ქუდჩამოფხატულს, გათოშილი ხელებით.

ეჰ, ჩაიხრიგინებს გაპრიალებული ბორბლებითა და მთელი ალიანჩალიანით. მერე მოვა ყველაფრის წამლეკავი ნიაღვარი, ვინემ ახლა დაუსაკუთრებია. ბევრი ღმერთის ხელმარჯვნივ დაივანებს სიდინჯით და უამრავიც — ხელმარცხნივ ქერქეტობით; უმეტესობა მთლად ჰადესის შუალა ფენებში თავდაყირა ჩაეყუდება ,მაგრამ საქართველო დარჩება ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, კავკასიონის უღელტეხილიდან სამხრეთით ლომისფერ ორწოხებამდე, იმის მიღმაც, მრავალს უსამართლოდ რომ მიუტაცია გუშინწინისწინ თუ გუშინ; ავგიას თავლებად გადაუქცევია სისხლით გაჯერებული ჩვენი ეკლესია-მონასტრები, თუმცა საქართველო იმზეგ- რძელებს, როგორც სრულიად ოდაბადეს სიმბოლო, მაკეტი, მიკრომოდელი — სუფევის თავიდათავი რომაა დასაბამიდან.

საქართველო იმარადისებს, როგორც ჰუმანიზმის ტაძარი, სადაც სამშობლოსათვის თავ დადებულ კანონიერების ერთგულ ვაჟკაცებს ბანდიტებს ეძახიან დღეს მავანნი, თუმცა ხვალ-ზეგ სხივმოსილ რაინდებად წარმოსდგება ისინი მერმისის წინაშე, ვითარცა ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი მოყმენი; სამაგიეროდ ალიხანოვ-ავარსკისა და ომერ-ფაშას ლაშქრობათა რიგს წარემატება მავანთა მძვინვარებანი სამეგრელოში, მეგრელების, ამ ნამდვილქართველების კარდაკარ. სანაცვლოდ აღარც ლევილისა და კრემლის ქავისკარს გაახარებს ქეთელაურისებურად მკლავი ვინმე ზეზეურად ჯვარცმულისა. მისი სული, გული და გონება კავკასიის ცივილიზაციაში მკვიდრობს, იწვის, იხარშება და აღარასდროს გარდაიქცევა უსამართლო გარესკნელში, გაჭირვებულთათვის ძალისძალად დაყრუებულ და დაბრმავებულ სამყაროში, ცივილიზებულ მსოფლიოდ რომ შეგვირაცხავს რატომღაც.

და რადგანაც მკითხველს უშეღავათო მართლმსაჯულებას შევპირებივარ ერთხელ, აწი პოზიციას ვერაფერი დამათმობინებს, თუნდაც რომ ძელზე გამსვან. და რადგანაც აქა-იქ მერყევ, რაგინდარა გულადი ფეტელავას, საუკუნოდ თრგუნავს უზენაესი გური ოტობაია, იზეიმე სიტყვავ, მართალო!

ქვემოდანაა ეს, ზემოდან თუ გვერდებიდან, დაემხობა საბჭოეთი. წმინდა გიორგი უმარჯვებს შუბს შხამისმფრქვეველ ურჩხულს, თუმცა სავალალოდ — სასიკვდილოდ ვერა! გველეშაპი გაიკლაკნება, დაიგრაგნება, მოიქნევს კუდს და მირეჯგვ-მორეჯგვავს ყარაბაღს, სამაჩაბლოს, აფხაზეთს, ეთნოკონფლიქტებით დანაღმულ შუა აზიას.

იმპერია შფოთავს, იმპერია ბობოქრობს. ხავერდოვან ზღვისპირეთში ნანებივრები თეძოები გაეთოშებათ გენერლის ცოლებს. გენერლის ბაბაიაგები აღვირს დაუმოკლებენ თავიანთ იაბომარჩენალებს და აბობოქრდება მრავალთავიანი დრაკონი — ჰომო სოვიეტიკუსი. ურჩხულის ევროპიდან უკანდახევა, შეკუმშვა მისი, ,უფრო საშინელსა და სასოწარმკვეთ ახალ ნახტომს მოასწავებს, ან მსოფლიო, (რომელსაც ტონს აძლევს ამერიკა), შეეგუოს უნდა ამ ველური ძალის თავნებობას დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილში, ხოლო ხუთი მეექვსედი — დანარჩენი ქვეყნიერება ხომ თავად გახლავთ ძალადობისა და ცრუ დემოკრატიის ბაირახტარი — ყვითელი ეშმაკის მონაა და მისი იდეალები პატიოსანი ადამიანისათვის შაქარმოყრილ გესლს მისმგავსებია.

მოკლედ, თავისუფლების მაძიებელი საქართველოსნაირი ასობით ერის თვალწინ პლანეტა დანაწილდება რაღაც გლობალური გარიგებით. პროსაბჭოური შეკუმშული იქედნე კი დემოკრატიის სმოკინგს მხრებზე მოისადაგებს, ბაფთასაც გაშანსავს რომელიმე გარდერობიდან, შლაპასაც მოირგებს ქეციან კინკრიხოზე და სპილოს ძვლის ხელჯოხის ბაკაბუკით დაუყვება მისმიერვე სისხლით მოლიპულ ტროტუარებს.

მებადება კითხვა — კი, მაგრამ იმ წარღვნის, იმ საყოველთაო განაცარტუტების ჟამს, ყურძნის დამწურავი და ღვინის წრუპვისაგან უპეებშეშუპებული ნოე, ინებებდა ვითომ მტრედის მაგივრად ყორნის მოტანილ ზეთისხილის რტოს?! ან ეს უკვდავი ტოტი გამოგვადგებოდა კი საუკუნო მშვიდობის სიმბოლოდ?! მეფისტოფელის მოხვეჭილი სიკეთე ნაღველჩაწურული შარბათია უეჭველი! დიახ, ქვიშით გახეხილი ყორნების მშვიდობას ვიმკით დღეს ჩვენ! შევიწროვდება სატანის ქმედების არე, მაგრამ გაძლიერდება მისი გესლი და სამსალა შედარებით შეზღუდულ სამკვიდრობელში.

სასაცილოა, როცა ვინმე გრაჩოვის ნაბახუსევზე დახეთქებული ფრაზები გვიკვირს: **ოსეთშიც, აფხაზეთშიც და აჭარაშიც რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებიაო!**

ევროპის განთავისუფლებით, ბერლინის კედლის დანგრევით, ვაგლახ, რომ ჩვენი ბორკილები გაგვიჯანსაღებია. რომელ ,,კავკასიურ ოჯახსა'' ან ,,ევროპულ სახლზე'' საუბარია, როდესაც დღისით, მზისით, ფურივით მეწველ მსოფლიოს, ზეზეურად დაიტაცებს ექვსასამდე მილიარ- დერის უძღები მადა?!

აქ საქართველოსნაირთა კვნესა ოკეანეს მეხთატეხაში ნიჟარის წკმუტუნის ტოლფასია მარტოოდენ, რომელიც სილიან ნაპირზე გამოურიყავს დიდ ღელვებს და ქვიშით ამოვსებია მიუსაფარი სული. დიახ, ამაზრზენია სურათი ესე, მაგრამ ევროპის ქვეყნებიდან რუსული ბრჭყალების გამორიდებით ამგვარი რეალობა გვეყისმათება ყველას. ეს ეკლები მკვიდრად ბუდობენ ჩვენს სულებში კვლავაც. განტევების ვაცად მონათლულ გოგუაძის კაბალურ ხელშეკრულებას რუსეთთან სოჭში, ფაქტობრივად კი ნებაყოფლობითი დამონების პრელუდიას, ცხადია, კაპიტულაციის გამოცხადება სჯობს, რათა შთამომავლობას სამერმისოდ მაინც დარჩეს პოლიტიკური ბრძოლის სამართლებრივი ბერკე- ტები, თუმცა გიორგი ძლევამოსილად გარდაქმნილი ერთპიროვნულად გარდაწყვეტს ქარ- თლის ბედის და ეჭვგარეშეა, მომავალშიც უთვალავჯერ მოვიმკით ჩრდილოეთიდან ამოსული მზეების სილბოს და არაერთი თაობა გაალმასდება მათ გაცამტვერებამდე.

შესაძლოა პრეზიდენტი გამსახურდია მოუქნელად, დონკიხოტურად ებრძვის ამ ურჩხულს რუსეთუმეთა განსხვავებით და ძალთა შორის კოლოსალური სხვაობის გამო, ჩანასახშივე განწირულია კავკასიური რასისთვის თავდადება ესე, მაგრამ არათუ დასაფასებელი, სათაყვანებელიცაა ეს უთანასწორო მარათონული ჭიდილი, ხიდად რომ გამოადგება შთამომავლობას, თუმცა როდესაც საქართველოს სადღეისო ვითარებას ვუკვირდები, გული მიკვდება პირდაპირ, რამეთუ ქართლოსიანთა ბუნებაში მიჩქმალული მანკიერებანი იმზომამდეა ამოტივტივებული, შეუძლებელია საკუთარი თავიც კი არ ჩაწიხლო დაუნდობლად!

მიდიხარ ქუჩაში და ხაკისფერი მუნდირის ზეიმია ირგვლივ: ურჩხულისფერი დაპატრონებია ყველას და ყველაფერს. დრაკონისფერი სამოსლით თავმომწონეობენ ბიჭბუჭები და მოტეხილ ფრთასავით მიათრევენ ავტომატებს. ჯიბეები... ჯიბეები ყოველ მტკაველზე, ყოველ გოჯზე, იღლიასა თუ ხვანჯართან. ჯიბეების ჯგრო, ჯიბეების ჯოგი მშობელი ხალხისთვის წართმეულის მოსაყუჩებლად.

წვერს იგრძელებენ ღვთის მსახურსავით, მკერდზე ჯვრები უელავთ, და ბიწიერების მორევში ყურყუმელაობენ. ბაზარში შეივლიან და უბოდიშოდ ააწაპნიან გლეხკაცს ჩურჩხელა-მანდარინს, ბურვაკის ბარკალს თუ მსუქან დედალს. თანაც **დედისერთანი ვართო**, აუჩემებიათ.

— ჩვენ დედისერთანი რომ ვიბრძოდით, სად მალავდით თქვენს ხუთ-ექვს შვილსო, — იდორბლებიან. მათ არ ანაღვლებთ ვის აღმოსაფხვრელადაა წამოწყებული ეს ომი. აქვე საზოგადოების არანაკლებ მფლეფელ გადამყიდველებს, ხან შამპანურის ბოთლს ააცინცლავენ და ხანაც — კონი-

აკს თუ იმპორტულ სიგარეტს. აქა-იქ ორმოცჯერ გაიაფებული კუპონის დასტას წაგლეჯენ ხელიდან სოკოსავით მომრავლებულ მიკირტუმ-გასპარიჩებსა და ეროვნულ რასტინიაკებს. მოდიან ჯგუფ-ჯგუფად, რადგან სიმრავლე, უსაფრთხოების გარანტიაა. ალკოჰოლისგან თუ ნარკოტიკებისაგან არეული სახე წაუგრძელდებათ პროტესტის ჟამს. კისრის ძარღვები დაებერებათ. მზად არიან ყელში გეტაკონ და ტოტიასავით წამში მოგაშთონ.

ჭეშმარიტი გვარდიელები კი, ტყვიების წვიმას უყოყმანოდ რომ ეგებებოდნენ მეხამრიდად, საკუთარ თავთან განმარტოებულები, ფიქრობენ, ფიქრობენ... მოუსვენარია მათი ლოგინი. ეკლიანია მათი ძილი, მაგრამ ადრე თუ გვიან ისინი უთუოდ მოუძებნიან სწორ პასუხს ცხოვრებისგან მიერ მოზღვავებულ კითხვებს.

ხელისუფლება, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერ კიდევ როდის, პრეზიდენტის დამხობის აქტიურ თუ პასიურ მონაწილეს, წკიპურტებით ჩამოყრის სავარძლებიდან. დღეს ისინი ზვიადსა და შევარდნაძეს შუა ღამურებივით ჩამოკონწიალებულან საქართველოს დამდაბლებულ ცაზე და შარშანწინდელი თოვლივით დავიწყებას მიეცემიან მალედვე.

საგანგებო ვითარების მოტივაციით (ზვიადიზმის ამოშანთვის საბაბით), ორი თვით დაუმოკლდება სადავე პარლამენტს, (თუ საერთოდ არ დაითხოვეს მომავალ არჩევნებამდე). ბედი სწყალობთ ნახევარყბით მოლაყბე ექსფუნქციონრებს — თავის წამოყოფას რომ გაბედავენ ამას წინათ და ცხრა აპრილთან დაკავშირებით სენსაციურ მონოლოგს შეჰპირდებიან ტელევიზორს მიჯაჭვულ ხალხს: ბოლოს და ბოლოს იტყვიან, თუ ტრაგედიის წინადღეს იმ დასაწვავ თვითმფრინავში ვინ იჯდა; იტყვიან რა ფერის კოსტუმი ეცვა, როგორი ვარცხნილობა ჰქონდა, და ა.შ. მაგრამ ბიბლიური ამბორი იგვიანებს.

სულ ერთი შტრიხიც საკმარისია, ბედნიერო, თუმცა სული ჯოჯოხეთია, შიში — უკიდეგანო, განსაკუთრებით ისეთი კაცისათვის, ვინც უმიზანოა, ვისაც ცეცხლგამძლე ერთი სტრიქონი არ შეუქმნია!

ეშმაკს მამულზე უკეთესი ულუფა არ მოუგონია! მიდით, მიაძეხით მშობელი დედის გულმკერდს! მიდით, მიაძეხით დამზრდელ ძუძუებს, დაისისხლიანეთ ვამპირული ლაშები!

დიდება შენს გამძლეობას, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრო საქართველოვ! დიდება შენს გამძლეობას, ღვიძლდაკორტნილი ამირანის შთამომავალო ქართველობავ! დიდება შენს გამძლეობას, სიცოცხლემისჯილო მამულო!

ო, რარიგ ნეტარია, როცა ადრინდელი გაორებანი გამქრალა; როცა მოკვდავი გულადი ფეტელავა უნაპირო გური ოტობაიას მოუშთვია; როცა ნათელსა და ბნელს შორის ყოყმანი დაჯაბნილა; როცა პირველი ნაბიჯი გადადგმულია სხივმოსილებისაკენ და უკუნეთს უკუნეთი შერქმევია, ბოროტს — ბოროტი, რათა დამნაშავემ საკადრისად ზღას ვერაგობის წილ; როცა გოლგოთის მოახლოება შვებისმომგვრელი სიოა დამაშვრალი კიდურებისათვის; როცა იახსარ-კოპალასავით მზად ხარ სისხლის ტბაში გადაეშვა უჯიშო დევების გასაჟლეტად; როცა განცდა პუბლიცისტიკის ჩარჩოებში ვერ ეტევა და ახალ სივრცეებს გთხოვს საასპარეზოდ; როცა ყველაფერი სასწორზეა შეგდებული და მაინც ხარობ, მაინც მზევდები, რადგანაც დაბეჯითებით იცი — მართალი კაცი ქვაზე მაგარია!

ცოტნე და დაჩოქილი?!

ხობის რაიონის მისადგომებთან იკარუსების რიგია გაჭიმული.

მგზავრები ძირს ჩამოშლილან, ყაყანებენ.

მიმოდიან შეიარაღებული პირები. ზოგი სამხედრო მუნდირით შემოსილა, ზოგი — სამოქალაქო ტანსაცმლით, მაგრამ ორივე კბილებამდე აღჭურვილა და ასევე არანაკლებ მომზადებული მოპიკეტენი დაიარებიან გაღმა-გამოღმა. ჰაერში ნესტისა და დენთის სუნი ტრიალებს.

— გერგაიას ხალხი არ გვიშვებს, — ხელს იქნევს სარფას გამოდევნებული მძღოლი. უდიერად იგინება კოლეგებში გაღმელების მიმართულებით. დარწმუნებული ვარ მასაც და მისი პროფესიის ხალხსაც გერგაიას მომხრეთა პრეტენზიები ზუგდიდლებისადმი არაფერში ეპიტნავება. ფეხებზე ჰკიდიათ მათ გერგაიაც, შურღაიაცა და ქობალიაც. მგზავრობის ფული ,,ბაგაჟიანად'' აუკრეფიათ სისხამიდანვე და სული ძვრებათ, თვალსა და ხელს შუა დასაბრუნებელი რომ უხდებათ გასაღებული ბილეთების ღირებულება.

წვიმს ირიბად. ზღვაური უბერავს. მოზარდები გზისპირზე გადაუჯენებიათ დედებს. კაცები აბოლებენ. თვალებში იზმორება უნუგეშობა, უმწეობა, გაუბედავი მღელვარება და ამბოხი ყველას თუ ყველაფრის მიმართ.

დრო უსაშველოდ იწელება და ისედაც აღრენილს ერთი სული მაქვს აქაურობას როგორმე გავე-

ცალო.

უშედეგოდ ბრუნდება მოსალაპარაკებლად წასული მეორე დელეგაციაც.

გალელები გუდა-ნაბადს აიკრავენ ზუგდიდისაკენ. ალბათ, წალენჯიხით შეეცდებიან ხობის გარშემოვლას, მაგრამ ხიბულის სასოფლო ხიდიც რომ აფეთქებულია, არა უწყიან.

სამეგრელოში ჩამოღწევაცა და გამოღწევაც ფრიად სერიოზული პრობლემაა.

შემთხვევით როდი შეადარებს კრიტიკოსი თამაზ წივწივაძე აქაურობას ბერმუდის სამკუთხედს: **ყველაფერი იკარგებაო,** გეღადავება და ვერც შეედავები. იკარგება საქონელი, მანქანები; ვაგონებიდან — სამამულო თუ სასომხეთის ტვირთი; იკარგება თავად ვაგონები ელმავალთან ერთად და ზოგან ლიანდაგებიც კი აორთქლებულა ყველასდა საოცრად. ცხენიპარია სამეგრელოსათვის მსგავსი ბრალდება უპრიანია. ამაოდ იკვნეტ ბაგეს, ამაოდ იბაგუნებ მკერდში მჯიღს. ენამწარობენ მარჯვნიდან და მარცხნიდან.

მწერალი ნაირა გელაშვილი მთლად უკომპრომისოა და ტელევიზორის ცისფერი ეკრანიდან ჯვარცმულ საქართველოს წარბის შეუხრელად შეაგონებს, რომ **ზვიადისტებმა სამეგრელო სამუდამო მოღალატედ გადააქციესო.**

ზუგდიდში უზენაესელების მთელი წყება დამხვდება. დაუმორჩილებლობის კომიტეტის პრესსამსახური სატელევიზიო არხით თავის სიმართლეს ჩასძახის წელებზე ფეხშედგმულ მოსახლეობას, რომ სწორედ სამეგრელო, სხვათა შორის ერთადერთი, ჩამოსწმინდს სრულიად საქართველოს სიმწრის ოფლს, როდესაც პრეზიდენტის უკანონო ჩამოგდებისადმი სამართლიანი გამოსარჩლებით ცოტნეს სულს აზეიმებს კვლავაც.

მე გავესაუბრები იმ ბიჭებს, კოლეგებს: გურამ პეტრიაშვილს თუ დავით სოკოლოვს. შევხვდები სხვათა და სხვათა.

— კი, მაგრამ რას მოგვიტანს ყოველივე? — დაზეპირებული კითხვით მივმართავ თითოეულს და დაზუთხული პასუხები მხვდება წარამარა:

— კი, მაგრამ ჩვენ დაგვინდეს? — ამისთანა გაორებული, აბურდული, უბედურების ერთმანეთისადმი გადამბრალები დროება სამეგრელოს, ალბათ, თავისი არსებობის მანძლზე არ ახსოვს.

იყო დიდთურქობა, იყო შვილების გაყიდვა ანაკლიასთან; ათასი ვაება, დადიანის მიხტომა გურიელის კარზედ და გურიელისა — იმერეთს გალაშქრება, თუმცა ამდაგვარი ორგანიზებული დანაშაულებანი ქვასაც გაალღობს საცოდაობით.

ზუგდიდში ორხელისუფლებიანობაა.

ოფიციალური მთავრობა უძლურია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოზღვავებული ეროვნული ძალების წინაშე, მაგრამ ხელშეუხებლობის პრინციპს განუხრელად იცავს ორივე მხარე და ცენტრიც, ცხადია, იძულებულია შეეგუოს, წაუყრუოს, დაუთმოს „დაუძინებელ მტერს".

აღრეულია ერთმანეთში დრო და კრიტერიუმები.

ერთნი იმპერიას ამხობენ;

მეორენი სწორედ ამ იმპერიასთან კავშირში ხედავენ ხსნას.

უზენაესელები ჯვაროსნულ ლაშქრობას უცხადებენ კომუნისტური იდეოლოგიას;

იმელელები, დიახაც, კომუნისტური ძალების რეანიმაციით იმტკიცებენ პოზიციებს.

საკუთარ თავზე ვწყრები. ერთი კოლეგის ფეხის ხმას ავყვები და კვირაზე მეტია ტლაპოში ვეთრევი. საქმე ის გახლავთ, რომ მეგობარი კალმოსანი დუელში გამოიწვევს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს ზუგდიდიდან. ამ უკანასკნელს უდიერად მოუხსენებია რომელიღაცა მიტინგზე ზემოთ დასახელებული პიროვნება და სეკუნდანტობას მთხოვს.

ნერვები მეწიწკნება. რომელი პუშკინი ეგა მყავს, ან რომელი გარიბალდი ის, და რაც მთავარია, ვისი ტიკი-ტომარა ვაგდივარ თვითონ?

გაუხსნელი კონვერტი უკან მომაქვს პატრონთან. ბარიერის ერთი მხარე ადგილზე არ დამხვდება „საგულდაგულო" მოძიების შემდეგ, და მეზეიმება რაღაცნაირად რომ ჩავშლი ღირსების შეულახველად ძმაკაცთა სიცოცხლის ხელყოფის საფრთხეს.

ჩახერგილ ხიდთან ქობალიას ბიჭები ამათვალიერ-ჩამათვალიერებენ. ერთ-ერთი მიცნობს.

— გაუშვი, მწერალია, ჩვენიანი, „გვიმარას" ავტორი, — მექომაგება და გაუჩხრეკავად გავივლი ხიდს მწვანე შუქზე, თუმცა რომელ მწვანე შუქზეა საუბარი, როცა ყოველ ნაბიჯზე ლუმპეა, ფაფასავით შესქელებული წუნწუხი, სწორედ ისეთი, როგორიც — ჩვენი ცხოვრება თავად.

„დუელი, დუელი, დუელი," ამეკვიატება გზადაგზა.

გაჭირვებული კაცის მეტი რომელი ჭკუათმყოფელი გამოჰყოფს დღეს თავს გარეთ? ყველა საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილა. არც მისდღემში გამოიხედავს, ოღონდაც არავინ შეაწუხოს, ოღონდაც არავინ მიუხტეს კარზე. ხმელ პურს იკმარებს, ცივი მჭადითაც გავა იოლას, უშუქობასაც აიტანს, უშეშობასაც, მთავარია სული შეინარჩუნოს.

„შური ტიბუ რე“* , ვფიქრობ ჩემთვის.

სწრაფად მივაბიჯებ ხიდის გარშემოვლით, რომელიც ორკილომეტრნახევრით მაინც აგრძელებს მანძილს. ან ზოზინისთვის მეცლება თბილისში მშიერი ოჯახის მომლოდინეს? გამალებით მივეშურები შარვლის ტოტებაკეცილი და დოჩანაშვილის შეგონების არც მეშინია. ფეხსაცმელს სადმე ღელისპირას გავრეცხავ და მოასფალტებულით ვივლი მერე.

მკლავებდაზიდულ მგზავრებს ზედიზედ გადავასწრებ. მსუბუქად მიმავალს შურიან მზერას გამაყოლებენ. ხიდს გამოღმა სენაკის ავტობუსები ბედავენ მოსვლას, ან უკიდურეს შემთხვევაში, სატვირთო მანქანას თუ ვერ დავემგზავრები, ორი საკუთარი ფეხი ხომ ზედვე მასხია, როგორც რუსები იტყვიან?!

ბებია-შვილიშვილს გავუთანასწორდები. ქალს ოთხი მოზრდილი ჩანთა აუტვირთავს. ჯერ ორს წაიღებს ოც-ოცდაათ ნაბიჯზე, ჩამოსვამს ზედ კიკინებიან შვილიშვილს. მერე მიბრუნდება და რის ვაივაგლახით დარჩენილ ორსაც მიათრევს ბადიშამდე. შევეფეთები მის საცოდაობას და გავქვავდები.

,,აი, ჩემი სამეგრელოს ნამდვილი სახე! — გამიელვებს გონებაში — ასეთი ძაძებიანია დღეს ჩემი კუთხე, ასეთი სიდუხჭირით ეჯაჯგურება თავის ჭაპანს და მშველელიც რომ არსაიდან ჩანს?‘‘

გავხედავ ნახშირივით ჩაჟამებულ გზას. კალიებივით დახტიან ზედ მოქალაქენი და მჯერა: საღამომდეც რომ ვაგლახობდეს დედაბერი ამ ჯოჯოხეთში, ტვირთს შემამსუბუქებელი ერთი ღვთისნიერიც არ გამოჩნდება ცისქვეშეთში.

უსიტყოდ ვწვდები შედარებით ზორბა ჩანთებს. დაბნეული ქალი ერთხანს შემეწინააღმდეგება, მაგრამ როცა თვალში თვალს გამისწორებს და ქომაგს ამოიკითხავს ჩემში, ნამტირალევი სახე იმედით აევსება. ოთხიოდე წლის გოგონა კაბის კალთაში ჩაეჭიდება და ასე მივიწევით ორმოცდაათნაბიჯიანი ხიდის გარშემოვლით, რომელიც უგუნურობას, უნდობლობას, თავკერძოებას თუ უზნეობას ჩაანგრევიაა ხელის ერთი მოსმით, ისე რომ, წარბიც არ შეუტოკებია ვინმეს: **არიქა, ბომბავალი თაობები როგორ იყლიან მერე უხიდო და უშუქო დუნიაზეო!**

— შენ გაიხარე, შვილო, შენ გაიხარე! — წარამარა მლოცავს არაქათგამოცლილი ქალი. მალიმალ მოიხედავს უკან, იქნებ რაიმე ტრანსპორტი გამოჩნდესო, მაგრამ ხობელები მედგრად დგანან და თავიანთ ტერიტორიაზე ბუზს არ აჭაჭანებენ.

ამასობაში გოგონას ფეხები მოსწყდება, ჩანთაზე წითელქუდასავით ჩამოსკუპებული მითვალთვალებს. ნირწამხდარი ქალი ხელებს იფშვნეტს.

ცოტაც მოითმინეო, აგულიანებს ბავშვს, შვილიშვილი კი აინუნშიაც არ აგდებს დიდედას სადარდელს. ამ ლუყუტია თემშარის ხელმეორედ გავლის თავი ნამდვილად არა მაქვს და გაოჩნებულ ბავშვს მხრებზე შევისვამ. ჩემს სანიშანე კოსტუმს მოხერხებულად შემოეწყობა ტალახიანი რეზინის ჩექმები.

— მაპატიე, შვილო! — სლუკუნით თვალს მარიდებს დედაბერი და გასაოცარი სიმარდით მოტუსტუსებს ჩემს ფეხდაფეხ. — ორჯერ გაგვჩხრიკეს გზაში. რომელი ბანდიტი მე მნახეს! შვილიშვილი მიმყავს მშობლებთან. ჩემი ქალიშვილი სენაკშია გათხოვილი. იქაური არეულობის გამო ჩემთან გამოხიზნეს თვენახევრის წინათ. ასე ზუგიდის უარესობა იცხირუ*— ამდაგვარად იტყვის, — გასაყარ სკასავით ისეთნაირად ზუზუნებს, ცუდს მიგრძნობს გული. ვაი თუ ადრინდელი უბედურებანი აღარ გვეკმაროს. დიდი და პატარა თოფიანი დაიჯგიმება. თოფიანს სასმელ-საჭმელი არ მოაკლდება, ჩვენ ვიკითხოთ თორემ. ღმერთმა დასწყევლოს ამისთანა ყოფნა! ამნაირ გაძაღლებულ ცხოვრებას სიკვდილი სჯობია. მე ხობელი ვარ, ნანაგე, ბუკია — გვარად. ზუგდიდში ვარ გათხოვილი. ჩემი შვილები რუსეთში გადაიკარგნენ და წელიწადნახევარია არაფერი მესმის მათგან. ზუგდიდლები საერთოდ მუხლში უყურებენ კაცს. სანამ ღონე მოსდგამს, იცოცხლე, ევლებიან თავზე, მაგრამ საკმარისია სადმე წაიბორძიკოს, რომ მყისვე შემოეცლებიან.

— რას ბრძანებთ, — ვიწყენ მე, — განა გამსახურდია წაბორძიკებულზე მეტი არ არის, მაგრამ არ უდგანან კვლავინდებურად მხარში?

— გამსახურდია სხვა ამბავია, ნანაგე, ის ჩვენი პრეზიდენტია, მე ჩვეულებრივ ხალხზე მოგახსენებთ. ზუგდიდელ კაცს ისე უჭირს დღეს, სატაშფანდუროდ არ სცალია. ყანა არ გათოხნილა წლეულს დარჩელში. ავტობუსებითა და ტრაქტორებით ვიარეთ მიტინგებზე, ღომი და ლობიო სანატრელი გაგვიხდება. შვილო, არაფერი დავაკელით ჩვენ ზვიადს, ერთგულებაც გამოვუცხადეთ, ერთსულოვნებაც, მაგრამ შიშველი ხელებით რა გვეღონა?! ჯარიც მას ებარა და იარაღიც. დასასჯელი დროზე რომ დაესაჯა, ამ დღეში არ ჩავცვივდებოდით ყველანი. მოკლედ, ვერ ივარგა, შვილო, ან უფრო სარწმუნო, ის ამბავია, რომ შეცდომაში შეჰყავდათ თავისიანებს. ახლა ძმა ძმის წინააღმდეგ იქაჩება, რაიონი რაიონს უპირისპირდება და კუთხე — კუთხეს. ისევ თავისიანებმა ჩამოაგდეს ტახტიდანო, იძახიან და დავიჯერო ახლა, აქედან, ზუგდიდიდან გალაშქრებით მოახერხებენ ძალაუფლების დაბრუნებას? ვერ გამიგია დანის საჭრელს ნაჯახის საჭრელად რისთვის გადავაქცევთ ხოლმე?! შევარდნაძე რუსეთის აგენტიაო, მიგვითითებენ. ამათ, შვილო, ცულის ერთი მოქნევით მოინდომეს ხის წაქცევა. ტყუილ-უბრალოდ

გადავიმტერეთ რუსეთი. ჩვენს ოჯახს რუსეთით უდგას სული. წაიღებენ ჩემი ბიჭები თხილს და გაკრიალებული მანქანით ჩამოვლენ. რუსის შიშით ამერიკას არ ძინავს რიგიანად და მაინცდამაინც ჩვენ უნდა ვიყოთ მისი დამამხობელი? ეგ საქმე ძალადობით არ იქნება. მოვა დრო და შეგვეშვება რუსეთი ოდესმე, მაგრამ მე რომ მკითხო, აგერ, ლამის ორი წელიწადია დამოუკიდებლად ვცხოვრობთ და სავსე ქვეყანა ნასახლარს დავამსგავსეთ. შეიძლება ლობიოს ქოთანში ჩახრაკვა რუსეთს დააბრალოთ?! ხობელი ხართ, ნანაგე?! — მეკითხება ერთიანად აქოშინებული.

— არა, გალელი, სამურზაყანოელი, ოტობაიიდან, — განვუმარტავ მე და მისი საცოდაობის შემსწრე ფეხს ვუნელებ.

— ოტობაია, ოტობაია, ენიანი ხალხია თქვენთან. ნათესავები მყავს იქიდან. გურია შონია გაგონილი გექნებათ.

— როგორ არა, მეგობარია ჩემი, — ვუდასტურებ მე.

— ჰოდა, ზოია მიხაილოვნა, და გურიასი, პატრონობს მოსკოვში ჩემს ბიჭებს. შენ გაიხარე, შვილო! — დაწვდება ჩანთებს მოხუცი, როცა სიარულს გავაგრძელებ, — გერგაია მოღალატეაო, გაიგონებ ჩვენში. კვერი თუ არ დაუკარი, მისიანი ხარო, გამოგაჭენებენ ხალხში და მერე უყარე კაკალი. ხომ ვჭირვეულობთ ახლა, ნემსის ყუნწში ვძვრებით, მაგრამ მისი მადლიერი ვარ მაინც. ხობელობით არ მომდის მარტო ეგ, არც იმით, ჟორჟ გერგაიას შორს რომ გავარდნია სახელი. ცხონებული. ამბობენ, ფეხში ესროლეს, მუშტები უქნიეს ცხვირწინ და გული გაუსკდაო! ჟორჟის შვილი და ორგული? კიდევ ეგ რომ არა, სენაკი და ზუგდიდი უფრო აბობოქრდებოდნენ. სიმრავლეს და ერთობას სჩვევია მკერდში მჯიღის ცემა. დაიძრებიან თბილისისაკენ და მთლად დაიღუპება საქართველო. სამეგრელოს ხომ მიწასთან გაასწორებენ უცილობლად. მერე და აფრიალე დროშასავით აჩემებული თავისუფლება, ჩვენ თუ გავწყდებით, ჩვენი ჯიში და ჯილაგი თუ გაცამტვერდება...

მივდივარ ჩემთვის, მკლავებდაზიდული, კისრის ძარღვები დაწყდომამდე მეძაგრება. ცუგრუმელას თავზე შემოუჭდობია ორივე ხელი და ხანდახან ჩექმებს მომიგლასუნებს კოსტუმის სახელოებზე. მივდივარ და ოდნავადაც არ მეეჭვება ოდესმე მართლაც თუ შევხვდები დედაბრის საუბრის პერსონაჟს, ან საერთოდ გამახსენდება კი ეს სატანური გზა. ბოღმა ბურთივით გამჩრია ყელში. აღრენილი ვარ ყველასა და ყველაფერზე. ბებრუხანას სიტყვების გულწრფელობისა ნაკლებად მჯერა, და ისიც ვერ განმისაზღვრავს, ოჯახაშენებულს ამდენს რა არატრატებს. ტვირთის სიმძიმეს თუ იქარვებს საუბრით? მივხედავ ერთს თავდაუზოგავად მოტუსტუსეს.

„ისტი, ისტი, დუელი," გამიელვებს გონებაში. გოგონას ბუნებრივი მოთხოვნილება ხერხემლისაკენ გაიგნებს შარებს. გაპარება საცოდავს და საკუთარი დანაშაულის გასანეიტრალებლად აღრიალდება. ისე დამათბუნებს და მერე — როგორ?!

— არა უშავს, ვის არ მოსვლია, — ვუყვავებ ძირს ჩამოსმულს, — სულ ბეწო იყო, სუფრის კოვზისხელა, — ყოველნაირად ვცდილობ ბავშვის მონაწვიმრის დაკნინებას, — მაინც ხომ გალუმპული ვარ, გაჩუმდი, დაწყნარდი, — ვეფერები გოგონას.

დედაბერი კი წიწმატობს, კიკინებში წვდება ცუგრუმელას, რბილში ურტყამს ხელს, ჩასველებულ შარვალს ჩახდის და მიაცუცქებს თხრილთან, თუმცა მოზარდს მოუსწრია ჟუჟუნა წვიმით გამასპინძლება და დედაბერს შიშით ძვრება სული, ოღონდაც არ მივატოვო, ოღონდაც არ გავექცე ამ უსაშველობიდან.

— მაპატიე, შვილო, არადასაცალებელმა რა სირცხვილი მაჭამა? რატომ ვერ მოვიაზრე?!

— არა უშავს ქალბატონო, ხდება, ანგელოზია, — ვამშვიდებ იქით ხელებწაგრძელებულ დიდედას, თან გულში მეხარხარება, სინანულით გავაქნევ თავს.

„ახია შენზე! სეკუნდანტს დამიხედეთ! რა გრჯიდა! ვისი შემრიგებელი მიგდიხარ? ჯარასავით გატრიალებენ წაღმა-უკუღმა. უზენაესელებსაც ებღაუჭები და დემოკრატებსაც. ჯოხის ორი ბოლოს შეერთება გწადია, შეუთავსებლის შეთავსებას ცდილობ. საკუთარი პოზიცია არ გაგაჩნიაო, გსაყვედურობს ერთიცა და მეორეც. შენ კი თავს იმით იმართლებ, რომ თანაბრად გიყვარს მარჯვენა და მარცხენა".

დედაბერი შემკრთალი მიმზერს. ვხვდები, ეშინია ხელში არ შევატოვო ტალახში ამოლუფხული ბარგი-ბარხანა. ბავშვთან ჩაცუცქული ალმაცერად ამომხედავს შიგადაშიგ, მაგრამ რა იცის ხობელმა ბუკხემ, რომ გური ოტობაიას გაჭირვებული ადამიანის შუაგზაზე მიტოვება არ ძალუძს. თუმცა ჯერ თავადაც არა უწყის — სულ მალე აქ ჩამოფუძნდება რამდენიმე წლით, მეხსიერებაში ეკალივით ჩარჩენილი ძირძველი კოლხეთის სანახებთან.

ცხოვრებისეული გამოცდილება მალაპარაკებს: ხობელი კაცი მორიდებულია თავისი ნატურით, არც თავმომწონეობა სჩვევია და აღარც — ბაქიბუქი ზოგი „პრესტიჟული" რაიონის მაცხოვრებლისაგან განსხვავებით. ამ ჭეშმარიტებას უფრო ვირწმუნებ ბოლო დროს საქართველოში დატრიალებული მოვლენების ჭირისუფალი. მართლაც, არის რამ განუმეორებელი, უკიდურესად კოლორიტული

რეალობა, რომლითაც სუნთქავს ესა თუ ის ქალაქ-რაიონი.

მაშ, როგორ მოიქცეს ფოთელი, არ აიღიროს თავი მთელს მცირე აზიაში სახელგანთქმული ფაზისის აკადემიით?! მაშ, პოლიტიკური ორიენტაციის შემობრუნების შიშით ბოქლომი დაადონ აბაშელებმა გამ-სახურდიების სახლ-მუზეუმის ჭიშკარს?! სენაკი არქეოპოლისის უნიკალური არქეოლოგიური მონაპოვ-რებითა და ქუჯის, გუბაზის, წათეს დიდებამოსილებით თავმომწონეობს. ზუგდიდი დადიანების მიერ მიურატებთან გაბმული ნათესაური ძაფებით ზურგდიდობს. წალენჯიხას კვლავაც ეამაყება უტუ მიქავას, ბულათია ფიფიასა და მართალია თოდუას თაოსნობით აჯანყებული სამეგრელო, ნალიმასთან კუდით ქვას რომ ასროლინებს ომერ ფაშას ასკერებს. ჩხოროწყუ... ჩხოროწყუ — თავისი განუმეორებელი კლდე-მამოსილებით. მარტვილს, დიახაც, ეკადრება ჭყონდიდელის უზენაესობით თავფარავნობა, დედაბოძად რომ მოევლინება საქართველოს აღმაშენებელი მეფის ყმაწვილურ სულს. დაბოლოს, ჩვენი საუბრის ეპიცენტრი ხობი, იგივე ხოფა უახლოეს წარსულში, ერთპიროვნულად დაპატრონებული ცოტნე დადიანის უკვდავე- ბას.

წლების წინანდელი კურიოზი მახსენდება. ეროვნული მოძრაობის ქარტეხილები ჯერაც უდრტვინ-ველად თვლემენ ჩვენს ძარღვებში. არც 9 აპრილის ორლესული ნიჩბებით ყლგამობასრული დების სხეულები გვისვენია წინ ახალმოთიბულ გვირილასავით. სრულიად ჩვეულებრივი, კომუნისტური დრო-ება ბატონობს ყველგან და ყელაფერში.

ოთხმოციანი წლების დამდეგს, მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ბატონ შოთა ნიშნი-ანიძის მხარდაჭერით მშობლიურ კოლხეთს მოვაშურებ შემოქმედებითი მივლინებით. დაუვიწყარია ჩემთვის ეს ხანა, რადგანაც იმ პერიოდში მოვახერხებ სწორედ საკუთარი მეობისა თუ ეროვნული სატკივრების მეტნაკლებად გათავისებას.

ზღვისპირა ჭურიაში, საქვეყნოდ ცნობილი ჯოტო გუგუჩიას ფარეხში, მოჩხუბარიძის პროფილს შევიფერებ გულღია მასპინძლებით გარემოცული, და ბედიც მიყისმათებს — გასაოცარ ადამიანებს შემახვედრებს განგება, რომელთა მსგავს დედაქალაქის ქუჩებში ყიალით, ალბათ, ვერასდროს ჰპოვებ-დი. განუმეორებელი მათ შორის მაინც ოთხმოცს გადაცილებული იროდი სართანიაა. ამ მეტყევისათვის სიკვდილ-სიცოცხლე, სიკეთე-ბოროტება თუ ნათელ-ბნელი განუყრელი და-ძმაა, რაღაც გლობალური, რაღაც ყოვლისმომცველი განზომილების წონასწორობა და მეც ძირისძი-რამდე შევისისხლხორცებ ბრძენთაბრძენი ტყაჩუს ფილოსოფიის ანსა და ჰოეს.

ახალგაზრდების ჯგუფი მესტუმრება ზუგდიდიდან სადადიანოს ცენტრს ორმოციოდე ვერსით მო-შორებულ კახათელების ფარეხში. ეგზალტირებულნი ჩანან. ვეება ლაფანის ჩრდილში მივსხდებით. საუბრის დაწყება უძნელდებათ.

— მართალია, რომ მხარს უჭერთ თურმე ცოტნე დადიანის სამარცხვინო ძეგლის განხორციელებას ზუგდიდში?! — შემომბედავენ როდის-როდის.

გავშრიები. ხატი, რჯული! ამ ძეგლის თაობაზე პირველად მესმის, თანაც საკმაოდ უხერხულ კონტექსტში ჩემი პიროვნების მოხსენიება ერთობ შემძრავს.

თურმე რომელიღაცა ჭეკლასელ სკულპტორს იმდენი უჩალიჩია, რომ ფრიად სავალალო რეპუტა-ციის ძეგლის განხორჩიელება მოუკვარახჭინებია საზოგადოების ზურგს უკან. ადგილიც შეურჩევიათ, მანცხვარკარს რომ ეძახიან ზუგდიდელნი ფუნიკულიორზე. ოთხასი ათასი მანეთიც გამოუყფიათ და ჩამოუსხამთ კიდეც ქანდაკებანი რომელიღაც რუსულ ქალაქში.

ჯეელების თქმით, ამ ძეგლის დადგმა ერთხელ და სამუდამოდ დაასამარებდა ცოტნე დადიანის სიდი-ადეს — საქართველოს ერთიანობისათვის თავდადების იდეა მიწაზე ხოხავდა ასაფრენ სივრცეებს მოკლე-ბული.

იმ ბედოვლათს დაწყებით კლასში ამოკითხული კოხტაგორას ამბავი, გიგლა ბიჭის დაზუთხულის შესაბამისად, ლამის ნატურალისტური სიზუსტით აემეტყველებინა პლასტიკის ენაზე: საქართველოს თა-ვისუფლებისათვის ამხედრებული რაინდები და მათი ფლაგმანი ცოტნე თაფლწასმულები დაეყარა თაკა-რა მზეზე. მართალია, მუხლმოყრილები მომავლის იმედით აღევსო, მაგრამ ლიტერატურული წყაროს ტყვეს, შემოქმედებითი აღმაფრენისათვის გაქანება ვერ შთაებერა და თავში სისხლი ამიფრიალდება. ამას ზედ იროდი სართანიას სიტყვებიც დაერთობა:

— შვილებო, — გვმოძღვრავს მენცარკოჩი, — ადამიანის დამარცხება თუ გწადია, უწინარესად სულიერი საგანძური გაუპუსტიაკე, — ასე ბრძანებს, — სიდიადე ჩამოაშორე, გაუფარჩავე და რიგით მოვლენად გადაუქციე. ეს იგივეა, რაც ქრისტეს გოლგოთის, ჯვარცმისა და სამსჭვალი ლურსმნების მაგივრად ბისკვიტებით სავსე ხონჩა მიართვა. ჭყონდიდის დაკნინება თუ გინდა, აიღე ნაჯახი, გაკაფე და ჩალა ჩამოაკონწიალე ზედ. ტრიალ მინდორში განმარტოებულს წაართვი ის ბუნებრივი მოწოდება, რაც გრიგალებთან გამუდმებულ ჭიდილს გულისხმობს. ცოტნე დადიანის დაჩოქება საქართველოს ზნეობრივი დაცემის ტოლფასია. ცოტნე და დაჩოქილი?! ერიჰა! — ბრძა-ნებს და ავიკრავთ გუდა-ნაბადს.

ზუგდიდის კომპარტიის საქალაქო კომიტეტთან კინკლაობა უშედეგო გამოდგება. ცოტნეს ეროვნული მნიშვნელობისთვის დამამცრობელ სკულპტურას ყოველნაირად უძებნიან გამართლებას, მაგრამ როცა შეგვატყობენ, რომ არ ვხუმრობთ, ჯოჯოხეთის გამნათებელი ქრთამსაც კი მომიგზავნიან. არ მივაბრუნებთ იმ ფულს ფუნქციონერებს, ვინაიდან გაღლეტილები დედაქალაქში გამგზავრებას გადავწყვეტთ. სამხატვრო აკადემიის კოლეგიის წინაშე წარვსდგებით კოლექტიური პროტესტის წერილით და საბედნიეროდ, ბატონ ელგუჯა ამაშუკელის კომპეტენტურობა შლაგბაუმს მიაგებებს დასახელებულ მონუმენტსს!

ცოტნე და დაჩოქილი?!

ეგ სცენა ხელოვანი კაცისათვის სადაგია რამდენადმე: კრავის უბორო- ტობით გაბრუებული ფიროსმანი ჩამუხლებულა და ხელებში აუტატებია უცოდველი არსება, მაგრამ სად ნიკალა და სად — ცოტნე? სად მშვენიერებისა და სად — მრისხანების ჩარჩოები?

მოგვიანებით ბატონ მერაბ ბერძენიშვილთან საუბარში გენიოსი მოქანდაკე ამდაგვარად წარმოაჩენს ცოტნეს ფენომენს:

— მე ცოტნე წარმომიდგენია მხედრად, რომელსაც ათიოდე ცხენშებმული ეტლი მიაქროლებს, და უდრეკი მარჯვენით ყელა აღვირი მაჯაზე დაუგრაგნია რაშების გათარანებული სრბოლით აღტკინებულს; სადაც თითოეული ტაიჭი საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს შეესაბამება ერთიანობის ლაგამით დაურვებულსო.

უაზროა მტკიცება — კონკრეტულად რომელი რაიონისაა ცოტნე, ხობის თუ სენაკის, ზუგდიდის თუ წალენჯიხის, ფოთის თუ მარტვილის, ჩხოროწყუსი თუ აბაშისა; ცოტნე სრულიად საქართველოსია, ამიტომაც, როგორც წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიებითაა მოფენილი ქართლოსიანების ნებისმიერი ბორცვ-გორაკი, ისე ცოტნეს ძეგლების აჩახმახებით ყალყზე უნდა შედგნენ ჩვენი ქალაქების მოედანების ვრცეულობა. ცოტნე იგივე მესიაა ჩვენი, ეგვიპტიდან ოტებული ურიებისათვის მოსე რომ გახლავთ, იმდაგვარი. ცოტნეს სულისკვეთების გაგრძელებაა, დიახაც, ბერი ეგნატაშვილისა და პროფესორი ჟორდანიას უმაგალითო თავდადებანი; ეროვნული მოძრაობის ტანდემის კოსტავა-გამსახურდიას მოწამეობრივი ცხოვრება, რომლითაც ჰაი-ჰაი რომ დღემდე სულდგმულობს უმწეობაში ჩაკვეხებული ერი, და რომ არა მსგავსი იმპულსები, რამდენიმე ათწლეულში იგი არსებობასაც შეწყვეტს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მაგრამ საბედნიეროდ გმირებს ვინ გამოულევს საქართველოს?!

ახლახან მოვინახულებ ხობის ტაძრის მშვენიერ კომპლექსს. მართალია, მისი სახურავი ვიღაც ხელმრუდს გაუძარცვავს, ათიოდე კილოგრამი სპილენძი აუტყავებია ტაძრის ფასადისათვის თურქეთში გასატანად, მაგრამ ჩვენთვის მთავარი თავად ეკლესიის კედელზე დაფიქსირებული მამაკაცის პორტრეტია, რომელსაც ეროვნული გმირის ბადიშად მიიჩნევენ.

ვარდანიძეების ჩამომავალი ცოტნე, ნიგურიანებისა თუ ლიპარტელიანებისა, განუმეორებელ მაგალითს უჩვენებს შთამომავლობას.

კოხტაგორის შეთქმულების ფსიქოლოგიური სურათი შემდეგნაირი შინაარსისაა:

მონღოლ-თათართა შემოსევით თავმოყვარეობაშელახული ქართველობა 1245 წელს კოხტაგორის მიდამოებში შეთქმულებას მოუწყობს დამპყრობ ძალას, თუმცა პატრიოტებს სჯა-ბაასისას წაასწრებენ, დაატყვევებენ და მზეზე დაყრიან თაფლწასმულებს.

შეთქმულთა წყრომა-ნუგეშის წყარო ერთადერთი — ცოტნე დადიანია. ეჭვის ჭია უღრღნის თითოეულს გულ-გვამს: ნუთუ... ნუთუ... თუმცა **„აგერა ცოტნეც მოგვარდება ჩორთით“,** თვითვე განშიშვლდება წელს ზევით, თვითვე წაიცხებს ტანზე თაფლს და თანამზრახველებს უსიტყვოდ აგრძნობინებს: ციხე შიგნიდან არ გამტყდარაო.

მონღოლ-თათართა სარდლობას ჰყოფნის ცბიერებაც, გამჭრიახობაც, მათ ვიწრო თვალებში აქამდეც რიგით მოკვდავთათვის მიუწვდომელი მრავალი ხრიკი განასკვულა, მაგრამ ცოტნეს ქმედება ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს და ირწმუნებენ: **შეკრებილები სარკის მოგროვებაზე ბჭობდნენ ნამდვილადო.**

ასეთი კუთხის შვილ თემურ გერგაიას, წესით, ევალებოდა ეროვნული მთავრობის გვერდით დადგომა.

როგორც ქვემოთ მომიხსენებია, მე შევხვედრივარ ლოთი ქობალიას თავის შტაბში. თვინიერად მოუსმენია ჩემი შეშფოთებისთვის იმ სიტუაციის გამო, რომელიცშეიძლება ზუგდიდში აგორებულ საქმეს მოჰყვეს. გენერალი დაბეჯითებით განმარტავს, რომ თუკი თავისუფლების ფრონტი თბილისისაკენ დაიძრება, მხოლოდ და მხოლოდ — მშვიდობიანი მსვლელობით. მაგრამ მოსალოდნელი საფრთხის დიაპაზონი თემურ გერგაიას სხვა გადაწყვეტილებას მიაღებინებს — ცოცხალი კედელივით ჩადგება სენაკსა და ზუგდიდს შუა და ეს პიროვნება დღეს როგორი მოტივითაც სცემდეს ბოლთას გისოსებს მიღმა, ჟურნალისტ კლარა აბრამიას მოსწრებული სიტყვებით, ,,სამეგრელოს სავიზიტო ბარათია'' მომავალ თაობათათვის.

ნოემბრის თვეში ფოთიდან დაიწყება ცოტნეს მეობის ხელმეორე დაბადება — ერის ცნობიერებაში გამოძერწილი დიდი მამულიშვილის ძეგლი ლითონის ენაზე ალაპარაკდება სადაც არის და

იმედია, მერმისში მისი კეთილთვისებიანი მუხტი სხვა ქალაქებსაც გადაედება.

ამას წინათ „ენგურის“ ერთ-ერთ ნომერში ვწერ:

„ფაზისის შესასვლელის „სამეგრელოს“ მოედნად აღდგენა-გამოცხა- დებით ფაქტობრივად დასრულდება ხუთწლიანი სეპარატისტული ომი ფოთსა და სამეგრელოს შორის-მეთქი. “

ასეთნაირად იმიტომაც ვასკვნი, რომ ფოთის ზოგი ადრინდელი მესვეური სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ადმინისტრაციას აინუნშიაც არ აგდებს, მის სხდომებზე დასწრებასაც არ კადრულობს. ქალაქ-სახელ- მწიფოდ შეურაცხავს ფოთი და მისი სიკეთეებს დედის რძესავით შეითვისებს. „სამეგრელოს მოედნის“ დარქმევა ნაბდისგაშლა მიწის მონაკვეთისთვის რას ვიფიქრებთ ზარების დარისხების საგნად თუ გადაიქცეა. მეფის რუსეთის დროინდელ საქართველოში, „სამეგრელოს მოედანს“ რომ დააარსებენ ფოთში, ამით იურიდიულად ხაზიჩამოაჭრიან მას ძირძველ პატრონს — სამეგრელოს, რათა ცალსახად გაესვას ფაზის-ქალაქის უცხოობას სამეგრელოსათვის და სწორედ ნაბდისგაშლა მიწის ნაჭრით განისაზღვრება სამეგრელოს უფლებები ფოთზე.

„ასე დაიწყო აფხაზეთშიო“ — წამოიძახებს „სახალხო გაზეთი“ სარკაზმით აღსავსე წერილში „პროსტო ნუგზარი, ანუ ჩვენ რომ ფოთში მერი გვყავს“. არაკოლეგიალურია გამოვეკიდოთ ხსენებული გაზეთის რედაქტორის, ფაზისელი გია ლომაძის დამოკიდებულებას ფოთის მერის, ბატონ ნუგზარ ნადარაიასადმი, მაგრამ ძნელი გასაგებია, ანგარიშსწორებას რომ იწყებს მავანი, რაღა სამეგრელოს არარსებულ სეპარატიზმს იშიშვლებს ხოლმე?! ჩვენ წელზე ფეხს ვიდგამთ, რაღაცნაირად ვაკოწიწებთ ჩატეხილი ხიდების აღსადეგენ ენერგიას და ღვთის მადლმა, გვაკმარეთ ესე საზრუნავი!

ბატონი გია ლომაძე ნიჭიერი მწერალია, გახმაურებული მოთხრობის, „თაბაშირის კაცის“ ავტორი; ჟურნალისტიკაშიც საკმაოდ ხელგაწაფული და გაბედული პიროვნებაც ამავდროულად. ფოთის პრობლემებისაკენ გეზის აღება მისი პრეროგატივაა, მაგრამ გვაოცებს სხვა! მაგრამ რა შუაშია აქ სამეგრელოს სეპარატიზმი?! ჩვენ პროფესიული ეთიკის დაცვით შევნიშნავთ, რომ ნუ აგვიფორიაქებთ სამეგრელოს მოუშუშებელ ჭრილობებზე მარილის მომყრელი წერილებით-თქო!

საინტერესოა ისიც, თუ საქართველოის ნეტარხსენებული ექსპრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია, როდის, სად და რა ვითარებაში განაცხადებს: **„მე ჩემი სამეგრელო დამიცავსო?!“**

ამაზე მეტი ცილისწამება იქნება?! ეს ფრაზა უმაღლესი ეშელონიდან მართლაც წამოსცდება ერთ ფუნქციონერს ბატონ თემურ ქორიძესთან კამათში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ბატონ ზვიად გამსახურდიას!

ასე რომ, ჩვენი მეგობრული რჩევაა: როცა ამა თუ იმ პიროვნების განქიქება გვწადია, უმჯობესია სამეგრელოს არარსებული სეპარატიზმის აგორებისაგან თავი შევიკავოთ, თორემ ისტორია მიუკერძოებელია და ბევრ ხელოვანს სიმწრის ოფლს მოაწურვინებს ოდესმე.

„სამეგრელო საქართველოს ხერხემალიაო“, ბრძანებს ბატონი ედუარდ შევარ დნაძე, ხოლო ის ხროვა, რომელიც **„ყველა ჩემი სამშობლოა სამეგრელოს გარდაო“,** პირსისხლიანი დაყმუოდა კოლხეთში, გალიაში ნავარდობს ახლა.

საამწუთისოფლო ვითარების გამ�აშკარავებას მხოლოდ ცოტნე დადიანის გაქანება თუ შემოუწალდავს ეკალ-ჯაგს. ჩვენი ვალი სნეულების მხილებაა, ოღონდ არა ანგარიშსწორების მიზნით, არამედ — უკეთესი შთამომავლობის მოვლინების საწინდრად.

ფოთი სრულიად საქართველოს კუთვნილებაა, იმისდა მიუხედავად, რესპუბლიკის რუკაზე სამეგრელოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდება ლორთქიფანიძის ტყემალსავით თუ მის დაქვემდებარებაში ისულდგმულებს დედასამშობლოს სასიკეთოდ და აქ ფაზის-ქალაქის აბსტრაქ- ტული როქები სამშობლოს ერთი ჯიბიდან მეორეში, კომიკური მდგომარეობაა ტრაგიკულთან ერთად..

1997 წ

ჯყონდიდი

ბოგიშბოგი, გირინი...

უამრავი წიგნის ავტორი ვარ. მათ შორის ორი რომანის. აფხაზეთის თემას 3600-გვერდიან თხზულებას მივუძღვნი — ბელეტრისტულ მატიანე „სუფევას.“ ათასობით ხასიათი გაივლის ჩემს ხელში, და მაინც ერთი ბოგიშბოგი, შემ- დგომში უბრალოდ გირინი, უნიკალურია; მასგავსი ცხოველი არცერთ ზოოპარკში ბუღრაობს, სრულიად ახალი ეგზემპლარია, აი, ახლახან ფრანგმა სპალეოლოგებმა რომ დააფიქსირეს ჩხოროწყუს მღვიმეში შურუბუმუ. ქამელეონები შენატრიან მისი უჩვეულო გარდასახვის უნარს. იანუსს ორი სახე აქვს, ხოლო გირინს — 1002-ი შეჰარაზადას ზღაპრიდან. ბოქაულების სკოლა დაუმთავრებია ოთხმოციან წლებში, და კიდევ დამატებით — 12 ნაყალბევი დიპ- ლომი უწყვია ჯიბეში, თუმცა დასტურ, ორი წიგნი ბოლომდე ვერაფრით წაუკითხავს.

ნათესაური სიწმინდის გრძნობა დიდი ხანია წაუშლია მისი პიროვნებისაგან ზეციერს: მშობელ მამას ნეკნებს ჩაუმსხვრევს; უფროს ძმას თავს გაუტეხს; შუათანა ცხონებულს გადახვეწს ოდიშიდიდან და აფხაზეთში ნამარი კაცი ბანდიტის ხელით აღესრულება სვანეთში; დეიდაშვილს დანას ურტყამს, მამიდაშვილს გირინისეულ ტლინკებს; დედას — გირინულ წიხლებს.

ერთადერთი გური ოტობაიას ვერაფერი დააკლო და გიჟდება.

ჭიდაობას მომინდომებს აბაშის წყლის პირას წლების წინათ და კარატის- ტობით თავმომწონეს ვერარას უშველის „ტია-ტიას“ ძახილი — ცხვირით ქვიშას ვახვნევინებ სამგზის. ჩარჩენია გულში ეს ნესტარი და არ იცის კვარტი საიდან მომატყუპოს.

წინდებული „სუფევა“- მატიანედან ერთ-ერთ თავს დავბეჭდავ ჟურნალ „ორნატში“ — „მარტოსული ხეობის მახვშს“. ეს ვრცელი ნარკვევი მესხიების ზეზეური დაკვარცხლბე- კებაა. დიდი შოთა მესხიადან მოყოლებული, არავინ დამრჩენია ყურადსაღები. ბევრ მისიანს ხომ სხვა ადგილას დავადგამ უკვდა- ვების ძეგლს. ამას გადაურევია, ეს აცოფებს, ეს აბოჟირებს.

უბატონო გვარად გამოვაცხადე მესხიები, თამარ-მეფის მიერ კურთხეულად ქედუხრელ- ობის სიგელით: მესხიებს არა ჰყავთ აფხაზები და გურულები. ისინი სამშობლოს უბადლო მეციხოვნენი არიან.

ამას წინათ ბაზრობაზე შემომეჩეხება ჩვენი გირინი და ვუსახსოვრებ დასახელებულ ჟურნალს. ყველა უბედურებაც აქედან დატრიალდება. იქ მის შესახებაც გაჟღერებულა ციდამტკავლა ფრაზა, რომ ლექსის წერაში მეჯიბრება აქა-იქ ბედოვლათი; პროპორცია კი დაახლოებით ისეთივეა, როგ- ორც ჭიჭყინასა და ღლავს შორის. საამისო საფუძველი, დიახაც, მქონდა, ვინაიდან ქორწილმა თუ წვეულებამ ვერაფრით იფერციაგა სამეგრე- ლოში, გნებავთ რუსეთსა თუ აფხაზეთში, სად- აც გირინმა ჩემი ლექსების ავტორობით არ იყროყინა... მოკლედ, მოხერხებულად უყნოსა სიტუაციას. ოტობაიაში არ ჩაესვლბოდა ნათესა- ვებთან წაკიდებულს... რეაბილიტაციის შანსი მიეცა და მესხიების დამშარავანდედებელი მესხიების მაგინებლად გამომაცხადა თურმე.

დაატარებს ამ ჟურნალს ხალხში:

— ხედავთ, როგორ მოგჭრათ თავი თქვენმა მოწონებულმა მწერალმაო, — დაიჯღანება და ცილსა მწამებს ორღობე-ქუჩა. ამიწიოკა დამეწყრილი ოჯახი. გამიმწარა მოხუცი დედა, ავადმყოფი და. სისხლი გაუშრო დამაშვრალ ძმას.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისაგან რაღაც საგანგებო მისიით მოვლინებულად დაიჯგიმება ოტობაიელებში. 11 წელიწადია ვერაფრით ვახერხებთ სეპარატისტებთან შერი- გებას და ჩვენს გირინს ხელისგულზე დაატარებენ ოტობაიაში დისლოცირებული აფხაზების დაჯგუფებანი. გალშიც ამყოფებენ ამას წინებზე, სოხუმშიც. წართმეული ბინები გამოუხსნია თურმე. ბარაქალა მას და მის მოხერხებას!

გირინი რაღაც საგანგებო მისიას ახსენებს თურმე წარამარა, თუმცა არაფ- რით აკონკრეტებს რაა ეს მისია, რა ხასიათ-შინაარსისა. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურები დათხოვილია სამსახუ- რიდან. ის ხალხი საპროტესტო აქციებს მართავს „იმელის“ შენობასთან სოცია- ლური გარანტიების მოსაპოვებლად; ჰოდა, ამასობაში ჩვენი გირინი არხეინად

დასეირნობს ოტობაიაში აბსტრაქტული მუნდირით, რაღაც მირაჟული სახელმწიფოებრივი საქმის აღსრულებით იფხორება.

— ამბობენ, ქართული პოლიცია ყალიბდება გალში და იქ უმიზნებს უცი- ლობლადო.

აქეთ ხომ მესხიების მაგინებლად გამომაცხადა მესხიების მეხოტბე, თუმცა შუბი ხალთაში არ დაიმალება და უკვე გარეშეებს კი არა ნათესა- ვებსაც არ ეხატებათ გულზე ჩვენი გირინი.

თხილი ფრიად უყვარს ამ ლაფშინას, სულს ახრამუნებს — გუდორუნს. იქამდე გაცხოვე ლებია მადა, რომ ზოგს 100 კილოგრამი შეაწერა, ზოგს — 50 და 60, მრავალს — ორასიც.და აქ რატომღაც უგანეს მესხიებმა მის სახედრულ უდიდებულესობას; არავინ იკარებს ახლოს, ვინაიდან იციან თითოეული სტუმრობა ორი-სამი ინდაურის სიცოცხლისგან გამოსალმებაა, 3-4 გოჭის შემუსვრა.

მოკლედ, დაატერორა მთელი სამესხიო. რა ქნას ახლას ჩვენმა გირინმა, როცა თავლა და ქერი მოკლებია?! და ხან ერთ გარმიანელს მიადგება კარზე და ხანაც — მეორეს, მაგრამ იმათაც უყნოსეს და არული კუდიანების ძახილით მიუმუწეს ცხვირწინ კარი. ჰოდა, ჩვენი სამოხიოღა შერჩენია სახრავად. მუსრი გაავლო ფრინველ-ცხოველს გირინმა. აფხაზები მოაყენა თურმე ჩვენს სამოსხლოს.

ძირძველ და ნამუსიან აფხაზთან მეგობრობას ვერავინ დაასწრებს გური ოტობაიას, საქვეყნოდ აღიარებული მწერლის, ჯუმა ახუბას ძმადნაფიცს, მაგრამ მოხუც დედას რომ მიმწარებს ეს გაუხედნავი, როგორი საქმეა?!

— აი, ხომ ხედავთ რანაირი მეგობრები მყავს და თუ ჭკუით არ იქნებით, მიიღებთ თქვენსასო, — აშინებს უსიტყვოდ ოტობაიელებს ოყლაყი. ბახვა ელიავას 50 კილოგრამი თხილი შეაწერა, რევაზ ბელქანიას — 100, ჩემს ძმას თენგიზ ფეტელავას ხომ გაუჩანაგა სარჩო-საბადებელი. ის კი არა მესამედი ტონა თხილი დაადო ვალად. საათი ააცალა მაჯიდან და აიკრა გუდა-ნაბადი ოტობა- იიდან... წავიდა და წავიდა. მომდევნო თხილო- ბამდე არ გამოჩნდება. ესეც შეღავათია. აფხაზურ-ქართული კონფლიქტის გმირი ძმის ნეშტის ზუგდიდიდან ოტობაიაში გადასვენებით იქადნება. სხვათა შორის გირინის საცოდაობა ლექსზე შექმნილი სამგლოვიარო სიმღერით გავაცილებთ იმ ცხონებულს. ერთხანობას, როცა კუბოდან ამოასვენებენ ჩვენს არამხუტუს, დროს იხელთებს გირინი და ეგრევე თავს ტუცავს სასახლეში. კიდევ კარგი, არ გაიჭედება შიგნით, თორემ ახალი შეიქნებოდა მოსატანი. მაშინ არავის მოაფიქრდება სახურავის გადამხობა. ნეტავ მასე მოქცეულიყო რომელიმე, ხომ მოისვენებდა დიდ-პატარა?!

დაბოლოს, უმთავრესი, მესხიების ,,ქომაგი'' გირინი ჩემთან საუბარში ამტკიცებდა, რომ ამ ჩინებული გვარის წარმომადგენელი სრულე- ბითაც არ არის. თანადროულად მაგონდება: კურთხეული მამამისი ნაშვილები ჰყავდა პაპამისს, რომლის ლეგიტიმური გვარი ვგონებ ,,შიაზე'' მთავრდება და გაჭრილი ვაშლივით ძმები ეხვია გარშემო.

ბედის ირონიაა სწორედ. ამ ჩვენს სათოკე ოჩანს თვალხატულა ასულები ჰყავს და ერთი ვაჟიშვილიც, ოღონდ განსხვავებულ თავსართიან და კვლავაც შიშინა ბგერებზე დამთავრებული გვარით.

მამით გარმიანელი, ძით მავანი და თავად მესხიების მაძაგებელი, მესხიების მეხოტბესა და განმადიდებელს, ამ ღვთაებრივი ხალხის აბუჩად აგდებას მაბრა- ლებდეს, ბედი არ გინდა?! აი, ჩვენი გირინის ბერწი ყროყინის ექო! აი, ჩვენი გირინის ნალმოცვეთილი ტლინკების ყრა! აი, ჩვენი გირინის გაუტანლობათა ავანჩავანი!

გაუგიათ ჩემი გასაჭირი ღვთისნიერ პიროვნებებს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, აწ საქართველოს კონტროლის პალატის უფროსის პირველ მოადგილეს, ბატონ იაკობ მესხიას, და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბატონ აპოლონ მესხიას და ამისთანა თანადროულ სიტყვას შემომაშველებენ ოტობაიელების წინაშე მოუდენელი ოფლის მოსაწმენდად:

ორიოდე სიტყვა გური ოტობაიას ბელეტრისტულ მატიანეზე „სუფევა“

გულადი ფეტელავას, იგივე გური ოტობაიას შემოქმედებას, სამი ათეული წელიწადია ინტერესით მიადევნებს თვალ-ყურს წიგნიერი ქართველი. ბევრს ახსოვს მისი რომანები: ,,სიცოცხლემისჯილი'', ,,როკი''. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს მწერალი პუბლიცის ტიკაში. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია მონუმენტური თხზულება ,,სუფევა'', რომელშიც ნაჩვენებია მრავალსაუკუნოვანი ქართული ცივილიზაციის უმთავრესი ეტაპები. ამ ბელე- ტრის ტულ მატიანეში ასახვა ჰპოვა საქარ- თველოში ბოლო დროს მომდინარე პროცეს- ებმაც, ეროვნული ხელისუფლების ტრიუმფა- ლურმა,

უსისხლო გამარჯვებამ... აფხაზეთ-სამაჩაბლოს ტრაგედიებმა... ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, მეცნიერისთვის და გნებავთ — ადამიანისათვის, განსაკუთრებულად სულის- შემძვრელი იყო ერთი პუბლიკაცია — ალმანახ ,,ორნატში'' გამოქვეყნებული ,,მარტო- სული ხეობის მახვში''. იგი წლების წინათ ფრაგ- მენტულად ქვეყნებოდა გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში'', მაგრამ სრულად ამ ჟურნალში ვიხილე.

მწერალს დიდი ძალისხმევა ჩაუდვია ნარკვევში, რათა ამაღლებულად დაეხატა უბატონო გვარის ტიპიური სურათი. ამ ნარკვევის გმირები, დიახაც, მესხიები გახლავან, რომელთაც სოფელ მუსხიდან ჩამოსული ძმები დაუდებენ სათავეს, სამეგრელოს მიწა-წყალზე, ლევან დადიანის მთავრობის დროს. მესხიებმა უბატონო გვარის სიგელი თამარ მეფის ეპოქაში შეიძინეს თურმე, რადგანაც მათი წარმომად- გენელი სხვა თერთმეტ ჭირისუფალთან ერთად საიდუმლო ადგილას დაკრძალავს საქართველოს სწორუპოვარ მეფეს და ინფორმაციამ რომ არ გაჟონოს, ნებაყოფლობით დახოცავენ ერთ- ურთს. მართლაც და წარუშლელია მწერლის დამოკიდებულება მესხიების გვარის ხალხი- სადმი, რომელთაც ბატონი არასდროს ჰყოლიათ, ზოგს თითი მოღუნვია ჟამთა ტრიალში კუკუიასავით, ზოგიც ჭაკი ცხენის მდევნელია სიყმაწვილის წლებში, მაგრამ, როგორც წესი, ყველას ნათელი გონება და სპეტაკი სული დაანათლა უფალთუფალმა. დიახ, ბატონი არასდროს ჰყოლიათ მესხიებს, არც გააფხაზებულან მრავალი ბედოვლათივით, დღემდე კეთილსინდისიერად ეწევიან ცხოვრე- ბის მძიმე ჭაპანს და სამაგალითონი არიან წუფისოფლის ნებისმიერ კუნჭულში, ნებისმიერ ალაგას...

წარუშლელია ტარიულ გოლუას პროტო- ტიპის — ლევან მესხიას სახე — მათი შთამო- მავალი მესხიები საირმის ერთ მიყრუებულ ხეობაში; საქვეყნოდ აღიარებული ნეიროქი- რურგი ნაპო მესხია; საქართველოს ისტორიის ქურუმი, ,,ძლევაი საკვირველის'' ავტორი, აკადემიკოსი შოთა მესხია თუ სხვანი და სხვანი. ბატონმა გური ოტობაიამ, ფასდა უდებელი შრომა გასწია ქართული გვარის ტიპიური წარმომადგენლების ჩვენებაში უბატონო მესხიების წარმოჩენის გზაზე. მან ამ ნაწარ- მოებში რეალური ოსტატურად შეაზავა გამო- ნაგონთან და მთელს ქვეყანას დაანახა თუ როგორ უნდა მჭიდროვდებოდეს საქართველო ძირძველი გვარების გარშემო, რათა შეინარჩუნოს ინდივი- დუალური სახე, განვითარ დეს, გადარჩეს...

ჩვენ, მესხიებს, (და არა მხოლოდ მესხიებს), მოწიწების, თაყვანისცემის მეტი არაფერი დაგვრჩენია ამ ტიტანური ენერგიის შემოქმედის წინაშე, რომელიც ახალ სახეებს და წარუშლელ განცდებს გვპირდება კვლავაც ბელეტრისტული მატიანეს დასკვნით ნაწილში და თამამად შემიძ- ლია განვაცხადო, რომ ამიერიდან გვარი მესხია ყველგან გაიგივდება სამშობლოს რიგით ჯარის- კაცთან; პერსონაჟთან, როგორც დიდი ილიას დაუვიწყარი ლელთ ღუნიაა; ვისთვისაც უმთავ- რესი ფასეულობა საქართველოა, საკუთარი მეობა თავისად რომ ეყუდნება.

იაკობ მესხია,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს
კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

07. 12. 2004 წ.

შკანასკნელი მოჰიკანელი

(წერილი მეგობარს)

ბატონო, გური!

ამას წინათ ერთი ახლო მეგობარი მეწვია და დიდი შოთას პორტრეტით დამშვენებული ლიტერატურული ჟურნალი ,,ორნატი'' გამომი წოდა. გამიკვირდა. ის უფრო საყოფაცხოვრებო საკითხებზე მოდიოდა ჩემთან და ჟურნალით ხელში გამომეცხადა იმ დღეს. არაფერი მითქვამს, გამოვართვი.

— ჩვენი თანამემამულის, გური ოტობაიას ვრცელი ნარკვევია დაბეჭდილი, წაიკითხე, მოგეწონება, მესხიების გვარის საგალობელია, მეტაფორებად ახუნძლულიო, თქვა და გამიღიმა. გამიხარდა. ჩემი სამუშაო მაგიდა შეძლებისამებრ მივალაგ-მოვალაგე, ოთახში ჩავიკეტე და იანვრის ცივი საღამო

„მარტოსული ხეობის მახვშის“ კითხვაში გავატარე.

კოლხური ზნე-ჩვეულებით განთქმული ვალიკო მესხიას სახელი ადრეც მსმენია, სტუდენტობის წლებში, მაგრამ მასთან პირადად შეხვედრა ვერა და ვერ მოვახერხე. თან კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემი პროფესიის ადამიანი სულ გადარბენაზეა, ნეიროქირურგის საათი ყოველთვის ჩართულია, დრო პაციენტზე მუშაობს.

ერთხელ მქონდა მცდელობა საირმეში ავსულიყავი, იქიდან მესხიებში გადავალ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ გზიდან მომაბრუნეს, გუდა- უთაში, სოფელ ლიხნში, ერთი ჭაბუკი აფხაზი ბიჭის სიცოცხლე სიკვდილს გამოვტაცე. მართა- ლი გითხრათ, ამით დავიმშვიდე თავი, ჩემი მაშინდელი „უკანდახევაც“ ამით გავამართლე. ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეცი.

ჩემი შეხედულება მესხიების გვარის ერთ-ერთ უკანასკნელ მოჰიკანზე კიდევ უფრო გან- მტკიცდა, როცა თქვენი მხატვრული Essey წავიკითხე. ის მართლაც, ბრძენკაცია პატრიარ ქალური ადათ- წესით, გონებით, დაკვირვების უნარით, მსჯელობით. მისი ყოველი ფრაზა მშობ ლიური მიწის წიაღიდან იღებს სათავეს, ტყიდან, ბალახებიდან (სტილი ავტ. გ.ო.) მოდის წყაროს თვალივით.

აი, რას მსჯელობს ეს კერკეტი, ნებაგაუტე- ხელი კაცი: **„ნებისმიერ კანონს ორი ბუნება აქვს, როგორც ჯოხს ორი ბოლო; ადამიანის დამტკიცებულს, ადამიანივე აუქმებს, ზღვა გამუდმებით უტევს ნაპირს, მაგრამ გამუდ- მებითვე უკუიქცევა, მთავარია ბოროტი და კეთილი ერთ ტაბლასთან არ დასხა, არ გააიგივო, არ ჩაატო ერთმანეთს...“**

მე ვამაყობ ჩემი გვარით. როგორც ისტორი- კოსები ამტკიცებენ, ჩვენი წარმომავლობა მესხეთიდან მოდის. მე თავად სამურზა- ყანოში დავიბადე, იქ გავიზარდე. მე და თქვენ მეზობლები ვართ. სოფელი ოტობაია, სამწუხა- როდ, დღეს ის აღარ არის, რაც იყო ორი ათეული წლის წინათ, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, მე ოპტიმისტი ვარ — ჩვენე ისევ ავაღორძინებთ მშობლიურ სოფელს — თქვენ თქვენი ლექსით, მოთხრობით, რომანით, მე კიდევ ქირურგის მარ- ჯვენით. ჰოდა, მაშინ, მოვიწვევ ყველა ჩემს სახლიკაცს, გავშლი სუფრას, რომელსაც იაკობი გაუძღვება, გამოჩენილ მენცნიერსა და მამულიშვილს — შოთას გავიხსენებთ, ვადღეგრძელებთ სრულიად საქართველოს, მის აწმყოს და მომავალს.

ბატონო, გური! დიდი ხანია გიცნობთ, როგორც შესანიშნავ ბელეტრისტს, აქტიურ შემოქმედს. ამას ადასტურებს თქვენი ახალი ნაწარმოები „მარტოსული ხეობის მახვში.“

კიდევ ბევრს ველოდებით თქვენგან, ბევრი გიფიქრიათ მესხიების გვარის წარმომავლობაზე და კარგადაც გიწერიათ. გმადლობთ!

პატივისცემით,

ნაპოლეონ მესხია,
ნეიროქირურგი, აფხაზეთის უმაღლესი
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
23. 07. 2005 წ.

მარტოსული ხეობის მახვში

თუთაშხა*

ტყუილად არ უთქვამთ ძველებს, რკინა მაშინ იჭედება, როცა ცხელიაო. ახა, შვიდი თვე მიწუ- რულა მას აქეთ, რაც განუმეორებელ ადამიანებს გამოვცნაურებივარ ასკაგუბურას ხეობაში; იმდე- ნად მომნუსხავ-შთამბეჭდავთ, რომ სათქმელს ვერსაიდან მივდგომივარ. ძალასაც ვერ ვატან კალ- ამს, არც აჩქარება ივარგებს-მეთქი, ვფიქრობ ნიადაგ, ჯერ დაწდევდეს განცდილი და მერმე უფრო ბუნებრივად გადმოიღვრება ქაღალდზე-მეთქი, მაგრამ როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, რახან ერთხელ მომიცდება ხელი, მიხჯება და მიედევნება დღეები დღეებს და რომ არა ღვთის განგება, ვინ იცის, იქნებ საერთოდ დალექილიყო ჩემს წიაღში, როგორც აუთვისებელი მასალა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი, ბატონი არმაზ სანებლიძე შემაგული- ანებს:

იქნებ საახალწლო ჩანახატი მოგვიტანო თქვენებურზე, რომელიც იმედიანი თვალებით უმზერს,

ჯერჯერობით, სავალალოდ, საკმარისზე მეტად შემღვრეულ ჩვენს საწუთროსო და ცნობიერების შრეებში მყისვე ამოტივტივდება ობუჯელი მეურნე კაცის, ქიაჩის მონასტრის ყმის, ვალიკო მესხიას დაგლერტებული სახე.

კოლხისათვის ჩვეული აღნაგობისაა — ნაფოტივით თხელი, ძვალკანა, ძარღვიანი. ისე აიაღმართებს ასკაგუბურას ფერდობებს, თითქოს ტრიალ მინდორს მიუყვებოდეს ღიღინ-ღიღინით.

ხო, მართლაც, მინდორმა გამახსენა, წითელმა მინდორმა, უკეთ, ნათელში მყოფი მეგობარი მწერლის, გოდერძი ჭეიშვილის, ამავე სათაურის თხზულებამ, მთელი ცხოვრება წითელი მინდვრის სანახავად რომ ემზადება მოთხრობის პერსონაჟი, იხილავს და იმედგაცრუებული ხელს ჩაიქნევს ფანტაზიორი ხალხის ფეხისხმას აყოლილი. არადა, ცნობილი ჭეშმარიტებაა: საზოგა- დოება უმიზეზოდ, უსაფუძვლოდ, შეუფერებლად არაფრისდიდებით მონათლავს ამა თუ იმ ადგილს, მოვლენას. რას ვიფიქრებ ათწლეულების შემდეგ, დიახაც რომ წითელი მინდვრის სივრცე-არეალში მოვექცევი: ფრთიანი სიტყვის, თამამი წარმოსახვისა და ძირმწარე რეალობის მორევში მოჯაფარე ჩემებურების გარემოცვაში. არ მინდა სიტყვა გამექცეს, ვინაიდან შეპირებული უვერტიურა დაწნეხილი სტილით მთხოვს სათქმელის გადმოცემას, თანაც მიზანსწრაფულობაც მოსანიშნია ოთხივ კუთხით: მე ხომ განუმეორებელ ადამიანებზე გპირდებით საკმაოდ ვრცელი სინამდვილის გადმოცემას?!

ახლა კი, როცა ნახირი შეფენილია ლებოროტის უხვბალახიან კალთებს, როდესაც საკონდახოს მთის მწვერვალზე ბარჩხალა მზე გადმომდგარა და ასკაგუბურელი მესხიების ძელურის ალიბეჭეს კვამლს დასავლეთისაკენ მიაბოწოწებს თავგამოდებული ნიავი, სახელდახელო ტაბლას ოთხნი მივსხდომივართ საფუტკრეთში: თავად უბატონო მასპინძელი, ლეო ქიაჩელის, რეჟისორი ძმები შენგელაიების თუ პოეტ ვახტანგ ხარჩილავას ობუჯის მკვიდრი, მწყემსი და მიწისმუშა ვალიკო მესხია; ტელევიზიის საინფორმაციაო პროგრამა ,,მოამბეს'' მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჩინებული მელექსე ბადრი ცირამუა, ჩვენი მეგზური, პოლიციის გოლიათი სერჟანტი □დათვები და ფირალები რომ დაგვიფრინოს), რომან კახიძე და — თქვენი მონა-მორჩილი.

ვსხდევართ ფიჭვის გადახერხილ მორებზე, ამ სეზონზეც რომ გასწევენ თავის დანიშნულებას, მერმე დააპობენ და შეუკეთებენ აგუგუნებულ ბუხარს.

სუფრაზე გამოტანილია ჯერაც კვამლგაუკარებელი სარანჯი — ფიჭა და სანთლის დაჯაჭვული არაყი სირჩებით.

სამი წლის ღვინოს მოგვიანებით შემოდგამს სახლიკაცი სუფრაზე, როცა ,,შედარებით სერიოზული სადილი გახაზირდება''. ახლა პრელუდიაა, მოთელვა, სიტყვის ყადრის მკლავჭიდი.

დაბლა აკოკრილი სიმინდებია, ლამის ხექტარნახევარზე, მთიანი გარემოსათვის სადაგი, ბარისაზე ტანმორჩილი, მაგრამ ტაროებით დაკაპანებული.

ფერდობებს შუა რამდენიმე ასეული ნაბდისგაშლა ზოლით მიუყვება იგი აღმოსავლეთისაკენ, რომელიც აყაროს ყლივით ვიწროვდება ნელინელ. სილურჯე კი ატყვევებს და აშთობს ყოველივეს, სულისშემგუბველად, თვალისმომჭრელი შეფერილობის ოკეანედ. ყოველწლიურად ორ ტონამდე მოსავალს იმკიან თურმე მესხიები ზურმუხტი სავანედან.

ყურთასმენაში ფუტკრების გაბმული ზუზუნია და ორერგასეული სკა მომცრო ქალაქივით ჩამწკრივებულა მზით გაჯერებულ, ტერასებადქცეულ მთის ფერდობზე.

აყვავებული აკაციების სიმრავლეა.

სიმწვანეში აქა-იქ გახირულა ფითრისგან თუ ლაფნიჭამიასგან ზეზეურად ჩამომხმარი ნაძვები, ცაცხვები, — საშიში სენი შეპარვია მამულის საშვილიშვილო ტყეებს, მაგრამ ეს საკითხი უფრო განშტოებითია, მომავლის სასაუბრო თემაა, რომლისთვისაც და კიდევ მსგავსი მრავლისთვის, მოვიცლით რამდენადმე ქვევით და ქვევით.

ახლა კი, ამ ამობრდღვიალებული მანათობლის ფონზე, სამშობლოს სატკივარს ვეხმიანებით საფუტკრეთის მინიატურული ქალაქით გარშემოტყმულნი და გასაკვირი არაფერია, რომ სტუმრები ხმაგაკმენდილნი ვსხდევართ ენაწყლიანი მასპინძლის წინაშე, ვინაიდან თითოეულისთვის არსებითი ვალიკო მესხიას სულის აბაბანებაა, მისი გულის მჭეხარების ექო ამ უკაცრიელი ხეობიდან, სულ მალე თოვლის ქარავნებით რომ ამოიქოლება მთელი ექვსი თვით და რადგანაც ,,ორშაბათი'' შეგვირქმევია ჩვენი მოფრთხილებული სჯა-ბაასის მონაკვეთისთვის, ისევ ვალიკო მესხიას მონოლოგს დავსჯერდეთ გულის საბოლოო ამობერტყამდე, ჩვენეული ძუნწი ჩარევებით აფერადებულს:

— უბატონო გლეხები ვართ ჩვენ, მესხიები, — ახალგაზრდული ხმით გვიმხელს მარტოსული ხეობის მახვში, — ამას წინათ ობუჯში დოკუმენტურ ფილმს იღებდა თურმე ჩვენს საგვარეულოზე,

დისშვილად საკადრისი, კინორეჟისორი კარლო ღლონტი. შემატყობინეს და ვეახლე ჯიშ-ჯილაგს. სამი ხარი ჩამოვკიდეთ, ერთ-ერთი ჩემი ჯოგიდან იყო, რქანაყარი. ყბის ორი მოქნევა ხორცი ძლივს გვერგო თითოეულს. გაიხარა სულმა და გულმა. რა სჯობია, როცა სისხლხორცი ერთად შეიყრები, ერთი ცისქვეშ შემჭიდროვდები, ერთ კოცონთან, ერთი ფუძის, ერთი დედაბოძის გარშემო, პატივს მიაგებ წინაპრების ხსოვნას, მოკეთეს გაახარებ და მტერს ჯავრით გაუხეთქავ გულს?! ქიაჩის ყმები ვართ ჩვენ, მესხიები. დაილოცოს მისი სახელი, დიდია უფლის განგება! ხოდა, იმას ვამბობდი, ქართველებს გადაშენება არ გვიწერია, თითოეული ჩვენ-ჩვენი გვარების გარშემო თუ დავირაზმებით!

— ეგ, როგორ? — სული წასძლევს ბადრი ცირამუას.

— როგორ და ჩვეულებრივ, აქამდე რანაირადაც მოვღწეულვართ, ისე. ახლო წარსულში მკერდში მჯიღის ცემით დავაფრიალებდით ლოზუნგებს:

მოვსპოთ სხვაობა ქალაქსა და სოფელს შორისო და ტაშსაც ვუკრავდით ცბიერი მტრის მიერ ყველას თვალწინ გამოტანილ ერის სასიკვდილო განაჩენს. ახლაც მოიწევენ ჩვენსკენ, რათა აღგვხოცონ მიწის პირისაგან, მაგრამ ვერ ეღირსებიან ქართველის გადაშენებას. ბიჭებო, ხა, როგორ დაიმღერეს მთიანეთში? „ვინა თქვა თუშთა დალევა, ნაპირმოტეხვა — ცისასაო?!“ როგორც ცას ვერაფერს ჩამოამტვრევ, ქართველობასაც ნატამალს დააკლებს ვინმე, ოღონდ საკუთარი გვარის გარშემო დავჯარდეთ ერთიანად და ... შეიძლება გაგეცინოთ ჩემი ახირებულობის გამო, მაგრამ მოდი, ჯერ ჩვენ-ჩვენი გვარები ვადღეგრძელოთ და მემრე განვაგრძობ, ხო, ენგრე!

შევსვამთ. მივაყოლებთ ლუკმას. კვლავ აილესება სასაუბროდ ვალიკო მესხია:

— გვარს ებრძვის ქალაქი, ჩვენი გარეშე და შინაური მტერი. სამშობლოს გადაგვარება და გადაჯიშება, სწორედ რომ ამ შეგნების დამსხვრევიდან მოდის, თორემ რა წააქცევს ქვეყანას, რომელიც ურთიერთმიყოლის ნიჭზეა აგებული. არაფერში გვარგია ჩვენ გადამთიელის მიბაძვა. ღურუშ წამალ ოლაფარეს ელაჩანდ, ვოუჩქუდეს ვარავა: სიკვდილის წამალი ლაფაროსთან, ყურისძირას ხარობდა, არ იცოდნენ თორემო, — მოუთარგმნის რომან კახიძეს, — რატომ უნდა დავიბნელოთ გონება სხვისი მიმბაძველობით, როცა ერგას საუკუნოვანი და შეიძლება მეტიც, გმირული ისტორია გვიმაგრებს ზურგს?! აგერ, ქვასანაყი, ბარს ამოხყვა ტერასების გაშენებისას. შეხედეთ, როგორი გამოჩორკნილია?! ვინ იცის, რამდენი ჟამთატრიალი გამოუვლია ... ან წისქვილის ეს დოლაბი, ლაყუტია შვილიშვილმა რომ დამიმტვრია ფერდობზე დაგორებისას; ან კიდევ უხსოვრობისდროინდელი ჭურები, მძლავრ ფესვებს რომ მოუგნია და დაულეწია დროთა ვითარებაში, მაგრამ ერთი ხომ მაინც გადარჩენილა, ერთი ხომ მაინც არის ჯერაც ცოცხალი, ღვინის ასაბორგებლად ვარგისი?! ხოდა, ესენი არაფერს შემოუნახავს გვაროვნული პრინციპით ცხოვრების მეტს. გვაროვნული კულტის აღდგენა და დაწინაურება უმთავრეს ქვითკირად მესახება ჩვენი ქვეყნისათვის. რამდენი გვარი იქნება დღევანდელ საქართველოში? — მოგვაჩერდება სახეზე სათითაოდ.

— დიდი დიდი ორიათასი, — უპასუხებს ბადრი ცირამუა.

— შეიძლება მეტიც, — ჩავერთვები საუბარში მეც.

— ამისი გაგება არ გაგიჭირდებათ თქვენი ხელობის ხალხს. თავად რამდენი გყავთ გვარში თითოეულს?

— ოთხას ოცდათხუთმეტი სული, — არ ვაყოვნებ პასუხს.

— ხუთას ცამეტი, — იტყვის ბადრი ცირამუა.

— ჩვენ ქვიშასავით ვართ, ალბათ, ხუთი ათასამდე, — თავმომწონეობს რომან კახიძე.

— კარგად გქონიათ საქმე, — ჩაიღიმილებს გულთმისანი მასპინძელი, — ჩვენ, მესხიები, სიმრავლის მხრივ საქართველოში ბერაძეებს, მაისურაძეებს თუ თუნდაც კახიძეებს მაინცდამაინც ვერ დავეტოლებით, მაგრამ სამაგიეროდ ერთი დიდოჯახი გაგვაჩნია. სუფთა სისხლის ქართველები ვართ, არც გააფხაზებულა ვინმე და აღარც — გაგურულ-გაიმერლებულა. ნუ მიწყენთ კეთილ ხუმრობას. გვარის სიწმინდე მისი წინამძღოლის უნარიანობაზე ხკიდია და არა — ძირძველობაზე, როგორც ამას უსაფუძვლოდ მიუთითებენ ზოგჯერ. გვარის ჩამოყალიბებას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვსო, გამიგონია, სამასი-ოთხასი წელიწადი, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ღონიერ გვარს შემუშავებული აქვს აღორძინების თავისებური გზა, ხერხი, საშუალება: ურთიერთხელგამართვაა ეს თუ უვარგისის მოკვეთა, უკუგდება. გვარი შიგნიდანვე იწმინდება ბიწიერისგან, როგორც წიდისგან რკინა ცეცხლში გამოწრთობისას და პირმართალი ეგებება სახელმწიფო საქმეებს. თქვენთან თუ არიან მესხიები? — ჯაჯის ტბის მიმართულებით იყურება. მილიციის ოფიცერი კახიძე საპაგონე ვარსკვლავს შესციცინებს ბრდღვიალა ცაზე. ბადრი ცირამუა თავს გადააქნევს უარყოფის ნიშნად. ისევ მე შვერჩები ხელში.

— ენურისპირა ოტობაიაში სახლობენ. ახმახი ვალოდიას შველივით დინარა თანაკლასელი იყო

ჩემი. მისი უფროსი ძმა ტოტოშა მგონი ბუმკომბინატშია დაფუძნებული. თითებმოღუ- ნული კუკუია არაკუნებს ქარვის კრიალოსანს. ყომარბაზმა ბონდომ ჭაკი ცხენების დევნა მოიშალა. მოძმის ხელით გაწირული დეიდა- შვილი ბესიკი მივაბარეთ მანცხვარკარის მიწას. ოქროს ხელებიანი ნაპო არის უმუშევრად, სადღაც რკინიგზის სადგუ- რის სიახლოვეს, ზუგდიდშივე. გენრი ლექსების წერაში მეპა- ექრება. დაახლო- ებით ისეთი პროპორციაა, როგორც ღლავსა და ჭიჭიყინას შორის. ვერაფ- რით მოუნელებია პირველ რომანში საცივი რომ დავუწუნე მესხიებს.

— ეგ, რანაირად? — ჩააფრინდება ფრაზას მარტოსული ხეობის მეუფე.

— წყვეტერია გამოსდით საცივი-მეთქი და გადავყვე ლამის ამ სიტყვას. გადა იყო კიდევ ჩვენთან, შეუდარე- ბელი. ღვინოს ვედროთი სვამდა, თუმცა ახლა ჭიქაც ყოფნის.

— შვილს რომ თავი ახადა საკუთარი ხელით? ეგეც თქვენებურია?

— დიახ, ოტობაიელია ნაპო მესხიაც. უბედურ ნუკრიას თვითონ გაუკეთა ოპერაცია და თითქმის ნახევარი სიცოცხლე აჩუქა. ჩინებულ ლექსებს წერდა ის უიღბლო.სატელევიზიო გადაცემა მივუძღვენი ერთხელ მის შემოქმედ ებას. ნაპო ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსია, ვინც წარბშეუხრელად ჩაფრინდა მოსკოვიდან სოხუმში და ადამიანურად დაელაპარაკა აფხაზებს. ოტობაიამდე ჩაიყვანეს მანქანით. სამ კილომეტრში ცხოვრობს ჩვენგან, სოფლის ცენტრამდე. იცნობ?

— მაგას ვინ არ იცნობს, ბაბაგე! წლების წინათ მიმიგზავნია ცოლოურები სოხუმში. ობუჯში ვნახე ბოლოს შარშანწინ. მთავრობის კაცი გახდა, მაგრამ ამპარტავანობამ ვერ აჯობა. როკივით მიუდგომელია და ამავდროულად წკნელივით დამყოლიც.

— ზუგდიდელი არსენა პრეზიდენტ გამსახურდიას ახლდა ბოლო სამ თვეს.

— ვანოს შთამომავალია?

— თავურის დიდოსტატ ვანოს ათი შვილიდან ბაჯას და პაწუს ვიცნობ, კიდევ — ჯემილას და ნინულას. ოქრომჭედელი არსენა ხომ მთლად უბატონო მესხიების განსახიერებაა. ბაყბაყდევი ნაცარქექიად მოგეჩვენე- ბოდა მასთან შედარებით. ადგილიდან ვერ დაძრავდი. მოხდა ეროვნული ტრაგედია და სამ კვირაში შეიფერთხა კაცი. ჩამოდნა, ორმოცი კილო დაიკლო. მერე პრეზი- დენტის თანხლების დღეებში ხომ მთლად ტყავი და ძვალი დარჩა. მიწერია ამეებზე მეორე რომანში.

— ძალიანაც კარგი, მაგრამ საცივის ამბავი მომხვდა გულზე. ალბათ, სუპში აგერია ან ხარჩოში. მესხიების ქალებს საკამპანიო საცივისა და კუჭმაჭის შესაკმაზად თვენახევრით ადრე იბევებდნენ ხოლმე, მაგრამ ვფიქრობ, შენისთანა სიტყვაფხიანს არც მაგის გამორანდვა გაუჭირდება, — მსუბუქ ხელკავს გამომსდებს. ისედაც ჩამორჩენილ თანამგზავრებს მიივიწყებს, — სხვას გეკითხები ახლა: რომელი უფრო იოლი მოსავლელია, მუშტივით შეკრული ორიათასი დიდოჯახი თუ უკუღმართად დაგრეხილი ხუთი მილიონი ადამიანი? ეს ხომ იგივეა, რაც ამ ფერდობებს შეფენილ ფუტკრებს სათითაოდ დაუწყო კუდში დევნა გულისნადების გასამჟღავნებლად?! ამისთანა საქმისგან გამოვა რამე? არაფერი ჭირიმე! მაგრამ როდესაც ის ფუტკრები თავთავიანთ სკებს მოაშურებენ, მაშინ ადვილია თითოეულის ოჯახის მიხედვით ყოველი სატკივრისა და ჭირ-ვარამის მკურნალობა. ამი- ტომაც მიმაჩნია, ყველამ უნდა ვიზრუნოთ საკუთარი ძირების, ფესვების სიახლოვეს შესამჭიდრო- ვებლად. გვარის გარშემო დარაზმულ ქართველებს ვერაფერი წააქცევს. იქ დუდკოჩი* გონივრუ- ლად განსაზღვრავს მემრე რომელი ქალიშვილია გასამზითვი, რომელი ყმაწვილისთვისაა სწავლა- განათლების ფული გადასახდელი, ვის სახურავს აკლია კრამიტი და ვის ულუფას — სანელებელი.

მოკლედ, ამდაგვარი გზით მოარულებს, დარწმუნებული ვარ, უცხოეთი ვერც გულგრილობა- გულცივობით მოგვერევა და ვეღარც — მაქინაცია-ხრიკებით, ქვასავით მაგრები დავუხვდებით სეტყვის შემოტევას. ესეც რომ არა, ჩვენი სამშობლო გვაროვნულ პრინციპზე რომ იყოს აგებული, მაშინ ერთმანეთში გავარკვევდით ურთიერთობებს აფხაზი და მეგრელი შონიები, ხუბუები, სხვანი, რომლებიც გუშინწინ თუ გუშინ ღვიძლი ძმები ვიყავით ... მაგრამ სწორედ გვაროვნული ურთი- ერთობის მოშლის გამოა დღეს მოსისხლე მტრებად ვქცეულვართ.

— გვაროვნული ურთიერთობა კაცობრიობის განვლილი ეტაპია, — მოვიშველიებ თეორიულ სა- ფუძვლებს მორგანიდან თუ ენგელსიდან, — გვარის შემჭიდროვება ეკონომიკური აუცილებლობითაა განპირობებული, მაგრამ ფულის გამოჩენა დავიწყებას გააყოლებს პირადი ინტერესებით შეკავშირე- ბულ ერთიანობას, — გამოვაცლი საძირკველს ვალიკო მესხიას მეცადინეობას ჩვენი სახელმწიფოებრივი მოწყობის გზაზე, — ისტორიის ბორბლის მობრუნება ამაო ცდაა, ასეთია მსოფლიო გამოცდილება.

— ეგ ყველაფერი საპნის ბუშტია, — მომაპყრობს გამჭოლ მზერას, — რატომ უნდა წავიდეს ადამიანი მაინცდამაინც უარესობისაკენ? ნუთუ ოდესმე მაინც არ გამოიღვიძებს მის სულში საუ- კუნო განადგურების შიში? მაშ, ღვთის ხატად შექმნილს რისთვის ვუწოდებთ? დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან გამოერკვევა იგი საღათას ძილიდან, რომელსაც პირობითად უმეცრება შე-

ვარქვათ. როგორ შეიძლება ჯანსაღი გამოცდილების უგულებელყოფა?! წარსულში დაღვინებულია უფრო სანდო, თუ სიბნელეში ხელის ცეცებით მობოდიალე? ხოდა, იმას ვამბობ, საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი თუ როსტოკაკა გვარების: ბერაძეა ეს, მაისურაძე, მესხია, ფეტელავა თუ ცირამუა, ხო, კახიძესთან ერთად, მათი კურთხევისა იყოს! თოთოეულ მსხვილ თუ წვრილ გვარს ხყავს თავისი ყოჩი, ავ-კარგის გამრჩევი, ჭკუის მოსაკითხი და ამისთანა საკრებულოსგან გაძღოლილი საქართველოა უფრო საიმედო, თუ მოსყიდვებითა და ანგარებით შეკოწიწებული პარლამენტი?! მაგალითისათვის, ჩვენს გვარს თავის დროზე დიდი შოთა მესხია მესვეურობდა, მაღალ-მაღალი და ფიცარივით თხელი შოთა მესხია, მაგრამ რადგანაც იგი აწ ნათელშია, ახალი წინამძღოლის გამოძებნაც არ გაგვიჭირდება, ვთქვათ და, სიტყვისათვის, თუნდაც ვერცხლისწყალივით დაუდგრომელი და თვინიერიც ამავდროულად, იაშა მესხია, იაკობი ჩვენი.

— ჩვენს ჯიშ-ჯილაგს გაუმარჯოს, გვარის გარშემო დარაზმულს! — ამგვარად ვაფორმებთ სამეული მასპინძლის მიერ მერამდენედ თავსმოხვეულ დებულებას. ვფიქრობთ, აწი მაინც შეეშვება აკვიატებულ თემას, მაგრამ გაგონილა?

— გვარი ფარია ჭირიმე, ჩვენი ადათ-ჩვეულების შემნახავი ბურჯი, გალავანი, ხოლო სახელი ერთკაციისაა, მარტოკაცის, მრავალი ნიშან-თვისების, ვითარების შედეგი. მაინც საბოლოო ჯამში ისიც ქვეყნის სამსახურშია, როგორც ამოღებული მახვილი და როცა საიმედოდაა მომარჯვებული ორივე ძალა, იქ წაფორხილება გამოვა?! სახელიანი კაცი იოლად გაიტანს თავს დუნიაზე, რადგანაც ამოშიშვლებული ორლესულივითაა და ადვილია მისთვის გზის გაკაფვა, მაგრამ ყველა ხომ ვერ იქნება ალექსანდრე მაკედონელი თუ იოსებ ჟორდანია?! სახელიანი კაცი ფხიანია და მოხერხებული, მის წინაშე ფარ-ხმალს ყრის ნებისმიერი ზღუდე, მაგრამ ყველა ვერ იქნება ორნახადი არაყივით, დარანა! ზოგი ჟვენდერიაც გამოერევა გვარში, შედარებით მოჩლუნგებული, მოუხეშავი, რახივით მოშვებული, უიღბლო სულაც. რა, გავწიროთ სიკვდილისთვის, დავიწყებისთვის?! არ მითხრათ, ახლა უცებ პროფკავშირი მიხედავს ან სხვა ვინმე უცხოელი, ფულიანი ბიძაო! ტყუილია ეგ. ის შენი ჯიბესქელი გადამთიელი პაპაჩემის ხნოვანების ქვეყნის მკვიდრია და ჯერ კიდევ მაჭარი ადათ-წესით ყოყლოჩინობს, რომელი ადათ-წესიც, ვინ იცის, როგორ დაღვინდება ხვალ-ზეგ. შეიძლება ძელგი ღვინოს მაგივრად სულაც უჟმური ხასიათის გამოდგეს, უჯიშო ჯორივით რომ იკბინება აღმართში. ვისაც სამშობლოს შეგრძნება არ გააჩნია, ადვილად წყეტს სხვის პრობლემებს, ურწმუნო თომასავით თითებით იქექება ქრისტეს ნაიარევ ფერდში!

ვალიკო მესხია საფუტკრეთისკენ იმზირება, ბილიკის ძირას მოწანწკარე წყაროსკენ, საიდანაც წელიწადნახევრის წინათ გარდაცვლილი მეორე ვაჟიშვილის პირმშო მოზოზინებს. მისი შემხედვარე ბერიკაცი თავს წარამარა აქნევს. მიაჩნია: დედამ მოადუნა, ზედმეტი ლოლიავით გააზარმაცა, არ უშვებს ბაბუასკენ ხშირ-ხშირად, არიქა, საქმიანობით წელში არ გაწყვიტოსო. ფული რომ შემოაკლდებათ, მხოლოდ მაშინ მოაკითხავენ მოხუცებს. ქალაქმა გადააჯიშა, იქაური უნიათო ყოფის ნირმა, გაუცხოებამ, გვაროვნულ ცხოვრების წესისგან განდგომამ.

— შემდგომ? შემდგომ რანაირად წარმოგე- სახება ჩვენი სახელმწიფოს მოწყობა? დავუშვათ, დავირაზმეთ ჩვენ-ჩვენი გვარების გარშემო, მერე? — ჩავერთვები საუბარში.

— რა მერე?! ნუთუ ვერ ვთქვი მისახვედრებლად? მომდევნო რგოლი სოფელია, ბაბაგე, გური, გვარებისგან ზგუმონჯილი— ჩაგრაგნილი— სოფელი, ხოლო მესამე — თავად კუთხე: ქართლი — კახეთი — იმერეთი — გურია — სამეგრელო — რაჭა — ლეჩხუმი — სვანეთი — აფხაზეთი — აჭარა — მესხეთი. განა სხვანაირადაა სხეულში? ადამიანის თითოეულ ორგანოს დასრულებული, შეკრული სახე აქვს თითქოს და მაინც მთლიანობაში— განუყოფელი, პიროვ- ნების ქედუხრელ სიარულს ემსახურება მიწყივ. ე, ბიჭო, გამოადგი ფეხი, ქვა არ დაგეჯახოს! გათბა წყაროს წყალი მაგ დოქში! ოფლი არ მოიდინო რამეფრად, წელკავი არ აიკიდო უცებ და არ დამღუპო!

ეხ, ჩემო ძვირფასო, მკითხველო, დროებით აქ მოგვიწევს დამშვიდობება ჩვენს მართლაც განუმეორებელ მასპინძელთან, რომლის თაობაზე კვირეული შეხვედრების შემწეობით მთელი წიგნი დაიწერება, მაგრამ რადგანაც თხზულების ხასიათი გარკვეულია: კალენდარული სტილით ვაპირებ გამოცნაურებას ვალიკო მესხიასთან, ალბათ, მიმიხვდებით, რომ შემდგომ და შემდგომ მოსათხრობი უამრავი თემა განზე მოგვიტოვებია: გერმანელი ტყვეების სასაფლაოა ეს საირმეს შემოსასვლელთან; ექვსი შვილით დამსაჩუქრებელი თანამეცხადრე ქეთი ნერგაძე, ღამ-ღამობით გზაში შემობნელებულს ხეზე რომ სძინავს ნადირისგან თავდასაცავად; თუ კოსტაია თორთლაძე, რომელიც გამომჯავრებელი უნდილაძეების ქალებს დაგრილებით დაექადნება ბერბიჭას კვალობაზე და ისინიც ფერებ-ფერებით მიიტყუებენ ერთხელ ,,გულღიად'' მირთმეულ სუფრაზე, შემოეხვევიან, ღვინოს მიაძალებენ და სუფრის შუაგულში რომ მოხალვათდებიან ვითომ სოფლის აშიკს შეპირებული

თამასუქების გასანაღდებლად, შეფუცხუნდება ჩვენი კოსტაია, წამოკრეფს მოდუნებულ ტან-ფეხს, მაგრამ ვინ არის ცოცხალი თავით გამშვები, დიდი ლაფშასი რომ აბია იმის უხილველად? გაწამაწიაში შემოე- ფხრიწება კოსტაია თორთლაძეს სამოსელი, ფთილა-ფთილა, პერანგისა და მისი ძმობილის ხათირბაშობით, ხოდა, ასე დედიშობილას, უმაქნისი ვაყა-საოხრეს ამარას მოუწევს ახალ-შეფოთლილი ვენახებით წამელაკუდება.

ალბათ, იმასაც მიგვიხვდებოდით, რომ ჩვენი ბელეტრისტული ბაასის პერსონაჟი, ობუჯელი მწყემსი ვალიკო მესხია, განუმეორებელ წალენჯიხაში კი არ იმყოფება, ზრდილობითა და თავაზიანობით განთქმულ მხარეში, არამედ— რაჭა-იმერეთის სადავო ტერიტორიის ბინადარია, უძირო ჯაჯის ტბის მესაკუთრე, წაბლა წყლის მეუფე, ასკაგუბურას ბატონ-პატრონი, შქაგორას, კვარკვალიას, დიდღელესა და უნაგირა მთის გამგებელი, საირმის დამსვენებლის დამპურებული სიმინდის ფქვილით, სულუგუნის რძიანი ყველით, ოქროსფრად წამობლანტებული თაფლითა და საქონლის ხორცით, მაგრამ ყველაფერზე — მოგვიანებით და რიგისობის მიხედვით თანაც.

ᲗᲐᲮᲐᲨᲮᲐ*

სისხამზე თუ მიდაისებისას, საირმეს ხეობაში ხანჯლით გასაჭრელი ნისლი ჩამოწვება ხოლმე. გუშინდელი აფერდობებისგან ტანში მამტვრევს, დაჭიმული კუნთები მტეხს, მაგრამ თანამეცხედრე ნანა ხუფენხეს წინაშე თავს ვიყოჩაღებ, ფეხდაფეხ მივსდევ მთაში სიარულის ადათ-წესის კვალობაზე.

საცალფეხო ბილიკს ელსადენის ნეკისსისხო შავი კაბელი მიუყვება, ყოველ მეტრნახევარში ღონიერ მავთულზე საიზოლაციო ლენტით დამაგრებული დიდთოვლობისგან დასაცავად. შუქი, ელექტრონი, ასკაგუბურელების სიამაყეა, მათი მიყრუებული ცხოვრების გამამზიანებელი და ხალისის შემომტანი, ამიტომაც არაფერია გასაკვირი, თუ დღეში სამგზის — საუზმე-სადილ-ვახშმისას, როგორც წესი, ალალმართლად ილოცებოდნენ ზესტაფონის მილიციის უფროსი, ობჩელი როლანდ კობახიძე და საყოფაცხოვრებოს მესვეური მელიტონ ჭურაძე.

— გაიხარა მამამისის სახელმა და გვარმა, — ორჯერ ახსენებს გუშინ ვალიკო მესხია, ელექტრონის პრობლემებზე ჩვეული, გამოწვლილვითი საუბრის შემდეგ. ორჯერ დალოცავს ორ პიროვნებას, ოღონდ მრავლობითში კი არა, როგორც ამას შანიძისეული გრამატიკის კანონები მოითხოვს, მხოლობითში, შერწყმულად, გამთლიანებულად. ახლა ორი ინდივიდისგან ნაბოძები, ის სიკეთე, ერთ მთელშია თავმოყრილი: ,,გაიხაროს მამამისის სახელმა'', იტყვის ვალიკო მესხია და აქ უცილობლად როლანდ კობახიძისა და მელიტონ ჭურაძის მამები უნდა იგულისხმო, განსხვავებული გვარ-ჯილაგისანი, გამორჩეული წარმომავლობისანი, მაგრამ ერთი კაცურკაცობის მადლით შემკობილნი.

ავმოსაგონარიც უამრავი აქვთ ასკაგუბურელებს.

მოხუცი ცოლ-ქმარი მარტოობისას სიტყვაძუნწები არიან. ხმის ამოუღებლად დაკუსკუსებენ ფერდობ და ფერდობ. უკიდურეს შემთხვევაში გამოეხმაურებიან ერთურთს, სხვამხრივ, თვალსაწიერზე, ხელის გაწვდენაზეა თითოეული და სიტყვების კორიანტელს რაღა ფასი აქვს?

სტუმრიანობის ჟამს თავს ვერ იოკებენ ადამიანებს მონატრებულნი, ეგ არის და ეგ. შენ იტყვი და ახლა ვინმესი ეხათრებათ თუ ერიდებათ იოტისოდენად?! ერთხელ ცეცხლსასროლი იარაღი წაართვეს თურმე, ცალლულიანი თოფი — ,,ცენტრელკა'', მაგრამ მესხიებს ბერდანკები და შაშხანები საიმედოდ გადაუნახავთ დათვების, თუ ავყია მომხდურის დასაფინთიხებლად.

ქეთი ნერგაძე არაფრით ჩამოუვარდება ჩუბინობაში ,,თავის ყაზაყს'', ზოგჯერ — პირიქით, მეტი უღლის გამწევია კაფანდრა და ძვალკანა, რომელმაც ექვსი შვილი გამოზარდა წვალებით — ,,კიბირშა გენძგილაფირო''.

ნურაფერს გაიოცებთ, ამ რაჭა-იმერეთის საზიარო ტერიტორიაზე, მეგრულ ფრაზებს თუ მოკრათ ყური ქეთი ნერგაძის პირიდან. სიყვარულმა საზღვარი არ იცის თურმე და ისწავლა კიდეც საქმრისიანოს ობუჯში, წალენჯიხაში, ჩაღწევამდე სამი მაზლის გამომზრდელმა დედაკაცმა.

აშარი ქალის სახელით მოიხსენიებენ საირმელები. ვიცით ამის თაობაზე ჯერ კიდევ გუშინდლიდან, და როდესაც მოხერხებულ დროს შევურჩევთ მეტსახელის გასაშიფრად, სკამის საზურგეს მიაწვება ქეთი ნერგაძე, კოპლებიან ლეჩაქს მოიხალვათებს, მჭიდროდ წაიკრავს შუბლზე, ღიმილს კი არა და არ იცილებს ბაგეთაგან.

— არ მიწყენს თოლი, — ასე მიმართავს ქმარს ქეთი ნერგაძე, — და უფრო ცეცხლიანი გამოვდექი, ალქერქუ თქვენებურად. იყნენ აქ კორესპონდენტები, თვალის და კუჭის მოსატყუებლად რომ მიმოიხედავდნენ გარშემო. ხო, რას ეძახდნენ აქაურობას? ე... ეზოტიკას, და როცა დაიმწყურვალებდნენ

სულსა და გულს, წავიდოდნენ ათასი შეპირებით:

გაგწერთ წიგნებში, გაზეთებში, ფოტოებს გამოგიგ- ზავნითო, მაგრამ მტერია მათი მოიმედე. დაზუთხულივით მახსოვს ჩემი ანიანგიანი და საუბარიც ამისთვის მემჩატება. არა, მთლად უმიზეზოდ როდი მეძახიან მხეცს, ნადირს, ტყიურს. აბა, ასეთ უკაცრიელში გამოყრუებულს შეიძლება სხვა სახელი დაერქვას?

რაიკომის პირველი და მეორე მდივანი სასიკვდილოდ რომ მივასილაქე, კუდიანიც მაშინ მიწოდეს.

სტალინი პატივს გვცემდა. რას ვაშავებდით? აქ გავზარდე, ამ ტყე-ღრეში, ექვსი შვილი. ანგელოზი ქმარი შემახვედრა განგებამ ... ოქროსთმიანი, თაფლისფერი თვალების, ალვასავით ტანწვრილი, ბალნიანი და ძარღვიანი.

სხვა რა უნდა მდომოდა შავტუხა იმერელ ქალს? დაეწაფე სიცოცხლეს უკვდავების წყაროსავით და ილხინე სულო, მაგრამ ბედნიერებას ვინ დაგაცლის, განსაკუთრებით შენიანმა თვალში თუ ამოგიღო?! აკი, დაიჩივლა ხემ: ნაჯახი რას დამაკლებდა, შიგ ჩემიანი რომ არ იყოს ტარად გაჩრილიო.

ბიბლიოთეკის გამგე ვიყავი ბაღდათში, მოგვიანებით — აქ, საირმეში. გერმანელი ტყვეების გამოსარჩლების გამო ამითვალწუნეს. ეგ ყველაფერი — საბაბი, ცხადია, მთავარი ჩემი თოლი გახლდათ, ჩემი ვალიკო მესხია, მისი წარმომავლობა, მისი კოლხობა, მეგრელობა მარტივად. ბერია ახალი განადგურებული იყო და ალბათ, ყველაფერი გასაგებია: თითქოს თავზე გადაგვდიოდა რძე და თაფლი, ბობოლები ვიყავით, წურბელები, ხალხის მტრები. ჩვენი ბრალია, შრომას რომ დოვლათი მოსდევს?! ან დამნაშავე ვიყავით განა ყველა სტუმარი ჩვენს შემოგარენს რომ აწყდებოდა? ყველა ცნობილი ადამიანი ჩვენს ჭერს რომ ეტრფოდა? უფროსებს, თანამდებობის პირებს, ეხალისებოდათ აქეთკენ გამოსეირნება, საპატივცემლო ხალხის წინაშე თავისმოწონება ჩვენი ხელით შექმნილი საოცრებებით. ხოდა, გასკდნენ ზოგ-ზოგები ბოღმით, შურით. ქვეყნის მოღალატეებს გვეძახდნენ, დეზერტირებს, საწუთროს დამაქცევრებს.

ავასახლოთ და გავყაროთ აქედანო, არც მალავდნენ გულისწყრომას პირისპირ საუბარსა თუ ზურგს უკან.

ვალიკო მესხია თავს აკანტურებს. თვალები ღიმილით ეწკურება: როდინდელ ამბავს ხყვება „სიბრძნის კბილივით ტკბილი მეუღლე“.

სისხლისფერი იზაბელა ძრომდეა დაყვანილი ოთხლიტრიან, ყელაწვართულ ბოთლში. ქალებიც შემოგვშველებიან საამისოდ, თორემ უარესად წაგვივიდოდა საქმე საირმის წყლით გაჭყპილებს. „საირმესთან“ ღვინო ფინთია თურმე. ქარვასავით კამკამაც რომ იყოს, ეგრევე ჟანგავს, აშავებს.

დააკვირდით მესამე წყაროსთან მდინარეში ჩასასვლელ ხვრეტილს და უზარმაზარ დანალექს — ბაკანს რომ შენიშნავთ, ყველაფერს ირწმუნებთ. აი, არაყთან კი მოგეცა ლხენა, დიდებულია. როგორ იტყვის თავად ვალიკო მესხია?! „არაყთან საირმე? ცეუხ“!

— მილიციის უფროსმა, გვარს არ ვიტყვი, — აგრძელებს ოჯახის დიასახლისი ქეთი ნერგაძე. თვალს თვალში მისწორებს საუბრისთვის მეტი ბუნებრიობის შესაქმნელად, — ამოყორდა, ამოყიამყრალდა:

აიყარენით, გადაშენდით აქედან, ყლამდე ავივსე თქვენზე საჩივრებითო. დროზე თუ არ გადაიხვეწებით, თავად რაიკომის მდივანი მოვა და ერთიანად მიგაბრძანებთ სადაც ჯერ არსო.

დავტოვე ქმარ-შვილი ერთი დღით. საავადმყოფოდან ახალი გამოსული ვარ. ბრმა ნაწლავმა შემომიტია. ექიმი მთვრალი შემხვდა — ვანიჩქა ხარაბაძე და საკალანდო ღორივით გამფატრა, მაგრამ რა მომერეოდა ჯოჯოხეთის მაშხალას, მგელზე ამხედრებულს და ცოცხით მფრინავს ღამღამობით? მე ხომ ნემსი მისდღემში არ გამიკეთებია. თოვლში ფეხშიშველა მივლია და ჯაჯის უძირო ტბაზე ზამთარში მიბანავია შვილებთან ერთად. არც ულამაზო მეთქმოდა, კოჭებამდე მცემდა ხშირი, ნახშირივით ნაწნავები, მაგრამ ეგ იქით იყოს და მივადექი რაიკომის მდივნის კაბინეტს. მდივან-მემანქანე წინ მეღობება:

ხვალ ბიუროა და მოხსენებაზე მუშაობსო.

მართლაც ტყიურივით ხომ არ შევეჭრებოდი უმიზეზოდ რაიონის თავკაცს?! მოვბრუნდი შინ, საღამოსპირზე, საყიდლებით ხელდამშვენებული. მიკვირს ბავშვები ბილიკზე რომ არ მეგებებიან. ყველას თავ-პირი ჩამოსტირის თოლისთან ერთად.

რა ხდება, რაშია საქმე-მეთქი, ძლივს ვითქვამ სულს. არავინ მეხმიანება. ის კი არა, უმცროსები ზმუკუნებენ კიდეც. გავიხედავ და რას ვამჩნევ, ჩვენი სანაქებო ტალავერი გაკაფული არ არის?! მიწაზე ყრია მაჯისსისხო ვაზები, შაბიამნით საგულდაგულოდ შეწამლული, მოსხეპილია ხეები ... თითქოს აღა მახმად ხანს გადაუვლია სამოსახლოშიო. თვალთ მიბნელდება, მაგრამ ამაღამ რანაი-

რად მოვიხელთებ რაიკომის მდივანს და მის ამფსონებს?!

ოჯახში ტრიალი ნელ-ნელა დამაწყნარებს. შვილების ალერსი გულს მომილბობს რამდენადმე. გადავიფიქრებ იარაღით მიხდომას ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ბარე ერთი-ორის საიქიოს გასტუმრებას. დილაბნელზე ჩავირბენ დაბლათში, მოგვიანებით მივადგები რაიკომის შენობას. ჩაკუპატებული მდივან-მემანქანე კვლავ გადამიდგება წინ.

ბიუროა, ანგარიშს აბარებენ ცეკას ინსტრუქტორსო, დაზუთხულივით მომაყრის სხაპასხუპით.

მეტი რა მენდომება უსამართლობით გაწამებულს?!

შევიჭრები და შევიჭრები.

მდივანი კუთხეში კრუსუნებს წელში ოთხად მოკაკვული.

გავუპირდაპირებ რაიკომის პირველ მდივანს. ვერავინ მეღობება წინ. გახევებულა დიდ-პატარა, უფროს-უმცროსობა.

მივიწევი და მივიწევი რაიკომის მდივნის ღაბაბისკენ, ჩესუნჩის ქათქათა კიტელისკენ. სამელნე თვალში კარგად ამომიღია. ორბუდიანია, სარქველი ზედ გადამხობია ორივე ღრმულს, მარმარილოსია, ფითქინა.

სკამის საზურგეს აწყდება რაიკომის მდივანი. მარტო რომ იყოს, ჩემი გმირობების ხუთი თითივით მცოდნე, მოცოცხავდა კუდამოძუებული, მაგრამ ცეკას წარმომადგენლის წინაშე გაქცევა, გნებავთ, უკანდახევა, რავარი საქმეა და ვამჩნევ, ვამჩნევ, როგორ უფართოვდება თვალები, რაჟამს მარმარილოს ზორბა სამელნეს დავწვდები, ისე მოვიქცევ ხელში, თითქოს ხელყუმბარა მომემარჯვებინოს. ვხედავ გაფიქვინებული სახისკენ რანაირად მიიწევს ორივე ხელის კოტიტა, გაქონილი თითები და მეც არც ვაცივებ და არც ვაცხელებ, ეგრევე პერანგზე მივასხამ პირთამდე სავსეს ხოლო უკვე გამოცარიელებულს, ნიკიტას გაფაშფაშებულ სურათს მივადღლეზ. ასე გასახტებულს დავტოვებ თითოეულს, მაგრამ შურისძიების იშტას არც მერე მოიშლიან.

რაიონის თავკაცები ბულდოზერს მომაყენებენ ჭიშკართან ორ დღეში და მაშინ რომ დავტენი საიმედოდ გადანახულ ბერდენკებს და შაშხანებს, სულ ავანაპერწკლებ იმ მუხლუხებს ტრაქტორისტის თუ მომყოლების ტალახში ამოსალუფხად.

გადაიკარგებიან და გადაიკარგებიან.

მალე ნიკიტასაც წყალს შეუყენებენ და მოვისვენებთ ჩვენც სტალინის, გერმანელი ტყვეების ქომაგობის თუ ბერიას გვარ-ტომობის გამო.

ხელმარჯვნივ წისქვილია. ვეება ლოდებზე მოკამკამებს ჯერხანობით ჩვენთვის უსახელო მდინარე, სინამდვილეში კი თეთრად, ,,ჩედ'' წოდებული.

ბონდი ორძელისგანაა, შუაში საყრდენი ბიჯებით. დავითვლი ზედ დაჭედებულ ნახევარმეტრიან ლატანებს და 33 შემრჩება ხელთ.

ყოველი ჩასაქცევი საიმედოდაა გამაგრებული. მუხის ძელია ხეებს შორის გადებული და ქვაღორღით ამოვსებული. აკაციის სარებიც უხვადაა მოშველიებული.

ბილიკზე დავარდნილ ქვას კი არა, უბრალო კენჭსაც ვერ იხილავ. ყოველ დილა-საღამო ჩაივლ-ჩამოივლის აქ ქეთი ნერგაძე და ფეხისწასაკრავს როგორ დატოვებს გზაზე?!

ეს კვირაძალი ჩვენი პატივისცემით არ ჩამოვაკდება მესხიების მოუსვენარი დიასახლისი საირმეში. დამსვენებლებს მოენატრებათ რძიანი სულუგუნი, თაფლი, ხილი და ბოსტნეული. ადგილობრივი წესრიგის დამცველები ახლაც წაკბილავენ აქა-იქ ნერგაძეების ასულს, მაგრამ ძაღლების ღავღავის გამო გაჩერებულა ოდესმე ქარავანი უდაბნოეთისა?!

შუადღეა.

მე და ჩემი მასპინძელი საფუტკრეში ვტრიალებთ. ღალიანობის პირველი პერიოდი დამთავრებულია ბარში. აქ კი, ამ მიკროკლიმატის ასკაგუბურაში, ახლაც ყვავილობს აკაცია, ცაცხვი და წაბლი. შქერია ყოველ ნაბიჯზე, რომლის თაფლი მწარე და მათრობელაა. მის გემოს იწვნევენ ერთხელ მომხდური ბერძნები, როცა დათვრებიან და გახდებიან კიდეც კოლხების ხანჯლების წერა.

ფლორა საირმისა თუ წალენჯიხისა კოლხურია, ტყუპისცალივით გვანან ერთმანეთს. ყოველ ნაბიჯზეა ჯუჯა გვიმარა, გვიმრა, ჩემი გოლიათი სამშობლოს სინონიმი საერთოდ, ვეება-უშველებელი ოდესღაც, ოდესღაც მასავით გადაჯიშებულ-გადაშენებული და გაგვიმრუჭებული, აწ ცელითაც რომ ითიბება. აქაურები ჩადუნასაც ეძახიან ამ მცენარეს. ჩადუნელების გვარით ხომ გადაჭედილია მთელი ზეკარს აქეთა ხეობა?!

ვირისტერფას, მრავალძარღვას სიაურაცხლეა.

რძიანათა ტევრებია, ღვედკეცები გადახლართვია წაყირავებულ თუ ინიციალებით აჭრელებულ ბუმბერაზ ხეებს.

მოსულან დამსვენებლები ორმოციან, ორმოცდაათიან, სამოციან, სამოცდაათიან, ოთხმოციან წლებში და თავიანთი გვარ-სახელებით წაუბილწავთ მათი ქათქათა ტან-სხეულები. შემდგომ დაჯირჯვებული გარსი მოუკიდებია ხეს, შეუწოვია ის მთავრული ასოები, ნაჯახით თუ დანა-წალდუნათი ამოჩიჩქნილი, წაუშლია უმეტესი, განსაკუთრებით საუკუნის შუალახნისა, და ერგასი წლის შემდეგ, სავარაუდებელია, რომ მათი ნასახიც გაქრეს საერთოდ უსიერი ტყის ავანსცენიდან... ბუნება შეუვალი კანონით მოიცილებს თავიდან დამამცირებელ სვირინგებს, იარლიყებს ...

ამეებზე მეფიქრება მეფუტკრის პირბადეთი აღკაზმულს. ვალიკო მესხია კი სახეშიშველია. ხელს გადიბანს ოდენ საფუტკრეების შემოვლის წინ. ახალ ხალათს ჩაიცვამს:

— ფუტკარს იშვიათი ყნოსვა აქვს, რისი მეშვეობითაც, ისინი რამდენიმე კილომეტრის რადიუსით ეძებენ საკვებსო, — მიმხელს.

ფუტკრის ცხოვრებაზე უამრავი წიგნი წამიკითხავს. სატელევიზიო გადაცემაც მომიმზადებია ოთხმოციან წლებში. ბევრი მსმენია იშვიათი მეფუტკრეებისგან: კოჩია ქარდავასაგან, ლადმერ კვარაცხელიასგან, მაგრამ ვალიკო მესხია შეუდარებელია. ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტას ფუტკრის ცხოვრებით, სკის კანონზომიერებით ლამობს. მანახებს ექვსკუთხოვან ფიჭას:

— ერთადერთი გეომეტრიული სხეულია, რომლისგან წვეთი არ იღვრება ჩასხმის შემდეგო.

მიდი და ნუ ერწმუნები.

გუშინდელი საუბრებიდან ორი პასუხგაუცემელი ფრაზა მიღიტინებს სულში: რა კავშირშია მესხიების ოჯახი გერმანელ ტყვეებთან და კიდევ — რანაირად უპასუხა ვალიკომ აფხაზეთში გადასახლებულ მეზობლებს, რომელთაგან ხუთწლიანი კონფლიქტის მანძილზე უკან ერთიც არ მობრუნებულა, ფაქტობრივად ჩვენს მტრებად დარჩენილან და ვინ იცის, იქნებ ჩვენი სისხლიც კი დაღვარეს ნიღაბაფარებულებმა თუ სახეგამოჩენილებმა?!

მივუყვებით მწკრივებს. სამხრობამდე შორხანია. გაზეთებიც ბლომად ამომიტანია თავის შესაქცევად. მივსხდებით მოგვიანებით ჩრდილქვეშ და წავიმუსაიფებთ, სანამ მზე გადაიხრებოდეს, სანამ სანატორიუმში ცოლის დისშვილისა და ცირამუების ოჯახის იმედით დატოვებული შვილები გაგვახსენდებოდეს.

— მართლაც ყოჩაღი ქალი გყოლია, — ვუქებ მეუღლეს ვალიკოს მესხიას.

— ხო, ყველაფერი გამართლებაზეა. ოჯახის გულისთვის დედალ ავაზასავითაა მომართული ნიადაგ. საერთოდ, ცნობილია, მამალი ნადირი, პირიქით, ვნებს თავის პატარებს: ხვადი ლომი, ნიანგი, სხვანი, საკუთარ შვილებს ერჩიან, ჭამენ ძუთა განსხვავებით. გამონაკლისი დედაღორია, მართლაც ღორი!

— მაინც რა უნდოდათ? ექვსი ძმიდან ორი სამამულო ომში მოხალისედ წასულა. უამრავი ბიძაშვილ-მამიდაშვილი დაგიკარგავს იქ უგზოუკვლოდ თუ გმირულად. ასაკით ოცდასამის ყოფილხარ ომის დაწყებისას.

— მართალს ბრძანებ, ოცდასამის, და კიდევ სამი შვილის მამა. აქაური კომისარი მეგობრობდა ჩემთან. ,,ბრონი'' მომცა, იგივე ჯავშანი, დაბას რომ ვამარაგებდი პროდუქტებით. მოკლედ, გამიღიმა ბედმა და გადავრჩი ტყვეობას თუ სიკვდილს, მაგრამ გაწვევის ბარათი რომც მიმეღო, მე ომში წამსვლელი მაინც არ ვიყავი. კომუნისტურად როდი აღვზრდილვარ. არც ოქტომბრელი ვყოფილვარ და აღარც — პიონერი. წითელი გალსტუკი მისდღემში არ მიფრიალებია. არც კომკავშირულად ვიბაგუნებდი მკერდში მუშტს და კომუნისტებსაც იძულებით ვქომაგობდი, ვინაიდან მათ ნებასურვილზე იყო დამოკიდებული ჩემი არსებობა. აკი, გეხსომებათ, როგორ გამიჩანაგეს ჩინებული ტალავერი და როგორ მომიჭრეს მსხმოიარე ხეები ორმოცდაათიან წლებში. ამას ბუნების შვილი იზამდა?! არა! ადამიანები მაშინ იღუპებიან, როცა რაიმე ნიშნით დაიწყებენ გამორჩევას, გამოკერძევებას, ქრისტიანია ეს, მუსულმანი, კომუნისტი თუ კაპიტალისტი; როცა პიროვნებას მომეტებით დაუწყებ პატივისცემას, ან სიძულვილს, უმთავრესი დანიშნულება — ადამიანურობის გამო თაყვანისცემა — თითებს შორის გაგისხლტება და იქ მორჩენილია ოცნება საუკუნო განსასვენებელზე. ახალი წელი ჭირივით მეჯავრება საერთოდ. ჩამოივლიან ტყის მცველები, იგივე ეგერები, მოჭრიან აწვართულ ნაძვებს, საარაკოდ გაქუჩუჩებულებს. ყმაწვილკაცობა არ დასცალდება, გირჩას ვერ მოისხამს ზოგიერთი ისე, ძირში, ძირში მოსხეპენ და ერთკვირიანი სიამოვნებისთვის ჩააბრძანებენ ქალაქს. ამისთანა ადამიანებს გვერდების იფნის წკნელით აჭრელება არ უნდა აკმარო. ცემა, გაჯორვა არაფრის მაქნისია, უნდა მიაჩეჩო ხელში ბარი, აჩიჩქნინო მიწა და ერთი მოჭრილი ნაძვის სანაცვლოდ ათასი უნდა დაარგვევინო! სხვანაირი დასჯა მე არ მესმის.კაცის მკვლელს ყულფში რომ გააყოფინო თავი, ადვილია, ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამბობენ ამერიკაში ელექტრონის სკამზე აჯენენ დამნაშავეს და საფრანგეთში — გილიოტინათი წააცლიან თავსო, მაგრამ ჩვენ რომ სიკვდილით დასჯა გავაუქმეთ?! ვფიქრობ,

უფრო დიდი სიკეთის განხორციელება შეუძლებელიცაა, თუმცა ეს არ ნიშნავს კაცისმკვლელს არ ხქონდეს კანონის შიში თუ უზენაესის ორანი.

— ორანი შიშზე მეტია, — ჩავერთვები მე.

— დიახაც. შიში მარტივია, ორანი კი რაღაც აღუწერელი რიდია, აი, სიტყვა ,,ვაშინერსს'' რომ ახლავს. რა ხქვია მაგას ქალაქურად?

— არ ეგების, არ სახსენებელ არს, კიდევ გააჩნია შესატყვისი პოლინეზიურად: ტაბუ, ტაბუ აქვს დადებულიო.

— მიეთ-მოეთებისა აღარაფერი ვიცი. დიახაც, იმ ორანით, ვაშინერსის მაგვარი რომ არის, ათასძაფეულით უნდა იყოს შებოჭილი ავისმზრახველის, ავისმოქმედის სარბიელი. ვთქვათ და მოკლა ვიღაცამ შურით, სიხარბით მოყვასი თვისი, სიტყვისთვის, კაენმა — აბელი. არ მოაკვდინა ამის გამო მამაღმერთმა ეს უკანასკნელი. დაესაჯა — ჩვეულებრივი მოკვდავის საქმეს ჩაიდენდა — შურისმაძიებლობას, რიგითებისგან არაფრით განსხვავებულს. ის კი ღმერთი იყო და სიცოცხლე მიუსაჯა, მოსპო მორალურად და არა — ფიზიკურად, როცა მის ჯიშ-ჯილაგს დამნაშავის დამღა მიაკერა საშვილიშვილოდ.

— მაგრამ ხიტლერისთვის რომ დაგვეცლია, მთელს კაცობრიობას ამოჟუჟავდა და ვიდრე ღმერთი მოსთხოვდა პასუხს, ყურმოჭრილ მონებად გადაგვაქცევდა ოსვენციმებსა თუ ბუხენვალდებს გადარჩენილ ზოგ ერს ქართველებიანად.

— ეტყობა ველარ გამოვთქვი გასაგები ენით. მე როდი ვამბობ, როცა ვინმე მოსაკლავად დანას გიღერებს, არიქა, ყელი მიუშვირე-მეთქი. მკვლელის, არაკაცის ზნეობრივ დასჯაზე მოგახსენებდი. ფუტკრის სკა არ ცნობს მუქთახორას. ისიც არაკაცია ოჯახის თვალთახედვით. როგორც გარედან შემოღწეულ ჭიანჭველას, ბზიკს თუ თაგვს, სასიკვდილოდ გასწირავენ მხარ- თეძოზე უსაქმურად მოკოტრიალე თვისტომსაც. ფუტკრისთვის ორნაირია მტერი: მომხდური, წალეკვას რომ გიპირებს და შინაური, საძირკველს რომ გითხრის. ფუტკარი ამ შემთხვევაში მოწოდების დონეზეა ყოველთვის.

— მთავარი საკითხი მაინც განზე გვრჩება, — ღიმილით შემოვაბრუნებ ბანზე აგდებულ სიტყვას.

— მაინც რომელი? — ჩამეკითხება გულუბრყვილოდ.

— აი, გერმანელი ტყვეები, რომელთა ქომაგობის გამო თურმე ლამის აგყარეს ასკაგუბურადან.

— პირის გარმონის ოსტატები იყვნენ ეგენი, იშვიათი მშენებლები, საარაკო ხელოსნები. უკრავდნენ ყოველგვარ ამინდში, სამხიარულოსაც, სევდიანსაც. ჩვენთან ომის მიწურულიდან დაიწყო გზის მშენებლობა. მანამდე ცხენის სავალი, დამტვრეული ბილიკი მოიკლაკნებოდა აქეთკენ... ლაღუმებით აფეთქებდნენ კლდეებს. არავინ იცავდა შრომის უსაფრთხოებას. ტყვე-ივანთა სიცოცხლე ხომ ყინულზე ეწერა გერმანიაშიც და არც აქაურნი დაგიდევდნენ რამედ რომელიმე ტყვე-ფრიცის გაღმა მარილზე წასვლას. წესსაც არ აუგებდნენ, ისე მიაბარებდნენ საირმეს ძმათა სასაფლაოს. ბაღდათის რაიონის გამგებლის, დალოცვილიშვილი გურამ გეძაწის უშუალო თაოსნობით აღადგინეს შემდგომ ის საფლავები, სულ სამოცდათხუთმეტი ჯვარია წამომართული იქ, მაგრამ რატომ ორჯერ და სამჯერ მეტი არ ჩაქვესკნელებულა უსამართლო წუთისოფლის თვალწინ?! მითხრა ერთხელ ქეთიმ:

მათი ცოდვით ვიწვებიო. რაიმე წიგნი მქონდეს გერმანულ ენაზე, გავრისკავდი, ორ კილოგრამ თაფლს ვუფეშქაშებდი ზედამხედველს და ვუსახსოვრებდიო.

მერედა, ვინ გიშლის-მეთქი. აბა, გაიხსენე, რას ეუბნება აღაზას ალხასტაიძე ქმარი, როცა ქისტებისთვის ურჯულო ზვიადაურს ცხარე ცრემლით დაიტირებს-მეთქი. წადი რაიონში, იქაც თუ ვერაფერი იპოვო, დედაქალაქისკენ გასწიე, ოჯახის საჭიროებისთვისაც წამოიძღოლიებ რამეს. აბა, შენს ბიძასავით, ფულს ,,ფეჩის ტრუბაში'' ხომ არ დავაობებთ-მეთქი.

— რომელ ფულზეა საუბარი?! — შევაწყვეტინებ წამით.

— ოოო, ეგ განუმეორებელი გახლდათ, ალისტორე ნერგაძე. მაგისთანა ღვინოს ვერავინ აყენებდა დუნიაზე. უცოლობაში, უშვილობაში ამოხდა სული. ღუმელს არ ანთებდა, შეშას არ აჭაჭანებდა ოჯახში. ზამთრობით მის ფიცრულში ინდაურის უკანალის ფერი ედო ყველაფერს სიცივისაგან. ტყე თავზე ეყუდა და მაინც სიცივისგან ძვრებოდა სული. ხელები კანამხალის მწნილისგან ამოღებულს უგავდა დღემოსწრება. ცეცხლს იმიტომ არ ანთებდა, რომ თურმე ,,ტრუბაში'' ფულს ტენიდა, ერთი პირთამდე გაევსო, მეორე — სანახევროდ. აბა, როგორ?! დაანთებდა ცეცხლს და ხომ სახალხოდ გამოჩნდებოდა მისი დოვლათი, კვამლი ამოახრჩობდა ბედდამწვარს. ასეთი გახლდათ ალისტორე ნერგაძე, ჩემი ,,კნეინას'' გარეგნიძაშვილი და ვუხსენე კიდეც საჭიროების შემთხვევაში. დედაკაცმაც ყურად იღო ჩემი დარიგება, ქალ-ვაჟი აიდევნა; ფეხსაცმლის ზომების აღებას, სჯობია, ადგილზე მოვარგებო.

ორი დღე-ღამე გადაიკარგნენ, თბილისელ მესხიებს ესტუმრნენ, დიდ შოთას. უშოვიათ წიგნები, ღმერთმა უწყის, რომელი და რანაირი. დატვირთულები ჩამომივიდნენ: ბავშვები — ახალთახალი ფეხსაცმლების ჭრაჭაჭრუჭით, ცოლი— აკადემიკოსი ბიძაშვილის ,,ძლევაი საკვირველით'' და გერმანული ზიმზიმა წიგნებით. დავიღუპე კაცი. მიაქვთ თაფლი ჯარისკაცებს, გადასცემს ცოლი რომელიღაცას საგანგებოდ შენახულ წიგნს. გაჩხრეკვისას ჩამოართმევენ კოლონიაში. კვლავ ამოქმედდება თაფლი, კვლავ ახალ წიგნს უფეშქაშებს რომელიმეს ჩემი ქეთი. ტრიალდება ისევ ძველი სურათი. ბოლოს მიადგნენ სამკითხველოს კარებს ,,კაგებედან''. გამოიკვლიეს ჩვენი ავანჩავანი. შუა იმერეთში, საკავშირო მნიშვნელობის კურორტში გამოიჭირეს ცოლ-ქმარი: ქალი გერმანელ ტყვეებს ამარაგებს მშობლიური ლიტერატურით; კაცი— დეზერტირია და რომ არა სულცხონებული, რაიკომის მდივანი პეტრე ნანიტაშვილი, ციმბირი ზურგს უკან დაგვრჩებოდა.

შეუდარებელი კაცი იყო მართლაც პეტრე, შრომის ფასი იცოდა, მოლხენაც. ბუნება უყვარდა სიგიჟემდე, საათობით შეეძლო ეცქირა გადამტვრეული წიფელისთვის თუ ძირგამოთხრილი კოპიტისთვის. ეგ რომ ყოფილიყო ახლა, ამერიკული სენი, არ ვიცი, რა ჯანდაბას ეძახიან, ჩვენებურად კი ფითრია, როდი მოინელებდა, როდი ამოგვიცოხნიდა ტყეებს.

ობუჯიდან შემთხვევით არ ავყრილვართ. შვიდიოდე წლის ვიყავი, საირმეში რომ გადმოვბარგდით. მიყოლებით გაჩენილი ძმები შაშხანის ტყვიებივით ვეტოლებოდით ერთმანეთს, აქ დავეფუძნეთ. გამოქცევის საბაბი კი, დიახაც, გვქონდა, ლევან მესხიას ჯიშ-ჯილაგს. ნასწავლი კაცი გახლდათ, კომერსანტი. მარსელიდან ჩამოიტანა კრამიტის საბეჭდი. ხასხასა, წითელ კრამიტს ვაცხობდით მესხიები. კომუნისტები გადაეკიდნენ, კულაკი, ხალხის მტერი უწოდეს. დიდხანს იმალებოდა, ოცდათხუთმეტი თუ ორმოცი წელი- წადი, საკუთარ ოჯახში გათხრილ გვირაბში. შვიდიოდე წლის წინათ გარდა- იცვალა, ქედუხრელი, როგორც ნამდვილი მესხია. არც ჩვენ დაგვაყენეს კარგი დღე, როგორც საზოგადოების ბაცილის პირდაპირ შთამომავლებს, ჰოდა, ავიკარით გუდა-ნაბადი. ამისთანა ბიოგრაფიის კაცს ,,კაგებეს'' ჩხირკედელაობა მენდომებოდა სწორედ, მაგრამ პეტრე ნანიტაშვილი გადაგვეფარა, ვერაფერი დაგვაკლეს.

ნამუსიანი ღვინო უყვარდა ცხონებულს. ალისტორე ნერგაძე სიძეს მეძახდა და ღვინოც საცურაოდ მქონდა. ფუტკარივით ეხვეოდა მუშტარი. ამფსონებიც უამრავი აკითხავდა, კახეთიდან, ქართლიდან, რაჭიდან. სულ მასთან მიხქონდათ ურმებით უმწიკვლო ,,ხვანჭკარა'' და ,,წარაფი''. ყოველ ნაბიჯზე ჭური ემარხა. საწნახელები დევებივით მხართეძოზე წამოწოლილიყვნენ მის ეზოში. ორშიმოები, აბზინდა, ბლის ტყავი, ერთხელ რომ ძვრება წელიწადში; ხერკეები, ტუტლები მეგრულად, ნაირნაირი სასმისები, ფიალები და ჭინჭილები, სახელგანთქმულ მუზეუმს ამსგავსებდა იქაურობას და მეც საპატიო სიძის კვალობაზე, ალისტორე ნერგაძისგან არაფერი მაკლდა.

ფულსაც შესაფერისს ვუტოვებდი, რომელსაც უბედურიშვილი ეგრევე ,,ფეჩის ტრუბისკენ'' მიაქანებდა თურმე. როცა უთვისტომოდ გადაშენდა, კი დავმარხეთ საკადრისად, ღვინო აკლდა თუ ჭურჭელი, მხოლოდ მოგვიანებით, სტალინის ფულს ყავლი რომ გაუვიდა და ნიკიტას მოციცქნული შემოეტია, შემთხვევით ალისტორეს ,,ფეჩის ტრუბას'' წამოავლო ხელი რომელიღაცა მეზობელმა: ვინ იცის, იქნებ მოვარგო ჩემს ღუმელსოო, მიუსადაგა ამანაც და ოთახში კვამლის ბუღი რომ დატრიალდა, მაშინ გაირკვა ყოველივე. შეუჩუჩხუნეს ჯოხით და არ გადმოცვივდა არშინიანი თუმნიანები? ეხ, ალისტორე, ალისტორე!

— აფხაზეთში რატომ არ გადახვედით? განა აფხაზეთი უფრო ახლოს არ იყო წალენჯიხასთან, ობუჯთან, ვიდრე — საირმე, თქვენი ასკაგუბურა? — შევუცვლი საუბარს მიმართულებას მერამდენედ, — აკი, თავადაც განაცხადეთ, უამრავი მოკეთე გვყავს იქო. განა მათ სიახლოვეს ცხოვრება არ სჯობდა უკაცრიელ ალაგას ყოფნას, სადაც ნახევარ წელიწადს ადამიანი არ ჭაჭანებს, გამოსასაუბრებლად ძე ხორციელი გენატრება?

— მე ვინ მკითხა? უფროსი ძმები გამოეშურნენ აქეთ. თურმე ნახირი უძოვებიათ ძიკი კვარაცხელიას და ბაგრატ ფიფიას მხარდამხარ. საძოვრების ქირას იხდიდნენ მამასახლისთან, ან სოფლის ყოჩს ბეგარას უტოვებდნენ ნამატიდან. ეს იყო და ეს.

აფხაზეთში არ არის საირმესნაირი საძოვრები. აქ ზამთარი განსაკუთრებით თბილია, თუმცა ბლომადაც ჩამოთოვს ხოლმე. ზაფხულობით მსუყე ბალახი იცის საირმეს შემოგარენში. მერე და გაციმბირებით დაშინებულ კაცს გაემტყუნება საითკენ გარბის?! ოღონდ სამშვიდობოს დაიგულვოს თავი და რას დაეძებს აფხაზეთში მოხვდება, რაჭასა თუ იმერეთში? მოგვიანებით აფხაზეთშიც გადავსულვარ მე, მშობლიურ ობუჯშიც გამიტარებია რამდენიმე წელიწადი, მაგრამ ასკაგუბურას არაფერი შეედრება ... მართლაც ნამდვილი სამოთხეა.

— გააფხაზებულ მეგრელებთან თუ გისაუბრია საქართველოს ჭირ-ვარამზე?! საინტერესოა რას

ფიქრობდნენ, მაშინ, მშვიდობიანობის დროს და რას აკეთებენ ახლა მოსისხლეობის პირობებში? — მაინც ჩემსკენ შემოვაბრუნებ სათქმელის ღარს.

— ბაბაგე, გური, დიდი პოლიტიკისა შეიძლება ნაკლებად გამეგება. მე ტყის კაცი ვარ, ბუნების შვილი; ბუნებაა ჩემი მასწავლებელი და მისით ვხსნი ხოლმე საზოგადოებრივ მოვლენებს. ასე რომ, ჩემი დასკვნები აქა-იქ შეიძლება კოჭლობდეს კიდეც ... მაგრამ ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, სამაგიეროდ გამძლეა, გამოსადეგარი, როგორც ბავშვობაში მსმენია — საწმოხუნო.

საუკუნეების მანძილზე რუსეთის იმპერიამ იმდენი იღონა, იმდენი ეცადა, რომ არც მოგვკლა და ზეზეურადაც ჩამოგვახმო, ჩამოგვაბეხრეკა. დედის მუცლიდან გამოყოლილი ჩვენი ფულისმოყვარეობა ხელზე დაიხვია და გაგვაყიდინა, დაგვაკარგვინა ერთმანეთი. გაგვაყიდინა შვილს — მამა, ქმარს — ცოლი, სოფელს — კუთხე, მხარეს — ქვეყანა. საკუთარი ყროლი არავის ზარავს თურმე და ვართ მძორში, ლეშში ცხვირჩარგულები, ჩვენივე გვამით გაბრუებულნი, თორემ ვინ, რომელი შეძლებდა ღვთისმშობლის წილხვდომილ საქართველოში განუკითხავ პარპაშს?

დავით აღმაშენებელი ვიდრე დიდგორზე მთელს მუსულმანეთს წამოაჩოქებდა და ძლევაი საკვირველით აღუდგენდა სამშობლოს შელახულ ღირსებას, ჯერ შინაურ პარაზიტებს მოუგრიხა კისრები, როგორც ამას მუშა ფუტკრები შვრებიან ხოლმე — ბაღვაშებს, ჯაჭვლებს, რატებს და ერისთავებს, ურჩებს და საერთო ინტერესებიდან განზე გადგომილებს, ღიაშე შურ მეუღუდესუნ,* ან თავი წააცალა სათითაოდ, ან გააძევა სამშობლოდან. წამოამუხლა მუსულმანეთი დიდი დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალმა და ეგრევე მათ სამლოცველოებს დაუწყო ხაფაციცი, მეჩეთებს და სინაგოგებს. რატომაც არა, იმ სულკურთხეულს ჭყონდიდელი ხყავდა მასწავლებლად! დღეს კი როგორია ვითარება?! ყაყანებენ ჩვენს გარშემო რუსეთის მიერ ჩამოთესლილი გუგულები, უხვად გამოჩეკილები ჩვენს მიწა-წყალზე, და მიყოლებით გვართმევენ ზაქათალას, ბიჭვინთას, აფხაზეთს, სამაჩაბლოს, მესხეთს თუ საორბელიანოს.

მეკითხები, გააფხაზებული მეგრელები თუ გინახავს და საქართველოს ჭირ-ვარამზე თუ გისაუბრია მათთანო. რამდენიც გნებავს. საერთოდ ეროვნებანაცვალ კაცზე საშიში არაფერია დუნიაზე.

— ასეთებს მანქურთს ეძახის ჩინებული ყირგიზი მწერალი ჩინგიზ აითმათოვი. ახალდაკ- ლული აქლემის ტყავს შემოაკერებდა თურმე ჟუან-ჟუანის ხალხი — ჩინელები — გადაპარსულ თავზე ტყვეებს და მზეზე დააგდებდნენ. გამომშრალი ტყავი არ უშვებდა ნემსებივით ამოშვერილ თმას, უკან შედიოდა თმის ძირებში და აუტანელი ტკივილით გათანგულებს წარსული სავსებით ავიწყდებოდათ. ერთ-ერთი ასეთი მანქურთი მშვილდ-ისრით განგმირავს, თავად ამ გონებაწართმეული ვაჟიშვილის ვაება-გოდებით მაძებარ საკუთარ დედას.

— კარგი მაგალითი შემომაშველე. ჟუან-ჟუანებიო, ბრძანე?! დიახაც, რუსი ჟუან-ჟუანების წყალობაა ყოველივე. სამშობლოდავიწყებულად გადააქციეს მათ ჩემი უამრავი ნათესავ-მოკეთე, მაგრამ, აი, უბატონო გვარის ხალხს, ამაყებს, თავაწეულებს, ჯიშიანებს და ქედუხრელებს — მესხიებს, ვერაფერი მოგვიხერხეს. ჯერ ქვეშქვეშურად წაიტყუეს ჩვენი მოკეთენი სამეგრელოდან, ეკონომიკურად ხელფეხშეკრულებს სამურზაყანოს ნოყიერი მიწები მიართვეს. მერე — ჯარში არ წავიყვანთ თქვენს ვაჟებს, ოღონდ პასპორტში აფხაზად ჩაეწერეთო, წაუიქედნეს. რა მნიშვნელობა აქვს ქართველს და აფხაზს, ორივე ერთ ქვეყანაში, ერთ სამშობლოში არ ვიმყოფებითო, აცდუნეს, დიახაც აცდუნეს და გუშინწინ, გუშინ მეგრული წარმოშობის ქართველებს დედით, მამით, პაპით, პაპისპაპით, ჩამათით და ჯამადით, საქართველოს გულისკენ სადინარი შეუცვალეს, სხვა წისქვილის ღარში მიუშვეს მათი უნარი და ენერგია. ოთხმოციან წლებში მოვხვედრილვარ მათთან, ჩხორთოლში, აგუბედიაში, კვიტოულში, სხვაგანაც.

რა სხვაობაა ჩვენს შორის, განა ერთნი არ ვართო, ირწმუნებოდნენ, მაგრამ შეიცვალა ვითარება და აღმოჩნდა რომ ყოფილა თურმე სხვაობა. ჩემთვის არ უკითხავთ ომის დაწყება და ამ მიყრუებული ასკაგუბურადან ხელს ვერ დავადებ უშუალო დამნაშავეებს, მაგრამ რადგანაც სისხლისღვრა აგორდა, ახლა შევხედოთ ზოგიერთი გააფხაზებული მეგრელი რა დღეში ჩავარდნილა? აქედან: აფხაზები ხართო და გაღლიტეს კუდის რიკამდე. იქიდან: ხედავთ, ვერ გიშველათ თქვენმა მეგრულმა ენამ, თქვენმა წარმოშობამ, ერთადერთი ჭირისუფალი ჩვენღა დაგრჩენივართ, გამოიჩინეთ თავი, თორემ მიგაყენებთ კედელთანო ... და იარაღი შემოატრიალებინეს საკუთარი და-ძმების წინააღმდეგ. რა ქნან ახლა გააფხაზებულმა მეგრელებმა? რაც შეიძლება მეტი სისასტიკით გაუსწორდნენ საკუთარ ნათესავებს, რათა შთამომავლობას სრულფასოვანი აფხაზის ღირსება-წოდება მიანიჭონ. ამიტომაც მძვინვარებენ ისინი გაცილებით მეტს, ვინემ თვით მუსულმანური წარმოშობის აფხაზები.

ამასთან ერთად, ჩემთვის სრულიად გაუგებარია სომხები რომ იცავენ ქართულ მიწა-წყალს

საქართველოში.

ეს ტომი თავის დროზე მათი ეკლესიის ხელშეწყობით დაფუძნდა იქ გუგულის კვერცხებივით გამოიჩეკნენ და ხომ ხედავთ, დღეს საქართველოს ძირძველ მიწაზე აფხაზების ინტერესების დამცველებად გვევლინებიან. სონ ჩიქახე, სო მიშახე.* სინამდვილეში თავიანთთვის წალდავდნენ და წალდავენ. ამიტომაც გვრჩება ორი გზა, ბაბაგე, გური!

პირველი და მთავარი, კაცთმოყვარე, ღვთიური: კვლავაც გონზე მოსასვლელად მოვუხმოთ ჩვენს ჯიშ-ჯილაგს. რა თქვი, მანქურთებივით გადაგვარებულებს, ხალხური სიბრძნის წაძღოლიებით დაველაპარაკოთ ერთხელაც და, თუ ამანაც არ გაჭრა, მოღერებულ დანებს ნამდვილად ვერ მივუშვერთ ყელს საზვარაკო ხბოსავით. მაგრამ უკიდურესობის ჟამს უფალთუფალი მახვილისკენაც მოგვიწოდებს ხოლმე: შეუსმენართ გვარიც უნდა წაართვა საბოლოო ჯამში და სიცოცხლეც, თუმცა ბაბაგე, გური, ვიდრე ამისთანა საქმეს თავს მოაბამდე, საჭიროა ჯერ შენი ცხოვრების წესი გადაასხვაფერო, ჯერ შენი არსებობის კანონები შეცვალო ვითარებისდა შესაფერისად და მერე აღმართული ნებისმიერი ზღუდე სასაცილოდ მოგეჩვენება უძლეველი იარაღის მფლობელს.

შეხედე, — სკიდან ქარვისფერ, ალაგ-ალაგ რუხზოლიან ფიჭას იღებს ვალიკო მესხია და მზის შუქზე მანახებს, თითქოს მანათობლის სხივი და აღნაგობა აკლდეს ბუნების უიშვიათეს ჯილდოს, — როგორ არის გადაბეჭდილი?! ასწლეულები გაირბენს და მის მთლიანობას ვერაფერი დაარღვევს შინაურ-გარეული მტრის მეტი. დაახლოებით ასეთია ჩემი სიტყვაც.

ჯუმაუხა*

მსოფლიოს ცნობიერება მერვე საოცრებაზე შემთხვევით არ შეჩერებულა, ვერ გარისკა მეცხრეც დაესახელებინა, რადგანაც ეს უკვე დიდი ხნით ადრე მოეაზრებინა ცაბაოთს, როცა საკუთარ სავანედ მიჩნეული ადგილ-მამული მის დღეგრძელებას შეყოლილ, უმიწაწყლოდ დარჩენილ მოქეიფე ქართველებს უშურველად მიუბოძა, თქმულების თანახმად. ხოდა, ამ მეცხრე საოცრებად გაუბზარველ საქართველოს თუ ვივარაუდებთ, მაშინ მის ზემწვერვალად, ზეკარად და ზეცად, დიახაც, საირმე წამოყელყელავდება მარადწარუშლელი შესასვლელითა და იგავმიუწვდომელი ადგილ-მდებარეობით.

ათწლეულებით ანგრევდნენ ამ პიტალო და ჯავრით გაყვიჟინებულ კლდეებს გერმანელი ტყვეები, რომელთაც მალულად მშობლიური წიგნებით ამარაგებდა ქეთი ნერგაძე. ახლა გოროზად აღმართულან ის ფლატეები მგზავრების თვალთა მიმტაცებლად, აქა-იქ ფოთლოვანი თუ წიწვოვანი ტყეებით შემოსილი და ოდეს ქანდაკებასავით გამოკვეთილ მოქანავე კლდეს — ოკვანეშს, იგივე სარწველას, აკვანს ვალიკო მესხიას სიტყვებით, გაუთანასწორდები, სუნთქვა შეგეკვრება, ერთი სიცოცხლე უეჭველად იქ შეგემატება, გოჯით მაინც აიწევი სიმაღლეში, მისხალით მაინც გაგიფართოვდება ძარღვები პირველყოფილი მშვენიერებით აჯანყებული სისხლის სათარეშოდ.

ქვასანაყის წარმოდგენა ვის არ ძალუძს. ხოდა, ნიგვზის ცხიმისგან გასლიპინებული ფილთაქვა წარმოიდგინე, მასშტაბებში ათეულ ათასჯერ გაზრდილი — წვერზე შეყენებული კვერცხი და ზედ ქვაბუნა ქუდივით ფუძით გადმომხობილი ქვიჯა.

თვალშისაცემია ღარი, შემაერთებელი ზოლი. მიწისძვრებს მრავლად უგრუხუნიათ აქაურობაში; პოსეიდონის სიტიქიას უთვალავჯერ უცვლია იერსახე ბუნებისათვის, მაგრამ ქვაქანციასთვის, ქვაოკვანეშისთვის ვერაფერი დაუკლია ძილისმომგვრელ ნანავს და მთლიანობაში მათ ზემორე მოხასხასე ფიჭვის შრიალი მარადიული ყოფიერების უკვდამყოფელ პოსტამენტად წარმოგესახება. მერმე — ჟანგარო, მიმინოსფერი ჟღალი, ორმხრივი პიტალოების გალავანი წაბლარისწყლის გარდიგარდმო ჩინურ კედლებად, დასტურ, სიცოცხლის დაუოკებელი ჟინით აგანთებს, ორივე ფეხი თუნდაც სამარეში გედგას.აქ ისტორიის მეხსიერება მწირია. აბორიგენი მოსახლეობა საუკუნეს ძლივს მოითვლის. ამიტომაც ტოპინიმები: მამანეთი, წაბოცეთი, ტეხსვანია, ლამაზმთა, მოღობლა ... ახალქართული ელფერისაა, თორემ ვინ იცის, რა დიდებით მოსილი ჟამ-წარსული ამზიანებდა ყოვლიარს?!

საირმე ზეგნელი ილარიონ გორგოძისა და სამეგრელოდან, ვალიკო მესხიასავით მოხეტებული მწყემსის, გუჯუ გაბედავას აღმოჩენილ-მონათ- ლულადაა მიჩნეული. კურორტი ზღვის დონიდან ცხრაასთხუთმეტი მეტრის სიმაღლეზე ამოტყორცნილა, უკეთ ფიალასავით ჩამწყდეულა გოლიათი მთების ალყაში და როცა ქვეყნიერება გრიგალებისგან წიოკობს დედაქალაქსა თუ სხვაგან, ხუთივე კონტინენტზე, საირმეში მოფიფქულ წიწვებს წამწამიც არ შეუტოკდება. აქ საუკუნის მიღმა ბელგიელები ხე-ტყეს ამზადებდნენ თურმე. აცურებდნენ შერჩევით მოჭრილ წითელ ხეებს და ისე

ამუშავებდნენ, ნაფოტსაც არ ხკარგავდნენ. მოგვიანებით თავად ნაკაშიძეს შეუსყიდია სახერხი ქარხანა ელექტროსადგურითურთ, მაგრამ მალე მოჯირითდება რკინის წითელი დროება და დავიწ-ყებას მიეცემა აბანოზის, დიდგვაროვნების თუ ბელგიური ფირმის სახსენებელი.

დროის მსახვრალი ხელისგან იავარქმნილია ფერსათის დედათა მონასტერი, მითიური კოლხე-თის მაჯისცემა, რომელიც ძალუმად ფეთქავს მიწის წიაღიდან აქა-იქ მწირად ამოშუქებული სამუ-ზეუმო ექსპონატების სახით. დავიწყებას მისცემია, აგრეთვე, კურორტ საირმეზე გამავალი ორმოც-კაციანი ტურისტული მარშრუტი — ვარძია-საირმე-ბაღდათი-ქუთაისი-ქობულეთი. ასოთხმოცი კილომეტრის ფეხით გავლისას ტკბებოდნენ ტურისტები ულამაზესი ბუნების სიკისკასით, მაგ-რამ აწ ესეც პერსეფონეს კუთვნილებაა, ლეთას — უხსოვრობის მდინარის წყალნასვამი.

გზისმკვლევ ბროშურებზე დაყრდნობით საირმეს მჟავე წყლები აუმჯობესებენ თირკმლის პარ-ციალურ ფუნქციებს. აწესრიგებენ შარდოვანის და დარღვეული ცილოვანი ცვლის მაჩვენებელებს. წმენდენ სისხლს მავნე მარილებისაგან. უებარია ქრონიკული ქოლიცისტიტების სამკურნალოდ. აწესრიგებენ დარღვეულ ნახშირწყლოვან და ცხიმოვან ცვლას. დროულად გამოყოფენ ორგანიზ-მიდან შლაკებს, აუმჯობესებენ ღვიძლის ფუნქციურ მდგომარეობას. არეგულირებენ იმუნოლოგი-ურ რეაქციებს. რაც შეეხება აკადემიკოს პავლოვის სკოლის დასკვნებს, საირმეს მინერალური წყლები რეფლექსურად და ხუმორალურად აღძრავენ კუჭის სეკრეციულ მოქმედებას, თირკმელების დიუ-რეზაციას და ასე შემდეგ ... სამკურნალო თვისებებით მან უკვე დიდი ხანია ჩამოიტოვა ერთადერთი კონკურენტი მსოფლიოში ნარზანი და დღეს საირმის წყალი უმეტოქო უკვდავებაა, რომ არა ჩვენი აღიარებული დოყლაპიობა.

საირმე ამჟამად სამი ძიძის ხელშია, სამი მეპატრონე ებღაუჭება კრილოვის იგავ-არაკის კვალობაზე: საკუთრივ „საირმელები“ გედის მსგავსად კურორ- ტის ცისკენ ატყორცნას ცდილობენ; „ცეკავშირელები“ ქარიყლაპიას დარად— წინწაწევას წაბლარიწყლის მოჩქაფუნე ტალღებით; და სახელმწიფო კონცერნი — უკუთრევას კიბორჩხალის ბუნებით;

რაც შეეხება საკურორტო ზონის უშუალო ხელმძღვანელ და მზრუნველ დირექციას, ბოლო ოთხი წელიწადია გალოკილი თითივითაა, ვინაიდან „საქკურორტში“ საგზურების საფასურად შესული თანხებიდან □სხვათა შორის საკმაოდ სოლიდურიდან), საირმემდე მხოლოდ შხეფები აღ-წევს. კურორტი, რომელიც ადმინისტრაციის შესაშური ძალისხმევით გადარჩენია ძარცვას, ნგრე-ვას და გაპარტახებას, ამჯერად გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს უმაღლესი ეშელონებიდან, შესაძლოა, თვით ქვეყნის პრეზიდენტისგანაც კი. ამთავითვე აუცილებელია საკურორტო ზონა გამოეყოს ბაღდათისა და ვანის რაიონების ტყის მასივებს და გადაეცეს ბაღდათის რაიონს, თორემ თუ გაგვახსენდება ბაღდათ-ვანის საზიარო, მესხიების ასკაგუბურას ხეობა, დილით ერთის საკუთ-რებაა და საღამოთი — მეორისა?!

მოკლედ, ხუმრობისთვის მოვიცლით ოდესმე, ახლა კი უმჯობესია უშუალოდ კურორტის დი-რექტორს, ბატონ გიორგი ჩხეიძეს დავუგდოთ ყური:

— მართალია, რამდენიმე წლის წინათ, თანამემამულეთა საძმო სასაფლაოს მონახულებისას, აქა-ური ბუნების მშვენიერებით მოხიბლულმა, გერმანიის ელჩმა საქართველოში, ნორბერტ ბაასმა გა-ნაცხადა:

ამისთანა მიწა-წყალზე განსვენება სიცოცხლის ერთგვარი გაგრძელების ტოლფასიაო, ჩვენ საირ-მეს მიმზიდველობით გულდამშვიდების, არხეინად ყოფნის უფლება ნამდვილად არა გვაქვს. თავის დროზე დაშვებულია დიდი შეცდომა, როცა მინერალური წყლების ფორმირების ზონაში დავიწყეთ საყოფაცხოვრებო ობიექტების გაშენება მდინარე წაბლარი წყლის ორივე ნაპირზე. ამას აწი არაფერი ეშველება.

— რატომ? — ჩავერევი საუბარში.

— ყველაფერი ჩვენი უხეირობიდან მოდის, — დააწყობს საქაღალდეზე ხელებს გიორგი ჩხეიძე, — თავის შეწუხება გვეზარება. მაინცდამაინც წყაროს თვალთან უნდა მივუსკუპდეთ მინერალურ წყალს. მდინარის დაბინძურებაც, ბუნებრივია, იწვევს სამკურნალო წყაროების დაბინძურებასაც.

დღევანდელი მდგომარეობა ასეთია: სარემონტოა წყალსადენის სათავე ნაგებობა, კომუნიკაცი-ები, მინერალური წყაროს „ბივატები“, ელექტრომეურნეობა. 30 წელიწადია აქაურობა კაპიტალუ-რად არ შეკეთებულა, ამაზე გაჩუმება არ შეიძლება, არც იმის თაობაზე — გზები რომ არ გაგვაჩნია. ჩვენს სასტუმროს ორ ვარსკვლავსაც ვერ მიაკუთვნებ. ამისთანა პარტახში, ცხადია, უცხოელი არ გაგიჩერდება. წყაროები დაძებნილია, მაგრამ ბიუროკრატიულ ზღუდეებს არაფერი შველის. 1982 წელს გაკეთებულია საპროექტო დოკუმენტაცია მამანეთში, სადაც რადიოსიგნალიც შემოდის, ტელეხედვაც, სულ რაღაც ორი კილომეტრითაა მოშორებული მინერალურ წყაროებს, აღიარე-

ბულია თითქმის ყველა სპეციალისტის მიერ, მაგრამ მშენებლობა მაინც ჩაფლავდა. ორიათასი მეტრი გვებევრა გასავლელად. ესეც ჩვენი უნიათობის ცოცხალი მაგალითი.

— ებრაელები გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართველის გონებას შენატრიან. თქვენი მდგომარეობის კვალობაზე, ალბათ, გამოსავალი მოძებნილი გექნებათ უკვე, — ვეტყვი ღიმილით.

— მერე და ვინ არის გამგონე? მუნიციპალურმა სამსახურმა პროგრამის შესაბამისად უნდა განახორციელოს ინვესტიციების მოზიდვა. თუკი იგი ამას ვერ მოახერხებს, მაშინ თვითონ კურორტი უნდა გახდეს მუნიციპალური სამსახური. უკეთ უნდა მოვიფიქროთ მისი მართვის სისტემა, თორემ კურორტის ფუნქციონირება საფრთხის წინაშე დგას.

დამტკიცებულია, რომ კურორტის ტერიტორიაზე არსებობს მინერალური წყლების რეზერვები, რაც უფლებას გვანიჭებს განვაცხადოთ: საირმეს მომავალი ნამდვილად აქვს.

კურორტის გამგებლობა, უკეთ, მფლობელობა, საქართველოსავით დაქუცმაცებულია. ჩვენ, წესით, ერთ კაცდღეში ერთი დოლარის შესატყვისი ლარი უნდა გადაგვიხადოს „საქკურორტმა", რაც შეესაბამება წყლის საფასურს, საკურორტო მომსახურებისა და კურორტის კეთილდღეობისათვის გასაწევ ხარჯებს, მაგრამ შარშანწინ 3500 დოლარი დაგვაკლეს, შარშან — ორჯერ მეტი და წლეულს ღმერთმა უწყის, რა ბედი გველის.

კურორტს სულ 25 კაცი ემსახურება. ხუთი ადმინისტრაციულ საქმიანობითაა დაკავებული, დანარჩენი — ტერიტორიის მოვლით, წყაროების დასუფთავებით. მათი შრომის ანაზღაურება 30 ლარია თვეში. მუშაობა სეზონურია, სამთვიანი და როგორია სათქმელად, ამ ხელფასსაც რომ ვერ ვუნაზღაურებთ ხშირად ოჯახიდან მომწყდარ ადამიანებს?

— დანარჩენი ცხრა თვე? — დავინტერესდები.

— დაკეტილია, — სხარტად მომიგებს გიორგი ჩხეიძე, — გზა რომ შეინარჩუნო, ტექნიკაა საჭირო. საირმეში ზამთარი თბილია, გეოგრაფიული მდებარეობით აქაურობა გუდაურის ტიპისაა და მნიშვნელობითაც არანაკლები, მაგრამ ვინაა განმკითხავი?! ცხრა თვით დაკეტილი შენობა ნესტიანდება, ობდება, ლპება კარ-ფანჯრები, იატაკი, ცვივა ბათქაში, რკინას ჟანგი ჭამს. კურორტმა მთელი წელი რომ იფუნქციონიროს, საჭიროა ავტონომიური ქვაბები, ელექტროგამათბობლები. დარწმუნებული ვარ, საირმეს ადრე თუ გვიან შორს გაუვარდება სახელი, ღირსეული მეპატრონეც გამოუჩნდება და მაშინ ზამთრობითაც ახმაურდება წაბლარიწყლის ხეობა, ახლა კი უმთავრესია ადმინისტრაციის მიერ შენარჩუნებული კურორტის ფიზიკური გადარჩენა და კიდევ— გადაუდებელი ღონისძიება: საჭიროა საკურორტო ზონა გამოეყოს ბაღდათისა და ვანის რაიონების ტყის მასივებს და გადაეცეს ბაღდათის რაიონს.

აი, როგორია თურმე ბაღდათ-ვანის რაიონებს ხურჯინივით გადაკიდებული საირმეს ვითარება.

„საირმელებთან" საგზური 180 ლარამდე ფასობს ერთ კაცზე ათი დღით, „ცეკავშირელებთან" კი — 150 ლარამდე.

კვება სამჯერადია ორივეგან, სამედიცინო მომსახურება და აბანო — ფასიანი.

ჩვენი გამოჩენის მომდევნო დღეს სასადილოში დანომრილ მაგიდებზე სუფრები აქათქათდება. შეიცვლება მოპარვის შიშით გაუჩინარებული დანა-ჩანგალიც. ჩაის უშველებელი თუჯის საერთო ჩაიდნიდან ასხამენ, ზიარი ჭურჭლის პრინციპის კვალობაზე დაფენებულს.კერძები ძირითადად სადესერტო ხასიათისაა. შენ ხომ მინერალური წყლების მოქმედების შესაფერისად იკვებები?! ამიტომაც მენიუში ხანდახან გაიელვებს ხილი და ვაშლისნათალმოყვანტალე კომპოტი.

ჩვენი დასვენების დეკადაში საირმეს იმერეთის მხარის გუბერნატორის ოჯახი ჩამოვანდება. ღაბუა შაშიაშვილ უმცროსს კუდში დასდევენ თავ- მომწონე დები, რწმუნებულისიანები, ათასი მოთნე მომკითხავი. ისინი, ბუნებრივია, დასანაყრებლად სასადილოში რას ჩამობრძანდებიან, ზემოთ მიართმევენ ლანგრებით პეწენიკას და სასურველს, მესხიების სულუგუნეულს თუ სხვას, მაგრამ მთავარი და არსებითი ამ ვითარებისა ის გახლავთ, რომ კურორტის პერსონალს უკმეხობას ვერ შეატყობ.

თვალშისაცემია იმერული თავაზიანობა, ზრდილობა. არც ჯიბეზე მოგჩერებიან წარამარა. მათთვის სალიფტე ადგილი ოთახებადაა გადაკეთებული და გასამრჯელოს დეფიციტს თავად ინაზღაურებენ უსაგზურო დამსვენებლებით.

საირმის ბაზარი ვირთხის კუდისხელაა, ოთხი დახლის კვარტეტი.

კურორტის შესასვლელთან შლაგბაუმია აღმართული მსუბუქი მანქანების შესაყოვნებლად, მაგრამ ჭრელჯოხიანებს ორლარიანს თუ მიაშავებ, უმტკივნეულოდ გაგატარებენ სასურველი კორპუსისკენ.

ბაზარზე კი ცეცხლი უკიდია პროდუქტს. აქეთკენ ქეთი ნერგაძეს არავინ გააჭაჭანებს. იგი წაბლარიწყლის მარცხენა სანაპიროს „ცეკავშირის" სიახლოვეს განთავსებული შემინული ჯიხურების

განუყრელი სტუმარია. მისი აშარობა, ავქალობა, დავრწმუნდი, განსაკუთრებით ქორვაჭრებისგან მოდის:

— ბაზარს გვიფუჭებსო,— მიაწყვლიან ქვიშით გასახეხი დედაკაცები. გაასაჩუქრებს ნაჯაფარ სულუგუნს, თაფლს, შაშხს თუ ჩირ-ჩამიჩს და მათ არაფრისდიდებით მიჰყიდის ქეთი ნერგაძე.

მესხიების რძემოწკურწკურე სულუგუნი ოთხი ლარი ღირს და ქორვაჭრებისა, გამოხდილი, უცხიმო — ექვსი. მათი ბაჯაღლო თაფლი, რეზინივით რომ იწელება, ხუჭუჭდება და მზის სხივებს აისხლეტს, ხუთი ლარი ფასობს, ქორ-ვაჭრებისა, ფქვილით და შაქრის სიროფით წარყვნილი — შვიდი და, გასაგებია, რისთვის იგესლებიან დახლის წურბელანი მფარველი მუნდირიანების თამადობით. ზედ საფეხურებიან ბილიკზე შევეჩეხებით ერთმანეთს. ისეთ ხურჯინს მოაცუხცუხებს, მოდღლეზილ მამაკაცს გაუჭირდება თრევა.

— ჩვენსკენ ხომ არ მოდიოდით? — მეტყვის მორიდებით.

— კი, თქვენსკენ, — მივუგებ დაყოვნებით და ხელს შევაშველებ ხურჯინის ჩამოსართმევად.

— მომიკვდეს თავი! ვალიკო სანადიროდ წახყვა თბილისელ სტუმარს. ყოველ წელიწადს გვაკითხავს ხოლმე, მწყრობრის სეზონში. საღამომდე არ იქნებიან.

— არა უშავს, ხვალაც ამ თვისაა, — დავამშვიდებ სახეშეჭმუხნილს და ხურჯინის ზიდვაში ჩავეზიარები, — საირმის ქარხნისკენ გავივლი, წითელ მინდორსაც მოვინახულებ, გადამჭამეს ბავშვებმა თავი: წაგვიყვანეთ, წაგვიყვანეთოო.

— ადრე გაზაფხულზე ჯობია ასვლა, როცა იქაურობა ყაყაჩოებითაა გადაბიბინებული.

— ახ, ამისთვის ეძახიან წითელს?

— არა, ეგ ყოველთვის წითელია, ოღონდ გააჩნია როდის ააკითხავ, დღის რომელ მონაკვეთში.

— ალბათ, შეღამებით სჯობია, დაისისას.

— მგონი, თოლიმ უკეთ იცის. ამაში თაფლი და ყველია, ბავშვებს მიუტანე.

— როგორ გეკადრებათ, — უკუვდგები ყინჩად, — ბავშვებს ყველაფერი აქვთ.

ქეთი ნერგაძეს ხელში გაშეშებია პოლიეთილენის გაძეძგილი პარკი.

— ნუ გამაწბილებ, თოლი გამიწყრება.

— მაშინ თქვენთან ვერ მოვსულვარ და ეგ არის, დასაჩუქრებისთვის როდი გაკითხავთ.

— ბეჩა, პირველად ვნახე კაცი ძღვენს უარობდეს. რაც ფუთა და შეხვეული გაგვიტანებია სტუმრისთვის მესხიებს, ათ ვაგონს დატვირთავდა, მაგრამ არავის შეუცხადებია ამის გამო. გამომართვი, გამომართვი.

— ერთი ხომ უნდა იყოს განსხვავებული ამ ათასიდან, — ჩემსას ვადგევარ მეც,— ფოტოებს და საკუთარ რომანს აუცილებლად გამოგიგზავნით. სამარშრუტო ტაქსის მძღოლს გამოვატან.

— ამ ჯიხურში დატოვოს.

— სულ ხუთიოდე დღე დაგვრჩა და იმიტომაც გაწუხებთ ხშირ-ხშირად. ვალიკო კარგი მთხრობელია, მაგრამ — ჩქარად მოსაუბრე, ჩაწერას ვერ ვასწრებ. შინ მობრუნებული ამაოდ ვცდილობ მისი იშვიათი ნალაპარაკევის ზედმიწევნით აღდგენას. ჩემებურად — მოგეცა ლხენა, სწრაფად გავარიწკინებდი, მაგრამ თხრობის ბუნებრივობას ვერ შევრყვნი. მეხსიერებას ნამდვილად არ ვუჩივი, ზოგჯერ ისეთი რამე მაგონდება, სასაცილოდაც არ ეყოფა ადამიანს, მაგრამ უცნაურობა დამჩემდა ვალიკოსთან: ისე ჩამითრევს, ისე გამაბრუებს მასლაათით, კალმისტრისკენ ხელი მომიცდება, ვინიშნავ უბის წიგნაკში ცალკეულ ფრაზებს, სიტყვებს, სახელებს, იმ იმედით, რომ შინმიბრუნებული უეჭველად შევავსებ, აღვადგენ-მეთქი, თუმცა გაგონილა?! წყალივით გამსხლტომია თითებს შორის. შესაძლოა ოდესმე ამოტივტივდეს კიდეც მეხსიერების უკიდეგანო ოკეანიდან, მაგრამ ამწუთას დავმუნჯებულვარ ქაღალდის წინაშე და ბავშვების ჟრიამულს ტყუილუბრალოდ ვუცაცხანებ, ტყუილუბრალოდ ვაბრალებ პატარებს ხელის შეშლას.

აი, მაგალითად, ვერაფრით ამომიკითხავს, ვის ქალებს დაექადნა კოსტაია თორთლაძე. სიტყვაში სამი ასო ამომიცვნია მხოლოდ, უ, ნ და ძ, დანარჩენი ისეა ერთმანეთს გადაბმული, თავს და ბოლოს ვერ უპოვი.

— უნდილაძეები, უნდილაძეების ქალებს დაექადნა დაგრილებით კოსტაია თორთლაძე. უკაცრავად პასუხია და, ისეთი ლაფშა მაბიაო, იმ ოხერმა, სათითაოდ დაგაფეხმძიმებთო. უშვილობას მართლაც უჩიოდა ზოგი მათგანი, მაგრამ საჯაროდ, მუდამ წვერგაბურძგნილი და ჩამოჩანჩურებული, ნივრის სუნით აყროლებული ბერბიჭა კოსტაია თორთლაძისგან დაორსულებას რომელი ისურვებდა, სულაც მამაკაცს დანატრებული ყოფილიყო წლობით? ხოდა, მოილაპარაკეს გულში ჯავრჩადებულმა უნდილაძის ქალებმა:

რადაც უნდა დაგვიჯდეს, მაგ მაჯლაჯუნას თავზე ლაფი დავასხათო.

დაკლეს დედლები. გაახაზირეს კოსტაია თორთლაძის საყვარელი შქმერული. ნივრის გალები ჩამოკონწიალებულია აივანზე ბერბიჭას მისატყუებლად.

მოტანილია ჩაფებით ნამუსიანი ღვინო ალისტორე ნერგაძისგან.

გამოცხობილია მაჯაზედასახვევი სოიაგარეული მჭადი. დასერილია მარილიანი ჭყინტი ყველი.

დანთებულია ბარაქიან ბუხარში ცეცხლი. ზედ ტაბლაა მიდგმული მადისაღმძვრელი კერძებით სავსე.

ახა, მოსახვევიდან წამოჩლახუნებულა კოსტაია თორთლაძე. როგორ იქნება ამ ნაშუადღევს ჭიქა წყალი არ მოიგუნებოს ენამყრალმა ბერბიჭამ? დედაკაცები სიმრავლეს ნიღბავენ სანთიობოში. მარტოკა მასპინძელი დიასახლისი იცოცხება უხვჩრდილიანი თელის ძირას.

მაინძელოო, ხის ჭიშკართან მომდგარა კოსტაია თორთლაძე. საიდან ეხსომება ალისტორე ნერგაძის ღვინით ჭკუაწაშლილმა ბედოვლათმა, როგორ გაუნაყოფიერა მუცლები ხაეროვანი ლაფშათი უნდილაძეების ბერწ დედაკაცებს?!

მაინძელოო, ხმას უწევს მასპინძლის მოსაბრუნებლად კოსტაია თორთლაძე. ჭიქა წყალს ვეღირსებით ამ ოჯახშიო, იქექავს იღლიას.

მობრძანდით თქვენი ჭირიმე, დაითაფლება დედაკაცი, წყალი რა თქვენი საკადრისია, ალისტორეს ღვინო მაქვს, დოქში, ჩაცივებული, ოღონდ ჩოგანს თუ გამომითლი. ამბობენ, შენისთანა ხელი არავის აქვსო.

ეგ მართალია, ამაყად გაიშლება მხრებში კოსტაია თორთლაძე, ოღონდ წალდუნა თუ გაქვთ კარგად ალესილი და კიდევ — კოპიტის ნაჭერიო, ცქმუტავს.

ყველაფერი გახაზირებულია კოსტაიას ჭირიმე, სადილიც გამზადებული მქონდა საბედოდ, ოდაში ამობრძანდი, ამასობაში ჩემებიც მოგისწრებენ ვენახიდანო, თაფლავს.

პირზე ნერწყვმომდგარი კოსტაია თორთლაძე ფეხდაფეხ მიხყვება ოდისკენ დედაკაცს. ხელგადაბანილი ზღაპრულ სუფრასთან მოკალათდება. პირველი სადღეგრძელოთი ოჯახს დალოცავს. არ იცის რომელი ლუკმიდან დაიწყოს. დიასახლისი პირისპირ მისკუპებია. დღეს ალობაა. კაცები რაიონში გატეულან. აყვანილი ბავშვები სკოლაში ჟრიამულობენ.

მთელი სამოსახლო საქალეთის გამგებლობაშია. ილუკმება კოსტაია თორთლაძე და თავს წარამარა წევს თითო-თითოდ შემოლაგებული უნდილაძის ქალების გამოჩენაზე.

მოუჩოჩდებიან და მოუჩოჩდებიან.

შემოეხვევიან და შემოეხვევიან.

მესამე ჭიქას მეხუთე მოსდევს, მეხუთეს — მეშვიდე და კოსტაია თორთლაძე უკვე მამალი ინდაურივით იფხორება.

მერამდენედ ახსენა სიტყვა „ლაფშა“, ჯერჯერობით ცხენის მნიშვნელობით და არა ᲘᲛᲘᲡ გაგებით, — ქეთი ნერგაძე ტუჩებზე ხელმიდებული იცინის, — აქეზებენ დედაკაცები სმასა და მხიარულებაში „განუმეორებელი შესაძლებლობის“ გამო.

გამოსათლელი ჩოგანის სახსენებელი გადავიწყებიათ.

ფხუკუნებენ, ქირქილებენ უნდილაძეების ქალები. ერთმანეთს ზურგში უბაგუნებენ მუშტებს. თავადაც წრუპავენ ღაწვების თონესავით გამთარანებელ ღვინოს.

ახლა უკვე მოიშალა მორიდების ზღუდე. მოხალვათდებიან ხშირ-ხშირად კოსტია თორთლაძის საზიანოდ. ზოგი მკერდს მოიშილიფებს, ზოგი— სხვა რამესაც და ბერბიჭას ჯორკოს, მიუხედავად გვარიანი შეზარხოშებისა, ჭრიჭინები შეუჩნდება; გადაუდებელ საქმეს ახსენებს დროდადრო, მაგრამ ვინ არის ყურისმგდებელი?!

მართალია, ნამდვილი ლაფშა გაბიაო, რომ ამბობენ უზნეო დედაკაცები? წამოიწყებს ყველაზე თამამი ყაჩაღანა.

კოსტაია თორთლაძეს ელდა ეცემა. ყელში ლუკმაგაჩხერილი წამოიწევს ჯორკოდან, მაგრამ ოციოდე მარჯვენა დააწვება მხრებზე და სკამს მიალურსმავენ.

ხომ ხედავ, როგორ ვიტანჯებით უშვილობით, აკი, დაგვექადნე ერთხელ, ჩემი ლაფშათი დაგაფეხმძიმებთ ყველასო?! ამაზე უკეთეს დროს ნახავ? ნაშვილები ბავშვები სკოლაში არიან, ქმრები ბაღდათში გამგზავრებულან. გეყოფა, ახლა თავის კატუნი! სხვებთან კვერცხს დებ და ჩვენთან კაკანებო, შეუტევენ.

კოსტაია თორთლაძეს სიფითრე გადაურბენს. შუბლი სიმწრის ოფლით დაცვარვია. ლამის ცახცახმა აიტანოს, მაგრამ უნდილაძის ქალების ხელებს წინ არაფერი უდგას, მათ სითამამეს ვერაფერი აოკებს. შეუცურდებიან ბანჯგვლიან მკერდზე, იღლიაში, ნელ-ნელა აძრობენ გახუნებულ პერანგს, უხალვათებენ ორ-სამ ადგილას დაკერებულ შარვალს. ლამის იბღავლოს კოსტაია თორთლაძემ, ლა-

მის გადააყრუოს იქაურობა, მაგრამ უჩვეულო ვითარებაში ჩავარდნილს ხმა არ ემორჩილება.

ხითხითებს, იძგვლიმება, ფეხებს აღვანკალებს რომე- ლიღაცა ოხერის შეღიტინებით. მიუსავათებია უნდილაძეთა ქალების შეთანხმებულ მოძრაობას, ხოდა, ბევრი, რომ არ გავაგრძელოთ, როცა გაღუღუნებული ბუხრის წინ სრულიად დედიშობილა აისვეტება, აქამდე დასაქმებულ ხელებს გაცისკროვნებული თვალებით პირზე იტაცებენ ცნობისწადილა დედაკაცები.

თავად ჩოგანის გამოსათლელად შემოტყუებული კოსტაია თორთლაძე კი ტიტლიკანა, ტახისთვის შესაშური ჯაგარით შემოსილი გარბის გაფოთლილი ვენახებისკენ, რათა აძაგძაგებულ სხეულზე რამენაირად მოირგოს ნაწყალობევი ჯვალოები.

იხოცება სიცილისგან აივნის მოაჯირზე გადმოფენილი უნდილაძეთა სადიაცო.

სად ხარ კოსტაია თორთლაძე, წაიღე შენი ტურტლიანი ნიფხავი. ლაფშა არ გაგიცივდეს, რა გვეშველება მერე შენი დაგრილების მოიმედეებსო, იჭაჭებიან და ვენახებში მაჩვივით გატრუნული აღკაზმული კოსტაია თორთლაძე ფართხაფურთხით გადაივლის სერ-სერ. ჩაჭრის ორღობეს, აკაციის სარებით ჩაწიკწიკებულ ღობეებს, კვლავ მოუახლოვდება იშვიათი სადილით გამასპინძლებულ ოჯახს და ახლა გულმოცემული რიხიანად შესძახებს შორიდან:

უნდილაძის ქალებო, ხომ დაგაფეხმძიმეთ ამ ლაფშით ყველაო, იკრიჭება ყველის ვაჭარივით. მაპატიე უწმაწური საუბრისთვის, შენ განმაწყვე უწინარესად, გამომართვი კაცო, — მიწვდის პოლიეთილენის გაძეძგილ პარკს, — ბავშვებს მიუტანე, გაეხარდებათ! — მე კი თავდაღმართში დავშვებულვარ უკვე ქორ-ვაჭრების ცეცხლწაკიდებული ბაზრისკენ, გერმანელი ტყვეების სასაფლაოსკენ, საირმეს ქარხნისკენ, შინაგანი ხაფხაფით, ქეთი ნერგაძის უშუალო და განუმეორებელი საუბრით მოჯადოებული, ისე რომ, კვლავაც წვდება ყურთასმენას სიბოხეგარეული მისი ტემბრი:

— წაგეღო, კაცო, ბავშვებს გაეხარდებოდათ, სახლში არ მიმიშვებს თოლი!

ცაშხა *

ვარკეთილური წკვარამი ღამეების შემდეგ ნამდვილ ორკვირიან სამოთხეში ვხვდები. სადღეღამისო შუქი მხოლოდ ნახევარი საათით წყდება სამხრობის მერმე. კვება იდეალურია თორიას კასრის კვალობაზე, ოღონდ გაფიცხინებული ღორის ქონიანი ტყავი იგვიანებს მხოლოდ. ნისლი ფეხაკრეფით, მებურიშვილისებურად თუ ვიტყვით, კატის თათებით მოიპარება ტყეთა იღლიებიდან, მეფისწყაროს უმწიკვლო სულიდან; ზედმიწევნით აღადგენს აწ ჩაშამბულ-ჩანახშირებული ნამოსახლარების აბსტრაქტულ კონტურებს; ჯანღ-ბურუსით იყურსება მსხალნარი, შქაგორა, უნაგირა მთა, ნაკოდვარი, ორმოცდაათიოდე ხექტარი ვაკე-საირმე, ქვისჯვარი თუ ენგურსგაღმელი ჩემი ოტობაია. მაჭიკნასვამი ბუერები დედდება, თათარასავით ქვანთალებს ხელისგაწვდენაზე, ლამის საფეხურები გამოვკვეთო, მის სხეულზე მარტოსული ასკაგუბურას ხეობის მახვშისკენ თუ მშობლიური დედულეთისკენ წასასულსწრაფებლად.

იქ განუკითხაობაა, იქ ბოროტების ცელი ტრიალებს ისკარიოტელის ხარხარში; იქ კოტე ანჩაბაძის ბიჭს, ოთარს და ბაკვა სახეიშვილს სიმინდის გამოროდებისას ხოცავენ მეოცე საუკუნის მიწურულის ინკვიზიტორები; იქ ვალიკო მესხიასავით ასაკმოყრილ დურუ ტაბაღუას საკუთარ აივანზე დახვრეტენ თუთუნის კვამლში გახვეულს და აბრიალებულ სამზადში მოისვრიან შემდგომად — სამხილ მასალას არ უტოვებენ გენოციდის შესაკოწიწებლად ჩასაფრებულ მსოფლიოს.

შენისლულია ჩემი სამშობლოს გული, გონება და სული.

ახლა დავარსკვლავებული ლეღვები ცერზე დგანან საკუთარ ეზო-კარში ბურუს-ბურუს შემოპარული მოსახლეობის მოლოდინში.

ჯანღებს მოისხამენ ოტობაიელნი მხრებზე ნაბდებად და ასე, მალვით გადმოაქვთ ენგურსგამოღმა შემწიფებული თხილი თუ რამ სარჩო-საბადებელი.

საირმის მშვენება ადმინისტრატორთან, ლალი ახობაძესთან, ნოჩო, ავქსენტი და ჯაკოს ნაშიერ ფაცურიებს ვხვდები, თანასკოლელი ელვირას მშობლებს.

გავაცნობ ოტებულ ოტობაიელებს სანისლეთის დედოფალს და მყისვე თითის წვერებზე დგება სანატორიუმის პერსონალი სრულიად.

ისინი ზუგდიდ-ქალაქში მკვიდრობენ რა ხანია, მაგრამ ენგურსგაღმელ მამულებს დღემდე მზრუნველობით დაფოფინებენ თავზე. წკირიშ წუმობადებულქ წკირს ოკო წიმოღურასია*, ოტობაიელებზეა ზედგამოჭრილი იროდი სართანიას ოდინდელი სხარტულა.

— შენს სიტყვებში შეეჭვება ღმერთმა მაშოროს, წამითაც არ გამივლია გუნებაში, — ბუერასავით მომეძალება ვალიკო მესხიას გუშინწინდელი ნასაუბრები, — მაგრამ ამისთანა რამე გაგონილა? ერთი

ხელით საომრად ეპოტინებოდე მახვილს და მეორეთი გეფანდურებოდეს? კიდევ კარგი, ტექნიკური მიზეზების გამო, აქ მაინც არ ზიმზიმებს თქვენი ყბადაღებული ტელევიზია. ვეღარაფრით გამიგია, ამდენი მაინც რა გვეზეიმება?! თითქოს დიდგორიდან მოგვიხაროდეს, სინამდვილეში კი სამარცხვინო ბაზალეთი მოგვყმუის ზურგს უკან.

მთლად ვაებასა და გლოვაში დავიფლათ-მეთქი, როდი მითქვამს, მაგრამ ესოდენი შოუ-კონცერტები, ლატარიები და დიპლიპიტო სამარცხვინოდ დამარცხებულებს კი არა, დალხენილ ხალხს მოყირჭდებოდა. ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთა გამოუვა, — იტყვის მხცოვანი ყრუდ.

— ეროდი სართანიასგან მსმენია ეგრე.

— იცნობდი? — მომაჩერდება თვალებში.

— ოთხმოციან წლებში მთელი წელიწადი ვიცხოვრე ზღვისპირა ჭურიაში. იქ დავძმობილდით.

— ეგ შეუდარებელი იყო. არეულობის დროს მოუკლავთ ბანდიტებს.

— მოგვიანებით შევიტყვე და ვწუხვარ, რომ აქამდე ვერ ავაკითხე საფლავზე. თქვენ? თქვენ საიდან?

— ორმოცი-ოცდაათი წლის წინათ ლებოროტზე აძოვებდა ნახირს. ვიცით მწყემსებმა ერთმანეთის ავანჩავანი. მენცარკოჩი გახლდათ, მესიაკონი, ნამდვილი გულთმისანი. ბევრი მისწავლია მისგან. არაფრით ჩამოუვარდებოდა ლევან მესხიას. მილაპარაკია ამის თაობაზე, კრამიტის ქარხნის მეპატრონე ჯვარზე რომ აცვეს ბოლშევიკებმა. ლეო ქიაჩელს არაფერი წაუმატებია ტარიელ გოლუასათვის, გვარ-სახელი შეუცვალა ლევან მესხიას, ეგ იყო და ეგ. გითხრა უბატონო აზატებს რატომ გვეძახიან?

— ბრძანეთ.

— უბატონო ერთი იყო მთელს სამეგრელოში — დადიანი, თუმცა იმასაც ხონთქარის ორანი ადგა თავზე და ხარკით — ფულით თუ ქალ-ვაჟებით გადიოდა იოლას. აი, მესხიები კი ნამდვილი თავისუფალი ხალხი გახდა დიდი გვარამის წყალობით. სამცხე-ჯავახეთიდან დედაწულიანად აყრილი ძმები ლევან დადიანის სასახლესთან მოლალეს თურმე კარისკაცებმა ბეგარის გადაუხდელობის გამო. ეთქვათ უცხოკუთხელებს:

არ იცის თქვენმა მთავარმა ვინცა ვართ, თორემ ამდენს არ გაიბრიქებოდით, უდიერი საქციელისთვის კიდეც დაგაპანღურებდნენო.

არ დაუჯერეს. გაიდევნეს წინ ჯიკავ-ჯიკავით.

ლევან დადიანი იშვიათ გუნებაზეა. შერვაშიძეების ასული ბერძნული წესის ყაიდაზე ცხვირ-მოჭრილი მოუგზავნია სიმამრ მურზაყანისთვის.

შუადღეა.

თავის ახალგაზრდა ბიცოლას ეთამაშება სასიყვარულო სიტყვებით. ცოლწართმეული ბიძა კარგა ხანია ხობის მონასტერში აღკვეცილა ბერად. ორნი უსხედან სუფრას. შეექცევიან წითელ ღვინოს. სიახლოვეს მონადირე ძაღლებით ჩამოსული გურიელის ხალხია. თავის წონა ოქროდ აფასებენ თითოეულს, მაგრამ სადა აქვს დადიანს ძაღლებში გადასაყრელი ფული და მერამდენედ თითით უხმობს მეძაღლეთა ფარეშ ძაღვას. ეს უკანასკნელი წელში მოღუნული მიაუხლოვდება ბატონს, ენითუთქმელი მორჩილებით შესცინინებს თვალებში.

მოიწიეო, ანიშნებს კვლავ ლევან დადიანი მეძაღლეს და როდესაც ხელისგაწვდენაზე მიუჩოჩდება ნებიერ მთავარს, გოროზი ხელისუფალი ბიცოლას წინაშე თავის მოსაწონებლად გაძვალულ ხარის ბეჭს უთავაზებს ყბაში სიტყვებით:

როგორ შემომკადრეს მწევარში ოქროო!

ოქრო ყმების გასაგონად თქვეს დადია პატენი, თორემ სხვა რამეზეც ყაბულს არიანო, მეძაღლემ.

სხვას რას ინებებენ სანაცვლოსო, უბღვერს დადიანი შინაყმას.

ხეჩუებმა და ირუნტიებმა აიშვეს ცოტათი. კიდევ მესხეთიდანაა სამი მეჯოგე ძმა, სოფელ მუსხიდან, საკმაოდ ჯანიანები, გაიცვლებიან ერთი — ერთზეო, ექვეშქვეშება ფარეში მთავარს, ბაზრის ბეგარა ჯიუტად იუარეს. არ იცის დადიას ბრწყინვალებამ, რა ხალხს უბედავთ ბეგარის გადახდევინებას, თორემ სულ პანღურ-პანღურით გაგყრიდათ აქედანო.

ახლავე აქ მომგვარე სამივეო, მბრძანებლობს დადია და საწადელსაც მყისვე აღუსრულებენ.

ყირმიზია სამივე ძმა, ჩამოსხმული, ოქროსფერი, ხვეული თმითა და მხედრული აღნაგობით.

ვინ ხართ თქვენ, გადამთიელნო, ჩემს ბეგარას თავს რომ არიდებთ უკმეხადო? გამართული ქართულით ელაპარაკება მეჯოგეებს ლევან დადიანი.

ბეგარას გამოქცეული ხალხი, თქვენი ჭირიმეო, უპასუხებს უფროსი ძმა გვარამი.

მერედა, რომელი კუთხის, სადაურიო? ჩაეძიება კვლავ ბატონი.

მესხეთიდან ვართ ჩვენ, მესხები, სოფელ მუსხიდან, დიდო თავადო, უბატონო გლეხნი თამარ მეფიდან მოყოლებული და ამჟამად ჯაყელის მიერ უკიდურესობამდე შევიწროვებულნიო, იმან.

კი, მაგრამ რა დამსახურების გამო გამხდარხართ უბატონოები, თანაც თამარ მეფისგანო, ცნობისმოყვარეობით ეკითხება მეჯოგეს დადია.

ძუძუმტეობის გამო, თქვენი ჭირიმე, და კიდევ იმისთვის — თითოეული კუთხიდან შეკრებილ, საუკეთესოთა ამალაში ჩემი ჯიშ-ჯილაგის რჩეული მოყმეც ერია, თქვენს ჩაუქ წინაპართან ერთად, რომლებმაც სიმღერ-სიმღერით ააცილეს მაღალ სვანეთამდე საქართველოს მეფე-დედოფლის წმინდა ნეშტი, დაკრძალეს იქ საიმედო ადგილას, ჩამოეშვნენ ძირს, მოილხინეს მამაპაპურად და ბოლოს, ვაჟკაცურად განიგმირეს თავი სათითაოდ, რათა საიდუმლო სამუდამოდ დაფარულიყოო, მესხმა.

ვინ დააკავა მესხიებიო, წარბებს შეყრის ლევან დადიანი.

ჩემმა ბიჭებმაო, მხრებში ძვრება მეძაღლე ძაღვა.

შენ ხეჩუებს და ირუნტიებს მიხედე! თქვენ კი, ამიერიდან მესხიებო, იშრომეთ, იდღეგრძელეთ, გამრავლდით! ვერავინ შეახებს ხელს თქვენს საქონელს, თქვენს დოვლათს, თქვენს ნაამაგარსო, მოსჭრის და ვართ მას აქეთ კიდეც უბატონონი, ბაბაგე, გური.

— კარგი თქმულებაა, ნებისმიერი გვარი ინატრებდა, მაგრამ რა ვქნათ ჩვენ, ფრთაგამოსული ჭიანჭველების ქვეშევრდომებმა?! ერთ დროს მუხლმაგარი, დოვლათიანი ქვეყანა მათხოვრად ქცეულა უნიათო მესვეურების ხელში. არავინ იხდის ბეგარას, თქვენი გვარისა არ იყოს და სამშობლო დაღუპვის კარამდე მისულა.

— ერთი თბილისელი ყმაწვილკაცი შემომივლის ხოლმე ზაფხულობით სანადიროდ. დაიწყო მწყრის სეზონი და სადაც არის გამოჩნდება ყურპანტყურა სეტერებით. დიდ თანამდებობაზეა კონტროლის პალატაში. ,,ფაბრიჩნი'' გილზებს მომაყრის ხოლმე. ძველი არ გამიხარჯავს, მაგრამ მაინც ვართმევ.

მისგან ვიცი, გადასახადის გადამალვა ქართული სენიაო. დამიწყო საუბარი პროცენტებზე. მაშინ გავაჩუმე.

გლეხურად ამიხსენი-მეთქი.

საკონდახოსკენ მივემართებით გვერდიგვერდ. სეტერები ფეხებში გვებლანდებიან. მე შინდის კომბალი გამიდვია მხრებზე. სტუმარი კბილებამდეა აღჭურვილი: სამასრე, პატრონტაში გარდიგარდმო გადაუგდია, გუშინდელმა ბანდიტებმა რომ იცოდნენ, იმგვარად.

აი, ხომ გყავს შენ ნახირიო, მეტყვის. მაგალითისთვის, ასი სული ძროხა.

მაგდენს მთელს საირმეში ვერ შეკრებ-მეთქი.

სიტყვისთვის მოგახსენებო, იმან, ხოდა, აი, ამ ას სულს ასი ხბო რომ შეემატება, მოვა სახელმწიფო და ნამატიდან ოცს წაიყვანს ბეგარის სახითო.

რა ამბავია-მეთქი. მონგოლები ყოველი ასი ნამატიდან ათს ართმევდნენ დაპყრობილებს და ნუთუ ჩვენი მშობლიური მთავრობა ორჯერ უფრო გვყვლეფს-მეთქი.

ჯერ სად ხარო, იმან. ამას უნდა დაემატოს საშემოსავლოსთვის თუ საგზაოსთვის საჭირო ორ-ორი ხბო და კიდევ სხვა საჭიროებისთვის — ამდენივე. სულ ოცდაოთხი ასიდანო.

ბარემ ადექით და მთელი ჯოგი წაიყვანეთ-მეთქი.

საქმეც ეგ არისო, იმან. ამიტომაც მეჯოგეა თუ მელუდე, იძულებულია მოგება გადამალოს, ასის მაგივრად ათი აჩვენოს. ცხადია, ათიდან ბეგარა ორამდე შემცირდება და კიდევ მიმატებული ერთი, ჰა და ჰა, სულ — სამი. იეშმაკა გლეხმა. მთავრობა ყელში რომ წვდა ჯიბეების ამოსაბერტყად, წაიცულლუტა და ასი ხბოდან ოთხმოც- დაჩვიდმეტი შეინარჩუნა ამგვარი მოხერხებულობის წყალობითო.

კაციც ეგ ყოფილა და ქუდიც მაგას ხურებია, მაგრამ ასეთი მატრაბაზობით ქვეყანა შორს ვერ წავა-მეთქი. მელუდე არ ვიცი როგორ ახერხებს თავისი ნაწარმის მიჩქმალვას, მაგრამ მე უჩინმაჩინის ქუდები რანაირად შევუკერო ჩემს ძროხებს-მეთქი. თავზე რომც მოვარგო, რქებს რაღა ჭირი მოვუხერხო, ხომ გამოარღვევენ იმ ქსოვილს — ისევ სინდისიერი დამოკიდებულება სჯობია, ალბათ, ორივეს მხრივ-მეთქი.

ლევან მესხიასგან მსმენია: ჯარისკაცს გენერლის შესაძლებლობაზე მეტი არ უნდა მოსთხოვოო, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ქათმის შესაძლებლობა კვერცხია და ნაზუქებისთვის არ უნდა აკაკანოს სახელმწიფომ-მეთქი. ხომ იცი როგორი კვერცხისმდებელია შენი დედალი და ძევალასაც თუ გამოაცლი საბუდარიდან, მიგიტოვებს სამუდამოდ კვერცხისდებას, სატყარო ქეთარდუ.* გადაიკარგება შინიდან და ტურა-მელიას წერად იქცევა-მეთქი.

ეხ, ვალიკო ბიძია, მარტო ამით რომ ამოიუწრებოდეს ჩვენი უბედურების ასავალ-დასავალი, კიდევ გვეშველებოდა, მაგრამ უფრო რთულად არის საქმეო, იმან.

თქვი, კიდევ რა ჯანდაბა გვჭირს-მეთქი.

რა და საზღვარზე რომ გადმოგვაქვს პური და ნავთობი, ბაჟს ვინ შეკადრებს ღლავებს, ლიფსიტებს კი გაწურავენ გვარიანად, მაგრამ ლიფსიტების გამონაჟური რას გაწვდება სახელმწიფო მოთხოვნილებასო.

ბაბაგე, თოფი თქვენს ხელშია, კანონი, ძალა, მიდით და მოუჭირეთ მოსართავები იმ ურას! აბა, ცხენის გახედნვა უმათრახოდ სად გაგონილა-მეთქი.

ეხ, ბედნიერი ხარო, მხარზე გადამხვია მარჯვენა. ჩემი ნება იყოს, აქ დავსახლდებოდი სადმე, ლებოროტის სამხრეთით თუ ჯაჯის ტბის პირას სულაცო.

წითელ მინდორზე ჯობია-მეთქი. ყიფიანი იყო კაიკაცი, ვანის რაიკომის მდივანი, მაგრამ ეგნატე ნანიტაშვილი — უკეთესი-მეთქი.

მომიყოლია, ტალავერი როგორ გაგვიჩეხეს მის მერე არაკაცებმა და ჩემმა ქეთიმ ბერდენკათი რანაირად დაიფრინა სათითაოდ. ძირში მოსხეპილი ვენახები კარგად გამოგლოვილი არა მაქვს და ასეთ დროს, ჩემი კუთხის კაცი, მეტყვე გრიშა ბაძაღუა ყელში არ გამომისვამს დანას?

ისეთი რაღა ფარსაგი დაგმართაო, იმან.

მიგდე ყური და თავად განსაჯე-მეთქი. ამოიტანა ცხენებით ფერფლისფერი ნაძვები, — წისქვილის იქითაა, როცა ჩაგაცილებ დაგათვალიერებინებ ჩვენს სამოსახლოს, — მომიტრიალდება მე.

შემძულდა საკუთარი ხელით აგურ-აგურ აშენებული ქვიტკირის სახლი-მეთქი. ლამის ძალად დამარგვევინა ეზოში.

დეკორატიულია, ძვირფასმერქნიანი, კიდობანი უკეთებია თურმე მისგან მოსესოო, ამისი ჩიჩინით.

კიდობანი ნოესი გამიგონია-მეთქი.

ეგ წარღვნისგან გადასარჩენი იყოო, ურთხელის წითელი ფიცრებისგან შეკრული, ტაქსუს ბაკაკატასგან ლათინურადოო, ახლაც მიგუგუნებს ყურებში.

ბიჭო, სხვა იყო, კიდევ — ხო, მაგრამ ჩემებური ხარ, ხომ იცი როგორი ჯაფა-ცხვაბარითაა მოპოვებული მიწის ყოველი გოჯი?! ნამდვილი ნაძვი არ იყოს, თორემ საბოსტნე მიწას ხელიდან გამომაცლის-მეთქი.

იცინის და იცინის.

დეკორატიულია, ძვირფასმერქნიანიო. მაგას ნაჯახს ვერავინ დააკარებს. მოისვენებ, ერთის მოჭრაზე ხუთი წელი ციხეაო.

აგაშენა ღმერთმა-მეთქი.

გადახასხასებულია ეზო. ვუბერტყავ თოვლს ზამთრის პირზე. ცივ ნიავს არ ვაკარებ. გავა მარტი, აპრილი. სამაისოდ ფიჭვის მძაფრი სურნელით აავსებენ შემოგარენს ჩემი დეკორატიული მცნარეები. სააგვისტოდ ჩაგრაგნილი ღობეები ეფარებიან თვალებს და მომავალი აღდგომისთვის შუადღის მზეს უწვდენენ კენწეროს. ფუი თაშ გაქარიშ მამალას* ბაყბაყდევებად ქცეული ქონ- დრისკაცი ნაძ ვები თვალსა და ხელს შუა შემიყლაპავენ საბოსტნე და საყანე ალაგს. ამიტომაც მომიძულებია იქაურობა-მეთქი. გიგანტი ნაძვებით იძიეს თურმე ჩემზე შური: აიბარგება, გადაშენდება აქედანოო, მაგრამ ვერ მიართვეს-მეთქი.

ასკაგუბურასკენ ჩამოვიჩოჩე. გავკაფე გასაკაფი, ტერასებად ვაქციე ფერდობი. გამხმარს რომ შევატყობ უსიერს, ახალს შევუნაცვლებ მის დამპალ ნაფესვარს. წინაპრის ძვლებზე უკეთესად აღმოცენდება ნორჩი. ეს იგივეა, როგორც შემოდგომის წიწილებს კვერცხის გულით გამოკვებავს ხოლმე ფხიანი დიასახლისი-მეთქი. რამხელაზე გამექცა საუბარი?!

ადამიანი და სახელმწიფო ურთიერთგაგების გარეშე ვერიარსებებენ, ერთი ალთას თუ არის და მეორე — ბალთას, მომავალიც იქ დაიშრიტება, იქ დაივსება-მეთქი.

რაზეა ლაპარაკი ძია, ვალიკოო, იმან. ინვესტიციები, იგივე სესხი ტყუპ-ტყუპად ჩამოაქვთო, ორ იმილიარდ ნახევარი დოლარია უკვე ჩვენი შთამომავლობის კისერზეო. დასახლებულან საშვილიშვილოდ ქვეყნის ასაღორძინებლად გამიზნული თანხებით და საჭიროების შემთხვევაში უმნიშვნელო სახელმწიფო გადასახადსაც არიდებენ თავსაო.

მე ისევ გავუმეორე: ბაბაგე, თოფი, კანონი, სამართალი თქვენს ხელშია და იმოქმედეთ-მეთქი. თუკი ხალხის საკეთილდღეოდ ჩამოტანილი თანხებით საკუთარი ბედნიერება უჭედიათ, გამოაჭენეთ გაზეთებში, ტელევიზორში. საზღვარგარეთის სესხი იმან იხადოს, ვისაც შეუტკბია! ხალხი, შთამომავლობა აქ რა შუაშია-მეთქი.

გაეცინა კვლავ და გამოეკიდა სიმინდებისკენ გავარდნილ სეტერს.

— მე არ ვიცი მწყერზე მონადირე დედაქალაქელი რისი მაქნისია, — ვისარგებლებ მისი წუთიერი შეყოვნებით, — მაგრამ როგორც შემოქმედს, როგორც პატრიოტს, თავისუფალ მოქალაქეს ბოლოს და ბოლოს, თქვენი გვარისა არ იყოს, ერთიანად მამწარებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი საგანგაშო მდგომარეობა. ეს მიბიძგებს, ვალიკო, ბატონო, გასულ პერიოდს კვლავაც ჩავუღრმავდე მეტის გულდინჯობით, უკეთ, გავერკვეთ ორიენტირში, ადგილ-მდებარეობაში, სად ვართ, სად ვიმყოფებით და განაპირება სად ელის ჩვენს ოჩხომელს. გაშლილ ზღვაში რომ ვტივტივებთ, ამას შეუიარაღებელი თვალითაც ვამჩნევთ ყველა. თანაც ჩვენი ხომალდი სულაც არ არის სიმბოლური, იგავური უფრო გასაგები ენით. დიახაც, ცხადში გავტივტივებულვართ პელაგონში. გემბანზე გვარიანი შტორმია — ღელვა და ახლა თითოეული, ხუთი მილიონი მგზავრი ჩვენიანად, იმის ცდაში უნდა ვიყოთ ნიადაგ, საერთო ძალისხმევით თავი როგორმე დავაღწიოთ უძირო მორევის ტრიალს, ფსკერზე დანთქმით რომ გვემუქრება დღითი დღე. მე წამალს ვეძებ ამ უსაშველო სენის მოსარჩენს. ამიტომაც არ მეთმობით განყენებული საუბრებისთვის, თანაც ძველებისგან გვსმენია: ღურუშ წამალ ოლაფარეს ელაჩანდ, ვოუჩქუედეს ვარავაო.*

— უკურნებელი ავადმყოფობა არ არსებობს, ბაბაგე, გური, მაგრამ მთავარია ჯერ თვითონ ავადმყოფობის ხასიათი გავარკვიოთ, რათა წამალიც შესაბამისად მივუსადაგოთ.

— შევეცდები გასაგებად ჩამოვაყალიბო. ხუთმილიონიანი საქართველოს სადღეისო ბიუჯეტი მილიარდ რაღაცაა, დაახლოებით რვაასიოდე ლარი თითოეულ მოქალაქეზე წელიწადში და ისიც — დეფიციტური, როგორც პარლამენტიდან იტყვიან ხოლმე. უფრო მარტივად კი ჩვენს ქამარმოჭერილ სიმაძღრეს ორასი მილიონი, ანუ ლამის მეოთხედი აკლია სულის გაჭირვებით შესანახად. ასეთია სადღეისო ვითარება.

ათიოდე წლის წინათ, საბჭოთა სივრცეში, ჩვენი ადამიანი სიცოცხლისათვის მინიმალური მოთხოვნებით მაინც იყო უზრუნველყოფილი: ჯანმრთელობის დაცვის, სწავლის უფლებით. მას, ცხადია, ხელ-ფეხი შებოჭილი ხქონდა ხელოვნური ეკონომიკური ხუნდებით, ვინაიდან აღარ შეეძლო დამოუკიდებლად გამოეშვა მანქანა, ტრაქტორი, თვითმფრინავი; ის ათასი ძაფით იყო გადაბმული რუსეთს, მაგრამ აი, ჩვენი გაბუქებული დამოუკიდებლობის შემდეგ თითქოს ფართო ასპარეზი შეგვექმნა წინსვლა-აღმშენებ- ლობისთვის, თუმცა ნურას უკაცრავად, მომხმარებლის, დოყლაპიას, ჯამიტლეკიას მდგომარეობა ზურგიდან ვერაფრით გადაგვიბერტყავს.

მობრძანდებიან ჩვენსკენ ხუმანიტარული ორგანიზაციები სხვადასხვა სიხშირისა და ხარისხმასშტაბის პროგრამით, მოაბიჯებენ კეთილისმყოფელის იერით და გაოცებულნი ასავსავებენ ხელებს ჩვენი მელუდეების, მეჯოგეების თუ მესიმინდეთა როყიო განცხადებებზე, რომ ამ უკანასკნელთ სამამულო წარმოების აღორძინება წარმოუსახავთ უმთავრეს სარბიელად.

ისინი კი დაუღალავად გვაწვდიან ჭარბ პროდუქციას: სიგარეტებს, სპირტიან სასმელებს, შოკოლადებს, ჭინჭებს, როცა ჯერ პურის და ამოლესილი ლობიოს საჭიროებაა.

თქვენ ფითრმოძალებულ ნაძვებზე სწუხხართ ვალიკო, ბატონო, დროზე ამოძირკვავთ მათ უსიერში, სანაცვლოდ ახალს დარგავთ იქ თანაკუთხელი გრიშა ბაძაღუას ნაბოძები ურთხელის ჯიშისას, ამ დროს პრივილეგირებული ფირმები და ორგანიზაციები, იცით, რას შვრებიან? ლამის მუქთად მიაქანებენ ჩვენს ხე-ტყეს საქართველოდან.

ტყე შეუნახე შვილებსაო, გვიკიჟინებს ვაჟა, ჩვენ კი, ძირფესვიანად ვძირკვავთ საუკუნოვან უღრანებს. პარლამენტმა ერთხანს ხე-ტყის ექსპორტი შეაჩერა და კეთილისმყოფელი ბიძები თუ ბიცოლები მაშინვე აგვიყაყანდნენ: სისულელეებს თავი დაანებეთ, ხე-ტყის მოწოდებას თუ შეგვიწყვეტთ, ჩვენგან ფინანსურ, იგივე ფულად დახმარებას არ ეღირსებითო და გუშინ ლარით კილოგრამ ყველს რომ იყიდდი, დღეს ათიც არ კმარა მის შესაძენად.

— მდაა, — გააბამს ვალიკო მესხია.

— ,,ქოხებს'' ყიდულობენ შვეიცარიასა და იტალიაში. ფული უცხოეთის ბანკებში შეაქვთ ათეულათასობით, ვინაიდან იციან, იქ მეანაბრეთა უფლებები ხელშეუხებელია. ნივრის ქერქს სამშობლოში ტოვებენ, ბარაქიან სასუსნავს მომავლისთვის უცხოეთში გადაინახავენ. ამისთანა დავრდომილი ქვეყნის მოსარჩენ წამალზე გეკითხებით, ვალიკო, ბატონო, იქნებ არის საშველი?!

— ჰმ! — გაიცინებს ირონიულად და აზუზუნებული სკისკენ გაიშვერს მარჯვენას, — ბიჯსაც არ ვიზამ პასუხისთვის. აგერაა ყველაფერი ხელისგულზე. ფუტკარი, რომელიც რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ეძებს თაფლს, სხვის სკაში ნექტარს არაფრისდიდებით შეიტანს, ან ვინ შეუშვებს იქ, გადაუმსხვრევენ ფრთებს და კინწისკვრით ისვრიან კარში. ეგეც რომ არა, რომც დამკვიდრდეს სხვა ოჯახში, ძველი არ მიიღებს უკან. ჩვენ რომ განყენებულ საუბარს მოვეშვებოდეთ, დავაკონკრეტებდეთ თითოეული შეძლებული კაცის, ბიზმესმენსაც რომ ეძახიან, უფლება-მოვალეობებს სა-

ხელმწიფოს წინაშე, ვფიქრობ საქმე ერთიანათად წაიწევდა წინ.

ქონებიერ ადამიანს რა სჯობია, სულიერი აღმაფრენაც თუ ახასიათებს. სახელმწიფო შესაძლოა მდიდარზე მდიდარი გყავდეს, ოქროს მუთაქაზე ძინავდეს, მაგრამ ხალხს მაინც სიღატაკეში ძვრებოდეს სული. ასევე შეიძლება ქვეყნის სიმდიდრე რამდენიმე ადამიანის ხელში იყოს მოქცეული, მოსახლეობა კი სიდუხჭირეში ეწეოდეს ჭაპანს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებლობა მეტია ცხოვრების საერთო დონის ასამაღლებლად, ვინაიდან კერძო ადამიანზე ზეგავლენა გაცილებით იოლია, ვინემ მთელს სახელმწიფოზე. ათი-თხუთმეტი მილიარდერი მამულიშვილი რომ ხყავდეს საქართველოს, ჩვენს ქვეყანას თავის ჩაღუნვა არასდროს მოუწევდა. ჩვენ ახლა იმ გზას ვადგავართ, რაც ებრაელებმა ასწლეულების წინათ გაიარეს და სომხებმა — საუკუნეზე მეტია, ხოდა, გჯეროდეს, ქართველები ფულის შოვნაშიც არავის ჩამორჩებიან. ხოლო როდესაც შესაძლებლობა ერთიანათასად გაუსწრებს აუცილებელ მოთხოვნებს, ხელგამართვაც წამოვა, მაგრამ ეს ნამყენია, საძირე კი თავად საქართველოს ადრინდელ სახელშია მოცემული, გეორგიაში.

— არ მითხრათ, ახლა მიწათმოქმედებით და კურორტებით შეგვიძლია თავის რჩენაო.

— აზრი არ შემაცვლევინოთ თქვენზე. თორმეტი მილიონი ვიყავით თამარის დროს და საკუთარი გვყოფნიდა ყველაფერი: პურიც, ღვინოც, ხორციც, თაფლიც და აბრეშუმიც. რა, ტელევიზორს და ავტომანქანას ვერ შეიძენს ქვეყანა, რომელსაც ბაზარზე გასატანად ექნება ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია?!

ასკაგუბურას მაგალითზე ვიმსჯელოთ. აქაურობა ოცი-ოცდაათი ხექტარი იქნება ყველაფრიანად. გადაყრუებული ცოლ-ქმარი აქ რამდენიმე ტონა თაფლს და სიმინდს, ცენტნერობით — ყველს, ხორცს და ლობიოს ვაწარმოებთ წელიწადში. ახლა უფრო ბეჯითად რომ ჩავუღრმავდებით ჩვენს უხეირობას, დავინახავთ: ასკაგუბურა მხოლოდ არშინით თუ აგვითვისებია. დანარჩენი მიწას მიაქვს უკან, მეწყერს და თოვლს. ნამდვილი მეურნე კაცი აქაურობიდან ოც-ოცდაათ ტონა თაფლს მოიწევდა, სხვა მოსავალსაც — ათჯერ და თხუთმეტჯერ მეტად. ახლა ვიანგარიშოთ, რამდენი ასკაგუბურასნაირი ხეობა გვექნება სრულიად საქართველოში?

— წლების წინათ მეკამეჩეობის პრობლემებს ვუკირკიტებდი. მასალების მოკვლევისას აღმოვაჩინე, რომ ჩვენში ოცდახუთი ათასი დიდი და პატარა მდინარეა, ანუ ოცდახუთი ათასი ხეობა, სადაც თითოეულში ორმოცდაათიდან ხუთასამდე კამეჩის მოშენება შეგვეძლო. საერთო გათვლით კი მთელს საქართველოში სამას ათასზე მეტი სული კამეჩის მოშენება მოხერხდებოდა დროთა მსვლელობაში. დავბეჭდე კიდეც ეს მასალა, მაგრამ ყური ცოტამ შეიბერტყა. თქვენი თანადგომა დანამდვილებით მიდასტურებს ერთ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას: ჩვენს ქვეყანას გადაშენება არ უწერია, ოღონდ მარჩენალ ბუნებას ზურგი არ შევაქციოთ და...

— ეეე, — გაიშვერს მარჯვენას დაბლათისკენ, — ხედავ წითელი მინდვრისკენ ვერცხლის ქამარივით წაკლაკნილ გზა-სავალს?! კარგად დააკვირდი, კარგად! მოძრავ წერტილებს ამჩნევ?!

— ჩინებულად, ტყემზიდებია, — ამოვუდგები გვერდში ფრიალო კლდიდან გადმომზირალს, — ნისლიანში შემოიპარებიან სისხამზე. ბრეზენტის ყვითელმოსასხამიანი ტყისმჭრელები მოკალათებულან ძარაზე. ჩაივლიან დამსვნებლების თვალწინ, უშიშრად, ყინჩად, ვინაიდან მათი აღმასვლა ჯერ რაიონის გამგებლისგანაა ხელდასხმული, მერე — დაცვის უფროსისგან თუ თავად კურორტის მესვეურთაგან. გვიანობამდე არ გამოჩნდებიან მოჭრილი ხეებით. ნახევარსაათიანი უშუქობისას დროს იხელთებენ, უმტკივნეულოდ ჩაიტანენ უშველებელ მორებს, უკვე შეღამების ჯანღებს ატორღიალებულნი და იბაგუნე მერე მკერდში მჯიღი დილიდან საღამომდე, დაისიდან აისამდე: ტყე შეუნახე შვილებსა, ტყე გაშიშვლდება, ბრალია-თქო.

ბელგიელების სამხერხაო იყო აქ გასული საუკუნის მიწურულსო, იტყვიან მრავალისმომსწრენი, წითელ ხეებს ეძებდნენ თურმე, შერჩევით ჭრიდნენ საავეჯოდ, ისე ამუშავებდნენ, ნაფოტსაც არ ხკარგავდნენო. როცა გადამთიელები ასეთი მოკრძალებით ეპყრობიან შენს ბუნებას, ვერ გამიგია, ჩვენ, მის ნამდვილ მეპატრონეებს რაღა ღმერთი გვიწყრება?! მონდომებით რატომ ვჭრით იმავ ტოტს, რომელზეც ვსხდევართ? ვალიკო, ბატონო, იქნება ვითომ საშველი?! — მივაშტერდები ჯიქურ.

— აკი, წელიწადზე მეტს ვიცხოვრე ჭურიაში, იროდი სართანიას სიახლოვესო? ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. მესიაკონი კაცის გვერდით ნამყოფისგან ამდენი წუწუნი გაუგებარია, ბაბაგე, გური! არ უთქვამს იმ ცხონებულს, წყარ ნაწყარს და შარა ნაშარსიავა?*

ოგიშხა*

არა გვაქვს ჩვენ, ქართველებს, ბატონებო, კვირათა სრულყოფილი სახელები. მათი შინაარსი

სრულ შეუსაბამობაშია ბიბლიასთან, აქედან გამომდინარე, ორი რამ არის სავარაუდებელი: ან ჩვენი კალენდარია ბიბლიაზე ძველი, ან კიდევ დიდი უწიგნური და დაუდევარი ხალხი ვყოფილვართ. გარინდებამდე გაუგებრობას იწვევს კანონიკური დასახელება ორშაბათიდან კვირამდე. დღემდე უცნობია ჩემთვის „შაბათში“ „დღეს“ თუ ვიგულისხმებთ, რატომ გამოგვივიდა „პარასკევი“ და „კვირა“ განსხვავებული, დანარჩენი კი ერთგვაროვანი? რა დააშავა „ერთშაბათმა“, პირველდღემ, ან რისთვის შეგვიქცევია ზურგი „ექვსშაბათისთვის“ თუ „შვიდშაბათისთვის“?

მეგრელები ხომ მთლად ბალზე ვსხდევართ და ტყემალს შევექცევით.

კვირის პირველ დღეს „თუთაშხას“ ვეძახით, მთვარის დღეს, როცა ბიბლია დაბეჯითებით გვეჩიჩინება, ცაბაოთმა თავდაპირველად ცა და მიწა შექმნაო, გახყარა ნათელი და ბნელიო, და სადმე სამართალი რომ იყოს, პირველ დღეს „თუთაშხა“ კი არა „ცაშხა“ უნდა ერქვას, იგივე ხუთშაბათი, რათა იოტისოდენად მაინც მიეგოს პატივი უფლის პირზე ოფლგადმომდინარ ხელგარჯილობას.

სულაც არ ვაპირებდი ჩვენი წარმართული თუ ქრისტიანული კალენდრების რევიზიას, მაგრამ მიფარს სინათლის შეტანა ყველგან და ყველაფერში, ამიტომაც მომეტევება, ალბათ, ჩხირკედელაობა ქურუმთა მითაჟამინდელი მჩხიბაობისა და მაცხოვრის ნამუშაკარს შორის განსხვავების მოსასპობად.

მეორე დღეს უფალთუფალს წყალი შეუქმნია და „სამშაბათი“ სავსებით შეუსაბამოა, ვინაიდან მეორე დღე „მეორეშაბათს“ მოითხოვს, „ორშაბათს“ ჩვენებურად, კოლხები კი მთლად თავს გასულან, „თახაშხა“ უწოდებიათ წყლის დღისთვის „წყარიშხა“-სთვის.

მესამე დღეს შემოქმედს მცენარეული სამყარო, იგივე ფლორა აღმოუცენებია, ამიტომაც ამ დღეს მეტი სიზუსტით „ობიშხა“ შეესაბამება, სვანური ვობის კულტი, ოდოიას დღე, ნაყოფიერების გენია.

ყველა უბედურება კი მეოთხე დღესთან იყრის თავს, რამეთუ, დიახაც, ამ დღეს შექმნა უფალმა ორი მთავარი შუქმფენი: დიდი მნათობი დღის გამნათებლად და მცირე მნათობი ღამის გამჩირაღდნებლად, კიდევ — ვარსკვლავები. როგორ მოვიქცეთ ახლა, რომელს მივანიჭოთ უპირატესობა, მზეს თუ მთვარეს? მზე დედაა ჩემიო, ამაყად თავს მაღლა წევს კოლხი; მთვარე — მამა ჩემიო, სამყაროს ეტოლება ფრთაგამოსული ჭიანჭველა; სავსე-სავსე ვარსკვლავები — და და ძმაა ჩემიო, არ იშლის თავისას. ასე რომ, ბიბლიის შესაბამისად მეოთხე დღე მზე-მთვარისაა, „ბჟა-თუთაშხა“-სი და არავითარ შემთხვევაში ათვლაცდომილი „ხუთშაბათი“ თუ „ცაშხა“.

მეხუთე დღეს ძველი აღთქმის კვალდაკვალ ყველგანმყოფმა ფაუნას დაუდო სათავე ვიწრო გაგებით ნაწილობრივ — ცაში ფრინველი ააყივლა, წყალში თევზი აასხმარტალა და თქვა ღმერთმა: აფუთფუთდეს წყალში სულდგმული; მიწის ზემოთ კი, ცის მყარზე, ფრინველმა იფრინოსო, და რომელი ძალა აღუდგებოდა წინ?! მაგრამ კარგად გახსოვდეთ, რომ მიწის სულდგმული, საქონელი თავ-თავისი გვარის მიხედვით, მხოლოდ მეექვსე დღეს გააჩინა ზეციერმა ქვეძრომითურთ, „საბატონო“ რომ გახლავთ კოლხურად და ურიცხოვნო „შაბათი“ ზოგადქართულად, მხოლოდ ნასადილევს, შუადღის გარდასვლისა და სიესტური მოთენთილობის გარდავ- ლის მერმე გააჩენს იგი კაცს თავის ხატად, და ჭეშმარიტად, ამ დღეს ამოაცლის მითვლემილ ადამს უფალთუფალი ნეკნს, რათა შეუქმნას ხორცი ხორცთაგანი ევა, რომლის მეოხებით მიატოვებს ხოლმე დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რამეთუ იქცნენ ერთხორცად.

მოკლედ, სწორედ მეექვსე დღეს დაასაბამებს უბედურებათა წყებას უფალთუფალი ევას სახით, თუმცა მოვეშვათ მაცხოვრის ნაღვაწის განჩხრეკას და შედარებით უმტკივნეულო ამბით შემოვიფარგლოთ, ანუ ქართული წარმართულ-ქრისტიანული კალენდრების ასინქრონულობით.

სიტყვა შორს რომ არ გაგვექცეს, მეხუთე დღეს, რაკი სანახევროდ შექმნილია ფაუნის სამყარო, უპრიანია ეწოდოს თევზ-ფრინველის დღე, ნაცვლად „ობიშხასი“ თუ „პარასკევი“-სა. რაც შეეხება მეექვსე დღეს, ვფიქრობ, წინ არაფერი დაუდგება ტალახისგან გამოცხობილ ადამიანს, კაცს ზოგადად, რომელიც შემდგომ განიყოფება მამაკაცად და დედაკაცად. ასე რომ, ამ დღის მოსანათლად ფრიად გამოგვადგება ფონემა „კაცი“ და აქედან გამომდინარე, „კოჩიშხა“, იგივე „კაცდღე“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სოციალისტურთან გაიგივებული, რომლის მიხედვით მამაცხონებული სტახანოვი სამასი მეკურტნეს ნორმას გამოიმუშავებს და სხვა ლონდრე სულაც მცონარობით გვამახსოვრებს თავს ტყირპლიანი გვადი ბიგვათა მიმსგავსებით, თუმცა ვინაიდან და რადგანაც თვით მამაღმერთსაც მიეტევება ექვსდღიანი ჯაფის შემდეგ მოსვენება, დავუთმოთ ზირტიკებს მსგეფსი მხართეძოზე სანებივროდ?!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვგონებ თვალნათლივ დავინახეთ თუ როგორი ანაქრონიზმია ქარ-

თული წარმართულ-ქრისტიანული კალენდრების სავანეში და რანაირი ჭკუადაუნჯებით შეგვიტანია ნათელი საუკუნოობით აბურდულ საქმეში!

დარწმუნებული ვართ, ამიერიდან მაინც შემდეგნაირ რიგისობას დააწესებენ კვირის დღეების თანამიმდევრობაში მეგრელები: „ცაშხა", „წყარიშხა", „ობიშხა", „ჩხომიშხა", „კოჩიშხა", „თუთაშხა" „სვანჯიშხა". ასე და მხოლოდ ამგვარად მიიჩნევა პატივმიგებულად ცაბაოთის ღვაწლი ექვსდღიანი მეცადინეობის გზაზე.

ზოგადქართულად ხომ მიგვინიშნებია ერთხელ: „შაბათი", რადგანაც „დღეს" შეესაბამება თანამედროვე გაგებით, ამგვარ მეტამორფოზას დავსჯერდეთ: ერთშაბათი, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, ექვსშაბათი, შვიდშაბათი.

ეხ, როგორ უნაყოფო ფიქრებს აღმოაცენებს ხოლმე საირმეს ნისლიანები?!

ნელი სვლით მიგოგმანებენ თავდაღმართში გიგანტი ნაძვებით დაჯორგილი ტყემზიდები.

აივნიდან გახყურებ უშფოთველი ძილით გარემოსილ კურორტს. თანამეცხედრე მესამე და მეოთხე წყაროებიდან პლასტმასის ლიტრანახევრიანებით ამოგიტანს წყაროს წყალს.

დავიწყებას მისცემია შლაკები ნაარყალ-ნაღვინევი თირკმელებიდან. ეზეიმება ღვიძლს, კუჭ-ნაწლავს.

სასადილოდან ლანგრებით ამოაქვს ხელმწიფის საკადრისი სადილი შეფ-მზარეულ იზოლდას.

უბედურებას დამატეხს თავზე თოლიო და ქეთი ნერგაძეს სასადილოს მეჭურჭლეთუხუცესისთვის არ ჩაუბარებია თურმე საჩემო სულუგუნ-თაფლეულით გაძეძგილი პოლიეთილენის პარკი?! ახლა მაინც სად გაექცევი რეალობას? ბავშვები წითელი მინდვრისკენ გექაჩებიან, სილამაზის წყაროსკენ გაძღოლას გეაჯებიან, გეპატიჟებიან საკუნტრუშოდ საცეკვაო მოედნისკენ. ვერაფერი ერევა შენს სიჯიუტეს, შენს წყეულ თაბახებს და საშა ეგუტიას ნაჩუქარ საბეჭდ მანქანას, რომლის სადღეღამისო რაკუნს კარგა ხანია შეგუებია წაბლარისწყლის გაღმა-გამოღმა კორპუსები. ბოლოს და ბოლოს იეშმაკებენ ონავრები, სუსტ წერტილს მოუძებნიან მშობლის მოუხეშავობას და გერმანელი ტყვეების საფლავებისთვის დაკრეფილი ყვავილებით რომ მომადგებიან, ფარ-ხმალს დაგვაყრევინებენ მეცა და ბადრი ცირამუასაც. ტაატით მივუყვებით სასაფლაოსკენ მომავალ გზას ხალხმრავალი პარკის გავლით. ბავშვები ფეხებში გვებლანდებიან. მიიფრიალებს ჯიბიდან ბოლო ლარიანებს ნაყინი, სათამაშოები, სასუსნავი... გრძელ მერხებზე სხედან ცხოვრებით დამაშვრალი დამსვენებლები. საუბრობენ ერთმანეთში. დროდადრო მოყლუპავენ საირმეს პირმომწოე წყალს.

გონებაში ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარება" ამოტივტივდება: **„სხვენის კიბიდან ჩამოაქვთ ცარიელი საშგზავრო სკივრები ცარიელი კუბოებივით ხრიგინებს. ფრენჩ-ლიკი,* სიკვდილი კი არ უნახავს მლაშობზე წასულ გოგოს".**

ამ სტილის მწერლების უკომენტაროდ გაგება ძნელია. აუცილებელია შენიშვნებში ჩახედვა. ფრენჩ-ლიკი თურმე მარილის საბადოებით ცნობილი აგარაკი ყოფილა ინდიანას შტატში. კვენტინ ქომპონს სამგზავრო სკივრები ჯერ კუბოებად წარმოესახება. ეს უკანასკნელი ფრენჩ-ლიკს ამოატივტივებს მის ცნობიერებაში, ვინაიდან ნადირი, დიახაც რომ, მარილიან ადგილებს ეტანება ხოლმე. მონადირეებმა ჩინებულად უწყიან ამის თაობაზე და სწორედ იქ ხდებიან მათი ტყვიის წერა. მლაშობზე წასული გოგო, იგივე კვენტინ ქომპსონის უსაყვარლესი და — კედი გახლავთ, რომელიც სიკვდილს კი არ იპოვის ფრენჩ-ლიკში, არამედ მეძავი ქალის სახელს.

ბატონი შოთა ზოიძე კი გზისმკვლევში ჯიუტად გვახვევს თავს საირმეს ეტიმოლოგიის თითებიდან გამოწოვილ ვერსიას:

საირმის დღევანდელ წყაროსთან გამოსულ ვინმე მზეჭაბუკს შველი უხილავს. განუგმირავს მშვილდ-ისრით. მერმე დაჭრილი, ადამიანის ენით რომ ალაპარაკებულა, მთის მწვერვალზე აუყვანია და იქ დაუტოვებია ნადირის თხოვნისამებრ. გასულა უამრავი თვე. გაცივებულა ტყე-ღრეში მოხეტიალე მონადირე მწყემსი მზეჭაბუკი და ამ დროს მფარველად ქალწულადქცეული ის შველი მოვლენია. თურმე ჯადოქარს გადაუქცევია იგი ირმად, რათა დევებისგან ეხსნა. გამოჯანმრთელებული მზეჭაბუკი ამოხოცავს დევებს, იმ ერთადერთს დიდხანს ეჭიდავება და ბოლოს, ეს უკანასკნელი მაინც ძლევს ადამის ნაშიერთ: ქალს კალმახად გადააქცევს, ბიჭს — ტბად და კეთილ ჯადოქარს — ნაძვად, საირმის შემოსასვლელში ქვაოკვანეშზე, ქვაქანციაზე საკვირველად რომ ამობობღებულა, იმ ნაძვად. ესეც ზოიძისეული ფანტაზის მზეგანი ეტიმოლოგიის სადაურობის თემშარაზე.

„ფრენჩ-ლიკი... ყველანი ჩვენი მლაშობისკენ მივიჩქარით, — ვფიქრობ გზადაგზა, — ნოდარ წულეისკირის ნოველის ბულბულები სურნელოვანი ვარდებისკენ მიისწრაფვიან, სადაც თვალდახუჭულებს ადვილად ეპარება უკუღმართი ონავარი და რადგანაც იცის, მაფშალია ამ დროს გარემო სამყაროს გამოთიშულია, უსულგულოდ მოიხელთებს ხოლმე;

ზეგნელი ილარიონ გორგოძე და მეჯოგე გუჯუ გაბედავა მლაშე წყაროებისკენ მიაბოტებენ,

ვინაიდან სჯერათ, გამთენიისას უცილობლად მიაკითხავს იქაურობას მწყურვალი რემა. ქორბუდათა ფრენჩ-ლიკიც ეგ არის;

გერმანელი ტყვეები ფეხარეულად მოაბიჯებენ გოლიათი კლდეების ძირში, რომლის ღრანტებში უხვადაა ჩაწყობილი ლაღუმი. აფეთქებებს ლოდთაცვენა მოსდევს და იოდისფერ ნამსხვრევებში ღაფავენ უსამშობლო სულს; გიგანტი ნაძვები წითელი მინდვრისკენ მიისწრაფვიან, როგორც მდინარეთა სათავისაკენ ქვირითისმყრელი ორაგულები, რათა ნისლის კალთებიდან შემოპარულ ტყისმჭრელებს თვინიერად მიუშვირონ ყელი გამოსაღადრავად, რომ მერმე იმ ვინაობაამოუხსნელი ტაფობის სულში აჩუხჩუხონ ძალუმად დამდოვრებული სისხლი. ფიჭვების ფრენჩ-ლიკი წითელი მინდორია“.

ბადრი ცირამუა, მე, ოტია იოსელიანი თუ თითისწვერებზე შემდგარ პანსიონატში ხვალ-ზეგ მოსასვლელი რეზო ჭეიშვილი, მარილით გაჯერებულ სიტყვას ვეფალავნებით. ნაღრძობია თეძო თუ მუხლისთავი იაკობივით უზენა- ესთან სადღეღამისო ჭიდილში და აწი, იმ ჩუმჩუმელა ტყისმზიდების ათწყება საირმის წყალიც რომ ყლაპო პოლიეთილენის ლიტრანახევრიანებით, ვერაფრით გაგაცლის მათ დანაშრევ-დანალექს:

„მზე დედაა ჩემიო“, ძერწავს პოემას მუხურელი მელექსე;

მეწინავე რეხოს ირაოებს მიადევნებს მზერას ბატონი ოტია — საქართველოს უნუგეშო სინამდვილის მესვეურს.

„ცისფერი მთების“ — დაუსრულებელი რომანის დავიდარაბა ჩაუმთავრებია დიდებულ რეზო ჭეიშვილს და ვინ იცის, ახლა რა ამოუღია თვალში აყმუვლებული რეალობიდან;

მეც „მგზავრის წერილების“ მიმსგავსებულს ვაჩინდრიკებ უბატონო გვარის წარმომადგენელი ვალიკო მესხიას მეოხებით ლელთ ღუნიას თარგზე.

ფრენჩ-ლიკი ხომ არა და არ ილევა.

დიდოსტატის შემოქმედის მემკვიდრისათვის იგი უბედური სამშობლოა, ღურწკაიების ჭერი და დრინაზე ხიდის გამდებელი დიდი ვეზირის, ვიშეგრადელი სოკოლის თანამოსახელე წინამძღოლისთვის — მსოფლიოს გულისკენ მიმავალი დიდი აბრეშუმის გზა ნავთობსადენიანად;

ყველა თავის ფრენჩ-ლიკთან აღესრულება:

მეფეთმეფე აგამემნონს ბაგაში დაბმული ხარივით დაკლავენ ცოლი და მისი კურო ეგისთე; ალექსანდრე მაკედონელი ლაშქრობაში დალევს სულს, რათა თაფლის სარკოფაგით მოუბრუნონ მამულს, სხვათა დამცრობაში აღზევებულის შეურყნელი ნეშტი; იულიუს კეისარს რუბიკონს გამოღმა, სენატში უმარჯვებენ ორლესულებს მკერდში რომის დიდებულნი, განუყრელი მეგობარი ბრუტუსის ამფსონობით; ჯორდანო ბრუნოს თუ ქეთევან დედოფლის ფრენჩ-ლიკი მოგიზგიზე კოცონში გამოსაწრთობი რწმენაა; ერთადერთი, ონავრების ჟრიამული არ ცნობს ფრენჩ-ლიკს; მათი ციცაბო, ჭვავის ყანის კიდეს ხბოს კუნტრუშია, დედის წინ კვიცის მორბენლობა და არაფერია გასაკვირი, რომ იმ გრძელ მერხებზე ჩამოსკუპებული, საირმის წყლის ყლუპვაში მომასლაათე დიდედები ცეცხლზე შემოდგმული რძიანი ქვაბებისთვის საჭირო სიფხიზლით შეხყურებდნენ ფერდობ-ფერდობ მოჯირითე შვილიშლებს, თან აქა-იქ ხმასაც მიადევნებენ მათ დაუსრულებელ გიჟმაჟობებს:

— ნელა ირბინეთ, გენაცვალეთ! არაფერი იტკინოთ, ბებოს ჭირმა!

ქეთი ნერგაძისგან ვიცი, თბილისელი მონადირე გუშინღამ წასულა მწყრებით გამოტენილი ჩანთით. დათვის ქონი, თაფლი და რძიანი სულუგუნებიც წარუმძღვარებია ბლომად. თავს იკლავდა თურმე მისი თოლი, მაგრამ ის ახმახი მიშიკო, დასაკუწავად რომ დაღირებია ტკიცინა ასლარიანებს, ჩამოუყრია მხრები უბატონო გვარის შთამომავალს.

— გელოდებაო, — ასე დაასრულებს საუბარს.

ხელოვან ხალხს ხელისგულზე ატარებდნენ და ატარებენ საქართველოს ნებისმიერ კუთხეში: ქართლში, კახეთში, გურიაში.

ამ მხრივ იმერეთი შეუდარებელია მთლად. ერთი ფაციფუცია ბატონი რეზო ჭეიშვილის მოლოდინში. სიტყვის ყადრი წუთისოფლის ოღროჩოღროს ღარშია მიშვებული მეოხად, ნუგეშისმცემელ ჯადო-თილისმად სრულიად საქართველოში დღევანდელი სამეგრელოს გამოკლებით, ვინაიდან აქ ფეხზე მოსიარულენი რა მოსატანია, როცა უიარაღოს — კონდრატე თათარაშვილის სახლმუზეუმი იყიდება ამ სიტყვის იურიდიული გაგებით; როცა ალექსანდრე საჯაიასა თუ იონა მეუნარგიას ეზო-ყურეებს აწვიმს და ათოვს, მაგრამ რას გააწყობ, როგორიც ბერი, ერიც ისეთიო, თქმულა.

ცრის. გერმანელი ტყვეების საძმო საფლავს ბალახი მოსძალებია. მართალია, ოთხი წლის წინათ

აქაურობა გაკრიალებულა მაშინდელი გამგებლის, გურამ გეწაძის თაოსნობით, და გზისმკვლევის სიტყვებს თუ დავესესხებით: **„გერმანელ ტყვეთა შემორიალის აგება ნათელი დადასტურება იყო იმისა, თუ როგორ გვესმის იმ ეპოქის ტრაგიზმი, რომლის დროსაც მილიონობით ადამიანი ასცდა საკუთარი სულიერი და ფიზიკური მისწრაფებების ტრაექტორიას და მათთვის ადამიანურ ღირებულებათა** □სტილი — ავტორისა, გ.ო.), **კომპენსაციად იქცა ომი, ნგრევა, შიში, შიმშილი“**.

ყველაფერი ჩინებულად მოკოპწიავებულა, საელჩოდან წვეული სტუმრების მოსახიბლად, ქულების ჩაწერის მიზნით. გამომხდარა ხანი და აქაურობა უკმურ ლენცოფას წაულეკავს, გვირილაგარეულს, თაკარა მზისგან გახუნებულ ლენცოფას.

ჯვრებს აქა-იქ ფრთები ჩამოუყრია, წაქცეულა ზოგი, წაფერდებულა სხვა, და ფეხზე გვარიანად მდგომელთაც საღებავი გაცრეცვია თალხი ფერისა. ოთხი წლის წინათ კი მჯიღს ვიცემდით მკერდში ნორბერტ ბაასის თუ სხვათა გულების ასაჩვილებლად.

მოვაკოხტავებთ სასაფლაოს შიშველი ხელებით რამდენადაც შეგვეძლება, თითოეულ სამარესთვის იკმარებს ონავრული გულუბრყვილობით დაკრეფილი ველური ყვავილები. მე კი ბორხერტის „თოვლი, თოვლი, თოვლი“ მახსენდება და კიდევ — მირზა გელოვანი, მისი „აონი“ და „მე დავბრუნდები, მე დავბრუნდები, მე შენი თმები დამაბრუნებენ“.

რამდენ ტალანტს გამოუსვა კოჭებში ცელი არესის ორომტრიალმა?! იდეოლოგიურად გათიშული მსოფლიო ლამის გადაიჩეხოს მარათონული მამლაყინწური ურთიერთდამოკიდებულების გამო. ახლა წითელი საბჭოეთი გადამწვანებულა დოლარის კოლორით, მაგრამ აღთქმული საამური ცხოვრება კვლავინდებურად რომ იგვიანებს?!

— კაცის მოსაწონი მამალმერთმაც ვერ გააკეთა, — ვიხსენებ ვალიკო მესხიას გუშინწინდელ ნალაპარაკევს, — ადგა და ტალახისგან გამოცხობილს სული შთაბერა, ედემის უკვდავ ბაღში დააფუძნა სამისდღემშიოდ, მაგრამ მოყირჭდა მალე უზრუნველობა ჩვენს ადამს და აქ ცხოველ-ფრინველების ქარავნები აახლა უფალთუფალმა თავის ხატად შექმნილს. იკუნტრუშა მათთან ერთად ადამმა გვარიან ხანს, მაგრამ დროთა ვითარებაში მობეზრდა უსაგნური თამაშიც და ღმერთი იძულებული შეიქმნა მიძინებულისთვის ნეკნი ამოეცლია, დედაკაცი მოევლინა მოწყენის გასაქარწყლებლად.

ამანაც ვერ აზეიმა დიდხანს ადამის სული და ასეთ დროს, ასეთ ვითარებაში, გველისგან შეცდუნებული ევა იგემებს კიდეც აკრძალული ხის, ხეცნობადის, ნაყოფს და აეხილება ადამთან ერთად თვალი. შეიცნობენ თავიანთ სიშიშვლეს. ჩაებუდებათ უფლის შიში დანაშაულის გამო, მამალმერთის სიტყვას რომ გადავლენ. ასე გაძევდებიან სამოთხედან მარადიული სიკვდილის კერძები ოფლით პურის მოსაპოვებლად, სიმწრით შვილების გასაჩენად, ქუსლით გველის თავის გასაჭეჭყად და დასაგესლად იმავე თავისგან. ხვანცალებენ და ხვნეშიან იქიდან მოყოლებული. საკუთარ თავში იძირებიან, ვარსკვლავებს მისდევენ, უსასრულობაში ინთქმებიან, მაგრამ ბუზღუნით აღესრულებიან მაინც, ვინაიდან უკვდავებას ველარაფრით ინაღდებენ.

ამაო ყოფილა მათი მეცადინეობა, მათი ყოველი მუშაკობა ჭეშმარიტის ამოცნობის გზაზე.

სხვანი აგროვებენ დოვლათს, შეიძენენ ათასი ჯორ-აქლემის აკიდება ოქრო-ვერცხლს, დახკარგავენ კი ამ გაწამაწიაში უმთავრესს — სულს. ისინიც წუწუნით გავლენ გაღმა, მარილზე.

მავანნი საგმირო საქმეებით ცდილობენ საკუთარი მეობის გადარჩენას მთელი კაცობრიობისთვის: ახდენენ რევოლუციებს, არიან ხალხის ბელადები, თანაუგრძნობენ გაჭირვებაში ჩავარდნილ თვისტომს და უკიდურესობამდე იზიარებენ მათ სატკივრებს;

ზოგი მსუბუქად მიათამაშებს კავს, ზოგი ღრმა ხნულს გაავლებს მეხსიერების საშვილიშვილო კაბადონზე, და ვიკენკებით, ვიციცქნებით უკვდავების ნამცეცებით, რომელიც ჩვენი ავადმყოფი ბუნების დასამწყურვალებლადაა გამოგონილი.

ხეცნობადის ნაყოფი რომ აგემა გველმა ევას და ადამს, ხომ შეძლო სიცოცხლის ხის ნაყოფით დაეწყო მათი გაბედნიერება, მაგრამ მაშინ დაირღვეოდა ადამიანის გაჩენის, ცხოვრებისა და სიკვდილის გარდუვალობა. ამიტომაც არაკი სინამდვილეს რომ მორგებოდა, ხეცნობადის ნაყოფით აგვიხელენ თვალებს და ედემის ბაღი აღმოსავლეთით ქერუბიმებს და ცეცხლოვან მახვილს გადაეცემა სამეთვალყურეოდ, რათა დაიხშას სიცოცხლის ხესთან მისასვლელი, ჩვენ კი პირზე ოფლშეუმშრალნი ვისწრაფვით იმ ხის ნაყოფის მოსაწყვეტად, მეჯოგე ვართ ეს, მეფუტკრე, მევენახე, გუთნისდედა, მშენებელი თუ მწერალი, ყველას გვჯერა ჯადოსნური ზღაპრისა, უკვდავება კი სინამდვილეში ადამიანების გულის დასამშვიდებლად აგორებული ჩმახია.

რომელ უკვდავებაზეა საუბარი, ბაბაგე, გური, რომელ მარადიულობაზე, როცა ჩვენი დედამიწა, მისი ყოველი სიკეთე საპნის ბუშტია დროსთან მიმართებაში?! ეს ხუჭუჭა გორაკები, ლებოროტი, საკონ-

დახო, წაბოცეთი, ასკაგუბურა, უფრო შორს — კავკასიონი და მის იქით — აფრიკა, ამერიკა, თავიანთი პირამიდებით თუ ცათამბჯენებით, ტელევიზორის ეკრანიდან რომ მომიკრავს თვალი, ,,ვეფხის ტყაოსანი'' ჩვენი, უამრავი გულშიჩასაკონებელი მშვენება: ირმის შველი, ხოხობი თუ იაია — მტვერია, ცეცხლი, გარდაუვალი განადგურების მომლოდინე და მაინც ადამიანი აი, ამ წამიერი აღმაფრენითაა უკვდავი, არა დროის ხანგრძლივობაზე დამოკიდებულით, არამედ შექმნის ხიბლით მონუსხული, შრომის, მუშაკობის მადლით შემოსილი და მეც ამ იმედით დავლაყუნებ დუნიაზე.

დასახლებასთან გავიყრებით გერმანელი ტყვეების ჭირისუფალნი: ქალები სანატორიუმისკენ წალალავენ ბავშვებს; ბადრი და მე ფირმა ,,საირმე-92''-ის ტერიტორიისკენ დავეშვებით.

მასპინძლები თავაზიანად გვეგებებიან. როცა შეიტყობენ ჩვენს ვინაობას და სურვილს — ორიოდე სიტყვა შევაწიოთ მათი საშვილიშ- ვილო საქმეს, ახოვანი ნაძვების ძირას დამონტაჟებულ, წაგრძელებულ მაგიდასთან მიგვიპატიჟებენ. გამოიტანენ საწყობიდან სხვადასხვა ტევადობის ბოთლში დაფასოებულ ,,საირმეს''.

სააქციო საზოგადოება ,,საირმის'' გენერალური დირექტორი, ბატონი ვახტანგ კოპალეიშვილი, ბაღდათს გამგზავრებულა. დანარჩენი აქციონერები აქ გახლავან — დავით გარუჩავა, თამაზ კბილაშვილი, ალექსანდრე ნერგაძე და კახა გვიჩია. მათი ძირითადი ხელგამმართველი ამ უკანასკნელის ბიძაშვილი გია გვიჩიაა, სანკტ-პეტერბურგელი ბი ზნესმენი, იქაური ლუდის გიგანტი ქარხნის გენერალური დირექტორი. ნევისპირელ მეწარმეს დღემდე 250 ათასი ლარი გაუხარჯავს საირმელების სასარ! გებლოდ. ძირითადი სამუშაოები ზედმიწევნითაა შესრულებული. ჩამოტანილია ახალი ხაზი, რომელსაც შეუძლია საათში საშუალოდ 2000-4000 ლიტრი მინერალური წყლის ჩამოსხმა. ბოთლებს ნახევარფაბრიკა ტების სახით ღებულობენ, იგივე პოლიეთილენის ჰილზებს რუსთავის ქიმბოჭკოდან — ერთლიტრიანებს და 400-გრამიანებს. შეძენილი აქვთ ჩინური წარმოების 2 მანქანა-დანადგარი, რომელიც საათში უშვებს 500 ბოთლს, ბერავს მათ და სასურველ კონფიგურაციას ანიჭებს. გამორჩეული აღნაგობის პოლიეთილენის ბოთლები მიეწოდება ჩამოსასხმელ ხაზს. თავად № 3ᵇ და № 8 საირმის წყარო ბოთლებში ჩამოსხმამდე იფილტრება, სუფთავდება ბაქტერიებისაგან, გაზირდება. მხოლოდ ამის შემდეგ იგზავნება უამრავი მიმართულებით, საქართველოსა თუ რუსეთში. ფირმის გარანტიით ,,საირმის'' შენახვის ვადა 12 თვეა.

კახა გვიჩიას თქმით, მათი პროდუქციის ფალსიფიკაცია გარკვეული პერიოდი გაძნელდება, რადგანაც ეტიკეტი ორმხრივია, თანაც ფორმა ისეთი შეურჩევიათ, რომ გაჭირდება მისი დაბეჭდვა; გართულდება აგრეთვე ეტი- კეტის გამოჭრაც, ყველაფერთან ერთად ეტიკეტის მასობრივი დასტამბვა ხომ სოლიდურ თანხას მოითხოვს. მაგალითისათვის, პირველი ნაკადის ეტიკე- ტისათვის მათ 15 ათასი დოლარი დაუხარჯავთ. ეტიკეტი გერმანული წარმო- შობისაა, სახურავი — თურქეთისა.

როგორც აქციონერები გვეუბნებიან, ხაზზე ოცი კაცია დასაქმებული. ძველი კოლექტივი არსებითად შენარჩუნებულია და დაცულია მათი სოცია- ლური ინტერესები. მუშები, აქვე, ქარხნის ყურისძირას ცხოვრობენ. უფასოა ერთჯერადი კვება. ,,საირმელები'' ხელფასს ჯერჯერობით ას ლარს უნაზღა- ურებენ თითოეულს. წელიწადში სულ ცოტა 5 მილიონი ბოთლის ჩამოსხმას ვარაუდობენ, რაც მარტივი გაანგარიშებით ადგილობ რივ ბიუჯეტს 150-200 ათასი ლარით შეავსებს. სხვა რა გვენდომება ჩვენც — მამულის მოჭირ- ნახულე მესიტყვე-დამსვენებლებს?!

ჩავეკითხები მოგვიანებით ,,საირმელებზე'' მარტოსული ხეობის მახვშს და აი, რას მეტყვის სინანულით:

— დიდი უმადურები ვართ ჩვენ, ზოგი ქართველი, სანატორიუმელებია ესენი თუ იმ საირმის მეპატრონენი. კომუნისტობაიაობიდან მოყოლებული, კრუ- ხივით ასხედან გაპარტახებულ ავლადიდებას და როცა ვინმე წესიერი ინვესტორი დააპირებს შემოსვლას, წილებში ჩაჯდომას მოიგუნებებენ ხელად, მუქთა სარჩოსაბადებელს ეპოტინებიან. ამისთანებს გავხვეტავდი არა თუ საირმიდან, საქართველოდან საერთოდ. ბიჭოს, არ ჰყოფნით ბედოვლათებს სოციალისტური ხუთწლედებში შეტკბარუნებული ათასები. ესენი იმისთანა გაუმაძღრები გაუჩენია ზეციერს, მუგუზალშიც შეგეცილებიან, ოღონდ საჭმელად ვარგოდეს. ყოფილა ჩვენთან კახა გვიჩია. სახიერი ყმაწვილკაცია. ბევრის გაკეთება სწადია, მაგრამ, აი, ესენი და კიდევ ბაღდათელი ცუცკები უცრუებენ გულს. ამ არაფრის მაქნისებს ჰაერიდან მოწყვეტილი ფული უნდათ ცხოვრების მოკვარახჭინება. ფუტკარი უფრო გაბედულია. მოამსხვრევს ამისთანებს ფრთებს და თვალის დაუხამხამებლად ისვრის სიკიდან. ერთხელაც იქნება და აუცრუვდება გული იმ შენს ლენინგრადელ გვიჩიას, ბაბაგე. მიატოვებს ამ მიყრუებულში ,,საირმის'' ჩამოსხმას, თავის ჩინებულ ,,სტეფანე რაზინს'' მიუჩოჩდება, ფულსაც მოაბევრებს და სახელსაც..

საირმეში ჯერხანობით ფიჭური ტელეფონი უმაქნისია. ისევ ჯაბახანა ტრადიციულით გავ-

იფონებთ.

— როგორ შეეწყვეთ იქაურობასო, — მეტყვის ძუძუმტე.

— ჩინებულად-მეთქი,— ჩავძახი ყურმილს, — ისეთი კვება და ყურადღებაა, ბავშვების წამოყვანა ნამდვილად გამიძნელდება-მეთქი.

— მაინც როდემდე რჩებითო, — მეკითხება აუღელვებელი ხმით.

— თხუთმეტ აგვისტომდე-მეთქი.

— მაშინ ცხრამეტში ერთად წავსულვართ ბაკურიანში. ხომ არ დაგვიწყნია ვინ გველოდება იქ?! ჩვენი, ათას ხუთასი დევნილი სამურზაყანოელი მოზარდიო.

— ღვთის შეწევნით ჯერჯერობით მეხსიერებას არ ვუჩივი-მეთქი. — კი ვეუბნები ასე ძუძუმტეს, მაგრამ გული მიკრთის, ვინაიდან ვალიკო მესხიას ნასაუბრების ორმოცდაათი პროცენტით აღდგენაც ვერ მომიხერხებია. ხომ არ მომჩოჩებია მარაზმი როსტევან მეფის დამასევდიანებელი სნეულებით-მეთქი და იქვე თავაწეული გადავიყრი მხრებიდან ნაადრევი სუსხის ფთილებს.

ფეხაწყობილად მივუყვებით აღმართს სანატორიუმისკენ მე და ბადრი ცირამუა. იმას თავისი მახრა ულრღნის სულს, მე — ჩემი. უხმაუროა მსვლელობა ესე, მაგრამ ფიქრით დაყურსული.

— შენობების გაყიდვის არ უნდა შეგვეშინდეს ჩვენ, — ჩამესმის ვალიკო მესხიას სიტყვები ოთხშაბათური მასლაათიდან, — მთავარია მიწები შევინარჩუნოთ. სანამ მიწა აქვს ქართველს, მისი გადაგვარება შეუძლებელია. გვარივით შემკონავია იგი, ჩვენი უძლეველობის ჯადო და თილისმა. მხარ-ბეჭიანი შემთხვევით აღმოცენდება განა წინაპრის ნაფესვარში ჩარგული ნაძვი? გჯეროდეს, მამა-პაპათა საფლავებს რაღაცნაირი მომნუსხველი მიზიდულობა გააჩნია, ჩვენი მხნეობისა და დღეგრძელობის ურყევი საძირკველი, ლიბო. ნურც უცხოელის მოსვლის შეგვეშინდება, ბაბაგე, გური. ყოფილან აქ, ქვემოთში, ბელგიელები ხე-ტყის დასამუშავებლად. მომცრო ელექტრო-სადგურიც იმათი ხელიდან გამოსულა და რამდენიმე ნაგებობაც, რომელიც ჩვენი დაუდევრობით იავრქმნილია ახლა. მართალია, გადამთიელი ნემსს რომ მიარჭობს, იქიდან ნაჯახის მოხსნას მოიგუნებებს ადრე თუ გვიან, მაგრამ ამით უარაფრობაზე მეტი რაღა დაუშავდება ჩვენს ქვეყანას?!

ქართველებს უცხოთა გაღმერთება გვჩვევია საერთოდ. ნათქვამია, ქრისტეს მხოლოდ მშობლიურ ნაზარეთში არა აქვს შენდობაო, და რადგანაც ეს შეგონება ჩვენი მოურჩენელი იარაა, იქნებ უცხოელების საქმისმოყვარეობამ, მომჭირნეობამ, დროის, ფულის ყადრმა, ჩვენშიც აღზარდოს ყაირათიანი ადამიანები?! ეგერ, ის შენობები, ჩვენი ფითრმოდებული ტყეებისა არ იყოს, უსახსრობით ფუჭდება, ინგრევა. გიორგი ჩხეიძეს რომც აჩუქო, რას უზამს, ქონს წაუსვამს თუ თაფლს ჩამოწოლილ ჭერ-კედლებს? ფული იმას არ ატიალია და ქონება, ფეხზე წამოაყენოს ოდესღაც ქარვასლათა მსგავსნი. უცხოელი კი მოვა, ბაბაგე, გური, გაარიწკინებს გზებს, ეზო-კარს, ოთახებს. დამსვენებელსაც თვალისჩინივით მოუვლის, თვითონაც იხეირებს და სახელმწიფოსაც არ დატოვებს ზარალში. აბა, უცხოელს ვინ აპატიებს გადასახადისგან თავის არიდებას? ჯერ ჩვენ ბიძაშვილ-მამიდაშვილობის შეგნებიდან ვერ გავთავისუფლებულვართ. უკუდო ხარს ვგავართ, კუდიანებს ბუზს რომ უგერიებს.

მთავარია, მიწებს მოვუაროთ, ბაბაგე, გური, ტყეებს მივხედოთ, ჩვენს წყაროებს და მდინარეებს; მთავარია, წითელ მინდორსავით გულში ხანჯალს ნუ ჩავცემთ დედაბუნებას და მის მკერდზე აშენებული ნაგებობების, ქარხნების, სანატორიუმების, ფაბრიკების თუ ფერმების გაყიდვისას ხელი ნუ აგვიკანკალდება. ვერსად წაიღებენ იმ კედლებს გადამთიელნი, სამაგიეროდ ევროპული ყაირათიანობა დაისადგურებს ჩვენში, იქაური მუყაითობა. დაუდგება წინ რამე ამისთანა ქართველს, ხა?!

ასკაგუბურას სამნებამდე მოგვაცილებს კაცებს ნერგაძეების მანდილოსანი. იქ, ლარტანიანი ლატანებისგან აბანდულ ზღუდესთან დედაშვილურად გადავეხვევით ერთმანეთს და ამჯერად თავპატიჟი არ გამომივა. მართალია, ნაცნობ ხურჯინს ჩემს მაგიერად თოლის გადასცემს დიასახლისი, თავის ჯიხას — ციხე-სიმაგრეს — გარეკს საქმეში, მაგრამ ხომ წავუყრუებ საჩემოდ განკუთვნილ ტვირთს?! უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდნილვარ, დიახაც: მარტოსული ხეობის მახვში სტუმრის საპალნეს შესდგომია საუკუნოვანი მხრით. ხელს გაიწვდი მისაშველებლად და გამოდის — ხეპრე ხარ — ძღვენის დანიშნულების ვერამომცნობი, ან მთლად გითოღალირ-გაქექილი, თვალთმაქცურად რომ მორგებიხარ ვითარებას. პატივმოყვარეობას როგორღაც ვაჯობებ.

— მაინც თავისი გაიტანა, — ამ სიტყვებით წავიწევი ხურჯინისკენ, მაგრამ ვინ არის ტვირთის დამთმობი?!

ორჯერ მიეფარება თვალს ქეთი ნერგაძის მოფრიალე ჭრელი მანდილი. ბოლოს უღონოდ დაშვებულ მარჯვენიანად შეიწოვს დაყურსული უსიერი.

— სანატორიუმში თქვენი ბავშვების ნახვის შემდეგ მოსვენება დაკარგა. გარდაცვლილი და

დაფანტული შვილების დარდი შემოაწვა გულზე. ფულის, სარჩოს წასაღებად ამობრძანებასაც არ კადრულობენ. ყბების გაქანავებაც ეზარებათ დაღეჭილი ლუკმის გადასაყლაპად. ახლა, სიკვდილის მდინარეში შესულისთვის, მეტი სიცხადე შეუძენია მამაზეციერის ნათქვამს: მშობლებს კი ვასწავლე შვილების მოვლა, მაგრამ აი, შვილებს, სავალალოდ — ვერაფრითო.

— ბიბლია სხვანაირად ხსნის ამ ამბავს. მოგეხსენებათ, უფალი ძილქუშს მოხგვრის ადამს, მძინარეს ერთ ნეკნს ამოუღებს, სანაცვლოდ ხორცს ჩაუდებს და იმ ნეკნიდან შეუქმნის კიდეც დედაკაცს.

ამის თაობაზე ადამი დაასკვნის: ეს კი მართლაც ძვალია, ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანიო. ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენო. თითქოს მშობლები სხვა მასალისგან იყვნენ მოზელილნი.

— რა ბრძანებაა, მასალა აქაც იგივეა, მაგრამ გამცვდარია უკვე, დალეული. საკუთარი დედაკაცისას კი სხვა მათრობელა ოხშივარი ასდის. ხოდა, იმას ვამბობდი, თქვენი ბავშვების მნახველს ორი ღამეა თვალი არ მოუხუჭავს. ზმუკუნებს აქა-იქ, ჩემს მალულად. გამოვჩნდები სიახლოვეს და ბუხარში შერგავს თავს მაშინვე, თითქოს ცრემლი კვამლს მოუბევრებიაო.

ახლოს მაინც ცხოვრობდნენ, ხელს გავუმართავდიო რამდენადმე...ხურჯინს ორი თვალი აქვს და ორნი ხართ თქვენცა — ფეტელავები და ცირამუები. წიგნებს შეპირებიხარ ჩემს დედაკაცს და ეს უხარია.

სამარშრუტო ტაქსის მძღოლს გამოატანსო ჩვენს ჯიხურში დასატოვებლად. წიგნებს, ფოტოებს, ჩვენზე აყბედებულ გაზეთებს, წარმოიდგინე, კინოში გადაღებასაც, გულუხვად გვპირდებოდნენ, როგორც ადრე მითქვამს, აქ ამომსვლელი კორესპონდენტები, მაგრამ დროს გულმავიწყობა სჩვევია... მაინც რომელ გაზეთში აპირებ გამოქვეყნებას?

— დღეს გაზეთში წერილის დაბეჭდვა პრობლემა არ არის, ვალიკო ბატონო. სიტყვის თავისუფლება განაღდებული გვაქვს თითქოს. იქ გამოვაქვეყნებ, რომელსაც ყველაზე მეტი მკითხველი ხყავს, სხვაზე პოპულარულია.

— მაინც რომელია ასეთი? საიდუმლოა?

— რა ბრძანებაა: ,,ალია'', ,,ახალი თაობა'', ,,რეზონანსი'', ,,ასავალ დასა- ვალი'', ,,საქართველოს რესპუბლიკა.''

— გაზეთების ,,კიოსკი'' ერთია ჩვენში, ბაზრის სიახლოვეს. მისი გამგებელი ყოფილი მთავრობის გულშემატკივარია და სადაც შევარდნაძის სურათი გაიელვებს, ახლოსაც არ აჭაჭანებს.

— მაგრამ ხალხი, ხალხი რომელ გაზეთებს ეტანება უფრო?

— ნუ ეშმაკობ, თითქოს არ იცოდე, ხალხს როგორ გაურბის თვალი საჭორიკნოსკენ. მითქმა-მოთქმა, ლაზღანდარობა, ჩუმჩუმელაობა, მაბეზღრობა ისეთივე აუცილებელია დროის მოსაკლავად, როგორც — წისქვილის ქვებისთვის — საფქვავი.

— გასაოცარი თქმაა ,,დროის მოკვლა'', — ვერევი საუბარში, — ამგვარად წყურვილზეც იტყვიან კიდევ. თითქოს მტერი იყოს შენი, მოსისხლე მტერი და არა ნამდვილი ქომაგი, მეოხი, შემწე. დროის მკვლელი, უწინარესად, საკუთარ თავს ანადგურებს. რუსულიდან შემოსული მგონია, ჩვენთვის ნაკლებად სახასიათო.

— ბაბაგე, გური, ეგ ჩვენი მეგაზეთე, მითქვამს როგორ ჭკუაზეცაა, დღევანდელი ხელისუფლების რანაირი ერთგულია. ახლანდელის მოსიყვარულე რომ ეყუდოს იქ, ხომ შებრუნებით მოიმოქმედებდა ყოველივეს?! გადააშენებდა გამსახურდიას მოსარჩლეს. რა ვქნა ახლა მე, როგორ მოვიქცე ასკაგუბურას ხეობაში გამოყრუებულმა?! საიდან მივუდგე სიმართლეს, რომელიც ამ ორ მოსისხლე მეგაზეთეს შორის ბორიალობს აღმა-დაღმა, დღევანდელის მხრიდან თუ აწი რომაა მომსვლელი?!

ასკაგუბურა კუნძულია, ბაბაგე, გური, რომლის ბილიკები სამი-ოთხი თვით ცის კარივით გადაიხსნება ხოლმე კანტიკუნტი დამსვენებლისთვის, დანარჩენი კაჭალია* ცხრა თვე კრიჭაშეკრულია თოვლ-ყინულის ხერგილით. არ მირჩევნია ისეთი გაზეთი მეკავოს ხელში, ორივეს რომ დაბეჭდავდა თავთავიანთი ტყუილ-მართალით?! ნებისმიერი მეგაზეთე პირში ჩალაგამოვლებული დარჩებოდა, შუაში ხომ ვერ გახევდა იმ გაზეთს, ან დანაკუწებულს, რომელი ოხერტიალი იყიდდა?! მოკლედ, ზარალში ჩავარდებოდა. მე და ჩემი დედაკაცი კი კერიის პირას დავსხდებოდით, ორის ნაცვლად ერთს შევიძენდით, ფულსაც დავზოგავდით და, რაც მთავარია, მოცალეობის ჟამს დავატოლებდით ერთმანეთს განსხვავებულ ნალაპარაკევს, მერე გადმოვიღებდი ბუნებისგან ნაბოძებ არშინს და უმტკივნეულოდ გავარკვევდი — ვისთან ბნელა და სად მეტი სინათლეა.

— ვალიკო, ბატონო, ამისთანა გაზეთს სანთლითაც რომ ეძებდეთ, ვერ იპოვით, თუმცა მათი რაოდენობა ორ ასეულს აჭარბებს. ან გაქანებული ზვიადისტი უნდა იყო, ან შევარდნაძეს უკმევდე გუნდრუკს, ეს ძირითადში, მაგრამ შემკვეთი უამრავია შემსრულებლის მხარდამხარ: რუსეთუმე-

ები, მედასავლეთენი თუ მესამხრეთენი, იმერ-ამერი(კა), რომელთაც შორიდან უხილავი, მაგრამ შინაგანად ვიღაცასთან მოკავშირეობით ხელფეხშეკრული სულისკვეთება აშიშვლებთ. შენი მოთხოვნილების გაზეთი გამომიცია თურმე ოთხიოდე წლის წინათ, — ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა „ოდოია", რომელშიც შუაკაცის, შემრიგებლის თვალთახედვიდან განიხილებოდა ყოველგვარი ფასეული, სულიერი განზომილებისაა ეს თუ მატერიალური, თუმცა ზურგის ქარი ვეღარ აღმოცენდა და დავიდუმეთ ბაგე.

— ბერმუხა ლევან მესხიას ნაამბობი გამახსენე უნებლიეთ. სტუმარი უამრავი გვწვევია წლების მანძილზე და არც ავაზაკი კლებია აქაურობას. ერთნი თავშესაფრის სათხოვრით რომ მოდიოდნენ და ლოცვა-კურთხევით გვტოვებდნენ გულღია გამასპინძლობის გამო, მეორენი იარაღის ტუჩს გვაბჯენდნენ საფეთქელზე: ამოქექეთ ფული მუთაქებიდანო, გვიტრიალებდნენ ცოცხალ-მკვდარს. ამდენი შვილისა და შვილიშვილის პატრონს ფულს ვინ გამიჩერებდა. მიგვიშავებია უკანასკნელი გროშები. თვრამეტჯერ დაგვაყაჩაღეს ამ რვა წლის მანძილზე. ბუნება ვერაფერს დამაკლებს მე, ვერც სტიქია, ადამიანია რომ მერჩის თორემა. ძელური ისე მკვიდრად შემიკრავს, ხუთი მეტრიც რომ ჩამოზვინოს, ძვრასაც ვერ უზამს. დახერხილი შეშა ყურისძირას მიწყია. ფარეხამდე და სკებამდე გავკვალავ სავალს რამენაირად და მორჩა, ნახევარ წელიწადს ჩემს საუფლოში ძერაც ვერ შემოფრინდება!

ლევან მესხიას ფაბრიკაში კი იმ ცხრაასთვრამეტში ყველა ერთად შეყარა განგებამ: მეკრამიტეებიც, დევნილი თეთრებიც, მდევარი წითლებიც და თვით ქრისტეს ფეხის მკვნეტელი ყაჩაღებიც. ხუთი მენშევიკი იმ დროს ამოაღწევს სამესხიოში, როცა იქ კრამიტის გამოწვაა გაჩაღებული. ბიჭაკიებით მოაქვთ აყალო მიწა. ცხრილავენ სხვანი, დანარჩენი ზილავს, ყალიბებში ტკეპნის და ქურახანაში პურივით უკეთებს.

წითლები მოგვდევენო, ამოქოშინდნენ თურმე თავისუფალი საქართველოსთვის თავდადებულნი. ადამიანი ალიზი როდია, საკირეთში შეუკეთო, გამოცხობილია ერთხელ და სამუდამოდ. რა იღონოს ოჯახის უფროსმა? დააპატიმრებენ მენშევიკებს მის საბრძანებელში და თავი მოეჭრება ლევან მესხიას. გამცემის სახელს მოაკერებენ. გაგანია ზაფხულია. დევნილებს სასწრაფოდ მოუძებნიან ძველმანებს. მხედრულ აღკაზმულობას ქურახანაში გადაუძახებენ. ფეხშიშველნი ჩადგებიან დღიურ მუშებში.

— თოხი და თოფი ერთად არ გამოვა. ჩაკეტეთ საწყობში! — გასცემს ბრძანებას მეპატრონე და სხვა რა გზაა?! ტყვიასგამოქცეულებს არ აკლიათ ოფლი და სითარანე და რაჟამს მესხიების მამულში წითლების ოცეული მოხროვდება, შრომის გაქანებული რიტმი გუგუნებს მეკრამიტეთა წვივებამდე ტალახიან ფეხქვეშ.

მიმოიხედავენ გარშემო. ეჭვის თვალით მიაჩერდებიან სახეზე ოფლგადამდინარ მეკრამიტეებს. ირწმუნებენ კლასობრივი მტრის ხელიდან დაძვრომას და მშიერ-მწყურვალნი დაეყრებიან ჭასთან.

უბერავს მასქური სულის მალამოდ. მოხალვათდებიან მდევრები. იციან, ლევან მესხია ტომბა* კაცია, ჭკუამოსაკითხი ბერმუხა, სტუმართმოყვარე, პურ-მარილით განთქმული და თავისით დაიწყებენ ჩექმების გაძრობას თუ გალიფეების აკარწახებას. არაფერი დაშავდება, ცოტას თუ შეეშველებიან, სამაგიეროდ, სანაქებო სადილი რამდენადმე მოახლოვდება. გვერდიგვერდ ზილავენ თიხას თეთრები და წითლები. ოფლიანი ზურგებით ერთმანეთს ეხახუნებიან. ოხუნჯობენ, იქექავენ ჯაგარა წვერს. ამასობაში წაგრძელებულ მაგიდას ხორაგით აავსებენ მოახლე დედაკაცები.

იარაღი საწყობში! მბრძანებლობს ოჯახის თავკაცი. თოფი და ქეიფი არ გამოვა ერთადო, მოსჭრის და კუჭგამხმარი წითლებიც რას გააწყობენ. ეშხში შედის მოლხენა. მღერიან ერთად. მერე პოლიტიკაზეც ჩამოვარდება საუბარი და დავიდარაბაც მაშინ ატყდება.

წითლები ლენინს და სტალინს ადღეგრძელებენ ფეხზე წამომდგრები.

თეთრები — მეფეს და ქრისტეს. უკვე ლევან მესხიას აწეული ხმა აღარაფერს შველის სახეზე სისხლმოწოლილ მესმურეებს და, ვინ იცის, ყოველივე რითი დამთავრდება, მეკრამიტეებს ბინდისპირზე ყაჩაღები რომ არ დაესხმოდეთ თავს.

ყველა გასუსულია. დაავიწყდებათ საკუთარი ფერი და აღნაგობა. ფეხზე წამოშლილან მომხდურის მოთარეშებაზე. აბრაგები წირვას გამოუყვანენ დარჩენილ პურ-მარილს. წიხლსა და პანღურს არიგებენ აქა-იქ ლევან მესხიას მეკრამიტეებისთვის. გახსნიან სალაროებს. გაიყოლებენ ფულს და საგულდაგულოდ ჩაკეტილ იარაღს. არც ტარიელ გოლუას თარგი დაელოდება შეზარხოშებულთა გონზე მოსვლას. ტკიცავს ცხენს მათრახს და ყასიდად ბუზივით მიუჩინარდება შინ უჩუმრად მოსაბრუნებლად და საგანგებოდ გათხრილ გვირაბში ორმოცი წლით ბერ-განდეგილივით დასაყუდებლად.

მიმიხვდი ახლა რისთვის გამეცინა?

საუკუნის დამდეგს წითლები თეთრებს დევნიდნენ, ბოლშევიკები მენშევიკებს ჟუჟავდნენ. საუკუნის მიწურულს ვინ ვის ავიწროვებს, ვერ გაარკვევ, დოვლათი კი ყაჩაღებს მიაქვთ. ძიძგილი იგივე დარჩა.

— ეხ, ვალიკო, ბატონო, საქართველოს მტრებს ხელს აძლევთ სადღეისო აწეწილი ვითარება, რადგან ურთიერთმიყოლის ნიჭით დარაზმულ ქართველზე საშიში არაფერია მათთვის. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დადგეს დიადი შერიგების, ურთიერთმიტევების ჟამი საქართველოს მომავლის სახელით?! არადა, აღმა ხნულის დაღმა ფარცხვაში ლამის უსამშობლოდ დავრჩეთ ყველა.

— კანონთა სიმკაცრითა და თოფის მოღერებით ყაჩაღს ვერ დააშინებ. ამიტომაც მირჩევნია ისეთი სიტყვა ამოვიღო გულიდან, როგორი წყაროც კამკამებს ჩვენს საფუტკრეებთან.

დამეჯერება, ამ ჯოჯოხეთურ საუკუნეში საკითხავი წიგნი არ მომაკლდებოდა ბიბლიოთეკარი დედაკაცის პატრონს. მათგან ბიბლია უმთავრესია ჩემთვის, ვინაიდან აკრძალულ ხილს ხგავდა, უჩუმრად მოწყვეტილს.

გასაგებია ჩემთვის შენი გარჯა, მეცადინეობა, სულის დუღილი. აღარაფერს იშურებ შუაზე გახლეჩილ საზოგადოებაში საყოველთაო თანხმობის ჩამოსაგდებლად, მაგრამ გიფიქრია იმაზე, რომ ეს საზოგადოება ლამის სამასი წელიწადია ორად გათიშულა, ერეკლე მეფის შემდეგ გაპობილა შუაზე და ილიასებურმა თავდადებამაც ვერ უშველა მის გამთლიანებას. შეუთავსებლობის მიზეზი კი მარტივია: პატარა კახმა თითქოს გადაარჩინა ქვეყანა ფიზიკური განადგურებისაგან, სანაცვლოდ სულიერება შეეწირა ხორციელის დღეგრძელობას და საბოლოო ჯამში ამ უკანასკნელსაც არ უწერია დიდხანს ბოგინი. ამ ორ საუკუნეში დედინაცვალი რუსეთის ხელში უხვად გამოიჩეკნენ გურელაბურჯღონილეფი. გარეგნულად ქართველები არიან, ალვასავით აშოლტილები, ყირმიზსახეიანები, სიტყვით ქარვასლათა ამგებნი, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მიწას გამოგაცლიან ფეხებქვეშ. დიდი ხათრი მაქვს შენი, მაგრამ არ გამოვა სამშობლოს აღმშენებლობისა და დამაქცევრის შერიგება. უმჯობესია ნამდვილი მამულიშვილი გამუდმებულ დევნაში იყოს, შევიწროვებაში, საპყრობილეში ღაფავდეს სულს, ვიდრე ქვეყნის დამამხობელთან თანამშრომლობდეს.

ვიცი შენი მიზანი, ბოროტება გინდა სიკეთესთან ერთ უღელში შეაბა და სამომავლო პურის ყანა ააღაღანო. სხვა არაფერი ამოძრავებს მაღალ ღმერთს. თუკი დაკვირვებიხარ, მაგისთანა მიმტევებელი მეორე არ დაბადებულა დუნიაზე. რამდენი დანაშაული ჩადენილა მის თვალწინ, მაგრამ რომელი ერთი დაუსჯია სიკვდილით?! ევას მაცდუნებელი გველი, ადამის გაბრიყვებული დედაკაცი თუ თავად უფლის სიტყვას გადასული ჩვენი პირველი წინაპარი? ვის მიაგო კბილი-კბილის წილ, თვალი-თვალისა წილ, კაენს?

— აბა, წარღვნა, სოდომისა და გომორის ცეცხლში დანთქმა არაფერია?

— ამას ვერავინ უარყოფს, უზნეო ხალხი, საზოგადოება დასჯილია საკადრისად, მაგრამ მე მისგან რჩეულებზე გესაუბრები, მის ცნებათა აღმსრულებლებზე. აი, ესენი არ ემეტება მამა-ღმერთს სამუდამო გაქრობისათვის.

— არ ემეტება იმიტომაც, — ჩავერევი საუბარში კვლავ, — მაცხოვრის უმთავრესი მიზანი აღზრდაა, შეცდომათა აღიარება და ღვთიურ გზაზე დადგომა. ქრისტეც ამას არ ადასტურებს? ცოდვილთათვის მოვსულვარ და არა დალხენილთათვისო. მაგრამ ჩემთვის მთავარი ის გახლავთ, ვალიკო, ბატონო, ახლა თქვენ ვინმე გური ოტობაიას კი არ ეკამათებით, არამედ — თვით იროდი სართანიას. შერიგება, გნებავთ — ძმათამკვლელებისა, მისი ცხოვრებისეული მიზანი იყო.

ბოლოების შეუერთებლად ბორბალი ვერ გაივლისო, უყვარდა თქმა. დაბლის აუწევლად და მაღლის ჩამოუხრელად სიკეთეს ვერასდროს ვეღირსებითო, გამიგონია მისგან. უხსენებლის შემწეობით ეზიარა ადამიანი უკვდავებას, მართალია, ჯერჯერობით გამოძევებულია სამოთხის ბაღიდან, ედემისაგან, მაგრამ ხომ აქვს იქ მიბრუნების შანსი, ცოდვათაგან საბოლოოდ განწმენდილს? ხოდა, როგორ ფიქრობ, იქ შესული ადამიანის ნაშიერი მხართეძოზე წამოწვება ჩიტების საამურ ჟღურტულში, თუ ეგრევე სიცოცხლის ხისკენ დაადებს თავს, რათა ხეცნობადისაგან ერთხელ და სამუდამოდ გონებაახელილმა სამარადისო სუფევის ძალაც შეიტკბოს ქერუბიმების დაცული ნაყოფის დაგემოვნებითო.

— მდა�ა, — გააბამს ვალიკო მესხია, — ყიფიანი იყო კაი კაცი, მაგრამ პეტრე ნანიტაშვილი — უკეთესი, ბუნების ღვიძლი შვილი. ვიცოდი წისქვილის დაბლა, მოტბორებულზე თევზები ბუდობდნენ. დროდადრო ფქვილი იპნევა ღრიჭოებიდან და ეს იზიდავს თევზებს. წავიყვანე კალათით, ამოვავლე წყალში და რომ ამოვავსე ასხმარტალებული კალმახებით, კინაღამ გადაირია.

დამწყდეული გეყოლებოდა ჩემს საამებლადო. მობრძანდით გაუფრთხილებლად, ნებისმიერ დროს და თქვენით დარწმუნდებით-მეთქი. მართლაც მასე ქნა და სამჯერ რომ იგივე გავუმეორე, აღაპყრო

ცისკენ ხელები:

რას ერჩი, ქუდბედიაო, მაგნიტივით იზიდავს ფრინველს, ფუტკარს და თევზებსო. ერთხელ ტაღანითაც მოატყუებენ ძაღლს, ლაკვატათი ჩვენებურად. ბუნება სრულყოფილია, რადგანაც იგი არ ცნობს ზნეობრიობას. ეს უკანასკნელი ქუსლში ჩარჩენილი ეკალია ადამიანისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან თავისით უნდა ამოირწყას. ფიზიკურ განადგურებას კი გადაგვარჩინა ერეკლემ, მაგრამ სული დაგვაკარგინა, ვაინახებს რომ შერჩათ ის სული. ცხრაასთხუთმეტში თურქებმა მილიონნახევარ სომეხს გამოჭრეს ყელი, ამაზე უარესს ხომ ვერ გვიზამდნენ, მაგრამ შეხედე დღეს რეებს შვრებიან?! ბიბლია ცდუნებული ორგანოს მოკვეთას ქადაგებს, რათა მთელი სხეული არ წაახდინოს და შენ, ბაბაგე, გური, მოგიხერხდება ვითომ ჯანსაღისა და სნეულის შერიგება?! ხომ გამოგეცალა ხელიდან სრულიად ის მცირე საღიც? მთელი სამყაროა ასკაგუბურა. აქ არ ჩხუბობენ ჩემი ფუტკრები, ცხოვრობენ თვინიერად. აქ არ იჩეხება ხე-ტყე, წითელი მინდვრის შემოგარენისაგან განსხვავებით, თავისით წაიქცევა ფესვებმომპალი, ან ფითრისაგან ძლეული; აქ არ ესვრიან ნადირს.

— თბილისელი მიშიკოს გამოკლებით.

უკმაყოფილო მზერას მტყორცნის. ხურჯინს მხრიდან ჩამოიღებს. წავიწევი ტვირთისკენ და არ გამიძალიანდება ძველებურად.

— მიშიკო დიდი ჩუბინია, მაგრამ, მთავარია, მე არ ვისვრი. იმ მწყერს ასკაგუბურაში თუ არა, ჯაჯის ტბასთან მაინც წამოეწევა მონადირის ცხელი ტყია. იროდი სართანია კი იყო გულთმისანი, მაგრამ თვალი და ყური არც ჩვენ გვიწყია ჯიბეში. ყვარილ რინას, შურო ვარდენ თინა უჯგუ.* ძველი მდგომარეობა რომ დაიბრუნო, ამოიჭრა უნდა გულგრილობის ხორცმეტი. მერე, დროთა ვითარებაში, დაკარგულ თვისებებს აღიდგენ, ალბათ. ყველაფერი გარემოზე ხკიდია. ამბობენ, ოდესღაც გვიმრა უშველებელი ხე იყოო, მაგრამ ახლა ბალახია. მითქვამს და ვიმეორებ, კეთილისა და ბოროტის თანამშრომლობა არ გამოვა, ბაბაგე, გური. კეთილი იმიტომაც იმარჯვებს, რომ მუდმივ წინააღმდეგობაშია ბოროტებასთან. ახლა ორივეს ერთ ტაბლაზე თუ დასხამ, მოთავებულია საქმე, ვინაიდან განურჩევლობა მოაშთობს ქვეყნიერებას. ბუნიობა ორჯერაა წელიწადში, დღე-ღამის სწორება, 21 მარტს— გაზაფხულზე და 23 სექტემბერს — შემოდგომით. აი, ამ დროს ჭირს გარკვევა, ვინ რომელია, მეტი მოფრთხილებაა საჭირო, თორემ დანარჩენი დღეები ისედაც ნათელია. ბუნიაობისკენ ექაჩები ადამიანებს, ბაბაგე, გური?

— გაგვირთულდა საუბარი, — ვეტყვი ხვნეშით, — კეთილისა და ბოროტის თანამშრომლობის უტყუარი საბუთი თითოეული ჩვენგანია, ვალიკო, ბატონო, როცა საკუთარ თავს ვეკამათებით, ეს ორი ურთიერთმოქიშპე ძალა არ ხმაურობს ჩვენში?! მიდის დავა, ჭოჭმანი, ასჯერ გაზომვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაკრატელიც აკრაჭუნდება: სასურველ გადაწყვეტილებას ვღებულობთ. აი, რანაირ განზოგადოებულ თანამშრომლობას ვესწრაფვი, მაგრამ მგონი, თავი შეგაწყინეთ, აწი მარტოც გავიკვლევ გზას, — ვიტყვი და მოსვირინგებულ გიგანტ ბულონიაზე ხელმიყრდნობილი შევუყოვნებდი ჩამორჩენილს.

— იარე, იარე, კაცო! — მოსჭრის და მსუბუქად მიბიძგებს თავისუფალ მხარზე.

საბატონი *

წელკავივით მნაცრავს სვანური ხალხური პოეზიის უმწვერვალესი „ბილებას“ წერედიანისეული თარგმანი. შორეულზე შორეული წარსულიდან ისეთი სიცხადით ღაღადებს დღევანდლობაზე უსახელო მელექსე, თითქოს ხელისგულზე უწკმუტუნებდეს გალახული ჩვენი საწუთროს ავანჩავანი:

ამბავი არის გასაკვირი,
დიდი ხეები უვლიან ფერხულს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ჭიანჭველები აგებენ ციხეს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
დასეირნობენ თევზები მინდვრად.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ზურგზე უნაგირს ადგამენ ძროხებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მაღალ ხეებზე შემსხდარან მწყრები.

ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მეცხვარეებად დამდგარან მგლები.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ეჭიდებიან თაგვები დათვებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ჩიტი-ჩიორა იტაცებს ორბებს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
ერთი ნიბლია ამარცხებს ლაშქარს.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მდინარე აღმა მიედინება.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
მზე დასავლეთით ამოდის ცაზე.
ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,
უსიტყვოდ სხედან დედაკაცები.

შენელებული კადრის კვალობაზე მიღოღავს ჟამი: მესხეთში ობსერვატორია და ათასხუთასი დევნილი სამურზაყანოელი მოზარდი მომელის;

ხარაგაულის სიახლოვეს, ნუნისს ზემორე, ბერთაკლდესთან — კუს ბაკანი, ქვის ვეშაპი, უამრავი ეზოტერიკული თუ მისტიკურ-რეალური ფიქრის აღმძვრელი ციტადელი;

დედაქალაქში — უთვისტომოდ მიტოვებული სანახევროდ მომთავრებული თუ ახალწამოწყებული წიგნები.

შენელებული კადრის კვალობაზე მიღოღავს დრო: წამი წუთად ქცეულა, წუთი — საათად, საათი— დღე-ღამედ. გვაქვს კოლხურში უფრო ტევადი, რუსულ „სუტკა"-სავით მოჭრილი ბორჯი, სულხან-საბას ბორჯალად, რომ შემოუხიზნავს „სიტყვის კონაში", მაგრამ სინთეზური აზროვნებისთვის მოიცლი ეროვნებაწართმეული შემოქმედი?!

საითკენაც წავედინები, ქორბუდა ირმების ფრენჩ-ლიკისკენაა ეს, გერმანელი ტყვეების საფლავებისკენ თუ ნისლიანებში ხომალდივით შეცურებული ასკაგუბურასკენ, გამუდმებით ჩვენი შურობუმუს, ჩვენი სამშობლოს მერმისი მიწიოკებს სულს, ძარღვებს მიფატრავს და ჯიგარს მიბოჟირებს თვალსაწიერწაგვრილს.

კვლავ მარტოსულხეობელი ამესვეტება. მისი ეჭვმიუტანელი შეგონებანი ზარებივით მიგუგუნებს ყურთასმენაში:

— ეროვნების ჩამოყალიბებაში ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯს გაცილებით მეტი შესძლებია, ბაბაგე, გური, ვინმემ მამა-პაპათა სამარხების ლაშქარს. აფხაზეთში აფხაზობას რომ ჩემულობს იმ ხალხის ორი მესამედი მეგრული წარმოშობისაა, ქართულენოვანი, მაგრამ ლაკადური კანის გამოცვლა ვერ მოუსწრიათ და ძირძველი აფხაზობით თავმომწონეობენ უკვე. აქამდე ჩამრჩენია მანქურთზე შენი მონაყოლი, ვინაობის დასავიწყებლად აქლემის ნედლ ტყავს რომ შემოაკერებენ თავგადაპარსულს. რას არ მოიგონებს ჩინელის ჭკუა?! მაგრამ მაინც ბედნიერი ხალხი მგონია ისინი, ბაბაგე, გური, ვინაიდან საკუთარი ხელით როდი ამოუცლიათ მეობა.

რაღა შორს მივდივართ, ადამიანების დასჯაში არც დადიანები ჩამორჩებოდნენ ვინმეს. ბიძია ლევან მესხიასგან თუ მათე ბაბუასგან გამიგონია, უამრავი საშუალება გააჩნდათ ურჩი ყმების მოსარჯულებლადო. ყველაფერი ბორკილთან, გაკოჭვა-დახლართვასთან იყრიდა თავს. დადიანურ უმძიმეს ხუნდს სხვანაირად ხაჯალურსაც ეძახდნენ თურმე. ტყვეს ამოღრუნტულ, უშველებელ მორში გააყოფინებდნენ თავ-კისერს, ხელ-ფეხს და — ირიკე!* მაგრამ უმაგალითო ბორკილი, შეუდარებელი, ალბათ, მთელს დუნიაზე, თანაც მოციცქნული ამ დროს, უეჭველად— რიკია: თხილის ციდისხელა ჯოხს ბოლოებში თასმას გამოაბამდნენ, დაგაფჩენინებდნენ პირს, ამოგიდებდნენ ლაგამივით, გაგინასკვავდნენ კეფასთან და მიგიშვებდნენ ნებაზე. სიარულიც შეგეძლო, მუშაობაც, ცეკვაც და თამაშიც, ამის გუნებაზე თუ მოხვიდოდი, მაგრამ ხმა დატყვევებული გქონდა.

ხქონიათ დადიანებს ბორკილი მხედველობისთვის, იგივე — ფინახარი. ახლაც იხილავ ჩვენში მოგავალე8 კამეჩს თუ ძროხას რქებზე ფირფიცარგამობმულს. ასეთ სახუნდარს დასჯილ ადამიანს ოთხი თასმით შეუკრავდნენ კისერთან. მიდიოდი, მაგრამ ცხვირს იქით ვერ იხედებოდი.

ხქონიათ დადიანებს ბორკილი სმენისთვის. სანთლისგან დამზადებული ცვილით გულმოდგინედ ამოუგლესდნენ ყურის ორივე ნიჟარას და მერე ზარბაზანიც რომ დაგეცალათ, გააგონებდით რამეს?!

ვადამდე, დადიანის უნებართვოდ, ყმას არც პირველი სასჯელის ახსნა შეეძლო და აღარც — მეორე-მესამისა. ურჩებს მარჯვენათი კიდებდნენ ორდოხზე უკეთეს შემთხვევაში, უარესობისას — ფეხებით, და ბოლოს — ყელით, კისრით ჩვენებურად, როცა საშველი გაწყდებოდა.

ბაბაგე, გური, როგორც ვატყობ, დიდზე დიდი რიკია ჩვენთვის გამოთლილი და ღრანჭებში ამოდებული; დიდზე დიდი ფინახარია გამოჭედილი და თვალებზე ლიბრად აკრული; ბევრზე ბევრი ცვილია გამოდნობილი და ყურთასმენა ეკორანგვილი, დახშული. ამისი ნათელი დასტურია ამჟამად გვარიანად მივიწყებული სიტყვა „შურუბუმუ".

— შურობუმუ, — დავაზუსტებ მე, — შურობუმუ სამშობლოს სინონიმი ყოფილა ადრე, რომელიც მოგვიანებით ოდაბადედ შეცვლილა, სულის განსასვენებელ სავანედ, საბადისად, საბადებელ ადგილად.

— ვიცი, ვიცი, შურობუმუ სულის სანთხეველია, სულის საყუდებელი. მე სხვაზე მოგახსენებ, შურუბუმუზე, რომელიც, ბაბაგე, გური, თავად შურობუმეს განმსაზღვრელიცაა, ვინაიდან წლობით რიკამოდებული, ფინახარაკრული და ცვილმოგლესილი ადამიანი ერთიანად გადაეჩვეოდი საუბარს, თვალთვალს, ყურისმიგდებას, რანაირად ენაგაკრეფილიც ყოფილიყავ ადრე, თვალმჭრელი თუ ყურმახვილი, შურუბუმუდ, თოჭუ-ყვერედ, ყუნგად გადაიქცეოდი, იგივე შურხირილად, ენაჩაგდებულად, ენაგადაყლაპულად, თვალამოშრეტილად და სმენადავსებულად. მოკლედ, ვინმე უშველებელ ყვარილად, ყვერულად, დაყივლება რომ არ ძალგიძს, შესმენა არ შეგიძლია და რისამე დანახვაც მისდღემში არ მოგაფიქრდება. ამიტომაც, ბაბაგე, გური, შურუბუმუ ცხოვრებას, რიკამოდებულ რინას, ფინახარაკრულ არსებობას, ცვილამოგლესილ ყურყუტს, ასი წლის მკვდარი ვიყოთ გვერჩივნოს.

მკითხველი იგრძნობს, ალბათ, რომ მარტოსული ხეობის მახვშთან საუბარი გვარიანი ხანგამოშვების მერმე ცოცხლდება, აქ, ამ თეთრი კურდღლების ქალაქში, თინათინ მღვდლიაშვი- ლისებურად.

საოცარია ბედისწერა, ყისმათი, ირონიული ღიმილის მომგვრელი დროდადრო: სიმართლეს იგი ჭედავს, ვინც გაქანებული ხელმოცარულია ერატოსა თუ მის რვა დაქალთან მიმართებაში და შურუბუმუ, ენაჩავარდნილი ის გამხდარა, რომელიც პოეტური მადლით კი ცხებულა, მაგრამ გამბედაობის ნასახიც არ გააჩნია. საკმარისია ჩანგები გაცვალონ ამ ანტიპოდებმა და მყისვე კალაპოტში ჩადგება ყველაფერი. მართლისმთქმელ უნიჭოებს არ ხელეწიფებათ ადამიანთა გულების ძალუმად აძგერება, ხოლო ლიქნია, გულნამცეცა ტალანტების გრძნობით დამღერებულს საზოგადოება ცალყბად ჩაატარებს ხოლმე.

წითელი მინდორიც უცილობელ კავშირშია შურუბუმუობასთან, მკითხველო, ჩემო! ადრე, სასხვათაშორისოდ მიხსენებია მასზე, ამჯერად, შედარებით მოცლილი და გილიოტინის სივილსდადარაჯებული, კვლავ ამომიტივტივდება გოდერძი ჭეიშვილის ნოველის კონტურები.

მახსოვს, კარგად მახსოვს, ჩვენსავით დამსვენებელი მამა-შვილი მანქანით დაადგება წითელი მინდვრისკენ ოცკილომეტრიან გზას. მეოცნებე ყმაწვილი ფერმწერია და ეგზოტიკური სახელის მიდამოს დასატყვევებლად იმთავითვე მოითადარიგიანებს ფუნჯს, ჩარჩოზე დაჭიმულ ტილოს, გემოვნებით შეზავებულ საღებავებს. მიაღმართობენ და მიაღმართობენ (რას ნიშნავს სიახლოვე?! ქეთი ნერგაძესავით არ მოვუქციე?). ბოლოს, როგორღაც გაივაკებენ, სადაც გზის ხელმარჯვნივ ფერმის წაგრძელებული შენობაა და ხელმარცხნივ □შესაძლოა პირუკუ) — ხასხასა ფიჭვნარში მომწყდეული კვადრატული □იქნებ ოთხკუთხა) მინდორი. იქ შემოჩეხებული კაცი, მწყემსია თუ სულაც ვალიკო მესხია, გადახუნებულ ტაფობზე მიუთითებს წითელი მინდვრის მაძიებლებს, მაგრამ ამ უკანასკნელს წითლისა არაფერი სცხია, აღარც ყაყაჩოები ბრდღვიალებენ ნიავის დაქროლებაზე, არც მეწამული შეფერილობის ნახირია შეფენილი თვალის მიმტაცებლად და ქვეყნის ჭორებს ადევნებული კაცი სინანულით გააქნევს თავს, ხოლო თვალებზე ცრემლმომდგარი მემკვიდრე მანქანიდან ჩამოუსვენებლად ჩარჩოზე დაჭიმულ ტილოს სინანულით მიაწერს □ვგონებ წითელი ფანქრით) ორად ორ სიტყვას: „არ არსებობს" — გამონაგონის, ფანტაზიის, ილუზიის ტყვეობიდან გამოდის ყმაწვილის ხაეროვანი ასაკი და არაფერია გასაკვირი, რომ, დიახაც, მათი თაობა გადაეღობება იმპერიის მუხლუხოებს ცხრა აპრილისას. სწორედ ისინი დასცხებენ ჯოხებს გამეტებით ჩრდილოურ ტანკებს და ჯავშანტრანსპორტიორებს შმაგი დოლიძის მიმსგავსებით.

„არა, არ არსებობს წითელი მინდორი", ქვეშეცნეულად კივის ჩემში დღემდე ახალბედა ყმაწვილი მხატვრის განუხორციელებლ ტილოზე ხელის ერთი მოსმით წარწერილი ფრაზა და რაჟამს წაბლარიწყლისპირას ჩამოქვეითებულნი სანატორიუმის მაღლივი კორპუსებისკენ დაველირებით და გვერდი-გვერდ მომავალს ძუნწად ვეტყვი ყოველივეს, მოსახვევთან შეყოვნდება ვალიკო მესხია.

— ვინ, რომელი ყრანტალებს წითელი მინდორი არ არსებობსო? — შემომიბღვერს პროვოცირე-

ბული საუბრით ანთებული, — ვის, რომელს შეუძლია ხელაღებით დაამტკიცოს აისი და დაისი მეწამული ფერის არ არისო? წითელი მინდორი, ბაბაგე, გური, იგივე საქართველოა, განსაცდლის ზღვარ-კიდემდე მისული საქართველო; საქართველო, რომელსაც რუსეთუმეებმა, შურუბუმუებმა, ალიკაპიანობა, გულამოცლილებმა თუ შენმა მანქურთებმა წირვა გამოუყვანეს. აი, რატომ არ შეიძლება ბუნების კანონების ადამიანებზე მორგება! აი, რატომ არ შეიძლება ძნელის იოლით ამოხსნა, შეცდომა მოგივა, თანაც — გამოუსწორებელი.

მზეზე გამოსული ნაძვი თანდათან თრგუნავს, ავიწროებს ჩრდილში მდგომს. ვერ ვხედავთ თორემ ათასი კბილით და კლანჭით ანაფლეთებს მეტოქეს. იგივეს მოიმოქმედებენ ლომიდან მოყოლებული წრუწუნათი დამთავრებული. მტაცებლებს ვეძახით არწივს, ძერას, აფთარს და ფოცხვერს, მოკლედ, თითოეულს, რომელსაც კბილების თუ კლანჭების აელვარება შეუძლია, მაგრამ ნაკლებ მტაცებელია განა ხეზე გადაცოცებული ვასაკა თუ ბუნების მშვენებად აღიარებული შვლის ნუკრი თუნდაც?! პირველი ჩვენთვის უჩინარ მწერებს მიიზიდავს ენის წკლაპუნით, ხოლო მეორე ჯერაც მობიბინე ბალახს თვალდაუხამხამებლად აგზავნის სტომაქში. მტაცებელია ბუნება უსუსურიდან დაწყებული უძლიერესის ჩათვლით და ასეთი მოქიშპეობის პირობებში, სასაცილოა მათ თავზე სახარების კითხვა, ბაბაგე, გური. მიუღწეველი ოცნებაა თხისა და მგლის ერთად რუსთველისებური ძოვინება. ესეც შენი წითელი მინდორი, გასაგებია?!

რატომღაც მაიაკოვსკი ამოიზრდება ხსომიერებიდან, ჯიუტქოჩრიანი, როგორც წაბლარიწყლის ტალღაა ზემორე აშვერილი წითელყდიანი პასპორტით. მზე აღმართავს ხოლმე ამგვარად გარიჟრაჟებს და უნდა დაფაცურდე: ტყაჩუ — იროდი სართანია, მეფუტკრე — კოჩია ქარდავა, მენახირე — ძიკი კვარაცხელია თუ მარტოსული ხეობის მახვში — ვალიკო მესხია.

საკუთარ ფიქრში მოხრაკულო, მიმწუხრის რაინდო, შენც ლელთ ღუნია ხარ საქართველოსთვის, მხცოვანი ლელთ ღუნია, მისი სულიერების ძვალი ძვალთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, მისი ტკივილების ბაწარაღებით მოყურადე, მისი ცის ობსერვატორია და ხევხუვის ელექტრომიკროსკოპი.

ექსპერიმენტების პანტაპუნტს კი რა გამოლევს ჩვენში?! როგორც განუწყვეტლივ ცვივიან დედამიწაზე მომცრო და მოზრდილი მეტეორები, როგორც დღენიადაგ ემატება კოსმოსური მტვერი ჩვენს მხრებს, ქედებს თუ აბასთუმნის ზესიმძლავრის ლინზებს, ასევე გვეშრიტება უფლის უსასრულო გამოცდით ღმერთსგათანაბრებული სამშობლო — ოდაბადე, ობადიში, შურობუმუ, მაგრამ ვალიკო მესხიასი არ იყოს, ნებისმიერი ექსპერიმენტი განწირულია საქართველოში, აბაშისაა ეს, ფოთისა თუ სხვა, მომავალშიც რომ აღმოაცენებს დრო მიწაში მოსროლილი დრაკონის კბილებისგან და, ახა, 14 იანვარიც: სამარცხვინო მიჯნა, ხრამი, იგივე წითელი მინდორი მითიურ და აწინდელ **უბიროვნო** საქართველოს შორის.

ისევ შენ და შენისთანები მეგულებით საიმედო გადასასვლელ ხიდეებად, ბონდებად, ბოგირებად ორათასწლეულის მიწურულის ლელთ ღუნიავ, ჩემო თოლი მესხიავ, წარსულიდან მომავალში გასაღწევ ბეწვის ხიდად, რომლის ქვემოთ სტიქსი, ლეთა და პერსეფონე შეკავშირებული ძალით მიღვარცოფობს მგზავრთა გულების შემავიწროებლად, მაგრამ კვლავ მარტოსული ხეობის მახვშის შეუვალი ქედმაღლური პათოსი გამამხნევებს, გამასალკლდევებს სულშეჭირვებული ქართველის გენიოსობით, რომელიც უცილობლად პოულობს გამოსავალს თითქოსდა უნუგეშო სიტუაციაშიც და აქამდე ჩრდილოეთი რომ გვიტევდა შეფარვით, კრილოვ-ეზოპესეული ენით, ირიბად, შემოვლით, ხვევნა-ალერსში ნელ-ნელა გვაცლიდა მიწას ფეხქვეშ, შარბათში შხამს შემოგვაპარებდა, გუგულის კვერცხებს გვაჩეკინებდა ხოხბების ნაცვლად, თანაც მკერდში მჯიღს გვაბაგუნებინებდა: ხომ ხედავთ, როგორი ინტერნაციონალებიცა ვართ? კანადა, შვეიცარია ჩვენთან რა მოსატანია! ახლა ასამდე ეროვნებასთან თუ ვცხროვობთ უზრუნველად, უპრობლემოდ, მეგობრულად, ხვალ ორასამდე გავზრდით ამ მაჩვენებლებსაო, გავფიროდით კოსმოპოლიტური თავ- მომწონეობით. საპნის ბუშტივით გასკდა ჩრდილოური ილუზია, მირაჟი და წუთისოფლის შავ-თეთრმა კანონზომიერებამ გამოარკვია, რომ ინტერნაციონალური სამშობლო კი არა, პირწავარდნილი ბაბილონის გოდოლი გვიშენებია, ყველა რომ ჩემულობს, ყველა რომ ეპოტინება მის ისტორიულ მიწა-წყალს;

ჩრდილოეთიდან ოსები მოჩოჩავენ, ჩრდილო-დასავლეთიდან — აფხაზები, სამხრეთიდან — თათრები, სომხები და თურქები; ზღვიდან და ხაერიდან — ამერიკა-ევროპა. არ იცი საითკენ გაიხედო, ვის მოაპყრო მზერა. თურქულ რუკაზე საქართველო გადასანსლულია; ირანული კარტოგრაფიით საქართველო შეხრამუნებულია; სომხური, ველიკოარმენული ჩმახებით საქართველო მონელებულია; რუსულ, აბსტრაქტულ თუ რეალურ რუკაზე ხომ ჩანთქმულია და ჩაქვესკნელებული.

და ახა, ჩვენი ვარაუდების პირველი ყლორტები: 14 იანვარი — ქართველი ახალშობილის თუ ზრდასრულის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებიდან ამოღებულია ეროვნების რეკვიზიტები, გამტყდარია ციხე შიგნიდან მერამდენედ. საკუთარი ჯიშ-ჯილაგი, საკუთარი ასულები და დედაკაცები მიგდებულია უცხოეთისათვის გადასავლელად! დაყრილია მარგალიტები კოლტისთვის! მაგრამ ყველაფერს ეძებნება ახსნა და ჩვენც სულის ქავილამდე გვაინტერესებს, მაინც რა მიზეზები კვებავს ქართული პასპორტიდან ეროვნების რეკვიზიტის გაქრობას: იქნებ შორსმზირალი სტრატეგიაა — ჩრდილოეთიდან ამომავალი მზე; იქნებ აისბერგია, რომლის სამხრეთულ, საშვილიშვილო წყალწყვას ვერ აღიქვამს ფინახარებით შელიბრული ჩვენი თვალსაწიერი?!

გონებაში მოცურავს მაიაკოვსკის ყამასავით ამოშიშვლებული წითელი პასპორტი. ააა? როგორი სიამაყით აცხადებს პოეტი: **„ჩიტაიტე, ზავედუიტე, ია გრაჟდანინ სოვეტსკოგო სოიუზათ“**! შესაშურის მეტი რაა, სანატრელის მეტი, რამეთუ იქ შავით თეთრზე მაინც მიეთითებოდა თითოეული საბჭოთა მოქალაქის ეროვნება: ქართველს ქართულად ამუნჯებდნენ, უკრაინელს უკრაინულად აყრუებდნენ, სომეხს სომხურად აბრმავებდნენ, აწ კი მოსულა წარღვნის ახალი ერა — ათქვეფა გოგლიმოგლის, აჯაფსანდალის სტილში.

არ დაუწყიათ ახალმატერიკელებს რუსებივით რებუსული პწკენები, არც გუგულის კვერცხების შემოპარება დემოგრაფიული რუკის კონტურების შესაცვლელად. სულ რაღაც რვა წელიწადია თანამშრომლობის გაუბედავი ძაფები გაგვიბამს მათთან და ახა, ამ უდღეური ალიანსის შედეგიც — 14 იანვარი, ანუ მსოფლიო მოქალაქის, კოსმოპოლიტური ცვედანის ნიღბის ჩამოფარება სახეზე. ახა, გაკვესა გონებაში მეორეათასწლეულის მიწურულის ლელთ ღუნიას ალიკაპმა ენის შესაბოჭად, შურუბუმუობის ოკეანემ.

არა, უნდა ჩავყურყუმელავდე ერის სულიერების უჩინარ მდინარებაში მორიელისგან დაგესლილი კუ. ეხეი, შურუბუმუ ქართველო, საკუთარი ნებით პირში რიკამოდებულო, მაინც ვის აძლევს ხელს შენი დადუმება?! არ დამთავრდება წყეული ექსპერიმენტები შენს თავზე?! ვის სჭირდება ვარდზე თვალმინაბული ბულბულის მოხელთება, წულეისკირის ფრინველმოძულე მოზარდს ხომ არა, ახალმიწელის სახით, ტუჩებზე დედის რძეშეუმშრალს ჯერაც, ვინაც ტლუა სამშობლოს სიყვარულის ცნებაში, შურობუმუს მისტერიებს ვერ აღავლენს ცად, გოდებისმაგვარს.

მამულის ფეთქვა ჯიგრებში რომ გაგიჯდეს ათასწლეულია საჭირო, იმ ყრმას კი ფულის შოვნის იქით არაფერი ელანდება, სამშობლო მოშთობილი მაფშალიაა საფიტულედ; მისი ლურჯ ზოლებიანი კვერცხები — საკოლექციოდ. ოდესმე ეს ახალმიწელი ღლაპიც აღენთება უცილობლად პატროფილური გენიით, ათასწლეულს მიღმა აღენთება, სამიათასის მიწურულს, მაგრამ ორიათასის კენწეროზე შენს მამულიშვილურ სულისკვეთებას რომ მუსრავს 12 მილიონი ინდიელის მსგავსად, დღეს ჯოგივით რომ შეყრილა რეზერვაციაში და პირში რიკამოდებულია, კიზის გოლიათი პერსონაჟია საგიჟეთს შეფარებული, ოდეს გუგულის ბუდეს გადაუფრენენ?!

შურუბუმუ — ენაგაკმენდილი, ენაგადაყლაპული, ვინაობაწართმეული, სამშობლოს კოცონზე გამყვანი, საკუთარი ნებითვე საკუთარი გოდოლ-ცათამბჯენის დამამხობელი ... გასაოცარია, გასაკვირი, გასაგიჟებელი.

აღთქმული ქვეყანა ყოველი კუთხე-კუნჭულიდან მოუხმობს თავის ასულებს და ძეთ; ისრაელი პატროფილიის ეტალონად წარმოჩინდება XXI საუკუნის დამდეგს, ფერფლიდან წარმომდგარი ფენიქსის სინონიმად და ეს პროგრესულია მსოფლიოს თვალში!

იგივეს მოიმოქმედებს არანაკლებ მითიური არმენია, ისიც ათასგზის იავარქმნილი, უთვალავჯერ სულშეძრწუნებული, კვლავაც და კვლავაც თავაღერილია სამშობლოს უკვდავების რწმენით. გაღმა ედავება კარის მეზობელს ყარაბაღზე, და სადღაც ახალ მატერიკზე რომ მოსახლეობენ, ვინმე მიკირტუმ გასპარიჩი თუ უსინათლო მორდოხაი, დიახაც, ძირითადი, ნამდვილი დედულ-მამულისთვის იღვწიან და რუდუნებენ, მილიონებს აგზავნიან მათი ბჭეების გასამაგრებლად თუ გასავრცობად და ესეც სრულიად ნორმალურია ცივილიზაციის მაღალ მორალში!

აქ კი, გამცემლური 14 იანვარია! როგორ ენათესავება ციფრობრივად ეს თარიღი 14 აპრილს და რანაირად შორდება შინაარსით, როდესაც ერის მრისხანება ზეცას უწევს და ღირსეულად გადაეფარება სამშობლოს თვითმყოფადობას?! მაგრამ დღეს, დღეს რა ღმერთი გვიწყრება?! სად არიან სამოწყალო ბარათებზე მოსადილე ტელე-რადიოს ჟურნალისტები?! რისთვის არ სხდებიან კიბეებზე პროტესტის ნიშნად?! რატომ არ გადაკეტავს შუა რუსთაველს შუაზე გახლეჩილი ედეპე?! რატომ არ იქნევს მუშტებს აკოკრილი კანაფის სურნელით ეგზალტირებული ექსპრემიერი:

გამოეთრეს გარეთ თქვენი კურდღელი პარლამენტიო?! ეხ, თბილისი ხომ თეთრი კურდღლების

ქალაქია, თინათინ მღვდლიაშვილისებურად?!

არა, უნდა ამოვხსნა ვის, რომელს დასჭირდა საქართველოში პირადობის დამადასტურებელ საბუთში ეროვნების ამოჩიჩქნვა? ვის ეზედმეტა, ვის აებლანდა ფეხებში?! რომელთა გზა-სავალს აფერხებს, რომელ მისიას, რა განზომილებას შეუჯნებს წყალს?!

ეროვნებათა სიჭრელე რომ კაცობრიული ცოდვის ნაყოფია, ბაბილონის გოდოლის მითიდანაც ჩინებულად ჩანს. ერთგვაროვნად მოსაუბრე მსოფლიო ღმერთს ყელში რომ არ წვდომოდა, წიგნების სასახლეებით ცისკენ მიმავალს ენა აურია და დაამხო. მანამდე კი უნასისგან ცდუნებულ ევას ხეცნობადის ნაყოფი მოაწყვეტინა და თვალის დაუხამხამებლად შეასვლიპა ადამს. ღმერთს უფრო ადრეც შეეშინდა ტალახისგან გამოცხობილი კაცუნასი, რადგანაც ბოროტისა და კეთილის არსშეცნობილი, ადვილმოსალოდნელია უკვდავებასაც წაპოტინებოდა და მერმე ხომ შესაძლოა მთლად უფალთუფალის სახსენებელიც გადაეშენებინა ედემის ბაღიდან, რამეთუ გამეცნიერებული გლეხი ვაჟაისებრ თვითონვე მოგვევლინებოდა ცაბაოთად და რადგანაც ერთ ქარქაშში ორი მახვილის ჩაგება შეუძლებელია, ვის დარჩებოდა სრულიად სამყარო, თუ არა გაგულთმისნებულ და გამესიაკონებულ თიხის კაცს?! თუმცა მოისროლეს ტალახში, მიწას მიწა მიემატა და მას აქეთ ენააღრეული ეხეტება კარდაკარ.

ქართველი კი იმ მუხას ხგავდა და ხგავს, რომელსაც მუმლი ეხვეოდა მიწყივ, მაგრამ ბიჯიც ვერ წაადგმევინეს თავისი ტერიტორიიდან, თუმცა შემომსხვრევია ტოტები უხვად, უმოწყალოდ და მიუხედავად ყოველივესი, მაინც ურყევია, ალაგ—შემხმარი და ალაგ — შეფოთლილი, ვინაიდან მშობელ მიწაში უდგას ფესვები; საკმარისია ზიზილპიპილებით მორთული უცხოეთისკენ წაბიჯოს, რომ მყისვე ნოსტალგიაში, უსამშობლობაში ამოხდება სული.

დაე, იმომთაბარეონ ინდო-ევროპელებმა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ; დაე, იოკეანონ ესპანელებმა და ინგლისელებმა მატერიკების აღმოსაჩენად ზღვა-ზღვა; დაე, იკოსმოსონ მზის სისტემასა თუ ირმის ნახტომის გალაქტიკაში ამერიკელებმა და რუსებმა ჩინელების ერთობით; ქართველი კაცის ჭარა, იგივე ბედისწერა — გეორგიანობაა, ანთეოსობა, მიწისმოყვარეობა, ფუძის ანგელოზისა და ნერჩის თაყვანისცემა, ,,ლილეოსა'' და ,,ოდოიაში'' გადახლართული ვენახის მისტერია და თუ მამაღმერთი უკუაგდებს კაენის ოფლითმოწეულ ნაყოფს, აქაც ძველისა და ახლის სიმბოლური ჭიდილია, აბორიგენულისა და ახალჩამოთესლილის ორთაბრძოლა, ზევსის არწივივით დამცხრალი მძლეთამძლე ამირანის ღვიძლს! დიახ, ამირანის ღვიძლს ჩაუნისკარტეს 14 იანვრის შემოქმედთა პრეზიდენტის წათვლემის თუ სპიკერის წაგასტროლების პირობებში.

— ახლაც შეუვსებლად დევს ჩემი პასპორტი გურამ ახალაიას ,,ოვირში'', — ვეუბნები თოლის საბოლოო განშორებამდე, — აბა, რა მექნა, როცა შევი- ტყვე, რომ შიგ ჩემი ვინაობა არ გაჭაჭანდებოდა? დამიბრუნე ძველი, საბჭოური პასპორტი-მეთქი, გავიბრძოლე ძირძველი განმუხურელი კაცის წინაშე, მაგრამ უკვე მოესწროთ მისი გაუქმება და ლამინირებული, ცელოფანში ჩასმული მოწმობით გავდივარ ფონს, სადაც შავით თეთრზე მიწერია: ,,ეროვნება — გალის რ-ნი''.

— მოლასავით მოგსვლია, — ირონიული ღიმილით მეტყვის ვალიკო მესხია, — სიზმარში ღმერთისგან შემოძლეულ, კაპიკით ნაკლულ მილიონს რომ იუარებს. გაიღვიძებს ბედოვლათი და იხილავს რა გარშემო გაღლეტილ ყოფას, ისევ დახუჭავს თვალებს, მაპატიე უფალო, ნახევარზეც თანახმა ვარო, დაიღმიჭება, მაგრამ ვინ არის გახვრეტილი შაურიანის გამღები?! აღა მახმად ხანი სპარსული შაქარყინული ყოფილა იმ პასპორტის ჩამომტანთან შედარებით.

— ხმას ამოიღებ და უვიცს, გაუთლელს, ჩამორჩენილს გეძახიან, თითქოს ეროვნულობა ამუხრუჭებდეს ჩვენს წინსვლას და განვითარებას!

— გვარნაცვალთა დაყრილია ეგ საკენკი, ბაბაგე, გური. მათთვის რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ქართველი სად დაიმარხება; რამდენი როგორი გაჩნდება; რამდენი რაფერ დალაყუნობს?! სანამ საჭიროა, არიან შეფარებულნი ქართველობას, შეიცვლება ვითარება და მყისვე გადაირქმევენ გვარსახელებს, მყისვე გადაინათლებიან. მთლად მომიკალი გული და ეგ არის! უეროვნოდ როგორ გინდა ჯიშ-ჯილაგი შეინარჩუნო?! სულ წახვედით ხელიდან, კაცო?!

— თურქეთში, საფრანგეთში, სხვაგან, განურჩევალად ყველას, ქართველია ეს, ბერძენი, სომეხი თუ ზანგი, ეროვნებად თურქი და ფრანგი უწერიათ, ვალიკო, ბატონო ...

— ეგეც დიდი სიბეცეა, — კოლბოხს ჩექმის ჭვინტს წახკრავს გაგულისებული, — გაფრანგებული კონგოელი ჭილფავივით რომ მოედება იქაურობას, მაშინ შემოირტყამენ თავში ხელებს, მაგრამ გვიან იქნება სავალალოდ. რა, ფერი შეეცვლებათ თუ აღნაგობა? რაც მილიონწლობით ჩამოყალიბებულა, იმას საუკუნეები გადაასხვაფერებს?! უცხომიწელები შავ მუშებად ჭირდებათ ფრანგებსაც, გერმანელებსაც და თურქებსაც. საპირფარეშოს გამოწმენდას, ქუჩის დახვეტას არ კადრულო-

ბენ, ბაბაგე, და იაფი მუშახელის სახით მოდის კიდეც მათი ეროვნული აღსასრულის დღეც.

,,ამერიკის შეერთებულ შტატებში ნებისმიერი ეროვნების ადამიანი, ამერიკის მოქალაქეა და მორჩა, შენი ეროვნება მიიწვებე შუბლზე, — ვფიქრობ ჩემთვის, — ვინც ინგლისურად ვერ ატლიკინებს ენას, მჭადს არ მოუტეხენ, წყალს არ დაალევინებენ. იარაღით მოპოვებული ქვეყანაა ამერიკა, ძალადობას ჩვეული, ინდიელების გაჟუჟვის ხარჯზე, მათ ჩონჩხებზე აშენებული ცათამბჯენების ქვეყანა, უამრავი ეროვნების უსამართლო დაბეჩავების კერა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მართვაც უმრავლესობის ხელში მოქცეულა: შტატებში ინგლისელებმა იყოჩაღეს, კოლუმბიაში — ესპანელებმა, პუერტორიკოში — პორტუგალიელებმა. მიუდგები ახლა იმათ 14 იანვრის საზომით? ხომ ზეზეურად გადაგჭამეს თავი?!"

— ღმერთის გაჩენილს ადამიანი ნუ ეტორღიალება, ბაბაგე, გური, — მომეძალება ისევ ვალიკო მესხიას ხმა, — უკუდო ხარს ნუ ვემსგავსებით: მგელი ყმუის, მამალი ყივის, ხარი ბღავის, ლომი ღრიალებს, ვირი ყროყინებს. ამ ცხოველების ენა ერთნაირია ამერიკაშიც, აფრიკაშიც, აზიასა თუ ევროპაში, მხოლოდ ადამიანია განსხვავებული, რომელიც ბუნების კანონებს არ ექვემდებარება.

ენა, ეროვნება ამა თუ იმ ხალხისა უმთავრესი საგანძურია. ქართველს ამ ბალავარს თუ მოუშლი, მყისვე უკრუხო წიწილებს დაემსგავსება, ქორი რომ წააწიავებს სათითაოდ.

ჩვენ სავალალოდ ყოველთვის ორ ენაზე გვიხდებოდა არსებობა: უძველეს წარსულში ქართულ-ბერძნულად, ქართულ-რომაულად, ქართულ-არაბულად თუ ქართულ-სპარსულად. გამოხდა ხანი და ქართულ-რუსულ- ად ავჯგირჯგინდით. ახლა ინგლისური მოგვძალებია... ბუნებრივია, თავის დროზე თითოეულმა ენამ გარკვეული კვალი დაამჩნია ჩვენს მეტყველებას, ქცევას და ხასიათს, მაგრამ მთავარი მდინარება მაინც ვერ დაშრიტა, შესაძლოა კალაპოტი შეუცვალა ხან სამხრეთისკენ და ხანაც — ჩრდილოეთისკენ, მაგრამ ნათქვამია: წყარ ნაწყარს დო შარა ნაშარსიავა, და რადგანაც ფეხთაქვეშ მიწა გაგვაჩნდა: ეროვნებად, სხეულად, სამშობლოდ, ხოლო თავსზემოთ — ზეცა: ენად, სულად, ფიქრად და ოცნებად, მოვღწეულვართ კიდეც დღემდე, საქართველოდ, ქართველებად.

თქვენია, ბაბაგე, საწერ-კალამი, ქაღალდი, ტელევიზია და რადიო. ამხილეთ ის დამაქცევრები! საჯაროდ გამოაჭენეთ გვარ-სახელებით, ისე რომ, იმათ ნათესავებს საზოგადოებაში გამოჩენის რცხვენოდეთ. ამანაც თუ არ გაჭრა, იფნის წკნელებს მე მოგიმარაგებთ — აუჭრელეთ გვერდები და თუ ესეც არასაკმარისი გამოდგა, გააპანღურე საქართველოდან თავიანთ უცხვირპირო პასპორტებიანად!

მაინც რა არის დამალული ქართველობის უარმყოფელი ქმედების მიღმა? ვეკითხები ჩემს თავს.

დავიწყოთ ანიდან:

კი, ბატონო, უმადურ გერებს — ქართველებს, აფხაზეთს ჩამოგვაჭრის ხელწაგრძელებული დედინაცვალი — რუსეთი, მთელ ზღვისპირეთს აგვაწაპნის ამერიკასთან ბოლოდროინდელი ჩახუტებების გამო, რადგანაც ჩვენისთანა გემრიელი ლუკმა არავის ეთმობა;

კი, ბატონო, უნდა გავუგოთ ისტორიულ მეზობლებს, იმათ ხომ სურვილისამებრ არ ირჩევენ. მათ სტრატეგიულ რუკებზე ხომ საქართველო აორთქლებულია, როგორც ეროვნების რეკვიზიტი ჩვენი მეტრიკა-პას- პორტიდან? რას ერჩი, უმადლოდე კიდეც უნდა, უსისხლოდ, თოფის დაუხლელად რომ გებრძვის, ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე □ჯერაც ვერ გამოვსულვარ ჩრდილოეთის სტილური ზეგავლენებისგან), უმტკივნეულოდ, ევოლუციურად გიცვლის ფსიქიკას?!

კი, ბატონო, უნდა გავუგოთ ოკეანისგაღმელ წითურ ბიძა-ბიცოლას, რომელთაც ფული გაუხდიათ უმთავრეს კერპად და ამ მრავალსახა ხვლიკისფერ მოლოქს თვალისდაუხამხამებლად სწირავენ პატარა ერების სასიცოცხლო ინტერესებს. ამჯერად კავკასიაა მხედველობის არეში; მისი ენობრივი თუ რელიგიური სიჭრელე აღიზიანებს, თვალში ეკალივით ესობა. მას ხომ ათასწლეულს იქით გაუფაჩუნდება ის უჯრედი, პატროფილურ განცდებს რომ ამოსტყორცნის გულისგულიდან ოდესმე ასკაგუბურას საფუტკრეთის სიახლოვეს მოჩქაფუნე წყაროსავით?! რატომ აშთობენ მტილოვანში გალობისას თვალგანაბულ მაფშალიას?! ვისი ყურთასმენა შეაწუხა ბულბულის საამურმა ხანგმა? ვისგან, რომელი გულქვაობიდან ამომხეცებულა ეს გაუგონარი შურუბუმუობა, რიკის ამოდება ლაშებზე საკუთარივე ძალისხმევით?!

მივყვეთ მსჯელობას: გატანილია საქართველოდან ყოველივე მოძრავი: ბორბლებით, მარხილებით, რუკზაკებით თუ ცხენ-ჯორ-აქლემით; გატანილია: კოვზი, ჩანგალი, დანა, უნიტაზი, ჩარხი და მაქო, გემი, რელსები ორთქმავლებიანად; ტაფეები, ტაფეები თუჯ-ალუმინ-თითბრისა უარვინო სულების მოსახრაკად. დიახ, ხომეროსის ჭკუაულევ ოდისევსს მივმსგავსებულვართ რამდენადმე პოლიფემის გამოქვაბულში დატყვევნილს, რომელიც დამალავს საკუთარ სახელს, ,,არავინ ვარო,'' გაენდობა პოსეიდონის ცალ-

თვალა ძმას — ციკლოპს და როდესაც ეს უკანასკნელიც წაშამფურებული ბარჯგით დაბრმავდება, მთაკაცი ბნედიანივით შეასკდება გამოქვაბულის გოლიათ კედლებს და ცხვრის ტყავს შეფარვით გაშლილ ზღვაში გასულ ოდისევსს უშველებელ ლოდებს დაუშენს გასანადგურებლად სიტყვებით:

არავინმა დამღუპა, არავინმა დამაქციაო!

დიახაც, ამგვარად შეგვეძლება ახლო მომავალში შევეხმიანოთ მსოფლიოს: არავის ფულები წამოგვიღია ჩვენ, და რადგანაც, ბატონებო, არაფერი გაგვაჩნია მის ასანაზღაურებლად, ინებეთ სარგებელში, არავინ სამშობლო-თქო.დაახლოებით ამგვარადაა საქმე 14 იანვრის დილასისხამიდან. პატროფილია ატროფირებული ხალხისგან მოდის უამრავი საძაგლობა წარსულ-დღევანდლობიდან: გომორი თუ სოდომი, შიდსი თუ ცისფრიანობა და აწ საფლავებში წრიალებენ ბარათაშვილები „ყანწელების“ ამალითურთ ამ უმშვენიერესი, ხშირად ნაელვარები სიტყვის ფრიად საჩოთირო ინტერპრეტაციის გამო.

დიახ, ყველაზე უსათუთოესს, უანკარეს ჩასცეს ლახვარი სულში მატერიკელებმა, რათა ცისკენ არ გაიხედოს ადამიანმა, თანაც თვალსაც არ ახამხამებენ ისე, ცისფერი ვარ, სერ, და ქორწილში პატივს ხომ არ დამდებდით მაყრად? თქვენსავით ულვაშაღერილს ვუწყვილდები მომავალ შაბათსო, უძებნიან საზოგადო გამართლებას თახსირ უკუღმართობას.

ამიტომაც, არაფერია გასაკვირი სნებოვანი მატერიკით დაშინებული გოგუაძეები, კვარაცხელიანი, მარგიანები თუ ერგასათასელი ჭკუააბორგებული არავინ ეროვნებით, ისევ შეჩვეულ ჭირს — რუსეთს მიჩოჩებია, ეზოპეს მკბენარმომრავლებულ მელიასავით, გასუფთავებას რომ არ დაანებებს თვისტომს, ვინაიდან ძველი ტკიპა თუ ბაღლინჯო სისხლით გამძღარა, ხოლო ახალი დამშეული მეტის გამძაფრებით განუმრავლებს რამდენადმე მიყუჩებულ ტკივილს.

ახია ჩვენზე — ქართული თვითმყოფადობის დამამკვიდრებელს უწყინარ თანამდებობას, პრეზიდენტის რეფერენტობას მივუბოძებდით, და აგერ, დრაკონის კბილებისგან აღმოგვიცენდა კიდეც 14 იანვარი, მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია და საარვისო პასპორტს ცხვირ-პირში მივახლით დედაწულიანად წყნარი ოკეანიდან ამოვარდნილ ქარტეხილებს.

აქედან გამომდინარე, ალბათ, გასაგებია გვერდიგვერდ რისთვის ვდგავართ ბარიკადებთან მთლად რადიკალურად მოაზროვნენიც, მემარცხენე-მემარჯვე- ნეებიც, ცენტრისტებიც, დემოკრატიას ამოფარებულნიც თუ ტირანიის მქადაგებელნი სულაც — უფრორე აღმატებული დიდგორი საქართველოს ყოფნა-არყოფნას თავისი არსებობის მანძილზე არ უწერია! დიახ, 14 იანვრიდან მოყოლებული ულვაშიანი ქართველი ირონიაა, გმირთაგმირი წინაპრების დაცინვაა, ფარსი — ტრაგედია კომედიის მოსასხამში. აკი, შოტლანდიელები თუ ირლანდიელები ეროვნული ღირსების შელახვის გამო დედაკაცურად შეიმოსებიან ქედისმომხრელი ანგლო-საქსების წინაშე, ბოლომოფრიალე კაბებს ჩაიცვამენ და დღესაც იმ აღკაზმულობით აჭყიტინებენ ხბოსფეხა ზურნებს თუ ეგებებიან ტყვიებს თავისთავადობის ეკლიან გზაზე. ო, სანკტა სიმპლიციტას! ო, უწმინდურო ანგარიშიანობავ! ედემის ბაღისკენ ხაბარდა! მონანიებულია იესო მაცხოვრისგან საყოველთაო ცოდვები და ქერუბიმების ქერეჭიანი სხეულებით გარშემორტყმული ცხოველი ხეც თითსწვერებზე შემდგარა მაუკვდავებული ნაყოფის მოსართმევად ...არა, ჯერაც ვერ ამომიხსნია სრულყოფილად უარვინო პასპორტის შემოქმედთა საწადელი. გაღმაოკეანელთა გულისთქმას რამდენადმე მივუახლოვდებით, როცა შეძლებისდაგვარად გავაშიშვლებ საფინანსო ორგანიზაციების მეცადინეობას დევიზით: „ბევრი ვეცადე შენთვისა, ძლივს მოვახერხე ჩემთვისა“.

ჭეშმარიტად, მომხმარებლურ, მცონარულ ქვეყნად წარმოგვისახავენ, თავიანთი ჩაწოლილი ჭარბი პროდუქციის გამსაღებლად. მერე და ვის? ერს შემოქმედს! ერს აღმაშენებელს! ერს გეორგიანელს, სიტყვით და საქმით უკვდავებისთვის მებრძოლს ნიადაგ! ოქროს მომპოვებელს ქიმიის მეოხებით ქრისტემდე ოთხიათასწელს მიღმა! ფოლადის მწრთობელს! გუთნისდედას და ზანდური ჯიშის ხორბლის პირველ მომკელს! ზეკოსმოსური ხმების მბეჭველს პოლიფონიურ საგალობლებში: მზის, მთვარისა და ვარსკვლავების მარადიულობის დამგუგუნებელს ათადან და ბაბადან!ასომთავრულის პირველშემქმნელს!ღვთიური ცეცხლის ჩამომტანს მიწაზე პრომეთე-ამირან-არამხუტუს შემწეობით! ოქროს საწმისზე, იგივე ცხვრის ტყავზე, კირბებზე, კირიბიშზე მათემატიკის, ასტრონომიის, მედიცინის უმთავრეს ცნება-ფორმულათა აღმბეჭდავ ხალხს, რომელიც დანარჩენ მსოფლიოს ალმა მატერივით ვაწოვებდით ზეგარდმოვლინებულ სულს. ტუჩებზე დედის რძეშეუმშრალი უწარსულონი კი მოშურნეობით იტყვიან:

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა დინების საწინააღმდეგოდ მოცურავე ქართველები ასოთხმოცი გრადუსით შემოვაბრუნოთ და ჩვენს ამქრაში შემოვიერთოთო, გავხადოთ ჩვენსავით ყველაფრისმქონეებად და მაინც არვინადო და როდესაც ორი უცნობი შეხვდება აბრეშუმის გზაგასაყართან, დიდი და პატარა არავინ, საუბარი გაადვილდება, რადგანაც ოდნავმეტ არავინად გადაიქცევა, რომელიც

„ჩაკრულოს“, „კრიმანჭულს“, „ლილეოს“ თუ „ოდოიას“ კი მღერის ნოტების შესატყვისად, მაგრამ აღმოსავლეთში — ფეხმორთხმულად, ოგასგან ნაწიოკები შიგნეულით და დასავლეთში — უჯიგრო მოშვებულობით, ქართული სანელებლების უქონლად, უპილპილოდ, რახათლუკუმური დატკბარუნებით, რომელიც ნაკლებად ეგუება ჩვენეულ გათარანებულ გულფიცხობას.

კვლავაც მარტოსული ხეობის მახვშის სიტყვები ამოიწევა ცნობიერებიდან: — ბოროტებას და სიკეთეს, ბაბაგე, გური, ერთ უღელში ნუ შეაბამ, რათა მიწა გადააბრუნო და მეტი სახვალიო მოსავალი მოიწიო. არ შეიჭმევა ის პური მადლიანად. შეუძლებელია ერთ ტაბლასთან დასხა წმინდანი და უზნეო, ბილწი და კეთილშობილი. ეს ხომ იგივე ბუნიაობაა, ყველაზე საშიში, ყველაზე დამამხობელი განურჩევლობა?! ბუნიობის თემას მივუძღვენი მე ესეისტური მატიანეს ერთ-ერთი განაკვეთი „მეიროხანი“, მაგრამ რადგანც ახლა ჯერი მიზანმიმართულ სიცხადეზე — „ფადაასობაზეა“, ბარემ ბოლომდე გავარკვიოთ, რას გვერჩიან, რისთვის ამოგვზლეტენ პირიდან ენას, ან რატომ გვჩრიან ყანყრატოშივე დადიანის რიკებით? ვისგან, საიდან მოდის ეს ფართომასშტაბიანი შემოტევა?! საიდან მოღვარცოფობს, ლეთას რომელი ნაპირიდან?! მანქურთობა და შურუმუობა გამოგვივლია. კიდევ რა გველის, კიდევ რა განსაცდელს გვიმზადებს საწუთრო?! იგივეს ხომ არა, რასაც გებელსი — თავის ანგელოზებს: ნუგბარეულით ციანიკალს შეაპარებს ოქროსფუჩეჩებიან მოზარდებს და თანაც:

ძილი ნებისა, მამიკოო, ეფერება თითოეულს მუმიასავით გამოჩუჩუნებულის გამოხედვით? აი, საითკენ გვიბიძგებს თურმე 14 იანვრის უარვინობა, 14 იანვრის უთვისტომობა, 14 იანვრის უპიროვნობა, ჩვენს თავს ქართველ ხეროსტატეთა ხელით დანთხეული! თითებზე ჩამოსათვლელი წლების მანძილზე უამრავი ჯიბე გასქელებულა კომპრადორობით. აურაცხელი უცხოური კრედიტ-ინვესტიცია ხან რიკივითაა გაჩრილი ნუვორიში ქართველის პირს, ხან ფინახარივითაა თვალებზე აკრული და ხან კიდევ ცვილივითაა ყურის ნიჟარებში მოგლესილი. შეაჩერებ ნეობატონისკენ მუქთად მიმავალი ხე-ტყის ჭრას წითელი მინდვრის სიახლოვეს და მყისვე შეგემუქრება: ციც, გონს მოეგე, საწყალო, ხომ ხედავ, შენი სული ჩემს ხელშია?! თუნდაც ნემსის ყუნწში გამძვრალხარ, ოღონდ ის ხე-ტყე უწყვეტად მომაწოდეო და ეს უკანასკნელიც, გინდა ორკუზიან აქლემს აჭარბებდეს აღნაგობით გულმოდგინედ გაიძურწება დასახელებული სივიწროვის ნახვრეტში, პირბასრი ცულებით მიადგება სიცოცხლის ხეს და თავის გადასარჩენად უხათქუნებს და ურათქუნებს სისხამიდან შეღამებამდე, სამხრობიდან ალიონამდე.

რას დაღონებულხარ ძმობილოო, გაგამხნევებს იგი მშობელი ხალხის საყვედურებისგან გვარიანად აჭარხლებულს. ხომ გსმენია, ძაღლი ყეფდა და ქარავანი მიდიოდაო? რა გენაღვლება, იყეფონ, მოგაცვდება რამე იმ ქოქოლასგან? ნურც მომავალში დაგაფიქრებს შენიანების შემოტევა. რა დროს ეროვნულობაზე საუბარია, როცა კატასტროფას მიახლოებია სრულიად დედამიწა — პლანეტა ჩვენიო?! ასეთი უმეცრება გაგონილა? სამარცხვინოა, სიმწრის ოფლის მომდენი! აბა, კარგად გაიხსენე გენიალურმა აინშტაინმა როგორ აღიარა მსოფლიო მოქალაქეობა. ეროვნულობას პროვინციულად მიიჩნევს ქრისტეც. არაფერს ვამბობთ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის კომუნიზმზეო.

მერე რა, ზოგ-ზოგებს თუ ვერ შევასმინეთ რიგიანად ეგ სიბრძნე, ხომ იწვნიეს ვატერლოო, სტალინგრადი, ხიროსიმა და ნაგასაკი? არ კმარა ჭკუის სასწავლებლადო? ეს ჩვენი ხოხმა მიტუები, ძუკუები და ჭიჭიკიები კი ხედავ, რამდენს ჩემულობენ?! არხეინად მისცემიან ერთმანეთის თავებიდან მკბენარების გამოხილვას, თანაც „დიდებით მოსილ როდინდელ“ წარსულსაც ვერ ელევიან ავგიას თავლაში მოსროლილებიო.

ასეთი და ამგვარია ჩვენი არსებობის პერსპექტივები 14 იანვრის შემდეგ.

ხურჯინის ორივე თვალი რომ დაიჩუტება, მარტოსულხეობელი მახვში დაკეცავს, იღლიაში ამოიჩრის:

— ყიფიანი იყო კაი კაცი, მაგრამ ეგნატე ნანიტაშვილი — უკეთესი. დრომ დავიწყება იცის, ბაბაგე, გური, და მაინც, დაიხსომე, კეთილისა და ბოროტის ერთ უღელში შებმა წყლის ამაო ნაყვაა უზნეობასთან ერთად. გულთმისანი, მენცარკოჩი გახლდათ ეროდი სართანია, მაგრამ თვალ-ყური არც ჩვენ გვიწყია ჯიბეში. მეტს ნუ შეწუხდებით, ბავშვებს მიხედეთ, ხო, კიდევ — ამ ტყეს, — მარჯვენათი ნახევარწრეს მოავლებს ხაერში, — და ჩვენივე სისხლით და ოფლით გაპოხიერებულ მიწას, ვინაიდან სანამ მყარად ვდგავართ მასზე, სანამ ჩვენი თავი ჩვენს განკარგულებაშია, კიდევ არა გვიშავს რა, კიდევ ნაშველები ვართ მოურჩენელ ძიძგილობანას გადაგებულნი, მაგრამ როგორც კი ამ საძირკველს გამოგვაცლიან, მშვიდობით საქართველოვ და ქართველობავ! — ლამის იყო „ჩვენადვე გვეყუდნესო“ ბრძანა.

სვენებ-სვენებით მიეფარება თვალს ვალიკო მესხია. დიდხანს მივჩერებივარ ჭრელაჭრულა ქათიბში ამოვლებულ ფერდობებს. ხვლეპუსა ტაფობელაზე შემოტრიალდება, ორივე ხელს აგვიწევს, არის ასე ერთხანს გარინდებული, მონუმუნტივით გასაგნებული, მერე წაწიაღდება და წაწკვარამდება, წაუჩი-

ნარდება, შეუსრიალდება ძარღვებში ბუნებას, განეფინება უსიერის სულში, გაიტოტება და გაიფესვება უღრანის თვისებით.

ᲨᲐᲣᲮᲐ *

ახლაც, ამ წუთას, ის სიცხადე მილიცლიცებს თვალებში, ის ოზონჭვირვალი გამოსახულება — პანო საირმეს ჩრდილოეთით.

მზეს დიდხანს არ სცალდება იქ ბუდრაობა, გელოვანისებურად თუ ვიტყით, კრუხივით ჩაეშვება მთებში, წამიერად ალანძავს დასალიერს, თითქოს გოდერძი ჭეიშვილის ნოველის პერსონაჟს წითელი მინდორი დაუტყვევებია ტილოზეო და იღლიიდან ამოჩრილი ნადავლით მიუყვება ასკაგუბურას განედგრძედს თოლი მესხიას დარადო.

ამწამიერადაც ი...მერეთულ მოლანდებას მივჩერებივარ ასეული კილომეტრიდან, მარადგაუხუნარს, დაუხავსებელს და უსამნო-უდასასრულოს, სულს რომ მიფოლადიანებს 14 იანვრელთა ჯიბრზე.

დღითი დღე კაშკაშდება, დღითი დღე მზიანდება შორეთიდან თოვლით ამონამქრული ნიჟარისხელა ასკაგუბურა, დიახაც, ჩემი ჯიშ-ჯილაგის გადასარჩენ კიდობანს დამსგავსებული, სადაც აქამდე ვერ ჩაღწეულა შეპირებული წიგნები და მარტოსულ ხეობელებზე აბაბანებული გაზეთები, თუმცა დროს გულმავიწყობის მხარდამხარ, საბედნიეროდ, ხსომიერებაც დანათვლია, და ახლა ის ხატი, ის ფერსიცხადე, აგვისტოს დამდეგს სულში ჩარჭობილი ჭადრის ბარჯგივით, ლაშარის გორზე გადმომდგარა გვარიანად გაფოთლილი და ზემგრძნობიარე ანტენასავით მიიტაცებს თითოეული ქართველისთვის აფორიზმივით დასახსომებელ ხმა-შეგონებას:

— საკუთარ მიწაზე საკუთარი ხელით მოიპოვე პური შენი არსობისა, ბაბაგე, გური. ნუ გიკვირს კოხისა და მეხათატეხის მოხშირება შენს თავზე, სხვებს უარესი სახადი გაუგდიათ კუდამოძუებით და მერწმუნე, შენც კარში ისვრი კინწისკვრით ადრე თუ გვიან.

ნებისმიერ კანონს ორი ბუნება აქვს, როგორც ჯოხს — ორი ბოლო: ადამიანის დამტკიცებულს ადამიანივე აუქმებს. ზღვა გამუდმებით უტევს ნაპირს, მაგრამ გამუდმებითვე უკუიქცევა. მთავარია, ბოროტი და კეთილი ერთ ტაბლასთან არ დასხა, არ გააიგივო, არ ჩაახუტო ერთმანეთს, ვითომ უკეთესობას მოვიმკიო. ფუჭია ეგ. ჭიდილით კი აჭიდავე რამდენიც გინდა, რამდენიც გენებოს, ლავიწის თუ კვერისთავის ამოგდებამდე. ის პასპორტი, გჯეროდეს ჯიბესქელი ხალხის მაზანდაა. ალბათ, მილიონებია ჩაყრილი მაგ საქმეში და სანამ ათმაგად არ ამოიგებენ, არაფრისდიდებით მოგეშვებიან. ხალხის საწინააღმდეგო კანონის მიღება გაღმა შემოდავება იქნება, გამოღმა რომ დარჩეთ, გადასაყრელი რომ არ გაუხდეთ პასპორტები. ამიტომაც გირჩევთ, ნურც მწვადს შეწვავთ და ნუღარც — შამფურს. ორი-სამი მილიონი პასპორტის ხელახალი დაბეჭდვაც არ მგონია მთლად გონივრული ჩვენი მეცეკუნტა საბნების პატრონთათვის და იქ ჩვენი ეროვნულობის დამადასტურებელი სიტყვა განგებაა გამოტოვებული თუ უნებლიეთ გამორჩენილი, რა სანუგეშოა, დავიწყების მორევში ვართ გადაყრილები ერთიანად! ამიტომაც მგონი არაფერი დაშავდება ამჯერად გარკვეული ხელით თუ ჩაიწერება შიგ საქართველოს ნებისმიერი მაცხოვრებლის ნამდვილი ვინაობა. მომავალში ეგეც გამოსწორდება. აბა, ქვეყნის დამაქცეველთაგან უკეთესობას რას მოელოდით? კანონს კი თვალის ჩინივით მიხედეთ, ბაბაგე, გური! კანონია ყველა სიკეთისა და უბედურების სათავე ... ეგეც იქით იყოს, მთავარია უფრო მნიშვნელოვანი გვახსოვდეს გამუდმებით — მარჩენალ მიწას არ მოვწყდეთ და კიდევ — ღვთით ბოძებულ მოსაქმეობას — გეორგიანობას, გუთნისდედობას, ჯინჯიღულა — ძირდაგრე- ხილი ვენახის მოვლა-პატრონობას, მამაპაპური აბჯარის გაფერვასაც შიგადაშიგ; მოკლედ, ყოველივე იმას, ბაბაგე, გური, რაც ქართულად ნამდუღარება მაჭარივით და დაღვინებულა დიდი ბორგვების შემდეგ მიწიდან ზეცამდე, ხორციდან სულამდე, გარდაცვალებიდან უკვდავებამდე!

ჭურიის დარსუ

ანუ რომან „სიცოცხლემისჯილის“
მთავარი გმირის, ჟინი ანთარის
პროტოტიპი ირონდი სართანია

ცხრა აპრილის შემდგომი აღმავლობის პათოსზე „მეიროხანში“ საკმარისად გვიწერია. მიჭირს განმეორებით იმ წუთების ადეკვატური ასახვა, მითუფრო წინდებული სათქმელის მიზანი სრულიად განსხვავებულია — ირონდი სართანიას პიროვნებასთან რამდენადმე მიახლოება.

შესაძლოა ეს თემატიკა შედარებით „სერიოზულ“ ნაწარმოებში გამომეყენებინა და ამით ბოლომდე მიმეგო პატივი მართლაცდა განუმეორებელი ბერმუხასთვის, მაგრამ საირმეში ასკაგუბურელი მესხიების მოხილვამ და მათთან ორკვირიანი ურთიერთობის პერიოდში რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილის“ მთავარი გმირის, ჟინი ანთარის პროტოტიპის, უნებლიეთ ამოტივტივებამ, გეზი შემაცვლევინა. ვენდობი ხორაციუსის ავტორიტეტს: ახლა უნდა ითქვას ის, რაც ამ წუთასაა აუცილებელი, დანარჩენი — გადაინახოს მომდევნო დღეთათვის, სხვაგან და სხვა სიტუაციაში გაიშალოს საჭიროებისამებრო; ჩვენს ბელეტრისტულ მსწრაფველობას კი გეხსომებათ, ვალიკო მესხიას ზეპატრიოტული პერსონა ესაფუძვლება, რომელიც მოფრთხილებით, მაგრამ გამგონესათვის სრულიად თვალსაჩინოდ ეწინააღმდეგება ზღვისპირა ჭურიის მეტყევის მსოფლმხედველობას და რადგანაც საკითხი ცალმხრივად წარმოგვედგინა დღემდე, ეს საგანგებო ნარკვევიც სავსებით მიზანმიმართულად წარმოჩინდება.

აგვისტოს მიწურულია. ჯერ სექტემბრის აქციები არ აგორებულა შუა რუსთაველზე. ჯერ ბარიკადებით არ გადახერგილა ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი. ოპოზიცია ზამთრისპირა ბუზანკალივით იკბინება და გონიერების თვალს თუ მიადევნებ სამომავლო დღეებს, მიხვედრილისთვის ადვილწარმოსადგენია გაუბზარავი ნაჭუჭიდან დინოზავრის ამოღრიალება.

მირო ბუკიას ჯაბახანა ჟიგული მიჩვეულია ამ გზებს. მირო ნადირობის დიდი ტრფიალია, ცაში ასროლილი ათასობით თეფში შემსხვერპლებია მის ჩუბინობას. არც თევზაობა მოყირჭებია ჯერხანობით. იშვიათი გულისხმიერებით გამოირჩევა. მართალია, ხელი ვერაფერში გავუმართე, „იკარუსის“ მძღოლობა ვერანაირად გავუჩალიჩე: ჩემი ბელეტრისტული ავტორიტეტი საკმარისი არ არის საამისოდ, თანაც ცხრა აპრილის შემდეგ ათასნაირად შეტრიალდება ავტოპარკების ბედ-იღბალი: დაიტაცებენ ავტობუსებს, ტაქსებს, კამაზებს, ვინ, როგორ და რანაირად, მაგრამ მაინც არ მსაყვედურობს. ესმის, თავს ზემოთ ძალა რომ არ არის.

აჩონჩხილან ფერმები. ოდესღაც მოასფალტებულ თუ მოხრეშილ გზებს ორმოები მომატებია და მძღოლის სამაგალითო ოსტატობით მიყოლებით გავივლით ინგირს, კახათს, დარჩელს, ერგეტას. ათი წლის წინანდელი ახალშენები გაუდაბურებულან. კოლექტიური მეურნეობების მოშლა მუსრს გავლებს ოდესღაც სიმინდის ყანებით ახასხასებულ სავარგულებს.კახათელების ფარეხი ნაცარტუტად ქცეულა; ის კოპწია ოდა-სახლიც, უამრავ სტუმარს რომ მასპინძლობდა ზამთარ-ზაფხულ. მორღვეულა მავთულბადის ღობეები. მრუდე ხელს მავთულხლართიც აუცლია ბეტონის ბოძებისგან და აქა-იქ საღი საყრდენებიც ზედ მიუყოლებია. მეწლე მსხლების ძირას ტალახიანი ძროხები იცოხნებიან მშვიდად, ხოლო გუგუჩიების არხის სათავესთან კამეჩები დგაფუნობენ.

წავიხემსებთ ქალაქიდან წამოძღოლილ პურს და ძეხვს. მირო ბუკია სასროლ ბადეს დასტრიალებს. სადმე თვალი ხომ არ ჩაშლილაო. მე რუკზაკში გადავანაცვლებ ირონდი სართანიას საფვარელ „პრიმას“, პურს, გაზეთებს, ქარხნის არყებთან, შებოლილ ძეხვებთან და კონსერვებთან ერთად.

წლების წინათ უთვალავჯერ გაუმართავს ხელი ჭურიელ ტყაჩუს და მთლად ქესეტად მისვლაც არ ივარგებს. რაც მთავარია, ხელმეორედ გამოცემული წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი მიმაქვს საჩუქრად ჟინი ანთარის პროტაგონისტისათვის. ხუთი ათასი ეგზემპლარი დამიბეჭდავს, მაგარ გარეკანში, ბუნვილინში შეფუთნილი — წითელი, ლურჯი, მწვანე და ყავისფერი. ამაზე უკეთეს ნობათს ვერაფრით გავუმზადებ ბუნების მესაიდუმლე კაცს.

მართალია, წიგნი ირონდისთვის ვერაფერი ბედენაა, შემოდებს თაროზე და მომსვლელებს შეახსენებს, რომ იმ ხელისგულისოდენა ოთკუთხა სივრცეში მისი პიროვნება ამწყდევია; ხოლო რამდე-

ნად ზუსტია, რამდენად შეესატყვისება დედანს ასლი, ამის თაობაზე, დაე, სხვებმა იმტვრიონ თავი.ოდიშში ავაკითხავ მთავარი გმირის პროტოტიპს. იქ გამიმხელენ, ისევ ჭურიასკენ აიბარგაო. ოთხმოცდაათს მიუკაკუნა, მაგრამ სახლში როგორ გააჩერებო. ის რუსის მთვარესავით ქალი კვლავაც ხყავს თურმე. ეგ არის და ეგ. ამჯერად გვარიანად შეძლებული მეთქმის. წიგნის პირველი გამოცემა საკმარისად გასაღდება. მართალია, ნახევარზე მეტი გამისაჩუქრებია, მაგრამ მყოფნის ფული მომდევნო ხუთიათასის დასასტამ ბადაც. მარტო გალის სტადიონზე შონიების საგვარეულო შეკრებისას შვიდასი ცალი გაიყიდება. გადაყრილია იდაყვგაცრეცილი პერანგები. ოჯახურ პრობლემებსაც უმტკივნეულოდ ვაგვარებ, ხოდა, ამნაირი ამანათით მივემართები არხებს გადაღმა. სამი-ოთხი კილომეტრი მაინც მომიწევს ეკალ-ბარდში ბოდიალი. ნავი მყავდეს, ერთი საათიც არ მოვუნდები მის სამყოფლამდე მისვლას.

მირო ბუკიას ორლულიანი ,,ტულა''და პატრონტაში ფაბრიკული ჰილზებით, ზედ ამისხამს ყოველ შემთხვევისათვის. ჯინსები რეზინის ყელმოკლე ჩექმებში ჩამიტნევია და მივემგზავრები ასე, აგვისტოს ხვატით ამტუტებული არხის გორმახებით. ორიოდე საათში სართანიების მამულს მივადგები ზურგიდან. ღობეები ტყრუშულია. აკაციის წყვილ-წყვილ სარს შორის ლატანები მიჯრითაა ჩაწყობილი ისე, რომ მისი გარღვევა ჩრდილოეთურ ტანკსაც გაუჭირდება.

ფიცრულიდან ამომავალ კვამლს შორიდან შევნიშნავ, ქოჩორა ტყის დასაწყისიდან; თხელია კვამლი აგვისტოს თვეში, სვეტივით აღმა მიმავალი.ჯაჭვზე დაბმული ძაღლი აყეფდება. გამოიხედავს მასპინძელი ჭურიის მიმართულებით, ფიცარნაგთან გამოვა, სადაც ნიჩბის ნავი ზღვაურისგან დატალღული ნაკადის მოძალებით ოდნავ ირწევა. მერე, როცა ფიჩხი გატყდება მასპინძლის ზურგს უკან, მომხედავს ხელით თვალებმოჩრდილულის იერით. მზე შუბის ტარზეა. ანწლის, ველური ლეღვის და კიდევ ჭაობნარის ლეყებმოძალებული შმორის მძაფრი სურნელი შეიგრძნობა. ქათმები კრიახებენ კუტიკარს მიღმა. გოგრების სიმრავლეა საგანგებო ტალავერიდან თუ ხირხალის* ღობეებიდან. სიმინდის ყანას წყრთა ტაროები ამოუჩრია იღლიაში. ალაგეზე გადმობიჯებამდე მიცნობს.

— ოოო, მწერალს გაუმარჯოს, — გაშლის ხელებს.

ფლანელის გახუნებული, მოლურჯო პერანგი აცვია. ხუთიოდე წელიწადში ოდნავ დაპატარავებული მეჩვენება. იგივე სითეთრე, იგივე ბეწვები, იგივე უშურველი ღიმილი.

დედაკაცს მეგრულად ელაპარაკება. ქალს ჩინებულად აუთვისებია ადგილობრივი კილო ოდნავ შესამჩნევი აქცენტით. ზოგიერთ თანხმოვანს დამახასიათებელი კოლორიტით წარმოთქვამს.

თუთის ხის ძირას ფიცრებისგან შეკრულ მაგიდას თანდათან ემატება მოხარშული სიმინდი, წურფა თხილი, დავარსკვლავებული ლეღვი, დაჯაჭვული არაყი, სიგრძივ დასერილი სულუგუნი. ოციოდე წუთში სუფრაზე ჩაგრაგნილი ელარჯიც გაჩნდება. ნაჩუქარი წიგნები აქვე ალაგია. გადაფურცლავს რამდენიმეგზის, ილუსტრაციას დახედავს, მსგავსებას ვერ აღმოაჩენს მხატვარ თავაძის ფანტაზიასა და საკუთარ აღნაგობას შორის, უსიცოცხლოდ იტყვის:

— ოსური, ქარწყექო სო გოუჭარუთუნ?*

გამომკითხავს დაწვრილებით, რასა ვიქმ, საქმეები როგორ მიმდის. გაიხარებს, რომ დავოჯახებულვარ, უკვე ორი ასულის მამა ვარ. თანაც რამხელა წიგნი გამომიცია.

— ეს პირველი ნაწილია, — ხმას ავუწევ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. ორს დავწვდები, სავარაუდო მოცულობის თვალსაჩინოებად ვიშველიებ, — გაივლის რამდენიმე წელიწადი და მშვიდობა თუ გვექნა, კიდევ ორ ამხელა წიგნს გავასრულებ. ჰოდა, დამთავრდება ამით ჩემი ტრიადაც, იგივე სამწიგნა, — ვესაუბრები, თან უნებლიე მოუცლელობისათვის ვებოდიშები.

— დასაკარგავში ვართ, — აქეთ გამოვყავარ უხერხულობიდან, — მერე და აწეწილი დროებაა, — მომაჩერდება მოჭუტული თვალებით, — მთავრობისკენ ხომ არ გაგიტევია, — იგივე გამომეტყველებით მითვალთვალებს.

— მთავრობაში მწერალს რა ესაქმება, თავს მაღლა ვწევ დიდის ამბით, — მწერალი სამშობლოზე უკეთ არ უნდა ცხოვრობდეს, — გავრეკავ სამიოდე სირჩით ენააჭიკჭიკებული.

— კომუნისტები კი გადააგდეთ, მაგრამ მათ დანატოვარ სიმდიდრეს რას ერჩით, ვერ გამიგია, — გამიმხილეს, — რაც აქეთკენ ფერმები და სამხერხაოები იყო, კუდის რიკამდე გაძარცვეს, გააპარტახეს. ცარიელი სიტყვებით ვაპირებთ ქვეყნის აშენებას? — ოხშივარშემოძარცვულ სიმინდს ბოწოწებს აცლის, მწკრივ-მწკრივად მარცვლავს და ასე შეექცევა. ჯანსაღი კბილები აქვს, მაგრამ წეკოსგან ერთიანად ჩარუხებულ-ჩაყვით- ლებული. — დღეს ბევრი მესოფლია არაფორმალი გახდა და ჯოტო გუგუჩიას დაუწყო განქიქება. ჯოტო მეურნე კაცია. უქნარების გაკეთებული საქმე ვინ თქვა. რამდენი მთავრობა შეცვლილა ჩემს თვალწინ, მაგრამ უსაქმურების ამნაირი მოძალება არასდროს მინახავს. გაგონილა, ყანებისთვის ზურგი შეექცია გლეხკაცს? ვითომ დაუმორჩილებლობას არქმევენ და სინამ-

დვილეში საკუთარ ცხოვრებას თავდაყირა ამხობენ. თავისუფლებას ვეპოტინებით ვითომ და სინამდვილეში უძირო უფსკრულისკენ მივექანებით. თავისუფლება ცოტათი სხვა რამეა, ბაბაგე, ვიდრე ეს თქვენ, ახლებს წარმოგიდგენიათ. — ახლაღა ვავლებ პარალელს ვალიკო მესხიასა და მის ტემბრს შორის. ასკაგუბურელის „ბაბაგე“ იროდისგან ნასესხები მეჩვენება. აბა, მარტოსული ხეობის მახვში შუაგულ იმერეთში ასეთნაირი სილაღით საიდან შეისისხლხორცებდა ამ სიტყვას?!

— თავისუფლება, უმაღლესი საზომი მგონია სულისა, მაგარამ ვაი, რომ თითქმის შეუძლებელია ეგ, თითქმის კი არა, ნამდვილად შეუძლებელი.

— რატომ? — გავიოცებ მე, — აბა, უმიზნოდ იაროს ადამიანმა?

— თავისუფლება ლამაზი ოცნებაა კაცისა, მაგრამ სიკვდილით შებოჭილმა რომელ თავისუფლებაზე უნდა იმსჯელო? ხო-ხო რა უხვნი ვართ უკვდავების მისამართით?! თავისუფალი მთელს დუნიაზე ერთადერთია და ისიც — გიჟი. მე გულის დასაწყვეტად როდი გეუბნები. ჩვენ ადრეც გვისაუბრია ბუნების კანონზომიერებებზე, ადამიანებისა და საზოგადოების ურთიერთობებზე, მაგრამ მაშინ კიდევ უმწიფარი ვყოფილვარ. შენ მრავალ კითხვაზე მთხოვდი პასუხის გაცემას და მეც სახელდახელოდ წამოვისროდი მათ, მაგრამ მას მერე ხუთი წელიწადია ჩავლილი და ამ ხნის მანძილზე, სასთუმალქვეშ ხელებამოდებულს ვარსკვლავიანი ცისთვის რომ მითვალთვალია; ან ტყის, ზღვის, ბუნების მაჯისცემას მივყურადებივარ, სასაცილოდ მომჩვენებია ვითომ ჩემეული მენცარკოჩობა. ხოლო თავისუფლება შეუძლებელია ახასიათებდეს წარმავალს. თვით შენი საყვარელი ხომეროსის წიგნებიც კი უძლურია თავისუფლების წინაშე, ბაბაგე, ვინაიდან ყოველი ათასწლეული სიტყვიერ სამოსელს გადაასხვაფერებს და აქედან გამომდინარე, ის გამუდმებულ ცვლილებაშია. თავისუფლება მარადიულთან გაიგივებული ამბავი მგონია. ადამიანს შესაძლოა თავისუფლად გეჩვენებოდეს ადგილმონაცვლეობა ერთი სოფლიდან მეორეში, ერთი ქალიდან მეორესთან, ერთი სახლიდან მომდევნოსთან, ერთი აზრიდან განხსვა- ვებულთან, მაგრამ ვის სჭირია ამდაგვარი თავისუფლება? თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. შენით მიხვდი, რომელია ახლა თავისუფალი, ეს „რომკა“, „ონტკა“ თუ ჩემი ჟანგიანი კბილები? სად არის ამ სამ საგანს შორის თავისუფლება? რომკას არ შეუძლია თავის არჩეულ ფორმას გაექცეს; არაყს თავად რომკისგან ენიჭება ფორმა, ვიდრე კუჭით დაიქლიბებოდეს, ხოლო ამ კბილებს, ალბათ, სულ მალე გარედან გადმოტკიცინებული ტყავი შემოეძარცვება. გამქრალია სამივე. ეს ყველაზე უმარტივესი მაგალითი მომიშველიებია. უფრო შორს წავიდეთ. ზღვისა და მიწის დამოკიდებულება ავიღოთ, იგივე თხიერისა და მყიფესი. ან აგერ, ამ თუთის ხეებით შემოვიფარგლოთ სულაც. ტანზე რამდენი ტოტი ასხია თითოეულს, ზუსტად იმსიგრძე ფესვები გაუფარჩხავს ქვემოთ. მოაშორებ მიწას და მყისვე დაბეხრეკდება. თუთის თავისუფლება მიწასთან გადაჭდობილი ფესვების ერთიანობაშია. ან განაშორე ტოტები ხაერს და უარესი სიდუხჭირე შეეყრება. შენ როგორ ფიქრობ, ადამიანი განსხვავებულია ვითომ ამ დამოკიდებულებისაგან? ან თვით ის ვარსკვლავები, თვალები ძლივს რომ მიგვიწვდება და მის მიღმაც, ვინ იცის, კიდევ რამდენია უჩინარი?! ან მზის სიახლოვეს მოძრავი სხეულები... ამოაგდე რომელიმე ამ კანონზომიერებიდან და შენს დედამიწაზე მთებს წყლები დაფარავს, ან პირიქით, აორთქლდება, გაქრება საერთოდ. ამას იმიტომ ვყვები, თავისუფლება კაცისგან მოჩმახული მოჩვენებითობაა. უფრო მეტიც, საკუთარი თავის დამშვიდება. ვინც თავისუფლებას მიელტვის, მზეზე ასვლას ლამობს. ის, რაც ჩვენ თავისუფლება გვგონია, სინამდვილეში ურთიერკავშირია, ურთიერთდამოკიდებულება, ერთმანეთისადმი დაქვემდებარება. ვთქვათ და მაგალითისთვის, მოგცა შენ მამაზეცი-ერმა თავისუფლების ნება, რას მოითხოვდი უწინარესად, რა სურვილის ასრულებას?

— სამშობლოს ბედნიერებას, — არ დავაყოვნებ მე.

— ეხ, ბაბაგე, რამდენად უმეცრები ხართ შენ და შენი არაფორმალები?! კი, ბატონო, ვთქვათ და მიიღე ეს, თუმცა ბედნიერებაც საკითხავია, რა ჯურისაა, რითი უნდა აზომო, რითი აწონო, არწყა.

— საერთო კეთილდღეობით, — მივაგებებ მე.

— მერე და, ბაბაგე, ეგერ, სადღაც აფრიკის ჯუნგლებში ციებისგან იხოცება ათასობით ადამიანი, სხვაგან — შიმშილისგან, და აი, ყურისძირას, იარაღით დარევია ერთმანეთს ღვთის სხვადასხვანაირად მორწმუნე ხალხი. სად არის აქ შენი თავისუფლება, შენი ბედნიერება?! თავისუფლებას ეძახი ამას? ბედნიერებას? როცა გნებავს, მთელი ქართველობა ოქრო-ვერცხლსა და თაფლში ცურავდეს, სხვას კი კვნიტი მარილი და ფუჩხა ენატრებოდეს? რა თავში იხლი ამისთანა ბედნიერებას, მითხარი, ნეტავ? ბედნიერება კიდევ მესმის ზიარი ჭურჭლის პრინციპით რომ დადიოდეს, ყველა ჩაღრმავებულს და ამობურცულს თანაბრად მიაგებდეს პატივს, იგივე მზის სხივის დარად, რომლისთვისაც მიკეროძოება გამორიცხულია, მაგრამ ხომ ხდება ისეც, მზის სხივი სხვათა ბუნების, ან თვისების წყალობით უძლურია ჯადოქრობა მოიმოქმედოს: ქვის გულში ვერ აღწევს იგი ამ ჩრდილოვანის ტოლძალოვნად და ვეღარც — ყინულის წიაღში, რომელიც თავისთავად მზესთან მიმარ-

თებაში ყოფნითაა გალურსული. ასე რომ, წყლისთვის, მიწისთვის, კლდისათვის თუ ყინულისათვის მზე განსხვავებულად აცხუნებს, თუმცა თითოეულს თანაბარი ოდენობით მიეშუქება. ესე იგი თავისუფლებას მართლაცდა რაღაც განსაკუთრებულ სხეულს თუ მივანიჭებთ, ვერასოდეს იქნება თანაბარი სხვადასხვა პიროვნებისთვის თუ სახელმწიფოსთვის და აქედან გამომდინარე, ის რაც განსხვავებულ შედეგს გვაძლევს, ვერაფრით მიიჩნევა კანონად, წესად?! ყოველივეს გათვალისწინებით სამშობლოს ბედნიერება ვერ გამოგვადგება თავისუფლების ხატად, თუნდაც შენს გარშემო თუ უკიდურეს წერტილამდე მდინარეებში რძე მიუშვა, მთები ხორბლის გორებად აქციო და ზღვები თაფლით გაავსო. თავისუფალი მაინც ვერ იქნები, ვინაიდან ეგერ საუკუნის თავზე მიქელ-გაბრიელი ჩაგსაფრებია, და რომც მიაღწიო ათასწლოვან სიცოცხლეს არა მარტო შენთვის, არამედ სრულიად საკაცობრიოს, ესეც უკმარია, რამეთუ არის უფრო დიდი გაცამტვერება, რაც დედამიწას ემუქრება ასეულათასწლის შემდგომ; თვით მზესაც — მილიონობით საუკუნის მერმე. რომელ თავისუფლებაზე მელაპარაკები ახლა, რომელ ბედნიერებაზე?! — შეყოვნდება წამიერად, როცა სავსე სირჩას წვალებას დავუწყებ ნერვიულად, თითქოს ჩემს პასუხს ელისო, თითქოს ჩემს შეხმიანებას უცდისო, რათა კვლავაც მეტი ცეცხლით დამნაცროს.

ვისარგებლებ ამ პაუზით და უკვე დაუფარავი სიჯიუტით შევუტევ:

— ეს ხომ ნიხილიზმია იროდი, ბატონო?! არახალია: არარაი არარაობად მიიქცევი; თუმცა ადამიანს, რომც გაცნობიერებული ხქონდეს საკუთარი სახვალიო თუ საზეგისო აღსასრული, მოყვასისადმი თავდადება გადააქცევს ღმერთის ტოლფასად, და იგი ამითაც ბედნიერია, თუნდაც ვერავინ გაიგოს მისი საყოველთაო თავგანწირვა. ადამიანურის ბუნების კანონებთან გაიგივება ტოლობას არ ექვემდებარება. შეუძლებელია მათი გაწონასწორება. მაშ, ტყუილად ბრძანებს პოეტი, ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო?

— სძლიაო ამბობს და არა მოსპოო. ,,სძლია'' განადგურებას როდი გულის- ხმობს, არამედ დაქვემდებარებას მიანიშნებს. ბუნებაში შეუძლებელია განსხვავებული ოდენობით არსებობდეს სიკეთე და ბოროტება. შეუძლებელია მეტნაკლებობით არსებობდეს სინათლე და სიბნელე; ასევე — დადებითი და უარყოფითი განწყობილება. ყველაფერი მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე ხკიდია: საითკენაც მეტი გადახრებია, ცხოვრებაც იმნაირი გვერგუნება. როგორ გგონია, ადამიანი გაექცევა ბუნებას თუნდაც იოტისოდენად? ისიც ბუნებაა, ბაბაგე, ოღონდაც უფრო ჭკვიანურად და მომჭირნეობით ნაშენები. ბუნებამ ამოტყორცნა შეგნების ამ სიმაღლეზე და ბუნებასვე უბრუნდება.

— მაგრამ არა კაცობრიობა.

— ართ ბზინგ დო აფხაშ რენა, ჰო, ერთი ჯურისანი არიან. კაცობრიობაც იგივე ბუნებაა, ბაბაგე. მხოლოდ უცვლელ კანონზე შეიძლება ითქვას: თავბოლოშეკრულიაო, ერთსა და იმავეს რომ ჩმახავს, არღვევს და ისევ აკოწიწებს. ამ საქმეში ღმერთის ხელი ვერ ჩაერეოდა, რომ არა ჩვენი უსუსურობა. ღმერთი მხოლოდ სიკეთის შემოქმედი ძალა თუ არის, მაშინ მის გარშემო მარტოკა უკვდავება, თავისუფლება და ბედნიერება ისადგურებდა და არა იმნაირად, როგორც თქვენს წიგნებში ითითხნება; არც მაინცდამაინც უბედურების სათავეა იგი, მონობისა და სიკვდილის, თუმცა ამ ორ ძალას თავ-ბოლოს თუ შეუკრავ, ყველა კითხვაზე მიიღებ პასუხს და ვინაიდან ამისთანა სიდიდის წარმოდგენა აღემატება კოღოსხელა ჩვენს გონებას, ვირთხასავით ვაცეცებთ თვალებს და სიხარულისგან ვკუნტრუშებთ. რაიმე თვალწინმდებარეს შუბლით თუ დავეჯახეთ, ,,ჩემიაო'' ვიძახით; ,,ჩემიაო'' ვიფხრიწებით, იმ მიწის ნაგლეჯზე, რომელიც შემადგენელი ნაწილაკია, ნაფლეთია უფრო ვრცელის. ,,არა, ჩემიაო'', გექიშპება სხვა ამ სიდიდეზე და საკუთარი უზრუნველობა რომ შეინარჩუნო, პირში ქვას ჩრი, ჩაქოლავ, როგორ და რანაირადაც მოგიხერხდება. ის, რაც საკუთარ მონაპოვრად მიგიჩნევია, ბაბაგე, არც შენია სინამდვილეში, არც — სხვისი, არამედ უფრო მორჭმული ბატონ-პატრონი ხყავს, და ისიც საკითხავია, როდემდეა ამ სიმდიდრის მესაკუთრე. შედარებით მოკრძალებულნი ვყოფილიყავით, ვიტყოდით: დროებით სარგებლობაში მოგვცემია ყველაფერიო.

ერთი რეალობაც უნდა გავაცხადო, ვახტანგ, ძვირფასო, ზემოთ აღმინიშნავს, რომ იროდი სართანიას თანამეცხედრე მეგრულად მუსაიფობს, რუსისთვის დამახასიათებელი აქცენტით-მეთქი. სატანჯოელი ტყაჩუ კი მიერეკება და მიერეკება ძირძველი მეგრულით. მე მასთან, მრავალ სადღეღამისო საუბრისას, აქამდეც, წლების მიღმაც, ორი ღერი სალიტერატურო ქართული ვერაფრით მომიხელთებია, მით უმეტეს ამწუთას, როდესაც მჭევრმეტყველური განწყობილებითაა დამუხტული. იროდი სართანიას ნამეტყველები ვალიკო მესხიასთან ორკვირიანი ურთიერთობის შემდგომ ამომტივტივებია, წვალება-წვალებით მოვაქართულებ და ნახევრად ველური ხალხის რაფინირებული მსჯელობანი ხელოვნური თუ მოგეჩვენებათ, ყოველივე შენი შენი მორდილის, შენი

ნათლული გიორგის, ნათარგმანებია. ასე რომ, ამიერიდან მაინც ნუ გაიკვირვებ

ურყევი, ვითარცა ძელქვა

ანუ
QVO VADIS, GEORGIA —
ვიდრე ხვალ, საქართველოვ?!

ჩემი შემოქმედებითი მივლინებანი
სამშობლოში გოგლაობით იწყება

ოცი წლის შემდეგ ვუბრუნდები ჩემი სულიერი მამის — ილია ჭავჭავაძის ყვარლის მთებს, ორაგულის გასულსწრაფებით ვუბრუნდები აუმღვრეველ კახეთს — ქართველი კაცის ქცევის ბარომეტრს შინ თუ გარეთ, ჭირსა თუ ლხინში და მაინც ჩემი შემოქმედებითი მივლინება სამშობლოში გოგლაობით იწყება: გაგაძეების სამასი წლის აკვნიდან, მირზაანში ფიროსმანის ფერების ოაზისიდან, ხორნაბუჯის ცათამბჯენი ციტადელიდან, ელიას პეშვისტოლა ტბიდან, შირაქის ზამთრის საძოვრების ვრცეულობიდან, სადაც კავკასიური ნაგაზებით გარემოცული ორლულიანით გამოვენთები ხოლმე ლილისფერ კურდღლებს;

მე იქ, გოგოს შემაძლევენ — უბატონო ქიზიყის დედოფალს;

მე იქ, ლაგოდეხის ნაკრძალში, თუშური ქუდით მისვამს ნამუსიანი რქაწითელი;

მე იქ, ,,ზავოტობაზე'' ძმადნაფიცი თემურ ჩალაბაშვილი მიხსენებია და სრული კვირა დავუტყვევებივართ ჯაგარ კახელებს;

მე იქ, ბატონი ლადო მრელაშვილის იყალთოელი ბიჭები შემომფეთებიან ღობე-ყორეში მომავლის იმედად;

მე იქ, დიდი ნიკო ყოჩიაშვილის ალაზნის ველის სიხასხასეს მოვუნუსხივარ და კამბეჩოვანის მოთენთილობა გადამდებია;

მე იქ, სულიკო პავლიაშვილის კაკაბეთში მთისხელა ქვევრების ბუყბუყისათვის მიმიყურადებია დიდედა ანას თითისტარის მოუსვენრობის ფონზე;

და მაინც, ნამდვილ საქართველოსკენ ჩემი შემობრუნება, ბავშვივით მიხარია, გოგლაობით რომ იწყება.

ადრეც მიფიქრია გიორგი ლეონიძის ფენომენზე. მისი ფერწერული სულის მდუღარებას განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩენს თენგიზ აბულაძის ,,ნატვრის ხე''.

დიახ, ფერწერული, სკულპტურასავით ნაძერწია გიორგი ლეონიძის პოეტური ხედვა, ბალადათა მიმართება ლექსის მშენებლობისას და მაინც ,,ყივჩაღის პაემანი'' განსხვავებულია, ღვთაებრივ რემინისცენციათა ბაჯაღლო პირმშო. ჭეშმარიტი ხელოვანის სიტყვაკაზმულ თხზულებას ოდეს ასევე მაღალი რანგის კინემატოგრაფის ხელი შეეხება, მყისვე გაყოველთავდება ხოლმე აქამდისაც გენიალური ქმნილება.

ასე იყო აკუტაგავასა და კუროსავას თანამშრომლობა ,,უსიერ ტყეშითა'' და ,,რასომინით''; ასეთი გახლდათ ჭაბუა ამირეჯიბისა და გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ტანდემურობა ,,დათა თუთაშხიათი''; ასეთნაირადვე დაანათესავებს გიორგი ლეონიძისა და თენგიზ აბულაძის ,,ნატვრის ხეს'' მათი კინემატოგრაფული ლაბორატორია.

მე, აი, ახლახან, გუშინ თუ გუშინწინ, დავძმობილებივარ მხცოვან სტილისტს, აწ ნეტარხსენებულ დიმიტრი გულისაშვილს, რომელსაც თავის დროზე ,,ნატვრის ხესათვის'' ურედაქტორებია. სიტყვათმშენებლობის მეტრს მრავალი იდუმალება გაუზიარებია ჩემთვის ვერბალურ ცდომილებათა ასალაგმავად და მაინც მეასედ, მეათასედ, ,,ყივჩაღის პაემანს'' ვუკირკიტებ, ყივჩაღის ათასწლოვან აღსარებას, ყივჩაღის სულის შემაძრწუნებელ მედიტაციას:

ყორღანებიდან გნოლი აფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ სყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩები ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.

ხოხობას გნახე მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაბტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიანს შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები.

მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

ეს ლექსი 1928 წლით თარიღდება.

ამ დროისათვის უკვე არსებობს ყივჩაღის თემატიკაზე „მუხრანული“, ოდეს ცოლ-ქმარს გადამთიელი აეტორღიალება — დავით მეფისგან წვეული დამხმარე ძალა:

წყალს მოითხოვს და დაამწყურვალებენ,

პურს მოითხოვს და დააპურებენ;

ღვინოს მოითხოვს და ასმევენ;

ქალს მოითხოვს და აქ გაუბედითდება სურვილების ქორო თავხედს.

ან კი ცოლს როგორ დაუთმობდა ვაჟკაცი თავნება მოძალადეს?

ხალხური ლექსით ქართველი ფალავანი ფლეგმა გამოდის, ურემი შეშით ძლივს რომ გათარანდება. სანამ ყივჩაღი გიშრის თმაში არ წვდება მის დედაკაცს და ტუჩებს არ დაუკოცნის, თანამეცხედრეს გული აღარ აუხანძრდება;

ხოდა, რაჟამს დიაცი შესძახებს: ვაი, ცოლს ცუდის ქმრისასაო, აღენთება მამრი, გასჭრის კაცსა და ცხენს □და არა პირიქით, როგორც ეს დედანშია, ხმლის წვერს ქვიშას უწვდენს; აქეთ ქართველი მხედარი კვდება, იქით — მოხდომილი ყივჩაღი, ქალი კი წავა სხვისას □და არა ძმისას, როგორც ამას

ქართველი ქალის რეპუტაციის შესანარჩუნებლად ვაშალაშინებთ ხოლმე ზოგ რედაქციაში). დიახ, წავა სხვისას, ვინაიდან დახარბებული ყივჩაღიცა და მეპატრონე ქმარიც, ორნივ უღირსია მისი გოროზი კდემამოსილებისა.

დიდი გიორგი ლეონიძის ეპიკურ სულს ვეღარაფრით შეეხებოდა აკუტაგავას ჩინებული ნოველა ,,უსიერ ტყეში'', მით უფრო — კუროსავას ,,რასომინი'', რომელიც ლამის რევოლუციურია ანალიტიკური ფსიქოლოგიის თუ ობიექტური რეალიზმის უგულებელყოფის თვალსაზრისით.

ეს თემა არსებულთან შედარებით მეტ სივრცეს მოითხოვს და აქ ოდენ ვიტყვი იმას, რომ ,,მუხრანულითა'' და ,,ყივჩაღის პაემანით'' დანახულია მოვლენის მრავალპრიზმული გადმოცემის პერსპექტივა.

ნოველა ,,უსიერ ტყეში'' ჩვენი შემთხვევის იდენტურია.

ულრანში სამურაის □მეფის ჯარისკაცი) ცოლი მიხყავს ცხენზე ამხედრებული, რომელიც კოლიზიის თვისებისამებრ ყაჩაღს შეეფეთება.

დიახაც, ქალის ნიადაგზე გაიმართება ხელჩართული ბრძოლა და გაკოჭილი სამურაის თვალწინ ყაჩაღი ნამუსს ახდის ავაზასავით მოხელთებულ დედაკაცს. მაგრამ დატრიალებული სცენის მთავარი მუხტი სხვა გახლავთ, ვინაიდან არაორდინალურია გარდახდილი ამბის მოწოდების წახნაგები სასამართლოზე: ყაჩაღი, დედაკაცი, სიტუაციას შესწრებული გლეხი თუ თავად სამურაის სული, ლამის ურთიერთგამომრიცხავად გადმოსცემენ გარდასულ, ერთ კონკრეტულ სინამდვილეს.

საქმე ის არის, რომ ამ მიკროტრაგედიის თითოეული პერსონაჟი თავის სასარგებლოდ ასურათხატებს ვითარებას, როგორც ეს ბიბლიის კარიბჭიდან გვეუწყება: რა დროს ხეცნობადის ნაყოფნაჭამ ადამიანს უფალი გამოეცხადება, ეს უკანასკნელი ქალს გადააბრალებს ცდუნებას, ხოლო თავად ევა — დამარცხებულ სათანაელს, ეშმაკეულ ძალას.

დასტურ, თითოეული სუბიექტურად, მიკერძოებით აპროექტებს სინამდვილეში ობიექტურად მომხდარ ამბავს.

ქალის თქმით, როდესაც გაკოჭილ ქმრის თვალწინ ნამუსახდილია იგი, მამაკაცებს შესთავაზებს ორთაბრძოლაში გაარკვიონ უპირატესობა: ვინც გამარჯვებული დარჩება, შეურაცხყოფილი ქალიც იმას გახყვება ცოლად და თავდაჯერებული მტკიცებით, დიახაც, ყაჩაღს შემოკვდომია მოძალადისაგან ვერდამცავი მეუღლე;

ყაჩაღის მონათხრობით სამურაის მკვლელი ბუნებაში არ იძებნება, რადგანაც დიაცი წუთიერად გამარჯვებულ მოძალადეს ამჯობინებს საუკუნო თანამეცხედრეს. ყაჩაღი წიხლისკვრით მიაგდებს ქალს ბამბუკის კოჭებთან, ბორკილს შეუხსნის მეტოქეს და თავისუფლებას მიანიჭებს;

ხოლო სამურაის მონაყოლით , დედაკაცის მოღალატური საქციელის შემხედვარეს, თვითონვე მოუსწრაფებია სიცოცხლე;

არის მეოთხე მთხრობელი, უსიერში გატრუნული გლეხი, ვითომცდა ობიექტური სინამდვილის დამადასტურებელი განზომილება, თუმცაღა მას სამურაის ცოლის დანა აღმოაჩნდება კუროსავას ,,რასომინის'' მიხედვით და აქაც განქარდება სიწრფელის მომენტი.

როგორც ჩანს, პოეტური სიდიადის წყალობით თუ იგივე უფლის ძალისხმევით, დამოუკიდებლად მისულან ლეონიძე და აკუტაგავა ლამის თანაზომიერ მსოფლგანცდამდე, რომ შეუძლებელია ზედმიწევნით მართალი იყოს მოვლენის მხოლოდ ერთი მხარე და მეორეს იოტისოდენადაც არ მოეპოვებოდეს ზეციურთან პირის გასამართლებელი მოტივაციები.

ქართველი მხედარი გულგრილია თავისი ქალბატონის მშვენიერებისადმი, ვინაიდან მეპატრონეა, მფლობელი, საგანძურის სრული ხელმწიფე, ამიტომაც ჭირს მისი აფეთქება, ამძვინვარება, როცა ყივჩაღი დანატრებულია ამ წყაროს, მშიერი და მწყურვალია ბადაგივით ნეტარი მდედრის სიშორე-მიუწვდომლობით.

მოვლენის განსხვავებული რაკურსით წარმოჩენა, ვგონებ, დიდი გოგლას შემოქმედებიდან საფუძვლიანდება არა მხოლოდ ქართულ პოეზიაში. დასასრულს, კვლავაც ავმჩატდები ყმაწვილური გახელებით, კვლავაც ოცი წლის წინანდელი სიფიცხით მივეახლები სულიერი მამის — დიდი ილიას საუფლოს — ჩემს აუმღვრეველ კახეთს, ჩვენი ურყევობისა და ძელქვასავით უდრეკლობის გარანტს დროსა და სივრცეში; და მაინც, ჩემი შემოქმედებითი მივლინება სამშობლოში გოგლაობით იწყება.

მაჟორიტარული
საქართველოს აპოლოგია (1)

ოთხმოციანი წლების მიწურელიდანვე თუკი რაიმემ დაღუპა ჩვენი ქვეყანა, — კომპარტიის

ერთხმიანობის დასაქცევად მრავალპარტიულობის, პლურალიზმის, იგივე მრავალხმიანობის აგორება გახლდათ, როგორც ერთპიროვნული მმართველობის წესის გადაგდების, დამხობის, გაცამტვერების ღონე-სახსარი, საშუალება. და კიდეც წარმატებულად განხორციელდა საბჭოეთის დაშლა კაპიტალისტური ძალისხმევითა და მეხუთე კოლონის შიდაარსობრივი კაოალიციით, თუმცა შემდგომ და შემდგომ ლამის ათი წელიწადი პოსტსაბჭოური სივრცე ამ ხავერდოვან გადატრიალებაში მომქმედი იარაღის გადაგდებას რომ არ აპირებს — მართლაც სიბეცე, გონდახშულობა მგონია.

მრავალპარტიულობის, დაქსაქსვის, დასინდიფების თეორიამ გაიმარჯვა ჩვენს სინამდვილეში ფრიად შთამბეჭდავი შედეგებით, მაგრამ გაუგებარია, ამიერიდან, ცხოვრების სრულიად ახალი და უცნობი სივრცის გამოჩენის მხარდამხარ, რატომ, რისთვის არ მოვიმარჯვებთ ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური გარემოსათვის შესაფერის პოლიტიკურ მიმართულებას?

განა შესაძლებელია მონოპარტიული წეს-წყობილების დასამხობად ამორჩეული მრავალპარტიულობის მეთოდი ცხოვრების აღმშენებლობის ინსტრუმენტადაც გამოგვადგეს, როგორც ეს ამ ხავერდოვან გადატრიალებაში „წაგვშველებია?!"

ეს იგივეა, რაც საფლობიდან ოჩოფეხებით გამოღწეულმა, გვერდი აუარო ყურესთან მიბმულ ნავებს, ორჩხომელურებს და ოლეჭკანდრეთ, თვინიერად მომლოდინე ბორანს. თუნდაც, დაშვებული ორთაყვირებით და იგივე ობოხუებით — ოჩოფეხებით განაგრძო მსვლელობა პელაგონ მდინარეობაში.

მრავალპარტიულობის ფილოსოფია, მისი არსი, კომუნისტური იდეოლოგიის დამსხვრევის, მოშლის, იარვაქმნის — მეთოდი-ტაქტიკა-ხერხი გახლდათ პოლიტიკური სარბიელის მოსაპოვებლად და არავითარ შემთხვევაში შემდგომი მოქმედების სტრატეგია, მშვიდობიანი ცხოვრების, თანაარსებობის ნიშანი.

ამიტომაც გადაჭრით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენ ათი წელიწადია არამართლზომიერი ინერციით მივუყვებით იმ ბრძოლებისათვის დამახასიათებელი საჭირო ინსტრუმენტების ჟღარუნს, არ შეგვიცვლია ჩვენი ვითარებისათვის სათანადო და აუცილებელი იარაღის არსენალი, კვლავაც ცთომილი, თავის დროზე საჭირო, მაგრამ აწ სრულიად გამოუსადეგარი, სრულიად უპერსპექტივო პოლიტიკური აბჯარით ვაპირებთ საკუთარი თავის გადახტომას.

ამისთანა ვითარებაში გამორიცხულია რაიმე სალტო-მორტალე, რაიმე ჯადოქრული ღონისძიების გატარება, ვინაიდან სიტუაცია სრულიად რეალურია და მისთვის დამახასიათებელი პრობლემებიც ამ ვითარებისათვის ნიშანდობლივი მეთოდებით უნდა გადაიჭრას.

დასრულებულია კომუნისტური იდეოლოგიის დამხობის ხანა მრავალპარტიული, გათიშულობის, დანაწევრების, გათითოკაცების მეშვეობით.

ამიერიდან ძმათამკვლელი ომები, შიდაშლილობის, ბელიუმების, ურთიერთდაპირისპირების სინდრომის სალიკვიდაციოდ საჭიროა გლობალური სინთეზის პროცესის დაწყება ანუ რამდენიმე ასეული პოლიტპარტიის, პოლიტპლატფორმისა და პოლიტმოძრაობის დაყვანა ორ-სამ გამსხვილებულ, მართლზომიერ ერთეულამდე.

სხვანაირად კომედიის სიტუაციაში ვართ: დემოკრატიული საზოგადოების ზედმიწევნით აშენებას ვაპირებთ ანტიდემოკრატიული მეთოდებით — პოლიტიკური დიალოგის მაგივრად შაითანის ბაზარის მდგომარეობაა, როცა დედას ბავშვი ხელში ვერ აუყვანია, მაგრამ ადრე თუ გვიან, ყველაფერს აქვს დასასრული და ამ ბაქანალიიდან გამოსულის პირველ ნაბიჯად ისევ და ისევ ქვეყნის პრეზიდენტისაგან მოქალაქეთა კავშირის დატოვება წარმომესახება.

***

პარლამენტის მუშაობას ლამის ათი წელიწადია თვალს მივადევნებ სხდომათა დარბაზის ქანდარიდან.

ამ საჭვრეტელიდან გაცილებით გამჭვირვალედ ხელისგულზე ამოზრდილა ჩემს წინაშე ქართული პოლიტიკის მელოდრამა თუ ტრაგიკომედია.

ფეშენებელურ დარბაზში ძალთა შესაბამისად განაწილებულია სივრცე პოლიტიკური ომახისანობისათვის თუ სულაც პიროვნული ამბიციურობის მოსახვეჭად.

უკეთეს სპექტაკლს ვერც იხილავს ძეხორციელის მზერა.

მიდის გაქანებული ჯგუფ-ჯგუფური საუბრები, გადალაპარაკებანი, რეპლიკები, პირადული შუღლის თუ პარტიული ვნებათაღელვის დემონსტრირება მთელი სიგრძე-სიგანით, როცა სამაჩაბლო და აფხაზეთი წართმეულია, კორუფციამ მოსრა სრულიად საქართველო, დაუცველია ჩვენი საზღვრები და კონტრაბანდულმა საქონელმა ლამის სული ამოხადოს ჩვენს ეროვნულ მეწარმეობას.

ქვეყნის პრეზიდენტის ,,მოქალაქეთა კავშირიდან'' გამოსვლა ამ პროცესის დამუხრუჭების უმთავრეს წინაპრებად წარმომესახება. დარწმუნებული ვარ, როგორც ჩემი ერთი კოლეგა წერდა: პრეზიდენტი, დირიჟორის მსგავსად, დადგება პულტთან და პირველივე მოძრაობით ხარმონიაში მოიყვანს წესით, ჭრელზე ჭრელი ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ორკესტრის რეპეტიციას.

აქ მოსალოდნელია ძალთა არსებითი გადაჯგუფება.

თხუთმეტი საფირი შესაძლოა ერთამდე დავიდეს და თანაც სპექტაკლის შუაწელში ამოაღებინონ ხმა.

აქ გამორიცხული არ არის დაფდაფების ბაგა-ბუგი წარმოდგენის დასკვნითი ნაწილისათვის გადაინახონ და მეტი გასაქანი მიეცეთ ვიოლინოებს, ჩელოებს თუ ტრომბონებს ხობოების თანხლებით.

აქ სავარაუდებელია მაჟორული ბგერების გაძლიერება აქამდე გაბატონებული ნიხილისტური მინორისა და უნუგეშობის სინდრომის დასაძლევად.

დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტს ზედმიწევნით გაუცნობიერებია დირიჟორის უფლებამოვალეობა ქართული პოლიტიკის ორკესტრის გასაწონასწორებლად.

უხვპარტიულობამ კატასტროფამდე რომ მიიყვანა ჩვენი სამშობლო ამ მიმართების დროზე შეუჩერებლობის გამო, აშკარაზე აშკარაა.

ქვეყნის ინტერესები გრანდიოზული მასშტაბით შეიწირა აღმშენებლობითი სულისკვეთებისათვის გამოუსადეგარმა, ე.წ. პოლიტიკურმა მრავალხმიანობამ, რომელსაც წამითაც არ ახლავს რაიმე ხარმონიის თუ პოლიფონიის ნატამალი;

ყაყანია გარშემო, გნიასი, ბაბანი და ქანდარიდან მოყურიადე მწერლის თვალი თუ ამჩნევდა ყოველივეს წლების მანძილზე, ბუნებრივია, თავად ამ ორკესტრის შემოქმედი უკეთ ხედავს მის მონოლოთურ სხეულად დარეგულირების გზებს და ხერხებს.

აღარ გამოვედევნები იმ რეალობასაც, თუ რას ნიშნავს დღეს ჩვენთვის პოლიტიკური თავისუფლება, ანუ ყოველ დიპლომიანს თუ სერთიფიკატის მქონეს რომ გაეხსნა გზა პარტიის ჩამოსაყალიბებლად, პოლიტიკური ასპარეზისათვის შეუფერხებელი სივრცის შესაქმნელად, უწინარესად, მერკანტილური მიზნების განხორციელებისათვის და არავითარ შემთხვევაში საქართველოს ხვალინდელი ნათელი დღის სასარგებლოდ.

ამიტომაც პრეზიდენტის ,,მოქალაქეთა კავშირიდან'' განდგომის ფაქტს ვერანაირად დაეტოლება იუსტიციის მინისტრის ოთხშაბათისეული იგივე ნაბიჯ ვაკეში გასაჩაღებელი მაჟორიტარული არჩევნების წკიპზე. სააკაშვილი საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს თუ დააყენებდა, მაშინ წესით, მთავრობის ამ შაბათის სხდომას უნდა დალოდებოდა და იქ გამოეხატა თავისი პლატფორმა მაჟორიტარული პორტფელის საზიანოდ, ანუ ნულიდან დაეწყო ათვლის წერტილი პოლიტიკურ სარბიელზე, თუმცა იუსტიციის მინისტრს არ ეყო პოლიტიკური ნება ასე მოქცეულიყო.

***

წერილს შემთხვევით არ ვუწოდე სათაურად ,, მაჟორიტარული საქართველოს აპოლიგია''.

პრეზიდენტმა დატოვა ,,მოქალაქეთა კავშირი'', ზურგი შეაქცია უმრავლესობის მონომმართველობას, რომლის მსგავსმა პრაქტიკამ სამოცდაათი წლის მანძილზე სისხლი გამოსწოვა ჩვენს სამშობლოს საბჭოეთის სივრცედ წოდებულ ასობით ხალხთან ერთად.

არჩევნების პერიოდში საქართველოში პოლიტიკური ციებ-ცხელება არახალია. მაგრამ ისიც ნათელია, რომ ძლიერი პარტია აკრძალული ხერხებით იოლად გადალახავს ხოლმე წინმომლოდინე ბარიერებს.

ნებისმიერ პარტიას დღეს თითო-ოროლას გარდა, ძნელად თუ მოეძებნება საპარლამენტო რეიტინგის ლიდერი.

გნებავთ ,,მოქალაქეთა კავშირს'', ,,აღორძინებას'', ,,მრეწველთა კავშირს'', ,,ეროვნულ-დემოკრატებს'' და ასე შემდეგ, პირველიდან ორასამდე.

შვიდპროცენტიანი ბარიერიც ამისი თვალსაჩინო ლაკმუსი გახლდათ.

გადალახა ზღუდე თითო-ოროლამ და პოლიტიკური ენერგიით დატუმბულ ლოკომოტივებს ავტომატურად მიხყვა მთელი შემადგენლობა ცარიელი ვაგონების ჯარჯარით.

პოლიტიკური, პარტიული მიდგომები ქართველი ხალხის უკიდურესობამდე ავსებული მოთმინების ფიალას გასაწონასწორებლად სრულიად უსაგნური გამოდგა, ვინიადან ამ პოლიტიკურ ერთობას არ გააჩნია კონკრეტული მრევლი; ისინი აბსტრაქტულად უმზერენ კონკრეტულ პრობლემებს; კაბინეტში, ფიჭური ტელეფონებით და სადერეფნო საუბრებით იგვარებენ საკუთარ საარსებო სივრცეებს ხალხის ინტერესების იგნორირების ხარჯზე. ეგრე რომ არა ათეულ მილიონობით ინვესტიცი-

ით ხელგამართულ საქართველოს არ უნდა დატყობოდა სიკეთის ნიშატი? რაღაც იმედისმომცემად მაინც როგორ არ უნდა შემსუბუქებოდა მშრომელ კაცს, პენსიონერს, შიმშილის ზღვრამდე მისულ მოსახლეობას? თუმცა აქ პასუხი ცალსახაა. ეს კრედიტები, ეს ინვესტიციები, რამდენიმე ასეული პოლიტიკანის ჭამაში მოსულ მადას შეეწირა და აწი გვიანია მკერდში მუშტების ბაგუნი. მუქთად ნაშოვნი თანხები გადასროლილია უცხოეთის ბანკებში, ან სრა-სახლებია აშენებული მისით წყნეთის თუ პრესტიჟული კურორტების მისადგომებთან. მეტიც, უკვე იწყება ხალხის ცხოვრების ასაღორძინებლად შემოსული სახსრების პროცენტების პწკენები ქვეყნის ბიუჯეტის მისამართით, რომელიც ხვალ-ზეგ ჯგვლემასა და წიხლისკვრაში გადაიზრდება უეჭველად.

ამისთანა ვითარებაში სრულიად კანონზომიერია პრეზიდენტის განდგომა მმართველ ძალად გადაქცეულ „მოქალაქეთა კავშირიდან", და, საერთოდ, დღეს პარლამენტში არსებულ პოლიტპარტიათა კოკობზიკობისადმი პრეზიდენტის წინაშე, ვინაიდან გვითქვამს და ვიმეორებთ: პარტიული სიით გასულ დეპუტატებს არ გააჩნიათ მოქმედების ზუსტი მისამართი, არ მოეპოვებათ სოციალური სივრცე თავიანთ ენერგიის და ნების გამოსახატავად; ისინი აბსტრაქტულად, პარტიული მსოფლმხედველობით, ზოგადის, ერთმთლიანის პოზიციიდან აფასებენ სრულიად კონკრეტულ და სადღეისო პრობლემებს. ამიტომაც გული მიგრძნობს და მეიმედება, რომ ქვეყნის პრეზიდენტის წამოსვლა „მოქ- კავშირის" თავმჯდომარეობიდან უნდა მოასწავებდეს ტაქტიკის შეცვლას ქვეყნის შიდაარსობრივი წარმართვის თვალსაზრისით, სადაც მამოძრავებელი მუხტი პრაქტიციზმია, პრაგმატიზმი, ყოველდღიური თანამშრომლობა არსებულ სინამდვილესთან. ამისთანა ძალა კი ჩვენში მაჟორიტარული საქართველოა.

***

ბელეტრისტული მატიანე „სუფევის" ოცწლიანი შეკოწიწების გზაზე საქართველოში არათუ რეგიონი, ორღობე, კუთხე-კუჭულიც კი არ დამჩენია თვალშეუვლები, სასაუბროდ მოხელთება თუ ვერა.

კახეთს რომ გვალვა ახრიოკებდა, ქართლს კონტრაბანდის ეშელონები მუსრავდა, იმერეთს ბლოკირების მარწუხები თანგავდა, გურიას უგზოობის ყულფი უჭერდა ყელში და სამეგრელოს — ნიველიერების მოურჩენელი ბაცილა, მე ცოტა დამინახავს იქ პარტიულ სავარძლებში განებივრებული კუთხის შვილი; თუკი თვალი შემისწრია ზოგიერთისთვის, რაღაც ეფემერული ღონისძიების მონაწილესათვის, რომელიც დილით ჩამოსტუმრდება და საღამოსთვის უკვე გუდა-ნაბადს აიკრავს: იხილავდნენ ადგილებზე არსებულ პრობლემებს, დასახავდნენ მისი განეიტრალების, გადაჭრის მეთოდებს და გვარიანად დაპურებულნი გაუტევდნენ გზას დედაქალაქისაკენ. ეს სურათი, ეს სინამდვილე მეტნაკლებად დამახასიათებელი გახლდათ ნებისმიერი მხარისათვის.

ისევ და ისევ მაჟორიტარი შერჩენოდა ყოველდღიურ ჭირ-ვარამს თავისი ხალხისას; მეტად თუ ნაკლებად ახერხებდა იმ უმცირესის გაღებას, რაც მის შესაძლებლობებს ექვემდებარებოდა.

ამ ათწლიანი მოძრაობის პერიოდში უამრავი დეპუტატი მიხილავს, თორნიკე ფიფიადან დაწყებული ლევან თედიაშვილით დამთავრებული, რომლებიც ქმნიდნენ მომავლის, იმედის განწყობილებას, მაგრამ საკითხში რამდენადმე ჩახედული თავს უფლებამოსილად მივიჩნევ, ორი მაჟორიტარი განსაკუთრებით გამოვყო: პირველი შედარებით ზერელედ, ვინაიდან სხვათაგან გადმოცემულის, მონაყოლის, განაგონის საკუთარი თვალით მოხილვა და მოაზრება ვეღარ მომისწრია სათანადოდ, ხვალინდელ-ზეგინდელი შეხვედრების საქმეა: საუბარი ეხება სენაკის მაჟორიტარს, დემურ გადელიას.

სენაკში ჯავშანტრანსპორტიორებისთვისაც გაუვალი გზების მოკეთილშობილება ასფალტის მისეულ ქარხანას და ძალისხმევას უკავშირდება. მის სახელთანაა გაიგივებული წლობით მივიწყებული მდინარეების ჩამოკბეჩილი კალაპოტების ნაპირგამაგრებითი სამუშაოების მიმდინარეობა და კიდევ უამრავზე უამრავი, რომელიც გადამოწმებას მოითხოვს მწერლისაგან, როგორც სანიმუშო მაგალითისა.

მაგრამ სოლომონ პავლიაშვილის ცხოვრების წესი ჯერ კიდევ ჩემი ძუძუმტეს სტუდენტობის პერიოდიდან ვიცი.

ჩემი საძმო ეკონომისტების ამქარშია ჩართული.

39 წლის ასაკში დოქტორის ხარისხს მოიპოვებს.

ხუთზე მეტ მონოგრაფიას გამოსცემს უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. მათ შორის, ერთ-ერთი ჩემს ბიბლიოთეკასაც შეემატება — „წარმოების ეფექტიანობის მართვის კომპლექსური სისტემა საქართველოს მრეწველობაში", რომლის რედაქტორი და რეცენზენტები ჩემი პერანგის ხალხია — რე-

ვაზ გოგოხია, დავით ძნელაძე, გიორგი მალაშხია.

მწერალთა კავშირიდან კახეთში, რომელსაც ფიგურალურად ძელქვასავით ურყევს შევარქმევ, მრავალჯერ უმეგზურია სულიკოს ჩემთვის, მაგრამ ამასწინათ საგარეჯოს მრევლის მონახულება, მათ სატკივრებთან მისვლა და დღეების მანძილზე ნამუსიანი ურთიერთობა ამ აუმღვრეველ ხალხთან, ერთ ჭეშმარიტებაში საბოლოოდ დამარწმუნებს — ქვეყნის პრეზიდენტი „მოქკავშირიდან" შემთხვევით არ წამოსულა. მინდა ვირწმუნო, ერთხელ და სამუდამოდ მოგვჭამს ჭირს პრობლემებისადმი ვიწრო პარტიული მიდგომები; ფართოდ გაეხსნება გზა მაჟორიტარულ საქართველოს, ანუ იმ ადამიანების დაწინაურების პრაქტიკას, რომელთათვისაც უმთავრესი კრედო საზოგადოების ყოველდღიური ჭირ-ვარამის გათავისებაა.

როგორც წესი, კვირაში სამი დღე მაინც თავის ამომრჩეველთან ტრიალებს სულიკო — სოლომონ პავლიაშვილი.

კაკაბელი კაცია, დანგრეული გზები საკუთარი სახსრებით გაულარავს მშობლიურ სოფელში. პაპისეული სახლი ასაშენებელი არა აქვს. საამისოდ უცხოური ინვესტიციების ქისაში ხელს არ ჩახყოფს, რათა ეგოისტური „მოხერხებულობით" ააწაპნოს ხალხის საკეთილდღეოდ მოპოვებულ თანხებს და წელში გაიმართოს უკაცური ხერხებით.

ყველაფრისთვის უზრუნვიათ მის მშობლებს. თონესთვისაც, საარყე ქვაბისთვისაც, აბაზანისთვისაც და სავენახე თუ სასიმინდე ფართობებისთვისაც.

ტაროსიანი ამინდი თუ იხანგრძლივებს საგარეჯოში ერთი სეზონი, სამი წლის მოსავალი შეუძლია მოიჭირნახულოს და, ბუნებრივია, ამისთანა პიროვნებას, საზოგადო ინტერესებისათვის მოძიებული სახსრებისაკენ მზერა არაფრისდიდებით გაექცევა.

იმ დღეს კახეთს სტუმრები წვევია ბურგუნდიის რეგიონიდან, იუნის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს თანამშრომლები, კრისტიან ლევინსკი, როდინ გრიგაი და სხვები. ისინი მთელს კახეთში ხალხის წაიღში მფეთქავ შემოქმედებას ეძებენ გაფაციცებით, რათა რვავე რაიონიდან რჩეულები დააწინაურონ და 40 კაციანი ჯგუფი საფრანგეთში ჩაიყვანონ აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის თუ სხვა პრაქტიკული მიზანსწრაფულობით.

მთელს საგარეჯოს შემოვივლი რამდენიმე დღეს.

მოვინახულებ თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწესრიგებულ სკოლებს პატარძეულში, საგარეჯოში, კაკაბეთსა თუ ჩაილურში. მათი რემონტი „სითის" პროგრამით განხორციელებულა. სახსრები მოპოვებულია თითქოს, მაგრამ ამ ღონისძიებას 20 პროცენტით თუ ვერ დააფინანსებ ადგილობრივი ბიუჯეტიდან, წყალში ჩაყრილია ყოველივე და რადგანაც გამგეობის უნარიანი ხელმძღვანელების — ოქროთვარაძის, იმედაშვილის თუ სხთათა შემწეობით წელში გამართულან, საქმეც ბოლომდე მოგვარებულა.

ვნახავთ გომბორში, გიორგიწმინდასა და გამარჯვებაში გადებულ შვიდკილომეტრიან წყალსადენს 300 ათასი ლარის ღირებულებისას.

ვესტუმრებით არქეოლოგიურ გათხრებს კიაზო ფიცხელაურის თაოსნობითა და „ტროას" პროგრამის სახელწოდებით.

შევივლით იორმუღანლოში, სადაც ადრე თურმე ქართველები ცხვირის შეყოფას ვერ ბედავდნენ.

თათრული სოფელია იორმუღანლო, ოციათასი მაცხოვრებლით, მათთვის ჩვეული ტრადიციებითა და ადათ-წესებით. მაგრამ როგორც სულიკოს სათაყვანებელი იაკობა ძია დაგვაკვალიანებს, ბოლომდე გამტანები არიან ისინი. ყონაღებად ვარგისი ხალხიაო, ამას მოგვადევნებს ზურგში.

თათარიც დედის შვილიაო, უთქვამს ქართველს და შეპირებულია სულიკო ამ თემს 6 კილომეტრის დანგრეული გზის მოწესრიგებას, სადაც ბაზრობები იმართება თურმე ყოველ პარასკევსა და კვირას.

***

— ბატონო, სოლომონ, სულიკო ძმაო, სულიჯან, გვარიანი ხნის წინათ დათქმულ ჩვენს მუსაიფს მრავალი შემაფერხებელი ბარიერი აესვეტება გზადაგზა.

მოვიშველიებ საქართველოს მწერალთა ყრილობისათვის გამზადებული სიტყვის ფრაგმენტს:

„მეგობრებო, სადაც არის ვრცელტანიან წიგნს გავასრულებ ჩვენი მრავალათასწლოვანი ქვეყნის ბედ-იღბალზე სათაურით „სუფევა" — (საქარ- თველოს უკვდავების ფორმულა). ეს ბოლო პერიოდი უბატონო კახეთში ვიმყოფები შემოქმედებითი მივლინებით, ძელქვასავით ურყევი კუთხის მაჯისცემას დახარბებით მიყურადებული. კიდევ რამდენიმე თვეც და ყველა მასალა, ყველა არგუმენტი

ხელთ მექნება ჩემს ხალხთან გულახდილი დიალოგისათვის და თავისი ძვირად ღირებული დროის თუნდაც მცირე მონაკვეთს მაინც თუ გამოიმეტებს სამშობლოს ღობე-ყორეს მოდებულ მწერალთან სასაუბროდ, იქნებ ის დალოგი მრავლად წაადგეს, როგორც აფორიაქებულ დღევანდელობას ჩვენსას, ისე — დაწდევებულ მომავალსაც''-მეთქი. („ლს'' 10-16 ნოემბერი, 2000 წ).

ამ გმირთაგმირი კუთხიდან რამდენიმე თანამედროვე პიროვნება მიიპყრობს ჩემს ყურადღებას:

დიდი ტედი, ჩვენი სასიქადულო ლევან თედიაშვილი, რომელი დაუმარცხებ ელი ფალავანიც აფხაზეთში პროვოცირებულ და წინასწარ განწირულ ომს უყოყმანოდ მიაშურებს ბოკვერითურთ;

ჰამლეტ გონაშვილი — ქართული პოლიფო- ნიის შარავანდედი;

ბაუჯა — უძილაური ლეკურად — გია ქვლივიძის მემკვიდრე;

და მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოდან, მოურავებისა და სოფლის მესვეურების ჩამომავალი, სოლომონ პავლიაშვილი.

ამ რამდენიმე თვეში აურაცხელი მასალა დამილაგდება თვალწინ:

ისტორიული პერიპეტიებიდან მოყოლებული, პატარა კახის ფენომენი, ხელს რომ გაკრავს ჯაჭვის პერანგს და გახევს; აღარც 5000 ამალით შეუდრკება სპარსელების 60- ათასიან ურდოს. მხოლოდ 300 არაგველი მოიჩქარის ლოგმული მეფის საშველად, როცა ამ დროს სეირის მოყურადე მრავალი ფეოდალის მსგავსად, ზაქიჭამიადაც წოდებული მისი მემკვიდრე გიორგი XII, ნამუსიანი რქაწითელის ალმურით გაბრუებული არხეინად მინებრივრებია ჩეროვანს.

დღესაც სადაგი სიტუაციაა, ვახტანგ, ძმაო, ოღონდ განსხვავებულ დროსა და სივრცეში;

საქართველოს უგვირგვინო მეფე, ილია ჭავჭავაძეც აქ არის, სამშობლოს მოდარაჯეობისათვის თუ „ქვათა ღაღადისათვის'' ტყვიანაკრავი შუბლით.

სამეგრელოს დედოფალს შევხედოთ, ეკატერინე ჭავჭავაძეს, კატერინას — აურაცხელ მხედრიონს მამაკაცურად შემოსილი რომ ეგებება სახალხო ლაშქრით ჩვენს ნალიმასთან, ომერ ფაშას ასკერების კუდის ამოსაძუებლად;

საქართველოს თავისუფლებისათვის ხმალამოქარქაშებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილის უდრეკელ სულსაც შემოიმყუდროვებს ესეისტური მატიანეს წინდებული განაკიდე „ფადაას!''

ეს სიტყვა ღვთაებრივ სვანურში კოლექტიური მსვლელობაა დაბეჩავებული სამშობლოს დასახსნელად, აყრილი ღირსების დასაბრუნებლად; დაახლოებით იგივე, რაც უბატონო კახეთისათვის „მუმლი მუხასა'', „ლაშქრული'' — იმერ- ეთისათვის, „ქუდზე კაცი''— ქართლისათ ვის, თუ სამეგრელოსათვის —„აბა, ულა''.

ზურგს უკან დარჩენილა ხორნაბუჯის ციტადელისა და ელიას ტბის მისტერია;

გაცოცხლებულია დიდი ნიკო ყოჩიაშვილისა და შირაქის ზამთრის საძოვრების მწყემსების გახუნებული სახეები;

ადამიანები, ადამინები დაგვალული ზვრებიდან, წარაფივით ურწყავი საწუთროდან;

გაგაძეების 300 წლის აკვანი და ფიროსმანის კოპწია სახლ-მუზეუმი მირზაანიდან;

კახეთის ნავთობი და ძირითადად ყურძნის წითელ ჯიშებზე ორიენტირებული „ჯი-ვი-ესი'', რომელსაც ავისმომასწავლებლად მიბმულა კონტრაბანდული სპირტით ზურგში ლახვარჩაცემული ჩვენი მევენახეობა;

სხვანი და სხვანი.

ჩვენს სიტუაციას, ძმობილო, ფიგურალურად სცილას და ქარიბდას შორის ყოფნა მიესადაგება, ანუ წინ — წყალი, უკან — მეწყერი: რა ხანია თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ და ჯერაც ვერ გამოკვეთილა ჩვენი მაგისტრალური ორიენტაციის საკითხი:

ვისთან?

რუსეთთან?

ამერიკასთან?

ევროპასთან თუ სულაც — ჩვენთვის?!

სავიზო რეჟიმი რუსეთის ფედერაციის საელჩოსთან საქართველოში, ცოცხალ რიგებს მოამრავლებს დავით აღმაშენებლის 61-ში.

ამერიკა წვეთ-წვეთობით გაიღებს დახმარებებს უკიდურესად დაგვალული ჩვენი ეკონომიკის ასაღორძინებლად და ამისთანა ვითარებაში ის თანხები ხალხის სასიცოცხლო ინტერესების სანაცვლოდ მავანთა უძღებ მადას ანოყივრებს უმეტესწილად.

ბოლოს და ბოლოს გამოვაქვეყნებთ ოდესმე, იმ ორგანიზაციათა, იურიდიულ პირთა ნუსხას, რომელთა კისერზეა ეს წარუხოცელი საშვილიშვილო დანაშაული?!

სახელს, გვარს, ხეგელის სწავლებით, არანაირი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების მონოლითურობაში. გვარი ნაკლებად ასახავს ამა თუ იმ სუბიექტის დიაპაზონს. მაგალითისათვის, გამორჩეულია რუსის დამოკიდებულება გვარისადმი. საკმარისია ნადსმენის გვარმა „ოვ" დაბოლოება შეიძინოს, რომ იგი შეუფერხებლად დაემგზავრება უმაღლესი ეშელონის შემადგენლობას.

გავიხსენოთ ბარათოვები, ციციანოვები, ანდრონიკოვები. ეს ტენდენცია სომხებმა დღემდე შეინარჩუნეს, ქართველებმა — ვერა. გვარის დანიშნულება, ეროვნების კონგლომერანტი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფაქტობრივად იგნორირებულია, ვინაიდან იქ ყველა ამერიკის მოქალაქეა განურჩევლად ისტორიული მემკვიდრეობისა, ნაციონალობისა. ხოლო საქართველოში გამახვილებული გრძნობაა გვარის მიმართ, როგორც ინდივიდის წარმომავლობის თუ გენეტიკური კოდის უტყუარი საბუთი.

ამ ფენომენის მოშლას ახლებურად მიუდგება იმპერია. ძალად გარუსების პოლიტიკა რადგანაც ჩვენში კრახით დასრულდება, შეიცვლება მიმართებები და გაცხოველდება მისი ზედმიწევნით დევალვაციის პროცესი.

ავაქოვია კაცი და ბაგრატიონად იწოდება.

აგაბედიანია და ბროლაძედ დაიარება.

ისინი თითქმის ნამყენივით შერწყმიან ქართულ ეთნოსს, მაგრამ შერეული ქორწილების მიუხედავად, მაინც ვერაფრით განთავისუფლებულან მემკვიდრული საუნჯეებისგან; ვეღარაფრით აუთვისებიათ ქართული ცივილიზაციის მონაპოვრები — პოლიფონია, ქორეოგრა- ფია, ალტრუიზმი.

პირადობის დამადასტურებელ მოწმობაშიც ამისთვის განხორციელებულა ეროვნების რეკვიზიტის მთელის სიმკაცრით გაქრობა და სანაცლოდ კოსმოპოლიტური „მოქალაქის" აღზევება, რომელიც უპრობლემოდ უხსნის გზას უცხო თესლს მმართველობის უმაღლესი საფეხურებისკენ. აქვე ისიც ნათელია, რომ ამ ბედნიერებას მხოლოდ უცხოეთის სამსახურებისგან ხელდასხმულნი ახერხებენ და თუკი ყველაფერს გონივრულად გავაანალიზებთ, საქართველოში მომწიფებულია ჩვენი ეთნოსის წინააღმდეგ გაუგონარი შტურმი სრული გაქრობისათვის.

ინდოევროპული ტალღის გადამწყვეტი იერიში ამჯერად მიჯაჭვული ამირანის მისიის მატარებელ გენეტიკურად ქართველს დაატყდება აფხაზეთში მთელის სიმძაფრით, რაც არ გამორიცხავს ხვალ-ზეგ პროცესის მასშტაბების განვრცობას სრულიად საქართველოზე.

ბატონო სოლომონ, სულიკო, ძმაო, სული- ჯან,შეუძელებელია გენეტიკურად ქართველი, ეროვნული მწერლობის, ზოგადად ქართული სულიერების წინააღმდეგ ილაშქრებდეს?! მავანნი ახლა მღვრიე წყალში თევზის ჭერის სინდრომით შეპყრობილან: უკიდურეს მიმიკრიას მიმართავენ, მაგრამ მათ ერთი შეურყეველი ჭეშმარიტება დავიწყნიათ — საბას შეგონება, როცა ერთმანეთის ღრენია ძაღლები ურთიერთ თანადგომასაც ამჟღავნებენ ხოლმე მოახლოებული კატასტროფის ჟამს და კოლექტიურად შეუტევენ არენაზე გამოჩენილ ხილულ მტერს მგლის სიმბოლიკით.

დიახაც, მწერლობასთან დაპირისპირება გააშიშვლებს ოვებს, იანცებს, თუ სხვათა. რა ხანია დამდგარა გონიერებით სიარულის დრო, ანუ უპირობო კონსოლიდაციის ჟამი შეუთავსებ- ლის შეთავსების გზა, გნებავთ — ხანა.

ეკლესია სახელმწიფოს მოეყრდნობა.

მწერლობა ჩვენი ჭირნახული სამშობლოს სუფევის ბალავარი თუ სამრეკლოა კვლავაც — მარადიული სიფხიზლის ფაქტორი.

ბიუროკრატი კორუფციის მეშვეობით შოულობს სიმდიდრეს, რაც კანონშემოქმედთა კასტისათვის ლამის საჭიროებას მოკლებულია, ვინაიდან ინვესტიციების, გრძელვადიანი კრედიტების სახით შემოსული, სამ მილიარდამდე დოლარი, წესით ხალხის სოციალურ-ეკონომი- კური ვითარების გასაუმჯობესებლად გამიზნული, რამდენიმე ასეულ პიროვნებას მიუსაკუთრებია, და უკვე მძლავრად ფესვმოკიდებულ ბღენძს, არაფერში ჭირდება ქრთამის აღება: ბანკირია თუ მეწარმე, გამრუდებული კანონების შემწეობით თევზივით ცურავს სიტუაციაში.

ყოველივე ამის ფონზე სასაცილოა მწერალთათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 500 ათასი ლარის ბლოკირება პარლამენტისგან, როცა ზოგს მსგავსი ოდენობის თანხა ძლივს ხყოფნის კოტეჯების ასაშენებლად წყნეთის მისადგომებთან.

მიდის გაქანებული მცდელობანი მწერალთა კონკრეტული პირების გადმოსაბირებლად: „კავკასიური სახლის" გარშემოწერილობა ფაქტობრივად ჩამოშორდება პოლიტიკურ სარბიელს და თავის ფეშენებელურ ოფისიანად „აფრას" უჩუმარ ტკაცუნში აბრეშუმის ჭიასავით ჩაიკეტება საკუთარ

პარკში. მისი მესვეური დააგდებს სიტყვას წლებს წინათ შანიბოვთან ინტერვიუში:

—ჭკვიანად იყავით ქართველები, თორემ თბილისს ერევნად გადაგიქცევთო.

რას ერჩი, იწინასწარმეტყველა ავისმომასწავლებლად: პოლიტიკურ სარბიელს ჩამოშორებულა „ომეგას", Ო-დიდის ფრთა ჩხეიძეების ამქარით. მასაც მარმარილოთი მოპერანგებული ოფისი ბაკანივით მოუსხამს მხრებზე საჭირბოროტო საკიხთათვის თვალის დახუჭვის ფასად.

თვეების წინათ სააკაშვილი სამართლიანად დაგმობს პარლამენტში მოკალათებული დეპუტატების ნაწილს, რომლებიც ბიზნესში საქმიანობენ, არადა, გარკვეული დროით თავად უწევდა თურმე ლობირებას „იტერას" საქმიანობას ენერგეტიკული წყაროების მოხელთების გზაზე. „თეცი" — თბილისის თბოელექტროცენტრალი, სადაც III თანრიგის მეთუნუქედ ვმუშაობ წლების მანძილზე, უკონკურსოდ, 150 ათასი ლარის ფასად შეუსყიდია ამ ორგანიზაციას.

თანამშრომლებს გაანახევრებენ.

შესყიდვის პერიოდისათვის ორგანიზაციის ანგარიშზე არსებული თანხის, 2 მილიონი ლარის მზითევიდან გასცემენ ხელფასებს დათხოვნილ ხალხზე. ორი თვის უმუშევრობის კომპენსაციის გაღებაზეც არ შეიხრიან წარბს.

რატომაც არა, 150 ათასი ლარით 2 მილიონ ლარს და 10-15 მილიონი ლარის უძრავ-მოძრავ ქონებას თუ შეიძენ, დახყფს ძაღლი შენს ბედს?!

ჯერ კიდევ „თეცის" ნაქონი ფულით აწარმოებენ რემონტებს, ყოველდღიურ ხარჯებს ახალი ხელმძღვანელობის სანათესაო-უფროსობა. მოკლედ, როგორც იტყვიან, თავი ქუდში აქვთ, მაგრამ მეეჭვება, მათ მშვიდად ეძინოთ ჯერაც ,განსაკუთრებით, ვისი ქვენა გარიგებით ეს მკრეხელური მაქინაცია მოდღვებილა.

დიახ, მეეჭვება საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ და სამშობლოს მომაკვდინებლად გაჩარხული საქმე ასე დატკბარუნებლად ჩაიფარცხოს, თუკი სათანადო სამსახურები კვლავინდებურად მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდებიან .

ბატონო სოლომონ, სულიკო, ძმაო, სულიჯან, ჩვენი ჰაეროვანი მონო- ლოგები კორუფციაზე საბურით დაწყებულა და ბარემ მასლაათი მეტის დამაჯერებლობით რომ წარიმართოს, იმავე თემატიკით გავაგრძელებ მსჯელობას.

კახეთი. საგარეჯო. კაკაბეთი... მე ამ განუმეორებელი კუთხის განსაკუთრებული სიყვარული მახასიათებს. დიდი ილიას ნაკვალევს მივსდევ ლიორკას სტრიქონების პროპორციით: ხვლიკი — ნიანგის წვეთი, მაგრამ როცა ერის უგვირგვინო მეფე ბრძანებს: სამეგრელოში ჩამოვედი და საქართველო, დიდი საქართველო ვნახეო, მეც მიმსგავსებულს წარმოვთქვამ ხორნაბუჯის ციტადელიდან ალაზნის ველის ვრცეულობას მიყურადებული:

უბატონო კახეთში ჩამოვედი და სრულიად საქართველოს მერმისი ვიხილე-მეთქი. ჩვენ მასლაათისთვის ქვეყნის დრო გვიდევს წინ, აურაცხელი, ამიტომაც შედარებით ძნელადმოსანელებელ თემებს ვეჭიდები ამთავითვე. ეკატერინე ჭავჭავაძის ფენომენზე გვისაუბრია, მაგრამ რასაც ახლა ვიტყვი, პირველად გაიჟღერებს საქართველოს სინამდვილეში: ჩვენი ღაბაჩის სათაურს დავაკვირდეთ: ურჯვი, ვითარცა ძელქვა. ამით ქვეტექსტურად უამრავ ჩასაბღაუჭებელს ვაშანდაკებ წიგნიერი მკითხველისათვის, მაგრამ ხომ უნდა მივაგოთ პატივი შედარებით მიუხვედრელებსაც? ხოდა, ღიად ვიტყვი: კახეთი, დიახაც, შუაზიური ხვლიკის, ვარანის ბუნებისაა, როცა სამეგრელო ბედაურის ხასიათს ამჟღავნებს ზედმიწევნით, გიურზას, ჩხრიალას თუ კობრას შხამის მიმართებით. სამოც კბენას უძლებს ვარანი ასპიტისას. დოკუმენტური ფილმიდან დამმახსოვრებია. ხანდახან ორიენტაციაც კი ეკარგება ამ დაგესვლების მერმე, მაგრამ ადრე თუ გვიან მოიხელთებს როსმე იმ უხსენებელს ბიბლიიდანვე და გაკვნეტს ხერხემალში.ასეთი შინაგანი წყობისაა ჩემი უბატონო კახეთი დუშმანთან ორომტრიალში, რომელიც ზოგჯერ ხილულია წამოზვავებული ლაშქრის სახით, ხშირად კი ფარული, ქვეშქვეშა ხასიათისა, აკაკის ლექსისა არ იყოს: მაგ შარბათში საწამლავს სვამ იცოდე. ებრძოდნენ ამ კუთხეს ტერტერათი, ქრთამით, იგივე მამონათი, იარაღით, მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ, ვინაიდან უბატონო გახლდა, ამაყად თავაღერილი და წარმატებით მოინელებს კიდეც ათას დარდსა თუ დარდუბალას.

სამეგრელოს შემთხვევაში როგორ არის საქმე? სინიბია თითქოს, ურა კვიცივით ფაფარს აიყრის ხშირ-ხშირად, მაგრამ როდესაც ძარღვებში იქედნეს სამსალა გაუჯდება, ერთიანად აძაგძაგდება. შხამის მოძალებამ იცის ეგრე, ციებიანივით აკაწკაწებს კბილებს, ებრძვის ბალღამის მომაკვდინებელ შემოტევას და ოდეს გარდაივლის, ჩაცხრება აგონიის ჟამგრძელი, ცნობილი ტოქსიკოლოგები შპრიცებით ამოაცლიან სისხლს ვენიდან ასპიტის მორიგი მსხვერპლის გადასარჩენად, ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი ცხენის დაგესლილი სისხ-

ლისგან მზადდება.

იცით, საითკენ მიმყავს საუბარი?! ნებისმიერი გეგმილის სამლოცველო კათედრალი, ისტორიულად წინამორბედი რელიგიის ნაფუძარზე აღიმართება ხოლმე. ყველა ქრისტიანულ ტაძარს საძირკველი წარმათულის ბალავარზე გაუდგამს.

ზემოთ მე ბატონი მიხეილ სააკაშვილის ფრაზა ვახსენე, რომელიც უცერემონიოდ კიცხავს პარლამენტში ბიზნესმენის, სუფევას; შეუთავსებლად მიიჩნევს იმ ორი ფენომენის თანაარსებობას, მაგრამ, აწ იუსტიციის თავკაცს ავიწყდება, რომ ზარანდიას სიტყვები იოტისოდენადაც არ წაადგება მინისტრს დასახელებულ თანამდებობაზე — 5000 ლარი გადაუდვია დამბეზღებელი ნასედკა პიროვნებისათვის. საიდან? თუკი რაიმე ღონე-სახსარით არ მოუთადარიგიანებია, ვინაიდან თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტობაზე კაცი პრეტენზიებს ვეღარაფრით განაცხადებს, ოდენ მილიონი დოლარი თუ მაინც არ უჩხრიალებს ქისაში, ცხადია, პატიოსნურად მოპოვებული მილიონი.

ჩვენ ამ თანხის მოხვეჭის გზებსა და მეთოდებს განვაქიქებთ არსებითად.

ყველა სამსახურში, ბატონო სოლომონ, სულიკო ძმაო, სულიჯან, ორი კატეგორიის ჩინოვნიკია მოკალათებული ძირითადად.

პირველი, რომელმაც საარსებო მდგომარეობა სხვა უწყების გატყავებით მოუპოვებია; ყოველნაირად შეუტკბობია მისგან დაცინ- ცლული ნუგბარეული და ახლა უცოდველი კრავის იერით შემოსილა, მოთნეობის იშვიათი ეგზემპლარია. ცნობილი დიქტატორები ამისთანა გვამებს ეგრევე საჯალათო კუნძისკენ მიაბრძანებდნენ ხოლმე.

და მეორე, ოთარაანთ ქვრივის მსგავსად პილპილმოყრილი მადლით დაუჯილდოებია არსთა გამრიგეს, მაგრამ პირველისაგან განსხვავებით ურყევია, ვითარცა ძელქვა, ერთგულების თვალსაწიერით, რამეთუ თვითონვე იქმნის არსებობის მყარ ბაზას. პირწავარდნილი მეწარმეა, ახალი ცხოვრება, ახალ აზროვნება მსწრაფლ დაუმუღამებია, ვთქვათ და სიტყვისთვის 70-80 ხექტარი თხილი, ვენახი, თუ პურეულის მეპატრონეა, და, ბუნებრივია, ნაკლებად აინტერესებს სხვისი ჯიბის მოდარაჯეობა, სხვისი გადმოგდებული ლუკმისათვის მუცელზე ხოხვა, ინდივიდია, გაჭირვების ჟამს ,,რანტავოი'' ჩექმებით ტლაპოში გამსვლელი სახალხო საქმეებისათვის, პიროვნება, მე.

სულიჯან, შენეული გამოცდილებით, მაინც რამდენი სარია საჭირო ღობის მოსაწნავად-მეთქი, რომ გკითხავ:

ღობისო? გაოცდები ხირხალის თუ ჩვეუ- ლებ რივისთვისო, მომაჩერდები.

წკნელის ღობისთვის-მეთქი, დაგიკონკრეტებ. ის ხომ ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის ერთგვარი მოდელია-მეთქი.

მინიმუმ სამი მაინცო, მომიგებთ, ყინჩად.

აგაშენა, ღმერთმა! ჩვენთან, ოტობაიაში იტყვიან ხატოვნად: ერთ სარზე ღობე არ მოიწნებაო, არც — ორზე.

მართალს ბრძანებთ, მინიმუმ სამი სარი მაინც არის საჭიროო, დამყაბულდები შენ.

საწყისი სიმაგრე რომ შეიქმნას, სამება ბურჯად მწერლობა, ეკლესია და საკუთარი გამჭრიახობით წელმომაგრებული სახელმწიფო მოხელე წარმომესახება, დიახაც, რომელთა ურყევ შვერილებზე აღმოცენდება ერის წაუქცეველი ზღუდე. დაცდილი მაქვს, ვინაც კი მწერლობას მოეყრდნო, ყველამ გაიკაფა გზა უმაღლესი მიზნისაკენ. აქ გასაკვირი არაფერია, ვინაიდან იოანეს სახარებას თუ ვერწმუნებით: პირველ- ითგან იყო სიტყვა, სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იგი იყო ღმერთი.

წარმოგიდგენიათ, თავად ცაბაოთიც კი ვერ დაჯაბნის სადღეღამისო შერკინებისას სიტყვის მსახურ იაკობს. ამას ყველაფერს ჩვენი სამწერლობო ორგანიზაციის წარმოსაჩენად როდი მოგახსენებ — ქვემორე საუბარში საკმარისზე მეტადაც ვიმსჯელებთ დაწდევებულად, მაგრამ ვინმე მკითხავდეს, პრეზიდენტობის ვადას ექვსი წლით განვსაზღვრავდი. ამას ახირებულობაში ნუ ჩამომართმევ, მეცნიერული არგუმენტებიდან მომდინარეობს.

მათემატიკის იწილობიწილო, ვისაც ოდნავ მაინც გაუთავისებია, შენიშნავდა, ნატურალური რიცხვების 7-ზე, 13-ზე, თუ 91-ზე გაყოფისას, ვღებულობთ რაღაც მთელს და მძიმის ხელმარჯვნივ, ექვსნიშნა პერიოდს, ათწილადის სახით როგორც სამყაროისეული პროცესების ეჭვმიუტანელ მონაცვლეობას.

ძლიერი ხელისუფალის გამოუსწორებელი ქომაგი ვარ.

ჩემს ადრინდელ ინტერვიუში ზუგდიდის მაშინდელ გამგებელზე, აწ ნეტარხსენებულ ედიშერ ჩარგაზიაზე, პოეტი ევგენი ევტუშენკო : ,,ვლასტვუიუშიაო'' ბრძანებს.

მე, დიახაც, პატივს მივაგებ რკინის ნებისყოფის ადამიანებს, ვინაიდან სწორედ მათი მეოხებით

კონცენტრირდება სახელმწიფოს ნებისმიერი ფასეულობა.

სტალინს აკრიტიკებენ პიროვნების კულტის ყბადაღებული აფიშირებით, მაგრამ ბარემ ისიც გავიხსენოთ,თუ ვინ მოიყვანს რუსულ ტალახში მოღავღავე მათი ცხოვრების ურემს, ფიგურალურად, და რომელი აზიარებს კოსმოსურ სივრცეებს დროის უმოკლეს მონაკვეთში?!

სკას შევხედოთ საანალიზოდ.

აქ, ამ პრიმიტიულ საზოგადოებაში სამი თუ ოთხი კატეგორიის ფუტკარია: მუშები, მზვერავები, მშენებლები, მუქთახორებიც, რომელთაც ადრე თუ გვიან ფრთებს გადაუღრღნიან გამრჯენი და ოჯახიდან მოისვრიან ზედმეტი ბარგივით; კოლექტიურად გამოჩეკენ ხოლმე დედას, იგივე ,,ალმა მატერს''— სკის შემავსებელს ცოცხალი ენერგიით.

ის სადედე თავიდან ჩვეულებრივი ფუტკართაგანია, ბატონო სოლომონ, სულიკო, ძმაო, სულიჯან, მაგრამ როდესაც განსაკუთრებულ მზრუნველობას გამოიჩენს მის მიმართ ერი და ბერი, სკა კვლავაც ამ დედის მეშვეობით ეზიარება შთამომავლობის რეგენერაციას 30 წლის მანძილზე.

საუბარი იქითკენ მიმყავს, დიახაც, ხელისუფალი უნდა ასინთეზებდეს წესით სახელმწიფოს თითოეულ მყესიერ უბანს და მოვლენას. დღევანდელ საქართველოში კი თვალნათლივ იკვეთება ტენდენცია ძლიერი ხელის ვაკუუმისკენ.

მიძახონ ძველმოდური, კონსერვატორი, მაგრამ პრეზიდენტის ცნება ქართველ კაცში რამდენადმე გაიგივებულია მეფესთან, სასულიერო და საერო მიმართულებების შემკონავ ძალასთან.

ამ ჰაეროვან საუბრებში მოვლენები ისეთი ელვისებური სისწრაფით მიგრუხუნებს ჩვენს თავს ზემორე, ყურის მოფხანვასაც ვერ ვასწრებთ.

ყვითელი მასმედია ყაყანებს ,,პრესის კანონის'' გადასინჯვის თაობაზე.

სამყაროში იშვიათია პროცესი, რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაციით არ ახლდეს სათანადო ჩარჩოები.

ასევე სახელმწიფოები ირჩევენ ამა თუ იმ კონსტიტუციურ მოდელს, საპრეზიდენტოა ეს, საპარლამენტო მმართველობა თუ სულაც — მონარქიული, მაგრამ როდესაც გამოკვეთავენ საკუთარი მოქმედების დიაპაზონს, ექვემდებარებიან კიდეც მათმიერვე აღიარებული კანონების უზენაესობას.

ჩვენ კი პრესის თავისუფლება აღვირახსნილი ანარქია გვგონია.

წმინდა ნიკოლოზობის დღის მიწურულს მეგობრებს ვესტუმრები კონტროლის პალატაში, თუმცა იმ გაწამაწიაში ჩემთვის ვერავინ მოიცლის!

დავით აღმაშენებლის პროსპექტი სახანძრო მანქანებს ჩაუხერგავთ. მეორე სართულზე დაუდევრობით გაჩენილ ცეცხლს უტრიალებენ. აგორდება ჭორი, თითქოს ყოველივე მავანთა მამხილებელი საბუთების გაქრობის მიზნთ მოიმოქმედესო.

საკბილოს ეძებენ თავისუფალი მედიის დესპანები.

შენობას ეზოდან შემოვუვლი.

ცოცხალი სურათიც იქ დამიხვდება.

სამსახურეობრივ მოვალეობას გვიანობამდე შერჩენილი თითო-ოროლა თანამშრომელი პანიკას მოუცავს.

მეორე სართულიდან მეოთხისაკენ გამორბიან ცეცხლისაგან დაფეთებული ადამიანები.

მრუმე კვამლი ხელად გაავსებს დერეფნებს.

ამ საერთო დაბნეულობისა და უნუგეშობის ჟამს გასაოცარ სითამამეს გამოიჩენს აქამდისაც კოლექტივისათვის საყვარელი პიროვნება, ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი, ბატონი ნოდარ ლიპარტელიანი.

სტიქიის წინაშე დაშთენილ ხალხს იმედის ნაპერწკალი ჩაესახება. ნოდარი სათადარიგო კარს გაეგლეჯს, ბლოკებით სანახევროდ ამოშენებულ კედელს გაანგრევს და თანამშრომლებს სამშვიდობოზე გაიყვანს, თუმცა, ახლა მეორე სართულის ბოლში გახვეული ფანჯრებიდან ათიოდე ქალის შეშლილი სახე რომ აილანძება, მაღალი სვანეთის ღირსეული შვილი მთლად დაუდგრომელ ვეფხვად გადაიქცევა. მჭექარე ხმით გასცემს განკარგულებებს. ვის კიბის მოტანას ავალებს, ვის — ფარდების ჩამოგლეჯას, ერთმანეთზე გადანასკვას და მანდილოსნების ძირს ჩამოშვებას. ქალბატონები მორცხვობენ, მაგრამ გასაჭირი აჯობებს ღაწვების შეფაკლვას და ასე, თითოეულს უპრობლემოდ გაიყვანს სამშვიდობოს.

ნოდარ ლიპარტელიანი არ დაცხრება სანამ უკანასკნელ კოლეგას არ გამოარიდებს ბობოქარი ცეცხლის მძვინვარებას.

ეს წუთი და მეხანძრეებიც მოვიშვიშდებიან.

ბატონ ნოდარ ლიპარტელიანს ოთხმოციანი წლებიდან ვიცნობ. რაგბი ჩემი სტიქია არასდროს

ყოფილა, მაგრამ მასთან სიახლოვე, ამ ვაჟკაცურ სპორტს დიახაც შემაყვარებს.

1979 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ორი ქართველი რაგბისტი, მიხეილ ხარშილაძე და ნოდარ ლიპარტელიანი ვერცხლის მედლებს მოიპოვებენ ევროპის ჩემპიონატში.

რაგბის სიყვარული, მამაკაცური სპორტული ბრძოლის ჟინი დღემდე რომ მოსდგამს ბატონ ნოდარს, არახალია ჩემთვის. მისი ათლეტური ენერგია უკანდაუხეველია მრავალ ცხოვრებისეულ საკითხშიც.

სოლომონ ბატონო, სულიკო ძმა, სულიჯან, იცი, იქ, ნახანძრალ ეზოში შეხვედრისას რას მიპასუხებს ბატონი ნოდარი შეკითხვაზე: არ შეგეშინდა თავზე ხანძრიანი ჭერი რომ დაგმხობოდა-მეთქი.

ეხ, მუხვბე, გური, უკანდახევის დრო ამოიწურაო, ბრძანებს. საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვას მომავალი არ გვაპატიებსო, მოსჭრის ესეც რომ არა, რაგბი ისეთი სპორტია, ზოგჯერ თამაშის შუაგულში ტემპერატურა ას გრადუსს ურაკუნებსო.

ნამდვილი ფადაასელი ხარ-მეთქი.

ვერ გავიგე, ეგ რაღა არისო, მომაჩერდება გაოცებით.

როგორ-მეთქი, გავიკვირვებ, ფადაასი არ იცი, მუშვანმა-მეთქი.

ფადაას, როგორ არა, ფადაასობ, გური ჯიმა, გური, მუხვბე — ქუდზე კაცი სამშობლოს- ათვისო.

დიახ, ფადაასელია ჩემთვის, ბატონო სოლომონ, სულიკო, ძმაო, სულიჯან ხვატში, პაპანაქებაში დაყრილ თანამოძმეთა გადარჩენისათვის საჯალათო კუნძზე თავის დასადებად გამოშურებული ცოტნე დადიანი— სწორუპოვარი გმირი სრულიად საქართველოისა;

დიახ, ფადაასელია ჩემთვის, შუა რუსთაველზე კვარივით აბრიალებული გია აბესაძე სიტყვებით: დაე, მე ვიყო უკანასკნელი მსხვერპლი საქართველოს თავისუფლების გზაზეო.

დიახ, ფადაასელია ჩემთვის, მაშველი რგოლის ზანგი გოგონასათვის დამთმობი პროფესორი იოსებ ჟორდანია.

ფადაასი ხომ ღვთაებრივ სვანურში, კოლექტიური მსვლელობაა თავდახრილი სამშობლოს ღირსების აღსადგენად?! ამიტომაც, ფამილარობაში რისთვის ჩამომერთმევა, ფადაასელი ვართ ყველა პოტენციურად ამ საღვთო ომში ერისა და ბერის სახელით-მეთქი, რომ განვაცხადო?!

ბუნება არ უშვებს ბიწიერ ფორმებს ჭეშმარიტების გონჯ ანარეკლად და ნუ გამოვეკიდებით ამ რეალობას.

ადამიანს აღაზევებს საკუთარი ნებელობის საზოგადოების ყაიდაზე გამოჭრილი კანონების შესაბამისობაში მოქცევა.

გნებავთ, ამასაც მოვეშვათ, შედარებით ფასეულს მივაპყროთ მზერა, რაც თავად პიროვნების ზეამწვერვალების ტოლფასია საკუთარი ერის თუ ცივილიზაციის დიაპაზონით.

მიჯაჭვული ამირანი, იგივე პრომეთე, პრომათუსად წოდებული შორეულ ინდუსტანში, საკუთარი თავისუფლების გაწირვის ფასად ადამიანთათვის ღმერთებს ღვთიური ცეცხლი წახგვრის— მარადიული თავაწეული სიარულის ცოდნას. მერედა, რა ხეირს ეწევა იგი ამ აურწყავი გმირობის გამო ზევსის არწივისაგან ღვიძლის ნიადაგ დამკორტნავი ნისკარტის გარდა?!

მივყვეთ ისტორიის ცნობიერ ხაზს... ქრისტეს, იესო ნაზარეველს, მივადევნოთ თვალი, რომელიც სადედამიწო ცოდვა-მადლს აიკალთავებს სრულიად და გაჯვარედინდება კოსმოსური განზომილებით, თუმცა კვლავაც მაცხოვრის ღვიძლს ემსუბუქება განა რომაელი ჯარისკაცისგან ნაძგერები ხელ-შუბის ბუნიკი?!

არამც და არამც.

თუკი ყველაფერი ასეა, ძმობილო, მაშინ რა უფლებით განიკითხავენ ერეტიკოსები მამფალზე მამფალ ილია ჭავჭავაძეს? ან თუნდაც ორნახადი არაყივით გათარანებულ აკაკი წერეთელს? აღარაფერს ვამბობ მათ საკაცობრიო მნიშვნელობის შემოქმედებაზე.

ესეც ქართული სენია და კნინის თუ აღმატებულის მეტნაკლებობა იმით როდი განისაზღვრება, ვის რამდენი ქარავანი მიუდის უდაბნოში ან რამდენი ჯარისკაცი შეაბობღდება დასალაშქრავი გალავნის კედლებს, არამედ — საკაცობრიო აზროვნების მოდელით.

ილიას შუბლი უფრო მომაკვდინებელია საყოველთაო ბოროტებისათვის, ვიდრე — დედამიწის წონასწორობისათვის მამონტი ასტეროიდის დანარცხება. ახლა, როგორ მოვიქცეთ, სად ვეძებოთ ჭეშმარიტი ქმედების ტაბულა, ცხრილი, გნებავთ — ნორმა, ზნეობრივად წოდებული:

მოსესთან?

ქართლოსიანთა დამფუძნებელ იაფეტთან?

კიდევ ვისთან?

ამირანთან, რომელიც ღვთიურ ცეცხლს, ანუ თავისუფლების საკაცობრიო ცოდნას მოიხელთებს ადამიანთათვის და ახა, დღემდე იხლაკნება მოუშორებელი ბორკილების ჟღარუნში?

რომელთან-მეთქი?

ფარნავაზ მეფესთან, ღმერთთან გაიგივებულ სიტყვიერებას რომ გვაზიარებს წარმართებს?

ვისკენ გაუტიოს ჩვენმა ცნობიერებამ?

მძლევარი დავით აღმაშენებლისაკენ, დიადი ჭყონდიდელის შეგირდისაკენ, რომელიც ლამის ცხოვრების ნახევარგზაზე აღესრულება შეუდარებელი აღმსარებლური ქმედებებით?

საით?

რომელი არე-კიდესკენ?

სულხან-საბასკენ?

ცოტნე დადიანისკენ?

თევდორე ბერისკენ?

ყვითელი სამაშველო რგოლის ზანგი გოგონასთვის დამთმობი პროფესორ იოსებ ჟორდანიასკენ?

გუშინწინ საკუთარი სხეულის შუა რუსთაველზე ცეცხლით ამბრიალებელი გია აბესაძესკენ, სიტყვებით: დაე, მე ვიყო უკანასკნელი მსხვერპლი საქართველოს თავისუფლების გზაზე?

ნუთუ ერთჯერადი გმირობა საკმარისია მამულის გადასარჩენად?!

ნუთუ თაფლის ერთგზის ტანზე წაცხება ემყოფინება სამშობლოს ურყობას?!

ნუთუ ერთხელ გაბრწყინებული ნებისმიერი სადევგმირო პატროფილია აღავსებს დობადონას ჩვენსას, თუ ილიასავით გამუდმებული მეციხოვნეობა განგვასრულფასოვნებინებს სამშობლოს ა-მერ-იმერ?!

მაინც საიდან მოგროვებია კახეთს ამდენი არამხუტუ? იგივე ამირანი ზოგადქართულად, აფხაზების აბრსკილი თუ ბერძნების პრომეთე.

უბატონო უნდა იყო დიახაც, რომ არავის ემონო და ექვეშევრდომო!

უბატონო-მეთქი, შემთხვევით არ წამომცდენია. სამი კუთხეა საქართველოში ამგვარი — ქიზიყი, სვანეთი და კიდევ — ოტობაია რომლებიც მძეთამძლეობის ჟამს დაამტკიცებენ კიდეც თავიანთ სწორუპოვრობას, თუმცა ცამიწამადლიანი სამშობლოს თაკარა გული საყოველთაო განსაცდელისას მამაცს კი არა ლაჩარს გაადევგმირებს ხოლმე.

გონებაში რატომღაც ამომიტივტივდება ამას წინათ გამართული ერთი დიალოგის ფრაგმენტი კრიტიკოს გურამ ბენაშვილთან.

— ნება თქვენი, ბატონო, გურამ-მეთქი, დავყაბულდები მყისვე რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში წვეულ რესპოდენტს, როცა შეთავაზებული ათი ზეღირსეული ქართველის ახლოით განჩხრეკაზე უარს მეტყვის დელიკატურად...

— მე კი ვშიშობდი სხვანაირად განზე დაგვრჩებოდა ძირითადი სათქმელი, სხვანაირად ვერ შევძლებდით მომავალ თაობათათვის უცდომელი ქმედების კომპასად, ფარ-შუბად, განზოგადებით დაგვეხატა ქართველი კაცის ზნეობრივი კონტურები. ერთი პიროვნების ანალიზის შუქზე კი ამის წარმატებული განხორციელება უტოპიად წარმომესახა. ჩვენ, ქართლოსიანებს, ხომ მრავალათასწლიანი სუფევა გვიხდებოდა დროსა და სივრცეში და აქედან გამომდინარე, მეგონა გაგვეფანტებოდა ჩვენი სათაყვანებელი წინაპრების მოწამეობრივი ცხოვრების კრიტერიუმებიც, ერთმთლიანი ხელწერის წარმოჩენის საზიანოდ-მეთქი.

— მოგვიანებით მათზეც ვიმსჯელებთო,— თანადროულად დაიჭერს ჩემს უნებლიე გარინდებას დიალოგის მასპინძელი.

— მაშინ ბატონო, გურამ, იქნებ სულმნათი ილია ჭავჭავაძეთი შევდგომოდით აღმართებს-მეთქი, დავკონკრეტდები ხელად. — თქვენი აზრით მაინც რა განსაკუთრებული ნიშან-თვისების გამო აღიარებს მის პიროვნებას ქართული ცნობიერება-მეთქი.

— ეს უკვე სხვა ამბავიაო, — დამისერიოზულდება რესპოდენტი, — სხვანაირად აურაცხელი ნიშან-თვისებიდან ძირითადიც დაგვისლტებოდა ხელიდან, ვერ გავაღწევდით ნაპირამდეო. ილიას წარმოჩენა ამოსავალ პუნქტად იმიტომაც გამეხარდა უწინარესად, რომ იგი ნიმუშია, ეტალონი იდეალური ქართული ხასიათისა. ბუნებრივია, აქედან ჩვენთვის უფრო სახიერად გაიშლება ტალღები. ის, რაც სხვებს გაუკეთებიათ, ილიას უფრო მაღალ ხარისხში აუყვანია და ამავე დროს — ძალზედ აკადემიურად. ემოციური და მღელვარეა მისი ცხოვრების ყოველი მონაკვეთი, ყოველი ეტაპი, თითოეული ნერვიო.

— ძაფი ნერვის არ არის ჩემში არა პოეტის-მეთქი, გავიხსენებ გალაკტიონს.

— ჭეშმარიტად ილიაზე თქმულაო, — მიმხელს, — ოღონდ წინა სტრიქონისა და მომდევნოს სინთეზში: წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული. აი, ახლა ხსენებულ უზალთუნს ამ ტენდენ-

ციას ნემსით რომ შეუყვან, გააჯერებ მისით, და ამ შემთხვევაში, როგორ, რანაირ მცნებასაც მივიღებთ, დაახლოებით იმგვარადო. ილია ჭავჭავაძე თავს უყრის ქართული ხასიათის უმთავრეს მწვერვალებს, თავის უდაბნო-სტეპიანად თუ ალაზან-მტკვარ-არაგვიანად. შენ ვერ ნახავ ილიას შემოქმედებაში, პუბლიცისტიკა იქნება ეს თუ მხატვრული ლიტერატურა, ზერელობის ნატამალს. ილიას თითოეული სიტყვა, თითოეული ფრაზა, ეს არის რაღაც ღვთიური მადლით უფლისეული გაჩენის მომენტს დადარაჯებული და მისადაგებული ფორმულა, სამჭედლო. ესე იგი, როდესაც ნაწარმოები მთავრდება, იცი, დარწმუნებული ხარ, მას ვეღარაფერს მიუმატებ და გამოაკლებ. მერედა, თავისი ცხოვრებით იყო ილია ჭეშმარიტი ქართველი. ეს იყო კაცი, რომელიც არ იკეტებოდა რაღაც აკადემიურ ჩარჩოებში. ის იყო კაცი, რომლისთვისაც საოცრად ჩვეულებრივი გახლდათ რიგითი ადამიანებისათვის ნიშანდობლივი ცხოვრება თუ ოლიმპოს ღმერთების სადაგ სივრცეში სუფევა. ის იყო არაგვი და მყინვარწვერი ერთდროულად. ის ერთდროულად ქმნიდა ქარტეხილებსაც და წინაღობასაც. ის იყო ანი და ხოე. გაბრუებული გახლდათ ამ ცხოვრებით, ამ ყოფიერებით და უსასრულობის მომნიჭებელ არტახებში წვა, რუდუნი, მიაჩნდა არსთაგამრიგესთან მიახლოების უმთავრეს პირობად. ის იყო კაცი, რომელიც თანამენიახეთა ტოლფასოვნად მოულხენდა სუფრაზე, ისეთივე ლაღად და დარდიმანდულად, უბატონო ქიზიყელ გლეხებს რომ სჩვევიათ ხოლმე და აქვე დიდებული ათენელების თუ რომაელების კვალობაზე შეეძლო დამტკბარიყო თავისი შეუდარებელი სიდინჯითაც, დუმილითაც, რომელიც ყველასთვის როდია ოქრო. ამასთანავე ყველაფერს მოიმოქმედებდა, რათა მისი კულტი არსად გაბატონებულიყო, ლიტერატურულ მოღვაწეობასა თუ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. პირიქით, უყვარდა სხვების განდიდება, სხვების ამაღლება. მისი მახვილი მზერა უცთომელი გახლდათ ამ გზაზე. გავიხსენოთ მისგან დაფრთიანებული ვაჟას ფენომენიო.

გასაკვირი არაფერია, ბატონო, გურამ-მეთქი, მივყვები მოსაუბრეს ფეხდაფეხ, ისეთი ფესვიდან აღმოცენებულა — გარსევან და ალექსანდრე ჭავჭავაძეები, სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე, ჯიში, ჯილაგი, გენეტიკა, რომელსაც კოლოსალური რენტგენული დასხივებაც კი ბევრს ვეღარაფერს აკლებს. ეს ყოველივე ერთმანეთთან სასწაულებრივი ძაფებითაა დაკავშირებული. ჩამობრძანდება დიდი ილია სამეგრელოში და იმხელა რეზონანსის სიტყვას დაგვამწყალობნებს, რუსიციზმის მზაკვრული პოლიტიკით ენა-გონება ამღვრეული კუთხე, ასოთხმოცი გრადუსით შემოტრიალდება ზოგადქართული ფასეულობებისაკენ- მეთქი.

ხო, ილია ქვეშეცნეულად, ცნობიერედაც გრძნობდა თავის ნიჭიერებას, თავის აღქმას და ავტორიტეტსო, აგზნებულია ბატონი გურამი. ის გრძნობდა საკუთარი სიტყვის ფასს, გრძნობდა რომ ერი უსმენდა. მიუხედავად ამისა, ბოროტად არასდროს სარგებლობდა თავისი უზარმაზარი ავტორიტეტით. ილიას ჩასვლა სამეგრელოში, ეს იყო განსაკუთრებული მოვლენა ჩვენი ეროვნული კონსოლიდაციისათვის.

თან ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გასული საუკუნის სამოციან წლებში მისი სისხლ-ხორცი მეგრელთა გაერთიანებულ ლაშქარს მამაკაცურად შემოსილი წარუძღვება ომერ ფაშას წინააღმდეგ.ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს-მეთქი, ვამბობ და ცეცხლს შევუნთებ რესპოდენტს უფრო ფიცხელი საუბრისაკენ.

აი, ეს არის საქმეო, მოსჭრის ერთიანად აჭარხლებული ბენაშვილების ძე. ყირმიზია და აღელვება ლაკმუსივით ამჟღავნებს მის ემოციებს. — ილიას ჩამოსვლა სამეგრელოში და იქ ისტორიული სიტყვის წარმოთქმა, რაიმე კალამბური არ ყოფილა. ეს იყო კარგად მოაზრებული და აწონილად თქმული საშვილიშვილო პროგრამა სამეგრელოს როლის, მისი ადგილის, მისი წარსულის, მისი ხვალინდლობის და რაც ყველაზე მთავარია, აი, ჩვენი ერთიანი მომავლისათვის გარკვეული გარანტიების დაბალავრების უვერტიურა. ილიას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ სამეგრელო საქართველოს გულია. საერთოდ, რომ არა სამეგრელო, საქართველო თავისთავად ძალზედ პრობლემური იქნებოდა ერთიანობის თვალსაზრისით. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ილიას ეს სიტყვები სულაც არ ეკუთვნოდა, აი, სტუმარ-მასპინძლობის წესს, იქ ნანახსა და განცდილს. ეს იყო მისი კრედო, ისეთივე კრედო, როგორც ვთქვათ, რომ საქართველო ერთ დროს თავისუფალი სხვანაირად ვერ გახდებოდა. აი, ისეთივე საოცარი, უზარმაზარი, ფილოსოფიური და რაღაც პოლიტიკური მრწამსი იკვეთება ილიაში, რომ სწორედ სამეგრელო უნდა გახდეს ბოლოს და ბოლოს ის კუთხე, რომელიც საქართველოს ხვალინდელ გაერთიანებას მიანიჭებს ცხოველმყოფელ ბიძგს, იმპულსსო.

ბატონო, გურამ, გვემახსოვრება, ალბათ, რომ სამეგრელოში ილიას ჩაბრძანებას უსწრებს ,,ქვათა ღაღადის'' შექმნა-მეთქი, შევუცვლი თემას რესპოდენტს.

დიახ, დიახო, მეტი ექსტაზით ამყვება საუბარში.

და ეს ყოველივე უზარმაზარი სტიმული გახლდათ კავკასიის ისტორიის ფალსიფიკატორების მხილების გზაზე-მეთქი, სრულიად გარკვეულ მიმართულებას ვანიჭებ ჩვენს მასლაათს.

ისეთი დიდი ისტორიკოსი, როგორიც ილიაა, საქართველოში საერთოდ არ დაბადებულაო, კვერს დამიკრავს ესთეტი — მე უდიდესს პატივს მივაგებ ბატონებს — ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს, სიმონ ჯანაშიას, კიდევ ბევრსა და ბევრს, მაგრამ ილიასნაირი ღრმა მცოდნე საქართველოს სოციალური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ისტორიისა დედის მუცლით არ შობილა. და მან, ასეთმა განსწავლულმა პიროვნებამ, სამეგრელოს ბუნებაში, მის ისტორიულ როლში დაინახა რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი მომავალი საქართველოსი. სამეგრელოს ასეთი პრიზმით განჭვრეტა და მასტიმულებელ ძალად დასახვა მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს შეეძლო და სხვა არავისო, — ასაფრენი არწვივით ორივე ხელით ეყრდნობა მაგიდას ბატონი გურამი.

გულში ჩამწვდომია თქვენი ანალიზი-მეთქი, ვეტყვი საუბრის იშტაში შესული. ჩემი წიგნის ამოსავალ წერტილად, იგივე ეპიგრაფად, ილიას კლასიკური ფორმულა წამიძღვარებია — ,,მამული, ენა, სარწმუნოება''. ძნელი სათქმელია ახლა ეს სამეული სიტყვა რა პრინციპით დალაგდა, მაგრამ არა მგონია მხოლოდ ალფაბეტური სიზუსტითაა დაცული მათი თანამიმდევრობა და არავითარ შემთხვევაში— უფროს-უმცროსობის, უპირატესობის გაუთვალისწინებლობა-მეთქი.

წარბებს შეიყრის, თითქოს უკადრებელი წამომცდენოდეს.

მე ვფიქრობ, რომ ფორმულა — ,,მამული, ენა, სარწმუნოება'', სულაც არ გულისხმობს სუბორდინაციასო, — სიმშვიდე ეუფლება რესპოდენტის ხმას, ტემბრს, რაღაც ამაღლებული წარმოდგენიდან გამოსულს ემსგავსება. — ეს სამება არამც და არამც არ მიანიშნებს ჯერ მამულს, მერე ენას და ბოლოს — სარწმუნოებას, ვინაიდან სამივე ტოლძალოვანი ფასეულობის ცნებაა,— თავდაჯერებულია მსჯელობისას. თანაბარი კრიტერიუმისა-მეთქი, შევაშველებ ფრაზას.

დიახ, თანაბარიო, შვებით ამოისუნთქავს, თითქოს მომქანცველი მთაგრეხილი გადაელახოს. სრულიად თანაბარი კრიტერიუმისა და აქ აბსოლუტურად დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენ რაღაც ხარისხების მიხედვით ჩაგვემწკრივებინა თითოეული მათგანი, სიმაღლისდა მიხედვით, როგორც ეს სალდათური ყოფისთვისაა დამახასიათებელი. ბუნებრივია, თუკი სამივე კომპონენტი ტოლფარდი შინაარსითა და მნიშვნელობით არ გაერთიანდა, ერთ დიდ სულისკვეთებად არ იქცა, წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის არათუ წინსვლა, გადარჩენა — საერთოდო.

უმთავრესი ყოველთვის ბოლოშია მოქცეული-მეთქი, არ ვეპუები მე. ებრაელ ერს შევხედოთ, მთელს ქვეყნიერებას მოდებულ ამ ხალხს ოცდაექვსი საუკუნის მანძილზე ხელისდასადები არც მამული გააჩნდა და ენაც დღითი დღე შემოეძარცვება, მაგრამ ერთიანი ღმერთის იდეა დუღაბივით შეკრავს მათ ფენიქსივით აღდგომა-განახლებისას და ამჟამად სარწმუნოების მეშვეობით ენაც რესტავრირებულია და სამშობლოც-მეთქი.

მშვენიერი არგუმენტი მოიშველიეო, მეტყვის, სარწმუნოება მართლაც მონოლითურად აქცევს ხოლმე ამა თუ იმ ერის სულს. იგი ამავდროულად მატერიალური და ფიზიკური არსებობის საფანელიცაა, რომელზედაც ამოიზრდება ხოლმე ერი თავისი თვითმყოფადობითა და განსაკუთრებული იერსახით, მაგრამ ქართველი ხომ გეორგიანელია?! სამშობლოსაგან, ანუ იგივე მამულისაგან მოწყვეტილი ჩვენი ეთნოსი უმწეოა, როგორც პოლიტიკური ერთეული. იგი სრულყოფას ამ ტოლძალოვანი სამების ერთიანობაში აღწევს. ამდენად, ენა ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია ჩვენი ერისათვის, როგორც — სარწმუნოება. აგრეთვე მამულიც ისეთივე საჭიროა, ისეთივე საგნიერი, როგორც სამრწმუნოება და ენა.ისინი მსჭვალავენ ერთურთს. ისეთი წრებრუნვაა, როგორც სპირალური ტრიალიო, ქურუმივით მომჩერებია.

ტრიადა-მეთქი.

ხო, ტრიადა, სადაც სამივე წევრი ტოლძალოვანია, თანაბარუფლებიანიო, ნათელი გადაურბენს სახეზე.

მართლმადიდებლური სამების მსგავსად თანაბარმნიშვნელოვანი იპოსტასები-მეთქი.

თანაბარი იპოსტასებია ისინიო, მომსდევს კვალში თუ მივსდევ. ერთ სხეულში ერთიანდება სამივე შენაკადი, ერთი აზრით, ერთი მნიშვნელობით, ერთი სიძლიერით თუ შეიძლება ითქვასო. აი, სამი ურყეველი ბურჯი, რომელიც უშრეტ ენერგიად უდგას ქართველი ერის სუფევასო, — დაასკვნის. ციდაზე შემოღებულ კარს ხელს აუწევს, გვადროვეთოს ნიშნად.

აი, როგორი განწყობილებით დავიარები, სოლომონ ბატონო, სულიკო ძმაო, სულიჯან საქართველოს აღმართ-დაღმართ, იმერ-ამერ სიზმარ-ცხადში, შენთან ჰაეროვან საუბრებს დანატრებული.

ვიდრე ხვალ?!

ამ თემასაც მრავალ პიროვნებას მივაზომავ, ბატონო, სოლომონ, სულიკო ძმაო, სულიჯან, მრავალ ნაპირს მივასადგურებ, მაგრამ ზოგს გამბედაობის ალმური ეუკმარისება, მრავალს მამონას მოთაყვანეობა დაუხშობს კარს, ბევრს ანალიზის, განჭვრეტის სიმწირე შეუკრავს გზებს, სხვათა — ორცხენზე ჯდომა — მწუხარე სახის რაინდის როსინანტია იგი თუ სულაც ტროასი და ამ გადასახედიდან რომ მოვავლებ მზერას ჩვენს მემლექეთს, აგაგაღა შემრჩება ხელთ, რომელიც პიტალო კლდეზე აღაშენებს თავის ეკლესიას, ჯოჯოხეთის ბჭეთაგან შეუმუსვრელს, და უცხო თვალისათვის თითქოს ზღვასავით ბობოქარი, შინაგანად კოსმოსური სიმშვიდით ეგებება უზენაესის გამოცხადებას.

ხეტიალის მახრას და საღერღელს ჩემს განუმეორებელ მოძღვარს, ბატონ ნოდარ ტაბიძეს უნდა ვუმადლოდე. სტუდენტობამდე ოტობაიას რადიუსით განიზომება ჩემი თვალსაწიერი: ზუგდიდი, გალი, მახარაძე — აწინდელი ოზურგეთი, გუდაუთა, ქუთაისი, თბილისი, კრასნოდარი, რადნიაკოვსკაია; ასეთი ოკრობოკრო მარშრუტით შემოიფარგლება ყმაწვილკაცის სარბიელი თეთრი ტაძრის კარიბჭის შეღებამდე; მერე და მერე კი უფრო მიზანსწრაფული შეიქმნება თითოეული სვლაგეზი, მეტადრე პატროფილური, სამშობლოს ღობე-ყორეს მთელი სიგრძე-სიგანით შესატკბობად — ატლანტიდა, დიოსკურია, ოტობაია, პალიასტომი...

ყოველ შაბათ-კვირა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის „პაზიკით“ დავჯაყჯაყებთ მამულის ხევ-ხუვებში, ეკლესია-მონასტრების გალავნების ასწლოვანი ხავსის შემოსაძარცვად, ქარით გაჯერებული სამრეკლოების იდილიური მყუდროების წასართმევად, უამრავი ციცაბოს დასალაშქრავად უკარება ასულების წინაშე თავმოწონების წადილით. შიგადაშიგ ეს მსვლელობანი ათასობით კილომეტრსაც გადასცდება საბჭოეთის მასშტაბით და გულწრფელობის მადლმა, თამამად შემიძლია განვაცხადო: უნივერსიტეტიდან არაფერი შემიძენია ხუთი წლის მანძილზე ექსკურსია-ლაშქრობების ქარავანთა და სტილისტიკის სწორ-მრუდი შალაშინის გარდა თავისუფალი თემების ჩხიბვისას.

განსაკუთრებით სამახსოვრო სამთვიანი არდადეგებია ჩემთვის. ეს პერიოდი მშობლიურ ოტობაიასა და ფიჩორში სალაყუნოდ როდი გამეხარჯება, ძმობილო. მესამე შრომითი სემესტრის ჩინოსან ხალხს ყელგამოწევით დაველრიჯები, უკვე დაკომპლექტებულ რაზმში ჩავირიცხები და ხელად შევეთვისები კობიაშვილებს, დვალებს, ტიბუებს, შავლიაშვილებს, სხვათა. მერმე მატარებლის ბორბლები დაიხვევენ შუაზიის ტუნდრებს თუ ზღვასავით დანაოჭებული უდაბნოეთის ქვიშნარებს.

სხვაგანაც აღმინიშნავს, რომ ჩახმახის გამოშლას მეოთხედი საუკუნეა ზურგი ვაქციე. კრამერის ჩინებული ფილმი „დალოცე ბავშვები და ცხოველები“ გამაგდებინებს თოფს ხელიდან სამუდამოდ. კინოლენტიდან შემდეგი დედააზრი იკითხება: რომელიღაც კოლეჯის თუ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ნაქურდალი მანქანით მიემგზავრებიან რეზერვაციაში დამწყდეული ბიზონების გადასარჩენად. უქმე დღეებში აქ ხალხმრავლობაა. ათობით ჯიბესქელი მონადირე მოაწყდება ცოცხალ სამიზნეს ფუქსავატი ცხოვრების გასაეგზოტიკებლად. საკუთარ სისხლზე ფეხი უცურდებათ დახოცილ ბიზონებს. შეკრულია ბედისწერის რკალი, ხოდა, გულფიცხელი ყმაწვილები „ჯიპით“ გამოენთებიან ქართადან გამორეკილ პირუტყვებს; დგანდგარებს ხმელეთი ველური ჯოგის ფეხქვეშ, ამოიტყორცნება ჩლიქებისგან ბელტები ხაერ და ხაერ. უხარიათ ონავრებს — ტყუილად არ გადაუსერავთ კილომეტრები, მილები; ყიჟინას დასცხებენ ხოლმე კეთილშობილური საქმით მხრებში ამაყად გაშლილნი, მაგრამ ბიზონების კრებულს მხოლოდ ხასხასა ბექობამდე ეყოფა ბედისწერისგან გაღწევის ცხოველმყოფელობა. გადმოდგება სერზე თვინიერი, ქედდადრეკილი, ლორთქო ბალახს ძალუმად მიძალებული.

— დალოცე უფალო, ბავშვები და ცხოველებიო, — კივის კრამერის სული, მაგრამ წუთისოფლის ხვანჯებს არაფრად ეპიტნავება მშვენიერი და ამაღლებული ფასეულობანი; ქვენა კანონებით მზვაობრობს ყველგან და ყველაფერში. ხოდა, იმ ფილმის მოხილვის მერმე სასხლეტის მოკაუჭებულ ენას უხსენებელსავით განვრიდებივარ. „ბერდანკას“, „შაშხანას“ თუ „ზაუერის“ წარმოდგენისას უმალვე ხსენებული სცენით ამოივსება ხოლმე მინდიას გაორებულ ცნობიერებას მიმგვანებული ჩემი მეობა, იმ საცოდაობითა და შეგონებით: ცხოველებიც იგივე ადამიანები არიან, ოღონდ ნაკლებად ენაგატლეკილები, ნაკლებდა ქვეშქვეშანი და მოუხეშავნი თითქოს.

მარტოკა ბავშვები ემსგავსებიან მათ პირველყოფილი სიანკარით, ასე რომ, ამიერიდან ბიზონისთვის, აქლემისთვის, კამეჩისთვის თუ გნებავთ მოყიპყიპე იხვისთვის თოფის დამიზნება ჩემთვის იგივეა, რაც საკუთარი შვილებისთვის ლულის მიშვერა; ქრისტეს ჯვარცმის ბადალი გოლგოთის მოხრიოკებული თხემის სიახლოვეს, თუმცა, აი, თევზაობის აზარტს ვერაფერი მომაშლევინებს. თითქოს ისინი უმნიშვნელონი იყვნენ ბუნების ვრცელობაში სიცოცხლის პოზიციიდან; თითქოს

თევზებს ნაკლები უფლებამოსილება მონიჭებოდეთ ცისქვეშეთსა თუ წყალთა შინა უშფოთველი არსებობა-სუფევისათვის. მერე რა რომ ძუძუმწოვრებზე დღე-ღამით ადრე გაჩენილან ცაბაოთის განგებით?! მაგრამ მოვეშვათ ყოველივეს და ამოვიბერტყოთ გულიდან — მონადირე-მესათხევლეებთან სჯა-ბაასი მქცევია-მეთქი სიცოცხლის კრედოდ; იგივე მწყესმებთან შირაქის ზამთრის საძოვრებიდან თუ ჭურიის ჭორომებიდან: იროდი სართანიასთან, ვალიკო ფიფიასთან, იპო ფაჟავასთან თუ ნუგო ბიჭიასთან;

ტიუმენის ტყისმჭრელებთან;

მეუდაბნოებთან ბიშკულის არეალში;

თერმული წყლების მაძებარ გეოლოგებთან: მერაბ აფციაურთან, ავთო დუნდუასთან, თემურ ჩიტაიშვილთან, ოთარ ლომთათიძესთან კოლეგა ჯემალ დავლიანიძის გადანადირებულ ყიზლარში.

არქეოლოგებთან ზღვისპირა ზოლში ერგეტა-ფიჩორის დიხაგუძბებთან, ამ ბუდიდან ამოცვენილ ხალხთან, რომელთა უმეტესი ჩინებულად გაწაფულა „პრეფერანსში". უთო და ჯაგრისი დავიწყნია მათ გაქერქეტებულ ტანსაცმელს. არც სამართებელს და წმინდაკბილა სავარცხელს დაგიდევენ რამედ. ჩვენ- თვისაც სამახსოვრო კონსერვების ცვენაა „გაკირპიჩებული" პურის მხარდამხარ. ეწევიან ყოველი ჯურის სიგარეტს, მერმე ნამწვავებში იქექებიან ნიკოტინისგან გაყვითლებული თითებით. ხოდა, დამერწმუნე, არაფერი სჯობია მათთან გადაღამებას, მუსაიფს თუ შეკამათებას, თუმცა წინასწარვე იცი ათასი გამოგონილი და წამატებული შემოცურდება ცნობისწადილით დაინტრიგებულ შენს მეობაში:

ზოგჯერ ორმეტრიანი ფუმფულა კუდის მელია ამოხყვება მსმენელის აღქმის დიაპაზონს, რომელიც საუბრის დასასრულს ორ ციდამდე დადის;

ხან წისქვილს შეჩვეული დედაღორი ბრუნდება კერტებს გამობმულ ანკესებზე კალმახების სხმარტალით;

როდის ტუტანხამონის თუ ნეფერტიტის ნიღბების ასლი ამოშუქმეტდება პრეისტორიული სამაროვანიდან;

აქა-იქ მილიარდობით ბარელი ნავთობის საბუდარს წამოკრავს წერაქვს რესპოდენტი შენი, და უმზერ, უსმენ ყეყჩის თვინიერებით, უწინარესად თხრობის მაღალფარდოვნებით მონუსხული.

მიუნხაუზენის გამომგონებლობა კი უსასრულოა. ცხადის და წარმოსახულის აჯაფსანდალით იძეკნება შენი ყურთასმენა მუშვანურ ზესხორას მსგავსად, ხარის სისხლით რომ დაგლერტდება მოუღლელი ხოჩა დინასგან და ყოველივე მირაჟის ტოლფასი რომაა, ჩინებულად უწყიან ამის თაობაზე სიტყვის დიდოსტატებმა.

რუსთველიდან მოყოლებული ნადირობა შეუცვლელი თემაა მეხანგე-მეიგავეთა: თოფი, სამასრე, პატრონტაში, ვაზნა, ფალია, ჩახმახი და სასხლეტი. უფრო შორეული წლებიდან არქანჯელო ლამბერტის რწმუნებით ყიჟინას დასცხებენ მარეკები უშველებელი ხელკეტების ხაერში ტრიალით და გოლიათ მუხებზე მიჯახუნებით: მშვილდი, ისარი, ლარი და მკლავის ჯანი თანაბრად ატყვევებს როგორც ხომეროსის სასიძოების ღრეობას მიყურადებულს, ისე აითმათოვის ჩინოსანთა ვეტმფრენებით გამონთებას ავტომატებით საიგების ჩასახოცად. მგლების ბოკვერებსაც აიდევნებს ეს ამაზრზენი ორომტრიალი და გადაითქერებიან კიდეც დაფეთებული ჯოგის ფლოქვებით. ამორძალებიც ამოცურდებიან ხოლმე ფაფარაწეწილი მერნებით თვალსაწიერიდან, ეს შანთით მარჯვენა ძუძუდაშრეტილი ამორძალები ბავშვობიდანვე და მამაკაცური ხმიანობით მზით გადატრუსულ ტრამალებს აამტუტებენ ქველთობის მიწურულს გაქონილი ისრების ზუზუნით.

ვაგრძელებ, მედიტაციას იმ მიმართებით, რომ მწერლისთვის ამოუწურავი საბადოა მონადირულ-მოგზაურული თემები თხზულებათა წარუშლელი სახეებით შესაკმაზად. დიდი ილია და ბატონი კონსტანტინე ორლულიანებს მაინცდამაინც იმისთვის როდი ბღუჯავდნენ, არიქა, შვლის ცურის მწვადით თუ მწყრის ჩახოხბილით რამეფრად ვაზეიმებთ ნამარხულევ არსებობასო. არამც და არამც, ბატონო სოლომონ, სულიკო ძმაო, სულიჯან. ხელოვანისათივს აბჯარზე ხელის წამოვლება იგივე თემების მოსანადირებლად წამგზავრების ტოლფასია. აქ ეჭვისთვის ნიადაგი გამოცლილია. მეტიც, მწერალი გაცხოველებულის ჟინით ეთვისტომება ბუდიდან გადმოვარდნილ მეხუნდეს თუ მემიმინოეს, წეროებისკენ რომ უბიძგებს დაურვებულ ტყიურს ტყავწამოცმული ცერით.

ეს ყველაფერი ხეტიალის თაობაზე ბუნებასა შინა, მაგრამ ასგზის და ათასწილ მიმზიდველია მოგზაურობანი რეალური ადამიანების სულებში, განსაკუთრებით მონეტასავით მოჭრილ პიროვნებათა წიაღ, სადაც ზოგჯერ მარტენის ღუმელივით თუხთუხებს ფოლადი ან კიდევ ანტრაქტიდის უსაშველო ყინულეთის ქარავნებია.

ბუნება არ გეწინააღმდეგება ხეტიალის ჟამს, უდაბნოეთია, ტუნდრა, ჭიუხები თუ ჭანჭყრობთა

დასტები, მკერდგაღეღილია დამთვალიერებლის შემოსანაკადებლად, მაგრამ ძეხორციელის არსება ათასნაირი საკეტურითა და ანჯამა-რაბით მოიზღუდება ინდივიდუალობის შესანარჩუნებლად.

ბუნებისგან განსხვავებით უფლის მიერ თიხისგან ნაძერწს მისხლის, ფთილისხელას გამჟღავნება უმძიმს უცხოთათვის; უმძიმს კი არა ლამის სიკვდილის ტოლფასად მიუჩნევია გადამთიელის სულთსაცავში შემოშვება; გაგიმჟღავნებს, ხელისგულზე გადაგიშლის იგი მეორეხარისხოვანს, უმნიშვნელოს, მაგრამ, აი, ძირისძირამდე საკუთარს, წარუშლელად ჩაჩნეულს სულის გაუბზარავ ეკრანზე, არაფრისდიდებით გაიმეტებს, გნებავთ მსოფლიოს საგანძურეთი დაულაგო ფეხებთან, — არაფრით მოგიბოძებს იმ ერთადერთ სიმდიდრეს, უფალმა რომ უწყის მხოლოდ ცისქვეშეთში.

დიახაც, გალაკტიონის ლექსის დიქტატია: **ვერ მომტაცებს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი, საიდუმლოს ვერ წამართმევს ქალის ხვევნა და ალერსიო** და ყოველივე ამის ერთადერთი მოყურადე-მცველი ვრცეული ღამეა, იგივე უზანეასი ძალა ჩვენებურად; და რაჟამს ადამიანთა სულების დასალაშქრავად გამოეშურები დონ კიხოტის როსინანტებით და რადროს ეს ინდივიდუუმები ქარის წისქვილებივით დაგიხვდებიან ცნობისწადილის გაზიარების სანაცლოდ, მიმიხვდებით რანაირი ჭირთათმენა ჩასაფრებია ნებისმიერ თანამოკალმეს ჩემსას; მაგრამ როგორც ყველგან და ყოველთვის, მე ზეციერის მადლიანი ხელი მაფარია თავზე და შენს უწრფელესი ფიქრების ვრცეულობაში შეღწევას თუ ვცდილობ, ესეც ცაბაოთის ნებითაა აკვნიდანვე დაბედებული მისტერიების აღსასრულებლად.

სულის მოუთქმელად მოხვეჭილი პასაჟები ჩვენი ოცდაათწლიანი ძმადნაფიცობისა შემდგომი საუბრის უმთავრეს სადინრად მიმიჩნევია, მაგრამ ბელეტრისტული მატიანე მიზანი და მიმართულება უამრავ ნაკადულს შემოინაკვთებს მკითხველთა წაუთვლემლობის საწადელით და არტერიასავით ძალუმად მფეთქავი ძარღვი მარტოსული ხეობის მახვშის — ვალიკო მესხიასა და რომან-ტრიადა ,,სიცოცხლემისჯილების'' მთავარი გმირის — ჟინი ანთარიას პროტოტიპის, ეროდი სართანიას დაუსრულებელი კამათის ავანჩავანში გარკვევა წამომესახება გადასალახავ ბარიერად.

ასკაგუბურელი მეფუტკრე, უბატონო გვარის შთამომავალი ვალიკო მესხია, ჩემი მეგზურია სიმინდების შეტაროვების ჟამს, იგივე ოდოშღერის პერიოდში, როცა ბალახებში მწყერი იწყებს ქვითქვითს და ჯაჯის ტბიდან დაფორაჯებულ ბოლოებს აადგაფუნებენ ქვირითით მუცელგამობერილი თევზები. მაგრამ ზღვისპი- რეთის ჭაობნარის ბინადარი მეტყველ ეროდი სართანიას მსოფლგანცდა აბსოლუტურად გამორიცხავს წინამორბედს.

ვალიკო მესხია პირწავარდნილი ლელთ ღუნია თუ გახლავთ მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოში, ჭურიის სანახების ეგერი გამოუსწორებელი ფაუსტია, მინდია, დახავსულ რიყის ქვასაც კი მსოფლიო კანონზომიერების შემადგენელ ნაწილად რომ აღიქვამს და აქ პატრიო- ტუ ლსა და კოსმოპოლიტურს შორის საძნელოა ზღვარის დადგენა, მით უფრო — უპირატესობის მოხვეჭა ზოგადკაცობრიული ფასეულობების პლატფორმებიდან.

ეს ბუმბერაზი ტყაჩუც შენი განსაქიქებელია, პლუტარქეს შეგირდო, უკაცრავად პასუხია და ასარწყავი, ამოსაცნობი. აქ ხომ ყველაფერი აისბერგივითაა წარმოდგენილი. ვალიკო მესხია წყაროსავით თუ კამკამებს, ბინულივით მომჩქეფარებს მამულიშვილური საქმეების სიცოტავით გახრიოკებული სულების უდაბნოეთში, ეროდი სართანია, პირიქით — ოკეანესავით დაქვანთებულა, რომლის ძირისძირში ყველაზე თამამ მყვინთავსაც გაუჭირდება ჩაღწევა, თუმცა მარგალიტებით გამოტენილი ნიჟარებითაა სავსე ის ფსკერი. მეტიც, სულ ოდნავი ძალისხმევაც საკმარისია, რათა სუნთქვა დაიწყოს სტიქიამ, აბორგდეს ტალღები, გამეხდეს, ზვირთების საფეხურებმა ცას უწიოს ვარსკვლავების ჩამოსაწყვეტად. ამისთანა გამძვინვარების შემთხვევაში თავად ფსკერიც ამოიდგამს ენას ზღაპრულ ფენომენივით და ზეამოსტყორცნის ხოლმე იმ მარგალიტებით გამოტენილ იმ ნიჟარებს ვინმე ქუდბედის მოსახელთებლად. მაგრამ ჩემთვის დასადგენია ნაპირ-ნაპირ წავეხეტები მათ მოსაგროვებლად, სამოხიელო, თუ ჩვეული სითამამით ფსკერისკენ დაუმიზნებ, მომატებული წნევა ყურებიდან სისხლსაც რომ წამოგადენს ხოლმე იმ სიტომბისკენ. რაც მთავარია, ეს ორი გმირი, ეს ორი პერსონაჟი— ვალიკო მესხია და ეროდი სართანია, თავად ბუნებას შეუხვედრებია ერთმანეთისათვის და მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა აწ აბსურდია.ასეთი და ამგვარია ჩვენს ღაბაჩთან მისასვლელი ციცაბოები, დედუ- ლეთის არქივარიუსო, და, რადგანაც ერთხელ დავძრულვარ მისკენ, რატომღაც იმედი მრჩება, სიზიფეს შრომად არ დამრჩება მუყაითობა ესე. ამ მუშაკობის უმთავრესი მიზანი ხომ ისევ საქართველოა, მისი დღევანდელობა, მისი წარსული და რაც მთავარზე უმთავრესია, აფთიაქარის სასწორით ასაწონი მომავალი, მერმისი, ჯერაც ჭირვეული ბავშვივით მოსავლელი და ესოდენ დაკლაკნილი გზიდან სწორ თემშარაზე დასაყენებელი.

— მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, გულადი, ძვირფასო, ბატონო გური, ნდობის გამოცხადებისათვის.

ასეთი რამ პირველად ხდება ჩემს ცხოვ- რებაში— მეგობარი მეღაბაჩებოდეს და გამოგიტყდები: ყოველივე უფლის ძალისხმევა მგონია.

ბრაზილიიდან დაბრუნებულს მაგიდაზე რომ დამხვდება ლამის ას გვერდს გადაცილებული ნაშრომი, შენი მიზანდასახულობის წინაშე ერთგვარი პასუხისმგებლობა გამიჩნდება. თავს ძალას ვატან, ისედაც დაძაბულ სამუშაო რეჟიმს აქა-იქ დროის გარკვეულ მონაკვეთს ჩამოვაციცქნი და, ახა, მესამე კვირაა შეძლებისდაგვარად ვუკირკიტებ წარმოდგენილ პრობლემას.

საერთო ჯამში შეხების უამრავი წერტილი გვქონია, მაგრამ არის პრინციპული განსხვავებაც და ამის თაობაზე მინდა გესაუბრო.

კრამერის კინოლენტიდან დავიწყებ. თუ არ გადავჭარბებ, რამდენჯერმე ვნახე ეგ ფილმი. მე საერთოდ კრამერის მოტრფიალე ვარ. დიდი აზრის მატარებელი რეჟისორია. დღემდე მახსოვს მისი „გადაჯაჭვულნი", „ხომ ხოცავენ ქანცგაწყვეტილ ცხენებს."ბიზონებზე შექმნილი საგაც მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთების ნაყოფია. ყველაზე დიდი ტრაგედია თურმე ცხოვრების ნორმად უბედურების გახდომა ყოფილა. ამ შემთხვევაში ბიზონებიც იგივე ადამიანთა საზოგადოების სიმბოლოა, რომლებსაც ცხოვრება აიძულებს შეეგუონ საკუთარ სიდუხჭირეს. გარდაცვალება უკვე არარაობად ქცეულა მათთვის. ისინი იცოხნებიან სიკვდილისათვის და ეს არის დამანგრეველი გულგრილობა საკუთარი მომავლის თუ უმომავლობის წინაშე.

მახსოვს ასეთი ტილოც: ქრისტეს ჯვარცმაა გამოხატული. მხატვარს ვერ ვიხსენებ სამწუხაროდ. იმდენად გულგრილია იესო საკუთარი წამების მიმართ, რომ თავიდან პრიმიტიულ ნახატადაც მივიჩნევ, მაგრამ როცა გიდი განმარტავს: ჯვარცმამდე იმდენი ტკივილი გამოუვლია უფალს, უკვე ლურსმანი ლამის არარაობად ქცეულა მისთვისო, მემცხეთება. მეც ეს ტილო გამახსენდა რატომღაც.

ერთდროულად მწერალ-პუბლიცისტ-ისტორიკოს- ფილოსოფოს თან მიწევს საუბარი, და რადგანაც ერთობ უხერხულ თემას შემაჭიდე, აწი უკან დახევას არ ვაპირებ. ყველამ იცის, რომ სულიკო პავლიაშვილს უკანდახევა არ სჩვევია.

რუსოფილური გრძნობების გაღვიძებაზე მსჯელობ; ჩრდილოვან ეკონომიკაზე საუბრობ, რომელიც სავალალოდ ჩვენი ცხოვრების აქილევსის ქუსლად ქცეულა.

ცოტა დილეტანტური მეჩვენება „სახსრების გადაქაჩვა უცხოეთის ბანკებში", მაგრამ ვატყობ, არსებითად ალღო არ გღალატობს. ზოგი შენეული თვალსაზრისი წინასწარმეტყველურიცაა, თუმცა გასაკვირი რაა, მწერალი ფართო დიაპაზონის პიროვნება უნდა იყოს წესით.

მართალია, სამთავრობო სივრციდან ოთხი წლით ჩამოშორდნენ „ედეპეელები", „სახალხოელები", „ლეიბორისტები" და სხვანი, მაგრამ მნიშვნელოვანი ძალები მაინც მოვიდნენ ახალ პარლამენტში და ეს მიმაჩნია ჩვენი ეროვნული შერიგების სერიოზულ სტადიად. როგორც ჩანს, ჟურნალისტთა ფედერაციაში ეროვნული თანხმობის დარბაზის მრავალეტაპიანი შეხვედრები, ავად თუ კარგად, თავისი შედეგებს გამოიღებს. ერთობლივად მივალთ საგულისხმო ნიშნულამდე, მივალთ თანამშრომლობის შეგნებამდე. დარწმუნებული ვარ ბატონების: მუხრან მაჭავარიანის, ელიზბარ ჯაველიძის, ვახტანგ ბოჭორიშვილის თუ სხვათა პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა სასიკეთოს მეტს არაფერს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

მომდევნო წერილი „ერთი სამშობლო სჯობია ორს" ერთგვარი გაგრძელებაა პირველისა. იქ ციფრების ფილოსოფიით შეფარულადაა გადმოცემული შენი პიროვნული სიმპათიები, მაგრამ პოლიტიკური სურათი, რომელიც გამოკვეთილია სადღეისო ვითარებით, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

მართალია, გამჟღავნებულია სიმპათიები ევროპული, ამერიკული ფასეულობებისადმი, მაგრამ ქვეყნის ორიენტაციის საკითხს ვიდრე საბოლოოდ გადავწყვეტდეთ დიდი დაფიქრება გვმართებს.

„ნავთობსადენი" და „აბრეშუმის გზა" საქართველოს რეალური გადარჩენის მიმართულებანი რომ გახლავთ, აქ ეჭვის შეტანა უსაფუძველოა, თუმცა დავამატებდი, რომ ვინემ საქართველო სრულ თავისუფლებას არ მოიპოვებს, მანამდე იგი ყოველთვის იდგება ალტერნატივის წინაშე. სრული თავისუფლება კი, მოგეხსენება, ლამის მიუღწეველია: შესაძლოა ქვეყანა ახორციელებდეს ეროვნულ პოლიტიკას, მაგრამ ის გარკვეულწილად გადაჯაჭვულია დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური არტერიებით და აქედან გამომდინარე — სოციალურ-პოლიტიკური გაგებითაც. ბედნიერებაა, როცა არჩევანი ცივილური ფენომენისკენაა, ვინაიდან მაღალგანვითარებულ მწარმოებლურ კულტურას მოსდევს ერის ცნობიერების შემობრუნება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისკენ.

მოშველიებული მაგალითები ფარტაზისა და აიეტის დროინდელ საქართველოზე, ერეკლე მეორეს ტრაქტატზე, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია, მაგრამ თუ არ მიწყენ, მაქსიმალიზმი იგივე ცალმხრივობაა. ამაზე უფრო დაწვრილებით ვალიკო მესხიასა და იროდი სართანიას ცხოვრებისეული გამოცდილების ანალიზისას ვიტყვი. აქ კი შემიძლია გაკვრით ვახსენო, რომ რუსეთთან ორასწლიანი ურთიერთობა ქართულ ცნობიერებაში გარკვეული სიმპათიითაა ჩამოყალიბებული.

ჯერ ერთი, ენობრივი ფენომენი ავიღოთ. ქართველი კაცი, გვინდა თუ არა, მეორე ენად რუსულს აღიარებს, როგორც საურთიერთობო საშუალებას. ამიტომაც გავრბივართ ჩრდილოეთისკენ ლუკმა-პურის საშოვნელად გაცილებით მეტს, ვიდრე— ევროპასა და ამერიკაში. ისედაც გაჭირვებულ რუსეთში ანაზღაურება შედარებით დაბალია, ვიდრე სხვაგან, მაგრამ ენობრივი ბარიერის გამო, კვლავ შეჩვეულ ჭირთან ყოფნა გვირჩევნია. ამას დავუმატოთ ჩვენი მოურჩენელი სენი — დემოგრაფიული სიჭრელე, არაქართული მოსახლეობა ხომ თითქმის რუსულენოვანია ტრადიციულად. ყოველივეს გათვალისწინებით ქართველისათვის ერთიორად იოლია ურთიერთობა რუსთან, მიუხედავად იმისა, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი წაგვართვა, ბომბავს პანკისის ხეობას, ხევსურეთს: ჩვენი სისხლი დაღვრილა იქ ვითომ მცირე ერების ქომაგობის, მათი ინტერესების დაცვის საბაბით. სინამდვილეში ჩამოგვაჭრა ძირძველი მიწები და მსოფლიოს თვალში მუჭა ხალხთან, აფხაზებთან და ოსებთან დამარცხებულადაც გამოვყავართ. რომელი ჭკუათმყოფელი ირწმუნებს ამას?

ჩვენ ტრადიციული შეუპოვრობით ვებრძოდით იმპერიის მძლავრ მანქანას, ვებრძოდით კბილებამდე შეიარაღებულ, ავღანეთის უსამართლო ომში გამობრძმედილ ,,ბოევიკებს'', მოხალისეებს ნურას უკაცრავად — დაქირავებულ ბანდიტებს; ვებრძოდით და ვიხოცებოდით გუშინ თუ გუშინწინ მიწის მუშა ხალხი, სტუდენტობა, ინტელიგენციის ნამდვილი პატრიოტი წარმომადგენლები. ბევრს ავტომატის დაშლა-აწყობის მეტი არაფერი ემარჯვებოდა, მაგრამ მაინც ამ გაუგონარ დაწოლას თვეობით გავუძელით და მიუხედავად ყოველივესი, ჩვენ რუსებთან ყველა სულიერი არხი ხელაღებით არ უნდა გადავჭრათ, ძმობილო!

რუსი გლეხი, მუშა და ინტელიგენტი, დამეთანხმები, განსაკუთრებული უბრალოებით გამოირჩევა. ჩვენ არ უნდა გავაიგივოთ სახელმწიფო მანქანა ხალხთან.

მართალია, ხშირად გაიგონებ მოარულ ფრაზას: ხალხი თავისი ხელისუფლების ღირსიაო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ამა თუ იმ საზოგადოებას რა ძალები მართავენ — სამხედროები — ფარულად თუ აშკარად; ხალხი, რომელთაც უპყრიათ ატომური იარაღის სამართავი პულტი და აქ ცეცხლთან თამაში სახიფათოა.

საქართველოს რეალურ თავისულებას იმიტომაც ვახსენებდი ზემოთ, რომ ვიდრე ერს არ გაურკვევია საკუთარი ბედ-იღბალი დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებაში, ვიდრე არ მოუპოვებია საკუთარი თავის მართვის ბერკეტები, ის ყოველთვის დამოკიდებული იქნება ვიღაცაზე. ამიტომაც ამნაირ ქვეყანასთან გაფორმებული ნებისმიერი კონტრაქტი, ყოველთვის ნაკლებმომგებიანია თავად ერისათვის, ვინაიდან მას შეზღუდული აქვს ფართო არჩევანის უფლება. ის ჯერდება შემთხვევითს. არათანაბარია პარტნიორობის პირობები.

ძნელია დაასახელო დღევანდელი ინვესტორი საქართველოში, რომელსაც მეტი არ გახქონდეს, ვიდრე ტოვებს. მხოლოდ ნამდვილი თავისუფლების პირობებში შეძლებს ქართველი ხალხი ღირსეული კომპანიონების მოძებნას. ხოდა, ამისთანა ვითარებაში ხელაღებით განვაცხადოთ: მაინცდამაინც ამერიკულ-ევროპული ფასეულობანი გადაგვარჩენსო, ცოტათი წინდაუხედაობა მგონია, ოტობაევსკი! ამაზეც მეტი ხანგრძლივობით გიპასუხებ მოგვიანებით. ჩვენ ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან უნდა ვითანამშრომლოთ ურთიერთხელსაყრელი პირობით. აქ კი დამატებით შემიძლია გითხრა, რომ იმპერიალისტური ზრახვები ნებისმიერი დიდი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

ინგლისი გავიხსენოთ — ნახევარი მსოფლიო ხქონდა დაპყრობილი.

იგივეს აკეთებდნენ თქვენი პროვინციები მარჯვნიდან და მარცხნიდან: საფრანგეთი, გერმანია, გნებავთ — ამერიკა თუ ჩინეთი. რუსეთი ამ შემთხვევაში გამონაკლისი სულაც არ არის.

რუსეთი დღესაც იმპერიალისტური ჩვევების ნოსტალგიით სულდგმულობს, ძალის პოლიტიკით ცდილობს ზეგავლენების შენარჩუნებას, რასაც უკვე სხვანი ბიზნესით, დოლარით ახორციელებენ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს კანიბალური წესით შეგჭამენ თუ დანა-ჩანგალით? შედეგი ხომ ერთია?! ჩვენ ჯერ სრული თავისუფლება უნდა მოვიპოვოთ. ამისთვის კი აუცილებელი პირობა ერის სულიერი მთლიანობაა, რომელსაც ჩემის ღრმა რწმენით დღევანდელმა პარლამენტმა უნდა დაუდოს საფუძველი. ეროვნული ძალები საკმარისი დოზითაა წარმოდგენილი ამჟამინდელ კანონშემომქმედებაში და აწი ყველაფერი საერთო ძალისხმევაზე ხკიდია.ზემოთ დასახელებული კოლონი-

ზატორებისაგან თითქოს განთავისუფლდნენ: ინდოეთი, აზიის, აფრიკის ქვეყნები, ლათინური ამერიკა, მაგრამ შევხედოთ რა ენაზე აწარმოებენ ისინი ცხოვრებას? ინგლისურზე, ესპანურზე, პორტუგალიურზე, გერმანულზე და ასე შემდეგ.

ჩეჩნეთის ომი აშკარა აგრესიის ნათელი დადასტურებაა. იქ კაცობრიობის თვალწინ ,,ტეროროისტებად'' მონათლულ ადამიანებთან ერთად იღუპებიან უდანაშაულონი: ბავშვები, მოხუცები, ქალები და ამას დანარჩენი მსოფლიო ვერაფერს უპირისპირებს, ვინაიდან ის დოლარით კლავს ადამიანებს. ასე რომ, დაფიქრება, დიახაც, გვმართებს.

საქართველოს მომავალზე ვისაუბრებთ, ალბათ, სათანადოდ, წიგნისთვის კი ანოტაციის მაგივრად გასაოცარი ფოტო რომ შეგირჩევია, დიდად გამახარა. უკეთესი შინაარსის შემცველი მასალის მოშველიება შეუძლებელიცაა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს თავისუფლებისკენ სწრაფვაზე. ასეთი დაკლაკნილი, ზიგზაგიანია ჩვენი ისტორიული გზა სანატრელი მომავლისაკენ.

ცხრა ტალეირანს გაუჭირდება შენს მიერ წარმოდგენილი საკითხების კომპეტენტური შეპასუხება, მაგრამ, რადგანაც ამდენი გიშრომია, სხვა რა ჩარაა, შეძლებისდაგვარად უნდა აგყვე, იქნებ ორიოდე ჭკვიანური აზრი მეც წამომცდეს, მით უფრო, რომ პოლიტიკაში თხუთმეტი წელია ვტრიალებთ დიდ-პატარა.

მომეწონა შენეული განმარტება პოლიტიკოსისა და მწერლის თაობაზე, თუმცა შეკამათება აქაც შეიძლება. პოლიტიკოსი თავისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა ზოგჯერ მოზომილ სიტყვას ამბობდეს, ყველაფერი სააშკარაოზე არ გამოხქონდეს, ოღონდ საერთაშორისო მასშტაბით. ქვეყნის შიგნით კი ნებისმიერი ფრაზა გაცნობიერებული, გამჭვირვალე უნდა იყოს ისევ და ისევ ქვეყნის მომავლის სასარგებლოდ.

,,ბათუმური ალიანსის'' წინააღმდეგ ერთგვარი ისტერიკები შეიქმნება წინასაარჩევნო პერიოდში, მაგრამ მე რომ მკითხოს კაცმა, ბატონი ასლან აბაშიძე, მიუხედავად არსებული ზოგი გაუგებრობისა, აუცილებელი მომენტია ქვეყანაში ძალთა დაბალანსების თვალსაზრისით. ევროპული სივრცისკენ ლტოლვას გარკვეულწილად ,,ბათუმური ალიანსიც'' აჩქარებს, ვინაიდან ე.წ. მისი რუსოფილური პოზიცია ერთგვარი საბუთია მსოფლიოს წინაშე რეალური სურათის დასახატავად. ესეც რომ არა, ,,ბათუმური ალიანსი'' ნამდვილად მოახერხებს ეროვნული ძალების მოყვანას დღევანდელ პარლამენტში, რომელიც თავისთავად, დარწმუნებული ვარ, კონსტრუქციულ ოპოზიციად მოგვევლინება ნებისმიერი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტისას.

რაც შეეხება მწერალს, აბსოლუტურად მართალს ბრძანებთ: ერთი საფიქრალით უნდა იაროს, ერთი სიტყვითა და საქმით, თუმცა ეს სულაც არ ნიშანვს პარლამენტს გარეთ აღმოჩნდნენ ისინი: ნიჭიერი მწერალი, ნამდვილი მამულიშვილი, მჯერა, ჩინებულ პარლამენტარადაც ივარგებს.

ისტორიულ გადაწყვეტილებათა წინაშე რომ ვდგავართ, აქ ეჭვის შეტანა უვიცობაა და გადაუჭარბებლად შემიძლია დავასკვნა: ყოველი შეხედულების შეჯერება, დიახაც, დღეს არის გადაუდებელი ამოცანა, აი, ჭადრაკის პარტიის ამოხსნას რომ სჭირდება პროფესიული მიდგომები, ყველა სვლის გათვლა, ყველა ჩანაფიქრის ამოცნობა და ერთადერთი მართებულის გაკეთება, იმგვარი.

მე უწინარესად მეცნიერი ვარ, შენ — მწერალი — სახეებით მოაზ- როვნე, მაგრამ ორივე ჩვენი ხალხის ნების გამომხატველი სიტყვით და საქმით და რადგანაც იმ ამაზრზენი რეალობის შემადგენელი ნაწილი გვქვია, რაც ჩვენს გარშემო ტრიალებს, საბედნიეროდ განსჯის უნარი დღემდე არ დამიკარგავს, საკუთარი შეცდომების აღიარების ნიჭიც მომსდგამს, სხვათა დანაშაულის დანახვაც ძალმიძს და არც მათი გამოს- წორებისათვის მუხლჩაუხრელი შრომა, ჯაფა და რუდუნი მეზარება.

,,დასავლურ მასქურს'' ახსენებ შენ, ,,მასქური'', ალბათ, ქარის სახელწოდებაა სამეგრელოში და რასაც შემოთავაზებული მასალის კომენტარებში ვამჟღავნებ, უფრო ჩაღრმავებულ საუბრამდე თეზისური ხასიათისაა. აღარც გამემტყუნება — მე პირველ შთაბეჭდილებას გიზიარებთ, შედარებით სამახსოვროს გამოვყოფ და გულწრფელობაში რომ ჩამომერთვას, ილიას სიტყვები მიმიჩნევია უმთავრეს ამოსავალ პუნქტად: ,,ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო'', თუმცა საკითხავია, როგორ და რანაირად? ამ პრობლემის გადაჭრა ხომ მთლად ჩვენს ნება-სურვილზე არ ხკიდია? სხვა უამრავი ფაქტორი ეღობება წინ ჩვენი თავის ჩვენადვე დაყუდნებას. მოკლედ, ვიდრე ყლაფერზე ძირფესვიანად გვიმსჯელია, გამოგიტყდებით: საქართველოს მართლაც მართებს დიდი ჩაფიქრება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მოწყობის გზაზე. ამ თვალსაზრისით ხალხის წიაღიდან წამოღებული ვალიკო მესხიასა და იროდი სართანიას სახეები მეჩვენება ნამდვილ მიღწევად. მერამდენე წელიწადია მესმის საირმელ ცოლ-ქმარზე —ზოგი კარგი, ზოგიც — ავი, მაგრამ შენი ნარკვევი გაცილებით მეტი ინფორმაციას შემძენს. პირველად შევიტყობ უბატონო გლეხები რომ ყოფილან. უბატონო სვანეთი გამიგია, ქიზიყი...

ნამდვილად მეამაყება საქართველოში ამგვარი კუთხეების არსებობა, მაგრამ უბატონო გვარი თუკი არსებობდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი.

ნარკვევში წარუშლელია გვარის ფილოსოფია. დღვანდელი ცივილიზაცია ფაქტობრივად დაუპირისპირდა გვარონულ ურთიერთობას. მან წინ წამოსწია ადამიანის ფენომენი: ინდივიდი, პიროვნება, რადგანაც ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში იზოლირებულს უჭირს თავის გატანა, უმძიმს მრავალრიცხოვანი ოჯახის გამოკვება ნათესავისა და კეთილი მეზობლის წაუხმარებლად.

მეოცე საუკუნის მიწურულის ცივილიზაცია კი თავისი საფინანსო-საბიუჯეტო სისტემებით უკუაგდებს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მონაპოვრებს. ამ შემთხვევაში პიროვნების როლში უფრო მსხვილი ეთნიკური ერთეული — გვარი გამოდის, და რამდენადაც ღონიერია იგი, იმდენად — წარმატებულიც.

გვარის მტრად ვალიკო მესხია ქალაქს ასახელებს და ცამდე მართალიცაა. განა ცოტა არის შემთხვევა, როცა ერთი კორპუსის სხვადასხვა სადარბაზოს ხალხი ერთდროულად მართავს ქორწილს და ქელეხს? ეს ხომ პატარძეულში, კაკაბეთსა თუ ოტობაიაში არაფრით მოხდება, გნებავთ შედარებით მოზრდილ ქალაქში, როგორიცაა: ქუთაისია, ბათუმი, თელავი თუ ზუგდიდი, მაგრამ თბილისმა უკვე შეაბიჯა ტიპიური ქალაქის ფაზაში და ურბანისტული ფსიქოლოგიაც თანდათან ფეხს იკიდებს იქაური მაცხოვრებლის ყოფა-ცხოვრებაში. განა ეს ჩვენი ტრადიციების გაუცხოვების შედეგი არ არის? რეალობას სად გაექცევი? ინდივიდუალიზმი ნამდვილად დიდი ქალაქების პირმშოა. ამ პროცესს ვერსად წაუხვალ.

იქ, უცხოეთში, უამრავი სახნავ-სათესი ფერმერების ხელშია. ჩვენში ხარ-კამეჩებით რომ ხნავდნენ გლეხები რამდენიმე ქცევა მიწას, საზღვარგარეთ ამ სამუშაოებს ერთი ოჯახი ასრულებს ტექნიკით. ჰ ოდა, ადამიანები მოაწყდნენ დიდ ქალაქებს. მათ დაკარგეს მიწისადმი სიყვარული, უფრო სწორად გადაეჩვივნენ ხვნა-თესვას და ქარხნებსა თუ ფაბრიკებში დაიწყეს თავიანთი შრომის უნარის გაყიდვა. მათ აქვთ საკმარისი ფული, რათა შეიძინონ საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ჩაიკეტა კაცი კოლოფისმაგვარ ბინაში და სახალხო თავყრილობების ნაცვლად რამდენიმე ათეულ არხიან ტელევიზორს მიეჯაჭვა. მას უკვე მზამზარეულად მოსდის ინფორმაციები მთელს ცივილიზაციაზე. ის უკვე თითის გაუტოკებლად მსოფლიო ინფორმაციისა და ცხოვრების ნაწილია. ხოდა, სრულიად საკმარისია მისთვის ეს ფუფუნება. რომელიმე კაფე-ბარი ამოუჩემებია ლუდის საწრუპად, რომელიმე მაღაზია — საჭირო ნივთების შესაძენად და მორჩა. სამსახური, ბარი, მაღაზია, ოჯახი. აი, ამგვარად შევიწროვდება მისთვის სამოქმედო სივრცე. ინფორმაციული სიმრავლის ხარჯზე ხომ ვერსად დავმალავთ ამ რეალობას?! მაგრამ ამავ-დროულად მეცნიერებას და ტექნიკას საზღვრები არ გააჩნია. ამისთანა ქვეყნებში ქალაქი ქალაქსაა გადაბმული, მიუხედავად სახელმწიფოებრივი განსხვავებულობისა. როგორ გინდა ახლა მათ ყოფიერებას გვარონული აზროვნების საზომით მიუდგე?

საქართველო ერთი ციცქნაა მსოფლიოსთან შედარებით. დიდი ქალაქების პერსპექტივა ჩვენს ქვეყანას ნაკლებად გააჩნია რელიეფის გათვალისწინებით. საამისოდ თბილისის მაგალითიც იკმარებს. რამდენი დასახლება შევმატეთ მას ჩვენი წინდაუხედაობით? არ გვერჩივნა ქვეყნის სხვა ქალაქები გაგველამაზებინა? რა დააშავეს რაიონულმა ცენტრებმა, დაბებმა? არ ჯობდა იქაური სამშენებლო რესურსების გადანაწილების ხარჯზე სასოფლო გზებისთვის მიგვეხედა, სხვა კომუნიკაციებისათვის?!

ჩემი ალღოიანობით აქ სხვა ძაღლის თავი მარხია, ესეც იმპერიალისტური ზეწოლის შედეგია უთუოდ. მაგრამ ახლა შევხედოთ მედალიონის მეორე მხარეს, სადაც იროდი სართანია სულ სხვანაირად წარმოაჩენს პრობლემას.

მისთვის გვარი ზედმეტი ბარგია, ვინაიდან იგი ადამიანში მთავარ ღირსებად პიროვნებას ასახელებს. გვარი ინახავს უსუსურსაც და ძლიერსაც, თუმცა პიროვნება ტრამალის მგელივით მარტოხელაა ცხოვრებასთან პირისპირ ჭიდილში და ამიტომაც იგი ერთადერთი— საკუთარი ძალების იმედით წარმართავს ცხოვრებას. ამიტომაც ამოტივტივდებიან ისტორიის გადასახედიდან კრამერები, მარკესები, აინშტაინები, მორფები, შენებური სტილით თუ ვიტყვი, მრავლობით ფორმაში.როგორ მოვიქცეთ? ვის მივანიჭოთ უპირატესობა? ან სამართლიანია კი საკითხის ასეთნაირად დასმა?

საქართველოს სამი მეოთხედი მთიანეთია. ჩვენი ცხოვრების წესიც, ალბათ, ამ რეალობას უნდა მივუსადაგოთ. მთიანეთში გიგანტურ დაბა-ქალაქებს ვერ გავაშენებთ წარმატებულად. მაშ, რა პერსპექტივა შევთავაზოთ ჩვენს ერს? ისევ კავი და გუთანი? ისევ ხუთი მილიონი მაცხოვრებელი? ისევ პრიმიტიული მეურნეობრიობა? ქართველი კაცის ნიჭიერება ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ტრადიციული დარგებით. ჩვენს გენს და შესაძლებლობებს, იაპონია- ევროპისა არ იყოს, წინ ელოდება ზუსტი მეცნიერებანი: გამოთვლითი მანქანები, XXI საუკუნის აპარატურა: კომპიუტე-

რები, კოსმოსური სივრცე, ქირურგია. ადრე თუ გვიან ქართველი კაცის უნარი ამ მიმართებით სასწაულებს მოახდენს უეჭველად და აქ მხოლოდ გვაროვნული ცხოვრების პრინციპებით ვეღარ ვიარსებებთ. რაღაც შუალედურია მოსაძებნი ჩვენი ეროვნული სხეულისათვის, ქალაქურ-სოფლურის შუალედური. მგონი დაბას ვეძახით ამისთანა დასახლებას. არც მიწასთანაა კავშირი გასაწყვეტი და აღარც ტექნიკური პროგრესისთვის ზურგის შექცევა ივარგებს. მიკროფაბრიკებისა და მიკროქარხნების მომრავლებით ჩვენ გადავარჩენთ ქართულ ტრადიციულ ფსიქოლოგიას; ამასთან არც მსოფლიო პროცესებს მოვწყდებით.

აქ იროდი სართანიას ფილოსოფია მეტი საყრდენი ძალაა. ჩვენ გვეშინია ინდივიდუალობის დაკარგვის და ამიტომაც ლოკოკინასავით ზურგზე გვკიდია ზოგი დრომოჭმული ტრადიცია, ჩვენი კარჩაკეტილობა.

ზემოთ მითქვამს: მაქსიმალიზმი დამღუპველია-მეთქი.

ერთი პერიოდი ჩინური ფილოსოფიით ვიყავი გატაცებული — ლაო ძითა და კონფუცით. ეს ვეშაპივით ქვეყანა მოახერხებს, სოფლისა და ქალაქის შერწყმას, რაღაც შუალედურის ნიადაგზე. ჩინეთს ახლა საკუთარი ტექნოლოგიებიც აქვს, ატომიც და ბაზარზე გასატანი ბრინჯი თუ ხორბალი. ამით რისი თქმა მინდა, იცი, არაფერი დაშავდება თუკი საქართველო მიკრო-ჩინეთს დაემსგავსება. არც ჩვენი სათაყვანებელი ინდივიდუალობაც იზარალებს და აღარც — ცივილიზაციას ჩამოვრჩებით იზოლაციით.

ცოლ-ქმარი მესხიების ცხოვრების შენებური წარმოჩენა ერთ აზრამდე მიმიყვანას: საქართველოს მართლაც შეუძლია ჭარბად აწარმოოს პური, თაფლი, ხორცი, ყველი, ღვინო, ხილ-ბოსტნეული. ეს ჩვენი ჯანსაღად ყოფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედია. მაგრამ ასევე საქართველოს თავისუფლად შეუძლია განავითაროს მსუბუქი მრეწველობა, ფარმაკოლოგია, პარფიუმერია, მით უფრო მედეას ქვეყნის ჭირისუფლებმა; თავისუფლად შეგვიძლია განვავითაროთ უზუსტესი აპარატურის წარმოება: ფაიფური, კერამიკა, მეაბრეშუმეობა; შეგვიძლია ვაწარმოოთ ჯეჯიმები, ხალიჩები და ნოხები, როგორც აზიისათვის, ისე— ევროპა-ამერიკისათვის; საქართველოს შეუძლია შუალედური მიდგომების შემწეობით განავითაროს მიკრო-ხესები, ეფექტურად აითვისოს ტორფის მარაგი, ტყიბულის დაბალკალორიული ქვანახშირი სპეციალური საცეცხლურების მეშვეობით, ნავთობი, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე უამრავი ოდენობითაა თურმე ბოლოდროინდელი დაკვირვებებით.

ნუთუ ეს ყოველივე ცოტაა ხუთმილიონიანი ერისათვის? ვგონებ საკმარისზე მეტიც. საქართველოს თავისუფლად შეუძლია მძლავრ ექსპორტიორ ქვეყნად იქცეს საკონსერვო წარმოების გაშლით. რამდენი კენკროვანი მიაქვს წყალს და მეწყერს?!

მომხიბლა მანქურთის ფილოსოფიის დაკავშირებამ შურუბუმუობ- ასთან. აიტმა- ტოვის ამ რომანისთვის და სხვათათვის ადრე მეტს ვიცლიდი, ახლა მომქანცველი სამუშა- ოების გამო, თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება და მაინც „დათა თუთაშხიას“ შემდეგ დასტამბული უამრავი რომანი წავიკითხე: „გორა მბორგალი“, „ველუმი“, „სამოსელი პირვე- ლი“„არტისტული გადატრიალება“, მათზე ვიტყვი სხვა დროს, მეტის გამოწვლილვით.

ვალიკო მესხია გულღიად ასახელებს ჩვენი გადაგვარების უმთავრეს მიზეზებს:

ფილოსოფიაში ჭიპი ვის მოუჭრია არისტო ტელეს შემდეგ, მაგრამ რიგით მოკვდავებსაც გვაქვს, ალბათ, უფლება ჩავუღრმავდეთ საგნებს და მოვლენებს. კაცობრიობას ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ შეუმუშავებია ჭეშმარიტი მოქალაქის სტატუსი. ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში პატივმიგებულია მისი რწმენის უფლება, მისი ეროვნულობა, ენობრივი თუ სხვა რამ სულიერი საგანძური და მაინც მიუხედავად უამრავი ხუმანური ტრაქტატისა, ჩეჩნეთი ბარბაროსულად იბომბება. დაიბომბა გუშინწინ ბელგრადი. ექვსიოდე წლის წინათ სოხუმის თავზე გამანადგურებელი ცეცხლის სვეტები იყო აღმართული. ადამიანის რომელ უფლებათა დაცვაზეა საუბარი, ძმობილო?! კაცობრიობას, ჯერაც მრავალი საუკუნის თანაარსებობა მოუწევს, ვიდრე იროდი სართანიას ფილოსოფიამდე ამაღლდებოდეს, ვიდრე „ჩემსა“ და „სხვისაში“ ზღვარს მოშლიდეს.

ჩვენ, როგორც ჩანს, ბუნებამ იმთავითვე გაორებული ხასიათი გვარგუნა: ვებღაუჭებით კიდევაც ეროვნულ მონაპოვრებს, მამა-პაპურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, პოლიფონიურ საგალობლებს, დამწერლობას, კურთხეულ ქართულს და ამავდროულად საკაცობრიო იდეალებითაც მოგვაქვს თავი თუნდაც ვეფხისა და მოყმის ბალადა გავიხსენოთ: „იქნება ვეფხის დედაი, ჩემზედ მწარედა სტირისაო,“ გვისწავლია ხალხური სიბრძნიდან, და დიახაც ვამაყობთ მოსისხლეს მისასამძიმრებლად წასწრაფებული შვილმოკლული ქართველი ქალით. როგორ მოვათავსოთ ახლა ერთ ჭურჭელში ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნება?! ორთაბრძოლა, ომიც გარადუვალია ვეფხვსა

და ადამიანს, ანუ ორ მოქიშპეს შორის, და აქვე ნიანგის ცრემლით დავსტირით ჩვენსავე უგუნურობას. განა სასაცილო არ არის იგივე იროდი სართანიას პოზიციიდან?! სადაც კი ერთმანეთს დაუპირისპირდება ეროვნული და კოსმოპოლიტური, იმ საზოგადოებაში, გნებავთ — მსოფლიოში, ცხოვრება ყოველთვის ძაღლუმადურია, რადგანაც კონსენსუსი ვერაფრით მიიღწევა .

მე ვყოყმანებ დასკვნებისას, იქნებ მერმინდელ დიალოგში შევძლო უფრო გამოვკვეთო პოზიცია, გადაჭრით მივემხრო რომელიმე ძალას, მაგრამ დადიანისეულმა ბორკილებმა მართლაც გამაოცა.

კახეთში დაბადებულს და გაზრდილს, ეკო- ნომისტსა და პოლიტოლოგს ერთდროულად, ოტობაიის შუკებში ნასიარულებს ბოლოსდა- ბოლოს, მსგავი რამე პირველად მესმის.

შურუბუმუობას, რომელსაც ვალიკო მესხია ასახელებს ადამიანის გადაგვარების უმთავრეს ნიშნად, პირში ჯოხის ჩაჩრა, ალიკაპის ამოდება, ან ყურის ცვილით ამოქოლვა და თვალებზე ლიბრის გადაკვრა, ფანერის ნაჭრის აფარება — ამაზრზენია. აი, სად წამოხყოფენ თავს კრამერის ბიზონები. ისინიც შურუბუმუები არიან, იგივე სმენადახშულები და თვალამოშრეტილები. ბედისწერისადმი შეგუება ცხოველსაც გაანადგურებს ერთ დროს და ადამიანსაც.

წამიკითხავს, ჩინეთში მგლები ამოწყვიტეს და დროთა ვითარებაში ირმების ჯოგიც განადგურდაო. მგლების დევნისას ირმებს ჩლიქები მუდმივ მოძრაობაში ხქონდათ, მაგრამ საშიშროება რომ გაქრება, გაქრება მათი ბრძოლის უნარიც სიცოცხლისათვის — დაუავადმყოფდებათ ჩლიქები და ამოწყდებიან.

ამისი მეშინია მეც. ქართველებსაც არ გაგვიქრეს წინააღმდეგობათა დაძლევის ნიჭი, ლაზათი, შნო. მთელი მუსულმანური სამყარო გვებრძოდა და მაინც თავაწეულად ვცხოვრობდით. რუსეთის მფარველობა ჩამოგვაშორებს თითქოს ისტორიულ საფრთხეს, მაგრამ შინაგანად გადავგვარდებით, შინაგანად გადავჯიშდებით, გადავიქცევით კრამერის ბიზონებად.

გნებავთ ახლა ამერიკას გადაუსვამს თავზე ხელი, ისიც დაგვიცავს გარეგანი მტრისაგან, მაგრამ შინაგანს რომ ვერ ვუშველით? იმ ირმების ჩლიქებივით შემოგვეჭმევა ხორცი და ძვალი, მეტიც — საკუთარი ყროლი შეგვაწუხებს.

მე კი მეჩვენება, საქართველო ვიდრე სრულ თავისუფლებას არ მოუპოვებია, რომელიც ნონსენსია, ანუ თითქმის მიუღწეველი, ძმობი- ლო, სცილას და ქარიბდას რომ ეძახი, შენ იმ ძალებს შორის გონივრული, ასჯერ აზომილ-აწონილი და ერთხელ გაჭრილი საქციელი გვმართებს. და კიდევ უფრო სამახსოვრო — ბოროტ-კეთილის ერთმანეთისგან გამიჯვნის რეალობა.

ერთ ტაბლაზე არ დასხა ისინიო, მაგრამ მათ შორის ძალთა თანაფარდობა კოლოსალურად განსხვავებული თუა, მაშინ, მაშინ რა ღონე უნდა ვიხმაროთ?! და აქ უეჭველად გასათვალისწინებელია იროდი სართანიას შეგონება მესამე გზის თაობაზე. ეგ ხომ ჩინეთია, ჩემგან ადრე ხსენებული, იგივე დენ სიაო პინის შორსმჭვრეტელობა. იგი ეკონომიკურ საფუძვლებსაც კი ალტერნატიულ გზას მოუძებნის და სახელმწიფო საკუთრების გვერდით დაუშვებს კერძოს, დაუშვებს კონკურენციას მათ შორის.

გზა, მანძილი, კილომეტრობით იზომება იროდი სართანიასებურად, მაგრამ სფეროს ვეღარ მიუდგები ნაცადი ხერხით.

სადაც სანტიმეტრები უძლურია, იქ გრადუსები ამოიდგამს ენასო, და მიდი — შეეკამათე.

არის სულ სხვა განზომილების სიდიდეები — მიკრო და მაკრო კოსმოსი. იმტვრიე ახლა თავი. ის გაცილებით შორს იმზირება, ზეგინდელისა და მასზეგინდელის იქით, მაგრამ რადგანაც ჯერ ჩვენი ტალახიანი ორღობეების პრობლემები ვერ მოგვიგვარებია, იქნება შეგვეჯერებინა ორივე პიროვნების ნააზრევი და რაღაც შუალედური გამოგვეყვანა, კონფუცისა და ლაო ძის რომ სჩვევიათ, იმგვარი?

საგადასახადო პოლიტიკაზე მსჯელობისაგან აქ თავს ვიკავებ, ვინაიდან ეს იმდენად მრავალწახნაგიანი პრობლემაა, მეტ დაკონკრეტებას მოითხოვს. ვალიკო მესხიასთან თბილისელი მიშიკოს საუბარი პრიმიტიულზე პრიმიტიულია, ანუ— გლეხისთვის გასაგებად თქმული სინამდვილე, რომელიც მრავალ განმარტებას საჭიროებს კვლავაც, და მომავალი დიალოგის მოლოდინის იმედით, დამამთავრებელ წერილზე გადავალ, ,,საქართველოს მოძრავ ეკლესიაზე''.

იქ შენ ებრაელი და სომეხი ერების ცხოვრების წესის მოშველიებით ცდილობ ქართველი ხალხის სატკივრების წარმოჩენას. ორივე ერის წარმართველ ძალად სარწმუნოებას ასახელებ, და კიდევ— აღებ-მიცემობის ნიჭს, ანუ ბიზნესის განსაკუთრებულ უნარს.

გამიგონია: სარაჯიშვილი ანგარიშისას თურმე სომხურად ითვლიდაო. მიუტანეს ეს ამბავი ილიას, და წარმოიდგინე, როგორ დამწუხრდებოდა ერის უგვირგვინო მეფე?!

უკითხავს ერთხელ:

ეგ რა არის, დავით-ჯან, და მასაც ღიმილით განუმარტავს:

ეხ, ილია, ბატონო, ანგარიში ქართულად არ გამოდისოო.

ჯანსაღი ბიზნესის წარმოება ქართველისთვის არ გახლავთ უცხო ხილი. ეგეც იმპერიალისტური ძალების მოგონილია. დაახლოებით იგივე, რაც — ლერმონტოვს ათქმევინეს: ,,ბეჟალი რობკიე გრუზინიო'', რათა ჩვენს ძლიერებაში ჩვენვე შევვეჭვებულიყავით

ან შეხედე, აფხაზეთის ომში მუჭა ხალხისგან დამარცხებულად როგორ გამოგვიყვანეს, როცა კბილებამდე შეიარაღებულ დაქირავებულ ბოევიკებს ლამის შიშველი ხელების ამარა ვებრძოდით?!

ქართველზეა ნათქვამი: ვაჟკაცი გული რკინისა, აბჯარი — თუნდაც ხისაო, მაგრამ ფართომასშტაბიანი ინფორმაციული ომით რომ შემოგიტევენ: უღირსი ხარ, ლაჩარი და მშიშარაო, სასო წაგერთმევა, და იწყება მერე უიმედობა, არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბება, რომლის საბოლოო შედეგი კრამერის ბიზონებია.

ღმერთმა ნუ ქნას ასე. ქართველი იქამდე ნიჭიერია, იქამდე გამჭრიახი, ვერც ბიზნესში აჯობებს ვინმე, ოღონდ თანაბარ პირობებში ჩააყენე. ნუ მისცემ ერთი ერის წარმომადგენელს დაბალპროცენტიან სესხებს მეორის საზიანოდ და მერე ვნახოთ ვინ ვის გაუსწრებს. ქართველი ყველგან გაიტანს თავს, გინდა სიპ ქვაზე დაასახლო, ოღონდ ნუ უსისინებ დღედაღამ: ,,გახმი, გახმიო''.

აქვე, ჩვენი ხალხის შემკრებ ძალად ზოგადევრონული ლექსიკონის შექმნა მნიშვნელოვან ძარღვად მიმაჩნია ჩვენი სამერმისო არსებობისათვის, როგორც ქართული აზროვნების მეტრებისგან გამიგონია, ადამიანების ჩვეულებრივი საურთიერთობო ენა დაახლოებით ათას სიტყვას მოიცავს. ეს ათასი ერთეული მეგრულ-სვანური სიტყვებითაც თუ გამდიდრდება, დაშავდება განა რამე?! ჩვენი ხალხი იმითაც არ წააგებს, ალბათ, თუკი მილიონიანი სიტყვის შემცველ ლექსიკონსაც შევუქმნით შთამომავლობას, მაგრამ მთავარი და ნამდვილად მისახედი სხვა მეჩვენება: ეკონომიკური კავშირების ძიება, რომელიც პირდაპირპროპორციულ მიმართებაშია ქვეყნის ორიენტაციის საკითხთან.

რამდენიც უნდა ვეკამათოთ მატერიალისტებს, ეკონომიკური ურთიერთობები უმთავრესია საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში; ნუ ვუყურებთ ჩვენ კუჭს აგდებულად. შიმშილსა და სიმაძღრეს შორის ზღვარი სამაგალითოდ რკინის კასრშია დაწესებული ,,თუთაშხიადან''.

მოგეხსენება, კაციჭამია ვირთხას ორნაირი მეთოდით გამოიყვანდა ხოლმე თორია: მოფიქრებული შიმშილით, ან მოფიქრებული სიმაძღრით. ჩვენ თუ სწორ ეკონომიკურ საფუძვლებს არ შევუქმენით ჩვენს სახელმწიფოებრიობას XXI საუკუნეში, ვერანაირი ლექსიკონი გვიშველის.

ეროვნული კონსოლიდაცია დაწყებულია 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით. ეს დიდი იმედისმომცემი ნიშანია. ახლა ამ მონაპოვარის დათმობა არაფრით იქნება, პირიქით, მეტი მონდომება გვმართებს ყველას მისი განუხრელი აღმასვლისათვის. თუკი გულში არ ჩავეხუტებით ერთმანეთს, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ხომ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ, ᲕᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲗ ერის და ბერის სახელით?

ვალიკო მესხიას მონაყოლისა არ იყოს, როცა გვერდიგვერდ მოვზილავთ საკრამიტე ალიზს ,,წითლებიც'' და ,,თეთრებიც'', იქ ქვეყნის ყაჩაღების პარპაშს ბოლო მოეღება. მთავარია, პრინციპებში შეთანხმება. ამიტომაც შეუძლებელია კვლავ იროდი სართანიას მოსაზრებას არ დაეთანხმოს კაცი, როცა კეთილს და ბოროტს ერთ უღელში შეაბამს ხოლმე, ვალიკო მესხიასგან განსხვავებით.

ისე, ცხოვრებას სიღრმისეულად რომ ჩაუკვირდე, ადამიანი მართლაც სიკეთე-ბოროტების ჯამია ანუ უარყოფით-დადებითი ემოციების ნაზავი. ხოლო, როცა ისწავლი ქველმოქმედების ფასს, მტერსაც კი შეიყვარებ, მიუხედავად მისი უმიზნო მავნებლობისა. ადამიანი ბოლოს და ბოლოს აითვისებს უარყოფითი ენერგიების დამორჩილებას და სიკეთის სამსახურში ჩაყენებას. ამისთანა ძეხორციელი ორმაგი ძალით აივსება და მერე მისი დამარცხება მაღალფარდოვნად თუ ვიტყვი, ალბათ, თვით სიკვდილსაც გაუჭირდება.

ჩემი შეხმიანება წარმოდგენილ მასალებზე, თეზისურია, და ამდენად— ზედაპირულიც. რაც იქ ჩატუმბულია, მეტი გულისყურით რომ გაშალო, ათი ამდენიც არ ეყოფოდა, მაგრამ ჩემისთანა მოუცლელი კაცისთვის ესეც არ იყო იოლი საქმე.

,,საით, საქართველოვო'', კითხულობ შენ და აქ რამდენადმე ზუსტი პასუხი რომ გამომივიდეს, ისევ ჩინურ ფილოსოფიას დავესესხები:

საით და ალბათ, საკუთარი თავის საძიებლად, გულადი, ძმობილო, ბატონო გური. ალბათ, საკუთარი თავის იმედით, ალბათ, საკუთარი მომავლის რწმენით. ხოლო როგორ ვიპოვით საკუთარ თავს, რუსული მუქარების თუ ამერიკული კაბალური ინვესტიციების პირობებში, ერთიანი გონების გადასაწყვეტია, ჭადრაკის გადადებული პარტიის გარჩევა რომ მოითხოვს — თითოეული სვლის გაანგა-

რიშება და გათვლა. მე ვხვდები, „სუფევის“ გასრულება ვერ იქნება იოლი საქმე, რადგანაც გაგიძნელდება ყველა კითხვისათვის პასუხის ღიად გაცემა მიუხედავად იმისა, გამბედაობა არ მაკლია, მაინც რუსთაველის შეგონებას შეგახსენებ: ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების. ამ პრინციპის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, გახვალ ფონს, სცილას და ქარიბდას შორის გასასვლელ ვიწრობს რომ ეძახი.

თავისუფლებისკენ მიმავალი საქართველოს გზაც ხომ ვერ არის მთლად ისარივით სწორი, როგორც ეს თითოეულ მამულიშვილს გვწადია სულით და გულით?!

მიუხედავად უამრავი ჩაფერფლილი სიცოცხლისა, მიუხედავად აურაცხელი თავდადებისა და საგმირო საქმისა, ეს გზა საოცრად დაკლაკნილია, ზოგჯერ უნებურად იმავე ადგილს უბრუნდება, ახლახან რომ გაგვივლია, მაგრამ რადგანაც სხვა გამოსავალიც არსაიდან ჩანს, ვეგუებით ზიგზაგიან ცხოვრებას, ადრე თუ გვიან საყოველთაო ბედნიერების არენაზე გაღწევის იმედით. ხოდა, დაე, მაღალი ღმერთი გწყალობდეს, ძმობილო, ამ დაუსრულებელი წინააღმდეგობების გადალახვისას.

***

— მდა�ა! აუხდენელია კაცობრიობის მარადიული ნოსტალგია, ბატონო სოლომონ, სულიკო ძმაო, სულიჯან, დედის წიაღისკენ მიბრუნების გზაზე, უზრუნველი ორგიებისკენ საშვილოსნოს ოკეანეში. ეს ცხრათვიანი სამოთხე ცაბაოთის ედემის ბაღზე ნაკლები როდია ბედის ნებიერი ჩვილისათვის, და არც— ბედია-აფხაზეთ-სამურზაყანოა საჩუქარი ჩვენი ოტებული მოსახლეობისათვის.

გური ოტობაიას ყისმათი კრებსითი განზომილებით, ფორმულასავით აღიქმება სრულიად თვისტომის ყოველდღიურობის საანალიზოდ.

დიახ, დევნილია იგი საშობაო ჭინთვებიდან მოყოლებული: ლტოლვილია მთელი ცხოვრება, ოტებული, ხან — ბიოლოგიური კანონების მეოხებით, ხანაც — წუთისოფლის წიხლ-მუჯლუგუნებისაგან. აბა, გური ოტობაიას სადადიანოდან „გამოსაქცევი“ რა სჭირდა, გარკვეული წრეების მერკანტილური მიზნები რომ არა!

უბედურებაა თურმე, როდესაც ხელისუფალი პრეტენზიას აცხადებს ლიტერატორობაზე, პოეზიაზე.

მისთვის ხელოვანს საკრალურობის ნიშანი გაბედითებია იმთავითვე, ვინაიდან სიყრმის წლებში მასაც უწვალებია რითმა, მასაც უჯახირებია სტრიქონ-ტაეპი, და როდესაც ვერანაირ ფანტასმაგორიას შეუძრავს სულის კოსმოსიდან გარემომცველ ყოველდღიურობამდე, სხვათა შედევრების დაზუთხვას მისძალებია; ასობით ნიმუში მოუწვართავს დეკლამატორული ნიჭიერებით და ჭიქას ისე როგორ წამოსწევს, პირში არ შემოგჩაროს ტაბიძეები თუ გრანელები, ბარათაშვილეონიძენი, ფშაველანი, რუსთაველები... საკუთარ ინტონაციასაც, საკუთარ მდუღარებასაც მიადევნებ ყურს ნებისად, შენი გვარ-სახელის გაცნობიერებისათვის არავინ მოიცლის;

ამისთანა ხელისუფალთ ყოველთვის ეადვილებათ სიტყვიერების ზესთა პრობლემების მოგვარება: „ლომი“ ბოლქვაძისა არ იყოს, ლექსს რედაქციაში მოუტანლად უბეჭდავენ ავტორებს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენეული გლობალური გამობუნძურება მყუს-ძირიანად ეტევა ჩვენი შუკო ჯიქიას სტრიქონში: აწ ვტოვებთ სხეულებს, □**იგულისხმება ბრძოლის ველი, გ.ო**.) და ვიხევთ ცისკენო;

დიახაც, ვიხევთ ცისკენ, ძმობილო, დედის წიაღიდან მოყოლებული, სამოთხის ბაღის ათვლის წერტილიდან, სააფხაზოდან, თვით სადადიანოდან, ლაჟვარდისფერი ოდიშიდან, კიბორჩხალასავით უკუმივიქცევით მინიატურული წვეთიდან, სიგიჟისასაც რომ უხმობს რობაქიძე დედალი ავაზას მომტაცებელ ლექსში; უნაპირებო წვეთისაკენ — კოსმოსის სინონიმად ვარგისი ზეგონიერებისკენ;

ხოდა, ოდეს სამშობლოს შემკონავ სახსრად, გნებავთ — სიმბოლიკად, უბადრუკი გური ოტობაიას სუფევას თუ დავსახავთ, სულისმოუთქმელად მივექანებით სადღაც და საითკენ, კედლიდან კედლისკენ;

ზურგიდან გამომძევებელი უჩინარი გვაწვება გამომგდებ ძალად, ზოგჯერ დათვივით რომ წაგვაძუნძულებს კიდეც, გვაწვება და გვიჯიკავებს, გვჯგვლემს; ხან ყანყრატოს გამოგვიფხიანებს ყასბური ოსტატობით; ხანაც მაჯებს გადაგვიფატრავს; დასტაქრული ხელგარჯილო- ბით;აქა-იქ დედის წიაღსაც მოუშლის ჩვილს, არ დააცლის ოაზისში ცხრათვიან ყურყუმელაობას, გამოისვრის, გამოსტყორცნის ცისქვეშეთში, რომელიც მოზრდილი კარიბჭეა გამჩენელისგან მონიჭებულთან შედარებით და მის მერმე მილიონკეცდება მათი ზომა-ფორმა, ვიდრე ღმერთთან შეცურდებოდეს, უფალთან შეიჭრებოდეს მანათობლის სხივით, სპერმასავით ჩაეკინძებოდეს უთავ-

ნაპირო სულში და უკვე ამ მდგომარეობას, ამ ვითარებას მეორე კედლით მოზღუდვას ვეძახით, მეორე კედლით დაყოვნებას; მაგრამ სახლის ფორმა ჯერაც რომ ვერ აღმოუცენებია ჩვენს სამუდამო საცხოვრისს?!

სად არის იატაკი?! სად არის დედაბოძით შეკავებული ჭერი, ან — აღმოსავლეთ-დასავლეთი კედლები?

ჯერ კიდევ ხის ძირას დაყუდებულებს ვემსგავსებით კოსმოსური თქეშით და ყოველდღიური ღვარცოფებით დარეტიანებულნი; არც საყრდენი გაგვაჩნია, ფსკერი შევიგრძნოთ: ჩვენი ბრძენთაბრძენი ხელისუფლების წყალობით ჯერაც ვერ მიგვიღწევია დაცემის სტადიამდე, ჯერაც ვარდნის პროცესში ვიმყოფებით და აწ უმნიშვნელოა რანაირ ჯურღმულს დავენარცხებით, გამტკიცულ- სალკლდოვანს თუ სულაც — ლორწოიან-ჭაობნარს; უმნიშვნელოა, გალაკტიონის მეოთხე სართულის მომზირალ ლაფაროსავით, ვინაიდან უშეღა- ვათოდ დავქვესკნელდებით სადაც არის და ბუნებაში უპოვნელია ენერგია, რომელსაც იქიდან ჩვენი ამოტყორცნა შეეძლოს: არქიმედეს ამომგდები ძალა გაბედითებულია — ჩვენს დამძორიანებას შეწირვია საფანელად. მოშლილა ის ზამბარები, დრეკადობის ის კანონზომიერებანი, ზეამოსროლას რომ გვპირდება მომავალში, და ახლა, ფადაას დეცეშისკენ-მეთქი, თამამად შევძახებ შუკო ჯიქიასავით: ფადაას უზნეობათა გამოხშირვის გზაზე, სულიჯან! ფადაას საკუთარი სულის გამოსარეველების წავარნებზე საყოველთაოს იმედით!

ხოდა, ვინაიდან მეოხი პატროფილიის წყალობით, უმჯობესია ჭორების წკმუტენს დავუცაცხანო და შიგადაშიგ უნებლიე გადაადგილების მოტივებზეც მოვყვე — დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, მინიატურული სულიდან გლობალური შურობუმუსკენ, ბებერი კოლხეთიდან ჭარმაგი საქართველოსკენ; ეს გზა, ეს წავარნა თუ ბილიკი, გური ოტობაიას წაუბორძიკებლად გაუვლია ზოგადის ნათელხატად, ზოგადის ნიშანსვეტად, და საყოველთაო ფადაას-მეთქი, შიგნით თუ გარეთ, ცასა თუ მიწაზე, პიროვნულსა თუ საზოგადოს შინა.

ნურავის ეგონება ნებით მიმეტოვებინოს სამოთხე — დედის წიაღში ცხრათვიანი ბუღრაობა. ვახსენე, საშობაო ჭინთვები გამომტყორცნიან გარეთ-მეთქი და მას აქეთ, დომინოს პრინციპის დარად, დასასრული არ უჩანს ჩემს დევნილობას, ჩემს გამობუნძურებათა მთაგრეხილებს თუ კასკადებს. პირზე ოფლგადმომდინარე ერთდროულად გავურბივარ რამდენიმე მდევარს: ყველაზე მთავარი ბელზელთა ამ კრებულში სიკვდილია, დავიწყების ლეთა-მდინარის გამგებელი ქარონის ნავით და კიდევ უამრავი წამშლელი ინსტიტუტით აღჭურვილი კომპიუტერების ლაშქრით: პერგამენტებს, პალიმფსესტებს, ეტრატებს, წიგნებს თუ ქვაში ამეტყველებულ ხაზებს — კირბისებს — რომ მუსრავს ერთიანად ჩრჩილისა და ჟანგარო-მტვერ-ბურუსის დივიზიონით.

ამას მოსდევს მგლის მადისმიერი ჟინით აღჭურვილი უთანხმოება ჩვენი: კონფრონტაცია დიდთან და პატარასთან:

უშველებელი მტერი პროტექტორის ქურქში გახვეული ანექსოიდია, სულიჯან, ხოლო ციცქნა — იგივე ძვალი ძვალთაგანი, ოდესღაც ისეთივე მამულიშვილი, ქართველოფილი, როგორიც უმეტესი პატრიოტი მოყმე: აფხაზი, აფშილა, აფსუა ზოგადად, შუა საუკუნეებში კასპიის ნაპირებიდან აბარგებული და ადიღეს განაყარის სახით შემოჭინჭრებული ჩვენს სულს; მერმე ყოველივე ავლადიდების მიმსაკუთრებელი ხალხური სიბრძნის მხარდამხარ: გარეულმა შინაური გააგდო.

ხოდა, მეც გამოვრბივარ, თავქუდმოგლეჯით, ენგურს გაღმა- გამოღმა, ისეთი გამეტებით, ხანდახან ოტებულს თავ-კისერი ოდიშს მიმიწვდენია და ფეხები კვლავ სამურზაყანოს მრჩება. თუმცა ამითაც როდი ამოიწურება გური ოტობაიას მარტოობის ანიაგანი. იგი მესამეწრეულ მარეკსაც განელტვის არანაკლები გასულსწრაფებით. ეს უკანასკნელი კი უკვე მშობლიური უბედურებაა: ნაზარეთიდან მოყოლებული როდის ხქონია შენდობა შინაურს, ვინაიდან ჩანტლაძის ლექსისა არ იყოს: წავიდა თოვლი, მოვიდა მიწა, ანუ რუსთაველისებურად: იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა.კონფრონტაცია მომიტყორცნის დედაქალაქისკენ; რუტინამ, მოჩვენებითი მეგობრობის მწარე რეალობა მომიქნევს პერიფერიისკენ კოსმოპოლიტური დედათბილისის ყბებისკენ, თუმცა ამ ადგილმონაცვლეობით, ჯამი მისხალითაც არ შეცვლება; ჩვენი ბედკრული ხალხი არაფერს წააგებს — წამოვა ღიჟე გულადი ფეტელავა და დაბრუნდება თაკარი გური ოტობაია; მაჯაშიდა შემტყვებარ დასტაქარს შეცვლის უქარქაშო ძილების გუშაგი. ამასთან, ვეღარაფრით მოვიცლი თეთრი ყორნობისათვის, ბატონო სოლომონ, სულიკო ძმაო, სულიჯან, გამჭოლ ქარში ვალალებს დღესაც ჩვენი დობადონა, ჩვენი მემლექეთი;

ცხრა წელიწადია უსაშველო სიკვდილის სიმძიმით დაგვწოლია ქედზე თავისუფლების შეფერადებული უღელი ფსევდოთავისუფლების სახელით; ცხრა წელიწადია კისერზე დაგვსკუპებია სა-

ხადივით დემოკრატიის მოციმციმე აპეურები ფსევდოდემოკრატიის ნიღბებით; ხოდა, რაღა გასაკვირია ჩვენი ახალგაზრდობა ბაგაში დაბმული პირუტყვივით იცოხნებოდეს დღესაც ლეჭენჭყო ორღობეთა უნივერსიტე- ტებში არისტოტელე-ხეგელთა სიბრძნეს გაუკუღმართებულად?

დევალვირებულია უძირითადესი ეროვნული ფასეულობანი. ყველაფერი საამისოდ მომართულა: ადგილობრივი ხელისუფლება თუ ყითელი მასმედია კორუმპირებული ჩინოვნიკების მხარდამხარ;

მომშეულ კუჭს უჭირს განასხვავოს ეროვნული საკვებისგან შემოჩეჩებული უცხო, რომელიც მის განუხრელ გადაჯიშებას ემსახურება არსებითად: ახალგაზრდობა დავაბით უმეცრობის ბაგასთან ხუთი წლის ვადით, მაგრამ მერე? მერე რას ვპირდებით ამ ჭკუაგამრუდებულებს, იგივე განჯგონებულ ათასებს, ბაქრაძისებურად? უცებ თოხისკენ არ გაიწოდოს ხელი ლამის მეცნიერად თვითშერაცხულმა ყინჩილამ! ის კი არა, მწყრის აღნაგობის ჭკუა-გონებისა სალაყვარდოდ ისწორებს ფრთებს არწივის საწადლით. აი, როგორ სინამდვილეს ვებრძოდი სადადიანოს ორღობეებში, და აი, რისთვისაც არ დამედგომებოდა იქ გულგრილობათა ოკეანეს ბინადარს.

ცხრა წელიწადია ველოსიპედებს ვიგონებთ. ცხრა წელიწადია აღმოჩენილ ამერიკას დავაპროწიალებთ „ევრიკათა“ ძახილით. ცხრა წელიწადია ჭიპი ხერხემალს დაძმობილებია, ერთეულები კი ბუღრაობენ ნაპატივები პირუტყვებივით, მაგრამ ისტორიული გამოცდილების კვალობაზე, დიახაც, ცხრა წელიწადის შემდეგ ემხობა პრიამოსის მკვიდრად ნაშენები ტროა, დაილეწება მისი გალავნები და ზღვა ხალხის გაერთიანებას ქვიშას შთარევს აგამემნონის ლაშქარი აქილევსისა და ოდისევსის ტოლძალოვანი თანადგომით. ამჯერად ჩვენი ტროა, ჩვენი ილიონი, იგივე ქაჯავეთის ციხე, საკუთარ უზნეობათა ზღუდეებია, დამაფიქვრებლად აღმართული ჩვენს წინაშე — ჩვენი „აზროვნების სიძნელე“ და თუ არა ამირანის ძალისხმევა, კარს იოლად ვერ შეიბამს.

დიახაც, მეათე წელიწადს ნადგურდება სახელმწიფოებრიობის მოსაშლელად მიმართული ნებისმიერი მანკიერება.

ცხრა საკრალური წელიწადი, ალბათ, სრულიად საკმარისია დირეებად ძილგახირულ თვალებიდან ჩვენს გამოსახედად; ამ პარტახის შემხედვარეს, შეუძლებელია მერმე გვერდის შეცვლა მოგინდეს, ვინაიდან აბობოქრებულ წყალს ლოგინის კიდემდე მოუტანებია და ზეატივტივებულა ყოველივე ნოეს სინამდვილის მიმსგავსებით.

ალბათ, საკმარისზე მეტია ცხრაწლიანი საღათას ძილი საყოველთო გამოფხიზლებისათვის!

მთავარია გამოღვიძება!

მთავარია მომშთობი ნირვანიდან გამოსვლა!

მთავარია ნილ-ჯანღების ესკადრილიის გადარეკა ჩვენი სამზერისიდან!

მთავარია სტატუს-კვოში, არსებულ დროში, რეალურ სიტუაციაში შემოსვლა, გაფანტვა ყოველგვარი ილუზორულ-მოჩვენებითისა: წყალშიგაჭირვებულ მოხვეწეს საკუთარ კიდურებს ტყუილუბრალოდ როდი შეგვახსენებს უფალი და როდესაც ეს ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტებაც გაგვიცნობიერდება, მერე კიდევ არა გვიშავს რა!

მთავარია გამოღვიძება ცხრაწლიანი დათვური ძილიდან ხუდადოვის ტყესა შინა! დანარჩენს ცინცხალი გონების ქართველი თავადაც ჩინებულად გაართმევს. ცოტა სატკივრით როდი მოგსდგომივარ კარზე, სულიჯან, ნიშანდობლივი ნესტრით დაჩხვლეტილს?!

ურჩხულის ყბებში მოქცეულა ჩემი თვალნათელი საბედიანო, და ენგურს გამოღმა მიუნხაუზენის შუაზე გადაბასრულ ცხენს მიმსგავსებია სადადიანო სრული, რომელიც თითქოსდა გაშმაგებით იმწყურვალებს თავს, მაგრამ ლაშებიდან შეღწეული წყალი უმალ უკანატანით წარეღვრება და არის გამტარუნარიანობის კომიკური სიტუაცია.

რესპოდენტის შერჩევასაც დიდი ალღოიანობა სჭირია თურმე. ყველასგან ვერ ამოსრუტავ სასურველ ინფორმაციას. აქ ფაქტორი უამრავია: ზოგი გონებაშეზღუდულია, აზროვნების პრობლემა აწუხებს.

ზოგი პირწავარდნილი სოკრატეა, მაგრამ გამბედაობით ფშაველას წიწოლა მასთან შედარებით დევების დამლახტავი კოპალაა, იახსარი.

ბევრი მოაზროვნეცაა, თამამიც, თუმცა კი ადრეულ წლებში გარგანტუასავით საზოგადოდ ამქუხარებდა ჭორხარბებს და აწ ხალხისათვის ამნაირთა აუბნება ვეღარაფრით შეიმოსება მესიის მანტიით.

ეს მიზანსწრფულობა აღარც ჩვენს ნამუსიან დიალოგს უტვირთავს, იმ უბრალო ჭეშმარიტების გათვალისწინებით, რომ ეს ტანდემური ამეტყველება ზარების დარისხების მნიშვნელობით დაიტვირთოს ეგება, აუცდენელი საფრთხის მოახლოებისას რომ სჩვეოდათ ჩვენს მეციხოვნეებს მრევლის გადასარჩენად, თუნდაც საკუთარი სიცოცხლე უსახელოდ წალეკოს ცეცხლის ნიაღვარმა.

ზარად ყოფნა, როგორი აღნაგობისაც უნდა იყოს იგი, წვრილფეხა თუ დედო, მაინც საკრალუ-

რია, საპატიო, რაღაც მნიშვნელოვანის მაუწყებელი, თანაც იმისთანა კრიტიკულ ჟამს, როდესაც საეგებიოდ უწყი საითკენ მიემართება შენი აბორჯებული სამშობლო, მაცხოვრისკენ თუ მაცილისკენ;

ხოდა, გასაკვირია განა, ჩვენს დიალოგს მართებული რეცეპტივით გამოწერილი სათაური მოერ-გოს, სულიჯან:

საით საქართველოვ?

ვისკენ? რომელი ძალისკენ?რა მიმართულებით?

ვიდრე ხვალ, ძვირფასო? Qvo, vadis, Georgia-თქო?

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბაწარაღებით ხმალშემართული ზვიად გამსახურდია უკვდავებას შენაკადებია, უსიკვდილობას შეწიაღებია და დაწყნარებულა სამისდღემშიოდ;

მიანიჭებენ თავისუფლებას დაუდგრომლობით გამორჩეულ ჯაბას და დამშვიდდება ისიც;

მიუბოძებენ ავტონომიის სტატუსი სანჯაყის მმართველების შთამომავალს, პარტიკულარიზმისათვის ნიადაგ მძვინვარე ,,აჭარის ლომს'', ასლან აბაშიძეს და მოთვინიერდება ფრიად;

მიუსართავენ სახელმწიფო მინისტრის პოსტს მავანთანგან წონასწორობიდან გამოყვანილ კახეთს და კვლავინდებურად წამდინარდება ალაზნის რუდუნებით.

სამეგრელო ისედაც მოლმობიერებულია უკვესაბედო მესვეურთა წყალობით;

ჰოდა, ამ საერთო გასუსვა-გარინდების ჟამს, ამ საერთო თავქვიშადურთიანობის სირაქლემურ ხანაში, გაუგებარია რა აბოჟირებს რუსთაველზე კვარივით აბრიალებული გია აბესაძის სულს სიტყვებით: **დაე, მე ვიყო უკანასკნელი მსხვერპლი საქართველოს თავისუფლების გზაზეო;**

ან რა ამძვინვარებთ პავლიაშვილ-ოტობაიას სამაგალითო დაშოშმი- ნების ხუთწლედში?! დედა საქართველო კვალინდებურად ბორკილდადე- ბული რომ არის და შადიმანების ასეული ძველებურად ყიდის ჩვენს თვალხატულა მალხაზებს მომავლიანად კოსმოპოლიტ უცხოტომელებზე, თუ სხვა რამ უბედურება, სხვა რამ სახად-ჟამი, სხვა რამ ტრაგედია-ვაიუშვე- ლებელი?! ეს ტანდემური ძალა ნოტრდამელ მნათესავით აგუგუნებს ზარებს ლეთარგიული ძილით მისავათებული ერის გამოსა-ფხიზლებლად: საით, საქართველოვ?! ვისკენ? რომელი მაცილისკენ და მაცთომელი კერპისაკენ?! საკუთარ თავში დაუნჯდი! საკუთარი თავიდან მიწვდი გადამთიელურ თუ გაღმაოკიანურ ფასეულობებს! საკუთარი ფესვებიდან მოუწყვეტლივ გასიგრძეგანდი და არა იკაროსის ცვილისმიერი ფრთების ფარფატით ან მიწასმოგლეჯილი ანთეოსის გაბრძოლებით ჰერაკლეს ხელებში! საკუთარი საძირკვლებიდან შეუდედაბოძდი ნებისმიერ მდინარებას თუ მოქარბორიაობას, და აქედან, ამ გულკვარცხლბეკიდან გაითავისე უცხო და შორეული!

მარჩბივისეული გულფიცხობით მეათასედ ვუყიჟინებთ ხორნაბუჯის ციტადელიდან, ხერთვისისა და გორის ციხეთა მიუკარებლობიდან, უქიმერიონის თუ ნასაკირალის წაკლაკნილი თავდაღმართიდან, ბალს ზემოური ფლატეებიდან თუ სულაც ბერთაკლდის ეული ციცაბოეთი- დან მამულს ჩვენსას: — საით ციბედულო?! ვისკენ, მემლექეთო?! რომელი განედ-გრძედისკენ, ძელქვასავით ურყევო დედასამშობლოვ?! ვიდრე ხვალ? **Qvo vadis, Georgia?!** ასეთი და ამგვარი შემართებისაა ბატონ სოლომონ პავლიაშვილთან, ჩვენს სულიკოსთან, გამართუოლი ბელეტრისტული საუბრების ავერსული მხარე — ,,ალჩუ'' მამაპაპური გაგებით, ხოლო რევერსული მიმართება საგნებთან და მოვლენებთან, იგივე ,,თოხანი'', ,,სუფევის'' დამაგვირგვინებელი მეექვსე წიგნისათვის შემოვინახოთ!

იოანე მარუშიძის ძეობილი

პარტიის რაიონული კომიტეტის, რაიკომის, ჭაბუკი პირველი მდივანი იშვიათობაა საბჭოური სინამდვილისათვის, თითქმის გამონაკლისი და ისიც ჩვენ დაგვებედება — გალელებს — საბედიანოელებს — არაჩვეულებრივი ტრადიციების ხალხს.

ანჩაბაძეებისეულ საუკუნოვან სრასახლში დავამთავრებ ოტობაიის საშუალო სკოლას, მუხის სქელი ფიცრებისაგან შეკრულ სრასახლში, ცემენტის მართკუთხა, დაბალ ბოკონებზე შემდგარ სრასახლში. ხოდა, როგორი საქმეა, საზაფხულო არდადაგების ერთ მშვენიერ დილასისხამზე დასაშლელად არ შესჩენიან?!

დიდ-პატარა იქითკენ წასწრაფებულა; სამოხიო, თვით დედაჩემი გელენახეც, რა ხანია წაბარგებულა სოფლის ცენტრისაკენ, მე კი ძველებურად სულისგამომხრავ სტრიქონებს ვუკირკიტებ აივნის ტახტას ჯორკოთი მიმჯდარი. მესმის მარწუხების, გაზ-ძალაყინთა და ლურსმნების გულისწამღები ხრჭიალ-ხვაწკაწკი.

აქედანვე წარმოვიდგენ როგორ შემოეძარცვება კედლები სამასწავლებლოს ვრცეულობას, ონერი ზანთარიას დირექციას, ბიბლიოთეკის მოციცქნულ ოთახს, ცეკვა-თამაშებისაგან გასლიპინებული სცენის ფიცარნაგს, დანით მოსვირინგებულ მოაჯირებს ინტერიერში.

თვალებში მჩატე ნისლი ცრიატებს ნოტიო სხეულით.

რახუნია, ზათქი და დგანდგარი, ფშხვენა, ასწლოვანი მტვერი სვეტივით ამოდის ქუჩის ბოლოს; მძლავრმოტორიანი მანქანების ღმუილია, ექსკავატორების წაგდებული დინგ-სიფათის ხროშხრიალი.

ბრუნდებიან ქალები ზეაწეული განწყობილებებით.

შუბლები მანდილებით წაუკრავთ. გასაგებია: სადილის გასახაზირებლად თადარიგობენ. აკრიახებენ ქათმებს, ატკლაცუნებენ გობებზე სახოზოკვარო და სახაჭაპურე ცომეულს.

ყველას ბაკურ გულუას გვარ-სახელი აკერია ენის წვერზე.

,,გამოჩნდა ეგეც მაკედონელი თუ — დავითი, მოგვიანებით აღმაშენებლად შერაცხული. ანგრევს ძველს და აშენებს ახალს, თავისი ჯიბით კი არა, ან ბაბისბაბისგან დანატოვრით, სახელმწიფო ფულით. შენ კი ვის დაკარგვიხარ, თუნდაც მზამზარეული „ილიადა“ დაგბერტყოდეს თავზე შორეული ელადას მითებიდან‘‘, ვწიწმატობ ფიქრებში ჩემთვის.

— წასულიყავი, ნანა, — მეტყვის გელენახე, ვინ იცის, სად წაგადგება ობოლს. ბევრით კი არ გეუფროსება. ჩვენსავით მრავალშვილიანი ოჯახიდან ყოფილა. კვამლის და სიმწრის გემო ეცოდინება.

— არ მცალია, — ვუკმეხობ მე, — საღამომდე უნდა მოვრჩე გადათეთრებას. ჩასასწრებია ხვალვე ,,ცისკარში‘‘.

შუადღეა.

ისევ სკოლისკენ აიბარგება ჩემი სამეზობლო სახელდახელო პურ-მარილით.

მე ქათმის კუჭმაჭი ძლივს მერგება თავ-კისერ-ფეხიანად. ხაჭაპურს ვინ დააკარებს დანას. გამსკდარ ყველიან კვერებსაც მომიბოძებენ. ეს არის და ეს .

,,ახა, შენი სადღეღამისო ძილ-ღვიძილის საზღაური, ჯილდო, — ვსინანულობ კვლავინდებურად, — იმას კი, — ე.ი. ბაკურ გულუას, — გათვითვინებული და შებრაწული!‘‘

ორიოდე საათიც და სადედაქალაქოდ აღვკაზმულვარ. სტუდჩანთაში ჩავტეულვარ ნაჯღაბნსაგზლიანა.

სტადიონით შევიმოკლებ გზას. გასაკვირია, ბურთსაც არავინ დასდევს.

სკოლის ეზოში ხალხმრავლობაა, თვითმცლელების დაუსრულებელი მიმოსვლა. მიაქვთ თაგვებისგან გამოხრული მითაჟამინდელი თავხენი, ნივნივები, ბოყვები და დირეები. მობრუნდებიან ენგურიდან ამოტანილი ქვა-ღორღით. ტრიფოლიატას ცოცხალი ღობის გასწვრივ ცლიან წყალმოწკურწკურეს.

გრუზათმიანი, ყირმიზი სახის ჭაბუკი, კაპტო ლოგუასა და ქანქანესა — იაშა აშორტიაზე მომეტებული ხმიანებით რომ გასცემს განკარგულებებს, ალბათ, ბაკურ გულუაა-მეთქი, ვასკვნი ჩემთვის.

გუმანი მიმართლებს.

მტვრიანი სამხედრო ჩექმები აცვია სამ თითზე ყელგადმოკეცილი. ხაკისფერი შარვალი შიგ ჩაუტნევია. თაგვისფერი ხალათი ზღვაურისაგან უფრიალებს. ძვალმსხვილია, დანაკვთული, ფეხზემოსიარულე ჯირკი.

იატაკქვეშეთის ზარის მოთამაშეებისაგან გამტკიცულ მიწას ბულდოზერები ასწორებენ.სამმტკაველა სვეტები მიგორებულია ღობის ძირამდე.სამშენებლო მოედანს ამზადებენ.რაღაც დანაყოფებიანი ლარტყები აღუმართავთ. იჭვრიტებიან სამფეხზე დამაგრებული ჭოგრიტიდან.

აქაურობის ბატონ-პატრონია ჩემი ყუათიანი სადილის პირიდან გამომცლელი პირტიტველა რაიკომის მდივანი!ბუხუნებს.წაგრძელებული მაგიდების რიგს, ხორაგით დაზნექილს, ცერად გახედავს. იქ ერთგან რიყის ქვებით დამაგრებული, რუხი ზოლებით აჭრელებული მომავალი სკოლის გეგმა გაშლილა.

არ გამოუვა თავპატიჟი. ზეზეურად იხემსებიან. ვის დაკარგვია შენი ჩიტირეკია პოეტი. თამადაც ეგ არის.

სასექტემბროდ უნდა აწკრიალდეს თურმე პირველი ზარი. იქამდე სამიოდე თვეღა რჩება და საზოგადოებას აბოჟირებს ლამის დაუჯერებელი ამბავი: მიუხედავად არნახული სტახანოვური ტემპისა, მოასწრებს კი, მოასწრებს?..

მოვა, გვნახავს და დაგვიპყრობს.

მერმე შევიტყობ: სკოლის შენობის საძირკველში ანჩაბაძეებისეული კიბის ფილას ჩაატანენ, ხავსიანს და კენჭებასხმულს.

ნარკვევი რა მოსატანია, ფარატინა ინფორმაციასაც არ ვაღირსებ, ,,ერთი ამ პეტრე დიდს დამიხედეთ!“

მოგვიანებით შეტყვის
პროტაგონისტი (პროტოტიპი):

— დედა მომაცრემლებდა ხშირად! ადრე წამიხვედი შვილო, ხელიდანო. მშობლის ალერსი დაგაკლდა, ნანაგეო. ცხოვრებამ მყისვე მიგიზიდა მაგნიტივით და მებრალები ესოდენი თავგადადებისათვისო.

ვერსად შევეხიდები ოტობაიელებისთვის ელვის სისწრაფით აშენებული სამსართულიანი სკოლის გამო, სიტყვით, საქმით; ვერც— მეორე ოტობაიელების მფრინავი სკოლის შენობისათვის, ვეღარც— ბეტონის ხიდისათვის ენგურზე, მეზობელ ზუგდიდთან სადღეღამისო მიმოსასვლელ არტერიას რომ გახსნის და, ერგასეულ კილომეტრს გვაჩუქებს ათასობით ადამიანს, უფრო მეტად— დროს, ბორჯს, ჟამს — თავად სიცოცხლის ტოლფასს.

***

ფოთში ვეწვევი, უკვე მწერლობისათვის ყვინჩილასავით თავაღერილი.

რაიკომის ბიუროს მუშაობის მიმდინარეობაში უპარტიოს სადადიანოს ფუნქციონერნი არ ჩამახედებენ.

წინადღით ჩავალ ფაზის-ქალაქს, შეთანხმებისამებრ.

გაფრთხილებულია თურმე ქვეშევრდომნი ჩემს დასაკვალიანებლად.

გამიყვანენ მობარბაცე გემებისაკენ.

ყურს მიმგდებინებენ უშველებელი ამწეების ხრჭიალისათვის.

წყალქვეშა ფრთიანი ,,კოლხიდას“ გემთმშენებლის მუშაკებს შემახვედრებენ...

,,ფოთის ექსპერიმენტი“ ფეხებში გებლანდება რესპუბლიკის მასშტაბით აბაშის გამოცდილებათა მხარდამხარ.

გამოვეცნაურები მწერალ ამირან აბშილავას, სხვათა და სხვათა.

ვახშამი.

სასტუმრო.

დილით, ზომაზე მეტად დანაყრებულს ნახევარი საათით ადრე მიმაყენებენ პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელის კაბინეტს. ეტყობა დამინდობენ წინმხვედრი ფათერაკების წილ.

აიწყვეტს და აიწყვეტს ჩემი სადილ-სამხართა იავარმქნელი.

სიმწრის ოფლში იწურებიან მამისტოლა ახმახები.

სავარძელში მკვიდრად მჯდარს მოსწავლეებივით ფეხზე წამოუდგებიან.

ქალაქის დაგეგმარება. ბიუჯეტი. პროცენტები.

ეს ყველაფერი ჩინურია ჩემთვის. მე სხვა რამ მაინტერესებს: არა საკითხების შინაარსეულობა, ან მათი გადაჭრის ღონისძიებათა მიზანშეწონილობა, ანტურაჟი ამ ბაკქანალიისა — მსვლელობა, პროცესი, წინამძღოლის როლი; საიდან იკრებს ძალას ორგანიზატორული ნიჭი: სკამისგან, მუშტისგან, გაუბზარავი ტემბრისგან თუ როცა ხერხემალი ლარივით სწორია და ზურგს უკან „თუთაშხიას" ჭორელების საკბილოც წარხოცილა?!

შემოდგომის დილიდან მამლის პირველ შეყივლებამდე იცვლება თემატიკათა შემადგენლობანი.

გადაივლის სადილი, სამხრობა; ვახშამი მოაწევს სადაც არის, აქ კი ისევ ქაღალდების დენადობაა.

ბიუროს წევრები ოფლში იხვითქებიან.

თავად, ლამის თანატოლ მესვეურს, გრაფინიდან წყალიც კი არ მოუსინჯავს.

„მცდის თუ რა?" გამიელვებს თავში აქა-იქ. წავიდოდი, მაგრამ კუთხეში მივმწყდეულვარ ჩადაისებული დაფიონის მხარეს.

„სამაგიეროს ხომ არ მიხდის განზე დგომისათვის? ესოდენი დაუნახაობისათვის?" ამეკვიატება.

კვლავ ჩემს გმირებთან ვტრიალებ.

ბაგი ანთარიას პორტრეტისათვის მოლბერტს ვაშანდაკებ, ფერებს ვაზავებ, ფუნჯს ვაფაფუკებ, ვგორგლავ აბსტრაქტულ ძაფებს, ესკიზებს, ეტიუდებს.

შემდგომ ეს ცხოველმყოფელი ნატურალური ყირმიზი სახე ზღვისპირეთის ჭაობნარისაკენ, ჭურიისკენ გადაიტყორცნება ოდიშის ორიენტირით, წარმოსახვით ოდაბადეში. კრებსითი შეიწოვს კონკრეტული ბაკურ გულუას მონუმენტურ დაუდგრომლობას, ლამის გამსრესავ ენერგიას, რომელიც უნებურად გიმორჩილებს და ლოკომოტივით მიგაქანებს საშვილიშვილო მიმართულებით.

„სიცოცხლემისჯილის" ვრცეულობაში აილინთება რეალური სიმჩქეფარე, ზოგადი შეიმყუდროებს ფეხზე მოსიარულე გმირს, ამ სიტყვის ფართო გაგებით.

მოგვიანებით მეტყვის
პროტაგონისტი:

— იცი, რატომ გიხსენე დედის ნათქვამი, ხელიდან ნაადრევად წასხლტომის თაობაზე? — პასხუს არ დაუცდის, თვითვე შემომებონდება, — ძუძუმტეობის მადლი არ გესწავლება სამურზაყანოელს და ანჩაბაძეებს ორსანტიაში შვილი ხყოლოდათ გაძიძავებული.

მამა ჩვილს, უკვდავების წამალი ყოფილიყო, ხელს არაფრით შეავლებდა, მაგრამ მოენატრება ერთხელ სამი წლით უნახავი ძე და მონადირეთა ამალით განარჯიის მუხურისაკენ დაუგანებს. გამოაღწევენ უღრანებს. გადატოპავენ ენგურს. მორდუს სამოსახლოსკენ გაუტევენ დაწალიკებულნი. ცხენთა ფლოქვების თქარათქური მიახვედრებს ძიძას დიდი ბატონი მობრძანდებაო და ხელებში ატატებულს მიაგებებს მემკვიდრეს ჭიშკართან, მაგრამ ამაყი თავადი დროზე მოიბოჭავს თავს, ადამიანურ სისუსტეს აჯობებს. მხოლოდ ერთხელ გაექცევა მზერა მოჟღრუტულე პირმშოსაკენ, უცხუნებს მათრახს ქურანას, უცხოსავით ჩაუქროლებს სისხლხორცს და ბუზივით მიიკარგება. გოროზი თავადის დისგან მსმენიაო, — მეტყვის, — მხოლოდ ახლა ვხვდები დედაჩემის სიტყვების არსს, თუ რა ყოფილა შვილის ხელიდან ნაადრევი გასხლტომაო.

თანავუგრძნობ თითქოს, თითქოს საინტერესო ტიპს გადმოვაასლებ განუმეორებელი დედნისგან, ბაგი ანთარიას სახით გადმოვაპროზავებ, მაგრამ მერე რა?! სადღაა მისი „კოლხიდები", მისი „ფოთის ექსპერიმენტი", ცენტრალური ბიუჯეტიდან ეკონომიკური ხერხებით მოხელთებული პროცენტების ქარავანი, ადგილობრივი მოსახლეობის სულის მოსაბრუნებლად? რომანი შეიარსებებს თარგმანის მსგავსად, თუმცა ხალხის გული ზღვასავითაა — თვალმარგალიტს სამუდამოდ დაავანებს ხსოვნის წიაღში, მხოლოდ დაჩეჩქვილ ნიჟარებს და დაგვარჯღნილ ფიჩხ-ნაფოტს გამოისვრის ნაპირზე სამუდამო დავიწყების საწინდრად.

აქაც ვალში დავრჩები უნებლიეთ.

***

ჟურნალისტთა ფედერაციის დარბაზში მარათონული შეხვედრებია.

ოვალურ მაგიდას უსხედან ატომგულივით გახლეჩილი ჩვენი პოლიტიკური პროფილები. მეხუთე თუ მეექვსე თავყრილობაა. მასმედია ყბებში გჩრის მიკროფონებს. მეც მათი ამქრისა ვარ. კვლავ

ბაკურ გულუა სპიკერობს. საკითხთა წრე, დილემა, გაფუჭებული ფირფიტის მსგავსად ერთ წრეწირზე ახრიალებს მემბრანას:

— 91-92 წლების მოვლენათა პოლიტიკური შეფასება;

— საარჩევნო კანონის კარდინალური შეცვლა;

— პოლიტპატიმრების განთავისუფლება.

იგივე პოზიციებია მერვე შეხვედრაზე, მეთერთმეტეზე...

მე ამჯერად ციტადელივით ურყევი მის ზურგს უკან ვზივარ, კვლავაც რეპორტიორის იმიჯით, არადა, მეცხრამეტედან მოყოლებული სამედიატორო საქმეს შევლევივართ: ის — ბიქტორ ფეტელავა — სამურზაყანოში წაქიშპებულ ყოჩთა მოსათვინიერებლად, ხანდახან მუხლის ჩასახრელი სიტუაციებითაც კი; მე — გური ოტობაია — სოლო შემრიგებლური წერილების დასტით, სინთეზური აზროვნების აკვიატებული არგუმენტებით, შეუთავსებლის შეთავსების ალქიმიით რომ დადებითის უარყოფითთან შეუკავშირებლად არ აინთება მაცოცხლებელი შუქი ჩვენს ფანჯრებში. მაგრამ რომელია ახლა ყინულეთის სმოკინგში შემძრომელი და ვინ ოხერ-ტიალი უდაბნოეთის ჩოხა-ახალუხით შემმოსველი?!

ვაშანშალებ პუბლიკაციებს. გზადაგზა ვაფიქსირებ ეროვნული თანხმობის დარბაზის მართონულ პერიპეტიებს და მაინც ვალში ვარ, ვინაიდან ვის დაკარგვია შენი ინდივიდუალური მესაყვირეობა?! მთავარი თურმე გუნდური მიმართებებია, გლობალური მიდგომები, ერთობლივი ძალისხმევა, რომელიც თურმე ბაკურ გულუას დაანათლა უფალმა და არა — მერომანე გური ოტობაიას.

გული უგრძნობს თუ რა?!

სკამის საზურგეზე გადმოიწევა და მეამბორება უფროსი ძმის კვალობაზე.

ყველაფერს ასწრებს.

ქართული პოეზიის სრულყოფილი ანთოლოგია სულით დააქვს.

სტრიქონს იქ ჩაეჭიდება, სადაც სიტუაცია კარნახობს.

რიონივით ტანმძიმედ მოღელავს ქვემოწელში, მოაწყალდიდოვებს ყოველივეს თუკი როსმე აბობოქრდა, აზავთდა.

გარემომცველნი ყურს მიუგდებენ.

ადრე დაუსხლტა დედას ხელიდან და ხალხში გაძიძავებული ენგიდუნიას სიბრძნით დაყურსულა; ამიტომაც ძნელია მასთან არათუ კამათი, უბრალო საუბარიც კი.თავის დაკანტურებას იუკმარისებს. დაგიკონკრეტდება, რომელიმე ბასრი წახნაგით შემოგიგდებს თემას და თუ მოუმზადებელი ხარ, დილეტანტი, უცილობლად გაიჭედები კუნძში გამეტებით ნაძგერები ნაჯახივით.

ესეც მისი თანდაყოლილი სიმდიდრე-სიღარიბეა, კონსტანტინე ბატონის ქრესტომათიული სიტყვების სარკისებური ანარეკლი, წაკითხვა: ოსტატია და ხელმოცარულივით თავის მოქაჩლებას ვერ ახერხებს.

ამაყი შერვაშიძეების, ემუხვარების, მარშანიების, ანჩაბაძეების, ინალ-იფების თანმსწრებია და მათ შთამომავლობასთან გაწონასწორებული თანაარსებობა ხალხური დიპლომატიის მეოხებით მოუაზრებია — მედიატორობით, შუამავლობით, შუაკაცობით...

— ერთიანი საქართველო სრულიად საქართველოსთვისო, — გეაჯება, გემუდარება.თითქოს ეროვნული თანხმობის ტრიუმფალური თაღი აღიმართება 2000 წლის 20 აპრილს, მაგრამ ისიც ხომ ნათელია ჩახედულთათვის, რომ ამ თანხმობას ფაქტობრივად ჟურნალისტთა ფედერაციაში მიაღწევენ შეუვალი მხარეები გაცილებით ადრე; მხოლოდ ეგ არის, რომ საზოგადოებისათვის მიიჩრდილება რამდენადმე, რათა ეს აქტი საარჩევნო ტრიუკად არ ჩამოერთვათ, სადაგ მომენტს დაუყოვნდება სანატრელი შეთანხმება, ცხოვრების წესის კალენდარულ დადგომას.

უფრო დაკონკრეტებით კი 1993 წლის ივლის-აგვისტოში, აფხაზეთის ძმათამკვლელი ომის ავბედითი შესვენების დროს, საფუძველი ეყრება ,,რეფორმატორთა კავშირს'', რომელიც თავიდანვე დაისახავს მიზნად წაკიდებულ ძმებში მესამე ძმად შუაში ჩადგომას; ერთმანეთისაკენ სავალი გზების მოძიებას.

სწორედ ამ კავშირს ეკუთვნის უდიდესი მნიშვნელობის საკონსტიტუციო ინიციატივა ქვეყნის საპრეზიდენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბების თაობაზე.

რაც შეეხება ეროვნული თანხმობის დარბაზს, ,,რეფორმატორთა კავშირი'' 1999 წლის 21 მაისს პირველად ქართველი ერის ისტორიაში მიაღწევს წარმოუდგენელ კონსესუსს — 41 პარტია მოაწერს ხელს სახელმწიფო მშენებლობის პროცესში გვერდიგვერდ დგომის შეგნებას.

და მთავარზე უმთავრესი: თუკი ამ კანონს გაიზიარებენ, არჩევნებში წაგების შემთხვევაშიც მზად იქნებიან ხელისუფლების ასაღიარებლად.

იგივე იწერებოდა დიდ ნიკო ნიკოლაძეზე, რომელიც მეფის დროს ქ. ფოთის თავი იყო; საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჟამს — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი და პარლამენტარი, კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი არჩილ ჯორჯაძესთან ერთად: სოციალ-დემოკრატების □ბოლშევიკებისა და მენშევიკების) დაპირისპირების შერბილებისათვის თავდადებული მოღვაწე, 80 წელს გადაცილებული კომუნისტური მთავრობის აგენტი ლონდონში ჭიათურის მანგანუმის ბაზაზე ფეროშენადნობთა ქარხნის ასაშენებლად, ინვესტიციების მოსაზიდად. ამ საქმეს მისი ვაჟი გიორგი ნიკოლაძე აღასრულებს მერმე).

მოგვიანებით მეტყვის
პროტაგონისტი:

— „ხოლო რაც შემეხება მე, ჩემი პირადი სიყვარული და სიძულვილი, ჩემი სიმპათია და ანტიპათია, ჩემი მომხრეობა და მოწინააღმდეგეობა, მუდამ გვერდზე გადამიდვია და ყოველთვის ის საქმე მიკეთებია, რაც ამ დროს ჩემი ქვეყნისათვის საჭიროდ მიმიჩნევია“. ეს სიტყვები ჩემი არ გეგონოს, დიდი ნიკო ნიკოლაძესიაო.

თავად ბაკური კი სულმნათი წინამორბედის კვალზე სიარულს მიიჩნევს უმთავრეს ღირსებად. „ფოთის ექსპერიმენტის“ მამოძრავებელი ძალაც ხომ დიდი ნიკოს იდეების ნასესხობიდან მოდის და ეს ტრადიცია სულაც არ ეჩოთირება, პირიქით — ეამაყება კიდეც.

ხოდა, განხორციელებულა უმაღლესი ინსტანციებიდან ფართომასშტაბიანი ამნისტია განურჩევლად ცოდვა-მადლიანობისა; პარლამენტშიც მოსულან ეროვნული ძალები, სხვათა შორის, ჟურნალისტთა ფედერაციის ეროვნული თანხმობის კონსენსუსის ძალისხმევითაც და მაინც მტკაველ-მტკაველ მოსახვეჭია წარმატება ურთულეს დროში.

იოანე მარუშიძის პირწავარდნილი ძეობილია, უფალმა რომ მოგვმადლა შუა საუკუნეებში ამერ-იმერის შემდუღაბებელ ჭირისუფლად; იმ იოანე მარუშიძისა, რომელიც აღმოსავლეთის დასავლეთთან შემკონავია, სამხრეთის ჩრდილოეთთან შემნასკველი, ეროვნულის, ტრადიციულის თანამედროვების მოთხოვნებთან დამბალანსებელი; ნაწილის მთელთან გამწონასწორებელი და მაინც გზას ულტიმატუმებით არ იკაფავს.

ყველა მთავრობასთან კომუნიკაბელობას აყვედრიან.

სამართალი სად არის?!

მაშ, რისთვის შექმნილა ადამიანი უფლის ხატად?!

ის, ცაბაოთი, განუზომლად დიადი, ხომ თანაბრად ესიყვარულება ნათელს და ბნელს, იაიასა და ჭყონდიდს, ეკლიანს და ხავერდოვანს, თვით სიკვდილ-სიცოცხლესაც?!

ცოდვილია მაცხოვარი ამით განა? განა დანაშაულია შენი ქვეყნის ოღროჩოღროებს ცრემლით ბანდე, ქართლ-კახეთსა და ამერ-იმერს, ლეგიტიმურს თუ თვითნებურ აღზევებებს? მათ უკან ხომ სრულიად საქართველო დგას— ათასები, მილიონები, ჯიშ-ჯილაგი ჩვენი, ვისაც პური მოვანატრეთ გაუთავებელი კონფრონტაციით?!

მოგვიანებით მეტყვის
პროტაგონისტი:

— ხომ ხედავ, ამ მობილურს, გური, მის წარმოებას გადაყვნენ. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეს შეგიძლია ხმა მიუწვდინო და იმიტომ. მაშ, რისთვის არ უნდა ვერწმუნოთ ჩვენ ქრისტეს უბიწო ჩასახვას, უფლის ყოვლისმომცველობას?

ამ პრობლემებზე მეც როდი ვარ ყუმად.

მაინც თავდახრილი ვუსმენ იმ ჯარისკაცის კვალობაზე, რომელსაც, მართალია, ბონაპარტეს დიდბუნებოვნობით დეზერტირობა მიუტევეს, მაგრამ უმისობისას ჩამოლეწილი ციხე-სიმაგრის გალავნისათვის თვალი ვერაფრით გაუსწორებია.

მარცხენა მხარზე ვეამბორები. თანაც ვუხსნი:

პაპაჩემი მოიმოქმედებდა ასე-მეთქი. მარჯვენა უფლისააო, იტყოდა, მარცხენა — მაცილისეული და ოდეს მადლმოსილი კაცი გემთხვევა, მყისვე გაწონასწორდები ორჭოფი ძეხორციელი საშვილიშვილო საქმეთათვის. პაპაჩემი 87 წლისა გარდაიცვალა, სანაცვლო კი ვერვინ მომივლინა ზეციერმა და ამისთვისაც ვჯახირობ აქამომდის ცალმხარიანი, ნაგვერდალი-მეთქი.ხელად აღსაჯვარებელ ამბორს მიბრუნებს, ვალში არ მრჩება.

***

ნათესავის გასვენებიდან ვბრუნდები ზუგდიდ-ქალაქიდან.შინაურ უბედურებაზე არანაკლებ ძარღვებაშლილი დამიხვდება დევნილი სასისხლხორცო. ჯერ იყო და აფხაზეთის ოტებული მთავრობის სახელდახელო სესიის ფრაგმენტებისათვის მიუდევნებიათ ტელევიზიით თვალი.მერედა, მინისტრთა კაბინეტის პირველი შეკრების ხელოვნურად შეკოწიწებულ პროვოკაციას ძარღვები აუწეწია ჯეელ-დარბაისელისათვის.

— შენ რას უდგეხარო, — მყვედრიან, — ჩვენ რომ ვქომაგობთ ბაკურ გულუას, შენ სადა ხარო, — მამუნათებენ.

— აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან თანადროულად მისულს მეთხუთმეტე კაცადადაც არ შემიშვებენ, — ქარაგმათა ბურუსში ვახვევ სათქმელს , — შემდეგ თვითონ გავიკაფავ გზას მიკროფონისაკენ ერთადერთი წინადადების სათქმელად, მაგრამ დამცლოდა, სხვასაც ვიტყოდი: ასჯერ გაივლის ილია წიწამურს, თუნდაც წინასწარ იცოდეს ბერბიჭაშვილის იქ ჩასაფრება; ასჯერ შესძახებს: მე ილია ვარო; ასჯერ მიუშვერს შუბლს დადარაჯებულ ტყვიასმეთქი.

— რა გახდა ეს მინისტრობა?! არ ჯობდა დროულად გადამდგარიყო, იმ კურიოზულ, კომიკურ სიტუაციას ხომ მაინც აიცილებდა თავიდანო, — მეტყვიან ერთგან, მაგრამ — არა შვილოსა-მეთქი, შევეკამათები, — პროფესიონალები და მამულიშვილები თუკი ჩამოსცილდებიან სახელმწიფო მანქანის პულტებს, საქართველოს ბედ-ილბალი საეჭვო ტენდენციების საღრღნელად გადაგველოცება. ბაკურ გულუას დიახაც ხქონდა მორალური უფლება დაემტკიცებინა პარლამენტისათვის თავისი სიმართლე. აქ მინისტრობაზე კი არა საქართველოზეა საუბარი-მეთქი.

მეტი დრო მქონოდა, იქნებ სხვა რამეც ამომეხაპა გულიდან ჩემი ოტობაიელებისათვის თუ ფოჩორელებისათვის, საბედიანოელებისათვის ზოგადად: ორი თვით ტანთგაუხდელი კაცი როგორ აღაშენებდა იმ სამსართულიანი სკოლებისგან დიამეტრალურად განსხვავებული რწმენის ილორებს თითოეული ჩვენგანისათვის, ოდინდელი რიხით და შემართებით, მატერიალურად სრულიად ხელ-ფეხშეკრული, ლამის უარაფ**რო.**

და მაინც სამურზაყანოდან მეორედ გამობუნძურებულებთან, ვისთან ლოგინი მიაქვს, ვისთან პურის ფქვილი თუ მადლიანი სიტყვა: ,,ნურაფრის გეშინია, ნანა, აგერ არ გყავხართ?!''

თითქოს საკუთარ დედას ეფერებაო, იმ ნაადრევად თავწართმეულ დედას, წაგვრილი წლების მოსაახლოებლად.

ფეხს არ მოიცვლის, სულის საზრდოს არ მოაკლებს ათასებს, ამიტომაც გასაგებია ზღვა ხალხის აფორიაქება-თქვა.

ხოდა, ამიერიდან აშვებულია ყველა რაბი ჩემი სულის წყალსატევისა. მარტივ ფრაზაში ოქროს ზოდივით ჩამოსხმულა მცნება იგი: ვინაც თავი დაიმდაბლოს ღირსეული მამულიშვილისათვის, უმეტესადრე აღმაღლდეს თვითვე. აი, რა განზომილება აკლდა თურმე ჩემს არსებობას გუშინწინ, გუშინ, დღემდე.

მოგვიანებით მეტყვის
პროტაგონისტი:

— არაფერია უტა... მახსოვს...,,მე ეს სიტყვა უნდა ავიხირო'', ,,მხრები ბრეზენტივით გაკოჭილი'' და იქვე — ,,ანანურზევით სოფელი, წელში გაჩრილი წალდით ტყეს წავა მამა მშობელი — მუშტის ტოლაა დარდით''. გეცოდინება, რატომ? — მომაჩერდება თვალებში.

დაფანტულ მზერას გავუშტერებ შორეთს. ძნელია აქ მყისიერი შეპასუხება. და კვლავ:

— ვინაიდან ჭლექიანთა ქალაქში გაუშვია მამას პატარა თამუნია.

თვალები მაინც შორად რბიან, ცის დასავალს.

,,ბუდიდან ნაადრევად გადავარდნილ ბახალას, — გამიტაცებს ფიქრის მდინარება, — დედის ხელების მაგიური აურათი დაუფარველს, შესაძლოა მედრვოეებმა რაღაც დააკლონ, მოაციცქონ, შეუკრან გზები, მაგრამ ტყუილად როდი თქმულა: სანთელ-საკმეველი თავის გზა-სავალს არ დაკარგავსო. ბუნება გაავდრების წინ შეჩქვიფდება ხოლმე. ხოდა, თავები მაღლა-მეთქი, განმიცხადებია! საქართველოს მეციხოვნეები — საქართველოს სანგრებთან! პოეტის მიბაძვით ცოტაოდნად.''

გაცნობიერებულია ყოველი აღმართ-დაღმართი; ვინც დამდაბლდება, დიახაც იგი აზეითედება. ასე რომ, სახელმწიფოს მშენებელ კაცზე მოსაბოჭავი პუბლიცისტური წიგნის კარიბჭეთი თქვენი

მარცხენა მხრის მეხამრიდად დაძრულია გური ოტობაია სრულიად საქართველოთი დიდი იოანე მარუშიძის გამოუსწორებელო ძეობილო!

***

სამჯერ შეუტევს ჯაბახანა „ჟიგული“ ნარიყალას აღმართს, მაგრამ — უშედეგოდ.

„ალბათ, ასე სწადია უფალს-მეთქი“, გავივლებ გულში.

მზე შუბის ტარზეა. ტაატით მივუყვები ქვაფენილიან ვიწრობს. რამდენჯერ ამივლ-ჩამივლია გედივით შემართული ამ ტაძრისათვის. ბავშვებიც კი დამასწრებენ მის მონახულებას, მე კი აქამდე ვერაფრით ამოვღწეულვარ.

ხალხმრავალ ეზოში გრილა. ჩემს ძველ ნაცნობს შემოჯარულ ოცეულში მახლობელ სახეებსაც დავლანდავ. მოვუბოდიშებ ყველას და სანთლის ასანთებად დავეღირები ეკლესიისაკენ.

გამაოცებს ფრესკების სიმრავლე და ხელწერა.წმიდა გიორგის ხატთან აკამკამდება წყვილი სანთელი.ტანწყობილებას ვუთვალიერებ არქიტექტურულ ძეგლს. ათეულათასობით კუბური მეტრი მიწის ზურგით გატანის შემდეგ გამოჩენილა მისი საძირკველი თუ კედელთა ნაშთები. საქმესაც იქიდან შთაბერვია სული. და, ახა, აღმოსვეტებულა იგი სინაგოგათა, მეჩეთების თუ სხვათა ზემორე, როგორც ქართული სახელმწიფოს, მართლამადებლური სულისკვეთებისა და შემწყნარებლობის ფხიზელი დარაჯი, მწყემსი.

შევხარი ჭოგრიტით სახელისგულოდ მოტანილ სანახებს, თანაც ბედისწერასავით სულში გახეშილი საქართველოს მომავალზე ფიქრითაც შემიჯანღდება გონება:

„მსგავსი სიტუაცია ორჯერ ხქონია ჩვენს სამშობლოს, — ვეხმიანები საკუთარ თავს, — პირველად მეექვსე საუკუნეში, როდესაც ბიზანტიელი სარდლები მუხანათურად მოაკლევინებენ უიარაღო გუბაზ მეფეს და მეორედ — კრწანისის ტრაგედიის ჟამს.ორივე შემთხვევაში საღი გონება გამოგვიყვანს შექმნილი კატასტროფული სიტუაციიდან;ორივე შემთხვევაში ქართული წინდახედულობა ორ ბოროტებას შორის ნაკლებს ამოირჩევს და ისევ დამპყრობელ, დამმონებელ მსგავსთან ამჯობინებს ურთიერთობას, ვინემ განსხვავებული ტრადიციების ძალასთან.ათი წელიწადია ჩვენი ქვეყანა ისწრაფვის თავისუფლებისაკენ; ათი წელიწადია ვაშენებთ დემოკრატიულ საზოგადოებას და ჩვენი ცხოვრება დღითი დღე უარესდება. სანამ ჩვენი ხელისუფლება მოქმედების გონივრულ სტრატეგიატაქტიკას არ მოიმარჯვებს, ჩვენი საშველი არ იქნება.საქართველოს არასდროს ეცალა სახელმწიფოს მშენებლობისათვის, შინაარეულობებისა და გარეშე დაწოლათა პირობებში.საქართველოს შინაგანი სიმაღლე, მისი სულიერების ძეგლი დიახაც კავკასიონის მთაგრეხილია, ოღონდაც მოიძებნოს მართებული გასაღები ამ დილემისა.ქართველი ერის გოლგოთა მისი ადგილ-სამყოფელია, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა: ქართველი ხალხის სასუფეველს სისხლხორცეულად უკავშირდება რუსულ-ევროპულ-ამერიკული ინტერესები, მრავალეროვანი კავკასიის ინტერსები, მაგრამ დარწმუნებული ვარ გაივლის მის ტერიტორიაზე „დიდი აბრეშუმის გზა“, „ნავთობსადენი“ და ეს თითქმის თავისუფლების ტოლფასია, არა მხოლოდ ჩვენი რეგიონისათვის.“აი, როგორი საუბრისთვის ვინატრიდი ბატონ ბაკურის მოხელთებას.ძველ გალავანთან ვდგავარ. მსაჯის საათისაკენ გამირბის მზერა. ლომისფერია თეთრი კურდღლების ქალაქი, თინათინ მღვდლი აშვილისებურად.

მოგვიანებით იტყვის
პროტაგონისტი:

— გური, მოდი, ასე მოვილაპარაკოთ, — ქალაქის ვრცეულობას მიჩერებია, — თქვენს მრავალმხრივ, კომპლექსურ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, იქნებ დანაწევრებულად ჯობდეს?! უფრო საინტერესო საუბარი გამოგვივა.

— მაშინ ყველაზე უმთავრესით დავიწყოთ: ბატონო, ბაკურ, მაინც რა არის თავად სახელმწიფო?

— სახელმწიფო დიდი ბედნიერებაა, გური, მით უფრო — მცირე ერებისათვის. ეს ვინ არ იცის, რომელმა? საქართველოს სახელმწიფოებრიობა დაკარგული ხქონდა საუკუნეების განმავლობაში. სამწუხაროდ ხალხში მხატვრული ლიტერატურიდან უფრო არის დამახსოვრებული ჩვენი ბედი და ისტორია, ვინემ ღრმა ისტორიული და პოლიტიკური ნარკვევებისაგან, რომელთაც თავისი ავტორები ხყავთ, მაგრამ ეს ყველაფერი მიმობნეულია და როცა ჩვენ აღვადგენთ დამოუკიდებლობას ამ საუკუნეში, მოგეხსენებათ ეს ორჯერ მოხდება, სამწუხაროდ მოხდება ისე, რომ პირველი სუვერენიტეტის დაკარგვის შემდეგ საერთოდ აკრძალულია სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკი. შვიდი ათეული წელი გაივლის ამის შემდეგ და მეხსიერებიდან პრაქტკულად წაიშლება, არა

მხოლოდ პირველი ქართული სახელმწიფოებრიობა, არამედ — მისი არქიტექტორები, მის შემქმნელები, ის ისტორიულ-პოლიტიკური გარემო, რაც ჩვენს მცირერიცხოვან ერს საშუალებას მისცემს, აღადგინოს თავისი რეგალიები. იქაც შუღლი, იქაც ძმათამკვლელი ომი, იქაც ერთმანეთის გაუტანლობა, ძმათა შორის უთანხმოება გახლავთ ძირითადი პოლიტიკური საფუძველი ჩვენი პირველი სახელმწიფოებრიობის მოშლისა.

მიზეზთა მიზეზი კი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორი შტოს არსებობაა, რომელსაც მერე მენშევიკებად და ბოლშევიკებად მონათლავენ. ბოლშევიკების ლიდერი რუსეთში აღმოჩნდება იოსებ სტალინი, ხოლ ნოე ჟორდანია და ნოე რამიშვილი, ასევე სოციალ-დემოკრატები — საქართველოში. მათ შორის შეუთავსებლობის შედეგად, ლიდერობაზე ბრძოლის გამო, შეიქმნება უზარმაზარი იმპრეიის დაპირისპირება ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოსთან.

დროებით მთავრობას, დროებითს იმიტომ ვხმარობ, კონსტიტუციის მიღებამდე პარლამენტი და მთავრობა დროებითადაა მიჩნეული, ბევრს ეცდება, მაგრამ ვერაფრით დააშოშმინებს გარედან ინსპირირებულ წინააღმდეგობას, უაღრესად, მძლავრად მხარდაჭერილს მოსკოვიდან. და მოხდება ისე რომ, ჯერ კიდევ 1920 წლის მაისში ურატაძე რის ვაივაგლახით, დიდი გაჭირვებითა და ჭაპანწყვეტით მიაღწევს ლენინამდე და შეძლებს XI და III არმიების საქართველოში შემოსვლის აღკვეთას. მაგრამ 21 წლის 23 თებერვალს, როცა საქართველოს პარლამენტი მიიღებს პირველ კონსტიტუციას და ამ პარლამენტის წევრები კი არიან დიდი ნიკო ნიკოლაძე, დიდი არჩილ ჯორჯაძე, უამრავი მოღვაწე, რომლებიც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას შექმნიან, რათა დაბალანსონ ეს ორი კომუნისტური ინტერნაციონალის ღვიძლი შვილები, ვერ მოახერხებენ უკმაყოფილების აღმოფხვრას; გათამაშდება ბორჩალოს აჯანყების ინსცენირება და ორჯონიკიძეც ბოლშევიკური პარტიის სახელით მოსკოვში დეპეშას აფრენს, რითაც მოითხოვს დახმარებას, ქართველი ერის გადარჩენას მენშევიკური მთავრობისაგან, რომელიც სინამდვილეში ეროვნული გახლავთ და 23 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია 25 თებერვალს სხვა შინაარსით შეიცვალება, თბილისის თავზე სხვა ფერის დროშა აფრიალდება.

აი, ეს არის ტრაგედია ჩვენი ხალხისა, როცა ორივე მხარეს დგას სისხლით და ხორცით ქართველი: ერთი მტრად განწყობილი, რომელიც სარგებლობს დიდი იმპერიის მხარდაჭერით, ხოლო მეორე — ეროვნული, თუმცა ეკონომიკური კრიზისით გათანგული.

ცალკეული შეტაკებები მაინც მოხდება: უნივერსიტეტის პროფესურა, სტუდენტები, იუნკრები თავს დასდებენ სამშობლოსათვის. ჩაიხოცება ჩვენი სისხლ-ხორცი კოჯრის ტყეში, დღევანდელი მთავრობისა და პარლამენტის შენობის ეზოში და საქართველო ფაქტობრივად დაიპყრობს უთანასწორო ბრძოლაში.

მთავრობა გაიქცევა საზღვარგარეთ. დიდი ექვთიმე თაყაიშვილი ჩვენი ეროვნული სიმდიდრის ხაზინდარია ემიგრაციაში. ამას მოხყვება 24 წლის სისხლიანი დღეები, როცა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა ცდის გამოაჩინოს თავისი ძალა და იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, მაგრამ მოგეხსენებათ, ესეც ცკ-ს მიერ ინსპირირებულია და ამოწყდება, გაიჟუჟება ჩვენი გენოფონდი, საქართველო კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის სტატუსს დასჯერდება.

საინტერესოა აქ ერთი დეტალის გამოკვეთა: 22 წლის 30 დეკემბერს ასევე სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის მალულად, მის ზურგს უკან შეიქმნება სსრკ. ამას პრაქტიკულად პირველად წაიკითხავს ქართველი მკითხველი, რომ ლენინი იმყოფება რა გორკაში, სტალინისაგან იზოლირებული, პირველად შეიტყობს 30-ში საღამოს ტროცკისგან, კრუპსკაიას მეშვეობით, რომ დიდ თეატრში ჩატარდება ყრილობა და პრაქტიკულად, ყველა წინააღმდეგია ამ ქმედებისა, მაგრამ საბჭოთა კავშირი მაინც შეიქმნება, უფრო მეტიც, მანამდე საქართველოს ცკ-ას ბოლშევიკური პლენუმი განიხილავს ამ საკითხს და წინააღმდეგი წავა საქართველოს სსრკ-თან შეერთების თაობაზე. შემდგომ მათ უკლონისტებს უწოდებენ. მოგვიანებით ამ ხალხს მოსკოვში ,,დააწინაურებენ'' და თითო-თითოდ გაჟუჟავენ.

ამის შემდეგ დაიწყება ხანგრძლივი ჩაგვრის პერიოდი. ყოველგვარი ეროვნული მოძრაობა იხშობა. მის ცალკეულ მოღვაწეებს თითო-თითოდ გაწყვეტენ სხვადასხვა ბრალდებით. 30-იან წლებში შეიქმნება საგანგებო ვითარება. ხიტლერი გაიმარჯვებს შუა ევროპაში და მეორე მსოფლიო ომი გარდაუვალი გახდება. ფაშისტური დიქტატურა დიდ გერმანიაში სწრაფად დაძლევს ეკონომიკურ დეპრესიას, რომელიც მთელს მსოფლიოში მძვინვარებს. დაიწყება გაუგონარი მზარდი ნაბიჯებით ეკონომიკური წინსვლა. სსრკ-იც ემზადება ომისათვის. მას მშვენივრად მოეხსენება, რომ ფაშიზმის აფავება შუა ევროპაში არ ხდება განვითარებული ქვეყნების მხარდაჭერის გარეშე. ბოლშევიზმის თავიდან გადაგდების მოტივაციით მას დიდად უწყობენ ხელს და უკვე ეროვნული მოძრაობისათვის

არავის სცხელა. თვით ეროვნული მოძრაობის კორიფეები მიჩნევენ რომ დროებით გადასადებია ეს საკითხები მეორე პლანზე, რადგანაც დედამიწას ხაკისფერი ფაშისტური საფრთხე ემუქრება.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მოსალოდნელია, რომ გამარჯვებული სტალინი გააფართოებს საქართველოს საზღვრებს, ძირძველი ქართული მიწების შემოერთებით, მაგრამ მოხდება სხვაგვარად — სირიაში, ბალკანეთში თურქეთს ჩამოერთმევა მის მიერ დაპყრობილი მიწები, თუმცა ჭოროხს იქით საზღვარი არ გადაიწევს.ამას აქვს თავისი ისტორიული ახსნა და სხვა დროისთვის გადავდოთ.

ახლა კი ვთქვათ იმის თაობაზე, რომ ამ საუკუნეში მეორედ და არა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, არამედ 15 რესპუბლიკას შორის საქართველო პირველი ამ დაშლის პროცესის გონივრულად გამოყენებით თავს დამოუკიდებლად გამოაცხადებს. გავიხსენოთ ეს თარიღი — 1991 წლის 31 მარტია, როცა რეფერენდუმი ჩატარდება ცალკე და არა საბჭოთა კავშირთან ერთად, რომელსაც მწვანე შუქს აუნთებს გორბაჩოვი 17 მარტს და 9 აპრილს მიიღებენ დეკლარაციას, ხოლო 14-ში პრეზიდენტად სესიაზე გამსახურდია აირჩევა. შემდეგ კი 26 მაისს დაინიშნება საპრეზიდენტო არჩევნები. ამ დღეს საქართველოს პრეზიდენტი ირჩევა. ეს ისეთი გამონაკლისია და იმნაირი დარტყმა სსრკ-ის ერთიანობისათვის, რომ მთელი იმპერიული ძალები აღსდგება ჩვენს წინააღმდეგ თავისი სპეცსამსახურებით, მაგრამ ამჯერად თავად სსრკ-ში რთული ვითარება სუფევს, ის მაინც ფუნქციონირებს საქართველოს გარეშე, უსაქართველოდ, თუმცა ჯერ კიდევ ყველა არხი გადაჭრილი არ არის, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო-პოლიტიკური.

ამას მოხყვება აგვისტოს პუტჩი და სსრკ-აც დაიშლება სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობად. შემდეგ — სამი სლავი სახელმწიფოსი ცნობილი ბევოვეავსკის აბანო. აი, ამნაირ ფონზე, ჩვენ დამოუკიდებლობას მივიღებთ რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად, მაგრამ თბილისში არ ძინავს მეხუთე კოლონის ურჩხულის კლანჭებს და 22 დეკემბერის გამთენიისას გავარდება ტყვია და უკვე მერამდენედ გათამაშდება სისხლიანი ბაზალეთი, უკვე — შუარუსთაველზე. ესეც გარედან ინსპირირებული და შინაგანი მოღალატეების ხელშეწყობით აგორებული კონფრონტაციაა, როცა მოხერხებულად გამოიყენებენ ეროვნული ხელისუფლების გამოუცდელობას...

— მოუხეშაობა...

— ამასაც, მის არასიმკვიდრეს და სამხედრო გადატრიალების ეპიცენტრში ამოვყოფ თავს. 1991 წლის დეკემბერ 1992 წლის იანვრის ტრაგედია გარკვეული ძალების მიერ ქვეყანაში შექმნილი ურთულესი ეკონომიკური ვითარების გამოსწორების მოტივაციით აგორდება. ბედის ირონიაა: სსრკ-ი იშლებოდა, ჩვენ ჩვენი კანონიერი მემკვიდრეობა უნდა მიგვეღო, და სანაცვლოდ მოვიმკით ცხრაასთვრამეტი წლის მუჯლუგუნებს და როზგებს. ასე იყო ვადერპულშიც. ჩვენ ამის გამო ძალიან ბევრს დავკარგავთ მაშინ. თქვენს წინ ზის კაცი, რომელიც მონაწილეა საბჭოთა კავშირის დაშლის ისტორიული მომენტისა — 1991 წლის 30 დეკემბერს, როცა აქ ზარბაზანების ბათქაბუთქია, მე ურთულესი გზებით მინსკში აღმოვჩნდები სსრკ-ის დაშლის დოკუმენტზე ხელის მოსაწერად, მაგრამ ამაზეც მოგვიანებით; ახლა კი უფრო დავუკონკრეტდეთ, უფრო ჩავუღრმავდეთ თავად სახელმწიფოს არსს.

— ბატონო ბაკურ, თქვენ ზემოთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაზე ბრძანეთ. მე რამდენადაც ვიცი, ამ პარტიის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი დიდი ილია გახლდათ. ხოდა, აი მისი უკვდავი ფორმულა — ,,მამული, ენა, სარწმუნოება''— რამდენად გამოსადეგია სახელმწიფოს ბურჯად და ბალავრად?

— სახელმწიფოს საფუძველითა საფუძველი მიხსენე და ეგ არის. მოგეხსენება, 1905 წლის რევოლუცია უძღვის ამას წინ, რომელიც საქართველოშიც მოიტანს დიდ მსხვერპლს, რეპრესიებს. მაშინ ნათელი გახდება, რომ ინტერნაციონალური იდეის — ,,პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!'' შემოსვლა საქართველოში სასიკეთოს ვერაფერს მოგვიტანს. ამ მაცდუნებელ ფენომენს დიდ ნაშრომებს მიუძღვნიან ცნობილი 60-იანელები, როგორც მავნეს და დამღუპველს საქართველოსათვის, ვინაიდან კლასობრივი დაპირისპირება მუსრს გაავლებდა ისედაც დაქუცმაცებულ, დანაწევრებულ, ნახევრად ფეოდალურ საქართველოს, აღგვიდა მას მიწის პირისაგან. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის იდეა, ცხადია, ილიას ეკუთვნის, მაგრამ დამფუძნებელი ის არ გახლავთ, ათი წლით ადრე ვესროლეთ ტყვია.

ნიკო ნიკოლაძე ასაკშია, 74 წლისაა და ახალგაზრდა სპირიდონ კედიას სთხოვს თავმჯდომარეობას. იდეა, რომელიც წლების განმავლობაში ტრიალებს ჭეშმარიტი მამულიშვილების თვალწინ, ბოლოს და ბოლოს აღსრულდება ნიკოლაძის ხელდასხმითა და მხარდაჭერით, მაგრამ, მოდით, კვლავ სახელმწიფოს მშენებლობის საკითხებს დავუბრუნდეთ.

არქიტექტურის ყველა შესაძლებლობანი დიახაც აქ მოიყრის თავს და აბსტრაქციის შემწეობით ამოიზრდება კიდეც მატერიალურ სხეულად. აქვე გადაჭრით უნდა ითქვას, რომ პირადპირ დემოკრატიის ფორმით ქვეყნის მართვა უტოპიაა, შეუძლებელი. გულუბრყვილობაა, ყველა საკითხი, რომელიც ხალხს და ერებს აწუხებთ, გადაწყდეს რეფერენდუმებით, თუკი ოპერატიული მართვის ორგანოები სჭირდება. ამისთვის კაცობრიობამ უკეთესი ვერაფერი შექმნა, ვიდრე— დემოკრატია, ანუ ხელისუფლების არჩევითობა ძირიდან ბოლომდე, უფრო კონკრეტულად კი წყარო ხელისუფლებისა გახლავთ ხალხი. ხალხი რამდენიმე ათეულ ათასი ადამიანის უფლებას გადასცემს ერთ დეპუტატს. ისინი ქმნიან საკანონმდებლო ხელისუფლებას, როგორც ფედერალურ, ანუ საერთოსახელმწიფო დონეზე, ისე თვითმმართველობის, სოფლის, რაიონულ, საქალაქო დონეზე და მათზე დელეგირებულია თავიანთი უფლება სახელმწიფოს მართვისა. — მოსწავლესავით მიღეჭავს.

შემდეგ მოდის პოლიტიკის საკითხები, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: ეს არის საგარეო პოლიტიკა, ესე იგი, სახელმწიფო ატარებს საგარეო პოლიტიკას, რომელიც ჩამონაკვთულია საზღვრებში და შემდეგ ამ საზღვრებში იგი აღიარებულია მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობის მიერ. ეს უკანასკნელი XIX-XX საუკუნეების ფენომენია. მანამდე ასეთი რამ ცნობილი არ იყო: თქვენ ამ და ამ საზღვრებში ვიღაცამ უნდა გცნოთო. ეს მსოფლიო თანამეგობრობაა, საერთაშორისო ორგანიზაციების პრეროგატივა; ანუ ამ სახელმწიფოს, როგორც ერთეულის ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საგარეო პოლიტიკა გააჩნია.ამასთან ერთად სახელმწიფო ახორციელებს საშინაო პოლიტიკას, რომელიც შედგება ორი დიდი ნაწილისაგან: ეს გახლავთ ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობა ხალხთან ანუ საკუთარ ამომრჩევლებთან, რაც საშინაო პოლიტიკის ერთი ნაწილია და მეორე — ხალხი არ არის ერთგვაროვანი: ის როგორც წესი, შედგება ეროვნებებისაგან, მაგრამ ერთი ან რამდენიმე მათ შორის წარმმართველია. ჩვენი მაგალითისამებრ, საქართველოს წარმომქმნელია ქართველი ერი და იმიტომაც გვეძახიან საქართველოს; და მე მიკვირს როგორ შეიძლება დაბადების მოწმობაში მაინც არ გვეწეროს ,,ქართველი''?! ესეც რომ არა, აქ ხომ გარკვეული რაოდენობით ცხოვრობენ აფხაზები, ოსები, თუ სხვა ერებისა და ეროვნებათა წარმომადგენლები და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიმართება მათდამი არის საშინაო პოლიტიკის მეორე შტო. დანარჩენი — ფრაზეოლოგიაა, პუბლიცისტიკაა, ფოლკლორი.

აი, სამი ძირითადი ღერძი პოლიტიკისა, ერთი საგარეო პოლიტიკა და საშინაოში ორი საკითხი— ხალხის მიმართება ხელისუფლებასთან, ხელისუფლების მიმართება ხალხთან და ხელისუფლების მიმართება ერებთან და ეროვნებებთან. ბუნებრივია, სახელმწიფოს გააჩნია თავისი ატრიბუტები: ეს არის ჯარი, ეს არის საზღვარი, მათ შორის ეკონომიკური საზღვარი; ეს არის ფულადი ერთეული, ეს გახლავთ ენერგეტიკული სისტემა, სატრანსპორტო სისტემა, სახაერო სივრცე; ეს არის წიაღისეული სიმდიდრე, საზღვაო აკვატორია; ეს არის უშიშროება, პოლიცია, წესრიგი და ასე შემდეგ. აქ უამრავი საკითხია, რომელიც ზედმიწევნით უნდა დარეგულირდეს და როგორც ორსაუკუნოვანი ტრადიცია აჩვენებს, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ძირითადი კანონი. ,,არა, მომინელებს მენტორის ტონით''.

— არიან სახელმწიფოები, რომელთაც არა აქვთ კონსტიტუციები, ასეთებიც არსებობენ. ძირითადში ისინი წარმოდგენილია, როგორც კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფოები. სიმბოლურად მეფე და დედოფალი განაგებენ ქვეყანას, მაგრამ ხყავს პარლამენტი და მთავრობაც.ჩვენს სინამდვილეში საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტოს არის მიღებული; მოგეხსენებათ ჩვენ გვაქვს ხელისუფლების სამი შტო. ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლება, რომლის მეთაურია ქვეყნის პრეზიდენტი, ანუ ჩვენ გვაქვს საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელის სახელმწიფო მოწყობა.

— ეს ხომ თქვენი კავშირის ძალისხმევით განხორციელდა ფაქტობრივად-მეთქი, ვეკვეხები არამკითხე მოამბესავით.

— დიახ, ეს თავიდან ბოლომდე ჩვენი შემოტანილია. როცა ჩიხში მოექცა წინასწარ შემუშავებული იდეა, ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის შესახებ, თუ გახსოვთ, რიგით მეხუთე ვარიანტად ეყარა მას კენჭი. შემდეგ გამოიყო შემთანხმებელი კომისია, რომელმაც ვერანაირი ცვლილება შეიტანა შეთავაზებულ პროექტში. ეს არის 69-ე მუხლი, სადაც ფორმულირებულია: ქვეყნის პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. ე.ი. გვაქვს სამი სახელისუფლებო შტო — აღმასრულებელი, საკანონმდებლო, ანუ უმაღლესი წარმომადგენლობითი ხელისუფლება, პარლამენტი და სასამართლო ხელისუფლება.

აი, ეს სამკუთხა სისტემა, რომელიც ცნობილია, როგორც დემოკრატიის გენიალური მამების, ვაშინგტონის, ჯეფერსონის და მის მეგობრების პოლიტიკური პირამიდა, 1787 წელსაა ამერიკაში

მიღებული და შემდეგ 48 ქვეყნის მიერ გაზიარებული მოდელია.ალბათ, დაგებადებათ კითხვა, რა აკლია დღეს ჩვენს სახელმწიფოებრიობას, მის ძირითად კანონ-კოსნტიტუ- ციასო.პირველი და უმთავრესი გახლავთ ის რომ, მას აკლია ერთი მთლიანი კარი და ესეც ჩვენი ტრაგიკული აწმყოთია გამოწვეული. ეს არის კარი ხელისუფლების თაობაზე, ანუ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. ჩვენ გვყავს ცენტრალური ხელისუფლება, გვყავს პრეზიდენტი, პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლება და არა გვყავს ხელისუფლება ძირიდან ბოლომდე ანუ თვითმმართველობიდან, სოფლიდან დაწყებული — ცენტრალურ ხელისუფლებამდე. მისი არჩევითობა სავალდებულოა ძირიდან ბოლომდე, რომელიც ქმნის აღმასრულებელ ორგანოებს და ასე შემდეგ.

— ჭალადიდელის სიტყვები გამახსენეთ უნებლიეთ: თუ საძირკველი დანგრეულია...

— მაგრამ ეს არ მომხდარა ვინმეს კაპრიზებით, უყურადღებობით. ზოგს ეს მიაჩნია ძალიან დიდ ავანტურად. თითქოს გულუბრყვილობა მოგვივიდა, ან კიდევ— გამორჩათ კონსტიტუციის შემქმნელებს. სინამდვილეში ეს ასე არ არის... ვინც კონსტიტუციის კარებს და მუხლებს ვადგენდით, ძალიან კარგად გვესმოდა თუ რა შედეგებს მოგვიტანდა კონსტიტუციის მთავარი საკითხის ,,გამორჩენა'', ,,გამოტოვება''.

— უძირითადესი საკითხისა.— დიახ, უძირითადესისა, რაც ადამიანების უფლებებისა და ხელისუფლების საკითხია, მათი თანამოღვაწეობის პრობლემა.

— ეგრე რომ არა, ალბათ, ზედა ეშელონებიდან დანიშვნების პრაქტიკაც აღიკვეთებოდა და შესაძლოა უმართავი სიტუაცია მიგვეღო. გამოდის რომ ჩვენი დღევანდელობა რამდენადმე დიქტატორული ნიშნების მატარებელია, დემოკრატიული საზოგადოების აშენებით კი ენა და მკლავი დაგვეღალა.

— ამას აქვს თავისი ობიექტური მიზეზები. დიახ, ჩვენ გვაქვს ცენტრალური ხელისუფლება კონსტიტუციური არჩევითი ორგანოების დეფიციტის ფონზე და ამბობენ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა დაგვავიწყდაო. მაშინ იყო ასეთი ვარაუდი, პოლიტიკური პროგნოზი. მოგეხსენებათ ამ დროს აფხაზეთი მოწყვეტილია საქართველოს, სამაჩაბლოც გასულია ჩვენი იურისდიქციიდან. აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკებით უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციალი მოწყობის პრობლემა და ეს უნდა ყოფილიყო, ფრთიანად თუ ვიტყვით, საჯილდაო ქვა, გასარჩევი თემა და ჩვენც აღნიშნული კარი გამოვტოვეთ.

ასეთი პრაქტიკა არსებობს მსოფლიოში. თვით ამერიკის კონსტიტუცია, რომელიც პირველია ფაქტობრივად, მას ადამიანის უფლებათა კარი ორი წლის შემდეგ დაემატა.

ახლა, როგორც ხედავთ, ხუთწლიანი პერიოდი საკმარისი არ აღმოჩნდა საქართველოს გამთლიანებისათვის და ეს არის ჩვენთვის ტრაგედია, რადგან წარმოუდგენელია, რომ სხვა პოლიტიკური სისტემა იყოს თელავსა და გორში, თან კარდინალურად განსხვავებული ცხინვალსა და გუდაუთაში, როცა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია შენი ტერიტორიული მთლიანობა; როცა მსოფლიოს თვალში სახელმწიფო გქვია...

— როცა ერთ პოლიტიკურ სივრცედ მოიაზრები...

— შესაძლოა თითოეულს გააჩნდეს თვითმმართვლეობის განსხვავებული ფორმები, განსხვავებული რეგიონული წყობა, ეს დასაშვებია რამდენადმე, მაგრამ ქვეყანა თუ ერთიან პოლიტიკურ სივრცეში არ არის და ერთიანი პოლიტიკური წყობილება არ გააჩნია, თანაც კონსტიტუციურად გამაგრებული არ არის მისი სხეულის შეუვალობა, ასეთი ქვეყანა ყოველთვის დამუხტულია ცენტრიდანული ძალების აღსაზევებლად, ნიადაგ სეპარატიზმისთვისაა მოჭიმული, სულ დაშლა ემუქრება პარტიკულარული ნიშნებით თუ ეკონომიკურ ზონებად...

ჩემთვის წარმოუდგენელია საქართველოს უნიტარულ სახელმწიფოდ წარმოსახვა, ანუ ყოველგვარი დაყოფის გარეშე შიგნით, რადგანაც ეს არარეალურია შექმნილ ვითარებაში აფხაზეთის მაგალითზე. ასევე ვერაფრით წარმომიდგენია ახლა ან ახლო მომავალში საქართველოში დასაშვები იყოს საუბარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმებაზე, ან თუნდაც ცხინვალისა და ჯავის რაიონის უპირობო შემოერთებაზე. გარდა ამისა, ჩვენში არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული მხარეები, რომელთა მიმართ დიდი სიფრთხილეა საჭირო, მეტი შორსმჭვრეტელური სახელმწიფოებრივი მიდგომები; ზოგან პრეზიდენტის რწმუნებულთა საკმაოდ გავლენიანი ინსტიტუტები ჩამოყალიბდა და მომავალში როგორც ჩანს, რაღაც ფორმით ესეც შესანარჩუნებელი გვექნება. მოკლედ, ფიქრი უნიტარულ სახელმწიფოზე ამჟამად უადგილოა, თუმცა თეორიულად გამორიცხული არაფერია, გარკვეულ ისტორიულ მომენტში შეიძლება სურათი კარდინალურადაც შეიცვალოს; მაგრამ ამჯერად შეუძლებელია ფედერალური პრინციპების უგულებელყოფა, ისევე როგორც მავნებლურია ადამიანის დაბადების და პირადობის მოწმობაში ეროვნული კუთვნილების იგნორირება. ხედავ, რო-

გორი ვერაგული თემაა შემოგდებული?! უსამაჩაბლოდ და უაფხაზეთოდ საქართველო უპერსპექტივოა, უმმომავლო. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობას არც ოსი დაგყაბულდება და აღარც — აფხაზი. ესე იგი უკვე ვქმნით გადაულახავი უთანხმოების წინაპირობას ჩვენი ქვეყნის მთლიანობისათვის; ჩვენი სახელმწიფოს შენობას, სურამის ციხისა არ იყოს, ამ ეროვნული ნიშნის გამოხშირვითა და ფედერალური ცნობიერების ხელისკვრით, ვერასოდროს აღვაშენებთ. იგი ყოველთვის ჩამოგვენგრევა. თავიდან შემოგდებულია ჩვენი სახელმწიფო აზროვნებისათვის მეტად საშიში მიმართულებები და მას დროზე სჭირდება რეაგირება.

— ნეტავი ამის მეტი არაფერი გვქონდეს სადავო, — თავს ძლივს ვიკავებ გაწიწმატებისაგან, — თუკი აფხაზი ჩაიწერს რომ ის ეროვნებით აფხაზია და ეს სხვანაირად გამორიცხულია, მაშინ, შენ ქართველმა რა უნდა მოიმოქმედო? კოსმოპოლიტურ მოქალაქეობას უნდა დასჯერდე და დაუცადო როდის გადაიქცევა შენი სამშობლო უეროვნო სახელმწიფოდ?!

— ვერ გამოგვივა ჩვენ ეს. ემოციური გამოსვლები ჩვენი ახალგაზრდა კოლეგებისა წარმომდგენლობითი ხელისუფლებიდან, არ ემყარება სახელმწიფოს რეალური მდგომარეობის ცოდნას, ანუ იმ ობიექტურ ვითარებას, თუ რაზე დგას ქვეყნის სიმკვიდრე და რა ემუქრება მის მომავალს ხვალ-ზეგ. ან რაში მდგომარეობს ჩვენი დღევანდელობის ტრაგიზმი? ძირძველი, აფავებული მიწა-წყლები მოწყვეტილი რომ არის ჩვენგან, იქ ქართველებიც ცხოვრობენ სხვათა შორის და იცოდეს ყველამ, მამა-პაპათა წმიდა საძვალეებს არავის დავუთმობთ, სანამ პირში სული გვიდგას და ბოლო პერანგის თრევა შეგვიძლია.

— გამოდის რომ ეროვნების რეკვიზიტ ამოშლილი პასპორტი, დაბადების თუ პირადობის მოწმობაში მისი გაქრობა ჭკვიანი მტრის მორიგი დივერსიაა, რათა ვერასდროს მივაღწიოთ რაიმე სერიოზულ შეთანხმებას აფხაზებთან და ოსებთან, ანუ დღენიადაგ ვიწოწიალოთ ღელესავით ამღვრეულ სამშობლოში და თვინიერად ვუყუროთ ჩვენი მამულიშვილური სხეული თანდათან როგორ მოექცევა კოსმოპოლიტური „ფასეულობების“ ღრანჭებში; როგორ შეეზრდება სანამ ჯინე კვირტივით ოცდამეერთე საუკუნემდე კბილებით სულმოტანილი საქართველო გაღმაოკეანურ უეროვნო თვითშეგნებას.

— დღეს ჩვენი აზროვნება, გური, უნდა იყოს მართული არა რომანტიკული პოლიტიკით, არამედ გვმართებს თეორიულად სწორად გათვლილი პრაქტიკული ძალისხმევა, განხორციელებადი გონივრული პოლიტიკა, რითაც დროის უმოკლეს მონაკვეთში შესაძლებელია საქართველოს ერთ მთლიან სხეულად შეკავშირება, შეკვრა. ალბათ, დამერწმუნები, რომ ძალიან ბევრი შემიძლია ვთქვა აფხაზეთზე, მის ტრაგედიაზე. ჩინებულად მოგეხსენება ისიც, რომ ნამდვილი აფხაზი ეს მე ვარ და არა — ის, ვინაც დღეს იქ გაბატონებულა, რომელმაც ძმათა სისხლით ხელი გაისვარა. ესეც სხვა დროისათვის გადავდოთ. ასეთი სამი საკითხი შემოგვინახეს უკვე სამომავლოდ.

ჭეშმარიტი აფხაზები და ოსები ჩვენი მეფეების სისხლგამოვლილი ხალხია, მუხრანისა არ იყოს; ქრისტეს ჯვარი ერთად გვიტარებია, მაგრამ ცბიერმა ძალამ აქაც შეძლო ჩვენი დაყოფა, აქაც ორმხრივი შეცდომა დაგვაშვებინა, გაგვთიშა და მიუხედავად ეროვნული სახელმწიფოებრივი ინტერესებისა, კვლავაც ძალუმად ბატონობს ჩვენზე და ჩვენს მოძმეებზე. ჩვენი ერთობა ვერაფრით შესდგება თუკი ამ ხალხებს ძმობის გარანტიებს არ მივცემთ, რომ ქართველებთან ერთად უპრობლემოდ ეცხოვრებათ აწ და მარადის; არ გაიღვიძებს რევანშიზმის სინდრომი; რომ ყოველგვარი თავდასხმისა და ყაჩაღობის დრო მორჩა; რომ კვლავაც შევქმნით საზიარო ოჯახებს, ისევ ძუძუმტეებად, ძიძებად მივეახლებით ერთმანეთს; რომ არ დაუშვებენ ისტორიულ შეცდომას, არ მოტყუვდებიან ჩვენთან თავის მოყრდნობით, გვენდობიან და ხვალ კვლავ მძარცველებს მივუქსევთ.

ესაა ჩვენი ცდომილების თავი და თავი, რომლის მონანიება უთუოდ მოგვიწევს ადრე თუ გვიან. რაც ჩვენ თავიდან შეცდომები დავუშვით ცხინვალსა და აფხაზეთში შეიარაღებული ფორმირებების შეყვანით, ცივი ოფლის მოსაწურად გვარიან ხანს გვეყოფა. ამას ყველაფერს ასგზის უფრო მეტი დანაშაული მოხყვა ქართველი ხალხის და ქართული გენოფონდის მიმართ და მიუხედავად ყოველივესი, ჩვენ ვალდებული ვართ, თუკი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აშენება გვინდა, თუკი დედა საქართველო დიდად გვიღირს, ამიერიდან მაინც ორ ძმას შორის მესამე ძმის როლი ვითამაშოთ და არა — მოსამართლისა. მოკლედ, სხვა მიდგომებით, სხვა მიმართებით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მკვიდრად აშენება არ გამოვა: **გაშოკვეთილ ეროვნულობას ბლუს ფედერალური აზროვნება და კიდევ — ჩვენეული ქართული შემწყნარებლობა!**

— უბედურების ორგანიზატორები, ბატონო, ბაკურ?

— მათი ადგილი ამ საღვთო ეროვნულ საქმეში აღარ იძებნება. სულ ერთი მუჭაა მათი ასავალ-დასავალი. ხოდა, მოულოდნელი სულაც არ არის, რომ ჭეშმარიტი აფხაზები თავად არიან დევნილები სამშობლოდან, მაგრამ არა — საქართველოში, არამედ — რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში.

ჩვენ ისინი გვემდურიან იმედების გაცრუებისათვის, ცუდი მეურვეები რომ გამოვადექით; ჩვენ ვერ შევძელით მათი უფლებების დაცვა, ვერ გავუმკლავდით შიდა თუ გარე მტრებსა და მოღალატეებს და ამით, ერთი მუჭა სეპარატისტების ხელში მოვაქციეთ ჭეშმარიტი სულის მატარებელი მკვიდრი მოსახლეობა. ისინი გაფაციცებით აყურადებენ ჩვენს პოლიტიკურ ნაბიჯებს, რადგანაც გენეტიკურად, ათასწლეულების მანძილზე ათვისებული ინფორმაციით სჯერათ, რომ ქართველების გარეშე მათ, აფხაზებს და ოსებს , მშვიდობიანი, აყვავებული ცხოვრება არსად უწერიათ.

— მაშ, რას უცდიან? რატომ არ ჩაერთვებიან საერთო ფერხულში? სხვათა შორის ხიდებს ხომ ორივე მხრიდან ერთდროულად აშენებენ ბატონო, ბაკურ?!

— ეგეც სწორია, გური, მაგრამ ისინი უწინარესად ქართველთა ეროვნულ თანხმობას ელოდებიან, რომ ჯერ ქართველები შევიკრათ ერთ მუშტად, ერთი პირით ავლაპარკდეთ საქვეყნო საქმეებზე. აი, მაშინ იტყვის ჩვენი კაცი: ეს გახლავთ ჩვენეული მოდელი, თქვენი უსაფრთხო ცხოვრებისა საქართველოს მიწა-წყალზედაო; თქვენი ხელშეუხებლობის, თქვენი უფლებების დაცვისა და ხელისუფლების გადანაწილებისაცაო.

ის უფლბები, რაც შეიძლება ადგილებზე გადავცეთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოვიღოთ ცენტრალურ ორგანოებში და პირიქით, ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საქართველოში შემავალ მხარეებს გადავუნაწილოთ:

არ შეიძლება აფხაზებმა მოჭრან თავიანთი ფული, ხყავდეთ დამოუკიდებელი სამხედრო ფორმირებები ან ავიაცია და საზღვაო ფლოტი;

ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივას მისაკუთვნებელი სულ რამდენიმე საკითხია. ის, რაც ცივილიზებულმა სამყარომ დღემდე მოიფიქრა მცირე ერებთან და მათ უფლებებეთან მიმართებაში, ყველაფერი ასაწონ-დასაწონია. აქაც არსებობს გამონაკლისები, რაც ჩვენ შეიძლება მივცეთ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, რომლებიც ბოლო წლებში გულდაკოდილნი არიან ჩვენგან, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენ მათგან კიდევ უარესი დაგვემართა.

— დრო არ ითმენს ბატონო, ბაკურ, ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო-მეთქი, ვცხარობ.

— ეჭვგარეშეა. ჩვენთან საუკუნოვანი ტრადიციები არსებობს, როგორც ხალხურ დიპლომატიაში, ისე მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა შინაპოლიტიკური გამოცდილება. ვალდებულნი ვართ ჩვენი წინაპრებისა და საქართველოს მოსახლეობის სახელით ერთხელ და სამუდამოდ მოვაწყოთ ქართული სახელმწიფოებრიობა, როგორც ხალხთა სამართლიანი თანაარსებობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთთანამშრომლობის ნიმუში. ჩვენში ამისთვის ყველა პირობა არსებობს: სიტუაცია, ობიექტური რეალობა თუ წინააღმდეგობათა დაძლევისათვის აუცილებელი გონიერება, ხალხური სიბრძნისა და ღირსეულ მამულიშვილთა პოტენციალი. აქვე, მრავალთა გასაგონად უნდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოებრიობაა ძირითადი პირობა, აუცილებელი ქვაკუთხედი ერის ჭეშმარიტი აყვავებისა, მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გაფურჩქვნისა; რომ დამყარდეს შეუქცევადი მშვიდობა; რომ იყოს უწყვეტი კეთილდღეობა, წინსვლისაკენ მიმართული ცხოვრების დინამიკა და მთავარზე უმთავრესი: დემოკრატია სოფლად, ქალაქად; დემოკრატია — მთელ სახელმწიფო სახელისუფლებო სისტემაში, რომელიც აუცილებელია ერის ჭეშმარიტი, მკვიდრი და იმედიანი არსებობისათვის.

საქართველოს რეფორმატორთა კავშირს 5 წელზე მეტია მზად აქვს საქართველოს კონსტიტუციის ეს კარი, რომლის მუხლებში ჩამოყალიბებულია ყველაფერი ის, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ. თანაც კარგად აპრობირებული თითოეულ შესაძლო მოპაექრესთან, მათ შორის ჭეშმარიტ აფხაზებთან და ოსებთან. იგი თავის ისტორიულ მომენტს ელოდება და დარწმუნებული ვარ ეს დღეც შორს არ არის.

— სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ერი ფაქტობრივად არსებობას წყვეტს. მხოლოდ გარდასული სახელმწიფოებრიობის კედელთა ნანგრევები ინახავენ მის სულიერებას.

— ბარემ აქ გიპასუხებთ საუბრის დასაწყისში მოშველიებულ დიდი ილიას ფორმულის თაობაზე: ,,მამული, ენა,სარწმუნოება''. ეს რა თქმა უნდა პოეტური ფრაზაა, პოეტური ენითაა ნათქვამი. სამი რამ დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა გადარჩენის საწინდრად, ათქვეფისა და გადაჯიშებისაგან დამცავ მექანიზმად. პროზაულ ნაწერებში დარწმუნებული ვარ ერის უგვირგვინო მეფე ამ ტრიადიდან ,,სარწმუნოებას'' წინ მოაქცევდა, შემდეგ— ,,ენას'' და ,,მამულს''. ცხადია, ამით ნათქვამის აზრი არ იცვლება.

დღეს ურჯულოება გვიტევს მთელი სიგრძე-სიგანით; სექტები და ერეტიკოსები მომძლავრებულან. მოწინააღმდეგენი პირველ რიგში ჩვენს სულიერებას უტევენ გაუგონარი მასშტაბით. ამით უნდა ძირი გამოუთხარონ ქართველთა სულიერ მთლიანობას აფხაზებთან, ოსებთან, ჩვენს მიწა-წყალზე

მცხოვრებ სხვა ერისა და ეროვნების შვილებთან, რომელთაც შეიძლება ჩვენგან განსხვავებული აღმსარებლობა ხქონდეთ, მაგრამ ათასწლოვანი ტრადიციით თანაარსებობენ — მართლმადიდებლური ეკლესია, სინაგოგა, მეჩეთი, სომხური ეკლესია; ტოლერანტები და შემწყნარებლები რომ ვიყავით, იმიტომ მოხდა ეს. შეხედეთ თბილის-ქალაქს და აქვე იპოვით ამის უამრავ მაგალითს.

— როგორ გიბრძანებიათ წეღან, მეგობრებში, დიდ გორაზე აღმართულიაო ჩვენი წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, ვითარცა...

— ახლა იმ სიტყვებს ნუ გამამეორებინებ. მეგობრებთან ერთად აშენებული წმინდა ნიკოლოზის ეკლესია დედა-ციხეზე ზემოდან გადმოყურებს დედაქალაქს. ასეთ რამეს არქიტექტორები დომინანტურ ნაგებობას უწოდებენ, ანუ ისაა მთავარი სანახი. მისი ქრისტიანული წყალობაა გაღებული სხვა სჯულთა მიმართ. ამ პრინციპების ერთგულები უნდა ვიყოთ ჩვენ აწ და მარადის. ნათქვამი ძალზე პათეტიკური გამომდის.

მოკლედ, თანადგომა სჭირდება არა მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტს ან ხელისუფლებას საერთოდ, არამედ სერიოზული მხარდაჭერა გვმართებს საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია II მიმართ, რათა მართლმადიდებლობა და რჯული ჩვენი, შენახულ იქნას შეურყვნელად, რომელმაც ორი ათასწლეულის მანძილზე ქართველი ხალხი ბევრი განსაცდელისაგან იხსნა, შეგვიმსუბუქა ჭირი და ლხინად გვიქცია მოზღვავებული მრავალი უბედურება.

,,ყველა ძლევაი საკვირველი'' აქედან იღებს სათავეს. ახლა, როცა ამას ვლაპარაკობ, ვლაპარკობ როგორც ქართველი კაცი, ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე, მაგრამ — ჩემ წილ პასუხისმგებელი ამ სახელმწიფოზე უპირველეს ყოვლისა და მივესალმები ნებისმიერი ერის შვილს, რომელიც ჩვენი მიწა-წყლის პატრიოტია, მისთვის შრომობს და იღვწის, მისთვის სისხლის გამღებია. ამასთან ჭკუის სწავლებას არ დამიწყებს ქართველობა როგორ გამოვხატო;. ასე არ უცხოვრიათ ჩვენთან ებარელებს 2600 წლის განმავლობაში, აფხაზებს, ოსებს, სომხებს, რუსებს, არასდროს ჩვენთვის არ უსწავლებიათ როგორ უნდა მოვქცეოდით მცირე ერის შვილებს. ჩვენ თვითონ ვიყავით კანონმდებლები და შემწყნარებლები, მათთან ერთად ამ მიწა-წყალზე მშვიდობიანად მცხოვრებნი.

— და მაინც პერსპექტივები, პერსპექტივები, ბატონო, ბაკურ?

— ისტორიულად, ალბათ, იმით დაფასდება XXI საუკუნის დასაწყისი, რომ 9-წლიანი ტანჯვისა და წამების ხარჯზე შეიქმნება მძლავრი საგარეო ჯავშანი საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მას სამწუხაროდ მხარი ვერ აუბა ქვეყნის საშინაო პოლიტიკამ და აქედან გამომდინარე ახლა საგარეო პოლიტიკაშიც არის სიძნელეები. ამ სიძნელეებიდან ერთ-ერთს უკვე გავუსვით ხაზი — საშინაო პოლიტიკის უმთავრეს პრობლემას — ერთა შორის კავშირის საკითხს. ვინ არ იცის, გური, რომ ჩვენ ორი საუკუნეა დიდი რუსეთის გავლენის ქვეშ ვართ. შემდეგ საბჭოთა კავშირი შეიქმნა, როგორც ერთა ,,თანასწორუფლებიანი'' გაერთიანება, მაგრამ მოგეხსენებათ, ეს არ ნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

ამიერიდან უკვე დამოუკიდებელ საქართველოს მოუწევს წონაწორობის დამყარება სხვა სახელმწიფოთა ინტერესების ფონზე.

ჩვენ ვერც რუსეთის წინააღმდეგობას გავექცევით, ვეღარც ამერიკისა და ევროპის ინტერესებს დავაბიჯებთ ფეხს. ეს ხომ ცხადზე უცხადესია! საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის მთავარი ამოცანა ბალანსია; რომ ამ ზესახელმწიფოთა ინტერესებში შევიდეს დამოუკიდებელი, აყვავებული, მშვიდობიანი კავკასია. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოხერხდება დიდი სახელმწიფოების ინტერესების ხარმონიზება ჩვენს ეროვნულ ინეტერესებთან, ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ, ჩვენ როგორ ავუწყობთ ფეხს დიდ პოლიტიკას, განსაკუთრებით საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით, რადგან, მოგეხსენებათ, საშინაო პოლიტიკა მხოლოდ საქართველოს საშინაო საკითხია. თუ საგარეო პოლიტიკაში ჩვენ მხარდაჭერის იმედი უნდა გვქონდეს იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებიც ზოგადად ცივილიზაციას იცავენ, ჩვენ შიგნით სხვისი მოიმედობით ვერ დავრჩებით და ვერც საერთაშორისო დახმარებების მეოხებით ამოვწურავთ ყველა შიდა პრობლემას. ჩვენ ძლიერი საშინაო პოლიტიკა გვჭირდება, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, საქართველოში მცხოვრებ ერთა შორის ურთიერთობის მოწესრიგება და სწორედ ეს გახლავთ ქართველთა ეროვნული თანხმობის ასპარეზი. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს დიდი მომავალი აქვს და ამისთვის მას გააჩნია, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანური რესურსები, მაღალი ინტელექტი და ერთა შორის თანაარსებობის ათასწლოვანი ტრადიციები.

ისტორიულად ჩვენ კარგი სამშობლო გვარგუნა ზეციერმა მამამ, იგი ღვთისმშობლის წილხვედრია და როგორც იოანე-ზოსიმე ბრძანებს, დიდი სულიერი მისია აკისრია. კავკასიაში საქართველო ყველა რჯულისა და ეროვნების კაცისათვის იყო უპირველეს ყოვლისა, ადათწესებისა და

სტუმართმოყვარეობის დამცველი. მეზობელ ქვეყანათა ღირსეული შვილები სწორედ თბილისში იძენდნენ განათლებას და შემდეგ სპეციალისტებად, პროფესორებად და აკადემიკოსებად უბრუნდებოდნენ მოძმე ხალხებს.

მე ჩემს მეგობრებთან ერთად ბევრჯერ შევსწრებივარ სულის შემძვრელ სურათებს მათთან თუ ჩვენთან სტუმრობისას.

კავკასიის ხალხებს ძმანდნაფიცობა და ძუძუმტეობა უფრო მოგვიხდება, ვიდრე, მტერთა და მოღალატეთა მიერ თავსმოხვეული ძმათამკვლელი ომი.

საკმარისია საქართველომ რამდენადმე მოაგვაროს საშინაო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, დაიწყოს დაწინაურება, რომ ჩვენ ძველებურად მიმზიდველები ვიქნებით არა მხოლოდ აფხაზისა და სამაჩაბლოს მცხოვრებთათვის, არამედ — მთელი ცივილიზებული სამყაროსათვის. ასე რომ, არა მხოლოდ რუსეთთან, არა მხოლოდ ევროპა-ამერიკასთან ურთიერთობით, არამედ — აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, ,,დიდი აბრეშუმის გზის'' ქვეყნებთან კეთილმეზობლური და ურთიერთხელსაყრელი დამოკიდებულებით შევძლებთ მძლავრ წინსვლას.

ჩვენ არა მხოლოდ ევროპელები ვართ, ჩვენ სამი ცივილიზაციის საფუძველზე ჩამოვყალიბებულვართ ისტორიულად და ამით მართლაც უნიკალურები გვეთქმის:ვართ ევროპელები და ამავდროულად — აზიელებიც. ამასთან ჩვენი კულტურა ორგანული ნაწილია ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ცივილიზაციისა. ყოველივე ეს ათასწლეულების მანძილზე აისახა ჩვენს კულტურაში, ქცევაში, ადათში, ცხოვრების წესში, რომელიც განუმეორებელია თავისი შინაარსითა და ფორმით.ამასთან, დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფო აზროვნება, ქვეყანასა და მის გასაჭირზე მოფიქრალი, ჭეშმარიტი ნიჭიერებითა და პატიოსნებით მოქმედი ადამიანი ჭირდება. ასეთები ცოტა როდი არიან, მაგრამ — გათითოკაცებულნი. თუ მოხერხდება მათი მოძიება და ამ უდიდესი პოტენციალის გაერთიანება, საქართველო შესაძლოა ძალიან სწრაფად გამოვიდეს ამ სავალალო მდგომარეობიდან. არადა, ადვილი შესაძლებელია პერსპექტივა მეტად საშიში ტენდენციებისაკენ გადაიხაროს, რომელიც თვით სახელმწიფოს დამოუკიდებლობასაც დაემუქრება.

კაცმა რომ თქვას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემომტკიცების გარეშე მეტად უფერულია ჩვენი დღევანდელი დამოუკიდებლობა.

ქვეყნის ხელისუფლებამ სამეცნიერო-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის, სპეციალისტების, თეორიტიკოსებისა და პროფესიონალი პრაქტიკოსების წრიდან ახლა უნდა შემოიკრიბოს ერთგულებით, ცოდნითა და გამოცდილებით გამორჩეული ხალხი. მისმა უწმინდესობამ ამ პროცესს უნდა შეაშველოს ღვთიური მადლით ძალამოსილი ხელი, მართლმორწმუნენი და ქრისტესანნი, უნდა გავერთიანდეთ დიდი სჯულის კანონის დასაცავად, მომძლავრებული ურწმუნოების მოსაქცევად, ქვეყნის გადასარჩენად. ყოველივე ამისათვის ფართო საზოგადოებრივი ძალისხმევაა აუცილებელი, ნელნელა, მაგრამ — მასშტაბურად და მძლავრად.

დღეს ჩვენი ბედოვლათობით პარპაშობს ჩვენი დამაქცევარი, ხაზინის ქურდი და გზის ყაჩაღი. განა ჩვენივე ხელის შეწყობით ან უმოქმედობით არ დავუთმეთ მათ ქვეყანა საჯიჯგნად? განა ძნელია შესრულდეს ბიუჯეტი, ხალხს დაურიგდეს საარსებოდ აუცილებელი სახელმწიფოო შემწეობა — სრულებითაც არა. გეტყვით დაუფარავად — მხოლოდ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში დასაქმებულ მეწარმეებთან კეთილსინდისიერი თანამშრომლობით სახელმწიფოს შეუძლია ამოიღოს 2-3-ჯერ მეტი თანხა, ვიდრე ეს 2000 წლის საბიუჯეტო კანონითაა გათვალისწინებული. თქვენ გგონიათ ამ თანხას მეწარმე არ იხდის? იხდის, მაგრამ სად მიდის ეს თანხა? ცხადია, არა სახელმწიფო ხაზინაში, რომ ქვეყანა მოღონიერდეს, არამედ — პარაზიტების ყულაბაში, რომელიც ისევ ჩვენ გვებრძვის, საქართველოს სულიერ-ეკონომიკური დაჩოქებას ემსახურება.

გური, სამოხელეო სტილი მომიტევე, და კიდევ ერთიც — მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უმთავრესი ხმამაღლა განვაცხადო:

ბატონო, პრეზიდენტო!

თქვენო უწმინდესობავ!

ხელისუფალნო!

ღვთისა და ხალხის სახელით აღიღეთ ხელში მახვილი, იხსენით ქვეყანა განსაცდლისაგან, განარიდეთ სამამულო საქმეს უწიმნდურნი. პატიოსანი ხალხის ძალა ბევრად აღემატება უკეთურთა შესაძლებლობებს! თუკი თქვენ მხარში ამოიყენებთ ჭეშმარიტ მამულიშვილებს, გააძლიერებთ და დაეყრდნობით მათ. მხოლოდ თქვენ ხელგეწიფებად აკეთოთ ეს დიდი ეროვნული საქმე, ღვთისა და საქართველოს გულისათვის! დარწმუნებული ვარ ქუდზე კაცი გამოვა. პატიოსან საქართველოს ეს შემოძახება

დიდი ხანია სწყურია!

***

ბინდისპირია. თავდაღმართზე ტაატით ვეშვები ნარიყალადან. სათაურს ვეძებ მომავალი წიგნისათვის. რატომღაც ეროვნული თანმხობის დარბაზი მიტრიალებს თვალწინ გამუდმებით.

,,ვისთან გაავლებ პარალელს ამ მერეხ-კაცთან'', ვეკამათები საკუთარ თავს.

გამოუსწორებელი, უშეღავათო ოსტატის — გოგი გაჩეჩილაძის სახე გაიცრიატებს ბინდბუნდში. იოანე მარუშიძის ხსენებაც მაშინ ამიგუგუნდება ყურთასმენაში. ეს ფენომენი ჩემი აღმოჩენა როდია. საქართვლეოს სახელმწიფოებრიობის პირველ მებალავრეზე მონოგრაფიას ამზადებს ბატონი გიორგი. ფრაგმენტული, ეფემერული საუბრებიდან ზოგი რამე გაფაჩუნებულა ჩემს ცნობიერებაში, მაგრამ ყოველივე ზერელე, ჩაღრმავების მომლოდინეა. ,,ხოდა, ამერ-იმერის ერთმანეთთან შემკონავი წინაპრის მემკვიდრედ გამოვაცხადო რომან-ტრიადა ,,სიცოცხლემისჯილების'' ერთ-ერთი გმირის პროტაგონისტი, ხომ არაფერი დაშავდება-მეთქი'', — ვჭოჭმანობ. ,,როდემდის, ო, როდემდის დარჩეს ეს ტკივილები ჩემს გულში?'' — ვბორგავ, პასუხის გამცემი კი ძველებურად არავინაა?

წამალი რა ხანია ნაპოვნია: რამაც მოგკლა, მანვე მოგარჩინოსო;

ამ წამლისა ჩვენმა წინაპრებმა ჩინებულად უწყოდნენ — ,,ლილეოთი'' და ,,ოდოიათი'', ,,მრავალჟამიერით'' და ,,ჩაკრულოთი'', ხორუმებით, ფერხულებით, ბორჯღალებით, ჯოხის დასრულებათა შეერთებით ბორბლად, კირბისებით, შეუთავსებლის შეთავსების ალქიმიით ბოლოს და ბოლოს.

გველეშაპმა კუდი პირში თუ ვერ ჩაიდო, სხვანაირად მუცელში ვეღარაფრით მოაშთობს ამირანს. ამისთვისაც წააწყვეტენ ძმანნი მისნი ურჩხულს ქერეჭიან კუდელს.

ყოველივე ამას წლების წინათ მიხვდებიან ბატონები: ვლ. ჩუბინიძე და გ. ალაზნისპირელი, ზ. ქაფიანიძე, ხ. წულაია თუ სხვები. ეზოტერიკულად ამოხსნილია საქართველოს უკვდავების ფორმულა — ნაწილისა და მთელის ხარმონიული თანაარსებობა, რომელიც შესაძლოა ლოცმანა დაც კი წაადგეს მსოფლიო აზროვნების მომავალს. ხოლო ჩვენი ვითარების ენაზე თუ გავშიფრავთ ამ ცოდნას, მაშინ საქართველომ ხელი უნდა ჩაჭიდოს აფხაზეთ-სამაჩაბლოს, მერე ამათი ერთობლიობით — რუსეთ-ამერიკა-ევროპას და თვინიერად აუწყონ ფეხი დედამიწის მაჯისცემას. ეს გარეთ, გლობალურში, გრანდიოზულში. ქვეყნის შიგნით კი ხელისუფლებამ და მისმა უწიმნდესობამ უნდა მოიზიდონ საქართველოს ღირსეული შვილები ოთხივ კუთხით, კიდევ ათასი და ათასეული ადამიანური ფაქტორი შეუმაგნიტდება ამ ხუთმილიონიან ფერხულს-ხორუმს: პოლიტიკურ პარტიათა სიჭრელე, განდგომილნი თუ განთესილნი და შეუდგებიან მართონულ მსვლელობას მამაპაპური ფასეულობების გარშემო, საკუთარი თვითმყოფადობის ასაბასრებლად, სხვათა მრავალთა საბედნიეროდ თუ სასიკეთოდ. საქართველო ხომ სამყაროს, კოსმოსის ერთი პატარ მოდელია, მინიატურა, მაკეტი, მატრიცა და, ღმერთო, როგორ მინდა მჯეროდეს, რომ არ ვცდები, არ ვტყუვდები კვლავინდებურად... მეტეხის ხიდამდე მოვღწეულვარ.

ხიდი, ბოგირი, ბონდი — ბეწვისა, ხისა თუ რკინა-ბეტონისა, ორი ნაპირის დამაკავშირებელი ძალაა, იგივე მესამე ნაპირი, მესამე განზომილება, მედიუმი განსხვავებულ ინტერსთა შეთანაწყობის გზაზე.

ოდიშ-აფხაზეთის ხიდი ბაკურ გულუამ ააგო. ისე ააფეთქეს, ვერც მიხვდნენ რა ძარღვი ჩაწყვიტეს... ეს ერთ დროს ორი ნაპირის განუყოფელ სხეულად შემკრავი სული. ახლა კი დასაჭედად ფეხებაჩაჩხული კამეჩივით აყირავებულა იგი და ზედ საქართველოის სვეგამწარებული მრევლი დაბობღავს. და რადგანაც ბაკურ გულუას ხელებიდან გამოსულა ხიდი ესე, მასზე უკეთ არავინ უწყის ბურჯები რომელ ადგილასაა ჩაყრილი, რა სიმძლავრის როგორი დუღაბითა და ქვა-კირით. ჰოდა, ვინ არის ის პიროვნება, რომელიც ორივე ნაპირზე ერთდროულად დადგება შეგირდო, ჩემო, მთელი საქართველოს სახელით? საკუთარი სულით რომ შეკრავს ნაპირებს, თუ არა ისევ და ისევ ბაკურ გულუასთანა ხალხი — იოანე მარუშიძის გამოუსწორებელ ძეობილთა სახუთერგასო ერთობლიობა?!

„ლიტერატურული საქართველო“,
№24 25, 2000წ.

ძუძუმტე

16. 08.

ოღროჩოღრო წუთისოფლის თემშარაზე გვარიანად დამაშვრალთ „სუფევის“ აისებზე საუბარი რომ გაგვიიოლდეს ცოლ-შვილს ერთად შევყრით სამოხიოს ჭირისუფლები: სამ გიჟმაჟ ფეტელავას ორ თავზეხელაღებულ ხუფენიას წავუმატებთ ვარკეთილის დასახლებაში, იშვიათი გულისხმიერებით გამორჩეულ რძალს, პანნა ჯანეტას და ეთერ დეის ჩემს გამომარტოხელებულ ნანას მივუჩოჩებთ საჭორიკნოდ — გულის მოსაფხანად; ძუძუმტენი კი დიდრონთვალება ნინოს ამარა დავკენტდებით მეტრომშენის დასახლებაში.

გაზაფხული კარზე მომდგარა, ფანჯრებზე გვიკაკუნებს რა ხანია, მაგრამ ესოდენ მშობლიური კარალიოკის შტოებიდან კვირტებს მაინც არ გამოუხელიათ თვალები. გაზონები მოვლილია. აქაც შეუდარებელი რძალი იმარჯვებს —სრული შემადგენლობა მიწა და ნაგავია გატანილი შემოგარენიდან. სვენებ-სვენებით ჩაივლის აღდგენითი სამუშაოები და ახლა მისასვლელი კოლხისას დამსგავსებია რამდენადმე, ხაროვნება, ვრცეულობა მომატებია საწიერს.

ორი წლის გერმანული ნაგაზი ოსკარი ლეკვობიდან რომ მიღრენდა, თუნთიას საკადრისად, მომჩვევია, მკერდზე მომაბჯენს თათებს. დღეს კი რატომღაც ფართე აივნიდან წკმუტუნებს. წვიმიან ამინდს მორიდებია. იქნებ ანცების გახიზნვამ დააღონა? სტუმარიც ნაკლებადაა მოსალოდნელი, ვინაიდან გამორთულია ფიჭური თუ სააბონემენტო ტელეფონები. ყველა პირობა შექმნილა განმარტოებული საუბრისათვის, რომლისთვისაც ლამის ნახევარი წელიწადია ვერაფრით შევყრილვართ: ხან ამერიკელი და გერმანელი სტუმრების მოძალებაა, ხან სამურზაყანოდან გამოდევნილი ჩვენებურების სატკივართა მოხშირება, ზოგჯერ კიდევ — რა და ხელიდან გამოგვაცლის მონატრებული დიალოგისთვის სათანადო ატმოსფეროს.

გათარანებულია ბუხარი, მაგრამ ნაპო ბიძიასეულს, ოტობაიურს, ისე წააგავს, როგორც ხვლიკი— ნიანგს ლორკასებურად.

გაშლილია სკამებზე ნარდი, ჩხრიალებს კამათლები. ოთხით ერთს ვუგებ ძუძუმტეს და ცოტათი არ იყოს ნერვიულობს. იქვე მოჩოჩებულ ტაბლას მივეარხეინებით. კითხვარები წინასწარ მომიმზადებია. ჩამწერიც ხელთა მაქვს ცოცხალი საუბრის მაჯაზე დასახვევად — ექვსი კასეტა მომითადარიგებია.

საუბრის დედაბოძი ჩვენი მაღალი სვანეთის იგავმიუწვდომელი ფონემაა: მიშგუ ლადეღ სი — ჩემი დღე შენ — სალიტერატურო ქართულით და როდესაც ამ უმაგალითო მცნებას დედასამშობლოს დაუწყვილებ, იქ მორჩენილია უნიათობის, გულნამცეცობის საქმე. დასტურ, ამიტომაცა არის ბიჯითაც, რომ ვერ დაახევინეს აფხაზ სეპარატისტებმა დალის ხეობიდან გულრაინდ ვაჟკაცებს.

—მიშგულადეღსი, დედასაქართველოვ! —უკვე სინთეზის გზასაც დავდგომივარ: სიტყვას სიტყვასთან ვადუღაბებ, რათა ნემსისოდენა ჭუჭრუტანაც კი ამოიგლისოს ურემი სიცივის შემოსატევად.

სალექსოდ განწყობილი: ამასწინებზე მუშვანეთის ცათამბჯენი ორწოხებიდან დანახული საქართველოსადმი მიძღვნილი სტრიქონებით ავხმიანდები და რადგანაც ყველაფრის საწინდარი რესპოდენტის უალკოხოლო ეგზალტირებაა, მეც აღტკინებით ჩავერთვები კოპიტი შეშის წარმართულ ბურტყუნში:

მიშგულადეღსი

ნიკოფსიიდან დარუბანდამდის,
სვანურ კოშკებით ზეცა ნალესი,
გულზე გარდამდის, სულზე გარდადის,

ჩემი დღენი შენ — მიშგულადეღსი.
ზეცა მიჭირავს ეკლესიებით,
ქარებს მიდენის მძლავრი არესი,
სამურზაყანო: მკვდართა სიებით,
ჩემი დღენი შენ — მიშგულადეღსი.
იმერეთის მზე, ქართლის სარო ცა,
სვანეთ-გურია ლექსად ნაკვესი,
გამოურია ცრემლი სალოცად,
ჩემი დღენი შენ — მიშგულადეღსი.
სამეგრელოთი, ნაღდი კახეთით,
გარდახდილია ბნელი ხადესი,
გარდასავლით და გარდასახედით,
ჩემი დღენი შენ — მიშგულადეღსი.
სიმაღლე და წყა შენი ხვედრია,
შენი წილია — ყოფნა ნათელში,
ვარსკვლავიანი ზეცა კეთრია,
ჩემი დღენი შენ — მიშგულადეღსი.
აღმოსავლეთით ისევ ინათა,
გაქრნენ მთიები ცაზე ნათესი,
ხოჩა მარე და ხოჩა დინათა
საქართველოა — მიშგულადეღსი.

გაშტერებული მისჩერებია ბუხარს ძუძუმტე. ინსტინქტურად გამომიშვერს ხელს ფურცლისკენ. ვაწვდი. კითხულობს. ვიცი იქ ორი პოეტური ლიცენციაა: დამახინჯებულია გერმანული და ინგლისური ფრაზები რიტმის საჭიროებისამებრ: რეფრენში, სადაც ახლა „ჩემი დღენი შენაა", განზოგადოების მიზნით მეორდებოდა: „მაინ თაგე დიხ", „მეი დეი ფორ", „ვამ ჟე მაი დნი", სინამდვილეში უნდა ყოფილიყო „მეინ ლებენ ფერ დიხ" და „მაი დეი ფორ იუ", მაგრამ მეეჭვება ამაღამ ამ ნაკლოვანებათა გამო ვინმემ მისაყვედუროს.

ვიდრე შინაგანი ალმურები გადაუვლიდეს პირველ კითხვას ვუწვდი და რადგანაც ეს ვრცელი ტირადა ჩამწერს მიღმა რჩება, ფანქარი მოუმარჯვებია, მაინცდამაინც მწვანე ფერისა. გახაზავს საჭირო სიტყვებს, ტერმინებს, გვარ-სახელებს და როცა ჩაამთავრებს, გაცისკროვნებული თვალებით მომაშტერდება, მაგრამ სანამ უშუალოდ დიალოგში ჩავბმულვართ, ჯერ ეს ზეწარი-შეკითხვა მოვიშველიოთ:

— ამ ათი წლის მანძილზე წისქვილის ქვის მეტი ყველაფერი დატრიალებულა ქართველი კაცის თავზე. საუკუნის სამყოფი სამსალა გვერგო კაკალია ათწლეულში: ოთხმოცდარვიდან მოყოლებული ჩვენს მოსახლეობას ნორმალური ძილი არ ღირსებია — პერესტროიკა, გლასტნოსტი, არაფორმალობა, ქუჩის ოპოზიცია, ეროვნული მთავრობა, ეიფორია, „ინტელიგენციის" შტურმი და სირაქლემას პოზა ბუნკერში, „მხედრონის" ნავარდი: „ყველა ჩემი სამშობლოა სამეგრელოს გარდა", ფორსირებული გასვლა ფსოუზე და ზეფორსირებული, დედაბუდიანად გამოძევება ენგურსგამოღმა. დაპირებანი, დაპირებანი, დაპირებანი.

თავად შენი გამოსვლებიდან ვსარგებლობ, ოთარ, ძმაო, სახელმწიფო მოხელეს ეძახი საკუთარ პერსონას, მაგრამ ეს ტერმინი ხელს არ მაძლევს, მეტი სისავსით მწადია შენეული მრწამსის წარმოჩინება, რომელმაც ფაქტობრივად თავი უნდა მოუნასკვოს ესოდენად დაზვინულ თხზულებას, ჩვენს მამებს რომ სჩვეოდათ ისე, რათა ვერსაიდან მიდგომოდა წვიმა, თოვლი, ზღვაურით ამობერტყილი ჟინჟღლიანი ღრუბელი თუ სიცივით მობღუნკული საქონელი; იქ ბაღრია ჩიტები ან მინდვრის თაგვები მკვიდრდებიან დროთა მსვლელობაში და მთელი წელიწადი არხეინობენ ხოლმე.

უახლოესი დღეებიდან დავიწყებ. აი, სულაც გუშინწინდელი თუ გუშინდელი მოვლენებიდან.

მეხივით გავარდა მოწმენდილ ცაზე:

ფოთში ჭაჭიამ სამეგრელოს პარტია ჩამოაყალიბაო.

ნიშანდობლივია, აშორდიზმიც ხომ დიახაც ფოთიდან იწყება მაფალუიზმთან ერთად, მაგრამ ყველაფერს რომ მოვეშვათ, ჭაჭიას ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ მოსვენება დაუკარგა სავარძლიან სნობებს თუ სრულიად უმწეო თქვენს სამრევლოს, მილიონ ნახევარ უგასამრჯელო პენსიონერს.

არ გასულა ორი კვირაც და გაზეთების კაკოფონიის ფერხულში, საქართველოში სიყვარულში დაუღლელ ზუგდიდში საპასუხოდ, ძალას იკრებს სამეგრელოს აღორძინების კავშირი. აქაც ელიტარული საზოგადოებაა წარმოდგენილი: გუნავა, გულუა, ფაცაცია, სხვანი და სხვანი. ჩემთვის მაინც გაურკვეველი რჩება პირველწყაროსთან მიუსვლელობის გამო, ჭაჭიას მუქარაგარეულ ტონი: წყნარად იყავით თორემ, მართლაც პოლიტიკურ პარტიად გადავაქცევთ ჩვენს ორგანიზაციას და მერე ნახეთო, თუ სახელდახელო კავშირ-კავშირის მიზანი, საწადელი, რაობა.

დიახ, გაუგებარია ჩემთვის ან ერთი რისთვის შეიქმნა მაინც და მაინც არჩევნების ზღურბლთან, ან — მეორე? მე ჩინებულად მახსოვს დედაქალაქში, ხუთიოდე წლის წინ, საზოგადოება ,,ცოდნის'' დარბაზში გამართული ჩვენი კუთხის წარმომადგენლების თავყრილობა. მაშინ იქ ,,მხედრიონის'' აღვირახსნილი ქმედებებით შეძრწუნებული ხალხის ვნებათაღელვამ იბობოქრა არსებითად. მართალია, იმ შეკრებამ ვერაფრით გაარკვია რომელი დარქმეოდა საზოგადოებას, ,,ეგრისი'' თუ ,,სამეგრელო'' და ამის ნიადაგზე გაითიშა კიდეც ორ ფრთად, კონსერვატორულ და ახალგაზრდულ განშტოებად, სადაც პირველს ეხამუშებოდა ,,სამეგრელოს'' წინწამოწევა:

რას იტყვიან ხელმძღვანელი ამხანაგები, როგორი თვალით შევხედოთ მოსახლეობასო, ჩიოდა;

მეორე კი ნამდვილი სანგვინიკური პათოსით ხმამაღლა აცხადებდა თითქოსდა ეჭვმიუტანელ სინამდვილეს:

როდემდე უნდა ვმალოთ ჩვენი წარმომავლობა? არ კმარა რაც აქამდე შევეფარებოდით ,,კოლხეთს'', ,,ეგრისს'', ,,ლაზიკასო''; რა გვჭირს დასამალი და შესანიღბი? აკი, მწვანე შუქი ანთებია ჩვენზე წლინახევრით ადრე ჩამოყალიბებულ საზოგადოებებს: ,,ქართლს'', ,,კახეთს'', ,,რაჭას'', □სვანებს ჭკუა ეყოთ და ,,ლემი'' დაირქვეს), ასე შემდეგ და ასე შემდეგ; სხვისთვის თუ შეიძლება თავისი კუთხის ჭირ-ვარამის გულშემატკივრობა, რა დავაშავეთ, ჩვენ, მეგრელებმაო.

ეს ყველაფერი ხუთი წლის წინ მოხდა. საზოგადოება ,,სამეგრელომ'' მოასწრო რეგისტრაცია, მრგვალი ბეჭდის, სამკუთხა შტამპის დამზადება, გაღვანკალებული გაზეთის ორიოდე ნომრის გამოშვებაც და მორჩა. სამეგრელოს პრობლემები, ხალხის გასაჭირი კი ძველებურად ცასა და მიწას გამოეკერა. ამ გამოცდილების გათვალისწინებით რას უნდა მოასწავებდნენ ჭაჭია - გუნავას ,,სამეგრელოები'', თუ ცოტა სხვანაირად არის საქმე, რაც ეს არც ქუჩიდან ჩანს და აღარც მაღალი ეშელონის ქანდარებიდან ანალიზდება სათანადოდ?! თავად ცეცხლფარეშნი კი დუმან რატომღაც, ან მასმედია ამრუდებს მათ ნააზრევს. აქვე ორივე მომენტი გარკვეულწილად წინსწრებული აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის შექმნის გამანეიტრალებლად მეჩვენება რამდენადმე. ესეც რომ არა, ჩემთვის გასაგებია, რომ ამთავითვე თადარიგიანდება ძალთა თანაფარდობა არჩევნების სტარტზე, სანადიმო ოთხწლიან სუფრასთან მოსაკალათებლად.

დასამალი არაფერია, შენგანაც და სხვებისგანაც ბევრი მსმენია, როგორ ნადირობენ ზოგზოგებზე პოლიტიკური პარტიები, ,,მოქალაქეებიდან'' დაწყებული ახლახან შექმნილი ,,სამეგრელოებით'' დამთავრებული, და რადგანაც სადღეღამისო საუბრისთვის შევყრილვართ, ძუძუმტეობის მადლმა, ჯერ ეს სამი ბაყბაყდევი დავანაყროთ რიგიანად. მერე და მერე, მეტის ცნობისწადილითა და რუდუნებით შევუდგებით, ალბათ, გორდიას ნასკვივით აბურდული ქართული სინამდვილის გახსნას;

განზე გადავდებთ მაკედონელისეულ ორლესულს, ვინაიდან აქ ბაწარაულის მომარჯვება წინაღმდეგობიდან თავის დაძვრენის უებარი საშუალებაა. ხოდა, რადგანაც ამხელა მარათონული საუბრისთვის მომიხელთებიხარ, წინ წყალია, უკან — მეწყერი, ზევით — მეხთატეხა და ქვევით — ჯოჯოხეთი; არც ჩრდილო-დასავლეთიდან გველის თავზე ხელის გადასმები და აღარც აღმოსავლეთ-სამხრეთიდან — ფარდაგები დამაშვრალი ფეხისგულებისთვის; ამოვირჩიოთ რომელი მიმართულებით დავადგეთ გზას იავარქმნილი ჩვენი ოტობაიასკენ, განაცარტუტებული ჩვენი სამოხიოსკენ, ექვსი წლით ,,მივიწყებული'' მამების საფლავებისკენ, უდრეკელი კოკი ოყუჯავასკენ თუ ოქროსთმიანი ხერიკო პაპასქუასკენ ბოლოს და ბოლოს?!

— დღეს ოთხომცდაცხარმეტის ცხრამეტი მარტია, გური, ჯიმა. ამინდიც სამურზაყანოულს მოგვაგონებს, ,,მთვარის მოტაცებაში'' რომ წაგვიკითხავს და ბავშვობიდანვე გაგვიცნობიერებია, ისეთს, — წვიმიანია, წკვარამეთი; თან ბუხარიც გვინთია საბედნიეროდ და რადგანაც შენი შეკითხვები კავკასიონის მთაგრეხილივითაა, პასუხების მოშველიებაც ხერგიანების ოსტატობის სადარი მომიწევს. ესეც რომ არა, გოლუაფიროთი, თავზეშემონაცვლებით, მიშგულადეღსით შემამზადე საუბრისთვის და ვნახოთ, ამ სევდიანი ამინდის ფონზე, როგორი ომახიანი დიალოგი გამოგვივა. ყოველ შემთხვევისათვის შევეცადოთ საუკუნის მიწურულის თითოეული ქართველის დამაფიქრებელი ბედ-იღბლის...

— რატომ არბილებ, იქნებ სასისხარის, აი, საფეთქელზე მოხვედრილ ქვას რომ ახასიათებს ხოლმე ადამიანისთვის, იმგვარს ვგულისხმობ.

— სასისხარი თუ საზიზღარი დღეები გამოგვივლია, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ, ჯიმა, თანაც პოლიტიკაში საკმაოდ ნაკალმახები, და აქედანვე გულს ნუ მიხეთქავ.

შენ გინდა საუბარი დავიწყო მაინც ბოლო ერთი თვის, თვენახევრის მოვლენებით, როცა მართლაც როგორც ნაწვიმარზე მრავლდებიან სოკოები, ისეთი სიუხვით ჩამოყალიბდნენ საზოგადოებები, პარატიები, მოძრაობები. შენ გამოკვეთილ პასუხს მოითხოვ სამეგრელოს პროცესებზე, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეებშიც შეიმჩნევა ანალოგიური რამ. აქედან გამომდინარე დიდი სიბრძნე არ სჭირდება იმის გააზრებას, რომ ეს ყველაფერი ქვეყანაში წინასაარჩევნო ციებ-ცხელების დებიუტია, მაგრამ მე არ მინდა ჩვენი დიალოგი მხოლოდ ამ რაკურსით შემოიფარგლოს, წარიმართოს. მოდი, შევეცადოთ უფრო სიღრმისეულად შევხედოთ ყოველივეს და პირველ რიგში იმას თუ როგორ ზის საერთოდ ქართულ ცნობიერებაში შენი და ჩემი კუთხე — სამურზაყანო, სამეგრელო. მე ისტორიკოსი არა ვარ, მაგრამ ცოტა რამ წამიკითხავს და შედარებით მეტი, პროფესიონალი მეგობრებისგან მსმენია, ისიც კი, რომ თვით საქართველოს ისტორია დიდი ივანე ჯავახიშვილისა, მომიტევოს მისმა ნათელმა სულმა, როგორც ასეთ დროს იტყვიან, მთლად მართალი არ უნდა იყოს; თვით ამ ისტორიაშიც კი ღირსეული ადგილი ჩემი აზრით არა აქვს დათმობილი საერთოდ ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის გაჩენას და წარმოშობას, მის გენეზისს. საიდან იწყება ბოლოს და ბოლოს ის, რომელსაც დღეს ჩვენ საქართველოს ვეძახით...

— ამის თაობაზე მეც გაგიზიარებ ორიოდ სიტყვას, ოღონდ — მოგვიანებით, როცა სათქმელს მოილევ. არ მინდა აზრის მდინარებას ბუნებრიობა დაეკარგოს.

— ვფიქრობ, აქ გარკვეულწილად ბოლომდე ვერ არის სიმართლე თქმული და სრულყოფილად წარმოჩენილი დღევანდელი სამურზაყანოს, სამეგრელოს თუ უფრო მასშტაბურად ვიტყვით, კოლხეთის ადგილი და როლი საქართველოს სახელმწიფოებრიობის იდეის ჩამოყალიბების საქმეში. მრავლად მსმენია ისტორიკოსი მეგობრებისგან, რომ არის კიდევ მეორე, განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომა საქართველოს ისტორიისადმიო. მას ჯანაშიას სკოლასაც ეძახიან.

აქ პატარა გადახვევა: მე ზემოთ სრულიად შეგნებულად და გულწრფელად ვიხმარე ეპითეტი „დიდი“ ივანე ჯავახიშვილისადმი. დიახაც სწორედ მისი სიდიადე გახლდათ, როგორც პიროვნებისა, გნებავთ ისტორიკოსისა, მეცნიერისა, ქართველისა ბოლოს და ბოლოს, აღეზარდა განსხვავებული აზროვნების მოდელის ჟამთააღმწერელი; არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის, პირიქით, წააქეზა, გზა გაუწალდა, თუმცა შესაძლოა ეს ქომაგობა სიცოცხლის ფასადაც დასჯდომოდა. მოკლედ, რომ ვთქვათ, დიდმა ივანე ჯავახიშვილმა თავის ფუნდამენტურ ისტორიოგრაფიას შეუქმნა ალტერნატიული თვალთახედვა სიმონ ჯანაშიას შემოქმედების სახით.

— ოთარ, ძმაო, შენ ილაპარაკე, მე თან ყავასაც მივხედავ.

— ასეთი რამ ძალიან არ მეხერხება, — გულღიად იცინის ძუძუმტე.

— ეხ, ოთარ, ძმაო, თურმე რა ყოფილა სამშობლო, მის მომავალზე ფიქრი და ზრუნვა? ყავის მოხარშვასაც კი დაგასწავლის კაცს!

— გური, ჯიმა, მაგაში მარილია, შაქარი ზემოთ ნახე. იმ ქილაში დაფქული ყავაა, აი, მეორე გადმოიღე, „რასტვარიტელნი“.

კოვზის ფხაკუნია. გარედან წვიმა მშხეფარებს. გერმანული ნაგაზი ოსკარი უგულოდ შეიყფფებს ერთ-ორს და მიჩუმდება. ბუხარს შეშის ახალ ნაჭრებს ჩავუწყობ გვერდულად.

— თან საქმე, — ვეტყვი ტახტაზე განებივრებულს, — არ დამიწყო ახლა ტელევიზორის ჩხიკინი, ჩხირკედელაობა. იქიდან სასიკეთოს მაინც ვერაფერს შევიტყობთ.

— „კურიერისთვის“ მაყურებინე, კაცო! ყავის მეტი რა გვაქვს, შეშაც თავზესაყრელია, ვერც უშუქობა დაგვაკლებს რამეს, თუ გამოგვითიშეს ავანთოთ მამაპაპური ლამპები. ელემენტების მხრივ როგორაა საქმე? — მომიბრუნდება არხების გადანაცვლებით გართული.

— ასტრონომიული ცხრა საათის ჩასაწერი საშუალება მოგვეპოვება. თაბახზე თუ გადავიყვანთ, ნაბეჭდი ყოველი A-5 ფორმატი სამ წუთში იკითხება. გამოდის რომ 180 გვერდიანი დიალოგისათვის შეგვიბამს ეჟვნები.

— ხო, ჯიმა, გური, ამ ისტორიის შრეებში ხეტიალმა ძალიან რომ არ გაგვიტაცოს, — შემომეხმიანება, როცა „დამოუკიდებელი“ ტელეკომპანიების შოუპროგრამები ხუთიოდე წუთში მოყრჭდება, — მოკლედ მოვჭრი, დღეს უამრავი მეცნიერის აზრით არ არის ბოლომდე და სრულყოფილად გაცნობიერებული ჩვენი სახელმწიფოს ისტორია. უფრო მეტიც, ჯერაც ვერ შევთანხმებულვართ რამდენწლო-

ვანი სახელმწიფოებრიობის ისტორია უნდა ვიზეიმოთ. ესეც სერიოზული დისკუსიის საგანია, ჯიმა, სხვათა შორის. ეს ზოგადად, ახლა უფრო რეალურისკენ, კონკრეტულისკენ,—კვლავ პირველ ნაბეჭდ კითხვას უტრიალებს, უნიკოტინო ,,ვოგი'' ეფერფლება ზედ, ნეკით ცდილობს მის მოშორებას, რომელიც დაუხმარებლად, თავისით გადაიფანტება ტახტასგადაფარებულ შალითაზე და ახლა ფურცლიან ხელს უქშევს ფერფლის უცოდველ კუნწალს — ჩვენი მრავალათასწლოვანი ყოფიერების ერთგვარ ფორმულას, — ათადან და ბაბადან დაწყებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტრები ყოველნაირად, ყველა ძალით და საშუალებით, ხერხითა თუ იარაღით, არ ჩავამწკრივე, ჯიმა, მთელი საომარი არსენალი! ცდილობდნენ, რომ თვით საქართველოს კუთხეების წარმოჩენით ხელი მოემართათ, უფრო თანამედროვედ თუ ვიტყვით, მწვანე შუქი აენთოთ მისი გათიშისთვის და აქ რასაკვირველია, ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი ჩვენი ისტორიული მტრებისთვის, ყოველთვის იყო, არის და ვერ იქნება სამეგრელო. წარმოგიდგენია, აბსურდული სიტუაციაა: მეგრელები თავგადაკლულნი ვიძახით ქართველები ვართქო და უბირნი პირში ქვას გვჩრიან:

არაფერიც, ბატონებო, დიახაც მეგრელები ხართო, გადაგვასხამენ ცივ წყალს. მეც, მეც ჩინებულად მახსოვს, ჯიმა, გური, ის პერიოდი, როცა რაღაც მოძრაობა იყო ჩაფიქრებული, ,,ეგრისი'' იქნებოდა ეს, ,,კოლხეთი'', ,,სამეგრელო'' თუ ,,სამურზაყანო''. მავანი და მავანი ამ ქმედებაში მაინცდამაინც სეპარატიზმს ხედავდა, მაგრამ როდესაც იქმნებოდა მსგავსი საზოგადოებანი ,,კახეთი'', ,,ქართლი'' თუ სხვა, ყველას ჩემი თავი ენაცვალოს, აქ საგანგაშოს, ზარების დასარისხველს ვერაფერს ხედავდნენ, ყოველთვის ერთიან ქართულად აღიქვამდნენ. ამიტომაც დავიწყე ცოტა შორიდან საუბარი, რომ ეს ძნელადასახსნელი კომპლექსი ღრმადაა გამჯდარი სრულიად საქართველოს სხეულში, ქართველების დიდი ნაწილის ცნობიერებაში ჩვენდა საუბედუროდ. მას ეტყობა დიდი ხნის ისტორია აქვს. აი, ჯიმა, გური, კარგად მახსოვს, შენცა და შენი მეგობრებიც თავგამოდებით ცდილობდით, რომ გაკეთებულიყო პატარა ლექსიკონი და უკეთ მოგეხსენება, რამხელა პრობლემების წინაშე დადექით...

— მე მინდოდა სრულიად საქართველოს, ქართველურ ენათა სინთეზური განმარტებითი ლექსიკონის შექმნა, ანუ — ქართლულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურისა, სადაც, ცნობისათვის, ,,სამშობლოს'', ,,მამულის'' სინონიმებად ერთ ბუდეში მოკალათდებოდა: სვანური ,,ლარდა'', ლაზური ,,დობადონა'', მეგრული ,,ობადიში'', ,,ოდაბადე'' და ,,შურობუმუ''. ცუდია განა?

— მაგას ვინ იძახის. ჯიმა, ეტყობა შენისთანები, აჩქარებთ მოვლენებს. დიდებულია, როცა ამ კუთხით უმზერთ პროცესებს, მაგრამ აი, ნახეთ, როდესაც გამოვიდა სვანურ-ქართული ლექსიკონი, ეს ვაღიარეთ, როგორც სინამდვილეში ასეა და სავსებით სამართლიანად, ეროვნულ, ქართულ საქმედ, მაგრამ როცა დღის სინათლეზე გამოჩნდა, შემახსენე...

— პეტრე ჭარაიას მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ამგვარი ხასიათის წიგნი გივი ელიავამაც გამოაქვეყნა.

— ხოდა, შევხედოთ როგორ მიდის საქმე? ეგრევე სეპარატიზმს არ გაკერებენ? მე ახალგაზრდობაში, ყმაწვილკაცობაში მითქვამს ასეთი რამე და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ ამასთან დაკავშირებით:

ხალხნო-მეთქი, თუ თქვენ მართლაც იცით ქართული ენა, ოღონდ ნასწავლი ჩიქორთული კი არა, არამედ გენეტიკურად თუ მოგსდგამთ სისხლხორცეული ქართველობა, მოდით, ასეთი ექსპერიმენტი ჩავატაროთ-მეთქი. წამოდით ჩემთან ოტობაიაში, სამი თვე მეგრულად დავილაპარაკოთ, თან ვსვათ ბაჯაღლო ადესა და ვჭამოთ შემწვარ-მოხრაკული, თქვენი დანა და ჩემი კისერი ქანქანესას თუ არ გადაასწროთ საუბარში-მეთქი.

ქანქანესა ვინაა, რომ მკითხავდნენ, ხომ იცი, ვისაც დავუსახელებდი, იაშა აშორტიას. დიახ, ბატონებო, სამ თვეში თქვენ მეგრულად ალაპარაკდებით, ანუ გაიგებთ ყველაფერს, რასაც ეს ხალხი თავის კუთხურ ენაზე, ჭუკჭუკებს-მეთქი.

— ჟღურტულებს, საბასებურად, — წამიყრუებს.

— არ იკმარა? ჩავატაროთ მეორე ცდა: ჩემი სვანი მეგობრებისთვის მითქვამს, თენგიზ გაზდელიანისთვის ბოლოს და ბოლოს, რომ მეტი მოცალეობა და საშუალება მქონდეს, თუნდაც სამი თვით ვიყო სვანეთის რომელიმე მაღალმთიან სოფელში, მერე იოტისოდენას ვერ გამომაპარებთ ძვირფასებო-თქვა.

ახლა ჩავატაროთ ასეთი მესამე ექსპერიმენტიც, წავიდეთ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ინგლისურენოვანში, ფრანგულენოვანსა თუ გერმანულენოვანში, არაფერს ვამბობ აღმოსავლეთზე და თუ თქვენ იქ ცხრა თვეში საყველპუროდაც ალაპარაკდებით, მაშინ თვითონ მოვიჭრი თავს-მეთქი.

ასეთი რამ შეუძლებელია შემთხვევითი იყოს. ასეთი რამ ცოცხალ ბუნებაში არ ხდება, მითუ-

მეტეს — საზოგადოებაში. აქ ტკივილი და სიხარული ერთმანეთსაა გადახლართული, მთელი ორგანიზმია ამ სამძაფეულით მოქსოვილი, გენეტკურად კოდირებული ტვინის უჯრედების უშორეს შრეებში; იმიტომაც გვიადვილდება თითქოსდა განსხვავებული, თითქოსდა უცხო, სინამდვილეში კი ისტორიისგან მსუბუქი მტვრით შელიბრული მხედველობის, ყურთასმენის, გრძნობათა ორგანოების პოლიფონიურად ერთი მიმართულებით ამოძრავება.

— ოთარ, ძმაო, გახსოვს ცოტათი ზემოთ განგებ არ ჩაგერთე. იქ 97 წლის „მნათობის" მესამე-მეხუთე ნომრების ერთ ჩინებულ პუბლიკაციაზე „საქართველო და კავკასიონი" მინდოდა სიტყვის ჩამოგდება. მისი ავტორი ჩემთვის სრულიად უცნობი პიროვნებაა — გიორგი ქავთარაძე. წერილს კი ქვესათაურად ამგვარი განმარტება ახლავს: „საქართველოს სახელმწიფოებრივი კონცეფციისათვის". აქ ჩაწვრილმანება უადგილოდ მეჩვენება. იმ წერილის სირღმისეულმა ანალიზმა სავსებით დამარწმუნა, რომ არიან გარკვეული ძალები დედაქალაქში, რომლებიც მეგრელებით აშინებენ საზოგადოებას, და წარმოიდგინე ისინი უმეტესწილად გვარნაცვალი ქართველებია. ასე მოხდა ეს ორმოცდაათიან წლებში სტალინის სავალალოდ. მეგრელოფობია საქართველოში შემთხვევითი არ არის: დაგაბრალონ ზუსტად ის, რაც არასდროს გიფიქრია! ხომ ჭკვიანი მტრის მოგონილია საქართველოს ერთიანობის ძალის მოსაშლელად, საქართველოს დასამხობად უიდეობისა და უხერხემლობის ასპექტით?!

ჩვენი ქვეყნის ორსაუკუნოვანი დამონების პირობებში რუსეთი ყველაფერს აკეთებდა ორი არაკავკასიელი ერის აღსაზევებლად ქართველების დეგრადირების ხარჯზე: აქრისტიანებდა ალანებს და მის ყოველ უკანონო ქმედებას ხელშეუხებლად აცხადებდა შეურაცხყოფილი ქართველისთვის. ცოტა მოშორებით, სომეხ ხალხს, გარკვეულ სუბსიდიებს უბოძებდა, რათა ყოველნაირად მოემართა ხელი მათ კომპაქტურად დამკვიდრებისთვის მესხეთში, თბილისსა თუ გნებავთ — აფხაზეთში. ისინი მოსყიდული, საქართველოს სრული განადგურების ქვაკუთხედი, პლაცდარმი, საყრდენი ძალები იყვნენ და არიან დღესაც ჩრდილოეთისთვის, მაგრამ არ იქნებიან ახლო მომავალში, როცა მეგრულის გარშემო დაჯანსაღდება მიზანმიმართული სახელმწიფოებრივი ცნობიერება.

გათიშვა, ადგილობრივის დაკნინება ჩამოთესლილის გასაძლიერებლად, მრავალათასწლოვანი ინდოევროპული ჭირია, რომელიც დღემდე ვერ მოუხდია კავკასიონის მთებზე მიჯაჭვულ პრომეთეამირანს — საქართველოს, მთელს კავკასიურ ცივილიზაციას, გენეტიკურად, ანთროპოლოგიურად მეტნაკლებად იდენტური უამრავი ერის ერთობას. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი რომ სამ თვეში შინაგანად ქართველმა სვანურიც აითვისოს და მომდევნო ოთხმოცდაათ დღეში — მეგრულიც, თუკი იმპერიული ძალების მიერ გვარნაცვალი არაა, ისტორიის უკუღმართ ბუდეებში გუგულის კვერცხებივით გამოჩეკილი.

— მე ზუსტად ამას ვგულისხმობდი, როცა ისტორიული მტრები ვახსენე ქართული სახელმწიფოებრიობის გზაზე. მე არ მინდა ეს მხოლოდ ფრაზა, ტერმინოლოგია იყოს საქართველოში და ვიღაცის კარნახით ჩვენ, ქართველობამ, ერთმანეთს მტრები ვუძახოთ, მაგრამ ვინც დუშმანის ანკესზე წამოეგება სულმოკლეობით, უგუნურობით, კარგად შესწავლილი ჩვენი სისუსტეებით, მამონასმოყვარეობისადმი მიდრეკილებით, მოსყიდვებით ბოლოს და ბოლოს, ასეთი კატეგორიის ხალხი ნუთუ არ არის ღმერთის, ერის და ქვეყნის წინაშე დამნაშავე? არის ცხადია, თუმცა შენ რომ ახსენე ადრე, ზოგი მართლაც გულუბრყვილოდ ასრულებს ჭკვიანი მტრის დავალებას...

— გულუბრყვილო ბოჩოლაა, ოთარ, ძმაო, ხოლო ვინც ქრთამით ყიდის სახელმწიფოებრივ ინტერესებს — დამნაშავე. აქ ორი აზრი არ არსებობს, ნიანგივით საკუთარ შვილებს ყლაპავს. როგორ ამბობს ჯოისი? ირლანდია ეს ის ღორია, რომელიც საკუთარ შვილებს ჭამსო. მგონი ნათქვამი გარკვეულწილად საქართველოზეც ვრცელდება.

— მე რა, სხვას ვამბობ? ჩვენ წამით არ უნდა მოვადუნოთ ეროვნული სიფხიზლე. არ არის ჩემს ბუნებაში და ძალიან მიმძიმს ამგვარი სიტყვების თქმა, როგორიცაა: „მოღალატე", „აგენტი" და ასე შემდეგ, მაგრამ ერთი რამეც გავიცნობიეროთ, საქართველო არის სახელმწიფო და ცხადია, როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, ჩვენშიც არის უცხოეთის აგენტურა, მითუმეტეს ისეთ გზაგამოვლილში, რანაირიც საქართველოა. ეროვნული სახელმწიფოებრიობის სიფხიზლე, რასკვირველია, არცერთმა ჩვენგანმა არ უნდა მოვადუნოთ.

— ვადუნებთ და მერე როგორ, ოთარ, ძმაო. აგერ, შენი ბოლო ფრაზა გავაანალიზოთ: „ეროვნული სახელმწიფოებრიობის სიფხიზლე, რასაკვირველია, არც ერთმა ჩვენგანმა არ უნდა მოვადუნოთ"-ო ამბობ, და მიუხედავად სათანადო ერუდიციისა, აზროვნების რუსულ მოდელისგან თავი ვერაფრით დაგიღწევია. ორმაგი უარყოფა მათი იმპერიული ხეგემონიიდან მოდის. არავის გამოუცია რაიმე დეკრეტი ან ბრძანებულება, გინდათ თუ არა ქართველებმა ორმაგი უარყოფით ისაუბ-

რეთო. ეს ყოველივე დრომ მოიტანა, რუსიციზმების დამკვიდრებამ ჩვენს ელიტარულ საზოგადოებაში.

ქართულად მსჯელობისას ეს ესთეტები უკვე რუსულიდან თარგმნიან, მოაქართულებენ წინადადებას და მიუხედავად მშობლიური სიტყვებისა, გრამატიზაცია რუსულია.

ჯვაროსნული ლაშრობა გამოუცხადა ამეებს ჩვენთვის საკმაოდ ცნობილმა გურამ პეტრიაშვილმა, და გვახსოვს, კინაღამ ჩაქოლეს იგივე მეტრებმა ქვეყნის პოლიტიკურ გზაგასაყარზე.

აქ, შეცდომის დაძლევის ხერხი იოლია, ოთარ, ძმაო, როცა მეტყველებ: ,,არასდროს არ წამოვალო'', უნდა ამოაგდო ზედმეტი **,,არ''** და გააძლიერო პირველი სიტყვა, მაგალითისთვის ასეთნაირად: ,,აღარასდროს წამოვალ''.

ვუბრუნდები, საუბრის სათავეს, უკეთ სამეგრელოში შექმნილ საზოგადოებებს პარტიკულარული ნიშნით: ბატონების, ბეჟან გუნავას და ალექსანდრე ჭაჭიას ფენომენს. როგორც ყველა პრობლემაში, აქაც ორი შესაძლო ვარიანტი არსებობს:

პირველია, კუთხის აღორძინებით, სამეგრელოს მოჯანსაღებით სრულიად საქართველოს აღმშენებლობა; მისასალმებელია ნამდვილად.

მეორე კი, აი, ეროვნული სახელმწიფოებრივი სიფხიზლის იმპულსიდანაა აღმოცენებული.

საერთოდ, მოვლენებს წარსულის მონაპოვრებით და მომავლის პერსპექტივებით აფასებენ. დავიწყოთ მარტივით: რა გაგვიკეთა ერთმა ან მეორემ ამ ცხრა წლის მანძილზე? შეიძლება ინფორმაციული სიმწირის ტყვე ვარ, მაგრამ რაიმე ეროვნულ საქმეს ვერ ვუკავშირებ მე ჯერჯერობით მათ პოლიტიკურ მოღვაწეობას. მომავალი კი არის წინ, კაცს სიკეთის მოქმედება ყოველთვის ძალუძს, გნებავთ — თვით სიკვდილის წინადღეს...

— ნამდვილად. მგონი როლები შევცვალეთ, თუმცა ეს სულაც არ არის სამიტინგო თემა, ასე ვთქვათ, მოწოდებებისა და დეკლარირების თემა, მაგრამ ეს თემა არსებობს და სავსებით რეალური.

— ოთარ, ძმაო, საუბარი ისედაც გამექცა. მოდი, უფრო კონკრეტულისკენ დავიძრათ!

— აბა, სხვას რას ვაკეთებ, განა იმ ფონს არ ვხსნი?! ამას ემატება ის, რაც მოხდა უკანასკნელ წლებში საქართველოში და განსაკუთრებით — სამეგრელოში. გენიოსის თქმულისამებრ, ჭირმა თავი არ დამალა. გადავლა-გადმოვლა ნამდვილად იყო სამეგრელოში და ამისი არათუ მოწმე, მსხვერპლი — სხვადასხვა ფორმით, ჩვენი კუთხის მცხოვრებთა დიდი უმეტესობაა. ასე რომ, საზოგადოება ნამდვილად დაიღალა. დღეს ჭაჭია ქმნის თავის ,,სამეგრელოს'', ხვალ — ვიღაცა; ზეგ კიდევ ვიეთს და მასზეგ — მავანს გაუჩნდება ,,საკუთარი'' მრევლი. აი, სად არის ჩემი აზრით ყველაზე დიდი საშიშროება. ნებსით თუ უნებლიეთ მე არ მინდა ვინმეს ცილი დავსწამო, მაგრამ ასეთი მომრავლებული მოძრაობები, სხვადასხვა პოლიტიკური შეფერილობისა და სხვადასხვა მიზნის მქონე, საბოლოო ჯამში ხელს უწყობს სამეგრელოს კიდევ უფრო დაქცევას, კიდევ უფრო ამოვარდნას ზოგადქართული სახელმწიფოებრიობის სხეულიდან და მისი ადგილისა და როლის კიდევ უფრო დაკნინებას ქართულ სახელმწიფოებრიობაში. ამიტომაც, გური, ჯიმა, ეს არ არის ის შემთხვევა, როდესაც ყველა საშუალება ამართლებს მიზანს და მე არავის ვურჩევდი მსგავს ,,სითამამეს.'' ისტორია მაქვს მხედველობაში. ისტორია მათ ყველას გაასამართლებს. რაღაც სანადიმო სუფრასთან შენი თქმით, ოთხი თუ ხუთი წლით მოსასვლელად, აი, იმ ხმებზე სანადიროდ წამოხეტება საქართველოს პოლიტიკურ უღრანში, დანაშაულებრივია, დასაგმობია, მაგრამ თუკი ასეთი მოძრაობები მიზნად დაისახავენ ჩვენს კუთხეში, მთლიანად კოლხეთში შექმნილი საზოგადოებრივი აზრის გამოვლენას და მის მიყვანას ერთ დიდ ზოგადეროვნულ ნიშნულამდე, მაშინ ჩემი თავი ენაცვალოს ჭაჭიასაც, გუნავასაც და კიდევ — სხვას, ვინც, დავუშვათ, ასეთი მოძრაობების შექმნას იწყებს საქართველოში, — რესპოდენტი ამ სიტყვას დამარცვლით ჩამომიკრიალოსნებს კვლავაც მხართეძოს მინებივრებული, — ,,ავტოკატასტროფამ ბევრად შეურყია ჯანმრთელობა'', გამიელვებს გონებაში, — მაგრამ მე ვშიშობ, გამომდინარე ქართული მენტალიტეტიდან, გამომდინარე იმ პოლიტიკური უკულტურობიდან, რომელიც დღეს გამეფებულა ჩვენს ქვეყანაში, ყველა ეს მოძრაობა საბოლოო ჯამში მოემსახუროს ერთ დიად ქართულ მიზანს, თავში რომ გვიხსენებია — ,,მიშგულადეღსის'' ფენომენს. აი, ეს მიღრღნის გულს, რისი დამალვაც აღარ ძალმიძს.

ადრე სამი ბაყბაყდევი რომ მიხსენე, მოუხეშავ მათ ბარიტონულ ტრიოს, — იცინის, — ერთი ცქნაფა, ალესილი დანის პირზე თავისუფლად მავალი ნაცარქექიას ტენორული სოლოკონცერტი მირჩევნია, რომელიც ზოგადქართულ, ზოგადეროვნულ, ზოგადსახელმწიფოებრივ საქმეს ფხიანი მოხერხებულობით დაიმღერებს.

რაც შეეხება აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის როლს და ადგილს, აქ მე ემოციების გარეშე, ბუნებრივია, ვერ ვილაპარაკებ, იმიტომ რომ ოტობაიელი კაცი ვარ. იქ არის ჩემი საძვა-

ლეთი და არაფერია გასაკვირი, თვითონ ამ მოძრაობის მიმართ რაღაც გარკვეული სიმპათიები გამაჩნდეს, მაგრამ აქაც ცალსახად და შეურყვნელად უნდა გამოვხატო ჩემი პოზიცია, იმ თვალსაზრისით, რომ თუ აფხაზეთის გათავისუფლებაზეა საუბარი, მაშინ სამაჩაბლოს რას ვეუბნებით? მე კიდევ უფრო შორს წავიდოდი. თუ საქართველო ერთია, მთლიანი სახელმწიფო და მისი ორი დიდი ნაწილი დაკარგული გვაქვს, მაშინ შეიძლება ამ მოძრაობას თუ პარტიას საერთოდ, საქართველოს განთავისუფლების პარტია დავარქვათ, იმიტომ რომ არ არის დღეს საქართველო გათავისუფლებული. როგორ შეიძლება თავისუფალ სახელმწიფოზე ვილაპარაკოთ, რომლის დიდი ნაწილი...

— მესამედი მაინც...

— დაპყრობილია? ნურც ამის თქმას მოვერიდებით. ეს სინამდვილეში ასეა. როდესაც, გური, ჯიმა, მე და შენ ენგურს იქით არ გვიშვებენ და გორის ასაქცევზე ცხინვალი აწერია, ხაკის და ჯაყოს ხიზნებადაც ვერ ვივარგეთ, რომელ ერთიან საქართველოზეა ლაპარაკი?! ამიტომ იქნებ საერთოდ საქართველოს განთავისუფლების პარტია შეგვექმნა?!

— აფხაზთის განთავისუფლების პარტიის საზღვრებს მე მგონი არც თუ უსაფუძვლოდ აფართოებ.

— პრობლემა მართლაც გლობალურია, ვთქვათ, ჩემთვის, როგორც რიგითი კაცისათვის, მეც იმ სამასი ათასის ერთი შემადგენელი ნაწილი ვარ. ახლა ჩემი ბუხარი სამასი კილომეტრის იქით უნდა ღუღუნებდეს, ჯიმა, და არა აქ, ჯანელიძეზე. დიახ, ლტოლვილი გახლავარ, დევნილი, მიუხედავად ჩემი შედარებით ნორმალური ოჯახური მდგომარეობისა, იმ ნაწამები ტალღის ერთი შემადგენელი ნაწილი.

— ზვირთი.

— თუნდაც ზვირთი, შხეფი, მაგრამ მაინც გამოძევებული, მიუსაფარი ტატოსებურად. მოკლედ ვიტყვი, ჯანდაბას: გამოგდებული! დიახ, გამოგდებული, — აქაც ჩამომიკრიალოსნებს ძუძუმტე აკვიატებულ სიტყვას, — ჩემი სახლ-კარიდან, ჩემი ბავშვობიდან ბოლოს და ბოლოს და ბუნებრივია, ის გასათავისუფლებელია! ასევე გასათავისუფლებელია სხვათა ნასიზმრალი მხარეც, სხვათა ნაოცნებარი მთა-ბარიც, თუმცა პოტენციურად არც ზოგი კუთხის დაკარგვისგანაც ვართ დაზღვეული, იგივე სამხრეთით თუ სულაც თბილისთან მიმდებარესი; ასე რომ, მიუხედავად იმისა, სტრატეგიული თვალსაზრისით აფხაზეთის დაბრუნება ყველაზე მწვავეა, როგორც საქართველოს უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი ნაწილისა, იდეოლოგიური ფრონტის გაჩაღება მაინც გლობალური მიდგომებით უფრო სწორი მიმაჩნია. საამისოდ კი თითოეულმა ქართველმა ყველაფერი უნდა იღონოს, ყველაფერი გააკეთოს, იმდენი პრობლემა დაგროვილა — ჭკუით, გონებით თუ საკუთარი სისხლითაც კი! არ დაგვავიწყდეს მაღალი ძმების ფრაზა სვანეთიდან: ,, მიშგულადეღსი''.

— ჩემი მხნეობაც ეგ არის, დალის ხეობა, მისი ხეროიკა. მოგიტანეს თუ არა ჩემი ბელეტრისტული ინტერვიუ ბატონ თამაზ ნადარეიშვილთან?

— მე გადავხედე სასიგნალო ეგზემპლარს, წავიკითხე და იქ ძალიან ბევრი სიმართლეა, როგორც საერთოდ ბატონ თამაზს სჩვევია. ასე ვთქვათ, სიმპათიას იმსახურებს ჩემში ისიც, რომ ყველაფერი გადმოცემულია დიდი ტკივილითა და განცდით, თუ რას ნიშნავს მისთვის და სრულიად საქართველოსთვის აფხაზეთი, აფხაზეთის დაკარგვა... — წამიერი შეყოვნებით ვისარგებლებ და პაუზას შევავსებ...

— დროებით, — და ისიც, ფიქრებში გახირული, ინსტინქტურად ამყვება:

— რასკვირველია... რასაკვირველია... ახლა, რაც შეეხება, გური, ჯიმა, ,,მივიწყებულ'' საფლავებს, ეს ყველაზე ფიგურალური გამოთქმაა. კი წინწკლებშია აქ მოქცეული, და ღმერთმაც ნუ ქნას ჩვენ ისინი მივივიწყოთ, მაგრამ ჯერხანობით უბრალოდ მიუსვლელი საფლავებია, იძულებით უპატრონო საფლავები და ამასაც ნუ ჩამომართმევ ლირიკულ გადახვევად. დღესაც შეგვიძლია მაგალითისთვის, მეც, შენც, ავდგეთ და გადავიპაროთ, მალულად მივიდეთ ჩვენი მამების საფლავებთან...

— მე პირადად ამას არ გავაკეთებ. ენგურსგაღმა კი გადავდიოდი, ლამის ოტობაიას საზღვრამდე, ცოლოურებში; ბავშვებიც წლობით იქ მყავდა ზამთარ-ზაფხულ, მაგრამ განმუხურს იქით ბიჯი არ წამიდგამს.

— მალულად გადასვლას არც მე გავაკეთებ გური, ჯიმა, იმიტომ რომ ასეთი საქციელი თავად ჩვენი მამების ღირსებას შელახავდა. მთელი ამ წლების განმავლობაში ერთადერთხელ გადავდგი ფეხი ენგურსგაღმა, როდესაც ბიძაშვილი გოგი ჯალაღონია გარდამეცვალა.

— ხო, ცხონებული, ლამის შვიდი თვეა, რაც თბილისიდან ვერ გავღწეულვარ.

— უბრალოდ ჩემი ცრემლი უნდა ყოფილიყო იქ. ერთხელაც, მაის-ივნისის მოვლენებში შარშან,

ოპერატორებთან და ჟურნალისტებთან ერთად პატარა ოტობაიას ტერიტორიაზე გადავიპარეთ და მშობლიური ფონი შევუქმენით ჩემს ტელეინტერვიუს. მამის საფლავზე რომ მიდიხარ, ან კანონის ძალით უნდა იყო დაცული, ან საკუთარი იარაღით, რათა ზვიადაურივით შენც ზედ ზვარაკად არ დაგაკლან დარლათა სულის ცხონებას. ამასაც აიტანს კაცი, შენ დამცირება იკითხე თორემ. უნდა ვერწმუნოთ უფალ იესოს, როცა გვიცხადებს: ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქვენსა ღორთაო...

— ერთი რამ მიკვირს, როგორი თანდათანობით კარგავს პოეტურ სურნელებას ეს ღვთაებრივი წიგნი?! შეხედე, რანაირად იკითხება იგივე ფრაზა ბიბლიის თარგმანის სტოკხოლმისეულ რედაქციაში: „ნუ მისცემთ წმიდას ძაღლებს და ნურც თქვენ მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს, რათა ფეხებით არ გათელონ ისინი და შემობრუნებისას თქვენც არ დაგგლიჯონ.“ ამის თაობაზე ჩვენ ადრინდელ პურობისას, ჯინჯიბეისთან, ჯეროვნად გვისაუბრია. სხვას ჩავუკონკრეტდეთ.

რახან ბატონ თამაზის ინტერვიუ ვახსენეთ და ის სასიგნალო ეგზემპლარიც შენამდე დროულად მოღწეულა, მინდა ერთი დეტალი მოგაგონო: მართალია, იგი საკმაოდ მწვავედ, პროფესიული მოწოდების სიმაღლეზე მიმოიხილავს სიტუაციას, მაგრამ თუ შენიშნე იქ არის ამისთანა დებულება, რომელიც ჩვენი უბედურების სათავეს სრულიად ცალსახად მიუთითებს თავის განედ - გრძედებით დროსა და სივრცეში.

— ჯიმა, გური, აზრი გამეფანტა. იქ მრავალი საგულისხმო ფრაზაა. კონკრეტულად რომელს გულისხმობ?

— აი, როდესაც აცხადებს: აფხაზეთს ჩვენ არაფრისდიდებით დავკარგავდით, საქართველოში, თბილისში 6 იანვრის ტრაგედია რომ არ დატრიალებულიყო.

— ბატონი თამაზის ასეთი მინიშნება ძალიან საგულისხმოა და ნიშანდობლივიც. იქ არ არის კომენტარი ბოლომდე გაკეთებული. ეს ჩემთვის გასაგებია. ბატონი თამაზი, როგორც პოლიტიკოსი, ამ ეტაპზე ქვეტექსტებით მსჯელობას კმარობს, და აქ ძნელია არ დაეთანხმო, როცა წინ უფრო დიდი მისიაა — აფხაზეთის თუ სრულიად საქართველოს განთავისუფლება. ყველაფრის თქმა გარკვეულ დრომდე სალოსის მეტს არ სჩვევია, მაგრამ თავი და თავი, აი, იმ წლების უბედურებაში რომ დევს, ამას ვეღარსად დავემალებით. უფრო კონკრეტულად კი, ჩვენ, ქართველებმა ვერ გავიაზრეთ ვინ გვეომებოდა, რატომ გვეომებოდა; ეს ყოველივე ჩვენი ისტორიული ტრაგედიის საფუძველთა საფუძველია. სამწუხაროდ და საუბედუროდ ქართველებმა მტრის ხატი თვით ქართველებში შევქმენით.

— თუ შეგვაქმნევინეს?!

— ეს უფრო ზუსტი ფორმულირებაა, ალბათ. დიახ, შეგვაქმნევინეს ერის შიგნით მტრის ხატი მოყვასისა. მოდი, გულწრფელები ვიყოთ: ვის არ გაუგონია ასობით ვაი ქართველის ხმამაღლა ნათქვამი:

გამსახურდიას განთავისუფლებული საქართველო არ მინდაო.

ამიტომაც ვამბობ, გური, ჯიმა, რომ ჩვენ მტერი გარეთ ვერ დავინახეთ და შიგნით დავუწყეთ ძებნა არარსებულ დუშმანს. ასე რომ, როდესაც ბატონი თამაზი ამაზე მიანიშნებს, მე მასთან სოლიდარული ვარ. ბევრისმეტყველი ფრაზაა, ტევადი, რომელ ტრაგედიამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა.

18 .15.

— ამას წინათ მწერალთა კავშირში კალმოსანთა ჯგუფმა შეხვედრა მოუწყო საქართველოს ომბუსმენდს, ბატონ დავით სალარიძეს. სხვათა შორის იქაც წამოიჭრა 91-92 წლების მოვლენების პოლიტიკური შეფასების საკითხი ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ წარმოგიდგენია, თავად ტიტულები წავიდნენ ამის წინააღმდეგ, იმ მოტივით, რომ შეიძლება ამ წუთას, ამ მომენტში მოვლენათა მართებულად შეფასებამ, ანუ თეთრისთვის თეთრის დარქმევამ და შავისთვის შავის დაძახილმა, სიტუაცია ათწილად გაგვიმწვავოსო.

— მე თავს ვერ დავდებ რაიმე პროფესიონალურ შეფასებაზე, ვილაპარაკებ რიგითი ქართველის პოზიციიდან. ერთი ჩვეულებრივი ქართველის კვალობაზე მეც ვარ მონაწილე, ჩემდა საუბედუროდ, ამ პროცესებისა. ყურადღებით მივადევნებ თვალს ბატონ დავით სალარიძის არაერთ გამონათქვამს პრესის ფურცლებიდან, ტელეეკრანიდან თუ სამთავრობო სხდომებზე. მე მასთანაც ძალიან სოლიდარული ვარ სხვათა შორის და ვაფასებ, უაღრესად ვაფასებ თვით იმ თეზისის არსსა და მინშვნელობას, რომელიც ამ შეფასების აუცილებლობას ეფუძნება.

ახლა შენ რომ ამბობ, თეთრს თეთრი დაერქმევა და შავს — შავიო, სამართლიანობას რა სჯობია!

ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, სამართლიანობა უნდა აღსდგესო, ამბობენ ძველი ლათინები, მაგრამ არ მიუთითებენ რომელ ვითარებაში, რომელ პერიოდში, რომელ მონაკვეთში. ისტორია ყველას თავის კუთვნილს მიუზღავს ადრე თუ გვიან, მაგრამ არის მეორე: დღეს ამისი თქმა წაადგება სრულიად საქართველოს, როცა ჯერ ვნებები არ დამცხრალა, როდესაც ნაწყენობა-არნაწყენობის სინდრომი გამეფებულა, მტერმოძულეობის ფსიქოლოგია საკმაოდ მომძლავრებულა და გააქტიურებულა ჩვენს ქვეყანაში? აი, აქ ზომიერებაა საჭირო, ანუ რუსთაველისებური სიბრძნე: ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

ერთი რამ კი მინდა ცალსახად აღვნიშნო: ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლებიც კი ყველას და ყველაფერს — მართალსაც, ორჭოფსაც, მტყუანსაც და დამნაშავესაც საკადრისად მიუჩენს ზნეობრივ ადგილს ერის ცნობიერებაში; მაგრამ დღეს, დავსხდეთ და ვარჩიოთ — ვინ რომელ მიტინგზე რა თქვა, ვინ რა გააკეთა, უერთგულა თუ უმტრო სამშობლოს, ხომ კიდევ ერთი ლახვარი იქნება ჩვენი ერის კონსოლიდაციის გზაზე, ვინაიდან ეს ტალღა უფრო მძვინვარე მორიგს ააგორებს და სულ წალეკავს ისედაც გაუბედურებულ ჩვენს სამშობლოს. იქნებ ხვალინდელ-ზეგინდელ დღეთა გადასაწყვეტ საქმეს, ვამჯობინოთ იმ რეალობის ჯეროვანი გაცნობიერება, რომელშიც სოლივით ჩავკვეხებულვართ.

მაინც რა არის დღევანდელი სინამდვილე? დაკარგულია ტერიტორიები, გამოდევნილია ხალხი, მშიერ-მწყურვალია ათასობით ადამიანი: უხელფასო, უპენსიო, უშუქო, უგაზო და ასე შემდეგ. ბოლოს და ბოლოს ცხოველსაც გააჩნია თვითგადარჩენის იმუნიტეტი თუ ინსტინქტი; ცხოველშიც კი იღვიძებს ხოლმე ასეთი რამ, აშკარა საშიშროების დროს. ადამიანიც განვითარებული ცხოველია ნებისმიერი მოძღვრებით და არ უნდა ჩამორეკოს როდესმე ქართველის სხეულებრივ ტაძარში ამ თვითგადარჩენის ზარმა?

დღეს იქნებ უფრო მთავარია ერთად დავდგეთ, ერთად შევთანხმდეთ უმთავრეს პრინციპებზე; კი არ ჩავეხუტოთ ერთმანეთს ურთიერთმიტევების ყალბი შეფერილობით, არამედ სამშობლოს მომავლის ინტერესების დაცვით, განსხვავებული იდეოლოგიის, მსოფლშეგრძნების, სულიერ ფასეულობათა მატარებელმა ხალხმა ვითანამშრომლოთ, ვითანამშრომლოთ — ამ სიტყვასაც დამარცვლით ჩამოკენჭავს ძუძუმტე, — ამას ნუ მომაკერებ კოლაბორაციონალიზმად, არამედ — ორი ნიჩბოსნის შეთანხმებულ მოქმედებად როცა უკან ხახადაღებული ნიანგების ამაზრზენი დგაფუნია.

დღეს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაა უმთავრესი და ვინც ახალი კონფრონტაციისკენ გვიბიძგებს, ზემოთხსენებული ძალების დაქოქილად მეჩვენება. დღეს უმნიშვნელოვანესი ხალხის იქ მიბრუნებაა და მერე ტვინის რომელიღაცა ნაწილში, ერის ხსომიერებასაც რომ ვეძახით, მკვიდრად შევინახოთ 91-92, საიდანაც იგი ვერსაით გაიქცევა. ჩვენ ახლა მცირედი ეროვნული კონფრონტაციაც კი მიწასთან გაგვასწორებს. იციან ამის თაობაზე ჭკვიანმა მტრებმა და ყველაფერს აკეთებენ, რათა ისევ მათ ანკესზე წამოვეგოთ, მორიგი რევანშიზმით მოვუსპოთ მერმისი სამშობლოს.

— მაშ, გადავულოცოთ დღევანდელი სატკივარი მომავალ თაობას?

— გური, ჯიმა, ის, რაც მოხდა ერთი თაობის პრობლემა აღარ არის უკვე. დავუშვათ და ნებისმიერი გარეგანი ძალის დახმარებით აღსდგა კანონიერება ჩვენში, უფრო სწორად, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის სახელით მოხდა ახალი დაპირისპირებანი. ვის დავაჯერებთ იმას, რომ რუსეთის იმპერია დაუშვებს საქართველოს კანონიერ აღმშენებლობას, რომლის დასაშლელად ტვინი აქვს ჩანთხეული?! ათასი ხრიკით იწვევს დემოგრაფიულ სიჭრელეს, ათასი მაქინაციით ცდილობს პოლიტიკური ამბიციების აგორებას: ერთ ტახტს და გვირგვინს ხპირდება ორი განსხვავებული პლატფორმის ლიდერს, ცალ-ცალკე, ერთმანეთის უჩუმრად, ერთმანეთის ზურგს უკან, რათა საკუთარი ხელებით დაამხობინონ ერთიმეორე, რომ შემდეგ სრულიად განსხვავებული, მათი ლაქია და ყურმოჭრილი მონა მოუვლინოს ქვეყანას ტრიუმფატორად?! ეს მეთოდები არახალია კაცობრიობის ისტორიაში, ჯერ კიდევ რომის დროიდან მოყოლებული უკიდურესად იხვეწებოდა, მუშავდებოდა, „დავიდა ეტ იმპერას" სათაურით და რომ გადავხედოთ ნებისმიერი გაუბედურებული ქვეყნის წარსულს, მათი შეცდომები გაჭრილი ვაშლივით ხგვანან ჩვენსას. ასე რომ, ჩვენს თავს გარდახდილი ტრაგედია შვილიშვილთათვის კბილისმომჭრელი ბაბუას ნაჭამი ტყემალია. ნურავინ იმშვიდებს თავს იმით, რომ ვიღაც პეტრეა თუ პავლე, დღეს ციხეში რომ ზის ან მის გარეთ დაიჯგიმება, ამით ასე ვთქვათ, რაღაც სამართლიანობა აღდგენილა ან ელის აღდგენა. მე ვამბობ: ეს იმ დონის ისტორიული დანაშაულია ჩვენს სამშობლოში, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი რომ დაერქვას, ათწლეულები მიყოლებით ჩაიქარავნებენ და ზოგი მომენტის დეტალებში გარკვევა მრავალი კონფიდენციალური საუბრის თუ საარქივო მასალის გახსნას დაუცდის რიგით მკითხველთათვის.

აქედან გამომდინარე, მე მაინც მგონია ზოგადქართული სიბრძნე და გონიერება იმით უნდა

გამოიხატოს, რომ დროებით წავუყრუოთ, თვალი მოვარიდოთ, ვითომ სმენა დავუხშოთ საბედისწერო მოვლენების შეფასებას. დღეს ჩვენ თხემით ტერფამდე უნდა გავაცნობიეროთ თუ რამხელა შესაძლებლობის და გამოცდილების მტერი გვეომება, როგორი სიმძაფრითა და ბალღამის ნთხევით, შარბათში ჩაწვეთებულით ხანდახან: რაოდენ დაქსაქსულებს, რამდენად დაუძლურებულებს და რანაირად დათითოკაცებულებს თუთაშხიასებურად.

მოკლედ, ის, რაც ერთმანეთის მიმართ ჩაგვიდენია: გამცემლობა, ძარცვა-გლეჯა, დასმენა, ზურგში ლახვრის ჩაცემა და ძმის სისხლის დანთხევა ბოლოს და ბოლოს, დასაქცევად და ამაოხრებლად ნებისმიერ ერს ეყოფა ჩინელის თუ ამერიკელის მეთაურობით.

ახლა ცოტა ემოცია შემეპარა და ვატყობ სადავეებს მთლად მივუშვი, მაგრამ გეტყვი იმასაც: აი, მოვა დრო, ვიღაცა, ჩვენი შვილები იქნებიან ეს თუ — სხვათა, დასხდებიან, თვრამეტ-ოცდაერთისა და ოთხმოცდაათ-ოთხმოცდათვრამეტი წლების ქართული პერიოდიკის საფუძვლიანი გაცნობის შემდგომ გონებას დაძაბავენ შედარებითი ანალიზისთვის, ერთხმად დაასკვნიან, რომ საუკუნის გარიჟრაჟისას სამჯერ ნაკლები ბოღმა, ღვარძლი, შური, უნდობლობა, სისხლი რაც მთავარია, დატრიალებულა ჩვენს თავს ორათასწლეულის მიწურულთან შედარებით. ყოველივეს გათვალისწინებით თავის დროზე დიდი ისტორიული დასკვნები გაკეთდება, ჯიმა, გური, მაგრამ დღეს რომ მოვიმოქმედოთ მსგავსი რამ უაფხაზეთო და უსამაჩაბლო საქართველოში, მერწმუნე უსაქართველოდ, დიახ, უსაქართველოდ დავრჩებით თითოეული. ხალხმა ყველაფერი იცის, ხალხის მეხსიერების ქურა პრომეთესაც კი ინახავს, ინდოევროპული ნაკადის მიერ კავკასიონზე უსამართლოდ მიჯაჭვული ქართველი ერის სიმბოლოს ზოგადად.

ხალხის ცნობიერებიდან ვერ ამოშლი ეროვნული მოძრაობის წამომწყებთა გვარ-სახელებს საქართველოში; არც მათი მომხრეების თუ მოწინააღმდეგეთა მისამრთი, კუთხე-კუნჭული შეეშლება ვინმეს, მაგრამ მიუხედავად ყოველივესი, დღეს მთავარზე უმთავრესს უნდა მივხედოთ, რომელსაც გაწამებული დევნილი მოსახლეობის ღირსეული მიბრუნება ხქვია თავის საძვალეთში, თავის შურობუმუში, თავის სამოხიოში, თავის საბუდარში ბოლოს და ბოლოს. თან ნურავის ეგონება ოთარ ხუფენია ახლა, ამ თეზისით უსამართლობას უხანგრძლივებს სიცოცხლეს, ან ქვეყანაში ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენას უმოკლებს დღეებსო. არამც და არამც, ბატონებო, იმათ და ჯიმა — შენ, ჩემო, გური, სისხლისმღვრელთ თუ სისხლისმსმელთ ყველას უნდა მოვკითხოთ პასუხი.

— მაინც როდის და როგორ? როცა ცხოვრების მატარებელი გაგვასწრებს?!

— ვახსენე მე თაობები სრული შეფასების გზაზე. აქვე „პასუხის მოკითხვაში" მაინცდამაინც დახვრეტას, ჩამოხრჩობას და ცხენის ძუაზე გამობმას როდი ვგულისხმობ.

— ალბათ, მორალურ ზეწოლას, თორემ ავისმქნელს თავი ქუდში აქვს ჩვენში. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება კანონის უზენაესობით.

— ეხ, კანონებს ადამიანები ჭედავენ და ადამიანები აუქმებენ. სიკვდილით დასჯის მომენტი მე მაინცდამაინც დიდ საქმედ არ მიმანჩია. რამდენი ვინმე დაუსჯიათ გამცემლობისათვის, მაგრამ სიბერით აღსრულებული შადიმან ბარათაშვილი დღემდე არ ამოშლილა ერის ცნობიერებიდან. ჩვენ შეიძლება ყველაფერი გვაქვს ქართველებს: ოჯახის ინსტიტუტი, მეგობრობის ინსტიტუტი, ჩვენი ჯანსაღი ტრადიციების მეტი ნაწილი შენარჩუნებულია, მაგრამ დაკარგული გვაქვს ძირითადზე ძირითადი — სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტი, გური, ჯიმა.

— მერედა, ავაშენოთ, შე კაცო, შევიმუშაოთ ერთიანი კონცეფცია! ტყუილად დავჩეკეთ ამდენი პარტია, მოძრაობა და საზოგადოება? ან ინვესტიციები გვაკლია ერთეულების ჯიბეში საჩხრიალოდ?

— არ არის ეს ერთი და ორი საუკუნის საქმე. აი, აქაც ვცდებით, ჩვეულებისამებრ. ეს ყოველივე ჩვენ რუსეთთან შეერთების პერიოდიდან როდი გვჭირს. სახელმწიფოებრიობის ინსტიტუტის უქონლობა დაახლოებით შვიდი-რვა საუკუნეა გვანადგურებს. აი, ამიტომაც იქნებ მთლად სამართლიანები არა ვართ, როცა ყველა ქართველს ვთხოვთ სახელმწიფოებრივად აზროვნებას, მოღვაწეობას ზოგადეროვნული პოზიციებიდან. იქნებ აქ ჩვენი მოთხოვნები ცოტათი გადაჭარბებულია?!

— ამაზე გვისაუბრია რამდენადმე, წინ კი ურემი შეშა გვიცდის ასაბრიალებლად, მაგრამ უსუპის მეგზურობას „ტიტანიკის" კაპიტნობა მირჩევნია. მაინც რომელი მონაკვეთიდან აჯობებს ჩვენი ცხოვრების მორევში ღუზის ჩაშვება? დამეთანხმები, თავისუფლების სიომ ჟანგბადის ბალონებით პერესტროიკა-გლასტნოსტის ეპოქიდან დახჭროლა ჩვენში. მანამდე კი ეროვნული მოძრაობა ფრიად უმწეო მდგომარეობაში გამოიყურებოდა, ვინაიდან ლიდერების უმეტესობა ან სასჯელს იხდიდა შორეულ საპატიმროებში, ან პირში ბურთჩაჩრილი გახლდა სიტყვის საბჭოური უუფლებობის გამო. თითო-ოროლანი თუ გაბედავდნენ სიმართლისათვის თვალის გასწორებას, იმათაც შეჯორავ-

დნენ საკმარისზე მეტად და მაინც ქართული ეროვნული ცნობიერების კონსოლიდაციის ათვლის წერტილად, სამოცდათვრამეტი წლის 14 აპრილი ყველაზე ოპტიმალურ თარიღად მესახება. სწორედ იმ დღეს მოხერხდა ქართული პროტესტის, ქართული ნებელობის მასობრივი გამოვლინება, იმისდა მიუხედავად, ჯერაც ბრეჟნევისეული ,,უძრაობის მონუმენტური ხანა'' მკვიდრობდა საბჭოეთის დრაკონული სივრცის ცარგვალზე.

— მე მგონი, რომ გური, ჯიმა, შეკითხვაში სხვა მოტივით ნახსენები ,,ღუზის ჩაშვება'' ასეთნაირად წარმომესახება ჩემი კონცეფციის სასარგებლოდ: დღეს გაჩერება რაღაცეებზე, გაჩუმება ბრძენკაცის სიდინჯით და მოძებნა იმ საერთოსი, რომელიც ყველას გვაკავშირებს, ქვეყანაში არსებულ ყველა ძალას სრული ოქტავით, დოდან დომდე. ემოციების ეს ღუზა მხოლოდ მერე აიწევა, როდესაც საქართველო სრულფასოვნად გათავისუფლდება. ახლა ეროვნული კონსოლიდაციის ათვლის წერტილზე: იმ თვალსაზრისით, როგორსაც მე ვგულისხმობ და შეგნებულად შვიდი-რვა საუკუნე სახელმწიფოებრიობის უქონლობას ვუჩივი, ერთი რომელიმე კონკრეტული თარიღის გამოძებნა, ვფიქრობ, შეცდომა იქნებოდა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მართლაც ამ მრავალსაუკუნოვან უკუნეთში რაღაც ერთი დღე-გამონათების მეტი არ ყოფილიყოს საქართველოში, საიდანაც ჩაერთო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაჩერებული გულისძგერა, ანუ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბავშვივით ფეხის ადგმა. ასეთი რამ ბუნებაში მართლაც არ არსებობს, თუმცა რასაკვირველია, არის ძალიან მნიშვნელოვანი დღეები, რომლებიც ასტრონომიულად შეგვიძლია დავაფიქსიროთ: ამა საუკუნის, ამა წლის ესა და ეს რიცხვი, ეს და ეს დღე, რაღაც ახალი ბიძგის, სტიმულის მომნიჭებელი ეროვნული სულის მდინარებისთვის, მაგრამ თავად მოძრაობა მუდმივადია, უწყვეტი, ხან — ხილული და ხანაც — მიწისქვეშა დინებებით, ანუ იგივე ერის სულში მჩქეფარებით უცხო თვალისთვის გაურკვეველი ჟესტებით, ბგერებით.

სტუდენტობის პერიოდს გაგახსენებ, ფრიად სასიამვონო ფაქტს: განსაკუთრებულ სადღეგრძელოს როცა ვსვამდით ხოლმე, ჭიქა მაგიდის ქვეშ გვეკავა და ნახევარხმაზე ვამბობდით: ,,ქეთოს გაუმარჯოსო.''

რას გამოვხატავდით ამით? ,,ქეთო და კოტეს'' მშვენიერ აქტრისას როდი ვადღეგრძელებდით, არამედ ,,ქართველი ერის თავისუფლების ორგანიზაციას'' და ჩვენ მაშინ, სუფრის თითოეული წევრი, გვინდოდა თუ არა, მარადმსრბოლი ეროვნული მოძრაობის შემავსებელი ნაკადები გახლდით, ჯერაც უჩინარი, ჯერაც მაგიდის ზევით რომ ვერ ვბედავდით ჭიქების აწევას, რათა ვიღაც ჩასაფრებულის ყურადღება არ მიგვექცია.

ახლა, როდის შეიქმნა ეს ორგანიზცია? იმასაც ხომ თავისი თარღი აქვს, თუმცა ზოგიერთივით მასობრივი და ტოტალური არასდროს ყოფილა. ისიც მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანია მიწისქვეშა მდინარეების მსგავსად. იმ სიჩუმესაც, იმ საგანგებო გასაიდუმლოებასაც მაგიური სიტყვისა — ,,ქეთო''— ახლდა რაღაც ღირსეული, რაღაც იმედის ნაპერწკლები მომავლისა და კიდევ — უფრო მეტიც: შესაძლოა შენს მიერ ხმააწეული სიტყვის გამო რაღაც უსიამოვნება შემთხვეოდა ქვეყნის გადარჩენის იდეას.

ახა, ესეც შენი რევოლუციონერიც, დისიდენტიც, იატაკქვეშეთის მოღვაწეც, ასე რომ , კონკრეტული თარიღი ჩემთვის ნამდვილად არ არსებოს, გური, ჯიმა.

შენს მიერ მოხმობილი 14 აპრილი კავკასიონის მთაგრეხილის ერთ-ერთი მწვერვალია ოდენ, შედარებით თვალშისაცემი, თორემ შორიდან იკარგება გაბრწყინებული მწვერვალების მეტნაკლებობა და რაღაც აუღებელი კედლის, მოუდრეკავი ქედის სინონიმად იქცევა ხოლმე. ორივე ვართ 14 აპრილის მოწმე, ორივე ვიდექით რუსთაველზე; შენ სამივლინებო თანხით ჯიბე გვარიანად გაგსქელებოდა და სასიხარულო ინფორმაციის შემდეგ, მახსოვს ფილარმონიის ბაღის რესტორანისკენ ჩავუხვიეთ მოზრდილი ამალით. მერე კი მარტონი ავუყვით ალექსანდრე ჭავჭავაძის ქვაფენილიან აღმართს 14 ნომრისკენ, ჩვენი, ჯინჯიბეისკენ, სადაც დავასრულეთ კიდეც აღზევებული სულის ღვინოსთან შეთამამება.

ახლა უკვე თავს ზემოთ აღმართული ხელებით ვლოცავდით ქართული ენის განთავისუფლებას. დიახ, დიახ, ასე იყო. მართალია, ამ დღესაც ერთ-ერთი მნივშენლოვანი ადგილი და როლი უკავია ჩვენი ერთიანობის ფორმირებაში, მაგრამ განა ნაკლები მუხტისაა ბატონი მუხრანის ლექსების ციკლის ,,1832''-ის გამოქვეყნება, რომელიც მაღაზიის დახლებზე გამოტანის უმალ, ერთ საათში გაქრა, შეიწოვა მთელმა თბილისმა, სრულიად საქართველომ?! მალე ეს კრებული დახლქვეშ საძებარი გახდა, ცხადია, სამმაგ თუ ხუთმაგ ფასში. ესეც არ ეკმარა თავისუფლებამონატრებულ ,,დაჭრილი ირმების გუნდს'': აბა, წავიდა გადაწერები და გადმოწერები, ანკარა წყაროსავით ეწაფებოდნენ და მაინც ვერ იოკებდნენ მოჭარბებულ წყურვილს. განა ნაკლებად მნიშვნელოვანი თარიღია?

რასაკვირველია — არა.

ზოგს სხვადასხვა მოტივაცია კვებავს, მაგალითად, 56-ის ეროვნულ მოძრაობას — პროტესტის ნიშანი ვიღაცის თუ რაღაცის დასაცავად, მაგრამ მაინც ერის კონსოლიდაციისათვის თავგამოდება, რაღაც ქვეშეცნეული ჯანყი, ამბოხი, გამოღვიძების დღეა უცილობლად. ასე რომ, პროცესი უწყეტი იყო ჩვენს ქართულ ცნობიერებაში.

— და მაინც ოცდაოთხი, ორმოცდახუთი, ორმოცდათექვსმეტი, სამოცდათვრამეტი, ოთხმოცდაცხრა ქმნიან კულმინაციებს, მწვერვალებს ერის შემეცნებით ტრამალზე, რომლებიც საშვილიშვილოდ უდგამენ მონუმენტს, შუქურას შთამომავლობის სულებს ორიენტაციისათვის.

— ხო, რასაკვირველია...

— გორბაჩოვისეული პერესტროიკა და გლასტნოსტი საერთო სიტუაციის მოტანილად მიმაჩნია და არავითარ შემთხვევაში — კერძო, პიროვნულ ინიციატივათა ძალისხმევად. შენ იმ პერიოდში, ოთარ, ძმაო, დაინტერესებული იყავი აბაშისა და ფოთის ექსპერიმენტებით. იმხანად მგელაძისა და გულუას ინიციატივებს ფართოდ აშუქებდა ჩვენი მწერლობა. ახლაც კარგად მახსოვს იშვიათი მოქართულე კონსტანტინე ლორთქიფანიძის ,,რა მოხდა აბაშაში'' თუ ამირან აბშილავას ,,ფოთის ექსპერიმენტი''. ეს ტენდენცია ქართველ მწერალთაგან ჩვეული მეთოდი გახლდათ ხელისუფალთა ღვაწლის ფორსირებული, მიკერძოებითი წარმოჩინებისთვის პოზიტიური კრიტერიუმებიდან, რუბრიკით: ,,ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ.'' ამბობენ იმასაც, რომ თითქოს პერესტროიკა საქართველოს სრულ თავისუფლებამდე მიიყვანდა ევოლუციის გზითო. მართლაც მივადგებოდით ტაძარს, განვითარების ნორმალურ პირობებში?

— გური, ჯიმა, პერესტროიკა, ოთხმოციანი წლების გარდაქმნა, გლობალური პროცესია და არა მარტო, დავუშვათ, გორბაჩოვის ან შევარდნაძის პოლიტიკური მოღვაწეობის აკიდოები. ასეთი შეხედულბანი, ასეთი მიდგომები მეთოდოლოგიურად მცდარია. ეს სიღრმისეული, ისტორიული პროცესია და ამ დროს, ცოტათი არტახები რომ მოეშვა, უფრო წარმოჩინდა და გააქტიურდა ადამიანთა ის ნაწილი, რომლებიც მუდმივად, ფარულად თუ აშკარად, შეურიგებლად ებრძოდნენ N ხარისხში აყვანილ წითურ მონსტრს, სსრკ რომ ერქვა სახელად; ებრძოდნენ იდეოლოგიის იმ ოკეანეს, რომელიც ხომოსოვიეტიკუსის კოსმოპოლიტიზმით, დიადი კომუნიზმის უკლასო საზოგადოების უდაბნოეთისკენ მიერეკებოდა მეობაწართმეულ ადამიანთა უსასრულო წყებას. შენი შეკითხვა ლოგიკური გაგრძელებაა იმ თეზისისა, რომელსაც ჩვენ შევარქვით ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, ანუ მოძრაობა ქართული სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად. ეს ყოველივე, როგორც ავხსენით, საუკუნეებს ითვლის და ერთხელაც გამოვკვეთავ, რაიმე კონკრეტულ თარიღს ვერ მიაჯაჭვავ, მიუხედავად ლოკალურ ვითარებაში მკვეთრი ამომწვერვალებისა.

მოვუბრუნდეთ აბაშისა და ფოთის ექსპერიმენტებს. ჩემი ღრმა რწმენით, ესენიც ეროვნული მოძრაობის ერთგვარი შემადგენელი ნაწილებია , ოღონდ — გადატანილი ეკონომიკის სფეროში, საბაზრო ურთიერთობების შტრიხებით და ნაწილობრივ პოლიტიკის რანგით. მე მაშინ სრულიად ახალგაზრდა კაცი ვიყავი, ჩვეულებრივი საბჭოთა უნივერვისტეტი მქონდა დამთავრებული; ბუნებრივია, თავისი ,,კაპიტალებით'', ,,ანტიდიურინგებით'', ,,დიამატებითა'' და ,,ისტმატებით'' და იმით, რომ ინსტრუქცია, დებულება, კანონი იწერებოდა სადღაც მოსკოვში და ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა ხალხს გვეუბნებიან: კრიტიკა ნებადართულიაო. შეგიძლიათ იმსჯელოთ შეხედულებისამებრ, დაასაბუთოთ თქვენი წანამძღვრებიო. მოკლედ, გაგვენდნენ:

მთლად ისე არ არის საქმე, როგორც ამას ადრე გიკაკუნებდით თავში კრემლიდანო.

ხელ-ფეხის შეხსნამ წარმოშვა მორიგი ამბოხებისმაგვარი სითამამე. იქ, თქვენ, მოსკოვში, რომელიღაცა კაბინეტში რაღაცას რომ აშანშალებთ, აქ, ჩვენს აბაშასა თუ ფოთში, როგორ ვიყოთ, რანაირად, როდის მოვხნათ, როდის დავთესოთ, როდის დავფარცხოთ და გავმარგლოთ, როგორ უნდა გავანაწილოთ მერე იქ მიღებული მოსავალი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, აი, ამ პონტში შეიძლება თურმე რაღაც განსხვავებული მიდგომები განხორციელდეს.

ეს იყო მაშინ მართლაც ეროვნული მოძრაობა იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანებში გაჩენილიყო ამდაგვარი რწმენა: თურმე შესაძლებელია არა მარტო გააკრიტიკო ესა თუ ის მოვლენა, პროცესი, პიროვნება, არამედ ცოტა სხვანაირადაც გააკეთო შენს ქვეყანაში, მიუსადაგო ადგილობრივ პირობებს და მოთხოვნებს; სხვენზე კი არ აიყვანო ძროხა საბალახოდ და აღარც სხვენი ჩამოიტანო დაბლა სიმინდის მოსავლის დასაბინავებლად.

დღეს ირკვევა, რომ ეს იდეოლოგია თავის დროზე ბერიასაც ხქონია: პარტიის როლის შემცირება, საბჭოების ანუ სამეურნეო, პრაქტიკულად რეალურ სახელმწიფო მოხელეთა გაძლიერება და ამ ახალი სისტემის, სტრუქტურის დაწინაურება ყველგან და ყველაფერში, პლუს ამას საქართველოს

პირობებში რეგიონალური პრინციპის გაძლიერება. ყოველივე ამაზე სხვათაშორის 81 წლის მაშინდელი „კომუნისტის“ ფურცლებიდან მივანიშნე მკითხველ საზოგადოებას. თავის მოწონებად არ ვყბედობ, მაგრამ ფოთის ექსპერიმენტზე პირველი ვრცელი პუბლიკაციის ავტორი სწორედ მე ვარ ბატონ მიხეილ მიქაძესთან ერთად ინტერვიუს სახით. ახლაც მახსოვს 6 იანვარს, — მწარედ იცინის. ჩემთვის გასაგებია ამ „გაღიმილების“ მასაზრდოებელი თარიღის მნიშვნელობა და მის მიერ ცნობიერებაში არეკლილი უსამართლობათა კასკადი, — არის გამოქვეყნებული. რადგან 6 იანვარი ვახსენეთ, შევაფასოთ კიდეც: ქართული სულიერების წყალგამყოფი კავკასიონია დასახელებული თარიღი, აბსტრაქტული, მაგრამ აისბერგივით შემოცურებული სამშობლოს მეობა, რომლის ფარულ დინებას თვით გიგანტი „ტიტანიკიც“ კი ვერაფრით გადაურჩება, ხოდა, 6 იანვარს გამოქვეყნდა იგი 81 წელს...

— რა დრო გასულა?! ეხუმრები თვრამეტ წელიწადს!

— საცხოვრებლად ჯოჯოხეთია, მაგრამ აზროვნების პროცესისათვის — წამი. დიახ, თვრამეტი წლის წინ დაიბეჭდა. სათაურიც ომახიანი შეერჩა — „ყურადღება: ფოთის ექსპერიმენტი“. ჯერ კიდევ ბევრ რამეს ვნიღბავდით. მე იმ პროცესებს ქარაგმულად „ექსპერიმენტის ხიპოთეზა“ დავარქვი. აქ შემდეგი აზრია ჩამოყალიბებულ-განვითარებული: თუ რეგიონში კარგად იქნება საქმე, ბუნებრივია, — მთლიანად სსრკ-აშიც რუბენისებურად „მიმინოდან“. აქედან გამომდინარე ქვეტექსტი შემდეგნაირი გახლდათ: სსრკ ჩვენი არსებობის სივრცეა, ხოლო საქართველო — რეგიონი ამ მოჯადოებულ წრეში. ეს მაინც იყო კოსმეტიკა, ანუ ევოლუციის, რეფორმების გზით საქართველოს გაყვანა ჯერ ეკონომიკურ დამოუკიდებლობამდე და მერე — პოლიტიკურ თვითმყოფადობამდე, მაგრამ მოვლენებმა სრულიად განსხვავებული მიმართულება მიიღო.

გამიგე, გური, ჯიმა, თვეობით რომ ვეგდე ფოთში ჩემს მეგობრებთან ერთად, იმისთვის კი არა, მივლინების ფული თუ სხვა რამ ნუგბარეული შეგვეტკბო, — ისევ იცინის, — არამედ, ხელი ჩაგვევლო ამ დიდი მოძრაობისთვის, გაგვეანალიზებინა ძირისძირამდე მისი შესაძლებლობანი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე; განგვეზოგადებინა, თეორიის დონეზე დაგვემუშავებინა ყოველი დეტალი და მიგვეცა მერე მსვლელობა საქართველოს მასშტაბით; ასე რომ, ეს ყველაფერი მწერლობასაც კარგად ესმოდა მაშინ, პარტოკრატიის ნაწილსაც, მხარდამჭერიც უამრავი ხყავდა, თუნდაც იმ ეროვნულ მოძრაობაში, ზომიერებით რომ გამოირჩეოდნენ. მოკლედ, ოთხმოციანი წლების რეფორმები უნდა განვიხილოთ, როგორც ზემოდან ქვევით მიმართული ეროვნული ინიციატივები.

— ჩვენ მივეჩვიეთ გამოთქმებს: დღევანდელი ევროპის შემოქმედი, ახალი პოლიტიკოსი, მსოფლიოს განიარაღების ბაირახტარი და პარალელურად: იმპერიის დამანგრეველი. ამ მცნებათა მხარდამხარ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ხალხს, სხვადასხვა ტემპერამენტის, გაქანებისა და მსოფლგანცდის პიროვნებებს გულისხმობენ. ერთნი — ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და მეორენი — საქართველოს პირველ პრეზიდენტს — ნეტარხსენებულ ზვიად გამსახურდიას. ჩვენეული ინტერესის სფერო კი სრულიად კონკრეტულია: მაინც რაები თუ ვინები განაპირობებენ მსოფლიოს ამჟამინდელ პოლიტიკურ რუკას, ინდივიდები? გარემო პირობები?! იქნებ პიროვნული უნარები თუ თავად საერთაშორისო სიტუაცია?!

— მშვენივრად იცი, რამდენიმე წლის წინ მუსირებდა აზრი და ეძებდნენ კონკრეტულ პიროვნებებს, ვინც ასე ვთქვათ, სსრკ დაშალა.

— მერე?

— ხან რეიგანს და ტეტჩერს ახსენებდნენ, ხან — გორბაჩოვს და შევარ- დნაძეს, ხან კიდევ — პრეზიდენტ გამსახურდიას, მოკლედ — ვის და ვის არა. მე მგონი აქაც პროვინციულ აზროვნებასთან გვაქვს საქმე. ამ დროს დიდი სიმართლე სწორედ ის არის, რომ ცხოვრების წესი, რომელიც დედამიწის ყველაზე მდიდარ მეექვსედ ნაწილზე ხორციელდებოდა, იყო ანტიკაცობრიული, ანტიცივილური, ანტიადამიანური ზოგადად. ამიტომაც მისი დანგრევა გარდაუვალი, ისტორიული აცილებლობით ნაკარნახევი გახლდათ. უბრალოდ ჩამოთვლილმა ადამიანებმა და კიდევ უამრავმა სხვამ, რასაკვირველია, დადებითი როლი შეასრულეს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვის საქმეში, შეძლებისდაგვარად შეეცადნენ ხელი შეეწყოთ კიდეც, თორემ გორბაჩოვი რომ ქაქანებდა, სხვა დროს პეტროვი მოვიდოდა და აუცილებლად იგივე მოხდებოდა. ასე რომ, ისტორიის შესაფასებელია მაინც თითოეული კონკრეტული პიროვნების ადგილი და როლი, მაგრამ ყველაზე ამ ამ ... ობა იმით, რომ არიქა, მე დავანგრიე იმპერია და მე მოვშალე რაღაც კედელიო, პროვინციულობის ტიპიური მაგალითია.

— თავად მე რომ მკითხო, სოციალიზმის დანგრევა და კაპიტალიზმის რესტავრაცია სულაც არ მიმაჩნია პროგრესულ მოვლენად. პირიქით, კაცობრიობის მომავალი შესაძლოა ამ აქტმა მთელი საუ-

კუნით დაამუხრუჭა. ეროვნულმა მოძრაობამაც თავის დროზე ტაში დაუკრა სწორედ საბაზრო ურთიერთობას, ადამიანის მიერ ადამიანის ლეგიტიმურ ექსპლუატაციას, მაგრამ ამეებზე საკამათოდ არ გაგრჯი. ამ საკითხებისათვის მოვიცლით როსმე. ჩვენ მთავარია არჩეული თემატიკის კალაპოტს მივყვეთ.

— გური, ჯიმა, კაპიტალისტურ ურთიერთობას არც მე ვუკმევ გუნდრუკს. „დიამატ-ისტმატზე" აღზრდილ კაცს, გასაკვირი არაფერია ზოგი რამ გამეგებოდეს საზოგადოების განვითარების ორდინარზე საერთოდ, მაგრამ ძმობის, ერთობის, მეგობრობის, თანასწორობის ლოზუნგების ფრიალით თვითონ რომ იქცევი ბოროტების სათავედ, აქ ადამიანი გაცილებით განწირულია, ვიდრე საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

საქმე ის გახლავს, რომ სოციალიზმის ნიღბით გმუსრავს კაპიტალიზმი — ფარაში შეპარულია მგელი ცხვრის ქურქით. ამიტომაც ვამართლებ მსგავსი საზოგადოებრივი ურთიერთობის განადგურებას. როგორც ჩანს, ლენინის გადახრებმა მომაკვდინებელი ნაყოფი გამოიღო კაცობრიობის მერმისისათვის: გაუფასურდა იდეალები, ჭეშმარიტი ფასეულობანი, სოციალიზმი — ცივილიზაციის მართლაც ნათელი მომავალი, კარიკატურად იქცა. მარქსი კი სოციალიზაციას ცოტათი განსხვავებულად მოითხოვდა, ვიდრე ეს ლენინს წარმოედგინა, ანუ უნდა ყოფილიყო მომწიფებული ეკონომიკური წანამძღვრები მატერიალური სიმდიდრის სახით. საბჭოთა კავშირი სოციალისტური საზოგადოების საფრთხობელად იქცა ზოგადკაცობრიული ორიენტაციის თვალსაწიერიდან. ესეც შენი ამბოხის საპასუხოდ, გური, ჯიმა!

შენ ისეთი კაცი არ ხარ ვინმე გააფეტიშო და ორღობის ყბადაღებული ლაყბობის გჯეროდეს, თითქოს მაინცდამაინც ვიღაც პეტრემ თუ პავლემ გააკეთა ყველაფერი. ასეთი რამ ანტიმეცნიერულია. მე ზოგადი ტენდენციის შესახებ გეუბნები, იმის თაობაზე, რომ აბსოლუტურად ისტორიული კანონზომიერებაა სსრკ-ს დაშლა და საერთოდ, ამ იდეოლოგიის მოშლა არსებული ანტიადამიანური, დრაკონული, ძალმომრეობითი მეთოდოლოგიის გამო. აქ არ გამოგვადგება რუსთველური „შიში შეიქმს სიყვარულსა." სიყვარული სიყვარულმა უნდა შექმნას და ნებისმიერ სხვა მცდელობას ყავლი გასვლია. ხომ გვსმენია სიმღერა: „სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადაო?!" ამიტომაც კანონზომიერად წარიმართა ყოველივე, საბჭოთა კავშირს — „კაცობრიობის ბედნიერი მომავლის" შირმით შემოსილ „ბოროტების ციტადელს" ისტორიის სანაგვეში გადაუძახა ყოვლისმკურნალმა დრომ; თვით კომუნიზმის საბჭოურ მოდელსაც, რაც იდიოტობაა საბოლოო ჯამში. იცი, რას, რას ვეძახი სოციალიზაციას?

ავიღოთ ყოფილი, გათიშული გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და დღეს გაერთიანებული. დააკვირდი ახლა, ჯიმა, გური, მას არასდროს უთქვამს კომუნიზმი ავაშენოთო, მაგრამ ბისმარკი პირველი კომუნისტი გამოდის. ერთ-ერთ ჟურანლისტს ვუთხარი ასე და ეყო ჭკუა უარყოფითი ემოცია გამოეხატა:

რას ამბობთ, რანაირად, მაშინ ხომ სოციალიზმი აღარ იყოო.

აბა, თქვე, მამაცხონებულნო, სახელმწიფოში სოციალური პოლიტიკის საფუძველი, რასაც დღეს სოცდაზღვევას ეძახიან მთელს მსოფლიოში, პირველად ბისმარკის ნათქვამია და ნაწილობრივ განხორციელებული კიდეც; სოციალური თანასწორუფლებიანობის, გაწონასწორებული, სოციალურად დაცული საზოგადოების იდეა, პირველად დიახაც ბისმარკმა წამოაყენა, მიუხედავად იმისა, დარწმუნებული ვარ, არც მარქსისტი იყო, არც ენგელსისტი, არც ლენინისტი და მითუმეტეს — სტალინისტი.

ბისმარკი გახლდათ უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ჰუმანური გონების წყალობით მიხვდა, რომ მას თუ უნდა სახელმწიფო ხქონდეს, რადიკალურად მშიერ და რადიკალურად მაძღარ საზოგადოებაში, ადამიანები დაანგრევენ ყოველივეს, გნებავს ქალაქებში წყალი ოქროს შადრევნებში მჩქეფარებდეს. მასას გაწონასწორება სჭირდება სოციალურად და ამისთვის მოიგონა თეზისი, თუმცა ვხედავ კვლავაც ავცდით სასაუბრო თემას.

— ჩარჩოებში ვერ ვეტევით.

— ხო, ეს სხვა დროს, მაგრამ აი, უბრალოდ მინდა მიგანიშნოთ იმაზედ, რომ არის დიდი კანონზომიერება სახელმწიფოს მოწყობის, ასე ვთქვათ და მისი განხორციელების გზების ასპექტით. სტალინი რომ სტალინია, ისიც შეეცადა ხქონოდა, აი, ასეთი სოციალური ინსტრუმენტები და დაარქვა მას სახელმწიფო პენსია, დაარქვა სახელმწიფო დახმარება, საბიუჯეტო ხელფასი და ა.შ. და ა.შ. ძირში კი სხვა რამ ჩადო. ძირში ჩადო ის, რომ — მე გაძლევ შენ ამას, როგორც შენი კომპარტია, როგორც შენი ბელადი, როგორც შენი მამა და მარჩენალი.

ბისმარკიც აბსოლუტურად იგივეს აკეთებს, მაგრამ ეუბნება თავის ხალხს:

ეს შენ დაიმსახურე გერმანელო, შენ, შრომის ყადრი, შრომის მადლი რომ მოგსდგამს და ნელ-

ნელა იხდი სადაზღვევო შენატანს — შენი უზრუნველი მოხუცებულობის გარანტიასო.

სტალინი სხვანაირადაა მომართული, ყველაფერს პარტიული პოზიციიდან აფასებს, ყველაფერს კომუნისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში განიხილავს, ასეთნაირად ეუბნება თავის მრევლს:

არა, შენ არაფერი გამოგიმუშავებია, ეს მე ვარ მამა-მარჩენალი, შენი მშობლიური კომუნისტური პარტია, კომუნიზმის მშენებელი სახელმწიფო. მართალია, ორივე ერთსა და იმავეს აკეთებს — არ ხყავდეს მშიერი, ვინაიდან იციან მშიერი საშიშია, პროლეტარი ყველაფერზე წავა, მაგრამ ვფიქრობ, მიდგომები განსხვავებულია ადამიანური პოზიციიდან, გნებავთ — დამაჯერებლობის თვალსაზრისითაც.

— პოზიციას დაეძებს ახლა ჩვენი ხალხი, გნებავთ ჯოჯოხეთური მეთოდი აურჩევიათ, ოღონდაც დააპურონ და...

— ჯოჯოხეთური რატომ? მე ვიცი რომელიც უნდა აირჩიონ: ბისმარკი, ბისმარკის გზა. რაც შეეხება მესიანობას, ასეთ გლობალურ მოძრაობებში, ამხელა მასშტაბის კატაკლიზმებში, გური, ჯიმაია, ნუ ვეძებთ მაინცდამაინც კონკრეტულ პიროვნებებს, როგორც გულუბრყვილოთ სჩვევიათ ხოლმე; ასეთ აღიარებებს, ბელადებს მოშიებული მასის ფსიქოლოგია ბადებს ყველგან და ყოველთვის. მსოფლიო ისტორიას დიდი პიროვნებანი თითებზე ჩამოსათვლელი ხყავს საბედნიეროდ. ისინი მართლაც ქმნიდნენ ეპოქებს, უკეთ, მიმართულებას აძლევდნენ საზოგადოებრივ ძალისხმევას და ამით იგებდნენ დროს, მანძილს და ბოლოს — ერთობლიობით, სიტუაციასაც. დღეს კი ყოველ მეორეს ამ ბუმბერაზთა რიგებში დამკვიდრების პრეტენზია გააჩნია. ასეთ რაღაცასაა პროვინციალიზმს რომ ვეძახი ხოლმე, გური, ჯიმა და ვიწვნევ კიდეც აქა-იქ ჩემსას.

20. 31.

— აქ ძნელია კაცი არ დაგეთანხმოს, მაგრამ მოდი, ანალიზი ჯერ ზვიად გამსახურდიათი დავიწყოთ, კონკრეტულად კი მისი კონცეფციის მოდელის გაშუქებით: შეძლებდა საქართველო პატროფილური ანუ მამულიშვილური საქმეების განხორციელებას ცხოვრების ეტალონად კაპიტალისტური ურთიერთობის არჩევის შემთხვევაში? რამდენად მოსახერხებელია საბაზრო ურთიერთობის პირობებში საქვეყნო, საშვილიშვილო ღონისძიებების ჩატარება მამულის სასიკეთოდ? და რადგან აქამდეც გვისაუბრია გამსახურდიას ფენომენზე, იქნებ რაღაცნაირად გადავურჩინოთ შთამომავლობას მისი პოლიტიკური პორტრეტი, თუმცა მოსახერხებელია კი ესოდენ ნედლი სინამდვილის მიუკერძოებელი დაბეჭდვა?

— მე მგონი ჩვენი საუბარი მკითხველს დაარწმუნებს იმაში, რომ ამა თუ იმ პიროვნების გაფეტიშება ჩემთვის სრულიად მიუღებელია. როცა მეკითხებიან ხოლმე, ვინ არის შენთვის ყველაზე დიდი პიროვნებაო, მამაჩემი-მეთქი, მივუგებ დაუფიქრებლად. მამაში დაინახო დიდი და დიადი, როგორც კაცში, როგორც ადამიანში, ვფიქრობ ყველაზე სამართლიანია, მაგრამ არის მეორეც — ისტორიული სიმართლე, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, რომელიც ქურაში ნაწრთობი ფოლადივით თანდათან იშორებს ზედმეტ წიდას, მინარევებს, ჭორებს, მიეთმოეთს და კრისტალური სახით წარსდგება შთამომავლობის წინაშე. მეც სწორედ აი, ამ კუთხით მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრა ბატონ ზვიად გამსახურდიაზე.

ალბათ, ყოვლად დასაგმობია ზოგ-ზოგის, ისე, ხარიხარად, ნაბახუსევზე მისთვის „გამეტებული" ადგილი და როლი მეორე ათასწლეულის მიწურულის საქართველოს პოლიტიკურ თუ სულიერ ცხოვრებაში. ეს ხანდახან სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. იცი, ისტორიულად ძალიან ხანმოკლე დროა გასული იმისთვის, რომ მე და შენ, გნებავთ — სხვა ვინმემ, ვერდიქტი გამოუტანოს ჩვენი პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობის ძლიერ თუ სუსტ მხარეებს, დამსახურებებს თუ შეცდომებს ქვეყნისა და ერის წინაშე. ამიტომაც დიდი სიფრთხილე მართებს ყველას, ვისაც ოთხმოცდაათიანი წლებისა და მისი შემოქმედი ხალხის ღვაწლზე სიტყვის დაძვრა განუზრახავს.

ის, რომ ბატონი ზვიადი არის, თავის სამშობლოზე ფანატიკურად შეყვარებული ერთი დიდი ქართველთაგანი-მეთქი, განვაცხადო — ნიშნავს არაფერი ვთქვა ამ უმაგალითო პატრიოტზე. დამერწმუნე, ნამდვილად ასეა! მან ეს თავისი მოწამეობრივი სიცოცხლითაც დაამტკიცა. ბუნებრივია, მას აქ გენეტიკაც უწყობდა ხელს — დიდი მამის ორანი, ძალისხმევა; გარემოცვა, რომელშიც იზრდებოდა: ნათლიად აკაკი გაწერელია ხყავდა, ქართული ცნობიერების მეტრი; მეგობრებად — მუხრან მაჭავარიანი და მერაბ კოსტავა, უდრეკელი ბუნების რაინდები. თანაც ცხოვრების იმისთანა ლაბირინთები გამოიარა, მე მჯერა და მწამს, რომ გამორჩეულ ქართველთა გალერეაში განსაკუთრებული მუდმივი ადგილი გააჩნია და ხანდახან სიმწრით მეცინება იმ ჟურნალისტზე, გნებავთ —

ინტელიგენტსა თუ პოლიტიკოსზეც, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ მისი დამსახურების დაკნინებას. ზღვის ტალღასავით ეხეთქებიან ფრიალო კლდეს და ამაოდ ყიამყრალობენ თითებიდან გამოწოვილ პრიმიტივიზმზე, თითქოს ამას ვერ ხედავდა, იმას ვერ წვდებოდა, ის არ იცოდა, აქ დაუშვა შეცდომა, იქ ვერ შეაფასა სიტუაცია — ფარსია ყველაფერი, თხის კუდის ზღაპრის ანალოგია.

იცი, ჩვენი წიგნის მიზანი სულ სხვაა — პატარა, მოკრძალებული წვლილის შეტანა ათმაგად გახლეჩილი დედასაქართველოს გაერთიანების საქმეში და არა— ვთქვათ, განხეთქილების მორიგი გაღრმავება; ამიტომაც თუ გავაშიშვლებთ გვარ-სახელების წყებას, მათ უკვე დრომ ჩამოაგლიჯა ნიღაბი და ახლა ტიტლიკანა მეფეების კვალობაზე დატანტალებენ ხალხში განძარცულნი, როგორც პოლიტიკურად, — ისე ზნეობრივადაც, თუმცა ვინც ზვიად გამსახურდიას განქიქებით თავის ამაღლებას ცდილობს და ამ გზით უმაღლეს კვარცხლბეკს უმიზნებს, ან სრული უემცარია, ან კიდევ — შეურაცხადი.

ჩვენ ერთ რამეში მყარად უნდა შევთანხმდეთ, რომ ის, რაც ბატონი ზვიადის დროს გაკეთდა საქართველოში — პირველი რეფერენდუმი პროკომუნისტურ სივრცეში, პირველი საყოველთაო არჩევნები, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტი, აი, ამ პოლიტიკურ საგანძურთა ფონზე, აი, ამ ისტორიული დოკუმენტების შეწევნით, ჩვენს ქართულ სახელმწიფოებრიობას ჩაყრილი აქვს ურყევი სამართლებრივი საძირკველი დე-იურეს სახით, რომელიც ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის უტყუარი წინაპირობაა, სამერმისოდ დე-ფაქტოს გარანტიებით.

ახლა ნახეთ საქართველოს კონსტიტუცია! რას ეფუძნება ჩვენი სახელმწიფოებრიობა? ამისი დავიწყება შეიძლება? რასაკვირველია არა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობა მისი განუხრელი განთავისუფლების მხარდამხარ უნდა ხორციელდებოდეს ამ სამი უდიდესი ისტორიული აქტის საფუძველზე. განა ამ საყოველთაო რეფერენდუმში აფხაზებმაც არ გამოხატეს თავიანთი ნება — დამოუკიდებელ საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელმა? არ არის ეს ჩვენთვის ისტორიული ბალავარი და დოკუმენტი შემდგომი არსებობისათვის? არ აბათილებს იგი განა „ლიხნის წერილებს“ თუ აფხაზი და ოსი სეპარატისტების პოლიტიკურ კუნტრუშებს?

— სასიამოვნო ფაქტი გამახსენდა ადრეული საუბრებიდან. მომაგონდა ოთხგზის რომ შეხვედრიხარ, როგორც ნეტარხსენებულს, ისე — ბატონ ედუარდ შევარდნაძესაც და აქედან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევ გითხრა: ჩემგან განსხვავებით მეტი საფუძველი გაგაჩნია ორივე პიროვნების პოლიტიკური იერსახის გამოსახატავად-მეთქი.

თავად მე, როგორც სხვაგან მიწერია, ეს ადამიანები სულ ორ-ორჯერ მინახავს, თანაც ოფიციალურ სიტუაციაში, ისიც წამიერად და ბუნებრივია, ხანგრძლივ ურთიერთობებს მოკლებული, ერთობ შებოჭილი ვარ რამე არსებითი დავასკვნა მათ შინაგან სამყაროზე. ამ მხრივ შენ მეტი გეთქმის. რას იტყვი გამსახურდიასთან პირველ შეხვედრაზე, რა საკითხი ფიგურირებდა იმ დიალოგში?

— ბატონ ზვიად გამსახურდიას 91 წლის მაისის ბოლომდე შორიდან ვიცნობდი, ისე როგორც ყველა ქართველი: პრესით, ტელევიზიით, რადიოთი, მიტინგებით, მაგრამ პიროვნული კონტაქტი სულ სხვა ყოფილა. ჩვენი შეხვედრა სრულიად მოულოდნელად მოხდა და გამოწვეული იყო კონკრეტული ფაქტით. გეხსომება, მაშინ რა ბიუჯეტზეც იყო საუბარი. ჩვენ ჯერ კიდევ სსრკ-ის არსებობის პერიოდში გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა. სამანეთო სივრცეში ვიყავით, პრაქტიკულად ყველაფერი სახელმწიფო საკუთრება გახლდათ და საქართველოსაც თავისი თავი თვითონ უნდა ერჩინა. ექსტრემალური ვითარებიდან გამომდინარე ყოველთვე იცვლებოდა ქვეყნის ბიუჯეტი, პარამეტრები ბიუჯეტისა. ერთ-ერთი ასეთი პერიოდის დროს, როცა ვმუშაობდი სამი თვის შექმნილი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელად, სხვათა შორის იგი 91 წლის 31 მარტსაა დაარსებული, ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი მოხვდა ჩემთანაც, როგორც ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგიის წევრთან. განხილვის პერიოდში, ცხადია, მეც გამიჩნდა სერიოზული შენიშვნები, იმიტომ რომ ვატყობდი, გარკვეულწილად ეიფორიამ მოგვიცვა, ბიუჯეტი კი პრაგმატული საკითხია. ეს არც ლექსია და აღარც — რომანი, ლოგიკით ნაშენები ციფრია, სტატისტიკაში ასახული ეკონომიკა, მშრალი რეალობა, პრაქტიციზმი. ხოდა, არ მოვერიდე გაუთვალისწინებელ შედეგებს, დაუფარავად გამოვთქვი შენიშვნები:

პრეზიდენტი შეცდომაში შეხყავთ-მეთქი, ან თვითონ ცდება და პირშიმძრახებელი არავინ მოეძევება გარშემო, ვინაიდან შეუძლებელია თავისი ცხოვრების გავლილი გზით ბატონი ზვიადი ბიუჯეტის სპეციალისტი იყოს-მეთქი და საერთოდ არცერთ პრეზიდენტს არ ევალება ბიუჯეტისა და მისი მუხლების ცოდნა; ჯობია საერთოდ არ ერეოდეს იმ მუხლების განხილვაში. უკეთესია ბიუჯეტს

შეხედოს, როგორც ქვეყნის პოლიტიკას-მეთქი, განვაცხადე ამნაირად და მაშინ ქალბატონმა მანანა ძოძუაშვილმა, რომელიც ჯანდაცვის იმდროინდელი მინისტრი გახლდათ, ბრძანა:

თქვენ თუ გაქვთ სურვილი ამის თაობაზე პრეზიდენტს შეხვდეთო.

მე ვუპასუხე, რომ არ შეიძლება ეს ყოველივე ჩემს სურვილზე იყოს დამოკიდებული. მე ვარ ერთი ჩვეულებრივი სახელმწიფო მოხელე, რიგითი ეკონომისტი, რომელსაც რაღაც მოსაზრება გააჩნია. არც უზენაესი საბჭოს წევრი ვარ, არც არაფერი, უბრალოდ, ვიწყებ ამ ფონდის მშენებლობას საქართველოში და თუ თქვენ მიგაჩნიათ, როგორც მთავრობის წევრს, რომ ეს აზრი, რაღაცნაირად მისაწოდებელია პრეზიდენტისთვის, მზად ვარ უანგარო სამსახურისთვის-მეთქი.

აი, ასე შემზადდა პრეზიდენტთან ჩემი პირველი შეხვედრის ნიადაგი. ხო, მე მაშინ დავიწყე მუხლების კრიტიკა, უფრო სწორად, ცვლილებების კრიტიკა. ერთ-ერთი ბლოკი იყო პირველი, რომელსაც მე კატეგორიულად არ ვიზიარებდი, არ ვეთანხმებოდი საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირებას განათლებაზე, კულტურაზე და ზოგადად, რომ ვთქვათ, სამოხელეო ხარჯებზე. თვით ის შემცირება არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ საბიუჯეტო წყობაში რაიმე შეეცვალა, მაგრამ მე ვხვდებოდი — ეს გამოიწვევდა ათასობით ადამიანის გაღიზიანებას და მაშინ, ორივეს ჩინებულად გვახსოვს, რომ გარკვეული ოპოზიცია უკვე არსებობდა. მიდიოდა თამაშები ინტელიგენციასთან, კულტურის მოღვაწეებთან, ხელოვნების, კინოს ხალხთან და მე ვგრძნობდი იმასაც, — იყვნენ ძალები, რომლებიც ოსტატურად ამზადებდნენ კონფლიქტს ინტელიგენციასა და პრეზიდენტს შორის. მე ეს ღია ტექსტი მიუჩქმალავად ვუთხარი პრეზიდენტს.

— სად შეხვდი, მთავრობათა სახლში? — ვაკონკრეტებ მოქმედების ადგილს.

— ველარ მოარტყი, ნიშანი გაგიცუდდა, კოლხურ კოშკში, გური, ჯიმა! თავიდან ქალბატონი მანანა შემომეგება. მიმანიშნა ზალასკენ, სადაც როიალი იდგა გადაშლილი ნოტებით.

ახლახან ზვიადი უკრავდა და ალაგება ვერ მოვასწარიო, მომიბოდიშა. ფეხზე ვდგავარ. შემოდის პრეზიდენტი პიჟამოთი. მსხალს მიირთმევს. მომაწოდებს ერთს. გულაბია. გამოვართმევ, მაგრამ ხელში ვაწვალებ, ხომ არ დავიწყებ ახლა წვნიანი მსხლის სვლეპას? მაჯაზე „სეიკო" მიკეთია. დაჯდომისას გაჩხაკუნდება. დაიჭერს ამ მომენტს მასპინძელი და ღიმილით იტყვის:

არა უშავს, საათი შენი გაკეთებული ხომ არ არისო.

დღემდე ვერ ამომიცვნია, რას გულისხმობდა. ის კი მახსოვს, მოვიხსნი მაჯიდან, მსხლის გვერდით მოვაყუჩებ. პირველს თორმეტი უკლია. ზუსტად სამი საათი ვისაუბრეთ. ხოდა, ვაგრძელებ ზემოთდაწყებულს: მე უკვე შინაგანად ვგრძნობდი გარკვეული ძალები ხაფანგს უმზადებდნენ, ძნელად შესამჩნევს, საგულდაგულოდ შენიღბულს, მაგრამ — საბედისწეროს და პროფესიული თუ მამულიშვილური პატიოსნებით გული ამოვიბერტყე:

ამის უკან ეს დგას, სხვა არაფერი-მეთქი, იმიტომ რომ მაშინ სხვანაირად არ შეიძლებოდა საქართველოს ბიუჯეტში რაიმეს მიღწევა უმნიშვნელო ეკონომიით, რაიმე ინვესტიციის წარმართვა ან გადაწყობა სხვა ყაიდაზე, რაიმე ეკონომიკური პოლიტიკის გატარება არარეალური იყო.

წარმოგიდგენია, არსებობს სსრკ, არსებობს გოსპლანიდან გამოყოფილი ფონდები, არსებობს რუსული მანეთი, არსებობს ფასი. დამტკიცებულია ვის მიაწოდო, სად გაყიდო, როგორ გაყიდო და ასეთ დროს შენ თვითონ ვითომ რაღაცას ცდილობ შიგნით, ასე ვთქვათ, ბიუჯეტში გადანაწილებას და ამ გზით სასურველი ეფექტის მიღებას, ილუზიაა.

მოკლედ, ყოველნაირად შევეცადე გულწრფელად დამესაბუთებინა: ჩვენ ამ გზით რაიმე ეკონომიკურ წარმატებას ვერ მივაღწევთ-მეთქი. შედეგი გვექნება ერთი: რაღაც უმნიშვნელო ათი თუ ოცი მანეთის გულისთვის გავანაწყენებთ უზარმაზარ მასას, დავუკარგავთ ეროვნული მთავრობის რწმენას და უნებლიეთ იმ ხალხის წისქვილზე დავასხამთ წყალს, რომლებიც გეგმავენ ან დაგეგმილ სცენარს ახორციელებენ საქართველოში არეულობათა ასაგორებლად-მეთქი. აქვე ისიც მივანიშნე, რომ იქნებ ჯობდეს სერიოზულად გვემუშავა საგადასახადო სამსახურის ჩამოყალიბებაზე ქვეყანაში, რომელიც არსებულ პირობებში შეძლებდა სახსრების მობილიზებას-მეთქი.

არ დავმალავ, ვისაუბრეთ იმაზეც თუ როგორ შეიძლებოდა რუსეთიდან სახსრების გადმოქაჩვა და ამისთვის რა არხების გამოყენება იყო შესაძლებელი, ვთქვათ, ბიუჯეტში გაჩენილიყო დახურული, დაფარული მუხლი.

აქვე ისიც აღვნიშნე, რომ უნდა მოგვეხდინა ყოველივე ამის დოლარიზაცია, ვინაიდან უკვე ჩემთვის და ბევრი ჩემი მეგობრისთვის სავსებით ნათელი იყო, რომ რუსული მანეთი დიდხანს ვერ იქნებოდა, დაინგრეოდა საბჭოეთი და მასთან ერთად მისი ფულის ერთეულიც, და დარჩებოდა ის, რომელსაც საყოველთაო ფული ხქვია დღეს მთელს მსოფლიოში დოლარის სახით და შეძლებისდაგვარად მივანიშნებდი, უფრო ამ გზით, ამ კუთხით წარმართულიყო საქმე. გადაუჭარბებლად გეტყვი,

ჩემი გაოცება ის გახლდა, გური, ჯიმა, რომ ბატონი ზვიადისთვის პრობლემისადმი, საფინანსო ეკონომიკური პოლიტიკისადმი ამგვარი მიდგომა უცხო აღმოჩნდა. ესე იგი, მის მრჩეველთა გუნდს, ანუ იმ ხალხს, ვინც მის ირგვლივ ტრიალებდა: მინისტრები, კომიტეტის თავმჯდომარეები, სხვანი და სხვანი, ეტყობა ამ კუთხით... — ჩერდება, ეპითეტს ეძებს და მეც არ დავაყოვნებ:

— ვერ თუ არ წარმოაჩენდნენ საკითხს.

— აგაშენა ღმერთმა. უფრო „ვერ". არავინ მიწყინოს ახლა, ნურავინ მიიღებს პიროვნულ დამცირებად, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას და უმრავლესი მათგანი თავიანთი განათლების დონით, პროფესიონალიზმით ასეთ რაღაცეებზე ვერ იფიქრებდნენ უბრალოდ. არ მინდა მათ ორგულობა დავწამო, ეს უსამართლობა იქნება, მაგრამ ვიტყვი ღიად, მარტივად: მათ ეს ცოდნა, ეს გამოცდილება არ გააჩნდათ. მათ არ ხქონდათ გავლილი ის გზა, რომელსაც სახელმწიფო მოხელე ხქვია: თუ როგორ შეიძლება, კარგი გაგებით, კავშირის ბიუჯეტში ხელის ჩაყოფა და შენი ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება. გაიგე? ამიტომ ჩემი პირველი დასკვნა ის იყო, რომ სწორედ ეს სახელმწიფო მოხელეს გამოცდილება, პრაქტიციზმი აკლდა პრეზიდენტის გუნდს, და გთხოვ, კრიტიკაში არავინ ჩამომართვას.

— მე კი მჯერა, ოთარ, ძმაო, მაგრამ სხვაზე გარანტიას ვერ მოგცემ.

— არც შეიძლებოდა, არც მოეკითხებოდა და არც ევალებოდა ბატონ ზვიადს ეს ცოდნოდა. მე მეტსაც გეტყვი: საერთოდ არ არის ეს პრეზიდენტის ფუნქცია და დღევანდელი თუ ხვალინდელი საქართველოს პრეზიდენტები ნუ ეცდებიან ბიუჯეტის მუხლებში გარკვევას, თორემ აი, იქ იბადება დიახაც დილეტანტიზმის დიდი საშიშროება.

— შენი დამოკიდებულება, ალბათ, სწორია. შეუძლებელია ადამიანი, გნებავთ პრეზიდენტი იყოს იგი, თანაბრად ერკვეოდეს ცხოვრების აურაცხელ წვრილმანში.

— აი, ესაა უბედურება. ახლა, როგორ შეიძლება იცოდეს, რომ ვთქვათ, კლინტონმა თავისი უშველებელი ბიუჯეტის მუხლები?! კლინტონმა უნდა იცოდეს ერთი რამ: რას შვრება დოლარი მსოფლიოში, რა უქნას უმუშევრობას, მოსახლეობა როგორ არის სოციალურად დაცული, ელის თუ არა საშიშროება ქვეყანას ამ კუთხით და ასე შემდეგ, თორემ პენსიას როგორ უნიშნავენ ამერიკაში, რამდენს, ვის და ამისთვის რამდენი დოლარია გამოსაყოფი, რა პრეზიდენტის საქმე ეგ არის?! აი, უბედურების მეხთაცვენაა, როცა პრეზიდენტები ასეთ საკითხებში ერევიან ხოლმე. ხოდა, გავიმეორებ ერთხელაც, მსგავსი მიდგომები დილეტანტური მართვის ნოყიერი ნიადაგია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. გური, ჯიმა, ნურც ამ ნათქვამს ჩამომართმევ ბატონი ზვიად გამსახურდიას კრიტიკად, ან შეეჭვებულ დამოკიდებულებად: რატომ არ იცოდა ეს-თქო. კარგად გამიგე, ეს არ იყო მისი ფუნქცია, მაგრამ აი, შეხედე ახლა დასკვნას?! ამ საუბრიდან ზუსტად სამი დღის მერე მოდის სპეციალური დავალება პრეზიდენტისგან, რომ შეიქმნას საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია.

— გენიალურია. ოპერატიულობას არ იკითხავ?! შენმა სიტყვებმა მრავალი ბურუსი ჩამოაცილეს ჩვენი პრეზიდენტის ოპონენტთა დაჟინებულ მეცადინეობას იმის თაობაზე, რომ ამ პიროვნებისგან ექსცენტრიული, შიზოიდი პოლიტიკოსი გამოძერწონ, რომელიც მრჩეველთა გუნდის ყურმოჭრილი მონაა. სინამდვილეში, გამოდის რომ მას გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები გადაუდგამს საქართველოს ეკონომიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით, ანუ ბიუჯეტის შემავსებელი წყაროების მექანიზმის ჩამოყალიბების საქმეში. მეორედ სად შეხვდი და რანაირ სიტუაციაში? იქნებ მეტი სიზუსტით მოახერხო თავად პრეზიდენტის ნაამბობის აღდგენა. ჩემი არ იყოს, შენც ხომ იშვიათი მეხსიერებით გამოირჩევი?

— ჯერ ეგ საკითხი მომამთავრებინე, მათქმევინე თუ როგორ ელვისებურად წარიმართა საქმე და მერე მაგაზეც მოგიყვები.

— ბატონი ბრძანდები.

— ნუ, ახლა ყველაფერზე დეტალური ჩაწვრილმანება უხურხულიცაა, მე უბრალოდ მიგანიშნებ, რადგანაც ამ შემთხვევაში ჩვენ ისტორიულ, განსკუთრებულ პიროვნებაზე ვლაპარაკობთ და არა იმის თაობაზე თუ ხუფენია რა რეკომენდაციებს და რჩევებს სთავაზობდა ქვეყნის პრეზიდენტს, პირველს თუ გნებავთ დღევანდელს.

მოკლედ, ჩვენი საუბრის მესამე დღის თავზე ხდება ასეთი რამ: მაშინ ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი გახლდათ ბატონი გურამ აბსანძე. დაურეკავს დილით ჩვენთან სამსახურში, ფონდში, რომ ხუფენიამ სასწრაფოდ წარმოადგინოს ანკეტა სამინისტროშიო, ნუ, კადრების აღრიცხვის ფურცელსაც რომ ვეძახით. ვიფიქრე, რადგანაც ჩემი თანამდებობა მთავრობის ნომენკლატურაა, მთავრობის დანიშნული ვარ, ალბათ, რაღაც დოკუმენტია დასადები-მეთქი, როგორც ეს კომუნის-

ტების დროს კეთდებოდა ხოლმე.

შევავსე ეს ანკეტა და გავაგზავნე. სხვათა შორის მე არ წამიღია. ვუთხარი სათანადო პირს, ჩააბარე სამინისტროს სამდივნოს-მეთქი. იქიდან ერთ საათში მოდის ზარი, რომ თქვენ სამ საათზე უნდა იყოთ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზეო.

ამ დროს, ხატი, რჯული, არ ვიცი რა ხდება, რა ვითარებაა.

პრეზიდიუმის წევრები დარბაზში ბრძანდებიან და მეუბნებიან:

პრეზიდენტი სადაც არის უნდა მოვიდეს და აი, ამ კედელთან დადექითო.

ალბათ, იმიტომ რომ პირისპირ არ შევეჩეხო. ეს წუთია და ორი პიროვნების თანხლებით მობრძანდა ბატონი ზვიადიც. შევიდნენ ოთახში. გადმოიხარა აქეთკენ. მე როგორც გითხარი, ვდგავარ კედელთან. არ შეიძლება პრეზიდენტს გადაეღობო, გზა ჩაუკეტო, შეეფეთო ბოლოს და ბოლოს. თვითონ გადმოუხვია, ჩამომართვა ხელი:

როგორ ხარ, ოთარო, აი, ასე მომმართა.

არა მიშავს, ბატონო, ზვიად. თვად როგორ ბრძანდებით-მეთქი.

დიდი მადლობა, ვუძღებო და შევიდა. ორ-სამ წუთში ვიღაცა გამოდის და მეუბნება, შებრძანდითო.

მონუსხულივით ვარ, დამაგნიტებული, რაღაცნაირად გაბრუებული. ინსტინქტურად მივაბიჯებ. ჯერაც ვერ აღვიქვამ დარბაზს. ვხედავ პატარა შემაღლებულ ადგილს, კათედრასაც რომ ვეძახით, საიდანაც აქამდეც ვკითხულობდი ლექციებს შეუბოჭავად, ხელფეხშეხსნილი, ლაღი. ახლა კი ბრინჯივით დავბნეულვარ. მიმანიშნებენ სადაც უნდა დავდგე. პრეზიდენტის სიტყვები დაახლოებით ასეთია:

ჩვენი ბიუჯეტი სწორად რომ შევავსოთ, ყველა რეზერვი რომ იყოს გამოვლენილი, ამისათვის საჭიროა გვქონდეს არა სახსრების მობილიზების ფინანსთა სამინისტროს რაღაც სამმართველო, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფო სამსახური, საგადასახადო სამსახური, რომელიც თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელი იქნება ქვეყანაში არსებული ყველა სახსრების ბიუჯეტში მობილიზებისა და როგორია თქვენი აზრიო.

— „ყველა სახსრებს“ ბატონი ზვიადი არ იტყოდა.

— აკი, აღვნიშნე დაახლოებით ასე თქვა-მეთქი. შენ კრიჭაში რატომ მიდგეხარ, გური, ჯიმა? მე, როგორც ზემოთ ვახსენე, ამის თაობაზე სამი დღის წინ მქონდა საუბარი პრეზიდენტთან და პირდაპირ ამით დავიწყე:

ბატონო, პრეზიდენტო, ჩვენ გვისაუბარია ამის თაობაზე და ახლაც გავიმეორებ, თუ რატომ არის აუცილებელი ქვეყანაში ასეთი სამსახურის შექმნა-მეთქი. მაშინ ამ სამსახურს ფინანსთა სამინისტროში სახელმწიფო შემოსავლების სამმართველო ერქვა. თითოეული გადამხდელი სახელმწიფო საწარმო იყო და ბუნებრივია, ზემოთხსენებული, სამმართველო იმ გადანახადების ჩვეულებრივი აღმრიცხველი გახლდათ, რაც ბიუჯეტში შემოდიოდა პრაქტიკულად და წამოვაყენე ასეთი იდეა:

ამ სამსახურს თუ შევქმნით, მაშინ უნდა გაკეთდეს შემდეგი-მეთქი: იგი არ უნდა იყოს მიბმული მხოლოდ ხელფასზე ანუ ის მეურვე უნდა იყოს იმაზე თუ დამატებით რა შემოსავლებს მოიზიდავს და მისი პროცენტი ინსპექტორს უნდა მიეცეს გასამრჯელოს, ჯილდოს, წახალისების სახით-მეთქი. აი, ასეთია ჩემი წინადადება და მერე იქ გაგრძელდა რაღაც ნორმატივებზე საუბარი, რაც შემდგომ პრაქტიკულადაც განხორციელდა და დღემდე გრძელდება საქართველოსა თუ სხვა ქვეყნებშიც, ჩვენს ბედში რომ ჩაცვენილან. იყო რამდენიმე უფერული შეკითხვა. საქმიანი მხოლოდ ბატონი ვაჟა ადამიას ჩაძიება მომეჩვენა:

როგორი უნდა იყოს ინსპექციის უფროსის ანაზღაურებაო.

მე პასუხი არ დავუყოვნე, ცალსახად ვუპასუხე, რომ აუცილებლად ინსპექციის უფროსიც უნდა ღებულობდეს ჯილდოს და პრემიას ამ დამატებით გამოვლენილი რეზერვებიდან და არც ის უნდა იყოს მარტო ხელფასზე დამოკიდებული-მეთქი, თორემ მოხდება ისე, რომ მის თანამშრომლებს ექნებათ სამჯერ და ოთხჯერ მეტი შემოსავლები ვიდრე თვითონ და აქ მისი ინტერესი, შეიძლება შემდგომ სხვა სფეროში განვითარდეს-მეთქი. აი, ასეთი იყო ჩემი ლოგიკა. ამის მერე მგონი ბატონმა გივი თაქთაქიშვილმა ბრძანა, სხვათა შორის მე ამ პიროვნებას დღემდე დიდ პატივს ვცემ, მიმაჩნია, რომ იგი იყო შესანიშნავი სწავლული ეკონომისტი და ბრწყინვალე პიროვნება, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული და უაღრესად წესიერი კაცი.

— რატომ „იყო“?

— იმიტომ, გური, ჯიმა, რომ ახლა მე, სამწუხაროდ, ბატონ გივისთან კონტაქტები აღარა მაქვს.

მაკლია, როგორც ჩემი ახალგაზრდობის მეგობარი. ხოდა, ბატონი გივის შეკითხვა ეჭვქვეშ აყენებდა ჩემს დებულებას:

მაშინ ინსპექცია ხომ დანარჩენი მოხელეებისგან განსხვავებული იქნებაო.

მე მას ვუთხარი, რომ ინსპექტორი არის მოხელეთა განსაკუთრებული ტიპი, სახე. მას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საგადასახადო პოლიციასაც კი ეძახიან და ყველა ქვეყანაში არის პრივილეგიური სამსახური, ვინაიდან სწორედ ეს სამსახური გახლავთ ბიუჯეტის მკვებავი, საიდანაც ღებულობს მერე დანარჩენი, სხვა სახელმწიფო მოხელენი ხელფასს-მეთქი. ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე იქ რომ არ წავიდეს კორუფცია, მექრთამეობა, რაც მახასიათებელია ჩვენი საზოგადოებისათვის, სამართლიანად მიმაჩნია გავაჩინოთ და დავუშვათ ეს სტიმული-მეთქი. აქვე წმინდა ზნეობრივ, მორალურ მხარესაც ვაწვებოდი, რომ შეიძლება 100 ინსპექტორიდან 20 მაინც გამოდგეს წესიერი და იმ ოცმა მიიღოს დიდი გასამრჯელო, მაღალი ანაზღაურება, რის შედეგად, ვთქვათ, ის ოთხმოცი ნელ-ნელა შევიწროვდება — მეთქი. მოკლედ, დავიქოქე რაღაც განწმენდის, კათარზისის ფენომენზე. დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარი იყო ჩემი აზრით, სრულიად გახსნილად განვაცხადე ქვეყნის მესვეურების წინაშე, რომ თვით ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მორალური უფლება მოთხოვოს თავის ჩინოვნიკს წესიერად მუშაობა, რადგანაც როდესაც მოხელეს აძლევს საარსებო მინიმუმის 10 პროცენტს, მერე რაც გინდ წესიერებისკენ მიუთითო, ის არ იქნება პატიოსანი, უეშმაკო, გულწრფელი-მეთქი.

— დაგიბიჯებია ფეხი მოურჩენელ ბებერაზე.

— აი, ასეთი იყო ჩემი კონცეპტუალური მიდგომა საკითხისადმი. დავასრულე საუბარი და პრეზიდენტმაც ბრძანა ჩემს ზურგს უკან:

მე გთხოვთ თქვენ ჩაუდგეთ სათავეში ამ ინსპექციის ჩამოყალიბებას საქართველოშიო.

ეს იყო ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი, ვინაიდან ოცდათერთმეტ მარტს სწორედ პრეზიდენტის ხელშეწყობით დაიწყო სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბება და 12 აპრილს მე დავინიშნე ამ ფონდის დირექტორად, ასე ვთქვათ, თავისუფალი საქართველოს მთავრობის პირველ სხდომაზე, პირველ ნომრად, რაც ყოველთვის საამაყო გრძნობად დარჩება ჩემში და რაღაც სამ თვეში უცებ პრეზიდენტისგან ასეთი წინადადება! უკვე საუბრის აზარტში ვარ შესული. თავდაპირველი შებოჭილობა გამქრალა, საკუთარი თავი ხელში ამიყვანია, მიბრუნდება ძველებური თავდაჯერებულობა, ტემბრი. კარგად მახსოვს, მთელი სხეულით შემოტრიალებული ვარ პრეზიდენტისკენ. თვალში თვალს ვუსწორებ, აუღელვებლად ვეუბნები:

ბატონო, პრეზიდენტო, მე ამას ვღებულობ როგორც დავალებას, მაგრამ მაქვს თუ არა უფლება გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება-მეთქი.

— მერე, მერე?

— ბრძანეთო. ხოდა, მეც მოვახსენე უშურველად, რომ ბატონო, პრეზიდენტო, ჩემი შინაგანი მოტივაციით, აზროვნების წესით და მიზნებით, რაც მე ეკონომისტს გამაჩნია, ჩემგან ინსპექტორი არ გამოვა-მეთქი. მე შემიძლია თქვენ დაგპირდეთ წლის ბოლომდე ორგანიზაციულად, სამართლებრივად ჩამოვაყალიბო ამ დებულებების სტიმულირების მექანიზმები, ჩამოვაყალიბო ინსპექცია და მერე გთხოვთ, მოძებნოთ სათანადო კანდიდატურა, რომელსაც აღმოაჩნდება ამ სამსახურის უფროსისათვის აუცილებელი უნარები-მეთქი. მე შემიძლია აი, ეს სამუშაო შეგისრულოთ, მერე გთხოვთ-მეთქი, დამაბრუნოთ ისევ ფონდში, რომელიც დამისახავს ჩემი მოღვაწეობის გზად, სადაც რამდენადმე უკეთ მოხდება ჩემი შესაძლებლობების რეალიზაცია-მეთქი. მან ასეთნაირად მოჭრა: იმუშავებთ ორივე თანამდებობაზე და იანვარში, როცა თქვენ თქვენს დანაპირებს შეასრულებთ, მერე ვნახოთო, მოვნახოთო.

— მაინც როგორ თქვა, ვნახოთო თუ მოვნახოთო?

— მგონი ორივე, მაგრამ საუბედუროდ 6 იანვარს ისეთი რამე ხდება, გახსენება ახლაც ტანში მზარავს. მე დილით მივედი ფინანსთა სამინისტროს შენობაში და დამხვდა ქაღალდი, სადაც ხელს აწერდნენ კოლეგიის წევრები...

— ეს რომელი 6 იანვარია?

— 92 წლის.

— კი, მაგრამ რა მიგარბენინებდა?! ფლავს არიგებდნენ? იცი, რატომ გკითხე ზემოთ, როგორ თქვა პრეზიდენტმა, ვნახოთ თუ მოვნახოთო-მეთქი?

— შენ, სახელმწიფო მოხელისა რა გაგეგება! პოლიტიკურ სარჩულებს თავი დაანებე! გამოტყვრა ჩემზე პატრიოტი! თქვი, რას გულისხმობდი?!

— რა ამოსაცნობი ეგ არის. თუ „ვნახოთო“ გეტყოდა, ესე იგი არ ეთმობოდი, შენში დაინახა პროფესიონალი, რანაირ ხალხსაც იგი სანთლით ეძებდა, და სავალალოდ ვერ პოულობდა ჩვენი

აღიარებული დილეტანტიზმის გამო. შენ კი ტექნიკურად გინდოდა თავის დაძვრენა ხიფათებით სავსე, პასუხისმგებლობით დამუხტული, ნიადაგ კონფრონტაციული სიტუციიდან. „მოვნახოთო“ თუ აკონკრეტებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ გაუქარწყლე დებიუტში მოპოვებული მაღალი შეხედულება შენს პიროვნებაზე, არა ხარ მებრძოლი, რევოლუციური საქართველოს ჯარისკაცი, მაგრამ ამხელ, რომ მგონი ორივე წარმოთქვაო.

— ახლა შენი ფსიქოანალიზების თავი არა მაქვს. ჩამოიშორებ ოდისმე ამ ჩადევნებებს? რაზე შევჩერდი? ხო, ქაღალდს ხელს აწერდნენ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის წევრები — თხოვნას — იოსელიანთან, სიგუასთან, კიტოვანთან, რომ ფინანსთა მინისტრად დაენიშნათ ანანიაშვილი და ბუნებრივია, ოთახში შესვლისთანავე შემომ- თავაზეს მეც მომეწერა ხელი, — ოსკარი გააფთრებით ყეფს გარეთ, — და მიუხედავად მამაჩემის შვილობისა, ჩემდა თავად ამაზე ხელისმომწერის დედა-მეთქი, შევიგინე, კუთხეში მივაგდე ის ქაღალდი და პროტესტის ნიშნად უსალმოდ დავტოვე კოლეგები ბელზებელთან წილნაყარ რეზიდენციაში.

ოსკარი ისევ ყეფს და ყეფს. ბუხარს შეშის ახალ ნაჭრებს დავუმატებ. კვლავ ვათუხთუხებთ ყავას. ისმის მამლების კანტი-კუნტი ყივილი. თავსხმა წვიმა მიწყნარებულა და ახლა ტოღორო* წვეთები ტკაპანით ეცემიან მოფილაქნებულ ლაფაროს.

— ოთარ, ძმაო, — ვეუბნები სავარძელს მინებივრებული ძუძუმტეს, — საუბედუროდ მარათონულმა მიტინგობანამ ვერ გაამართლა ჩვენში. ამის თაობაზე ვწერ მე „მეიროხანშიბ“ „სუფევის“ პირველ წიგნში, რომ „მგელი, მგელის“ ძახილმა, მართლაც მოგვივლინა რომაელების რუხი ლუპუსი. ბალტიისპირეთში კი, კონკრეტულად ლიტვაში, „მწვანე ჯიხურებით“ დარაჯობდა ხალხი ეროვნულ პარლამენტს ჩვენი „სადიაცო კარვებისგან“ განსხვავებით; მაგრამ ესეც არაფერია, ამასაც ეშველება ეროვნული მთავრობის უკომპრომისო პოზიციიდან გამომდინარე, რომელიც მან კომუნისტურ კასტას გამოუცხადა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს ნომერ პირველ მოღალატედ ასახელებდნენ საზოგადოდ, როცა თავად იგი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შეფასებისგან თავს იკავებდა. ის ქვებს აგროვებდა ჯერ-ჯერობით, რადგანაც იცოდა, მოვიდოდა მათი განბნევის ჟამიც.

პოლიტიკოსი ხალხში უნდა დადიოდესო, აღნიშნავდა. შენი შეხედულებით მართლაც შინჩაკეტილი გახლდათ პრეზიდენტი გამსახურდია თუ პირიქით, ხალხის ჭეშმარიტი წინამძღოლი? რა თემას შეეხეთ მესამე შეხვედრისას?

— მოდი, ამჯერად მეოთხე შეხვედრაზე ვისაუბროთ, მესამე დროებით შემოვინახოთ. ეს ის პერიოდია, როდესაც დგებოდა საკითხი პრივატიზაციის შესახებ და საკუთრების ფორმებისა და სახეობების სწორუფლებიანობის თაობაზე. ესე იგი უზენაეს საბჭოს ამაზე უნდა ემსჯელა. ჩემი გამოძახება უკვე ბატონი პრეზიდენტის სურვილიდან გამომდინარეობდა. ჩვენი შეხვედრა შედგა მის სამუშაო კაბინეტში და მითხრა:

თქვენი აზრიო.

სხვათა შორის, გური, ჯიმა, ძარღვები ამეშლება ხოლმე, როცა მავანი იტყვის: ბატონი ზვიადი უხეში იყოო, ან რაღაც ქედმაღალი, ამპარტავანიო.

ჭორია ეს ყველაფერი, ცილისწამება. ასეთი რამ, ასეთი დამოკიდებულება პიროვნულად მისგან მე არასდროს მიგრძვნია. პირიქით, ჩემში იყო გარკვეული შეზღუდვა, შებოჭილება, რომელიც აღმზრდელობითი ტრადიციებიდან იკვებებოდა უწინარესად, რომ მე ველაპარაკები ჩემი სამშობლოს პირველ პრეზიდენტს და აქ, თავისთავად, თვითონ ხუფენიასგანაა აღმართული უჩინარი მოწიწების კედლები. სამურზაყანოელები დღეგრძელობისას განა შემთხვევით ვდგებით ფეხზე?! ამას ერთი და ორი თაობა ვერ ამოძირკვავს გენეტიკის უშორესი მემკვიდრეობიდან და მართლაც, მაშინდელ სრულიად საქართველოს ურთიე რთობას განვასახიერებდი პრეზიდენტის წინაშე. რა სიხარული იყო, რა აღტკინება, როგორი კონსოლიდაცია, რანაირი დამოკიდებულება ადამიანებს შორის, ქუჩაში, სამსახურში, შინ ბოლოს და ბოლოს, ოჯახში — აქამდე თითქოსდა უფერულ საგნებთან და მოვლენებთან?!

პრეზიდენტი გრძნობდა ამას და ყოველნაირად ცდილობდა დაძაბულობის მომენტი გაექარწყლებინა, — ოსკარი ისევ ყეფს და ყეფს, — მისი ჟესტი, გამოხედვა, ხმა, ხელ-ფეხს შეგიხსნიდა ათასი უჩინარი ძაფით გაკოჭილს. მე მხოლოდ ეკონომიკაზე ვლაპარაკობდი. სხვა ჩემი სფერო არ ყოფილა, როგორც, ვთქვათ, კორესპონდენტს სწადია გაიგოს ამა თუ იმ მოვლენაზე, საკითხზე ქვეყნის პირველი პირის შეხედულება, რანაირად აფასებს სადღეისო სიტუაციას, როგორი იქნება ხვალინდელი ვითარება სახელმწიფოსთვის და ასე შემდეგ. მე მას სრული გულწრფელობით გავუხსენი ჩემი დამოკიდებულება ფასეულობათა რიგზე, და დღესაც, ამწუთას რომ დამიძახოს ამჟამინდელმა პრე-

ზიდენტმა, ბუნებრივია, იგივეს ვეტყვი, ვინაიდან სახელმწიფო მოხელე ვალდებულია პატიოსნად ემსახუროს თავის თანამდებობას, ვეტყვი:

კომუნისტური საზოგადოების საფუძველი არის საერთო სახელმწიფოებრივი საკუთრება და აი, ამას, როგორც კი მოშლი, საუბარი შეწყდება კომუნიზმის აჩრდილზე, რომელმაც გამალებით მოაშურა ინდუსტრიული ევროპიდან ფეოდალურ და თემურ აზიას.

ჩემი ლოგიკა მაშინ სრულიად მარტივი გახლდათ: ყოველივე ეს რომ მოშალო, ამისათვის საკუთრების ყველა ფორმა უნდა აქციო კანონიერად, თანასწორუფლებიანად. აი, ეს იყო ჩემი ერთ-ერთი თეზისი. მან ეს ზედმიწევნით გაიგო, მაპატიოს მისმა ნათელმა, უხეში ნათქვამი გამომივიდა, დამეთანხმა ყველაფერში სრულებით და მითხრა ცალსახად, რომ ხვალ ჩვენ ამას პარლამენტიდან გავაცხადებთო.

გულისფანცქალით ველოდებოდი დასახელებულ თარიღს და მოხდა საოცრება, უმაღლესი ტრიბუნიდან მეორე დღეს ითქვა ჩემი მოსაზრების სავსებით საწინააღმდეგო, კარდინალურად, დიამეტრალურად განსხვავებული რამ. კერძოდ, ის, რომ დღეს ჩვენ ვართ გარდამავალ პერიოდში და ამიტომ უნდა დომინირებდეს სახელმწიფო საკუთრება და წამოწეულ იქნა თეზისი, რომელიც სხვათაშორის მეცნიერებაში ცნობილია შერწყმის თეორიის სახელით. ეს ეკონომიკური მიმართება ემსახურებოდა კაპიტალიზმისა და სოციალისზმის მორიგების პრობლემას, გამოდიოდა მედიატორული მოსაზრებებით სამოციან წლებში და გარკვეული ნიადაგი ხპოვა მესამე სამყაროში — ჩინეთში. აღნიშნული თეორია მომდინარეობდა ბატონ ბესარიონ გუგუშვილისგან, რომელიც მოგვიანებით მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე გახდა. ხოდა, აი, ეს თეორია იქნა წამოწეული, აბსოლუტურად განსხვავებული იმისა, რაზედაც საკმაო ხანს ვისაუბრე ქვეყნის პრეზიდენტთან სულ რაღაც თორმეტიოდე საათის წინ.

— შენ, ალბათ, სასინჯი ქვა იყავი.

— ღმერთმა უწყის. მართალი გითხრა ეს იყო ენით აღუწერელი ჩემი პირველი შეცბუნება, რადგანაც ბატონ პრეზიდენტს ხუფენიას ლოგიკის საწინააღმდეგოდ არაფერი უთქვამს. პირიქით, წამათამამა, კვერი დაუკრა ჩემს მოსაზრებას დაახლოებით ამნაირი სიტყვებით:

ოთარ, სწორია შენი დამოკიდებულება. კომუნიზმი შეიძლება აშენო მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების ფეტიშით, აშენო ზღაპრებშიო.

მეგონა ეს ყველაფერი მაღალი ტრიბუნიდან გამჟღავნდებოდა სურვილის შესატყვისად, მაგრამ ცივი წყალი გადმომესხა, მაგრად გავწბილდი და ყოველივე დღემდე ვერაფრით ამიხსნია.

— სამხრეთ ოსეთში, იგივე სამაჩაბლოში, საგანგებო მდგომარეობის შემოღებას სრული უზენაესი საბჭო ტაშისცემით შეხვდა. ხომ ხედავ, ძმაო, ცოტათი უკან ვიხევთ დროში. ამბობენ იმის თაობაზეც, რომ აფხაზეთში ხელყოფილი იყო ქართული დეპუტაციის ინტერესები აფსუათა სასარგებლოდო. ამას აპარტეიდულ კანონსაც ეძახიან. მოსახლეობის ჩვიდმეტ პროცენტს ორი ხმით მეტი — 28 მანდატი მივუბოძეთ ორმოცდაექვსი პროცენტი ქართველის სამართლიანი უფლებების შინაურული გათელვების წყალობით. შენეულ შეფასებას ველოდები და აქვე, მესამე შეხვედრის ასპექტები მაინტერესებს განსაკუთრებით, რადგანაც რატომღაც ბოლოსთვის მოიტოვე. რამდენადაც ვიცი, ეს ყველაფერი ოპოზიციის გაქანებულ კაკოფონიაში მოხდა, მთავრობის სახლის მოღალატური შტურმებიდან რამდენიმე თვით ადრე. მაინტერესებს ისიც, თუ რამდენად გამართლებულია ოთხმოცდათერთმეტ-ოთხმოცდათორმეტის მოვლენების „რევოლუციად“ მონათვლა. მე კონტრევოლუციას ვეძახი პუტჩიანელების „ღვაწლს“, მაგრამ შენი მოსაზრება უფრო ფასეულია პროცესებთან მეტი სიახლოვის გამო.

— მესამე შეხვედრა, გური, ჯიმა, ეს უკვე ჩემი სურვილით გახლდათ. ნოემბრის ბოლოა. ორი სექტემბრის ბატალიები ჩავლილია. პროვოკაციის ანკესზე წამოგებულია მთავრობა! დათრგუნვილია ოპოზიციური აზრი ძალადობის ფაქტორით. უკვე მიტინგები იმართება შუა რუსთაველზე პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. მე დავწერე შვიდგვერდიანი წერილი ბატონი ზვიადის სახელზე, სადაც შევეცადე მეჩვენებინა, რომ პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიოში, კანონზომიერებითაა ნაკარნახევი და არ იფარგლება სსრკ-ით. შევეცადე მეჩვენებინა ისიც, რომ საქართველოდან არ იწყება სსრკ-ის დანგრევა, რომ ახლა უმთავრესია ჩვენ შევინარჩუნოთ ქვეყანაში სიწყნარე, სიმშვიდე და დავუცადოთ მოვლენების განვითარებას. თვალსაჩინოებისთვის ასეთი შედარებაც მქონდა მოშველიებული: როდესაც ოკეანე ბობოქრობს და ბობოქრობს დღეს მსოფლიო, პატარა ნაფოტია საქართველო ამ ბობოქარ ოკეანეში, ჩვენი ვალია ვიყოთ ტივტივასავით.

— ცხადია, გულისხმობ ხელისუფლებას და მთავრობის პოზიციას.

— ბუნებრივია, ქვეყანას ზოგადად ყველა ატრიბუტიკით. ძალიან პატარა ვართ, იმდენად მცი-

რერიცხოვანი, ეს პროცესები ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს და ილუზიებს უნდა შევეშ-ვათ-მეთქი. ჩვენი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს არ გავხლიჩოთ ერი პოლიტიკური ნიშნით, შევი-ნარჩუნოთ წონასწორობა და ხალხური ანდაზის კვალობაზე ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინოთ, გარ-კვეულწილად მივყვეთ დინებას-თქვა. ასეთი და ამდაგვარი გახლდათ ჩემი შეხედულება. ახლა მე რეაქციაზედაც გეტყვი. ეს იყო ერთიერთზე შეხვედრა. იმ წერილის ორი ეგზემპლარი არსებობდა, ,,კაპიროვკათი'' ორ ცალად გადაბეჭდილი, მეორე პირი ჩემს სეიფში ინახებოდა, პირველს კი პრეზიდენტი კითხულობდა ლამის ოცდახუთ წუთს, როცა საამისოდ თხუთმეტიც სავსებით საკ-მარისია. ამ დროის მანძილზე ნაწერი უფარავდა სახეს და ფურცლების გამოცვლისას გამოკრთე-ბოდა მხოლოდ მისი გამომეტყველება. ერთხელაც არ გაუღიმია, გაცინება რა მოსატანია, გულის-შემძვრელმა ფიქრმა მოიცვა მისი არსება. არსად წამოცდენია:

ყოჩაღ, ოთარ, რა კაი რაღაც მითხარიო.

ვიგრძენი, რომ ყოველივე მისთვის გარკვეული სიახლე იყო.

— იქნებ შენი პირუთვნელი სითამამე, მწარე სიმართლე ემცხეთა, თორემ მსოფლიო პროცესები ხელისგულზე ედო იმასაც. ჩემი მწერლური ინტერპრეტაცია ცოტათი სხვანაირია. აქ პარალელის გავლება შეიძლება მხოლოდ ქრისტეს ცხოვრების ფინალთან, რომელმაც საკუთარი გოლგოთა, ჯვარცმა საკუთარი ხელითვე შეამზადა. თვით იუდაც კი მიზანმიმართულად განაწყო სამოღალა-ტეო საქმისათვის. აბა, როდის იყო გაიძვერანი, ზნედაცემულნი ასე იოლად სწირავდნენ სიცოცხ-ლეს?

ბატონ ზვიადს ყველაფერი ხქონდა ნაგრძნობი, სიტუაციასაც ჩინებულად ფლობდა, ოთარ, ძმაო, ეზოთერიკი იყო ბოლოს და ბოლოს. წაიკითხე მისი წიგნები და თმა ყალყზე დაგიდგება. დარწმუნებული ვარ მან საგანგებოდ შექმნა უპრეცენდენტო შემთხვევა: ორასი თუ შვიდასი წლით ჭეშმარიტ სახელმწიფოებრიობას მონატრებულ ქართველებს თვალანთლივ დაანახა ლელთღუნი-ასული თავისთავადობის სიდიადე. ყველაფერი სასწორზე შეაგდო ნაზარეველივით. მან ჩინებულად ითამაშა ლაკმუსის როლი, როცა სიკეთეს მიტმასნილ ბოროტებას ნიღაბი ჩამოგლიჯა, განაცალკევა ერთმანეთისგან ნათელი და ბნელი, რათა მის ხალხს მომავალში ნაკლები შეცდომით ევლო...

— ბატონი პრეზიდენტის ქმედებათა მხატვრული ინტერპრეტაცია უამრავი წახნაგისაა უცი-ლობლად, მაგრამ მე ამჯერად კონკრეტული სიტუაციის ახსნას ვცდილობ რიგითი მოხელეს პოზი-ციიდან.

ბატონო, პრეზიდენტო, ბატონო, პრეზიდენტო, მე ეს დიდი ხნის ნაფიქრალი მაქვს-მეთქი, შევაწიე სიტყვა ჩემს წერილს, როცა იგი უხმოდ წამოდგა და დამშვიდობების პოზა მიიღო. მე გთხოვთ, რომ ერთხელ კიდევ წაიკითხოთ-მეთქი. თავაზიანობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე უცხო არ იყო მისთვის.

აუცილებლად წავიკითხავო, თქვა, ხელი ჩამომართვა. სხვათა შორის, მადლობაც გადამიხადა მაგრამ ეს არ იყო ყოველდღიური, რანაირსაც მე ყმაწვლკაცობიდან ვიყავი ჩვეული. ძალიან ახალგაზ-რდა ბიჭი ვღებულობდი, ვიმსახურებდი მადლობებს საკმაოდ დიდი, საბჭოთა თუ სამეურნეო მოხე-ლეებისაგან. მათგან განსხვავებით ეს უკანასკნელი ზედმიწევნით ადამიანური გახლდათ. გათვალის-წინებული იყო ჩემი პირუთვნელი ვიზიტის ყველა წვრილმანი, პროფესიონალიზმიდან დაწყებული პიროვნული სითამამე ქვეყნის პრეზიდენტის წინაშე, თუნდაც პანღურები ყოფილიყო მზად შანდლის ქურდი ფარსმან სპარსისათვის.

— სამეგრელოს სამგზის თუ ხუთგზის დალაშქვრა ,,მხედრიონის'' მიერ, ორხელისუფლებიანობა, აფხაზეთში ომის აგორება გუშინდელი დღეა, ყველას თვალწინმდებარე და ყურისძირას მოგრუხუნე, მაგრამ ცოტა ვინმეს თუ მიუწვდება ხელი ჭეშმარიტი ფაქტებისთვის. ვარაუდის დონეზე გამოთქმული შეხედულებანი, გამოტანილი დასკვნები კი სრულყოფილი ვერ იქნება; ვერსია ერთია და თითო- ოროლასთვისღა ცნობილი სინამდვილე — მეორე.

ჯერ კიდევ ოთხმოცდაათ წელს მეუბნებოდნენ ლიტვაში, რომ ევროპის განთავისუფლებისთვის საქართველოს გარკვეული ხარკი უნდა გაეღო, რომ საბჭოეთის სივრციდან უდანაკარგოდ ბალტიისპირეთიღა გადიოდა, ხოლო საქართველო კვლავაც მის ჩარჩოებში რჩებოდა, თანაც აფ-ხაზეთში ევროპიდან დემონტაჟებული ოფიცრობის დივიზიონი უნდა დაესახელებინათ. ამას დიახაც მოწმობს აფხაზეთის სეპარატისტული დღევანდელი დემოგრაფიული სურათი. იქ განუხრელად მიმდინარეობს ქართველების საცხოვრისებში სამხედროების ჩასახლება, ცხადია, ,,გამარჯვების'' გვირგვინით შემოსილი სეპარატისტების მხარდამხარ. დავსძენდი იმასაც, რომ ამასწინათ ოჩამ-ჩირელ ლტოლვილს გამოვე- საუბრე, რომელიც თხზულებაში გვარის დასახელებას მიკრძალავს. სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს დამგზავრებია საკუთარ ფუძემდე. იქ ვიღაც პოლკოვნიკი დახვედრია ქალიშვილითა და შვილიშვილით. მიუპატიჟებია სტუმრები. როცა ვინაობა შეუტყვია

ექსპატრონის „სახლიკაცს“, გადმოუღია რუქა და მიუთითებია ჩვენი „უგვარო“ დევნილის სახლი, რომელზეც მისი ნომერი ყოფილა მიწერილი. ეს ყოველივე 1988 წლით თარიღდებოდაო. რამდენად რეალურად გეჩვენება საკითხის ასეთი ინტერპრეტაცია?

— რაც შეეხება 6 იანვარს და სამეგრელოს მრავალგზის დალაშქრვას კანონიერი პრეზიდენტის გამოსარჩლების გამო, ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი უშავესი ფურცელია. უფრო მეტიც, შენ ერთ-ერთ რესპოდენტთან მოყვანილი გაქვს დუტუ მეგრელის ცნობილი ლექსის პერიფრაზი: „ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა“. საუბედუროდ, ასეთი რამ ხმამაღლა ისმოდა მაშინ მავანისა და მავანის ბაგეთაგან ჩვენს სამეგრელოში და არა მარტო სამეგრელოში, თბილისშიც კი. ამის მოწმენი ყველანი ვართ. ზოგიერთმა შეიძლება თქვას, რომ ყოველივე ხუმრობა იყოო, მაგრამ ვაი, ასეთ ხუმრობას. მოკლედ, სანამ ყველაფერს მთელი სიგრძე-სიგანით არ გავაცნობიერებთ, მანამდე ჩვენი სნეული ყოფიერების ოპტიმალურ წამალსაც ვერ მოვძებნით, გური, ჯიმა. აი, დარჩელში, სადაც ხუფენიებიც სახლობენ, ერთ პატარა ქუჩაზე ჩვიდმეტი სახლია გადამწვარი.

— ჯერ ერთი პატარა ქუჩაზე კი არა — ცენტრალურზე და მერე ჩვიდმეტი კი არა — ოცდაშვიდი...

— მაცვი ახლა ჯვარს! ციფრი შეიძლება მეშლება, მთავარია — ფაქტი. ჩვენი მართლმასჯულება კი ლამის იქამდე მივიდა, რომ ეს სახლები თითქოს არც დამწვარა. აი, გადავხედოთ პერიოდიკას, სადაც დაფიქსირებულია სასამართლო პროცესიდან რეპორტაჟი.

— სახელმწიფომ მგონი რაღაც თანხები გამოყო იმ სახლების აღდგენა-განახლებისთვის, მაგრამ მიიღეს თუ არა ვერ გეტყვი.

— ახლა ეს, ამ შემთხვევაში, მე ნაკლებად მაინტერესებს. მე მაინტერესებს მთავარი: ვაღიარეთ თუ არა ის, რომ ეს სახლები გადაწვეს იმ ფორმირებებმა, რომლებსაც ვითომ აფხაზეთი უნდა დაეცვათ. აი, ეს არის ჩემთვის უმნიშვნელოვანესი. რაც შეეხება გაღატაკებულ და გაჩანაგებულ საქართველოს, თუ ვერ შეძლო ამ სახლების აღსადგენი თანხების თუნდაც ნაწილობრივი კონპენსაცია, ეს მეორე პრობლემაა, ეს ყველაფერი ჩვენი გაძვალტყავებული ეკონომიკის უმწეობას დავაბრალოთ, თუმცა ჩემთვის მთავარი სულ სხვა რამეა, კონკრეტულად— ვის, რომელს დაეკისრა პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთ უმშვენიერეს სოფელში ვიღაცამ თავისთავს უფლება მისცა ამდგარიყო და ზედიზედ გადაეწვა ათეულობით კარ-მიდამო.

— ამის მიზეზად ასახელებენ კანონიერი ხელისუფლების ქომაგთაგან ჩასაფრებას, გზაზე ჩახდომას აფხაზეთის ომში მიმავლების საწინააღმდეგოდ და თანამებრძოლის დაღუპვას შეტაკებაში..

— ჯიმა, გური, სწორედ ეს არის დიდი უბედურება: ვიღაცა ვიღაცას რაღაცას აწყენინებს და ამის გამო თავს ნებას ვაძლევთ რუსთაველზე ტანკებით გამოვგრუხუნდეთ, დავანგრიოთ საქართველოს დედაქალაქის მთავარი მაგისტრალი. სამეგრელოში ვიღაცამ ვიღაცას რაღაცა აწყენინა და ამიტომაც დავიკაპიწოთ ხელები და მთელი ქუჩა უნდა გადავწვათ, ხოლო როცა დგება პასუხისმგებლობის საკითხი, თავის გამართლების მოტივაცია ყველას აღმოაჩნდება: ამათ იმიტომ გადაწვეს, რომ ტანკი აუფეთქეს, ამხანაგი მოუკლეს, მაგრამ არავინ ასახელებს რატომ ჩაუსაფრდნენ ისინი, რის გამო, რის გულისთვის. მიზეზის მიზეზი ისევ 91-92-ის მოვლენებთან მიგვიყვანს. ასე რომ, ჩვენ სანამ სიმართლეს არ ვიტყვით, საშველი არ იქნება. რა, არ გახსოვს ის ლოზუნგები, როცა ამ ფორმირებათა ლიდერები გაიძახოდნენ:

უნდა გადავუაროთ სამეგრელოს, უნდა აღმოვფხვრათ და ამოვშანთოთ „იმიზმი“, „ამიზმიო“ და ასე შემდეგ. საიდან ამდენი ბოღმა და ზიზღი? ეს ცნობილი ფრაზა რად ღირს: „სამი დღით უნდა მივცე ზუგდიდი ბიჭებსო“.

— გაორებაში ვარდები, ოთარ, ძმაო. აკი, ზემოთ, მომაკვდინებლად მიიჩნევ 91-92-ის მოვლენების პოლიტიკურ შეფასებას, ახალ კონფრონტაციას წამოაგორებს, რევანშიზმს, თეთრს თეთრი თუ დაერქმევა და შავს — შავიო.

— უყურე, როგორი ჩასაფრებულია?! ახლა მე პოზიციას ვაფიქსირებ, სხვაგან — მეთოდოლოგიურად ვუდგები პრობლემას. ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ეს ორი მცნება. 91-92-ის მოვლენების სამთავრობო დონეზე პოლიტიკურ და პიროვნულ შეფასებებს შორის უდიდესი განსხვავებაა. პირველი სამართლებრივი ბერკეტების ამოქმედებას გულისხმობს, მეორე — მორალურისა. ხოლო რაც შეეხება სამეგრელოს, ამეების დავიწყებას ასე ადვილად ნურავინ თხოვს, ნურც იმას — თუ ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, კანონიერ ხელისუფლებას რისთვის ექომაგებოდა. სხვა რამ ვთქვათ, სხვა რამ გავიხსენოთ: გააკეთა კი ყველაფერი, აკეთებს კი ყველაფერს ცენტრალური ხელისუფლება სირცხვილის ოფლი მოიწმინდოს სამეგრელოს წინაშე?

— ნამდვილი სახელმწიფო მოხელე ხარ? როცა „ყველაფერიო“ ამბობ, ესე იგი ცოტა მაინც გაუკეთებია თურმე. სინამდვილეში კი ამ მიმართებით აბსოლუტური უდაბნოეთია. ჩემი არ გეგონოს, პოეტის სიტყვებია: „უძარღვო შუბლი ჯოჯოხეთზე საშინელია“. არა, არ გამოგვდის თანამიმდევრული საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ სცენარი მზად არის, მაინც ქაოსურია ჩვენი სჯა-ბაასი, თუმცა როგორც იტყვიან, შესაკრებთა ადგილის შეცვლით ჯამი არ იცვლება. ამასწინანდელ პუბლიკაციაში „მუმლიმუხასა აფხაზეთისათვის“ (იხ. სუფევა II), შევნიშნავ, რომ დამთავრდა მეორე ეტაპი, გნებავთ რაუნდი, აფხაზურ-ქართულ კონფლიქტს შორის-მეთქი. არძინბა შიშით შეხკანკალებს აფხაზეთიდან რუსეთის „სამშვიდობო“ ჯარების გასვლას. აფხაზურ-ქართულს ვუწოდებთ ომს, რომლის რეალური სუბიექტები საქართველო და რუსეთია, როცა იმპერიის ზეგავლენის სფეროდან გავრბივართ ორსაუკუნოვანი მონები; აბრეშუმის პრეისტორიულ გზას აღვადგენთ, ნავთობსადენს ჩავბღაუჭებივართ გადარჩენის, სამომავლო ფუნქციის ერთადერთ გარანტად, თუმცა ჩრდილოური ეკონომიკა კვლავაც მოედინება ჩვენს ძარღვებში ცხინვალიდან კონტრაბანდის სახით. ოთარ, ძმაო, აქ მე შედარებით ვრცელი ვიქნები. ბოლოს და ბოლოს ჩემეული პოზიციაც წაგადგება საკომენტაროდ, როგორც ხალხის გულისნადებისა.

სანამ რუსეთს განველტვით, ისინი ცდილობენ აფხაზეთი ჩამოგვაჭრან და ამ ფაქტორით გამოჭერილად გვიყოლიონ თავიანთი წინადადებებისთვის მუხლის მოდრეკვამდე, მაგრამ დასავლური ორიენტაციის პირობებშიც რომ ქვეყანა სრული კატასტროფის წინაშეა? სავალუტო ფონდის თუ სხვათა რეკომენდაციების კვალობაზე ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი დღითი დღე რომ ეცემა? არ იწარმოება პროდუქცია. არ ისახება პერსპექტივები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისკენ. მხოლოდ მომხმარებლურ ფსიქიკას ვნერგავთ, სადაც საქართველო საშვილიშვილოდ სხვის ბაზარს მიჯაჭვა ელის. ესეც რუსული მოდელის ნაირსახეობაა. მაშინ ნაწილობრივ მაინც ვმონაწილეობდით პროდუქციის შექმნაში, მაგრამ დამოუკიდებლად არ შეგვეძლო, ვთქვათ, სიტყვისთვის, და თვითმფრინავის თუ მანქანის წარმოება. გადანასკვული ვიყავით საბჭოეთის უკიდეგანო სივრცეს ათასი ეკონომიკური ძაფით: ჭანჭიკი ვლადივოსტოკიდან მოდიოდა, ქანჩი— ასტრახანიდან, საბურავი — კურსკიდან და ლილვი — ურალიდან. ამჟამად, ეს ყველაფერი მზამზარეულად, გაერთიანებულად, საბოლოო სახით მოედინება ამერიკიდან, ევროპიდან, უმეტესწილად ჩაწოლილი, გაუსაღებელი, ბაზრის უქონელი საქონელი და ჩვენი მოსახლეობა შეუსვენებელი ცოხნისთვისაა გზადალოცვილი.

მე კი დროშასავით ვაფრიალებდი და ვაფრიალებ იულიუს კეისრის საქვეყნოდ ცნობილ Aut Gaesar, aut nihil-ის პერიფრაზს:

ან საქართველო, ან — არაფერი-მეთქი.

ყოველ შემთხვევისათვის ამნაირი პოზიციის ხელისუფლებას ვისურვებდი დღეს თუ არ გვყავს, ახლო მომავალში მაინც.

შესაძლოა ქვეყნის პრეზიდენტთან უამრავი საკამათო გვქონდეს წვრილმან თუ მსხვილმან საკითხებში, მაგრამ რასაც მოვლენებთან გლობალური მიდგომები ხქვია, აქ აზრთა თანხვდომა დიახაც გვმართებს ოპოზიციას, პოზიციას თუ ნეიტრალებს, ანუ ნორმალური ქართველისთვის უალტერნატივოდ უნდა აღიქმებოდეს აბრეშუმის ისტორიული გზის, ნავთობსადენის მაგისტრალის გავლით ჩვენი სამშობლოსთვის საერთაშორისო ფუნქციის შეძენის შანსი და აქედან გამომდინარე, არათუ საქართველოსთვის, სრულიად კავკასიის ხალხთა ჭეშმარიტი თავისუფლების დამკვიდრების შესაძლებლობა.

რახან საუბრის სადავეები ხელში ჩამიგდია, კვლავ ახლო წარსულს მივუბრუნდები: სოციალისტური გარანტიებით გაზულუქებულმა ჩვენმა საზოგადოებამ პირდაპირ ეტნაში ისკუპა. არის ასეთი ვულკანი იტალიაში. ისკუპა კი არა, გადაახტუნეს იმ გავარვარებულ კრატერში, რომელ ურთიერთობასაც ზოგჯერ საბაზროსაც ვუწოდებთ ხატოვნად.

მოვშალეთ ჩვენი ტრადიციული განათლების, ჯანდაცვის გარანტიები და მოსახლეობა ტიტლიკანა, უმწეო შევატოვეთ ხელში მონსტრს — აქამდე ჩვენთვის სავსებით უცნობ საბაზრო ურთიერთობის წეს-თამაშს. ასეთ სიტუაციაში, ის ასეული ქართველი მილიონრისა, ცა ქუდად რომ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, უწინარესად ქვეყნის პრეზიდენტის, ბატონ ედუარდის ხელდასხმულია და მაოცებს პირდაპირ — თავიანთ აღმზევებელს მხარს რომ არ უბამენ. ნუთუ მათთვის არ არის გაცნობიერებული, რომ საქართველოს სადღეისო ორიენტირს აცდენის შემთხვევაში, (ნავთობსადენის მშენებლობის ჩაშლას და საერთაშორისო ფუნქციის მოპოვების დაკარგვას ვგულისხმობ,) კვლავ ჩრდილოეთის ზეგავლენის სფეროში აღმოვჩნდებით და წყალში ჩაეყრებათ მეტწილად საეჭვო რეპუტაციით მოპოვებული მილიონები?!

მაშ, რისთვის იგვიანებს თანადგომა? ორმილიარდნახევარი დოლარის ინვესტიციის საკმაოდ სოლიდური ნაწილი ხომ ფაქტობრივად მათ ჯიბეში ჩაჩხრიალებულა? იქიდან ხალხს ხომ მეოთხედითაც არ უსარგებლია? საზოგადოების საშვილიშვილო ვალით მილიონებს ატრიალებენ და საკუთარ ერს სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევენ.

ოთარ, ძმაო, მე გულისყურით ვაკვირდები უმაღლესი ეშელონის ოფიციალურ თათბირებს ტელევიზორის ეკრანიდან. მამულის მემატიანეს სხვანაირად არ ძალმიძს და იცი რა მაკვირვებს ყველაზე მეტად? სამშობლოსთვის გულანთებულ ადამიანებს ნაკლებად ვხედავ იმ დარბაზში. ფულის შოვნის ციებ-ცხელებამ, როგორც ჩანს, ძარღვებიდან პატროფილური სულისკვეთება ამოგვწოვა ვამპირული თვისებით. ქვეყნის პრეზიდენტი დასაღუპავად განწირული ხომალდის კაპიტანივით გადასცემს რადიოგრამას ოთხივ კუთხით: „SOS"-ო! „SOS"-ო — გახყვირის ხალხიც, მაგრამ შემოჯარული სახეები გამოფიტულია, გვადი ბიგვასავით ხელის ჩამორთმევისას ზოგს ორი თითი მოღუნვია, ზოგს — სამი და ზოგსაც — ხუთივე. ფულის სახსენებელმა მოსრა მათი პიროვნული ღირსებანი.

ვიმეორებ, არ იქნება ნავთობსადენი? არ იქნება საქართველოს რეალური თავისუფლება გარკვეული პერიოდის მანძილზე. ეს კი ნიშნავს ჩვენ ნებაყოფლობით დავუბრუნდეთ პროორუსულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეს. ხოდა, უკვე საუბარი იქნება არა გადამალული თანხების გამოაშკარავებაზე ბიუჯეტის სასარგებლოდ, არამედ იმაზე, თუ „ახალმა ქართველებმა" თავი როგორ დაიძვრინონ ყულფისგან, ვინაიდან მსგავს სიტუაციაში ჩვენი პარლამენტის ერთ-ერთი მონაპოვარი — ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის გაუქმება — წარსულს ჩაბარდება, კვალინდებურად ავანსცენაზე გამოვა ეშაფოტი, საჯალათო კუნძი-ქოცო-საქონდაქრე და ნაჯახი.

— გური, ჯიმა, ვეჭვობ ქრისტიანი იყო. საიდან მივუდგე ახლა ამ ოკეანეს? მაინტერესებს რა გიწერია იმ დიპლომში, ჟურნალისტის კვალიფიკაცია, ეკონომისტის თუ ფილოსოფოსისა? ილაპარაკე შენ და დაგიქნევ თავს!

უმჯობესია ისევ სავალუტო ფონდიდან დავიწყო, სამომხმარებლო ქვეყნად ხომ არ გადავიქცევითო, რომ ამბობ. ესეც ზღვა თემაა თავისთავად, ძალიან დიდი თემა, მაგრამ ერთ რამეს კი გეტყვი: სამწუხაროდ, საქართველოში ჩემი აზრით დღესაც არ არის ერთიანი ეკონომიკური ბირთვი, რომელსაც ხელეწიფება შეიმუშაოს და მერე თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყანაში თავისი ეკონომიკური პოლიტიკა განახორციელოს. შორს რომ არ წავიდე, ამისი კლასიკური მაგალითი 1999 წლის ბიუჯეტია. შეიძლება ყოველღამე ბიუჯეტი შეიცვალოს?

— ჩვენთან ყველაფერი შეიძლება.

— სავალალოდ. ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას მყარი, თუნდაც რაღაცნაირად მდგრადი ეკონომიკური პოლიტიკა არ გააჩნია. შეიძლება პარლამენტის ტრიბუნიდან განვაცხადოთ:

იცით, ამ ციფრს ვერ შევცვლით, უნდა შევუთანხმოთ სავალუტო ფონდს, მერე კიდევ ვიღაცას და ბოლოს საქართველოს პრეზიდენტსო.

სამთავრობო ლოჟაში ვიჯექი გუშინწინ და შემრცხვა პირდაპირ, როდესაც ქალბატონი ლანა ღოღობერიძე ხუთას ათასი ლარის სუფსიდიას ითხოვდა, ახლახან საქვეყნოდ ცნობილი, ამჟამად სრულიად გაჩანაგებული ქართული კინემატოგრაფიის ასაღორძინებლად და ამის სათათბიროდ სამსაათიანი შესვენება გამოვაცხადეთ.

— არ მოგვცა სავალუტო ფონდმა შეპირებული 60 მილიონი დოლარი, მაგრამ არ დავხოცილვართ. ჩვენ უკვე გამოვიმუშავეთ შიმშილისგან თავდაცვის ქართული იმუნიტეტი. ამ რვა წლის მანძილზე მარათონულმა მარხვებმა გაგვაკაჟა. ამიხსენი ერთი თუ ძმა ხარ, მაინც რას ნიშნავს მათი დაფინანსება ჩვენი ეკონომიკისათვის?

— ბევრს, ძალიან ბევრს, გური, ჯიმა.

— მაგრამ არა ყველაფერს.

— ხო, ცხადია, თუმცა მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის დახმარება რომ არა ბიუჯეტის შევსების თვალსაზრისით, ჩვენ შეიძლება აქამდე ძალიან გაგვჭირვებოდა თავის მოტანა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ შეგვეძლო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის თუ ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის გადაწყვეტილების თუ რეკომენდაციის აპელირება.

— ლამაზი თვალებისთვის, ბუნებრივია, დღეს ფულს არავინ იძლევა. რა პრინციპი, რა ინტერესი, რა ლაიტმოტივი ეფუძვნება საქართველოსთვის გაწეულ ფინანსურ დახმარებებს?

— ახლა, ჩემგან, როგორი უხერხულიც უნდა იყოს, მაინც უნდა გითხრა, სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის თუ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის ასეთი დახმარებები საქართველოს, რუსეთის თუ სხვათა მიმართ ემსახურება ერთ კონკრეტულ მიზანს: მსოფლიოს ახალ გადანაწილე-

ბას.

— ჩვენში მსჯელობაა იმის თაობაზე, რომ თითქოს ფინანსურ კრიზისში ვიმყოფებით, სხვანი ეკონომიკურ კრიზისს ასახელებენ...

— ფინანსური კრიზისი წარმოუდგენელია ცარიელ ნიადაგზე წარმოიშვას. ხელისუფლებას შეიძლება გაექცეს ინფლაციის ტემპი, შეიძლება ვერ გასცეს ხელფასი და პენსია, დეფიციტი წარმოიშვას ბიუჯეტში, მაგრამ ეს გაცილებით ხანმოკლეა იმასთან შედარებით, რაც საქართველოში მიმდინარეობს. ამიტომაც გულუბრყვილობაა და თავის მოტყუება როყიო განცხადებანი, თითქოს საქართველოში წარმოშობილი ფინანსური დეფიციტი, ბიუჯეტის დეფიციტი, მხოლოდ საბაჟო და საგადასახადო სამსახურების ბრალია. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ გვაქვს სერიოზული შეცდომები ეკონომიკურ პოლიტიკაში მთლიანად.

— უფრო კონკრეტულად...

— უფრო კონკრეტულად, გური, ჯიმა, ვერ მოვძებნეთ მექანიზმი ქართული მეწარმეობის განვითარებისთვის, ჩვენი ბაზრის დაცვისათვის და ქვეყნის შიგნით კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად. ლუდის მაგალითიც რომ ავიღოთ, მიუხედავად ჩემი გარკვეული სიმპათიებისა მელუდეებთან, მაინც მონოპოლიზმამდე მივედით.

— ლიტრი ლუდი ლარნახევარი გავხადეთ, როცა თავანკარა „რქაწითელს“ სამოც თეთრად ყიდის კახელი მევენახე. ამას წინათ, მგონი ქართველ მეწარმეთა კავშირი ხქვია, ჯუღელიც, თოფაძეც თავიანთ თანამზრახველებთან ერთად მწერალთა კავშირში შეხვდნენ საქვეყნოდ აღიარებულ ხელოვან ხალხს და იქ იყო საუბარი თანადგომაზე, რომ განუხრელი დაცვა სჭირდება შიდა მეწარმეობას. როგორც ჩანს, მათი დასკვნები მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა.

— ქართველ მეწარმეებს ძალიან ბევრი ყურადსაღები დასკვნა აქვთ გაკეთებული, მაგრამ არის ერთი „მაგრამ“... ერთის მხარივ მისასალმებელია უცხოური ფალსიფიცირებული ლუდის ქართული ბაზრიდან განდევნა, მაგრამ არც მეორე უკიდურესობაა სახარბიელო, როცა იგივე ბაზარზე ვამკვიდრებთ მონოპოლიურ ლუდს. ჩემი სტილი არ არის ვინმეს კრიჭაში ჩადგომა, მთავარი პროცესია, ზოგადი და არა — გვარები, კონკრეტული. მონოპოლიზაციასთან მიმართებაში ვაკეთებ ასეთ შეფასებას, თორემ ბატონ გოგი თოფაძესთან საპოლემიკო რა მაქვს. მე ხომ დაბეჯითებით ვიცი, რომ აქ თოფაძე არაფერ შუაშია, ყოველივე ქვეყანაში დამკვიდრებული დასაგმობი მექანიზმის მიზეზითაა. უარესს გეტყვი: ჯანდაბაა, აბა, სხვა რა უნდა დაერქვას სიტუაციას, როცა თურქეთიდან კონტეინერებით შემოვა კარტოფილი და იმავე კონტეინერებით ადგილობრივი წარმოების კარტოფილსვე გაიტანენ უკან?!

— რა და თვალთმაქცობა, ოთარ, ძმაო, მოღორება ჩვენებურად, გნებავს ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობასთან დაკავშირებული ქმედება. ეკოლოგიურად სუფთა ჩვენი სასოფლო პროდუქტის სანაცვლოდ გვაჩეჩებენ პესტიციდებით გაჯერებულს, ხერბიციდებით გაჭყპილს. ნუთუ სხვაობას ვერ ამჩნევ?

— ცამდე მართალს ამბობ, მაგრამ იქ არის კიდევ სუფთა ბიზნესთან დაკავშირებული სხვა ნიუანსებიც. ჩვენთან გამომუშავებული ელექტროენერგია არ საღდება, უცხოეთში ვყიდულობთ მხოლოდ იმისთვის, რომ იქ გარიგების, კერძო ინტერესების სტიმულირების მეტი შანსია, მარტივად რომ ვთქვათ ქრთამის აღებისა. გქონდეს ქვეყანაში უნიკალური მეხილეობა, გქონდეს უამრავი მიკროქარხანა და უზარმაზარი მოცულობით ცეცხლწაკიდებული ფასების წვენები საზღვარგარეთიდან შემოგქონდეს, რა ეკონომიკური პოლიტიკაა ნეტავ?

ან შეიძლება ქვეყნის ბიუჯეტი შედგეს იმგვარად, რომ ეკონომიკის სამინისტროს გაბუქებული ინდიკატრული გეგმით, გარეკილ-გამორეკილი ციფრებით, ბრმა, უსინათლო მეგზურივით იხელმძღვანელოს ფინანსთა სამინისტრომ, შეაკოწიწოს ბიუჯეტი, მერე ამ ბიუჯეტის შესრულება დაევალოს საგადასახადო და საბაჟო სამსახურებს და ცხადია როცა ჩავარდნისთვის ჩანასახშივე განწირული, ველარ შესრულდება, ყველამ ურცხვად იმართლოს თავი:

ეკონომიკის სამინისტრომ: მე რა, პროგნოზი გავაკეთეო;

საგადასახადო და საბაჟომ იძახონ: ჩვენ რა, არ არის ბატონებო, ეს წყეული შემოსავალი თქვენი პროგნოზითა და გაკეთებული ციფრითო, და აქვე გარკვეული გამართლება მოუძებნოს საკუთარ ინტერესებს ამღვრეულ წყალში. ეს არის ბლოკი?! ეს არის ეკონომიკური გუნდი?! აი, რაზე მტკივა გული.

— შენს მიერ ოკეანედ მონათლულ კითხვაში მივანიშნებდი რა მოტივაციით ვასტიმულებთ საქართველოში სამომხმარებლო ფსიქოლოგიის დანერგვას. ჩემი შეხედულებით, ამისი ქვაკუთხედია მსოფლიოში არსებული ჭარბი პროდუქცია, რომელიც საქართველოში კონტრაბანდის სახით

შემოდის განუბაჟებლად.

— მოდი, ჯერ ეს ტერმინი დავაზუსტოთ. რას ხქვია „სამომხმარებლო ქვეყნად გადაქცევა?“ ტერმინი „სამომხმარებლო“ ორბუნებოვანია. ქვეყანამ შეიძლება საკუთარიც მოიხმაროს და სხვისიც.

— მე სხვის პროდუქცია-საქონელზე დამოკიდებულებას ვგულისხმობ ადგილობრივის იგნორირების ხარჯზე.

— გასაგებია. ამას ყველა ქვეყანაში შიდა ბაზრის დაცვა ხქვია.

— მგონი, შენგან მსმენია: თურმე როდესაც საფრანგეთში კაცი ჩაბრძანდება, გნებავთ ტურისტად, გნებავთ — საქმიანი ვიზიტით, ამას მნიშვნელობა არა აქვს, რესტორანში ორი ბოთლი ღვინის შეტანის უფლება აქვს, მაგრამ უკვე მესამე ბოთლზე 50 ფრანკია გადასახდელი, საქართველოდან ჩატანილია იგი თუ იქვე, მაღაზიაში შეძენილი.

— რა კარგი მაგალითი მომაშველე. აი, რას ნიშნავს შიდა ბაზრის დაცვა, ეკონომიკის პატრიოტული პოლიტიკა!

22 .29.

— „ოკეანე კითხვის ზვირთებს“ გზადაგზა მივუბრუნდებით, ახლა კი წლების წინანდელი ჩვენი საუბარი გამახსენდა უნებლიეთ: ბატონ ზვიად გამსახურდიასი არ იყოს, ბატონ ედუარდსაც მგონი ოთხგზის შეხვედრიხარ. ამ მხრივ გაწონსაწორებულ მდგომარეობაში იმყოფები, ცხადია, რაოდენობრივი პარამეტრებით, თორემ თვისებრივი სხვადასხვაობა უსათუოდ იქნება, უკეთ რომელიმესადმი შენეული, პიროვნული, მეტობით ან ნაკლებობით თანადგომა. თუმცა სანამ ამ ორი ანტიპოდი ხელწერის პოლიტიკოსს შორის სიმპათია-ანტიპათიის ზღვრები დაგვიდგენია, იქნებ განმარტო, სად შეხვდი პირველად ბატონ ედუარდს, ეროვნულ მოძრაობამდე თუ მერმე?

— ჩვენ ხომ შევთანხმდით, ეროვნული მოძრაობა უწყვეტად იყო-თქო? მდინარის შუაწელს და შესართავს სათავე კვებავს, მათი ერთმანეთისგან დაშორება აბსურდია, შეუძლებელი. რაც შეეხება ჩვენს შეხვედრას, ეს იყო 1981 წელს. იმ დროს ბატონი ედუარდი ცკ-ას პირველი მდივანი გახლდათ, მე კი — სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი. მე მაშინ ვიყავი „საქქვანახშირის“ მთავარი ინჟინრის, ბატონ ვაჟა ვეკუას დიპლომის ხელმძღვანელი და შევასრულეთ კიდეც ერთობლივად თემა: „საქნახშირის“ ეფექტიანობის კომპელექსური მართვის სისტემის შესახებ“, — იცინის, — ალბათ, აბრადაკაბრა შენებურად, მაგრამ წარმოიდგინე უმაღლესი შეფასება დავიმსახურეთ ბატონმა ვაჟამ და მეც, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელმა. როცა ჩვენს ინსტიტუტს, უფრო კონკრეტულად კი ჩვენს კათედრას პროფესორ ნუგზარ სანთელაძის ხელმძღვანელობით, ბატონი ედუარდი ეწვია. მას სათანადოდ წარუდგინეს სრულიად ახალგაზრდა ხელმძღვანელის პერსონა ჩემი სახით და სადიპლომო ნაშრომი ცხრილებით, დიაგრამებით, თვალსაჩინოებით. დამიჯერებ, ნაშრომი მართლაც მაშინდელი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის დისერტაციის მოთხოვნებს, — იცინის, — აკმაყოფილებდა, და მარტივად რომ ვქთვათ, გაუკვირდა ბატონ ედუარდს, რომ ლამის ლაწირაკი ასეთი მაღალი რანგის სამეურნეო მუშაკს ვხელმძღვანელობდი. ხკითხა კიდეც ბატონ ვაჟას:

თქვენ დაგეხმარათ ეგ, — თითი მომაშვირა, — ნაშრომის შემუშავებაშიო. მან კი გულღიად უპასუხა:

ედუარდ ამბროსოვიჩ, მე ინჟინერი კაცი ვარ. აქ რაც წერია, ამის ბაიბურში არა ვარ. მე მას მოვუყვი, რაც ხდება ჩვენს სისტემაში და მერე თვითონ მოაბა თავი ყველაფერსო. კარგად მახსოვს, სწორედ მაშინ ბრძანა ბატონმა ედუარდმა:

იქნებ ეს ნაშრომი ცალკე ბოშურად გამოგვეცა, რათა სხვა სამეურნეო ხელმძღვანელებმაც მიბაძონო.

აი, ახლა, დღევანდელი გადასახედიდან, ჩემთვის ნიშანდობლივი სულ სხვა გარემოებაა: პოლიტიკოსის თვალით დანახული მეცნიერისა და მეწარმის სინთეზი დღევანდელი ტერმინოლოგიით, მათი თანამშრომლობის აუცილებელი პერსპექტივა.

პოლიტიკოსმა შესანიშნავად დაინახა ის, რომ არსებობს ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც გარკვეულწილად მოწყვეტილია პრაქტიკას და არსებობს სამეურნეო პრაქტიკა, რომელიც აგრეთვე ჩამოშორებულია მეცნიერებას.

— ბატონ ედუარდს მახვილი თვალი რომ აქვს, ამაში ეჭვის შეტანა უმეცრებაა. თითქოს არც გიყურებს, მაგრამ ფეხის ფრჩხილებამდე გატანას მისი გამჭოლი მზერა. ერთხელ დაგაფიქსირებს

და მერმე მოხელეთებულს ისე გამოგშიგნავს, ისე დაგარენტგენებს, დაგასხივებს, წრიალი შეგიჩნდება. მქონია ამისთანა შემხთვევა, პარლამენტის სხდომას ვესწრებოდი პრესის ლოჟაში მეგობარ მწერალთან, ზაურ კალანდიასთან ერთად. მხოლოდ წამით გამისწორა თვალი, მთელი არსებით წამოვიდა ჩემამდე, შემოაღწია ჩემში ელექტრონისმაგვარი ძაბვით და ასევე უკუდგა ზღვის ტალღასავით, უკუდგა გარეგნულად, სინამდვილეში კი გვარიან ხანს დარჩა ჩემში, და მჯერა, იმ მეყსეულ განჩხრეკვაში უცებ აღმადგინა ჭურიაში გარდახდილი რეალობებით თუ სხვა ეფემერული კონტაქტიდან.

— დიახ, მისი გამორჩეული ალღოიანობა ჩემთვის გასაგებია დღევანდელი თვალსაწიერიდან. დავაკვირდეთ მაღალი რანგის ნებისმიერ პოლიტიკურ მოღვაწეს, გნებავთ მთავრობის ნებისმიერ წევრს, მსგავსი უნარით ვერავინ დაიკვეხნის. თვრამეტი წლის წინ კი არა დღესაც ვერ ამჩნევენ ისინი ამ კავშირის აუცილებლობას.

მოვიშველიებ მარტივ მაგალითს, საქართველოს მეწარმეთაგან განათლების, ცოდნის მისაღებად განა ვინმე გაიღებს გახვრეტილ თეთრსაც კი? სავალალოდ არავინ. ის რაც 81 წელს პარტიულმა ხელმძღვანელმა მიანიშნა, აი, იმ ელემენტარულ, უბრალო საუბარში, ამდენი წლის მერე, მთელი თაობის პერიოდი რომ გახლავთ, დღესაც არ არის აბსოლუტური უმეტესობისთვის თვალსაჩინო და არც ამისი განცხადების მეშინია, რომ ეს სტილია ბატონი ედუარდის მოღვაწეობისა, მისი საქმიანობისა, იმ თვალსაზრისითაც, რომ აი, ასეთი მარტივი მიდგომებით შეუძლია ძალიან შორს მიმავალი ამოცანების დასახვა და მინიშნება.

— ბატონი ედუარდის გამბედაობის ამბავი მის ალღოიანობაზე უფროა ცნობილი, მაგრამ მიმაჩნია, ერთს მეორე განაპირობებს და პირიქით. საჯაროდ მოიშველიებენ 78-ის 14 აპრილს, კონფლიქტს სტადიონზე ფეხბურთის მატჩის დროს, აფხაზეთში დაფორაჯებული ფარაჯით წარბშეუხრელ გამგზავრებას თუ აზრიანობის არდაკარგვას ტერაქტების სერიალისას: აფეთქებული მანქანის ფანჯრიდან თვითონ გამობობღდება და მგონი მედპუნქტამდეც დაუხმარებლად მივა.

ნათქვამია, მამაცებს ბედი სწყალობთო. ჩვენ არ ვატოლებთ ვინ უფრო ჩაუქია, ბუნკერში, საკუთარი „მოყვასისგან" გამომწყდეული პრეზიდენტი გამსახურდია, რომელსაც „თავისიანები" უშენდნენ ზარბაზანს თუ მოავღანებული რუსების ტყვიების წვიმაში სანგარ-სანგარ მოხეტიალე სახელმწიფო საბჭოს მეთაური მეომართა სულისკვეთების აღსაზევებლად; მაგრამ მაინტერესებს, რა თემას შეეხეთ მეორე საუბრისას და აქვე, რამდენად გამართლებულია მშვიდობიანი მოსახლეობის თანდასწრებით საომარი მოქმედების გამართვა აფხაზეთში?

ამბობენ იმასაც, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა წინასწარ განზრახული, ხელებზე განგებ დადებული ხუნდი იყო ჩვენი ვაჟკაცებისთვის, ომის წაგების მიზნითო, ვინაიდან, სხვა შემთხვევაში, ქართველების წარმატებას წინ ვერაფერი დაუდგებოდაო და ევროპიდან, შვიდთა შეთანხმების საფუძველზე დემობილიზებული ოფიცრების დაბინავებას, საშველი არ დაადგებოდაო, კოვზი ნაცარში ჩაუვარდებოდათ გარიგების მონაწილე მხარეებს და აქ ანგარიშსწორებაც არ დააყოვნებდაო.

— მის ალღოიანობაზე გეტყვით კიდევ. ეს უკვე შედარებით ახლო პერიოდია, როდესაც ბატონი ედუარდი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, და საბჭოსთან ერთად ისმენს ამა თუ იმ უწყების ანგარიშს. მას წყვეტა ხქონდა, 5-6 წლის განმავლობაში არ იყო საქართველოში და ცხადია, ამ პერიოდში ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა. ერთ-ერთი ასეთი პირველი ანგარიშის გაკეთება მომიწია მე, როგორც სახელმწიფო ფონდის გენერალურ დირექტორს. ახლა წარმოიდგინე, ვინ ზის ამ დროს აუდიტორიაში? მე პიროვნულად არავის შეურაცხვყოფ, მაგრამ ეს არის სამოქალაქო ომგადატანილი, ასე ვთქავთ...

— საკუთარ ძმათა სისხლზე დაგეშილი, — შევაწევ სიტყვას წამიერად შეყოვნებულს და ისიც შეუფერხებლად გააგრძელებს:

— საზოგადოება. მისი დიდი ნაწილი კრიმინალურია. ამ დროს მე ვხვდები, რომ გავხსნა მექანიზმი ფონდისა, რომელიც არის უშველებელი საფინანსო-საბანკო სისტემა და გააჩნია დიდი პერსპექტივა, როგორც სადაზღვევო სისტემას — გარკვეული ფინანსების პატრონს, ვაი, შენს ოთარ ხუფენიას ხვალ რაც მოუვა! ამიტომ ვცდილობ ჩემს ანგარიშში საკითხი წარმოვადგინო მხოლოდ მოდელის დონეზე, დარწმუნებული იმაში, რომ ამ დარბაზში ორი-სამი კაცი შეიძლება მიხვდეს. ბუნებრივია, ყველაფერი გათვლილია ბატონ ედუარდზე, თუ როგორ იწყება, ვთქვათ, პროფკავშირებიდან სოცდაზღვევის სახსრების გამოყოფა და რას ნიშნავს მისი სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა. ან რანაირად შეიძლება აქ რეზერვის გაკეთება, რომელიც მიზანმიმართულად მოხმარდება მერე ფარულ სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას. ყველაფერ ამაზე ვლაპარაკობ მინიშნე-

ბით, რათა პროფესიონალი მივახვედრო: საქართველოში მართლაც კარგი რაღაცაა დაწყებული და ამას მხარდაჭერა სჭირდება. სადღაც ხუთ წუთში ვამთავრებ ჩემს ინფორმაციას. ნუ, შეკითხვები არის ზოგადი, უაზრო, იმიტომ რომ თვითონ აუდიტორიაა ასეთი და ამისთანა სიტუაციაში უცებ თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი მეკითხება:

ბატონო, ოთარ, თუ შეიძლება დაასახელეთ თქვენი ფონდის შევსების წყაროები და ამ წყაროების მიხედვით რა თანხაზეა საუბარიო.

ვაი, შენს ოთარს... ბუნებრივია, ვაკეთებ კომს. რასკვირველია, შველა მინდა, ნამდვილად მინდა შველა, რომ ოსტატურად ავარიდო თავი ამ კითხვას, თუმცა ისიც ხომ გასათვალისწინებელია თუ ვისგან მოდის იგი — ჩემთვის და ყველასგან ფრიად საპატივცემლო კაცისგან, ბატონი ჭაბუასგან ბოლოს და ბოლოს. ეს წუთია და ფსიქოლოგიურ დაძაბულობაში თანადროულად ჩაერევა ბატონი ედუარდი:

ბატონო, ჭაბუა, ჩვეული სიდინჯით მიუგებს იგი, ოთარი ახალგაზრდა კაცია, როგორც ვნახეთ აკეთებს ძალიან კარგ საქმეს და კითხვებით არ გადავღალოთ, გააგრძელოს თავისი მუშაობაო.

ახლა მე თითქმის სტენოგრამული სიზუსტით ვამბობ იმას, რაც მაშინ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ბრძანა. ხოდა, არც ვაციებ და არც ვაცხელებ, მოვკრეფ ჩემს ქაღალდებს და ეგრევე ჩამოვბარგდები ტრიბუნიდან. ეს იყო ჩემი შველა იმ შემთხვევაში. ესეც ბატონი ედუარდის მართლაც საოცარ ალღოიანობაზე მიუთითებს. ბუნებრივია, მას ნამდვილად არ ხქონდა წაკითხული სახელმწიფო ფონდის დებულება, ნამდვილად არ იყო გაცნობილი იმ კონცეფციას თუ როგორ, რატომ და რისთვის კეთდება ყოველივე, — ოსკარი გააფთრებით ყეფს და ყეფს, — არ ხქონდა წაკითხული ის კონცეფცია, რომელიც ჯერ კიდევ 1988 წელს დაიწერა ბატონების: ირაკლი მენაღარიშვილის, თენგიზ ჯინჯოლავას, გოგი ქირიას, ზურაბ ჯინჯიხაძის და შენი ძუძუმტეს მონაწილეობით, მაგრამ ბატონმა ედუარდმა ძალიან მარტივად, უზუსტესად ამოიცნო და ამოიკითხა რაზეც იყო საუბარი.

— მესამე შეხვედრისას რამ მიიპყრო შენი ყურადღება? როგორი იყო პრობლემა, საქმის ხერხემალი? ჩემთვის ცნობილია ერთი სინამდვილე, რომ აქა-იქ ხუმრობით ასეთი ფრაზაც გაჟღერებულა შენზე უმაღლეს ეშელონებში: ულვაშა ჯერჯერობით საჭიროაო.

კახეთში საქვეყნოდ ცნობილი ქალბატონი შემდეგი სიტყვებით მოგმართავდა: ჩვენი ხუფენაშვილიო.

ფრთიანი გამონათქვამები უცხოელებსაც უყვართ ხოლმე. მახსენდება ერთ-ერთი კომერციული თუ სახელმწიფო საპენსიო სადაზღვევო კომპანიის მისიონერის მახვილსიტყვაობა:

დიდი შევარდნაძე და პატარა ხუფენია.

ამას წინათ კი თუ არ ვცდები, მთლად „ქართველი ბისმარკი" გიწოდეს.

ეს ყველაფერი, ოთარ, ძმაო, გამოწვეულია შენი მჭევრმეტყველების უზადობით და კიდევ იმით, რომ ვიწრო პარტიკულარული მსოფლგანცდისგან თავისუფალი ხარ. ჩვენ ერთ კონცეფციაზე ვდგავართ მყარად, როგორც ერთი ძუძუნაწოვი ხალხი, ერთი სიბრძნით ნასაზრდოები ოტობაიელნი:

რომ საქართველო არარაობაა ცალმხრივობით, კუთხური მიდგომებით;

რომ ქართველი, როგორც ასეთი, ცოტა კახელიცაა, ცოტა ქართლელიც, ცოტა იმერელიც, ცოტა გურულიც, ცოტა მეგრელიც, ცოტა სვანიც, მოკლედ, იგი კრებსითია შენებურად, მაგრამ ჩემს მსოფლგანცდასაც ზედმიწევნით მორგებული და რადგანაც კრებსითი აზროვნებით მომართულა თითოეულის გონება — მიშგულადელსი, საქართველოვ-თქო, ვიძახით თანაბრად, მოხყვები იმ მესამე შეხვედრაზე უმთავრესი შტიხების გამოკვეთით?!

— ბატონ ედუარდს მე მრავლად შევხვედრივარ, მაგრამ დამახასიათებელი რამდენიმე იყო მათგან. აი, კიდევ ერთ-ერთი ასეთი ნიშანდობლივი.

მთავრობის სხდომაზე გაგვაქვს კანონპროექტი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის შესახებ. ნუ, დაიწერა მოხსენება, წარადგინა ეს ბატონმა თენგიზ გაზდელიანმა, როგორც მინისტრმა და პრაქტიკულად ვხვდებით, რომ მთავრობაში ამის წინააღმდეგ არავინ წავა, ვერავინ იტყვის საქართველოს არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა არ ჭირდებაო. იყო უკბილო გამოსვლები, ვითომ პოზიციის გასამაგრებლად, ფრაზეოლოგია, მაგრამ ერთადერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც ბატონი პრეზიდენტისგან დაისვა, ასეთი გახლდათ:

როგორ აპირებთ თქვენ ახალი სადაზღვევო კომპანიების საწესდებო კაპიტალის ფორმირებასო. თან ნახეთ კითხვის ქვეტექსტი რა არის: თქვენ ისევ აჩი-ბაჩი გინდათ, ესე იგი დაბალი საწესდებო კაპიტალი

მაღალი დაპირებებით თუ პირიქით, მცირე დაპირებებით მაღალი საწესდებო კაპიტალი ანუ მაღალი საფინანსო გარანტიებითო. ბუნებრივია, ჩვენ მივხვდით ამ კითხვის ქვეტექსტს და მე უბრალოდ რეპლიკასაავით ვთქვი მაშინ:

ბატონო, პრეზიდენტო, აქ იქნება ორი რამ-მეთქი, პირველი, ჩვენ შევეცდებით ყველაფერს იმისათვის, რომ იყოს ერთობლივი კომპანიები აუცილებლად დასავლეთის სადაზღვევო კაპიტალთან ერთად და მეორე იყოს ყველაფერი სადაზღვევო რისკის გადაზღვევით-მეთქი; არა მარტო დაზღვევით, არამედ გადაზღვევით-მეთქი. როგორც სჩვევია, გაიღიმა, გაიცინა. წამსვე მივხვდი პარალელი გაავლო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეობისდროინდელ ჩემს ქვეტექსტურ საუბარსა და ახლანდელს, დაღეჭილს შორის.

გმადლობთ დაკონკრეტებისთვისო, ბრძანა და ამით მიგვახდვერა, მისთვის ყველაფერი ნათელი იყო გამოწვლილვის გარეშეც; ის იმთავითვე მიხვდა, რომ ჩვენ სწორი გზით მივდიოდით. ამით დამთავრდა აღნიშნულ კანონპროექტზე მსჯელობა და აქვე მინდა მივანიშნო ერთ რამეზე: ეს თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი სახელმწიფო მოღვაწის, სახელმწიფო მშენებლობის სპეციალისტის იშვიათ ალღოსა და უნარზე მიუთითებს. მან იკითხა ზუსტად ის, რაც ჩვენი საუბრის თემის მიმართულების განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ხოლო, რაც შეეხება ხუფენაშვილს, კახეთში ერთ-ერთი შეხვედრისას ფრიად ცნობილმა და საპატივცემლო ქალბატონმა ბრძანა ამგვარად, მომეფერა როგორც იტყვიან:

ბატონო, პრეზიდენტო, ამ ფონდს ხელმძღვანელობს არა ხუფენია, არამედ ხუფენაშვილიო.

ბუნებრივია, უხერხულად ვიგრძენი თავი, ვინაიდან მე კახეთში ხუფენაშვილი ვარ, იმერეთში ხუფენაძე, ხევსურეთში ხუფენაური, მაღალ სვანეთში ხუფენიანი, საქართველოს ყველა წახნაგს მოიცავს ჩემი გვარი და მრწამსი, ხოდა, დააკვრდი ასეთ რამეს: როდესაც შესვენებაა გამოცხადებული, წინა რიგში ვდგავარ, ჩამოდის ბატონი პრეზიდენტი პატარა კიბეებიდან, რათა გავიდეს მოსასვენებელი ოთახისკენ პრეზიდიუმთან ერთად. ხდება იმგვარად, რომ მე საპირისპირო მიმართულებით მივეშურები და წამით შევეჩეხებით ერთმანეთს.

როგორ ხარ ხუფენაშვილოო, მეტყვის, თან მხარზე დამადებს ხელს კეთილგანწყობის ნიშნად. მორჩა. ათასი რამ ითქვა ამით. აისბერგულია ეს ნიუანსი. შენ მწერალი ხარ და უფრო მიხვდები. ესეც უმაღლესი რანგის მოხელის ერთ-ერთ გამორჩეულ თვისებაზე მიუთითებს. მოდი, ამით შემოვიფარგლოთ.

— კეთილი, ბატონო. ჩვენში ჯერ კიდევ არ არის გარანტირებული ადამიანის უსაფრთხოება სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ ძნელია ანტიკელი ბავშვივით გულუბრყვილოდ შესძახო:

მეფე შიშველიაო, მაგრამ ჭეშმარიტების დადგენა, შეცნობა კომპრომისებით მიიღწევა განა?! განა ოპოზიციური აზრი ისეთივე ფასეული არ არის, როგორც პოზიტიური შეხედულება? ნებისმიერ ინდივიდუუმში კონფრონტაციული დამოკიდებულება ერთ სხეულში ჩასახლებული ორი პიროვნების დაპირისპირებაა, ორი „მეს“ შეხლა-შემოხლა, როგორც ნებისმიერ ადამიანს სჭირს საერთოდ: ერთი ედავება, ეპაექრება მეორეს და ამ ჭიდილში ხომოსაპიენსად აღიარებული ბუნების მემკვიდრე ოპტიმალურ ვარიანტს ირჩევს, ცხადია, ათასჯერ გაზომილად და ერთხელ გაჭრილად.

ოთარ, ძმაო, ახლა, როცა ორი განსხვავებული ხელწერის პოლიტიკოსის ოთხ-ოთხი ურთიერთობის თვალსაჩინოებით გამოძერწილია თითოეულის იერსახე, შეგიძლია გამოკვეთო, როგორც შეხების წერტილები, ისე განმასხვავებელი ნიშნები „კავკასიური სახლის“ გამსახურდიასეულ თუ შევარდნაძისეულ მოდელებს შორის? ბატონი ედუარდი თავიდან გმობდა ამ კრებითობას, თავიდან „პროვინციულ ფაშიზმსაც“ უწოდებდა კანონირი ხელისუფლების პატროფილურ პოზიციას, მაგრამ სიტუაციამ თვითონ იგი მოავლინა ადრე გაკრიტიკებული საქმის მესვეურად. ჩინებულად მიმიხვდი საუბარი საითკენაც მიმყავს. მე არ მინდა ახლა კუთხეში მიგამწყვდიო და ამ ორი პიროვნების პოლიტიკური თუ ადამიანური პორტრეტი სასწორის პინაზე შეგაგდებინო, როგორც უმეცართ სჩვევიათ: ვინ რომელს გადაწონის, არამედ გთავაზობ სიმბოლური სიტუაციის დახატვას, რომელიც ხელ-ფეხშეხნილია საქართველოს იდეალური მთავრობის დასაკომპლექტებლად.

— გური, ჯიმა, მოდი, ასე გიპასუხებ, მეც არა ვარ მომხრე მათი ღვაწლი, რაღაცნაირად სასწორის ორ პინაზე დაიდოს და აფთიაქარის სიზუსტით გაირკვეს: ვინ ვის გადაწონის, ვინ ვის ჯობია, რომელში რამდენით მეტია პროფესიონალიზმი, რომელში რამდენით ნაკლებია პატრიოტიზმი; რომელში რამდენით ჭარბობს კოსმოპოლიტიზმი, რომელში რამდენით მძალვრობს სანგვინიკური პათოსი და ასე შემდეგ. ამგვარი მიდგომა არასამართლიანი იქნებოდა, არასწორი, ცთომილი მეთოდოლოგიურად. ახლა თუ ნატვრასა და ოცნებაზეა საუბარი, მაშინ მე ასე გიპასუხებდი: ყველაზე

მძლავრი სახელმწიფო ქართველებმა შეექმენით დიდი დავითის დროს.

— რა, აიეტისდროინდელი კოლხეთი დავივიწყოთ?

— გეკადრება, მაგრამ მითიური წარსული მოქმედების პროგრამად არ გამოგვადგება. აი, აღმაშენებლის დროს იყო გასაოცარი სინთეზი: ჩვიდმეტი წლის მაჭარი, ბობოქარი დავითი და ორმოცდაშვიდი წლის დაღვინებული, ბრძენი ჭყონდიდელი. აი, ამ სინთეზმა შექმნა, გური, ჯიმა, დიდი ქართული სახელმწიფო. ჩვენდა საუბედუროდ ასეთი სინთეზი ვერაფრით განხორციელდა ამ საუკუნის დასასრულს.

— სხვათა შორის, ამის თაობაზე სიმბოლურადაც და გახსნილადაც ხქონდა საუბარი ჩემთვის დიდად სათაყვანებელ პიროვნებას, ბატონ გოგი გაჩეჩილაძეს. თუ გახსოვს წერილიც გამოაქვეყნა.

— კი. იმ წერილის დაბეჭდვამდე მილაპარაკია ასეთ პარალელებზე ბატონ გოგისთან, ჩემთვისაც მეტად საპატივცემლო ადამიანთან, — ოსკარი გააფთრებით ყეფს და ყეფს, — ახლაც ძალიან კარგად მახსოვს, სენაკის კულტურის სახლის სცენაზე, როდესაც რეფორმატორთა კავშირის საბჭო 95 წელს თავის ამომრჩევლებს ხვდებოდა, ერთ-ერთი შესვენების დროს კულისებში სიგარეტს ვეწეოდით და აი, მაშინ ვინატრე:

რა კარგი იქნებოდა ამ ორი პიროვნების თანამშრომლობა მომხდარიყო-მეთქი. ეს უბრალოდ ნატვრა იყო, და რასაკვირველია, რეალობას საკმაოდ მოწყვეტილი, მაგრამ ერთ რამეს დაბეჯითებით ვიტყვი: როგორც ბატონ ზვიადის, ისე ბატონ ედუარდთან მიმართებაში შეფასებისას ქართველებს ელემენტარული ზომიერება გვმართებს. არც გაფეტიშება ვარგა და აღარც — ნიველირება. როდესაც ბატონ ზვიადს აღმერთებენ, ან ბატონ ედუარდს განაქიქებენ, იგივე ორღობეს დონის ყბედობით, ეს ჩვენი უკულტურობის შედეგია, პოლიტიკური უკულტურობის თუ გნებავთ ზოგადად, უკულტურობის შედეგი საერთოდ, ამ სიტყვის ლექსიკონური გაგებით. ისეთი დიდი პიროვნებების შეფასება, როგორებიც ბატონი ზვიადი და ბატონი ედუარდია ისტორიის ესოდენ მოკლე მონაკვეთში არ ხდება. დრო მრავლის მკურნალია.

როგორ არის მეგრულ ლექსში? „ბორჯის ვაუჩქ მეფერაფა, არძას არზენს მუშუშისიო“, დიახ, ყველას თავისას მიაგებს დრო-ჟამი, და ცირკის არენის არლეკინოს დონისაა მელიქნეთა შეფასებანი ქვეყნის პრეზიდენტზე: „მიყვარს“ ან „არ მიყვარს“. სიყვარული შეიძლება მშვენიერი სქესის წარმომადგენლისა, კულინარიული ნაწარმისა, პეიზაჟისა, სამშობლოსი ბოლოს და ბოლოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ქვეყნის წინამძღოლისა. ეს სწორედ გაქანებული უკულტურობის ნიშანია.

შენ უნდა გიყვარდეს შენი სახელმწიფო და ის ინსტიტუტი, რომელსაც პრეზიდენტის ინსტიტუტი ხქვია; ხოდა, არ უნდა მისცე თავს უფლება იყრანტალო: მე ის მომწონს, მე ის არ მევასება და ამ გადასახედიდან მოუწოდო ერსა და ბერს, აისხით იარაღი, დავამხოთ ეგ და დავსვათ ისო. აი, ჩვენი უბედურების საწყისი, უმთავრესი სათავე. კავკასიური სახლის თემა კი ძალზე მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი სტრატეგიული კვანძი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, განმტკიცება-განვითარების გზაზე. მიძნელდება ვთქვა, მაგრამ გაჩუმებაც აღარ ძალმიძს: განა მარტო ბატონი ზვიადის დროს იყო წამოწეული ეს თემა?

— მაგას რომელი ჭკუათმყოფელი ამბობს? დიდი ილია...

— დაიწყო ახლა! ყაზბეგი გავიხსენოთ, როგორ ეფერება კავკასიელ თანამოძმეებს და როგორ მიიჩნევს მათ სისხლხორცეულ ნათესავებად!

სულ სხვა ყოფილა სკოლაში ნასწავლი და მოწიფულ ასაკში ხელმეორედ წაკითხული. იშვიათი მოცალეობის ჟამს ერთხელაც მივუბრუნდი ჩვენს კლასიკოს მწერლებს. ბედნიერი ხარ, ჯიმა! იცი, რამხელა სიამოვნება ვიგრძენი? რა ცეცხლი ნთებულა, კაცო?! აი, სად არის თავგანწირული მართლისმთქმელობა.

კავკასიური სახლის, ოჯახის იდეა საქართველოს თავისუფლების სანუკვარი მიზნის შემადგენელი ნაწილია, ვინაიდან საწუთროაწეწილ, ცხოვრებამოწამლულ, ერთმანეთს სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდებულ კავკასიაში ზღაპარია საქართველოს რეალური თავისუფლება, როგორც ტერიტორიულად, ისე — სულიერად. ამიტომ ცოტა ძნელია ხელაღებით განსაზღვრო, ბატონ ზვიადს ეკუთვნის ეს, ბატონ ედუარდს თუ სხვას, თუმცა ერთი რამ ცხადია: ჩვენ კავკასიელები ვართ ათასწლეულების მანძილზე და აქედან გამომდინარე, როგორც ოდესღაც ერთიანებს და აწ გარკვეულწილად გათიშულებს, მაინც ბევრი, უამრავი მოგვეპოვება საერთო: წესი, ადათი, ტრადიცია.

— ანთროპოლოგიური მონაცემები.

— უცილობლად. ამ თვალსაზრისით ჩერქეზებს, ვაინახებს და ქართველებს ვერც განასხვავებ. სხვაობაც არის, ბუნებრივია, უწინარესად — რელიგიური, მაგრამ თუ ამ კუთხით უფრო სიღრმი-

სეულად გავაანალიზებთ, ქართველი კაცი ფანატიკოსი ქრისტიანი არასოდეს ყოფილა.

— ჩვენ უფრო წმინდა გიორგის ხალხად დავრჩით. წარმართობისა და ქრისტიანობის ნაჯვარ ხალხად.

— მე მეჩვენება რომ ჩვენ გენეტიკური თვისება ტოლერანტიზმია ყველაგან და ყველაფერში. ეს განსაკუთრებით რელიგიას შეეხება. მოყირჭებულ ფრაზებს აღარ ვიტყვი, რომ 3000 კვადრატული მეტრის ფარგლებში ოთხი თუ ხუთი განსხვავებული მრევლის სალოცავში აღევლინებოდა უფლის სადიდებელი: მართლმადიდებლურ ეკლესიაში, გრიგორიანულში, სინაგოგაში, მეჩეთში, თანაც სად?! შუაგულ თბილისში, საქართველოს აზროვნების ეპიცენტრში! ასე რომ, ტოლერანტობა მართლა ჩვენი გენეტიკური თვისებაა.

ახლა გეოპოლიტიკურადაც რომ შევხედოთ, საქართველოს ლიდერი სახელმწიფოს ფუნქცია უნდა ეკისრებოდეს კავკასიაში. ეს შეიძლება იყოს გარკვეული გამაწონასწორებელი ძალა ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელსა და იმ გზის მიმართ, საითკენაც მივილტვოდით საუკნეების მანძილზე, დავუშვათ ევროსაბჭოსკენ, რომლის წევრებიც ეს-ეს არის გავხდით. ასე რომ, ვეჭვობ ბატონმა ედუარდმა დაადასტუროს ბატონი ზვიადის დროს წამოწეული კავკასიური სახლის თემა, პოლიტიკური შეცდომა, სიბეცე იყო, თვითიზოლაციისკენ ლტოლვა გახლდათო. ასეთი შეფასება ნებისმიერი რანგის პოლიტიკოსისათვის ბუმერანგის ტოლფასია. ახლა რაც შეეხება პროვინციულ ფაშიზმს. კი, ეს ტერმინი გაჟღერდა, მაგრამ მე არ მახსოვს იგი კავკასიური სახლის იდეის მისამართით თქმულიყო. ეს ფრაზა უფრო ქუჩის ვნებათაღელვისკენაა ნასროლი. აქვე, ამასთან დაკავშირებით, ერთ რამესაც ვიტყვი, გური, ჯიმა, ბატონი ედუარდი ლამის ერთადერთი მაღალი რანგის პოლიტიკოსია იმ წლებიდან მოყოლებული დღემდე, ბატონ ზვიად გამსახურდიას პიროვნებას უარყოფითად რომ არასდროს შეხებია. მე მინდა ეს თვისება გამოვყო ბატონი ედუარდის სტილში...

— რატომაც არა, მისი ნატურა უკიდურესობამდე შეზავებულია აღმოსავლურს და დასავლურს. გიცინის და იქვე გასამარებს. მისი ხასიათი ქმედებისაა, მჩხავანა კატებით კი სავსეა ქართული თუ მსოფლიო პოლიტიკური არენა.

— მოარული ფრაზაა: შევარდნაძემ ზვიადის ყველა მტერს წესი აუგოო, ამ დროს რეალურიც. მან გამსახურდიას თითოეულ თანამებრძოლს მკაცრი განაჩენი გამოუტანა, მწარედ გადაუხადა კანონიერი ხელისუფლებისთვის შეფიცულებს ზურგშექცევა, ღალატი, იგივე კიტოვანს, სიგუას, იოსელიანს, ასე შემდეგ და ასე შემდეგ; მაგრამ მე ნამდვილად არ მახსოვს მისგან პირველი პრეზიდენტის რაიმე უარყოფითი პიროვნული შეფასება. პირიქით, იყო სერიოზული განაცხადი, რომ სწორად და მართებულად შეფასდეს იმ წლებში საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამსახურება. იყო საუბარი მისი ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებაზეც.

— ნოე ჟორდანიას ცხედართან ერთად. რატომაც არა, როცა პოლიტიკური სარბიელიდან ჩამოშორებულია საშიში მეტოქე, ტკბილსიტყვაობისთვისაც მოიცლი. რომაელებს სჩვეოდათ, როდესაც უმთავრეს მოწინააღმდეგეს რაიმე ფათერაკი შეემთხვეოდა და დაიღუპებოდა, მოიხსნიდნენ ხოლმე მეწამულ ქიტონს და აჩეხილ სხეულზე გადააფარებდნენ პატივისცემის ნიშნად. ამ აქტით საზოგადოების თვალში თავიანთ დიდბუნებოვანებას აკვარცხლბეკებდნენ.

ოთარ, ძმაო, იცი რას გეტყვი კიდევ, გარკვეული პერიოდი ბატონი ედუარდის მისამართით ცუდი პროპაგანდა გაჩაღდა სადიაცო კარვების სიახლოვეს: ტრანსპარანტებით, მიკროფონებით ერის, სამშობლოს მოღალატეს ვეძახდით. ეს უკვე განვლილი ეტაპია. მე კარგა ხანია დავასკვენი, აღმოსავლური დიპლომატია რა მოსატანია, ელემენტარული ტაქტიკა არ გვყოფნიდა. ნაფიქრალი ენაზე გვეკერა, გულმართლები ვიყავით თითქოს და ამ ღირსების გამო ხალხიც გასაოცრად გვიჭერდა მხარს, გვითანაგრძნობდა, მაგრამ ეროვნულ მოძრაობას აკლდა პოლიტიკური ქმედების სტრატეგია, და მხოლოდ მართლმოსიტყვეობის, სწორხაზოვანი გახსნილობის, გამჭვირვალობის მეთოდებით გაძნელდა იანუსების დამარცხება. ბატონ ედუარდს მაინც წამოცდა ბატონი ზვიადის მისამართით ხიჭვგარეული ფრაზა:

პრეზიდენტი ხალხში უნდა დადიოდესო.

როგორც ჩანს, ენამ უყივლა. ხომ გვსმენია, ნუ დასცინი სხვასაო, გადახდება თავსაოო. ამჟამად ბატონ ედუარდს თვითონ უხდება დასახელებულ სიტუაციაში ცხოვრება. ორგზის დატერორების შემდეგ იგი ფაქტობრივად იზოლირებულია, ვიწრო გარემოცვას ღონივრად მოუმწყდევია ხელში, თითქმის მოწვეტილია ფართო მასებს, სამუშაო კაბინეტში გაფილტრული, ამ გარემოცვის ინტერესების შესატყვისი ინფორმაციები მისდის და მათზე რეაგირებაც იმ ვიწრო კლანის მიზნების გათვალისწინებითაა. წარსულს ჩაბარდა დრო, როცა თამამად დაიარებოდა ქუჩაში, ხალხში, აბობოქრებულ სტადიონზე. განა იგივე არ დაემართა ზვიადსაც? მიტინგზე ტყვიაგაუმტარი ჟი-

ლეტით გამოდიოდა, შუბლზე კი ცივი ოფლი ასხამდა ჩასაფრებული ტყვიის მოლოდინში. სპეცსამსახურებს ხქონდათ, ალბათ, ინფორმაცია ზვიადის ფიზიკური განადგურების თაობაზე. ახლა, როდესაც თვითონ მოექცა ზედამხედველობის მკაცრი წნეხის ქვეშ, შეიძლება ნანობს კიდეც იმ საბედისწერო ფრაზის გამო?

— მოდი, სხვა რაკურსით შევხედოთ საკითხს. ეს აღარაფრით შეიძლება მოდიოდეს ბატონი ედუარდის პიროვნული თვისებიდან. ასეთი რამე შეიძლება მოუვიდეს კაცს, რომელსაც შიშის კომპლექსი აწუხებს. ხოლო მას, რომ შიშის კომპლექსი არ ეპიტნავება, დიდი ხნის დამტკიცებულია. იგივე სტადიონი...

— უშიში, ვითარცა უხორცო, მაინც ფრაზაა, პათეტიკა. ყველაზე გულმტკიცენიც კი, ყველაზე უდრეკელნიც, სახრჩობელის, გილიოტინის, ელექტროსკამის თუ ტყვიის წინაშე, როგორც წესი, უკლებლივ შარდავენ, მეტიც — თესლი ეღვრებათ. ეს ახსნილია ფსიქოლოგიურად, შთამომავლობას სტოვებს ორგანიზმი ინსტინქტურად, ქვეშეცნეულად და მთლად წარბშეუხრელიაო განვაცხადოთ ესა თუ ის პიროვნება, უგუნურებაა, უმეცრება. ვითარებას გააჩნია, იქ მოსალოდნელი ხიფათის ხარისხს. აბსოლუტურად უშიშარი მხოლოდ სალოსია, ლენჩი, შეურაცხადი.

— მაგრამ აქ არის სხვა მომენტიც, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც გადაგვალახვინებს ხოლმე ნებისმიერ წინაღობას. სრულიად ლაჩარიც კი შეიძლება გულადად იქცეს ერთხელ, როცა მის შვილს აშკარა საფრთხე დაემუქრება. ვთქვათ და წარმატებით დამთავრებულიყო პირველი თუ მეორე ტერაქტი, ფიზიკურად გაენადგურებინათ დღევანდელი პრეზიდენტი, რა იქნებოდა დღეს საქართველო?

— სხვაგან გადაგვაქვს საუბარი.

— სულაც არა. გამბედაობას ატმოსფერო ქმნის. თუ ეს უწყვეტი ჯაჭვია, სიმამაცე ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრების სტილად იქცევა და ასეთ ადამიანს, როგორც წესი, იღბალი სწყალობს, რადგანაც მან იცის რისკის ფასი, იცის როგორ ტკბილია იქიდან გამოღწევაც, სიკვდილისთვის თვალში თვალის გასწორება. ეს მთელი ფილოსოფიაა. რომელიღაც ინგლისური ფილმი გამახსენდა, უფრო სწორად რუსების ეკრანიზებული ინგლისური ამბავი.

მთავარ როლში ბანიონისია. რაღაც თვითმკვლელების კლუბია, სიცოცხლეს ვერ ისწრაფებენ და უნდათ სხვას აღასრულებინონ თავი მოულოდნელად, უმტკივნეულოდ, სწრაფად. მაგრამ როცა კარტი ჩამორიგდება და რომელიმეს ერგება აქამდე სასურველი სიკვდილის განაჩენი, იწყება ამ პიროვნების გასაოცარი გარდაქმნა, საკვირველი ლტოლვა სიცოცხლისკენ.

მოდი, ისევ თებერვლის დილა გავიხსენოთ: ლამის ცემა-ტყეპამდე მისული კამათი საქართველოს პარლამენტში, ეს მაშინ, როდესაც კაცი ცოცხალი გადარჩა. დიდი გულისტკივილით ვამბობ ამ სიტყვებს. დღეს საქართველოში პოლიტიკური კულტურაც და პოლიტიკური ბალანსიც, ძალთა ბალანსიც თუ გნებავთ, არ არის იმ დონეზე, რომ ასეთმა ტერორისტულმა აქტმა, თუკი ეს ჩანაფიქრის ავტორთა მიერ წარმატებით განხორციელდება, სახელმწიფოში უზარმაზარი კატაკლიზმები არ გამოიწვიოს. ეს ჩვენი დიდი უბედურებაა და სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ დემოკრატიული ქვეყანა გვიშენებია. პირიქით, პირიქით. ერთ კაცზე ჩამოკიდებული სახელმწიფო საცოდაობაა, გინდა ზვიად გამსახურდია იყოს იგი და გინდა — ედუარდ შევარდნაძე. როცა ქვეყანაში ეს საშიშროება დგას, ერთი კაცის პრობლემა, იმ ქვეყანას უფრო დიდი უბედურება სჭირს, ვინემ ეს ზედაპირზე მოჩანს. მოკლეს კენედი, მაგრამ არ დაქცეულა ამერიკა.

— ხო, მთავარაი ინსტიტუტი, ქვეყნის კოლექტიური მართვის ბერკეტები.

— დიახ, დიახ, მთავარი გუნდია და არა — პიროვნება. საქართველოში პირველი ან მეორე ტერაქტი წარმატებით რომ განხორციელებულიყო, ბუნებრივია, დაიწყებოდა ბრძოლა ძალაუფლების უზურპაციისათვის და ისევ სამოქალაქო ომის პირას მივიდოდით.

— მივიდოდით კი არა დაიწყებოდა კიდეც.

— ხოდა, კითხვას დავსვამ შემდეგნაირად: შეძლებს კი ასეთი ორომტრიალის გადატანას, გური, ჯიმა, შენი და ჩემი ქვეყანა? ვერა! ვერა! აი, ესაა სიმართლე. ამიტომაც არა ვარ მომხრე ბატონმა ედუარდმა ზედმეტად იაქტიუროს მასებში სიარულით. მეტსაც გეტყვით, ბატონი ედუარდი მიდის იქ, სადაც საერთოდ არ უნდა გამოჩნდეს. რა უნდა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს ,,მაკდონალდსი''-ს პრეზენტაციაზე?

— მსვლელობამ, სიარულმა ახალი სივრცისკენ მომისროლა. ჩვენს თანაოტობაიელ მწერალს, ბატონ ვლადიმერ ალფენიძეს და შენ იმდენი კილომეტრი გექნებათ გადასერილი ოკეანიდან ოკეანემდე, კონტინენტიდან კონტინენტამდე, რამდენიც სამურზაყანოს ასიათას მაცხოვრებელს მთლიანად. ამ ფაქტს იმიტომაც მოვიშველიებ, რომ ოტობაიაში, ჩვენს სამოხიოში ველოსიპედით მქროლავი

ყმაწვილი უცხოეთის ლამის ყველა ქვეყნის ჭირ-ვარამს ეზიარე. შენი შეხედულებით, რომელ ქვეყანას ესადაგება ამჟამად ჩვენი ვითარება, ეკონომიკური თვალსაზრისით, და ცხადია, პოლიტიკურითაც: ჩილეს? ირლანდიას?

მახსენდება აფხაზების სიძე ხიუტი როგორ გვიკიჟინებს ,,იმპერიალისტურ ჩვევებს'' სახაროვისებურად, როგორ გვკილავს ,,თვითმპყრობელური პოლიტიკის'' გამო. იქ, კი, ყურისძირას, ფეხქვეშ ითელება ირლანდიელების, ისლანდიელების, შოტლანდიელების ეროვნული ინტერესები ანგლოსაქსებისაგან. ამაზე იტყვიან, ქაჩალს თუ არ დაასწრებ, აქეთ წამოგაყვედრის ქაჩლობასო.

კონგრესმენ ჯერი ადამსზე მინდა მომიყვე კიდევ. შენ იქ სიამაყით დალევ თავისუფალი ირლანდიის სადღეგრძელოს, როცა აქ ჩვენი სამშობლო სულს ღაფავს უცხოური ინვესტიციების კაბალურ პირობებში. მაინტერესებს აგრეთვე, როგორი იქნებოდა დღეს ეროვნული ხელისუფლების საქართველო? ეყოლებოდათ კი უზენაესელებს მილიონრები? ისინიც წინდებული მოქკავშირული გზებით ივლიდნენ ორიათასის მიწურულამდე თუ სხვა ნაპირს მიადგებოდნენ სულაც? შენ ბედნიერი შემთხვევის გამო, ვგულისხმობ ორივე პრეზიდენტთან გულახდილ ოთხ-ოთხ საუბარს, ჩემთან შედარებით მეტი დასკვნის მორალური თუ იურიდიული უფლება მოგნიჭებია.

— მე ბატონ ლადო ალფენიძეს, რასაკვირველია, მოგზაურობებში ვეღარ დავეტოლები, მაგრამ არაერთი ქვეყანა მინახავს აღმოსავლეთში, დასავლეთში, ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში; თუმცა ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს, რომ ამ კითხვას სათანადო პასუხი გაეცეს. შეიძლება კაცს არცერთი ქვეყანა ხქონდეს ნანახი, უბრალოდ წაკითხულიდან მსჯელობდეს, წიგნიერი ინფორმაციით განსჯიდეს და უცდომლად დაასკვნიდეს მსოფლიოშემოვლილისგან განსხვავებით.

ახლა, რომელ ქვეყანას გამოვარჩევ?! მე ასე გეტყვი, გური, ჯიმა, ჩვენ ვგავართ ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას ჩვენი დღევანდელი ცხოვრების დონით, მაგრამ განსხვავებაც უდიდესია, კულტურული მემკვიდრეობისა და პერსპექტივის თვალსაზრისით. ჩვენ ახლა გარდამავალ ფაზაში ვიმყოფებით. ჩვენი სულსწრაფობიდან გამომდინარე, გვინდა დღესვე რძისა და თაფლის მდინარეები გადაგვდიოდეს თავზე, მაგრამ გვავიწყდება, ნგრევაშიც რომ ვერავინ შეგვედრება, კუჭს მიკერებია ჩვენი გონება და ჭინჭებისთვის თურქეთში გაგვიტანია ფერადი ლითონი, ოქროვერცხლი, რეპუტაცია;

ჩვენ ბევრს ვგავართ სიდუხჭირით და მომავლის თვალსაწიერით — მაინც არავის ვინაიდან დარწმუნებული ვარ უახლოეს ორ-სამ ათწლეულში საქართველო მოახდენს წარსულის, დღევანდლობისა და მომავლის გასაოცარ სინთეზს. პოლიტიკური და ეკონომიკური არტახებისგან თავდაღწეული საქართველო, თავისუფალი არჩევანის პირობებში მთებს დაძრავს ადგილიდან. ეს მისი ბედისწერაა. ტყუილუბრალოდ არ შეგარქმევენ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას. შეხედე, საქართველოდან წასულმა ებრაელებმა აღთქმულ ქვეყანაში უმალვე ხეგემონია ჩაიგდეს ხელში. რა, არ ჩასულან იქ რუსეთიდან, ამერიკიდან, ვინ მოსთვლის საიდან, მაგრამ ქართულმა დიასპორამ ყველას მოუჯოკრა! მათ მიერ შეთავაზებული სიმღერები, ქორეოგრაფია ატყვევებს არა მხოლოდ ებრაელ ხალხს, მთელს მსოფლიოს. რა ხდება, რაშია საქმე?

აქ ორი მომენტია ხელჩასავლები, გური, ჯიმა: პირველი და მთავარი ის გახლავთ, რომ ქართველი კაცი ტოლერანტია, არ დაგადებს ხელებზე ბორკილებს, არ გატყვევებს, მაინც და მაინც უნდა გაქართველდეო, არ ესწრაფვის შენს გადაჯიშებას, გადაშენებას, რადგანაც დიდბუნებოვანია, კოსმოსური ფასეულობების პატრონი, თანაბრად, თანატოლად გაგიხდის და უკვე ძალდაუტანებლად ეწაფები მის სულიერ საგანძურს. დაეძალებინა ვინმესთვის ქართველს, გინდა თუ არა ისწავლე ჩემი საგალობლებიო, ზურგს შეაქცევდნენ, თვალს დაუხუჭავდნენ, ყურს დაუხშობდენ, მაგრამ როდესაც გზა ხსნილია არჩევანისთვის გადაწყვეტილებაც ნებისმიერია.

სხვათა შორის იგივეს მოიმოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთისგან განსხვავებით. რუსეთი გბოჭავს, თავს გახვევს ენობრივ, მსოფლმხედველობრივ პოზიციას ეკონომიკურთან ერთად. ამერიკა პირიქით, თითქოს პრეტენზიას არაფერზე აცხადებს, ეკონომიკურ ურთიერთობებს ჯერდება და როცა თანაბარუფლებიანი პარტნიორობის ფაზაში შეხვალ, შენდაუნებურად ეწაფები ინგლისურს, იქაურ წესებს და ჩვეულებებს. მსოფლიოში ორად-ორი ქვეყანაა თვითნაბადი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით რომ ემგვანება ერთმანეთს: საქართველო — პატარა ჯორჯია და შტატები — დიდი.

01. 50.

— ირლანდია? ირლანდიაში ხომ ხარ ნამყოფი? — თავს მიქნევს თანხმობის ნიშნად, ,,ვოგის''

უნიკოტინო ნაფაზით ლამის გაგუდული, ნაპო ბიძიას გინესის წიგნში შესატანი ხველებებით დაჭინთული, — განა ისიც არ იბრძვის დამოუკიდებლობისათვის? რატომ არ ავლებ პარალელს მასთან? ირლანდიას ხყავდა ჯოისი და პარნალი, როგორც მე და შენ სამეგრელოს სამომავლოდ, მაგრამ იმ ორისგან განსხვავებით ჩვენ გამოცალკევებისთვის კი არა, სინთეზისთვის ვიბრძვით, შემთლიანებისთვის, მონოლითურობისთვის. აქვე პატარა ხიდის გავლებაც მინდა! გადააგდე ეგ წყეული! გახსოვს ზემოთ ნათქვამი: მაგიდის ქვეშ ვსვამდით „ქართველი ერის განთავისუფლების ორგანიზაციის" სადღეგრძელოსო? იქ, ირლანდიაში როგორ არის საქმე? ისინიც, ოდესღაც ჩვენსავით, სუფრის სარდაფებში ლოცავენ სამშობლოს თუ სააშკარაოდ, ფოიეში?

— უარესს გეტყვი, იქ, აშკარად, ირლანდიის სადღეგრძელოს კი არა, ძველ ირლანდიურ სიმღერასაც ვერ მღერიან. ამ მხრივ რუსეთის იმპერია თურქული კანფეტებია. სხვათა შორის მე პირველად ბელფასტში დავლიე და დავალევინე ბარში მყოფ ყველას ირლანდიის სადღეგრძელო. აღწერილი აქვს ერთ-ერთ ჟურნალისტს... გაზეთ „თბილისში" თუ არ ვცდები. მოკლედ გეტყვი, რომ იქ მხოლოდ ღამით, გვიან ღამით დაუკრეს მუსიკა, რომელიც ძალიან ხგავდა მეგრულ ხანგს და ჩემი ერთ-ერთი მეგობარი და მასპინძელი ამავდრულად, ატირდა. მე ამან დამაინტერესა, ამაღელვა, რაღაც-რაღაცა ვიგუმანე. ჩავეძიე კიდეც მორიდებით, უფროორე ჟესტიკულაციით, თვალებით, ხელების სავსავით.

— ადამსი, ხომკი?!

— ჯეფრი პატრიკი. ჯერი ადამსი მათი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია. ისიც ჩემი მეგობარია, მაგრამ ცოტა რამ ვიცი მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. აი, ვინც ატირდა, ჯეფრი პატრიკი გახლდათ, ძველირლანდიური სიმღერის გამო ტიროდა თურმე, შუაღამესაც იმიტომ უცდიდნენ, ხალხის შეთხელებას, უცხოთა გაკრეფვას, რათა უპრობლემოდ მოესმინათ მშობლიური მელოდები.

— ოთარ, ძმაო, ამ საუკუნის ოციან წლებში ირლანდიას ხყავდა პარლამენტში თავისი წარმომადგენელი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე პარნალი და ეს პარნალი როდესაც მოკლეს, გაუტანელ საწუთროზე გულგატეხილი ჯეიმს ჯოისი სამშობლოდან საფრანგეთში გადაიხვეწება და მას შემდეგ არასდროს მიუბრუნდება მამულს, ირლანდიას. მას აქა-იქ ირლანდიის მოღალატესაც ეძახიან, ცხადია, წინწკლებში. ერთხელ წააყვედრეს კიდეც სამშობლოსგან ზურგშექცევა და იცი რა თქვა ჯოისმა?! განა ყოფილა ოდესმე წამი, წუთი, ირლანდია მიმეტოვებინოსო; ის ხომ ჩემშია განუწყვეტლივ და ჩემთან ერთად ეზიარება უკვდავებასო... გესმის, რატომ მოვითხოვ პარალელის გავლებას ირლანდიასთან? დროში განსხვავებულმა ბედისწერამ ჩვენც მსგავსი გზის გავლა გვარგუნა. პრეზიდენტი გამსახურდიაც დაახლოებით პარნალის ბედ-იღბალს გაიზიარებს და ორივე ჯოისის სიტუაციაში ვიმყოფებით: მიზეზთა გამო მოწვეტილები ვართ სამშობლოს, სამოხიოს, შურობუმუ ოტობაიას, საძვალეთსაც რომ ეძახი ხოლმე...

— ძალიან კარგი პარალელია და რადგანაც ასე მიგაქვს გულთან ირლანდიური თემა, ისეთ რაღაცას მოგიყვები, ჯერ რომ პრესისთვის არ განმიცხადებია: ჩრდილოეთ ირლანდიაში, რომელიც სხვათაშორის დამოუკიდებელი არ არის, ნანახი მაქვს პარლამენტის შენობა. ხო, ბოლო წლამდე იქ პარლამენტი არ ფუნქციონრებდა, მარტივად რომ ვთქვათ, გააუქმეს.

ახლა არ გაინტერესებს გამოყოფაც რანაირად მოხდა? პარლამენტის საშუალებით, ჯიმა! რაღაც ნაწილმა მხარი დაუჭირა დღევანდელი ჩრდილოეთ ირლანდიის ბრიტანეთის იმპერიაში დარჩენას, ნაწილმა — არა და ასე გაიყო ორად, კენჭის ყრით. ამის გამო, ამ იუდას ოცდაათი ვერცხლისთვის, ინგლისელებმა ჩრდილოეთ ირლანდიელებს პარლამენტიც კი შეუქმნეს, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო გაუუქმეს მალე, და ახლა მოძრაობის გააქტიურების შემდგომ, პარლამენტსაც უტოვებენ და ავტონომიურ უფლებებსაც უძლიერებენ, — იცინის, — როგორც დღევანდელი ტერმინოლოგიითაა მიღებული. ხოდა, ვათვალიერებ მუზეუმში გამოკრულ დიდ პანოს, რომელზეც გამოხატულნი არიან ის პარლამენტარები, ვისი წყალობით ჩრდილოეთ ირლანდია ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენილა. მიხსნის გიდი ამათ გვარებს, სახელებს, ტიტულებს, თანადროულ ისტორიულ მომენტებს. შევყურებ პანოს და ფიქრებით სამშობლოს თანაბარ სიტუაციაში გადვარდნილი, ვამჩნევ, რომ ერთ-ერთ პარლამენტარს სახეზე უჩვეულო ლაქები გამოსვლია, მხატვრისას არა ჰგავს, შენაძენია. ცნობისმოყვარეობისგან სული წამსძლევს და ჩავეკითხები:

რატომაა ეს ლაქები-მეთქი.

მიხსნის, ერთ-ერთ ტურისტს წითელი საღებავი მიუსხამს, ირლანდიის თავისუფლების მომხრე ყოფილა ის ქალბატონი და შეუბღალავს პანო პროტესტის ნიშნად. სიცილი წამსკდება.

გაიკვირვებს და როცა ანალოგიურ მაგალითს მოვიშველიებ, თუ როგორ ააჭრელებენ სერგო ორჯონიკიძის ძეგლს ახალგაზრდები, როგორ დაახლიან ლაჟვ კვერცხებს და კატები ლამის ლოკვისგან გაცვეთენ, კინაღამ მისავათდება სულში შეჩენილი კისკისისგან.

მუზეუმის ხალხი გროვდება, მხრებს იჩეჩენ, ერთმანეთს ანიშნებენ თვალებით: რა ხდება, რა ამბავიაო, მე კი ცეცხლზე ნავთს დავასხამ და როცა ვეტყვი გიდს, ცოტა საღებავი ხქონია იმ ქალ-ბატონს-მეთქი, ჩემი გამყოლი ხავერდოვან ბილიკზე ჩაიკეცება.

ნუ, იმ წრეში, სადაც მე მაშინ ვიყავი, იცოდნენ ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით და ასე ვთქვათ, დამინდეს. ამგვარი ანალოგია მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან შეიძლება, რომ „გამარჯვებული" ესა თუ ის მხარე თავის გმირებს ქმნის მერე, როგორც ჩვენთან იყო, ბოლშევიკობის დროს, ან სამხედრო გადატრიალების შემდგომ, მაგრამ ხალხის გული უტყუარი სარკეა, გმირს ერი სპექტაკლებით, არტისტული მონაცემებით, კი არ ითვისებს, არამედ — სამკალში, რომელიც ფრიად არს, იესოს შეგონებით: ომში, ორომტრიალში, უთანასწორობა იგი თუ სულაც ერთპიროვნული. ყველაფერია მოსალოდნელი ამ ქვეყანაზე, ყველაფერია დასაშვები, გარადა ერთისა: კაცობრიობისათვის გმირის შეკოწიწება ლაბორატორიული წესით, სიზიფისეული ამაო გარჯაა.

— მოვუბრუნდეთ ჩვენს სამურზაყანოს, ჩვენს შურობუმუ ოტობაიას, ზოგადად აფხაზეთის პრობლემებს. როგორც გვიხსენებია, უკვე შექმნილია აფხაზეთის განთავისუფლების პარტია. დევნილები რა მოსატანია, როცა ჩემი თბილისელი კოლეგები წევრიანდებიან მასში. მაგალითისათვის: პოეტი ტაგუ მებურიშვილი, ნოველისტი რევაზ მიშველაძე, მწერალ-მეცნიერი ლევან სანიკიძე. მხვდება ქუჩაში კობა არაბული და ელგუჯას აღტკინებით მთხოვს შუამდგომლობას იქ შესავლელად. ჩვენი ოტობაიას განთავისუფლებისთვის მკლავს იკაპიწებენ ქართლელები, კახელები, იმერლები, გურულები და ამის შემდეგ ნამდვილმა სამურზაყანოელმა თავი ჩაღუნე! ასეთ უნიათო ცხოვრებას სიკვდილი მირჩევნია. მომრავლდნენ პროვოკატორებიც. დაძვრებიან კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებში და ძირს უთხრიან სამშობლოს ღირსეულად განთავისუფლების იდეას:

ნადარეიშვილის პარტიას გაუჭირდება ბოსლებში, სკოლებსა თუ ხიდის ქვეშ განთავსებული, ათი სამოწყალო ლარისა და ქვასავით პურის იმედზე დარჩენილი თვისტომის აყოლიებაო, მაგრამ ოთარ, ძმაო, დარწმუნებული ვარ, აფხაზეთის განთავისუფლების პარტიამ მომავალ არჩევნებში ერთი მანდატიც რომ ვერ მოიპოვოს, ეს მოძრაობა მაინც გამართლებულია ლტოლვილი მოსახლეობის კონსოლიდაციის თვალსაზრისით. ასე რომ, გასული წლის 29 დეკემბრის შემდეგ, აფხაზურ-ქართულ კონფლიქტად მონათლული რუსეთ-საქართველოს უთანასწორო ომი მესამე, გადამწყვეტ ფაზაში გადაზრდილა, ანუ ვითარების გაშიშვლების, ფრჩხილების გახსნისა და კრიზისის ძალადობის ფაქტორით გადაწყვეტაში, თუნდაც საამისოდ ნატოს ბლოკში გაწევრიანებაც მოგვიხდეს.

შენ რომ ყოფილიყავი დეპუტატი უშუალოდ, შეძლებდი არსებული მდგომარეობის განსხვავებულ ინტერპრეტაციას? მჯერა, ათასები აგყვებოდნენ, როგორც ხელოვნური დაპირისპირების ჭირისუფალს და არა — მიზეზს, მათი ჭირ-ვარამის გამზიარებელს და მეოხს წლების მანძილზე. იარაღისთვის ხელი არ გიხლია, მაგრამ სოხუმში აფხაზებისთვის და ქართველებისთვის თანაბრად ჩაგქონდა პენსიები ტყვიების წვიმაში. რითი შეძლებდი შენ ელექტორატორის გულის მონადირებას? რას ეტყოდი ისეთს, რომლის გამო ხალხი უხმოდ მოგენდობოდა, აგყვებოდა?

— ვგონებ შენი ბროშურიდან მახსენდება ფრაზა რუსის ოფიცერდაპატრონებულ, საკუთარ ოჯახში მისულ ოჩამჩირელზე... როდემდე უნდა მალოს გვარი იმ უბედურიშვილმა?! ასეთი კუკუმალობით გვინდა აფხაზეთის დაბრუნება? სხვისი ხელებით ნარის გლეჯა იოლია. სანამ სიკვდილის შიშზე არ გავიმარჯვებთ, სანამ საკუთარი სიცოცხლე სამშობლოზე მაღლა დაგვიყენებია, ლამაზი სიტყვებია ყოველივე.

მსოფლიოს პოლიტიკური რუკა მდინარესავით ხშირად იცვლის კალაპოტს. ზოგჯერ ხდება ისე, რომ ჩვენსავით პატარა ქვეყანა ამ მდინარის ხან მარჯვენა ნაპირზეა და ხანაც — მარცხენაზე. პოლიტიკური მდინარე ძალთა ბალანსია, გაწონასწორება გიგანტებს შორის. ადრე ბალტიისპირეთიც, ჩვენც,აზიის რესპუბლიკებიც, ცენტრალური ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიანად ამ უჩინარ, მაგრამ გადაულახავი მდინარის მარჯვენა ნაპირზე ვიყავით ყველა. ზოგჯერ რკინის ფარდასაც უწოდებდნენ ამ სტიქიას, ბერლინის კედელსაც და ვინ მოსთვლის, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ ჩვენ, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოქცეული თითოეული რესპუბლიკა, გულგრილად ვთვლემდით ამ მდინარის მარჯვენა სანაპიროზე. თუმცა აგერ, სულ რაღაც ათიოდე წელიწადში, იმდენად შეიცვალა კალაპოტი მისმა მოძალეობამ, რომ ლამის არც გვიგრძვნია ისე, მარცხენა სანაპიროზე ვართ უმეტესი და ეს ეჭვმიუტანელი რეალობაა, გური, ჯიმა. სიმბოლური მსჯელობა გამომივიდა, მაგრამ შენი პროფესიის კაცს უნდა გიხაროდეს, მთლად რობოტი ძუძუმტე რომ არ გარგუნა იღბალმა!

არძინბა შიშით შეხკანკალებს ამ უჩინარი მდინარის მოძრაობას. იცის, ჯერი მასზეა, თვალსაც ვერ

დაახამხამებს ისე, ერთ მშვენიერ დილას, თავისი ჭკუით ვითომ საიმედოდ გამაგრებულს შესაძლოა, მტრის გარემოცვაში გამოეღვიძოს. მაშინ ნახე მისი და მისნაირთა ვირთხასავით წრიპინი, როცა სამართლიანობის ცეცხლს შეუნთებენ გაგრაში ქართველების თავებით გამართული ფეხბურთის თუ ფეხმძიმე ქალების მუცლებიდან ამოგლეჯილი შვილების საწინდრად; როცა მართლმსაჯულების თაღქვეშ გაატარებენ და ვერ გაეტევიან ისინი ამ გრანდიოზული პორტალის წიაღში, როგორც აქლემი ნემსის ყუნწში, ქრისტესებურად, თავიანთი აღურიცხველი ცოდვიანობის გამო.

გური, ჯიმა, როდესაც მიანიშნებ დიდი აბრეშუმის გზაზე, ნავთობსადენზე და ასე შემდეგ, ეს მართლაც სერიოზული მცდელობაა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ფუნქცია მოეძებნოს ხელახლა გადანაწილებულ მსოფლიოში, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ როდი დამთავრებულა, მიმდინარეობს ერთის განვრცობა მეორის შეკუმშვის, შემჭიდროვების ხარჯზე. ხოლო ჩვენი მრავალწლიანი არსებობა კოლონიური ეკონომიკური მოდელისა იყო სრულიად გადაუჭარბებლად. ეს შენ ხატოვნად ახსენი ჩვევისამებრ ჭანჭიკისა და ქანჩის დონეზე, — იცინის, ქვედა ტუჩი ძლივს გამოეყოფა ბარაქიან ულვაშს, — ახლა ჩვენი ქვეყანა თუ ჩაეწერება დასავლურ სივრცეში, ანუ განვითარებული ქვეყნების სივრცეში, მაშინ ქანჩის და ჭანჭიკის პრობლემა წყდება ამგვარად... სადაც უფრო იაფად შეიძლება ამის გაკეთება და სადაც მეტ მოგებას მისცემს ეს მის შემქმნელს. აქ ურთიერთობა პირდაპირია, გამჭვირვალე, ღია, დიქტატი ვერ განხორციელდება, უფრო ცივილურია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობანი, მაგრამ მთლად ისეთი გულუბრყვილოებიც ნუ ვიქნებით, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე მართლა ყველა სახელმწიფო თანასწორუფლებიანია და არიქა, თითოეული იმას ფიქრობს, როგორმე უანგაროდ გაუმართოს ხელი გაჭირვებაში ჩავარდნილს და არა პირიქით, დაიკმაყოფილოს თავისი ეგოისტური ინტერესები სხვისი დაკნინების ხარჯზე. ეს გულუბრყვილობაა.

აფხაზეთის განთავისუფლების პარტიასთან დაკავშირებით ჩვენ გარკვეული კომენტარი ზემოთ გავაკეთეთ. ახლა მინდა დაუფარავად ვთქვა, რომ პარტიის ელექტორატი თუ იქნება სოციალური პრობლემატიკით დამძიმებული ხალხი, მაშინ გულახდილად გეუბნები, დიდი პერსპექტივები მას არ ელის. ჯერ ერთი, სოციალური ფონი იმდენად მძიმეა, რომ მის რაიმე მოგვარებაზე, უფრო სწორად, გადაწყვეტაზე საუბარი ამ პარტიის მხრიდან ილუზიურია.

მე უფრო მგონია, რომ პარტიას პერსპექტივა ექნებოდა მაშინ, როდესაც ის დაარწმუნებს თავის ამომრჩევლებს, რომ უკომპრომისოდ იბრძოლებს აფხაზეთის დასაბრუნებლად, არა რაღაც დიდი დაპირებებით სოციალურ პლანში, თითქოს გაუდიდებს ხელფასებს, მისცემს ბინებს, დაუნიშნავს მაღალ პენსიებს და ასე შემდეგ, არამედ აღუთქვამს უფრო რეალურს და კონკრეტულს: იბრძოლებს აფხაზეთის, სამაჩაბლოს დასაბრუნებლად; იბრძოლებს საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციის შესაცვლელად ზოგ მხარეში; იბრძოლებს პატრიოტული სულისკვეთების აღსაზევებლად ერში, ეროვნული თანხმობის მისაღწევად და ამგვარ ასპექტში ხალხის ნაწილი ახყვება მას; მაგრამ ჩემის აზრით, ძალიან გულახდილი თუ ვიქნები, ესეც არ უნდა იყოს პარტიის მიზანი მაინცდამაინც, რათა გარკვეული ოდენობის ხმები მოაგროვოს არჩევნებში. იქნებ მიზანი უფრო სხვა იყოს. ჩემთვის უცნობია ამ პარტიის ლიდერთა აზრები. ამის თაობაზე, მე უბრალოდ ხიპოთეზის დონეზე ვლაპარაკობ და ყოველივეს რეკომენდაციად და რჩევად ნუ ჩამომართმევ.

იქნებ მიზანი უფრო დიადი ის გახლდეს, რომ არავის მიეცეს საშუალება, შინ თუ გარეთ, მტერს თუ მოყვარეს, დაივიწყოს აფხაზეთი; ებრძოლოს და ეწინააღმდეგოს ნიადაგ საქართველოს გამთიშველ ტენდენციებს; იყოს გამუდმებით მონოლითურობის მქადაგებელი, როგორც ტერიტორიულად, ისე — ფსიქიკურად, ენობრივად. იბრძოლოს პოლიტიკური ყველა ხერხით და მეთოდით. ჩანასახშივე ამოშანთოს აფხაზეთის, ზოგადად სრულიად საქართველოს ერთიანეობისთვის საზიანო მოძრაობანი, სხვათა ცილისმწამებლური გამოხდომანი, ისტორიული სინამდვილის გაყალბებანი საერთაშორისო მასშტაბით იდეოლოგიური ფრონტის გაშლით, ინფორმაციული ომის გაჩაღებით; ყველაფერი გააკეთოს მოარული ხმების გასაბათილებლად, როგორიცაა: ,,აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ'', ,,აფხაზეთი დაკარგულია'', ,,ლტოლვილები აფხაზეთში არ დაბრუნდებიან, ვინაიდან აწყობილი აქვთ კარგი ცხოვრება, შეუძენიათ ბინები, მანქანები'' და ასე შემდეგ. ეს აბსურდია და ამის შესახებ სხვათაშორის, გური, ჯიმა, ადრეც გვილაპარაკია.

ზოგი შეიძლება მართლაც დარჩეს, ქალიშვილი გათხოვდეს, ბიჭი დაქორწინდეს, ვიღაცა მოკვდება, იქით მთლად ანგელოზი მოგვევლინება, ცხადია, ჩვენ აფხაზეთში თავდაპირველი შემადგენლობით ვერ დავბრუნდებით, მაგრამ იქ სამასი ათასი ქართველი რომ უცილობლად განაახლებს თავის იავარქმნილ ფუძეს თუ გაიჩენს სულაც ახალს, ეს ტენდენცია ეჭვშეუტანელ დებულებად უნდა ჩავიბეჭდოთ გონებაში, თითოეული ქართველის ცხოვრებისეულ მიზნად, აქსიომად.

აი, ამისთანა შემთხვევაში აფხაზეთის განთავისუფლების პარტიას ნდობით ახსენება ხალხის ფართო მასები და შეიძლება იგი მეთაურ პარტიადაც მოგვევლინოს შემოდგომის თუ მომავალ არჩევნებში. სხვა რა ვივარაუდო ახლად შექმნილ პარტიაზე? რამდენადაც ვიცი, ჯერ ყრილობაც არ ჩატარებულა, აღარც პროგრამაა გამოქვეყნებული და მიმძიმს რაიმე კონკრეტულის თქმა.

— ელექტორატის ასე უღვთოდ დანაწევრებაზე არაფერს იტყვი? ალბათ, დასაგმობია ხუთპროცენტიანი ბარიერი, ეს ხელოვნური წინაღობა გულში ლახვარს სცემს პარლამენტში ნამდვილი მამულიშვილების მოსვლას. იყოს პროცენტულობა, მაგრამ არა სავალდებულო, არჩევნებიდან გამომთიშველი. თუ ხუთი პროცენტი ასიათასი ამომრჩევლის მხარდაჭერას გულისხმობს, ანუ იგივე თერთმეტ მანდატს პარლამენტში, მაშინ სიტყვაზე, ოციათასი ხმის მომპოვებელს უნდა შეეძლოს თავისი ორი კანდიდატის გაყვანა. მოგვიანებით ეს უმცირესობანი ჩამოყალიბდებიან პარლამენტის შიგნით საერთო მიზნებისა და მისწრაფებების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, რომელიმე პოლიტიკური ძალის ფორსირებული გამარჯვების შემთხვევაში, ჩნდება საშიშროება ბალასტის შემოპარებისა, ვინაიდან დღეს საქართველოში არ არსებობს პარტია, რომელსაც ათზე მეტი პოლიტიკური ფიგურა ხყავდეს, ცხადია, ხიპერბოლური ლმობიერებით.

— ამგვარი ტენდენცია, პრაქტიკა დიდი საზიანოა სრულფასოვანი პოლიტიკური ნების გამოსახატავად. ეს შეიძლება იყოს გარკვეულწილად მზაკვრული გეგმა ზოგიერთი მოღვაწისა ან პოლიტიკური ძალისა, რათა ხმები იმდენად დანაწილდეს და დაიქსაქსოს, ამა თუ იმ პარტიამ ვერ გადალახოს 5 - პროცენტიანი ბარიერი და ვერ მოხვდეს პარლამენტში. მაგალითისთვის 95 წელს რეფორმატორებმა 4,3 პროცენტი ხმა მიიღეს ამომრჩევლებისგან, ლამის ოთხმოცი ათასი და დრაკონული წესის შესაბამისად მაინც გარეთ დარჩნენ, პოლიტიკურ სარბიელს მიღმა. შენი წინადადების კვალობაზე კი რვა დეპუტატი გვეყოლებოდა პარლამენტში. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, არჩევნების კანონს, თუ სხვას, თავიანთ ყაიდაზე ჭრიან და კერავენ გარკვეული ძალები.

ისევ მოვუბრუნდები ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ შექმნილ საზოგადოება „სამეგრელოს“,ბატონ ბეჟან გუნავას ხელმძღვანელობით დაარსებულ მოძრაობას თუ საზოგადოებას — „კოლხეთი — ერთიანი საქართველოსთვის“ და სხვას; არ გამოვრიცხავ კვლავაც შეიქმნას მსგავსი მიზანდასახულობის მიმდინარეობანი და ამისთანა შემთხვევაში აფხაზეთის განთავისუფლების პარტია თუ შეეცდება და მიაღწევს რაღაც კონსენსუსს და ამ ყველაფერს მიმართავს მართლაც აფხაზეთის დასაბრუნებლად, საქართველოს ერთიანობისთვის, მაშინ შეიძლება ეს მოძრაობა პროგრესულად წარმოჩინდეს, ზოგადეროვნული საქმის სასიკეთოდ, სხვანაირად მე გულწრფელად გეტყვი, დიდ პერსპექტივას ვერ ვხედავ.

ახლა აქ ერთი ნიუანსია შენს არშინიან კითხვაში და ამასაც მინდა გავეპასუხო: ძალიან მენიშნა ფრაზა, რასაც მესამე ფაზაზე ანუ კრიზისის ძალადობის ფაქტორით გადაწყვეტაზე ამბობ. ბატონ თამაზს უდავოდ ვეთანხმები იმაშიც, რომ თავზე ხელის გადასმით, მე ამ შემთხვევაში არძინბას მიზანთროპ თავს ვგულისხმობ, ჩვენ აფხაზეთში არავინ დაგვაბრუნებს, ან თუ დაგვაბრუნებენ თხილის შემგროვებლის თანამდებობით. გვიმსჯელია ამის თაობაზეც „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან. დღეს თუ იქ ვინმე გადადის და რაღაც ციფრებს ასახელებენ, მე და შენ მაინც ვიცით კარგად...

— ისინი თავიანთი რისკით გადასული ხალხია.

— ხო, რისკით და რისთვისაც არიან გადასულნი, ისიც მშვენივრად გაგვეგება: მოხნავენ, დათესენ, იმის იმედით, რომ იქიდან ორი ტარო სიმინდი გამოიტანონ თუ რაღაცა მიზერული სარჩო ხქონდეთ ფიზიკური გადარჩენისათვის...

— ან კიდევ იმ მოროდისას განიგმირონ სეპარატისტული ტყვიით ბაკვა სახეიშვილის თუ კოტე ანჩაბაძის ბიჭის მსგავსად...

— ეგეც არის, მსგავსი ბარბაროსობა წიგნებშიც არ შემხვედრია, მაგრამ მოვეშვათ იდეოლოგიას, მე მაქვს ინფორმაცია, რომ არძინბას შემოჩეჩებული ანკეტა მხოლოდ სამოცმა თუ სამოცდაათმა კაცმა შეავსო, როცა ათასობით ადამიანია გადასული ღვთის ანაბარა. ამ შემთხვევაში ვერავინ იტყვის სამურზაყანომ არძინბას რეჟიმი შეიწყნარაო, ასეთი ფორმით აღიარებს მათ კანონიერებას და მონის პროფილით ბრუნდება თავის კუთხეშიო.

უფლის განგებით ჩვენს ხალხს ყოფნის ქართული სიბრძნე, მამულიშვილური გრძნობა, მტრის წისქვილზე წყალი არ დაასხას. მე დღეს ხუთმილიონიან საქართველოში ასიათასიან სამურზაყანოზე უფრო პატრიოტი კუთხე არ მეგულება, მაგრამ როცა კაცს რეალურად შია თუ წყურია და შეიძლება იქიდან ერთი ბათმანი ფქვილის თუ ქილა* თხილის გამოტანა სიცოცხლის რისკის ფასად, საერთო უკუღმართი ცხოვრებისგანაა, ხოდა, ამისთვის მიწა გადააბრუნა და თესლი ჩააგდო შიგ

შვილების სამომავლო არსებობისთვის, ამაზე, მოდი, მათ ნუ გავამტყუნებთ და რაღაც იარლიყებს ნუ მივაკერებთ. მე ამასაც ძალიან დიდი გულისტკივილით ვამბობ სხვათა შორის, იმიტომ რომ, როდესაც გაიჟღერებს ციფრი, ოციათასი თუ ოცდახუთიათასი გადავიდა ენეგურს გაღმაო, ამის თაობაზე ამნაირი კომენტარიც გამიგონია:

აი, ხომ ხედავთ, ისევ არძინბასკენ მირბიანო!

ამისთანებს ენის მაკრატლებით დამოკლება არ აწყენდათ. ადვილზე ადვილია ვინმეს განკითხვა და განსჯა, განსაკუთრებით ლტოლვილის, დევნილის, ხიზნის, გინორატილიში, მშიერ-მწყურვალის, როცა ყოველივე მოლაყბეს თვითონ არ უგრძნია.

— ეგ თავისთავად, ნაძირალა ყველას მოეპოვება, ქართველსაც, აფხაზსაც. სხვათა შორის მე უზნეო თანამემამულეს ღირსეული გადამთიელი ასწილ მირჩევნია, ამიტომაც შეგახსენებ შენგანვე მრავალგზის მოსმენილს: აფხაზისთვის საამაყოა მათსას ნასტუმრალზე სიტყვის ჩამოგდება: „ჩემს სახლში ნამყოფი კაციაო", თავმომწონეობს ხოლმე მისით, გნებავთ ვერ იყოს მაინცდამაინც ჯაჭვის მწყვეტელი. ჩვენ აფხაზის კულტი გვქონდა საერთოდ, არათუ სამეგრელოში, არამედ სრულიად საქართველოში. გავიხსენოთ ქართული მწერლობა, ხაკი აძბა, კაც ზვამბაია...

— ვერა მარშანია... ვერა მარშანხე.

— მადლობთ, მადლობთ! აფხაზი კაცურკაცობის ეტალონად წარმოგვესახა. საამისოდ ვქმნიდით კიდეც მხატვრულ ტილოებს , მაგრამ არა იმისთვის, რაღაცნაირად მომადლიერებულნი გვყოლოდნენ, წავუაფერისტეთ, წავულიქნეთ; ეს იყო ბუნებრივი მოთხოვნილება, ვითარების რეალური სურათი. ხოდა, სწორედ ეს დაიხვია ხელზე მესამე ძალამ, აქა-იქ იმპერიასაც რომ ვეძახით, გუშინდელი აფსუა და ძირძველი აფხაზი, წმინდა სისხლის ქართველი დაამთხვია ერთმანეთს დროსა და სივრცეში;უზარმაზარი მზითევი ჩააბარა, რათა ამისთანა სიტუაციებში, ამნაირი კონფლიქტების ჟამს, ყურმოჭრილი ხყოლოდა, თავის ნების უყოყმანო შემსრულებლად. აბა, ვინმე წარმოიდგენდა აფხაზისგან კაცის თავებით გამართულ ფეხბურთს, ან ქალის მუცლიდან თვალგაუხელელი ბავშვის ამოცლას და სულთმობრძავი დედის წინ ხიშტზე წამოგებას; ან კიდევ ჭიქაში მოგროვებული სისხლით ღრეობას დაჭრილი დონორების სულების შესაძრწუნებლად? ესოდენ ნალოლიავები აფხაზის უზომო შიშით გასაჯერებლად, რათა მის ხსენებაზე ქართულ მოსახლეობას სისხლი ეყინებოდეს ძარღვებში, მუხლები უკანკალებდეს და ლუკმა უვარდებოდეს პირიდან.

ეს ჩინებულად მოახერხეს ცოცხალი ლაბორატორიის მესვეურმა რუსებმა, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. ალბათ, გასააზრებელია აფხაზი და ქართველი ხალხების სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები.

ერთის მხრივ ვამბობთ, აფხაზს სხვა სამშობლო არ გააჩნიაო.

ეროვნული მოძრაობის პირველ სტადიაში გვახასიათებდა მიდრეკილებანი: აფსუა სეპარატისტი საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდანაა ჩამოთესლილიო, სრული გაორებაა.

პლუს ამას, ვიწრონაციონალისტური ტენდენცია: ასიათასი ქართველი გავწყდებით და აფხაზებს მუსრს გავავლებთო! როგორი, რანაირი შესათავსებელია ქართველის ტოლერანტულ ბუნებასთან? რანაირად ხუნდება ვეფხისა და მოყმის ბალადის უმაგალითო სტრიქონები: იქნება ვეფხის დედაი ჩემზედ მწარედა სტირისაო.

სიტყვა „აფხაზი" რაინდისა და კაცურკაცობის სინონიმად გამოიყენებოდა ჩვენს კუთხეში. ბევრჯერ მსმენია მამაჩემზე:

აფხაზაცალო წესიერ კოჩ რენია.* მე ეს მეამაყებოდა. მართალი გითხრა და სიტყვა „აფხაზი" ჭერი იყო ჩემთვის ადამიანის შეფასებისას.

ახლა შევხედოთ მეორე კუთხით. დრომ დაგვანახა, გური, ჯიმა, რომ აფხაზი და აფსუა სინონიმები არ ყოფილა. ხუხულასავით დაანგრია აფხაზის დიდბუნებოვანება აფსუას ექვსწლიანმა პარპაშმა. მისი ისტორიული სულგრძელობა თუ სტუმრის კულტი წარსულს ჩაბარდა. ბოლოს და ბოლოს ვეღარ შეძლო აფსუამ თავისი ნამდვილი სახის შენიღბვა, ფარდა აეხადა მის ვერაგულ ბუნებას.

ისტორიულ აფხაზს მართლა არა აქვს სხვა სამშობლო, ხოლო აფსუას მოეძევება მოგზაურთა რუკებზე ადგილსამყოფელი,მაგრამ მოდი, ამჯერად ამით შემოვიფარგლოთ, ესეც ვიკმაროთ და პირველ რიგში ვილაპარაკოთ იმაზე თუ როგორ ავაშენოთ სამართლებრივი სახელმწიფო ესოდენი ჭრელი ეთნიკური შემადგენლობით.

ასამდე ეროვნების ხალხს მოითვლის ჩვენი საზოგადოება; ზოგი მათგანი 26 საუკუნის წინ შეგვიკედლებია, ზოგი — გუშინწინ თუ გუშინ და მადლობა უფალს, სხვათაგან განსხვავებით, საქართვე-

ლოში, შუაგულ იმერეთში, ქუთაისის მახლობლად მხოლოდ ებრაელობას არ გასჩენია პრეტენზია სახელმწიფოს შექმნის თაობაზე.

სხვისი გადაჯიშება, ასიმილაცია ქართველის მიზანს არასდროს შეადგენდა. პირიქით, ქართველს ჭირივით ეჯავრება გვარნაცვალი ხალხი. საკუთარის უარმოყოფელი შენსას დაიცავს? ჩინებულად იცის ეს ქართველმა და უნდობლობით ეკიდება ქვეძრომია ქმედებებს, მაგრამ ზოგჯერ მათი ყურმოჭრილი მონაც ხდება ხოლმე, საკითხი როცა ეხება მამონას, ქრთამს, თუმცა ესეც განშტოებითი თემაა; ჩვენ სხვა მდინარებას მივყვებით: აფხაზის როლს და ადგილს საქართველოს სახელმწიფოებრიობაში.

აფსუა ორასი წლის წინ თუ საუკუნის მიღმა მორგებია აფხაზის მემკვიდრეობას, ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს. რეალობა ერთია: საქართველოში ჩამოყალიბებულა ლამის ასიათასიანი ეთნიკური მთლიანობა, რომელსაც უკვე სხვა სამშობლო არ გააჩნია, ვიდრე საქართვლო და ჩვენც ეს სინამდვილე უნდა გავისიგრძეგანოთ პოლიტიკური გადაწყვეტილებისას.

სახელმწიფოს ადამიანის სხეულს თუ შევადარებთ უხეშად, ნებისმიერი ორგანიზმი ერთი მთელის ინტერესებს ემსახურება და აქ რომელიმეს გამოკერძევება, გამოცალკევება იწვევს თავად ინდივიდის დაღუპვას. ამას ვერ შეურიგდება ქართველი საზოგადოებრიობა. ეს თვითმკვლელობაა ჩვენის მხრივ.

აფსუა-სეპარატისტების მიზანი ნათელია — ყველა ღონით და საშუალებით შეინარჩუნონ აფხაზეთის ტერიტორია, რათა ინტენსიურად ჩამოასახლონ იქ თავიანთი დიასპორები თურქეთიდან თუ სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც რაოდენობრივად ლამის ორჯერ და მეტად ჭარბობენ ადგილობრივს და აგრეთვე დერეფანი გაუხსნან ჩრდილოეთ კავკასიის ერებს ზღვაზე გასასვლელად. ჩრდილოეთ კავკასიის გმირი ხალხი ღირსია ეზიაროს ევროპულ ცივილიზიციას, მაგრამ არა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების გათელვის ფასად.

მესამე ათასწლეულში შესაძლოა ,,კავკასიური სახლის'' იდეა რეალობად იქცეს, უამრავი თვითმყოფადი ერი რაღაც საერთო პრინციპების გარშემო დაირაზმოს და ამისთანა ვითარებაში მოიხსნება კიდეც რუსეთისგან ინსპირირებული აფხაზურ-ქართული კონფლიქტი, მაგრამ დღეს ქართველების თავების სტადიონზე ბურთაობით და ფეხმძიმე დედების მუცლებიდან ამორთმეული შვილების ამაზრზენი მეანობით, ამის მიღწევა ყოვლად შეუძლებელია. ყველაფერს რომ მოვეშვათ, მსგავს კანიბალიზმს ცივილიზებული მსოფლიო არ დაუშვებს.

მოკლედ, გური, ჯიმა, ჩვენ ვერ გავაიგივებთ ვლადისლავ არძინბას პირსისხლიან ხროვას და ბატონ ლორიკ მარშანიას დიდბუნებოვან აფხაზობას. შუა უზის დიდი ზღვარი. უდღეურია არძინბას ჭინთვები, მაგრამ დასასრული არ უწერია ლორიკ მარშანიას ერის აღორძინებას, ის თვითონ საქართველოს მომავალზეც იქონიებს გარკვეულ ზეგავლენას უამრავი ასპექტით. მაგრამ აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკაში დაშვებული იყო უამრავი ორმხრივი შეცდომა. მრავალთაგან მხოლოდ ერთს ვიკმარებდი: როცა აფხაზეთის უნივერსიტეტი... შეხედე, ჩვენ ამ ტერმინით, ამ დასახელებით, უკვე შევქმენით კონფლიქტის წინაპირობა. უპრეცენდენტო შემთხვევაა უნივერსიტეტის ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბება — გავყავით ქართულ და აფხაზურ უნივერსიტეტებად. ერთი ბოროტება ორად ვაქციეთ. ეს ერთ მავან მაღალჩინოსანს ეროვნულ გამარჯვებად მიაჩნდა მაშინ. მე კარგად მახსოვს, იმ გადაწყვეტილების მეორე თუ მესამე დღეს, თავიანთი უმეცარი ქმედებით აღფრთოვანებულს დაუფარავად მივახალე:

ჩათვალეთ, რომ საქართველო დაგიღუპავთ-მეთქი. ჯერ გაოცდა მოულოდნელი შეფასებით და მერე გამწარდა:

კი მაგრამ რატომო.

მაშინ თავი მოვუხსენი მამაჩემის გაკვეთილების არსენალს კანტისეულ მრავალერთიანობის კანონზე, ნაწილისა და მთელის დამოკიდებულებაზე. მიმზერს თვალებდაფცლეპილი. არ ვაკმარე ლექციები ფილოსოფიასა თუ პოლიტეკონომიაში, პრაქტიკულით დავუსრულე თავში კაკუნი:

როცა უნივერსიტეტში მოვხვდი,ჩემს ჯგუფში კახელებიც იყვნენ, იმერლებიც, გურულებიც, მაგრამ მეგრელი ერთადერთი აღმოვჩნდი-მეთქი, და თანაც ყველა ამრეზით მიყურებდა თავიდან, ახლოსაც არ მეკარებოდნენ, როგორც ქეციანს-მეთქი.

მერეო, წასძლია სულმა იმ ჩინოვნიკს.

მერე წავიდა სწავლა. პირველ სემესტრში, როცა ყველას გადავუჯოკრე, იკადრეს თავის კანტური. შემდეგ წავიდა ექსკურსიები, დღეობები, ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, ოჯახური ურთიერთობანი. მეორე კურსის მიწურულს უკვე უჩემოდ სუფრა არ იმართებოდა, სათამადო ადგილიც ყოველთვის განკუთვნილი იყო ჩემთვის, კახელების ბარაქიან სუფრაზე გაჩნდა იმერული ხაჭაპურები

და მეგრული საცივი ღომით.

ცოტა წავიხემსოთ, თორემ მამლებმა ზეცა ჩამოიღეს.

— ნურაფერი გედარდება, ილაპარაკე და ყველაფერს აქ გავაჩენ.

— ხო, ჩემო, ბატონო და შევეთამამეთ ერთმანეთს, ჩვენ ვირებზე შევეანეკდოტეთ იმათ, ისინი თხებზე — ჩვენ. მითხრეს ერთხელ:

რა კარგი ხალხი ყოფილხართ მეგრელები, რატომ აქამდე არ ვიცოდითო.

მეგრელების სიცუდე გვარნაცვალი ქართველებისგან მოდის ძმებო-მეთქი, და მას აქეთ ჩვენს მეგობრობას ბზარი არ გასჩენია.

როტომ არ შეიძლებოდა მზაკვრულად გახლეჩილ იმ უნივერსიტეტში ერთად ესწავლათ აფხაზებს და მეგრელებს, ცხადია, აქა-იქ კახელებისა და იმერლების მხარდამხარ? ერთმანეთის ოჯახებში ევლოთ, დავახლოვებოდით ერთურთს, მაგრამ ჩასაფრებულმა ჭკვიანმა მტერმა მომენტი ხელიდან არ გაუშვა და გაგვთიშა, რათა მეტი საფუძველი ხქონდეს ეროვნულ დაპირისპირებას-მეთქი.

— იქ უფრო ფინანსური ინტერესები დომინირებდა.

— აგაშენა ღმერთმა. კიდევ კარგი ამის თაობაზე სრული სიმართლე ოთხი წლის შემდეგ გავიგე. სიები წინასწარ ყოფილა შედგენილი თუ ვინ უნდა ყოფილიყო სტუდენტი და ვინ — არა.

— სიები ვერ გაიყვეს აფხაზმა და ქართველმა პროფესორ-მასწავლებლებმა.

— ძაღლის თავიც აქ მარხია. ვაიმეცნიერებმა კერძო, მერკანტელური ინტერესები ხელოვნურად გადაზარდეს ნაციონალურ უთანხმოებაში; საკუთარ ჯიბეს, სტომაქს ანაცვალეს ცეცხლზე შედგმულ რძესავით ნიადაგ სახაფაციცო ქვეყნის ინტერესები აფხაზეთში. დავმალოთ ეს სიმართლე?

საზღვრები რომ გაგვეხსნა ციტრუსებისთვის, ინსპექციას გლეხობის სისხლი რომ არ ეწოვა, მოაფიქრდებოდა აფხაზს კრასნოდარის მხარესთან შეერთება? მივჩქმალოთ ეს რეალობა?

გატყლარჭული, პომპუზური მეგობრობის ზეიმებს ვმართავდით რუხში, კომკავშირული ელფერისას და თბილისიდან ვუგეგმავდით რამდენი თხა ჩამოეწველათ, რამდენი გაეყვანათ ბაზარზე და საბალახოდ რამდენი გაეშვათ მაღალმთიან საძოვრებზე. გამოგვადგა. მერე იმ რამდენადმე არვეს პეტელი?

ამისთანა ურთიერთწამკიდებელი, ურთიერთშემძულებელი დამოკიდებულებათა სცენარი უფრო ზემოთ იწერებოდა, მავზოლიუმის სიახლოვეს.

ახლა, ხვალ, ხვალ როგორ წარმომიდგენია აფხაზისა და ქართველის ურთიერთობა? ხვალ ერთ სახელმწიფოში ვიცხოვრებთ, ჯიმა, ლორიკ მარშანიას და გური ოტობაიას ხალხი. ნუ იშმუშნები! კმარა ზედმეტი თავმდაბლობა! სრულიად საქართველო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აფხაზის, ქართველის თუ სხვათა გენეტიკაში ჩაკირული ღირსეულის, ზოგადკაცობრიულის აღზევებას. აფხაზი თავის აფიარცხაზე დაუკრავს და იმღერებს განუმეორებელ „ოურაიდას", იცეკვებს, ლექსს დაწერს, მოთხრობას და რომანს, მაგრამ — არა შოვინისტურს, ანტიქართულს, როცა ერთი ბელეტრისტის პერსონაჟი ქართველის სისხლს სვამს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და მისაბაძ მაგალითს სთავაზობს შთამომავლობას მოქმედების პროგრამად.

რაც უფრო ჩქარა უარყოფს სეპარატისტებისგან თავგზააბნეული აფხაზი ერის ნაწილი სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების აგების პერსპექტივას, მით უფრო სწრაფად დაიბრუნებს თავის ისტორიულ იერსახეს, და ეს მომენტი ყველასთვის სასარგებლო იქნება, როგორც აფხაზ-ქართველისთვის, ისე კავკასიისათვის და შესაძლოა მთელი მსოფლიოსთვისაც. აფხაზთა დიდი ნაწილი მიხვედრილია ამას.

— მიხვედრილია, მაგრამ იარაღის ქვეშ ძნელია არჩევანის გაკეთება.

— დიახ, დიახ, სამწუხაროდ მათ თავიანთი ნების გამოხატვის საშუალება არ გააჩნიათ. აი, როცა ბატონი თამაზი ძალადობაზე ლაპარაკობს, რომელიც რასაკვირველია, არძინბას და მის ხროვას ეხება და არა ზოგადად — აფხაზებს, აი, ამ პოზიციაში მე ბატონ თამაზს აბსოლუტურად ვეთანხმები. მაგრამ ძალა რომ გამოიყენო, უნდა გაგაჩნდეს იგი, ან უნდა შექმნა. აქ საუბარია როგორც საკუთარზე, ისე იმ ძალაზე, რომელიც შეძლებს კონფლიქტში ჩარევას გაეროს წესდების შესაბამისად და საერთოდ, მომხრე ვარ გასამართლდენ არა მხოლოდ აფხაზი სეპარატისტები...

— გასაგებია შენი პაუზა. გადაიღე რამე. შეჯამების დროც მოახლოებულა. 91-92 წლების მოვლენების პოლიტიკური შეფასება გარკვეული მოსაზრებით შთამომავლობას გადავულოცეთ.

— მხოლოდ და მხოლოდ სტრატეგიული მოსაზრებით.

— გადავედით მეორე საკითხზე და ისიც მომავალ თაობას მივანდეთ განსასჯელად. პასპორტში ეროვნების რეკვიზიტის ლიკვიდაციაც მათთვის ხომ არ გადაგვებარებინა?

— გური, ჯიმა, მომავალ თაობაში მაინც და მაინც შენსა და ჩემს მცირეწლოვან შვილებს როდი

ვგულისხმობ, არამედ, ხა და ხა—ორ საპარლამენტო პერიოდს. არძინბას ხომ განვუმზადეთ ნიურნ-ბერგის სავარძლები თავიანთ ოპონენტებთან კავშირში? საპასპორტო ციებ-ცხელება კი არ არის ამ რანგის პრობლემა.

— რატომ?! წვეთებისგან იქმნება ოკეანე. როცა ერთ პარამეტრში დაიჩაგრები, მეორეში, აქეთ სამაჩაბლოს წაგართმევენ, იქით — აფხაზეთს წაგგვრიან, ვიღაცას პრეტენზია უჩნდება სამხრეთში ავტონომია შეგიქმნას, სხვა ჭკუათმყოფელი პასპორტში ეროვნების რეკვიზიტს წაგიშლის, იძახე რამდენიც გნებავს: მუხა ისევ შეიფოთლებაო, ან ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა. თავის მოტყუებაა, სხვა არაფერი.

— გულს ნუ გაიტეხ, ბაჩუკი! ქართული სახელმწიფო ჩვენ და ჩვენისთანებმა უნდა შევქმნათ იმ დონეზე, რომ ძირშივე შეეძლოს მსგავსი გამოხდომების აღკვეთა. როცა ჩვენ კონსტიტუციაში გავაცნობიერეთ საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლება-მოვალეობანი, როცა უშურველად მიმირთმევია მიწა-წყალი საარსებოდ, გიქმნი სრულ თანასწორუფლებიანი ცხოვრების პირობებს და ამისთანა ვითარებაში, რაღაც ავტონომიები მოგინდება, რაღაც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ღირსი არ იქნები კინწისკვრით გისროლო იქითკენ, საიდანაც ჩამოთესლილხარ, თან მიგაძახო გვარიანად გავანაღრძობს:

გაქვს ჩემო ბატონო შენ სახელმწიფო ჩემი ტერიტორიის გარეთ და მიბრძანდი იქ, ააყვავე და ააშენე, გინდა დემოკრატიული, გინდა კომუნისტური თუ სულაც ფაშისტური, მაგრამ, ჩემგან ჯვარი გწერია-თქო.

მოვა, სულ მალე მოვა ასეთი დრო და ქვეყანაც შვებით ამოისუნთქავს, ოღონდ ჯერ ამირანის მოთმინება გვამართებს; ჯერ ვეღარ გამოვაცლით ამირანის ნაჯოჯოხეთარ ღვიძლს ზევსის არწივის ნისკარტს...

— შენი ინტუიციის გამოსაკვლევად ანუ ალღოს მოსასინჯად ერთსაც ჩაგეძიები, ოთარ, ძმაო:

აღსდგება თუ არა საქართველოში სახელმწიფოებრიობა მთელს ტერიტორიაზე მეორე ათასწ-ლეულის მიწურულამდე და კიდევ არანაკლები: როგორი წყობის შეიძლება იყოს ბრძოლით თუ მშვიდობიანი მეთოდებით დაბრუნებული აფხაზეთ-სამაჩაბლოს შემომტკიცებით ფერფლიდან აღმსდგარი საქართველო? ამასთან, რა კონკრეტული ნაბიჯებია საჭირო, რათა ჩვენს სამშობლოში ფინანსური კრიზისიც გამოირიცხოს და ეკონომიკურიც, და აქვე, რანაირი ორიენტაციის ხელი-სუფლება მიაღწევს ყოველივეს, პრორუსული, პროამერიკული თუ პროკავკასიური მოდელით სა-კუთარ წიაღში მოხარშული? სად არის ის ვიწრობი — სცილას და ქარიბდას შორის გასაღწევი ბილიკი, რომელიც ტაძრამდე მიიყვანს ჩვენს ოტობაიასაც, ჩვენს სამურზაყანოსაც, ჩვენს აფხაზეთ-საც აჭარა-ოსეთიანად, დაბოლოს, უზენაეს სალოცავს ჩვენსას, სრულიად შურობუმუს, სრულიად საქართველოს, უჯრედიდან დანახულს და გალაქტიკამდე გავრცობილს? ნუ იცინი, თვითონაც ვხვდე-ბი კილომეტრიანი შეკითხვაა, მაგრამ ერთ ხელჩასაჭიდსაც გაგიმხელ: სომხეთს შეძლებული დიას-პორა ხყავს და ზურგგაშლილიც ამიტომაა; აზერბაიჯანს ნავთობის დიდი მარაგი გააჩნია და ესეც არსებობის მტკიცე გარანტიაა; ებრაელს ახასიათებს ჭკუა, რომელიც გაიგივებულია ქონებას-თან, სიმდიდრესთან და ამ უკანასკნელის გათვალისწინებით 26 საუკუნის შემდეგ ახერხებს თავის ქანაანში დაბრუნებას, სამაგალითო სახელმწიფოს შექმნას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

აი, ქართველს რა შეიძლება ხქონდეს აქ ჩამოთვლილი თვისებებიდან ხელჩასაჭიდი, რომელიც გარკვეული წლების შემდეგ ქვეყნის ურჯულ საძირკვლად, დედაბოძად მოგვევლინება?

— ძალიან საინტერესოდ მსჯელობ, გური, ჯიმა, — პირწმინდად გასუფთავებულ ქათმის მეორე ბარკალს ნამუსიან „რქაწითელს“ მიაყოლებს, — თავად შენ რა მიგაჩნია ასეთ საგანძურად?

— მე გეოპოლიტიკური მდებარეობა და შემოქმედებითი სული.

— აგაშენა ღმართმა! ყველაზე დიდი სიმდიდრე ჩვენი, ნავთობზეც, დიასპორაზეც, დოლარზეც, ოქროზეც და მისი მოხვეჭის წუწურაქულ უნარზეც უკეთესი, გეოპოლიტიკური მდებარეობა იყო: ორი კონტინეტის გზაგასაყარზე ყოფნა, მაგრამ ნიადაგ მისი იმედითაც ვეღარ ვიარსებებთ. რაც მეტად განვითარდება ცივილიზაცია, მით უფრო და უფრო ჩაესვენება ოდინდელი უპირატესო-ბანი. კომპიუტერების ეპოქაში ხელსაყრელ ტერიტორიებს ნაკლები როლი მიენიჭებათ.

მთავარი და ძირითად ქართველი კაცისათვის კოლხეთის გარშემო, სამეგრელოს გარშემო, იგივე ხერხემლის, დედაბოძის თუ ბურჯის გარშემო ერთად დგომის ნიჭის გამომუშავება მიმაჩნია. სახელ-მწიფოებრიობის შეგრძნება, შეცნობა, მოთხოვნილება, ამ უნარების ქვაკუთხედზე ხკიდია, ვინაიდან დიახაც სწორედ კოლხეთია ზოგადევრონული ცნობიერების გენია. ახლა კი ერთი ალთას ვართ, მეორე — ბალთას და მესამე — ხალთას. ერთად დგომის ტრადიაცია დაკარგულია სავალალოდ და პირველ რიგში ეს ნაკლოვანება უნდა აღმოვფხრათ. უნდა აღვზარდოთ ჩვენი პიროვნებანი აკაკის

ლექსის სულისკვეთებაზე: ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო.

ხომ დაკვირვებიხარ, დანაგვიანებულია მრავალსართულიანი სახლის სადარბაზო — მოშარდული და გამამაძაღლებული; შეხვალ ოჯახში და ყველაფერი დაწკრიალებულია. აი, ჩვენი არსებობის ორი შეუსაბამობა. გარეთ თითქოს უცხოა და მხოლოდ შიგნით არის მშობლიური.

სხვას შევხედოთ: შენობის სამი კედელი ლამაზადაა შეღებილი, ან შელესილი, მეოთხეს კი უყურადღებოდ ვტოვებთ, თითქოს გერია, გადამთიელი. ჩვენი უბედურებაც აქედან მოდის. ჯერ უკანა კედელით უნდა დავიწყოთ ჩვენი ყოფიერების გამრთელება, სადარბაზოებით და მერე უნდა მივხედოთ წინხედს თუ ლოჯიებს. აი, ეს ოთახია ჩემი, აი, ეს ბინაა ჩემი, მანამდე მისასვლელი, სადარბაზო, ქუჩა თუ მოედანი კი— სხვისი, ჩემი არ არის. გავიმარჯვებთ ასეთი სულისკვეთებით? ეს გვარნაცვალი ხალხის ფსიქოლოგიაა , რომელთაც ჩინებულად უწყიან სხვის სამშობლოში რომ იმყოფებიან და თითქოს აქედან ადრე თუ გვიან აბარგება ელით, ამიტომაც თითსაც არ ატოკებენ მისი წინსვლისათვის. პირიქით, აფუჭებენ კიდეც, სადაც მოუხერხდებათ, სადაც წაასწრებენ. ამგვარი საგანგაშო მავნებლობანი საჯაროდ უნდა აილაგმოს.

— ჩემს პოლიტიკურ მედიტაციებს, ოთარ, ძმაო, ნახირს ატორღიალებული, დასაჭედად ფეხგამოყოფილი კუს გონჯგონებულობად ნუ ჩამომართმევ. ისე მრავალსპექტრიანად დასხივდა ჩვენი ცნობიერება ათწლიან დაჭიმულ, პოლიტიზებულ ველში, ყველა ტალეირანებად და ეიზენხაუერებად ვქცეულვართ: ვჯღაბნით რამეს, ვთხაპნით, ვთითხნით თუ ვიმანჭებით, ასე რომ, არაფერი გაგიკვირდეს „წიკო-მიკოს“ რეცეპტებიც მოვიშველიო პრობლემათა გადაწყვეტისას. გვინდა თუ არა, სწადია თუ არა ჩვენს სულს, ოთხი განზომილებიდან ერთ-ერთის არჩევანის შესაძლებლობა მოუნიჭებია ზეციერს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის გზაზე. ესენია: პრორუსული, პროამერიკული, პროდასავლური და ამასწინათ ამობრწყინებული პროიაპონური. ამ აბსტრაქტულ გზაჯვარედინზე ჩვენი მომავლისათვის სარგოდ გერმანია-იაპონიის სივრცის მეკავშირეობა წარმომესახება. მოსმენილი მაქვს რამდენიმე წლის წინათ იაპონელების მიერ შესრულებული „ხასანბეგურა“. შვედეთშიც დიდად პოპულარულია ჩვენი სიმღერები, გერმანიაშიც. ამ ორი, დასავლეთ-აღმოსავლეთის ინტერესების საქართველოში გადაკვეთა, საქართველოში გაკვანძვა, საქართველოში შეპირაპირება მგონია სინთეზის პერსპექტივად უამრავი ასპექტით.

04. 11.

— ასეთი კუთხით არ მიფიქრია, გური, ჯიმა, მე უბრალოდ ამგვარი კლასიფიკაცია მაქვს. სად? პროკომუნისტურ მიმართულებასთან თუ ანტიკომუნისტურთან? ესე იგი სახელმწიფო საკუთრებასთან თუ საბაზრო ურთიერთობასთან. ღმერთმა ქნას რუსეთიც დაადგეს ცივილური განვითარების გზას, მაშინ პრობლემა მოიხსნება, რადგანაც ყველაზე პოტენციურ პარტნიორად მოევლინება პატარა საქართველოს;

რაც შეეხება იაპონურისა და გერმანულის შემაკავშირებულ ფუნქციას, პრინციპში ჩემთვის მისაღებია, ვინაიდან მათი სახელმწიფოებრივი მშენებლობა დაფუძნებულია ეროვნულ ტრადიციებზე. იცი, როგორც იაპონელისთვის, ისე გერმანელისთვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება ეროვნული სიამაყის საგანია. ამას სხვის მონათხრობს როდი გიყვები. ერთი პერიოდი დაინტერესებული ვიყავი იაპონიის ეკონომიკის მართვის ხერხებით და მეთოდებით, და ჩემი თვალით დავრწმუნდი, რომ ნებისმიერი მეთოდის არჩევაში საფუძვლად ჩადებულია ის ტრადიცია, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანას გააჩნია,ეს იქნება ოჯახის ტრადიცია, უფროს-უმცროსობის ტრადიცია თუ სხვა. უამრავი დოკუმენტური ფილმი მინიხავს, ვთქვათ, როგორ ამზადებენ იაპონელები თავიანთ მენეჯერებს. აი, დილა იწყება ფიზიკური ვარჯიშით, ეს იმისთვისაა გათვლილ-გაანგარიშებული, რომ იგი პირველ რიგში ავითარებს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს. მღერიან ხიმნს, თავიანთი ფირმისას, კონსერციუმისას თუ მარტივად, რომელ ორგანიზაციასაც ეკუთვნიან. სწავლობენ, შრომობენ და სამუშაო დღე მთავრდება ასევე თავიანთი სამსახურის ხიმნის შესრულებით. ნუ გავაიგივებთ ამას საბჭოურ თუ სოციალისტური საქართველოს ხიმნებთან, რომლებსაც დილის ექვსი საათიდან, გვინდოდა თუ არა, — იცინის, — მიზანმიმართულად გვტენიდა ყურში ქვეყნის იდეოლოგიური მანქანა.

იაპონიაზე, გნებავთ გერმანიაზე ნათქვამი, კომპლექსში ემსახურება იმ ტრადიციათა აღორძინებას, რომლებიც ამ ერებს გააჩნიათ. ამიტომაც ათიანში მორტყმული მგონია მცნება: იაპონია-საქართველო-გერმანია, ან გერმანია-საქართველო-იაპონია, მნიშვნელობა არა აქვს საიდან დავიწ-

ყებთ, ორივე შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა შუალედურ მდგომარეობაშია, ოქროს კვეთას სიტუაციაში და შეუძლებელია ისედაც ზომიერებით გამორჩეულ ქვეყნებთან დასინთეზებულმა საქართველომ სწრაფად არ გაიკვლიოს გზა ზენიტისკენ, როგორც ეს სინამდვილეშია ამომავალი და ჩამავალი მზის ქვეყნების შუაგზაზე მდებარე სახელმწიფო.

აი, დღევანდელ გერმანიაში არის საოცარი რაღაც. პრაქტიკულად სახელმწიფო აფინანსებს ერთ-ერთ ტელეარხს, სადაც უამრავი დრო იხარჯება ანტიფაშისტური ფილმების დემონსტრირებისათვის, საერთოდ ანტიფაშისტური გადაცემებისათვის. ჩავკითხებივარ ჩემს გერმანელ მეგობრებს თუ რატომ კეთდება ასე. ვინც იცნობს დღევანდელ გერმანიას, ყველა დამეთანხმება, რომ იგი ხუმანიზმის, სტუმართმოყვარეობის განსახიერება ქვეყანაა არა მხოლოდ ევროპაში, არამედ — მთელს მსოფლიოში, ალბათ. რა ხდება? რატომ ამდენი სიფრთხილე, როცა საამისოდ ნიადაგი მწირია? პასუხი ძალიან ლაკონიურია:

არა, ჩვენ მაინც ვშიშობთ კიდევ არ იყოს სადმე, ვინმეში ფაშიზმის, ანუ გამორჩეულობის, სხვებზე უკეთესობის სინდრომიო. ამიტომაც გულწრფელად მიხარია, როცა მწერალი ასეთი კუთხით უყურებ საქართველოს ორიენტირის საკითხს. ყოველივეს ერთი მთავარი დასკვნისკენ მივყავართ, როცა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაზეა საუბარი: ნებისმიერ დროს, ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული ჩვენი ეროვნული ტრადიციები, ის რითაც მოვღწეულვართ აქამდე ათადან და ბაბადან მოყოლებული და რისი ხელაღებული უგულებელყოფით აპირებს მომავლისკენ გზის გაკაფვას უბირი მეჯღანუაშვილი.

— ანუ უნახავმა რა ნახა.

— გური, ჯიმაია, პროგნოზი უმადური საქმეა, მით უმეტეს ასეთი გლობალური საკითხისა, როგორიც საქართველოს ხვალინდელი დღეა. დარწმუნებული ვარ სწრაფად განვითარდება ტექნიკა-ტექნოლოგია ეროვნული წიაღისეულის თვალსაზრისით. ეს ფაქტორი ორ-სამ საუკუნეს შეინარჩუნებს პრიორიტეტულ როლს, მაგრამ უმთავრესი მაინც ჩვენს სახელმწიფოებრიობაში, ალბათ, ტერიტორიის შენარჩუნებაა!

— კაკალ გულში მომახვედრე! მაინც რა სახელი გვქვია ჩვენ?

— საქართველო.

— არა, არა, უცხოელები როგორ გვეძახიან?

— გეორგიას.

— ხომ ხედავ, დამოუკიდებლად მივედით ერთ აზრამდე. მთავარი ტერიტორიის შენარჩუნებაა. ჩვენ ხომ იგივე ანთეოსი ვართ, თვით ხერაკლეც რომ ვერ ძლევს მიწისმოუწყვეტლად.

— ტერიტორია სახელმწიფოს ბაზისია, საძირკველი, მაგრამ არანაკლებია ენის თუ ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ტრადიციათა შენარჩუნებაც. ბევრი პირდაღებული უცხოელი სტუმარი მინახავს ჩვენთვის სრულიად უმნიშვნელო წეს-ჩვეულების შემყურე. ათასწლეულებში გამობრძმედილი ტრადიცია შეუძლებელია მხოლოდ ეგზოტიკის დონეზე ჩამოგვერთვას. ამისი დაკარგვა არ შეიძლება.

არ შეიძლება ჩვენი ოჯახის ინსტიტუტის მოშლა, ნათესაური დამოკიდებულების, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთპასუხისმგებლობის წყალში გადაყრა ბოლოდროინდელი კოსმოპოლიტური შემოტევების საწინააღმდეგოდ. არ შეიძლება ჩვენი ტოლერანტიზმის, გულქართლობის მოშლა საერთოდ, როგორც თვითგადარჩენის ერთ-ერთი დიდი ინსტიტუტისა.

არსებობს ქართული სიმღერა, არსებობს ქართული პოეზია, რომელიც ზოგადკაცობრიული განზომილებისაა და მათი დავიწყება, დაკარგვა მსოფლიოს გაღარიბებასაც ნიშნავს. ეს უნდა გადარჩეს, ამან უნდა გადაგვარჩინოს, თორემ რად მინდა მხოლოდ ინგლისურად მოლაპარაკე და მოფიქრალი ქართველი, ინგლისური წესით მაცხოვრებელი, სენდვიჩებით გატიკნული ძუკუ, მიხო და ჭიჭიკია? მაშინ ხომ აღარ იქნება მცნება: ქართველი, საქართველო, და რაღა აზრი ექნება რამეს საერთოდ?! ჩვენ გეორგიანელები ვართ, გური, ჯიმა, გიორგები და არა ჯორჯები თუ ჟორჟები ბალანჩინის მსგავსად კუდმოკვეცილი გვარებით. ასეთი საქართველო მეწყერს წაუღია! — მომდევნო თაბახს გადაწვდება, ალმაცერად ჩაიკითხავს, ტუჩებიდან ჭიქამოუწყვეტელი პოზით, — დიდებული კითხვაა, განსაკუთრებით ბოლო ნაწილი: შეჩვეული ჭირი ერჩივნება მოსახლეობას თუ ვაისთან გაყრილი უისთან შეკრავს კავშირს? მოდი, ვიყოთ ძალიან, ძალიან რეალისტები, ჩვენ ვამთავრებთ საკმაოდ ხანგრძლივ დიალოგს...

— ხო, ენდშპილის ფაზაში შევდივართ.

— გური, ჯიმა, ამ პატარა ფრაგმენტიდან დავიწყებ. შენი და ჩემი ფილოსოფია მედიატორულია, შემთანხმებლური, კონსენსუსიდან მოდის. ერთი საოცარი სიტუაცია მახსენდება ზუგდიდში, გუ-

ბერნატორის კაბინტში, შვიდიოდე კაცის თანდასწრებით და თანხლებით. ერთ-ერთი მთავრობის წევრი იყო, მინისტრი, ხოდა, ამ მინისტრმა იკითხა რამდენი საწოლი გჭირდებათო.

— ოთარ, ამაზე ჩვენ საკმარისად გვითქვამს

— მე მინდა ხაზი გავუსვა კიდევ, სხვანაირად.

— განმეორება ცოდნის დედაა.

— სხვა მინდა გითხრა, გური, ჯიმა, გულუბრყვილო კითხვა დასვა მთავრობის წევრმა:

ლტოლვილ, ამ უბედურ ადამიანებს თუ საწოლი არა აქვთ, ლოგინი არა აქავთ, მაშ, როგორ სძინავთო?

მადლობა ღმერთს, ბატონი ბაკურ გულუას გვერდით ვიმყოფებოდი, რომელმაც თავისი უშველებელი ტორებით დამიჭირა და გამაჩერა, თორემ ვინ იცის... რა კაცობაა, რა სინდისი, რომელი ქვეყნის შვილობამ ჩამოგიყვანა ოდიშში, ზუგდიდში შე, მამაცხონებულო, თუ არ იცი სად ძინავს შენს მოყვასს, შენს თვისტომს-მეთქი. მადლი უფალს და მადლი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომ ის პიროვნება დღეს მთავრობის წევრი არ არის.

მოსაუბრეებს სიგარეტი მოგვინდება, გავკრავ ასანთს, არ ინთება... სანთებელას მომაგებებს.

— შენ, როგორც ოთარ ხუფენიას, ოტობაიელს, მე, როგორც გულად ფეტელავას, ანუ გური ოტობაიას, ამას მოკრძალებით ვამბობ, ვუფრთხილდები ხმამაღლა თქმას, ღმერთმა დაგვაკისრა უზარმაზარი ფუნქცია. მოდიან პოლიტიკური გაერთიანებანი აურაცხელი ელექტორატით.

— მაგალითად რომელი?

— შენ, რომ შეარბილე, კოლხეთის ნიუანსებია შიგ, მაგრამ მე ჯერაც ვერ გამოვდივარ დღევანდელი შთაბეჭდილებიდან. სადღეისოდ გამოკვეთილია ორი მოძრაობა; ერთი ხელდასხმულია ბატონ ბაკურ გულუასგან ,,რეფორმატორთა კავშირის'' სახელით, მეორე — ,,აფხაზეთის განთავისუფლების პარტიაა''. მოწინააღმდეგეები ორივეს ხყავს. კითხვას ისე ვძერწავ, ლიტერატურული გამომდის უფრო. ჩვენც ორი მუგუზალი ვართ, ორივე ოტობაიელი. ორივეს ერთი ძუძუ გვიწოვია. აქედან გამომდინარე ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია ერთი ხაერით ვისუნთქოთ, ერთი მაგიდის გარშემო ვიყოთ, საერთო მიზნებით ვისაზრდოოთ განუყოფელი მამულისათვის?!

— გური, ჯიმა, აი, შენს ბოლო ფრაზას დავესესხები, ოღონდ კორექტივით. ვერ გავაიგივებთ მორდუს საზიარო მკერდს და პოლიტიკურ მისწრაფებებს. მე წარმოვადგენ და ვარ წევრი იმ მოძრაობისა, რომელიც დაფუძვნდა 93 წლის აგვისტოში, იმ ავბედით შესვენების დროს. ოთარ ხუფენია ამ დროს სოხუმში იმყოფებოდა თავის მეგობრებთან ერთად. საბედნიეროდ მაშინ ბატონი ჟიულ შარტავა ჯერაც ცოცხალი გახლდათ, სხვებიც. ასე მითხრეს:

იქნებ ჩვენ უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს, ხელს უკანასკნელად ვართმევთ ერთურთსო. ეს 9 სექტემბერს სოხუმიდან გადმოფრენილმა ოთარ ხუფენიამ ვერ გავიაზრე.

— მე ვგულისხმობ ზემოთ ნახსენებ ორ პარტიას. მაინტერესებს რამდენად პერსპექტიულია მათი შეამხანაგება, შერწყმა, ან რამე წინააღმდეგობა ხომ არ არსებობს აქ, ტექნიკური, გნებავთ ამბიციური?

— ყველანაირი არსებობს: ტექნიკურიც, ამბიციურიც, არასახელმწიფოებრივიც.

— მაშინ რამდენად მოიგებენ ისინი ერთად დგომით, ან რამდენად წაგებული დარჩებიან ცალ-ცალკე ყოფნისას?

— თუ მიზანი ერთია, გური, ჯიმა, რომ მომავალი პარლამენტი ანუ კანონმდებელი ორგანო იყოს ეროვნული, მაშინ ჩვენი გაყოფა და გათიშვა, მხოლოდ მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს. მთავარი საფიქრალია როგორ მოვახერხოთ...

— ოთარ, შენ საუბარი ზოგადისაკენ მიგყავს, როცა მე კონკრეტულს ვითხოვ. საუბარი ეხება, ორგანიზაციას, რომელსაც შენ წარმოადგენ.

— მე წარმოვადგენ ჯერ სახელმწიფო ფონდის გენერალურ დირექტორს, მერე ვარ ერთ-ერთი პარტიის მხარდამჭერი და თანამგრძნობი. ოთარ ხუფენია არ იქნებოდა ის, ვინც დღეს არი, თუ არ იქნებოდა ქომაგი და გვერდში მდგომი 93 წლის აგვისტოში შექმნილი რეფორმატორთა კავშირისა, თვით მოქკავშირიც მერე შეიქმნა. ჩვენ პრინციპებზე გვინდა... ვიმსჯელოთ.

— ხო, არის ორი კონცეფცია:

პირველი, ბაკურისა — რომელიც მამულიშვილობის პოზიციიდან გამომდინარე, სრულიად საქართველოს მოიაზრებს, როგორც ერთიანი საქართველოსთვის არსებულ ძალას, ანუ, ნებისმიერი ქართველი, თავისი კუთხური, პარტიკულარული წარმომავლობის მიუხედავად, დღე და ღამ უნდა ზრუნავდეს საყოველთაოსათვის; ზოგადეროვნულში აქ გააზრებულია თვით აფხაზეთიც, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ჩემი საყრდენი წერტილი, რასაც ხქვია ,,აფხაზეთის განთავისუფლების

პარტიის“ სტრატეგია, ზოგი მომენტით გადასასინჯია, განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება აფხაზეთის იარაღით დაბრუნების პრობლემას.

— მე, მადლი უფალს, იმის შეგრძნება შემრჩა, რამდენადმე მესმოდეს ზოგადქართული, ზოგადსახელმწიფოებრივი, აქედან მინდა ამოვიდე და ალალად გითხრა: სოლიდარული ვარ ბატონ თამაზ ნადარეიშვილთან, მის თანაპარტიელებთან, მის მეგობრებთან, მაგრამ გური, ჯიმა, თუ უფრო გლობალურად შევხედავთ, პეტრეს — პეტრე უნდა ეწოდოს და პავლეს — პავლე. ამ ფილოსოფიით ბაკურ გულუას ჭკუას და გონებას სახელი უნდა დაერქვას საქართველოში. მან მოძებნა საოცარი ფორმულა: „სრულიად საქართველო — ერთიანი საქართველოსათვის“. აქ თავისთავად პოლიტიკური სპექტრია. აქ მოიაზრები შენც, ჩემი ძუძუმტეც, ერთი საოცარი პოლიტმიმდინარეობის იდეოლოგი, მიმდინარეობისა, რომელსაც ხქვია „აფხაზეთის განთავისუფლების პარტია“. ჩემი აზრი იცი: რატომ მარტო აფხაზეთის და არა სამაჩაბლოსი?! ანუ რატომ არა სრულიად საქართველოს განთავისუფლება?! რა, არ უნდა გავთავისუფლდეთ ანიდან ჰოემდე? არ გავანთავისუფლოთ...

— ოთარ, მე ეს ფორმულა დიდებულად მხვდება გულზე, ერთად-ერთი სიტყვის ჩამატება მინდა მხოლოდ: სრულიად საქართველო — ერთიანი, ღირსეული საქართველოსათვის.

შენ ჩვენს ინტერვიუში ჭკუა მასწავლე სადღაც, — გულიანად იცინის, — იმაში, რომ უარყოფის უარყოფა არ იქნება.

— ხედავ, საიდან სად გამიხსენა?!

— ხოდა, ახლა მე გიხდი სამაგიეროს.

მე ორმოცდახუთი წლის კაცი, კვლავაც ვიმეორებ ოცდახუთი წლის ასაკისას ნათქვამს: ქართველობა კრებსითი სიტყვაა — მეთქი.

— შენგან თუ ჩემგან, რა მნიშვნელობისაა...

— შენ, რომ არ ჩამეჭრა საუბარში, ვგონებ უინტერესო, მოსაწყენი დიალოგი გამოგვივიდოდა, მაგრამ ამასაც მშვენივრად ახერხებ უშურველი იუმორით: ცოტა ქართლელი, ცოტა გურული, ცოტა იმერელი, ცოტა კახელი, ცოტა მეგრელი, ცოტა ხევსური, ცოტა რაჭველი და ა.შ. კრებსითია მხოლოდ და მხოლოდ.

შემირცხვენია ქართველი, რომელსაც ალაზნის ველის ხილვა არ შეძრავს;

შემირცხვენია ქართველი, რომელსაც თერგის ღრიალი არ აღანთებს ბრძოლის ჟინით;

შემირცხვენია ქართველი, რომელსაც ხმლიანი ბოკვერების მერმისი არ აუჩქროლებს გულს;

შემირცხვენია ქართველი, რომელსაც ტანი არ დაებურძგლება ვარძიის, ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის ნახვისას;

შემირცხვენია ქართველი, რომელსაც სული არ ეგუბება „ლილეოს“, „ოდოიას“, „მრავალჟამიერის“, „კრიმანჭულის“ შემოძახებისას, ასე რომ, უმარტივესად გეტყვი: კრებსითია შენი და ჩემი ფომრულა.

ჩვენი საუბარი დღის ოთხ საათზე დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა.

ერთობლივი გამარჯვება მხოლოდ ეროვნული თანხმობით შეიძლება, გური, ჯიმა, სხვანაირად არამც და არამც. შენს ფრაზას გავიხსენებ სატრაპეზოდ ოთხი თუ ხუთი წელიწადით მოსასვლელ ხალხზე. არა, ბატონო, გამარჯვებას იმას ვეძახი, რომ ერთად ვაკეთებთ თანხმობის დარბაზს და ინსტიტუტს. მჯერა, თუ საქართველოს ხვალინდელ დღეს აღზევება უწერია, აქ რამდენიმე პიროვნება დაწინაურდება. ამას შეგნებულად ვამბობ, ერთი ვერასოდეს მოუტანს საქართველოს გამარჯვებას, ეს ტყუილია, ტყუილი კი არა უარესიცაა, ავადმყოფური წარმოდგენებია. მე გლეხი კაცი ვარ, ბაბუაჩემი თედო ხუფენია გლეხი იყო, ჭკვიანი კაცი და იქედან მოვდივარ. საქართველოს ბედნიერება მომავალ პარლამენტში მონოპარტიულობაში ვერ იქნება. რაც მოუტანა საქართველოს ამ მონოპარტიულობამ, ნათელია. იყო პლუსი და მინუსიც. ჩვენ პლუს-მინუსის სინთეზი გვესმის. ეს უზარმაზარ გამარჯვებაა მაინც სახელმწიფო საბჭოსთან შედარებით. საქართველო შეთანხმებული, სტაბილური ვერ იქნება, სადაც მონოპარლამენტია. ზოგიერთი დღესაც ეიფორიაშია მოქალაქეთა კავშირში, მათ ხგონიათ, რომ 1995 წელი განმეორდება — დიდი მატარებლის ჩასეირნება ერთი ქართველის ავტორიტეტის ძალისხმევით. ეს მარტივი ილუზიაა, რაც ეიფორიაში მყოფებს სჭირთ ხოლმე. ვურჩევ მათ სათვალეების გარეშე შეხედონ საქართველოს, სიმაღლის გარეშე და მიხვდნენ ერთ რამეს: დღეს საქართველოს შემდგომ ოთხწლიან ციკლში სჭირდება ეროვნული თანხმობა.

— ჩემი შეკითხვის მთავარი ძარღვი, მაინც განზე დამიტოვე. მაინტერესებს სეპარატისტებს მიეტევებათ თუ არა ყოველივე. ბატონი თამაზის პარტიას მოიაზრებენ, როგორც შურისმაძიებლურს. სინამდვილეში, ბატონი თამაზი იდეოლოგიურ ომს უცხადებს მათ: გააშიშვლოს სეპარატისტები მთელი მსოფლიოს წინაშე, როგორც სისხლში გასვრილი ხალხი, რათა მათთან პური არავინ გატე-

ხოს, თორემ იქ იარაღით შესვლაზე არც არის საუბარი. სამაგიეროს მათ მსოფლიო გადაუხდის.

— გური, ჯიმა, ის ვინც სხვანაირად განსჯის, ვერ არის ქართული აღნაგობის და ფსიქიკის. ადრე ასეთი მითხარი:

ძალას და ძალადობას შორის თუ არის განსხვავებაო. მეტი პასუხისმგებლობაა საჭირო ყველაფერში, ამას ჩვენ ერი და ბერი გვთხოვს. გაუბრალოება, გაპრიმიტიულება არაფერში ვარგა! ხედავ, ორმაგი უარყოფა მომაშლევინე. კი ვსაუბრობ შორიდან, მაგრამ ამით შენს კითხვასაც ვპასუხობ. როცა ორმოცდახუთი წელი მომილოცა ,,მაფშალიამ,'' მაშინ მათ აფხაზურად ,,ვოისარადა'' ვამღერეთ. ვამბობ: ჩემი ძმები იქ არიან— სოხუმში, გუდაუთაში, გაგრაში, ახლობლები ჩემი. რა არის გამოსავალი? ბატონ თამაზს მგონი შეგნებული მტრები უქმნიან ასეთ ფენომენს, თითქოს ნადარეიშვილი გაგრაში სხვა ფეხბურთის სათამაშოდ ჩავაო.

— კარგი ნიუანსია, ჩვენ ნაღდ ფეხბურთს ვითამაშებთ.

— ბატონი თამაზ ნადარეიშვილი იქ სხვა ფეხბურთის სათამაშოდ აღარ ჩავა. ტერმინოლოგიაში არის სხვაობა ძალასა და ძალადობას შორის. ღმერთმა ნუ ქნას ქართულ მხარეს აფხაზებთან ერთად სხვათა შორის, არ ხქონდეს იმის საშუალება და ცნობიერება, განაცხადოს: მე ძალა მაქვსო.

ხმა აღიმაღლოს: არამზადა, არძინბავ, არამზადებო, ვინც გვერდში უდგეხართ, თქვენ ვერასდროს გახდებით ჩემი ძმები, ჩემი მეგობრებიო. შენს დიდ რომანში ,,როკი'' ბევრი გიწერია ძუძუმტეობაზე, კაცობაზე, თუ როგორ მიდის ოდიშელია მორდუშვილებთან, და მერე მათი დედა — ვერა მარშანია, როგორ დასჯის საკუთარ მემკვიდრეებს, როგორ მოისწრაფებს სიცოცხლეს. თუ კი ეს არ გაგვიძღვა გალისკენ, ოჩამჩირისკენ, ტყვარჩელისკენ, სოხუმისკენ, გუდაუთისკენ, გაგრისკენ, ტყუილია ყველაფერი, ჯიმა. ჩვენ სასტიკი მტრის ანკესზე წამოგებულნი ვიფართხალებთ ნიადაგ.

— ჩემო, ოთარ, ამ პასუხით ამომასუნთქე. ეს ფორმულა ასეთია: მტერს — მტრულად და მოყვარეს — გულში ჩახუტება. მორჩენილია ამ საკითხზე მსჯელობა?

— საუბედუროდ არაა, ჯიმა, მორჩენილი, მეტია სათქმელი. შენმა ძუძუმტემ 1993 წელს ორი კვირის თავზე ქართველთა და ასე ვთქვათ, აფხაზთა ომის სასრულს, ფორმულასავით დაახეთქა, იქნებ ეს დევიზადაც გახყვეს შენს წიგნს: როცა ორი ძმა ერთმანეთს ეომება, არც ერთია მართალი და აღარც — მეორე, მაგრამ ყველაზე დიდი მტყუანია მესამე, ვინაც რომელიმეს გაამართლებს. ეს ბეგი ხუფენიას ფილოსოფიაა.

— აგაშენა ღმერთმა, შენ იშვიათი მეხსიერება გაქვს, ოთარ, ძმაო. სამასგვერდიანი წიგნი თვეობით იწერება, ჩვენ კი ოცდაოთხ საათში მოვილიეთ ერთმანეთის ძალისხმევით, ზოგი— ღიჯინში ზოგი — ჯუჯღუნში, ზოგიც — ჯგვლემასა და ფორიაქში... ახლა ჩვენ უნდა მოვუბრუნდეთ ,,შურობუმუს,'' პასაჟებს, შემაჯამებელ ფრაზას რომ მოითხოვს შენგან. მაინც როგორია წინადადება, რომელიც ლამპარივით წარუძღვება ჩვენს შურობუმუ ოტობაიას, ოღონდ ისტორიულ-ტრადიციულ ფონზე: მამული, ენა, სარწმუნოება? ამის ლაკონური შენეული ანალიზი მჭირდება და შეიკვრება კიდეც ის სივრცე, რასაც ამდენი ხანია ჭირთათმენით ვეფალავნებით.

— მაშ, ასე, გური, ჯიმა: მამის საფლავი — პირველი, მეორე — მსოფლიოს პოლიფონიური შეგრძნობა, როგორც ერთიანის და მთლიანისა და მესამე — ფენიქსივით მკვდრეთით აღდგომა ხიდჩანგრეული შურობუმუდან, უფრო შემჭიდროვებულადაც შეიძლება: ზოგადევრონული ცნობიერება ყველგან და ყველაფერში!

ეზოში გამოვდივართ. გადაუღია წვიმას. წვეთები აქა-იქ წკაპანებენ.

ხეებს ზემოთ მტრედისფრად გარღვეული ზეცა შეიგრძნობა.

ოსკარი ჩამორბის კიბეებზე, გვეგლასუნება, შიგადაშიგ გათამაშება სწყურია, ერთგულების დასამტკიცებლად, მაგრამ იქ ფისოც არხეინობს იმავე პატრონის ნდობის მოსაპოვებლად და მათ შორის სამყფრო-საკნავლო მანძილი ისე მადლიანადაა მორგებული საკუთარი ფუნქციების უდრტვინველ აღსრულებას, უნებურად ჩემი ფიქრები კონკრეტული თემატიკიდან გლობალურისკენ გადაიხაფრება.

,,როცა ძაღლი და კატა თავთავიანთ ადგილას არიან, იქ წრუწუნას და ქურდბაცაცას ხელი მოცარვია ორივეგან'', გამიელვებს თავში წამით და სუფთა ხაერზე გამოზმორებულ ძუძუმტეს გამეჩხრებული ვარსკვლავებისკენ მივანიშნებ.

— დიდი ხანია აბასთუმანში ასვლა მინდა და ვერაფრით მომიხერხებია. ხომ იცი, ობსერვატორიას ჩვენი თანასოფლელი, შენი სეხნია კვარაცხელია განაგებს. იქნებ სამაისოდ გაგვეტია იქითკენ?!

— ამას რა აჯობებს, მაგრამ მოცლა იკითხე! თავად ხედავ რა შავ დღეშიც გყავარ.

— ისე, მგონი ურიგო საუბარი არ გამოგვივიდა, ზედმეტად კონკრეტული რომ არ ყოფილიყო. მაინც უამრავი პრობლემა დაგვრჩა განზე, იგივე ეგრეთ წოდებული მარადიული საკითხები: დრო-

ზე, მატერიაზე, სივრცეზე. რამხელა გალაქტიკები დაგვმხობია თავს, ჩვენ კიდევ ნაპო ბიძიას ბუხრის მეათედ ღუმელთან ნაცარს ვიქექებით, ერთსა და იმავეს ვტკეპნით. ამასობაში ქვეყნიერება მიგრიალებს ოთხივე კუხთით. შენი არ ვიცი, მაგრამ მე პირადად ეს დილემა ჯერჯერობით ვერაფრით გადამილახავს.

აქედან შტაინერები მაწვებიან, ხეგელები, არისტოტელენი პლატონების მასწავლებლობით, იქით — მარქსები და ენგელსები... აი, ახლახან ოშოს „მდოგვის მარცვალი" ჩავამთავრე. ცოტა წინ მეორედ ჩავუღრმავდი „ყურანს". მეზარება ღამ-ღამობით თვალის დახუჭვა, რადგანაც იქაც იგივე კოსმოსის სივრცეებს ვლანდავ, რომელიც დღითი დღე იზრდება, განიერდება, ღრმავდება. როგორც ჩანს, ჩემი შემოქმედებითი ბიოგრაფია თეოლოგიური ხასიათის წიგნებით დასრულდება უცილობლად, ვიანიდან ეს ყოფითი საგნები ნელ-ნელა ინტერესს კარგავენ ჩემში.

აქედან სამშობლოს განზომილებანი მაფხიანებენ, იქიდან — ზოგადკაცობრიული, რომელთა ერთმანეთთან შეთავსება არც ისე იოლი გამოდის.

ვექომაგებით თვისტომს და გულს ვუხშობთ ყოფიერებით, უამრავი გაუგებრობით თუ სხვა რამ წინააღმდეგობით სამტროდ მოკიდებულ აფხაზს, რომელსაც ჩვენივე აღიარებით, თურმე სხვა სამშობლო არ გააჩნია; აქვე იმასაც ვადასტურებთ ხელაღებით, რომ თითქოს მეჩვიდმეტე საუკუნემდე აფსუები სქართველოს ტერიტორიაზე საერთოდ არ სახლებულან, ნება-ნება მიზანმიმართულად ჩამოთესლილან, მორგებიან აფხაზის ეთნოსს, გამოუძევებიათ იქიდან პატროფილობის ვალენტობაგამოხშირული მეგრელი და თავად დასაკუთრებიან დასახელებული ტერმინის საგანძურებს. შეხლა-შემოხლაა ახლა ჩემში ამ ორ განზომილებას შორის, რომელიც სამყაროულთან შედარებით ღიმილისმომგვრელია, თუმცა ტბაში ჩავარდნილი კენჭის მსგავსად განავრცობს ტალღათა რგოლებს უკიდეგანოდ, და ვინ იცის, ამჟამად ჩემი სულიერი დუღილიც იქნებ განაბევრებს კიდეც ზოგადკონკრეტულის საზრისს სფერობრივად, ჩუბინიძის სწავლებას თუ დავეყრდნობით?

ხუთიოდე ნაფაზით შემოეფერფლება „ვოგი" ძუძუმტეს. ახალს აანთებს. რკინის მოაჯირს მიყრდობია. ეთერ დეი ხედავდეს, აქაქანდება:

არიქა, არ გაიჭვალოო.

— ილიას ფორმულაზე რას მეტყვი? — მოფრინდება აზრი უნებლიეთ, — ქართველების სამოქმედო პროგრამაზე მოგახსენებ: მამული, ენა, სარწმუნოება? ამის თაობაზე, წიგნი — პირამიდა შემითხზავს — „სუფევა", ჰოდა, მაინტერესებს, რამდენად თანხვდება ჩვენეული მოსაზრებანი ამ მიმართებით?

ჩამწერი მაგიდაზე დევს. ელემენტები ჯერაც პატიოსნად ეწევიან თავიანთ ჭაპანს. მორჩენილია კასეტის ცალი მხარე — ოცი-ოცდახუთი წუთის სივრცე, მაგრამ მეზარება ჩართვა, ვინაიდან ვგრძნობ, აწი მეხსიერებითაც ჩინებულად შევინახავ ნებისმიერი სირთულის ტექსტს.

— შენ ხომ სინთეზის გჯერა?! განა მიზანმიმართული დამოკიდებულების შემთხვევაში სახელმწიფოს გაუძნელდება ახალი ქართული ენის ჩამოყალიბება იგივე სვანურ-მეგრულ-ქართლურის სასიკეთო შერწყმით, როგორც ეს ათასწლეულების წინ, აიეტის ზეობის ჟამს თუ თამარ მეფის აღზევების პერიოდში მომხდარა?

ან ნუთუ სარწმუნოების თვალსაზრისით სახელმწიფოს არ შეუძლია განახორციელოს უფრო ქმედითი რეფორმები? ჩვენ აქამდე თავი ფუნქციონურმა არსებობამ მოგვატანინა, რომ ყოველ ათასწლეულში ჩვენს სახელმწიფოს რაღაც განსაკუთრებული მისია ეკისრა:

შორეულ წარსულში — ფოლადის გამოწრთობის საიდუმლოება, ვინაიდან გაგვაჩნდა მარგანეცისა და რკინის საბადოები. ამის თაობაზე ხომეროსიც მიუთითებს „ილიადაში", როდესაც ხომალდების კატალოგში აცხადებს:

„ხალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოხყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან ალიბეს, □ხალიბეს) მხრიდანო."

მოგვიანებით ოქროს მოვიპოვებდით და ამანაც გაგვაძლებინა მორიგ ათასწლეულს. შემდგომ უფრორე დაკონკრეტდება ჩვენი საჭიროება, ჩვენი ერი ევრაზიის გასაღებს, გზაჯვარედინს ფლობს და ესეც უამრავ საუკუნეს გვახეხვინებს.

ამის შემდგომად ჩვენი ნუნისელი მოგვები ხელს შეუწყობენ ეზოტერიკული განზომიელებების აღზევებას, იგივე იოანე ნათლისმცემლის თაოსნობით და კაცობრიობას მოუვლენენ იესო ნაზარეველს, ორიათასი წლის საზრდოდ რომ გამოადგება ნოეს შთამომავლობას, მაგრამ აწი, აწი რა ფუნქცია უნდა იტვირთოს?!

საქვეყნოდ გახმაურებული დიდი აბრეშუმის გზა თუ ნავთობსადენი სულ რაღაც ორი საუკუნის საარსებო საშუალება ძლივს არის, ვინაიდან ოცდამესამე საუკუნეში უკვე დღეს არსებული საშუალე-

ბებით ტვირთის ტრანსპორტირებას არავინ ინდომებს. ხოლო რაც შეეხება სათბობ-ენერგეტიკულ პრობლემას, ესეც სხვაფრივ გადაიჭრება, რამეთუ მივხვდებით: ამ მიმართებით ნავთობის უძვირფასესი ნედლეულის გახარჯვა დიდ უგუნურებასთან ერთად ფრიად თვითმკვლელურიცაა; ვინაიდან იმ დროისათვის უკვე ათვისებული გვექნება არასტანდარტული ენერგეტიკული წყაროები: ხელიო, ატომური, და კიდევ — დღეისთვის უცნობი, ვთქვათ, იგივე წყალბადის წვის ხარჯზე გამოყოფილი ენერგია, რომელიც ჟანგბადს გამოაძევებს ხაერში ოზონის გასაძლიერებლად და მოგვიმრავლებს სითბო-სინათლეს. ვშიშობ ასეთ სიტუაციაში საქართველო მართლაც ხელცარიელი დარჩება მომავლის წინაშე...

— იცი, რას გეტყვი, გური, ჯიმა, რამდენი გვილაპარაკია ადრეულ წლებში კირბებზე, ოქროს საწმისზე, სიბრძნის წიგნზე, რომელიც ცხვრის ტყავზე ყოფილა წარწერილი ჯერ კიდევ მეექვსე-მეხუთე ათასწლეულში ჩვენს წელთა აღრიცხვამდე. საქართველოს რაში სჭირდება მიეთ-მოეთები. ობსერვატორია აგერ აქვს, სხვათა შორის ფრიად უნიკალური. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში გასაოცარი სისწრაფით დაწინაურდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი: ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია, ბიოლოგია, შეიძლება კოსმოსის ათვისებასაც გამოვკრათ ხელი. ეზოტერია და მატერიალიზმი სწორედ აქ ხპოვებს სანუკვარ სინთეზს, შენ რომ უწევ პროპაგანდას ბარე ოცი წელიწადია. ქართველი არავისზე ნაკლებად გავა კოსმოსში, რადგანაც იგი ამას უხსოვრობიდან ახერხებდა, როდესაც თავისი პოლიფონური საგალობლებით, სვანური კოშკებით თუ ხორუმ-ფერხულებით ეროვნული მოძრაობისა არ იყოს, ბორჯღალივით შეუჩერებლად ატრიალებდა საკუთარი სულის გარშემო, და აფიქსირებდა განსაკუთრებულ ადგილს თუ როლს კოსმოსში, სამყაროში ზოგადად. ეს გენეტიკურად მისი სულის გამოძახილია, მოთხოვნილება, გასაოცარ გამონათებებს გადაწნული გამოუსწორებელი სიზარმაცითურთ...

საქართველომ უნდა იტვირთოს გამაერთიანებლის ფუნქცია, უწინარესად კავკასიელი ხალხების განვითარების და გადარჩენის თვალსაზრისით, რომელიც მისი გოლიათი სხეულის ოდინდელი ნაწილებია; როდესაც ჯერ კიდევ პლატონის ატლანტიდა არ დანთქმულია მითიური კატასტროფით და ინდოევროპულ მიგრაციებს არ მიჯაჭვავს კავკასიონზე პროტოქართული ცივილიზაცია — პრომეთე-ამირანი. ეს კრებსითი სხეული არ არის დღეს მხოლოდ საქართველოს საკუთრება, არამედ სრულიად კავკასიის სიმდიდრეა, განძი, იგივე ავარიელების, ვაინახების, ინგუშების, ჩერქეზების, ყაბარდოელების, ბალყარელების და ვინ მოსთვლის, აფხაზებისაც, დიახ... აფხაზებისაც, გური, ჯიმა, დღეს რომ ერთმანეთი ფიზიკური განადგურებისთვის გაგვიწირავს!

აი, ამ კუთხით უნდა წარიმართოს პრეზიდენტ გამსახურდიას და ბატონ ედუარდის კავკასიური მაჩუბის სინთეზური შენობა. ოცდამეერთე საუკუნეში კავკასია გასაოცარ სიტყვას დაახეთქებს მსოფლიოში, მთელი ცივილიზაციის საკეთილდღეოდ და ამისი შეფერხება აღარაფერს ძალუძს. ასე რომ, გური, ჯიმა, დღევანდელი პრობლემატიკა სასაცილოდაც არ ეყოფა XXI-XXII საუკუნეების კავკასიის მაცხოვრებელს, ვინაიდან ენობრივი პოზიციებიც გადაისინჯება და შესაძლოა თვით— პატროფილურიც, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ თავად კავკასიური რასა, როგორც დროსა და სივრცეში სრულყოფილი ინდივიდი, გასაოცრად დაწინაურდება, თუნდაც გენეტიკური სრულყოფილების სახელით და როცა რელიგიური დაპირისპირების არტახებიც საგრძნობლად მოხალვათდება, ქვეყნები დავით აღმაშენებლისეული აღმსარებლობით მიმოიხედავენ გარშემო, ახლო მეზობლობასა თუ სულაც შორს, დედამიწის ცივილიზაცია კოსმოსური სიჩქარით გაიჭრება წინ, კაცობრიობის მარადიული იდეალებისკენ, მაგრამ მოდი, ახლა, ვიდრე ჭვალი აგვიკიდებია, ბუხარს შევუჩიჩხინოთ და ყური თუ მივუგდოთ, რა გვილაპარაკია, რითი შეგვიძლია გავაძლიეროთ ან შევარბილოთ ის საუბრები, სანამ ხვითოსავით მოგვისროლია ხალხში.

— მაშ, არაფერი ვთქვათ XXI საუკუნის სამამულო ტაქტიკა-სტრატეგიაზე, სინთეზური აზროვნების სამშობლოს აშენების სახელმწიფოებრივ პერსპექტივებზე?

— გამომადინე წვენები და ეგ არის. ილიას ფორმულაზე გვისმჯელია ზემოთ რამდენადმე, მაგრამ რადგანაც არ მეშვები და ჯიუტად ჩამჯინებიხარ, რა გაეწყობა, გური, ჯიმა: გვარნაცვალმა ხალხმა, იგივე მეხუთე კოლონამ, უამრავი ცთომილი თეორია შემოუგდო ჩვენს სახელმწიფოებრივ აზროვნებას საუკუნეების მანძილზე. ახლა ყველა ნაკლოვანებისა და ხარვეზის ხელის ერთი მოსმით გამოსწორება არ იქნება, მაგრამ თეზისების სახით დავასახელებ მთავარზე უმთავრეს მომენტებს:

გვარნაცვალმა ხალხმა, რომელიც კავკასიის ტერიტორიას თავის მთიანეთად განიხილავს უტიფრად და ყოყლოჩინური ამბიციურობით, ჩვენი მამონასმოყვარე პარტოკრატია მექრთამეობის ანკესზე წამოაგო, იცოდა რა ქართველი ლერწამივით დრეკადია კორუბციის წინაშე, დაიწყო თბილისის გამსხვილების ტოტალური პროცესი, ანუ სოფლის მოსახლეობის მასობრივი მოზიდვა ,,ქალა-

ქელის“ მოჩვენებითი განცხრომისათვის. სხვა მეთოდებით ქართველის მიწისგან მოწყვეტა თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა.

რა სურათია ამჟამად? დაცარიელებულია ჩვენი მთიანეთი, ხევსურეთი, ფშავი, რაჭა... გაიოლებული ცხოვრებისკენ ქართველი გლეხიკაცის წაბიძგება გვარნაცვალი ხალხის უმთავრესი მომაკვდინებელი იარაღია საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლის გზაზე. ამ სცენარის წაკითხვა შეუიარაღებელი თვალითაც ხერხდება. ამიტომაც მომავალი პარლამენტის პრეროგატივაა ამ მიმართებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ფერმერული საქმიანობის გასაშლელად საქართველოს ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში. აუთვისებელი არ უნდა დაგვრჩეს უბრალო ხევ-ხუვი, ჭორომი თუ ტრამალი, თანაც უნდა მოვეშვათ ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკოსისტემის გონებაშეზღუდულ გარდაქმნებს. ნუ ვებრძვით კოლხეთის ჭაობს, ჯიმა, გური, უმჯობესია იგი ჩვენს ტრადიციულ სახალხო მეურნეობის დარგებს დავუტოვოთ: მეკამეჩეობას, მაგალითისთვის. ამისი უებარი საშუალება ენდემური ჯიშების აღორძინებაა. ნუ ჩამოვიტანთ სხვენს ნახირის საძოვრად.

მილიონიანი ქალაქი მძიმე ლოდია დღეს ეკონომიკურად ხელ-ფეხშეკრული საქართველოსთვის. გაჩერებული ქარხანა-ფაბრიკების ფონზე ეს უზარმაზარი მასა ლამის უსაქმურობამ გამოფიტოს. ამიტომაც ფერმერული მეურნეობების სტიმულირების კუთხით საჭიროა თანდათან განვახორციელოთ დეურბანიზაციის უმტკივნეულო პროცესი — მრავალშვილიან ოჯახებს მივცეთ საშუალება ჩაერთონ ამ პროცესში. თავის დროზე ვარკეთილი, ვაზისუბანი, გლდანი, მუხიანი ბაღნარები ყოფილა: ვენახები, ატმოვანები და ვაშლოვანები, მაგრამ გვარნაცვალი ხალხის ჭკუაზე მოარული ჩვენი პარტოკრატია არაფრად დაგიდევდათ მათ უსულგულო გაჩეხვას, გაჩანაგებას სოფელს მომწყდარი მოქალაქეებისთვის ასანთის კოლოფისხელა ბინებით უზრუნველსაყოფად.

უმიწაწყლო ქართველი ანთეოსსა ხგავს, ხერაკლეს მიერ ხაერში ატაცებულს და იქ მოხრჩობილს. ეს ვერაგული ჩანაფიქრი საქართველოს სოფლების გამოცარიელების მიზნით, მათ ჩინებულად განახორციელეს, მაგრამ უსაშველო არაფერია. ყველა პროცესი შექცევადია. გვარნაცვალი ხალხისთვის პირველი, უმთავრესი ლახვარი დეურბანიზაციაა, თანაც მასშტაბური და განსაკუთრებით იმ მიმართულებით, სადაც ჩვენი დემოგრაფიული სიტუაცია საგრძნობლად წაბორძიკებულია. ეს გადაუდებელი ამოცანაა მომავალი ხელისუფლება-მთავრობისა, გორდიას ნასკვის პირველი გახსნაა, ძაფის თავის პოვნა. უამისოდ ნებისმიერი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რეფორმა წყალში ჩაყრილად ჩამომართვი, ჯიმა.

შემცივდა კაცო, წამო ბუხრისკენ.

წამოიწყებ დეურბანიზაციის პროცესს და გვარნაცვალი ხალხის წრიალიც მერე ნახე, ხაფანგში მომწყდეულ ნადირს რომ სჩვევია იმგვარად. მაგრამ ახლა მათი ფორიაქის მეორე არანაკლებ ღონისძიებასაც დაგისახელებ, კონკრეტულად კი საქართველოს ტერიტორიული მოწყობის დეცენტრილაზაციას.

ჩვენს ისტორიულ მხარეებს, ჯიმა, გაფართოებულ უფლებებს მივანიჭებ ეკონომიკური თვალსაზრისით და უძღები მადის სამინისტროებით დაწყებული მომრავლდება ღამურასებური წრიპინი მეხუთე კოლონის რიგებიდან. ცენტრის ფუნქცია საერთო ხელმძღვანელობაა, სტრატეგიული მიდგომა შემხვედრი პრობლემების გადაწყვეტისას, ხოლო პერიფერიები ამ წანამძღვრებს ადგილებზე სათანადო აუცილებლობით ახორციელებენ ტაქტიკურად. აბა, თბილისელმა ჩინოვნიკმა რა იცის ოტობაიაში კომბოსტოს მოყვანა სჯობია თუ ბრინჯისა, ან დარჩელში თხილის მეტი მოსავალი იცის თუ სიმინდისა? ეს პრეროგატივა ხალხის წიაღიდან უნდა მომდინარეობდეს, დაბლიდან და არა — ზემოდან, თანაც ბიუჯეტის მისამართით გადასასინჯია მრავალი მომენტი.

კარგი, კარგი, არ გავიფანტები! ხო, ესეც ხომ დავურტყი! „რქაწითელია“, ბიჭო, დალოცვილი. იმ გვარნაცვალი ხალხის კუდია ყოველივე, კახელმა მევენახემ ვაზის აჩეხვა რომ დაიწყო აქა-იქ და საზამთროს მოყვანას მიხყო ხელი! ლუდი ღვინოზე ძვირი როდის აქეთ გამხდარა?! ჩვენ უნდა დავაფასოთ გლეხკაცის შრომა: რამდენი ოფლიც იხარჯება პროდუქციაზე, ფასიც შესაბამისი უნდა მივუსადაგოთ. აბა, შეხედე ფრანგულ ღვინოებს, ათიდან ორმოცდაათ დოლარამდე უკაკუნებს ბოთლი! აი, შიდა ბაზრის დაცვა! აი, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა! თუკი რამეა ქვეყნად ფასეული, ცეცხლია, ალბათ. გახსოვს ჩვენი ფაციკო დეიდას, სოსო ელიავას დედის, საყვარელი ფრაზა? არაფერი მშურს კაცისგან, გაჩაღებული ბუხარის გარდაო. სად შევჩერდით?

— დეურბანიზაციის პრობლემებზე, განქალაქების...

— ოხ, რა კარგი სიტყვა მომაშველე! განქალაქება, აი, თავი და თავი! ახლა შენს ენასაც მივხედოთ, შენი მოღვაწეობის ლელოს.

— აქ საპრობლემო არაფერია, შენებურად, ისევ გვარნაცვალი ხალხის წასისინება რომ არა. სიტ-

ყვა „მეგრელი“ მათ მიერ ლამის „მგელთანაა“ გაიგივებული, როცა სამეგრელო დიახაცაა საქართველოს სიტყვიერი დღეგრძელობის ბალავართა ბალავარია! მაღალფარდოვნებას მოვეშვები! ჩვენ არანაკლები ბრძოლები გვაქვს გასაჩაღებელი იგივე ხალხთან, რომლებიც სტერილურ ქართულს, სტერილურ სალიტერატურო ენას ქადაგებენ, დიალექტიკური შენაკადების იგნორირებით. აქ პროცესი შებრუნებითაა: სინთეზისკენ, გამსხვილებისკენაა მისამართი ჩვენი ენათშემოქმედი საზოგადოების ძალისხმევა.

— აქ შენთან კამათი გლადიატორთან შიშველი ხელებით პაექრობის ტოლფასია. ათასჯერ გვიმსჯელია ამის შესახებაც და ახლა შედარებით დილეტანტის, პრაქტიკოსის მოსაზრებანი შესაძლოა უფრო ხელშესახებად, სასარგებლოდ წარმოჩინდეს. გენიალურია შენეული კონცეფცია ზოგადეროვნული, ქართველურ ენათა სინთეზური განმარტებითი ლექსიკონის შექმნის თაობაზე, სადაც სამშობლოს, მამულის სინონიმებად მოგვევლინება სვანური „ლარდა“, ლაზური „დობადონა“ მეგრული „ოდაბადე“ და „შურობუმუ“. ამ პროცესს, ჯიმა, გჯეროდეს, კვლავ გვარნაცვალი ხალხი აფერხებს ყველა ღონით და საშუალებით, ვინაიდან მათ ჩინებულად იციან მსგავსი საქციელი მოსპობს საქართველოში კუთხურ დამოკიდებულებას დედაქართულთან. როდესაც ქალაქური ფსიქოლოგია კარდინალურად შეიცვლება პერიფერიებისადმი, აღმოჩნდება რომ ნაწილი და მთელი ხარმონიულად მორგებია ერთმანეთს და ჩვენი ტერიტორიების თავიანთ მთიანეთად გამომცხადებლებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ. წარმოგიდგენია, ერთ საუკუნეში სრულიად სამეგრელომ თბილისელზე არანაკლებად შეისისხლხორცა დედაქართული, მაგრამ მეგრულს მისი მამულიშვილური მსოფლმხედველობისთვის ხელი არსად შეუშლია, პირიქით, ამდიდრებდა და აღავსებდა ამ გრძნობას.

სხვაა სინთეზური ლექსიკონის საშვილიშვილო მისია: მეგრელი კაცი თავის სალოცავ სიტყვებს, როცა დაინახავს დედა-ქართულის გვერდით, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრიობის ასაშენებელ ქვას და კირს, კოცნა-კოცნით გაცვეთს ამისთანა წიგნს. ეს არ არის პარტიკულარიზმი, ჯიმა, გური, არამედ გენეტიკური კოდია, იგივე ორაგულების მოძრაობა მდინარეთა სათავეებისაკენ, სადაც ქვირითს ყრიან ლიფსიტებისთვის უსაფრთხო ადგილას და თავად იხოცებიან შთამომავლობის საზრდოდ. მეგრელმა სრულფასოვნად თუ დაიგულვა ქართული ენის მშენებლობის გზაზე თავი, იმისთანა საქართველო ათ წელიწადში ყველა პრობლემას გადაჭრის, ვინაიდან იგრძნობს მეობას, საქართველოს თანაბარუფლებიან აღმშენებლად მოჭიმავს საკუთარ ინდივიდუუმს და იოტისოდენადაც არ წამოიკვნესებს ამ ათწლეულში განხორციელებული ვანდალური ეგზეკუციების გამო, რამეთუ საერთოდ მოიხსენება დღის წესრიგიდან ფორმულა: „ყველა ჩემი სამშობლოა სამეგრელოს გარდა“. ეს ფრაზა ქართველის მოგონილი არ გეგონოს, გვარნაცვალი ხალხის ფსიქოლოგიითაა ნასაზრდოებ-გაჟღენთილი. სხვათა შორის, ამნაირი მიდგომებით შესაძლებელია ნებისმიერი სეპარატისტული მოძრაობის განკურნება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ხოდა, იმას ვამბობ, როდესაც მეგრელი კაცია ეს, ლაზი, სვანი, თუში თუ სხვა, ქართული ენათშემოქმედების ტოლძალოვან, ტოლხმიან წევრებად მოგვევლინებიან, იქ აფსუას და ძმათა მისთა — ალან-ჰაიკებს ზედმეტი სითამამის ნიადაგი გამოეცლებათ; ყველას წაერთმევა საქართველოს სულიერ-მატერიალური საგანძურის დატაცების მადა, ვინაიდან ფიგურალურად, ხატოვნად წამოსროლილი ფრთიანი ფრაზა: სამეგრელო საქართველოს ხერხემალიაო, მოქმედებაში მოვა.

— ამოქმედდება...

— რამეფრად... მიდგებ-მოდგება ზოგადეროვნულ საქმეთა მეტის გულმოდგინებით საკეთებლად, თორემ როცა ეჭვის თვალით გიმზერენ: ხომ არ განუზრახავს ამ უცხო ენით მოჟღურტულე მეგრელს ახალი სახელმწიფოს შექმნაო, ძნელია მსგავს სიტუაციაში საქვეყნო ფასეულობათათვის მუხლჩაუხრელი რუდუნი; ვინაიდან გულწრფელობა ფარისევლობაში გერთმევა, მამულიშვილობა — ღალატში, სიყვარულის გამო გსჯიან არც თუ ისე იშვიათად და განურჩევლობის კომპლექსი ნელნელა თანგავს შენს ნაჯიჯგნ-ნაწამებ სულს.

გახსოვს, ირლანდიურ პანოზე ჩვენი საუბარი, წითელი საღებავით რომ შერყნის ვიღაც პატრიოტი ქალი კუთხის ინტერესების შემლახველი პარლამენტარის სახეს? იგივე ვითარებაა იტალიაშიც, სხვაგანაც. ვერავინ უძებნის გასაღებს ნაწილისა და მთელის ურთიერთკავშირს. ფიქრობენ: „ნაწილის“ განზემაცქერლობა ძალადობით დაითრგუნებაო, როცა პირიქითაა საქმე, თავად „მთელის“ მუშტის პოლიტიკა ქმნის განზემაცქერლობას. აბა, შემოუშვი შენში სრული ნაკადით ნებისმიერი დიალექტი და ნახე, კონფრონტაციისთვის ადგილი თუ დარჩა. მეგრულისა და სვანურის სიტყვიერების ოქრო ლოდებითაც რომ აშენდეს ჩვენი სულიერების ცათამჯებენები, გაცილებით მკვიდრი იქნება ის ციტადელი. შენგან მსმენია, მგონი, ჩვენს ლექსიკაში ორმოც პროცენტამდე უცხო სიტყვააო.

— რატომ ორმოცდაათიც არა.

— ხოდა, გური, ჯიმა, ამ მიმართებით არანაკლები ლელოა გასატანი. მეგრულ-სვანურის, საუკუნეებისგან გამობრძმედილი სიტყვები სრულფასოვნად რომ ჩავაყენოთ ქართული აზროვნების მშენებლობის საქმეში, დარწმუნებული ვარ, საერთოდ მოიხსენება ვიწრო-პარტიკულარული გაწევგამოწევანი: შე მეგრელო! შე კახელო! შე იმერელო! შე გურულო! შე ქართლელო! ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დიახ, მოიხსენება კუთხური ძიძგილობანა, რადგანაც ყველა ერთიანი ქართულის ღირსეულ მემკვიდრედ ეკურთხებოდა, მემკვიდრედ და პასუხისმგებლად, ვინაიდან საამისოდ სახელმწიფოს ზრუნვა დაედებოდა საფუძვლად ამბიციური გამორჩევითობის კომპლექსს თუ ამბიციური დაკნინების ტენდენციებს. მეგრული და სვანური...

— ლაზური?

— კი, ბატონო, ლაზურთან ერთად, ქართული სულიერების მშენებლობაში, როგორც კი მთელი ენერგიით ჩაერთვება, გვარნაცვალი ხალხის ყმუილი მერე ნახე! ადრე თუ გვიან ეს უცილობლად განხორციელდება. გვარნაცვალ ხალხს სამეგრელოს, მეგრელის ფაქტორი განსაკუთრებით საქართველოს ფსიქოლოგიური გახლეჩილობისათვის სჭირდება, მაგრამ როდესაც ზოგადეროვნულ ლექსიკონში ზედმიწევნით დაფიქსრდება ჩვენი კუთხის სულისთქმა, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბურჯისა, იქ გვარნაცვალი ხალხის გამთიშველ საუკუნოვან პოლიტიკას წყალი შეუდგება. ამ ფსიქოლოგიამდე ადრე თუ გვიან უეჭველად მივა ქართველი კაცის გონება, სრულიად საქართველო. სხვანაირი პერსპექტივა უბრალოდ არ გვიწერია; სხვანაირად ცალ-ცალკე მოგვაშთობენ.

— ისემც გვერდები ნუ დაუდგებათ!

— ცხადია, მე სიტუაციის გასააზრებლად ვახსენე, თორემ ... დაუ! ხოდა, ახლებური ცნობიერება ახალ სიმაღლეზე ატყორცნის ფსიქიკურადაც გამრთლიანებულ საქართველოს.

რაც შეეხება სარწმუნოების საკითხს, აქ ფორმულა ნაპოვნია, დიდი ჭყონდიდელის ღირსეული შეგირდის — აღმაშენებლის ფორმულა:

აღმსარებლობა და ტოლერანტიზმი — ყველა რელიგიას მართლმადიდებლობის პრიორიტეტით; პატივისცემა, ღია სულიერი სივრცე — თითოეულ თეოლოგიურ სკოლას, სრულიად სამყაროს მოაზრების გზაზე. მაგრამ წავედი ახლა დასაძინებლად. შენ რა, დარჩენას აპირებ? ცოტა ხნით მდინარეც მითვლემს, შე კაცო! დაუსრულებელი სრბოლის პროცესში, მომავალ თაკარა დღეთა სახელით, ძილიც აუცილებელია, ჯიმა, გური!.

19-20.03.99 წ

საქართველოს უკვდავების ფორმულა

ფორმულა პირველი

მწერლის შემოქმედებითი დრო ცეცხლზე შემოდგმული რძით სავსე ქვაბის შესადარია, გამუდმებული ყურადღება რომ სჭირდება. იოტისოდენა თვალის მილულვაც კი საკმარისია პერმოდებული სტიქიონის მსგავსად გადანაპირდეს იგი და მიმწვარი რძის სუნით გაჯერდეს შენეული სიტყვის სამჭედლოა თუ ლაბორატორია. მზრუნველობამოკლებულ რძეს არაფერი ეშველება მომავალ აღვსებამდე. გადაღვრილს, გადმოფუებულს ცეცხლი მუხტავს ნატუსალის სურნელით, და სასიკეთო თვისებებს უმალ გარდაქმნის საზიანოდ, მაგრამ ამისთანა შემთხვევაში ნაცადი მწყემსები: ძიკი კვარაცხელია, იროდი სართანია, ბაგრატ ფიფია თუ ვალიკო მესხია, არაფრისდიდებით გაირჯებიან უგულისყურობით გადმონაკადებული რძის მოსარჯულებლად, გადადგამენ აივანზე და კავკასიური ნაგაზების თუ ჯაგარა ტახების დასანაყრებლად გააბედითებენ. ცხოვრებისეული ეს სიბრძნე პრაქტიკული მრავალნაცადობითაა გამსჭვალული: რძის ცეცხლთან შეხება იგივეა, რაც შემოქმედის სულის საკირეთში გამოხრუკვა, რომელიც ორივე შემთხვევაში შრეტს საყოველთაო ნათელს:

უვარგისდება რძე და ჩანაგდება შემოქმედებითი გენია შეურაცხადის მოსასხამის დასაღრღნელად. თუმცა ყოველივე ამის თაობაზე არაფერი ითქმება მწერალთა სახლში პოეტ გენო კალანდიასთან. დამამუნათებს ამასწინანდელი ეგზალტირების გამო: ერთ-ერთი მეცნიერული დარბაზის წინაშე საქართველოს უკვდავების ფორმულით რომ ავპილპილდები კათედრაზე. აქვე მეგობარ კაცთან, ბატონ აპოლონ წულაიასთან შესახვედრად წამაქეზებს, რომლის შესახებ ზერელედ მსმენია აქაიქ, პოლიტიკური ბატალიების კლანური პლატფორმებიდან, მაგრამ როგორც ახლო საუბრიდან ირკვევა, ინიციატივიანი პიროვნებაა და ჩემი ბელეტრისტული ინტერვიუების სადაგი საუბრისთვის განმაწყობს.

ნახევრიოდე საათში ბატონი აპოლონიც შემოიხედავს კაბინეტში. გამოვეცნაურებით ერთურთს. გავცვლით ტელეფონებს. განვსაზღვრავთ სავარაუდო შეხვედრის თარიღებს და ახა, კვირის თავზე იპოდრომის ჯარგვალში მოვკალათებულვართ ორპირ ქარში.

ნასახსოვრები წიგნებიდან ვიცი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორია; ქართული მითოლოგიის ბურუსები უღიტინებს სულში; კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ხალხურ წყაროებს იკვლევს... და მაინც მიუხედავად ყოველივესი, მე მარმარილოს ქანდაკებისათვის ცივი ვარ მისი ტიტულების წინაშე; ის ჯერ კიდევ ჩემი საუბრის მასალაა; მაჯაზე დავადებ დასტაქარივით სამ თითს და გულისყურით მივადევნებ მზერას მისი ფიქრების მღელვარებას. მხოლოდ ასე, მხოლოდ ამგვარად შევიძლებ, ალბათ, ტევადი აზრის შემოკრებას განსასჯელად თუ გასაანალიზებლად.

მეცხოველეობის დეპარტამენტს მოვცილებივართ. აქვე, სამეზობლოში გადმოვსულვართ იპოდრომის სიახლოვეს. უკიდურესი ჯარგვალი ამოგვირჩევია სამასლაათოდ, ძელური, ტრადიციულისა და მოდერნისტულის ნაჯვარი.

პაპანაქებას კარში გაძურწავს ორპირი ქარი თუ სუსტად მოქოთქოთე კონდიციონერი. ცივი „ყაზბეგი“ დაღარულა შემოტეული სიცხისგან. ქაფდება მაღალ ჭიქებში და წყნარდება ჩამწერის საქმიან მუშაკობაში. მიზანი ხომ ერთია: ვინძლო საქართველოს უკვდავების ფორმულა გადავარჩინოთ მამულის, ენისა და სარწმუნოების პარამეტრით.

მიფიქრია მსგავს განზომილებაზე. წერილებიც გამომიქვეყნებია რესპუბლიკურ პრესაში, რომელიც ჩემი შინაგანი რწმენით, ჯერაც არ უწყის ბატონმა აპოლონმა, თორემ მეტი სიფრთხილით მომეკიდებოდა, თუმცა ნათქვამია: ზღვაში ჩავარდნილი ღმერთის მოწყალების მოხვეწეობით თავს ნუ დაიღუპავ, გააქნიე ხელები და გადარჩენილი ხარო.

ჩვენი საბორგველი ოკეანე მინიატურულია თითქოს აწცნობილ ატლანტიკასთან თუ წყნართან, ინდოეთისა და ჩრდილოეთ-ყინულოვანის მეზობლობაში; ორ ზღვას შუა მოყბევებული საქართველოს დიაპაზონის, მაგრამ კავკასიონის აყალყზე შემდგარი სხეულის დამთმენი და მეცხო-

ველეობის პრობლემების გამგებელ კაცთან უკეთესს რას წამოვწევ პირველ შეკითხვად, თუ არა ჟინი ანთარის ფენომენს, იგივე ანატორის გაგებას ხევსურეთში; აფხაზური აითარიც ხომ მსგავსი შინაარსით იტვირთება — გარეულ და შინაურ ცხოველთა მფარველ ღვთაებად. ამიტომაც ჩემი მეთაური კითხვა ასეა აგებული:

— ბატონო, აპოლონ, საუბრის დასაწყისი მის შუაწელსაც განსაზღვრავს ხოლმე და დასასრულსაც. აქედან გამომდინარე არ გაგიკვირდეთ ჟინი ანთარის ფენომენით რომ აგიხირდეთ. ალბათ, გსმენიათ ძველი კოლხების წარმართული ღვთაების შესახებ?!

— ბატონ აპოლონ ცანავასგან რას არ გაიგებ დილეტანტი, როცა შენი პროფესია გაიძულებს მითოლოგიური ძირების გამოფხვიერების აუცილებლობას, მაგრამ საუბრის დასაწყისი, შენი განმარტებით, სადღაც მის შუაწელსაც თუ განსაზღვრავს და ფინალსაც, უფრო მოკრძალებული ვიქნები და გეტყვი ღიად: ჟინი ანთარზე ბევრი რამ გამიგონია; ჩვენთან ახლაც იტყვიან მარტვილში, ნახუნაოში, ,,ჟინი ანთარიშ ჭყელ ორდავა''.* ჩანს, დიდი სიძლიერის წარმართული ღმერთია, მაგრამ ჩვენს თაობას არ მოუცლია მის გამოსაკვლევად; ან რა უნდა ეკვლია ღვთაებათა წარმართულ პანთეონში, როცა ქრისტე ლამის ხელმეორედ ჯვარზე ვაცვით ზეზეურად?!

— ეტყობა, ბატონო, აპოლონ, ჩემი რომან-ტრიადა ,,სიცოცხლემისჯი- ლების''პირველი წიგნისათვის, ხელი ვერ მიგიწვდათ, თუმცა რა, იქ ხომ რეალური პიროვნებაა დახატული, ვინაც ეროდი სართანიას ფენომენმა გამოკვება და ერთგვარი მისტიკური სამოსლითაც აღკაზმა.

— ხოოო?

— ბატონო, აპოლონ, თქვენ უშველებელი სტრუქტურის ხელმძღვანელი ბრძანდებით, მეცხოველეობის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შედარებით ნაკლები ხანია ამ სამსახურს განაგებთ და აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვერ დაგაინტერესათ ჩემი წერილების არსმა, რომელიც ძირითადად ენდემური ჯიშების: მეთხეობის, მეცხენეობის, მეკამეჩებობის პრობლემებს წარმოაჩენდა. ამან გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა, რასაც ილია ,,მამულს'' უწოდებს თავის ფორმულაში, იგივე სამასი სახეობის ვენახს, თუ ზანდურის ჯიშის ხორბალს...

— საუკეთესოს სხვათა შორის.

— აი, ამაზე მინდა ვისაუბროთ ღიად, სანამ ხსენებული პუბლიკაციები შემოგვიშველებია. იქ აზრი უფრო სხარტად, დაწურულადაა ჩამოყალიბებული და ბორბლის გამოგონებისათვის თავი რისთვის ვიმტვრიოთ? აი, რაზე მინდა ვილაპარაკოთ აშკარად, როგორც საქართველოს გადარჩენის, ანუ უკვდავების პირველ ფორმულაზე, იგივე მამულზე თავის სახნავ-სათესიანად, მეცხოველეობით, უამრავი პრიორიტეტული თუ შემავსებელი დარგით.

— მართალს ბრძანებთ, თქვენი წერილებისთვის ამ მიმართებით თვალი არ მიმიდევნებია. მე სხვა პროფილით მიხდებოდა საქმიანობა, და ეტყობა, ინტერესიც სპეციფიკური მახასიათებდა. ამ სამსახურში, მეცხოველეობის დეპარტამენტს ვგულისხმობ, მე მესამე წელია ვმუშაობ, თავად ბატონ ბაკურ გულუას ინიციატივით. ჩვენი დეპარტამენტი სამინისტროში შედის, მასთან არსებული სტრუქტურაა. დიახ, ბატონი ბაკურის თხოვნით წამოვედი ამ სამსახურში. თავისთავად, ცხადია, პრეზიდენტთან შეათანხმა, ბატონი ედუარდი მანამდეც მიცნობდა... მეფრინველეობის სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტი ვიყავი. მეფრინველეობის დარგი გახსოვთ თქვენ, როგორ ჰყვაოდა საქართველოში. ხოლო რაც შეეხება ამ დეპარტამენტის ჩამოყალიბების ძირითად პრინციპს, მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ საქართველოში მეცხოველეობის დარგი ნულს ნიშნულს ქვემოთაა ჩვენდა სამწუხაროდ. ეს დეპარტამენტიც ამ პრობლემის საშვილიშვილო მისიით ჩამოყალიბებულა. ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან და ადვილად დარწმუნდებით თუ რას ნიშნავს ნულს ქვემოთა ნიშნული.

ერთი ძროხის საშუალო ჩამონაწველი საქართველოში 97-98 წლებში 700-800 ლიტრს არ აღემატებოდა. ახლა დავუკვირდეთ ერთი თხის წველადობას, ჯიშობრივი მონაცემების თხა მყავს მხედველობაში, ზოგჯერ იგი 1200 ლიტრს უახლოვდება. ესე იგი თურმე როგორ და რამდენად გადაჯიშებულია ჩვენი ძროხა?! დამეთანხმებით, გადაუდებელ დახმარებას მოითხოვს.

— სულადობაც შემცირებულია, — ჩავერთვები მე, მაგრამ უფრო ზემოური საუბრის მიმართულებით მირჩევნია მასლაათის წაყვანა, საქართველოს უკვდავების ფორმულად რომ წარმოვსახე, და მომენტს ვეძებ წამოძღოლიებული წერილების შესათავაზებლად.

— სულადობა კი არის შემცირებული, მაგრამ იმდენად არა, რამდენადაც თვით ჯიშობრივი მონაცემები. განვითარდა ნათესაური მოშენება, რომლის შემდეგ ესა თუ ის ჯიში კარგავს დამახსაიათებელ ნიშან-თვისებებს. აი, დავუშვათ, ჩვენი მეგრული, კვარაცხელიას ჯიშის ძროხა, საშუალოდ 2000 ლიტრს იწველის. ე. ი. იმდენად იაფია წარმოებული პროდუქცია...

— მომთაბარეობასაც ექვემდებარება, — კვლავ ჩავეჩხირები, თითქოს ვსულსწრაფობ. რა ვიცი ბედოვლათმა რამხელა საუბარი გაიბაწრება წინ და მერე — ვისთან?

— მომთაბარეობის პირუტყვია ძირითადში, — ლუდს ჩამოასხამს ორივე ფუჟერში, მე გაწვდილი ხელით ჩამწერი მიმიახლოვებია მის ტემბრიან ხმასთან. საკუთარ ნალაპარაკევს უფრო ბუნდოვანი ელფერი დაკრავს, მაგრამ აქ არსებითი რესპოდენტია, ჩემთვის ყოველთვის მოვიცლი, მთავარია სტუმარი დაფიქსირდეს, — და იაფ პროდუქციას ქმნის, რაც განსაკუთრებით მთის რეგიონებისთვის უდიდესი ეკონომიკური პოტენციალია შემოსავლების თვალსაზრისით; და ამ გარდამავალ ეტაპზე, როდესაც ქვეყანას ასე უჭირს, დარგის განვითარება, ფაქტობრივად დიდად წაადგება მთის მოსახლეობას.

— ბატონო, აპოლონ, თქვენ უფრო მიხვდებით რა მაინტერესებს ამ საკითხთან დაკავშირებით. მე გვარიანი ხანია ამ პრობლემებს ვუკირკიტებ; რაც ისტორიულად გამოცდილია საქართველოში, იმის აღორძინება, საყოველთაო დამკვიდრება მეწადა.

იყო პერიოდი, როდესაც კომპლექსომანიამ შეგვიპყრო. მიწა ჩვენ ბევრი არა გვაქვს, მცირემიწიანი ხალხი გვეთქმის, მაგრამ მთის უხვბალახიან ფერდობებს თუ გავიანგარიშებთ, დაუთოვების ფიგურალურ გამოთქმას თუ შემოვიშველიებთ, აღმოჩნდება რომ ზოგ ვრცელ ქვეყანასაც გადავფარავთ ვერტიკალური მსწრაფველობებით. მოკლედ, პრობლემა დანახულიცაა და ნაშველებიც.

ვინც თბილისის გამსხვილებისთვის ხმალამოღებული „იბრძოდა", შეიძლება საქართველოს მომავალი აწუხებდეს?! კი, დარდით „კვდება" პირდაპირ! მან აყარა ქართველი ხალხი, გამოანთავისუფლა მიწები ძროხებისთვის და სოფელს ზურგში ლახვარი ჩასცა. ეს ყოველივე გვარნაცვალი ხალხის წყალობა მგონია.

საქართველოს შენარჩუნება, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს, შეუძლებელია თბილისის გამსხვილებისთვის იკაპიწებდეს მკლავს სოფლების იავარქმნის ხარჯზე. აი, სად არის მორგებული ჩვენი მთიანეთის საძოვრები და კვარაცხელიას ჯიშის ძროხა. ჩვენს რელიეფს უნდა მივესადაგოთ და არა— პირიქით. ერთ ძროხას ხომ ერთი ხექტარი საძოვარი სჭირდება გამოსაკვებად?!

— აი, გვაქვს მთაში იალაღები, უამრავი, თანაც ყუათიანი და აუცილებლად საკმარისი იმ სულადობისთვის, რომელი სულადობაც აბსოლუტურად საკმარისია იმ პროდუქციის წარმოებისთვის, საქართველოს შიდა ბაზარს რომ უზრუნველყოფს ყოველგვარი ეჭვის გარეშე.

— აგაშენა ღმერთმა. ბატონო, აპოლონ, აი, რატომ გეუბნებით, ადრინდელ წერილებზე, სადაც ბატონ ელბერდ ბატიაშვილთან საუბრით, ცხონებულ ნიკო ყოჩიაშვილთან ბუხუნით, სხვებთანაც ბაბანით დიდხანს ვაფრიალე ეს მოსაზრებანი ოთხმოციანი წლებიდან მოყოლებული. რამდენიმე სატელევიზიო გადაცემაც მივუძღვენი პრობლემას. რა არ ვცადეთ, რა არ ვიღონეთ, თუმცა უშედეგოდ. საქმე კი ის გახლავთ, რომ თურმე ჩვენთან, საქართველოში, 25 ათასზე მეტი დიდი და პატარა მდინარე გვქონია, ეს ხომ ელემენტარულად ამდენივე ხეობას ნიშნავს — 25 ათას დიდ-პატარა ხეობას?

— რა თქმა უნდა.

— აღმოჩნდა, რომ ამ 25 ათას ხეობაშ,ი თითოეულში 50-დან 500-ამდე კამეჩის შენახვა შეიძლება, გააჩნია როგორია მისი გაბარიტები. ხეობაში იზრდება ლანცეტივით ბასრი ბალახი, რომელსაც კამეჩის მეტი არავინ ეკარება, როგორც სინორჩის პერიოდში, ისე გადაუხეშებულს.

კვარაცხელიას ჯიშის ძროხა თავს არ შეიწუხებს ლერწმების ღეჭვა-ცოხნით. ის ფერდობ-ფერდობ ინავარდებს, ლორთქო ბალახის მოსახელთებლად, სადაც კამეჩს ხეტიალი ეზარება, ვინაიდან ტლაპოც საჭიროა მისთვის, გასაგრილებელი ალაგი და აი, მთის რელიეფი დაიყოფა ორ პირობით ზოლად: დაბლითა იარუსი — მეკამეჩეობისთვის, მაღლითა — კვარაცხელიას ძროხის ჯიშებისთვის, ცხადია, სხვა კულტურების მხარდამხარ;

ბარის საძოვრები კი კომპლექსომანიის საზიანოდ გამონთავისუფლდება ვენახისთვის, გნებავთ მარცვლეული კულტურებისთვის. ამის შემდეგ გვარნაცვალმა ქართველმა, ანუ იგივე მეხუთე კოლონის შინაურმა მტერმა რა უნდა გვავნოს, როგორ უნდა დაემუქროს ჩვენს მომავალს, მერმისს?

კოლხეთის ჭაობიანი და კახეთის ალაზნისპირა ჭალიანები კამეჩისთვისაა ზედგამოჭრილი. ამის თაობაზე ჩინებულად უწერია ჩვენს სასიქადულო მწერალს, ნოდარ წულეისკირს, პუბლიცისტურ პამფლეტში „ნოე". პირველად, ვგონებ, დიახაც ბატონი ნოდარი მიუხვდა საქართველოს რელიეფის, ფლორა-ფაუნისა და ადამიანის ურთიერთკავშირს: დიახაც ერთ-ერთი პატრიარქია, ვინაც ჩვენს ტერიტორიებს ისტორიული ნიშნით განიხილავს ანუ იმ დარგების მოშენებას გვთავაზობს, რომელიც მამაპაპურად, ტრადიციულად გამოცდილია. ამისთანა აზროვნებას დასტურ ჩვენი მა-

მულის უკვდავების პირველ ფორმულას ვეძახი, ბატონო, აპოლონ და ამ პოზიციიდან ვფიქრობ, აწი ჩემი გადაბორძიკება გაძნელდება. ამ ათიოდე წლის წინ გადამღებ ჯგუფთან ერთად დაშუზუშიც ჩავედით. იცით, რას ნიშნავს დაშუზუ?

თავს მიქნევს უარყოფის ნიშნად.

— ,,დაშ'' ქვაა აზერბაიჯანულად, ,,უზუ'' — სახე, ანუ ,,ქვის სახიანი'', ხრიოკი. ხოდა, არემიდამოში, სადაც ბუნებრივი ჭალები, ტლაპოები ნაბდისხელაც არსად ჭაჭანებს, მეკამეჩეობის იმნაირი ჯიშსაშენი კომპლექსია გამართული, ავ თვალს არ დაენახვება. თავის დროზე ექვსასი ათასი მანეთი დახარჯულა მის ასაშენებლად. იქ ორიათას სულამდე კამეჩი ხყავდათ ათიოდე წლის წინ და როგორც გულღია მასპინძლობისას გვითხრეს, მასზე გახარჯული თანხები ოთხ-ხუთ წელიწადში ამოუღიათ.

უფრო მეტს გეტყვით, ინდოეთთან ამყარებენ კავშირს, ტურთან აჯვარებენ ,,ადგილობრივ'' სახეობას, რომელიც ,,ბუბალუს არნეეს'' გენეტიკური შთამომავალია, ანუ ინდური კამეჩისა, ამჟამად კავკასიურად, ქართულად რომ იწოდება, და იცით, რა მოტივით, რა მიზნით?

— საინტერესოა, ბრძანეთ.

— ბატონო, აპოლონ, უკეთ მოგეხსენებათ, რომ კამეჩს საოფლე ჯირკვალი არ გააჩნია. აი, მისი უმთავრესი ნაკლოვანება. ამიტომაც ვერ ეგუება იგი სიცხიან ამინდში უწყლობას, ცხრა მთას გადაზოზინდება და საფლობში უცილობლად დაიძირება.

ამგვარი ცხოველი, ვფიქრობ, ძაღლია კიდევ. იმიტომაც გადმოაგდებს ხოლმე პაპანაქებაში ენას, მაგრამ მოვუბრუნდეთ კამეჩს და შევხედოთ როგორი პერსექტივა გააჩნია მას ჩვენს მეზობელ დაშუზუელებთან, შექის რაიონში, დასახელებულ ჯიშთასაშენში?! შეაჯვარებენ ადგილობრივ კამეჩს ტურთან და მიიღებენ კიდეც უნიკალურ ჯიშს, რომელსაც უკვე უწყლობა ვერაფერს დააკლებს, კვარაცხელიას ძროხასავით დაადებს თავს მაღალმთიანი საძოვრებისკენ, თუმცა ეს ყოველივე მომავლის საქმეა, ჩვენ კი არსებული მდგომარეობით უნდა ვეძებოთ გამოსავალი.

ოთხმოციანი წლების საქართველოში, ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტის კომპლექსში, რომელიც ჯერაც ფუნქციონირებს, თუ ალაზნის აუზში 60 ათასამდე სული კამეჩი გვყავდა, როგორც კერძო სექტორში, ისე — საზოგადოებრივ მეურნეობებში. ინვესტიციების პირობებში, რატომ 300 ათასი კამეჩის ყოლას არ შევძლებთ დღევანდელ საქართველოში. თანაც ეს მიდგომები სხვამხრივადაც მოაგვარებს პრობლემას, ანუ მოხსნის ხორცისა და რძის პროდუქტების დეფიციტს, ვინაიდან ცხიმიანობის გათვალისწინებით 300 ათასი კამეჩის ნაწველი ხუთასიათასი ძროხის ყველს და მაწონს უტოლდება. იგივე ითქმის ხორცის მიმართ

ტყუილია, რომ თითქოს ქართველები კამეჩის ხორცს არ ვჭამთ. აბა, საიდან შეერქვა გიორგი მეთერთმეტეს ზაქიჭამია?

ენად გავკრეფილვარ, მაგრამ ისე არ ჩამომართვათ თითქოს მენტორის როლს ვთამაშობდე, ან ვერ ვამჩნევდე საქართველოში სხვა ენდემური ჯიშების აუცილებლობას. მე იმისი მომხრე ვარ ყველგან და ყველაფერში, რომ რელიეფს ჯიში მოერგოს; ამ შემთხვევაში, მაღალმთიან ალპურ საძოვრებს — კვარაცხელიას ძროხები; უფრო მაღლა, ზემორე, სადაც მათი მომთაბარეობა შეუძლებელია, თხები მოვაშენოთ; სულ ზემოთ, ტყეების და ბუჩქოვანების კორომებში საქვეყნოდ ცნობილი ფუტკრები. პირველი იარუსი კი კამეჩს დავუთმოთ სათანადო ხეობებში; რაც შეეხება ჭაობს, აქ ხომ იგი მთლად უმეტოქოა, შეუდარებელი, პირდაპირ მისთვისაა გაჩენილი, სანამ დაშუზუელებს ტურთან შეუჯვარებიათ და საოფლე ჯირკვლები გასჩენია.

— თქვენ ჩინებულად აყალიბებთ მთიანი რეგიონის ათვისების პრობლემას, თანაც თითოეულ სარტყელს შესაფერის ჯიშს და სახეობას მიუსადაგებთ: ეკალ-ღიჭიან ადგილებს— მეგრულ თხას. ეს საოცარი პოპულაციაა, რომელიც უმნიშვნელო დანახარჯებით იძლევა უნიკალურ რძეს და განსაკუთრებით მარგებელ ხორცს. გახსოვთ, ალბათ, თხის ხორცი როგორი დიეტურია.?

— სასწაული, ბატონო, აპოლონ.

— რარიგ დიეტური და თანაც დაავადებათა რანაირი მკურნალი.

— ძირითადად ეკალას რომ ეტანება.

— ეტანება და მერე როგორ, რაოდენ ყუათიანს, კალორიულს. აქედან იმ შინაარსის გამოტანა შეიძლება, რომ მცენარეული საკვებით ნაპატიები პირუტყვი იმ თვისებებს გადასცემს ადამიანს, რითაც გამოსაზრდოებულა. თქვენ მერე იმსჯელეთ კვარაცხელიას ძროხის ჯიშზე, ფუტკარზე, კამეჩზე, რა ვიცი, კრიალოსანივით აკინძეთ მთიანეთის კალთებზე ენდემური ჯიშები სავარგულების შეხამებით.

— აი, თქვენს სამსახურს ამ მიმართებით რა კონცეფცია გააჩნია? გათვალისწინებულია თუ არა

ენდემური ჯიშების აღორძინების ჩემეული დილეტანტური შეხედულება?

— როგორც აქამდე მითქვამს, — სიგარეტს უკიდებს, დამაცლის ახალამოღებული ღერის დამუშავებას და მერე ამინთებს. ვაბოლებთ სიცხეშესრუტულ ძელურ-ფაცხა-კოტეჯში.

წუთშესვენებაა. საუბარიც ყოფიერ საკითხებს შეეხება, არჩეული თემატიკიდან გადახვეულს, და ამდენად, ჩემთვის უმახსოვროს ზერელობის თვალსაწიერიდან.

ხის მერხზე, ცოტარე ქვემოთ, იპოდრომის მიჯნებისკენ, მთიბავები ისვენებენ. აქედანვე ვამჩნევ: სახეგაბურძგნილი კაცები უფილტრო სიგარეტს ეწევიან. თივას იმარაგებენ ზამთრისთვის.

თბილისის გარშემო უამრავი ოჯახი მისდევს მეცხოველეობას. განა სულ რძის ფხვნილის მაწონს დაატარებენ მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ტილოს ტოპრაკებით დოღრიალა დედაკაცები ვარკეთილისკენ თუ ვაზისუბან-გლდანისკენ? იქ ხომ ადრე, სანამ მეხუთე კოლონის ჭკუაზე გაივლიდა ჩვენი მთავრობა, ბაღ-ბოსტნები ყოფილა, ვენახები, ატმის და ხეხილის ნარგავები, მაგრამ სამოცდაათიან წლებში მოგვიყვანია ბულდოზერები და სარწყავ სისტემასთან ერთად ჩაილურის წყლებისთვის გაგვიყოლებია.

ოდესღაც ვარკეთილის მეურნეობის მთავარი აგრონომი, მაღალი სვანეთის კაცი, შოთა ვიჩიანი, ახლა სამარშრუტო ტაქსს დააქროლებს და შეკოწიწებული გროშებით არჩენს ცოლ-შვილს.

ამას მაინც ეს თეთრები უგროვდება, მაგრამ რა ქნან ათასებმა, რომლებიც რეზერვაციაში შეყრილების მსგავსად მომწყდეულან აქა-იქ უშუქო-უგაზო კორპუსებში და აყმუვლებული სტომაქით მიათრევენ წუთისოფელს?

გვარნაცვალმა ქართველობამ გვაჯობა. ეს ყოველივე იმპერიის დაკრულზე ჩვენს გაუმაძღრობით აცეკვებას შეემსხვერპლება, ვინაიდან ქართველი გლეხიკაცი, რომელიც ქარხანა-ფაბრიკაში დასაქმების მიზნით ჩამობარგდება ქალაქად და ვენახში ოფლისღვრას მოვაშლევინეთ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უფუნქციო აღმოჩნდება, საწარმოთა მასობრივი გაჩერების შემდეგ.

რა ქნან, რა იღონონ?

ზოგი მოხერხებული მარტივ აღებ-მიცემობას მიხყოფს ხელს. ოდესღაც მარნეულელი კაცივით მშრომელი, იქ იძენს კაპიკების, თეთრების დასაზოგად ბოსტნეულს და ქალაქის ხვატში იხრუკება ტლაპოსდანატრებულ კამეჩივით. აი, როგორი პერსპექტივაა დღევანდელ მამულში.

უმეტესობა უცხოეთის ქვეყნებში გახიზნულა, სამოწყალო დოლარების საშოვრად, მაგრამ მე ჯერ არ მინახავს იქიდან ჯიბეგასქელებულად დაბრუნებული თანამემამულე.

ამერიკიდან ახლადჩამოსული, ერთი გუვერნანტკა ქალი გამომესაუბრება ამასწინათ. იქ მუდმივი ჩაწერის უუფლებო პლებსს ათას დოლარამდე ძლივს უგროვდება ყოველთვიური გასამრჯელო. მასპინძელი უმეტესწილად რუსულენოვანი ებრაელობაა. ქალებს შედარებით მეტს უხდიან, ვინაიდან ისინი იმ ოჯახების ბინადარნი ხდებიან და თუ ზოგი მიმზიდველია, შესაძლოა სხვა რამ სახრავსაც გამოხკრას ხელი.

ასეთი რეალობაა ჩვენს გარშემო. მიწაწართმეულები, ან უფრო სწორად, მიწასმოწყვეტილები, გავრბივართ ჩვენი სამშობლოდან ოთხივ კუთხით და გვარნაცვალი ქართველობა თუ უკვე გვარიანადაც მოყვინჩილებული საძიძგილაოდ პორტუგალიური არენის კვალობაზე, გემედიდურება გამომწვევი უცხოტომური საუბრებით მიკროავტობუსებში, ბაზრობებზე, სათავყრილობო ადგილებში, თითქოს არც არსებულხარ, თითქოს არც გიცხოვრია ამ ცის ქვეშ.

წარმომიდგენია, როგორი დამანუგეშებელი სურათი გვესანგრება ახლო მომავალში, რომ არა სწორი ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა! გვიტევენ ოცდაოთხსაათიანი მუსიკის დემონსტრირებით გაჩახჩახებული ფანჯრებიდან და საკმაოზე მეტად მოძველებული ცეკვებით. ესეც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ჩვენი სამშობლოს შვილებისთვის გულის გასატეხად, საკუთარი ღირსების ჩასაქოლად საკუთარივე ხელით.

წამიერი შეყოვნებით გარინდული აივნიდან ვუმზერ ხის მერხებს მისვენებულ მთიბავებს და გალაკტიონის სიტყვები მოფრიალდება თავში: ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა თუ არ გაივლი, რაა მამული?!

— ჩვენ ვართ ძირითადად მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტი, რომლის უშუალო ფუნქციაში შედის საქართველოში ენდემური ჯიშების აღორძინება, — ჩემს რესპოდენტს კარგი მეხსიერება აქვს-მეთქი, ვინუგეშებ თავს, ვინაიდან ამხელა პაუზის შემდეგ წინადადებას ზუსტად გადააბამს წამოწყებულს, — ეს ეხება, როგორც კვარაცხელიას ჯიშის ძროხას, ასევე მეგრულ თხას, — ოფიციანტს შემოაქვს ჩაციებული ლუდი ლანგრით და ხილი: ატამი, მსხალი, ბალი, მოკლედ, ნაჯვარი, ერთ კვახისხელა ვაზაში მოთავსებული, — კახურ ღორს, ხევსურულ ძროხას, თუშურ და იმერულ ცხვარს... ეს არასრული ჩამონათვალი საქართველოს ის ენდემური ჯიშებია, რომელთაც

იაფად მოეპოვებათ საკვები და იაფად მოპოვებული საკვებით წარმოებული პროდუქცია, ბუნებრივია, იაფი იქნება თავისთავად. ამიტომ ჩვენი ფაქტობრივი აქცენტირება პირველ რიგში უნდა გაკეთდეს საქართველოში ენდემური ჯიშების აღორძინებისკენ. ამ მიმართულებით გადადგმულია უდიდესი ნაბიჯები.

— ფინანსები, ინვესტიციები? — ვკითხულობ მე ახირებული პროფესიის კვალობაზე.

— ფინანსების მხრივაც მოგახსენებთ. ჩვენ უკვე გაკეთებული გვაქვს დარაიონების სქემა...

— უფრო ზუსტად?

— დარაიონება ნიშნავს ესა თუ ის ჯიში, რომელ რეგიონსა და რაიონშია აკლიმატიზებული.

— მაინც ისეთი რა მოიმოქმედეთ, სათქმელად ღირდეს?

— ყველაფერი. დევს სპეციალური პროგრამები, რომლებშიც, აი, დავუშვათ კვარაცხელიას ჯიშის ძროხის მთლიანად რეგიონში აღორძინებისთვის გათვლილია ყველა პარამეტრი, რა ოდენობის ფინანსებს საჭიროებს...

— ბატონო, აპოლონ, კადნიერებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ შეიძლება მერე მომენტი ხელიდან გავუშვათ. რახან კვარაცხელიას ჯიშის ძროხაზე ჩამოვარდა საუბარი, ხობის რაიონში, პატარა ფოთის ტერიტორიაზე, გეცოდი- ნებათ, ჯონი ფიფიამ სანაშენე მეურნეობა მოაწყო. იქ კვარაცხელიას ჯიშის 100 სულზე მეტი ძროხა ხყავდათ. ამის თაობაზე დავბეჭდე კიდეც წერილი მაგრამ ჩანს, თქვენი ყურაღდების ველში ვერ მოექცა.

— ჯონი ფიფიას მეურნეობა ერთი თვის წინ დავათვალიერე. მეტი სხვა რისთვის მოვსულვართ?! მომეცით და თავად წავიკითხავ, — მეტყვის ჩვეული, ბარიტონს მიახლოებული ტემბრით.

აივანზე გავდივართ, მოაჯირს დაყრდნობილი კითხულობს ოთხი წლის წინათ დაბეჭდილ ნარკვევს. მთიბავთა ცელების რიტმულ მოძრაობას მიჩერებული ვეწევი სიგარეტს.

ლამის ოციოდე წუთი მოვუნდებით ნარკვევის ჩაკითხვას. ბატონი აპოლონი შიგადაშიგ აღფრთოვანებას ვერ მალავს. ვხვდები წერილი კაკალ ათიანშია მოხვედრილი. მართალია, თავის დროზე იგი ვერ ხპოვებს სათანადო გამოხმაურებას, შესაფერის ყურადღებას ვერ დაიმსახურებს მაგრამ ნათქვამია: არის ქვების შეგროვებისა და სროლის დროო, ანუ ყველაფერს თავისი ხუმუსი განსაზღვრავსო და როცა ვიგრძნობ მეცხოველეობის დეპარტამენტში გულანთებული მამულიშვილი მოსულა ჩემი რესპოდენტის სახით, მეც გადმომედება ეს სიხარული: ოდინდელი ეროვნული მეცხოველეობის აღორძინების გზაზე მიღველფილი გრძნობანი ისევ აგიზგიზდება ჩემს სულში და მისახვედრებელია, აწი ჩანაცრვამდე მის ბურტყუნს და აპაპარა საუბარს არაფრით დავეხსნები საშვილიშვილო საქმეთა დასაწინაურებლად;

წერილი შვიდი-ათი დეკემბრით თარიღდება, ოთხმოცდათხუთმეტი წლის ზამთრით.

ამ ოცწუთიან დეკლამირებაში ბატონი აპოლონი უხვად გამოავლენს თავის ხალას მონაცემებს სცენური ხელოვნებისადმი. განსაკუთრებით დიალოგებისას შეეცვლება ბუნებრივი კილო და წერილის პერსონაჟების სავარაუდო ხმაბაძვით ამეტყველდება. უამრავი ძაფით შემკონავს ბატონ აპოლონ წულაიასთან გადაყვითლებული ფურცლების ამოქარქაშება.

მართალია, ეს პუბლიკაციები ადრე თუ გვიან დღის ნათელს უცილობლად იხილავენ, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ რკინის გამოჭედვა გრდემლის და უროს ზათქუნს მხოლოდ სიმხურვალისას ექვემდებარება, და ახლა, ვინაიდან რესპონდენტ-კორესპონდენტის სულებიც გავარვარებულან მოზღვავებული პრობლემის გამოკვერვის გზაზე, აღფრთოვანებას ვერ მალავს.

— ჩვენ ამჟამად სამეგრელოს რეგიონში სანაშენე-სასელექციო სამსახურის უფროსად დანიშნული გვყავს 88 წლის ვალიკო არონია.

— არონია? — გამეღიმიება, რასაც დროულად დაიჭერს ბატონი აპოლონი.

— რა იყო, ხანდაზმულობის მიუხედავად საქმეს ჩინებულად გაართმევს თავს?!

— ასაკი რა შუაშია, — მივაშველებ სიტყვას, — ეს ის არონიაა, ალბათ, აფხაზეთის დამსახურებული ზოოტექნიკოსი რომ გახლავთ?

— მერე? — მომაჩერდება სახეზე ოდნავ შეცბუნებული.

— გამოხმაურებია ბატონი ვალერიანი ჩემს წირილს მეკამეჩეობაზე. მართალია, მიზეზთა გამო ველარ გავეცანი, მაგრამ მორალური მხარდაჭერა მაგრძნობინა. მისასალმებელია ამისთანა პიროვნება რომ ჩაგიყენებიათ სათავეში მამულიშვილური საქმისთვის.

— ვალიკო არონიას ხელდასხმითა და მეცადინეობითაა შეძენილი ჯიშსაშენში სწორედ იმ სახეობის გარკვეული რაოდენობის სულადობა, რაც დღემდე ჩვენი მწირი დაფინანსებთ შევძელით. დიახაც მისი უშუალო მონაწილეობითაა შესყიდული მრავალი პირუტყვი. ჩვენდა საბედნიეროდ მოსახლეობაში ჯერ კიდევ არსებობენ ეს ჯიშები, შენარჩუნებულია ასე თუ ისე და მისი მომრავლება

იმდენად გადაუდებელია, როგორც ეს ახლახან წაკითხულ წერილში გიწერიათ. ეს არის მეხორცულ-მერძეული მიმართულების საქონელი. რძეც ჩინებული ახასიათებს და ხორციც. კარგია დგომის მიხედვითაც. მაღალი რქებით გამოირჩევა, თუმცა რა, ამის თაობაზე არანაკლებად უწყით.

— ისტორიულად ასეთი ფაქტია ცნობილი ბატონო, აპოლონ, ნიკოლოზ II რომ ჩამოვიდა საქართველოში, ძიკი კვარაცხელიამ...

— დიახ, დიახ...

— რომელიც შეუდარებელი მეჯოგე გახლდათ, ასი სული რჩეული, სულ ერთი სიმაღლისა და შეფერილობის ძროხა გაუგზავნა საჩუქრად. ეს არის ოქროწყალში ამოვლებული სასწაული.

— საერთოდ კვარაცხელიას ძროხის ჯიში ორი ფერისაა, ერთი მუქი წითელია, მეორე — ღია.

— ჯონი ფიფია შერჩევით აკეთებს ამას, ღია ფერისკენ აქვს მიდრეკილება.

— უფრო სწორად ხქონდა, მაგრამ ჩვენ დავუსაბუთეთ, დავარწმუნეთ, რომ ღია შეფერილობის ჯიშის შეცვლა ჯობდა მუქ წითელზე, ვინაიდან მხოლოდ ასეთი ჯიშია ტიპიური კვარაცხელიას ჯოგისთვის, ოდნავ ღია კი, სადღაც ჯიშთშორისია, ნარევი.

— ახ, — გაოცებასავით გამომდის.

— ორივე კვარაცხელიას ჯიშია, მაგრამ მუქი წითელი სუფთა კლასიკური მეგრულია. კვარაცხელიას ჯიშის საქონლის ტრადიციები და ისტორია კარგად გამოუკვლევია ბატონ ვალერიან არონიას. ფაქტობრივად ამით ცხოვრობდა მთელი სამეგრელო.

— ბატონო, აპოლონ, ვინ დაგაცდის თორემ რძეს არაფერი მირჩევნია დღესაც. ხუთი წელიწადი მისაზრდოვია მისით ყრმობისას. რძის კულტი მართლაც ეტყობა ჩვენს კუთხეს. სულუგუნი ორმაგად იხარშება და როცა თითქოს, წესით ცხიმიანობა უნდა დააკლდეს, პირიქითაა საქმე, უფრო ყუათიანდება, ლამის ორნახად არაყს შეადარო. დანარჩენი რახივითაა მასთან შედარებით. მედიცინისთვის აღმოჩენას არ წარმოადგენს, რომ რძეს ანტირადიაციული თვისება გააჩნია.

— ანტირადიაციული და კიდევ უამრავი სხვა თვისება. ორგანიზმი, რომელიც დედის რძით იკვებება, შეიმუშავებს იმუნიტეტს ნებისმიერი გარეგანი გამაღიზიანებლის, დაავადების მიმართ. ამ წიგნში, — ნაჩუქარ სამავტორიან გამოცემას მანახებს, — ჩვენ მეცხოველეობის ყველა დარგი გავშიფრეთ და იგი გახლავთ სახელმძღვანელო არა მარტო ვეტერინარი სპეციალისტებისათვის, არამედ — იურისტებისათვისაც. სამართლებრივი ბაზაა, ესე იგი მთლიანად მოცემულია როგორც წარმოების ნაწილი, ასევე მომხმარებლამდე მისვლის ფორმები, თუ რა შემთხვევაშია ანომალური და რა ვითარებაში ნორმალური ამა თუ იმ წარმოებული პროდუქციის მოსახლეობამდე მიტანა.

ამიტომ, როდესაც ჩვენ საკითხს ვაყენებთ, თუ რისთვის უნდა დაიწყოს აუცილებლად სანაშენე საქმით საქართველოში ენდემური ჯიშების აღორძინება, ამ შემთხვევაში პირველ რიგში საკითხი ისახება მისი ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე. ეხლა თქვენ კარგად მოგეხსენებათ საბაზრო ურთიერთობაა. ამჟამად ცენტრიდან არაფერი იგეგმება და მეცნიერებამ თუ თვით ჩვენმა სამსახურმა, მოსახლეობას უნდა შეუქმნას მყარი ბაზა თუ რა სახის პროდუქცია უნდა აწარმოოს. ე. ი. რეკომენდაცია უნდა მისცეს, დააკვალიანოს და როდესაც საზოგადოება დარწმუნდება, რომ იგი აწარმოებს იაფ პროდუქციას, ლარს ჩადებს საქმეში და ორს ამოიგებს, თავისთავად ცხადია, მას მწვანე გზა ეხსნება სამომავლოდ; მაგრამ დღეს ჩვენს მოსახლეობას ფინანსურად ისე უჭირს, სოციალურად იმდენად შეჭირვებულია, ყოველივე ამის ხელის ერთი მოსმით ამოქმედება, ალბათ, შეუძლებელია, უტოპიურიც, იქნებ საზიანოც; თუმცა ამისი პროგრამები, განვითარების ეტაპები ჩვენ დამუშავებული გვაქვს და ვფიქრობ, რომ მომავალი წლიდან აქტიურად დაიწყება მათი დაფინანსება.

— ბატონო, აპოლონ, ჩვენ ერთსა და იმავეს ვამბობთ სხვადასხვა ფორმით; მე რასაც საქართველოს გადარჩენის ფორმულას ვეძახი ჩვენს ტერიტორიაზე ენდემური ჯიშების დამკვიდრებით, თქვენც იგივეს ახორციელებთ, ოღონდ კომერციული თვალსაზრისით, ანუ იაფი პროდუქციის წარმოების მეთოდებით.

მუქთად ტყე-ღრეში ხეტიალი არავის უხარია. თვით ყველაზე წარმატე- ბული მეჯოგე — დათა თუთაშხიაც ფუჭად არაფრით გაირჯება. გახსოვთ ვაშლისმკერდა ბოჩოლებისთვის სანამდე ჩაედევნება ნიკანდრო ქილიას სამსახურს? ეს ყველაფ ერი ფონისთვის, მაგრამ ორივე შემთხვევაში, უფრო სწორად, თქვენეული ეკონომიური ბერკეტების ამოქმედებით, ხერხემლიანდება ჩემეული მამულიშვილური პოზიცია, ანუ— დაცარიელებული, გავერანებული, გაპარტახებული ტერიტორიების აღვსება სათანადო კულტურებით, მისი მიმდევარი ხალხით, იგივე მთიანეთისა, რაჭისა, სამხრეთ საქართველოსი... მოკლედ, ვინ მოსთვლის.

ჩვენ ენდემური ჯიშების მიზანმიმართული აღორძინებით სიცოცხლისუნარიანს ვხდით თავად

ჩვენს მამულს, ილიას ფორმულის ერთერთ შემადგენელ ნაწილს, არა ქვეყანას ზოგადად, როგორც ამას უმართებულოდ მიუთითებენ, ვინაიდან ერის უგვირგვინო მეფის კონცეფციით ქვეყანა მთლიანობაში ნიშნავს მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთიანობას, ანუ მამულში ჩადებულია მიწისა და გლეხკაცის ურთიერთობის პანორამა, ოფლისა და ჭირნახულის ერთიანობის მისტიკა.

ამირანივით თუ მიაჯაჭვავ მშრომელ ადამიანს მიწას, იქ იკარგება შემოქმედებითი უნარი; იქ ძალადობის ფაქტორი წამოტივტივდება, რაც ადრე თუ გვიან აიძულებს მას ზურგი შეაქციოს ოდესღაც საფარელ კულტურას.

გვახსოვს ჩვენ კახეთში უამრავმა მეურნემ სულმოკლეობით ვაზის ამოძირკვას რომ მიხყო ხელი და ტრადიციულ ვენახში საზამთრო მოაშენა. ამისი მიზეზი უწინარესად კლიმატური პირობების გარდაქმნა გახლდათ, სეტყვის მომძლავრება, მაგრამ ჩვენ ისიც არ დაგვავიწყდეს უნდა, რომ ზეცას ქვემეხები დავუშინეთ ღრუბლების გასაფანტად, რაც ბუნებამ არაფრით გვაპატია. ამბოხებულ ზღვაში ტალღების დროებით დასაცხრობად ზეთს დაღვრიან ხოლმე გემიდან. ის გემი ცხადია, გადარჩება სტიქიის დგანდგარისგან, მაგრამ წარმოიდგინეთ რა ემართება მომდევნოს, რომელიც ათბალიან ან უფრო მეტ გაცოფებულ ღვართქაფში გაეხვევა, და როგორც წესი, იღუპება.

ბუნების გარდაქმნისკენ ძალადობის კატეგორიული წინააღდეგი ვარ მე და ჩემთან ერთად ბარეორი საწუთროში ჩახედული კაცი: იროდი სართანია ჭურიიდან, ვალიკო მესხია საირმედან, ვალერიან არონია აფხაზეთი- დან, ნიკო ყოჩიაშვილი ქიზიყიდან, დაბოლოს, თვით ელბერდ ბატიაშვილი, მეცნიერი, დაუნჯებული პიროვნება.

ჩვენ შეიძლება დროებითი ღონისძიებით რაღაც მოვიგოთ, ამწუთას— ქათამი მარტივად, უფრო მეტი კვერცხი გადავუგოროთ წინაპრებს საფლავებზე საღდგომოდ, მაგრამ მომავალ თანაფაზე ხელცარიელი მიუვალთ იმ საძვალეებს, ვინაიდან თავად ქათამი გადახყვება ამ ღონისძიებას. მგონი რაღაცნაირად მივუახლოვდით ეკონომიკურ პოლიტიკას; ეკონომიკა ხომ თავისთავში პოლიტიკასაც გულისხმობს?!

— პოლიტიკა ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია.

— ხო... აი, როგორც უდაბნოში მცხოვრები კაცი ვერ გაექცევა არსებულ რეალობას, ვერ დაუსხლტება სილიანი ქარიშხლების შემოტევას და დროთა მსვლელობაში თვალის ჭრილი უვიწროვდება.

უფრო ცხოველ მაგალითს შეგახსენებთ. ვიშველიებ ჩინგიზ აითმათოვის ბრწყინვალე რომანს, „ი დოლშე ვეკა დლილას დენ“:

უდაბნოში შეშა არ იძებნება, ფიჩხიც არსად ჭაჭანებს და აქედან გამომდინარე ცეცხლზე შეჭამადის შეკმაზვის საშუალებაც მოშლილა. თუმცა შეხედე ჭკვიანი ხალხი როგორ გადაწყვეტს ნორმალური არსებობის პერსპექტივას?! დაკლავენ ძროხას, ხორცს ცალკე დააწყობენ, ძვლებს — ცალკე, ტყავიც ხომ აქვეა?! ხოდა, ამ ტყავში ჩაყრიან აქნილ ხორცს მეუდაბნოენი. შემდგომ კვესაბედით წაუკიდებენ ცეცხლს იმ ქონით გაპოხილ ძვლებს და მისახვედრებელია, როგორი მადისაღმძვრელი სუნით აივსება იქაურობა.

გამოსავალი ყველგან არის, ბატონო, აპოლონ, მითუფრო ჩვენისთანა უნიკალური ქვეყნისთვის. ენდემური ჯიშებია ამისი ქვაკუთხედი. საქართველოს უკვდავების პირველი ფორმულა მამულია ანუ ჩვენი საარსებო სივრცესთან მოსახლეობის ხარმონიული თანაშეწყობა.

უდაბნოს პირობებში, ჩინგიზ აითმათოვის ხალხისთვის, ასეთი ფორმულა, — მესაქონლეობაა, მომთაბარეობა, კამათელივით მოძრაობა, რადგანაც ძროხაა რძეც, საწვავიც, ჭურჭელიც; იგივე ითქმის აქლემზეც, ცხენზეც; მაგრამ დავაკვირდეთ: ჩვენ, ქართველები, თითქოს ბიბლიურ სამოთხეში მოვხვედრილვართ, საიდანაც აკრძალული ხილის უპატრონობის გამო გვაძევებენ გვარნაცვალი ქართველები, ქართველობას შეფარებული უცხოთესლელები, იგივე მეხუთე კოლონა და ასეთ ვითარებაში მამულის გადასარჩენად ენდემური ჯიშები მოგვიგონებია, როგორც ტერიტორიების შენარჩუნების უებარი ღონისძიება.

ხედავთ, რა გვასწავლა უდაბნომ?! განა რითიმე სჯობია ჭაობს?! ერთი ხრუკავს სულს და სხეულს, მეორე — ალტობს და აობებს ციებ-ცხელებით. ორი უკიდურესობაა, ორი პოლარულობა, მაგრამ ჭაობის დაშრობითი მეცადი- ნეობანი ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ახლომხედველობად, უვიცობად მიმაჩნია. ეს იგივეა, უდაბნოს გაოაზისებაზე დაიწყო ფიქრი. არა, ხელაღებით უარყოფა იმისა, რომ უდაბნოში სარწყავი სისტემები ერთ დროს ვაშლოვანებს შექმნის, როგორც ჭაობნარში ციტრუსების სიხასხასეს — წყალსაწრეტები, აქსიომაა. დოგმატიზმი გვღუპავს საერთოდ, ამიტომაც სადაც უდაბნოს-ჭაობის ათვისება უმომავლოა, უმჯობესია ნუ შევალევთ საშვილიშვილო ძალ-ღონეს მათ გადასხვაფრებას, რადგანაც ვაჟა გვასწავლის:

ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისაო. ხოლო ენგელსი უფრო მკვახედ შეგვძახებს:

ბუნება შურს იძიებსო.

ნუთუ არ შეგვიძლია ამ გენიოსთა სულის შემაძრწუნებელი გაფრთხილებიდან სათანადო დასკვნების გამოტანა? მეკამეჩეობაზე ვისაუბრეთ. მისთვის დამოკლეს მახვილი შედარებით დაბალი წველადობაა — 1200 ლიტრი, მაგრამ ცხიმიანობას თუ გავითვალისწინებთ, ორ-სამჯერ აღემატება ძროხისას; აქლემიც ასეთივეა სხვათაშორის. დამილევია მე შუააზიაში კუმისი. ხოლო რაც შეეხება დაშუზუს სანაშენე კომპლექსს, იქ სპეციალური საშხაპეები შეუქმნიათ, პრინციპი ისეთივეა, როგორც — ავტოსამრეცხაოებშია. კამეჩი გახანგრძლივებული ზოზინით გაივლის ამ ასმეტრიან საშხაპეს და გაკრიალებული შედის სადგომში.

— ჩამოსაწველად ხომ? — მეკითხება ბატონი აპოლონი.

— ბუნებრივია. იქ წველაც მექანიზებულია. კამეჩის რძისგან აზერბაიჯანელები აირანს ამზადებენ, იგივე რძეში წყალგარეულ სასმელს. აქ პროპორცია ორმოცდაათი — ორმოცდაათზეა. უმატებენ მარილს, არც მოსადუღებელია. დალიე და ილხინე. მაგრამ ჩვენში განთქმული კამეჩის მაწონია. ყველისთვის მისი რძე არ გვემეტება, მითუმეტეს — სასულუგუნედ. ხოლო კამეჩის მაწონს რომ სასწაულები შეუძლია, ამის თაობაზე იაპონიაში უკეთ უწყიან, ვიდრე საქართველოში. აკი, შეისყიდეს კიდეც მისი რეცეპტი. ჩვენ ეს თემა ბევრჯერ წამოვწიეთ, მაგრამ ეტყობა დრო იყო სხვანაირი, უნიადაგო. ახლა მე მიხარია, თქვენისთანა ერუდირებული და ამავდროულად მამულიშვილობით გაჯერებული პიროვნება რომ უდგას სათავეში მეცხოველეობის დეპარტამენტს, ენდემური ჯიშების მოშენებისა და გამრავლების საუკუნო საქმეს.

— დიდი ადამიანები მართლაც გვყვანან, თუნდაც ბაკურ გულუას სახით. ჩვენ რიგითების ეპითეტს ვჯერდებით. მეცხოველეობა, გური, ბატონო, საერთოდ ცხრა ქვედარგს აერთიანებს. ეს არის პირველ რიგში მსხვილფეხა პირუტყვის მოშენება, მეღორეობის განვითარება, მეცხვარეობის, მეთხეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, მებოცვრეობისა და მეცხენეობისა. ხომ არაფერი გამომრჩენია? ეს ის ქვედარგებია, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მეცხოველეობის ცნებაში. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ შემუშავებულია სპეციალური პროგრამები თითოეული დარგის მიხედვით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. ე.ი. არსებობს დარაიონების სქემა და ამ სქემაში იგულისხმება ამა თუ იმ ენდემური ჯიშის პირუტყვი, რომელიც რეგიონშია აკლიმატიზებული.

აი, მაგალითად, კვარაცხელიას ჯიშის ძროხა აკლიმატიზებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. ხევსრული ჯიშის ძროხა — კახეთის, მთათუშეთისა და ხევსურეთის რეგიონში. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია იაფია, როგორც ადრე აღვნიშნე, იმის გამო, რომ ისინი ფაქტობრივად თავისით მოიპოვებენ საკვებს, იძლევიან პროდუქციას რძისა და ხორცის სახით და მათი გადამუშავების პროდუქტები ჩინებულად მოგეხსენებათ, როგორი აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირები- სათვის. მოკლედ, არაფერია გასაკვირი, რომ დღეს ჩვენ დიდი ფინანსური გასაჭირის, ინვესტიციების დეფიციტის გამო სწორედ ეს მიმართულება აგვირჩევია. ჩვენს მიერ წარდგენილია საბიუჯეტო დაფინანსებაში 11 მილიონი ლარის განაცხადი, რაც სრულიად საკმარისია აუცილებელი სამუშაოების ჩასატარებლად, მაგრამ დღეს ჩვენს ბიუჯეტს ამისი გაღება არ შეუძლია.

— 11 მილიონი ლარის გაღება თუ არ შეგვიძლია, დაღუპულა ჩვენი საქმე.

— არ შეგვიძლია სავალალოდ. თქვენ წარმოიდგინეთ 11 მილიონი მოვითხოვეთ 97-ში, 11 მილიონი მოვითხოვეთ 98-ში, მაგრამ დაფინანსებას მიაქციეთ ყურადღება, რაღაც 4 პროცენტით ვართ დაკმაყოფილებულნი. 473 ათასი გვქონდა გამოყოფილი ოთხმოცდათვრამეტში, წლეულს ცოტათი მეტია — 662 ათასი. ცხადია, ამნაირი მიზერული მიდგომებით ერთ სანაშენე მეურნეობასაც ვერ ააღორძინებ.

— ჩვენს სახელმწიფოს, რომელსაც უზარმაზარი პერსპექტიული გეგმები აქვს, თუნდაც „დიდი აბრეშუმის გზის", ნავთობსადენი — ბაქო-თბილისი-ჯეიხანის საწიერით, შეუძლებელია საქართველოში ენდემური ჯიშების აღორძინების საქმე არ აინტერესებდეს. საქართველოს საერთაშორისო მაგისტრალზე გაყვანა თავისთავად უზარმაზარი ინვესტიციების მოზიდვასაც გულისხმობს, მრავალი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ეს წამოწყებანი ოდესმე უცილობლად შეფასდება, როგორც კავკასიის აღორძინებისა და გადარჩენის ღონისძიება.

— კარგი პარალელია. ეს დიდი პოლიტიკაა, რომელიც ადრე თუ გვიან დიდძალ ინვესტიციას მოიტანს. ბატონი ედუარდი უცილობლად ვეებერთელა პოლიტიკოსია. ვინც ამაზე თვალს დახუჭავს, ის შურიანი ან ყველაფრის უარმყოფელი ამბიციური კაცუნაა.

— ხშირად ვიშველიებ ხოლმე ივო ანდრიჩის „დრინის ხიდს".

ანდრიჩი ნობელის პრემიის ლაურიატი მწერალია. თხზულებაში კი შემდეგნაირად წარიმართება საქმე: ერთ ვიშეგრადელ ქრისტიან ბიჭუნას, გვარად სოკოლს, თურქები ტყვედ წაიყვანენ სტამბოლს. დროთა ვითარებაში ეს სოკოლი დიდი ვეზირი ხდება, რომელსაც მორჭმული ცხოვრების მიუხედავად, არაფრით დავიწყნია მშობლიური ვიშეგრადი, იუგოსლავია.

ხოდა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობისგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდება, იობის მოთმინებით დაიწყებს ხიდის აშენებას დრინაზე. ამ ხიდს ორმხრივად აშენებენ და ორმხრივად ანგრევენ; ანგრევენ ქრისტიანებიცა და მუსულმანებიც. ბევრ ადამიანს შეიწირავს ხიდი, ზოგს ძელზეც გასვამენ რადისავივით, მაგრამ ვეზირის გადაწყვეტილებას ვერაფერი შეაფერხებს — გაიდება ხიდი დრინაზე, როგორც მუსულმანური და ქრისტიანული სამყაროს შემართებელი არტერია.

გვარითაც შეხედე, როგორი მსგავსებაა: სოკოლი, შევარდნაძე.

თუკი დრინის ხიდის პრობლემას ჩვენს სიტუაციას მოვარგებთ, ქვეყნის პრეზიდენტი რაღაცით გაუტოლდება იმ დიდ ვეზირს, რომელმაც უნდა გადოს ხიდი პატრიოტულ და კოსმოპოლიტურ ფასეულობებს შორის, სამშობლოსმოყვარეობასა და ზოგადკაცობრიულს შორის. ეს ხიდი უჩინარია, ბატონო, აპოლონ, მაგრამ იმდენად ხელშესახები, თვალნათლივ შესამჩნევია არა მხოლოდ მწერლისათვის, ნებისმიერი გონნათელი ადამიანისათვის.

ჩვენ ვიტყვით ხოლმე: რა გაკეთდა?

არა გაქვს ეროვნული თანხმობა.

დაკარგულია აფხაზეთი, სამაჩაბლო.

ქვეყანა შიმშილის ზღვართან მისულა, და ამისთანა დუხჭირულ ფონზე თანამედროვე პიროვნებას, ხმანდაზმულს თუ ჭაბუკს, როგორ გინდა დაანახო მომავლის პერსპექტივა, რაც ამ აბსტრაქტული ხიდის მშენებლობას მოსდევს?!

ჩვენს თავზე უნდა გადაიაროს მაღალი ძაბვის კოსმოპოლიტურმა აზროვნებამ, მაგრამ რომ არ გაიწიროს ეროვნული ფასეულობანი: ჩვენი პოლიფონიური საგალობლები, სათაყვანებელი ენა ქართული, ჩვენი ქორეოგრაფია და არქიტექტურა, ჩვენი ხუროთმოძღვრება, პოეზია ბოლოს და ბოლოს, ამისთვის მოღვაწეობენ ეროვნული ცნობიერების კომპლექსური განვითარებისთვის მრავალზე მრავალნი, რომელთაგან ზოგი ცდომილებით ყელყელაობს ან ქაფის მსგავსად პერივით ედება წყლის ზედაპირს.

დრო წალეკავს მათ მოუსავლეთისკენ, ხოლო ქვიშათა დარჩენის თეორია საშვილიშვილოა.

ახლა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ფუნქციას ჩვენ შევაგებებთ ეროვნულ, შიდაეკონომიკურ პოლიტიკას და მათი სინთეზით ვქმნით მესამე რეალობას, მსოფლიოსთვისაც მისაღებს და საქართველოსთვისაც სისხლხორცეულს, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის რამდენიმესაუკუნოვანი არსებობის სტრატეგიული გეგმაა დასახული, მაგრამ ვინაიდან ენა გამექცა და პროფესიული მოვალეობა მავიწყდება — რაც შეიძლება ნაკლებს ვლაპარაკობდე, და თქვენ მსჯელობდეთ მეტს მთელი სიღრმე-სიგანით, აპატიეთ ჩემს ბელეტრისტულ სტილს, რომლის მიზანი თავის წამოქიცინება სულაც არ გახლავთ. ეს იდეები მე ათასნაირი ხერხით შემეძლო მომეკერებინა თქვენთვის, ან ვინმე მესამე მოსაუბრესთვის, რომელიც შესაძლოა ჩვენმა დიალოგმა მოითხოვოს ადრე თუ გვიან. ხოდა, საქართველოს გადარჩენის ფორმულაში ვფიქრობ, თქვენეული ენდემური ჯიშების წამოწევა სულაც არ არის წინააღმდეგობაში ,,დიდი აბრეშუმის გზის", ნავთობსადენის პრობლემებთან, კი არ გამორიცხავენ ერთმანეთს, პირიქით — ავსებენ, აწონასწორებენ.

— მაკედონელივით მომსდის, მამამისის ლაშქრობების გამო რომ დაღონდება! მთელი მსოფლიო დაიპყრო ფილიპემ და მე რაღა ვქნა, როგორ ვიცხოვრო გულხელდაკრეფილმაო. ეს ზომიერი ხუმრობით, ცხადია. ნებისმიერი პრიორიტეტული დარგი... ამ შემთხვევაში მეცხოველეობა, სოფლის მეურნეობა, უნდა იყოს ჩვენი გადარჩენის ქვაკუთხედი... როგორ შეიძლება საქართველოში მეცხოველეობის იმპორტი ხდებოდეს, კაცო? სხვა მაგალითს გეტყვით: ერთ-ერთი მეფრინველეობის ფაბრიკაში ინვესტიცია შემოიტანეს ებრაელებმა.

— ხო...

— გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკაში, და როდესაც აქ აწარმოეს ქათმის ხორცი, იმნაირი გემოვნებით, ისეთი განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩეოდა, აღფრთოვანება ვერ დამალეს. ამას ძირითადად განაპირობებს საქართველოს ფაუნა და ფლორა.

— რამხელა ამბავია.

— მე მრავალჯერ ვყოფილვარ ისრაელში და გინდ ქათმის ხორცი გიჭამია და გინდ — ჩალა. ჩვენთან ქათმის ხორცი განსაკუთრებული გემოსია, უწინარესად უნიკალური ეკოსისტემის წყალობით. ფუტკარზე გეტყვით კიდევ...

— ჩვენ მივუახლოვდებით უფრო რთულ, რთულ კი არა, უფრო სასურველ საკითხს, იმიტომ რომ, მეფუტკრეობა ამოუწურავია საქართველოში.

— უნიკალური ჯიშია, სამი ოქროს მედალი აქვს აღებული მუხურის გრძელხორთუმა ფუტკარს. შარშან საფრანგეთში გავიყვანეთ მისი სადედეები. 10 დოლარს იხდიან თითოში. წარმოიდგინეთ, რამხელა პერსპექტივიები ისახება?

— რა კარგი თემა წამოწიეთ?! მე ნამყოფი ვარ მუხურში. ახლა არ ვიცი იქ რა სიტუაციაა, ადრე კი სათანადო ყურადღება ექცეოდა. ლადმერ კვარაცხელია იყო წალენჯიხაში ამის სულისჩამდგმელი. ღმერთმა აცხონოს ის კაცი, და მას აქვს ასეთი ნათქვამი: მარტო სამეგრელოს შეუძლია 100-150 ტონა თაფლი აწარმოოსო.

— 300 ტონის წარმოება შეუძლია, როგორც არაფერი.

— თავისუფლად.

— მერედა, სუფთა თაფლი რას ნიშნავს მსოფლიო ბაზარზე? — იცინის არხეინად, — მაგალითად, რუსეთში ფუტკარი მზესუმზირისგან და ხორბლისგან იკვებება, ამ ფლორისგან. ჩვენთან არის წაბლი, აკაცია, ცაცხვი, ესენი საუკეთესო საკვები ბაზაა, ფუტკრისთვის განსაკუთრებით და იმდენად, სარგებელია ორგანიზმისთვის, ანალოგი არა ხყავს მსოფლიოში.

— ბატონო, აპოლონ, ჩვენ წინააღმდეგობამ არ უნდა შეგვაშინოს. საქართველო ახლა ორი გიგანტი ქვეყნის ინტერესს შორის მოქცეულა. რუსულ- ამერიკულ ინტერესებს შუა. არ უნდა დავმალოთ ეს. პირადად ჩემი, როგორც მწერლის და მოქალაქის პოზიცია ცალსახაა: მე ვენაცვალე რუს ხალხს, ის დიდი ერია, მიმდობი, სტუმართმოყვარე, მაგრამ მმართველი წრეების იმპერიალისტური ზრახვები გვაქცევდა ორივეს, ქართველებსაც და თავად რუს მოსახლეობასაც.

— არა, არც ის უნდა დავუკარგოთ რუსეთს, რაც, საქართველოს გადარჩენაში მიუძღვის ერეკლედან დაწყებული...

— ისტორიულად სწორი გადაწყვეტილება მიმაჩნია ერეკლეს ნაბიჯი, იმიტომ რომ მუსულმანური სამყარო რეგრესია. მე ,,ყურანი'' წაკითხული მაქვს, მეგონა უფრო აგრესიული აღმოჩნდებოდა, თუმცა, ქრისტიანულ მორალს მაინც ვერ შეედრება.

— მუსულმანური სამყარო წაგვლეკავდა, კაცო.

— ხეგელი ამბობს, რომ ქრისტიანობა რელიგიათა ჭერიაო, მაგრამ გავაგრძელოთ საუბარი მეფუტკრეობის პრობლემებზე. უფრო სწორად, ჩვენ მივედით იმ კონცეფციამდე, იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფლორა ამოუწურავია ენდემური ჯიშების განვითარებისათვის... პატარა საქართველოს თავისუფლად შეუძლია საკუთარი მოსახლეობაც უზრუნველყოს ამ სახის პროდუქციით და საზღვრებს გარეთაც გაიტანოს .

— რა თქმა უნდა, აუცილებელია მარკეტინგული ბაზის მოძიება.

— ხო, ეს იყო ჩვენი უბედურება. მე იმპერიალისტურ რუსეთს რატომ არა ვცემ, კაცო, პატივს?! შენ, ჩემგან თუ რამეს იღებ, მიიღე, როგორც ქვეყნისგან და არა დომინიონისგან თუ ქვეშევრდომისგან. პურს მაწვდი? კი, ბატონო, მაგრამ ჩემგანაც მიიღე სხვა, — ოღონდ — ჩანაცვლებით. ჩვენ პურის პრობლემაც შეგვიძლია ნაწილობრივ გადავწყვიტოთ სხვათა შორის საქართველში.

— პურის პრობლემა ცოტა უფრო რთულია, გური... ამ პრობლემას 10%-ით ძლივს ვაგვარებთ, მაგრამ 50%-ით რომ დავიკმაყოფილოთ, ეს აბსოლუტურად შეგვიძლია და ეს 50%-ი უზარმაზარი შეღავათია.

— 30%-ით ხომ შეგვიძლია სიმინდით დავიკმაყოფილოთ?!

— ეს, რა თქმა უნდა. ჩვენ 97-ში დაახლოებით 500 000 ტონა სიმინდის მარცვალი ვაწარმოეთ, 350 000-400 000 ტონამდე — ხორბალი, ეს იყო რეკორდული მოსავალი საქართველოს ისტორიაში.

— ინვესტიციებია ჩადებული?

— იდო ინვესტიციები. ბევრ შემთხვევაში მაგან განაპირობა, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ბუნებაზე ვართ დამოკიდებული, იმის გამო, რომ კომპლექსური აგროტექნიკური ღონისძიებები მოიკოჭლებს. ჩვენ ხომ აღმოსავლეთში სარწყავი სისტემები არ გაგვაჩნია. დასავლეთში ჭარბი ტენიანობის გამო ფაქტობრივად პროდუქციის იმ მოსავალს ვერ ვღებულობთ, რომელიც ამა თუ იმ ჯიშისთვისაა დამახასიათებელი. ბატონი ბაკურის დიდი დამსახურებაა ის, რომ ას ათი მილიონი დოლარი იდება საქათრველოს მელიორაციის განვითარებისათვის.

— მაინც ჩემს საწინააღმდეგოს ამბობ.

— არა, შენ ლაპარაკობ ჭაობის დაშრობაზე, მაგრამ მე აქვე მინდა მოგახსენო შენი აზრის ოპონაცია ჩვენი მინისტრის მხრიდან. იგი მთელი კატეგორიულობით უჭერს მხარს ჭაობის დაშრობის პროექტს.

— შენ?..

— ხა, ხა, ხა.

— შენ არ უჭერ მხარს?!

— არ ვეთანხმები, მაგრამ აღმოსავლეთ საქათველოში მართვადი სისტემები რომ განვითარდეს, სარწყავი არტერიების გარეშე სრულყოფილი მოსავლის მიღება შეუძლებელია. ჩვენ ამაში გასულ წელს დავრწმუნდით. შარშან ფაქტობრივად მოსავალი არ ყოფილა საერთოდ. წელს ამინდებმა შეუწყო ხელი და რეკორდული მოსავალია.

— ეხლა, უყურეთ, ბატონო, აპოლონ, მე რატომ ვამბობ დასავლეთზე: ჩაყოლას ჩადევნება სჯობიამეთქი. არ შეიძლება ჭაობს ებრძოლო. ეს დროებით

ღონისძიებად მიმაჩნია, იმიტომ რომ ეს არის გეოგრაფიულად, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფლორა.

— ამ შემთხვევაში შეიძლება თქვენი აზრი გავიზიარო.

— აბა, რატომ იცინით?

— ღმერთის მიერ შექმნილია ესა.

— ხოდა, ებრძვი? ის სხვა უბედურობებს წარმოშობს ადრე თუ გვიან. წარმოგიდგენიათ, ენგურის ხეობაში რა პრობლემები შეგვექმნა ჩვენ?! მარტივად გეტყვით, გავაშენეთ ხიდროელექტროსადგური, სამაგიეროდ ენგურს შლამი არ ჩამოაქვს და უზარმაზარი პრობლემა გაგვიჩინა ზღვასთან მიმართებაში: ათასობით ხექტარი მიწაა დაკარგული...

— ხო, ბუნება თვითრეგულირებადი ფენომენია.

— მე კი არა ელბერდ ბატიაშვილი, კიდევ რამდენიმე თქვენი მეგობარი, კოლეგა, რა ხანია ამტკიცებენ:

ნუ ვებრძვით იმას, რაც შედეგს არ მოგცემსო. როცა არსებობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკოსისტემა, შენ შეუხამე მაგას შენი დარგი, შეუხამე და ნუ ებრძვი. როდისმე ყოფილა, სხვენზე საბალახოდ ძროხა აეყვანოთ? დაახლოებით იგივე გამოგვდის ჩვენც.

ფორმულა მეორე

ბატონო, აპოლონ, თქვენ ბრძანდებით ზუსტად იმ რაიონიდან, რომელიც ღვთის წყალობით ჩემიცაა. მე თამაკონელი ვარ პაპის მამით. გეკითხებით, რატომ არის ჩვენი კუთხე ამდენად რელიგიური და რატომ არის მაინცდამაინც დავით აღმაშენებლის წინამძღოლი გიორგი ჭყონდიდელი? მოდი, ამის თაობაზეც ვილაპარაკოთ.

— გიორგი ჭყონდიდელის გაზრდილი რომ იყო დავით მეფე და მისი ხელდასხმით შეიქმნა, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და ერთობლივი ძალისხმევით — დიდი საქართველო, მე ამის მტკიცებას არ მოვყვები, ეს ისტორიული მოვლენაა; მაგრამ ჭყონდიდელის ქვეყანაში, სადაც არსებობს უდიდესი სასულიერო ისტორიული კერია — მარტვილის მონასტერი, სადაც მთელი სადადიანოს საძვალეა, არ შეიძლება ამისთანა ადგილებმა თავად ადამიანის ჩამოყალიბებაზე რაიმე გავლენა არ მოახდინოს. დაბადების ადგილი არის მარტვილის რაიონი, სოფელი ნახუნაო, სადაც სერგი ჭილაიაა დაბადებული.

— დიდი პირვნება, ცხონებული.

— საოცრად დიდი კაცი, საამაყო ჩვენი ქვეყნისთვის. კაცმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირა მამულის სიყვარულს, სიკეთეზე შემოქმედებას და მისი ბიოგრაფია სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისათვის. მარტვილის რაიონი ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს როგორც, ალბათ, საქართველოს ბევრი რაიონი, სოციალურად უმძიმეს მდგომარეობაშია.

— ხო. ეხლა თვით მარტვილის რაიონის ისტორიული მდებარეობა მთებით, მცირე ნაწილი ვაკით და თავისი სოფლებით, მარტო სალხინო რად ღირს, სადაც მოდის მსოფლიოში უნიკალური ჯიშის „ოჯალეში“.

— იქაურია „ოჯალეში“?

— „ოჯალეში“ არის სოფელ სალხინოდან, მხოლოდ და მხოლოდ იქ იწურება.

— დადიანების იყო ეგ.

— დადიანების სარეზიდენციო, პრინც მიურატის სოფელი გახლდათ. ფაქტობრივად იმდროინდელი ისტორიული წარსულის ამსახველი პარამეტრები სალხინოში დღესაც შენარჩუნებულია. მართალია, იმ პირვანდელი სახით არა, მაგრამ ნაშთები არის.

— „ოჯალეში“ თავის სახელს ამართლებს იქ თუ როგორაა, მწკრივებში?

— მწკრივებში. მაღლარი ვერ ამართლებს. თუკი ქართველის ცხოვრების წესს დავაკვრდებით, მივხვდებით, რომ ჩვენი უკვდავება ტრადიციების ერთგულებაა. მე მინდა გავიხსენო ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთახშიადან" ერთი ნაწყვეტი, სადაც ასეა ნათქვამი:

სამეგრელოსა და სამურზაყანოში სერზე რომ შემოდგები, არემარეს თვალს მოავლებ, რაღაცნაირად მოწიწებული ხდები კაცი... ხო. ზრდილობიანობა და თავაზიანობა გწყურია. ლამის შენივე ცხენიდან გადმოხტე, კისერზე ხელი მოხვიო, მეპატიოს, რომ ზურგზე გეჯექიო.

— გენიალურია. რა დაემართა ამ ოჯახაშენებულ მურმანს? შეეშალა თუ... შეაშლევინეს? — გაზეთს ვაშრიალებ.

— ღიღინი მოგინდებაო. მანახე, — მართმევს და სკამის საზურგეს მიყრდნობილი უხმოდ კითხულობს.

— ბატონ მურმან ლებანიძეს, მე უღრმეს პატივს ვცემ, მიუხედავად ამ პატარა წაბორძიკებისა. რეზონანსი დიდი ხქონდა იმ წაფორთხილებას. შეეძლო დელიკატურად გაეკეთებინა, მაგრამ ერთი შეცდომა ყველას მოსდის ცხოვრებაში თურმე.

ოთარ მამფორიას, რომელიც ჩემი ძმა და მეგობარია, აქვს ასეთი რამ: ბეთხოვენს წაუკითხავს გოეთეს ლექსი, რომელიც ნაპოლეონისთვის მიუძღვნია. და როცა ბეთხოვენს ჩაუკითხავს, გაკვირვებულა:

ამხელა პოეტი მეფეს როგორ უწერს ლექსსო და ბოლომდე რომ ჩასულა, ასეთი დასკვნა გაუკეთებია: კი, ეს შეცდომა დაუშვა, მაგრამ სხვა ნაწარმოებები რომ წამოტივტივებულა მისი თვალთახედვის არეში, მყისვე უპატიებია.

— ბატონო, აპოლონ, კარგი რაღაცა შემახსენეთ. რახან ბეთხოვენზე ჩამოვარდა საუბარი, პარალელს გავავლებ. ვგონებ ბეთხოვენი და ბახი უბრად არიან. ორივე გენიოსი. ბახს სოლო კონცერტი აქვს და ბეთხოვენი მოუწვევია კონ- ცერტზე, ხდება ასეთი რამ. საპატიო სტუმარი, მობრძა- ნებულა, მდიდრულ ლოჟაში მოკალათებულს მუხლზე უდევს ხელჯოხი და ცილინდრი, რაც გასაქცევად მზადყოფნის მაუწყებელია. ყველა ბეთხოვენს მისჩერებია. ბახი თავის ადგილზეა და ჩატარდება კონცერტი, უზარმაზარი შემოქმედებითი ვნებათაღელვით. გასუსულია დარბაზი. კაციშვილი ტაშს არ უკრავს. უკვირს ბახს, რა ხდებაო. ბეთხოვენს მისჩერებია ყველა, რას იტყვისო. ეს უკანასკნელი აიღებს ხელჯოხს, დაიხურავს ცილინდრს და მიდის, მიდის ავანსცენისკენ. ყველას ხგონია დარბაზს ტოვებსო, მაგრამ ავა ამ კიბეებზე და დაუჩოქებს სახალხოდ. რა დააკლდა ამით ბეთხოვენს?

— ვინც აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს.

— და პირიქით. რა დააკლდა ამით ბეთხოვენს, რა დააკლდა ბახს და რა დააკლდებოდა მურმან ლებანიძეს?! თქვენი პოლიტიკური მიმართულება მაინტერესებს, ბატონო, აპოლონ, რატომ იცით?! ნებისმიერი პრობლემა, გინდათ ესთეტიკური, გინდათ სოფლის მეურნეობის თუ მშენებლობისა, პოლიტიკას ვერაფრით გაექცევა.

გახსოვთ, რომ გიყვებოდით, ჭურიაში ვიყავი ეროდი სართანიასთან -მეთქი. იმ კაცს გლეხური ფილოსოფია ჰქონდა, მაგრამ რამდენ პოეტს მოაკავინებდა თითს? იმან იცოდა ხე როგორ აღომცენდება, რანაირად იშლება წელში, ან რას ნიშნავს ჭაობი, მდინარე, ცა, ყველაფერი გლეხურად და გამეცნიერებულად ვაჟაისებრ. ხოლო ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს: როგორ უნდა მოვარგოთ ყველაფერი საქართველოს ფაუნას და ფლორას, რანაირად შევახამოთ ერთიმეორესთან ბუნება და ადამიანი, ვინაიდან ახალ სივრცეს ვერ ვიპოვით საარსებოდ.

მართალია, გვეცილებიან ამ სივრცეზე ოთხივ კუთხით, მაგრამ ჩვენ უნდა ვიკმაროთ მტრის გასახარელ საქმეთა კეთება. რა არის საქართველოს გადარჩენის თქვენებური მოდელი, მითხარით მარტივად. არ მაინტერესებს პოლიტიკურ პარტიებთან შეხება. რა გადაგვარჩენს ორ დიდ დაპირისპირებას შორის, რუსულ ჩექმებსა და ამერიკულ ინვესტიციებს — ნიანგის ყბებს — სცილას და ქარიბდას შუა მომწყდეულებს?! აქედან გასასვლელი გზები დამიხატეთ.

— გური, ბატონო, პირველ რიგში ვიტყვი, მიუხედავად ჩემი ცხოვრების გავლილი რთული გზებისა...

— მოიცა, მოიცა, რთული ცხოვრების გზები შემდგომისათვის შემოვინახოთ. ახლა ამას მივყვეთ.

— პირდაპირ ვიტყვი. მე ამჟამად ვმუშაობ იმ თანამდებობაზე, რომელიც სახელმწიფო სამსახურია და ფაქტობრივად დღემდე აღარც ერთ პოლიტიკურ პარტიაში გავწევრიანებულვარ.

— კიდევ უკეთესი.

— მაგრამ, ვიტყვი, რომ ოცდაორი წლის განმავლობაში მე წარმოების ხელმძღვანელი ვიყავი, 26 წლის ბიჭი; ალბათ, ესეც უფლის ნება იყო, 91-92 წლების შემდეგ ბოლნისის რაიონის გამგებელი გახლდით, მერე — მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტი; დღეს დეპარტამენტის თავმჯდომარე ვარ და ამ ხნის განმავლობაში მე ჩემი თავისთვის არასდროს მიღალატია.

ვაკეთებდი იმ საქმეს, რომელიც უშუალოდ მევალებოდა და პოლიტიკაში საერთოდ არ გავრეულვარ, ვინაიდან მწამდა და დღესაც მწამს, რომ ის ეკონომიკური ბერკეტები, რომლებმაც უნდა მართოს სახელმწიფოებრიობა, თუ გნებავთ დიდი პოლიტიკაც, ქვეყნის ეკონომიკას ემყარება.

— ბუნებრივია. პატარა ჩართვა თუ შეიძლება: სრულიად გაურკვეველია ჩემთვის და, ალბათ, ბევრისთვის ქვეყნის ეკონომიკის ათწლიანი, ზიგზაგიანი კარდიოგრამა. ეროვნული მოძრაობა, ეროვნული მთავრობა მოვიდა უზარმაზარი ელექტორატით, სულგრძელობით, მაგრამ სავალალოდ ეკონომიკურ საფუძვლად ვირჩევთ საბაზრო ურთიერთობას. მე ამას მინდა სერიოზულად შევხედოთ. შესაძლებელი იყო თუ არა ამ მომენტით ეროვნული პოლიტიკის გატარება, როცა კაცის დაჩაგვრა ჩვენ ლეგიტიმურად დავუშვით, კანონში ჩავდეთ? საბაზრო ეკონომიკას აღიარებ? მორჩენილია, დაბეჩავებულია კაცი კაცისგან.

— საბაზრო ეკონომიკა მგლური კანონების აღიარებაა, მაგრამ ეს თავისთავად არ გამორიცხავს ქვეყნის აღმშენებლობას...

— შეგვეძლო ჩვენ ამით ეროვნული პოლიტიკის გატარება?

— რამდენად შესაძლებელი იყო, ამას შედარებით ვრცელი საუბარი დასჭირდება, მაგრამ მე ჩემს სუბიექტურ მოსაზრებას მოგახსენებთ. როდესაც ეროვნული მოძრაობა მოვიდა ქვეყნის ხელისუფლებაში, ეს უკვე ჩვენი ერის გამარჯვებას ნიშნავდა...

— თავისთავად.

— თუმცა სამწუხაროდ აქვე უნდა ითქვას იმ შეცდომების შესახებაც, მისდაუნებურად რომ დაუშვეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა. როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოებრივ მშენებლობას, იქ ჩვენ პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დახარისხება განზე უნდა გადავდოთ. აი, თუ გნებავთ კომუნისტები... ის ხალხი ჩვენ 100%-ით არ უნდა გაგვერიყა, არამედ უნდა შეგვერჩია ისეთები, რომლებიც ნამუსით, სინდის-პატიოსნებით, გამოირჩეოდნენ. იმავდროულად შეუძლებელია ზნეობრივად დაცემული მიუჯდეს სახელმწიფო სამართავ პულტს და ეროვნული ინტერესები დაიცვას, ქვეყნის ეკონომიკა მიუსადაგოს მამულიშვილურ პოლიტიკას, რომელსაც ხელისუფლება განახორციელებს. სამწუხაროდ, აი, ეს დილემა ვერ გააწონასწორა ეროვნულმა ხელისუფლებამ.

— ცამდე მართალი ბრძანებაა.

— სამწუხაროდ, თორემ მე ბატონი ზვიადის დროსაც ვმუშაობდი წარმოების ხალმძღვანლად და სხვა დროსაც. ჩემი საქმისთვის არასდროს მიღალატია. იმ წლებშიც დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად იგივე მოვალეობას ვასრულებდი, რასაც დღეს.

— ის, რომ სახელმწიფო მოხელე იყავით, სათაკილო როდია.

— მაშინ, სამეურნეო ხელმძღვანელი ვიყავი.

— ხო, იგივე...

— ახლა მე არ დაგიმალავთ იმას, რომ იმ პერიოდში ვიყავი თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი. ეს ის ფაბრიკა იყო, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში სამეულში გადიოდა, თავისი მონაცემებით. 400 ათას ცალ კვერცხს ვაწარმოებდით ყოველდღე.

— დანგრეულია დღეს?

— არა, საბედნიეროდ არ არის დანგრეული, მაგრამ დაფინანსება უნდა და ამუშავდება. შევინარჩუნეთ. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ, აი ქვეყნის პოლიტიკის გატარება ეროვნულ საწყისებზე, მაინც დამყარებულია იმ შინაგან რეზერვებზე, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებობს. ახლა მე ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველო უნდა იყოს იმპორტიორი ქვეყანა და მან თავის ეროვნულ ტრადიციებს უღალატოს. თქვენ დასაწყისში ახსენეთ, გეორგია რასაც ნიშნავს და თუ რას მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას.

— ბატონო, აპოლონ, რატომ ჩაგერთვებით იცით? ხერაკლეს ჩადენილი აქვს თორმეტი უმაგალითო გმირობა და მათ შორის ერთ-ერთი ანთეოსის მოსპობაა. ანთეოსი არის კავშირი მიწასთან. მიწისგან მოუცილებლად მისი მოკვდინება შეუძლებელია. როგორც კი მოწყვეტს ხერაკლე ანთეოსს გეას და ხაერში აიტაცებს, მაშინვე დაამარცხებს. აი, უყურეთ გეორგიას ამბავიც ზუსტად ასეთია: როგორც კი მოგვწყვეტენ ჩვენ მშობლიური მიწა-წყლიდან, მორჩენილია საქმე.

— მე აქ რაღაც პარალელს გავავლებ და თქვენ თავად დარწმუნდებით, თუ რა არგუმენტები გამაჩნია პოზიციის გასაძლიერებლად. შეუძლებელია ქვეყანამ მხოლოდ და მხოლოდ გარე წყაროების იმედით იარსებოს, მითუმეტეს საქართველოს იმდენი რეზერვი გააჩნია ამ მიმართულებით, გნებავთ იგივე მეცხოველეობაზე ვისაუბროთ, იგივე მარცვლის წარმოებაზე, იგივე მრეწველობის სხვა დარგებზე, ცოტა მოდაშია დღეს გოგი თოფაძის ლუდის წარმოების საკითხი.

— სარაჯიშვილს ადარებენ.

— სარაჯიშვილი მეკონიაკე იყო. თოფაძის ყველაზე დიდი დამსახურება კი ის გახლავთ, რომ მან ეროვნული ინტერესებიდან შექმნა ერთ-ერთი დარგი, წარმოების ბაზრისა, რომელმაც იმპორტული პროდუქცია განდევნა საქართველოდან. რას ნიშნავს ეს? დიდძალი ხალხი დაასაქმა. ის რამდენი კაცი თავისი ოჯახის რამდენ წევრს არჩენს ახლა?! მე ერთი ინფორმაცია მინდა მოგაწოდოთ, რომ ეროვნული ვალუტა შიდა პროდუქტის ღირებულების მხოლოდ 7%-ია დაბეჭდილი.

— უფრო დეტალურად რას ნიშნავს?

— დეტალურად? დავუშვათ ქვეყანას სჭირდება 10 მილიარდის ღირებულების ქონება, სინამდვილეში ეროვნული ვალუტა, ლარის სახით ბრუნავს მისი მხოლოდ 7%-ი, ე.ი. ლარი არის პრიმიტიულად დაჭერილი, რომ არ მოხდეს ინფლაცია, ხოლო იმისთვის, რომ ქვეყანა განვითარდეს აუცილებელია 100%-ი იყოს ბრუნვა, აი, ამ შიდა პროდუქტთან მიმართებაში. ეხლა მე გეტყვით თქვენ, ბარემ მაგალითს მოვიყვან კიდევ და, აქ დავამთავრებ: ამერიკაში არის პროცენტი 120, ევროპის ქვეყნებში — 100, რუსეთში — 13, საქართველოში — 7.

— კატასტროფაა ეს.

— ეს არის კატასტროფა. ასეთი ქვეყანა თავისი ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას დაახლოებით 30-40 წელიწადი მოუნდება. ამას მეცნიერულად დასაბუთებულ პარამეტრებში ვლაპარაკობ, ჩემი ციფრები არ გახლავს. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის აღორძინების კონცეფციის პარამეტრები ჩვენთვის პრიორიტეტული არ იყოს. ახლა მე იმ დარგში ვმოღვაწეობ, რომელზედაც ჩვენ ვისაუბრეთ და აქედან გამომდინარე მოგახსენებთ: საქართველოში მეცხოველეობის ენდემური ჯიშების განვითარება უმთავრესია დღეს ქვეყნისათვის, ვინაიდან იგი არავითარ ინვენსტიციას საჭიროებს. პატარა ხელშეწყობაც საკმარისია, რათა ჩვენი მოსახლეობა მთის რეგიონებში დამაგრდეს. ამიტომ აუცილებელია, სადაც მოსახალეობის უმეტესობა მეცხოველეობას მისდევს, ხელი შეეწყოს აღნიშნული დარგის აღორძინებას.

— ბატონო, აპოლონ, ძალიან კარგად აშუქებთ პრობლემას, მაგრამ მცირე ჩართვას ნუ მიწყენთ. თქვენ ფაქტობრივად პოლიტიკოსი ბრძანდებით. პოლიტიკა ხომ ეკონომიკაზე დამყარებული ზედნაშენია.

— გეთანხმებით.

— თქვენ, თქვენი ელექტორატი, მოსახლეობა კმაყოფილი თუ გეყოლებათ, მაშინ ტაშსაც დაგიკრავენ და გულშიც ჩაგიხუტებენ.

— რა თქმა უნდა.

— რა პრობლემები წამოტივტივდება, ეს საკითხი უფრო სიღრმისეულად რომ გაიშალოს?! თქვენ პროფესიონალი ბრძანდებით, სახელმწიფო მოხელე, გაქვთ უზარმაზარი გამოცდილება, შეხების წერტილები. თქვენ ბრძანდებით, დავუშვათ, ქვეყნის მეთაური. მე უდიდეს პატივს ვცემ დღევანდელ პრეზიდენტს, მაგრამ პირველ შემთხვევაში თქვენი სამი განკარგულება მითხარით, რას გააკეთებდით ქვეყნის გადასარჩენად. მხოლოდ სამი განკარგულება.

— დაგისახელებთ. პირველი, ალბათ, რაც უნდა განხორციელდეს, პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა გამოცხადდეს ეროვნული ეკონომიკის აღორძინება.

— აგაშენა ღმერთმა!

— ეს არის უპირველესი ამოცანა...

— აი, თოფაძესთან მიმართებაში რომ ვთქვით — ოღონდ მონო არა.

— რა თქმა უნდა, არა მონოპოლისტური. ის, რაც, არსებობს ჩვენში და რაც პერსპექტიულია, ამისი ეკონომიკური დასაბუთებული გაანგარიშებები, არგუმენტაცია არსებობს და განხილვის შემთხვევაში ოპონირებას ვერავინ გაუწევს. ეროვნული ეკონომიკის აღორძინება უნდა განხორციელდეს მეცნიერულად დასაბუთებული ყველა იმ მონაცემის საფუძველზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ზედმიწევნით დაასაქმებს; პირველ რიგში უძირითადესი ამოცანა მოსახლეობის დასაქმებაა და შეუძლებელია რომ მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელსაც დღეს ძალიან უჭირს, ძალაუნებურად პოლიტიკაზე პრეტენზია არ განაცხადოს. მოსახლეობას, რომელსაც არ შია, არ წყურია, მას, დავუშვათ, ამერიკაში, არც აინტერესებს ვინაა პრეზიდენტი. იმდენად გართულია თავისი საქმიანობით. კაცი, როდესაც უსაქმურია, მაშინ უბედურდება ის. ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას, თავისთავად მიებმება მოსახლეობის დასაქმების პრობლემა და ეს აუცილებლად გადაწყდება მხოლოდ ჩვენი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ამუშავებით. ეხლა საბაზრო ეკონომიკაა და ამას ბუნებრივია უამრავი პრობლემა ახლავს.

— სანთლით საძებარია ჩვენისთანა პროდუქცია, კაცო.

— შეუძლებელია საქართველოში წარმოებულმა პროდუქციამ თავისი ბაზარი არ იპოვოს. მეღვინეობა ნახე, მეჩაიობა! ეს ისეთი სტრატეგიული დარგებია, რომელთა ექსპორტმა ქვეყანა წელში უნდა გამართოს. ეს ერთი მიმართულება.

— მეორე?

— იმისათვის, რომ ეროვნული ეკონომიკა აღორძინდეს, ჩვენ მეორადი პროდუქტების — ძეხვის, კარაქის, ფეხსაცმლის იმპორტზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანაზე, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. მხედველობაში მაქვს, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე — სამრეწველო მიმართულება.

— კი, ბატონო.

— ამის გარეშე, წარმოუდგენელია რაიმე წარმატება. და მესამე: ახლა საქართველოში, რომ ხელის ერთი დასმით განხორციელდება ყოველივე —ზღაპარია, მაგრამ ძირითადი და ყველაზე უმთავრესი ჩვენთვის ის არის, რომ საქართველოს იურისდიქცია აღსდგეს თავის ჩარჩოებში. იცით, აფხაზეთი, სამაჩაბლო რამხელა ტკივილია და როდესაც პირველი, მეორე, მესამე პრობლემა სწორი გზით წარიმართება, დარწმუნებული ვარ, აქეთ შემოგვეხეწებიან, როგორმე თქვენს გვერდით გვაცხოვრეთო.

— ინტელექტუალური აზროვნება? იაპონელები თურმე პროექტებს კი არ ყიდულობენ, არამედ— მათ ავტორებს. იქ ასე ხდება ინტელექტუალური აზრის მიგრაცია. ჩვენ ვამბობთ, რომ 500 000 ქართველია გასული ქვეყნიდანო.

— უწინარესად აი, ისინია ჩამოსაფვანი.

— მე მქონდა ფირმა დაარსებული, მაგრამ რა, ბატონმა ედუარდმა დამასწრო ხორცშესხმა: უნივერსიტეტიდან, ინსტიტუტებიდან სტუდენტებს აფინანსებს, ნიჭს აფინანსებს. დიახ, დამასწრო. ჩვენი გენიოსი ბავშვების აღრიცხვა მინდოდა მეხუთე კლასიდან მოყოლებული. მინდოდა სტიპენდია დამენიშნა მათთვის, თუნდაც 10 ლარის ოდენობით. ეს არის ჩემი სანუკვარი მიზანი. მე ამას ოდესმე უსათუოდ მივაღწევ. ჩვენ დიდი — დიდი ასეთი 300 ბავშვი გვყავდეს ქვეყანაში. ესეც — ჩვენი უკვდავების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ათი წელიწადიც არ გაივლის, რომ იმ 300 ბავშვის გენია სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგება და ააღორძინებს, ააყვავებს ზედმიწევნით.

— აბსოლუტურად გეთანხმები.

— რაღაც გაფიცხებულ ხასიათზე ვარ. ეტყობა ყავამ დამრია ხელი.

რესპოდენტი გულიანი სიცილით სკამის საზურგეს მიაწყდება.

— ამბობთ, ვითომ პოლიტიკაში არ ვერევიო, სინამდვილეში სამივე განკარგულების ფონზე, თქვენ პოლიტიკური მოღვაწე ბრძანდებით. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.

ბატონო, აპოლონ, რატომ გვგონია, რომ ეროვნული თანხმობის მიუღწევლად ფონს გავალთ? დღეს მსოფლიო წესრიგს ედუარდ შევარდნაძე განაპირობებსო, გაიგონებთ აქა-იქ, და თუ მართლაც, ამას ფამილარულად როდი ვამბობ, მე ამ კაცზე არც მზე ამომდის და აღარც— მთვარე, რეალობას ვაფიქსირებ უბრალოდ. შენ თუ ამხელა პოლიტიკოსი ხარ, მეტი პატივი მიაგე ქვეყნის სულიერ მთლიანობას!

— აბსოლუტურად ვიზიარებ თქვენს აზრს და გეთანხებით იმაში, რომ ერთი ხელის მტევანზე ხუთი თითია და ხუთი კაცი ვერ მოიძებნება მსოფლიო მასშტაბით, რომელიც ბატონ ედუარდს გაუტოლდება, მაგრამ სამშობლოში გაჩენილ ეროვნული უთანხმოების ნაპრალს მისი საერთაშორისო აღიარება ვეღარაფერს შველის.

— ბატონო, აპოლონ, ძალიან კარგად მსჯელობთ. ორი თეორია მაქვს მე წამოყენებული.

პირველი: სამეგრელოში ხომ თხმელაა ძირითადი ხე?

— ხო, თხმელა, იგივე მურყანი, ალნუს კოლხიკუს.

— მითხარით, ახლა რა ხისგან აშენდება ჩვენი სახლი, თუ გარშემო თხმელის ტყეა?

— რა თქმა უნდა, თხმელისაგან.

— თხმელა იჩრჩილება. ის გამოუსადეგარია, საწმოხუნო არ არის, მაგრამ იცი, მეგრელმა რა მოიგონა?!

— თქვი, დამაინტრიგე.

— აგვისტოში მოჭრა ეს ხე და ორი წელიწადი დაძირა წყალში. როგორც კი ორი წელიწადი დაძირა წყალში, ამოიტანა იქიდან და დახერხა, ძელქვაზე უფრო ძლიერი, მაგარი გახდა. გესმის?!

— საინტერესოა.

— წყლისგან ნაშობია, წყლით განკურნა. ხომ გსმენია, რამაც მოგკლა იმან მოგარჩინოსო. ესაა ჩემი ფილოსოფია: გველის დაგესლილს გველის შხამი კურნავს, მორიელისას—მორიელისა, ძაღლის

ნაკბენს — ძაღლის ბალანი.

ეს ყოველივე იროდი სართანიასგან მოდის. თქვენც ხომ გაგიგონიათ მასზე? მე იქამდეც მივალ, ბატონ ედუარდს რომ შევხვდი ჭურიაში.

ახლა რა ხდება. დავხერხეთ თხმელა და აღმოჩნდა, რომ მუხაზე ძლიერი ყოფილა. ხეს თვისება შევუცვალეთ. ჩვენს სიტუაციას შეიძლება თვისება გარდავუქმნათ, ოღონდ ჭკვიანი მიმართულებაა საძებნელი. აბრეშუმის და ნავთობის გზა საქართველოს ნაღდად გადაარჩენს, მაგრამ უზნეო ხალხია პრობლემა. მეორე: ეს ჩემს ძუძუმტესაც აქვს მინიშნებული ბელეტრისტულ ინტერვიუში — ტივტივას თეორია. ტივტივა ხომ იცით?!

— ლაქვათი მეგრულად, ანკესის დანამატი.

— ხოდა, ახლა მოხდა ასეთი რაღაცა: ორი უზარმაზარი იმპერია ეჯახება ერთმანეთს, რუსული და ამერიკული სივრცე. ვიცით, ამერიკა სარაევოში, სხვაგან რუსეთის პოზიციებს ავიწროვებს, მაგრამ შენ რა უნდა ქნა პატარა ქვეყანამ?! შენ ხომ წერტილი ხარ ამ ორი უზარმაზარი დაპირისპირების დროს და ედუარდის კოზირი ტივიტივას თეორიაა. უნდა იტივტივო სიღრმეში ჩაუსვლელად, ჩაყვინათავ და იქ გაიჭყლიტები. შენ, უნდა აიტაცო ტივტივას თეორია და ამ ზედაფენებში უნდა იყო, რადგან ზედაფენებში წყალთა მოძრაობა ნელია, უსაფრთხო.

— საოცარი შედარებაა.

— ხო, ასეთია ტივტივას თეორია და აქ გადარჩება შენი ერი. აი, ეს არის ედუარდის თეორია და მესამეს გეუბნებით, ჭურიაში რომ ვიყავით ოთხმოციან წლებში. იროდი სართანიასთან გადაიღებს სურათს, ჯოტო გუგუჩიას ფარეხში. ქალი არ გვახლავს. მამკაცების სუფრაა. ერთი ოცდაათი სტუმარი მოგროვილა. პატარა კოტეჯივით ოდა-სახლში მიგვაქვს მწვადები. წვერი მაქვს მოშვებული. მეკითხება კლიმენტ ჯანჯღავა ასეთ რაღაცას. ქალაქის პირველი მდივანია: რას მწყემსავ აქო.

კაცო, ჩვენ დაბლა სუფრა გაგვიშლია, ფანჩატურში. მწყემსები, მძღოლები, მეორე რანგის ხალხი ვუბერავთ და...

— ხა, ხა, — იცინის ბატონი აპოლონი.

— რა გინდა, კაცო?! აღმა-დაღმა სირბილში ოფლი წკურწკურით ჩამომდის. ერთი ჭიქა არ შემოგითავაზებია ზრდილობის გულისთვის. სად არის შენი კოლხობა? რომ მეკითხება, რას მწყემსავო, გავბრაზდი და მოვითხოვე სადღეგრძელო. ბატონი ივლიანე თოდუა თამადობს სუფრას.

ბატონო, ივლიანე, მომეცით სადღეგრძელოს თქმის უფლება-მეთქი.

კი, ბატონო, ბრძანეთო.

ივლიანემაც არ იცის ჩემი ასავალ-დასავალი, სადაურობა. თერთმეტი თვეა მწყემსებთან ვცხოვრობ მოჩხუბარიძესავთ. ხოდა, ასეთ ფიგურალურ ფრაზას ვამბობ:

ბატონო, ედუარდ, ბატონო, ივლიანე, სტუმრებო, შემოგევლეთ ყველას, მაგრამ აგერ, ბატონი კლიმენტი მეკითხება, რას ვმწყემსავ აქო და გავუჩუმდე უზრდელობაა. ამისთანა კარგ კლიმატურ პირობებში, (კლიმენტი ხომ ხქვია, ვაალიტერაციებ სიტყვას), რომ ეძებთ ჩვენისთანა გაჭირვებულთ, — აპოლონი სკამის საზურგეს აწყდება, როხროხებს, — იმისთანა რაღაცეებზე თერთმეტი თვეა რომანს ვმწყემსავმეთქი. დავცლი ჭიქას და დავეშვები კიბეებზე. არ გაივლის რამდენიმე წუთი და ბატონი ედუარდიც ჩამობრძანდება. ჩვენს ფანჩატურს მოაშურებს მაინცდამაინც. კლიმენტს ვენაცვალე მე, როგორც პიროვნებას, მაგრამ ცუდი ფსიქოლოგია. ხედავ რა მოძრავი კაცია ბატონი ედუარდი?! ყველგან თვალშისაცემია მისი უბრალოება და სწრაფი რეაქციის უნარი.

— რთულ სიტუაციაში ხალხთან იდგა.

— სწრაფი რეაქციის კაცია.

— ბატონი ედუარდის თემა ამოუწურავია და...ამ დროს, ამასთან ერთად ძალიან მარტივიც. ხვალინდელი საქართველოს ბედის გამო ხალხი დღეს ბევრს ითმენს. ყველაზე ფასეული მაინც მოზრდილი თაობაა, რომელსაც შვილები, შვილიშვილები ხყავს. ისინი კიდევ ბევრს გაიჭირვებენ, ოღონდ შთამომავლობამ ცოტა უკეთეს ქვეყანაში იცხოვროს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება. ჩვენს ხალხში სულიერი კვირტები არასოდეს ჩაქრება.

— ბატონო, აპოლონ, არ გეწყინოთ და ფრაზეოლოგია გამოგვდის. უფრო კონკრეტულად ვიმსჯელოთ. გქონიათ შეხების წერტილი ბატონ ედუარდთან?

— კი.

— ხელის ჩამორთმევას როდი ვგულისხმობ, საქმიან შეხვედრას. ოთარ ხუფენიამ ოთხი გაიხსენა.

— მე გეტყვით, რომ ბატონი ედუარდი სამართლიანი კაცია.

— ეს უკვე დეტალია.

— მე გახლდით მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტი, რო-

მელიც გარკვეული პერიოდი, როგორც დამოუკიდებელი უწყება ისე არსებობდა მინისტრთა კაბინეტთან. რაღაც კონტროლის პალატასთან გართულდა ერთხელ ურთიერთობა. იქ დეზინფორმაცია მიუტანეს ბატონ ედუარდს და მე პირადად მოვითხოვე მასთან შეხვედრა. ბატონმა ედუარდმა ყოველგვარი ნორმის დაცვით ეს შეხვედრა მოაწყო. შევდივარ. ზის თავის სავარძელში, ჩვენ როგორც ვსხედვართ ახლა, ისე, პირისპირ. ვსაუბრობ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. მისმენს...

— გგონია თითქოს ყურს არც გიგდებს...

— ჰო, თითქოს სადღაც დადის და არც კი გისმენს. ერთი სიტყვა არ გამორჩენია ჩემი საუბრიდან. მეუბნება:

ჯამბულ, ჩვენ მეფრინველეობის საკითხს განვიხილავთ უახლოეს სამ დღეში. თქვენ თუ არ იქნებით წინააღმდეგი, მოვიწვევთ კონტროლის პალატის თავმჯდომარესაც, რეზო ბატონს, ყველა უწყების პირველ ხელმძღვანელსო.

— ყველა უწყებისას რატომ?

— იმიტომ, რომ მეფრინველეობის დარგის აღორძინება ყველას ეხებოდა, მარტო ერთ უწყებასთან არ იყო დაკავშირებული: შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროება, პროკურატურა... 93 წელია, ომი,

— ვიცი, კრიმინოგენური სიტუაცია.

— 93 წელია და სადაც მეფრინველეობის აღორძინება დაიწყო, იქ კრიმინალური სამყარო დაესია: დაყაჩაღება, უბედურება, ჯანდაბა. თვითონაც გვინახულა ერთხელ გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკაში და ისეთი გახარებული წამოვიდა იქიდან, ნუ იტყვით. ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე ბრძანდებოდა აპარატის უფროსი და ჩემს თანდასწრებით უთხრა:

შაბათს მოვიწვევთ მეფრინველეობის საკითხებზე თათბირს. ყველა სამინისტროს და უწყების პირველი პირები პირადად გააფრთხილეთო. ეს შეხვედრა ნამდვილად შედგა შაბათ დღეს. დაახლოებით ოთხი საათის განმავლობაში იხილავდა ბატონი ედუარდი მეფრინველეობის საკითხებს. მაშინ მეფრინველეობა აღორძინების გზაზე იყო დამდგარი. იქ სხვათაშორის ბატონი რეზო შავიშვილის პრეტენზიებიც იქნა განხილული.

— საგადასახადოსა და კონტროლის პალატის პრობლემა გადასასინჯია საერთოდ. ძვირია ჩვენი რენტა. რატომ გეუბნებით, ბატონო, აპოლონ, იცით?! ჩვენს მიმართ მონღოლებს 10 პროცენტიანი ბაჟი ხქონდათ დაწესებული. ყოველი 100 ნამატიდან 10-ს გვართმევდნენ. ჩვენ ოცი მიგვყავს საკუთარ სახელმწიფოში; ადამიანებს, მეწარმეებს ვატყავებთ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

— ამაზე ცოტა მოგვიანებით. ბატონმა ედუარდმა თითოეულ პირველ ხელმძღვანელს ასე დაავალა:

ვინც მეფრინველეობის დარგის აღორძინებას ხელს შეუშლის, ვინც მხარში არ დაუდგება, ის საქართველოს ეკონომიკის აღორძინების მომხრე არ არისო.

მოკლედ, უდიდესი მხარდაჭერა აღმითქვა. სამწუხაროდ მაშინ ელექტროენერგიის პრობლემები იყო. გახსოვთ, შავბნელი წლებია. წიწილის ინკუბაციას ორი საათით რომ გამოეთიშოს ელენერგია, საქმე დამთავრებულია, გადასაყრელია ყველაფერი. პრეზიდენტის ასეთი მხარდაჭერა ჩემთვის უდიდესი სტიმული გახლდათ.

ფორმულა მესამე

— ბატონო, აპოლონ, ჩვენ ათასი კუთხით გვაქვს სალაპარაკო. საბედნიეროდ ვრცელი დღეა. აი, თვითონ წულაია თუ გესმით რას ნიშნავს?

— ჩვენს გვარზე არსებობს ორი ლეგენდა. ნებისმიერი წულაიას წარმოშობის ადგილი მარტვილის რაიონის სოფელი ბალდაა. ნახუნაოში წულაიების თორმეტი ოჯახია. ამ სოფელში ისინი 300 წელიწადია ცხოვრობენ. ვიღაც ვატა წულაია ყოფილა პირველი წინაპარი. შემდგომ მისი განაყარია ყველა. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ წულაია წარმოდგება ჭილაის გვარისგან, საწყისი ეს იყო და მერე გადაკედთაო. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, ჩემთვის უცნობია.

— მე სულ სხვა ინფორმაცია გამაჩნია, ბატონო, აპოლონ. ახლა უყურეთ, წულაია რას ნიშნავს ჩემებურად: წული შვილია, სამშობლოს შვილი, სქუა, ძე. მეფისწული, უფლისწული, ქალწული, ყველგან შვილს ნიშნავს და როდესაც წულაიად კაცი იწოდა, მაშინ, ქვეყნის, მამულის შვილად დასახელდა იგი.

—ოოო?!

— მსგავსი მიმართებაა წულაძესთან, წულეისკირთან, წულუკიძესთან. ამის თაობაზე მილაპარა-

კია ბატონ აპოლონ ცანავასთან. თურქეთშიც კი არის თქვენი გვარი დაფიქსირებული. წულაია სამშობლოს ერთგული შვილის სინონიმია.

— სასიამოვნო მომენტია, — იცინის, უცებ ჩაცხრება თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, — მამა ადრე გარდამეცვალა, როცა პირველ კლასში ვიყავი...

— ოჯახის შესახებ ვილაპარაკოთ ეხლა. თქვენ სამი ვაჟიშვილის მამა ბრძანდებით. მთელი სამყარო რომ დაფაცურდეს, მაგათ ფერს ვერანაირად შექმნის, ხეგელისა არ იყოს. ეს არის სუფთა კოლხური ფერი. ჩვენ შეიძლება ამ შემთხვევაში ცოტათი მოვიკოჭლებდეთ.

— მომსპობს ეს კაცი... — იცინის კვლავინდებურად, — მინდა ბატონო, გური, გითხრათ, რომ წელს აგვისტოში მისრულდება 50 წელი, ნახევარ საუკუნეს გადაბიჯებული კაცი ვარ. 23 აგვისტო დაგახსომდება?

— ჩემი 6 სექტემბერია, 13 დღეა განსხვავება.

— მამაჩემი ექიმი იყო სპეციალობით. ომის და მის შემდგომ წლებში, სასაკლაოს დამთავრებამდე, გერმანიის ხოსპიტალში მსახურობდა. 46 წელს ჩამოვიდა იქიდან, დედაჩემი მოყვანილი ხყავდა 41 წელს.

— დედა რა გვარისა გყავთ?!

— დედა ტაბიძის ქალია.

— აუ, ჩემი გალაკტიონის მოგვარე! სად იყავი აქამდე ოჯახაშენებულო?! შინაურ ატმოსფეროში არ მომიყვანე უცებ?! ჩემი ქურუმი ნოდარ ტაბიძის სისხლხორცი. მერე, მერე?

— ხანდახან მეუბნებიან, რომ თითქოს პოეზიის განსაკუთრებული სიყვარული მახასიათებს და აქვე მინდა გითხრათ: ორი ჩინებული პოეტის ნათლია გახლავარ: გენო კალანდიასი და ზურაბ გორგილაძისა. სხვათაშორის პირველი ქრისტიანია, მეორე მუსლიმანი იყო და როდესაც ზურაბმა შემომთავაზა, მისი ნათლიმამა გავმხდარიყავი, ასეთნაირად ბრძანა:

მოვინათლები ქრისტიანული წესით, ოღონდ შენ უნდა იყო ჩემი მორდიაო.

დღესაც მახსოვს აჭარაში როგორ ჩავედით, მეც, ჩემი საძმაკაცოც და როგორ მოინათლა ბატონი ზურაბი ბათუმის ეკლესიაში ქრისტიანული წესით.

— მოუთმენლად ველოდებოდი შენი ფრაზის დამთავრებას. ეს არის ჩემი უსაყვარლესი პიროვნება დაუსწრებლად. ბონდო ჯიქიას მეგობარია. მიუხედავად შავი კატების გადარბენისა, სერაპიონოვიჩის მეგობრობას გულში ძველებურად ვინახავ...

— ბონდოზე ლექსი აქვს დაწერილი. მე ზურაბის პოეზია ზეპირად ვიცი, მაგრამ ამჯერად სხვაა ნიშანდობლივი:როცა გაიგეს, გორგილაძე ქრისტიანული წესით ინათლებაო და მისი მირონი ვიღაც თბილისელი წულაიაო, ბატონი ზურაბის ინფორმაციით ყოველდღე 100 მუსულმანი გადმოდიოდა ქრისტეს რჯულზე.

— მე, ქრისტიანი კაცი ვარ და მეგონა მუსულმანობა რაღაც საშინელება იყო, მაგრამ წავიკითხე „ყურანი" და შეხედულება რადიკალურად შემეცვალა. კარგი დედისშვილი ხარ პირველ რიგში ობოლ ძმისშვილებს და დისშვილებს არ უპატრონებ! რამხელა წიგნი ყოფილა. რელიგიური ბრძოლა კი მიდის.

— აქა-იქ გვჯობნიან კიდეც ცხოვრების წესით.

— მარტვილელი კაცი, ჭყონდიდელი, დავთი აღმაშენებლის სულიერი წანამძღვარი შემთხვევთი არ ყოფილა. თბილისის ერთ ხექტარ მიწაზე, სხვადასხვა მიმართულების ხუთი ეკლესია რომ აღიმართა: მუსულმანური მეჩეთი, ებრაულ სინაგოგა, სომხური, მართმადიდებლური ჩვენი და კიდევ — კათოლოკური, მთლად ახლომხედველობის ბრალი არ უნდა იყოს. ამიტომაა საქართველოს ყველა ეტანება, მაგრამ ამაზე ვიტყვით მოგვიანებით.

მგონი მივუახლოვდით საუბრის იმ ფაზას, როდესაც განსასაზღვრია ჩვენი სახელმწიფოს ორიენტაციის საკითხი. ჩვენ ადრე აღვნიშნეთ, რომ ორ უზურმაზარ ძალას შორის ვართ მომწყდეული-თქო. საქართველოს თავის დღეში არ ხქონია ერთთან სულდგმულობის სიტუაცია.

ორ ზღვას შორის იყო ლელოო, კარგად თქვა ღვთაებრივმა გალაკტიონმა და ყოველთვის, ჩვენს წელთაღრიცხვამდე თუ მერმე — საბერძნეთის, რომის, სპარსეთისა თუ რუსეთის მიმართებაში ასე დაგვებედა: ჩვენ არჩევანის ფუფუნება არასდროს გვქონდა. ან იმასთან უნდა ვყოფილიყავით, ან — ამასთან. ეს არის ჩვენ ტრაგედია. ქართველი ყოველთვის ნაკლებ ბოროტებას თან კრავდა კავშირს თავისი არსებობის გადასარჩენად. ხოლო ახლა, როდესაც მოვიდნენ ბიზნესის თეორიის ქვეყნები; როცა უკვე კომპიუტერულად იმართება სახელმწიფო მანქანა, კლინტონიც რომ კლინტონია, ხმას ვერ ამოიღებს კაპიტალისტის ინტერესების წინააღმდეგ.

ჩვენ ვეჯახებით საშინელებას. ამერიკას გარკვეულწილად მართავენ სომხები. ეს ღიად უნდა ვთქვათ.

ისინი ჩვენს საქართველოს იცი რას ეძახიან?! „სომხეთის მთიანეთს“, „ველიკაია არმენიას“. არ მინდა ენად გავიკრიფო, მაგრამ გაჩუმებაც აღარ შემიძლია. რამდენიმე წერილი მივუძღვენი, ბატონო, აპოლონ, ამ პრობლემას. სულ მალე 3000 წლის იუბილეს გადავიხდით, რაც ფაქტობრივად კოლხური სამყაროს იბერიულთან შერწყმის ხაზგასმაა, მაგრამ ვერ გამიგია, რის გამო ვკარგავთ კიდევ სულ ცოტა 600 წელს, რომელსაც ჩვენ ხომეროსის, აიეტის სამყაროში, მიჯაჭვული ამირანის სივრცეში გადავყავართ?!

— ბატონო, გური, იქნებ უფრო თქვენ, თორემ ამაზე საუბედუროდ მრავალნი ხმას ვერ იღებენ.

— ამ თემას ერთი კი არა, 100 შეხვედრაც ვერ ამოწურავს. სამშობლოს რატომ ვუკარგავთ ექვს საუკუნეს, ჩემთვის გაუგებარია. შეიძლება იტალიელმა კაცმა რომის წარსული გადაყაროს?

— ამაზე, ალბათ, მეისტორიეებმა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან და სამწუხაროდ მინდა დაგეთანხმოთ იმაში, რომ ისტორიკოსები ამ თემაზე ნაკლებს ლაპარაკობენ. არადა, მათ უნდა აღიმაღლონ ხმა პირველ რიგში! გაგაჩნდეს ასეთი მდიდარი წარსული და მასზე საუბარს გაურბოდე, ლაჩრობაა მართლა გულქვაობასთან ერთად.

— ეს მემკვიდრეობა ციდან არ ჩამოფრენილა. ეს არის ოფლით,სისხლით და ცრემლით მოპოვებული სიმდიდრე, რასაც გვარნაცვალი ხალხი აფუჩეჩებს. მე მინდა ამაზე ვილაპარაკოთ, ბატონო, აპოლონ, ოქროს საწმისზე... ეს არის პირველი წიგნი დედამიწის ზურგზე, რაც მსოფლიო საოცრებათა ნუსხაში დღემდე არავის შეუტანია.

ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მისი საერთაშორისო მნიშვნელობის წარმოჩინებაზე. ჩინურ კედელზე ნაკლები არ არის, დამერწმუნეთ. აღარც — ალექსანდრიის შუქურასა თუ სემირამიდას ცაში დაკიდულ ბაღებზე. პირველი დამწერლობის ძეგლია, ოქროს საწმისი, ანუ კირბი; კირბი იგივე კირიბია. უკეთ ის არის ცხვრის ტყავი, ამას მიგვანიშნებენ ბერძნები. ხოდა, ჩვენ რომ უკუვაგდებთ, ხელს ვკრავთ, ვითომ ჭკუათმყოფელები ვართ? ობივატელს ჰგონია, მეგრელის პრიორიტეტი წამოიწევაო. წამოიწიოს კაცო! მერე რა, შენი არა ვარ, ქრისტიანო?! სხვისი ვარ, თურქი თუ სელჯუკი?!.

— ბატონო, გური, ეს ფაქიზი თემაა, რომელიც ჩვენს ისტორიას, „ოქროს საწმისს“ შეეხება და წარსული უხსოვრობაში გადააქვს.

— კიდევ ჩაგერთვებით თუ შეიძლება. ქრისტემდე მეთოთხმეტე საუკუნეში ხდება ტროას ომი, მეთხუთმეტეში დატრიალდება მედეას ტრაგედია ანუ არგონავტების შემოსვლა. ეს არის 3500 წელი, მაგრამ უმდიდრეს სახელმწიფოს შეუძლებელია არ ხქონოდა რაღაც განვითარების ფაზა, საყრდენი.

— უეჭველად. ტროას ცხენზე შოთა ნიშნიანიძეს აქვს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავასადმი მიძღვნილი დიდებული ლექსი.

— ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ბატონი შოთა. აფხაზეთის გამოფენა რომ გააკეთეს ლიტერატურის ინსტიტუტში, იქ ჟიული შარტავას სურათის ჩამოკიდება დავიწყნიათ. ჩვენ ეს უნდა გამოვასწროთ.

— რაც ვისაუბრეთ ორმოცსაუკუნოვან ისტორიაზე, ეს ჩვენი უბედური სამშობლოს ფურცლებია, რომელმაც უნდა წამოსწიოს ქართული სულიერების უმდიდრესი საგანძური. შეიძლება ამისთანა საუნჯე გადააგდოს ადამიანმა?! აქ შეიძლება გამოიკვეთოს ცხვრის ტყავზე დაწერილი ოქროს წიგნი და ამით როგორ შეიძლება არ იამაყოს ქართველმა ერმა?! კოლხური სულითაა გაჟღენთილი ყოველივე, მაგრამ კოლხური რომ იგივე ქართულია?! იბერიული ქვეყნის შექმნას არ მოხმარდა განა ნებისმიერი კოლხური ძალისხმევა და როცა ეს საფუძვლები არსებობს, როგორ შეიძლება უარყო იგი? აქ გვარნაცვალ ხალხზე ბრძანებთ თქვენ და სამწუხაროდ იმდენად გამრავლებულან ისინი, რომ წყალი სწორედ მათგან იმღვრევა.

— ეს დაახლოებით ისეთია, ბატონო, აპოლონ, რომ გერმანიაში განაცხადონ მთელს პირინეიზე: „გერმანიის მთიანეთიაო“.

მარტო ამ ფრაზის გამო ერთიანად აბობოქ- რდება ფრანგი, ესპანელი თუ პორტუგალიელი ხალხი. და აგერ მავანნი და მავანნი ამბობენ:

„აქ არ შემოვუშვებთ ქართულ ჯარსო“!

ვინა ხარ კაცო, შენ?! 200 წლის წინ ჩამოგიყვანა რუსეთმა იმპერიის დასაყრდენად. არავის გამოდგომია თვითმპყრობელობის წინაშე მუცელზე ხოხვა. ათეულობით პატარა ერი რუსეთის ტერიტორიაზე აღიგავა მიწის პირისგან. ყველა მოისპო. შენ ასე ღიად ვერ გაგანადგურა, რადგან კავკავსიაში საქართველო ფლაგმანია. შთამომავლობა არ გვაპატიებს წაყრუებებს. ესროლეს ილიას? ესვრიან სხვას? საქართველოს ვერაფერს დააკლებენ, რადგანაც იგი საქართველოს მოდელია.

— ჩვენი ყოველგვარი მცდელობა ამისკენ უნდა იყოს მიმართული, რათა ეს უდიდესი ისტორიული

სიმდიდრე მომავალ თაობებს დარჩეთ. ჩვენ უნდა შემოვუნახოთ მათ ისტორიას ულამაზესი ფოლიანტები.

— რასაც ახლა თქვენ აკეთებთ, ბატონო, აპოლონ, სრულიად საქართველოს აღდგომაა. მე დარწუმნებული ვარ, იმიტომ, რომ თქვენ არა ხართ მიკერძოებითი კაცი. გავიხსენოთ ეს თემა, როცა ზოგადეროვნული ლექსიკონის საკითხს მივუახლოვდებით. ჯერ კი სალაპარაკო ბევრი დაგვრჩა და გავაგრძელოთ ისევ 3000 წლის შესახებ, იგივე ამირანის მითზე. ეს რკინის გამოდნობის საიდუმლოებას უკავშირდება, ჩემო ბატონო. ღმერთს ცეცხლი წაართვა და რკინა ცვილივით დაარბილა. კოლხეთი იყო რკინის მწარმოებელი ქვეყანა. იმ დროისათვის რკინა, ფოლადი, დღევანდელი ატომის ტოლფარდი გახლდათ. ხომეროსთან დაფიქსირებულია ასეთი ფრაზა:

ხალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვნენ, ვერცხლის შორეულ საბადოდან, ხალიბეს მხრიდანო.

ხალიბე კოლხეთის სინონიმია. მოდის კოლხი, რომელსაც აქვს თავისი დროის ატომი, სპილენძის ჩლუნგ აბჯარს შუაზე გიჭრის. ეს იარაღი გააჩნია კოლხს და დაღუპავს კიდეც.

ვეუბნები ამერიკას: დაგღუპავს შენ ატომის წარმოება.

იგივეს ვუკიჟინებ რუსეთსაც:

აწარმოე სული და არა იარაღი-მეთქი. დინოზავრებივით გადაშენების სტადიამდე მივსულვართ.

საქართველოს ისტორიის უდიდესი საგანძურის შეფასება არა მარტო ჩვენი, კოლხური წარმოშობის ხალხის, ვალია, არამედ — სრულიად მამულისა, რადგან ეს სიმდიდრე მისი კუთვნილებაა და თუ ზოგიერთ გვარნაცვალი ხალხი რაიმე წინააღმდეგობას გასწევს და სისხლით ქართველი ხმას არ აღიმაღლებს ამის წინააღმდეგ, რეალურად არ მოჰყვები ისტორიის შესახებ, გაგვიჭირდება მომავალში თავჩაქინდრულებს. ჩვენ არ შეგვეფერება მომავალი თაობის წინაშე მხრების ჩამოყრა. ეს ღალატია!

— ხომეროსის სამყაროდან ვამბობ ისევ, ბატონო, აპოლონ: ,,ილიადა'' ორი სამყაროს დაჯახების მატიანეა. ეს არის წინარე ბერძნულის, იგივე ქართველურის და ინდოევროპულის ორომტრიალის ეპოპეა.

— რისმაგ გორდეზიანი ჩემი მეგობარია.

— დიდზე დიდი პიროვნებაა. მისი აღიარებით: წინაბერძნული მოიცავს მთელს მცირე აზიას და ჩვენ ვვრცელდებოდით ეგერ შუმერამდე, ევფრატამდე. შემდგომ ჩვენ შემოგვიტევს აზიური ტალღა; ინდოევრუპული ღვარ-ცოფი მიაჯაჭვავს ამირანს, ანუ იგივე საქართველო, კავკასიის ქედებს, მიაჭეჭყავს იქ. ახლა რა ხდება: ამირანს ღვიძლს უკორტნის ზევსის არწივი. ეს ზვიად გამსახურდიასაც შესანიშნავად დაუნახავს. მოდის ხერაკლე და ზევსის არწივს ამარცხებს, ათავისუფლებს კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანს-პრომეთეს, პრო-მეთეს — წინარე ამბავს, ბერძნულად.

ხომეროსის ხომალდების კატალოგში ასახულია თუ ვინ მონაწილეობს ამ ომში. ჩამონათვალში კოლხები ხექტორის მხარეს იბრძვიან, პრიამოსის შემწე არიან, მაგრამ დაანგრევენ ილიონის კარიბჭეს და აღიგვება მიწის პირისაგან ტროა. ყველა ტომს აქ თავისი წინამძღოლი ხყავს, მაგრამ ზოგი ჩვენი მოიერიშე მეზობლის ჭაჭანება რომ არ არის?! ან რა ენდომება მათ ქრისტემდე მეთექვსმეტე საუკუნის კავკასიაში?!

— მადა ჭამაში მოდის, ბატონო, გური.

— ისინი აქტიურად იბრძვიან ახალი სივრცეების მოსაპოვებლად, ვინაიდან ვისაც სამშობლო აქვს, ის გაბრუებულია საკუთარი მამულის სურნელით.

— გგონია, რომ შენია ეს ყველაფერი და გაჯერებული ხარ მისით.

— ხალიძონები და ხალიბები ორივე კოლხური ტომია. მეექვსე სიმღერაში ოდიოსი კვდება. ამაზე მე ახალ წიგნს ვწერ. რა ხდება? ოდიოსს აგამემნონი განგმირავს ხოროლით. მე კი არ ვკლავ, დაჭრილს გამოვიყვან ბრძოლის ველიდან. ,,ოდოია'' ამაზეა შექმნილი ხიმნია, სხვა არაფერი.

ოდოდოი ოდოია დო ოდოია, ვოი, ვოი. ეს გლოვის ზარია პიროვნებაზე, აიეტის შვილიშვილზე, წყალგაუვალ რაღაცას გეუბნები. შეხედე ,,ლილეოს'', მზის საგალობელია, მანათობლის ჰიმნი, ენლილის უკვდავების სიმღერა და მომაკვდავი ოდოია მოხყავთ სამშობლოში. აგერ, დღეს თუ ხვალ დაცხრება მისი აბორგებული ცხოვრება. გლოვობს მთელი კოლხეთი: ვოი, ვოი, ვოიო.

— ნუ, ეს საოცრებაა, ხიპოთეზაა, მაგრამ ყველა ხიპოთეზას აქვს არსებობის უფლება. იმდენად რეალურადაა წარმოსახული ყოველივე, სინამდვილე გგონია.

— რა მომენტებით აისახება მსოფლიო ცივილიზაციის ეტაპები?

მე ვიტყვი: ბრიანჯაოს ხანა, როდესაც ჯოხი დააგდო კაცმა და სპილენძს მიაგნო, ეს კოლხურია.

მეორე ხანას კიდევ 1500 წელი სჭირდება, რათა რკინაზე გადავიდეს, ბრინჯაო და რკინა შეაერ-

თოს და მიიღოს ფოლადი.

მესამე — ჯოხი რომ მოღუნა, შეაკავშირა და ბორბალი შექმნა.

დამწერლობა — ესეც კოლხურია; პოლიფონია, შვიდი კაცი ერთად რომ იმღერებს, ურთიერთგაგების, კონსენსუსის თეორიაა, რაც მოგვცა ცხოვრებამ, სახელმწიფომ, მეზობლობამ, ოჯახმა, როგორ იარსებოს, რანაირად, რაფერ იმკვიდროს ამ სამყაროში, სიმღერით ჩამოძერწა ყოველივე.

— წარმოიდგინე რაზე ვამბობთ უარს, — იცინის ბატონი აპოლონი.

— ყველაფერი ამაზეა დაფუძნებული: ატომი, კომპიუტერი ზედნაშენია. კოლხეთის იგნორირება უიგივდება საქართველოს იგნორირებას და აქედან კაცობრიობის იგნორირებასაც! კოლხი ბაზისია, ტრამპლინი, ფუძე საქართველოსთვის. ამის უარყოფა როგორ შეიძლება. ოთხი ხელი გქონდეს და ორი არ მინდაო, ამბობდე, იქნები ჭკუათმყოფელი?

— ხა, ხა, ხა. მეც ამ შემთხვევაში სიამოვნებით მოგისმენ, გური, იმდენად დამაჯერებლად საუბრობ, მაბრუებ პირდაპირ, მნუსხავ.

— არც გადამლაშება ვარგა, თითქოს ყველაფერი ჩვენგან მოდიოდეს. თქვენი აზრით ეგვიპტის პირამიდები რას ნიშნავს?

— ეს ეგვიპტის წყალ-ხმელის ისტორიაა, კაცო.

— ეგვიპტის პირამიდები, მეცნიერთა მტკიცებით, ის კოლბია, ბეჭზე რომ დაგადგამენ ხოლმე გაჭვალულს. ესაა წინაღობა მიწისძვრების აღსაკვეთად. არის სხვა ვერსია, რომ პირამიდა ტორნადოს გამომწვევი ნაგებობაა, რომლითაც ფარაონის სულის ცად ამაღლების სცენა თამაშდებოდა. 72 წელს ნანახი გექნება ფილმი ,,ვოსპომინანიე ო ბუდუშემ, ნაზად კ ზვეზდამ, ილი ვოზვრაშჩენიე კ პროშლომუ?!'' იქ არის მოედანი, თვითმფრინავის ტრასებია, სარბენი ბილიკები. მე არ მინდა ვამტკიცო, თითქოს დედამიწას შეხების წერტილი გააჩნდა კოსმოსურ ცივილიზაციასთან, მაგრამ ჯერ ერთი, რატომ უნდა გამოვრიცხოთ? რა, სიცოცხლე უნიკუმია?ერთი მომენტია მხოლოდ? დედამიწა მზის ჩამქრალი ნაწილაკია და რატომ არ უშვებ არსებულ მილიონობით გალაქტიკაში სიცოცხლის განსხვავებულ ფორმებს? გაგვექცა საუბარი, თუმცა, ახლოს ვართ მიზანთან. იტყვი, რისთვის არის უმეტესი კოლხი გრძელსახიანი?

— თავს წაუკრავდნენ.

— გრძელი თავები რომ ხქონოდათ,შუბლს წაუკრავდნენ. ჩანს, ამ მომენტზე დოლიქოკეფალია ამბობს ყოველივეს, ანთროპოლოგია. დაიბადებოდა ბავშვი და თავს წაუკრავდნენ, რათა სიმაღლისადმი ლტოლვა მერე გენში გადასულიყო.

— რა საინტერესოა?!

— შე ქრისტიანო, ქართველი არის ბავშვი, როცა ბაბუა კოლხი ხყავს. მიაგე პატივი მამასა შენსაო, გვასწავლის ბიბლია, მაგრამ მივაგებთ კი? ჩვენ საუბარი ნელ-ნელა მიგვყავს ამაღლებული კატეგორიისკენ.

კანტი ასე ამბობს: ევროპულ ცივილიზაციას ქართულმა გენმა ჩაუყარა საფუძველიო. ადამიანს აქვს კორპუსი, სხეული, სიმაღლე; ადამიანის განზომილება ყოველთვის იანგარიშება თავის ქალის შემოწერილობით, შუბლის თაღის მიმართებით ნიკაპთან. ზანგი სხვა კონტინენტიდან მოსული ინდივიდია. მან კარგა ხანია მოიხსნა დისკრიმინაცია. ზანგი მშვენიერია ქართველის თვალსაწიერით, მაგრამ არა — სრულყოფილი.თქვენ კარგად იცით, ვეფხვის და მოყმის ბალადა, ქართველთა ტოლერანტობა, ,,იქნება ვეფხის დედაი, ჩემზედ მწარედა ტირისაო''.

— ტოლერანტობის ცნება, ბატონო, გური, ჩვენს წინაპრებში ყოველთვის აღიქმებოდა ჩვეულებრივ მოვლენად.

— გენზე რა წარმოდგენისა ბრძანდებით?

— გენეტიკა განსაზღვრავს ადამიანის ხასიათს.

— გენურ შეჭიდებულობაზე გეუბნები, ამას კროსინგოვერი ხქვია. დავუშვათ, აი, სიმაღლის, ნიჭიერების, შეფერილობის და ასე შემდეგ. ჩვენ ეს თემა არ ამოგვიწურავს. ეკლესია ნიშნავს ქრისტეს, მისი სახლია ეკლესია. თქვა მან: ინებე პური — სხეული ჩემი, და ინებე სისხლი ჩემი — ღვინოი. ქრისტე არის მიწა, რომელმაც გშობა და მიგიღებს კიდეც ადრე თუ გვიან. თეოლოგიურ საკითხზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, ჯერ ეს პრობლემა მოვისტუმროთ. ეტყობა მე ცუდი კორესპონდეტი ვარ ამ შემთხვევაში და თემას სრულყოფილად ვერ წარმოვაჩენ.

ავიღოთ ასეთი მცნება: მოსე და ებრაელობა. ებრაელი ერი ლტოლვილია, განდევნილი საკუთარი სამშობლოდან და მთელ თავის პოტენციურ ენერგიას ახმარს ეგვიპტელების პირამიდების მშენებლობას. მოდის პიროვნება, რომელსაც მოსე ხქვია. მოსე— წინამძღოლია, კალათაში ჩასმულს ნიშნავს, ნილოსს გაყოლებულს. ვიღაცა ქალი გადაარჩენს, იგივე საკუთარი დედა. მიგვრიან ხელ-

მწიფეს და გაზრდიან კიდეც თავიანთ ჭირად. მოდის მოსე და საკუთარ ერს ქანაანისკენ წარუძღვება ანუ აღთქმულ ქვეყნისკენ, იგივე ისრაელისკენ. 40 წელიწადი ხეტიალობენ ისინი უდაბნოში, კალიას ჭამენ, მანანას მიირთმევენ. ერი აუმხედრდება:

სად არის ქანაანიო.

მოსეს არ ეღირსება იქ შესვლა, რადგანაც მონობაშია დაბადებული. მონობისა და ვაჟკაცობის თემაზე მინდა ვისაუბროთ.

მალე წელიწადი მოიყრება, რაც აფხაზთა ტყვეობას თავი დააღწია ეროვნულმა გმირმა რუზგენ გოგოხიამ. ოთხჯერ კედელთან მიაყენეს ეს კაცი და აი, რა თქვა:

,,მე სიკვდილის კი არა, ადამიანის დანახვის მეშინოდაო. მე ერთადერთი მამაკაცური შეურაცხყოფის მეშინოდაო. მე მზად ვიყავი ჩემი ღირსების დასაცავად კბილებით დამეღრღნა საკუთარი თავი და ეს შევძელი კიდეცო''.

აქ ქართულ სულიერებაზეა საუბარი და მე მაინც პოლიფონიით უნდა დავამთავრო, სადაც ჩვენს ინდივიდუალობას უზენაესი ფორმა ეძებნება.

ფორმულა მეოთხე

იოანე ზოსიმეზე რა შეგიძლიათ მითხრათ? ეს ის იოანე ზოსიმეა, რომელმაც სამყაროს გამგებლად, მესიად ქართული ენა, ამ შემთხვევაში, მოდგმა, ტომი მოუვლინა კაცობრიობას. ამის თაობაზე ჩინებულად უწერია ნეტარხსენებულ ზვიად გამსახურდიას, მაგრამ თქვენი აზრიც მაინტერესებს.

— ქართული ენის ისტორია, მისი წარსული, ბატონო, გური, უამრავ საუკუნეს მოიცავს. კი, ბატონო, ქართული ენის სიწმინდე, რომლის ბაზისი ბევრ შემთხვევაში მეგრულია, სხვანაირად აღიქმება აქა-იქ, მაგრამ თუ იმის უარყოფა შევძელით, ვისგანაც დავიძარით, თავად ჩვენი მომავლის, არსებობის პერსპექტივა ჩაგვიქოლავს. ქართული ენის სიწმინდეში, ქართულად მეტყველებაში, კოლხურს უდიდესი წვლილი მიუძღვის. კოლხურზე აღმოცენებულმა ქართულმა უამრავი საუკუნე გამოიარა და ყველა ისტორიულ ქარტეხილზე დატოვა ნაკვალევი სიტყვაკაზმული მწერლობის სახით.

— თავდაპირველი ენა, ენათა ენა, წარღვნის შემდეგ რაც კაცობრიობას დარჩა, ის ენა. ამას ჩვენ შუმერულთან მიმართებაში დავამტკიცებთ. რას ნიშნავს ქი-ა-ნა?

— ქვეყანას.

— ქი შუმერულად ჯვარია. თვითონ ქი-ა-ნა — მიწა და ცაა. ჯვარი მზის ტრიალის სიმბოლოა. სვასტიკა, რომელიც გააღმერთეს გერმანელებმა, შუმერულია. როგორც კი დააბზრიალებ ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ ჯოხს, ღებულობ კუდებს, და იმ ფორმას, რასაც სვასტიკა ხქვია. ეს არის 6.000 წლის წინ გამოხატული სიმბოლიკა. ჩვენს გოლიათ ზურაბ ქაფიანიძეს აქვს გამოკვლევა: ქიანაში მოცემულია ფორმულა, რომელიც ჯვრის მიმდევრობას ნიშნავსო.

გამოვედევნები ამ ტრიალს და აღმოვაჩენ, რომ იგი რვადაა დაყოფილი. პლუსის და გამრავლების ჯამია რვა.

პლუსი არის ორი ჯოხის შეკავშირება.

გამრავლება მოძრაობას ეფარდება.

ღერძის გარშემო ტრიალი დაყოფილია 35-35^{0} -იან სეგმენტებად. ვღებულობთ 360^{0}-ს.

ეს ყველაფერი თქვენმა მოგვარემ, ბატონმა ხამლეტ წულაიამ გაშიფრა.

იგი ამტკიცებს, რომ საქართველოში უნდა გადარჩენილიყო მიწიერი სიცოცხლე.

აღმოაჩინა, რომ დედამიწას ვეებერთელა სხეული დაეცა ასტეროიდის სახით, ჩაჩვრიტა და ამობურცა. ფიზიკოსია, უნიჭიერესი პიროვნება. ყოველივე გრადუსებში აქვს გათვლილი. სხეულს, რომელიღაცა სხვა სხეული დაეჯახება რაღაც წერტილში, აბსოლუტურად მის საპირისპირო მხარეს უნდა მოხდეს საწინააღმდეგო პროცესი. დედამიწა იქ ჩაიჩვრიტა და აქ ამოიწია. საუბარი გაგვექცა, მაგრამ იოანე ზოსიმესთან ამის რაღაცა გამონაკრთომი არის: ,,დაფარულს არს ესე ენაი, მეორედ მოსვლამდე''...

იცინის.

— ამოუწარავი ფანტაზია გაქვთ. ამდენი ისტორიული სინამდვილის აღქმა ასეთ ფორმაში და გადმოცემა ასეთნაირად, ერთ დღეში... რამდენი ენერგია უნდა გაგაჩნდეს, ადამიანს?!

— შემთხვევით არ უწოდებიათ ჩვენი ქვეყნისთვის ღვთისმშობლის წილხვდომილი. ტიბეტური ვერსიით 11 წლის ქრისტე აღიზრდება ბუდიზმის ქვეყანაში. საქართველო ნახსენები არაა. 29 წლის ასაკში ჩამოდის იგი ქანაანში.იკარგება დაახლოებით 18 წელიწადი. როგორ უნდა გადაელახა იესოს

ეს სივრცე საქართველოს გვერდს ავლით? ხომ ვერ გადაუფრენდა?

— ეს მოდის ისტორიული წყაროებიდან?

— იოანე ქართველი იყო, ნათლისმცემელი. როგორც დავით აღმაშენებლისთვის გიორგი ჭყონდიდელი გახლდათ, სულიერი მოძღვარი, ისეთი იყო ქრისტესთვის იოანე. იოანეს გამოცხადებას ჭკვიანური წაკითხვა უნდა. ერთ-ერთმა ფილოსოფოსმა მეგობარმა მითხრა: იქ არის ყველა ფორმულა ჩადებულიო. ენგელსი შეეჭიდა ამ ვერბალურ სფინქსს და გაშიფრა კიდეც ჯეროვნად.

იესო ქრისტემ უბიძგა თავის მოწაფეს, მე იმ ჯამში უნდა ჩავაწო პური, რომლიდანაც ამჟამად საზრდოობს ჩემი გამცემიო. ძალად აქცია მოღალატედ, თავისი თავი რომ აემაღლებინა, კაცობრიობისათვის მხსნელი პიროვნება მოენიჭებინა.

იუდა საკრალური ფენომენია.

როგორც კი ქრისტე ჯვარს აცვეს, მან წამსვე ჩამოიხრჩო თავი. მოღალატეს თავის მოკვლა შეუძლია? იუდას ინდივიდუუმის ჩვენ ჯერხანობით არ გვესმის. ეს უდიდესი ძალაა მამა ღმერთსა და ქრისტეს შორის. ეს ყველაფერი „ყურანშია“ დაფიქსირებული. საყველპურო თხრობითობას რომ მოვიშორებ, ალბათ, რელიგიური წიგნების წერას დავიწყებ. იუდა ფაქტობრივად ქრისტემ შექმნა. კაცობრიობა რომ ამაღლებულიყო, რამხელა ტრაგედიაში ჩაენარცხება ისკარიოტელი?! ამ დროს სიკეთე გააკეთა, თავისი ჭკუით 30 ვერცხლი აიღო, რითაც ხუთიოდე პურის ყიდვა თუ შეძლებია.

— აქ, სხვა რამე დევს ეტყობა.

— აქ არის იუდას სიმართლე. ვერხვზე ჩამოიკიდებს თავს. ქრისტეს დაასწრებს სიკვდილს.

— ლოგიკა ასეა.

— შესაძლოა სხვანაირი ინტერპრეტაციაც, მაგრამ ჩემი მიდგომის კუთხე რევიზიონიზმის ტოლია. „ყურანი“ წავიკითხე და ესეც უზარმაზარი ძეგლია. სულში მიღიტინებს მუხამედის სულისკვეთება. შენი ნათლული ახლა გაცილებით მახლობელია ჩემთვის, ჩვენი ზურაბ გორგილაძე. აქვე, ბატონო, აპოლონ, მგონი თანდათან მივუახლოვდით რობაქიძის კონცეფციას სახესა და სხეულზე.

სახე და სხეული ერთი სიტყვიდანაა. სახე, სხეული, სახელი, სახლი ერთ ფრაზაში ტრიალებსო. მაინტერესებს თქვენგან, რად აქვს ქართველ კაცს განუყოფელი სახე, სხეული, სახელი და სახლი?

— საოცრად ტევადი და დატვირთული სენტენციაა. საერთოდ ადამიანის სახე მისი გენეტიკურ-სოციალური წარსულის ძეგლია, მონუმენტი. ყველაფრის აღდგენა შეიძლება მისით.

— აი, თქვენი ბიჭები, საოცრად გგვანან, ბატონო, აპოლონ. ეს თქვენი კოლხური წინაპრების გენეტიკაა. მე ჩემი შვილები თითქოს მემსგავსებიან და — არც. სახელი, სხეული და სახე ფრიად საკრალურ ფონეტიკურ ერთეულებად მესახება.

— ეს ცნებები, იმდენად კავშირშია ერთმანეთთან, ბატონო, გური, რამდენადაც თვით მასშია გამოკვეთილი შინაარსი და ადამიანის სახე, რომელიც ყოველდღიურობით შენდება და რომელიც თვალით ხილვადია, ბევრ შემთხვევაში შიგნით, სიღრმისეულად იკითხება.

— მაგალითებიც მოიშველიეთ, მინდა თქვენი პიროვნება სამუდამოდ დამამახსოვრდეს.

— აი, თქვენ, ბიჭები მიხსენეთ, მაგრამ მათი ჩემთან იდენტიფიკაცია მესამედია ბაბუასთან შედარებით.

— დიდებულია.

— როცა ჩვენ, ჩვენს შვილებს ვაკვირდებით, შეიძლება ისინი ფიზიკურად არც გვემსგავსებოდნენ, მაგრამ გამორიცხულია წინაპართა გენეტიკური კოდი მათში რეცესიულად მაინც არ სულდგმულობდეს.

— დავხატოთ პორტრეტი კოლხისა, ქართველისა ზოგადად. ჩვენ გვახსოვს ვახუშტი ბაგრატიონის ფასდაუდებელი სტრიქონები. აბა, როგორ ამბობს? ლამაზი, ყირმიზი, ახოვანი, ომში წარბშეუხრელი ლერმონტოვის ჯინაზე, ლერწამივით მიმომდინარე აზრთა შინა. გვარნაცვალი ქართველებია ამაში ხელს რომ გვიშლიან.

იცინის.

— კოლხის პიროვნებაში სჭარბობს ყირმიზი. თმა — ოქროსფერი, სახის აღნაგობა — გრძელი— დოლიქოკეფალია. იშვიათი მშრომელი. თავისი კუთხის შემქმნელი. უღალატო — ეს პირველ რიგში. უყვარს სამშობლო, მისი წინაპრები ქუჯიდან მოყოლებული...

— დღევანდელი მთავრობა, მეცნიერება სულ ცოტა 600 წელს გვპარავს, ბატონო, აპოლონ. განკითხვისას ხომ უნდა გვეშინოდეს წინაპართა სულებისა?!

— ოჯახის მოყვარული.

— ვთქვათ, ცოლისდა ცოლზე უკეთესია, თვალი გაექცევა მისკენ?

— არასოდეს, კაცო.

— ესაა კოლხის თავისებურება. გრძნობათა მობოჭვა ქალის მიმართებაში განსაზღვრავს კოლხი კაცის ღირსებასაც და უღირსობასაც. როცა კაცი ყველაფერზე ხელს ჩაიქნევს, მაშინ ყოველდღიური სიკვდილი ფეხებში გებლანდება. კოლხი გეუბნება:

მე ვღებულობ ჩემს უშნო ცოლს, ვიდრე ლამაზ ცოლისდასო. ესეც მნიშვნელოვანი ფორმულაა.

— აბსოლუტურად გეთანხმები, რაზეა ლაპარაკი! გამორჩეული ამითაა ქართველი, თავისი რაინდული თვისებებით.

— რატომ იწყება ზნეობრივი შემოტევა კოლხეთის მიმართ.

— ზნეობრივი სიმაღლე სადაც არსებობს, იქაა ორომტრიალი.

— ამერიკას, რუსეთს შეუძლია შემოგვიტიოს ჩვენ? ამერიკელი და რუსი ხომ ასეთი ასპექტით ორივე ერთმანეთზე უარესია. გრძნობათა აღვირახსნილობა ცუნამზე წამლეკავია. სისხლის აღრევამ დააქცია უამრავი ერი. ახლო ქორწინებებმა გადააგვარა ათასები. აკი, ძროხებშიც კი წაშალა ნათესაურმა შეჯვარებამ ოდინდელი სასარგებლო თვისებები, გამოფიტა, მათი წველადობაც გააბითურა.

— ეს ზნეობის განზომილება დავადგინეთ ჩვენ: თურმე კოლხის კრიტერიუმი ყოფილა ამაღლებულის ჭერი. დავიწყოთ აქედან. ჭერთან თუ მივედით, ბალავარიც მოსაძიებნია.

— ბუნებრივია, ჭერი საძირკველთან კავშირში ემყარება დედაბოძს, სადაც ზნეობრიობის დროშა ფრიალებს, სადაც ცოლისდასთან გამორიცხულია შეყრა გინდაც წლობით ემარხულოს დიაცთან, ზნეობრიობა სჭარბობს მასში. მამა გიკვდება, დედა გიკვდება.

ბიბლია გეუბნება: მამაკაცი მიეწებება თავის ცოლს და ამიტომაც ივიწყებს მშობელსო, მაგრამ ამ დროს იქვე უწერია:

მიაგე პატივი მამასა შენსა და დედასა შენსაო. უყურე რა გაორებებია. რა ვუყოთ ამ შეუთავსებლობებს, როცა საუბარია ცოლის, შვილის, მშობლის და ღმერთის ურთიერთმიმართებაზე?!

— საოცარია, მართლა ისე აგებ საუბარს, რომ კაცი ძალაუნებურად მობილიზებული ხდები, დაჭიმული, სხეული გეჭინჭრება.

— ჩვენ სახელმწიფოებრივ წყობაზე შევაჩერეთ ყურადღება, ვეღარაფრით ვეხსნები ამ ჭირს. მაკონდოს თავი და თავი ეს არის, ბატონო, აპოლონ. თითქოს ამოვწურეთ 3500 წლის მოვლენა. გვარნაცვალ ქართველებზეც გაკვრით გვისაუბრია და ამაზე უფრო დეტალურად ბაბანი არც ღირს.

აი, მორიგი ფაქტორია კიდევ, რომელიც სულის ციტადელს გადახნავს: ე.წ. ჩვენი ეროვნული პასპორტი.

— გვარნაცვალი ქართველები ხშირად ამნაირად იმართლებდნენ ხოლმე თავს: პასპორტიდან ეროვნების რეკვიზიტის ამოღების ამოსავალი წერტილი ამერიკული მოდელიაო. გნებავთ ფრანგული, სადაც „ფრანსე“ მოქალაქესთანაა გაიგივებული, მაგრამ უცხო ქვეყნების მოდელი მოერგება კი ავტომატურად, ბრმად ქართულ სინამდვილეს? მე ეს ყოვლად დაუშვებლად, გაუმართლებლად მიმაჩნია. მე ქართველი ვარ და არა სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ჩემთვის სიამაყეს ბადებს, რომ ქართველად დავიბადე და ჩემი არგუმენტაციისათვის ამისთანა მაგალითს მოვიშველიებ: აი, გნებავთ 3500-წლიან ისტორიას მოვიყვან, როცა კოლხეთის მითიურ სახელმწიფოში უამრავი ტომი თანაცხოვრობდა. ისინი უკლებლივ ამაყობდნენ თავიანთი წარმომავლობით, კოლხობით. სხვასაც შეუძლია იამაყოს საქართველოთი, წინააღმდეგ შემთხვევაში მეხუთე კოლონის მეტსახელი გარანტირებული აქვს ჩვენში უამრავ ხალხს. მათ თუ არ შეიგრძნეს თავიანთი მეობა საქართველოს მშენებელ ეთნოსად, როგორ გინდა იარსებო?

— ამის თაობაზე კიდევ მაქვს პატარა შეკითხვა. მაგალითად, თქვენი შეხედულებით ვინ არის ნაცარქექია?

— ხა, ხა, ხა.

— სანამ მიპასუხებდეთ, ბატონო, აპოლონ, მიმართულებას მიგანიშნებთ: ნაცარქექია ეს ის პროვნებაა, რომელიც ჩხირით რაღაცას იქექება კერიაში. უფრო ზუსტად კი ეს ის კაცია, რომელსაც შუმერების დროიდან მოყოლებული თიხის ფირფიტებზე ჩხირით სიტყვები გამოჰყავს; იგივე მწიგნობარი. შემდგომ ჩვეულება წესად დაილექება მის გენეტიკაში. მის კაცობას დაენათლება ნაცარქექიაობა ანუ ის, რომ იჯდეს ბუხურთან და კრუხივით ბუდრაობდეს. ყერბი, კერია, ყბური, სათავე ქვა ვერძივით მოგრეხილი რქებით, სხვა არაფერია, თუ არა იგივე კირბი, იგივე ოქროს საწმისი, ანუ მექანიზმი დამწერლობისა.

— რამხელა ფილოსოფიაა.

— ეს არის ნაცარქექია. ეს არის მწერლობასთან წილნაყარი კაცი, იგივე კირბის, ოქროს საწმისის, ყვერბის, კერიის კაცი, დამწერლობის შემოქმედი, ბუნების მესაიდუმლე.

— საოცრებაა.

— ჩემი პატარა ვერსიიდან დააკვირდით, აბა: ნაცარქექია არის მჩატე, უვარგისი, მაგრამ უზარმაზარი სიბრძნით დატვირთული, რომელიც ბაყბაყდევს ერევა. რატომ? იმიტომ, რომ მწიგნობრიობასთან, ჭკუასთანაა წილნაყარი. ყვერბთან ზის, ფუძის ანგელოზის ყმაა და შეუძლია ნებისმიერ დროს შეუკეთოს თიხის ფირფიტა გამოსაწვავად აგუზგუზებულ ცეცხლს. როგორი ხიპოთეზაა?

— ლოგიკური და დამაჯერებელი თანაც. შენეული შეფასებაა?

— ჩემებურია. ერთი ვერსიაც მაქვს: რატომ ეშინია სვანს წყლის? ამას მივაქციე პირველად ყურადღება, იმიტომ, რომ ის წარღვნის ბატალიების პირმშოა. თავი მწვერვალებისთვის შეუფარებია და წყლის ხსენებაზე აჟრჟოლებს, როცა დანა, ტყვია, დათვი წარბს იოტისოდენაც ვერ შეახრევინებს.

წყალი სვანისთვის გენეტიკურად წარღვნასთანაა გაიგივებული და მასში კრთომილების სინდრომი ქვეშეცნეულად ხმაურობს ნიადაგ. მან არ იცის რისგან ჭირს ყოველივე, გაუცნობიერებელია მისთვის ეს ფენომენი.

ცივილიზაცია იქიდან ჩამოვიდა. ესენი არიან ჩვენი სახელმწიფოებრიობის პირველი შემოქმედნი ანუ საფუძველი სვანეთიდან გვეყრება. სვანეთში ასეთი რამეა თქმული: მე პატარა მომდგამს სვანური, მათი ნიბაშილი ვარ, დისშილი:

წყალივით წყეულიო.

ყველაფრის ატანა შეუძლია სვანს გარდა ცვრისა, გარდა მდინარისა და ზღვისა.

ან რატომ არის ოთხკუთხა მათი კოშკები? ეს იგივე ნოეს კიდობანია, ოღონდ ვერტიკალში. თვითონ სვანური კოშკი არის კიდობნის სიმბოლიკა. თუ დააკვირდები ყველა თავზე სამ-სამი ქონგურია, რაც მთლიანობაში 12 თვეს ნიშნავს. შიგთავსიც სამი სართულისგან შედგება. მთავარი კი დედაბოძია, რკალბოლოიანი ბორჯღალის გამოსახულებით, იგივე მზის სიმბოლოთი; თავად კოშკი, რაღაც სხეულებრივი მოცულობაა და ნებისმიერ ზვავს დანასავით ჭრის, ისეთი კუთხითაა დაყენებული სტიქიის მისამართით, ნებისმიერ მეწყერს აისხლეტს. ახლა შეხედე „ლილეოს“, „კვირიას“, „ოდოიას“, ამიტომ მეცოტავება 3000 წელი ჩვენი სახელმწიფოსათვის.

— მე იშვიათად მინახავს თქვენნაირი მოსაუბრე. ჯერ ლაპარაკის უბრალოება და მერე ამდენი ფილოსოფიური სიღრმე ერთ ადამიანში თავმოყრილი! ეს საოცრებაა, ჩემი ერის სიმდიდრე და საგანძურია სწორედ, როცა ერთ კაცში ამდენი რამე გროვდება. მე ბევრი სიახლე შევიძინე დღეს: როგორ გაიზრდება ჩემი ერი, ჩვენი ახალგაზრდობა შენს გვერდით ეს მიხარია. ხელოვნება შერწყმულია ფილოსოფიასთან. ბევრი რამ შეიძლება კაცმა, აითვისო ადამიანთან საუბარში და ბევრი რამ აღმოაჩინო, მაგრამ ერთ პიროვნებაში თავმყორილი იყოს ყველა თემა, იშვიათია და მოსაფრთხილებელი, თავში რომ გიწერია, ცეცხლზე შედგმულ რძესავით. დღევანდელი დღე საოცარია ჩემთვის, განსაკუთრებული. ცხოვრების ახალი ეტაპია გური ოტობაიას გაცნობა, შვილებს ვფიცავარ, სამივეს სიცოცხლეს.

— მარცხვენ? ჩვენ ახლა მივდივართ უფრო რთულისკენ: ფილოსოფიის საკითხეზე გადავალთ ცოტა ხანში, მაგრამ ჩვენ მაინც მთავარს ბუნდოვნად ვუპასუხეთ. ჩვენ ადრე ანთეოსს შევადარეთ საქართველო... მკითხველი რომ არ დავაბნიოთ, მიწასთან მყოფი კაცის ცხოვრების ფორმულა მინდა ჩამოვაყალიბოთ.

— მიწასთან მყოფი კაცის მოწყვეტა მშობლიური ძირებიდან ხერაკლესა და ანთეოსის ჭიდილშია ასახული. მიწიდან ატაცებული ანთეოსის კრახი ჩვენი საყოველთაო გაფრთხილებაა. შეუძლებელია მიწათმოქმედების ქვეყანა, საქართველო, მიწას მოაშორო.

— რატომ მიიღო ჩვენმა მთავრობამ ე.წ. მიწის კანონი, რომლის მიხედვით ტერიტორია ან უფრო სწორად შენობა, სადაც ის დგას, მიწიანად ეკუთვნის პატრონს? რა ხდება? რას ნიშნავს? გაყიდვას?! ქართული მიწის გასხვისებას?! პროფესონალი ბრძანდებით და უფრო დეტალურად მაინტერესებს რა იგულისხმება აქ?

— არა, არა. მიწების გაყიდვა ეხლა...

— სხვას არ ვამბობ, შენობა, სადაც დგას...

— შენობა მისი მეპატრონის საკუთრებაა.

— შენობა კი, მაგრამ რომ მოაძრობენ, დაშლიან, მიწა მაგას არ ეკუთვნის, ვინც პატრონია?!

— ამას ბევრი ოპონენტი ხყავს.

— ამიხსენით პროფესიონალურად.

— პროფესიონალის დონეზე ეს ასე იკითხება, ბატონო, გური: შენ რადგან ამ მიწას, ამ შენობას ხმარობ, მიწა სახელმწიფოსია და სახელმწიფო თავისთავად იჯარით თუ მიყიდვით იქნება, გიკანონებს მას, შენს განკარგულებაში გადმოგცემს, გაძლევს მუდმივ მფლობელობაში; რადგან შენ ის იყიდე, განმკარგულებელიც შენა ხარ, მაგრამ რამდენად სწორად არის ეს კანონის თვალსაზრისით გადაწყვეტილი, ვერ გეტყვი. მართალი გითხრა მე მიწის საკითხებში ნაკლებად ვერკვევი, მაგრამ ხვალ-ზეგ მეტი სიზუსტით მოგახსნებ. ისე, ჩემი სუბიექტური შეხედულებით, მიწა, წყალი, ხაერი, ტყე, სახელმწიფოსი უნდა იყოს, როგორც ეს რეალურადაა.

— ამ ფრაზაში ორივე ვეთანხმებით ერთმანეთს: ჩვენ ანთეოსები ვართ. დავუშვათ, რატომ ხდება, რომ, აი, სქართველოდან გასულ რობაქიძეს შვილი არ უჩნდება?! გამორიცხულია სხვანაირად, იმიტომ რომ გენეტიკურად ერთარსია ქართველი. თქვენსა და ჩემს შორის, იმხელა მსგავსი, უხილავი სხივი გადის ახლა მიყოლებით, შეუძლებელია სულიერი ნათესაობა არ გვახასითებდეს. ხოლო სამშობლოს, შურობუმუს, დობადონას მოწყვეტილი ქართველი, იგივე ანთეოსია, უშვილძირო, უმომავლო, დასაღუპავად განწირული.

— ყველა პიროვნებას გააჩნია ბიოველი, ძლიერსაც, სუსტსაც. სამშობლოსაც აქვს თავისი ბიოველი, რაც მისტიკა სულაც არ გახლავთ. ეკოსისტემა უბიძგებს ადამიანებს თვისებრივი ფორმებისკენ. რეალობას ავცდე არ მინდა. ღვთისმშობლის ქვეყანაა საქართველო. თქვენ რა გგონიათ, ხეს, რომ ნიადაგ: გახმი, გახმიო ვეჩიჩინოთ, არ ჩამოჭკნება, არ გაოხრდება?

— ღვთისმშობლის ქვეყანას გვეძახიან და ეს დიდებულია, იგივე სიტყვით მკურანლობა...

— პარაფსიქოლოგია, რომელიც მოქმედებისკენ გიბიძგებს.

— მყარ სივრცეში, რომლის ქვეშ არც გაქვს სურვილი დაეშვა და არც გაძლევს ამის შეცნობის ძალისხმევას, შინაგანი სულია.

— უზარმაზარი, ზნეობრივი თან.

— ამიტომ ვლაპარაკობ მე, მინდა პირდაპირ ამას დავუბრუნდეთ, ბატონო, გური, რომ მიწას მოწყვეტილი ქართველი კაცი მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზაციის ახალ ფაზაში შევდივართ, სრულყოფილი მაინც ვერ იქნება, რადგან იგი მიწასთან კავშირშია ჩამოყალიბებული ისტორიულად და ტრადიციულად. სხვა გარემოში დაიჩაგრება. ენდემურ ჯიშებზე რომ გვქონდა საუბარი, სხვა არაფერია თუ არა ბიოცენოზის მორგება ეკოსისტემასთან. ადამიანიც ბუნების პროდუქტია. წკირიშ წიმობადებულქ წკირს ოკო წიმოღურასია.* ორაგულს მდინარეთა სათავეში ურჩევნია სიკვდილი. ეს არის დიადი ინსტინქტის კანონზომიერება. ქართველი დაკავშირებულია მიწასთან და შეუძლებელია მიწას მოწყვეტილმა იბედნიეროს, იდღეგრძელოს, მით უმეტეს ახლა. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და მისი მოსახლეობა სარჩო-საბადებელს ყოველთვის მიწაში ეძებდა.

— ერთი მტკაველი ფენა აქვს, მეტი კი არა... ხუმუსი რომ ხქვია. მცოდნია?

— გცოდნია, — გულიანად იცინის, — ამაზე მე ცოტა ქვემოთ ვიტყვი. ქართველი კაცი რომ მიწას მოწყვიტონ და საქართველო იმპორტიორი ქვეყანა გახადონ, ათეულ მილიონობით დოლარი იხარჯება. წარმოიდგინეთ, როცა უნდათ მაშინ შეგიწყვეტენ ამ სამსალა წყაროს და დამთავრებულია შენი ისტორია...

— ბატონო, აპოლონ, ძალიან მტკივნეულ ადგილთან მივედით, ანუ ფუძეთა ფუძესთან. ჩვენ ვინ მოგვცა უფლება, გნებავთ — მეფეს, გნებავთ — პრეზიდენტს, საქართველოს ბედ-იღბალი გადაუწყვიტოს? ჩვენს სიტუაციას სცილას და ქარიბდას შორის ყოფნა ხქვია. თქვენ გუბაზის პერიოდი გახსოვთ?

— როგორ არა, კაცო.

— ესაა ბიზანტიურ და სპარსულ სამყაროს შორის მოქცეულ კოლხეთის წუთისოფელი, საწუთრო. გახსოვს აეტისა და ფარტაზის სიტყვები?! მშვენივრად იცი და ხდება ასეთი რამ: მაინც ავირჩევთ ფარტაზის გზას ანუ ბიზანტიურ სამყაროს ნათესაური ფასეულობების გზას.

— აქაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მსგავსი სულიერებისკენ მიდრეკილება ინსტინქტურია.

— როდესაც საუბარია ორ დიდ პიროვნებაზე, ზვიადისა და ედუარდის პიროვნებებზე, ცხადია, ძალიან მიჭირს სხვა დასკვნის გამოტანა: ვისთან უფროა დაცული ქართველი? შენ მე მკლავ! შენ გინდა ჩემი, როგორც ერის გაქრობა: ეს ყველა მოძალადე სახელმწიფოს ფსიქოლოგიაში დევს. ამას ეგოიზმი ხქვია...

— განსაკუთრებით დიდი ერების...

— ხო, დიდი ერების, რომელთაც იმპერიალისტური გაგება აქვთ და შენ გინდა მომსპო, მაგრამ არჩევანის წინაშე როცა დავდგები და შევხედავ რომელი რომელს სჯობია, მაშინ ვინც უფრო ნაკლებად მკლავს, იმას მივემხრობი.

ბატონი აპოლონი ხარხარებს.

— მართალი არა ვარ, კაცო?.. ვინც ნელ-ნელა მისვამს დანას ყელში, იმას გავყვები. სხვა გზა არა მაქვს. გახსოვს შენ კატის და თაგვის ამბავი? თაგვი ეცეკვება, ეკუნტრუშება კატას. იმხელა ფიგურებს აკეთებს, ნებისმიერ ბალეტმეისტერს შეშურდება. კატა ბრჭყალებით ათამაშებს, აციბრუტებს წრუწუნას. ორივე ექსტაზშია. ერთს სიკვდილი სჭირს, მეორეს — მსხვერპლის სასიკვდილო სოლო-კონცერტი ეზეიმება. აი, ამ ბოლო სიტუაციაში ვართ ჩვენ...

— სამწუხაროდ, ასეა...

— მინდა შენ დაუსვა დიაგნოზი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ურთიერთობებს გამომდინარე ილია ჭავჭავაძის თეზისიდან: „მამული, ენა, სარწმუნოება“.

— საოცარი თემაა, ძალიან დიდი. ჩემთვის კვლავაც ამოსავალი წერტილი ეს სამი სიტყვა: ილიასეული გზა ნებისმიერი ქართველისათვის თვითგადარჩენის ინსტინქტით, ცნობიერებითაა დამოძღვრილი. ჩვენ ამას წინათ შევეხეთ თემას, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი საუბრისათვის. საქრთველოს მოლაყბე ბევრი ხყავს. ამის თქმისა არ უნდა შეგვრცხვეს, ბევრი ხყავს უმაქნისი, გამოუსადეგარი, მავნე, მაგრამ თუ სიბრძნეში ჩავიმუხლებთ და ჩვენს შესაძლებლობებს პატარა გონებასაც მივაშველებთ, მაშინ უნდა განვასხვავოთ ერთამანეთისგან: ილიასეული გზით სიარული სჯობია — უფლისეულით, თუ — ეშმაკეულ-მაცდურით.

— ამას წინათ საქართველოს პრესაში ასეთი რაღაცა გაჟღერდა. მე იმ პიროვნებას არ შევეხები, პირწავარდნილი გვამია, თანაც თამაზ წივწივაძემ დამასწრო, თავის გაზეთში დალაშქრა სრულიად სამართლიანად და აწი ხელის გასვრად არ ღირს.

როცა შენს ავგაროზ-ფასეულობებს ჩამოხსნი კედლიდან: ილიას, აკაკის, ვაჟას პორტრეტებს და რაღაც საეჭვო კრიტერიუმებით წარმოაჩენ სამშობლოს სულიერებას, ამისთანა კალატოზი შეიძლება ეროვნულ წიგნთსაცავს მესვეურობდეს?

— მესმის. ბატონი თამაზ წივწივაძე ღირსეულ პიროვნებად მიმაჩნია და მე ვმეგობრობ კიდევაც მასთან.

— მთელ სამეგრელოს ბოდიში მოუხადა ლებანიძის სანაცვლოდ.

— ხო, კაცურად მოიქცა. ბოდიშის მოხდა კაცს რომ შეუძლია ბევრისმეტყველია. თავისდადრეკის უნარი ღირსეულთა ხვედრია.

— გახსოვთ, ამაღლების ტოლფასი დაჩოქება რომ ვახსენეთ თავში?

— ხო, რა თქმა უნდა, ბახისა და ბეთხოვენის ღვთაებრივი მომენტი. ერს, რომელსაც ილია ხყავს, აკაკი ხყავს, ვაჟა ხყავს, შეუძლებელია, ამათ წარმომადგენლებს რაიმე შეეშალოთ, შენს თავს მათ მემკვიდრედ აღიქვამ, და როცა ეს შენს ცხოვრებაში რეალურად გაცნობიერდება, სწორედ ისე, რომ შენ ამ ქვეყანაზე მოვლენილი ხარ, რათა აგური აგურზე დადო და შენი საკეთებელი მიიტანო იქ, სადაც სიდუხჭირეა, აუცილებლობა, თავისთავად მოხდილი გაქვს ვალი. იმიტომ, რომ შენ ამის კეთება შეგიძლია, ვიღაცას — სხვა რამის.

ეხლა შენ რასაც ეჯაჯგურები, ჩემო, გური, ერთის კი არა 100 ადამიანის გასაკეთებელია, მაგრამ შენშია თავმოყრილი. ეს არის ყინული, რომელიც თანდათან ლღვება. მაგალითად, დღეიდან ჩემთვის სულ სხვა ცხოვრება იწყება. სასწაულებს ვერ მოვახდენ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ჩემს ქვეყანას შენი სახით ჰყავს უდიდესი კაცი, რომლის გვერდით უამრავი თაობა გაიზრდება და ეს იგივე საქართველოს უკვდავებაა.

— ჩემს წინამორბედებთან შედარებით მე მღილი ვარ.

— ო, სკრომნოსტ უკრაშაეტ ჩელოვეკა. ამიტომ უნდა მივყვეთ ჩვენ ილიას, აკაკის, ვაჟას გზას, გზას ნამდვილი ფასეულობებისკენ; გზას ტაძრისკენ, ეროვნული სულიერებისკენ, სრულიად კაცობრიულის გასალამაზებლად.

— გური, ირწმუნე, რომ იატაკის დონისაა, როცა არსებობს ჭერი. ერთ წერილსაც წაგაკითხებთ, სადაც უამრავი სამამულო პრობლემაა წამოწეული:

ტერიტორიები დაკარგული გვაქვს, ბატონო, აპოლონ. ზნეობრიობაზე არცა ვსაუბრობ. სარწმუნოების თვალსაზრისით ტოლერანტობა კარგია, მაგრამ ჩვენზე ორჯერ მეტი მოსახლეობა ჩვენი ტერიტორიის ფარგლებს გარეთაა — ლაზისტანსა და ფერეიდანში. — ერთადერთი ჩვენი ქვეყნის აშენების, წარმართვის საშუალებად დარჩა ენა. უყურეთ ახლა მე რა თეორია მაქვს?! — ვიტყვი, როცა წერილის კითხვას ჩაამთავრებს (III,94.), თანდათან სევდა ეძალება, თვალები დასალიერში ეძირება, — ამაზე მე სხვაგანაც მილაპარაკია. ჩვენი ქვეყანა ამ წუთას სამენოვანია. ერთი გვაქვს სალიტერატურო ქართული, რომელიც არის ბაზისური ენა— მეგრულ-ქართლურ-სვანურ ენათა კრებითობა. მარტივად ვამბობ, გავიდა ამის შემდეგ 1500 წელიწადი.

სხვათა შორის 1500 წელიწადში ენა სამჯერ ფორმირდება: ბერძნებმა დაივიწყეს ძველბერძნული,

რომლითაც ისინი ოდესღაც საუბრობდნენ და ხომეროსი ხელახლა თარგმნეს. სომხებმაც დაივიწყეს ის ენა, რომელ ენაზეც ისინი საუბრობდნენ საუკუნეების მიღმა. ენა ჩქარა ვითარდება. ,,შუშანიკის წამება'' ძალიან ცუდად გვესმის უკვე, იმიტომ, რომ სიტყვა დროთა ვითარებაში ხუნდება, ცვდება ცნობიერებისათვის.

მე ვამბობ: გვინდა კარგი საქართველო? მაშინ მოდით, ჩემო ძმებო, ბატონო, პრეზიდენტო, დანარჩენო ხალხო, შევქმნათ ზოგადეროვნული ქართული ლექსიკონი.

რას ნიშნავს როგორი? არსებობს ჩიქობავასეული. 114.000 სიტყვაა შიგ დაფიქსირებული. ქალიშვილის და გოგოს ბადალი მესამე სიტყვა მითხარით ზოგად ქართულად.

— ქალწული.

— მეტს ვერ მეტყვით, ბატონო, აპოლონ. აი, მე რას ვაკეთებ: ეკლესიებს რომ ვაშენებთ, ქვას ქვა რომ დაედება გულგასახარია, მაგრამ ჩვენ სულის ეკლესია უნდა ვაშენოთ ჯერ. აი, ჩემი ფორმულა როგორია: გოგოს მიმართებაში, ქალიშვილის, ქალწულის სინონიმად ჩავამწკრივებ სვანურ ,,დინას'', მეგრულ ,,ძღაბს'', ,,ცირას'' და კიდევ — ,,კულანს'' ლაზურიდან, საქართველო გადარჩენილია.

მე ლაზიც კი აქეთ წამოვიყვანე, ჩემთან დავაფუძნე, კაცო. ამას უზარმაზარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

აი, ეს სიტყვა არ მათქმევინეს საზოგადოება ,,კოლხეთის'' შეკრებაზე, გაფიცხებულს და ეგზალტირებულს, რის გამოც ჩვენმა სათაყვანებელმა გენო კალანდიამ, სამართლიანად დამტუქსა, მაგრამ ვაჟა დობლაიამ, იგივე ეგრისელმა, წაუჭირა ყელში იმ გვარნაცვალს და ააჩხავლა კატასავით. ვთქვი: როგორც კი სამეგრელო დაიღუპება, დაიღუპება დედასამშობლოც-მეთქი, იმიტომ, რომ ფუძეა ჩვენი საქართველოსი.

ჩაამთავრებს გაზეთის კითხვას აპოლონი. მაჯები მაგიდაზე უსვენია.

— რამხელაა, როგორი სიღრმით გაჭრილი აზრი გაქვთ?!

— თქვენი შეხედულება ჩემთვის უფრო ფასეულია, ვიდრე, დავუშვათ — ფსევდოპროფესიონალისა. შეზღუდულები არიან ისინი კონკრეტული ცოდნით. შენ კი აბსოლუტურად თავისუფალი ხარ, ზუსტ დიაგნოზს მოარტყამ. ამიტომ მსიამოვნებს შენთან მასლაათი, არ მინდა დასრულდეს, შეჩერდეს წამი.

— წარმოიდგინე რამხელა სიდიადე დევს, ბატონო, გური?!. აქეთ მოგყავს შენი სისხლხორცი. როგორ ეწევი სამშობლოსაკენ უცხოეთში გაფანტულ ფასეულობებს?

— ეს არის სამშობლოს გაერთიანების ყველაზე ოპტიმალური გზა. მე სხვა საშუალებას ვერ ვპოულობ ენდემური ჯიშების აღორძინების მხარდამხარ.

— მათემატიკური სიზუსტით გეთანხმები. იმდენად სიღრმისეულია, რომ საუკუნეების ნამუშევარი გეგონება, თანაც რა მარტივად გასაკეთებელი, უბრალოდ განსახორციელებლი.

— აი, გრანდიოზული, სამების ეკლესიის, მშენებლობა, რამდენ თანხას მოითხოვს თქვენის აზრით?

— დაახლოებით 100 მილიონს მაინც.

— ასი მილიონი... მე მაშინ გეტყვი მარტივად, 100 000 ლარზეა საუბარი. ყველა ქართულ ოჯახში ამ ეკლესიამ, კარგად მიყივლა ენამ, ლექსიკონი საყდართან გავაიგივე, რომ შეაღწიოს თითოეულ ქართულ ოჯახში, საქართველოში აშენებულია ერგას სვეტიცხოველზე უდიდესი ეკლესია, იმიტომ, რომ ეს უკვე ნიშნავს ქვეყნის გამთლიანების ახალ პროცესს; რადგანაც თავდაპირველად იყო სიტყვა, სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იგი იყო ღმერთი.

ყველა ადამიანი ოთხი კატეგორისაა. ჩვენ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ ანთროპოლოგიურად: მელანქოლიკი, სანგვინიკი, ქოლერიკი და ფლეგმატიკი. ერთი ფიცხია, მეორე — ძლიერი, მესამე — ქალაჩუნა, მეოთხე — მშიშარა. ამას ვერსაით წაუხვალ. ეს არის ფორმულა. გვინდა თუ არა ასეა. ახლა კაცობრიობას თუ ამ ნიშნით დავყოფთ, აღმოჩნდება, რომ ყოველი 100 კაციდან 25-ია თამამი, 25 — მშიშარა, 25 — ძლიერი, 25 — ფრთხილი. მორჩა ამას ვერსად გავექცევით.

კვდება ნოე, უფრო სწორად კვდება სიმთვრალისაგან, თორემ საამისო არაფერი სჭირს. გალეშილია ებრაელების მეფეა და გადაფხრეწილი წაიწევა კიდეც ქალიშვილებისაკენ, მაგრამ ამ დროს უფროსი ვაჟები იაფეტი და სემი მოქილიკე ქამისგან განსხვავებით მამის სიშიშვლეს ქსოვილით დაფარავენ.

— ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ქართველთა წინაპრების ზნეობრივ სიმაღლეებზე და აქედან მოდის სწორედ ის თვისებები, რომელზედაც ჩვენ წელან ვისაუბრეთ. როცა ქრისტიანული ზნეობა გაგაჩნია ადამიანს ეს თავისთავად სამაგალითოა და მომავალი თაობებიც გენეტიკურად ამ გზით ივლიან.

— მე ეს შემთხვევით არ მიხსენებია, იმიტომ, რომ არსებობს მონოგმია, პოლიგმია, სამასცოლიანობა. კიდევ რამ, რამ გადაარჩინა საქართველო?!

— ერთცოლიანობამ გადაარჩინა საქართველო. ერთცოლიანობა ოდითგანვე ზნეობრივ სიწმინდეს ნიშნავდა ქართველი კაცისას. როგორი ცივილიზაციაც უნდა შემოვიდეს ქვეყანაში, ამ ზნეობრივი სიმაღლის ოდნავადაც ძირს დაშვება დაგვანგრევს, გაგვაცამტვერებს. როდესაც ქვეყანა თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე იმყოფება, ფაქტობრივად ყველა ფასეულობა გროშივით გაცვეთილია, მაგრამ ზნეობას ქართველ კაცს 10-დან 9 შემთხვევაში ვერავინ შეუმღვრევს. ერთიც კი გამონაკლისია, უნიკუმი, გადახრა, რომლის დაშვება თეორიულადაც მიუღებელია. ამიტომ თითოეული ჩვენთაგანის იმ სიმაღლეს, რა სიმაღლეზეც ვიმყოფებით დღეს და მე როგორც რესპოდენტი თქვენი, თანამოსაუბრე, მოპასუხე მარტივად, მივიჩნევ რომ, ალბათ, საქართველოს გადარჩენის უძირითადესი ფორმულა ზნეობრიობაა, მონოგამია, რომელიც იწვევს ფასეულობათა კონცენტრაციას: შვილის, ცოლისდის მოწიწებით სიყვარულს, მეზობლის დაფასებას, მტრის ღირსეულად დახვედრას; ყველაფერ ამას ზნეობრიობა წარმართავს.

ქრისტიანობა შეამზადებს ქართველს საამისოდ, ერთი ენით, ერთი ფსიქიკით კრავდა მის სულიერებას, პლუს ამას ყოველივე ამაღლებული, დიახაც ეთიკური ნორმების ჩამოყალიბებას ემსახურება მასში.

ჩრდილოეთის იმპერიალისტურმა ხრიკებმა შესძლო თავად-აზნაურ- ობის ნაწილის გახრწნა, გადაგვარება; აცვლევინებდა მათ გვარს ჩინ-მედლების საფასურად: ბარათაშვილს ბარათოვად გარდაქმნიდა, მის სამეტყველო ქართულს — ჩიქორთულად, გნებავთ გატყლარჭულ სალონურად, მაგრამ მოვიდა ილია და ენაც თავდაპირველ კალაპოტს დაუბრუნა, ხალხურ მეტყველებას; მიბრძანდა სამეგრელოში და შორსგამიზნულად, ზოგთაგან განსხვავებით, დღესაც რომ ვერ გაუთავისებიათ, სრულიად საქართველო მოიხილა, რელიგიაც შემოწნა ქრისტეს გარშემო, როგორც ჭიგოს შემოხვეული ვენახია, ან კიდევ დედაბოძს დაყრდნობილი სვანური მაჩუბის კოჭმზიდები. ეს იყო კოლოსალური ენერგიის რეფორმა ყველა მიმართულებით. შენეული ზოგადეროვნული განმარტებითი ლექსიკონიც ამას მოემასხურება ასწლეულის შემდეგ, გური, ბატონო, და ჩვენეული ენდემური ჯიშების განახლებისათვის რუდუნიც.

— ბატონო, აპოლონ, მორგანი აუცილებლად გექნებათ წაკითხული.

— კი, სტუდენტობის დროს.

— აი, მორგანის წამკითხველ კაცს, რომელზეც ააგო მარქსმა მთელი ფილოსოფია, უფრო ზუსტად ენგელსმა ჩამოაყალიბა ოჯახის ფორმულა, არაფერია თქმული ქართულ ფენომენზე. ქალის და კაცის ურთიერთობა ეს იოლი თემა არ არის. გნებავთ ცეკვა ,,ქართულს'' შეხედეთ, ქორეოგრაფიას, როგორი მოწიწებაა, მკლავი მკლავს არ ეხება, სხვაგან კი ხახუნისგან იცვითება თეძო, მუხლები და გულ-მკერდი. ამ ურთიერთობის რამდენიმე ფორმა არსებობს. არის ქრისტიანული მოდელი, რომ ერთმა კაცმა ერთ ქალთან იცხოვროს. არსებობს მუსულმანური ცხოვრების წესი: ერთ კაცს შეუძლია მრავალთან შეწყვილება; ეს ყველაფერი შეძლებაზე, ქონებაზეა, იგივე პოლიგამია.

— მე, ეხლა ერთი ნაწარმოების პატარა ამონაგლეჯს გავუკეთებ ციტირებას და საოცრად ლამაზად ჩაჯდება ჩვენს საუბარში. ავტორს თავად მიხვდები ვინც იქნება:

ნუ დაეწაფები ერთდროულად რამდენიმე ჯამიდან ღვინოს, და ნუ გადააქცევ სიყვარულის ტაძარს პირუტყვის სადგომადო, გაგახსენდათ, ალბათ?!

—შედარება კარგია, მაგრამ, აი, ვისია, რომლის, ნურას უკაცრავად.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ აი, ეს მონოგამია ქართველი კაცის გენეტიკურ კოდში, რომელიც სწორედ იაფეტიდან მოდის და რომელზედაც ჩვენ ვისაუბრეთ, არის დიახაც ის წმინდა წყარო, საიდანაც ქართველი კაცი იკვებებოდა დასაბამიდან: მიუხედავად ყველაფრისა, რომ ჩვენ დღეს უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ქართველი კაცისთვის მაინც უპირველესი ზნეობრივი თვისებებია და შეიძლება მიკერძოებული ვიყო ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით კოლხურ გენეტიკურ კოდში დევს ეს მოჭარბებით.

— ბატონო, აპოლონ, მინდა უფრო მივუახლოვეთ დაძრულ თემას. მონოგამია შემთხვევითია ჯიშთა თვალსაზრისით. მართლაც პირუტყვების დონეზე ხომ ვერ დავეშვებით? პირდაპირ ღიად ვთქვათ, მაპატიოს მთელმა კაცობრიობამ, მაპატიოს, ბატონო, აპოლონ, მე ახლა ასე დავსვამ საკითხს: ინბრიდინგი და აუტბრიდინგი თქვენ კარგად იცით რასაც ნიშნავს. რატომ გადარჩა საქართველო? ამას ვუსვამ ხაზს, ეს არის ჩემი საუბრის მიზანი. ჩემი შეხედულებით შორი ქორწინებით რომ ქმნიდა ქართველი კაცი ოჯახს, უფრო სწორად, სისხლით ნათესავებს შორის ქორწინებები რომ იკრძალებოდა. რამდენიმე გვარი დღესაც შეერევა ერთმანეთს ჩვენში, მაგრამ

ახლა მე მათ არ დავასახელებ, მთავარია მოსახლეობის 99 პროცენტი შორ შეწყვილებას ამჯობინებდა. ამან გადაგვარჩინა. ქართველი ხიბრიდული ჯიშისაა, რჩეული, ბრძოლისუნარიანი.

— სწორმა ხიბრიდიზაციამ ითამაშა უდიდესი როლი. აი, მონოგამია, როგორც თქვენ ბრძანეთ, ბატონო, გური, ეს არის სწორედ ის ფორმულა, მე თქვენს ტერმინს დავესესხები. საქართველო, ქართველი კაცი გადაარჩინა მართებულმა, მიზანშეწონილმა საქორწინო ინსტიტუტმა.

— ხმალს არ გადაურჩენია, კაცო...

— საოცრად კარგად მსჯელობთ. კარგი დარტყმაა. აი, მან გადაარჩინა საქართველო, რაღაც უზენაესმა, ზნეობრივმა სიწმინდემ. ხიბრიდი შეიქმნა, რომელი ხიბრიდიც თავისი ჯიშით და მონაცემებით არის გამოყვანილი, გამოძერწილი. აქ ნათესაური მოშენება არ მოდიოდა და თავისთავად, ცხადია, არ გადაგვარდა ჯიში. შორეულმა შეკავშირებამ სისუფთავე და სიწმინდე შემოგვინახა.

— რატომ გვაქვს, კაცო, დასამალი...

— ეს არის, ქართველი კაცის ბედნიერება: დღემდე, რომ მოვედით და დღეის შემდეგაც არ გადავშენდებით, რადგან ეს ზნეობრივი თვისებები ჩვენს გენეტიკურ კოდს ოდითგანვე მოსდგამს.

— ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენი ფლორის, ფაუნის მდგომარეობაზე. ახლა თემატიკა შევცვალოთ. თუ გსმენიათ რამე ნუნისის შესახებ? ბიბლიის მიხედვით თითქოს წარღვნა რომ მოხდა დედამიწაზე, გადარჩენილი ცივილიზაციის ნაშთი მწვერვალებს შეეკედლა.

ჩვენი კაცობრიობა მწვერვალებიდან ჩამოსულთა შთამომავალიაო. თქვენ გიფიქრიათ თუ რას ნიშნავს სვანური კოშკი? იცით რა ხდება? სვანურ კოშკს ზემოდან რომ შეავლებ თვალს, თითოეულ კედელთან სამ-სამ ქონგურს დალანდავ. რომ შეაჯამო 12 გროვდება. ამაზე ზემოთ რამდენადმე გვიმსჯელია. სვანური კოშკი ფაქტობრივად დედამიწის სიმბოლიკაა.

— როგორც წელიწადი, არა?

— ხო, სამ-სამი მთლიანობაში 12-ია, იგივე ფალოსი, ანუ მამრის სიძლიერის სიმბოლო. ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის თქმის. ეს არის სამყაროს მოდელი. ჩვენს ენათმეცნიერებას, ისტორიოგრაფიას ამ კუთხით ჯერ არ უმუშავია. თქვენს დეპარტამენტს, არ გეწყინოთ და ამდენი რამე არც მოეთხოვება. პრობლემები, ცხადია, გაქვთ, მაგრამ ნუთუ როგორც მამულიშვილს, მამაკაცს არ გიტოკავთ ისეთი ძარღვი, რომ ქართულ სულიერებას ცოტა სხვა მიმართულება მისცეთ?!

ფური, ხარი, რასაც ნიშნავს ვიცით. ენა მებმება. შუმერი, ეგვიპტე, მეფეებს, ფარაონებს ხარის სახით გამოხატავდნენ. ხარი ხომ საკრალური ცხოველია. მაკეობისა და ორსულობის პერიოდი თანაბარი აქვთ ფურს და დედაკაცს. ყველა რელიგიაში ხარი ღვთაებრივია. იქნებ რამე სხვა ინფორმაცია გაქვთ ამ მხრივ?!

— ხარი, რომ ძლიერების სიმბოლოა, ამაზე არ ვდაობთ. ქართველ პოეტებს გაღმერთებული ყავთ იგი, როგორც გამწევი ძალა, ქვეყნის მარჩენალი, მაგრამ ჩვენი სიტყვის ქურუმების მსოფლმხედველობა ამას იქით ვერ მიდის. თქვენ ხარს ახალ იმპულსს სძენთ.

— „ხარს ვგავარ ნაიალაღარს“...

— ხო, ეს დიდი ვაჟაა. ნიშნიანიძის ერთ ჩინებულ ლექსში უფრო ნათლად ჩანს ხარი პოეტის გადასახედიდან:

მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო.
შენი უღელიც მეშჩატოს აგრემც,
ქედზე რომ მადგას განაჩენივით,
არ მომიღერო გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.
და თუ გქონია რამე ტკივილი
ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს,
ამილოკია ქვამარილივით
და ხარის ცრემლით დამიტირია.
მრავალჯერ ვმდგარვარ
სამოთხის კართან,
მკერდგახეხილი, გადატყაული,
ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა,

არაფერი მაქვს დანაშაული
და როცა მიწას მივებარები
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი,
შენსკენ დაშრჩება ისევ თვალები
ანგელოზების ამოკოცნილი....

— ბატონო, აპოლონ, ისეთი კარგი ლექსი წაიკითხეთ, სიტყვა არ მყოფნის... (ამ საუბრიდან კვირაც არ გაივლის და წიქარა ხარის მომღერალი შოთა ნიშნიანიძე ცის უსასრულო კაბადონს გაუყვება. არ მიაგებენ მწიგნობარნი და ფარისეველნი ღირსეულ პატივს გალაკტიონის შემდეგ უწინარეს პოეტს. დიდების პანთეონის მიწა ემსუბუქება მის გოლიათ სხეულს კარიბჭესთან. ფავილების მდინარე ვერ წაიღებს მის კუბოს მთაწმინდის მიხვეულ-მოხვეული გზებით.

სამოცდაათიანი წლების თაობის ბუზღუნი, წიწმატობა და ჯავრი ვერ გადასწონის მამათა წუწურაქულ დამოკიდებულებას: ერთი ბარის დაკარება მიწას არ გაიმეტებენ მთაწმინდაზე ღირსეული შვილისათვის, როცა მამადავითის არე-მიდამო კომედიანტ-ბერიკებით გავსებულა. ამ განწყობილებაზე შექმნის კიდეც გური ოტობაია პოეტურ სტრიქონებს ერთი ამოსუნთქვით:

მოგმღერალ წიქარას...

ვერ გიმღერე ხოუ ნანა,
სარეცელთან წიქარას,
თიბათვეში სულის ახლოს
ცელმა გაიცივქარა.
მილეწავდი ქაჯავეთის
ცხრაკლიტულებს ყანწებით,
ერთხელაც ვერ დაგიდაფნე
შუბლი დანახანძრები.
ზოგჯერ მხარზე გაკოცებდი
ერთგულების დასტურად,
ჩემი მაჯა შენს ბორგნეულ
ძილს ვერ მიესასთუმლა.
გელაზივით წელში მღუნავს
შენი ლექსთა კრებული,
ვეღარც გავასაჩუქრე და
მყვედრის გაყვითლებული.
მაინც როგორ გათრთოლებდა
ჩვენეული ქვითინი,
მაინც როგორ გაბრუებდა
ჩვენებური ტიტინი.
ვერ გიმღერე ხოუ ნანა,
ხარო, ბედის მტვირთველო,
სულმრთელო და პირმრთელო
და სიცოცხლენაკირთელო!
ეს სტრიქონი სახარეთის
ჭიდან ამოხაპულა,
შენი ზეცა დამდუღრული
მაშულით მოხატულა.
არ დადგება შენი გზები,
შორეთს გაიკოსმოსებს,
არ დადგება, სანამ ქვეყნად
ავკაცობა ქოსქოსებს.
ხარი ხარ და უფრო მეტი —
ხიდი — ამერ-იმერის,
ხარი ხარ და — ნიშანსვეტი

უსასრულო სიმღერის;
ხარი ხარ და ქაჯავეთის
ცხრაკლიტულებს მილეწავ,
ხომ მოლიე ჯოჯოხეთი,
ახლა მოიხილე ცა.
ხომ აქამდე ხანგით კრავდი
შურობუმუ დამსხვრეულს,
აწ ბალავრად ჩაეშენე
იმის დრო და უამსხეულს.
ვერ გიმღერე ხოუ ნანა,
სარეცელთან წიქარას,
თიბათვეში სულის ახლოს
ცელმა გაიცივქარა.

მეთქი, მაგრამ, ჯერ კვირაზე მეტი რჩება ამ განშორებამდე, ჯერ სამშობლოს უკვდავების ფორმულაზე ვმსჯელობთ ორნი: (დაუნჯებული მეცნიერი, ბატონი, აპოლონ წულაია და მომავლის ნისლიანი კონტურების დამტყვევებელი, მონა-მორჩილი თქვენი).

— ამ ლექსმა ჩემში ერთი ასოციაცია წამოატივტივა, — ვაგრძელებ საუბარს, — ხარი წიქარა, ხომ ვიცით ვინც არის: რქებით ანგრევს ჯოჯოხეთის კედლებს, მაგრამ მეორე წიქარაც გვყავს ჩვენ ზღაპრულ სივრცეში. ნაცარქექიას ვეძახი მე იმ წიქარას.

ისევ მივუახლოვდით საქართველოს სახელმწიფოს შექმნის პოლიტიკას: ჩვენთვის წიქარა ვერ იქნება, ბატონო, აპოლონ, ვინაც ,,ზვიადიზმს'' ებრძვის, ეროვნულ ძირებს. ნაცარქექიაზე ვილაპარაკოთ, ჭყინტ ყველს შრატს რომ გაადენს წკურწკურით... ვითომ ქვაა, დევს კი შემოეფშვნება ხელში.

— მეც შეგახსენებთ ნაცარქექიას პატარა ლეგენდას, რომელიც კერიაში იქექება, რაღაცას ჩხაპნის, ხაზავს და შლის. ეს გამოძახილია მწიგნობარი კაცის პორტრეტისა.

— მე ამაზე საკმარისად მიწერია. სასწაულ რაღაცას მეუბნებით, მე ვვარაუდობ რომ ნაცარქექია ის კაცია, რომელიც შუმერი იყო და რომელმაც დამწერლობა... — წინადადების ჩამთავრებას არ დამაცლის.

— შექმნა და იმის გამო, რომ ეს დამწერლობა შემორჩეს თავის ისტორიას, ნაცარქექია ჩხიბავს კერიაზე, ტუტაზე.

— დახეთ, ,,ოქროს საწმისთან'' მივედით ხელად.

— აი, აქაა ამოცანა გადაბმული. ხოლო რაც შეეხება მის ნაცარქექიაობას, თვით სიტყვას, ეს შემონახული თემაა უბრალოდ და თითქმის დავიწყებულიც, თორემ ყველა შემთხვევაში იგი მომდევნო თაობებს ამცნობს, რომ, აი, საქართველოში არსებული პირველი დამწერლობის მესაიდუმლე ვარო. ეტყობა თქვენამდე უფრო ადრე მოვიდა ეს ინფორმაცია.

— ბატონო, აპოლონ, პირველი შემთხვევაა, კაცი აბსოლუტურად მემხრობოდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩხირით წერა იგივე გამოუწვავ თიხის ფირფიტაზე ,,გილგამეშის'' გამოყვანის ტოლფასია; ნაცარქექია ძველი შუმერული ცივილიზაციის ინერციული მეხსიერებაა. ამისი მტკიცება არავის შეუძლია, მაგრამ ვერსიის სახით არსებობის უფლება ნამდვილად გააჩნია.

— ბუნებრივია, ხიპოთეზის დონეზე, თანაც საკმაოდ არგუმენტებულიცაა.

— ბატონო, აპოლონ, რას ნიშნავს ექვსი დღე ბიბლიურად?

— ერთ დღეში სიქა გამაცალე და კიდევ კვირისკენ გაგირბის თვალი? სამყაროს შექმნის თარიღია.

— მე განსაკუთრებით მეექვსე დღეზე ვაკეთებ აქცენტს, როცა ღმერთმი შექმნაის ყველაზე ჭკვიან არსებას—ხომო საპიენსს ფილოსოფიურად, იგივე ადამს. მაგრამ მალე მოიწყენს მარტოკა. ღმერთი მიხვდება, რომ ადამს კენტობა, ცალად ყოფნა არ შეუძლია და ამოაცლის ნეკნს, შეუქმნის ქალბატონს. თუმცა, წინ უფრო დიდი ჯოჯოხეთი გადაგვეღობება — ორი ხე: ერთია ცნობიერებისა, მეორე — სიცოცხლისა. ვერ მიწვდება ადამი ხეს სიცოცხლისას. ცნობადის ხეს კი ხელად კენწეროზე მოევლება გველის და ცოლის მეშვეობით, მაგრამ აი, რომ არ შეეთამამოს ადამი ოქროს საწმისს, კირბს, ხეცხოველს, მარადიული სიცოცხლე არ იგემოს, ათასი ჯოჯოხეთს და ბარიერს შეუქმნის ცაბაოთი და როგორც იტყვიან, გველს გაუჭეჭყავს თავს ქუსლით მისი ქალი, ცოდვით უშობს შვილებს და ა.შ. ეს თქვენ ძალიან კარგად უწყით. ამ თემაზე რატომ წამოვიწყე საუბარი, ბატონო,

აპოლონ, ხვდებით? ეს ხალხი ჩვენი სისხლხორცეული მოდგმაა. ჩვენ შუმერებთან მივდივართ, ან — პირიქით ბიბლიაა ბაბილონის მიერ გადამღერებული მოტივი.

— გველმა, როცა შეაცდინა ადამი და ნაყოფი შეაჭამა, ამით კაცობრიობამ მარადიულ სიცოცხლეს უგანა. მიიღო განსაცდელი, პასუხისმგებლობა თავის ჯიშ-ჯილაგზე და უფლებაც. დარდიმანდი, უზრუნველი ადამიანი შემოქმედად იქცა, მისი დიდი ხატის — ღმერთის მსგავსად.

— ბატონო, აპოლონ, ამ ლამაზ თეორიაში არის ადამიანის მისაბრუნებელი იმ სამყაროში, რომელსაც ჩვენ სამოთხეს ვეძახით; ადამიანის შინისკენ მიბრუნების ბარიერს მხოლოდ და მხოლოდ ქრისტე გადალახავს საკუთარი თავის გაწირვით.

— ეს უკვე უკვდავების თემაა, — ისმის წვიმის წკარუნი.

— აგრილდა, წამოწვიმა, კათარზისის წუთებია.

— იმდენად საინტერესოდ ისმინება, მთელი ღამეც რომ გავათენოთ, წამითაც არ წამთვლემს...

— მერე ვილაპარაკოთ, ბატონო, რა გვეჩქარება?

— მან შთაბერა სული ადამიანს: შენ გაგაჩინე და იცხოვრე ამ ქვეყანაზე სიკეთითო. ეცადე, რომ სამოთხისკენ მისაბურენებელი გზა გქონდესო. ამით თავად მისცა კაცობრიობას მაგალითი, აამაღლა მოკვდავის სული, ხორცი მეორეხარისხოვნად უქცია, სულიერი ფასეულობანი წამოსწია წინა პლანზე. მოკლედ, გზა გაუხსნა ადამიანს სამოთხისაკენ.

— ბატონო, აპოლონ, თქვენ შეგიძლიათ დაუკავშიროთ ერთმანეთს ქერუბიმი, გველეშაპშემოხვეული სიცოცხლის ხე და კოლხური „ოქროს საწმისი"? ხედავთ, რა პარალელებს ვაკეთებ?! მე შემთხვევით არ ვამბობ ამას: თითქმის ერთი და იგივეა, სიბრძნის წიგნი, რომელიც კოლხურ ხეზე იყო ჩამოკიდებული, იგივე საქართველოს უკვდავების ფორმულა. აი, რა წაგვართვეს ბერძნებმა, გრეკებმა, ინდოევროპელებმა, სხვათა...

— თითქმის ერთნაირი აზრი დევს ამ ვერსიაში. იმ ხანს, რომელსაც ჩვენი ქართველი ერის ისტორიის საწყისი წყარო ხქვია, კოლხურია. ამოუწურავი თემაა ეს, ბატონო, გური. თქვენ ისეთ დეტალებში გაქვთ ყოველივე საკუთარი გადასახედიდან გაანალიზებული, რომ თავად ბიბლიის ზოგიერთ პასაჟსაც კი შეშურდება.

— ბატონო, აპოლონ, ძველებურად თავს იმდაბლებთ სრულიად უსაფძვლოდ.

— მოყვარულის დონეზე ვჯახირობ. ერთი ადამიანის კვალობაზე შეიძლება მისახედი იყოს თქვენეული შეფასება, მაგრამ საბოლოო ჯამში, ალბათ, აი, იმ კოლხურ პირველწყაროს, რომელმაც ფაქტობრივად იბერიულ ქვეყანას გადასცა ყველა საგანძური, ჩვენი წინაპრების უდიდეს კულტურტრეგერ- ობაზე მეტყველებს. კი არ გაასაიდუმლოეს, უკლებლივ გადასცეს შთამომავლობას. ამ კუთხით ისტორიკოსების, თავად ფილოსოფოსების ნამუშევრები იმდენად ზერელეა, რომ შეიძლება ყამირიც ვუწოდო. ეს ყველაფერი თქვენისთანა კაცებმა უნდა გადაიტანოთ ქაღალდზე და დარწმუნებულიც ვარ, უეჭველად შეძლებთ ამას ჩვენისთანა მოკვდავთათვის.

— აკი, მაღალი ვარ-მეთქი ბუმბერაზებთან შედარებით!

ქრისტემდე მერვე საუკუნის უკვდავი ძეგლი მახსენდება ისევ, ხომეროსის „ილიადა". მე ამ წიგნს თავის დროზე ლიტერატურულ ფაქტად აღვიქვამდი, მაგრამ მოხდება ისე, რომ შლიმანივით გავიაზრებ და, იცით რას აღმოვაჩენ: ყველაფრის გასაღებად ხომალდების კატალოგი მომევლინება. აქ უზარმაზარი ინფორმაციაა ჩადებული. კიდევ სხვანაირი წაკითხვა სჭირდება მას, უსასრულოდ, უთვალავჯერ. ამ შემთხვევაში მე მეტრის პრეტენზია არ გამაჩნია. უბრალოდ, ვიტყვი, რომ მედეას და აიეტის ეპოქის მზე ჩასვენებულა. მოდის მესამე, დაქვეითებული თაობა. ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთის, იგივე საქართველოს ტერიტორიას ინდოევროპული ტალღა შემოუტევს. აქ უზარმაზარი გადაადგილებებია ბატონო, აპოლონ. შემთხვევით კი არ არის შეთხზული ასეთი მითი: მიჭეჭყილია კავკასიონის ქედზე ამირანი, იგივე ქართველი ერი, საქართველო და ღვიძლს უკორტნის ზევსის არწივი. მოგვიანებით ხერაკლე ამარცხებს ამ არწივს და გაანთავისუფლებს ამირანს. ამაში სადღაც დანახულია საქართველოს დაცემა და აღდგომა, მისი აღზევების პერსპექტივა. ეს რას ნიშნავს, იცი? აგერ, „დიდი აბრეშუმის გზის" გახსნას ჩვენ ვიწრო კუთხით ვუყურებთ. შევარდნაძე ერთის მხრივ არაპერსპექტიული პიროვნებაა, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე მიღებულია ალფად, მაგრამ სამშობლოში უკანასკნელია, ომეგა. ჩემი შეხედულებით არ დაბადებულა უფრო ტრაგიკული პიროვნება, რომელსაც ქვეყნის შიგნით უკლებლივ ულრენდნენ, გარეთ კი ერთსულოვნად უდაფნავდნენ შუბლს. ამ ფენომენის სრულფასოვანი ყისმათი 100 წლის მერმინდელი თემაა.

— საოცარი შეფასებაა..

— ჩემი პატარა ჭკუით, ბატონო, აპოლონ, თორემ ვინმეს აპოლოგეტი სულაც არა ვარ. დიდ პოლიტიკოსს დიდი დივიდენდი რაში აქვს იცით? დიად საქმეში. ახლა დავუშვათ ილია ჭავჭავაძის

თემა. ხომ ჩადო უზარმაზარი ძალისხმევა ქართულში. ამ კაცს საშვილიშვილო მყოობადი ჩაუნაცვლებია საქართველოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად გადარჩენის თეორიაში. ისეთი უცნაური ვართ, ჩვენ, ქართველები, რომ საკუთარი შვილების მიმტევებლებად კი არა მესაფლავეებად გამოვდგებით. მე მაგალითებს შემოგაშველებთ:

გალაკტიონი წინდებს აკერებს;

ილიას პირდაპირ შუბლში ვესვრით;

რობაქიძეს საქართველოდან გავაქცევთ;

აკაკის სიღარიბეში დავაოსებთ;

ჩვენი ვაჟა ცხონებული, ეგერ, 1915 წელს, უნივერსიტეტის კორპუსში მოწყალების დის ხელში დალევს სულს;

კიბის ქვეშ კვდება ფიროსმანი;

ყაზბეგს, ტერენტს, გიჟის ხალათისთვის გავწირავთ.

ხელოვანის ბედი საქართველოში გერის და დედინაცვლის დამოკიდებულებაა სულმუდამ. რობაქიძეზე მინდა წამოვწიო თემა. ეს კაცი უცნაურობას იკისრებს: დაწერს ესეებს ხიტლერზე, მუსოლინზე, სტალინზე, ლენინზე, საერთოდ, ისტორიულ ფიგურებზე. ცუდად ჩამოერთმევა, ვითომ ბოროტების აპოლოგეტია, თუმცაკი პორტრეტებს მოაჩარჩოვებს ისტორიულ პიროვნებებზე, როგორც ამას 2400 წლის წინ მოიმოქმედებს ჰეროდიტე. იმისგან თუ მისაღებია, ამან რა დააშავა?! თქვენ ბრძანდებით ბრწყინვალე პიროვნება, რომელსაც მიგედგომ-მოგედგომებათ პოლიტიკაშიც, ფილოსოფიაშიც. მაინტერესებს, საქართველოში ვის გადაესვლება ცხოვრებიდან სულისკენ? ამას დიდი დაფიქრება სჭირდება. აქ არის რუსთველი, აღმაშენებელი, ბევრი და ბევრი, თქვენი შეხედულებით, ვინ, რომელია ნომერ პირველი ქართველი? მე მგონი აქ არ ჩაიჭრებით.

— ბატონო, გური, მე მინდა შეგახსენოთ დიდი მეფის აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელი, რომელმაც თავად შექმნა გაერთიანებული საქართველოს უმაგალითო სახელმწიფო მოღვაწე. შორიდან ვიწყებ, აღმაშენებლის ეპოქაში იშვა და მის შემდგომ...

— პირველ ქართველზე გეკითხებით, თქვენ გარე-გარე უვლით.

— აღმაშენებლის ეპოქამ შვა ჩვენი დიდი რუსთაველი. მე მიმაჩნია, რომ პირველი ქართველი შოთა რუსთაველია.

— ამ სიტყვების გამგონეს შემიძლია მუხლი მოგიყაროთ. მუხლი ჯანდაბას სამშობლოწართმეული კაცისგან. სამშობლოში ამჟამად მე მთლიან საქართველოს როდი ვგულისხმობ, პატარა ოტობაიას, სადაც ჩემი მდინარე და ჭალაა, შურობუმუ.

მარტო ,,მო-ცა-ვკალ'', რად ღირს? მილიარდი წელიწადიც რომ იარსებოს ადამიანმა, აი, ამ სიტყვის თავისთავში შექმნის ენერგიას ვერ მოძებნის. მე ხომ პოეტიც ვარ და ვიცი, რა არის ,,გასისხლმდინარდა,'' ,,წავეწამე''.მაინც მივედით იმ დიდ თემასთან, ადრე რომ წამოვიწყეთ: წიგნთან, ცხვრის ტყავთან, ოქროს საწმისთან, კირბებთან, ხეცხოველთან.

,,ოქროს საწმისი'' და სიცოცხლის წიგნი ერთი და იგივეა. აი, ჩვენი საწუხარი, სადარდებელი შემთლიანდება. უკვე მეორედ მივმართე სიტყვა ,,შემთლიანდა''-ს. ჩვენ თავიდან ვახსენებთ, რომ ცხვრის ტყავზე დაწერილია კოლხეთის, საქართველოს ისტორიაო; ოქროს გამოდნობის საიდუმლოება, სხვანი და სხვანი, თუ როგორ უნდა მივიღოთ ფოლადი და ასე შემდეგ.

ჩვენ იდენტურ წიგნს შეგვიქმნის რუსთველი. აღმოჩნდება, რომ ქართველი კაცის მეტყველების დიაპაზონი აგებულია შოთას შაირის მეტრზე, რვამარცვლიან ტაეპზე. თურმე ქართელი კაცი, რუსთველის ენით მეტყველებს. მოვა დრო და ამაზე სხვები უფრო კომპეტენტურად იტყვიან, მაგრამ ერთი რაღაცაც მინდა გაგიმხილოთ: ბატონო, აპოლონ, თქვენ ჩინებულად ერკვევით ანთროპოლოგიაში, მედიცინაში; ერკვევით ლიტერატურაში, ღმერთმა გაგაჩინათ ასეთი უნიკალური უნარების პიროვნება. პირველ ქართველზე ხომ ზუსტად მოარტყით. არც დანარჩენი ცხრის დაზუსტება გაგიძნელდებათ, მჯერა, მაგრამ მირჩევნია ახლა ჩვენ უმთავრეს მტერზე მითხრათ, დამისახელოთ. გარეგნულ დუშმანზე გვილაპარაკნია. შიგნითა მტერი არა ხყავს ქართველს?

— გათითოკაცება ვარგა?

— თქვენ გათითოკაცებით მიხვედით ცალსახა პასუხამდე, მაგრამ მე მინდა ქართულ უმთავრეს სენზე მესაუბროთ. რა გვიშვლის ხელს ერთიანი სახელმწიფოს მშენებლობაში, ქართველი კაცობის დამყარებაში, ქართული გენის ამაღლებაში, რა გვჭირს ასეთი? მე მაგალითად პირველ მტრად საბას შეგონებას მივიჩნევ: შურს, რომელიც არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა.

— აი, მე კონსტანტინეს მოვიშველიებ: ოდითგან ასე გვჩვევია ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავ-

კორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ფავები. ე.ი. შური მაინც ქართველ კაცში ოდითგანვე იყო და თუ ძლიერ კაცებს დავინახავთ, ასეთ კაცებს უჩნდება სხვათა შორის შიგნით მტრები...

— რამ შეიძლება ეს განკურნოს?

— შენ თავზე უნდა ამაღლდე სიკეთით, მართალმოსაქმეობით.

— რით, რა მანქანებით მოვახერხებთ ქართველი კაცის გადარჩენას? ჩვენ ხომ თავის დროზე ვისაუბრეთ, რომ ზოგადეროვნული ლექსიკონი გვიხსნისო. ტრუმენის ავადმოსაგონარი ავტოკალმის კვალი გეხსომებათ, როცა ოთხ ქალაქს შესთავაზებენ დასაბომბად და იქიდან ორს გადახაზავს: ხიროსიმას და ნაგასაკის. მისთვის ეს უმარტივესია. ატომი წამოატივტივებს ასეთ ფრაზას: საქართველოს შინაგანი შემუხტება გადაარჩენს, შინაგანი გამთლიანება ტერიტორიულად, ენობრივად, სულიერად, ანუ ილიას ფორმულამდე მისვლა: ,,მამული, ენა, სარწმუნოება''.

შეიძლება ამას რამე დაემატოს? ,,ყურანი'' ძალიან მომეწონა, მონუმენტური, ჭკვიანი წიგნია. ქაჯ მუსულმანებს კი არ ვგულისხმობ. ქრისტე, მარიამი, იოსები ყველანი მოძრაობენ იქ ოდნავი სახელცვლილებით.

— ქრისტეს უდიდეს პატივს მიაგებს ,,ყურანი''...

— მართლმადიდებლობა გვიმალავს ამას, აქაა ჩვენი სისუსტე.

— მაშინ, როცა გიყვარდეს მტერი შენიო, ქადაგებს უფალი.

— მშობლიური რელიგია კი ამას ჩქმალავს...

— ახლოსაც არ მიგაკარებს უცხოს, რათა ზეგავლენამ არ გაგვსრისოს. მოვა აღმაშენებლივით ჩვენზე ოდნავ აზეითებული კაცი, კიდეც წაგვაკითხებს მას და ცდომილებებსაც ჩამოგვაშორებს. ჭეშმარიტება სხვანაირად არ დადგინდება. ჰოდა, კირბისები-მეთქი, ვამატებ მე, ანუ საკაცობრიო კანონების ერთობლიობა.

— ესაა მთავარი. სანამ ჭეშმარიტი სიტყვა არ ითქმება, მანამდე მსოფლიოს სრულყოფილი სურათი ვერ დაიხატება.

— მაინც რამდენი მოდელი გვაქვს სამყაროს აგებულების თვალსაზრისით?

შევხედოთ მსოფლიო სულს. უამრავ ნაწილად იყოფა? ავიღოთ ბუდა, მუხამედი, ქრისტე, ზარატუსტრა, კომუნისტური მსოფლმხედველობა. ეს მატერიალიზმის აღიარებაა. ყველაფერი ორ პარამეტრში ეტევა.

ერთი ამბობს: არსებობს ზოგადი სული, სამყარო, ღვთისგან შექმნილიო;

მეორე — არის მატერია ანუ ამება რომ გაჩნდება, ის უმაღლეს დონეს მიაღწევს ადრე თუ გვიან სპირალური განვითარების გზით — ადამიანს, ხომო საპიენსსო.

ორი თეორიაა, ორივეს ვაძლევთ არსებობის უფლებას, ნუ დავხოცავთ ამის გულისთვის ერთმანეთს, ვინაიდან კონფრონტაცია უარესს წარმოშობს. სივრცის, დროის და მატერიის ერთიანობის კანონს ამჯობინებ? კეთილი.

ღმერთის პრიმატს აწინაურებ? ნება შენი, მაგრამ გილიოტინების, ჯვარცმებისა და მოგიზგიზე კოცონების გამორიცხვით.

მატერიალიზმი ამბობს, რომ მოევლინე ამ ქვეყანას? მორჩა, შენი კრიტერიუმები, განზომილებები, რასაც მოასწრებ, აქვე დამთავრდებაო.

რასაც დასთესავ შენი ცხოვრების მანძილზე, იმას მოიმკიო. ეს არის შენი აბსოლუტური ჭეშმარიტებაო. როცა გარდაიცვლები — ბასტა, შენ უკვე სულ სხვა თვისებაში გადახვალ, სამარადისოდ, ფიზიკურში, ქიმიურშიო.

მარადიული ხარო, გეუბნება, თეოლოგია, მარადისში გახვალო, გიმტკი- ცებს. სამ განზომილებას გაძლევს: უმდაბლეს ჯოჯოხეთის, შუალედურ სალხინობელს და ბოლოს... სამოთხეს უზეშთაესს. ამ ორი, ერთმანეთის გამომრიცხავი თეორიის შეფასება და განსაზღვრა მიჭირს. ადამიანი მაინც იმას ეპოტინება, რომელ წრიდანაც აღიქვამს ამა თუ იმ რეალობას. პირადად მე მირჩევნია ამ წუთას ამოიწუროს ჩემი არსებობა სხვათა სასიკეთოდ. უსასრულობა დიახაც ამას ხქვია, ალბათ. ჩვენ ისეთ თემაზე წამოვიწყეთ საუბარი, რომ წინააღმდეგობას ვერსად გავექცევით: აქეთ — მატერიალიზმია, იქით — სულის პრობლემები. ათასი თეორია ტრიალებს. თვითონ დედამიწა რა ბედენაა ვერ გაგვიცნობიერებია ჯეროვნად.. ამერიკელები წამოიძახებენ, რომ ადამიანი რეზონანსული განზომილებისაა, ე.ი. შესაძლებელია მისი გადაცემა კოსმოსში ინფორმაციის სახითო. ამას მაიას ტომი შემოგვინახავს, არსებობს ხელისგულისოდენა მატრიცა — ცოლკინი, რომელიც დიდი ცივილიზაციის გონების პროდუქტია. გაშიფრავს იმას ხულიო არგუელისი და გენის სტრუქტურას აღმოაჩენს. მაიაში გენეტიკაზე ფიქრი? ბორბალი არ ხქონდათ აცკეტებს, კაცო? 6.000 წლის წინ ქრისტემდე გენი? ადამიანის არსი, გენური შეჭიდულობა, კროსინგოვერი?! რა უნდა სცოდნოდა მაიას ტომს

გენის არსებობაზე. ჩანს, ცოლკინი წარღვნის წინანდელი პერიოდისაა. მე უნიკუმად როდი ვაღიარებ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას. საერთოდ სამყარო ისეთი რაღაცაა, რომ ყველა გალაქტიკაშია ბიოსიტუ- აციის შესაძლებლობა. დედამიწა არ არის გამონაკლისი. დედამიწა მზის ანასხლეტი ერთ-ერთი სხეულია, სადაც შეიძლება სიცოცხლე დაიბადოს, განვითარდეს და მოკვდეს. ყველაფერი დედა-მიწაზე ამ წუთას ჩურჩხელასავით სიცოცხლის ბადაგშია ამოვლებული. კოსმოსი ახლა გაფართოების სტადიაშია, ეს კი ნიშნავს, რომ პლანეტები სინათლის სიჩქარით შორდებიან ერთმანეთს. ეს არის კოლო-სალური მსწრაფველობით განზიდვა ერთმანეთისგან, მაგრამ როდემდის?

გამოვეცლებით იპოდრომულ ბაკქანალიას. ცრის ირიბად. ფოთლების შარიშურია ფეხქვეშ. ნანატრი წინწკლებია გახრიოკებული ქალაქისთვის, დაახლოებით იმგვარი, მძიმე ნაპერა- ციევს წყლიანი ბამბით რომ უსველებენ სიცხისგან დახეთქილ ტუჩებს. მანქანაში ვსხდებით. მივქრივართ უკაცრიელ რუსთაველზე. 9 აპრილის სიახლოვეს შევყოვნდებით.

— დაიღალე? — ვეკითხები ყრუდ.

— შენ? — შემომიბრუნებს.

— ბეჭებში მტეხავს ცოტათი. ბავშვები მახლდნენ — დამბეგვავდნენ ლუფასავით. მერი- დება, თორემ. ერთ წერილსაც წაგაკითხებდი.

— მოიტა, კაცო!

სალონს გაანათებს და ხორკლიან საზურგეს მინებივრებული გაზეთში ჩაეფლობა.

სტუმრად ჯყონდიდელ ქურუმთან

ფორმულა მეხუთე

ზურგს უკან რჩება მარტვილის მონასტრის გუმბათი და ჯვარი, ხუჭუჭა გორაკები, ათასწლოვანი კირბებივით ხე-ტყის დასაცურებელი ბილიკებით დაღარული. გოჯის ციხის ქვა-ლოდე- ბისგან გალარულ გალანვათან ერთხანს ვყოვნდებით. ცრიატებს წვიმა, ნანატრი, ბაგედაშაშრული სერე-ბისთვის ღვთაება ელიასგან მალამოსავით მოვლენილი. ორაგულად ქცეული ჩემი სული მდინარეთა სათავეში დამიტოვებია, ტობავარჩხილის სადარ წყარო-ანკარასთან, სადაც ქვიშავერცხლი კეკლუ-ცობს ჭავლის დაფდაფებზე.

პატარაიას დოკუმენტური ფილმი აიწვართება ჩემს მეხსიერებაში. მართლაც როგორი თავგან-წირვით მოეშურებიან ორაგულები მშობლიური ჩქერალების დასაბამისკენ? რანაირი თავგანწირ-ვით გადმოლახავენ წინაღობებს? მოფართხალებენ თავთხელებში. კბილებით მოაქვთ სული, სხეუ-ლი, იმ ნაბდისგაშლა სიანკარისკენ. გადაევლებიან ჩანჩქერებს. უწყლობით ლაყუჩები უსისხლიანდე-ბათ, მაგრამ დაუოკებელია მათი ჟინი, მათი ლტოლვა, ძალისხმევა. არაფერს ეპუებიან, დალაშქრუ-ლია ყოველი ბარიერი. გნებავთ ცათამჯენი კედელი აესვეტოთ თვალწინ — გადაევლებიან, გადალა-ხავენ, რათა დაფორაჯებული ტანი და ქვირითით გაფიყვინებული მუცელი ნებისმიერ ზღუდეს გადაანაპირონ.

უფრო დიდი საოცრება, უფრორე მეტი საკვირველობა ჩემს არსებას არ შეხებია. ღვთაებრივი ინსტინქტით, ამოუხსნელი სწრაფვით შთამომავლობის გადასარჩენად, ჯიშ-ჯილაგის დაუსრულებე-ლი დენადობისთვის გადაიწიაღებენ თვით უძლეველი სიკვდილის განზომილებებს და შვებისმომ-გვრელი ტოფობის მერმე ნეტარებით აღესრულებიან ახვანცალებული ლიფსიტების ქორალში. დანაყრდება ანცი და უმწიფარი შთამომავლობა გამობრძმედილი წინაპრის გულ-გვამით და უტევს გზას ბობოქარი ოკეანესკენ. ეს მარადიული წრედია ორაგულებისთვის.

წუთისოფლის შუაგულში ტრიალი და შურობუმუს უწყინარ ნავსაყუდელთან აღსრულება მოზარდი თაობის ასაფხიანებლად თუ ასაბასრებლად, წესია კაცთა: აქ ამირანი-პრომეთედან მოყო-ლებული მისაბაძი და სამაგალითო აღარ გამოელევა დედამიწისეულ ცივილიზაციას: ჯორდანო ბრუნოებით, ცოტნე დადიანებით, იოსებ ჟორდანიებით, თვით უზეშთაესი ნაზარეთიანელით.

ერთგულად მისდევს აჩემებულ ტრაექტორიას ხასხასა ადა უზუ მელიავასებურად.

6 აგვისტოს ბინდისპირია. ამ სამიოდე კვირაში განსაცვიფრებელი მეტამორფოზა განუცდია ჩემს სულს, დაწდევებულა უკიდურესობამდე. გამოხშირულა ღვარძლისგან დაპურებული ყანა. აქაც უფლის ხელი ურევია უცილობლად, ამჯერად ბატონი აპოლონის მეშვეობით გადმოღვრილი ჩემში.

თამაკონელი რომ ვარ პაპის მამით, განმიცხადებია. ოცდაოთხი საათი არ ეკმარება ნერჩის მოძიებას, ბიქტორ ბაბუას ანდერძის აღსრულებას: „ართშა ვარა ქიხვამ, ბაბა, თექიანობასია“.* ვიცი, ბიჭები უჩემოდაც დატრიალდებიან და სულ მალე, ვიდრე ორმოცდაშვიდის მოვიყრებოდე, იქ მამა გოჩა თავისი ჟღალი წვერითა და მათრობელა შეგონებით უკიდურესობამდე შემოაძარცვავს ბურუს-ჯანღებს ჩემს ჭარმაგულ ლეთარგიას. თამაკონში შეიკვრება წრედი. თამაკონში მივწვდები წინაპართა საძვალეთის მთაგრეხილს, ჯოხის ორი ბოლო შეიკვრება ბორბლად და მერმე, მამაძაღლო, ფეტელავ, პუშკინისებურად, იწრეწირე უსასრულოდ მყარსა და თხიერს შორის.

უხმაუროდ ვეშვებით დედაქალაქისკენ. ამოწურულია ყველა სათქმელი. დაცლილია ყველა ფიალა. მოსინჯულია ყველა წავარნა და ბილიკი. აწ დიადი მდუმარების ჟამი დავანებულა, რომელიც ოქროზე რჩეულია საბას სწავლებით. „მეიროხანი“ და „შურობუმუ“ ერთი ამოსუნთქვით მოუიერიშებია ჩემს რესპოდენტს. ამას აქეთ სასთუმალთან მოუჩოჩებია ჩუბინიშვილის „სასწაული“, ალაზნისპირელის „მსოფლიო დასაბამისეული აღმოჩენა“, ხამლეტ წულაიას „სად ვეძებოთ წარღვნით ჩაძირული ნოეს კიდობანი“: ეზოთერიაში შეუტოპავს, იქნებ მთლად ყურყუმელაობს?! ისინდივით მიქრის „BMW“ გალარულ ტრასაზე. წუხანდელი თავსხმა მახსენდება.

— ოღონდ იწვიმოს და აქედან ფეხს არ მოვიცლიო, — დაიქადნის ბატონი აპოლონი და მოგეცა ლხენა.

— გავილუმპოთ-მეთქი, — ექსპრესიას შევმატებ თავანისადმი მის შემუქრებას და გვისმენენ კიდეც სადაფისხელა ყურიანი მესეფეები, ელია მეუფეს შემოიშველიბენ, გამოსდებენ ჭოლოკებს ზღვიდან ამოფეთებულ ღრუბლებს და მოუხსნიან პირს ნახუნაოს თავზე, ჭაბურთას კორტოხებზე მირიად ტიკჭორასა და სათხეველს.

აივანზე ღამენათევი ახალგაზრდობის ასკინკილაა.

ქალები გამორბიან საწვიმრებითა და ფერად-ფერადი ქოლგებით, მაგრამ თხემთან დაქანებულ ნაკადს ტერფამდე გაუტანია. ალბათ, ათორმეტი მზიანეთი ეცოტავება მამა გოჩას ანაფორიდან ჭყონდიდური ნესტის გადაშენებას.

ჯონი ფიფიას ხომ უკეთ წაუვა საქმე: წელს ზევით განშიშვლებულა ავტომატის ჯერით დაცხრილული სხეულის წარმოსაჩენად და ამგვარი მოხერხებით აისხლეტს სტიქიის მოთქლაშუნებას.

ბოლოს მოგვტაცებენ მინიწარღვნისგან ატივტივებულ სუფრას, გავა-თეძოებიდან გამოგვაცლიან მერხებს თუ სკამებს და თითის წვერებზე ამხედრებული ქალბატონები ფართო აივანზე გაანახლებენ საარაკო ტრაპეზს.

ყველაფერს კი უსწრებს მარტვილის ეროვნულ მუზეუმში განცდილი წუთები. ოთხმოცი წლის ბერმუხა გივი ელიავა ჭარმაგული აღტკინებით გვწინამძღვრობს ექსპონატების ხომლეულისკენ.

თხელია და სალეს ქვასავით დალეული.

ჭკვიანი თვალები წყალთაგან ნაცად ქვიშასავით დაშთენილა ხორცის ფსკერზე და სულის კარიბჭესთან.

გაუბზარავი ხმით წარმოგვიჩენს საჭყონდიდოს არეალში მოძიებულ ნიმუშებს:

დინოზავრების პრეისტორიული ნაფეხური დაუტყვევია გაქვავებულ ლავას თუ მაგმას.

ნიამორის, იგივე გარეთხას წარმოუდგენლად უშველებელ ფიტულს საარაკო რქები ჩამოზიდვია. იქნებ მსგავსი ეგზემპლარის აღორძინება მოუხდეს მუზეუმის დირექტორზე უხუცეს სელექციონერს, ბატონ ვალერიან არონიას ჯვარცმული აფხაზეთიდან?

წარმოჩენილია ანტიკური ხანა. მასალები, ფასდაუდებელი მასალები ათასწლოვანი სამაროვანებიდან და მაინც მარტვილის ეროვნული მუზეუმის ინდივიდუალობა, შეუდარებელი თავისთავადობა და ქართული სულიერების ტრამპლინი ოცდამეერთე საუკუნეში, ესოდენ სასურველი კირბებია — მრავალგზის დაფიქსირებული ისტორიოგრაფთაგან, კაცობრიობის ლუღლუღის ჟამინდელი ჭადა ქვები, დაუდგრომელი ადამიანის რუდუნებით ნატვიფრი, ნაკაწრი ბიოგრაფია. მრავლისმეტყველი ნაოჭები, ღარები და ხაზები, ვინ იცის, რა შინაარს, რა საიდუმლოებას ლუღლუღებენ შთამომავლობისათვის?!

ათი მონოგრაფია ცნობილი მიზეზების წყალობით ვერაფრით დაძრულა მენცარკოჩის საწერი მაგიდიდან. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს გასრულებული სადოქტორო დისერტაციის აპრობაციისთვის ვერანაირად მოუცლია. ჩანთქმულია კირბებში, ჩაკარგული, დილა-სისხამისას რომ სჩვევია ტაბაკონის მთას შეჯანღიანება, იმგვარად.

დინჯი და იშვიათი მთხრობელია კინო-კამერის წინაშე. ექსპონატებს დაძარღული ხელით ალაგებს მაგიდაზე. ჩესუჩის ნაჭრის კოლხური ქუდი უნახევრებს მაღალ შუბლს. ოდნავწამოზრდილი წვერის მოსაპარსად სადალაქოში წასვლას არ ინებებს — მზე მიიჩქარის დასალიერისკენ, ადამი-

ანის ცხოვრებაც ხომ მოსწრებაა ჟამსაწამისო ელეხსა და მელეხს შორის?!

ვენურ სკამზე მოკალათებულს თავზე ვადგავართ მე და ჩემი რესპოდენტი. ერთი კვადრატული მეტრის სივრცეში ათასწლეულების ბობოქრობაა, აურაცხელი თაობის მღელვარება და ზემსწრაფველობა სათავიდან სათავისაკენ. მხცოვანი მეცნიერის საათნახევრიან საუბარს რამდენადმე თუ შეკუმშავ ბელეტრისტული კანონზომიერებით და პუბლიკაციის ფორმა-შინაარსს მიანიჭებ, დაახლოებით ამგვარი ტექსტის გამოძერწვა მოხერხდება:

— კოლხები, ეგრისელები იდეოგრამული დამწერლობის ავტორები არიან, — პირწავარდნილი მოგვივით ხყვება ბერმუხა ჭყონდიდელი, — იდეოგრამული და კარტოგრამის კულტურა, დიახაც, აქ, ეგრისში, კოლხეთში, უფრო სწორად წინა აზიის ამ რეგიონში, ქარდების, ქალდების, ხალდების ქვეყანაში წარმოიშვა, ჯერ კიდევ წარმართობის უადრეს ეპოქაში: ვარსკვლავთ- მრიცხველი ქურუმები ხომ ციურ სხეულთა ხატებით თვლიდნან და კითხულობდნენ აზრებს, გამოთქმებს, იქნებ — ბგერებსაც, — ფრთხილია მეცნიერი, — უფრო მეტად — მეტყველების მცირე ნაწილის გამოსახატავად. ეს მოვლენა შეინიშნება სამყაროს ყოვლად განვითარებულ ცენტრში, შორხანად და უფრო გვიანაც. ბატონი ივანე ჯავახიშვილი წერდა: **ქართული დამწერლობა გაცილებით ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში ინთქმება, მცირე აზიასა და გუშინდელ საბერძნეთში უაზრობაა ვეძიოთთ.**

თვით ქართული ანბანის მოხაზულობა ისეთია, რომ ის შეუძლებელია წარმართობის ხანისა არ იყოსო, რაც უხსოვრობის დროინდელის, მითაჟამინდელის ტოლფარდია მეცნიერული ქვეტექსტით, მინიშნებით.

ასეთი გამონათქვამი ბუმბერაზი მეცნიერისა, სტიმულია ჩვენთვის მოკრძალებით განვავითაროთ წამოწეული ხიპოთეზა, მითუფრო, როცა საამისოდ ხელშესახები მასალა უხვად წარმოჩინდება. მცირე აზია, განსაკუთრებით ქალდების, ხალდების ქვეყნების და მერე შედარებით განვითარებული ცივილიზაცია კოლხეთის სახით არის ინიციატორი ასეთი დამწერლობის პირველი საწყისი ნიშნებისა, რაც მოგვიანებით უფრო დასრულებულ-დახვეწილ ფორმებშიც გამოიხატება;

ეს იმაზე მეტყველებს, რომ აბორიგენი ქართული მოსახლეობა აქ იწყებს თავისი ცივილიზაციის ამოსავალს, აქ ვითარდება და სახიერდება. ამ დასკვნის გამბედაობას მრავალი მეცნიერის გამოხმაურება კვებავს, — უმწიკვლო თვალებით ამოგვხედავს ღვაწლმოსილი მეცნიერი, კონკრეტიზაციას გაურბის, მოკრძალებულია, თუმცა ჩვენ ხომ წაკითხული გვაქვს მარტვილის ეროვნული მუზეუმის ალბომების სერიალი, სადაც შავით თეთრზეა მითითეუბლი: ,,ავტორის □გ. ელიავას) დასკვნა, ,,რომ ჩვენს ხალხს, ქართველებს, ქართველ ხალხს გვარონული წყობილება ადგილზე გაუვლია, აქვე უცხოვრია, უვითარებია თავისი ცხოვრება, შეუქმნია სოფლები და ქალაქები, თავისი დიდი კულტურა და ასე მოსულა დღემდე‘‘, ამგვარი მოსაზრება ქართველთა შესახებ დიდი ხანია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია და გაზიარებული. გ. ელიავას მასალები კიდევ უფრო ამაგრებს ამ მოსაზრებას‘‘.

ეს სიტყვები აკადემიკოს შოთა მესხიას ეკუთვნის, ხოლო აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი რამდენადმე გულუხვია თანაკუთხელ მეცნიერზე, არ შეინანებს მისთვის იმედისმომცემ ნაპერწკალს: ,,ავტორს ეტყობა კვლევის ნიჭი და დაკვირვების უნარი. მისი მეცნიერული დასკვნები სწორია, რაც იმის საწინდარია, რომ ავტორი საჭირო მეცნიერული სკოლის გავლით ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი სასარგებლო მკვლევარი გახდება‘‘. აი, ამას გულისხმობს ბატონი გივი ელიავას ფრაზა: ,,ამ დასკვნის გამბედაობას მრავალი მეცნიერის გამოხმაურება კვებავსო.‘‘

დიახ, მოკრძალებულია ცოდნით სავსე, სიბრძნით დატენილი, ზერელე და ქარაფშუტა კი — ხმაურიან უნიჭობას ამოფარებული თავკერძაა.

— ჩვენ ჩვენს ადრეულ წერილებში, შრომებსა და შემდგომ დასკვნებში აქ ქართველი ხალხის აბორიგენობის საკითხს ვუჭერდით მხარს და ვამტკიცებდით ჩვენი მასალებით, რომ ამ აბორიგენ ქართი-ქალდი-ხალდი ხალხს დამწერლობის პირველი ცდები ძალიან ადრე დაუწყია. თუნდაც წარმართ ქურუმებს, მოგვებს ასტრალური სხეულების მოხაზულობის საიდუმლო მეტყველი ნიშანხატებით გამოუსახავთ, ციურ სხეულთა საკმაოდ ცნობილი და აღიარებული ხატები: ჩვენთან მზე და მთავრე, მათი ხატები, ხატობრივი ნიშნები — კრიპტოგრამა იყო პირველი ასო, ბგერა, იგი ჯვარსა და მთვარის დისკოშია გამოხატული სვასტიკისა და ოვალის სახით, რომელთაც ბრუნვის გამოსახატავად ქიმები ხქონდა, რაც გვიან განსხვავდა, მოშორდა და დარჩა ჯვრისა და ოვალის გამოსახულება ხატ-ფიბულების სახით.

მასში ეტყობა თავიდანვე აზრი იყო ჩადებული ბგერის გამოსარჩევი, საიდუმლო წაკითხვისა და გამოსახვის, მეტყველების უდავო პირველი ნიშნები. ამრიგად, ციურ სხეულთა ვარსკვლავური

□მურიცხთა), — ბატონი გივი წამიერად ყოვნდება, თვალები კირბების ექსპონატების ვრცეულობაში დანთქმია. უნებურად „მურიცხს“ ზოგადქართულ „ურიცხვს“ ვუკავშირებ, როგორც უთვალავის, აურაცხელის სიმბოლოს, მაგრამ ამისი გამოთქმის დრო და საშუალება წარმეტაცება, ვინაიდან მსწრაფლ გადააბამს ახალ მოსაზრებას დახანებულ წინადადებას, — გამოსახულებები საიდუმლო მეტყველების უტყუარი მოწმენი გახდნენ. ისინი იქნებ ბგერებს გამოხატავდნენ, შემდეგ კრიპტოგრამული გამოსახულებანი კოდად დაიდეს, ციურ სხეულთა სახელობით გამოსარჩევად, აზრის გამოსახატავად. ეს ქურუმთა საიდუმლო დამწერლობის დასაწყისი გახლდათ.

უდავოა, მათ უფრო გვიან სხვა საშუალებებიც ხქონდათ გამოყენებული, როცა ისინი მრევლის, მორწმუნეთა საერთო დამწერლობად იქცა. საიდუმლო გაიშიფრა, ნიშნები გამარტივდა, გახშირდა და თანდათანობით იდეოგრამული დამწერლობის საფუძვლები შეიქმნა.

ასე, ადამიანის გონებრივ განვითარებას მოხყვა ეს სასწაული, განსაკუთრებით გამოთქმა, ბგერითი გამოთქმა დადგა დღის წესრიგში — ხატ-ხაზულებით.

ამისთვის ქვა ან ხვინჭკა ორივე მხარეზე სწორდება, პრიალდება და ამ გასწორებულ, გაპრიალებულ პირზე იხაზება, იჭრება ეს ხატ-გამოსახულებანი, კრიპტოგრამებით კოდირებული იდეოგრამული ნაწერები. იგი გამოხატავს მეტყველებასაც და გეოგრაფიულ მისანიშნებსაც. იწყება კარტოგრამული მონაცემების ამოხაზვა, იქმნება კირბები, რაზედაც ცნობა მოგვცა აპოლონიოს როდოსელმა თავის „არგონავტიკაში“:

კოლხებს შენახული აქვთ თავიანთი მამებისაგან დანაწერი კირბები, სადაც წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარია მეზღვაურთათვის ნაჩვენებიო. იგი იხაზებოდა ქვაზე, ძვალზე, ტყავზე, ლოკოკინათა ქერეჭებზე, თევზის გაპრიალებულ ძვლებზე და ასე შემდეგ.

ამ დროის პირველყოფილი ადამიანი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა თავისი აზრის წერილობით გამოსახატავად. სანამ იგი იდეოგრამას პირდაპირ არ მიადგა; სანამ არ შეიქმნა კირბები ქვიშა-ქვებზე, კირბები ჭადა ქვებზე, ხვინჭკებზე, ასე — სხვა მაგარ საშუალებებზე, მათგან დამზადებულ ფირფიტებზე.

იგი დამწერლობის ადრეული ფორმა იყო, უფრო განვითარებული და სრულყოფილი, იმ ასტრალურ ხატთა შემდეგ. მასში ჩაერთო კრიპტოგრამები, როგორც კოდები; ეს დამწერლობა ადრეულია, წარმართობის უძველესი პერიოდისა და იგი ასტრალურ ღვთაებათა ბგერითი გამოსახვის შემდეგ ყველაზე ზოგადია და დეტალურადაა გამონახული დამწერლობაამეტყველებული ფორმები, ნიშნები. უფრო გვიან მასში ჩაერთო კრიპტოგრამები, როგორც კოდები, როგორც სახეობრივი გასაღებები. თუნდაც ჩვენს ხელთ არსებული კირბების გასაღები კოდები, — ჭყონდიდელი მეცნიერი სათითაოდ უახლოებს კინო-კამერის ობიექტივს ხელისგულისოდენა საკრალურ ქვებს თავისი მოსაზრების დასადასტურებლად, მაყურებელში მეტი დამაჯერებლობის მოსაპოვებლად. ჩვენთვისაც გამიზნულია ეს არგუმენტაცია. მუზეუმის ათიოდე თანამშრომელი კი მონდომებით ფუსფუსებს სათადარიგო მაგიდასთან, ვენახის კიდეზე, რომელიც ამ ცა და მიწასავით უხსოვრობისდროინდელია, მითაჟამინდელი. სახელითაც გამოხატავს მომშენებლის ვინაობას. „ნოვა“ ხქვია. აქედან ბიბლიურ ნოემდე ხომ ერთი ნაბიჯია? სუფრაზე მიყოლებით ჩნდება ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, დოქებით ღვინო. ოხშივარი ასდის მოხარშულ ხორცს, მაგრამ საამისოდ არც ნერწყვი გვემეტება და აღარც — მზერა, — ეს კრიპტოგრამები, კოდებად გამოყენებული სახეები, ჩვენს ხელთ არსებულ იდეოგრამულ მასალებში მრავლადაა წარმოდგენილი. ეტყობა მაშინ სრულ გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა. შემდეგ მას მოსდევს, ან მასში ჩართულია ვრცელი ხაზულები, იდეოგრამული დამწერლობის ნიშნები. ხშირად სტრიქონებად წარმოდგენილიც კი, თუნდაც ქანდაკება „მესეფი“.

მუშტისხელა ძლივს არის დასახელებული ქანდაკება. დიდი შემოქმედებითი ენერგიაა ჩაქსოვილი მასში. ვერტიკალურად კაცღვთაებაა, ხორიზონტალურად — თევზღვთაება, ხოლო ზურგზე — იდეოგრამაა, და ერთხელაც ეხმაურება ადრინდელ მოსაზრებას წმინდა იოანის თაობაზე, რომელიც შუმერებს ასწავლის მიწათმოქმედებას, დამწერლობას, მშენებლობას, განმანათლებლად მოევლინება მესოპოტამიას.

განა იგივეს არ გვიდასტურებს ნუნისის ვეშაპი, თუ ახალი აღთქმა? ანალიზისთვის, დასკვნებისთვის დროს არ გვიტოვებს ჭყონდიდელი ბერმუხა. უმაგალითო ტემბრით აშენებს და ლარავს სასურველ ციტადელს ქართული ეზოთერიის საყრდენად. დარწმუნებული ვარ, როგორც კი ამ ნიმუშებს იხილავენ ეზოთერიისათვის დამაშვრალი პიროვნებები, ბატონები: ალექსანდრე ჩუბინიძე, გივი ალაზნისპირელი, ხამლეტ წულაია, ზურაბ ქაფიანიძე, ჯერ ერთი, შვების ცრემლი ხომ მოერევათ, და ჩაუვარდებთ ხელთ?! — კოცნა-კოცნით გალევენ, როგორც ქართული სულიერების ნამცეცში არეკლილ უსასრულობას.

— ასეთი ხაზები ხვინჭკებზე და ჭადა ქვებზე ამოტვიფრულია არა ბუნებრივი ღარებით, — რუდუნებით მიუყვება თავის აღმართს მარტვილის ეროვნული მუზეუმის მხცოვანი დირექტორი, — არამედ — ხელით ამოღარვით და მიუთითებს მიმართულებას, მდგომარეობას, გავრცელებას, მასშტაბებს.

ასეთი ერთეული ნიმუშები ჩვენს ფონდში მრავალია და ახალ-ახალი ექსპონატები კვლავაც და კვლავაც ჩნდება იმავე ადგილებიდან: ალანიას გადან, ლეხაინდარაოდან, კოტორიდან, ვედიკარის ნოჯიხუდან, აბედითის დიხაზურგადან, ნახუნაოდან.

ესენი პირველი კირბებია, იდეოგრამები და კარტოგრამები. მათგან გამორჩევა შეიძლება აზრიანი, მეტყველი ხაზებისა. ასეა თუ ისე, კოლხეთში იყო დამწერლობის პირველი ნიშნები, რაზედაც ასე ხაზგასმით ვპოულობთ ცნობებს ანტიკურ წყაროებში, — უძირო თვალებით ამოგვხედავს უხუცესი გივი ელიავა მე და ჩემს რესპოდენტს, — მათ შორის ხეროდოტესთან, ხომეროსთან, არგონავტებთან, თუნდაც — აპოლონიოს როდოსელთან.

ეს პირობითი ნიშნებია, იმ კრიპტოგრამების შემდეგ მათთან ერთად და მათი მეშვეობით კოდირებული. ეს პიქტოგრამები შესანიშნავი მაგალითებია, თუნდაც ასო პიქტოგრამა კიდევ ნახევარი მთვარე. აქ პიქტოგრამა ნახევარი ოვალი გამოხატავს მთავრის ღვთაებას და ასო-ანბანის დასაწყისი სწორედ ამით დაიწყო იმ საიდუმლო ანბანწერაში. შემდეგ მზის გამოსახულება, მისი მბრუნავი სხეული-სვასტიკა არის ასო ნიშანი ეს ნიშანი მარტვილის მონასტრის ჩრდილოეთის შიდა კედელზე, სვეტის ფარზე მოხატულობაშია მოცემული გვიან. ასევე, გვიან, ეტყობა ამ კრიპტოგრამასთან გრაფემას ქიმები მოშორდა და ჯვარის ხატსალოცავად დარჩა. მსგავსი ხატფიბულა ჩვენ ვიპოვეთ კურზუში, აპოლონ ახალაიას ეზოში, ჭილაიების ყოფილ საცხოვრისზე, სამაროვანში ათეულ ცალობით და ასე შემდეგ.

ამრიგად, ესენი ადრეული აზრჩადებული ნიშნებია. მათგან სწრაფსაწერად იდეოგრამების შემუშავება შემდგომი ეტაპია. ეს სახალხო, საზოგადო დამწერლობის დასაწყისია. იგი მოსიარულეთათვის გზის საჩვენებლად და აზრის საამბობადაა გათვალისწინებული.

მზის სიმბოლოდ ჯვრის, უკეთ სვასტიკის წარმოჩენის ბატონი გივი ელიავასეულ კონცეფციას რატომღაც არ ვეთანაწყობი, ვინაიდან, მბრუნავი ჯვარი დედამიწის ხატია. ბორჯღალიც ხომ ამას მიუთითებს, სადაც თითოეული ხაზი, ქიმიანად 35 გრადუსს შეესაბამება და საბოლოოდ ვღებულობთ სრულ წრეს, 360 გრადუსს. ამის თაობაზე ადრეც გვითქვამს და შემდგომშიც დავაწდევებთ აზრს რამდენადმე, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ მეცნიერი შეუპოვრად მიუყვება დამწერლობის შექმნის ციცაბოებს. ვენურ სკამზე ალარული სხეული ნაცადი კავალერისტივით წამითაც არ შეუტოკდება ათასწლეულებზე გადაჯირითებისას. ხელები კი მოგეცა ლხენა, ქარგავენ და ახარატებენ ათას ფორმა-შინაარსს, უთვალავ, აურაცხელ ნასკვსა და მოხრილობას.

ხმაც შესატყვისი ტონალობით ეცვლება. ხელები და ბგერები ჰარმონ- იულად ძერწავენ ბატონი გივი ელიავას სულიერებას; და პოეტის თვალით შეხედო, მისი სხეული ლოდებით ამოხერგილ მდინარის კალაპოტს მოგაგონებს ფიგურალურად, სადაც სული, ტემპერამენტი მათზე გაფიცხებით მოჩქაფუნე თერგია გაათმაგებული.

— დრო გადის, სწრაფი და უფრო აზრიანი წერის საჭიროება დგება, — განაგრძობს მეცნიერი, — იდეოგრამაში ახალი აზრი ჩაიტოტება, ახალი სული ჩაიღვრება, იგი იქცევა ასო-ბგერად, რაც თვალსაჩინოდაა გამოხატული ურნებზე, ქვებზე. ამის სამაგალითოდ შეგვიძლია წარმოვადგინოთ კუფტინის მიერ ქვემო გომში ნაპოვნი ურნები, რასაც ხშირად იმოწმებდა და ანბანის პირველ არსებად, რეალურ სახეობად მიიჩნევდა აკადემიკოსი ამირანაშვილი:

— ასეთი ასო-ნიშნები შემდეგ ყოფით საგნებზეც ვლინდება. გრიგოლ შენგელიას ნაპოვნი ძვლის ლარტყულები კრიპტოგრამებია სურათებად გარდაქმნილი, თუნდაც მასზე ასახული ქალის ფიგურა ან დაჩოქილი მანდილოსნის მუხლისთავები და სხვა.

იგი ნაპოვნია ,,ჯოლორიში ღალუში'' — ძაღლის ღელეში, ჩხოროწყუში, — განმარტება ფართო აუდიტორიისთვისაა უფრო განკუთვნილი, ვიდრე — ჩვენთვის და კიდევ სმენაგაფაციცებული კინო-ოპერატორ- ისათვის, ქანდელი დათო იაკობაძის მისამართით, — იგი ჩხოროწყუს მუზეუმში ინახება, გამოქვეყნებულია ,,ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკურ კატალოგში'' და უფრო მეტი, ჩვენს მასალებშიც ურევია.

ჩვენ ვიპოვეთ სენაკში, ისულას მასალებში, ურნები, რომელთა კედელი ასეთივე ხაზობრივი ნიშნებითაა დამშვენებული. ეს ასო-ნიშნები თავდაპირველი ხაზობრივი ნიშნებია, რომელიც იდეოგრამიდან ამოვიდა, ადამიანმა თავის ყველაზე საჭირო ნივთზე — ურნებზე და ცხოველის ტანზე — ცხენთან დაღის სახით ღერბად ამოტვიფრა და ეს ყველაფერზე აუცილებელი და საჭირო ცხოველის

საკუთრებად მიინიშნა, რაც ბატონ სერგი მაკალათიას დამოწმებული აქვს წიგნში „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, — მსგავს მოსაზრებას ვხვდებით მეცნიერ ბეჟან კილანავასთანაც. მასალები მართლაც წლობით გროვდებოდა და ტბევდებოდა უფრო გაბედული დასკვნებისთვის, მაგრამ მივუგდოთ ყური ჩვენს მხცოვან მეგზურს:

— რასაკვირველია, ეს დაღი, ღერბი შემდეგ არ შეცვლილა და მოგვიანებით რამდენადმე განვითარებული ასომთავრული და მხედრული ასონიშნებიც კი გამოყენებულა. ასე რომ, მისი გამოყენების ხორიზონტი უფრო გვიან ძალაშია და ვრცელდება საქართველოს კიდით კიდემდე.

ქართულმა ანბანმა იმ უძველესი დროიდან განიცადა სახეობრივი სრულყოფა. კირბებიდან ამოვიდა ასომთავრული, მრგვლოვანი ანბანი. შემდეგ იგი ნუსხური დამწერლობით განსხვავდა, ხოლო გვიან, თანდათანობით მხედრული დამწერლობით განსხეულდა. ასეთი განსხეულება ქართული ანბანის უდიდეს მახასიათებელს წარმოადგენს, რაც თვალსაჩინო მოვლენად მიიჩნევა.

აქ, ამასთან ერთად, სხვა რამეცაა ყურადსაღები: იმ უძველეს დროში, ანბანის წარმოქნის პირველ ეტაპზე, ჩვენგან გასულმა პელაზგებმა, კორინთოში თან წაიღეს ეს ნიშნები და გამოიყენეს კიდეც. მისი ერთ-ერთი ეგზემპლარი ქვის ზოდი, რომელზეც არის ორხაზოვანი ასო-ნიშანი — ბწკარი, სრულიად ადეკვატურია B ხაზობრივი ნიშნიან წარწერებისა. იგი ნაპოვნია ისევ ჩხოროწყუში და ინახება რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. იგი ერთეულია, მაგრამ არა იმპორტული: აქ არის დამზადებული, განსახლებამდე, ამ თარ-გუდაზე არსებული კერიდან. ვფიქრობ, რომ ეს ძველსამყოფი, სადაც ამნაირი ქვების ფილების მოპოვება შეიძლება მუხურში, ხაბუმეში, ოსინდალეს ფერდობებზე, ხობწყარის ნაპირებზე, უფრო და უფრო დაადასტურებს პელაზგთა უძველესი განსახლების საპოლემიკო საკითხს.

კორინთული B ნიშნით წარწერიანი ლოდები, ქვები აღწერილი აქვს ჩედევიკს წიგნში: „მიკენური სამყარო“. ესეც უცილობლად მეტყველი ფაქტია და ჩვენს მოსაზრებას ემთხვევა, რომ იბერიული ტომები ხმელთაშუა ზღვის აუზში გასულან, აბორიგენი მოსახლეობის ნაწილს ადგილზე ახალ საცხოვრისზე გააქვს ცივილიზაციის აქაური, საკუთარი მონაპოვარი, იყენებს და ავრცელებს მას. იქნებ ასე გახქონდათ ნიშნიანი დამწერლობა ეტრუსკებსაც და ბასკებსაც, — რაოდენ ნიშანდობლივია ჩემთვის ამწუთას ბატონი გივი ელიავას ფრაზა. მყისვე ამოტივტივდება ჩემში ინდოევროპელებისგან შევიწროვებული ბასკების თუ ირლანდიელების საწუთრო, თანატოლი, ბადალი და მსგავსყისმათიანი ჩვენი ხალხისა, ნიადაგ რომ გვანამცეცებდა მომხდური, გვაჭეჭყავდა და მიგვაგლესდა ხოლმე კავკასიონის მთაგრეხილს ზევსის არწივისგან ღვიძლდაკორტნილ ამირანსავით?! — ამდენად, აქედან გატანილია მეტყველება, დამწერლობა, ყოფითი ელემენტები, ტოპონიმიკა, არქიტექტურა და ბოლოს — ცოდნა თარ-გუდაზე, ხსოვნა თარ-გუდაზე; აქედან გაიტანეს და შეინახეს დიდხანს, იქნებ დღემდე, რასაც ადასტურებს ენობრივი მასალა, ტოპონიმიკა, ეთნიკური ელემენტები. ესეც მომავლის შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს.

რასაკვირველია, მე ვიცნობ საწინააღმდეგო აზრებსაც, ზოგჯერ კარდინალურად განსხვავებულსაც, მაგრამ **ყველაზე უფრო მეტად და კატეგორიულად ლეონტი ძროველის მიერ ქართული ანბანის ფარნავაზის დროს შექმნის ხიპოთეზა მიმაჩნია. იგი საფუძველს მოკლებულია თუნდაც იმ შარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე 284 წელს ქართული ანბანის შექმნა ყოვლად შეუძლებელია; ამ დროისათვის ქართველებს უკვე გააჩნდათ რამდენიმე ათასწლოვანი ანბანი. იგი ეტყობა ადრე იყო ხმარებაში და ელინისტური ლიტერატურის კორიფეები: ხეროდოტე, აპოლონიოს როდოსელი, მას ხელშესახებად იცნობდნენ.**

ასევე ვერაფრით გავიზიარებ ბატონი კორნელი კეკელიძის დაბეჯითებულ მტკიცებებს ქართული ანბანის გვიან წარმოშობის თაობაზე; სომხურ ანბანთან ურთიერთობა და მაშტოცის მიერ ქართველთათვის ანბანის შექმნა ხომ ტენდენციურზე ტენდენციურია, თითებიდან გამოწოვილი განგებცდომილება. ესენი ყველა უკვე კარგად ცნობილი თვალსაჩინო მასალების წინააღმდეგ მეტყველებენ, შავით ნაკერ თეთრს ხგავს, უხეირო მამლის ქურდს, რომელსაც სასაცილოდ ამხელს იღლიიდან გამოჩრილი ნამგალა კუდი. არც ბერძნულს, აღარც ლათინურს და სომხურს ხმა არ ამოეღებათ ქართული ალფაბეტის ორიგინალობის წინაშე. ათასწლეულების წიაღიდან კოლხურმა კირბებმა ენა ამოიდგეს. ჯერ კიდევ ახალფეხადგმული ჩვილის დონეზე ტიტინებენ ისინი, ენას იჩლექენ, ბორძიკებენ, ენაბრგვილობენ ჯერხანობით, მაგრამ გაივლის წლები, წამოჩიტდებიან ჩვენი კირბები. ნიმუშს ნიმუში მიემატება, ექსპონატს — ექსპონატი, დაჭაბუკდებიან, დაჭარმაგდებიან და ადრე თუ გვიან უსათუოდ ამეტყველდებიან იოანე ზოსიმეს საკრალური სიტყვებით: „ყოველი საიდუმლო ამასა ენასა (**ერი, ეთნოსი, ზ. გამსახურდიას მიხედვით, გ.ო.**) შინა დამარხულ არს.“

ძიება, მუდმივი ძიება, ახალი აღმოჩენები, ახალი სიტყვა არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიასა და ენთამეცნიერებაში ამ დამარხულ საიდუმლოს საბოლოოდ დაადგენს. იქნებ იგი წინააზიის ცივილიზაციის — „რატომ სრულიად დედამიწის არა“? მივაგებებ ფიქრებში მხცოვან მეცნიერს, — სულიერი ეპიცენტრის გახსნისა და გაშიფვრის საშუალება გახდეს და ეს იქნება ნამდვილი სასწაული, იგივე სარწმუნისი, ჩუბინიძისეულად, ოქროს საწმისი, ფენიქსივით მკვდრეთით აღმსდგარი მთელი კაცობრიობისათვის! — ამგვარად ასრულებს საუბარს ჩვენი მეგზური და მეკვლე, ესოდენ გახმაურებული კირბების ერთადერთი მეციხოვნე იდუმალი ჭყონდიდის ცისქვეშეთში და კოლხისთვის ნიშანდობლივი თავაზიანობით სახელდახელო სუფრისკენ მიგვიძღვის.

ფორმულა მეექვსე

დაგვეთანხმებით, ამნაირი ამაფორიაქებელი დოპინგების შემდეგ, მიდი და თვინიერად ნუ დაუდგები მარტვილის პირმორღვეულ ზეცას!

ახლა კი დედაქალაქისკენ დავშვებულვართ.

გალარულ ტრასაზე მიქრის „BMW“.

ნამუსიანი ღვინო დაგვინდობს და საგრძნობლად იზარალებს თოფაძის ლუდი.

თავიდან საჯარიმო განწყობილებით დაძრული ავტოინსპექცია მხედრული წესით გვესალმება გზა და გზა.

ზურგს უკან რჩება აბაშა, სამტრედია, ქუთაისი.

სენაკში ჩემი ერთ-ერთი სხარტულას პერსონაჟს, განუმეორებელ ტარიელ დგებუაძეს გავუვლით, მაგრამ საოპერაციოდ წასულა. ჯანმრთელობას, დღეგრძელობას ვუსურვებ გულში.

კოლხეთის იძულებით დატოვების ხრამი ნელ-ნელა ივსება, თანდათან იკრავს პირს იგნორირების, უგულებელყოფის, აუტანელი გულცივობის ოთხწლიანი ნაპრალი და ყოველივე ამას უწინარესად ჩემს რესპოდენტს უნდა ვუმადლოდე.

იპოდრომის ნავსაყუდელთან მომძლავრებული ქარი უმისამართოდ რომ გაფანტა ფურცლებს-მეთქი, მიხსენებია ზემორე, რაც მეტ დაკონკრეტებას მოითხოვს: „მეიროხანიდან“ და „შურობუმუდან“ ქვაზე ქვის დამდუღებელ, უგვანოთა მამხილებელ 7-6 ფორმამდე წერილს შეველევი. დასახელებულ კორესპონდენციებს როცა გაეცნობა ჩემი რესპოდენტი, დაუფარავად მეტყვის:

— შენ ჩინებული თეორეტიკოსი ხარ, ზოგადის, მთელის კონტურების მკვლევარი და საყველპურო კონკრეტიზაციით დისონანსი შეგაქვს ნააზრევში. ეს წერილები შეგიძლია ცალკე წიგნად აკინძო, სხვა დანიშნულების სათაურქვეშ მიუჩინო ბინა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — აქ და ამ სიტუაციაშიო.

„ჩინებული თეორიტიკოსის“ ეპითეტი შესამჩნევად შემშმუშნავს, ყარაყუმის ქარებით გადამიქროლებს სახეზე. ველარც მოთნეობას დავიჭერ ინტონაციაში, განდიდების მანია ხომ ადრეული წლებიდანვე გამომიბერტყავს სხეულიდან, და „ვნახოთ-მექით,“ დავყაბულდები სანახევროდ, მაგრამ მომდევნო დღისთვის ლამის ასოცი გვერდი გამომიხშირავს დასახელებული თხზულებებიდან და რაც ყველაფერზე მთავარია, იოტისოდენა სინანულიც არ მიედევნება ამ ქირურგიას.

გალარულ ტრასაზე მიქრის „BMW“. უხმოდ მივუყვებით გზა-სავალს. ჩამოგვრჩება ზესტაფონი და ხა, რიკოთის დაკლაკნილ აღმართებსაც შევუდგებით.

— ნუნისს გამოვცდით, — დავარღვევ ერგასწუთიან დუმილს.

— შენი პოზიცია უფრო მენიშნა, — შემეხმიანება ბატონი აპოლონი, — ეტყობა მისტიკისთვის მეც ნაკლებად ვარ მომწიფებული. ჩუბინიშვილის ღმერთ-კაცის თეორია, ღვთიური მდგომარეობის ადამიანების ალგებრა, ალაზნისპირელის ნოეს სტაციონარული ქვის კიდობანი ბერთაკლდესთან, თვით ჩემ თანამოგვარეს მომაჯადოებელი ლოგიკა დედამიწის ღერძის გადახრის თაობაზე, ნაკლებად გასაზიარებლად მეჩვენება შენეულ კონცეფციასთან შედარებით.

ჩვენ ხომ დაზუსტებით ვიცით, ბიბლია შუმერული წმინდა წერილების გადამღერებაა, კარგად დავიწყებული ძველის ახლის შემოსვა.

ყოფილიყო დედამიწაზე მაღალგანავითარებული ცივილიზაცია, მისი კვალი სადმე აღმოჩნდებოდა, თუნდაც ნამარხის სახით. რა, თიხის ურნებს ვპოულობთ და იშვიათი ლითონების აპარტურა გადნებოდა მიწის წიაღში? ხოლო თუ ჩვენს პლანეტაზე ზესიმძლავრის კატასტროფა მომხდარა, რამაც კუთრი წონის შესაბამისად გადაადნო ეს ხელსაწყოები და დედამიწის ეპიცენტრისკენ გაქანა ფიზიკის კანონის კვალობაზე, ამისთანა შემთხვევაში შეუძლებელია ცოცხლად დარჩენილიყო არათუ ხომო საპიენსი, თვით — პრიმიტიული ფორმებიც. ხოლო რაც შეეხება წარღვნის პერიპე-

ტიებს, ეს წინაღობა სრულიად უსუსურია მაღალგანვითარებული აპარატურის მოსპობის გზაზე. ნიჟარას ვპოულობთ მარმარილოს ქანებში და ლითონი აორთქლდებოდა? ამიტომაც ჭეშმარიტებასთან შენ მგონიხარ ყველაზე ახლოს.

ჩუბინიშვილის 13 რიცხვის საიდუმლოების ამოხსნამ შენ ახალ რეალობამდე აგტყორცნა. ნოეს კიდობნის პარამეტრების ანალიზი მთელი ამ ეზოთერიის გვირგვინი მგონია. თავად რა აზრისანი არიან შენეულ ვერსიაზე? გისაუბრიათ? — მეუბნება და სიჩქარეს მოუნაცვლებს.

— სამჯერ შევხვდით ერთმანეთს მწერალთა კავშირში, პოეტ დავით მჭედლურის კაბინეტში, მე, ბატონი ვლადიმერ ჩუბინიშვილი და შენი ჯიშ-ჯილაგი ხამლეტ წულაია. მანამდე წიგნებით ვიცნობდი ორივეს. გასაოცარი ხალხი აღმოჩნდა. ,,საქართველოს რესპუბლიკაში'' გამოქვეყნებულ სტატიას ,,სენსაცია სრულიად არასენსაციურად'' განსხვავებულად შეხვდა მკითხველი საზოგადოება. ბევრი შეურაცხადის ნაბოდვარის დამადასტურებელ ნიმუშად დააფრიალებდა იმ ნომრებს დედაქალაქსა თუ კოლხეთში.

თავად ვლადიმერ ჩუბინიძე აღფრთოვანებულია მისით.

ბატონი ხამლეტ წულაია მდუმარებას ამჯობინებს. რაც შეეხება ზოგს, ეზოთერიის ყველა ჭიპის გამნასკველს, სათოფეზე არ მიკარებს: ,,მომთხარეო'', მებღვირება.

ამ კატეგორიის ხალხს ლოგიკური აზროვნება, დამამტკიცებელი საბუთების მაგიდაზე დალაგება მოთხრად მიუჩნევია. ბიბლიის საქვეყნოდ ცნობილ პასაჟებს მივყვები, ბატონო, აპოლონ, და იქ შავით თეთრზე გარკვეულად აღსდგება ნოეს კიდობნის შექმნის ყველა ნიუანსი: მასალა — ურთხელი, შეფისვა შიგნით და გარეთ, სარკმელი ზევით, მოძრაობა და ასე შემდეგ. რა, დამემალა კაცობრიობისათვის? თუ ვცდები, სხვა ამბავია, მაგრამ მომიტანონ ბიბლიის ისეთი ტექსტი, სადაც ეს შტრიხები სხვაგვარადაა წარმოდგენილი და თითს მოვკაკვავ! რამხელა იმედებს ვამყარებდი მწერალთა კავშირში შეხვედრაზე?

— რატომ მწერალთა კავშირში და არა თუნდაც მეცნიერებათა აკადემიაში?

— ყველაფერი იოანე ზოსიმეს ,,ქებაი''-სთან იყრის თავს. ვიფიქრე: რადგანაც სიტყვის ფენომენზეა მსჯელობა და მისი ეზოთერია მრავალს გვაღელვებს, იქნებ ქართული სიტყვიერების ტაძარი წარგვიძღვეს წინ გზისგამკვლევ შუქურად-მეთქი.

დაგეგმილი მქონდა ეზოთერიის საკითხებზე კონფერენცია ჩამეტარებინა აბასთუმნის ობსერვატორიაში. ჯერ ერთი, ამით საფუძველს ჩავუყრიდი ქართული ეზოთერიის სკოლას, მერე მეცნიერულ კონსერვატიზმს და დილეტანტურ სითამამეს რაღაცნაირად დავაახლოვებდი ერთმანეთთან. ესეც რომ არა, ნიადაგს შევამზადებდი რომან-ტრიადა ,,სიცოცხლემისჯილების'' მესამე წიგნისათვის, რომელზე მუშაობას ეს ეს არის შევდგომივარ.

— მეუბნებოდი, თითქოს პირველი ორი წიგნის გამოცემამ გარკვეულწილად გამოკვეთა მესამე თხზულების კონტურებიო.

— ასეც არის. არ გამოვედევნები შინაარსობრივ მხარეს. ამჯერად ფორმას დავსჯერდეთ. ტრიადის პირველი წიგნი შვიდი ნაწილისგან შესდგება, მეორე — ცამეტისგან.

— აქედან გამომდინარე ადვილმისახვედრებელია, რომ მესამე ნაწარმოები 91 თავისგან შეიკვრება.

— ცამდე მართალს ბრძანებთ. მესამე წიგნი ფაქტობრივად შეაჯამებს პირველი-ორის ბუნებასასიათს, თეზა და ანტითეზა — გადაიზრდება სინთეზში, ხოლო არქიტექტონიკის თვალსაზრისით ოთხმოცდათერთმეტი დანაწევრების მანძილზე შიგადაშიგ წამოტივტივდება წინა წიგნების შვიდჯერ ცამეტი თემატიკა.

— სინთეზზე საუბარმა გამახსენა, შენ ამ ფენომენს ფილოსოფიიდან იცნობ უფრო თუ ბიოლოგიიდან?

— ძირითადად ხეგელს ვეყრდნობი და გენეტიკასაც ნაწილობრივ.

— გური, იცი, რა არის ელექტრომიკროსკოპში ჩახედვა? ამაზე მეტი საოცრება წარმოუდგენელია. ტელესკოპით ჯერ არ გამიხედავს ღია ცაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ელექტრომიკროსკოპი მაინც ჩემპიონია. მე მივუხვდი შენეული აზროვნების მოდელს. ეს ყველაფერი ,,სიცოცხლემისჯილების'' ყურადღებით წაკითხვიდან შევძელ. ჟინი ანთარის გენიამ შეგვასისხლხორცა. მისი საარაკო ცდები, მართალია, ბიოლოგიაში დღეს ევგენისტიკის სახელითაა ცნობილი და აკრძალულია ფაქტობრივად, მაგრამ უამრავ ქვეყანაში კვლავაც მისდევენ ხელოვნურ ჩასახვას. უფრო მეტიც, გასაოცრად განვითარდა გენური ინჟინერია. მიმდინარეობს გენის დაზიანებული უბნების მკურნალობა. ოცდამეერთე საუკუნე ამ ასპარეზზე საოცრებებს შემოგვთავაზებს, ალბათ. წარმოგიდგენია, უკვე პრიმიტიული უჯრედიდან მიღებულია თაგვი. კლონირება შესაძლებელს ხდის თმის ღეროდან ადამიანი აღვადგინოთ.

მისახვედრებელია საითკენ მივყავართ მეცნიერების მიღწევებს, განსაკუთრებით კომპიუტერს.

დავხატოთ ამგვარი სურათი: მდედრის მომწიფებული კვერცხუჯრედი შეყვანილია ელექტრო-მიკროსკოპში გასანაყოფიერებლად და სათვალთვალოდ. ათასობით, ათეულათასობით სპიროქეტა გარბის ამ სანუკვარი ოაზისისკენ და წარმოიდგინე, მხოლოდ ერთადერთი აღწევს მიზნამდე, მხოლოდ ერთადერთი, თავკომბალასავით წავიწროვებული სპიროქეტა. შუბივით გამსჭვალავს კვერცხუჯრედის დისკოს და სწორედ ამ მომენტიდან იწყება მართლაც ენით აღუწერელი დინამიკა. გენები წყვილდებიან გასაოცარი კანონზომიერებით: ხორციელდება საუკეთესოს ათვისებისა და უვარგისის უკუგდების მრავალჯერადი პროცესი და როდესაც უკვე განაყოფიერებული ინდივიდი მიაღწევს დასინთეზების კულმინაციურ ფაზას, მისი ფორმირებაც უსასრულობის ნიშნით, რვიანით, დამთავრდება.

გეუბნები, ამაზე უკეთესი სანახავი თვით ბერგმანისა და ფელინის ფილმებიც კი არ მეგულება-მეთქი.

ჩემთვის გაურკვეველი სხვა რამეა: საიდან იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა სინთეზის მეთოდის შესახებ? როგორ გგონია, ჩვენი პოლიფონური საგალობლები შემთხვევითობის წყალობაა, ან ფოლკლორული მემკვიდრეობის გენეზისის შედეგი?! ნურას უკაცრავად, ძმობილო, წმინდა სისხლის სინთეზური მიდგომების პირმშოა „ლილეო“, „ოდოია“, „ჩაკრულო“, „კრიმანჭული“, ვინაიდან ოქროს კვეთის საზომითაა აგებული თითოეულის მეტრიკა, რვიანების ღვთაებრივ წონასწორობაზე.

ეს ცოდნა ხაერიდან არ იწყიტება. გენში ორი სპირალი ეხვევა ერთმანეთს, ორი განზომილება, რაც ადამიანის არსს შეესაბამება, როგორც ნაპირი და ტალღა, ცივი და მცხუნვარე, უარყოფითი და დადებითი. ქართული პოლიფონია კი უფრო შორს მიდის. ბანსა და პირველ შორის იქარგება, იქსოვება სიმღერის უნიკალური სხეული. სინთეზის პროცესს მარქსი ჰეგელზე დაყრდნობით არწივისა და კვერცხის მაგალითზე წარმოაჩენს. მას აქედან გამოხყავს ზედმეტი ღირებულების თეორია, მაგრამ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სრულიად მისაღებია, ვინაიდან უარყოფის უარყოფის თეორია ხსნის ამ ამოცანას: საკვლევად აღებული პირველი კვერცხი, რომელიც გაექცევა თავის ნაჭუჭს და არწივში განსხეულდება გარკვეული დროის შემდეგ, ისევ საწყის ფორმას უბრუნდება — კვერცხის აღნაგობას გარეგნულად, სინამდვილეში კი კოლოსალური განსხვავებაა პირველ და მეორე კვერცხს შორის თვისებრივად, ცხადია, პროგრესულისკენ და ეს ფაზა, მონაკვეთი, სპირალის სახით უსასრულოდ გრძელდება, ვიდრე ხომო საპიენსის ნაპირს არ მიადგება.

ამწუთას მებადება ასეთი აზრი: ქართველი, ქართული, საქართველო საერთოდ სინთეზური აზროვნების პროდუქტია. წინააღმდეგ შემთხვევაში აბსურდია იოანე ზოსიმესგან ეზოთერისათვის თავსატეხად მოსროლილი მესიანიზმი: **„რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითათ“**. ჩვენ ადრეულ საუბრებში ქართული სახელმწიფოებრიობის უამრავ დამცავ მექანიზმს მივაგენით. გახსოვს, აქ უწინარეს მომენტად შორი ქორწინებები დავასახელეთ, რომელიც ხიბრიდული გენოფონდის ჩამოყალიბების გარანტიაა, მაგრამ მარტო ეს როდი გახლდათ ქართველი კაცის ფენომენის ჯავშან-ბექთარი დროსა და სივრცეში, როგორც შენ გიყვარს ხოლმე თქმა.

პოლიფონიურ სიმღერაზე მოგახსენეთ იგი მითიური კოლხეთის სულიერი წონასწორობის ანარეკლია.

ინდოევროპული სამყარო უშორესი გადაადგილებებიდან მოყოლე- ბული ინდივიდუალიზმისკენ ისწრაფვის. ამისი ნათელი დადასტურებაა იტალიური მიმართება ვოკალთან. ქორალი უფრო ეკლესიამ შემოინახა, თორემ მეტი გასაქანი მიეცა სოლოს. ჩვენთან კი შეხედე, როგორც იწნება განსხვავებულით ერთმთლიანი, ნაწილებისგან იკვრება ზოგადი და კონკრეტულის სახით უბრუნდება სინამდვილეს.

ენდემურ ჯიშებზე საუბარმა ხედავ, სანამდე მიგვიყვანა?! ქორწინების ინსტიტუტმა, მონოგამიამ გამოანთავისუფლა ქართველისგან გენეტიკური გადახრები, საუბარია აბსოლუტურზე და არა — შემთხვევითზე. ენდემურმა ფლორა-ფაუნამ განსაზღვრა რაციონის სახე, რაც არანაკლები მნიშვნელობისაა ანთროპოლოგიური მიმართულებით.

გახსოვს, ვისაუბრეთ არვეზე, რომელიც ძირითადად ეკალ-ღიჭს ეტანება, იშვიათი კალორიულობით გამორჩეულს და ამანაც ქართველი კაცის იერსახეს განსაკუთრებული ანთროპოლოგიური ნიშნები შესძინა. ესოდენ მრავალფეროვან საკვებს ნაზიარებს, ვერასდროს შეედრება მონოსაკვებით ნასაზრდოები ეთნოსი. მომთაბარე, რომელიც მკვეთრი ზიგზაგების პირმშოა, ძნელად თუ გაუტოლდება ერთსა და იმავე ეკოსისტემაში ჩამოყალიბებულს, როგორც ინდივიდუუმს, ისე — საზოგადოებრივ მასალას. შახ-აბასმა კი აჩეხა ვენახები კახეთში, მაგრამ ქართველს დამცავი უამ-

რავი სხვა მექანიზმი გააჩნდა საკუთარი ინდივიდუალობის შესანარჩუნებლად.

— სიგარეტს მოვწევ, — ვიტყვი ყელში აღტკინების ბურთმობჯენილი.

საფერფლეს გამოწევს. ისევ საჭეს ჩააფრინდება. სპიდომეტრის ისარი წყლის დუღილის ტემპერატურასთან გახევებულა. სტუმარი კინოოპერატორი, ქანდელი დათო იაკობიძე, თვლემს. არც მის ბეჭებს დაკლებია წუხელ ჭყონდიდური თავსხმის თქლაშუნი, მაგრამ ეტყობა ჭაბურთას „ნოვა" მეტი ძალისაა.

— სამყაროულ ხარმონიასთან წილნაყარი ხალხი ვართ ჩვენ, გაწონასწორებული ხალხი. ეს ჩვენს ქმედებებსაც ეტყობა, — მიერეკება ჩემი რესპოდენტი,—წარმართი კოლხი ცხოვრობდა ბუნებასთან შეხმატკბილებით, არ უპირისპირდებოდა, საუკეთესოს იღებდა მისგან და საყოველთაო წესრიგში ქაოსი არ შეხქონდა.

ბავშვს ძუძუთი ზრდიდა დედა, რომლის მიხედვით შენ გინესის წიგნის ბინადარი ხარ უთუოდ. ქალი და კაცი, ან პირიქით, გენის ორი სპირალის მსგავსად, ხარმონიულად თანამშრომლობდა სამშობლოს უკადვებისთვის და რადგანაც ქალი ქართველი მამაკაცისთვის არ იყო საგანი, ნივთი, და რადგანაც ერთი მიმართულებით ეზიდებოდნენ ჭაპანს, ჩვენი სახელმწიფოს ბურჯს — ოჯახს — ჟამთატრიალმა ვეღარაფერი დააკლო.

აი, რა სიბრძნე უნდა წერილიყო ჩემის ღრმა რწმენით ოქროს საწმისზე! ამიტომაც ჩვენი ვალია ყოველივე ფასეულს, რაც დღემდე შემოგვრჩენია და დაგვიკარგავს დროთა ვითარებაში, რესტავრაცია გავუკეთოთ, როგორც ციხის ჩამოშლილ ქონგურს.

— შენს პირს შაქარი, მაგრამ ამხელა საქმეს ინსტიტუტები ვერ აუვა.

— ფარ-ხმალი ხომ არ დაგიყრია? — წამიერი მზერით გამზომავს.

— ამ უარაფრობის პირობებში შიშველი ენთუზიაზმით დავიღალე.

— მოიტა, ხელი. გწამდეს, რომ ამიერიდან მარტო არ ხარ.

გვერდულად გამომიწვდის მარჯვენას. მეც მივაგებებ დასტურის ნიშნად და ვიგრძნობ, როგორ შემიმსუბუქდება მხრები ეული ტვითრისგან.

— პირველ რიგში კვლავ ის ხალხია შემოსაკრები: ვლადიმერ ჩუბინიძე, გივი ალაზნისპირელი, ზურაბ ქაფიანიძე, ჰამლეტ წულაია, სხვები. ობსერვატორიაზე ასვლას თავად მოვაგვარებ. რაც შეეხება ფენომელური ნიჭიერების ყმაწვილთა გამოვლენა-დაკვალიანებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, სულ ორი-სამი თვის საქმეა. ჩვენ უნდა შევძლოთ ოქროს საწმისის, იგივე კირბების აღდგენა, რეანიმაცია.

— რეანიმაციას ცოცხალზე იტყვიან, — ძლივს ამოვღერღავ გამალებულ გულისძგერაში.

— მერედა, ვინ თქვა, ოქროს საწმისი უსულოაო?! შეიძლება უსულო ეწოდოს შენი არსებობის უკვდავების ფორმულას?!

ღმერთის უნებურად არაფერი ხდება, გურის ვენაცვალე. ჩემს ნახევარსაუკუნოვან იუბილეზე უკეთეს ჯილდოს ვერც ვინატრებდი. იცი, რამდენი ენერგია მომენიჭა? დედის საფლავზე რომ ავმაღლდით გუშინ, ჩემთვის ჩავუთქვი ჩუმად: ნანა, გაისად სხვანაირად ხელდამშვენებული მოგივალ-მეთქი. შენ მარტოობა გაბორძიკებდა და ნუ მიწყენ სიმართლისათვის: უტაქტობაც, სახელმწიფო მოხელის პრაქტიციზმის უქონლობა. დაინახე? მელიამ გადაგვირბინა.

— ხო, ჯონის ნახირივით მუქ-წითელმა. საბედნიეროდ ჩვენი ფაუნა ჯერაც არ გადაშენებულა.

— მოვა ეროვნული მთავრობა და ყველაფერს ეშველება. შენი სიტყვებია მგონი: „წამოდექი, წამოფრინდი, წამოხეთქე, გვიმარაო!" აღსდგება პასპორტში ეროვნების რეკვიზიტი. ვეტო დაედება ხე-ტყის უსულგულო გაჩეხვას. მოისპობა განუკითხაობა საბაჟოებში. მფარველი გამოუჩნდება შიდა ბაზარს. მკვდარი წერტილიდან დაიძრება ეროვნული კონსენსუსის საკითხი. აილაგმება კორუფცია. ამასობაში „დიდი აბრეშუმის გზა" და ნავთობსადენიც შემოგვეხიდება. ხალხი მიუბრუნდება მარჩენალ მიწას. მთაში კვარაცხელიას ჯიშის ძროხები იბუღრავებენ და ჭაობიან დაბლობში — ჩერჩელა კამეჩები. გვარნაცვალ ქართველთა წრიალი მერე ნახე, თუმცა კავკასია მხოლოდ საქართველოს, ქართველების კარნახით ვერ ივლის, როგორი ამაღლებული ტრადიციებისა უნდა ვიყოთ, გურის, ვენაცვალე! ჭყონდიდელის გულწყვილი შეგირდის აღმსარებლობა გაგვიძღვება წინ. იმნაირი მომავალი ახლოვდება, ყველასთვის გამოიძებნება ფუნქცია: ქართველისთვისაც, სომხისთვისაც, აზერბაიჯანელისთვისაც, ვაინახისთვისაც, ოსისთვისაც და აფხაზისთვისაც. პატროფილია ბორკილად არ უნდა გვექცეს. ოცდამეერთე საუკუნის კავკასია უწინარესად ოქროს საწმისის ფერფლიდან ფენიქსივით აღდგომას საჭიროებს, ანუ — კავკასიური ფენომენის რეანიმაციას საკაცობრიო იდეალებისათვის. საქართველოს უკვდავების ფორმულა სხვანაირად გამორიცხულია. ჩვენ ერთად უნდა გავაჩაღოთ კავკასიური სიმღერა, შეწყობილად, ერთმანეთის სასიცოცხლო ინტერესების პატი-

ვისცემითა და გააზრებით. რიჩარდ ლომგულის უიმედობას პრიმიტიული ობობას გულმოდგინება და შეუპოვრობა აქარწყლებს. აბა?! რა დაემართა ამ დათოს? გაიღვიძე ბიჭო, ავშენდით! შენს გადასახვევს არ ავცდეთ, მგონია ქანდას ვუახლოვდებით.

ვინ თქვა ქართველთა დალევა, ნაპირმოტეხვა — ცისასა, ხანგად ამოეღვრება მკერდიდან ჩემს რესპოდენტს, მაგრამ სიმღერაში აყოლის ძალა წამართმევია; ეპატიება კაცს აქა-იქ სულიერი თრთოლვა ესე.

07.07.99 წ
13.08.99

ინფორმაციული ომის ლელო

ოტობაიელები დარლას არ შევეწირებით!

საპროტესტო წერილისააგენტო გეას

სოხუმის დაცემის გამო ზოგმა ვაიპატრიოტმა დარჩელელმა ზუგდიდის რაიონში ხარები დაკლაო, რომ შევიტყობ, ერთ სიცოცხლეს იქ გავათავებ.

დამარცხებაცაა და დამარცხებაც. ყველა ვერ იქნება დავით აღმაშენებელი!

დაუნდობელ ომში ხელი მოცარვიათ მაკედონელებსაც და კეისრებსაც, ბონაპარტეებსაც და ბაგრატიონებსაც, მაგრამ ღია ჭრილობაზე შენი სისხლი და ხორცი მარილს რომ მოგაყრის გულ-მოდგინედ და თანაც ქირქილს დაიწყებს ჩირგვებიდან, შენი გვემის მოყურადე, მიდი და გული ნუ აგიქვითინდება!

გალის რაიონიდან ხელმეორედ გამობუნძურების დღეებში თითქმის ყველა ენგურისპირა სოფელი შემოვივლი რეგიონის მწერალთა ორგანიზაციის მესვეურ შუკო ჯიქიასთან მხარდამხარ.

საკუთარი თვალით ვიხილავთ გულის დამთუთქავ ათას კურიოზს: ერთ საწოლზე ხუთი სულის მოანცვლეობით წრიალია ეს, გაძვალტყავებული საქონლისათვის გამოყოფილი 2-2 კილოგრამი ქატო, სკოლის მერხებზე, ულეიბოდ, ჭინჭებზე სიცხიანი ბავშვების ბორგვა, ფიჩორისა და ოტობაიას მისადგომებთან მზეზე დაყრილი სახალხო ლაშქრის ბიჭები ბაგეჩაკვნეტილ იერით თუ სხვა, ჯიგრის შემტრიალებელი ძალუმ, მაგრამ კარგა ხანია ისე არაფერს გავუხელებივარ, როგორც ,,დილის გაზეთის'' 11 ივნისის ნომრის პირველ გვერდზე განთავსებულ ამაზრზენ ინფორმაციას. თავად განსაჯეთ:

□გეა) თუ საქართველოს მთავრობა უახლოეს დღეებში არ გადაწყვეტს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში განთავსებულ ოტობაიელ დევნილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და მალე დაბრუნების პრობლემას, ისინი აპირებენ თეთრი დროშებით გადასვლას და სეპარატისტული რეჟიმის აღიარებას.

ორსანტიაში განთავსებულ დევნილთა უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ აშძაფრებს მათი უკიდურესად მწვავე საყოფაცხოვრებო პირობები. ასევე, საკვები პროდუქტის უკმარისობა. მთავრობისაგან დაპირების გარდა, ქმედითი დახმარება ჯერჯერობით არ ჩანს". ,,თუ სახელმწიფო არ მიხედავს, ოტობაიელები აფხაზებს ჩაბარდებიან...''

ბატონ ვახტანგ აბაშიძეს მივმართავ თხოვნით, დამისახელონ იმ ჟურანლისტის სახელი და გვარი, რომელიც ნიშნის მოგებით გაიძახის: ოტობაიელები თეთრი დროშებით გადავლენ ენგურზე და სეპარატისტულ რეჟიმს აღიარებენ, თუკი მთავრობა ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს არ მოუწესრიგებსო!

ხაი, დედასა! დიახ, ბატონებო, მანახეთ ის ჟურნალისტი და მაუწყოს რომელი ოტობაიელია ნეტავ ამ ძნელბედობის ჟამს სამშობლოს ღალატისთვის მკლავები რომ დაუკარწახებია?!

არა, შვილოსა, ოტობაია ცოტა სხვა მცნებაა, ვიდრე ვიღაც ,,გაზეტჩიკს'' წარმოუდგენია. ოტობაია ერთ-ერთი სოფელია, როგორც სამურზაყანოში, ისე — მთელს დედამიწის ზურგზე, სადაც კოლექტიურად არ უსწორდებიან მოწინააღმდეგეს, ვთქვათ, მაგალითისათვის დარჩელის თუ ძალისგან განსხვავებით □იქ ერთს თხუთმეტი ურტყამს ორმოცდაათი მოყურადის წრეში). ოტობაიაში კი ნურას უკაცრავად, ფეხბურთის თამაშისას წაკინკლავების შემდეგ იყო ეს თუ სხვა კონფლიქტის გამო, მოპაექრეებს ერთი ერთზე გაიყვანდნენ და მერმე გნებავთ სტუმარს გაემარჯვა, გნებავთ — მასპინძელს, ორივე შემთხვევაში ერთმანეთს გადააკოცნინებდნენ, პოლიას სასადილოში ჭიქას ჭიქაზე მიაჭახუნებინებდნენ, მანქანას დაუქირავებდნენ და ასე გაისტუმრებდნენ შინ.

ამნაირი დამახსომდა მე გურგენ და გიგლა ძაძუების ოტობაია, ენვერ და ზაურ ჯოჯუების ოტობაია, კოკი და ტურკა ოყუჯავების ოტობაია, ომიანე და გურამ საჯაიების ოტობაია, რევაზ და დავით იზორიების ოტობაია, ვახტანგ და ჯუმბერ სექანიების ოტობაია; ვალშა ტუფურიას, არდაშელ ჩაკვატიას, გურია შონიას, კაპიტონ ლოგუას და კიდევ ვინ მოთვლის, რომლის, მიუკერძოებელი ოტობაია.

დავიჯერო, რომელი ერთის ნაშიერს მოუბრუნდებოდა აუგად ენა, თუ საქართველოს მთავრობა სასიცოცხლო პირობებს არ შეგვიქმნის, ჩვენ მზად ვართ ვუღალატოთ სამშობლოს, თეთრი დროშებით გადავიდეთ ენგურზე, ვაღიაროთ არძინბას სეპარატისტული, ფაშისტური რეჟიმი, აფხაზებად ჩავეწეროთ და ისევ ჩვენიანების წინააღმდეგ მივმართოთ იარაღიო?! აი, ასე ჟღერს გეას კორესპონდენტის სიტყვები ძირისძირამდე გაშიფრვის შემდეგ.

მაგრამ ჩიტირეკია ჟურნალისტის ინფორმაცია ხაერში გამოკიდებული რომ არ დარჩეს, ბოლომდე განვმარტავ თუ რას ნიშნავს**: თეთრი დროშებით გადავლენ ენგურზე და სეპარატისტების რეჟიმს აღიარებენ.**

მეტი ღალატის დაბრალება შეიძლება ამ ამაყი და თავმოყვარე, ყველაფერში გამორჩეული ხალხის — ოტობაიელების მისამართით?

ეს ხომ იგივეა, კოკი ოყუჯავას სპეტაკ ხსოვნას □დაჩოქება რომ მოსთხოვენ აფხაზი ბოევიკები გალში და მშვილდივით მოზიდული, ფალიკური იერის მომუშტული მარჯვენით გამოეთხოვება წუთისოფელს), ფეხი დააბიჯო?! ეს ხომ იგივეა, პლატონ თაკალანძეს დაჯიჯგნულ სხეულს ჩირქი მოსცხო?!

ეს ხომ იგივეა, აკაკი შენგელიას პატიოსან მოგონებას, საკუთარ სახლში რომ დახანძრავენ პირსისხლიანი ჯალათები, ლაფი გადაასხა?!

ეს ხომ იგივეა, ვალოდია ბოხუას ბიჭის და ვანიჩქა კვარაცხელიას ნათელში ყოფნა შეაწუხო უკიდურესი საქციელით?!

ეს ხომ იგივეა, ახლახან საკუთარი ოჯახში დანაცრული, ოთხმოცს გადაცილებული დურუ ტაბაღუას საშვილიშვილო მოგონებას თუ შეურაცხადი ყოყოჩია დგებუაძის ზეცაში სუფევას კუპრში სამარადისო ყურყუმელაობა მიუსაჯო?!

არა, ძვირფასებო! ოტობაია იდგა, მძლავრობს და იმზეგრძელებს ნიადაგ ერთიანი საქართველოს მეციხოვნედ! ოტობაია, რომელიც ,,დიდოსტატის მარჯვენაში'' სვეტიცხოვლის ხარაჩოებზე დაბობღავს, როგორც ლოდის მტვირთველი და მეფის მხატვარი; ოტობაია, რომლის მაფშალია შვილი — ზურაბ სოტკილავა დღენიადაგ უკვნესის მამულის ბორგნეულ სულს; ოტობაია, რომლის ღირსეული ძენი: ვლადიმერ ალფენიძე, ნაპო მესხია, ჯემალ გამახარია, ოთარ ხუფენია, ანზორ გუნჯუა, სოსო ელიავა თუ სხვანი და სხვანი ხმალშემართული დგანან სამშობლოს მერმისის სადარაჯოზე; ოტობაია, რომლის ბალავარზე მკვიდრად აშენებულა თქვენი მონა-მორჩილის დაუდგრომელი საწუთრო. პარადოქსია წუთისოფელი.

სოხუმის დაცემის დღეებში, აფხაზეთიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გამოძევების რეალობებში, სამურზაყანოს, გალის რაიონის მოსახლეობა, წამში გადაემტერება მანამდე თავის კუმირს, ნეტარხსენებულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, გადაემტერება იმ მიტინგის გამო, სადაც იგი ადგილობრივ მკვიდრს ამშვიდებს: აფხაზები ღალიძგას არ გადმოლახავენ, მშვიდად იყავით, პანიკაში ნუ ჩავარდებით, ნურსად გაიხიზნებით, თქვენთან იქონიეთ უძრავ-მოძრავი ქონებაო. დაუჯერებენ პრეზიდენტს და ოცდაოთხ საათში დასატოვებელი გაუხდებათ სათაყვანებელი სამშობლო, სალოცავი კერა. თითქმის ხელუხლებელი დარჩება აფხაზ და დაქირავებულ ჩეჩენ-რუსკაზაკ-სომეხ ბოევიკებს აურაცხელი ქონება.

პრეზიდენტ გამსახურდიას ავტორიტეტს მოხერხებულად გამოიყენებენ მაშინ იმპერიალისტური ძალები, ვინაიდან აფხაზეთის ბელელის — გალის რაიონის სიმდიდრეს დროულად თუ გახიზნავდა ადგილობრივი მკვიდრი, რა დარჩებოდა მათ მადას საკბილო, სამაროდიორო, როგორ აენაზღაურებინა კაცის კვლისთვის გადასახადი გასამრჯელო?

ხოდა, იმ წუთამდე პრეზიდენტ გამსახურდიასათვის თავგადაკლული მრევლის ფსიქიკა ასოთხმოცი გრადუსით შემოტრიალდება. იმ წამიდან სამურზაყანოელებს მის სახელს ვერ გააგონებდით შინ თუ გარეთ! ვაგლახ, თურმე ეკონომიკაზე ყოფილა ჩვენი რეალური სიმპათია-ანტიპათია დამყნობილი! ყველა სოფელში მოიძევება ასეთი ტლუ და გაუთლელი, კუჭით, ბელელით რომ ზომავს შვილების მომავალს. ოღონდ თითონ ხქონდეს ლუკმა-პური თუთაშხიას მეწისქვილე ბონიასავით და მერე გინდა ქვას უთოვია.

დაასახელეთ, ბატონებო, მათი გვარები; დარწმუნებული ვარ, თუკი ასეთები დროსა და სივრცე-

ში არსებობენ, მათი მეტი წილი მეზობლების პირუტყვითა და სარჩო-საბადებლით ზურგმომაგრებული გვამები აღმოჩნდება. მართლაც, როგორც იტყვიან ოჯახი უსახიჩროდ არ არსებობს და რაღა ამ ზნეობრივად გახრწნილ თითო-ოროლას სულწასულ ნაყრანტალევზე უნდა გავწალდოთ მთელი სოფლის ბედ-იღბალი?! თანაც ისეთი სოფლისა, როგორიც 1500 კომლიანი ოტობაიაა და რომელიც თანდათან გონზე მოდის პოლიტიკური ბატალიებით დაბნეული, იარაღისკენ გაურბის თვალი და ხელი. სრულიად ჩაურევლად საკუთარი ძალებით განუზრახავს შელახული ღირსების აღდგენა, სულმნათი წინაპრების ძვალთშესალაგების დაცვა?!

ასეთ ოტობაიაში გავზრდილვარ მე. ასეთ ოტობაიელებთან მიცხოვრია ლამის ერგასი წელი. ასეთი ოტობაიის სახელს დავსესხებულვარ ფსევდონიმად დიდი მწერლობის გზაზე შემდგარი და აქა-იქ ცხოვრებისეულ სიდუხჭირეში ჩავარდნილს, ამნაირი ოტობაიელები მომაშველებენ ზურგის ქარს. ამიტომაც სრული სერიოზულობით მივმართავ სააგენტო გეას მესვეურებს, პოზიცია გამოხატონ თავიანთი პასკვილური ინფორმაციის გამო, ან ზოგადი ფრაზა დააკონკრეტონ! ჩვენ კი ჩვენი ძირმწარე წილხვედრი მომავალი გვიხმობს, ოტობაიელებო! ამას წინათ მეზობელ ფიჩორში დატყვევებული მამიდაშვილი, ბოჩია მეფორიას და თანასოფლელი ზურაბ ალფენიძის ნაგვემი სხეულები გვეძახის მამულიშვილური ვალის მოსახდელად, რომელთაც სწორედ რომ ოტობაიის ტერიტორიაზე ნანალმარ ორმოში ჩახოცავენ ზვარაკებად.

ძველ იარას ახლით ჩაიქრობენ ხოლმე. დღესაც მიგუგუნებს ყურებში გელოვანების ნაშიერი ქალის დედაჩემი, კლარა გელენახეს, სიტყვები, ძმადნაფიცს შუკო ჯიქიას და მე გამუდმებით რომ გვეჩიჩინებოდა:

— შვილებო, სამშობლო არის მთავარი! ყელში სული რომ გიხანტალებთ, ისიც მისი უკვდავების საწინდრად იქონიეთო! — და რადგანაც ჩემი ოტობაია ჩემი ზურგია; და რადგანაც ჩემი ოტობაია მამულისთვის თავდადებული მთლიანობაა გური ოტობაიაში ერთ მუშტად შეკუმშული, პათეტიკური სტრიქონებით დავასრულებ ამბოხებულის სულის კივილს:

— დიახ, ოტობაიელები დარლას არ შევეწირებით!

„დილის გაზეთი“,
17 ივნისი, 1998 წ.

სანამ ყელში სული გვიხანტალებს

,,— მობრძანდით, ნახეთ როგორ გამოგვლანძღეს მთელი სოფელი! — მითხრა სოფლის ცენტრში მიმავალს ვატო ბუკუჩავამ და მკლავი გამომდო. ენგურს გაღმიდან გამოდენილი მოსახლეობის აღალსა და პირუტყვში გზა გავიკვლიეთ, ხოსპიტალის ეზოში შევედით, ჩემი ნამოწაფარი გონელი ნაჭყბია შემომეგება და გაზეთი გადმომცა:

— რამდენჯერ პურ-მარილი ერთად მიგვიღია. ჩემი თანაკურსელიცაა! — თითქოს და მებოდიშება.

— სიძე კაცმა ყელი გამოგვჭრა! — წყენა გამოხატა გაგრის ტრაგედიას ბეწვზე გადარჩენილმა, ხოსპიტალის თავკაცმა იაშა ხუფენიამ.

სანამ სტატია არ წავიკითხე ხმა არ ამომიღია. როგორც წაკითხულიდან გავიგე ბატონი გური ოტობაია აღუშფოთებია თავისი თანამემამულე, საკუთარი სახლ-კარიდან ორჯერ განდევნილი, გატანჯული ადამიანის წამოძახილს: თუ შინ არ დამაბრუნებთ, თეთრ დროშას ავაფრიალებთ და სეპარატისტების მხარეს გადავალთო.

გასაგებია თქვენი აღშფოთება, ბატონო გური! როგორ შეიძლება კაცმა საკუთარი ეროვნება უარყოს და მოსისხლეს მიემხროს? ასე გვასწავლეს და ასე ვასწავლიდი 55 წელიწადი ენგურს გამოღმა და გაღმა მოზარდ თაობას. ახლა არც შახი და ხონთქარი, არც ნაცისტი ფიურერი გვემუქრება დაპყრობით, მაგრამ ჩვენს მიერ გამეტიჩრებულმა ,,უფროსმა ძმამ'' აგვიჯანყა ,,უმცროსი ძმები''. უჩვენოთ ვერ ძლებს, თუმცა გვსაყვედურობს, ჩემი სარჩენი ხართო, მაინც არ ვემეტებით. ალბათ, უჩვენოდაც გაძლებს, მაგრამ ჩვენს მიწა-წყალს არ შეელევა. რატომ უნდა დათმოს, როცა ნამესტნიკებიც ჰყავს და ლაქიებიც. ყოველივე ეს ჩემზე მეტად მოგეხსენება, ახალგაზოდა კაცო! ვისი იმედით ნებივრობენ სავარძელებში მოკალათებული ჩვენი თანამემამულენი და ნაჭერ-ნაჭერ ყიდიან ქართულ მიწას. მეორე ნაწილი ჩვენი თანამემამულეებისა ნასუფრალს დახარბებულნი, ყრუნი და ბრმანი ტაშის დამკვრელებად ხყავთ მარიონეტ მმართველებს. აი, რა აყვირებს საკუთარი მიწა-წყლიდან

დევნილ ჩვენს თანამემამულეს. იშვიათად როდი გვესმის ანალოგიური წამოძახილები. აი ერთი მათგანიც:

„გალის რაიონელების მოთხოვნაა □სტილი დაცულია გ.ო.). ამ მოთხოვნას მე წარ-ვუძღვები. შუხლშოდრეკით უნდა შევიდე არძინბასთან. სულ ყველას პასპორტები უნდა შევიტანო და ჩვენ უნდა მივიღოთ აფხაზეთის მოქალაქეობა. პედაგოგი ახლა რომ ვლაპარაკობ ქართულად, ეს ქართულიც არ მინდა. შეშძულდა ჩემი ეროვნება და თუ გინდათ, მოღალატე დამიძახეთ, ამას მე გავაკეთებ. ვიმეორებ, შევალ არძინბასთან და როგორც გერმანიამ დაყარა დროშები, ისე დავყრი მის კაბინეტში პასპორტებს. თუ გინდა ბერძენი ვიყო, თუ გინდ სომეხი, ოღონდ ვიყო ჩემს მიწაზე“. □„კვირის პალიტრა“, 1-7 ივნისი, 1998 წელი). ეს სიტყვები სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარი ადამიანის ამოძახილია და გასაგები უნდა იყოს მითუმეტეს მწერლისათვის. გაზეთს ან ჟურნალისტს რატომ უნდა ვუსაყ-ვედუროთ, როცა თავიანთ საქმეს პატიოსნად ემსახურებიან?

გაუგებარია, ვის მოუვიდა აზრად, სოხუმის დაცემის აღსანიშნავად **დარჩელელებმა ხარები დაკლესო.** ეს მაშინ, როცა მთელი დარჩელი გლოვობდა გაგრაში ალექსანდრე გვარამიას ოჯახის ამოწყვეტას. რომელ დარჩელელს მონახავ, აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში თავისი სისხლ-ხორცი, მკვიდრი და ნათესავი არ ჰყავდეს და ვის მოუვიდა აზრად, დარჩელელებმა სოხუმის აღება იზეიმესო. სირცხვილია ამის გაფიქრებაც კი. 1200 კომლიანმა დარჩელმა თავიდან 15 ათასი დევნილი შეიფარა. ხოლო მეორე დამარცხების შემდეგ სავსეა დევნილებით ყველა საზოგადოებრივი შენობა, გზები და საძოვრები — პირუტყვით, არ ვიცი, რა დაგიშავათ დარჩელმა!

არაა ზნეობრივად გამართლებული, სამშობლოს ზვარაკად შეწირული პირველი პრეზიდენტი-სათვის ყოველთვის რაღაცის გადაბრალება: „სოხუმის დაცემის დღეებში აფხაზეთიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გამოძევების რეალობებში, სამურზაყანოს, გალის რაიონის მოსახლეობა წამში გადაე-მტერება მანამდე თავის კუმირს, ნეტარხსენებულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას...“ არა, ბატონო გური, არც ისეა საქმე, ვფიქრობ არც თქვენ იტყოდით ასე, რომ წაგეკითხათ ბატონების — ჯემალ გამახარიას და მურმან ზაქარაიას წიგნი, დოკუმენტების კრებული „საქართველოს დევნილი ხელი-სუფლება და აფხაზეთის ომი“. კერძოდ, დოკუმენტი 458.

ჩემი წერილი ქ-ნი გელენახეს სიტყვებით მინდა დავამთავრო: „შვილებო, სამშობლო არის მთავარი, ყელში სული სანამ გიხანტალებთ, (ძახილის ნიშანს მძიმეთი მიცვლის; „სანამ“-ის მაგივრად უნდა იყოს „რომ“, გ.ო.) **ისიც მისი უკვდავების საწინდრად იქონიეთ!“**

არა, ბატონო გური, ჩვენ უფლება არა გვაქვს ერთმანეთი ვთათხოთ, ამ სულნათელი ქართველი დედის დამოძღვრის შემდეგ, ვეცადოთ ვთესოთ სიყვარული და ერთიანობა ქართველთა შორის!“

„უგურო“ ფეტელავა

„როცა ადამიანი მწერლობაზე დებს თავს, თუნდაც მისი ნაწარმოები უსუსური იყოს, დარჩელში უბატონოდ ხმას არ გასცემენ, იმდენად აფასებენ მწერალს, შემოქმედ ადამიანს. შეაქებენ, მოეფერე-ბიან. ეს დარჩელელთა ცხოვრების წესია. მათ კარგად იციან პოეზიისა და პროზის ფასი, წიგნისა და გაზეთის გამაკეთილშობილებელი მისია და ჰყავს ამ სფეროში მოღვაწე შვილებიც.

დარჩელში ყველას, ვისაც ქართული სისხლი უდუღს ძარღვებში, მშობლიური მიწის, ენისა და მწერლობის სიყვარული უნათებს ცხოვრების გზას, რადგანაც იცის, მას, ქართველ მამულიშვილს, რაც ზნეობრივი და მამულიშვილური გააჩნია, ქართული მწერლობის მადლია. ამიტომაც კრძალ-ვით შეხყურებს კალმოსან თანამემამულეებს. ბატონობით მიმართავს, მაგრამ თუ ბატონი სტუმარი, თანამემამულე ან, გამვლელი ზრდილობის ფარგლებს გასცდება, არ აპატიებენ; შეიძლება სცემონ კიდეც, მაგრამ არა ერთი ოცზე, (მოქიშპეს ხუთით მიბევრებს, გ.ო.) არამედ ერთი — ერთზე.

თქვენ დაარღვიეთ ზრდილობის ნორმები. შეურაცხყოფა მიაყენეთ სოფელს, საზოგადოებას, რომელმაც სოხუმის დაცემის შემდეგ თხუთმეტი ათასი დევნილი შეიფარა, როცა სოფელში 5000 მკვიდრი მოსახლეა. ახლა, გალის მოვლენების შემდეგ, როცა მეორედ დაგვამარცხეს და ისიც სამარცხვინოდ, დარჩელის ყველა საზოგადოებრივი და საგამანათლებლო დაწესებულება გაიჭედა დევნილთა ოჯახებით, ქუჩები და ეზოები — პირუტყვით, „დილის გაზეთში“ აქვეყნებთ დარჩელისა და დარჩელელთა მისამართით ცილისმწამებლურ წერილს. რაშია საქმე? როგორ დააჯერებ შენ, ჩვენი მეზობელი სოფლების მცხოვრებლებს შენი მონაჩმახით: დარჩელში სოხუმის აღება ზეიმით აღნიშნეს და ხარებიც დაკლესო. ან დარჩელში გამვლელ „უცნობ პიროვნებას თხუთმეტი დარჩე-ლელი ურტყამს, ორმოცდაათი მოყურადის წრეშიო“. რა გინდათ ამით თქვათ მწერალმა კაცმა?

ხომ არ ფიქრობთ დევნილები და დარჩელელები ერთმანეთს გადაგვკიდოთ? ეს მუხანათური ხერხია. ასე გადაგვკიდეს ერთმანეთს აფხაზები და ქართველები, ოსები და ქართველები იმპერიულმა ძალებმა.

გაუგებარია თქვენი პროტესტი გაზეთის მიმართ. თქვენ ძმაკაცთან ერთად გალელებს რომ ეწვიეთ, დევნილებისაგან უარესი არ მოგისმენიათ? წაიკითხეთ გაზეთ „კვირის პალიტრის" 1-7 ივნისის ნომერში „ტრაგედია დასრულდა, ტრაგედია იწყება", ოღონდ მისი ავტორის ძიებაში ისევ დარჩელი არ მოგეჩვენოთ ხელწამოსაკრავად და დაბალ ღობედ. დაფიქრდით, და მიზეზი ჩვენი ავბედითობისა აუწყეთ ხალხს, ბატონო მწერალო! სხვამხრივ არაფერს გვშველის თქვენი პათეტიური წამოძახილი „რადგან ჩემი ოტობაია მამულისათვის თავდადებული მთლიანობაა გური ოტობაიაში ერთ მუშტად შეკრული." თქვენი „ამბოხებული სულის კივილი" ნუ გადაგვკიდებს ერთმანეთს, იზრუნეთ ერთიან-მთლიანი საქართველოსათვის!"

ანტონ არნანია.

„ჭყონდიდელი", №13, (17) 1998 წ.;
„დარჩელი," ივლისი, №2, 1998 წ.

ამოცლილი გულის კარდიოგრამა

ეთნოგრაფებს ჯერაც ვერ გაურკვევიათ რიგიანად ჩელა თეთრი ხარია თუ შუბლკიოფა კამეჩი, მაგრამ აკობიას სიმღერა-ლექსში ეს უწყინარი პირუტყვი მონობას შეგუებულ ინდივიდთანაა გაიგივებულია, რომელსაც არც ჯილაგი აქვს, აღარც — გული, ორივე მუხანათმა წუთისოფელმა ამოაცალა და უღლისგან გეხეხილი ქედით იარება დღემდე კუზიან დუნიაზე.

ეს ყველაფერი ფოლკლორში, ხოლო გური ოტობაია, რომელსაც ასე თუ ისე გათავისებული აქვს ხალხური პოეზიის მადლი და ბარაქა, თავისთავს კამეჩს უწოდებს დიახაც, ჭაობსშიგან ჩაფლულს, 150 დღე-ღამეს რომ მიბღაოდა ნოეს და მის კიდობანს დედამიწის შემმუსვრელი წარღვნის გრაგნილებიდან ბიბლიური წარმოდგენებით, მაგრამ დახეთ, ამას წინათ გარედანაც მოინათლა გულადი ფეტელავა „უგულოდ", ოღონდ მის ფსევდონიმს — გური ოტობაიას ვერ შეხკადრეს ესოდენი სამკაული! აი, პასპორტის გვარს კი — მოგეცათ ლხენა: „უგულო ფეტელავა არისო", დასცხეს და დასცხეს ფერდებში იფნის სახრე მარჯვნიდან თუ მარცხნიდან.

მავანს ეგონა ზუგდიდის ბაზრის შეურაცხად ხოთოსავით ტანსაცმელს შემოიხევდა იგი. ნურას უკაცრავად, სრულიად უწყინრად შეიშნოვა ეპითეტი ესე, ნაღველგარეული სინანულით, აკობიას სიმღერა-ლექსის პერსონაჟისეული თავის კანტურით. დიახ, უგულოა თურმე იგი, ვინაიდან მისი არსებობა მესხეთიდან მოყოლებული ლურჯ კოლხეთამდე ფთილა-ფთილა დანაწილებულა ამ ერგას წელიწადში.

იმ გულის უანკარესი და უფაქიზესი გამონათებანი ზოგი უბატონო კახეთის ალაზნის ველის ვრცეულობას შერჩენია ხორნაბუჯის ციტადელიდან დანახულს და ზოგიც — ქართლის ცარგვალის, ვარსკვლავების სადაფებით მოოჭვილს სადა ფერს.

აქეთ იმერეთის სილბო და ქლიავივით დაბინდული მთების ალყა ჩამოაციცაბოვებს იმ გულის კალთებს, იქით — კრიმანჭულის ამწვერვალება ჩამოშლის ზომაზე მეტად და ოდეს სამეგრელოს ველური დაფნების შრიალში მიყუჩდება მამულის კარდაკარ მოხეტიალე პოეტის გული, აღმოჩნდება, რომ სრულიად საქართველოსთვის დაუნაწილებია თურმე დარდიმანდულად ვინმე ყარიბს და აწ ოდესღაც ბორგნეულ მკერდქვეშ პოლიფემის ლუსკუმი სამკვიდრობელია. ესეც პოეტური შეფერილობით.

გასულ კვირაძალს კი გური ოტობაიასთვის საერთო მწუხარების ზვირთებს ვარამთა ნათესაური ნაკადებიც მოაწყდნენ და ახლაც, ამ სიმარტოვის ჟამს, რიგიანად ვერ გამოსულა იმ შეჭირვებული მდგომარეობიდან.

საქმე ის გახლავთ, რომ ტანმძიმე ჯუმი ერთხელ და სამუდამოდ ჩაითრევს სამურზაყანოდან დევნილი ორი ბიძაშვილის ანგელოზებს, დედებისა და ბაბუის თვალწინ დაიხრჩობიან ცურვის უცოდინარი მეათეკლასელი თემურ გელენავა და ცხრა წლის ბექა ქეცბაია, მაჭკუტია ჩემი. ამას ზედ დაერთვება მეგობარი შემოქმედის, შუკო ჯიქიას 5 წლის შვილიშვილის, თარაშის, ელექტროდენით დანაცრვა. დამერწმუნებით, ერთობ მძიმე ლოდია თუნდაც გულამოცლილისთვის მწუ-

ხარება ესე. ხოდა, იმ ბინდბუდში, მიმდინარე წლის მკათათვის ნომერ 13 „ჭყონდიდელს“ მომართმევენ, სადაც ჯერ კიდევ ვერწართმეული სულის შემაწრიალებელ ამბებს ამოვიკითხავ. საპოლემიკოდ ორი მნიშვნელოვანი მომენტია თითზე დახვეული ერთ-ერთი ჩემი წერილიდან:

„გაუგებარია ვის მოუვიდა აზრად, სოხუმის დაცემის აღსანიშნავად დარჩელელებმა ხარები დაკლესო“;

„ვის მოუვიდა აზრად, დარჩელელებმა სოხუმის აღება იზეიმესო“;

და კიდევ,

„არაა ზნეობრივად გამართლებული საშობლოს ზვარაკად შეწირული პირველი პრეზიდენტისათვის ყოველთვის რაღაცის გადაბრალება“...

ისედაც შეძრწუნებულს ამჯერად თავზარიც დამეცემა. წერილის ავტორის, ჩინებული პოეტის, მცხოვანი ანტონ არნანიას ოჯახის მიკვლევა დარჩელში ნამდვილად არ გამიძნელდება.

გზადაგზა შვიდიოდე წლის წინათ გამომცემლობა „მერანის“ მიერ დასტამბული მისი პოეტური კრებულიდან „მე შენით ვცოცხლობ“ დახსომებული ერთი ლექსის სტრიქონები ამეკვიატება:

„მზეებრ უხვი გული დამაქვს,
რა მაქვს წრფელი გულის გარდა?!
მთვარე მორჩა თოვლის თამაშს
და შიგ თმებში ჩამივარდა.
მთვარე თმებში ჩამივარდა
და მას მერე მიმოვერცხლავს,
ისე ვხვდები თოვლის ბარდნას,
ვითარც სესე ბიჭი მერცხალს“.

ბატონ ანტონ არნანიას არასდროს შევხვედრივარ. არნანიები მენათესავებიან ბებიით, მამის დედით. ასე რომ, არნანიების სისხლიც მიჩქეფს ძარღვებში, ეს სისხლიც მიხმიანებს გულს, რომელიც საქართველოსთვის დამინაწილებია და რომელიც სათაყვანებელი სოფლის გაზეთ „დარჩელით“ თურმე საერთოდ არ გამაჩნია.

მასპინძლები შეფუცხუნდებიან. გაკრიტიკუბული მწერლის სტუმრობას ნამდვილად არ მოელიან. მაგრამ, როცა ახლახან გამოცემულ რომან „როკიზე“ წარწერილი სტრიქონებს წავუკითხავ არნანიების ჯალაბს და აქამდე „მტრად“ შერაცხულში მოყვასს ამოიცნობენ, სახელდახელო სუფრასთან მიმიწვევენ: მსხლის არაყი, თხილი, პური, ყველი და ტკბილი გული.

მილიონერი ვეგონეთ თურმე. ჩემი მოსვლა კი უამრავ ბურუსით მოცულ საკითხს მოხფენს ნათელს. როცა შეიტყობენ, მეგობრის ბინაში ვცხოვრობ სამი შვილის მამა, გაიკვირვებენ და მითანაგრძნობენ კიდეც.

ჩემთვის საზიანო კურიოზი კი ასეთნაირად დაიწყება.

„დილის გაზეთში“ ამოკითხულ ინფორმაციაზე: თეთრი დროშებით არძინბას ხელისუფლების აღიარებას რომ ქადაგებს ინკოგნიტო ოტობაიელი, მამულიშვლური სულისკვეთების წერილს შევთხზავ — „ოტობაიელები დარლას არ შევეწირებით“-მეთქი. გადავაბეჭდვინებ მბეჭდავ-მემანქანეს, რომელსაც ხელნაწერი ფურცლის უკან გადატანილი ფრაზა გამორჩება. თვითონ მივიტან რედაქციაში. კორექტურასაც იჩქითად გადავავლებ თვალს, მაგრამ სიჩქარეში მთავარზე-მთავარი, მბეჭდავ-მემანქანის გამოტოვებული წინადადება მეც გამომრჩება, ურომლისოდ ტექსტი წარუხოცელ ბრალდებად წარმოჩინდება. აფხაზეთის დაცემის ხარების დაკვლით აღნიშვნის თაობაზე მითქმა-მოთქმა ჩემი მოგონილი არ გახლავთ. აქ დარჩელის წამოტივტივება სოხუმის დაცემის მოსურნედ პოლიტიკური ანგარიშსწორების ნიშნით წარიმართება თავის დროზე. ხოლო ახლა ორ ცხენზე შემჯდარი გალელი პროვოკატორებით გონებამოწამლული სამურზაყანოელების ჭირისუფალი ზარებს რომ დავარისხებ იმავე პროვოკატორების საწინაღმდეგოდ მიმართული წერილით, თურმე სულსწრაფობის გამო დასახიჩრებული ფრაზით თანაოტობაიელების დამშოშმინებელი, მოამაგე კარის მეზობელ სოფელს დამიკარგავ. თავად განსაჯეთ:

„სოხუმის დაცემის გამო ზოგმა ვაიპატრიოტმა დარჩელელი ზუგდიდის რაიონში ხარებს რომ დაკლაო, შევიტყობ ერთ სიცოცხლეს იქ გავათავებ.

დამარცხებაცაა და დამარხებაც. ყველა ვერ იქნება დავით აღმაშენებელი! დაუნდობელ ომში ხელი მოცარვიათ მაკედონელებსაც და ბაგრატიონებსაც, მაგრამ ღია ჭრილობაზე შენი სისხლი და ხორცი მარილს რომ მოგაყრის გულმოდგინედ და თანაც

ქირქილს დაიწყებს ჩირგვებიდან შენი გვემის მოყურადე, მიდი და გული ნუ აგიქვითინდება!“

ახლა ჩემთვის გასაგებია დარჩელელების გულისწყრომა. მართალია, „ჭყონდიდელის“ პუბლიკაციაში ჯოხი საგრძნობლად გადახრილია „უგულო ფეტელავას“ საზიანოდ: სადაც „ზოგი ვაიპატრიოტი დარჩელელი“ სწერია, იქ ყველგან „დარჩელელებია“ ფიქსირებული. ჩემს მიერ მცირედ, ნაწილად წარმოსახული, ოპონენტთან მთელად, საყოველთაოდ არის წარმოდგენილი, მაგრამ როდესაც ღალატს გაბრალებენ, მაშინ ჯოხის გადახრას დაეძებ კაცი? მე სხვა რაღაცის გამო ვნაღვლიანდები □გული მეთანაღრება-მეთქი, დავწერ და მყისვე წავშლი, გამახსენდება, რომ ეს ორგანო ამპუტირებული მაქვს თურმე). 17 ივნისის „დილის გაზეთის“ პუბლიკაციიდან თვენახევარი გასულა და ამ ხნის მანძილზე ჩემს თანამეინახე „თანაკურსელს“, ან ვისაც ოდესღაც ჩავაცვი შეძლებისდაგვარად და მობილური ტელეფონი “ჯეოსელის“ ფირმისა ქამარში ყამასავით გაურჭვია, ნუთუ წამით მაინც არ მოაფიქრდათ შემომხმიანებოდნენ! ჩემი ტელეფონის ნომერი ბარე ათიოდე ფუნქციონერმა მაინც იცის ზუგდიდის მერიასა და სამხარეოში, ვისი ხელქვეითებიც ეგენი გახლავან, მაგრამ არავინ მოინდომა საქმის ნამდვილი არსის პირველწყაროდან გაგებას და ხელის აუკანკალებლად გულს წამართმევენ, საქართველოსთვის დანაწილებულ გულს.

დავხედავ დედანს, რომელ თავფურცელში მბეჭდავ-მემანქანეს მეორე მხარეს გადასული წინადადება დავიწყნია და შვებას ვიგრძნობ:

„სოხუმის დაცემის გამო ზოგმა ვაიპატრიოტმა დარჩელელმა ზუგდიდის რაიონში ხარები დაკლაო, რომ შევიტყობ, ერთ სიცოცხლეს იქ გავათავებ, მაგარამ არ ვენდობი მონათხრობს, საკუთარი თვალ-ყურით გადამოწმებას ვამჯობინებ და აი, რა გაირკვევა სინამდვილეში: დარჩელელები მართლაც კლავდნენ ხარებს თურმე იმ დღეებში, ოღონდ სოხუმის დაცემის აღსანიშნავად კი არა, ფრონტის ხაზზე წარგზავნილი ბიჭების დასაპურებლად. ესეც მტრის პროვოკაციული ბრძოლის ძალა შინ თუ გარეთ.“

დამეთანხმებით, ამ ფრაზის შემოშველებით რანაირად გამოეცლებოდა ნიადაგი ბატონ ანტონ არნანიას წამოძახებას! „დარჩელით“ თუ „ჭყონდიდე ლით“. აქვე ყურადსაღებია ჩემი განქიქების უმართებულობაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან მიმართებაში.მე ვწერდი:

„პარადოქსულია წუთისოფელი.

სოხუმის დაცემის დღეებში აფხაზეთიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გამოძევების რეალობებში, საშურზაყანოს, გალის რაიონის მოსახლეობა წამში გადაეშტერება მანამდე თავის კუშირს, პრეზიდენტ გამსახურდიას, გადაეშტერება იმ მიტინგის გამო, სადაც იგი ადგილობრივ მკვიდრთ აშშვიდებს, აფხაზები ღალიძგას არ გადმოლახავენ, მშვიდად იყავით, პანიკაში ნუ ჩავარდებით, ნურსად გაიხიზნებით, თქვენთან იქონიეთ უძრავ-მოძრავი ქონებაო. დაუჯერებენ პრეზიდენტს და ოცდაოთხ საათში დასატოვებელი გაუხდებათ სათაყვანებელი სამშობლო, სალოცავი კერა. თითქმის ხელუხლებელი დარჩება აფხაზ და დაქირავებულ ჩეჩენ-რუს-კაზაკ-სომეხ ბოევიკებს აურაცხელი ქონება.“

ინებეთ, ბატონებო, თავად პირველწყარო:

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას
წარმოთქმული სიტყვა გალის მიტინგზე 1993 წლის 28 სექტემბერს

ძვირფასო მეგობრებო! დანო და ძმანო! ბედნიერი ვარ დღეს, რომ ამდენი ხნის შემდეგ გხედავთ თქვენ და თქვენთან ვარ ისევ. აქ, ამ მოედანზე არაერთხელ ჩამიტარებია მიტინგი, თქვენ ყველას გახსოვთ. მაშინ სხვა პრობლემები გვაღელვებდა, მაგრამ მაინც ერთი უმთავრესი პრობლემა იყო — საქართველოს დამოუკიდებლობა და ბედნიერება.

დღეს, როგორც არასოდეს, უჭირს საქართველოს და საფრთხე ემუქრება მის დამოუკიდებლობას, ვინაიდან მოღალატურმა ხუნტამ განდევნა კანონიერი ხელისუფლება, ხელთ იგდო სადავეები ხელისუფლებისა და დაქცევის პირას მიიყვანა საქართველო; და მაინც ხუნტის ყველაზე უდიდესი დანაშაული ის არის, რისთვისაც მას განსჯის ისტორია და ქართველი ერი, რომ ჩვენი ძირძველი კუთხე — აფხაზეთი, საქართველოს და კოლხეთის განუყოფელი ნაწილი, დღეს იკარგება კომუნისტური ხუნტის მოღალატური, დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად.

მეგობრებო! გუშინ ხუნტამ და რუსეთის ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ სოხუმი საბოლოოდ დაიკარგა, რომ საქართველომ დაიჩოქა და ქართულმა მოსახლეობამ უნდა დატოვოს ვითომდაც

აფხაზეთი. ეს სიცრუეა, სოხუმი არ დაკარგულა, არ დაკარგულა და არც დაიკარგება და ხუნტა დაიკარგება! მე ეს-ეს არის მოვდივარ, მეგობრებო, წინა ხაზიდან, მე შემოვიარე მთლიანად ფრონტი და არის ძალიან... კარგი... მდგომარეობა... და არის ბევრი ისეთი ფაქტორი, რომელიც მოგვიტანს წარმატებებს.

მე მინდა დეტალურად გესაუბროთ. მე მინდა დავიწყო თავიდან. საქართველოში ჩემი ჩამოსვლის პირველივე დღიდან, მართალია, დაგვიანდა ეს ჩამოსვლა, მეგობრებო, ალბათ, თქვენ ყველას გაინტერესებთ, რატომ დაგვიანდა. იმიტომ, რომ მე მქონდა უამრავი დაბრკოლებები და ვერ ვახერხებდი, ფიზიკურად ვერ ვახერხებდი გამოღწევას იმ ქვეყნიდან, რომელიც აგრეთვე თვითონ არის ბლოკადაში მოქცეული. მაგრამ ბოლოს მაინც მივაღწიე, მოვახერხე და დღეს თქვენთანა ვარ, მეგობრებო. პირველივე დღიდან, პირველივე დღიდან, პირველივე მიტინგიდან, რომელიც ჩავატარე ზუგდიდში, მე მოვუწოდებ ხალხს, მე მოუწოდებ ქართველ ერს არ დათმონ აფხაზეთის ძირძველი კუთხე, არ დათმონ მამა-პაპათა საფლავები, გაერთიანედნენ კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების გარშემო და ერთიანი ძალისხმევით დავიბრუნოთ ის, რასაც გვართმევენ მოღალატენი, ჩვენი სამშობლოს გამყიდველები, ჩვენი სამშობლოს მტრებთან ალიანსში მყოფი მოღალატეები.

მეგობრებო! ხუნტა თესავს პანიკას, იგი ცდილობს ჭორებით, ათასგვარი ცრუ ხმების გავრცელებით, დაამახინჯოს ჩვენი პოზიცია აფხაზეთის მიმართ, დაამახინჯოს კანონიერი ხელისუფლების პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ მე პირველსავე მიტინგზე მოვუწოდე მთელს სამეგრელოს და მთელს საქართველოს, რომ დავიცვათ აფხაზეთი და გადავისროლე ძალზე მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები ოჩამჩირის ფრონტზე, რომლებიც მალე გაარღვევენ, კოდორზე გადავლენ და სოხუმში შევლენ მალე, მიუხედავად ყოველივე ამისა, ხუნტა ურცხვად ავრცელებს ჭორებს, ვითომ მე წინააღმდეგი ვარ აფხაზეთში ბრძოლისა და მოვითხოვ ვითომდაც ჯერ თბილისის აღებას. თბილისი უკვე აღებულია, თბილისი უკვე ჩვენია, არასოდეს არ დაიკარგება. ახლა მთავარია აფხაზეთის ფრონტი გავამაგროთ, განვამტკიცოთ და გავარღვიოთ, სადაც საჭიროა და ავიღოთ მთლიანად ინიციატივა მთელი ფრონტის გაყოლებაზე. აი, ამ მიზნით ვარ მე ჩამოსული და ეხლა ბ-ნი ვახტანგ ქობალია იქ იმყოფება, ბატონი გურამ ლაკია, შესანიშნავი სამხედრო სპეციალისტი და სტრატეგი, იქ იმყოფება — ჩვენი შტაბის უფროსი და მალე ეს შტაბი დაიქვემდებარებს ყველა შეიარაღებულ ძალებს, მათ შორის უკანონო ხელისუფლების შეიარაღებულ ძალებსაც. უნდა მოგახსენოთ, და ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა, რომ, მართალია, უკანონო ხელისუფლების ჯარში მსახურობენ, მაგრამ იქ მრავალი კარგი ქართველი აღმოჩნდა და მრავალი პატრიოტი, რომელიც ჩვენ ამოგვიდგება მხარში და რომელიც არ დაემორჩილა ხუნტის ბრძანებას, არ ემორჩილება!!

მოღალატე შევარდნაძემ მოუწოდა ქართულ შეიარაღებულ ძალებს, რომ დატოვონ აფხაზეთი, დატოვონ სოხუმი, დატოვონ ოჩამჩირე და მოუწოდა ქართველ მოსახლეობას, რომ დატოვონ აქაურობა. ვერ ეღირსება ვერასოდეს თავის სიცოცხლეში ამას, ვერასოდეს ვერ ეღირსება. მაგრამ სავალალოდ, მაგობრებო, მან მაინც მიაღწია გარკვეულ წარმატებას იმ მხრივ, რომ სოჭის მოღალატური, კაპიტულანტური ხელშეკრულების დადების შემდეგ, როდესაც მან ხელი მოაწერა აფხაზეთიდან ქართველების გაძევებასა და არძინბას უკანონო ხელისუფლიბის სოხუმში შემოყვანაზე, და რომ ეს ხელშეკრულება დღეს ხორციელდება, აი, ეს არის უდიდესი უბედურება საქართველოში და ჩვენ არ დავუშვებთ ამ მოღალატური, კაპიტულანტური ხელშეკრულების განხორციელებას. მთელი საქართველო ფეხზე დადგება და ხუნტას ჩაქოლავს და აფხაზეთს დაიბრუნებს. ვერ მოესწრებიან გენშერებთან გარიგების შესრულებას, რომლის ძალითაც რუსეთის ჯარი, გერმანიიდან გამოყვანილი, უნდა დასახლდეს სოხუმში, უნდა დასახლდეს შავი ზღვის სანაპიროზე და ქართველები აქედან უნდა გააძევონ. ამას ვერ ეღირსებიან ვერასოდეს, ვერ მოესწრებიან. აი, ამ მიზნით წამოიწყეს ეს პროვოკაციული ომი მოუმზადებლად, ყოველგვარი შემზადების გარეშე, ყოველგვარი სტრატეგიის გარეშე, ყოველგვარი გეგმის გარეშე, ყოველგვარი მომარაგების გარეშე. გაჟლიტეს უამრავი ქართველი, გაანადგურეს ჩვენი გენოფონდი და მიზანი კი თურმე ის ყოფილა, რომ ბოლოს აფხაზეთი უნდა დაეთმოთ და იქ შემოეყვანათ ჯარი, რომელიც გამოდის გერმანიიდან და იქ დაესახლებინათ. აი, ამისთვის იბრძვის ეს, ეს მოღალატე, მაგრამ ვერ ეღირსება. თავისი თვალით ვერ დაინახავს ვერც ეგ და ვერც სხვა მოღალატენი, რომლებიც დღეს შხამს ანთხევენ აი ამ მოწამლული ტელევიზიიდან და ათასგვარ სიცრუეს და სიბილწეს ავრცელებენ. ისინი პასუხს აგენებ ერის წინაშე, კანონის წინაშე უახლოეს ხანში!

მეგობრებო, მათმა ბინძურმა აგიტაციამ გამოიღო ძალზე ცუდი შედეგები, ოჩამჩირეში ქართველობა ტოვებს თავის მშობლიურ სახლებს. ეს ყოვლად დაუშვებელია. არაფერი პანიკისათვის არ

არსებობს საფუძველი, მით უმეტეს გალში. მე მოგიწოდებთ, არავითარი პანიკა არ უნდა იყოს, არ უნდა დავტოვოთ ჩვენი ძირძველი კუთხე. ჩვენ უნდა დავირაზმოთ, უახლოეს ხანში მე გამოვაცხადებ საყოველთაო მობილიზაციას მთელ საქართველოში და ყველგან შევქმნი სამობილიზაციო შტაბებს. გალში იქნება სამობილიზაციო შტაბი. ვაფრთხილებ აქაურ უკანონო ხელისუფლებას, თუ რაიმე დაბრკოლება იქნება კატასტროფულ შედეგებს მოგვიტანს ეს. ასე რომ, მეგობრებო, გთხოვთ, ამოგვიდგეთ მხარში, ყველას, ყველას გთხოვთ, მთელი რაიონის მოსახლეობას, ქალაქის მოსახლეობას; უნდა მოხდეს ერთი რამ: მე ვიცი, რომ აქ გარდა იმისა, რომ არის ჩვენი ბატალიონი, არის სამურზაყანოს ჯგუფი, რომელიც აგრეთვე კარგად იბრძვის დღეს იქ. მოსახლეობას აუცილებლად, თავშემონახულ კარგ ვაჟკაცებს აუცილებლად ექნებათ იარაღი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქმნება სახალხო ლაშქარი. ამ ლაშქარში უნდა შემოვიდეს ყველა, ვინც თავის თავს ქართველად თვლის და ვინც კაცად თვლის, ყველა უნდა შემოვიდეს ამ ლაშქარში და სასურველია, რომ მოხვიდეთ თქვენივე იარაღით. ჩვენ იარაღს კიდევ ვიშოვით, მაგრამ გვჭირდება, თქვენივე იარაღით მოდით, ჩაეწერეთ ლაშქარში, რომელიც დადგება საქართველოს სადარაჯოზე, დადგება ჩვენი ოჯახების სადარაჯოზე, დადგება ჩვენი მშვენიერი კუთხის სადარაჯოზე და ამ ბრძოლას გამარჯვებით მიიყვანს ჩვენი ძლევამოსილი მხედრობის ხელმძღვანელობით.''

როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია და მაინც: **„ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტს მოხერხებულად გამოიყენებენ მაშინ იმპერიალისტური ძალები, ვინაიდან აფხაზეთის ბეღელის — გალის რაიონის სიმდიდრეს დროულად თუ გახიზნავდა ადგილობრივი მკვიდრი, რა დარჩებოდა მათ მადას საკბილო, სამაროდიორო როგორ აუნაზღაურებინა კაცის კვლისთვის გადასახადი გასამრჯელო? ხოდა, იმ წუთამდე გამსახურდიასათვის თავგადაკლული მრევლის ფსიქიკა ასოთხმოცი გრადუსით შემოტრიალდება. იმ წამიდან სამურზაყანოელოებს მის სახელს ვერ გააგონებდით შინ თუ გარეთ! თურმე ეკონომიკაზე ყოფილა რეალური სიმპათია-ანტიპათია დამყნობილი! ყველა სოფელში მოიძვება ასეთი ტლუ და გაუთლელი, კუჭით, ბეღელით რომ ზომავს შვილების მომავალს. ოღონდ თვითონ ხქონდეს დღეს ლუკმა-პური თუთაშხიას მეწისქვილე ბონიასავით და მერე გინდა ქვას უთოვიან!“**

მითხარით, სად არის აქ ავტორის შეფასება პრეზიდენტის მიმართ? სად არის გაანილეზებული □ავად თუ კარგად) მისი ქმედებანი? აქ ხომ თვით ხალხის მოლერწმეობაზეა საუბარი? დიახ, იმ მიტინგამდე გამსახურდიას მომხრე სამურზაყანოელები ხელის ერთი მოსმით გადაემტერებიან ექსპრეზიდენტს და ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მიაყრდნობენ თავს, მაგრამ, როცა გალიდან ხელმეორედ გამობუნძურება მოგვიწევს, ის თავი ლამის არძინბას ჩაუდონ კალთაში და ბატონებო, დიახაც ამისთანა უმსგავსოების წინააღმდეგ ილაშქრებდა „უგურო ფეტელავას'' პერსონა, როცა სანიმუშოდ დარჩელელების კურიოზულ მაგალითს მოიშველიებდა — პროვოკატორების მიერ შავად წარმოჩენილ თეთრს.

ტექნიკური მიზეზებით, მოჩქარეობით, ტექსტის ზერელე გადაკითხვის შემწეობით ჩავვარდნილვარ გულითადი კარის მეზობელი სოფლის ყბაში. მე უნებლიეთ, მოუფიქრებლად მომიხვეჭავს დარჩელელების რისხვა და მათაც სრულიად სამართლიანად უგულოდ მოვუნათლივართ, მიუხედავად იმისა, მშვენივრად უწყიან: გური ოტობაიას შემოქმედების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძარღვი თავად დარჩელია, მისი მკვიდრი ხალხი — გულა კოდუას, ჯოტო ოდიშელიას და თარაშ ბიგვას სახით.

ისე კი „ყლის გამომჭრელ სიძეს'' ვინმე რომ შეხმიანებოდა ამ თვენახევრის მანძილზე, ბურუსი მყისვე გაიფანტებოდა, მუხლმაგარ სოფელსაც დროულად დაუხრიდნენ თავს უნებლიე კალმისმიერი შეცდომის გამო და გულიც ამოცლას გადარჩებოდა.

მე კამეჩი ვუწოდე ჩემს თავს, რომელიც დარჩელისკენ მიზოზინებს დღემოსწრება სამშობლოს სახრის ზუზუნის ხმაზე, ხოდა, სანამ მისგან გადაბრუნებული სიტყვა წამოგეწოდეთ, გულარხეინად იყავით ჩემებურნო!

ერთი აქვს დარდი სამურზაყანოელს
და ისიც — საქართველო

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი ფონდის გენერალური დირექტორი, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემი-

ის აკადემიკოსი, ოთარ ხუფენია ბოლო მოვლენების პირველივე დღეებიდან, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, გვერდში ედგა გალის რაიონიდან დევნილ მოსახლეობას.

ზუგდიდში მას რედაქციის თხოვნით შეხვდა მწერალი გური ოტობაია □ფეტელავა).

— აფხაზეთის პრობლემებზე საუბარი ყველაზე მახლობელი თემატიკით მინდა დავიწყო, ორივესთვის საზიარო სოფლით — ოტობაიათი. საქმე ის გახლავთ, რომ ქართულ პერიოდიკაში უკვე რამდენიმეგზის გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს ოტობაიელები, თუკი მთავრობა არ უზრუნველყოფს მათ სასიცოცხლო პირობებს, თეთრ ბაირაღებს აიღებენ, გადავლენ ენგურს გაღმა და არძინბას რეჟიმს აღიარებენ, ანუ ხაზს გადაუსვამენ ათასობით ნაწამები ადამიანის ხსოვნას, ჩვენს წმიდათა-წმიდა მოვალეობას: ვიდგეთ წარსულის, დღევანდლობისა და მომავლის მეციხოვნეებად.

გაგაცნობთ ციტატებს ქართული პრესიდან:

„თუ სახელმწიფო არ მიხედავს, ოტობაი- ელები აფხაზებს ჩაბარდებიან...

□გეა) თუ საქართველოს მთავრობა უახლოეს დღეებში არ გადაწყვეტს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში განთავსებულ ოტობაიელ დევნილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და მალე დაბრუნების პრობლემას, ისინი აპირებენ თეთრი დროშებით გადასვლას და სეპარატისტული რეჟიმის აღიარებს.

ორსანტიაში განთავსებულ დევნილთა უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ ამძაფრებს მათი უკიდურესად მწვავე საყოფაცხოვრებო პირობები. ასევე, საკვები პროდუქტის უკმარისობა. მთავრობისგან დაპირების გარდა, ქმედითი დახმარება ჯერჯერობით არ ჩანს“. ,,დილის გაზეთი'', №133, 17.06.98.

ქართული პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი ამასაც არ გვაკმარებს. ახლახან ,,კვირის პალიტრა'' შემოგვთავაზებს ფრიად დამაფიქრებელ მოსაზრებას:

„აფხაზეთის მთავრობა მოვიდეს და
ჩემთან დაწვეს კარავში...

... ზამთრამდე აქ, ამ კარვებში ვიქნებით. ზამთრამდე ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს საქმეს და ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ ჩვენს ადგილ-მამულს დავუბრუნდეთ. ჩვენი წინაპრების საფლავს არ მივატოვებთ, რაც არ უნდა მოხდეს, მაგრამ დავბრუნდებით არა ისე, როგორც საქართველოს ხელისუფლებას სურს, არამედ როგორც ხალხს უნდა. კერძოდ, ჩვენმა მთავრობამ აიძულა ხალხი, ასე მოიქცეს. ხალხი, ალბათ, ზურგს შეაქცევს დღევანდელ ხელისუფლებას და იქითა მხარეს გადავა...

ჩავეწერებით მეგრელებად და არა აფხაზებად... იქ უკვე ჩვენ ვიცით, როგორ ვიბრძოლებთ, მაგრამ ჩვენი წასვლით ხელისუფლება 2 მილიონ ადამიანს კარგავს... მერე შეიძლება მოღალატეებიც დაგვიძახონ, მაგრამ გაიხსენონ ,,ეროვნული'' მოწმობები, რომელიც დაგვირიგეს ქართული და აფხაზური წარწერით, სადაც ეროვნება საერთოდ არ არის მითითებული. გეთანხმებით, შეიძლება ჩვენი გადასვლის შემდეგ იგივე დატრიალდეს, ისევ დავიხოცოთ, მაგრამ 10 კაცი ხომ დარჩება, ისედაც იმ 10 კაცისთვის ვიბრძოდით. ხელისუფლებამ იცოდეს, რომ ტყუილს წერტილი დაესვა და ასე არ გაგრძელდება.'' ,,კვირის პალიტრა'', № 25, 22-25, 06, 98 წ.

ჩემი შეკითხვა, ოთარ, ობიექტური რეალობიდან ამოდის: რა ქნას სამურზაყანოს დევნილმა მოსახლეობამ? არძინბას რეჟიმი დაუნდობელი სიკვდილით უსწორდება განურჩევლად ასაკისა და სქესისა, ხოლო საქართველოს ხელისუფლება სათანადო საარსებო პირობებს ვერ უქმნის. როგორია თქვენი შეხედულებანი და კომენტარები? თანაც, თუ ღმერთი გწამთ, რაც შეიძლება მეტი კონკრეტულობით.

— შენს ვრცელ შეკითხვაში, გური, ჯიმა, არსებითად სამი ქვეკითხვაა. ვეცდები მოკლედ გავცე მათ პასუხი. პირველი: რატომ მაინცდამაინც ოტობაია? ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს ,,გეას'' კორესპონდენტი იტყვის ამას, ,,კვირის პალიტრისა,'' თუ ,,თეასი.'' ჩემთვის მთავარია, რატომ აირჩიეს მაინცდამიანც ოტობაია? ჩემი ულრმესი რწმენით, ე.წ. 12-კილომეტრიან ზოლში ქართული ხერხემალი სწორედ რომ ოტობაიაა. ,,გეას'' კორესპონდენტმა ნებსით თუ უნებლიეთ მტრის წისქვილზე დაასხა წყალი.

კერძოდ, თუ მოღალატეობას ოტობაიელებს დააბრალებდა, ამით ის, ფაქტობრივად, მთელი კუთხის გამცემლობას, მთელი სამურზაყანოს განდგომას ადასტურებდა. ეს ერთი. მეორეც, ამ ზოლში ყველაზე მდიდარი და ძლიერი დიახაც ოტობაიაა და არა მარტო ეკონომიკურად. მე ასე მეჩ-

ვენება — მტრის მიზანიც ეს იყო. მარტივად რომ ვთქვად, თუ ოტობაიელი ასე ფიქრობს, ადვილი დასაჯერებელია, რომ გაგიდელი, ფიჩორელი და ბარღებელიც ამგვარად იფიქრებდა. მეც მომისმენია ,,გეას'' კორესპონდენტივით ასეთი საუბარი ერთი ქალბატონისაგან, პირველმთქმელისაგან, რომელიც ხატი, რჯული, ოტობაიელი არ არის, არამედ უკანასკნელ ხანს ოტობაიაში ჩამოსახლებული კაცის რძალია მხოლოდ და მხოლოდ. რაოდენ სამძიმოც უნდა იყოს ჩემგან, მე მაინც მგონია, რომ ეს ქალბატონი ჩვენი მტრის დაწერილ ტექსტს კითხულობს მეგრულ ენაზე და მეტი არაფერი.

სულ სხვა, არანაკლებ საშიშ ტენდენციასთან გვაქვს საქმე ,,კვირის პალიტრის'' პუბლიკაციაში. ჯერ ერთი, საქართველოსთვის სამურზაყანოელების ,,გამეგრელება'' აფხაზურ სეპარატიზმზე ნაკლები სულაც არ არის, იქნებ მეტიც. თანაც, ჩემთვის გაუგებარია,რომელი წყაროებიდან მოაქვს კორესპონდენტს მეგრელების რაოდენობა — 2 მილიონი. ამასწინანდელი სტატისტიკით ძლივს 600 ათასი ვყოფილვართ. ახლა მეგრული, კუთხური სეპარატიზმის აგორებაღა გვაკლია. ჩვენი ჟურნალისტების პატრიოტობაში ეჭვის შეტანა მკრეხელობაა, მაგრამ ისიც გვსმენია... ,,ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო''.

ოტობაიელი საქართველოს მზეს ფიცულობდა, ფიცულობს და დაიფიცებს მოვალშიც. ოტობაიელს ერთი აქვს დარდი და ისიც — საქართველო, თუმცა, თურმე ძალიან ადვილი ყოფილა გაჭირვებული ადამიანის ფსიქოლოგიაზე იმუშაო, ისე, რომ მას შენთვის სასურველი აზრი წამოაცდენინო. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, სახლკარმიტოვებული, ენგურს გამოღმა გადმოსული, ბეტონის იატაკზე მწოლიარე დედა ან ბებია, რომელთაც არ იციან, ხვალ როგორ გაუთენდებათ... ამ დროს მათთან მიდის საკმაოდ კარგად მომზადებული პროვოკატორი, არ მეშინია ამისი თქმისა, მტრის ხატს რომ მოუძებნის, ხატს არა ზოგადს, არამედ სახელდებულს, გვარ-სახელით მოხსენიებულს და მეტადრე ქვეყნის ხელმძღვანელს. ბუნებრივია, თითო-ოროლას, შეიძლება მეტსაც, თანხმობის თუ წყრომის ნიშნად თავის კანტურიც აუტყდეს, თავის ლექსიკონიდან მწარე სიტყვები ამოქექოს, მაგრამ განა ცოტა ვიცით მშობელი, რომელსაც შვილის ამა თუ იმ მოქმედებით უკმაყოფილოს, წყევლა-კრულვა წამოცდენია? ცოტა ხანი რომ გაივლის, ცოტათი რომ დაცხრება ვნებათა ღელვა, განა თავად მშობელს არ უნანია მემკვიდრის წყევლის გამო? ხოდა, იმას ვამბობ, ადვილია გაჭირვებული ხალხის გრძნობებზე თამაში. გაცილებით რთული სასოწარკვეთილისთვის ნუგეშის ცემაა. ეს ძნელი იმიტომ არის, რომ მათსავით უნდა გტკიოდეს, მათსავით უნდა გაწვალებდეს კითხვა: როგორ იქნება ხვალ? მივუბრუნდებით თუ არა ჩვენს საძვალეებს? მიუვალთ თუ არა წინაპართა სასაფლაოებს? დავიმარხებით თუ არა მათ გვერდით თუ... ჩვენივე ხელით მოვხნავთ არძინბას გულის ასაჩვილებლად თეთრ ბაირაღებს ადევნებულნი?

— ახლა ამბობ ასე, თუ იქაც იგივეს იმეორებდი, ოტობაიელებთან, ხიდზე, ფერმასთან, ორსანტიის სკოლაში?

— რასაკვირველია ეს რწმენა, კრედო, ჩემი ერთადერთი იარაღი იყო ამ ადამიანებთან საუბრისას. მეტსაც გეტყვი, მრავალი ჩემი თანასოფლელის თანდასწრებით, როდესაც ამისთანა ქალბატონს თუ ვაჟბატონს მივმართე: ჯერ თქვენ ბრძანეთ, მერე მეც ვიტყვი ჩემსას და ვნახოთ, ვის დაუჯერებენ ოტობაიელები: მე, კაცს, რომელიც 29 წელიწადია სოფლიდან წასულა, თუ თქვენ, ორი-სამი წელიწადია ტრიალებთ მათთან, დამერწმუნებით, ყველა ჩემს გვერდით დადგება-მეთქი, რომ განვაცხადო?! საბუთად, ჩემთვის საყვარელი კერძით, ხოზო კვერებით და ოტობაიას მიწაში სამი წლით ნამარხი ხილის არყით გამიმასპინძლდნენ. ესაა ჩემი პასუხი ,,გეას'', ,,კვირის პალიტრის'' კორესპონდენტების, თუ ზოგიერთი სულმოკლესადმი.

ახლა ბოლო და ყველაზე მძიმე ნაწილი შენი კითხვისა, გური, ჯიმა: აკეთებს კი დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს, რაც მას ევალება და შეუძლია?

აფხაზი სეპარატისტები, მოგეცა ლხენა, ჩინებულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას: კლავენ, წვავენ, ანადგურებენ აბორიგენ მოსახლეობას, თანაც, ვითომ ხალხის ,,თავისუფლებისათვის'' იბრძვიან ფართო საზოგადოებრიობის თვალში; და, მეორე — საქართველოს პრეზიდენტი მთელი გუნდით ისევ სამშვიდობო გზებს ეძებს, ისევ ცივილური ურთიერთობების სჯერა, ისევ ქართველთა და აფხაზთა მიერ ერთად გადახდილი ქორწილები და ქელეხები, ადათ-წესი ეიმედება, თანაცხოვრების გარდუვალობისა სწამს და თავისი მწირი ბიუჯეტიდან ლუკმა-პურის მიწოდებას ცდილობს თანამოძმეთათვის.

— მე კონკრეტულს გეკითხები, რატომ ვუშვებთ სასაკლაოზე სამურზაყანოელებს-მეთქი, თუკი მათი სიცოცხლის გარანტიები ყინულს აწერია, ან სანამ მშვიდობიანი მოლაპარაკებით □ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებამდე), ვცდილობთ იძულებით ადგილნაცვალთა დაბრუნებას, რატომ ვერ ხერხდება ჩვენს მიწა-წყალზე მათი დაფუძნება?

— ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, არძინბა დღესვე თანახმაა დააბრუნოს გალის რაიონის

ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში მოსახლეობა, მაგრამ მისი მიზანი სავსებით ნათელია. ვინც იცის, ე.წ. 12-კილომეტრიანი ზოლი, მისი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ თვეებში უნდა მოიწიოს მოსახლეობამ, თხილი იქნება ეს, სიმინდის მარცვალი თუ ციტრუსი. მათ მუქთა მუშახელი ესაჭიროებათ ამ ზონაში თავიანთი მაროდიორებისა და ზოგიერთი გონებადაბინდული ვამპირი თანამზრახველის თუ თვისტომის შეპირებული გასამრჯელოს გასანაღდებლად.

— სხვათა შორის, ამბობენ, მარტივი გაანგარიშებით, გალის რაიონიდან მეორე გამოძევების შემდეგ კაზაკებმა თუ სხვა ეროვნების ,,ბოევიკებმა'' დაახლოებით 50 მილიონი დოლარის სიმდიდრე გაიტანეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სახითო.

— მართალსაც ბრძანებენ. ენგურის ხიდზე, ჩემმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა, როცა მას ამის თაობაზე ველაპარაკებოდი, ამგვარად მითხრა: შვილო, ოთარ, ოტობაიელები არძინბას თხილის მკრეფავებად ვერ გამოვადგებითო. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

— ესე იგი, გამოდის, რომ ჩვენი სამურზაყანოელი მოსახლეობა არძინბას რეჟიმის მომმარაგებლად გაგვიმეტებია წინა სამ წელიწადს.

— ძალიან სერიოზული თემაა. საქართველოს ხელისუფლებას უსაფრთხოების არანაირი გარანტია მიუცია ჩემი ოტობაიელებისთვის თუ სხვათათვის; ვერც მისცემდა, მაგრამ ხალხი მაინც გადავიდა და ამაში მათ ვერ გაამტყუნებ. სამიოდე წელიწადში ისევ ააყვავეს გადაბუგული და გადამწვარი ოტობაია, ნაბაკევი, ფიჩორი, გაგიდა, სიდა, თაგილონი, ბარღები და ასე შემდეგ. დღეს იქ რაც მოხდა ლოგიკური შედეგია ჩვენი არჩეული კურსისა, მოსალოდნელი და მაინც რაღაცნაირად გამართლებული. ვინც ენგურის მარცხენა ნაპირიდან უყურებდა, თუ როგორ იბუგებოდა ენგურის მარჯვენა სანაპირო, ელექტრონის ბოძებისა და ასწლოვანი ჭადრების კენწეროებით რომ მარჩიელობდნენ, ვისი, რომელი მეზობლის სახლი იწვოდა და აქვე, რომ უთხრათ მათ: ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა ერთადერთი მართებულიაო, არ გერწმუნებიან. ვფიქრობ, ამიტომაც ფრთხილობს საქართველოს ხელისუფლება, როცა არ ეთანხმება არძინბას და მისი უფროსი ძმების ცბიერ განცხადებას: მობრძანდით, ბატონებო, გალში, იცხოვრეთ მშვიდობიანად და იმუშავეთო. სხვათა შორის, არძინბა ძალიან ,,ზრუნავს'' ზუგდიდის ბაზარზე და იცით რატომ? 21 მაისიდან დღემდე ზუგდიდის ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 40-50 პროცენტით გაძვირდა, ხოლო, როგორც ამბობენ, სოხუმსა და გუდაუთაში, პირიქით, ორჯერ გაიაფდა...

ოტობაია ფორპოსტად თუ გამოადგება საქართველოს ხევსურეთზე შექმნილი ლექსისამებრ: ოტობაიელს ერთი აქვს დარდი და ისიც— საქართველო. მოკლედ, ყველა თავის ადგილას რომ იყოს, ყველამ თავისი საქმე პირნათლად რომ აკეთოს, როგორც მაგალითად, ბატონი ბაკურ გულუა, მაშინ ამ ხალხის ყოფაც უფრო გასაძლისი გახდებოდა და, სხვათა შორის, არა მარტო სამეგრელოში, არამედ — სრულიად საქართველოში.

— თქვენი პასუხიდან გამომდინარე, არძინბას ხელისუფლებას სამურზაყანოელები მუშა ჭიანჭველებად ნდომებია იქნებ დადგა დრო, ეს მოსახლეობა ჩვენს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიებზე დავამკვიდროთ, დავაბინაოთ?! რაა მთავარი, მიწა თუ ადამიანი?

— გეთანხმებით. ეს დროც დადგა. უფრო მეტიც, ზოგიერთი კონკრეტული ნაბიჯიც ამისი დასტურია, როდესაც აფხაზეთიდან წამოსული მოსახლეობა ფუძნდება საქართველოს სხვა ქალაქსა და რაიონში. მე რამდენიმე პროექტს ვიცნობ, რომელიც ახლა ხორციელდება და რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დასაქმებას იმერეთში, კერძოდ, წყალტუბოშია ეს, ქართლში, კახეთსა თუ სამცხე-ჯავახეთში, მაგრამ გეთანხმები იმაშიც, რომ ეს შეიძლება უფრო ადრეც და უფრო წარმატებითაც გაკეთებულიყო. მე ზოგი ჩინოსანისაგან გამიგია, რომ თუ მიწაწყალს გამოვუყოფთ აფხაზეთიდან დევნილებს, ისინი უკან არ დაბრუნდებიანო. ეს საშინელი შეცდომა იყო, და ემყარება იმას, რომ ამ ადამიანებმა არ იციან სოხუმელთა, გაგრელთა, გულრიფშელთა, ოჩამჩირელთა თუ გალელთა თავიანთ საძვალეებისადმი ტკივილამდე მისული სიყვარული.

მარტივ მაგალითს გეტყვით. აფხაზეთიდან წამოსული არაერთი ადამიანი ვიცი, სხვათა შორის, ვინც ფეხი მოიკიდა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, თელავსა თუ სხვაგან, მაგრამ ისინი სამურზაყანოს მიწაზე იმარხებიან დღემდე მოღერებული ავტომატის ლულის ქვეშ, ან, უკეთეს შემთხვევაში, ოდიშის მიწაზე, დროებით სასაფლაოზე, იმის რწმენით, რომ ხვალ თუ ზეგ მაინც მამაპაპისეულ საფლავზე მიუჩენენ კუთვნილ ალაგს. ამიტომ მიმაჩნია — საქართველომ ყოველი თეთრი უნდა მოიძიოს იმისთვის, რომ ენგურს გამოღმა გამორეკილმა მოსახლეობამ სხვისი, თუნდაც საკუთარი ხელისუფლების მოიმედეობით არ იცხოვროს, არამედ თავისი შრომითა და გარჯით მოიპოვოს სარჩოსაბადებელი. ბოლოს და ბოლოს, როცა ისინი უკან მიბრუნდებიან, სრულიად საქართველოს საკუთრება არ იქნება მათი ხელით აყვავებული ბაღ-ვენახები?

— რამდენადაც ვიცი, 19 მაისიდან სამეგრელოში იმყოფები. თვენახევრის, ამ ორმოციოდე დღის მანძილზე, მხოლოდ ორად ორი დღე-ღამე დახყავი თბილისში. ჟურნალისტები მეყსეულად გაეცნობიან ხოლმე სიტუაციას, ზოგი გამბედავი გარისკავს ხოლმე ,,მკვდარ სოფელში'' შესვლას 3-4 საათით, და გულშიჩამწვდომ წერილსაც შამოგვთავაზებს, მაგრამ თქვენ, როგორც დღევანდელი სადადიანოს სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაში მოხარშული, რას გვეტყვით არსებულ სიტუაციაზე, მის მომწესრიგებელ ადამიანებზე? მართვადია იგი თუ თვითდინებასაა მიშვებული? იქ პრემიერსაც ვხედავთ ხოლმე, მინისტრებსაც, გუბერნატორი და გამგებელ-მერები ხომ არიან და არიან.

— დავაზუსტოთ, მე სამეგრელოში ჩავედი 21 მაისს, დილით, გამთენიისას. ჩვენს მტერსა და მაწყევარს, რაც იქ მე დამიხვდა — ათასობით ადამიანი, გამოღწეული ენგურიდან, მოსული ზუგდიდს, როგორც ერთადერთ იმედთან.

პატარა ლირიკული გადახვევა: ჩემი მამის შვილმა ცოტა რამ ვიცი ისტორიიდან, მაგრამ ამ დღეების ზუგდიდს ანალოგი ვერ ვუპოვე. უმარტივესი არითმეტიკა: ერთ ზუგდიდელზე ერთი ლტოლვილი მოდიოდა და აფერუმ თქვენ, მართლა ზურგდიდელებო, მართლა ზურგით და ხელით რომ ატარეთ ათასობით მშიერი და მწყურვალი, გრძნობა და გონება დაკარგული. მე მომსწრე ვარ იმისა, თუ როგორ ეძებდნენ ზუგდიდელები დევნილთა თავშესაფარს, როცა საკუთარ ოჯახში ფართი არ ხყოფნიდათ. მე ბევრი დირექტორის სახე მახსოვს, ვინც მამაჩემივით თვალისჩინივით უვლის სკოლას და, როცა საჭიროებამ მოითხოვა, გულღიად გაუღეს კარები დევნილებს. დაახვედრეს კი ბევრი ვერაფერი. სამოწაფეო მერხები და დაფები. სხვათა შორის, ცარციც არ იყო საკმარისი, რომ იმ დაფებზე საკლასო ოთახებში მცხოვრებ დევნილთა გვარ-სახელები მიგვეწერა. სკოლები რომ არ ეყოთ, ზუგდიდელებმა ბაგა-ბაღების კარები გახსნეს. არც ამან იკმარა. ორმოციათას ადამიანს ეხუმრები? ბოლოს დარჩა ჩაის ფაბრიკები და მეცხოველეობის ფერმები... სამურზაყანოდან გამოსულთ მეცხოველეობის ფერმებშიც არ ეყოთ ადგილი და ასობით ადამიანი ოტობაიაორსანტიას ჩანგრეულ ხიდქვეშ ათენებდა ღამეებს. იქ, იმ დღეებში, იმ განუმეორებელ წამებსა და წუთებში დაიბადა უმშენიერესი ლეგენდა გალელების და ზუგდიდელების უძლეველი სიყვარულის თაობაზე. მე მინახავს სახლიდან გამოტანილი ქვეშაგებ-ლეიბი, უბრალო ჭიქა და თიხის დოქი, სამეგრელოს ჭის წყლით სავსე. ეს არის საქართველოს ერთიანობისა და უკვდავების ულამაზესი ლეგენდა...

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა ზუგდიდელს. ტრადიციულად ოდიშელები და სამურზაყანოელები ხომ ყოველთვის პირველობისთვის იკლავდნენ თავს, ვერ გაეყოთ დიდი სადადიანო ენგურს გაღმა-გამოღმა, მაგრამ საერთო მტერთან ჭიდილმა გააერთიანა ისინი და ახლა საკამათო არაფერი აქვთ.

— ბატონ ბაკურ გულუას მამულიშვილობა საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ ამ გაგანია ზაფხულში საკუთარი ინიციატივით სოფლის მეურნეობის პრობლემების მიტოვება რამდენად გამართლებულია?

— მე შევეცადე საერთო განწყობილება მეჩვენებინა. რაც შეეხება კონკრეტულ პიროვნებებს, აქ უამრავი გვარ-სახელია, რომელთაც უეჭველი პატივი ეგების, მაგრამ ყველაფერში არსებობს მეტნაკლებობა. ამ პრინციპით, გამორჩეულთა შორის გამორჩეული უცილობლად ბატონი ბაკურ გულუაა, ერთი წუთითაც რომ არ მოსცილებია საერთო გასაჭირს. დააკლდა რამე უმისობით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს?! რასაკვირველია, მაგრამ შეემატა, ბევრი შეემატა მისი ყოფნით საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე შეჭირვებულ კუთხეს და საბოლოოდ შესაკრებთა ადგილის შეცვლით ჯამი არ შეცვლილა. აქვე, ალბათ, ვერასდროს გადაიხდიან სამურზაყანოელები ბატონების თენგიზ გაზდელიანის, ავთანდილ ჯორბენაძის, ვალერი ვაშაკიძის, ფრიდონ ინჯიას, ალეკო ჟვანიასა და სხვათა ღვაწლსა და ამაგს. ფასდაუდებელია აგრეთვე ბატონების ვაჟა ფიფიას, ორსანტიის გამგებლის მურმან ხაზალიას და სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ხელმძღვანელის ავთანდილ ცქვიტაიას საქმიანობა.

— სხვას რას გვეტყვით იმედისმომცემს?

— არძინბამ მისი რეჟიმისთვის საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა სამკვდროსასიცოცხლოდ გადაიმტერა სამურზაყანო. სწორედ ასე ვხედავ მე 24-25 მაისს ენგურს გაღმა აბოლებულ სახლებს. ეს არძინბას რეჟიმის დასასრულის დაჩქარებული დასაწყისია. სანამ აფხაზეთის ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმი მძვინვარებს, პარტიზანულ მოძრაობას წინ ვერანაირი ძალა აღუდგება. აქ ახალი არაფერია. ისტორიაში ვერ იპოვით მაგალითს იმისას, რომ ომს თან არ ახლდეს პარტიზანული მოძრაობა.

— ეს დღეები რეგიონის მწერალთა ორგანიზაციის მესვეურმა შუკო ჯიქიამ და მე ენგურისპირა

თითქმის ყველა სოფელი შემოვიარეთ. სამურზაყანოდან ხელმეორედ დევნილთა სავალალო მდგომარეობის თაობაზე ქართული პრესა წერს მეტნაკლებად და აქ ორიგინალობა უადგილოდ მიმაჩნია, მაგრამ ერთი ფაქტის გამოყოფა უთუოდ ღირს. სოფელ შამგონისკენ მიმავლებმა, თავადაც უწყი, ფირმა ,,ლაბინირთის'' ხალხი როგორ მივაცილეთ საჯვაროსთან — მისი კომერციული დირექტორი თამაზ ბასილაია, მოადგილე გელა გაბელია და სხვანი. დაბა ჯვარში გადმოსულთათვის ჩამოეტანათ თითო ტონა პურის ფქვილი და შაქარი, 200 ლიტრი ზეთი, 120 კოლოფი მაკარონი, კარაქი ყუთებით, დაფასოებული ნამცხვარი, ტკბილეული, სხვადასხვა ზომის 50 წყვილი ბოტასი, ჯინსის შარვლები, პერანგები. თქვენ, როგორც მოვლენების უშუალო მონაწილეს, ალბათ, მეტი ინფორმაცია გაქვთ არასამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობაზე ლტოლვილი სამურზაყანოელების დახმარების თვალსაზრისით.

— დიდი მადლობა ფირმა ,,ლაბირინთს'' და მრავალ ასეთ ორგანიზაციას, რომლებმაც უანგარო დახმარების ხელი გაუწოდეს დევნილ თვისტომს. იშვიათად დარჩენილა საქართველოს ქალაქი და რაიონი, რომლებიც რამდენჯერმე არ ჩამოსულიყვნენ ზუგდიდს. სულის შემძვრელი გახლდათ ხელის გასამართად ცხინვალელი ლტოლვილების გამოჩენა სადადიანოში. ეს პროცესი დღემდე გრძელდება და მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ მთავარი აქ მარტო მატერიალური დახმარება როდია, იქნებ უფრო მნიშვნელოვანი მორალურ-ფსიქოლოგიური თანადგომაა.

— მაინც რა თანხაა საჭირო სამურზაყანოელებისთვის მინიმალური პირობების შესაქმნელად დღე-ღამეში?

— საშუალოდ ორ-ორი ლარიც რომ ვიანგარიშოთ, დღე-ღამეში ასი ათასი ლარი მაინცაა აუცილებელი. ამას დავუმატოთ ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად გაწეული თუ გასაწევი ხარჯები, რომელიც ერთიორად აღემატება დასახელებულ ციფრს და მივხვდებით, სიტუაცია სერიოზულია, საქმე გვაქვს მილიონებთან. შეიძლება ვიღაცამ თქვას, კი მაგრამ აფხაზეთიდან პირველი გამოდევნის პირობებში ჩვენ ხომ ფაქტობრივად მოსახლეობის მთელ მოცულობასთან გვქონდა საქმეო, რომელსაც მერე და მერე გამოაკლდნენ სამურზაყანოელები, გალის რაიონში სიცოცხლის რისკის ფასად შესული 45 ათასი ადამიანიო. როგორ ვახერხებდით მაშინ მათ შენახვას და რატომ გვიმძიმს დღეს იგივე პრობლემის მოგვარებაო?!

მე ის წლები კარგად მახსოვს, ამიტომაც პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ მაშინ სახელმწიფო სამურზაყნოელებს ამ დონეზე ნამდვილად არ დახმარებია. თუ თავი გაიტანა ამ ხალხმა, მხოლოდ იმით, რომ მათ გარკვეული დანაზოგი გააჩნდათ. დღეს კი სიტუაცია სხვანაირია; დღეს გალიდან ლტოლვილ მოსახლეობას პრაქტიკულად დანაზოგი არანაირი გააჩნია, რაც მაშინ გადმოიტანეს, ისევ უკან მიაბრუნეს. ამიტომაც ამჯერად სახელმწიფო გაცილებით მეტად ეხმარება ამ ადამიანებს. რაც შეეხება ჩემსა და შენ ოტობაიას, რომელსაც საუბრის დასაწყისში საქართველოს ფორპოსტი ვუწოდეთ, ერთი აქვს დარდი მავანთა ჯინაზე და ისიც — საქართველო!

29. 06. 98.

იმედი ყველაზე ბოლოს კვდება

ქართული მწერლობა ჯვარცმული სამურზაყანოელების გვერდითაა, უფრო ზუსტად კი ჩვენი სიტყვიერება ერის სულიერი მოძღვრის, მესიის, მიზეზთა გამო დაკარგულ ოდინედელ ფუნქციას დღითი დღე იბრუნებს.

მაჩაბლის ქუჩაზე მწერალთა კავშირის თეთრპერანგიანი შენობა რომ დაცხრილეს ოთხმოცდაათიანი წლების ბერბიჭაშვილებმა, მაშინ ჩაეცა ლახვარი კაკალ გულშიც საქართველოს მონოლითურობას.

არადა, იცოდნენ ჩვენი ერთიანობის ძალა ,,ცხრა აპრილებით'', ,,რეფერენდუმებით'', ,,ოცდაექვსი მაისებით''.

მოხდა ატომგულის გახლეჩაზე უსაშინლესი განცალკევება ქართული სულიერებისა. დაიყო სამშობლო შუკებად, თემშარებად, უბნებად, სოფლებად, რაიონებად და ქალაქებად. დანაწევრების ეს დამანგრეველი ფორმა არ იკმარა დრაკონის უძღებმა მადამ და გავიხლიჩენით სოციალური, პროფესიული ნიშნით: ინტელიგენცია, მუშათა კლასი, გლეხობა. იმდენად შემმუსვრელი აღმოჩნდა ,,დავიდე ეტ იმპერას'' იმპერიალისტური გესლი, რომ დღემდე ვერ მოხერხებულა იმ ჯოჯოხეთური

აურაცხელი ნაპრალის, იმ საშინელი უფსკრულების ამოვსება ჩვეული აღმსარებლობით, პატრიოტული მიმტევებლობით, ,,გიჟ-ვრაცუული'' ტოლერანტობით. ჯიუტი ყოჩებივით არ ვთმობთ ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეულ ,,უცდომელ'' პოზიციას და ურმის გადაბრუნების შემდეგაც ვერ გაგვიცნობიერებია ჩვენი საყოველთაო დაქცევისა და გაუბედურების უმთავრესი მიზეზი — გათიშულობა, დათითოვება, დაკენტება, ნებისმიერი დუშმანის შემმუსვრელი ერთიანობისა და ურთიერთთანადგომის ნაცვლად.

დაიწვა წიგნები ვერეს ბაღში. მათი ფერფლიდან აღდგენა უკვე არანაირ ჯადოქარს ძალუძს, მაგრამ მომავალი მკაცრი მსაჯულია და ამდენ შეცდომას ნამდვილად არ გვაპატიებს. მომავალი გულთამხილავის ბაგედადუმებული დღევანდელობით აისბერგულად გვიხატავს მერმისის კონტურებს — ქარაგმულად გვიცხადებს ეჭვმიუტანელ რეალობას, რომ სამურზაყანოს არსებული ვითარება ხვალ-ზეგ შეიძლება სრულიად სქართველოს მასშტაბისა შეიქმნას — ,,თბილისს ერევნად გადაგვიქცევენ'' და მაშინ ქვეყნის ფიზიკური ყოფნის შენარჩუნებას, ვინ იცის, მერამდენედ შეეწირება საქართველოს ესოდენ ნანატრი ეფემერული თავისუფლება.

ერთი ბელეტრისტის ტრიბუნა ,,ოდოიათი'' ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ მოვითხოვდი ქართული მწერლობის გამთლიანებას სამშობლოს სახელით. ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილ თანამოკალმეებს მუხლმოყრილი ვეაჯებოდი ერთ პლატფორმაზე დადგომას, ქრისტესმიერ მიტევებას, ავადსახსენებელი ერთადერთობის ჩაკვლას სულში, კონფრონტაციის მაგივრად თანამშრომლობის გაუპირატესოებას, უთანხმოების ნაცვლად კონსენსუსის წინწამოწევას, დაპირისპირების წილ ურთიერთპატივისცემის გზაზე დადგომას ჩვენი იავარქმნილი მამულის სასიკეთოდ — შეუთავსებელთა შეთავსებას, მაგრამ ეს პროცესი არათუ ჩემმა მეცადინეობამ, თვით შეუდარებელი პატრიოტის, გია აბესაძის შუარუსთაველზე ბენზინით აბრიალებამაც ვერ დაძრა ადგილიდან; თუმცა ყველაფერი სასრულია, გენბავთ შეუდარებელი ქართული ყოჩომანია და ჟურნალისტთა ფედერაციაში ბატონ ბაკურ გულუას თაოსნობით გაჩაღებული ეროვნული თანხმობის დარბაზის პერიპეტიები ამ სულიერი მოთხოვნილების უცილობელ გამოძახილად წარმომესახება ჰოდა, დარწმუნებული ვარ სანამ ქართული მწერლობა თავის უმრწემეს ამპლუაში არ აღსდგება, სანამ თუნდაც მცირე ჯგუფი ჩვენი სიტყვიერებისა, გნებავთ ,,მარტი-92''-ის სახით, განზე მაცქერლობს და ქართლოსიანთა სულის უმთავრეს საკურთხეველს არ მობრუნებია — აღორძინება, წინსვლა, წარმატება არ გვიწერია პოზიტიური მიმართულებით და აი, რატომ:

საქართველოს გადარჩენის თილისმა არასდროს ყოფილა მაინცდამაინც ქრესტეს მოძღვრება, ვინაიდან ჩვენი ბარი თუ მთიანეთი პირჯვარის გარდასახვის შემდეგ ვარსკვლავებით მოჭედილი ცისკენ გააპარებდა ხოლმე მზერას მალულად და ამით ყველაფერი იყო ნათქვამი;

საქართველოს გადარჩენის ავგაროზი არას- დროს ყოფილა მაინცდამაინც ჯვარსმიმსგავსებული სატევარი, მახვილი, ორლესული თუ ,,რკინის გული'' ხისაბჯროსანი ვაჟკაცისათვის, არამედ მისი უძლეველობის საიდუმლო ჩაკირული გახლდათ ეჭვმიუტანელ ერთადრთ კრიტერიუმში, ერთადერთ უსიკვდილო ფენომენში — **სიტყვაში**, რომელიც დასაბამიდან სუფევდა, და რომელიც იგივე ღმერთია იოანესეული სახარ- ების დაჟინებული რწმუნებით.

დიახ, ბატონებო, სიტყვა, იგივე გონიერება იცავდა ქართლოსიანთა უკვდავების ქვაკუთხედს და როდესაც ჩვენი ქედუხრელობის ჯადო-თილისმა გახლიჩა ჭკვიანმა მტერმა, საყოველთაო დაცემამაც არ დააყოვნა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, გასაგებია, ჩემი მარათონული მეცადინეობა სიტყვის მსახურთა შერიგების გზაზე.

ყოველი წინსვლა და წარმატება საქართველოში სიტყვის გამთლიანებამდე ფუჭია, უდღეური.

ერის სულიერი წონასწორობა ქართული სიტყვიერების შედეგებით უნდა აღდგეს!

ქართული მწერლობა ერის სატკივრების სადარაჯოზე რომ იყრის თავს დღითი დღე, ბოლოდროინდელი მოვლენებიც ხატოვნად მოწმობს.

რეორგანიზაცია განიცადა მოუქნელმა, ბიუროკრატიულმა სტრუქტურამ; მწერალთა ერთობას საფუძვლად დაედო პრინციპი: ,,კეისარს — კეისრისა და ღმერთს — ღმრთისა''.

მარტო ქართველ მწერალთა და მეწარმეთა ამასწინანდელი თავყრილობა რად ღირს, სადაც უამრავი კონკრეტული ღონისძიება დაისახა უცხო ხელის მიერ კუდის რიკამდე გაძვალტყავებული ჩვენი ეკონომიკის ასაღორძინებალად. ახლა კი, აგერ, ქართველი მესიტყვენი ჯვარცმული სამურზაყანოელების გვერდით არიან. ოტობაიაწართმეული და მამის საფლავწაგლეჯილი დევრიში, ეს დღეები მაინც თავაწეული დავიარები, ვინაიდანაც სიტყვის ქურუმთა თანადგომამ წელში გამართა ჩემი ხალხი, მომავლის იმედი ჩაუსახა.

საქმე ის გახლავთ, რომ პარასკევს, 3 ივლისს, მწერალთა კავშირისა და გლდანის რაიონის გამგეობის დელეგაციამ, ფრიად სოლიდური ტვირთით მოინახულა ზუგდიდის რაიონში, სოფელ ორსანტიის საშუალო სკოლაში განთავსებული ოტობაიელები.

უზომო, აურწყავი მადლობა თანადგომისთვის ჩემს კოლეგებს, სახელმოხვეჭილ მწერლებს: გახლეჩილი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, სუსხიანი ენითა და აჟიოტაჟით გამორჩეულ თამაზ წივწივაძეს; განუმეორებელ რევაზ ჭეიშვილს; დაუდგრომელ პუბლიცისტს და ქართული ნოველის შეუდარებელ მექარავნეს, რევაზ მიშველაძეს; ჩინებულ პოეტს გენო კალანდიას, რომელმაც სამურზაყანოდან ქართველობის ხელმეორედ აყრისადმი პროტესტის ნიშნად დასტოვა აფხაზეთის ფრაქცია და დამოუკიდებელ დეპუტატობას დასჯერდა; რამდენიმე თვალსაჩინო რომანის ავტორს, უარაფრობის ჟამს, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე რეგულარულად გამომავალ ჟურნალ „ცისკრის" მთავარ რედაქტორს, ზაურ კალანდიას თუ ჩვენი იავარქმნილი კუთხის სწორუპოვარ ჭირისუფალს, მწერალთა კავშირის რეგიონული სამსახურის უფროსს, ნიჭიერებით ხელდასხმულ შუკო ჯიქიას.

1500 კომლიანი სოფლის სახელით მადლობას ვწირავ გლდნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარეს, ბატონ სოსო ვაშაკიძეს; საქართველოს პოლიციის აკადემიის უფროსის მოადგილეს, ბატონ დემურ მიქაძეს; საქვეყნოდ ცნობილ ოთარ ფაცაციას თუ გალის გამგებელ მურმან ჭედიას და აქვე, ოტობაიელებს გადაკიდებული საააგენტო „გეას" ინფორმაციის ფონზე გთავაზობთ ელსმენით მოპოვებულ ბლიცინტერვიუებს დელეგაციის ზოგიერთ წევრთან:

დევნილებს მთავრობის ჰუმანიტარული „საკენკი" აღარ უნდათ.

□გეა) ზუგდიდის რაიონის სოფლებში ორსანტიასა და ტანმუხურში, □ალბათ, განმუხურში, გ.ო) **ჩასახლებულ დევნილებს მწერალთა კავშირის წევრები წივწივაძე, მიშველაძე, კალანდია და სხვები ეწვივნენ** □წარდგინებას ნუ იკითხავთ, დელეგაციის წევრები— ჩვენი სასიქადულო მწერლები, არასრულად და უდიერად, რუსული ყაზარმული წესითაა დასახელებული, გ.ო.) **ამ სოფლებში, ძირითადად, გალის რაიონის სოფელ ოტობაიის მკვიდრნი არიან ჩასახლებულნი.**

მწერლებმა დევნილებს ხუმანიტარული დახმარება ჩაუტანეს, მაგრამ ამან არ უშველა □საინტერესოა, რას? გ.ო.) **და შეხვედრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მძაფრად ჩაიარა. „ჩვენ არ გვინდა ხუმანიტარული დახმარება, ეს ჩვენთვის მხოლოდ იაფფასიანი საკენკია. თუ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ჩვენი დაბრუნება, საკუთარ თავს თვითონვე მივხედავთ", — განუცხადეს სტუმრებს გაღიზიანებულმა დევნილებმა".**

„რეზონანსი",
№ 181, 6 ივლისი, 1998 წ.

ამჯერად „გეას" კორესპონდეტს ჭკუა ეყო და ადრინდელივით არ გაშიფრა თუ რას ნიშნავს „საკუთარ თავს თვითონვე მივხედავთ", ვინაიდან მერამდენედ ვამხილეთ მისი ოტობაიელების მოღალატეებად შერაცხვის მათი დაუოკებელი სურვილი. რომ „საკუთარ თავს თვითონვე მივხედავთ" ადრინდელ გამოსვლებში იკითხებოდა თეთრი ბაირაღების აფრიალებად, ენგურის გადალახვად და არძინბას სეპარატისტული რეჟიმის აღიარებად, ანუ ძმისმკვლელისა და მამის საფლავის გადამხვნელის გულში ჩახუტებად; და რადგანაც ოტობაიელების ზოგადქართული, მამულიშვილური სულისკვეთების რამდენჯერმე წარმოჩინებით პასკვილური ბრალდება გაცამტვერებულია, ახლა ორაზროვანი ფრაზებით გვიმასპინძლდებიან — „საკუთარ თავს თვითონვე მივხედავთ"-ო... ამას რა ჯობია, საკუთარი თავის მიხედვა თუ ძალგიძს, კაციც ყოფილხარ და ქუდიც გხურებია, მაგრამ საააგენტო „გეას" კორესპონდენტის არაკომპეტენტურობას, ყურმოკრული მასალების მოხმობას ეს მომცრო ინფორმაციაც ადასტურებს, სადაც მითითებული არ არის მოქმედების ადგილი, უფრო ზუსტად დასახელებულია ორი სოფელი, სინამდვილეში მწერალთა და გლდანის რაიონის გამგეობის ერთობლივი დელეგაცია მხოლოდ ორსანტიაში ჩავიდა, განმუხურში ნამდვილად არ ყოფილა.

არაკომპეტენტურობას მოწმობს მოქმედების დროის მიუთითებლობა, ურომლისოდ ინფორმაცია უსუსურია.

კალამგირობის ნიმუშია დელეგაციის შემადგენლობის უცოდინრობა, დასახელებული ხუმანიტარული დახმარების□?!) ძირითადი შემოქმედი ხომ გლდანის რაიონის მოსახლეობა და მისი გამგე-

ობა გახლდათ, ბატონ სოსო ვაშაკიძის თამადობით?!

დაბოლოს, გაუნელებელი მიზანი: ნიშნისმოგება, ულტიმატუმი—„საკუთარ თავს თვითონვე მივხედავთ“.

პარასკევს, 3 ივნისს, ზუგდიდში ჩასული დელეგაციის უმეტეს წევრს, თავდაპირველად „გეას“ გიგლა-ტიტინასეული ინფორმაციით მივმართე:

თამაზ წივწივაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, კრიტიკოსი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი:

— დაშინებული ვიყავით მსგავსი ინფორმაციებით. ვიცოდით, რომ ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს იქ არ მიესვლებოდათ. გვეშინოდა, არიქა, კიდევ ერთხელ არ დაგვახიონ თავზე წიგნები-თქო, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი შეცბუნება მასმედიის ყბადაღებული კაკაფონიის ფონზე. იმდენად თბილი, იმდენად ადამიანური იყო მიღება, ახლაც იმ შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. იყო ცრემლები. მადლობას გვეუბნებოდნენ სურსათ-სანოვაგის ჩატანისთვის და მოკრძალებით გვთხოვდნენ, მომავალში იქნებ წიგნები და გაზეთები მიგვეწოდებინა. ჩვენ საამისოდ არ ვიყავით მომზადებულნი, ცხადია, ჩემი კოლეგების თითო-ორი თხზულება და ჟურნალ „რიწის“ რამდენიმე ეგზემპლარი ამ ვაკუუმს ვერ შეავსებდა. დაუვიწყარია ჩემთვის მათი უმწეო მდგომარეობა. სამეგრელოში ილიას ბიუსტის გახსნის შემდეგ არ ვყოფილვარ და შექმნილმა ექსტრემალურმა ვითარებამ დამარწმუნა, რომ საჭიროა საგანგებო ღონისძიებანი, როგორც დევნილი, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ ადამიანებს შიმშილით სიკვდილი ელით.

— ბატონო თამაზ, ილიას ძეგლის გახსნისას თქვენ ისტორიული სიტყვა წარმოთქვით და სადღაც გულზე მოეფონა სამეგრელოს, ადრე ბერმუდის სამკუთხედთან შედარების გამო.

— ისტორიული სიტყვა დიდმა ილიამ და ბატონმა ედუარდმა ბრძანეს: პირველმა სამეგრელოში ჩამოველ და საქართველო ვნახეო, განაცხადა; მეორემ კი — სამეგრელო საქართველოს ხერხემალიაო, დაუსვა ბეჭედი.

ღრუბლების გადაკარებას, გაცისკროვნებას მაღალფარდოვნად, მეც სამეგრელოდან მოველი. დასამალი აქ არაფერია. საქართველო ხომ კოლხეთის, ჩვენი სამშობლოს უწინარესი წინაპრის ბურჯებზე დგას?! მე ადრე კრიმინოგენური სამეგრელოს ყოფიერება მართლაც შევადარე ბერმუდის სამკუთხედს, ვინაიდან საკვირველად იკარგებოდა იქ არათუ უთვალავი შემადგენლობის აურაცხელი ტვირთი სომხეთ-აზერბაიჯანისა თუ საკუთრივ საქართველოსი, არამედ — თავად შემადგენლობანიც ორთქლმავლებიანად, ბორბლიან-ლიანდაგიანად. ახლაც იგივე ფრაზას ვიმეორებ მცირედი შესწორებით:

დიახ, სამეგრელო ბერმუდის სამკუთხედია ერთიანი საქართველოს ნებისმიერი მაწყვრისათვის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მტრისათვის, შინაურია ეს თუ გარეშე, და მადლობა მას ასეთი ერთგულებისა და იობის მოთმინების გამო!

რეზო ჯეიუშვილი, მწერალი:

— ზუგდიდში ჩავედით პარასკევს, 3 ივლისს. გული დამეთუთქა პირდაპირ. თითქმის იგივე მდგომარეობაა, შეიძლება უარესიც, როგორიც 5 წლის წინათ. ის კი არა, ადგილობრივებიც შავ დღეში არიან. გულის დამწველია ის პესიმისტური განწყობილება, რომელიც ძვალ-რბილში გასჯდომია ამ ხალხს, მაგრამ ეს არ ნიშნავს სიკეთის დაფასების უნარი წართმეოდეთ, მთავრობაზე გულმოსულებმა ზურგი შეგაქციონ. უნუგეშობა თვალშისაცემია. აი, მაგალითად, დალის ხეობაში გმირულად დადგა მოსახლეობა, რაც აქ არ მოხერხდა. ორ დღესაც ვერ გავუძელით შემოტევას. მაშ, რად ავწეწეთ საქმე, ან ბოლომდე რად არ ვუერთგულეთ მოსახლეობას? ხალხი შედის სოფელში მალულად, გამოაქვს დარჩენილი ნივთები, სანოვაგე, გამოხყავს მაროდიორთა კლანჭებს გადარჩენილი პირუტყვი. აფხაზებს, რა თქმა უნდა, ურჩევნიათ ადგილობრივები რაც შეიძლება მეტი იყოს სოფლებში, ვინაიდან სამურზაყანოში მშვიდობიანი მოსახლეობის ყოფნა, ჯერ ერთი, მუქთა პროდუქციის წყაროა და მეორე — თავად აფხაზების სიცოცხლის გარანტიაც, რადგანაც, ფაქტობრივად, მძევლად აყვანილი საზოგადოებით თუ გაუმკლავდებიან ჯერ-ჯერობით რამდენადმე მიჩუმებულ, მიმცხრალ პარტიზანულ მოძრაობას. ხელისუფლებამ ადამიანების ყურადღება გადაიტანა ლეიბებზე, საბნებზე, კუჭზე და მათში ჩაკლულ სულს თვალში ნაცარი შეაყარა. ასე გაგრძელება არ შეიძლება. სასწორაკვეთილ ადამიანზე საშიში არაფერია, ის ყველაფერზე წავა, გნებავთ შიშ-

ველი ხელებით, როგორც მტრის, ისე საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ, რამეთუ მგლის ლუკმად განწირულს მგლისფერი ძაღლის არ ეშინია.

რევაზ მიუველაძე, მწერალი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი:

— რა თქმა უნდა, ჩვენთვის ცნობილი იყო ზუგდიდსა და მის ახლო მდებარე სოფლებში არსებული მდგომარეობა, მაგრამ თვალით ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გაუბედურებული, სასოწარკვეთილი, მშიერ-მწყურვალი ადამიანები საქველმოქმედო ტვირთის ანაბარა დარჩნენ. მე მეშინია, რომ ხვალ-ზეგ სხვადასხვა რაიონის გამგებლები ვერ შეძლებენ სათანადო დახმარების შეგროვება-ჩატანას და ლტოლვილთა შორის კატასტროფული შიმშილობა დაიწყება. სიახლე, ჩემთვის პირადად, ორი რამ იყო.

ერთი ის, რომ მთელს გზაზე და არც ენგურს გამოღმა საზღვრებზე, მიუხედავად არაოფიციალური სამხედრო მდგომარეობისა, არც ერთი ქართველი ჯარისკაცი და არც ერთი საბრძოლო მანქანა არ დგას. ასე რომ, ენგურზე გადმოსული თუნდაც სამი ტანკი ისე ჩამოვა თბილისში, რომ არანაირ წინააღმდეგობას წააწყდება. იქნებ, ხეებს შორის საიმედოდ ვართ შენიღბულნი, რაშიც ეჭვი მეპარება.

მეორე, ჩემთვის იყო სრულიად მოულოდნელი, როდესაც დევნილები შემოგვეხვივნენ მწერლებს და გულით გვთხოვდნენ თქვენი წიგნები გვაჩუქეთო; თვენახევარია ქართული ასოებისთვის თვალი არ მოგვიკრავსო. ვაჩუქეთ ჩვენი წიგნები წარწერებით: „გამაგრდით!“ „გამაგრდით!“ და უნდა გენახათ, რა სასოებით მიხქონდათ გულზე მიხუტებულნი. ერთ ხანშიშესულ ლტოლვილს ჩემი სათვალე ვუსახსოვრე და ვკითხე: უსათვალოდ როგორ წამოხვედი, გამოსაცვლელი ტანსაცმელი ხელს როგორ არ გამოაყოლე-მეთქი. შემაძრწუნებელი რამ მითხრა:

მსუბუქი მანქანებით დადიოდნენ ვიღაცეები და სუფთა ქართულ-მეგრულით გვეხმიანებოდნენ: სამი საათით გავდივართ ყველანი ენგურს გაღმა. აქ პატარა ომი გაიმართება. სამი საათის შემდეგ დავბრუნდებით და გალი ღალიძგამდე ჩვენი იქნებაო. ნათქვამი რამდენიმე კაცმა გაიმეორა. აშკარაა, რომ გალელები პროვოკაციის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ მეორედ. პირველად ვიცით რა და როგორ, მაგრამ ამჯერად ვინ ჩაიდინა ეს პროვოკაცია, საკითხავი, აი, ეს არის.

ზაურ კალანდია, მწერალი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი,:

— პირიქით, როცა გაიგეს, ვინც ვიყავით, სამურზაყანოულმა თავაზიანობამ, მოწიწებამ დაისადგურა თითოეულის ხმაში, ქცევაში. სულ წიგნებზე გველაპარაკებოდნენ. სარჩო-საბადებლის განიავებაზე უფრო საოჯახო ბიბლიოთეკის დაწვას ჩიოდნენ. გული დამწყდა „ცისკრის“ ნომრები რომ არ ჩავიტანე, მაგრამ ამ უნებლიე დანაშაულს მალე გამოვასწორებთ. ახლა მთავარია, ამ ხალხის სკოლებიდან, ფერმებიდან გამოყვანა და სადმე კომპაქტურად თუ ვერა, ჯგუფ-ჯგუფად დაბინავება.

გადადიან ენგურზე და ღამით თოხნიან ყანებს. საცოდაობაა, კოტე ანჩაბაძის ბიჭიც ხომ თოხნისას მოკლეს აფხაზმა ბოევიკებმა?! ამის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. მუშაობით გართულს ტყვია ესროლო, მართლაც ხომ ბარბაროსობაა?! დიახ, მათი დაბინავებაა მთავარი, მაგრამ არა — თბილისსა და სამცხე-ჯავახეთში, არამედ კატეგორიულად სამეგრელოში განთავსებას მოითხოვენ, თავიანთი ეზო-ყურეს სიახლოვეს ყოფნას. დევნილების გულისწყრომის სათავე მთავრობის უმოქმედობაა, მათი ინტერესების ფეხქვეშ გათელვა და არა — ზოგადად კაცთმოძულეობა, ყბადაღებული ულტიმატუმები, როგორც — ზოგი კორესპონდენტის თეთრი ძაფით შეკერილ შავ ინფორმაციებში.

იქნება საშველი, მაგრამ ამჯერად მოსახლეობა უნდა მოშორდეს შეუფერებელ, დამამცირებელ თავშესაფრებს და დასაქმდეს სახალხო მეურნეობის დარგებში. არის რეალური შეპირებანი გაეროს, ამერიკის მხრიდან, თუ არ ვცდები, სამი თუ ხუთი მილიონი დოლარი, მაგრამ ესეც რომ არა, აზერბაიჯანი მილიონნახევარ ლტოლვილს ისე უვლის, დახმარებისთვის ხელი არავისთვის გაუწვდია. ჩვენ კი ნუთუ 32 ათასი თვისტომი ვერ უნდა შევინახოთ, უკეთ ვერ უნდა შევუქმნათ არსებობისათვის აუცილებელი გარემო — უწინარესად, სამუშაო — მიწა-მარჩენალი ჩვენი?!

ამასთან, სამურზაყანოელი დევნილი მოსახლეობა სამეგრელოში ყოფნას იმისთვის ამჯობინებს, რომ უფრო ახლოს დაიგულვოს თავი მშობლიურ კერიასთან, სადაც მშვიდობიანი მოლაპარკების მეთოდებით თუ იარაღით, ბრძოლით მიბრუნების იმედი ჯერაც არ გაქრობია. ხოლო, როგორც

ფრთიანი გამონათქვამიდან ვიცით: იმედი ყველაზე ბოლოს კვდება!

ᲣᲣᲙᲝ ᲯᲘᲯᲘᲐ, მწერალთა კავშირის სამეგრელოს რეგიონული სამსახურის უფროსი, მწერალი, პოეტი:

— მე, უბრალოდ, გული მწყდება ზოგიერთი კორესპონდენტის აულაგმავი სიცრუის გამო. რაღა შორს მივდივარ, ერთ გაზეთს ინტერვიუ მივეცი. წავიკითხე და ჩემს თვალს არ დავუჯერე, ყველაფერი გადასხვაფერებულად დაებეჭდათ. მე ვამბობდი:

თუკი შევარდნაძე შეძლებს ქვეყნის ნორმალური გზით წაყვანას, ტაკიმასხარადაც დავუდგები-მეთქი. ამათ კი გუნდრუკი მაკმევინეს, თითქოს მხოლოდ ის იყოს ქვეყნის გადამრჩენელი.

მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციისა მწერალთა კავშირის დღევანდელ თავმჯდომარესთან, ბატონ თამაზ წიაწივაძესთან, რეგიონში კეთილსინდისიერად ვატარებ მისეულ პოლიტიკას. ასე რომ არ იყოს, სამსახურიდან წასვლაზე უკან არ დავიხევდი.

რაც შეეხება სამურზაყანოდან დევნილ მოსახლეობას, აქ პრივილეგიები გამორიცხულია. ყველანი შავ დღეში არიან, ოტობაიელებიცა და ბარღებელებიც, ხურჩელებიცა და სიდელებიც. ერთიანად დაბნეულნი აქა-იქ პროვოკატორების ანკესზეც წამოეგებიან ხოლმე — თითქოს აფხაზური ტყვიით სიკვდილი სჯობდეს ზუგდიდური, ანუ ქართული გულგრილობით აღსასრულს — სიკვდილს დანარჩენი საქართველოსგან. გაბრაზებული კაცი რას არ იტყვის, დაგემუქრება, შეიძლება შეგაგინოს კიდეც, მაგრამ ყველაფერი ქუჩაში კი არ უნდა გამოვფინოთ! ისე კი, იცოდეს სრულიად საქართველომ, რომ თუკი სამშობლოს გაუჭირდა, სამეგრელოს ,,კოხტა გორასა ზედა'' მისვლას კვლავაც ვერავინ დაასწრებს.

მე უღრმეს მადლობას ვუხდი მწერალთა კავშირის დღევანდელ ხელმძღვანელობას, კონკრეტულად კი ბატონ თამაზ წივწივაძეს, რომ გულთან ახლოს მიიტანა ადრინდელი ჩვენი რეალური შტრიხებით დახატული სურათი და გვარიანად ხელდამშვენებული გვეწვია. დიდი ილიას ძეგლის გახსნისას წარმოთქმულ მის სიტყვებს თანდათან ხორცი ესხმება, რომ მწერალთა კავშირის გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ სამეგრელოს რეგიონს მიაქცევს. მადლობელი ვართ ორგანიზაციისთვის გაწეული ფინანსური დახმარებისთვისაც. ამ თანხით ჩვენ რეგიონული ჟურნალის რამდენიმე ნომრის გამოცემას მოვახმართ და თითო-ოროლა სკამსაც ვიყიდით სხვის ჭერს შეხიზნულები. რაც შეეხება რეგიონის მწერალთა ორგანიზაციის ბალანსზე არსებულ შენობას, იგი დღეს, სრულიად არაკანონიერად სმკ-ს ადგილობრივ ხელმძღვანელობას დაუკავებია და იმედი გრჩება უახლოეს მომავალში ჩვენი ხელისუფლება ამ საკითხის მოგვარებაშიც დაგვეხმარება. ყველაზე სასიხარულო კი ის არის, რომ ქართული მწერლობა ხალხში გავიდა, ხალხის სატკივრებს მიაყურადა, თანამოძმეთა ტკივილები გაითავისა.ეს ყველაფერი ჩემი უაღრესი რწმენით საქართველოს სწრაფი აღორძინებისა და აღმავლობის გარანტიაა.

ერთხელ ქალაქის ცენტრში ჯაბახანა მანქანა გამიქილიკეს ,,ინომარკების'' პატრონებმა, მაგრამ, როცა მკვახედ შევძახე ყველას:

ამ მოფამფალებულმა ,,ჟიგულმა'' ხურჩადან ხუთჯერ გამოიყვანა 12-12 ბავშვი, სადაც თქვენთვის თვალი რატომღაც არ მომიკრავს-მეთქი, კუდი ამოიძუეს, გაიძურწნენ.

გაგრძელებული სიტყვა ბავშვებზე საუბრით მინდა დავასრულო. როგორც ხურჩელი, ისე ოტობაიელი პატარები საერთო გამოძევებისა და პანიკის პირობებში, თვალსაც არ ახამხამებდნენ ავტომატების კაკანსა თუ გაღმა სოფელში ცად აზიდული ცეცხლის ალის შემყურენი. რა ცრემლი, რის ცრემლი! დიახ, თვალსაც არ ახამხამებდნენ, მოზრდილები თუ მთლად ბაღაჭუჭები. მაშინ დავუსვი ჩემს თავს კითხვა: რას უნდა მოასწავებდეს - მეთქი ეს ყოველივე და ახლა, მოგვიანებით ვპასუხობ: მოსეს მრევლისა არ იყოს, ჩვენ თუ ვერა, ესენი მაინც უეჭველად შევლენ თავიანთ ქანაანში, განუმეორებელ სამურზაყანოსა თუ მთლიანად აფხაზეთში - მეთქი და აქ ეჭვის შეტანა სრულიად უსაფუძვლოა

„ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ'' ᲜᲝᲑᲐᲗᲘ
ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲣᲚ ᲡᲐᲛᲣᲠᲖᲐᲧᲐᲜᲝᲔᲚᲔᲑᲡ

ᲐᲜᲣ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ
ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐᲡᲐᲒᲘᲗ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ
ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ ᲐᲬᲔᲠᲘᲐ

ბუზღუნა 26 მაისია.

დახრილ დროშებს აქა-იქ შეარხევს ზენა ქარი.

არ ეზეიმება ჩემს საქართველოს თავისუფლების დღე.

სამშაბათის დილასისხამია. სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ ხალხმრავლობაა, მაგრამ მხიარული განწყობილება სანთლითაც ვერ იძებნება. ჯვარცმული გალელი მოსახლეობა ფუტკარივით ირევა. გადაჭედილია მიმდებარე ტერიტორია, კიბეები, მომცრო ბაქანი, თუ ინტერიერი. დიახ, ნაყარი ფუტკარივით ფუთფუთებს ჩემი მიუსაფარი სისხლხორცი, სამადლო საბუდარის ძიებაშია და ვაგლახ, სადღაც ღია ცის ქვეშ, ხის ტოტზე ჩამომტევნებულ სკას დამსგავსებია.

მეც ამათი ბედ-იღბლისა ვარ თხემით ტერფამდე: კვამლმა და ფერფლმა შერუჯა ჩემი მშობლიური ოტობაია... ესეც არ მეკმარა — სამხარეო გაზეთის რედაქტორი მერქვა აქამდე. ორნახევარ წელიწადს ენაგადმოგდებული ვირბენ გაზეთის გამოსაცემი თანხისთვის სათანადო ინსტანციებში და როდესაც ყოველგვარი მეცადინეობა ცერცვისა და კედლის ანდაზად მექცევა, დავკეტავ საკუთარი ხელებითა და მეგობრების შემწეობით გარემონტებულ რედაქციას. დადაქალაქს მივაშურებ გზაშეკრული, მაგრამ, აგერ, თვისტომი სამურზაყანოელების სამარცხვინო ხელმეორე გამოძევება თბილისს არ გამაჩერებს. როგორღაც თავს მოვუყრი ერთი ნომრის გამოსაცემ თანხას და მოვაშურებ კიდეც ოფისს, თუმცა, ხოი, საოცრებავ, კარისთვის გასაღები ვერ მომირგია, — უპატრონო ეკლესიის სიტუაციაა.

მოკლედ, გამოძევებულთა სიაში ვარ. თუმცა ამეებსა და კიდევ ზოგ-ზოგის თაობაზე ვისაუბრეთ ოდესმე უფრო დაწვრილებით... ამჯერად უმჯობესია სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ აბაბანებულ ხალხს მოვუბრუნდეთ.

თბილისელ სტუმრებთან, ფრიად პოპულარული ლატარიის ,,საოჯახო ლოტოს'' მფლობელ ფირმა ,,ლაბირინთის'' თანამშრომლებთან ვმასლაათობთ მე, ჩემი ოტობაიელი ძუძუმტე, ოთარ ხუფენია და მწერალთა კავშირის რეგიონული სამსახურის უფროსი შუკო ჯიქია.

,,ლაბირინთელებს'' დევნილებისთვის ნობათით დატვირთული მანქანა მერიასთან შეუჩერებიათ და აქ საერთო ვითარების გასარკვევად მოსულან.

— ზუგდიდ-ქალაქს უფრო იმათ მოაშურეს, ვინაც მთლად ცარიელ-ტარიელმა გადმოლახა ენგური, — ამბობს ოთარი, — ეტყობა პროვოკატორების ხმებს ახყვენენ, რომლებიც თურმე მშვიდობიან მოსახლეობას უაქცენტო მეგრულ-ქართულით აფრთხილებდნენ, სამიოდე საათით დასტოვეთ აქაურობა, ჩვენ აქ პატარა ომს გავმართავთ და სულ მალე გალის რაიონი ღალიძგამდე ჩვენი იქნებაო. ადრე მთელი სამურზაყანო ერწმუნა პრეზიდენტის სიტყვებს გალში გამართულ მიტინგზე, რომ აფხაზები ღალიძგას არაფრისდიდებით გადმოლახავდნენ და როცა ფაქტის წინაშე დადგნენ, ხალხმა თითქმის ხელუხლებლად დასტოვა სარჩო-საბადებელი. სეპარატისტებსა და მათ დამქაშებს ლანგრებით მირთმეული დარჩათ წლობით ნაჯაფარი დოვლათი.

ამჯერად მოსახლეობამ მეტი წინდახედულება გამოიჩინა და უმეტესობა არ ენდო სოფელ-სოფელ გაჟღერებულ ხმებს, თითქოს სამ საათში მორჩებოდა აფხაზებისა და ქართველების ხუთწლიანი დავა. გადმორეკეს საქონელი ყოველ შემთხვევისათვის, წამოიმძღვარეს, რისი წამოღებაც ერთ ჯერობაზე შეიძლებოდა და თავიანთი კერიების სიახლოვეს დაბანაკდნენ, მაგრამ, ვაი, ასეთ დაბანაკებას. შეპირებული სამ საათს მეორე სამი საათი დაემატა, იმ მეორეს — მეოთხე და მეხუთე და ცოტა ხანში მათი სახლების სახურავებიდან ცეცხლის ენები რომ ამოვარდა, წივილ-კივილიც მაშინ მოხშირდა.

მიხვდნენ: შინაურმა გველაძუამ თუ ცბიერმა დუშმანმა ჭკუით აჯობათ მერამდენედ, პროვოკაციით დაუბინდა გონება მრავალს, რამდენიმე დღით შეაფერხა მათი სრულფასოვანი ევაკუაცია და აურაცხელი ქონება ისევ გაქნილ მტერს დარჩა.

ბაქანზე ნაცნობი სახეები გამოკრთება აქა-იქ. ამ გნიასში ჭირს სამიტინგოდ შემართული ჩახრინწნიანებული ხმების გარკვევა. ბრბოს სიღრმეში მივიწევით.

— გაგვირემონტონ ,,ოდიშის'' შენობა! — ყვირიან ერთნი.

— კარ-ფანჯრები ჩაგვისვან ,,ეგრისში''! — კაპასობენ სხვები.

— ხალხის ტევა არ არის, — გვიხსნის ოთარ ხუფენია,—ვისაც პირუტყვი არ გადმოხყოლია, ცენტრში ურჩევნია ბინის გამოძებნა, რათა პრიმიტიული ვაჭრობით რამენაირად გაიტანოს თავი. ,,ოდიშის'' გარემონტებისათვის სცალია ახლა მერიას სწორედ!

— ბეტონის იატაკზე წოლასაც გვამადლიან! — გადმოსცემს მწარე რეალობას ჩვენი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, შოთა ბელქანიას, ვაჟი რევაზ. მთლად გამელოტებულა.

წაგრძელებული სახე გაბურძგნია.

ოდინდელი ადამიანურობის ნიშან-წყალი წართმევია ამ ხალხს.

— პრივატიზაციის წყალობით ერთეულების მიერ დატაცებულ საქართველოში სავალალოდ 40 ათასი ლეიბი არ აღმოგვაჩნდა, — განაგრძობს რევაზ ბელქანია, — ზეწარს, ბალიშს და საბანს ვინ ჩივის. ხელისუფლებისთვის უკვე სულ ერთია თუ სად და როგორ გავათევთ ღამეს. ჩვენ ხომ დღემდე ვერ გაგვითავისებია ლტოლვილი მოსახლეობის სატკივარი. ჩვენ, დანარჩენი საქართველო, ვერ აღმოვჩნდით თანადგომის სათანადო სიმაღლეზე და 300 ათასი ადამიანი გავწირეთ მეორე ხარისხოვნობისათვის.

— საქმეზე ილაპარაკე, — აყაყანდებიან აქა-იქ.

— აბა, რატომ ვერ ბედავს ხელისუფლება ხალხთან მოსვლას? მოგვბეზრდა ხელის გაწვდენა კილოგრამი შაქრისთვის და აგურივით პურისთვის. ყველაფერი მოდის თურმე ცენტრალურ საწყობში: ,,ტუშონკები'', ესპანური ბატინკები, რებეკა ბრაუნის საძილე ტომრები, რძის ფხვნილი და ვინ მოსთვლის, მაგრამ მისი მესვეურების მადას საზღვარი ექნება?! ზუგდიდის ბაზარი გამოტენილია ჩვენთვის განკუთვნილი პროდუქტით. თქვით, ხალხო, ვინმეს თუ მიგიღიათ ზემოთ დასახელებული ნივთები და პროდუქტები?! რას გაჩუმებულხართ?! ხმა ამოიღეთ! — ოფლში იხვითქება ბელქანიების ბიჭი.

— არავის, არავის! — წამოიძახებენ კანტიკუნტად.

— შამგონაში განთავსებულ ლტოლვილებს რეზერუარებით ჩაუტანეს სარეცხი. ვიღაც ფირმას გაუსაღეს ჩაწოლილი თხევადი სარეცხი საშუალება, მაშინ, როცა ჩვენს თანამემამულეებს დოქი რომ დოქია, ისიც არ გააჩნიათ წყლის შესანახად. ნეტავ როგორ აპირებენ მის განაწილებას, ცელოფანის პარკებში ჩაგვისხამენ თუ გახვრეტილ ჯიბეებში?! ეგენი ქრისტიანები რომ იყვნენ, კოლოფებში დაფასოებულს მოიტანდნენ, უფრო მოხერებულს დასარიგებლადაც და სახმარადაც, მაგრამ მაშინ ვინ, რომელი მოითბობდა ხელებს მოძმეთა სიდუხჭირეზე? — არ ცხრება ჩემი თანასოფელი. — მოკლედ, დანარჩენი საქართველოსთვის დევნილი სამურზაყანოელები დღეს მეორეხარისხოვანები ვართ, ხალხო, იაფი მუშახელი, სიძედაც მოსახერხებელი თავიანთი გონჯი ასულისთვის და რძლადაც ვარგისი რახიტიანი ვაჟიშვილისათვის.

აქ ოტებულების ჩოჩქოლი იმძლავრებს და რევაზ ბელქანიას ჩახლეჩილ ხმას კვლავ გადაფარავს.

— ხომ ხედავთ, რა სიტუაციაა, — ეუბნება ოთარ ხუფენია ფირმა ,,ლაბირინთის'' კომერციულ დირექტორს, თამაზ ბასილიას და მის ამალას, — ამ გადარეულ ხალხთან ტვირთით მოსვლა იქნება?! საკმარისია, უნებლიეთ რაიმე წამოგცდეს, რომ დაგესევიან და გაწამაწიაში შეიძლება შესამოსი თავად გახდე! აქეთკენ იმიტომაც წამოგიყვანეთ თქვენი თვალებით დარწმუნებულიყავით. ხალხი იქამდეა გამწარებული, საზრიანობა დაუკარგავს უმტესს.

ორსანტიაში, სადაც მიმაგრებული ვარ კომისიისაგან, სკოლაში პროდუქტების დარიგების დროს ერთ ჩემს მეზობელს დანა დაარტყეს მკერდში, სასიკვდილოდ გაწირეს მხოლოდ იმისათვის, რომ სხვისათვის განკუთვნილ ულუფას ხელიშეცდომით წაავლო. ნუ გგონიათ ვაჭარბებ. ხელისუფლების წარმომადგენლები ამიტომაც ერიდებიან დევნილებთან პირისპირ შეხვედრას. ეგზალტირებულ ბრბოს ჭკუას ვერ მოკითხავ. ამ მხრივ გამონაკლისი ბაკურ გულუაა. რუხში ხუმანიტარული დახმარების განაწილებისას ხელჩართულ ბრძოლაში შეჭრა მოუხდა, წაკიდებული ადამიანების გაშველება. გალელებმა როცა ,,ბაკურ დავიდოვიჩი'' იხილეს, შერცხვათ ყოფილი რაიკომის მდივნის წინაშე, გაახსენდათ მათთან ერთად ჩექმებით რომ დაიარებოდა პლანტაციებსა და მშენებლობებზე. იმ წეწვა-გლეჯაში ვიღაც მანდილოსნისათვის კოსტუმი მიეწოდებინა და ისე გაეცალა იქაურობას, რომ გამორთმევა არც გახსენებია. ზუგდიდში მობრუნების მერე მოაგონდა ტანსაცმელი, ღიმილით ჩაიქნია ხელი:

ვინმე შეიშნოვებდა, ალალი იყოსო.

გულმა არ მომითმინა და მივბრუნდი რუხში. კანტორის შენობის წინ ვნახე ბეღურასავით მობუზული ის ჩია ტანის მანდილოსანი.

შენ გაიხარე შვილო, მაინც და მაინცო, მლოცავდა დედაკაცი. ორი საათია აქ ვიცდი კოსტუმით ხელში. არ ვიცოდი სად ჯანდაბაში წავსულიყავიო.

— ცენტრალურ საწყობში ტვირთს მაინც არ წავიღებ, — მოსჭრის მკვეთრად თამაზ ბასილაია, — დააფიქსირონ შტაბში, გამომაყოლონ წარმომადგენელი და საკუთარი ხელით დავარიგებ დევნილებში! — დაასკვნის.

— ნება თქვენია! — იღიმის ოთარ ხუფენია, — დღესდღეობით ბარის მოსახლეობას კიდევ არა უშავს რა. ასე თუ ისე, მეტნაკლებად მივუწვდენთ დახმარების ხელს. აი, ჯვარში ცოტათი რთული

სიტუაციაა.

— ისე არ გამიგოთ, ბატონო, ოთარ, თითქოს უნდობლობას ვუცხადებდეთ მთავრობის წარმომადგენლებს, მაგრამ იმდენი ურთიერთგამომრიცხავი ამბავი ჩამოდის თბილისში ცენტრალური საწყობის მესვეურებსა თუ სხვათა ქმედებებზე, მირჩევნია ტვირთი თვითონ დავარიგო. ჭორებს მაინც ავიცილებ თავიდან. ისე, სიტყვისათვის, საკმაოდ ხელდამშვენებული ჩამოვედით. ჩამოტანილი გვაქვს რამდენიმე დღის ლამის ერთი სოფლის სამყოფი პროდუქტი: ერთი ტონა პურის ფქვილი, ამდენივე შაქარი, 120 ყუთი მაკარონი, 200 ლიტრი ზეთი, კარაქი ყუთებით, კონსერვები, როგორც თევზის, ისე — ღორისა და საქონლის ხორცის, დაფასოებული ორცხობილა, ბურღულეული, საპონი. მოგვაქვს 50 წყვილი სხვადასხვა ზომის ბოტასები, ჯინსის შარვლები, პერანგები.

— მადლობის მეტი რა გვეთქმის, — ხელებს ფართოდ შლის ოთარ ხუფენია, — მე ორსანტიაში ვარ წასასვლელი, ყველაზე ექსტრემალური სიტუაცია ამწუთას იქ არის. ხალხი ფერმაშია განთავსებული. უმეტესი ღია ცის ქვეშაა, დანგრეულ ხიდს შეყუჟულა და იქიდან სისხლიანი თვალებით უმზერს ნაცარტუტად ქცეულ საკუთარ სამოსახლოს. პროვოკატორები ხვლიკებივით დაძვრებიან ხალხში, ენას ასარსალებენ, ისედაც ძარღვებაწეწილებს აღიზიანებენ, მთავრობის სიძულვილს აღვივებენ, თეთრი დროშებით ენგურის გადალახვას და არძინბას სეპარატისტული რეჟიმის აღიარებას ქადაგებენ, სამშობლოს ღალატისკენ მოუწოდებენ უსირცხვილოდ. ამიტომაც ეს დღეები დილა-საღამო იქ უნდა ვიყო. იქნებ თქვენ გახყოლოდით? — მოგვიბრუნდება შუკოს და მე.

— ჩვენ შამგონში გველიან, — ამბობს შუკო, — იქიდან განმუხურში წავალთ ხელმეორედ. იქ დისოლცირებული ბრიგადის ბიჭებს ინტერვიუ უნდა ჩამოვართვათ.

— არა უშავს, ხიბულელ კაცს ჯვარში ასვლა არ გაუძნელდება, — დაასკვნის ოთარი და ღიმილით დაგვემშვიდობება.

,,ლაბირინთელების'' ხოჭოსავით ,,ოცდათერთმეტს'' კვალში მივსდევთ ქალაქის მერიისკენ ჯაბახანა ,,ფიატით'' მე და შუკო.

ამ მანქანაზე მოყოლა ღირს უცილობლად.

შვიდი-რვა თვის წინ შეიძინა იგი სამსახურებრივი დანიშნულებით ჩემმა მეგობარმა, ბურთივით შეკრული და ამ ხნის მანძილზე ,,ერთი აბაროტის დატრიალება მოახერხა''.

როგორც ქვემოთ მიწერია, შუკო ბუნებით მეამბოხე შემოქმედია. სხვისი ხალასი სტრიქონი საკუთარივით უხარია. რის ვაივაგლახით პეტრე ჭარაიას საუკუნით ბლოკირებული მეგრულ-ქართული ლექსიკონი დღის ნათლზე გამოიტანა. რეგიონის ალმანახ ,,ფენიქსის'' გამოსაცემ თანხებს აკოწიწებს. მწერალთა პანთეონისათვის ზრუნავს. ალექსანდრე საჯაიასა და იონა მეუნარგიას დაქცევის პირამდე მისულ სახლმუზეუმების გადარჩენისათვის ზრუნავს. მოქკავშირისგან ოფისის წართმევის გამო იბღვირება ნიადაგ. დადიანების ბაღში არსებული მწერალთა სახლიც ჩემი რედაქციის ბედს გაიზიარებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ახლა კვალში მივყვებით ,, ლაბირინთელების'' ამალას. საჯვაროს გადასახვევთან დავემშვიდობებით სტუმრებს და ჩვენს გზას ვეწევით.

შუკო ჩვეული ,,ესე იგების'' სიმრავლით მომითხრობს თავისი ,,ფიატის'' ამასწინანდელ გმიროობებს.

სამხარეო ადმინისტრაციის შენობის წინ უცხოური მარკის მანქანების სიმრავლეა უბედურების მეორე დღეს. რომელიღაცა ფუნქციონერი იქედნური ხითხითით გაუქილიკებს ,,კადილაკს''.

— არ გრცხვენია ამხელა თანამდებობის კაცი, ამისთანა ჯაბახანით რომ დაჯახირობო.

— თქვენს ,,ინომარკებს'' კიდევ ეს დანჯღრეული მირჩევნია და იცით რატომ, — კბილებში გამოსცრის შუკო, — გუშინ ხურჩიდან ხუთჯერ გამოიყვანა ამან 12-12 ბავშვი, სადაც თქვენთვის რატომღაც თვალი არ მომიკრავსო, — და ამოიძუებენ კუდებს უკლებლივ, მიყოლებით გაიძურწებიან.

საჯვაროს გადასახვევთან დამშვიდობების წინ კვლავ გავმართავთ ,,ლაბირინთელებთან'' ხანმოკლე დიალოგს.

— კარგს შვრებით უეჭველად, რომ დევნილებთან ტვირთი თვითონ მოგაქვთ, — ამბობს შუკო.

— აბა, ცენტრალური საწყობის ზოგი მესვეურის იმედით იგი სანახევროდაც ვერ მიუვა დევნილ მოსახლეობას, — ფრჩხილებს ბოლომდე ვხსნი მე.

— პოლიტიკაში არ ვერევით, — ღიმილით სიტყვას ბანზე აგვიგდებს ვერცხლისწყალივით მოძრავი თამაზ ბასილაია.

— თუთაშხიასავით ,,არავის საქმეში არ ვერევი მე,'' დამღუპველია, — აცხადებს შუკო, — განა შეიძლება კაცს პირში სული გედგას და პოლიტიკაში არ ერეოდე? ამბობთ, პოლიტიკაში არ ვერევითო, და სინამდვილეში ჩაერიეთ უკვე, როცა გაუბედურებულ ხალხს ლუკმაპური გაუზია-

რეთ. ეგ ერთი, მეორედ — რაჟამს სხვას არ მიანდეთ მისი განაწილების საქმე და თვითონ მიედევნებით ბოლომდე. განა შეიძლება სხვანაირად შეფასდეს თქვენი საქციელი? აქ სხვა ვარიანტი არ არსებობს. კი, ქველმოქმედებასაც ჩადიან ხოლმე ცბიერებით, როცა უფრო მსუყე ულუფის მოკბეჩა განუზრახავთ, მაგრამ როდესაც გაჭირვებულ მოძმეს წრფელად გაუმართავ ხელს, აქ მაცხოვრისეული სიკეთეა ჩადენილი და სამოთხის გზაზეც დამდგარხარ.

მომავალი არჩევნებისათვის უნდა დავირაზმოთ ყველა, რათა საკუთარი პოზიცია უკლებლივ გამოვხატოთ თითოეულმა და ჩვენი ინერტულობით საშუალება არ მივცეთ ქვეყნის სათავეში საეჭვო ძალების მოსვლას, ერის თვალში ნაცრის შესაყრელად.

მე დიდი გულშემატკივარი ვარ თქვენი „საოჯახო ლოტოსი". ჩემისთანა ბევრი აზარტული მიაჯაჭვა მან ტელევიზორის ეკრანს. ჯერ-ჯერობით წვრილ-წვრილ ფულს ვიგებ, მაგრამ მთავარი თქვენს არსებობაში, თუკი დამეჯერება, სწორედ დღევანდელი ქველმოქმედებაა. საქართველოს თავისუფლების დღეს დაბეჩავებულ ხალხს უკეთეს საჩუქარს ვერ მიართმევდი.

ამას წინათ მწერალთა კავშირში ერთობლივი ღონისძიება გაიმართა ქართველ მეწარმეებთან. იქ თამაზ წივწივაძემ, გოგი თოფაძემ, ბესო ჯუღელმა გულშიჩამწვდომად ისაუბრეს სავალუტო ფონდისა და ადგილობრივი პრობლემების შეუთავსებლობის მომენტებზე; რომ მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოიმედობით წინ ვერ წავიწევით, ვინაიდან მათი მიზნები საზიანოა ჩენი ხალხისათვის: გამოყოფილი ინვესტიციით თავიანთ ჩაწოლილ საქონელს გვასაღებინებენ და, ამდენად, ნიადაგს აცლიან ეროვნულ მეწარმეობას. ურჩევნიათ მომხმარებელი ქვეყანა ვიყოთ. წარმოიდგინეთ, ახლახან ხე-ტყის ექსპორტი შევაჩერეთ და უცებ ულტიმატუმი წამოგვიყენეს: ახლავე შეცვალეთ კანონი, თორემ ფულის გამოყოფას შეგიწყვეტთო, დაგვემუქრნენ. რას გავაწყობდით, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინეთ. პროცენტებსაც იღებენ და მათთვის სასურველ ნედლეულსაც გვღლეტენ ლამის მუქთად. ამას იმიტომ ვყვები, რომ მხოლოდ ადგილობრივ მეწარმეობას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება და გაუბედურებული ხალხის პრობლემების მოგვარება თუ ხელოვნების დარგების აღორძინება თქვენნაირი ქველმოქმედებით.

მიუხედავად თამაზ ბასილიაიას სიფრთხილისა, პოლიტიკური კამათისაგან თავს ვერაფრით დავიზღვევთ. მთავარი თემა მაინც სამურზაყანოდან ჩვენი სამარცხვინო გამოძევება გახლავთ.

— პარტიზანული ომი მტრის ზურგში გაგვიგონია, — ამბობენ „ლაბირინთელები", — თორემ დივერსიები შენიანებით დასახლებულ ტერიტორიაზე, სადაც დაღუპული ერთი აფხაზი ბოევიკის გულისათვის ათ მშვიდობიან მოსახლეს მიაყენებენ კედელთან, აბსურდია. სამურზაყანოში დიახაც ახლა არის პარტიზანული ომის გაშლის სიტუაცია. შეკაზმე ცხენი, აისხი იარაღი და პატრიოტი თუ ხარ, იძიე შური მოყვასის უბედურებისათვის.

— სანამ მტრების გასახარად გათიშულები ვართ ზვიადისტებად, ასლანისტებად თუ ედუარდისტებად, საქართველოს წინსვლა არ უწერია, არც მშვიდობიან საქმიანობასა და მით უფრო — ომში, პირიქით, კიდევ ერთი წაბორძიკება და შეიძლება სულაც აღვიგავოთ მიწის პირისაგან, — ცეცხლს შევუნთებ საუბარს.

— როგორ თუ მიწის პირისაგან აღვიგავოთ? — ძარღვები აეშლებათ „ლაბირინთელებს". მოკლედ, კამათი რომ არ გამწვავდეს, წასვლის დროაო, დაფაცურდება შუკო და გამგზავრების თადარიგს დავიჭერთ.

აქ რა უნდა წიგნს...

ანუ ზუსტად ერთი წლის წინანდელი ინტერვიუს ჩანართი

ამას წინათ ბატონი გული ზაქარაია, რომელიც თავისი პროფესიის კაცის კვალობაზე შედარებით კეთილსინდისიერად ასრულებს სახელმწიფო უშიშროების კაბინეტის **(Ê ÃÁ)** უფროსის მოვალეობას წლების მანძილზე, „მოუხელთებელ იანს" უწოდებს ჩვენს რესპონდენტს, რეგიონის მწერალთა ორგანიზაციის მესვეურს, შუკო ჯიქიას. იგი დეტალებში გაიხსენებს სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში თუ სად და როგორ გაუვრცელებია პოეტს ანტიკომუნისტური პროკლამაციები, აკრძალული ლიტერატურა; ჰოდა, იმისი თქმა მწადს, შუკო ბუნებით მეამბოხე შემოქმედია. აკი, არც თუ ისე უსაფუძვლოდ წაიხუმრებს ხანდახან: ორი რევოლუცია მოვახდინე და როგორც ჩანს, მესამეცაა საჭიროო.

სამოცდაათიან წლებში, ჩვენ მელნის ხელობის საძმოს, აწ ნაკომუნისტართ თუ ნადისიდენტართ, ერთი ღმერთი — სიტყვის ძალმოსილება გვკრავს და გვაერთიანებს. სანამ სიტყვაა ჩვენი ღვთაება, თავზე ვევლებით ერთმანეთის ჭირ-ვარამს, მაგრამ იმძლავრებს ეროვნულმა მოძრაობა და ლაკმუსივით გავმჟღავნდებით ყველა — წინანი უკან და უკანანი — წინ...

შუკო ჯიქია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებში აღმოჩნდება, სხვები მრგვალ მაგიდას მიუსხდებიან, მე ნეიტრალური პოზიციას ავირჩევ...

ახალგაზრდა პატრიოტების მცირერიცხოვანი საპროტესტო აქცია მახსენდება მთავრობათა სახლის კიბეებზე. შუკოც მათ შორისაა. აქცია ნელ-ნელა აგორდება, აზვირთდება, საზოგადოებრივი რეზონანსისა შეიქმნება. მეტი წილი იქ მოშიმშილე ჭაბუკისა და ქალიშვილისა მართლაც რომ მედგრად უმკლავდება აქამდე უჩვეულო მდგომარეობას; ზოგზე ჭორებსაც ავრცელებენ ავმოენენი — დილაუთენია ხაშისათვის მიიპარებიანო, მაგრამ ხალხი, მასა თანდათან ირაზმება მოშიმშილეთა გარშემო და აი, ერთი კურიოზული ფაქტიც ჩემი ცხოვრებიდან: დედაჩემსაც გაუგია თბილისური არეულობის შესახებ. მოულოდნელად გვესტუმრება ჩვეულებრივად ხორაგით დატვირთული. ჩემს ბედ-იღბალს შეჰკანკალებს თურმე.

რევოლუციური ნგრევების წინააღმდეგი რომ ვარ, ამის თაობაზე მრავლად აღმინიშნავს, რადგანაც ჩემი მოწოდება შუამავლობაა, მედიატორობა ორ უკიდურეს პოზიციას შორის, დადებითისა და უარყოფითის რამდენადმე დაახლოება, შეუთავსებლის შეთავსება, რათა მათი თანამშრომლობით ადამიანებს მაცოცხლებელი შუქი მიეცეთ.

მე თვალს მივადევნებ ბუნების ევოლუციურ კანონებს. მას არ უყვარს ნახტომები. მან ყოველი ფაზა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაიაროს, რათა სრულყოფილი ინდივიდუუმი დაასაბამოს. ბუნებას არ გააჩნია დროის პრობლემა. იგი არ არის ადამიანივით სულსწრაფი, რომელსაც ყოველთვის ცაიტნოტში უხდება მოქმედება, და ამდენად, საკუთარი ქრონომეტრაჟის შესაბამისად ამწიფებს მოვლენებს. ამ შემთხვევაში მე ბუნების ერთგული ვარ. ბევრმა ვერ გაუგებს ჩემს კრედოს, აკი, ვაღიარებ — სიმართლის ნახევრადმთქმელი მაკადრა ერთმა ულტრამემარჯვენე ტიპმა-მეთქი. თუმცა ეს იქით იყოს, დედაჩემის ჩამოთბილისებას დავუბრუნდეთ: მშობელი ჩემი, გელენახე, გელოვანების ნაშიერი ქალი, რომელიც სანათასავით ანთია მამულისათვის, მთავრობის სახლის კიბეების ორომტრიალის შემხედვარე, ექსტაზით აივსება, სახელდახელო პლაკატი მომამზადებინებს ამგვარი ტექსტით:

„შვილო, შუკო, შენთან ვარ ექვსი შვილის დედა ოტობაიადან!“

აღნიშნული პლაკატის აფრიალება ერთობ შეაფუცხუნებს მოშიმშილე შუკოს.

— დასწიეთ, დასწიეთო! — ხელებს იქნევს. მოგვიანებით არც თაყვანისცემა — მუხლის მოდრეკას ვთაკილებ იმ აქციის უგვირგვინო წევრისთვის, ტაშის გრიალით რომ გამოაცილებს თანამოშიმშილეებთან ერთად რუსთაველზე შეჯარული საზოგადოება. მაშინ ხომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მთავრობასა და მოშიმშილეთა შორის მოიძებნება კომპრომისული ვარიანტი და პროტესტანტების ულტიმატუმი თუ პირობები, თუნდაც სიტყვიერად გარკვეულწილად დაკმაყოფილდება. მაგრამ მე სხვა რამე მადარდებს და მძიმე ქვასავით მაწევს გულზე დღემდე. დისიდენტ შუკოს, რომელსაც გამსახურდიას „ოქროს საწმისს“ ჩუმჩუმად უკითხავს თანამოაზრეებს კინოთეატრ „საქართველოს“ ფოიესა თუ „ენგურქაღალდკომბინატის“ ტერიტორიაზე, რა გარემოება აიძულებს დაუპირისპირდეს ეროვნული მოძრაობის ზვიადისეულ ხაზს?!

დაუვიწყარია ჩემთვის იატაკქვეშეთში გამოცემული მისი გაზეთი „კუჭკუჭელა“, სადაც აკვანში წევს პრეზიდენტი ჩვენი, ხოლო თავად სარწეველა იგი ბაზალეთის ტბის ძირშია ჩადგმული და იქიდან მის ამოყვანას ამაოდ ცდილობენ „კალგოტკებიანი“ თემურ ქორიძე თუ „არლე- კინო“ აკაკი ასათიანი.

არც მეორე შემთხვევა წამეშლება გონებიდან, როცა ანტიმთავრობული აქციის დროს პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს „ქუჩის ოპოზიცია“, შუა რუსთაველზე ლახტის წრე შემოუხაზავთ ცარცით, შიგ ჩაუხატავთ ნეტარხსენებული პრეზიდენტი ჩვენი, გურამ პეტრიაშვილი, ნემო ბურჭულაძე, ავთანდილ რცხილაძე, მანანა არჩვაძე, სხვანი და შაურიანებს ესვრიან.

შუკოს კონფრონტაცია ამით არ დამთავრებულა. ყოველივეს წინ უსწრებს მშობლიურ ჩხოროწყუში ნდობით აღჭურვილ პირად წამოსვლა, მაგრამ, აბა, თუ მიხვდებით ვის ქომაგ-გულშემატკივრად?! — ახლა დასანახადაც რომ ეჯავრება იმ პრეზიდენტობის მაძიებელ ნოდარ ნათაძესი!

კოშმარული 92-ის პირველ კვირას საეჭვო სიმძიმის ტვირთაკიდებულსაც გვიხილავთ მას ზემელზე მე და ჩემი მეუღლე, მაგრამ არ შევხმიანებივართ, ვინაიდან ვიცით, ჩვენ ვისაც თანავუგრძნობთ, სწორედ მას უმღვრევს წყალს. მიუხედავად ამისა ჩვენს შორის არ ჩატყდება მეგობრობის ხიდი.

ორწლიანი ჩემეული დაკვირვების გამოცდილებიდან ვრწმუნდები, კანონიერი ხელისუფლების ავად თუ კარგად მოკირკიტე ხალხი აქაურობას აღარაფერში ეპიტნავება — თუმცა შესაძლოა ბევრ მათგანს განსხვავებულად, მაგრამ არანაკლები სიყვარულით უძგერდეს სამშობლოსათვის გული. ამის ნათელ დადასტურებად ერთი ფაქტიც იკმარებს: აფხაზეთის ბრძოლებიდან ჩამოსული შუკო ჯიქიას პრეზიდენტის მომხრეები დაიჭირენ და ზნეობრივ სასამართლოს მოუწყობენ. იმ საბედისწერო წამს შუკოს უახლოესი მეგობარი მწერლებიც კი არ გამოექომაგებიან. ამის თაობაზე წერდა კიდეც იგი ,,ლიტერატურულ საქართველოში'', უფრო მოგვიანებით კი უშურველად მიუტევებს კოლეგებს დახვრეტასა თუ ჩამოკონწიალებაზე ფაქტობრივ დასტურს, მაგრამ მათი გამოხედვა ამრეზილია დღესაც.

ერთი ჩვენი საერთო მეგობრის დედის გასვენებაზე მოვხვდებით ამასწინათ, მაგრამ როცა ხელს არ გამოგვიწვდის ის ჭირისუფალი შვილი სიტყვებით: ,,რატომ მაყენებთ უხერხულ მდგომარეობაშიო'', ჩემთვის ცასავით ცხადი შეიქმნება, რომ ეს ხალხი აღარასოდეს შემოურიგდება შუკოს, როგორც კონფრონტაციულ პოლიტიკოსს და გარკვეულ ჟამამდე გური ოტობაიას, როგორც მედიატოორს, ნეიტრალურ ძალას.

ერთი დეტალიც მინდა შეგაწიოთ, ჩხოროწყუში ბ-ნ ნ. ნათაძის ნდობით აღჭურვილ პირად შუკოს ჩამოსვლას თანამემამულეები არათუ იჭაშნიკებენ, დააპატიმრებენ კიდეც, თუმცა პოლიტიკური სარბიელგამოცლილს ტრაპეზს არ მოაკლებენ რასაც ვერ ვიტყვით ზუგდიდურ ტუსაღობაზე. ზარანდია თურმე ჩახმახშემართული მაუზერით კედელთან მიაყენებს აქა-იქ, და თან სათაყვანებელი ლიდერების შეკურთხებას უბრძანებს, მაგრამ — ამაოდ.

შუკო ჯიქიას შემოქმედებითი პალიტრა გაცილებით საინტერესოა ჩვენთვის, ვიდრე მისი პოლიტიკური ბატალიები. იგი პოეზიაში ესტაფეტას ჩამოართმევს ვაჟა-ფშაველას და ლექსების მომცრო კრებულით ,,ბედი'' პოეტი-ფერმწერის სახელს დაიმკვიდრებს. შუკო არ არის პროდუქტიული, სამაგიეროდ რასაც კი ქაღალდზე გადაიტანს, ტალანტის უტყუარი დამღა აზის. გულშიჩამწვდომია მისი ერთი ,,ჩას- ტუშკაც'': ,,მუ მოკოდუ, ათაქ, მუ ჩქიმ ღურუ, მარგალურქ გუმოჭყორდუ, ქორთულქ ვადმაგურუ — აქ **(თბილისში, გ.ო.)** რა ჭირი მინდოდა, რა ჩემი სიკვდილი, მეგრული დამავიწყდა და ქართული ვერ ვისწავლეო.''

არა, ბატონებო, ეშმაკობს შუკო, მას არც მეგრული დავიწყნია და სალიტერატურო ქართულიც ფრიად ოსტატურად მოუწურთნია. აფთიაქარის უზუსტესი სასწორით წონის სიტყვას, დურგლის გონიო-თარაზოთი გამოჰყავს ლარში ფრაზა, და ვისაც ჯერ კიდევ წინა აქვს წკნელივით მოქნილი მისი შემოქმედების გაცნობა ოთხმოცდაათიანი წლების ბელეტრისტულ ჟურნალებში დაუმთავრებელი რომანის ,,დამატებითი დრო''-ის სახით, ბედნიერია მოსალოდნელი სულიერი ტკბობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ შუკო ჯიქია მეგობარია ჩემი, ბოლო დროს ხშირად მეკაფიავება, მეშაირება, მეჩასტუშკება, ენამწარობს რატომღაც (მეტწილ უსამართლოდ) ჩვენებური კილო-კავით, რომელსაც სრულყოფილად გაახლებთ ოდესმე ლექსების კრებულ ,,ჰოუ ნანა''-ში ჩვენი ლიტერატურული პაექრობის საგნის უფრორე ახლოით განჩხრეკვის მიზნით, მაგრამ რაც მთავარია, მთელი არსებით ვცდილობ სიტყვიერების მადლს მსახურებდეს ძმობილი ჩემი, სიტყვის ალქიმიას უკირკიტებდეს და არა — პოლიტიკურ კვანტებს, თუმცა, როგორც ჩანს, საშველი კვლავაც არ არის — ორი რევოლუცია მოახდინა კაცმა და ხეირიანი სამუშაო ატმოსფერო ჯერაც ვეღარაფრით შეიქმნა, ეტყობა ღმერთი სამებით ტყუილუბრალოდ როდია.

ვგონებთ, აისბერგულად მაინც წარმოგიდგინეთ პოლიტიკოსი, პოეტი და მწერალი შუკო ჯიქია და ახლა უმჯობესია თვითონვე მივუგდოთ ყური, რამეთუ მეტი სიცხოვლით წარმოგვეჩინოს ვინმე კოლხი მელექსეს ბობოქარი სულის წიოკობა:

— შუკო, ძმაო, შენ 25 წლის შემდეგ დატოვე დედაქალაქი და საშეგრელოში დაბრუნდი. არსებობდა თუ არა ამისათვის რაიმე კონკრეტული მიზეზი?

— მიჭირს ამაზე საუბარი, მაგრამ უთქმელობაც არ შემიძლია. ბოლო ხანებში ცალკეულმა, გავლენიანმა პირებმა, ე.წ. თბილისელებმა, ისე უკურნებლად დაასნეულეს დედაქალაქი მეგრელოფობიით, რომ იქ ამიერიდან თავმოყვარე ადამიანს ჩვენი კუთხიდან არ დაედგომება. როცა ქვეყანაში მმართველი პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, თან პოეტობის პრეტენზიორი...

— ხომ ვერ დააკონკრეტებ?

— რატომაც არა, უფალი რეზო ამაშუკელი, ტელეინტერვიუში განაცხადებს, რომ თურმე ბოლო ჟამს თბილისში ძალიან მომრავლებულან მაფშალიები და მათი გალობა დროზე უნდა აღიკვეთოსო, იქ სხვა რიგით ადამიანებს რა უნდა მოვთხოვოთ, ვინც არც თავმჯდომარის მოადგილეა, არც პოეტია

და არც ღირსების ორდენის კავალერი — „ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის“ (!). თუმცა ამ უკანასკნელთა კინტოური მატრაბაზობა და უტიფარი ქირ-ქილი ასე თუ ისე ნაკლებად საგანგაშოა, ვიდრე ის, როგორც ყოველივე ჩვენი კუთხის მოსახლეობამ აღიქვა: ასეთი განცხადების გაკეთება ერთი კაცის, თან მოადგილე ამაშუკელის გამბედაობას ბევრად აღემატება, რანაირი „ბოღმის ბუკეტიც“ უნდა იყოს იგი.

— ამით გინდა თქვა, რომ უფრო მაღალ ეშელონებშია საძიებელი ამგვარი უმსგავ-სობის სათავე?

— სამწუხაროდ, საქართველოში დღეს მეტი სიმაღლე არ მოიძევება, თუ არ მივიჩნევთ თავმჯდო-მარის პერსონას, რომელიც ამაშუკელზე მხოლოდ ერთი საფეხურითაა ამაღლებული. ეს კი თით-ქმის ერთი სიბრტყეა და მათ შორის არსებითი განსხვავება შეუმჩნეველია. ისინი თავისუფლად წვდებიან ერთმანეთს პირზე საკოცნელად, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც.

საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი, როდესაც 1972 წელს ქვეყანაში პირველი პირი გახდა, დაუყოვნებლივ მწერალთა კავშირს მიაშურა. იგივე გაიმეორა მან ოცი წლის შემდეგ — მოსკოვი-დან დაბრუნებული კვლავ მწერალთა კავშირში მობრძანდა; ხოლო საპრეზიდენტო ინაუგურაციის დღეს მამადავითი მოილოცა და თაყვანი სცა გენისოთა საფლავებს. სამივე შემთხვევაში, როგორც ცოცხალი მწერლების, ასევე აწგანსვენებულთა ნათელი სულების წინაშე ქედი დაიდრიკა და თი-თოეულ მათგანს შემწეობა და მეოხედ ყოფნა შესთხოვა.არის ამაში რაღაც დამაფიქრებელი, თა-ვისი იდუმალი ხასიათითა და მისტიური შეფერილობით. ადამიანის ბუნებას რას გაუგებ, მაგრამ ჩხიბვა ესევითარი და თილისმად შერჩევა მწერლებისა, მწერალთა ორგანიზაციისა, და ბოლოს მათი მარადიული განსასვენებელი ადგილისა, არ შეიძლება მისი ამგვარი წარმატებების საწინდარი და განსაცდელში ქუდბედიანობის განმსაზღვრელი ჯადო-ძალა არ იყოს.

მართალია, ჩვენ არ წარმოვადგენთ ისეთ დიდ სამწერლობო ორგანიზაციას, როგორიც საქარ-თველოს მწერალთა კავშირია, ჩვენ მისი ერთი მცირე განშტოებაღა ვართ, ანუ როგორც ეს პოეტს შეუძლია გამოხატოს — „ხვლიკი — ნიანგის წვეთი“.

ჩვენი სალოცავი ადგილი მაცხოვრის კარის ეკლესიაა, რომელიც ასევე არ არის, ვთქვათ, სიონის ტაძარი, არამედ ამ კათედრალის ერთ-ერთი საქვეშევრდომოა და ა.შ. ამით ის მინდა გითხრა, რომ არც მხარის გამგებელი გახლავთ ქვეყანაში ძალაუფლების პირველი საჭეთმპყრო-ბელი. ის მხოლოდ პრეზიდენტის რწმუნებული და მისი ნება-სურვილის გამტარებელია რეგიონ-ში. ამავე დროს იგი პრეზიდენტის მიერ ყოველგვარი კეთილი ნების გამოვლინებათა იმიტატო-რიც უნდა იყოს და არ ეთაკილებოდეს მცირე საყდარში მობრძანება და სანთლის დანთება, რამეთუ ყოველი მოსალოცი ადგილი და, უკაცრიელი პასუხია, გნებავთ მოსასაქმებელიც, ამ შემთხვევაში, მისი თანამდებობრივი გაბარიტების ტოლფარდია.

— ნათქვამიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რიგითი ადამიანების ბედ-იღბალი ჩვენში მთლად უფლის ანაბარაა მიტოვებული, ვინაიდან, როცა მწერლობა იგნორირებულია, რიგითებისათვის ვის სცხელა?!

— დღეს ჩვენს მხარეში უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები მრავალი ასპექტით. არ გამოვე-დევნები სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეს. უკანასკნელ პერიოდში მომხდარი ინცინდენტები-დან მარტო 26 მაისის მაგალითის მოხმობაც საკმარისია. დეტალებს არც აქ ჩავეძიები და მარტო ფაქტის უბრალო კონსტანტაციით შემოვიფარგლები. ხსენებულ დღეს ექსპრეზიდენტის მომხრე რამდენიმე პირი ფიზიკურად შეურაცხყვეს და დააპატიმრეს. მათ შორის იყვნენ მწერლებიც. ამის შესახებ მოგვიანებით გავიგე. ხელისუფალნი უკვე სადღაც სანადიმოდ გაკრეფილ იყვნენ, მათი ადგილ-სამყოფელი კი ვერავინ მიმასწავლა. ბოლოს, შემთხვევით, ვიცე-რწმუნებულს, ბატონ მიხე-ილ ქანთარიას გადავეყარე, რომელმაც აღმითქვა, რომ პატიმრებს საღამოს პირზე გაანთავისუფ-ლებდნენ...

თურმე ნუ იტყვით, ყოფილ ბოლშევიკებს, 25 თებერვლის ავტორთა შთამომავლებს, ამ უცნა-ური ჯიშ-ჯილაგის ქამელეონებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვინ იცის, რამდენგზის გადაიღებავენ თავიანთი ურჩხულის ქერეჭიან ტყავეულს, შეუძლიათ ზარ-ზეიმით აღნიშნონ 26 მაისი, ხოლო იმათ, ვინაც დაბადებიდან სიკვდილამდე დისიდენტური ცხოვრების უმძიმეს ჭაპანს ეწევიან, ამ დღეს ბორკილები უნდა დავადოთ, ისე, როგორც მათი სამშობლოა ბორკილდადებული. როცა ხელისუფლება ძალისმიერი მეთოდებით დაიწყებს ძალა-უფლების შენარჩუნებას, იმის დღეები დათვლილია. ეს არის აქსიომა და ამის მაგალითებით ისეა გაძეძგილი მსოფლიოს ისტორია, რომ იქ სხვა რამისათვის ადგილი თითქმის არც არის დარჩენილი.

— სამშობლოსათვის კალმით და ტყვიით მეომარ კაცს, ვიცი, გულისგატეხვა არა

გჩვევია, არც — უკან დახევა წინააღმდეგობათა გადალახვისას. რა გზას დაადგება მხარის მწერალთა ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი, თუკი საერთო სატკივარი — მწერლობის საშვილიშვილო პრობლემები პრობლემებადვე დარჩა, თუკი რეალური ნაბიჯები არ გადმოიდგა ხელისუფლებისაგან, ბიზნესმენებისაგან, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან, ვისაც ხელეწიფება ამისთანა საქმეებისათვის გარკვეული სახსრების გაღება, თუკი კვლავაც დუმილის, გულგრილობის, იგნორირების პოლიტიკით ისულდგმულებენ?

— ეტყობა ჩემზე ჯერ კიდევ არსებობს გადაჭარბებული წარმოდგენები, თუმცა უკვე გვარიანად შევიცვალე. ბაქიაობის ასაკიდან კარგა ხანია გამოვედი. არ ზემოქმედებს და ფაქტობრივად უცხო გახდა ჩემთვის ისეთი როყიო გამონათქვამები, როგორიცაა, ვთქვათ: ,,აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს'', ან ,,მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არა სჩვევია'' და მისთანები. უკან დახევა არა მჩვევია კი არადა, თუ ამის აუცილებლობა დავინახე, ისე მოვკურცხლავ, კურდღელს გავასწრებ. მე ვინა ვარ ან ემუხვარი და თუთაშხია, როცა ერთხელ თვით დონ კიხოტიც კი, ადამიანთა უმადური ბუნებით შეძრული, სანტა ჰერმანდადას რისხვას გაექცა. უმამაცესი რაინდი, ვისთვისაც ნებისმიერი თავს დატეხილი უბედურება ღვთის წყალობად აღიქმებოდა, თავისი საჭურველმტვირთელის რჩევას დაჰყვა და უცაბედად განერიდა ისეთ ფათერაკს, ვინ იცის, იქნებ მასთან ქარის წისქვილებიც კი მონაგონი ყოფილიყო. მაგრამ ეს ლაჩრობით კი არ მოსვლია დონ კიხოტს, არამედ წინდახედულებით.

,,გაცლა გაქცევა როდია, — შთააგონებს მას სანჩო, — ის უფრო გონიერება არ იქნება, დღეს თავი შევინახოთ ხვალისათვის და მთელი არსება ერთ დღეს არ შევალიოთ'', ასე რომ, დონ კიხოტზე ჯიუტი ვერც მე ვიქნები და თუ ასე გაგრძელდა, რა თქმა უნდა გაცლას ვამჯობინებ. საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგანო'', ბრძანებს პოეტების მამფალი და მე რა უფლება მაქვს არ დავემორჩილო. არც ვინმეს ნასუფრალზე ვარ დახარბებული და სამადლო ლუკმის გადმოგდებისათვის ვიღაც ბღენძია ტიპაჟების წინაშე თავს ვერც დავიმცირებ და ვერც დავივალდებულებ. მით უფრო მაშინ, როცა უკვე აშკარად ჩანს, რომ ,,ზოგიერთ ამხანაგებს'' ისე გაუტკბათ მღვრიე წყალში ხელის ფათური, არავინ უწყის, როდის მოგვიწევს მათთან შეჯახება და უკომპრომისო ბრძოლის გამართვა, შეხსენება იმისა, რომ ამქვეყნად არსებობს მატერიალურ სიმდიდრეზე მაღალი ფასეულობანიც და ყველაფერი ფულზე არ იყიდება.

— არანაკლებ საგულისყუროა ჩვენთვის რეგიონული მწერალთა კავშირის პერიოდიკის „ფენიქსის" შენეული მოწინავე წერილის პათოსი. გვაინტერესებს სულიდან ამონახეთქი, ლამის წინასწარმეტყველური ის გულისთქმა, რითი საზრდოობს, რითი იკვებება? იმ წერილის წაკითხვის შემდეგ საფიქრალია სამეგრელოდან გაკრეფილი ჩვენი კუთხის შვილნი აჩქარებით მოეახლებინ მას, რადგანაც შენი თქმით, სწორედ აქედან უნდა აღზევდეს საკაცობრიო რანგის ხელოვანი.

რატომ? ან გამოჩნდნენ თუ არა ისინი?

აქვე, მწერალი კაცისათვის ხომ არ ნიშნავს ფარ-ხმალის დაყრას მსგავსი განცხადება, კაცისათვის, რომელიც უშუალო მონაწილეა მრავალი ჭირთათმენისა: აკვანში მწოლთ თუ შორტებით მორბენალებს გადაულოცოთ გარდახდილი ჟამთატრიალის ასახვისა და ხალხის გულებთან მართებულად მიტანის პრივილეგიები?! ნუთუ ჩვენი თაობიდან შეუძლებელია ამისთანა პიროვნების ამოტივტივება?! ნუთუ გამორიცხავ სკასავით დანჯღრეული სინამდვილის მხატვრულ ტილოდ გარდამსახველის მოვლინებას თანამედროვეთაგან? ჯერ ხომ თავიანთი საბოლოო სიტყვა არ უთქვამთ ბატონებს: ნოდარ წულეისკირს, გურამ დოჩანაშვილს, გურამ გეგეშიძეს, ოთარ ჭილაძეს, არც თქვენი მონა-მორჩილი გური ოტობაიაა შაინცდამაინც გულხელდაკრეფილი და რამდენადაც ვიცი, მიუხედავად უსაშველო უშუქობისა, სანთლის ლიცლიცში თავადაც ბაწარაღებით კინძავ და კინძავ ოთხმოცდაათიანი წლების ტკბილ-მწარე წუთებს...

— როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამწუხაროდ, რიგი მიზეზისა გამო, ,,ფენიქსის'' პირველი მახარობელი ნომერი მცირე ტირაჟით დაისტამბა და ამდენად, იგი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის არ იქნება ხელმისაწვდომი. თუ რაზეა იმ წერილში ლაპარაკი, ვფიქრობ, ორიოდე სიტყვა ჯერ ამაზე უნდა ითქვას. ეს გახლავთ ,,წინასწარმეტყველება'' სულ მალე ქართულ მწერლობაში ახალი ვარსკვლავის გამოჩენის შესახებ, რომელიც უთუოდ ჩვენი კუთხის შვილი იქნება. ამის საფუძველს იძლევა მთელი ის პოლიტიკური ჟამიანობა, რაც ამ ბოლო პერიოდში გადავიტანეთ. მოგეხსენებათ, უბედურების ეპიცენტრი სამეგრელოში, ძირითადად კი ზუგდიდში გადიოდა და ეს მოვლენაც აქ დაიდებს სათავეს, ან არადა, იგი სამეგრელოს საზღვრებს არაფრით გასცდება. ეს გამო-

რიცხულია და ამაში რამენაირი ეჭვის შეტანის საფუძველი არ გაგვაჩნია. თან მინდა ყველამ იცოდეს, რომ ეს მოხდება მზიან ამინდში მეხის გავარდნასავით და არა ისე, რომ ელვას მოჰყვეს დაქუხება და რაიმე მაგდაგვარი. არანაირი წინასწარმაუწყებელი ნიშანი მის გამოჩენას არ ექნება. ამიტომ ვამბობ, რომ ამთავითვე საჭიროა გარკვეული თადარიგის დაჭერა. ხშირად უზომო სიხარულის განცდასაც მოსდევს გონების ისეთი ფორიაქი, რომელიც მერე შესაძლოა სავალალო შედეგითაც დასრულდეს. არადა, არაფერია ამქვეყნად იმაზე დიდი ბედნიერება, ცხოვრობდე გენიალური მწერლის ეპოქაში და შენს თვალწინ უკვდავი ნაწარმოებები იქმნებოდეს.

— დაბოლოს, ტრადიციული შეკითხვა: შემოქმედებითი მიზნები... ლექსების კრებულის „ბედის“ გამოსვლის შემდეგ ბარემ თხუთმეტ წელზე მეტი გავიდა, ხოლო რომანი „დამატებითი დრო“, რომლის რამდენიმე ნაწყვეტი კი გამოქვეყნდა ლიტერატურულ პრესაში, რასაც მკითხველი ცხოველი ინტერესით შეხვდა, სრულყოფილი სახით ჯერაც ვერ ვიხილეთ. იქნებ უფრო დაგვიკონკრეტო სათქმელი და გვაუწყო: როცა შემოქმედის ბედი საშობლოს ყისმათს იოტისოდენადაც არ აღემატება, არადა, ამ ხელოვანს საკუთარი ენერგიის რეალიზაციისათვის მინიმუმიც არ გააჩნია, რა მოიმოქმედოს, როგორ იხსნას სული და სხეული ისევ და ისევ ჩვენი სათაყვანებელი მამულის სადიდებლად?!

— თითქმის საუკუნის შემდეგ ვაპირებ პეტრე ჭარაიას შემოქმედების გამომზეურებას. ასეთი მაგალითები იმდენია, ჩამოთვლას არ ექვემდებარება. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო, ნათქვამია. ასე რომ, თუკი ღმერთმა ინება და რაიმე ფასეულის შექმნა შევძელი, არა მგონია უკვალოდ გაქრეს. მიმაჩნია, რომ დღეს რა საქმეებითაც ვარ დაკავებული, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაციაზე ზრუნვა. წელან გეუბნებოდით, ახალი ვარსკვლავის გამოჩენას ვარ დადარაჯებული-მეთქი და ის დროც უკვე, წესით, მოახლოებული უნდა იყოს. ვინც ამას არ დაიჯერებს, სულ მალე ფაქტის წინაშე დადგება შერცხვენილი. ყოველივე ამის შემდგომ კი მოხდება ისიც, მართალია, ჩემი ნაცოდვილარი იმის შედევრებთან არარაობად გამოჩნდება, ის მაინც როგორც დიდი რევიზორი, გაუსინჯავს არაფერს დატოვებს და თუ რაიმე ფასეულობა შენიშნა, უჩემოდაც კარგად მოუვლის. ასეთია კარსმომდგარი რეალობა და ძალიან მინდა, რომ ვინმემ ეს გადამლაშებულ თავმდაბლობაში არ ჩაამომართვას.

***

ამნაირი გახლავთ ერთი წლით წინათ ჩემი ძმობილი, და ვფიქრობ, 12 თვეს უფრო გაუბასრებია იგი...

... ცხადია, ჯვარიდან მობრუნებულ ,,ლაბირინთელებს'' ჩვენ ვერ შევეყრებით, ვინაიდან შამგონაში იმდენი პრობლემა დაგვხვდება, ზუგდიდს შებინდებამდე ვერაფრით ჩამოვაღწევთ. თავად განსაჯეთ, გაექცევი წუთისოფლის დარდუბალას, რომლითაც პირთამდეა სავსე თითოეული სამურზაყანოელის ფიალა? ულეიბოდ, უსაბნოდ წვანან ბეტონის იატაკზე, სასკოლო მერხებზე, მაგიდებზე, ან უკეთეს შემთხვევაში, ოჯახის ხუთი წევრი რიგრიგობით, მონაცვლეობით წრიალებს ერთ ლოგინში. ამაზე მეტი გულდასათუთქი ამბავი სმენილა? ათასობით ფირმა და ,,შეპესე'' ნავარდობს დღევანდელ საქართველოში. ზოგი სრულიად დაუმსახურებლად მილიონერია სახალხო დოვლათის მუხანათური მისაკუთრებით, მაგრამ ქველმოქმედებაზე რომ ჩამოვარდება საუბარი, კაპიკს ვერ გააგდებინებ ხელიდან. არადა, ,,ლაბირინთელებივით'' არასამთავრობო სტრუქტურების თუნდაც 50 პროცენტმაც გამოიღოს ხელი, 40 ათასი დევნილის ღირსეული დაბინავება და სათანადო სამუშაოს გამოძებნა გაძნელდება? სახალხო მეურნეობის უპატრონოდ მიგდებულ დარგებს ვგულისხმობ, მეჩაიეობას, სახნავ-სათესს. ადამიანს უნდა მივცეთ ფეხზე დადგომის საშუალება. ხელის გამართვა, დახმარება, მისაღებია ერთხელ, ორგზის, მაგრამ სახელმწიფო კმაყოფაზე წლობით მტერმა ისულდგმულა. გადაგვარების, გადაჯიშების უკეთესი საშუალება არც არსებობს.

განმუხურში შევიტყობ აფხაზი სეპარატისტების მიერ ალალი მამიდაშვილის, ბოჩია მეფორიას დახვრეტის ამბავს და მწუხარებით სულშეძრული ისე მოვბრუნდები თბილისს, მშობლიური ოტობაიელების სოფელ ორსანტიაში მონახულეობას ვერ მოვახერხებ.

მას აქეთ ბარემ თვენახევარი გაივლის.

ფიქრებით თავდამძიმებული რუსთაველის პროსპექტს მივუყვები ,,ცხრა აპრილის''მიმართულებით. უცებ ხოჭოსფერი ,,ოცდათერთმეტი'' მომამუხრუჭნებს. ,,ლაბირინთელების'' კომერციული დირექტორი, თამაზ ბასილაია არ შემრჩება ხელთ?!

— მადლობელი ვარ წერილში მოხსენიებისათვისო, — მეტყვის, როგორც კი მანქანაში ჩავჯდები,

— იმ ფაქტის აღნიშვნას „საოჯახო ლოტოს“ ტირაჟის გათამაშებაზეც მოვახერხებდით რამენაირად, მაგრამ იტყოდნენ კოკობზიკობენო და თავი შევიკავეთ. ყველაფერი ისე გიწერიათ, თითქოს იქ ყოფილიყავით. კინაღამ გაგვწეწეს. თურმე ხელისუფლების წარმომადგენელნი ვეგონეთ. ბედზე იმ ხალხში ჩვენი გულშემატკივარი აღმოჩნდა და ფირმა „ლაბირინთის“ თანამშრომლები ვართ-თქო, რომ ვიბღავლეთ, თავიდან ის ერთადერთი გამოგვექომაგა. 11 ათასი ლარი ხქონოდა მოგებული შარშან. სწორედ იმან გვიშველა. როგორც კი ჩვენი ვინაობა გააგებინა ყველას, მთიანი სამურზაყანოს მოსახლეობა მყისვე დაშოშმინდა. სათითაოდ მოგვიბოდიშეს. მოწიწებით თავს გვიხრიდნენ მადლიერების ნიშნად. ჩატანილი ტვირთიც შეუფერხებლად დარიგდა. არავითარი გაწევა-გამოწევა, არავითარი სულსწრაფობა. ყველა ოჯახს ერგო თანაბრად და მიუკერძოებლად. სახელდახელო სუფრა გაგვიშალეს მანქანის „კაპოტზე“. ორნახადი, ცეცხლოვანი ხილის არყითა და ჯანჯუხა-ტყლაპით გაგვიმასპინძლდნენ. კარგა ხანია იქითკენ არ გაგვიხედავს. აქაც არანაკლები პრობლემებია. ამ დღეებში ენგურისპირა სოფლებში განთავსებულ დევნილებს მოვინახულებთ. ვნახოთ, რა გამოგვივა. მობრძანდით, მობრძანდით! — მეპატიჟება თამაზი „ლაბირინთელების“ ოფისის რკინის კიბეებზე.

ზღაპრული კონსტრუქციის ნაგებობა — ლაბირინთი კრეტის მითიური მეფე მინოსის გონების წყალობაა. სფინქსივით მარადიდუმალ მის ტალანებში მობინადრე ურჩხული მინო- ტავრი მუსრს ავლებს იქაურ ბნელხვეულებში უთავბოლოდ მობოდიალე ადამიანებს. ესენი კი კრეტელების მოხარკე ათენელები გახლავან, რომლებიც ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ მინოსს შვიდ ჭაბუკსა და ამდენივე ასულს უგზავნიან ზვარაკად. მინოსი მათ ლაბირითნში შელალავს და იქ მხარაქცეული მიმოსვლებით დარეტიანებულ ქალ-ვაჟებს მინოტავრი მოუ- ღებს ბოლოს, მაგრამ ერთხელ ხარკად წარგზავნილ ახალგაზრდებს ეგოსის ძე თეზევ- სიც გაჰყვება.

სწორედ იქ, კრეტაში, როგორც იასონი მედეას, გმირთაგმირი თეზევსი მოხიბლავს მშვენიერი არიადნეს. ეს უკანასკნელი ჰელიოსის შვილი- შვილია, პისაფეას პირმშო, აიეტის დისწული და გულქვა მამის საწინააღმდეგოდ უცხომიწელს შეეკვრება უმწიკვლო სიყვარულით, მისცემს თეზევსს გორგალს, ასწავლის ძაფი როგორ დაებას შესასვლელთან, როგორ განეგმიროს მინოტავრი და მშვიდობიანად რანაირად გამოაღწიოს ლაბირინთის საშინელი ტალანებიდან.

აღასრულებს ჭაბუკი სატრფოს დარიგებას, მინოტავრზე გამარჯვებული უვნებლად გამოვა ლაბირინთიდან. ასე სძლევს სიყვარული ადამიანების საწამებლად მოგონილ სამსხვერ- პლოს, მაგრამ დაბეჯითებით არავინ იცის, მაინც რა მიზანს ემსახურებოდა თავად ლაბირინთი, მისი საიდუმლოებით მოცული არე-წიაღი, მინოტავრის კბილების აუკაწკაწებლადაც რისთვის თანგავდა იქ შეღწეულებს გორდიას კვანძივით გადაბურდული მისი ვრცეულობა, რატომ უბნევდა თავგზას ადამიანებს და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი რისთვის თანგავდა უეჭველი სიკვდილით?

მოგიანებით, მხოლოდ მოგვიანებით მიაქცევს ყურადღებას ამ ნაგებობას ანთროპოსოფიის მამამთავარი რუდოლფ შტაინერი, რომლის ვარაუდით ლაბირინთი ადამიანის გონების მიკრომოდელია, ერთგვარი მატრიცაა ცოლკინის მსგავსად და იგი ზეგანვითარებული ცივილიზაციის დანატოვარია დედამიწაზე რაღაც იდუმალის ამოსახსნელად.

ასეთი ვრცელი ექსკურსით გამოვეცნაურები „საოჯახო ლოტოს“ სულისჩამდგმელს, ფირმა „ლაბირინთის“ კომერციულ დირექტორს, მკვეთრი მოძრაობებითა და დაუდგრომლობით გამორჩეულ ყმაწვილ კაცს, ბატონ თამაზ ბასილაიას რკინის ხვეულ კიბეებზე ასვლისას.

„ლაბირინთის“, ერთ-ერთი სამუშაო ოფისი ეროვნული ბიბლიოთეკის სიახლოვესაა. აქ, მომცრო სტამბაში ბეჭდავენ „საოჯახო ლოტოს“ ბილეთებს. ყოველი ტირაჟი თურმე განსხვავებული ფერისაა. ამით გაყალბებას გამორიცხავენ. ნახევარფაბრიკატების დონეზე დამზადებულ ბილეთებს მოგვიანებით მაღალი მეხსიერების კომპიუტერებით ნომრავენ. მერმე სათითაოდ მოწმდება ბილეთები, რათა გაუგებრობა დროულად აიცილონ თავიდან. მაგალითისათვის, ორი ან სამი გაორებული ბილეთი თუ გაეპარა კონტროლიორს, ხომ შეიძლება სწორედ იმან მოიგოს ჯეკპოტი და ერთბაშად გაკოტრდე?! დღემდე „ლაბირინთმა“ ხუთასზე მეტი ადამიანი დაასაქმა. თითეულის ანაზღაურება 250-300 ლარს აღემატება ყოველთვიურად. უამრავი ზარი გაისმის თურმე მაღალი ინსტანციებიდან, მოქალაქეთა „საოჯახო ლოტოს“ ბილეთების რეალიზატორებად მოწყობის თვალსაზრისით. ახლა უკვე არავინ თაკილობს შუაქუჩაში ვაჭრობას. მართალია, ჯერჯე- რობით უბრალო მაგიდებს ასაკეცი სკამებით მიმსხდარან ისინი, მაგრამ ქალაქის მერია ნებას თუ დართავთ, საკუთარ ჯიხურებსაც გაიჩენენ და ბილეთების გავრცელებაც ცივილურ ხასიათს მიიღებს.

„ლაბირინთელები“ თავიანთი წარმატების უმთავრეს ქვაკუთხედად სახელმწიფო ბიუჯეტთან პირნათელ ურთიერთობას მიიჩნევენ. მარტო წლეულს 4 მილიონამდე ლარს შეიტანენ სახელმწიფო ხაზი-

ნაში. ახლა ამას დავუმატოთ სულ ცოტა 200 მოქალაქე, რომელიც 78 ტირაჟის მანძილზე სამისდღემ-შიოდ დასახლებულა და ადვილი მისახვედრია, არც ისე ცოტაა მათი როლი ადამიანების კეთილდღეობის საქმეში. დღეს 25 თეთრით ვერაფერს შეიძენს მოქალაქე, ,,საოჯახო ლოტოთი'' კი შეიძლება ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით, ათასების პატრონი შეიქმნას.

— ლატარეა ,,საოჯახო ლოტოს'' ყოველი ტირაჟის გათამაშებას დიდი ხანია გაფაციცებით თვალს მივადევნებ მთელი შემადგენლობით, — ვეუბნები მასპინძელს, — შაბათ საღამოს ერთ სამზადისში არიან ჩემი ბავშვები. ავტოკალამს და სუფთა ფურცელს იმარჯვებენ უფროსი ასულები. თავად მეუღლე ბილეთებს გადახაზავს. წერა-კითხვის უცოდინარი კოკა ტოლს არ უდებს დაიკოებს, მოკლედ, კოლექტიური ფაციფუცის მიუხედავად ჯერჯერობით 2 ლარზე მეტი ვერ მოგვიგია. თავიდან თქვენ უმეტოქო ბრძანდებოდით საქართველოში, მაგრამ დროთა ვითარებაში გამოგიჩნდნენ სერიოზული კონკურენტები: ,,ტოტო-ლოტო'', ,,ქართული ლოტო'', ,,თორმეტი სკამი'' ,,ოქროს გასაღები'' და სხვა. რამდენადაც მახსოვს მათ გამოჩენამდე თქვენი ტირაჟი ორ მილიონს აღემატებოდა, დღეს კი ძლივს 800 ათასია. საინტერესოა, რა განსაზღვრავს ხალხის დაინტერესებას, მიმზიდველი რეკლამა თუ თამაშის ბუნება-ხასიათი? — ასეთი კითხვით მივმართავ ფირმის კომერციულ დირექტორს, როცა კაბინეტში შემიძღვება და ზედმიწევნით გამაცნობს თავისი კომპანიონებს.

— ლოტოს თამაშის პიონერები საქართველოში ჩვენა ვართ, ,,ლაბირინთელები''. დასახელებული კონკურენტები, რომლებზეც მოგვიანებით მოგახსენებთ, ჩვენი ლატარიის 75 ტირაჟის შემდეგ გამოჩნდნენ ასპარეზზე. ახლა კი იმაზე მოგიყვებით მოსკოვში ზედიზედ სამი კვირის მანძილზე როგორ მოვიგე ორი ათასამდე დოლარი ,,რუსსკოე ლოტოში''. მომხიბლა თამაშის აზარტულობამ. გადავწყვიტე მისი ფილიალი საქართველოშიც შემექმნა, მაგრამ ფირმა ,,მილანის'' პრეზიდენტმა ახლოსაც არ გამიკარა. მერე, დაჟინებული სიარულის შემდეგ, სატელეფონო საუბრით უდიერად მომიშორა თავიდან:

ვერ გამიგია, რას გვეტენებით ეს ქართველები?! არ გინდოდით აქამდე და ახლაა ჩვენს გარეშე რომ ვერ ძლებთო? ორასი წელიწადი კბილებით მოგათრევდით, დაგავიწყდათ ვისი შემწეობით დაიბრუნეთ აჭარა და მესხეთიო? მადლობის მაგიერიაო?! იყავით ახლა თქვენთვის, თქვენი აწეწილი და გაძაღლებული ცხოვრებითო!

ამის შემდეგ ორ საათსაც არ დავრჩენილვარ მოსკოვში. თბილისში ჩამოსულმა სწრაფად შემოვიკრიბე თანამზრახველები. მერაბ ბერიშვილის შვიდთვიანი დაუღალავი მუშაობის შემდეგ, როგორც იქნა დამოუკიდებელი, ორიგინალური კომპიუტერული პროგრამა შევქმენით, თუმცა წინ კიდევ უამრავი ბარიერი გვეღობებოდა თურმე და აი, გასული წლის 17 ნოემბერს, სხვათა შორის ჩემი დაბადების დღეს, პირველად გავედით ეთერში.

— ღრიანკალის ნიშნის ქვეშ ყოფილხარ დაბადებული. ასეთ ადამიანებს ხოროსკოპის მიხედვით იღბალი სწყალობთ აზარტულ თამაშებში.

— ბედს მართლაც არ ვემდური. არ მახსოვს ნარდი ვინმესთან წამეგოს. მატჩს ვგულისხმობ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს პრობლემები არ მქონდეს. ,,საოჯახო ლოტოს'' თავდაპირველად რაიმე სერიოზული წარმატება არ ხვდომია წილად. მართალია, ბილეთის ღირებულება 1 ლარიდან 25 თეთრამდე შევამცირეთ, მაგრამ პოპულარობის საქმეს ამანაც ვერ უშველა. თვალშისაცემად გვაკლდა სათანადო რეკლამა და ახა, ისიც მალე გამოჩნდა სტუდია ,,მაესტროს'' სახით. ხოლო რაც შეეხება წამფანს, მამუკა ღლონტს და მის დაუცხრომელ ტემპერამენტს, ჩვენი წარუმატებლობა სასიკეთოდ 180 გრადუსით შემოატრიალა.

— ამხელა ნობათით რომ ეწვიეთ ჯვარში განთავსებულ სამურზაყანოელებს, ალბათ, უკვე საკმარისად მდიდრებიც ხართ? — ვეკითხები მორიდებით.

— ყველას მილიონერები ვგონივართ, სინამდვილეში კი ჩვენი ყოველთვიური შემოსავალი ათასხუთას — ორიათას ლარს არ აღემატება. ფირმას ექვსი დამფუძნებელი ხყავს: გენერალური დირექტორი ნიკო ნემსაძე, კომპანიონები — გიორგი რცხილაძე, გია ლაზიშვილი, გიორგი ახვლედიანი და მერაბ მერაბიშვილი. ბოლო ორი თქვენ ზუგდიდში გინახავთ.

ფუნქციები ზედმიწევნით განაწილებულია. მაგალითად, მე ,,საოჯახო ლოტოს'' ბილეთების დაბეჭდვა მევალება, მეორეს — მათი რეალიზაცია და ასე შემდეგ. მოკლედ, ფირმის მოგებული თანხის განმკარგავი მხოლოდ მე ვერ ვიქნები; საამისოდ, დებულების თანახმად, ექვსივეს თანხმობაა საჭირო. აქამდეც უამრავი ქველმოქმედება გავწიეთ: ხელი მოვუმართეთ ზოგ ობოლ სტუდენტს, საზღვარგარეთ საოპერაციოდ გასაგზავნ ავადმყოფს, სპორტსმენს და ვინ მოსთვლის, მაგრამ როცა ხალხი ზღვასავით მოგვაწყდა, საერთო გადაწყვეტილებით კატეგორიულად დავასკვენით, რომ თუ დავაფინანსებდით, მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ საქმეებს. სამურზაყანოელი დევნილების დახმარება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებად მიგვაჩნია და ამ დღეებში ამიტომაც განგვიზრა-

ხავს იქ განმეორებით გამგზავრება. ამჯერად მხოლოდ გამძლე პროდუქტს ჩავუტანთ დევნილებს. სურვილი ბევრია, მაგრამ შესაძლებლობა — რეალობიდან გამომდინარე — შეზღუდული. პირადი შემოსავლებიდან მშობლიურ ხიბულელებს დანგრეული გზის შეკეთებაში შევეშველე. ხელმოკლე 50 ოჯახს თითო ტომარა პურის ფქვილით შევეწიე. მომავალში სოფლის სასაფლაოზე მომცრო ეკლესიის აშენებას ვაპირებ. თავად ფირმის ძირითადი მიზანი მაინც ქართული ხელოვნების აღორძინებისათვის ზრუნვაა, ქართული მწერლობის გვერდით დადგომა.

— სურვილი კარგია, მაგრამ დღითი დღე თანამზრახველებს რომ გართმევენ სხვადასხვა „ლოტოები“?! რაიმე სიახლის დანერგვა ხომ არ განგიზრახავთ კონკურენციის თვალსაზრისით?

— ჩვენ შესწავლილი გვაქვს ხალხის ფსიქოლოგია. ,,პოლე ჩუდესი'' როგორც დაიწყო, დღესაც იმავე მარტივი ფორმით გრძელდება, მაგრამ ფართო საზოგადოებაში მის მიმართ ინტერესი არ განელებულა.

— ძველების ნათქვამია, ჭეშმარიტება უბრალოებაშიაო.

— ჩვენც ამ პრინციპიდან ამოვდივართ. მოქალაქეს ურჩენვია რვა-ათი ბილეთით შემოიფარგლოს, რადგან მეტის შეძენის შემთხვევაში იგი ვერ ასწრებს ბილეთების შევსებას და ამდენად, იკარგება თამაშში მონაწილეობის ხიბლი. მერედა, გაბერილ ტირაჟს ახლავს გარკვეული სირთულე: ყოველკვირეულად, სიტყვისათვის, ხუთი მილიონი ბილეთის დაბეჭდა და გავრცელება ჩვენი შესაძლებლობის ფირმისათვის ფრიად ძნელია. თუ ნემსის ყუნწში გაძვრები და მაინც იტვირთავ ამისთანა საქმეს, გამოდის რომ ოჯახი უნდა დაივიწყო, ტოლ-მეგობრებსა და ნათესავებზე უარი თქვა, ფულის მკეთებელ მანქანად იქცე. ამისგან კი ღმერთმა დაგვიფაროს ყველა, ჩემი კონკურენტებიცა და მეც. კონკურენცია აჯანსაღებს ნებისმიერ ურთიერთობას, ხვეწს თავად თამაშს, გამორიცხავს აფიორას და ასე შემდეგ.

— ბუნებრივია, ქართველს ამერიკელის ცხოვრებისეული დევიზი ვერ წაადგება, თითქოს „ფული ყველაფერია“. ტრადიციის გათვალისწინებით ფულმა, ქონებამ უნდა გაასხივოსნოს ჩვენი ცხოვრება და არა — პირიქით, დააბნელოს. შვილები რამდენი გყავს?

— ქალ-ვაჟი, გიორგი და ანანო. ჩემი მეუღლე თამუნა გოგიჩაიშვილი ძირძველი თბილისელია და სიმდიდრით ვერ გააკვირვებ. ნინო ანანიაშვილის, ზურაბ სოტკილავას კონცერტებს თუ დააკლდი, მეგობარ-ნათესავების წვეულებებზე თუ არ იარე, რიგით მეჯღანუაშვილად იქცევი, რომელიც ხვალ და ზეგ ბიზნესში კისერს მოიტეხ უსათუოდ.

— მახსოვს, ზუგდიდში, შუკო ჯიქიასთან საუბრისას თქვენ პოლიტიკისაგან შორს იჭერდით თავს, სინამდვილეში კი დღევანდელი პოლიტიკოსი ყოფილხართ, ვინაიდან ჩინებულად იცით როგორ იშოვოთ ფული, ვის მოახმაროთ, რანაირი სტილით იცხოვროთ. თქვენი შეხედულებით დავიბრუნებთ აფხაზეთს მეოცე საუკუნეში თუ ეს პრობლემა მომავალ ასწლეულში გადაგვყვება?

— აკი, ვთქვი, პოლიტიკაში არ ვერევი-მეთქი?!

— გასაგებია, გასაგებია და მაინც...

— რუსთაველმა ბრძანა, ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო. აფხაზეთის დაბრუნება, ჯერ ერთი, პატრიოტულ სულისკვეთებაზე ხკიდია და მერე უფრო მეტად — ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე. დღეს თუ ომისთვის მზად არა ვართ, მივცეთ დევნილ მოსახლეობას მიწები დროებით სარგებლობაში არ დაგვავიწყდეს, რომ გუშინ გააფხაზებული ქართველი დღეს უფრო მძვირნვარებს აფხაზეთში, ვიდრე ნამდვილი აფსუა. ტალეირანს თუ ვერწმუნებით, ომს იარაღზე უფრო ფული იგებს, იგივე ეკონომიკა. ასე რომ, იარაღის ჟღარუნს გვირჩევნია გუთანს და ნიჩაბს წავავლოთ ხელი ღონივრად. ქარქაშიდან მახვილის ამოღების დროც მოვა.

* * *

სანამ ,,სუფევის'' თავბრუდამხვევ მორევში გადავეშვებოდეთ, ორი ვრცელი მასალის წარმოჩენა უცილობლად მოგვიწევს, შეგირდო ჩემო; პირველი წელიწადნახევრის წინაა დაფიქსირებული ჭადრების ხეივანში მიმწუხრის ჟამს. მეორე — ლამის ორმოცი თვით დახანებული, და ამდენად, დაღვინებულ-დაწდევებულიც. დავიწყოთ შედარებით ახლით.

— ზუგდიდში სასურველი ძვრებია მოსალოდნელიო, — მეუბნება ამოჩემებული რესპოდენტი შუკო ჯიქია. — ეს უკვე წარმატებით მიმდიანრეობს, — როგორც აღვნიშნე, საუბარი შარშანწინედლია, — სავარაუდოდ ამ წამოწყებებმა სულ მალე უნდა მოიცვას სამეგრელოს ზონა, სვანეთის

მხარე მთლიანად. უკიდურესი ჩაფრული მანიაკალიზმით შეპყრობილი პირწუკწკი ადამიანების ფეხქვეშ უკვე საყრდენები შეირყა. პირველი ბიძგები დაფიქსირებულია, ამ თაღლითურ სამყაროში, მთელი ქალაქი ასე რომ მოიცვა და მოაოხრა. ამიერიდან დიდი ქესეტობაა მოსალოდნელი. ზუგდიდში უკვე ყველის ვაჭარი ძველებური ხალისით არ იკრიჭება, დახლიდარი აღარ ქლესაობს, მიკიტანს ცხვირ-პირი ჩამოსტირის, სოვდაგარი მოღუშულია.

,,და შევიდა იესო ღმერთის ტაძარში და გამოყარა ტაძრიდან ყველა მყიდველი და გამყიდველი, ააყირავა მეკერმეთა დახლები და მტრედებით მოვაჭრეთა მერხები და უთხრა მათ: დაწერილია, ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება, თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი''.

ახა, მაგალითი, როდესაც მაცხოვარმა სწავლებით ვერაფერი შეასმინა იმ ადამიანებს, ვისაც ვაჭრობა ტაძარშიც არ ეთაკილებათ. უმალ განრისხებული დაერია და უმოწყალოდ დააწიოკა ისინი. ამით უფალმა ნათელი მაგალითი მოგვცა ძალის გამოყენებისა იქ, სადაც სიტყვა არ გაგვიჭრის და ხვეწნა-მუდარით ან დაყვავებით არაფერი გამოგვივა. ამდენად, მოვალენი ვართ ქედდადრეკილებმა მივსდიოთ მის გზას, უსიტყვო მორჩილებით შევასრულოთ ყოველი მისი მინიშნება. ფუჭი ოცნებებით, ზერელე ქადაგაბებით, გამუდმებული უაზრო თათბირებით ვერაფერს გავხდებით. საჭიროა მოქმედება, ეგრეთწოდებული გადამჭრელი ღონისძიებების გატარება. ძლიერი ხელის გამოვლენა და მისი აღიარება. საველე მეთაურის დეფიციტის შევსება. განგაშის ზარი №1-ის დარისხება. პირველ რიგში ამ ყოვლად უსარგებლო თათბირების მოწყობაზე უნდა ვთქვათ პრინციპული უარი, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა: მოვიწვიოთ კიდევ ერთი დიდი თათბირი, სადაც გამოვიტანთ დადგენილებას მომავალში თათბირების ჩატარების აღმოფხვრის შესახებ. ,,ოხ ხატია ბი ეშო ადნო ზასედანიე ატნასიტელნო ისკარენიე ვსეხ ზასედანიი''.

შეგირდო, ჩემო, ალბათ, სიტუაცია გეცნობა. შუკო უკვე ბობოქრობს. მარჯვენა ხელი მალთაყვის მონუმენტივით აღუმართავს. სახე ოფლში ეღვრება მიუხედავად გვიანი შემოდგომის მიმწუხრისა.

რუსთაველმა მხოლოდ სამწუთიანი თათბირი მოიწვია, განაგრძნობს იგი, სამი კაცის შემადგენლობით, როცა ქაჯეთის ციხე აიღო და კიდევაც სამგზის შეულეწა კარები გრძნეულთ. ჩვენ კი ამდენი თათბირების მეტს არაფერს ვაკეთებთ, ხოლო სათანჯოს აღებას გარჯა უნდა, ბაბა, ანუ — რაც ჩვენში არავის ეპიტნავება.

როდესაც ვამბობ, რუსთაველმა რომ მოიწვია თათბირი სამი კაცის შემადგენლობით-მეთქი, ამასთან დაკავშირებით ერთი რაღაცა მინდა ჩავურთო, ერთობ საინტერესო დეტალია, რომელიც ეს- ეს არის მომიფრინდა თავში: ბოდიშს ვიხდი რუსთაველოლოგებთან. კერძოდ, სამასი კაცისაგან ას სამოცი შეხყოლოდაო, გვეუბნება რუსთაველი და თან მიგვანიშნებს: დახოცილთა რიცხვი იმიტომაც არის მნიშვნელოვანი ოდენობის, რომ დიდი საქმეების კეთება ყოველთვის გარკვეული მსხვერპლის გაღებას მოითხოვსო.

გული ცრემლით მევსება ამ კაცის შემყურეს. მუდამ ელეგანტურია, მაგრამ რატომღაც სულ დონ კიხოტის ასოციაციას იწვევს ჩემში. პატარა წვერი ხქონოდეს, რეზო ჩხეიძე კახი კავსაძეს უკან მოიტოვებდა. ჯიბით დაატარებს თაბახის მეოთხედზე დაწერილს წერილებს, ხშირი ხმარებისაგან. გაცრეცილებს. ადგილობრივი პრობლემების ეპიცენტრშია შუკო: ხან მიტინგზე, ხანაც — კამერულ ღონისძიებებზე და ყველას შეაეწვს პილპილმოყრილ მადლს. ოცი თუ ოცდაათი წერილი მაინცაა ჩემს თვალწინ. ფრაგმენტულად მოკითხავს მათ. გახსოვს მაწანწალათა მეთაური ბერიკაცი ,,ოლივერიდან'', რანაირი ოსტატობით ითვლის პატარებისშეკოწიწებულ ხურდას გახუნებული ცილინდრის მოშველიებით? ჰოდა, დაახლოებით ასეა ჩვენი საქმეც. ვეცდები ორი მაინც დავსტყუე ,,ფადაასისთვის''. ასე მოვქცეულიყავი წლების წინ, რამდენს გადავარჩენდი შთამომავლობისათვის, რომლებიც თურმე დაუკარგავს დროთა ვითარებაში, მეხსიერებით კი, ცხადია, ძნელზე ძნელია ერთხელ დამწვარის ფერფლიდან აღდგენა, ესენინისებურად.

2000 წლის 17 ოქტომბერს, დაახლოებით წელიწადნახევრის წინათ, დაინტრიგებულია შუკო ჩამწერის ნელ შრიალში. ხმაც ზომიერად ტემბროვანი შეურჩევია. ხოდა, განაგრძობს:

ზუგდიდელებთან საუკუნის შეხვედრაა. ეს არ იყო მხოლოდ მეცნიერულ-საპოლიტიკო ან სხვა სახის ვიწრო პროფილური ხაისათის მატარებელი თავყრილობა, არამედ, როგორც შემდგომ ამ ღონისძიების რეფრენად გატარებული სიტყვებიდან ირკვევა, იყო 1900 წლიდან მოყოლებული 2000 წლის ჩათვლით დამდეგი ახალი საუკუნის სიაში ერთგვარი ანგარიშის ჩაბარების მცდელობა, რა თქმა უნდა, სამომავლო გზების დასახვის ჭრელა-ჭრულა ეპიგრაფებით.

ბატონო, გურიო, ოფიციალურად მომმართავს რესპოდენტ-მეგობარი, ეს იყო ,,მოქკავშირის'' მერვე კონფერენციაზე. ყველა ტრიბუნას ვიყენებ, არა აქვს მნიშვნელობა, მე ახლა ეროვნულ-დემოკრატი ვარ, თუ სხვა. ფეხებზე მკიდია პოლიტიკური კონიუქტურა. გამოვედი რა ზუგდიდელ-

თა საუკუნის შეხვედრაზე და სრულიად უბოროტოდ განვაცხადე, რომ ზუგდიდი არის ქალაქი — ბაზარი, სადაც ყველაფერი იყიდება. არ იყიდება მხოლოდ სინდისი, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთი დასახელების საქონელი აქ იშვიათად ვინმეს თუ გააჩნია-მეთქი. ამ იშვიათი საქონლის მქონეთა შორის, ვინც თავის თავზე მიიღო ყოველივე, ასე ვთქვათ, უმარვლესობამ ნიხილისტური მეთოდებით გაილაშქრა ჩემს წინააღმდეგ, ისე გამომიყვანეს, თითქოსდა მე ვიღაც თბილისიდან ჩამოთრეული ჩხოროწყუელი ვყოფილიყავი და ამდენად, როგორც ზუგდიდელთა მოძულეს, მთელი ჩემი დღე და მოსწრება ამ ქალაქის ღირსების შელახვაზე მეზრუნოს.

„დიდი ქ ალაქები, როგორც მაგალითებრ თბილისია და ქუთაისი, წარმოადგენს მარტო ბაზარს“ — წერს ილია ჭავჭავაძე დაახლოებით ისეთსავე კონტექტსში, როგორც მე ზუგდიდი მოვიხსენიე.

თურმე რაში გინდა დაასწრო გენიალურ მწერალს, უფრო სწორედ რას დაგიტოვებს იგი უთქმელს და ხელშეუხებელს ნებისმიერ სფეროში?! გამოგიტყდებით, რომ არასოდეს დავინტერესებულვარ ილიასეული შეხედულებებით სოფლის მეურნეობის პრობლემებზე. მით უფრო, როცა არც საკარმიდამო ნაკვეთი გამაჩნია სადმე და აღარც — მუდმივი თავშესაფარი, მაგრამ იმ გაზაფხულის პირზე, როგორც სოფელში დაბადებულმა კაცმა, მაინც გადავშალე ეს წიგნი □,,ჩვენი სოფლის მეურნეობისა და გავრცელების საკითხები'', ტომი 7, გვერდი 31), და მისი ზერელე გადათვალიერებისას სწორედ იმ სიტყვებს წავაწყდი, ზემოთ რომ მოგახსენეთ. ახლა თუ გნებავთ პლაგიატობაში ჩამომართვით, გნებავთ სიმართლე დამიჯერთ, რომ ხსენებული სტატია იმდღევანდელი ჩემი გამოსვლიდან დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ წავიკითხე. ასე რომ არ ყოფილიყო, გენიალურ ავტორს უთუოდ დავიმოწმებდი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემდამი ზუგდიდელთა რისხვა რამდენადმე მაინც გამენელებინა. მაგრამ ამას კი არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, არამედ იმას, რომ აქ იბადება ერთი ასეთი მიამიტური კითხვა, როგორითაც მაგალითად ფსიქიატრები მიმართავენ პაციენტებს და ისინიც სწორედ დადებითად პასუხობენ, კერძოდ: ილია ჭავჭავაძეს უყვარდა თუ არ უყვარდა თბილისი ან ქუთაისი? პასუხი რა თქმა ნუდა ერთმნიშვნელოვანია.

სასოებით უყვარდაო, იტყვის ყველა. მაშინ მე რაღა დავაშავე? ის, რომ ილია არა ვარ? და რადგან ილია არა ვარ, უნდა ვიცრუო და ვთქვა: ილია ვარ-მეთქი? ხოლო თუ ილიას ანდერძის მიხედვით, ყველგან და ყოველთვის მხოლოდ სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ, მაშინ მაგალითად, რომ გითხრათ ახლა, ზუგდიდი ედემის ბაღია, სადაც ჯერ კიდევ არავის არავინ შეუცდენია-მეთქი, სიმართლე იქნება?!

ამჯერად ხიდის მისადგომებთან, ამ ვაების მინდორზე არაერთხელ დამიფიქსირებია ადამიანთა გვამებით ვაჭრობის ამაზრზენი უპრეცენდენტო ფაქტი. ასეთ მკრეხელობას ხომ ანალოგი არ გააჩნია დასაბამიდან მოყოლებული დღემდე. დედამიწის არცერთ წერტილზე მსგავსი რამ მონიშნული არ არის. რომ გითხრათ ახლა, იქ ადამიანთა გვამებით კი არა საქონლის ხორცით ვაჭრობენ-მეთქი, სიცრუე არ იქნება?! განა ჩვენ ილია მართალის სიყვარულით მირონს გვაცხებდა შუქზე ჯვარედინად?! ანდა ზედ იმავე შუბლზე აკაკის ფურთხის ბუშტულას არ მოგვაწებებდა, როცა გაიგებდა, რომ ზუგდიდის ოლქიდან მეოთხე წელიწადია უკვე, რაც მეუნარგიას ქუჩა ამოვშალეთ. აბასთუმნის უიარაღოს სახლ-მუზეუმი გაიყიდა. გამყიდველი იმავე სოფლის გამგებელი აღმოჩნდა, რომელიც საზოგადოებამ ფაქტობრივად მოიკვეთა. მაგრამ არ გასულა სულ რაღაც რამდენიმე თვე და ეს ღვთის გარეგანი იმავე სოფელმა აირჩია საკრებულოს წევრად ,,მოქკავშირიდან''.

წარამარა რომ გავიძახით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათო, რა სახელი შეიძლება ამას ეწოდოს? მე დღეს თქვენი სტუმარი ვარ და ვცდილობ კიდეც სტუმრის შესაფერისად მოვიქცე, მაგრამ ასეთი უმსგავსობისათვის გვერდი რომ ამევლო, მართალი ვიქნებოდი? ხომ ხედავთ, ჩადენილი სისაძაგლისთვის სახელით ვერ დაგვირქმევიაო, ჩამჩიჩინებს შუკო, შეგირდო, ჩემო.

ზემოთ არც თქვენი ორგანიზაცია მიხსენებია ბოროტი განზრახვით, პირიქით, გულწრფელად მგონია, რომ თქვენ არ გაგაჩნიათ ჯეროვანი ინფორმაცია მომხდარის შესახებ და ამდენად, არა გაქვთ იგი სისხლხორცეულად გათავისებული, თორემ ასეთი მოღალატური ქმედება აქამდე დიდი ხნის აღკვეთილი უნდა ყოფილიყო. სწორედ აქ იკვეთება ჩვენი გაუბედურებული მოსახლეობის სულიერი დეგრადაციის ნამდვილი სახე. ირგვლივ გაუსაძლისი წყდიადია გამეფებული. მავანი მწერალი, რადგან მას მწერალი ხქვია, კანცელარიის პირმკერის წყვლად აღიქვამს ყოველივეს. იმ დღეს სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელი ზაზა ფარცვანია შენობიდან გადის და კარისკაცს უბარებს:

დაახლოებით ნახევარ საათში დავბრუნედბი. აქ მოვა ბატონი ტერენტი გრანელი და მიკითხავს. პატივით მოეპყარით, გარეთ არ ალოდინოო, ეტყვის და წასასვლელად შეტრიალდება, მაგრამ უმალ

ცქაფად შემობრუნდება და ხკითხავს:

ხომ იცნობ, ბიჭო, ტერენტი გრანელსო.

კი, ბატონო, როგორ არ ვიცნობო, დაუფიქრებლად პასუხობს პოლიციელი, თან შეურაცხყოფილი კაცის პოზას იღებს, როგორ მაკადრეთ, ტერენტი გრანელს ვინ არ იცნობსო.

ეს ამბავი ბოლომდე არ დავიჯერე და ერთხელ ხუმრობის ხასიათზე მოსულმა გადავამოწმე. ახლა მე გივი ჩუხუა წარვუდგინე სხვა მორიგე პოლიციელს. სიმონ ჩიქოვანად გავასაღე იგი და ვთხოვე ჩემს მოსვლამდე თავის ოთახში მოესვენებინა.

კარისკაცმა ჩვენი გივი, როგორც სიმონ ჩიქოვანი, არაჩვეულებრივი პატივით მიიღო.

შეგირდო, ჩემო, წარმოგიდგენია როგორ გადავფიჩინდებოდი. გათარანებულ შუკოსაც შეეცვლება ხასიათი და ამყვება გაბმული ქირქილით გამვლელების ყურადღების მისაქცევად.

ასეთი გახლავთ სამწუხარო რეალობა, რომელიც დღითი დღე კიდევ უფრო შემაშფოთებულ ხასიათს ღებულობს. ბორია წიფურიასი არ იყოს, ასი გამოკითხული ზუგდიდელი ახალგაზრდის რამდენ პროცენტს ექნება ნანახი სპექტაკლი? მე მგონი 5 პროცენტსაც არა, ხოლო ზუგდიდის თეატრში — არც ერთს. ამის მერე კიდევ რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენ ბავშვებს? როგორები უნდა ჩამოყალიბდნენ ისინი?

შარშან ბატონმა თორნიკე ჯგუშიამ ქალაქის კულტურისა და აღორძინების პროგრამის შემუშავებაზე დაიწყო ფიქრი და დროებითი თანამშრომლობა შემომთავაზა. სიხარულით ცას ვეწიე, რადგან ასეთი სიტყვა აქ ყოფნის განმავლობაში არავისგან მსმენია. მაგრამ ვინ დაგაცალა? კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ისე გამოვიდა. მოვიდნენ სულ სხვა ფერისა და ჯიშ-ჯილაგის ადამიანები და ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. „ვლასტი“ ისევ შეიცვალა, რისი დარეგულერებაც, მას აქეთია უსაშველოდ გაწელილა. ესეც შენი კულტურული რევოლუცია!

მოსახლეობა დღეს კარგად ხედავს ვინ რისი ამღორძინებელია — კულტურის თუ ბაზარ-ბაზრობების. ცენტრალური ბაზრის შენობაზე გამალებით მიმდინარეობს მესამე სართულის დაშენება. აბა, მიწაზე ადგილი არ დარჩა უკვე და სხვანაირად როგორ მოიქცნენ? თუ ასე გაგრძელდა, მალე ზუგდიდში ჯიხურებსაც 2-3 სართულიანს ვიხილავთ.

კვლავ სიცილი წამსკდება.

იმ დღეს ვიხუმრე: ბაზარზე მეოთხე სართულის დაშენება მე მინდა, არავის დავუთმობ და ამაზე, ძმაო, ნურავინ დამემდურება-მეთქი. მე კი ვიხუმრე, მაგრამ ამის მოსურნე სოვდაგვრებიც მალე გამოჩნდებიან და ვნახავთ, რომ კიდევაც დააპირებენ ამის გაკეთებას. მე მკითხე, ჭკუა დაუშლით თუ ფინანსური გასაქანი, მაგრამ მალე სულ სხვა სულისკვეთება გაიმარჯვებს და ყველაფერი ბაბილონის გოდოლად ექცევათ. ამ საქმეში სათანადო წვლილი და თანაგრძნობა ჩემიც იქნება — ყველას შემოვევლე, ვინც ზუგდიდის გამშვენიერებისთვის იზრუნებს.

მახსოვს, ერთხელ ასლან აბაშიძემ ედპ გარკვეული თანხით დააფინანსა. ეს მოხდა ზვიად გამსახურდიას ზეობის პერიოდში. პრეზიდენტმა ამაზე საშინელი ხმაური ატეხა, ქვეყანა შეუყარა პარტიას და მისი ხელმძღვანელობა სპონსორთან ერთად მიწასთან გაასწორა. გია ჭანტურიას ეს სასაცილოდაც არ ეყო და საჯაროდ განაცხადა:

ოღონდ კი ვინმემ ფული მაჩუქოს და არა თუ აბაშიძისგან, თვით გამსახურდიასგანაც სიამოვნებით ავიღებო. ეს მოიადა იმას მოვაყოლე, რომ მეც იგივეს ჩავიდენ. უფრო მეტიც, ყველაზე გავლენიან ეშმაკს შევეკვრები, რომელი ეშმაკიც მწერალთა ადგილობრივ ორგანიზაციას ფეხზე დამიყენებს, შესაფერისად დამიბინავებს, სათანადოდ დამიფინანსებს, საგამომცემლო საქმიანობას ფართოდ გამაშლევინებს, ქალაქში მეუნარგიას ძეგლს დამიდგამს, მისი სახელობის ქუჩას აღმიდგენს, ცაიშის სახლ-მუზეუმს გამიახლებს და მწერლის დაბადებიდან 150 წლის იუბილესაც სანაქებოდ გადამიხდის.

არავინ მითხრას, ამდენს ეშმაკიც ვერ გაწვდებაო. გაწვდება და მეტსაც გაწვდება, მაგრმ წლეულს ამ ჩამონათვალით დავკმაყოფილდები. ჯერ ცოტა სულის მოთქმა, მოღონიერებაა საჭირო.

მართალია, მთელი წელიწადი თვითმმართველობის გარეშე დარჩა ქალაქი და ამასთან, რამდენი კარგი წამოწყება, რამდენი კარგი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა, მაგრამ როგორც საყანე მიწის ნაკვეთს დაასვენებს გლეხი, რათა შემდგომ უკეთესი მოსავალი მიიღოს, ალბათ, ჩვენს სინამდვილეშიაც ასე მოხდება.

ზუგდიდელი, ჩვიდმეტი გარდაცვლილი მხატვრის, წიგნი გამოიცა, განაგრძობს საუბარს შუკო, შეგირდო, ჩემო, და ამ წიგნის პრეზენტაციაზე ქალაქის საზოგადოება შეიკრიბა. ამასთან დაკავშირებით ორიოდე სიტყვით მინდა ჩვენებური კაცის ბუნება დაგიხასიათო, ისე როგორც სინამდვილეშია, ანუ შეგახსენო ის, რაც თითოეული ჩვენგანის ბუნებაში ღრმად არის ფესვებგამჯდარი:

რაც უნდა ფეხქვეშ გაიგდო მეგრელი კაცი, ენა შეუგინო, დედ-მამის სული შეკურთხო, საძვალე წაუბილწო, დანასისხლად გადაეკიდო, არსად დააყენო, დასცინო, დაიბრიყვო, აბუჩად აიგდო, ჩხვლიტო, ჩქმიტო, ის მაინც თავისაზე დგას — ფიცის ერთგული რჩება სამარის კარამდე. ერთხელ მიცემული სიტყვის უცილობელი შემსრულებელია, ბოლომდე ჯიქურ გამტანი. იგი ამ სიტყვას გულში წარამარა იმეორებს: „შენ ხარ შვილი... თავთა მათთა ქართლისათა, და შენ გმართებს უფლება ჩემი. აწნუ სურომ ღვაწლსა შენსა, რათა განვამრავლნე სპანი შენი უკეთუ მოგვეცეს ძლევა. შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი". ეს გახლავთ სიტყვა ქუჯი მეფისა, დასავლეთის მორწმუნე გამგებლის მიერ თქმული იმხანად ყოვლადშეჭირვებული აღმოსავლეთის მეფის ფარნავაზისადმი.

მეგრელი კაცი მღერის მოხევურად, ცეკვავს მთიულურად, შაირკაფიაობს ხევსურულად, საუბარში უქცევს ქიზიყურად, მეტყველებს ლაზურად, სვანურად, აფხაზურად, მეგრულად. წერს და ლაპარაკობს ქართულად, აღმსარებლობს ისე, როგორც ეს ჯერ კიდევ სიმონ ქანაანელმა და ანდრია პირველწოდებულმა შთააგონა.

დამისახელეთ სხვა რომელიმე კუთხე საქართველოისა, რომელიც ამდენის მკეთებელი იყოს, ამდენის დამტევიო, ერთი ამოსუნთქვით ამოიბერტყავს გულს, გულისხმიერო, შეგირდო, ჩვენი შუკო და მზერას მახათივით მომაპყრობს შუბლზე. ეტყობა ეს ყველაფერი წუთშესვენებაა, ვინაიდან კვლავაც იგივე ჟინიანობით განაგრძობს: ამდენს მოიცავდეს, ოღონდ ეს არის, თავისივე თავის უბედურია მეგრელი კაცი, გამოუსწორებელი ბედოვლათი, პირადი ღირსებებისადმი ფასის შექმნის ცუდი ოსტატი, საკუთარი საუნჯისადმი პატივმიუგებელი.

მაგალითად, რომ შესთავაზო დღეს, ვთქვათ, ავიღოთ სოფელი ოდიში და იქ ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის პოეზიის საღამო ჩავატაროთო, სიამოვნებით აგყვებათ და საღამოსაც სანაქებოდ ჩაატრებს, ისე რომ, იქ დამარხული ალექსანდრე საჯაია არც გაახსენდება. აი, ასეთი გახლავთ ჩვენი გამატრაკვეცებული ბუნება, როგორც წეღან აღვნიშნე საკუთარი საუნჯისადმი უკიდურესად გულგრილი დამოკიდებულებით.

არ ვიცი საითკენ წარიმართება მერმე ჩვენი საუბარი ჭადრების ხეივნის სიმყუდროვეში, სამაგალითო, მოწაფევ. ბინდიც ხომ თანდათანობით ეძალება ზუგდიდ-ქალაქს, შემოდგომური სუსხიც, მაგრამ მეზეიმება ფრიად: ოდესღაც მოსმენილი წერილიც დავითრიე მგონია, და კვლავ სასაუბრად დავქოქავ:

...როდესაც მოკლეს ირლანდიის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ლორდ პარნელი, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯეიმს ჯოისმა პროტეტის ნიშნად სამშობლო დატოვა და მას შემდეგ ირლანდია აღარასოდეს უნახავს.

ირლანდია არის ღორი, რომელიც საკუთარ გოჭებს ჭამსო, ეს გამანადგურებელი, მარადის დაუვიწყარი სიტყვები დაუბარა მაშინ თავის საყვარელ ქვეყანას დიდმა მწერალმა. მოგვიანებით, როცა უკვე სიჭარმაგეში შესულს ეკითხებიან:

ნუთუ ირლანდიას მართლა არასოდეს ნახავო, გაოცებული პასუხობს:

განა ოდესმე დამიტოვებია იგიო.

ისეთ მაღალ ლანდებს, როგორიც ჯოისია ანდა აკაკი, ავტორი სიტყვებისა — „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ", სამშობლოს სიყვარულშიც რა თქმა უნდა, თავს ვერ გავუტოლებ. ამიტომაც, ცხადია, რომ დღემდე არც ღორი მიწოდებია ჩემი კუთხისათვის და აღარც ის მიკადრებია, ფურთხის ღირსი ხარ, შენ მართლაც ღორო-მეთქი. მარტო იმას დავსჯერდი, რომ ზუგდიდი მოვნათლე გულანშაროდ, ვაჭართა მითიური ქალაქის სახელი დავარქვი, თუმცა ეს იმიტომ — უფრო შესაფერისი სახელი ვერსად მოვიძიე, რამეთუ კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, როგორც ეტყობა არსად არის დაფიქსირებული, საბოლოოდ გადაგვარებული, ისეთი ქართული მანიაკალიზმით შეპყრობილი ქალაქი, როგორიც ზუგდიდია.

დღეს ჩვენში რომელი ქალაქი დაიკვეხნის სულიერი გამოღვიძებით, კულტურის აღზევებით, ან ჯუბაჩური გონების დაცხრომით და უკანა პლანზე გადაწევით? რა თქმა უნდა არცერთი, მათ შორის თვით დედაქალაქიც, მაგრამ ის, რაც ზუგდიდში ხდება, არათუ ჩვენში, ვიმეორებ, კაცობრიობის ისტორიის უკიდეგანობაში, დედამიწის არცერთ წერტილზე დაფიქსირებული არ ყოფილა.

ზუგდიდში ადამიანთა გვემებით ვაჭრობენ. ენგურის ხიდის მისადგომები იშვიათი საქონლით ვაჭრობის მთავარი ობიექტი გახლავთ. აქ საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობს გამალებული ვაჭრობა, თუმცა ყველაფერი ნებადართული და დაკანონებულია. საეჭვო წარმოშობის ქართველთა ეგრეთწოდებული შუამავლური ინსტიტუტი მთელი დატვირთვით მუშაობს. აფხაზთა თავგასულობას საზღვარი არა აქვს. მათი ველური მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია. ისინი, რო-

გორც ძირითადი მომწოდებლები, უხვად ამარაგებენ ორივეს და ასორტიმენტიც ერთობ მრავალ-ფენოვანია. აქ შეიძლება შეიძინოთ ახალგარდაცვლილთა ცხედრები, გახრწნილი გვამები, ჩონჩხები, მუმიები და სხვა.

აფხაზები ნებისმიერ ქართველთა სასაფლაოსაც მოგყიდიან მთლიანად შეღავათიან ფასებში, ოღონდ შენ იქიდან ძვლები ამოუფხიკე და მიწა დაუცარიელე. მაგრამ დევნილებს დღეს ამდენი საშუალება არ გააჩნიათ. ისინი ცალკეულ შემთხვევებში ჭაპანწყვეტით, რის ვაივაგლახით ახერხებენ თითო-ოროლა მიცვალებულის გადმოსვენებას. აი, თუნდაც დღეს, ამ ჩანაწერის გაკეთებიდან რამდენიმე საათით ადრე შევხვდი სოხუმელ ქალბატონს, ვინმე ნანი გახოკიძეს.მან დევნილობაში გადმოყოლილ ძვირფასეულობით, მათ შორის ნიშნობის ბეჭდით, გამოიხსნა თავისი მეუღლის, თამაზ ბერიას ცხედარი.

ენგურის ხიდის მისადგომებთან მარტო ადამიანთა გვამებით როდი ვაჭრობენ. ხშირად ცოცხლებიც გამოხყავთ და არც იმათზეა ნაკლები მოთხოვნილება. ესენი ნახევარფაბრიკატებია, ცოცხალ- მკვდრები, ანუ ვაების მინდორზე ტყვეთა გაცვლის ამზევებით ერთობ ჩახლართული მანიპულაციები იქსოვება. ეს პროცესი სანახაობრივადაც მეტად უჩვეულოა.

თავიდან გარშემო ერთგვარი გაურკვევლობაა გამეფებული. რამდენიმე კაცის სახეზე იკითხება, რომ ისინი თითქოსდა რაღაც ინფორმაციას ფლობენ, მაგრამ ჩუმად არიან, თავიანთთვის ინახავენ. მერე შემპარავად იწყება ფაციფუცი და რაღაცის მომლოდინე გამოცოცხლდება. საიდანღაც კორესპონდენტებიც გამოჩნდებიან. ისინი ოპერატორებს კარნახობენ თუ საით მიმართონ ობიექტივები. ამ დროს აქ დაურიდებლად შემოიჭრება ჟიგული და ზედ შლაგბაუმთან დაამუხრუჭებს. ეს მაცნეა. ყველანი იქითკენ გაიქცევიან და მანქანას შუა წრეში მოიქცევენ. არ გავა წუთი, რომ უკვე მოსახვევში გამოჩნდება მიკრო-ავტობუსი პოლიციელთა ესკორტის თანხლებით. შლაგბაუმი აიწევა, კოლონას გაატარებენ და ხელმარცხნივ ჩაღმართზე გაჩერდება. ავტობუსში აფხაზი ტყვეები სხედან, რომლებიც თვალებს მოჩვენებითი სიმშვიდით აფახულებენ. მერე ხიდზე იწყება ხანმოკლე საქმიანი მიმოსვლა და შეხვედრები, რაც ბოლოს ამ ტყვეების გაცილებით მთავრდება. მაგრამ პროცედურა ჯერ კიდევ გრძელდება. დაძაბულობა მატულობს. აფხაზების განთავისუფლებაში გარკვეული გასამრჯელო უნდა მიეღოთ. ხიდზე გამოჩნდება სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც ჩვენი ბიჭების გახრწნილი გვამები გამოაქვს, ერთი წამით შეყოვნდება მოზარე ადამიანების წინაშე, იქაურობას გაუსაძლისად ააქოთებს და მერე გაუტევს პროზექტურისკენ, სადაც იმ გვამებს, რომელთა ამოცნობა უკვე შეუძლებელია, ჭირისუფლები სავარაუდოდ დაინაწილებენ.

მოგეხსენება, ყველაფრის ყიდვა-გაყიდვას ჩვენში ათასწლებულების ისტორია აქვს. უახლოეს მართალ ისტორიას ამის შესახებ, თან მხატვრულად გარდათქმულს, საუკუნის თვალსაჩინო მწერალი კონდრატე თათარაშვილი — უიარაღო აღგვიწერს. თხების სამწყემსოდ მიმავალ ხვიჩა ბედიას იმ საბედისწერო დღეს უკანასკნელად უფროსი ძმა გაესაუბრება და ასე დაარიგებს:

,,შორს არ წახვიდეთ, ბეკოს ნასახლარზე მაღალი ანწლია. იქ ხუთასი თხაც რომ იყოს გაძღება. ფრთხილად იყავით, ჩიტის ბუდეს ნუ მოშლით ხოლმე''.

კონდრატე თათარაშვილი საუკუნის თვალსაჩინო მწერლად მოვიხსენიე, მაგრამ მარტო ეს ბოლო ფრაზა ,,ჩიტის ბუდეს ნუ მოშლით ხოლმე'', რომელიც ერთი შეხედვით თითქოსდა კონტექსტის შეუსაბამო დანამატს წარმოადგენს, უნდა ვაღიაროთ, რომ სამწერლო ხელოვნებაში გენიალურ მიგნებათა კატეგორიებს განეკუთვნება. რატომღაც მგონია, რომ ტიციან ტაბიძე, როგორც კრიტიკული შემფასებელი, ზედმეტად მომთხოვნი და ნაწარმოების სკურპულოზურ შრეებში ჩაძიებელი კაცი უნდა ყოფილიყო. ამ დროს მან, როგორც ვთქვით, ,,მამელუქს'' უმაღლესი შეფასება მისცა. პატარა შედევრად მოიხსენია იგი. აი, ამ პატარა შედევრის ავტორის, ვისაც ბავშვობაში თურმე ჩიტის ბუდეც არ მოუშლია, დღეს ჩვენ მოვუშალეთ ძველი საბუდარი და გავუნიავეთ ყველაფერი, რაც კი რამ ებადა. ამიერიდან აბასთუმნის ბავშვები თხების არვეს ბეკოს ნასახლარის გარდა უიარაღოს ნასახლარზეც გარეკავენ.

ნებისმიერი პარადოქსული შეუთავსებლობა, როგორი უცნაურობითაც ხასიათდებოდეს იგი, მაინც გარკვეულ ჩარჩოებში უნდა ეტეოდეს და არ უნდა გაგვიჭირდეს მისთვის კუთვნილი სახელის დარქმევა. მაგრამ იშვიათ შემთხვევებში, როგორც ეტყობა, აქაც წრეგადასულობის განსაკუთრებულ თავისებურებებს ვაწყდებით ხოლმე.

მაგალითად, სოფლის გამგებელი ყიდის მწერლის სახლ-მუზეუმს, ოდა-სახლით დაწყებული ჩეჩმათი დამთავრებული და აღებულ თანხას ჩაიჯიბავს, გააქრობს ფასეულ ექსპონატებს. დანარჩენს კოცონზე დაწვავს, მოარღვევს ღობე-ყორეს და პირწმინდად მოაოხრებს ეზო-კარს. აინუნშიაც არ ჩააგდებს მოსახლეობას; გულგრილად შეხვდება სოფლის ყრილობას, მისი თანამდებობიდან დათ-

ხოვნას და წავა სახლში, როგორც მოკვეთილი. მაგრამ გავა სულ რაღაც რამდენიმე კვირა და ამ კაცს იგივე სოფელი თავის საკრებულოს წევრად აიჩრევს „მოქკავშირიდან". ამაზე კომენტარის გაკეთება უაზროდ მიმაჩნია. აზრიანად მაშინ ჩავაგდებ, რომ ასეთ უმსსგავსოებაზე რომელიმე თქვენთაგანს სიტყვა დასცდენოდა და მომხდარისადმი თავისი დამოკიდებულება გამოეხატა-მეთქი.

ბნელა. ქალაქის გარეუბნისკენ მივეშურებით ფეხით. ის კი ისევ განაგრძნობს, შეგირდო, ჩემო.

არც იმას დაგიმალავთ, რომ მაქვს გარკვეული შიშის საფუძველი, ამ საქციელს ვინმემ აქ გამარ-თლებაც არ მოუძებნოს. ამიერიდან ერთი ახირებაც მექნება, კერძოდ, როცა დავიწყებ საუბარს იონა მეუნარგიაზე, დავიწყებ ამას ილიას სიტყვებით: „თუ ჩვენ რუსთაველს მზედ მოვიხსენიებთ, უმადურობა და უსინდისობა იქნება ჩვენგან მეუნარგია მთვარედ არ მოვიხსენიოთ", ესეც პერიფე-რაზია თუ არ ვცდები. დიდი ილიას მიერ ამ სიტყვებით ციტირებული მოღვაწის 150 წლის იუბილე ახლოვდება. აქედანვე ვიცი, რომ სადაც ტერენტი გრანელის, ალექსანდრე საჯაიას და ჩვენი კუთხის თვალსაჩინო მწერლების იუბილე მივაფიშფიშეთ, არც ამ იუბილეს უწერია დიდი ზარზეიმით აღნიშვნა. ამისი წინა პირობის სხვა მრავალი მიზეზი არსებობს. კერძოდ, დღემდე არავინ ზრუნავს მეუნარგიას ძეგლის დადგმაზე, რომელსაც ჯერ კიდევ ილიას პირველი ძეგლისთვის უნდა ემასპინ-ძლა. გარდა ამისა ოდესღაც სტუმრის მისაღებად დიდი ილიას საკადრისი იონაესეული სამოსახ-ლო, პირადი ნივთები თუ სამუზეუმო ექსპონატები, ისეა გაოხრებული, რომ აღდგენა-რესტავრირება შეუძლებელია. ამიერიდან თვითონ ეს ნამუსრევია შესანახი. დიახ, როგორც დღეს არის ისე უნდა დაიცვა იგი, რათა შთამომავლობამ ნახოს, მართლაცა როგორი უმადურები და უსინდისოები ვი-ყავით ჩვენ; როგორ გავუტიალეთ სახლ-კარი თუ ეზო- გარემო შარავანდედიან წინაპარს.

ზუგდიდში ჩამოსვლის დღიდან ამეკვიატა და მეექვსე წელიწადია თანა მდევს ერთი სტროფი გალაქტიონის „მშვიდობის წიგნიდან": „აქ სხვაა ზეცა, აქ სხვა ქარი ქარის, ისევ მიეცა ტარიელი ფიქრს. აქ ვხედავ ბერწებს, თვალს რად აცეცებ? აქ წიგნს დაეძებ? აქ რა უნდა წიგნს?" მეექვსე წელიწადია დავდივარ ქალაქის ქუჩებში ზუგდიდელთა შორის, დევნილების გვერდიგვერდ. ასევე ძროხების, ღორების, ძაღლების გარემოცვაში. ქალაქის ფონზე ფოტოსურათის გადაღება რომ მო-ისურვო, ვერ მოძებნი ადგილს, სადაც ობიექტივმა შენს გვერდით ძროხა არ დააფიქსიროს. ვერ მიესალმები ახლობელ ადამიანს ისე რომ შენი სალამი იქვე მდგარმა ღორმა არ გაინაწილოს.

ცოლქმრული ურთიერთობის გარკვეული პერიოდის მანძილზე ცნობილია, რომ თანამეცხედ-რენი ერთმანეთს ემსგავსებიან, როგორც ბუნება-ხასიათით, ასევე — გარეგნული იერსახითაც. ჩვენ-თვის ეს ეგრეთწოდებული მილეტიზმური პროცესი ცხოველთა გამუდმებულ სიახლოვეს უკვე ისეა შენივთებული, რომ პირუტყვისაგან ფაქტობრივად არაფრით განვსხვავდებით. ამირეჯიბისეული გამოთქმა: ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც მხოლოდ ერთი საქმე აქვს — ძოვოსო, ისეთ შესაბამისობაში მოდის ჩვენი დღევანდელი ყოფის ამსახველ სურათთან, რომ საგულ-დაგულოდაა კალკირებული.

ერთი წუთით თვალი გადავავლოთ ლევან დადიანის დროინდელ სამეგრელოს და ვნახოთ თუ როგორი წესრიგი სუფევდა თურმე მაშინ, იმ ქვეყანაში, რომელი ქვეყანაც დღეს ჩვენი სათარეშო და ასაკლები გამხდარა.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით „წყაროთა უახლესთა დადგა ლევანმა ფიალანი ოქროსა-ნი და უშორესსა ვერცხლისა დაბმული ძეწკვებითა, რათა სმურიდნენ მგზავრნი იქ. მათგან ვერვინ იკადრებდა ქურდობას, ანუ ძარცვა-ავაზაკობასა ქვეყანასა შინა მისსა".

თუ დღეს ამ ქალაქში იმყოფება ერთი ისეთი კაცი, ვინც უღრან ტყეში წყაროზე დადგმულ ოქროს ფიალას იპოვის და სახლში არ წაიღებს, უმორჩილესად გთხოვ, მაჩვენე, რათა თაყვანი ვცე, ხოტბა შევასხა და სხვასაც მოვუწოდო სიტყვები შემაწიოს. მაგრამ ვატყობ, გური, ქალაქი გატრუ-ნულია, შენღა შემომრჩენიხარ. აი, ამგვარად მანამუთებს, გულისხმიერო, შეგირდო, ჩვენი შუკო, რამეთუ ჩვენ ვართ იმ გარდასული დროის მეგრელთა ისეთი კნინი ნაშიერნი, რომ არათუ წყაროზე დადგმულ ოქროს ან ვერცხლის ფიალას, არამედ თიხის ჭინჭილას და პლასმასტის ჭიქასაც არ დავტოვებთ. უფრო მეტიც, თვით წყაროსაც არ დავტოვებთ წაუბილწავად.

შეკითხვაზე, გამოსავალი არსებობს თუ არაო, შემიძლია დაუფიქრებლად გიპასუხო, მართმევს კორესპონდენტის ფუნქციას, „სწავლის მძებ ნელო მოწაფევ", — მაგრამ ჩვენთვის არაა ხელმისაწვ-დომი, იმდენად, რამდენადაც საკუთარ ბიწიერებათა მხილება არ შეგვიძლია. არადა, წარმატებებს რომ მივაღწიოთ, პირველ რიგში ამ კომპლექსისაგან უნდა განვთავისუფლდეთ. თუ მოვიწადინებთ, დავინახვათ, რომ ამოცანა არც ისე რთულია, ხოლო გადაწყვეტა — ერთობ სასურველი შედეგების მიმტანი. ჩვენს მოვალეობაში შევა მარტო ის გულწრფელი აღიარება, რომ ადამიანური სახე დავ-კარგეთ, გადავგვარდით, გადავჯიშდით. ეს ზოგადად, მაგრამ თუ დავაკონკრეტებთ, გაცილებით

უკეთესი იქნება, რადგან აღსარება მეტ დამაჯერებლობას შესძენს ამ კათარზისს. ამიტომ ჩამონათვალში უნდა შევიყდს ყველა ის სალანძღავი ეპითეტი, რაც ლექსიკურ მარაგში გაგვაჩნია. ამას რომ გავაკეთებთ, უამლ შევიგრძნობთ, რომ ჩვენი ბნელით მოცული უშუქარი გონება ნელინელ განათდება, განიწმინდება და თვალებშიაც გამოვიხედავთ, შვება დაგვეუფლება. ამ მიმართულებით, მოდი, დღევანდელი დღე ნავსის გატეხვის, მოთელვის დღედ მივიჩნიოთო— გამრევს ამქარში, შუკო, შეგირდო, ჩემო.

პირველ ცდას საკუთარ თავზე ჩავიტარებ და ვიტყვი, რომ სამწუხაროდ ძალიან ხშირად მეც იმას ვაკეთებ ხოლმე, რაზეც სხვებს დავცინი, ჭკუას ვასწავლი. მაგალითად, იმ დღეს კაფე ,,თეატრონში'' ქეიფის გაწევისას ცოტათი ვითომ სინდისის ქენჯნამ შემაწუხა და მოვიწყინე, მაგამ მიზეზი დავმალე. არადა, გულში ვამბობდი, შუკო ჯიქია, შე მართლა ყურუმსაღო, ა მ დაქცეული თეატრის შემყურეს, რა გექეიფება-მეთქი. ეს კი გავიფიქრე, მაგრამ რა? ამითი რა გავაკეთე? განა გამოვსწორდი და ნირი შევიცვალე? განა ერთი ბილეთის საფასური დავდევი თეატრის გადარჩენისათვის? აგერ, მშიერმუცელა მსახიობები, სმოკინგების ნაცვლად ჯღანბანები რომ აცვიათ, გარეთ ყურყუტებენ და ნერწყვის ლოშქარი გადმოსდით პირიდან, რომელი ერთი ვართ მათი გამკითხავი, მჭადის გამტეხავი, პურ-ღვინოს მიმწოდებელი? რა თქმა უნდა, არც ერთი. ჩვენი საქმე მარტო საკუთარი მუცლის ამოყორვაა, ყანწების ტრიალია, ფსევდო-პატრიოტული სადღეგრძელოების დაჭექება და მეტი არაფერი.

ზუგდიდში დღეს თეატრიც ვაჭრულმა ორიენტაციამ მოიცვა. კაფე ,,თეატრონი'' მისი ერთი ბეწო ნაშიერია გარეგნულადაც, მსხვერპლის ალი-კვალი. იგი ჯერ პატარ ჯაყოა, ბუთხუზა ბიჭი, რომელიც მალე გაიზრდება, უმალ რესტორანად გადაიქცევა და თავისი გარდაცვლილი მშობლის, თეატრის შენობასაც დაეპატრონება. ამის პრეცედენტი ჩვენს ქალაქშიუკვე დაშვებულია. ამ ერთი წლის წინ დადიანების სამოსახლო კომპლექსიდან ნიკოსეული სასახლის პირველი სართული მსხვილმა სავაჭრო ორგანიზაციამ დაიკავა. სავარაუდოდ იგივე ბედი უნდა ეწიოს დედოფლისეულ სასახლესაც. ის, ალბათ, სუპერ-მარკეტად გადაკეთდება. თბილისში დიდი აჟიოტაჟით ჩაიტანეს ექსპონატები. მე მაგაზე გავიბრძოლე და არაფერი გამომივიდა, ისე გაიტანეს, ჩვენთვის არაფერი უკითხავთ. საარჩევნო ბატალიებისას დრო იხელთეს. თუ ნიკოსეული სასახლე რემონტის ჩატარებას ემსხვერპლა, იგივე ელოდება დედოფლისეულ სასახლესაც. არადა, დაქცევის პირსაა მისული. ასე რომ, სადაც არის გამოჩნდება ის დიდი სოვდაგარი, ვინც ამას სახურავს გამოუცვლის, კედლებს შეუფეთქავს და ამის საფასურად კიდეც დაეპატრონება. ვინ იცის, იქნება საქმისთვის ასეც სჯობდეს, რადგან ახლად შეფეთქილი ეკლესიისა და ვერცხლივით გაქათქათებული ,,მოქკავშირის'' ოფისის ფონზე, მართლაც ბეჩავად გამოიყურება იგი, ჟანგიანი, დახვსებული, დაობებული. არადა, გარეგნულად რომ გალამაზდეს, თავსატყუარად მაინც გამოდგება. შიგნით არ შევდივარ და საექსპოზიციო დარბაზს განგებ არ ვათვალიერებ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეშინია ჭერი თავზე დამემხოს, ან დიდი ფუნქციების შესრულება მეთაკილება, არამედ უბრალოდ ეთიკის ნორმებს ვიცავ და მუზეუმის თანამშრომელთა კომპეტენციაში არ ვერევი. დაე, თვითონ ილაპარაკონ იმაზე, რაც ჩემზე უკეთ იციან. ოცნებებში მაინც მოგვატარონ სასახლის პალატებში.

გურამ დოჩანაშვილის სტუმრობა-ჩამობ- რძანება გამიკვირდა ზუგდიდში. თავი სიზმარში მეგონა. გამოვითვალე და აღმოჩნდა, რომ ჩემდა საბედნიეროდ, ბატონ გურამთან 32 წლის ნაცნობობა მაკავშირებდა. მოგეხსენება, გური, — მეუბნება უკვე რამდენადმე დამცხრალის ხმით შუკო, გულისხმიერო, შეგირდო, — გურამი პირველ რიგში ვაჟკაცობის და პატიოსნების ეტალონია. მის აუგად მომხსენიებელი, ან თითის დამკარებელი, ჯერ საქართველოში არ დაბადებულა. ამ ღირსებებით არის ნასაზრდოები მისი ხელთუქმნელი ქმნილებები; თუმცა ნომერ პირველი თბილისელია, განსხვავებით მისი ურბა- ნისტი თანამოკალმეებისაგან, ამით არასოდეს გაბღენძილა და უყოყოჩია. ყოველთვის გვხიბლავდა უკეთილშობილესი ღიმილით და ხშირად გადამლაშებამდეც კი მისული თავმდაბლობით.

გაგახსენდება, ალბათ, — მეტყვის იგივე ტონალებით— ერთი პერსონაჟი სახელოს გადაიკაპიწებს, იტყვის — სერვანტესიო და უამლვე მაჯაზე ბალანი აეშლება. თუ გნებავთ გამომცადე, იგივე მომივა მეც დოჩანაშვილის გვარის ხსენებაზე. ვეუბნები იმ ღონისძიებაზე, ბატონო გურამ-მეთქი, ოფიციალურად არავის მოვუწვევივარ. თქვენი ჩამოსვლა ზუგდიდ-ქალაქში სამწუხაროდ შემთხვევით გავიგე. მოსაწვევი, რომელიც მეგობარმა მაჩუქა, თვითონ მე შევავსე, იქნებ არც შემომიშვანმეთქი. სამეგრელოში სამუშაოდ რომ გამომამწესეს, მახსოვს, ერთ-ერთი გია ფერაძემაც დამილოცა გზა და მისი სიტყვები ახლაც ჩამესმის ყურში ,,არასერიოზული კაციდან'' კატას რომ გაყიდის და იტყვის: ,,ღმერთო რა არ ხდება ამ ქვეყანაზეო''. არადა, ვის უნდა სცოდნოდა თქვენი ჩამობრანების

შესახებ თუ არა ჩვენ, მწერალთა კავშირის სამხარეო ორგანიზაციას-მეთქი. ეს კი მაფიქრებინებს იმას, რომ ასევე თქვენც ამ ღონისძიებაზე შემთხვევით იმყოფებით და არა კანონზომიერად-მეთქი.

სხვა რა გითხრა, გური, ასეა, ჩვენრი ზუგდიდ-ქალაქის, იგივე გულანშაროს ავანჩავანიო, გესმის, გულისხმიერო, შეგირდო, რა ხასიათის მასალა ამომიწევია საკომენტაროდ?! თანაც ნურც იმასაც დავივიწყებთ, რომ ეს ყველაფერი წელიწადნახევრის წინ ხდება, შემოდგომის მიწურულს სადღაც, როცა ჭადრების ხეივანში ხაკისფერი ფოთლები კოჭებამდე ყრია, შარიშურობს სიარულისას და უვარსკვლავო ცა საავდაროდ იქუფრება აქაური კლიმატის კვალობაზე.

მთავარია
სახელმწიფოებრივი აზროვნება (1)

კვირა შუადღეა, შემოდგომის თბილისური თბილი ქარები ფარდებს აწიოკებენ.

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურ დირექტორის კაბინეტში მე-12-ე სართულზე ოთხნი შევ- ყრილვართ სასაუბროდ: თავად ფონდის მესვეური ოთარ ხუფენია, ჟურნალ ,,ცისკრის'' მთავარი რედაქტორი, ჩვენი ზაურ კალანდია, გაზეთ ,,მესამე ნაპირის'' რედაქტორი, პოეტი ვახტანგ ხარჩილავა და მონამორჩილი შენი.

— ბატონო, ოთარ, დიდი მჭევრმეტყველი არ გახლავარ, — იწყებს საუბარს ზაური. — მე წერა, საკუთარი აზრის გამოხატვა, განმარტოებულს, როცა ყუმი სიჩუმეა, მაშინ მიყვარს. თუმცა ესეც საკითხავია, რაიმე გამომდის თუ არა. მით უმეტეს, სხადასხვა ხელობის ხალხნი ვართ. თქვენს პროფესიას ყველაზე უკეთ ,,ორჯერ ორი — ოთხი'' მიესადაგება, ჩემსას ხშირად — ,,ორჯერ ორი — ხუთი''. მართალია, დღევანდელი სიდუხჭირე, ანუ აწმყო ჩემთვისაც აწმყოა, მაგრამ ოცნებებში, თუ გნებავთ, წარსულ-მომავალში უფრო დიდხანს ვძლებ პროფესიონალი მყვინთავივით, მიუხედავად ამისა, აქვე მინდა აღვნიშნო: ახლახან გურისა და თქვენი დიალოგი უკვე ერთ წიგნად აკინძული, წავიკითხე: ,,სამეგრელო — საქართველოს ბურჯი'' და შემიძლია თამამად განვაცხადო: აღფრთოვანებული დავრჩი-მეთქი. თქვენ ჩვენს ,,ზონაშიც'' დიდებულად იჭრებით. ფიქრი, შემოქმედებითი წვა, ტკივილი, სიხარული და რაც მთავარია, სახელმწიფო საქმე, ხაზს ვუსვამ, სახელმწიფო საქმე, არ გაკლიათ... და ალბათ, ამანაც განაპირობა ჩვენი ამჟამინდელი საუბარი. მაინც საიდან და რითი დავიწყოთ? როგორც ჩვენი გური იტყვის — ,,შურობუმუთი'', ალბათ.

შურობუმუმ ერთი სევდიანი ამბავი გამახსენა. ხობის რაიონში, თუ არ ვცდები, 1988 წელს დიდი წყალდიდობა იყო. რიონმა რამდენიმე სოფელი დატბორა და წალეკა. ხორგაში, მესამე დღეს, მოხუცი ქალის გვამი იპოვეს რკინის საწოლიანად ღობეს მიჩეხილი. გავიკითხე. მოხუცი მარტოხელა იყო თურმე, მწოლიარე. მისთვის ვერავინ მოიცალა. იცით, რა არის სასწაული? როცა შეატყო განწირულია, შორს არ წამიღოს წყალმა, არ დავიკარგოო და საწოლზე ფეხი ზეწრით გამოუბამს. ჩემთვის ეს არის შენი ,,ოდაბადე'', შენი ,,შურობუმუ''. მე მგონია მაინც ჩვენი კუთხით, სამერელოთი უნდა დავიწყოთ, რა იყო, რა ხდება, რა გვეშველება?!

— ვიდრე შურობუმუთი დაიწყებოდეს ჩვენი დიალოგი, თქვენი, სამივეს, მობრძანება დიდი პატივია ჩემთვის, — მოკრძალებულია ძუძუმტე, შეგირდო, ჩემო, და მაინც გამოგიტყდებით: მე გამოუსწორებელი ,,ცისკრელი'' ვარ. სამოცდაათიან წლებში გაზეთების ჯიხურში მისვლას ვერავინ მასწრებდა ახალი ნომრის მოსახელთებლად. მაშინ ,,ცისკარი'' დიდად პოპულარული ჟურნალი იყო. დღეს მისი ტირაჟი საგრძნობლად შემცირებულია, მაგრამ რაც კეთდება — ესეც თქვენი წყალობით, ბატონო, ზაურ, და დიდი მადლობა ამისთვის. რაც შეეხება ჩვენი საუბრის პროლოგს, დიახაც ,,შურობუმუთი'' უნდა დაიწყოს, რამეთუ დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ჩვენი მუსაიფი, გნებავთ ღაბაჩი, მარტო ჩვენთვის სპეციფიკურ თემებს არ შეეხება. თქვენ მწერლები ბრძანდებით, მე — ეკონომისტი, ოთხივე ამ ქვეყნის შვილი. ოთხივე ერთ შურობუმუდან. იმ ხობელ ქალბატონზე უკეთ, ალბათ, მე ვერ ვიტყვი რაა შურობუმუ, მაგრამ ასეთ პერიფრაზს გავაკეთებდი: შურობუმუ მაინც ის ადგილია, სადაც ჩვენ უნდა დავიმარხოთ და საიდანაც ზეცაში მივალთ.

თვით ამ სიტყვასათან მიმართებაშიც, ,,შური'' რომ სულია ბევრმა ქართველმა და ქართულად მოუბარმა არ იცის. ,,ობუმუ'' არის, სადაც განეფენები, საიდანაც მოძრაობა ჩანს. ამიტომ ამ სიტყვის დამკვიდრება დედაქართულში ძალზე მნიშვნლოვან მომენტად მესახება.

მე ისევ იმ ხობელ ქალბატონს დავესესხები და თქვენ როცა ბრძანეთ: ერთ კოლხ მწერალთან თქვენი საუბარი ძალიან მომეწონაო, იმ თხზულებას ამიერიდან სხვა დასათაურება გააჩნია:

„ძუძუმტე“. უღრმესი მადლობა ამისათვის. ჩვენ იქ ასეთ რამეს ვამბობთ, რომ უპირველესი მაინც მამის საფლავია, სადაც მე უნდა დავიმარხო და ჩემი შთამომავლობა.“ ეს არის, ალბათ, სწორედ ამოსავალი პუნქტი, რაზეც ჩვენ დღეს დაწვრილებით ვიმსჯელებთ გზადაგზა. მაგრამ ჩემო, ზაურ, ბატონო, თქვენ პროფესიას შეეხეთ ჩემსას და ერთი რამე ბრძანეთ: „ორჯერ ორი — ოთხიაო“ და თქვენთვის, მწერლებისათვის, შემოქმედი ხალხისათვის — „ხუთი“. მე მინდა გითხრათ, რომ არც ჭეშმარიტი ეკონომისტისათვის არის „ორჯერ ორი — ოთხი“. მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ჩემი მასწავლებელი იყო დიდი ქართელი ეკონომისტი, ბატონი ვალერიან მელქაძე. მან მასწავლა, რომ ეკონომიკაშიც ორჯერ ორი ყოველთვის ოთხი არ არის და ერთ რამეს გავიხსენებ: ეს იმ პერიოდიდან მოდის, რომელსაც ჩვენ კომუნისტურ რეჟიმს ვარქმევთ დღეს და სრულიად სამართლიანად.

მან, ბატონმა ვალერიანმა, ერთ-ერთ კომუნისტურ აქტივზე ბრძანა ასეთი რამ; მოტივაცია იმ სიტყვისა იყო ის, რომ კითხვა დაისვა: არის კი ეკონომიკა საერთოდ მეცნიერება, თუ ეკონომიკა არის ის, რაც სადღაც მოსკოვში, კრემლში, იწერება და მერე ჩვენ უნდა მოვახდინოთ პერიფრაზირება, მეცნიერ-ეკონომისტებმა. ბატონმა ვალერიანმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება:

ბატონებო, უფრო სწორად, ამხანაგებოო, მაშინ „ბატონებო“ ჯერ კიდევ არ იყო მიღებული, როცა ვამბობთ, ნიჭიერი მხატვარია, ნიჭიერი პოეტია, მწერალი, ან სხვა რამ, ჩვენ ხომ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ნიჭი რაღაც ზეგარდმოა და ეს უფალმა უბოძა ამა თუ იმ პიროვნებას და ამიტომ არის ის დღეს პოეტი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი და ასე შემდეგ. ზუსტად ასევე, ნიჭიერებამ უნდა განსაზღვროს არის თუ არა ესა თუ ის ადამიანი ეკონომიტი. მე ამ ფილოსფიისა მწამს.ამიტომ, როგორც ყველა შემოქმედისათვის, ასევე ეკონომისტისთვისაც ორჯერ ორი ყოველთვის არ არის ოთხი. ის ხან სამია, ხან — ხუთი, ხან შეიძლება — შვიდიც, ოღონდ ერთი რამის გათვალისწინებით: აი, ეს დასახელებული ციფრები აუცილებივ უნდა ეფუძნებოდნენ ეკონომიკური აზროვნების ლოგიკას. როგორც თქვენ, მწერლებს, გაგაჩნიათ თქვენი აზროვნების მოდელები, ყველა ჭეშმარიტ ეკონომისტსაც თავისი ანალოგიური მოდელი გააჩნია. უმარტივესად ჩემთვის ეკონომიკა არის შემდეგი რამ: რომ ვშრომობ, ვისთვის, რა მაქვს მიზანი? ამ მიზნის მიღწევისათვის რა რესურსები გამაჩნია. ტოლობის ნიშანი „ორჯერ ორის“ ფილოსოფიიდან რომ ამოვიდეთ, ესაა, როცა მიზნად განსაზღვრულია „ოთხი“. მაქვს რესურსი „ორი“, ვშრომობ „ორს“ და ვაღწევ „ოთხს“, მაგრამ თვით ინდივიდის ცხოვრებაშიც კი და მეტადრე საზოგადოების ურთიერთობაში ამნაირად პრაქტიკულად არასოდეს ლაგდება. ზოგჯერ შეიძლება მიზანი იყოს „ოთხი“ და რესურსი — „ათი“. მაგარმ შენი შრომა და მოღვაწეობა ამ მიზნის მიღწევისათვის — „ნულოვანი“, მეტიც— მინუსებში გამოხატული და ამიტომ ოთხს ვერასოდეს მიაღწევ. იცით, რისი თქმა მინდა? ხანდახან არც მიზანია გაცნობიერებული, ხანდახან კი არა, უფრო ხშირად და უმეტესად, არც — რესურსი, რაც ამ მიზნის მისაღწევად გაგაჩნია და არც — გზა, მეთოდი, ხერხი, ღონე. აი, ორი, ორი და ოთხი შემიძლია ეკონომისტის ენაზე ასე გავშიფრო. ახლა რამ უნდა გვიშველოს? ალბათ, უფრო თქვენებურმა მოდელმა აზროვნებისამ, ანუ ხელოვანის მოდელმა, გნებავთ მას ინტუიცია დავარქვათ, გნებავთ — წინათგრძნობა...

— განჭვრეტა-მეთქი, ჩავერევი შეგირდო, ჩემო, და ისიც აიტაცებს: — კარგია, განჭვრეტა, გური, ჯიმა, მაგრამ ეკონომისტიც კი, რომელიც დღევანდელობაზე მსჯელობს თუ განჭვრეტს, ხვალინდელზე რესურსების შესაძლებლობის და მიზნის გარკვეულ სინთეზს აკეთებს. ასე რომ, ბატონებო, ეკონომისტებიც და ხელოვანებიც რაღაცნაირად ვგავართ ერთმანეთს — იცინის.

— ერთ სასწაულ ეპიზოდს მოვიშველიებ ჩემი ცხოვრებიდან. — ისევ ზაური ახმინდება, შეგირდო, ჩემო — მახსოვს, მამაჩემმა ჭის მთხრელი კაცი მოიყვანა. ორი ჭის მთხრელი იყო ჩვენს სამეზობლოში, ერთი — დიდოსტატი, მეორე სწორად ვერ თხრიდა. მამაჩემმა ხკითხა ერთხელ იმ მარჯვენადალოცვილს. ამას ხშირად ხყვება ჩემი ძმა გენოც, თარაზო არ გჭირდებაო?

ჩემი ხელის გულია, ვალოდია, ბატონო, ჩემი თარაზოო, მიუგო იმან. ასე რომ, იმ ჭის თხრასაც ნიჭი სჭირდება. მეორე მთხრელისთვის თარაზო კი არა, რაც უნდა მიგეცა, მაინც არასწორად წავიდოდა. ამიტომ გეთანხმებით, რასაკვირველია, ნიჭი ქმნის ყველაფერს და გონიერება. მე ასევე მინდა სამეგრელოზე ვისაუბროთ, რაც სრულიად საქართველოს მოიცავს. თქვენ ახლა დიდებულად მოგეხსენებათ, აფხაზეთი... სამურზაყანოდან ბრძანდებით, სამეგრელოს ტკივილი, აფხაზეთის ტკივილი, თავისთავად თქვენს გულზე ჭეშმარიტად რომ გაიარა...

მახსოვს ის პერიოდი, თუნდაც გალის მოვლენები. თუ რაიმე გაკეთდა იმ საწყალი ხალხისთვის, იმ ტრაგიკული ჩვენი ძმებისთვის ერთ-ერთი თქვენც იყავით, მაგათი ტკივილისა და ჭირის გამზიარებელი. ჩვენზე ხშირად ამბობენ ახლა ამას: სამეგრელო ხან ასეთია, ხან ისეთი: ხშირად ხერხემალია. ზოგი ცოტა სხვანარადაც ფიქრობს, ეს ყველაფერი ფიგურალური თქმაა, ლამაზია, მაგარმ

სამეგრელოში რომ დღეს სასწაულად ცუდი მდგომარეობაა, ეს ყველამ ვიცით, აქაურმაც და იქაურმაც. თუმცა თავი დავანებოთ, იმდენი გვიწერია, იმდენი გვილაპარაკია, მართალი გითხრათ, მობეზრებული მაქვს. ვისაც არ ესმის სამეგრელო, ვინც სამეგრელოში საქართველოს ვერ ხედავს, ვინც უნდა იყოს ის, რბილად რომ ითქვას, ტრაგიკული ქართველია. არც ესაა დიდი უბედურება, უვიცი უფრო გვყავდა ყოველთვის, ვიდრე — გონიერი. მთავარია უვიცობამ იქამდე არ იმძლავროს, რომ გადაგვფაროს და წაგვლეკოს. მახსოვს ჩემს სიყმაწვილეში, დაბადებით ბრმა, ასი წლის კაცი, თვალხილულივით დადიოდა, იმდენად მიჩვეული იყო გარემოს, და ერთხელ, ,,ოცდაჩვიდმეტის'' უბედური წლებია. მეზობელთან გადადის ღამე და ჭრაქი, სანათი აუღია, მოაქვს და ასე მოდის შუკაში. ხოდა, კომკავშირლები, უფრო სწორად ,,სპარტაკელები'' კრებიდან გადარეული მოდიან. ვიღაცას დახვრეტა, ვიღაცას დაჭერა გამოუტანეს. მოდის ეს უტუ, მოაქვთ მთელი შუკა. ერთერთმა იცნო და წინ გადაუდგა მოხუცს.

თადა ბიძია, ბრმა კაცს ჭრაქი რად გინდა, მაინც ხომ ვერაფერს ხედავო.

თქვენ რომ არ დამეჯახოთ, შვილებო, მიუგო თადამ. მე რა მინდა ამით ვქთვა, დღესაც, ჩვენს დროში, აგერ, თუნდაც გუშინ, გუშინწინ, და საერთოდ ასეთ მდგომარეობას ახლაც ვაწყდებით. იტყვიან:

ხალხი ბრძენიაო. ადამიანებია, კონკრეტულად ბრძენი და გონებადაუნჯებულნი, თორემ ხშირად ბრბოდ მივიქცევით. თადას სიტუაცია იმ ტრაგიკულ დროს კარგად აღწერს. ერთი დეტალით, ერთი ფრაზით ყველაფერი იშიფრება. დიოგენი ფარნით რომ დადიოდა და თავზე წამომდგარი მაკედონელის ჩრდილი ჩამოიშორა, იმაზე ნაკლები არ არის თადას ჭრაქი. უფრო მეტიც მგონია, მაგრამ სამეგრელოზე მინდა მაინც: რა გადავიარეთ, რანი ვყოფილვართ, ზოგჯერ მართლაც ისე მტკივნეულად. ჩვენც ბევრ რამეში ვართ დამნაშავე. ეტყობა ვერ მივიტანეთ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ან იმ ჩვენს სიტყვას, ჩვენს საქმეს მივაკელით ცეცხლი, დამაჯერებლად არ ჟღერს.

— მე საოცრად მომეწონა, ზაურ, ბატონო, ჭრაქის ფილოსოფია, — აღფრთოვანებულია ოთარი, — და მისი დიოგენთან მიმართება. საოცარი რამეა. დიოგენი კასრშიც კი ჩაჯდა თავის დროზე, მაგრამ კასრი ჭრაქის ფუნქციას ვერ შეასრულებდა. მე უფრო, აი, ჭრაქის მომხრე ვარ. რა თქმა უნდა, სწორედ გონებით თვალხილული ადამიანები აჩვენებენ ხალხს გზას, გნებავთ თვით ბორბოსაც. ეს სიტყვა ნურავის ეუხეშება.

— ქართულ სიბრძნეშია მოცემული — ახლა ვახტანგიც გაიღებს ხმას, —ხალხის ძალა აღმართს ხნავს თუ შეკონავ, მაგარმ მისი ჭკუა რომ შეკრიბო, ბატის ტვინზე ნაკლები აღმოჩნდებაო.

ყველაფერი იკრიბება, ვახტანგ ჩემო, მაგრამ ჩანს, ჭკუა კრებსითი არ არის, ეტყობა სხვა ფენომენია. თითოეული ჩვენგანის ჭკუა რომ შეკრიბო, ამით შეიძლება სიბრძნე არ გამოვიდეს. შეიძლება ერთ-ერთის ჭკუა იყოს მართებული და ჭეშმარიტი.

ისევ ჭრაქის თემას მივუბრუნდები. ეტყობა ხალხში დაუნჯებული და დაფუძნებულია უზარმაზარი სიბრძნე. მაგრამ ვაგლახ, რომ აი, სწორედ ის ბრბო მოექანება ჭრაქის ჩასაქრობად და სავალალოდ, დიახაც, იმ სინათლის მატარებელ კაცს გადათელავს უთუოდ. სიბნელეში რომ მოხვდება, მერე შეიძლება იგივე ბრბოს გაახსენდეს, ვიღაცა ლამობდა თურმე ჩვენს გზაზე გაყვანას და ეს ინფორმაცია მკვიდრად შეინახა შემდგომ შთამომავლობის მეხსიერებაში. ეს ჩვენს ქვეყანაში თუ სხვაგან, ერთნაირი ტრაგედიაა. ახლა, აქედან გადასვლა სამეგრელოზე ძალიან ადვილია. იმდენი სიბრძნეა ჩვენს კუთხეში და იმდენი გენიოსობა, რომ საუბედუროდ უმეტესს ეს გაცნობიერებული არა გვაქვს, თორემ მივყოლოდით ამ გზას, ალბათ, დღეს სხვანი ვიქნებოდით. ხანდახან ერთიც ხდება, ბატონებო, ჩვენ ჭრაქის მატარებელი წინაპარი ბევრი გვყავს, ზოგჯერ მათ სახელს არ ვარქმევთ, ვერ ვარქმევთ, უფრო უხეშად ვიტყვი: მაშინ რომ არ გვყოლოდა ეს ხალხი, ჩვენ აქამდე ვერ მოვიდოდით, არ იქნებოდა ის, სამეგრელო თუ რასაც სრულიად საქართველო ჰქვია. დღეს კი სწორედ აი, იმ ჭრაქის მატარებელ ხალხს ავცილდით, თითქოს ავუარეთ, თითქოს ჩვენი ბუნება იმ ჭრაქის ჩაქრობაში გამოიხატება. მიზეზი ამისა უამრავია და ასეთ ახსნას ვპოულობ ხოლმე: ეს იმისი ბრალია, რომ ჩვენ სახელმწიფო, როგორც ასეთი, საუკუნეებია არ გვქონია. ანუ ის, რომელმაც ჩვენ ყველა ერთად უნდა შეგვყაროს, გაგვაერთიანოს დიდი და პატარა, ერი და ბერი. აი, ეს არ გვქონია და შეცდომაა, როცა ამას ვაბრალებთ, ვთქვათ, ჩვენ დიდ ჩრდილოელ ძმასთან ორსაუკუნოვან ურთიერთობას. აბა, იქითაც გავიხედოთ. არც მაშინ გვქონია. სათავე კიდევ ქართველთა, გენეტიკური, ნებისმიერი, რაც ერისათვის, სახელმწიფოს როგორც მაორგანიზებელი ინსტრუმენტი, დავკარგეთ; ერთი რამის გამოც — დღევანდელმა საქართველომ მართლა არ იცის საიდან წამოვიდა იგი, საიდან იღებს სათავეს, სად ჩაეყარა საფუძველი მის ურყევ შენობას?! ჩვენ მათი ავტორები, შემოქმედი ხალხი, ჩრდილში კი არა, სადღაც უკუნეთში გვყავს გადასროლილი. თითო-ოროლა

ქართველმა უწყის, რომ მანამ, სანამ „ქართლ-კახეთი-იმერეთი-გურია და სამეგრელო“ ითქმებოდა □და ისიც დასავლეთელი კაცის მიერ), საიდან წამოვიდა ბოლოს და ბოლოს ის, რომელსაც საქართველოს ვეძახით.

დღეს ჩვენში არის ერთი პროფესორი, რომელიც „ამტკიცებს“:

საქართველო ერთ-ერთი მაღალი მთიანი რეგიონიდან არის წარმოშობილიო; მეორე: აგერ, სადღაც ჩვენი მეზობელი ქვეყნის საზღვრიდანო; მესამე: ჩრდილო-აღმოავლეთიდანო. ხალხნო თუ სიცოცხლე წყლიდან იწყება, ყველა სახელმწიფო წყალს უერთდება, ან— დიდ მდინარეს, აგერ გვაქვს კოლხეთი — საიდანაც ეს დაიწყო სინამდვილეში. ეს არავინ გამიგოს ოთარ ხუფენიას გამოხდომად; ეკონომისტი კაცი ისტორიკოსების საქმეში რას ეჩრებაო, მაგრამ საოცარია, რატომ არაფერს ვლაპარაკობთ ქუჯიზე; ვინ შექმნა ბოლოს და ბოლოს ფარნავაზი?

ახლა უარესსაც გეტყვით და შეიძლება გულიც გატკინოთ, ჩემო მწერლებო და ჩემო ძვირფასო ხალხო. აგერ, ათიოდე დღის წინათ საოცრება მოხდა მართლმადიდებლურ საქართველოში — ცოტნე დადიანი წმინდანად შევრაცხეთ. მე, ქართველმა კაცმა, ორი დღის დაგვიანებით შევიტყვე ეს ზუგდიდში, პრეზიდენტის ბაგეთაგან. ჩამოვედი და ვეკითხები ჩემს თბილისელ მეგობრებს. არ იციან მათ ეს აბსოლუტურად.

— სწორი ბრძანებაარ, — ერთვება ზაური, გულისხმიერო, მოწაფევ, — ეგ ისევ ჩვენი კუთხის და იმ კუთხიდან წამოსული ხალხის თუ საერთოდ, მთელი საქართველოს დამსახურება მგონია. ცოტნე მეგრელობაზე კი არ ჰკიდია, იგი იმხელა ზნეობრივი გმირია, მთელი საქართველოს დროშაა, მთელი საქრისტიანოს ფარი. ინიციატივა სამეგრელოს უნდა აეღო მაინც. მე ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ძეგლი დადგეს ცოტნე დადიანისა. ფოთში მე ვნახე ეს ძეგლი. მაინცდამაინც დიდად არ აღვფრთოვანებულვარ, მაგრამ მიუხედავად ჩემი განსაკუთრებული პატივისცემისა, მაპატიოს ბატონმა ელგუჯა ამაშუკელმა და ერთმა მეგობარმა მოქანდაკემ მითხრა:

კიო, კარგია ცხენზე რომ ზის და არწივი შეფრენია მხარზე, მაგრამ ცოტნე ცხენიდან რომ ჩამოვიდა მერე გახდა ცოტნეო, და არა ცხენზე მჯდომიო. სხვა ზნეობის გმირიაო...

— ფოთმა კი არა, თბილისმა, ზნეობრივმა საქართველომ უნდა დაუდგას ცოტნეს ძეგლიო, — შემართულია ცერზე ვახტანგი, შეგირდო,ჩემო, — თუმცა ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილები ვიყოთ ამ კუთხის შვილები და თავად მისი გუბერნატორი, მისი ქალაქების მერებით თუ რაიონების გამგებლებით.

— მე ვეპარებოდი ამ სათუთ თემას. — ფრთხილია ოთარ ხუფენია, —კიდევ ერთ ამბავს ვიტყვი. მართლა არ არის გაცნობიერებული ჩვენი კუთხის ადგილი და როლი დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ, იმ სახელმწიფო წარმონაქმნის ფორმირებაში, რომელსაც საქართველო ხქვია. აი, ეს მოგვდგამს აქამდე, მეოცეს სასრულსაც კი. აი, ამის მართლაც საოცარ ნიმუშად ვთქვი მე, რომ ილია, როცა წმინდანი გახდა, მთელი საქართველოსთვის ბედნიერება იყო და ეს ყველამ ვიცოდით. რა თქმა უნდა და უზარმაზარი სიამაყეა ჩვენთვის, ნებისმიერი ქართველისათვის. ახლა კი, აგერ, ცოტნე შევრაცხეთ წმინდანად და ჯერ ქართველობამ ეს აღარ უწყის. რა, ათეულობით წელიწადი უნდა გავიდეს, რომ ეს სრულყოფილად გავიცნობიეროთ? მე ჩემო, ძმებო, სრული გულწრფელობით გეტყვით, რომ თითოეული ჩვენგანის ბრალია, თითოეული იმ ადამიანის ბრალია, ვინც იმ კუთხიდან ვართ, სადაც უნდა ვმუშაობდეთ და რომელ სფეროში; ჩვენი ბრალია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ბრალია იმ მესვეურებისა, რომლებიც დღეს, როგორც სახელმწიფო მოხელეები სამეგრელოში მოღვაწეობენ; მე ხაზს ვუსვამ, როგორც სახელმწიფო მოხელეები და არა — სუფრის თამადები, არა ქელეხ-ქორწილში მიმსვლელები თუ თათბირების, ღონისძიებათა ჩატარების ორგანიზატორები.

პირველი სასიხარულო ზარი ერის და ბერისათვის, სრულიად საქართველოსათვის იქიდან უნდა წამოსულიყო. ვის დავაბრალოთ? ჩამობრძანდა იმ წვიმიან დღეს საქართველოს პრეზიდენტი და მან გვაუწყა: ჩვენ ამის მოწმენი ვართ ყველა. ამის მერე ირიტორიკებს სამღვდელოების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ჩვენი კუთხიდან და ამით ყველაფერი მიჩუმათდება. მე მეორე დილით ჩამოვდივარ თბილისში და ვინც უყურა ეგრეთწოდებულ „პირდაპირ ჩართვას“ პრეზიდენტის საარჩევნო ვოიაჟს, ზოგმა მიაქცია ამას ყურადღება და ზოგმა — ვერა. რა ქნას ახლა ბატონმა პრეზიდენტმა? თვითონ ილაპარაკოს სამღვდელობის და ჩვენი კუთხის სახელით? იქნებ ამასაც ზედმეტ პოლიტიკურ ლაქუცობად კოჭის გაგორებად ჩამოართმევს ჩვენი კუთხის მიმართ. არა, ბატონებო! ჩვენი სათქმელია ეს და პირველ რიგში— სწორედ იმ სახელმწიფო მოხელეებისა, რომლებიც იქ ბრძანდებიან.

ახლა თავად სკულპტურის მიმართებით: კიდევ კარგი ცოტნე დადიანი ცხენზე ამხედრებული

მაინც არის ფაზისში. კომუნისტების დროს იყო პროექტი დაჩოქილი ცოტნესი. თქვენ შეეწინააღმდეგეთ მაშინ ამას და ღვთის წყალობით აწი არასდროს უწერია განხორციელება.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ბატონ ბაკურ გულუას ხელმძღვანელობით თბილისში გარკვეული საინიციატივო ჯგუფი შედგა, გვინდოდა შეგვექმნა ძეგლი და თბილისში დაგვედგა. ეს იმ ნგრევის წლებია, ოთხმოცდაათ-ოთხმოცდათერთმეტი. არ მაქვს უფლება სხვისი სახელით ვილაპარაკო, მაგრამ ფაქტს აღვნიშნავ: ძეგლის მაკეტი მზად არის, მის დადგმას წინ არაფერი უდგას, თუმცა თბილისის ხელისუფლებამ ვერ თუ არ გადაწყვიტა რა ალაგას, რა ადგილას დაიდგას იგი. ჩემი მოსაზრება ასეთია: ძეგლი უნდა დაიდგას იქ, სადაც დავითისა და თამარის ქუჩები კვეთენ ერთმანეთს, როგორც საქართველოს მესამე უზარმაზარი სიმბოლო. ასე რომ, ჭირი თავს მართლაც არ დამალავს თურმე. გაუცნობიერებლობა იმისა, თუ რაა სამეგრელო და რა როლი, რა ადგილი აქვს მას ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, მის ისტორიას, მის წარსულს, დღევანდელობასა და ხვალინდელში, ამის დამალვა, მიჩქმალვა, არიქა, ბიჭო, რაღაც უბედურება არ მოხდესო, ჩვენ სასიკეთოს ვერაფერს მოგვიტანს. იგივე იმ სამეგრელოს ზოგიერთი მესვეურის მაღალი ტრიბუნებიდან ნათქვამს გაგახსენებთ:

არ აბობოქრდება თუ რაღაც მაგდაგვარი, სამეგრელოო.

სამეგრელომ უნდა იბობოქროს კიდეც, უნდა იმღელვაროს კიდეც, უნდა იყვიროს კიდეც, ოღონდ ვიცოდეთ რისთვის — სრულიად საქართველოსათვის, ქართული სახელმწიფოს ძლევამოსილებისათვის.

ნურავის აშინებს თუ ხმამაღალი სიტყვა ითქმება. ეს არის ავადმყოფობა, თორემ მაღალმა ღმერთმა ხომ იცის, თუკი გენეტიკურად ვინმეს აქვს სახელმწიფოებრიობის მენტალიტეტი, ეს უპირველესად — მეგრელს. სწორედ მან იცის რა არის სახელმწიფო, და მან იცის როგორ გადარჩეს თვითონ, აი, ამ სახელმწიფოთი და არა სხვა რამით. ასე რომ, ჩემი ღრმა რწმენით ამისი ხმამაღლა თქმა თითოეული ჩვენგანის ვალია.

— ამ წუთას შენგელაიას ფილმი მახსენდება: — „ვერის უბნის მელოდიები“— ისევ ზაურია არენაზე, შეგირდო, ჩემო, — პოლიციის უფროსი რომ იძახის, ოღონდ ნუ იქნება ბუნტიო. ასეთი კაცი თუ იქნება ხელმძღვანელად, თავისთავად გაჭირდება და ეგ უფრო სხვა სასაუბროა. მე გული დამწყვიტა თხილის ბიზნესთან დაკავშირებულმა ციებ-ცხელებამ. კი, ბატონო, ჩამოვიდნენ უცხოელები, მაგრამ რა შუაში იყო ასლან აბაშიძე თუ ეს თხილი სამეგრელოშია, იქ უნდა მოიყვანონ, იქ უნდა გააშენონ... ეს სამეგრელო მხარე არ არის?! კუთხე არ არის თუ დაბალი ღობე ნახეს? კიდევ კარგი, ავტონომია რომ არ გვქონია. მე, როგორც პიროვნება, ყოველგვარი ავტონომიის წინააღმდეგი ვარ. მწერალთა კავშირის ყრილობაზე სიტყვითაც კი გამოვედი ფედერალურ დაყოფაზე. ბატონმა პრეზიდენტმა გამცა პასუხი მაშინ:

ესო, როგორც ექსპერიმენტიო, ასეთი სიტყვა გაურია, მაგრამ ძალიან დიდხანს რომ გაგვიგრძელდა?! თანაც ამ ექსპერიმენტში ბევრ სასიკეთოსაც ვერაფერს ვხედავ. მე პოლიტიკოსი კი არა მწერალი ვარ, და მაინც მიუღებელია ჩემთვის. რაც ასაკი მემატება ამ პოლიტიკის უფრო ნაკლებად მესმის. დავიბენი. თქვენ, როგორც ეკონომისტს, როგორც სპეციალისტს, გეცოდინებათ თუ რისი გაკეთება შეიძლება ხვალ ან თუნდაც დღეს. კი, ბატონო, ვიცით რა მდგომარეობაა, რა გაჭირვებიდან გამოვედით, მაგრამ ყველგან რაღაც ნიავი მაინც ირხევა, სიო მაინც ქრის, კახეთში, იმერეთში, აჭარასა თუ სხვაგან. რას მეტყვით ამის შესახებ?

— ჩემო, ზაურ, ბრძენის ნათქვამია: წვეთში ოკეანე ჩანსო.— ოთარი ხმას იბოხებს, მენტორის პოზას არაფერი უკლია, გულთმისანო, ყრმავ, — ჯერ ზემოთ დასმული კითხვა ამოვწუროთ. ამ თხილში დღევანდელი სამეგრელოს მთელი ეკონომიკური პოლიტიკა ირეკლება. როგორც ეკონომისტი ერთ რამესაც გეტყვი თხილთან მიმართებაში. 88 წელს გალში მე და ჩემი მეგობრები, ბატონები: ვახტანგ ყოლბაია, ომარ გუნჯუა და სხვები, ვცდილობდით შეგვექმნა სამურზაყანოსთვის მინიპროგრამა, რომელსაც „თხილი“ ერქვა. მაშინ აღმოჩნდა ასეთი რამ: თურმე თხილის ღირებულების მხოლოდ ათი პროცენტია ის, რომელსაც ჩვენ ყველა ერთად სიამოვნებით მივირთმევთ ბაქეში თუ საკნატუნოდ, 90 პროცენტი კი მისი ღირებულებისა არის გადასაყრელად გამეტებული ნაჭუჭი. თურმე არსებობენ იტალიური, გერმანული, იაპონური ტექნოლოგიები, რომელთაც შეუძლიათ ეს განუკითხავად განიავებული ნედლეული გადაამუშაონ და მიიღონ საავეჯო მასალა. ეს მასალა თავისი თვისებებით გაცილებით მაღალია, ვიდრე წითელი ხე.

გავიოცებთ ყველა. ის კი მეტის დამაჯერებლობით აგრძელებს:

— 89-90-91, რა წლები გაიარა სრულიად საქართველომ და მათ შორის სამურზაყანომ, ყველას ჩინებულად მოგვეხსენება, ამიტომ მოკვდა ეს თემა ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის. გასაგებია

თხილის პოლიტიზაცია, მაგრამ მეცნიერულად აბსურდია. თურმე ეგეთივე თხილი შეიძლება მოიყვანო ჭიათურაში, სხვაგან, კაკალს, გულს ვგულისხმობ, მაგრამ ნაჭუჭს — ნურას უკაცრავად, მხოლოდ ამ მიწას შეუძლია მოგვცეს, მე როგორც ქართველმა კაცმა და იქაურმა ვიცი ეს. მე მინახავს ბათუმში ჩვენი პრეზიდენტის მოგვარის მიერ შექმნილი თხილის ფაბრიკა. უმარტივესი ოპერაცია ხდება: თხილი შემოიზიდება ყოველი მხრიდან, მნიშვნელობა არა აქვს რომელი კუთხისაა, რა თვისების. მერე იმტვრევა, იყრება პოლიეთილენის პატარა პაკეტებში და იყიდება. აი, თუნდაც ზემოთდასახელებული პროგრამის მიხედვით, გული კი არაა ღირებული, არამედ — ნაჭუჭი.

— თხილი, ჩაი, ტყუპისცალივით ხგვანან ერთმანეთს ჩვენთან, — ვახტანგს აშკარა აღშფოთება ეტყობა, გულისხმიერო, შეგირდო, — ფასს განსაზღვრავს ვიღაც, ოთხმოცდახუთი თეთრია ეს თუ ოთხმოცდაათი. ჩამოუვლის ხოლმე შემსყიდველებს და ეუბნება:

ხუთი თეთრი მოგიმატებია, სახლ-კარს გადაგიწვავთო. იგივე სიტუაციაა ჩაისთან დაკავშირებით. ათ თეთრს, უკეთეს შემთხვევაში თხუმეტ თეთრს აძლევენ მკრეფავებს კილოგრამში. განა ჭკადუაშში მეტს უხდიან ან სხვაგან? აქაც მონოპოლიზებულია ეს ხაზი. მე რამდენადაც ვიცი „მარტინ ბაუერს" ხელშეკრულებაში უწერია, რომ არანაკლებ თხუთმეტი ცენტისა უნდა გადაუხადოს კილოგრამ ჩაიში. სად ათი თეთრი და სად — ოცდაათი? ჩვენ რომ ვაძლევდეთ გლეხს ჩაის მოკრეფაში კუთვნილ თანხას, სამეგრელო კარგა ხნის წინ წელში გაიმართებოდა. ყოველ შემთხვევაში ბოლო ორი წლის განმავლობაში რაღაცნაირად წამოიწევდა. სხვანაირად, სხვაგვარად, ამ სიტუაციაში, სამეგრელო ფეხზე ვეღარ დადგება, იმიტომ, რომ სხვა არანაირი სტრატეგიული დარგი არ გაგვაჩნია.

თხილთანაც ზუსტად იგივე სიტუაცია. სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე არ ერევა ამ საქმეში. არ ერევა, მაგრამ სწორედ ამ ჩაურევლობამ გამოიწვია მონოპოლიზება, რაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში აკრძალულია. ეს ჩვენი კონსტიტუციითაც დანაშაულის ტოლფასია. კაციშვილი ამას ცენტრსა თუ პერიფერიებში ყურადღებას არ აქცევს. სახელმწიფოს მიერ არ ხდება საკუთარი მოსახლეობის დაცვა.

იგივე არ ითქმის განა ყურძენთან დაკავშიებით? ესე იგი მიდის გაუგონარი ექსპლოატაცია. საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებობს რაღაც მინიმუმი, რომლის ქვემოთ ვეღარ მისცემ მუშახელს ანაზღაურებას. აი, მაგალითად, ხუთ დოლარზე ნაკლებს, ლაპარაკია ერთ სამუშაო საათზე. ჩვენთან არსებობს ეს მინიმუმი საერთოდ? თუ არ არსებობს, რატომ არ არსებობს? ჩვენ ამით ხომ ხელვყოფთ ადამიანების შრომის, გასამრჯელოს მიღების უზენაეს უფლებას. ვინ უნდა გაუწიოს ამას კოორდინაცია? ვინ უნდა დაარეგულიროს იგი? თქვენ რას იტყვით? სახელმწიფო რომ არეგულირებდეს ამ პროცესებს, თხილი დღეს ოთხმოცდახუთი თეთრი კი არა, ორი, სამი ლარი ეღირებოდა; კილოგრამ ჩაიში მკრეფავს ათი თეთრის ნაცვლად ოცდაათს, ორმოცს გადაუხდიდნენ და ასე შემდეგ.

— აქ შეიძლება ეკონომისტის აზრი მართლაც საჭირო იყოს ვახტანგ, ჩემო, — ოთარი ერთ ადგილზე ვერ ისვნებს, აშკარად არ ელის ხელოვანი ხალხისგან ესოდენ სიახლოვეს გაწყენებულ თემასთან, შეგირდო ჩემო, — მე უბრალოდ ამ თხილიდან გადავალ „ნიავის" საუფლოში. თქვენს ფრაზას გამოვიყენებ, ზაურ, ბატონო, სამეგრელოში ნიავიც არ ჰქრისო, რომ ბრძანებთ. ამ წლების განმავლობაში საქართველოს ყველა კუთუხე-კუნჭულში დავდივარ. ეს ჩემი სამსახურეობრივი მოვალეობაა, მითუმეტეს გალის მოვლენების მერე. ჩემმა მძღოლმა აღმოაჩინა ასეთი საოცრება. თაქთაქიშვილია ეგ კაცი გვარად. მოვდივართ სამეგრელოდან, ფოთი იქნება, ჩხოროწყუ, მარტვილი თუ სენაკი. სანამ სამტრედიამდე მოვაღწევდეთ, შუქი არსად კიანთებს, ჩაწკვარამებულია.

უფრო პრიმიტიულს გეტყვით. დავუშვათ ექვს საათზე ხშირად გავსულვარ თბილისიდან და სადღაც ათზე, თერთმეტზე იმერეთ-სამეგრელოს საზღვარზე ვიმყოფებით და იგივე ჩემს მძღოლს უთქვამს:

ოთარ, შენ საღამომდე ჭამის დრო არ გექნება, აქ წავიხემსოთ რამე, თორემ ცხენისწყალს რომ გავცდებით, პირში ლუკმას ვერ ჩაუშვებო.

უარესი კიდევ. ერთხელ დაავიწყდა ჩემს მძღოლს თავისი შეგონება და ჩავიდა სენაკამდე. ყავა დავლიეთ და ათ ლარიანის ხურდას ლამის მთელი საათი ვეძებდით. შორეულ ამბავს როდი გეუბნებით, 98-ის ნოემბერი იყო. მართლაც ნიავი არ ქრის.

ახლა მთლად სასწაული. აი, ამ თვენახევრის განმავლობაში სამსახურეობრივად და მორალურადაც მევალებოდა ვყოფილიყავი იქ, სადაც საქართველოს პრეზიდენტი მიემგზავრებოდა. სცენარი ასეთი გახლდათ. ჩამობრძანდება პრეზიდენტი ამ თუ იმ ქალაქში, რაიონში, მხარეში და აჩვენებენ იმას, რეალურად რაც გაკეთებულა. სად ქარხანა გაიხსნა, სად ფაბრიკა, სად რა ამუშავდა, როგორ,

რანაირად, რაფერ. უხვი იყო ეგ ყველგან, აი, სამეგრელოში კი — მწირზე მწირი.

ზუგდიდში ფაიფურის ქარხანასთან რომ დაფრინდა საქართველოს პრეზიდენტი და აჩვენეს გადაღებილი კედლები, მე ის ფაიფურის ქარხანა მახსოვს. ბევრმა ეკონომისტმა იცის, რისთვის გაკეთდა იგი, უნიკალური ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ჩვენ ფაიფურის პრობლემა საქართველოში კი არა ამიერკავკასიაში არ უნდა გვქონოდა. რა ვუჩვენეთ? პატარა თხილის საამქრო თუ ხე-ტყის გადამმუშავებელი თურქულ-ქართული საწარმო. მეტი რა, ბატონო?

აი, ამ დროს ტყიბულიც მინდა გავიხსენო და ის ძვირფასი იმერლები, თვალებზე ცრემლმომდგარნი რომ უყურებდნენ რაღაც ნიშანს: აქ თბოელექტროსადგური აშენდებაო. ტყიბულის ქვანახშირი, მსოფლიოში ერთ-ერთი უღარიბესია, მაგრამ ისეთ ტექნოლოგიას მივაგენით, რომელიც წინაპირობას ქმნის თბოელექტროსადგური გაკეთდეს ქვეყანაში, და მოემსახუროს სრულიად საქართველოს ინტერესებს.

რა, ამ დალოცვილ სამეგრელოში არაფერი აღმოჩნდა ისეთი ამ ათი წლის მანძილზე, რომელიც სტრატეგიული იქნებოდა? არის სამეგრელოში, ძმებო, რესპუბლიკური მნიშვნელობის მიმართულებანი, მაგრამ გონიერება იკითხე შენ. შორს არ წავალ. რა დროს თხილზეა ლაპარაკი. რატომ არ იცის სამეგრელომ ან სრულიად საქართველომ, რომ უზარმაზარი რესურსი ანაკლიაში არსებობს, პორტის სახით. რატომ არ ვიცით რომ ფოთის განვითარება შეიძლება, მართლაც საქართველოს პირველი კარიბჭე გავხადოთ. რატომ არ ვიცით რომ დაფნა ხარობს საქართველოში, ციტრუსი? ვის დავაბრალოთ, ჩემო მწერლებო, და ჩემო ეკონომისტო ოთარ ხუფენია? ჩვენს კოლხურ მოკრძალებას? ჩვენს კოლხურ სიჩუმეს? თუ მაინცდამაინც ნანასავით ვიგლოვოთ გამუდმებით და ყველა ჩვენს სიმღერაში ტირილი იყოს?

— რატომ, ოთარ ძმაო, ვისია „ოდოია", „აბა, ულა"-მეთქი, წამოვთარანდები, გულწრფელო მოწაფევ.

— ეხ, გური ჯიმა, სრულიად საქართველოს „ოდოია" სიმღერაც კი არა აქვს გაცნობიერებული რიგიანად, „ნანასთან" გვაიგივებენ. იცით, რატომ, რის გამო? ის თავის დიდი კოლხეთის წარსულს მისტირის. ღმერთო, ყველა ქართველს ვენაცვალე, ვინც ასეთნაირად აღგვიქვამს. მაგრამ ჩვენც ხომ შეგვიძლია ომახიანი შემოძახება?! ხომ არის მესამე მოწვევის პარლამენტი? **სახელმწიფო პოლიტიკა, ეკონომიკური და საფინანსო, ამაში მენდეთ, როგორც ეკონომისტს, პირველ რიგში აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის პოლიტიკაში.** ყველა მიყვარს ჩვენი მხარის დეპუტატთა კორპუსიდან, მაგრამ ჩვენი კუთხის ერთი დეპუტატი დამანახეთ დემურ გადელიას გარდა, რომელიც საბიუჯეტო პოლიტიკაზე ლაპარაკობდეს. თუნდაც შემდეგი რამ: სამეგრელო არის ომისპირა რეგიონი. ერთ სულ ადგილობრივ მოსახლეზე ერთი დევნილი მოდის. რა, ბიუჯეტმა არ უნდა ასახოს ეს თავის პოლიტიკაში?! თუკი შეიძლებოდა აქამდე აჭარისთვის შეგვექმნა განსხვავებული საგადასახადო კოდექსი, ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზებით, ის კი არა, ჩემი ღრმა რწმენით, აჭარის ავტონომია საერთოდ არც უნდა არსებობდეს. იმას თუ სარწმუნოება ხქონდა თავის დროზე, მე შეიძლება სხვა რამ დამსახურება გამაჩნია ქვეყნის წინაშე. შევქმნათ ახალი ავტონომიური წარმონაქმნი?!

ავტონომიაზე თუკია მსჯელობა, ბიჭებო, მხოლოდ აფხაზეთს ეკუთვნის იგი და სხვა აღარცერთ კუთხეს საქართველოში. დალოცვილო, იმას უქმნიან ამ რეჟიმს და მერე როგორ მოგვიბრუნდა, ყველამ კარგად ვიცით. აქ ხომ უფრო ბუნებრივი და ნამდვილი კრიტერიუმია?!

აი, ომის საზღვარი რომ გადის, იქნებ ამან შექმნა ეს სახელმწიფო, პროტექციონური კარგი გაგებით და ასახე ეს. აი, ვთქვი და ვიმეორებ, დემურ გადელიას გარდა ვინმეს თუ ამოუღია ხმა, თანაც როგორც სენაკის დეპუტატი სენაკის პრობლემაზე ლაპარაკობდა. არ ხქონდა, ალბათ, სხვა უფლება. ეს მაინც არ უნდა გამოსწორდეს?! ეს რაც შეეხებოდა იმ „ნიავს".

ახლა ფედერალიზმთან მიმართებაში, ბატონებო: მე ვახსენე ჩემი მასწავლებელი ვალერიან მელქაძე. ეს არის რეგიონალური ეკონომიკის ფუძემდებელი საბჭოთა კავშირში, რომელსაც დღეს პროკომუნისტურსაც ვეძახით, მაგრამ ის რეგიოეკეონომიკაში საქართველოს კუთხეებად დაყოფას ნამდვილად არ მოიაზრებდა. დღეს თურმე საჭიროა. მე ის კაცი ვარ, ჩემს ყმაწვილობაში რომ მითქვამს:

მუხრანზე, მურმანზე ვიქეიფოთ-მეთქი. რას ნიშნავდა ეს? ვიწრო წრეში ყველა სადღეგრძელო უნდა თქმულიყო მუხრანის ან მურმანის ლექსით, თუ ქალბატონები გვერია, მაშინ — ანა კალანდაძისა. გალაკტიონი არ გაგვიბედია და ვერც გავბედავ სანამ ცოცხალი ვარ. ვაჟაზე მიქეიფია.

„ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად, ვისაც ჩვენი გაყოფა და გათიშვა სწყურიაო," ბრძანა იმ კაცმა თავის დროზე ჩემთვის მისაღებად.

იცით, დღეს სხვა რამე ხდება საქართველოში, აბსოლუტურუდა მიუღებელი. ამ გამონათქვამებს ახლა ვაძლევთ სახელმწიფო წარმონაქმნებს, ანუ რაც მე მწამს იმის საწინააღმდეგოს. დღეს ჩვენ მესხეთს სამცხე-ჯავახეთს ვარქმევთ. შიდა ქართლი და ქვემო ქართლიო, ესეც გავარჩიეთ. კულტურულ ავტონომიას მაინც მოგთხოვს რაღაც ეტაპზე. მე გული მტკივა ამ არჩევნების შემდგომ პერიოდზე. ჩვენ ამ დღეებში ვლაპარაკობთ, როცა პარლამენტში თანამდებობების განაწილება მიდის. მე ვიცი ყველა ნიშანთან ერთად უკვე ჩნდება კუთხური ნიშანი. აი, ამ კუთხეს ერთი კომიტეტი მაინც ხომ უნდა ხქონდესო! ავტონომიური წარმონაქმნი ხმამაღლა აცხადებს. ეს ტელევიზიით არის დაფიქსირებული: ერთი ვიცე-სპიკერი ჩემი უნდა იყოსო, ამდენი პროცენტით ვარ გასული და ერთი კიდევ ჩემიო. ახლა რაც ტელევიზიით არ არის ნათქვამი, იმასაც გეტყვით. ყველა კუთხე ზის და იძახის:

ამდენი პროცენტი მე ავიღე მმართველი პარტიისათვის, ამიტომ ერთი კომიტეტი მე მეკუთვნისო, გააჩნია ვის რამდენი პროცენტი აქვს აღებული. აჭარა რომ გახკივის, 25 პროცენტი მაქვს და მეოთხედი ჩემიაო, ვიღაცამ თავისი პროცენტი დაითვალა და მთელის გამძაფრებით იჭაჭება:

ამდენი კომიტეტი მეკუთვნისო. რა არის ეს! ის მაინც ხომ უნდა გავაცნობიეროთ, რომ იქნებ დღეს პარლამენტში არ არის იმ დონის ეკონომისტი, რომელიც ამ განაწილებაში ვერ მოხვდება. ვის შეუძლია ამის გაკეთება ან სოციალურ სფეროში, ან საფინანსო-საბიუჯეტოში, ან ნებისმიერ სხვაში?! ეს სინდრომია უკვე გაჩენილი. რომ ჩავუკვირდებით, ყველაფერი მოდის სათავედან, რომელსაც ხქვია საქართველოს კონსტიტუციის არასრულყოფილება, ანუ მთელი კარი, ნაწილი კონსტიტუციისა, რომელსაც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ხქვია, არ არის, არ გაგვაჩნია, თუმცა შვიდასი კანონი მივიღეთ; ხან კანცელარიის სამსახური ქმნის ამ მოწყობას თავისთვის, ხან პარალმენტის რაღაცა კომიტეტი, რომელიღაც წარმონაქმნის პარტიული ლიდერი. ესაა ჩვენი უბედურებათა უბედურება. რაც შეეხება, აი, იმ ნათქვამს, მინდა ცალსახად განვაცხადო: რატომ დავუშვით ის აჭარისათვის. იცით, მთავრობის კულუარებში რა ტერმინი და ფილოსოფია მუშაობს? მოდელი უნდა შეგვექმნა, რომელსაც შევთავაზებდით აფხაზებს, არძინბას.

ეს ნამდვილად ასეა, მე კი მეათასედ ვიმეორებ: მოსაჭრელი ჭიანი ხე დროზე უნდა მოიჭრას. რაც უნდა მოდელი შევქმნათ აჭარაში, აფხაზები იმის მიმღებნი არ არიან. ტყუილია. აფხაზეთი სულ სხვაა. რა შუაშია აჭარა თავისი ყარსის ხელშეკრულებით და რა შუაშია აფხაზეთი? განა შესაძლებელია მათი გატოლება?! ამის ხმამაღლა თქმას რომ ვერიდეთ ერიან-ბერიანად, წაგვადგა კიდეც.

— აჭარის დეპუტაცია აყენებს საკითხს თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ,— ამბობს ვახტანგი და სიგარეტს ხარბად აბოლებს, — ამიხსენით ღვთის მადლმა, რა არის ეს ეკონომიკური თავისუფალი ზონა?

— ეს ტერმინი ვახტანგ, ჩემო, დენ სიაო პინს ეკუთვნის. გამოიყენა ასეთი მოდელი ჩინეთში. გამოყო თერთმეტი რეგიონი, სადაც თქვა:

აქ იქნება თავისუფალი ეკონომიკური ზონაო, რასაც მე შემითანხმებს ინვესტორი და ამისთვის ვაკეთებ ამასო.

რა უნდოდა დენ სიაო პინს? არაფერი განსაკუთრებული, უნდოდა შეექმნა ეკონომიკური აზროვნება და ეკონომიკა ამ 11 გუბერნიაში, სხვანაირი, ცივილური. მან იცოდა, რომ კომუნისტთა იდეოლოგიას პერსპექტივა არ ჰქონდა და მოიაზრა საოცარი რაღაცა. ეს ქვეყანა შეუერთა ჩინეთს და გადავიდა ჩინეთში, რომელიც დღეს მარცვლეულის ექსპორტიორია მსოფლიოში, ოღონდ აზიურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით: **წყალი თანდათანობით ჩავა, იქ სადაც ჩასასვლელია.** დენ სიაო პინმა ეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოახდინა.

ახლა ვიღაცამ ამგვარად უკარნახა აბაშიძეს და მის გუნდს და მაინცდამაინც თავისუფალი ზონა მოიაზრეს, როგორც ტერიტორიული ნიშნით თავისუფალი. თავისუფალი ეკონომიკური ზონა არ მოიაზრება მხოლოდ ტერიტორიული ნიშნით. ის შეიძლება იყოს საწარმოს, დარგის სახით. მე ამაზე მიბრძოლია თავის დროზე. ამასაც ღიად ვიტყვი: დღევანდელი ,,აღორძინების'' ერთ-ერთი წევრი, დათო აბაშიძე ჩემი და მეგობარია. კოლეგა იყო, როგორც დასაქმების ფონდის გენერალური დირექტორი და ხკითხეთ, ვინ ხყავს ეკონომიკაში მასწავლებელი და ის თავად გიპასუხებთ. ვუჩხიკინე მას, ვუჩხიკინე და ნახეთ დღეს ბატონი ასლანი რას ლაპარაკობს:

ჩვენ ტერიტორიის ეკონომიკური თავისუფლება კი არ მოგვითხოვიაო. უკვე ასახელებს რაღაც ობიექტს, დავუშვათ სანაოსნოს. ეს სულ სხვა განსჯის საგანია. სანაოსნოა თუ სხვა რამ, გნებავთ თხილის ბიზნესი, მაგრამ უკვე გაჩნდა აზროვნებაში სხივი, შემობრუნდა ცოტათი ჩემი ნათქვამისაკენ.

გარდამავალ პერიოდში აუცილებლად გამოსაყენებელია თავისუფალი ეკონომიკის ზონა. ეს აღიარებულია. ჩვენი პრეზიდენტი განა რას ამბობს? მაშინ რა დავარქვათ „თელასის“ გაყიდვას? სისულელეა, როცა ჩაის ვაცხადებთ, როგორც არასაჭირო პროდუქციას თუ ნედლეულს საქართველოში. ოთხი-ხუთი წლის წინ ჩაიზე მოთხოვნილება იყო საქართველოში. ჩვენ პროდუქცია არ გვქონდა. ახლა პირიქითაა, მოთხოვნილება არის და პროდუქცია არ გაგვაჩნია, არ მოგვეპოვება. რატომ? ჩვენი უცოდინრობის, არაპროფესიონალობის გამო მოვექეცით მონოპოლისტურ ხელშეკრულებებში, როდესაც შემოვიყვანეთ, ყველასთვის ცნობილი „მარტინ ბაუერი“. სამი წელი დაგვჭირდა ქართველობას ამისათვის. ვინც მოგაკითხა, იმას კი არ უნდა მიაკვდე, არ უნდა მიენდო ძირფესვიანად, სხვაც მოიძიე, ტენდერი გამოაცხადე. იქნება ვინმე უკეთესს გთავაზობს. „მარტინ ბაუერთან“ დადებული ხელშეკრულება არის მონოპოლიური, წამგებიანი ჩვენი ქვეყნისათვის. იგი მონოპოლისტი ეკონომიკური ყოყლოჩინა გავხადეთ საქართველოში, რომელიც გადასახადებსაც არ იხდის. ჩემს სამსახურს ევალებოდა სოციალური ანარიცხების ამოღება, საქართველოში პირველი მტერი „მარტინ ბაუერისა“ გავხდი მე. სამეგრელოს ყველა რეგიონში მქონდა ციფრი, რომელიც მას არ გადაუხდია და ამ მონოპოლისტმა ყოყლოჩინამ ეს გამიკეთა მერე ჩხოროწყუშიც, ზუგდიდშიც, ხობშიც. როცა ფულის გადახდა მოვთხოვე, უტიფრად განმიცხადა:

შრომა ავუნაზღაურე ფქვილით, შაქრით და რაღაცითო. მე მხარში არ ამომიდგნენ ისინი, რომელთაც ეს ევალებოდათ წესით და კანონით. მე ის ვერ დავსაჯე, მიუხედავად დიდი მონდომებისა. ამ მონოპოლისტურმა ხელშეკრულებამ დაგვღუპა ჩვენ.

— ფქვილი და შაქარი ხომ იცით საიდან მოდის, ხუმანიტარულია, — არ ცხრება ვახტანგი, შეგირდო ჩემო.

— აგაშენათ ღმერთმა! მე სამართალდამცავი არა ვარ. ეკონომისტი და ფონდის დირექტორი მქვია და არა — პოლიციის გენერალი, სხვა ენით ვილაპარაკო, თორემ ეს ასე იყო. ვიღაცამ ამაზე პასუხი რომ მომთხოვოს, მე გავმტყუვნდები, თუმცა საზოგადოებამ მშვენივრად იცის ყველაფერი. ახლა რაც შეეხება ფასს. ფასის განსაზღვრა თვით იმ ხელშეკრულებაში დევს. დისკრიმინაცია თვით იმ გადაწყვეტილებაშია. მე და თქვენ, მთელი საზოგადოება, რომ ავდგეთ და ვუჩივლოთ „მარტინ ბაუერს“, ვერ მოვუგებთ. მას ეს უფლება ხელისუფლებისაგან მინიჭებია. ეს არის უბედურება.

ხო, იქ ვადა სხვადასხვაა. ზოგი შვიდწლიანია, ზოგი ათი, თხუთმეტი, დიფერენცირებული მიდგომებით. ახლა ნახეთ ხელისუფლებამ რა გააკეთა, ცოტა ჭკუაზე რომ მოვედით? შევქმენით სამსახური, რომელსაც ანტიმონოპოლიურს ვეძახით, მაგრამ სამწუხაროდ ამ სამსახურს ძალა-უფლება არანაირი მივანიჭეთ, შევჩურთეთ ეკონომიკის სამინისტროში, სადღაც ერთ-ერთ დეპარტამენტის, მეხუთე თუ მეექვსე სართულის სიმაღლეზე. მათი ბრძოლის რეალური გავლენა ნოლია. დღეს გადაწყვეტილების მიღება და შესრულება შეუძლია მხოლო ძალოვანებს: დაგიჭერ ან გაგიშვებ. რატომ მაინცდამაინც სამხრეებიანმა უნდა დაიჭიროს. არ გვიჯობს სახელმწიფო მოხელე, ჩინოვნიკი მივიდეს და დააჯარიმოს, ეკონომიურად გააკოტროს, ამით დასაჯოს?! ჩვენ ამის ნაცვლად აღებული გვაქვს სხვა კურსი: დაგიჭერ, ჩაგსვამ ციხეში.

— ან არ დაგიჭერ, ციხეში არ ჩაგსვამ, თუ... მთლად ირონიული ხდება ჩვენი ვახტანგი.

— კი, ეს არის. დავიჭიროთ საქართველოს მოხელეების ოთხმოცდაათი პროცენტი. თქვენ იცით ეს რა დაგვიჯდება მერე? ერთ სახელმწიფო მოხელეზე მეტი, რა რანგისაც უნდა იყოს იგი, ჯდება ერთი პატიმრის შენახვა. ახლა ერთ რაღაცასაც გაგახსენებთ. სიდაში იყო ასეთი კოლონია. 29 წლის ბაკურ გულუა ჩამოვიდა გალში. პირველი რისთვისაც იბრძოლა, იყო სიდის კოლონიის გაუქმება და წულუკიძეში გადატანა.

რითი მიაღწია, იცით? თურმე გალის ეკონომიკისთვის გაცილებით წამგებიანი აღმოჩნდა ამათი შენახვა, ვიდრე მოკრეფილი ჩაია მთლიანად. ამით მოიგო მაშინ ბაკურმა. ქვეტექსტებს, რომელიც მის უკან დგას, არ ვამბობ. მე ღრმად მწამს, რომ მასობრივად სტრატეგიული დარგი ჩაი საქართველოსთვის ვერ იქნება, ვინაიდან ჩვენ ჩაის ბაზარზე რომ გავიდეთ დიდი მასშტაბით და ის გახდეს მართლაც საერთაშორისო სპეციალიზაციის საგანი საქართველოში, უბრალოდ ვაგებთ ბუნებრივ-კლიმა- ტური პირობებით, სხვას რომ თავი დავანებოთ. მაგალითად, წყალტუბოში არის ზონები, სადაც მოდის უნიკალური ჩაი, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ინდოეთის, თუ გინდა ცეილონის ჩაის. სამეგრელოს ტერიტორიაზე უამრავი რეგიონია ამ თვალსაზრისით გამოუსადეგარი. მეტს თუ დახარჯავ, ბაზარზე აგებ და კონკურენციას ვერ გაუწევ სხვას. არის ეკონომიკაში ტაქტიკა და აუცილებლად — სტრატეგიაც. პრაქტიკულად, როცა დღეს არაფერი გვაქვს და ფულის შემოტანის პერსპექტივა არ გაგვაჩნია სამეგრელოში, ეს უნდა

შევინარჩუნოთ. ერთსაც გეტყვით, ჩაის ამოძირკვა უფრო ძვირი დაგვიჯდება, ვინემ მისი მოვლა და იქიდან კიდევ კაპიკების, უკაცრავად პასუხია, თეთრების შემოტანა. ანალოგი მინდა გავავლო, ვიღაცამ კუთხურობაში რომ არ ჩამოგვართვას, მაგალითად, ვენახიდან გასხვლის დროს ვაზის 10-15 პროცენტი ცვივა და უნდა გადავყაროთ. არსებობს საქართველოში ამაზე სადოქტორო დისერტაცია დაცული, რომ მისი გადამუშავება შეიძლება ბლოკებად, აგურებად, რომელიც გამოიყენება საწვავად.

სულ სხვა თემაა წიპწა. იქიდან სამკურნალო პრეპარატი გამოდის. ჩემი მეგობრები არიან ისინი, ვინც ამ საკითხს მეცნიერულად ამუშავებდნენ და რადგანაც საუბარმა მოიტანა, ჩამოვიდნენ იაპონელები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში და ეწვივნენ მევენახეობას. ეს საბჭოთა კავშირის დროა. ისინი გაფორმებულნი იყვნენ, როგორც მეშახტეები. ვითომ შემოვიდნენ ჩვენთან პურმარილზე და რადგან თქვენ ღვინის ქვეყანა ხართ, გექნებათ ღვინის ინსტიტუტიო. შემოვიდნენ და პირველად იკითხეს, სამეცნიერო კვლევის თემატიკა გვაჩვენეთო. ქართველებმა ვიფიქრეთ, მეშახტეებმა რა იციან ღვინოო და ვანახეთ.

„მეცნიერების აგენტი" მიღებული ტერმინია ყველგან, რომელიც ყიდულობს, იპარავს, სწავლობს მეცნიერულ მიღწევებს და ზუსტად დააკვირდა იმ წიპწას. ეს პროდუქციაა, ნედლეულია უშურველი. ამას დაადგეს თვალი, და თუ არ ვცდები, ერთი კაცი იყო, გვარად მალაზონია, მიხვდა რომ იმათ მეშახტეებს არაფერი უგავთ, სხვა რამისთვის ჩამოსულან და დავუხურეთ ეს თემა, არ გავატანეთ. მერე როცა ლექციებს ვკითხულობდი „ცეკაში", სამაგალითოდ ვიშველიებდი ხოლმე, როგორ არ შეიძლება, ყველაფერი გაანდო სხვას, რომელიც შენი მეცნიერული პროდუქციაა.

ასეთი რამეც წამიკითხავს: სამოციანი წლების ამერიკაში გაითვალეს და ნახეს, თურმე მეცნიერის ყიდვა გაცილებით იაფია, ვინემ მისი გაზრდა. ამიტომაც მოხდა ამერიკაში მეცნიერების დიდი შედინება პოლიტიკური თუ სხვა სარჩულით, ამავე დროს ეს აღმოჩნდა ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკაც.

— აი, ხუდონხესზეა ახლა საუბარი. რეალურია ეს თუ ანაკლიის პორტივით დაუსრულებლად მჩოჩავიო, — შეუჩნდება ზაური.

— ორივე პროექტი მე ვიცი, რომ აბსოლუტურად პერსპექტიულია,— გააგრძელებს ოთარ ხუფენია, გულისხმიერო, შეგირდო, — არა მარტო კუთხისთვის, საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ინვეტორისთვისაც.

ანაკლია ბუნებრივი ყურეებით ათჯერ უკეთესია ვიდრე ფოთი, ათჯერ მეტი გემის შემოყვანა შეიძლება, ვიდრე ფოთში, თანაც ნაკლები დანახარჯებით. რა დღეს, რა ხვალ, ძმებო, ეს ამუშავდება. ჩვენი მოვალეობაა დავაჩქაროთ ეს პროცესი.

ახლა „ხუდონხესი." ვინმე უარყოფს იმას, რომ უზარმაზარი შეცდომა „მწვანეებისა", ამ საქმის მიმართ, აბსოლუტურად ბეცი დაპირისპირება გახლდათ. ჩვენ სხვისი ფულით ავაშენებდით ამას და გვექნებოდა. ერთმა პოეტმა დაწერა:

„ენგურხესს" კუჩხობონხესი მირჩევნიაო. კინაღამ ცემა-ტყეპაზე გადავედით ამის გამო. მან პროფესიულად არ იცოდა სამამულო ენერგეტიკის პრობლემები და სხვისი დაჯერებაც არ უნდოდა. საქართველოს მართლა თუ აქვს პერსპექტივა და გვინდა ჩავეწეროთ მსოფლიო ეკონომიკაში, არ ვიყოთ სხვისი ჭანჭიკის შემგროვებელნი და ამწყობები, მაშინ ის, რაც ბუნებრივად გამოდის, ხელი უნდა შევუწყობთ და გარანტიებიც შევუქმნათ ინვესტორებს. ხოდა, იმის გამო გადის სწორედ გაზსადენები და ნავთობსადენები. ინტერესი, პრიმატი ამაშია, მის ეფექტურობაში, ეკონომიკურობაში.

— დავიჯერო საქართველოში არ არსებობენ ეკონომისტები, — მთლად წამოჭარხლებულია ვახტანგ ხარჩილავა, არც სხვებს გვიძგერს მაჯა მონოტონიურად,— რომელთაც არ ესმით აქ რაზედაც ვსაუბრობთ? თუ ესმით, რა არის ამის მიზეზები? ქვეყნის ეკონომიკა მიუხედავად ჩვენი წადილისა, სურვილისა, ქადილისა, ინგრევა. ვინ ანგრევს ამას კანონზომიერად, ვინ შეიძლება იყოს ამით დაინტერესებული და რატომ?

— დღეს არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის განვითარების კონცეფცია. — ოთარ ხუფე- ნია ფეხზეა; ფეხზე ვართ ყველა, — ამას ვპასუხობ ცალსახად: არ არსებობს! არც შეიძლება არსებობდეს და აი, რატომ: 99 წელი მთავრდება და ჯერაც ვერ გადაწყვეტილა ქართული სახელმწიფო რა არის. არის იქ თუ არის აქეთ, დარჩა იმ სივრცეში თუ გამოვიდა მზეზე. იმ სივრცეში თუ დავრჩით, სადაც ვიყავით, საბჭოეთზე არ ვამბობ, არსებობს სივრცე ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისა. თუ იქ დავრჩით მაშინ, ქართული ეკონომიკური მოდელი განვითარებისა იქნება ერთი, თუ დავედით, გავაღწიეთ თავი და ჩემი დიდი სურვილი და ოცნებაა გავაღწიოთ, მაშინ მოდელი სხვაგვარი დაგვჭირ- დება.

ამიტომ ობიექტურად დღეს არ შეიძლება არსებობდეს ნაღდი ეროვნული კონცეფცია. ახლა ჩემი ნათქვამი ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ეკონომისტები, ვისაც გვევალება რამე, თვითგამართლებას ვეძებთ, გულხელდაკრეფილნი ვსხედვართ. გამართლებას ვეძებთ თქვენი და სხვების წინაშე, მიგანიშნებთ ობიექტურ ფაქტორზე, მაგრამ აი, მეორე, ვაკეთებთ კი ყველაფერს ქართველი ეკონომისტები, იმისათვის რომ იყოს ალტერნატიული მოდელი? მე გეტყვით, არ ვაკეთებთ. მე ამის მიზეზსაც დაგისახელებთ. გინდათ იმისტობაში ჩამომართვით, გინდა ამისტობაში, კარგად მახსოვს ოთხმოცდაათი და ოთხმოცდათერთმეტი წელი. არ მეგულება ქართველი ეკონომისტი, რომელსაც უბრალოდ ჭკუა ეკითხებოდა, თუ რაღაცა ორი წიგნი ხქონდა წაკითხული ან დაწერილი, არ მიილტვოდა მაშინდელი უზენაესი საბჭოს კომიტეტებისკენ და ეთქვა: იცით, მე ვფიქრობ ასე, მე ვფიქრობ ისე.

მერე მოხდა უკიდურესობა და უბედურება. დღეს ქართული ეკონომიკური აზროვნების, დავარქვათ, სპეციალისტები ან მოაზროვნენი, აღარ მიდიან ხელისუფლებასთან. ჩამოდის ვიღაცა, რომელიც მოეშურება დაშტამპული მსოფლიო ბანკის ან სავალუტო ფონდის ინსტრუქციებით. შემოსილია გენიოსის იმიჯით. ერთი წელი სწავლობს რაა საქართველო. ვისგან სწავლობს? ჩინოვნიკებისგან და არა მეცნიერებისაგან და გვეუბნება: ახლა თქვენ ასე ან ისე უნდა გააკეთოთო!

რა დაუპირისპირა საქართველოს ხელისუფლებამ ამ ხალხს? ვერაფერი! დაუპირისპირა პარლამენტში არჩეული სახელმწიფო მოხელე. ვითომ ეკონომისტი, ვითომ პოლიტიკოსი. ამათ შორისაა გაჩაღებული ეს დისკუსია. გესმით, რა ხდება?! არა ქართულ ეკონომიკური აზროვნებასა და მოტანილ რეკომენდაციას შორის, არამედ მოსულ რეკომენდაციასა და აქ დახვედრილ ჩინოვნიკს შორის. აქ უკვე ერთვება სულ სხვა—აღმასრულებლის, აქ მაცხოვრებლის მერკანტელური ინტერესები. თქვენ რომ ბრძანებთ, რატომ არ მიდიან ეკონომისტები ხელისუფლებასთანო. აი, ამის გამო არ მიდიან.

ახლა შეიძლება ბატონ გოგი თოდუას ვინმემ ასწავლოს მალთუსის თეორია, ამერიკასა თუ გინდა ინგლისში?! ტყუილია ეს. ამ დროს აზრზე არ არის კაცი, მეწაღეა, ჩამოდის და სადღაც დაწერილი ინსტრუქციით გეღადავება შენი დემოგრაფიის პრობლემაზე, ან სიცოცხლის ხანგრძლივობის ასპექტზე გასწავლის ჭკუას ეკონომიკური აზროვნების მეტრების ქვეყანაში.

ხელისუფლებამ ეს არ იცის, არ გვისმენენო. ეს ხომ ინტელიგენციაა, ნაგიჟარი ხალხი ხომ არ არის, მაგრამ უკვე იქამდე დაუგროვდათ სათქმელი, კალაპოტში არ ეტევა, აუდიტორიას მოითხოვს.

უჭკვიანესი პროფესორი ბატონი რეზო გოგოხია, ასეთ რამეს იტყვის:

საბაზრო ეკონომიკას ნუ ამბობთ, სისულელეაო. ადგა და წიგნი დაწერა, ხუთასგვერდიანი, შერეული ეკონომიკა უწოდა. ჩამიჩუმი არსაიდან. ზემოთაც აღვნიშნე, თევზის ზოდიაქოზე, მაგრამ პირში წყლის დაგუბების სინდრომი ხომ უნდა გადავიგდოთ ოდესმე?!

ასეთნაირი სევდანარევი ინტონაციით დაასრულებს საუბარს სახელმწიფო მოხელე ოთარ ხუფენია მე-12 სართულის გადასახედიდან სამიოდე წლის წინ, შეგირდო, ჩემო. მას აქეთ მრავალი წყალი ჩაივლის, ლამის სამი წელი მოიყრის თავს და როგორც განგება ინებებს, საკომენტაროდაც მოვიცლით, ალბათ.

„ჯვარცმული საქართველო“

ომში ინფორმაცია აქილევსის ფარზე დამცავია ხოლმე და მის ხმალზე უბასრესი.

VENI, VIDI, VICI — მიველ, ვნახე, გავიმარჯვეო, აფრენს ლაკონურ ცნობას რომს ტრიუმფატორი კეისარი და დღესაც გუგუნებს იგი კაცობრიობის ყურთასმენაში, როგორც ატომური ტევადობის ფრაზა.

სოხუმის დაცემას კვირის, დღის, საათის, წუთის სიზუსტით იუწყებოდა წინასწარ ველიკორუსული შოვინიზმის რუპორი „ტესეენი“, „ვრემია“.

წაგებულია ინფორმაციული ომი, როცა ვერ დაგიდგენია, რას ნიშნავს ფონემა „აფხაზი“, „აფხაზეთი“, როცა ვერ დაგისაბუთებია, რანაირად მოარგეს ამ მცნებას „აფსუა“ და როგორ გამოიჩეკა ხუმუნკულუსი ერთობა ანტიკური კოლხეთის, საქართველოს წიაღში.

წაგებულია ინფორმაციული ომი, როდესაც „აფხაზებს სხვა სამშობლო არ გააჩნიაო“, იძახი ერთი მხრივ და მეორეგან მკერდში დაიწყებ მუშტების ბაგუნს: „ასიათასი ქართველი გავწყდებით, მაგრამ აფხაზებს მუსრს გავავლებთო“, ურთიერთგამომრიცხავი მცნებებია: ესე იგი თვითმკვლელები გამოვდივართ, საკუთარ სისიხლ-ხორცს ვჟუჟავთ.

წაგებულია ინფორმაციული ომი, როცა ნობელის პრემიის ლაურეატი სახაროვი მეუღლე მადამ ბონერითურთ პატარა იმპერიას გიწოდებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და შენ აქ, რუსთაველის პროსპექტის დონეზე გამოეხმაურები, იმართლებ თავს...

წაგებულია ინფორმაციული ომი, როდესაც მსოფლიოს ბიბლიოთეკები გამოტენილია შენი ეკლესიების, ტერიტორიების, დამწერლობის თუ თავად რუსთაველის მიმკუთვნებელი პასკვილებით და აქ, მტკაველი რეზონანსის პასუხით გააბათილებ რომელიმე წამხედურებას.

ბატონი თამაზ ნადარეიშვილის სიტყვებით, მხოლოდ ახლახან, სულ რაღაც ექვსიოდე თვის წინათ შეღწეულა უცხოეთის პოლიტიკურ წრეებში ინგლისურ ენაზე თარგმნილი მისი ჩინებული წიგნი სათაურით: ,,შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ'', სადაც ლაკონურ, ბასრ და ჭკვიანურ ისტორიულ ექსკურსს ერთვის აფხაზ-სეპარატისტთა გენოციდის 5000 მსხვერპლი ქართველის ალფაბეტური სია, ჯალათურ ქმედებათა შტრიხების მითითებით.

ეს უკვე სერიოზული განაცხადია, მაგრამ სად ვიყავით 1998 წლამდე?! რას ვაკეთებდით სრული ხუთი წელიწადი, 60 თვე, იგივე 1826 დღე-ღამე?!

ჩემთვის სხვანაირი დამოკიდებულება მიუღებელია, გამცემლური! არადა, უთანასწორო ომში დამარცხებით გაოგნებულებს ყველას როდი დაგვიყრია ფარ-ხმალი, გულში დაგროვილი ბოღმა, ჯავრი ქაღალდის ხნულში მიუშვა მრავალმა კალმოსანმა და მრისხანების მტევნები მოასხმევინა იქ აღმოცენებულ ხეებს.

ამჯერად ჩვენს ხელთაა ზაურ კალანდიასა და ვაჟა ჩორდელის, ჯემალ გამახარიას და ბადრი გოგიას, ლორიკ მარშანიას და თეიმურაზ მიბჩუანის, ჯუმბერ ჯოჯუას და ანზორ შონიას ნაკალმარი, თამაზ ნადარეიშვილის 3 წიგნი და წინდებული პუბლიკაციის გმირი— სანკტ-პეტერბურგში გამოცემული კრებული — ,,Ðàñï ÿòàÿ Ãðóçèÿ''.

გავიხსენოთ სვეტლანა ჩერვონაიას ობიექტური ასახვაც აფხაზეთის ტრაგედიისა და კიდევ რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის, ,,პეტერბურგული'' კრებული და ვთქვათ, რომ ინფორმაციული ომის გზაზე, ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთა ნააზრევი ცოტა თუ გასცდა რუსთველური ჭადრების შრიალს.

მართალია, ზაურ კალანდიას და ვაჟა ჩორდელის კრებული ,,აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები'' მთელს საქართველოს მოედო, 25 ათასი ეგზემპლარი ლამის უსასყიდლოდ, სიბოლურ ფასებში დაურიგდა მოსახლეობას, მაგრამ დანარჩენი? დევს წიგნის მაღაზიების მყუდრო თაროებზე ბრძოლის წადილით გათანგული გამოცემები — ლარამოცემული მშვილდები, თითის შეხებაზე ჩანგივით რომ ხმიანებენ, მაგრამ ამაოდ ელიან მომზიდველ მძლავრ ხელებს, რათა ღონიერად გასტყორცნონ მიუკერძოებელი სიმართლის ბასრი ისრები დუშმანთა გულებისკენ და არც ქარი ჩანს ზენა თუ ზღვიდან მონაბერი სულაც, ომმოწყურებული ეს თხზულებანი ვაჟა ჯუხაის ფარივით შეძრან ხანდახან.

ამიტომაც გასაკვირი არაფერია ისევ და ისევ ,,ჯვარცმული საქართველოს'' მნიშვნელობაზე ვიმსჯელოთ, მის სავარაუდო რეზონანსზე, ესეც იმპერიის სამარცხვინო ბოძი — ელიტარულ ნევის ქალაქში.

კრებული რაღაც ათასი ეგზემპლარით დაბეჭდილა, მაგრამ როგორც ზემორე აღგვინიშნავს, ქართული ინფორმაციული ომის ფლაგმანად მოინიშნება იგი. დავიწყოთ სათაურით, შეუძლებელია კრებულს უკეთესი დასახელება მოსძებნოდა. ჩანს, შემდგენლები კრებულისა — ბატონები ზურაბ ჩიკვილაძე და ბესიკ ფიფია — გამოირჩევიან არა მხოლოდ პატრიოტული თავდადებით, არამედ პუბლიცისტური სიბასრითაც. ეს მათი სტატიებიდანაც თვალნათლივ იხატება. ამისი გარანტიაა მეთოდოლოგიური დალაგება მასალებისა. იწყება ისტორიული ექსკურსით და მთავრდება ლოგიკური დასკვნით, სეპარატისტების საბრალდებო სკამებზე გაყვანით, როგორც საერთაშორისო ტრიბუნალის სუბიექტებისა, მაგრამ რადგანაც ასჯერ მოსმენილს ერთხელ ნანახი სჯობია, ჯერ ვენდოთ ამ ფრაზას ვიზუალურად და მერე ვცადოთ არსში ვერბალური შეღწევაც.

მარიამ ლორთქიფანიძე, გიორგი ფიფია, ანზორ თოთაძე, სვეტლანა ჩერვონაია, ბორის ელცინი, ლორიკ მარშანია, ალექსი II, ილია II, ედუარდ შევარდნაძე, ვახტანგ გოგუაძე, ვალერი სიმონოვი, ალექსეი ჩელნოკოვი, ალექსანდრე ბორისოვი, იგორ როტარი, თეიმურაზ მამალაძე, გია ფიფია, იულია კალინინა, ალექსანდრე ბუდბერგი, ვლადლენ ჩერტინოვი, ბესიკ ფიფია, ირინა კირიანოვა, ზურაბ ჩიკვილაძე, ალექსანდრე მელკინი, ალექსანდრე ებანოიძე, რომან მიმინოშვილი.

სარჩევში ჩამოთვოლილ ავტორთა უკომენტაროდ გადმოწერის გამო მომიტევებს, ალბათ, ჩემი ლმობიერი მკითხველი, მაგრამ ზოგჯერ მიზანი ამართლებს საშუალებას და აქვე მინდა შევნიშნო, კრებულის შემდგენლებს რამდენიმე ათეული წერილი შეუთავაზებიათ ფართო საზოგადოების განსასჯელად, ავტორები კი შედარებით ნაკლებია, ვინაიდან ზოგჯერ აქა-იქ ერთი და იგივე პიროვნება ორ-

ორჯერაა წარმოდგენილი.

როგორც შემდგენლების წინასიტყვაობიდან ირკვევა, კრებულში თავმოყრილია ცნობილი პოლიტიკოსების, მეცნიერების, მწერლების და ჟურნალისტების სტატიები, რეპორტაჟები, წერილები. მათი მეტი წილი გამოქვეყნებულია გაზეთებში: ,,იზვესტია'', ,,კომსომოლსკაია პრავდა'', ,,მოსკოვსკი კომსომოლეც'', ,,ნევსკოე ვრემია'', ,,ნეზავისიმაია გაზეტა'', ,,სანკტ-პეტერ- ბურგსკიე ვედომოსტი'', ,,სმენა'', ,,სოვერშენნო სეკრეტნო''. აქვე მითითებულია, რომ ზოგიერთი ავტორის განსჯანი კრებულის შემდგენლების მსოფლმხედველობას სცილდება, მაგრამ საერთო სიტუაციის მთლიანად წარმოჩენის თვალსაზრისით მაინც უმაკრატლოდაა წარმოდგენილი.

მაგალითისათვის, ალ. ბორისოვის ,,ლიდერი შობილი ომისგან''. აქ ნაცისტური რაიხის სავარგული არძინბა ანტიკური დაფნითაა შუბლდამშვენებული კეისრებისა და ციცერონების პროფილით, რომლისთვისაც მეცნიერება ომის ფილოსოფიასთანა შერწყმული. მსგავსი მიდგომები ანტიქართული მასალების დაბეჭდვის თვალთახედვით პირველია ,,ჯვარცმული საქართველოს'' მიხედვით, ვინაიდან, ჩვენ, ქართველებს, გვჩვევია შიგადაშიგ სირაქლემას პოზა. არაფერს ვიშურებთ ჩვენი ოპონენტების ფართო საზოგადოებისთვის მისაჩქმალად. ათ წელზე მეტი გასულა ,,ლიხნის წერილის'' გამოქვეყნებიდან, რომელმაც საერთო საფუძველი დაუდო საქართველოს ტრაგედიას თუ აფხაზეთში დატრიალებული მოვლენების ბარბაროსულ ორგიებს და დღემდე უცნობია მისი ძირითადი პოსტულატები სრულიად საქართველოსათვის. დასკვნისთვის ორგვარი პასუხი რჩება: ან ძნელადგასაბათილებელი არგუმენტები მოუშველებიათ აფხაზებს ჩვენს საწინააღმდეგოდ, ან კიდევ იმდენად უმეცარნი ვართ, საჭიროდ არ მივიჩნევთ ფართო პოლემიკის გაშლას, ფრაზეოლოგიას ვჯერდებით, პრინციპით: ,,ნუ შეეხები, თორემ აყროლდება''. ჩვენ არაფერს ან ძალზე ცოტას ვამბობთ პირსისხლიან ოპონენტებზე. თანაც საერთაშორისო მასშტაბით კი არა, რუსთაველის პროსპექტის დიაპაზონით. ეს კი მიუტევებელია, დანაშაულებრივი, შეუწყნარებელი. ნებისმიერი გამოხდომა საქართველოს მისამართით ადგილზევე უნდა გაბათილდეს საერთო ძალისხმევით, იმავე პერიოდიკაში, იმავე გამოცემაში, იმავე სივრცეში, სადაც წარმოიშვა და წამოურჩხულდა მსგავსი ცილისწამებანი.

პოეტის პერიფრაზს თუ მოვიშველიებ: რაც აფხაზეთში მომხდარა, ხაერს შეუნახია ოდენ, ათასეული მსხვერპლიდან მეტი წილი აუორთქლებიათ სეპარატისტებს, გაუუჩინარებიათ სამხილი მასალა, თეიმურაზ მამალაძესი არ იყოს, ,,უგზო-უკვლოდ დაკარგულნი გვეძებეს ჩვენ'', ჩვენს სინდისნამუსს ეძებენ, უხმობენ ჩვენს მამულიშვილობას, მოითხოვენ სამართლიანობას, რათა ბოლოს და ბოლოს გაერთიანებული ძალით საკადრისად ვაზღვევინოთ კაცობრიობის წინაშე დამნაშავეებს.

ნიურბერგის პროცესი მათთვის თურქული შაქარყინულია. ბოროტების მიჩქმალვა შეუძლებელია, თანაც ესოდენ მასშტაბის კაცთმოძულეობისა. იმპერიულმა ძალებმა მიზანმიმართულად იმდენად წაათამამა აფხაზური სეპარატიზმი, იმდენად გაასვრევინა ხელები სისხლში ,,აფხაზზე'' დამყნობილ ,,აფსუას''იშვიათ ჩრდილოურ ჰიბრიდს, რომ არჩევანის შანსი არ დაუტოვა. უკვე რუსეთის იქით მისთვის ყოველგვარი სივრცე ჩაკეტილია, თვითლიკვიდაციის ტოლფასი. ცხადია, ვგულისხმობ სეპარატისტებს და არა აფხაზ ერს. ეს ყველაფერი საამკარაოზე გამოუტანია ზურაბ ჩიკვილაძის და ბესიკ ფიფიას შედგენილ კრებულს ,,ჯვარცმული საქართველო''.

ადრეც ვახსენე, ჩინებული სათაურია შერჩეული-მეთქი, წიგნის სახელდების იდეა კრებულის ერთ-ერთი ავტორის წერილშია მოცემული: ვლადლენ ჩერტინოვი: ,,დასჯილი საქართველო''. აქედან ჯვარცმულ საქართველომდე ერთი ნაბიჯია, და რადგანაც მოძებნილია სიტუაციის სამას სამოცი გრადუსით მომცველი დასათაურება, ერთიორად გაიზარდა ინტერესი მის მიმართ.

არადა, მართლაც ჯვარცმულია ჩვენი ქვეყანა. ათადან და ბაბადან მოყოლებული გაკრული ვიყავით კავკასიის გზაშესაყარზე, როგორც ჩვენი არსებობის გოლგოთაზე, აღარც მისგან თავდაღწევა შეგვეძლო, ვინაიდან ჩვენ, ანთეოსის მსგვსად, სამშობლოს იქით დღეგრძელობა არ გვიწერია. ამას ახერხებენ მამულის მაძიებელი ერები, სხვისი ხელშეწყობით ტერიტორიების მომპოვებელი ხალხები... დიახ, ჯვარცმულია საქართველო და ის ოთხი ლურსმანი, ის ოთხი სამსჭვალი მკვიდრადაა გატარებული მის კიდურებში — მესხეთში, სამაჩაბლოში, აფხაზეთსა თუ აჭარაში — რუსოფილური მეხუთე კოლონის სახით, რომელთათვისაც პიტნის ღირებულებისაა ქართული ენა, ქართული ინტერესები, საქართველოს განუხრელი ბრძოლა გაერთიანებისათვის, კოლხეთის გარშემო შემჭიდროებსთვის, იმავე ეგრისის ბადიში სამეგრელოს გარშემო, საქართველოს ხერხემალი რომ ეწოდა იშვიათი პოლიტიკური ალღოიანობით ედუარდ შევარდნაძისაგან, მაგრამ გვარნაცვალი ქართველობა, ილიას რომ ებრძვის ბაწარაღებით, იგივე მეხუთე კოლონა, აბა, რისი მსტოვართა ჯგროა, წყლები არ აგიმღვრიოს, გონება არ დაგიბინდოს, სული არ წაგიბილწოს, მტრის ხატი არ შექმნას შენსავე მოყვასში ცბიერული წასისინება-წაკიდების წყალობით, თორემ როდის იყო სამეგრელოს იღლიაში

სეპარატიზმი ამოეჩარა? თუმცა სიტყვა გაგვექცა და უმჯობესია „ჯვარცმული საქართველოს“ პრობლემებს მოვუბრუნდეთ, მოვუბრუნდეთ ამ სასახელო მიზანსწრაფულობით გამოცემული კრებულის ავანჩავანს.

გაშიშვლებულია სეპარატიზმის ვამპირული ნატურა თავისი მფარველი დრაკონ-ურჩხულებით, რომელთათვის მრავალგზის უმარჯვებია პირბასრი ბოძალი წმინდა გიორგის, თეთრ ცხენზე ამხედრებულ ქრისტეს მხედარს, სრულიად საქართველოს უძლეველობის სიმბოლოს. წაყრუება, თვალის დახუჭვა, იგნორირება აწ არ გამოუვა რუსეთის შავრეაქციულ ძალებს და არც აფხაზეთის პირსისხლიან სეპარატიზმს.

ჩვენ ვერ დავუცდით სამართლებრივი ნორმატივების დოპინგებს ინფორმაციული ომის გზაზე. ბოროტების მხილებას, ბოროტების საშკარაოზე გამოტანას კონსტიტუცია არ სჭირდება და არც რამ დეკლარაცია. ჯალათი უნდა განაშიშვლო, კაცთმოძულეს გუნდრუკს ვერავინ უკმევს, კანიბალს საკუთარი თავი იმდენად უნდა შეაძულო, ცივილიზაციის ცნობიერებაში არეკლილ ავადმყოფურ სიფათს თვალს ვერ უსწორებდეს.

შემოვიფარგლები მხოლოდ ერთი პუბლიკაციის ჩემეული თარგმანის ფრაგმენტებით:

„აფხაზური ფორმირებების პატრულები, ქუჩებში პასპორტების შემოწმებისას ხოცავენ თითოეულს, რომელსაც „ეროვნების“ გრაფაში „ქართველი“ უწერია.

„ამ ადამიანთა გვამები — ბარბაროსების ტრადიციისამებრ — გამოფენილია საჯაროდ. სხვებს შეძლებისდაგვარად მიაბარებენ მიწას. ჩვეულებრივია სცენა ომით მოცული სოხუმისა: ბერიკაცი ძლივძლივობით მიათრევს საზიდარს, უკან დედაბერი აწვება, საზიდარზე ერთმანეთზე აწყვია შალითაში გახვეული სამი გვამი“.

„ამ დროს კომენდატურიდან დაცვის გარემოცვა ჩქარი ნაბიჯებით გამოარღვია აფხაზეთის ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ. უფერული თვალებით წამიერი მზერა მესროლა. მისთვის ერთადერთი კითხვა მქონდა მომზადებული, რომელიც დასმასაც არ საჭიროებდა: „მიმოიხედეთ გარშემო: თქვენ, წარსულში სწავლული, კაცობრიული სიბრძნის ფრიად წარმატებით მომხვეჭელი, როგორ, რანაირად იცხოვრებთ ასეთი □არაკაცური) ტვირთიანი სულითო“, — მიახლის პირში ზოგიერთისგან ლამის დადაფნულ აფხაზთა მესვეურს გაზეთ „იზვესტიას“ სპეციალური კორესპონდენტი ალექსი ჩელნოკოვი სტატიაში: „გუდაუთელი სეპარატისტების სისხლიანი ღრეობა □ნადიმი)“.

„ჯვარცმული საქართველოთი“ საფუძველია ჩაყრილი უდიდესი ეროვნული საქმისთვის, მიზანმიმართულია ინფორმაციული ომი არაკაცი ადრესატებისაკენ. გარკვეული ინტერვალით განვითარებულია, წინწაწეულია, ეს საშვილიშვილო ტენდენცია ბატონ თამაზ ნადარეიშვილის ინგლისურენოვანი თხზულებით „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“, და რადგანაც აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის საპროგრამო სტრატეგიით სახელმწიფო დონეზეა აყვანილი ინფორმაციული ომის აუცილებლობის საკითხი, აწი ამ პოზიციების დათმობა არაფრით იქნება. პირიქით, მეტი და მეტი ძალისხმევაა ჩასანთხევი აქამდე უთანასწორო, მოჯადოებული წრის მაგვარ ინფორმაციულ ორომტრიალში. ასეთ დროს მხატვრული სამოსელი, სიმბოლიკები, მეტაფორანი, განზოგადებები თუ ტიპიური სახეები ცოტათი მოითმენენ, რამეთუ ახლა ჯერი, აუცილებლობა მწარე სინამდვილისაა, შავ-თეთრი რეალობის, რომელსაც უხვად აცხია ათასობით თანამოძმის უმწიკვლო სისხლი. ის სისხლი მაღლა ზეცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და დაბლა მიწაზე — ადამიანებს, ბესიკ ფიფიასნაირებს, ზურაბ ჩიკვილაძეთა მაგვართ, ზაურ კალანდიათა სადართ; მეც ამათ ამქარში ვარ, ამ საღვთო, უსისხლო, მაგრამ მამხილებლურ ინფორმაციულ ომში, რომლის სრულყოფილად ამოქმედების შემდეგ სეპარატისტებთან პურის გასატეხად ერთი ნორმალური ადამიანიც არ დაჯდება, პირს მოარიდებს უცოდველი სისხლით დამბალ მათ სხეულებს. ჯალათებს საკუთარი სისხლის მორევში ელით ჩახჩობა!

მორიგი რედაქტორისაგან:
(ბონდო მძინარაშვილი.)

ძნელია რაიმე დაამატო ამ ტკივილიან რეცენზიას, მაგრამ, მწერალმა და პუბლიცისტმა გური ოტობაიამ, — აფხაზეთის ტრაგედიის სიმწარე თავად რომ იწვნია და გულისგული დაუფლითა, — როგორც ჩანს, არ იცის, ვინ არიან, რას საქმიანობდნენ იმხანად, ან რას აკეებენ ახლა ამ შესანიშნავი კრებულის შემდგენლები, სად მოღვაწეობენ ინფორმაციული ომის მედროშენი.

ზურაბ ჩიკვილაძე კრებულის გამოცემის დროისათვის საქართველოს პარლამენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო დსთ საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში. ამჟამად იგი საქართველოს სა-

განგებო და სრულუფლებიანი დესპანია სომხეთის რესპუბლიკაში და ამ ქვეყანაში ჩემი ამასწინანდელი ყოფნისას დავრწმუნდი, რომ ბატონი ზურაბი სომხეთშიც ისევე იცავს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, როგორც ნევისპირა სანკ-ტპერბურგში იცავდა.

ბესიკ ფიფია გაზეთ „ნეზავისიმაია გაზეტას" წარმომადგენლობას ხელმძღვანელობს სანკტ-პეტერბურგში და მისთვის სამშობლოს წინაშე კაცური ვალის მოხდად უნდა მოვიაზროთ კრებულის თანაავტორობა.

მადლობა ზურაბ ჩიკვილაძესა და ბესიკ ფიფიას მამულიშვილური საქმის გაკეთებისთვის, მათ არა მხოლოდ ჩემგან დაიმსახურეს ეს სიტყვები.

„საქართველოს რესპუბლიკა"
№128-129, 16-17 მაისი, 1999 წ

საქართველოს ისტორიის „მოუხელთებელი" ქურდ-ბაცაცები

— აფხაზეც, ნასტაიშჩი აფხაზეც! — ბეჭებზე უტყაპუნებენ ხელებს ტყავის კურტაკიან ახმახს ნაღვინევი გამცილებლები. უშველებელ ჩემოდნებს მიყოლებით აწყობენ სამარშრუტო ტაქსში, რომელსაც მიმართულებას შეუცვლიან და მეტროპოლიტენის სადგურ „ვარკეთილთან" ღუზა-ჩასაშვებ აეროპორტის გზას გაუყენებენ ხანმოკლე მორიგების საფუძველზე.

ამას ყოველივეს რუსულ-ქართულ-ხაიკური საუბრის ნაჯვარიდან ვარკვევ. მოსკოვისკენ მიფრინავს თურმე წარმოსადეგი ეს ახალგაზრდა კაცი. სპორტული აღნაგობისაა სუფთად მოპარსული სახით, ვარკეთილელი თანამემამულეებივით ხუჭუჭთმიანი და ფრიად ჭანჭახი იერისა. იქიდან სოხუმში ჩაფრინდება მოუზომავხმაურიანი ლაპარაკის შესატყვისად და შემდგომ ჩემი ვარაუდით, ბაგრამიანის ბატალიონამდე გოჯნახევარიღა რჩება.

— აბხაზეც, ნასტაიშჩი აბხაზეც! — ხორხოცებენ გამცილებლები.

ჩაბარგდებიან სამარშრუტო ტაქსში. ათი დაოქროებული ხელი მაინც წაიწევა ბედნიერი მძღოლისკენ ფულის გადასახდელად. წავლენ, წაზარზეიმდებიან და გულს სინანული გამისენავს:

სად აფხაზი და სად — ეს? ვინ არ ჩემულობს ჩემს თვალნათელ დედულეთს, რომელი? რამდენი პატრონი გამოსჩენია მუხანათი მტრისგან თუ მოყვასი იუდასგან იავარქმნილ ჩემს სამშობლოს? ახლაც ზარებივით მიგუგუნებს ყურებში ვარკეთილური ბაკქანალია:

— აბხაზეც, ნასტაიჩში აბხაზეც!

სამეგრელოს, მეგრელების მარათონული დაცაცხანების, შეძახილისა და ზოგჯერ გვარიანი გაჯორვის კვალდაკვალ შაგრენის ტყავივით განუხრელად იკუმშება და პატარავდება ჩვენი საფიცარი მამული: იცვლება დემოგრაფიული სურათი აბორიგენი ქართველების საზიანოდ გუშინდელი თუ გუშინწინდელი ხიზნების გასაფურჩქნად სამხრეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით თუ აღმოსავლეთით; დედაქალაქსა და მის შემოგარენში ხომ მიყოლებით ჩნდება კომპაქტური, არაქართული მონონაციონალური დასახლებანი, სოფლები, უბნები, კვარტლები, რაიონები. დღეს საქართველოში ჩამოყალიბებულია რეცესიული ბუნების მძლავრი მეხუთე კოლონა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მსწრაფლ გადომინანტურდება — გადაინათლება წლების წინ მის მიერვე მიზანმიმართულად უარყოფილ ეროვნებაზე. თუმცა უკვე ჩვენი ახლომხედველური და კორუმპირებული კანონშემოქმედების წყალობით საამისოდაც არაფერია: კოსმოპოლიტიკური შინაარსით დატვირთულია ეროვნული პასპორტი — ჩვენივე პირით უარი გვათქმევინეს ეროვნების რეკვიზიტზე. ახლა ჩვენებური, ქართული, მეხუთე კოლონის შემადგენლობისა და რაოდენობის დაზუსტება ყბადაღებულ სტატისტიკურ სამსახურებს კი არა, თვით მამაზეციერსაც გაუძნელდება, ალბათ.

ქუჩაში, ბაზრობებზე, მეტროპოლიტენში მიდის გაქანებული საუბრები რუსულად, თათრულად, სომხურად, ქურთულად... და ეს მეტყველებანი ალილუიასავით ჩაესმის ბედნიერი თბილისელი ქართველის მთვლემარე ყურთასმენას, მაგრამ საკმარისია, მის ძილქუშიან ნანავში ვიღაცამ მეგრულად ან სვანურად ჩაილაპარაკოს, რომ ჩაქინდრულ თავს მყისვე ასწევს, ყურებს დაცქვეტს, ხელად გამოფხიზლდება, ხორიზონტს გულისყურით მოავლებს მზერას, რათა მისი უშფოთველი ყოფიერების გამაღიზიანებელი სუბიექტი გულისყურით დააფიქსიროს.

არც გაემტყუნება გვარნაცვალი მეხუთე კოლონისგან გონებაწართმეულ თუ გონებაგაბანგულ ამ ბედოვლათ რინდს, თითო-ოროლა გენიოსის გამოკლებით, კოჭობანას პერიოდიდან, ტყავის

ბურთით თამაშსა თუ პირველი ჭიქა ღვინის მიჭახუნებისას წაანეკდოტებაში, ოხუნჯობებსა თუ ჩვეულებრივ მასლაათში, გაანგარიშებულად, გეგმაზომიერად ხორციელდება სამეგრელოს, მეგრელის ზოგადეროვნული კონტექსტიდან ამოგდება, გამოცალკევება დანარჩენი საქართველოდან და ეს ყველაფერი გვარნაცვალი „ქართველის“ ბასრი იარაღია მათი სანუკვარი ოცნების ასახდენად — საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსაშლელად, მოსასპობად საერთოდ, როგორც ეს „სომხეთის ისტორიის“ მეხუთე კლასის სახელმძღვანელოს ანალიზით გვეუწყა ბატონ გულბარ კლარჯის წერილიდან სათაურით: „საქართველოს ჩვენსავით ვერავინ უპატრონებსო, სჯერათ სომხებს... მეხუთე კლასიდანვე“ („საქართველო“, №21, 8-14 ივნისი, 1999 წ.)

ამ პუბლიკაციის მიხედვით საქართველოს მთელი ტერიტორია, ნიკოფსიიდან დარუბანდამდის და გაცილებით შორსაც, განხილულია, როგორც „სომხეთის მთიანეთი“. იყო პერიოდი, როცა გვედავებოდნენ „შუშანიკის წამებას“, რუსთველს, ეკლესია-მონასტრებს, კუთხეებს, დამწერლობას, მაგრამ, როგორც ჩანს, მადა ჭამაში მოდის და სრულიად საქართველო „სომხეთის მთიანეთმა“ შეყლაპა, შეახრამუნა!

ჩვენ კი რას ვაკეთებთ ამ დროს, რა მამულიშვილურ ღონისძიებებს ვახორციელებთ ჩვენი საზღვრების თუ პოზიციების გასამყარებლად? ძროხის კუდი გვიჭირავს ხელთ და თხისაო, გვარწმუნებენ მითოსური ძმისწულები; ან სამეგრელოს მორჯულებას, „დუშმანისათვის სიტყვის საქმედ ქცევის“ გამო საჯაროდ გაწკეპლვა-გაჯორვას ანდომებენ ესოდენ ძვირადღირებულ დროსა და ენერგიას მავანნი:

„ბეჟალი რობკიე გრუზინიო“, აილესა ენა გმირ ხალხზე გარუსებულმა ლერმონტმა და მის აქეთ ქოქოლას გვაყრიან ბაგედადუმებულებს მარჯვნიდან და მარცხნიდან;

„ფრთხილად იყავით, თორემ თბილისს ერევნად გადაგიქცევთო“, თითს გვიქნევს კავკასიონის ჭიუხებიდან კონფედერატორი გვამი მუსა შანიბოვი;

„ქართულ ჯარს ჯავახეთში არ შემოვუშვებთო“, იბღვირებიან საქართველოს ძირძველი მიწა-წყლიდან იქაურობის ბატონ-პატრონნი რაისიანების, პეტროსიანების თუ სხვათა კლანიდან.

ეს ყველაფერი ნაკმაზია „აფხაზ“ პროფესორ ოლეგ ბლაჟბას „ისტორიულ“ ნარკვევთან შედარებით, სათაურით „სომხები და ძველი აფხაზები ჩვენი ერის I ათასწლეულში.“ იხ. „გაზეტა ნუჟნაიადან“ (№2, 24 მაისი, 1999 წ.),

აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე! აი, სეპარატისტული აფხაზეთის სამი თითის კომბინაციის მასაზრდოებელი სითამამე, საყრდენი ქვაკუთხედი, ოცდამეერთე საუკუნის სტრატეგია — აფხაზეთსა და სომხეთს შორის ურღვევ „ორათასწლოვან ძმურ კავშირში“ საქართველოსათვის უბრალოდ ადგილი არ იძებნება ცისქვეშეთში სამერმისო არსებობისათვის.

ჩვენი გმირული წარსულის უნამუსო გაყალბებით, იავარქმნის საუკუნო განაჩენია გამოტანილი სრულიად საქართველოსათვის და ამ დროს ბურიდანის უწყინარი სახედრის აუმღვრევლობით მდუმარებენ ბაგენი ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ანთროპოლოგთა, ენათმეცნიერთა, მოკლედ, იმ ინტელიგენციისა, რომელსაც ნამდვილი ჯარისკაცის პასუხისმგებლობით ევალება ნებისმიერი ანტიქართული გამოხდომის (ცხადია, უსამართლო-უსაფუძვლოსი), ჩანასახშივე ამოშანთვა მამულიშვილური, სახელმწიფოებრივი პოზიციიდან — აქამდე ხომ ვკვებავდით და ვაპურებდით აფხაზურ სეპარატიზმს საქართველოს ისტორიის გადასხვაფერებით საბჭოური კონიუნქტურის კვალობაზე: ფაქტების შეგნებული გამრუდებით ჩასაფრებულ მტერს გულნამცეცობით გადავუხსნიდით ჩვენი უსაფრთხო არსებობის ციხე-გოდოლთა კარიბჭეებს, თანაც ისტორიული ხასიათის შემოდავებებს ტერიტორიებზე, დამწერლობასა თუ სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებზე ლოკალური, კამერული ხასიათის გამოხმაურებებით „ვაბათილებთ“ რუსთაველის პროსპექტის კოორდინატით, „ვაცამტვერებთ“ შინაურულ გარემოში, როცა მსოფლიო საუნივერსიტეტო თუ საქალაქო ბიბლიოთეკების წიგნთსაცავები გამოტენილია ინგლისურენოვანი პასკვილებით ჩვენი ქვეყნის უბადლო წარსულზე.

უფალი ბლაჟბას უდაბრუკი მცდელობა — ხელშეუხებელი პროტექტორი ხპოვოს ჩვენი მითოსური ძმისწულების სახით, მორიგი ფანდია, სარჩული, საფანელი საქართველოს, ქართველის გადასაშენებლად კავკასიიდან და ნიადაგის მომზადებაა ბაგრამიანის სადამსჯელო ბატალიონის გაუგონარი კაცთაკვლის გასამართლებლად აფხაზეთში — სამურზაყანოსა თუ ჩემს სალოცავ ოტობაიაში.

ზემოთმოხმობილი ბლაჟბასეული წერილ-ნაბოდვარის გამოწვლილვით ანალიზს ნამდვილად არ შევუდგები, ვინაიდან მიყვარს ხალხური შეგონების მოშველიება ყველგან და ყველაფერში: თოფი მეთოფეს! პური — მეპურეს! ეს პრეროგატივა ქართველი ისტორიკოსებისთვის დამითმია

გულამბოხების საასპარეზოდ. იმედია, ბოლოს და ბოლოს მეტი სიცხადე-სითამამით გამოგვეხმაურებიან, ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე; ბატონები: როინ მეტრეველი, ლევან სანიკიძე, ნოდარ ლომოური, თუ სხვა მრავალი, და ვინძლო საშველი გაწყდა, კვლავაც ვერ აგვიტოკდა გულში სამამულო ძარღვი, სხვა რა ჩარაა, ჩვენი საამაყო ისტორიის ფოლიანტების მტვერში ვდურთავ თავს ახალი „ქვათა ღაღადის" ასამქუხარებლად!

აი, სეპარატისტული აფხაზეთის ბრანწის ქვეტექსტი თურქული ვიზიტიდან: ფეხებსაც ვერ მოგვაჭამთ თქვენი ნადარეიშვილის „აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის" და ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის კოსოვური მეხთაცვენის შემუქრებებით, ვერც ბრიუსელის ფახიფუხით შეგვახრევინებთ წარბს, სანამ ჩვენი მფარველი პირველი ათასწლეულიდანვე ძმადნაფიცი სომეხი ერიაო. ვეღარაფერს დაგვაკლებთ ვიდრემდის ქომაგად და ძმად ეგენი გვეგულებიანო.

ადრეული თუ ბოლოდროინდელი მეგრელოფობიის ფონზე, ვფიქრობ, ფრიად შორსმიმავალი არგუმენტია ბღაჟბასეული „ისტორიოგრაფიული" ბოჩოლას კუნტრუში.

კმარა-მეთქი ჩვენი გონებადაბინდული ორიენტაცია საქართველოს წინსვლისა და აღმშენებლობის შემაფერხებელ ბარიერად სამეგრელოს „გამოაშკარავება!" როდესაც ქუჯმა ორათასწლეულს მიღმა სამეფო რეგალიები ფარნაოზს გადაულოცა მონოლითური სამშობლოს სახელით, მართლაც ისტორიული არჩევანი გაკეთდა და სამუდამოდ განისაზღვრა კოლხეთის უშუალო მემკვიდრის — სამეგრელოს როლი საქართველოს უდასასრულო არსებობაში. სამეგრელო ეს იმ მკვიდრადნაგები გალავანია, საიდანაც საქართველოს არამცთუ დაუძინებელი მტერი, თვით გამჭვალავი ზღვაურიც კი ვერ გადმოუფაჩუნდება საერთო მომავლის საზი- ანოდ. ჩვენ უმჯობესია მამულის გალავნების სხვა მონაკვეთებს მივხედოთ, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით თუ სამხრეთით და აქედან, ამ გადასახედიდან დავარქვათ გვარ-სახელები საგნებს და მოვლენებს!

სამეგრელო ის ბალავარია, რომელიც სანდოდ ჩაკირვია ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენობას ოთხივ კუთხთით, და არასდროსაა დასავიწყებელი, ვის მხრებზეც დგას ეს ხერთვისი თუ ცათამბჯენი.

საკუთარი მეობის მიწაში დაფვლით, საკუთარი მომავლის მიწაში დამარხვით ზოგადეროვნულის აღსაზევებლად, სრულიად საქართველოს ასაცამზევებლად ვიტვირთეთ ჩვენ მემსხვერპლეობა ესე და აქ ეჭვომანია დიდ უსამართლობასთან ერთად შეურაცხმყოფელზე შეურაცხმყოფელიცაა.

გვარნაცვალ ქართველს აღიზიანებს სამეგრელოს ერთსახოვანი დემოგრაფიული სურათი. აქ ვერ ჭაჭანებს, აქ ვერ ბოგინობს მათი პირატული ჯილაგი სხვისი საგანძურის მითვისების ტენდენციებით, მრავალი კუთხისგან განსხვავებით და ბუნებრივია, ყოველივე ანტიმეგრული გამოხდომა გვარნაცვალი ქართველის, იგივე მეხუთე კოლონის სათავიდან მობალღამობს ხოლმე.

მასხენდება აფხაზ სეპარატისტების ენგურის ნაპირებთან, განმუხურში, ექვსი წლის წინანდელი მოხროვება. ეს სოფელი ტერიტორიულად აფხაზეთის არეალშია მოქცეული, მაგრამ იურიდიულად ზუგდიდის რაიონის ქვეშევრდომია. მაშინ იქ ბაგრამიანის ბატალიონის ბიჭები მზვაობრობდნენ. ხალხისგან დაცარიელებულ განმუხურში სამად სამი ოჯახი გადაწვეს, სამივე — ახალაიასი. მსხვერპლად კი ორი სიცოცხლე შეიწირეს — გულად მორგოშიასი და გოჯო ოგანესოვისა. ამ უკანასკნელზე მოგახსენებთ უფრორე. ეს კაცი, მიუხედავად ხაიკური გვარისა, სისხლით-ხორცამდე მეგრელი გახლდათ, ჭეშმარიტი ქართველი. ცოლად გაგიდელი ქალი ესვა — ბაბუცა ახალაია. სამი ასული და ერთი ვაჟკაცი გაზარდა. დაოჯახებულებს კვლავაც მიაშველებდა მამობრივ მზრუნველობას და აი, ბაგრამიანის ვამპირულ ღრეობას ნაჩვევი ბოევიკები, როცა გამოელაპარაკნენ „თვისტომს" და ამ უკანასკნელმა თავანკარა მეგრულით თითოეულს სინდის-ნამუსი შეურცხვინა, არ დაინდეს, ავტომატის ჯერით დაცხრილეს საკუთარ სამზადში. ესეც გასათვალისწინებელი შტრიხია სამეგრელოს დემოგრაფიული მონოლითურობის თვალსაზრისით. მისი პიტალოსებური ბუნების გასააზრებლად, გვარნაცვალ „ქართველებს" მოსვენებას რომ უკარგავს, და მათი მიზნების განხორციელების მთავარი წინაღობა გახლავთ საქართველოს უმტკივნეულო დამხობის გზაზე!

მეგრელისათვის საქართველო ავგაროზია, რადგანაც მყარად შეუგნია, რომ მამულის ერთიანობის, სამშობლოს უკვადვების გარანტია, დიახაც, რომ მის მთრთოლვარე სულშია გადანახული.

სამეგრელო არ თაკილობს საქართველოს ბალავრობას! პირიქით, ეამაყება, რომ შურობუმუს ურყევი ბურჯია — ოდაბადეს წაუბორძიკებელი საძირკველი ქვათა და კირთა და რამდენადაც უნდა დაილეწოს დობადონას, ობადიშის პიტალო მკერდზე აღმოცენებული სრასახლთა კედლები, ფანჯრები, ჩამოწვეს სახურავი აქა-იქ, ყოველივე დროებითს მოინელებს ჭირთათმენით საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ვინაიდან ფუძიდან, ძირიდან, ფესვებიდან, მემკვიდრეობიდან, გენეტიკიდან რყევები არ ემუქრება. იქ ერთხელ და სამუდამოდ ჩადუღაბდა ზოგადეროვნული სული

სამეგრელოს პატროფილიით.

ამიტომაც არის, გვარნაცვალი „ქართველების“ წასისინება-დაქოქვით დაძვრებიან ხოლმე მის ასაოხრებლად ტალიკ-ტალიკი „სასიძოები“ აყმუვლებულის მყეფარებით: „ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდაო“; ამიტომაც არის, მკლავებს რომ დაიკაპიწებენ და ენად გაიკრიფებიან ხოლმე პროზაული სიტყვის ქვეოსტატნი სადიაცოდან: „ზვიადისტებმა მეგრელები სამუდამო მოღალატეებად გადააქციესო.“

ხოლო გვარნაცვალი და იერითაც გვარიანად ქვიშით სახეხი მესცენე, „ტაკუნა-ტაკუნაიათი“ ებღვირება ჩვენი სამშობლოს ხერხემალ კუთხეს, საძირკველთა საძირკველს და ბურჯთა უბურჯესს. არ გამოვედევნები სხვათა ქირქილს და ქილიკომანიას, ჩამოხრჩობილის სახლში ხომ თოკზე არ საუბრობენ, მაგრამ ამთავითვე მიბრძანებია:

გეყოთ-მეთქი თითებიდან გამოწოვილი მეგრული თემა, თითქოსდა იგი საქართველოს ერთიანობის დაუსრულებელი საფრთხე-წინა- ღობაა. გვარნაცვალი „ქართველისგანაა“ დანერგილი ეს ფსიქოლოგია და მეხუთე კოლონის წისქვილზე წყალს ნუ ვანებივრებთ, ბატონებო, იგივე შინაური მტერის გასალაღებლად!

სამეგრელომ მშვენივრად იცის, რომელი ათასწლეულიდან მოედინება მისი სულიერება, ჯერ კიდევ აიეტ მეფის დროიდან. ქრისტემდე თექვსმეტი საუკუნით ადრე, როცა უშველებელ მუხის ხეზე ცხვრის ოქროცურვილი ტყავი ეკიდა ეზოტერიკულ ცნებათა შემნახავად. წაიღო, წარგვტაცა იგი ინდოევროპულმა ტალღამ და აურაცხელ ტომად დაშლილი ჩვენი მონოლითური სხეული კავკასიონის მწვერვალებს მიაჯაჭვა პრომეთე-ამირანის სიმბოლიკით.

სამეგრელომ, მეგრელმა, მშვენივრად იცის სადამდე წვდებოდა მისი სამფლობელო, მისი სახელმწიფო: ქრისტემდე თექვსმეტი საუკუნით ადრე „სომხეთის მთიანეთსაც“ მოიცავდა იგი ხაოსის ნაშიერი მეხუთე კლასელის ისტორიის სახელმძღვანელოდან და თვით ე.წ. „მცირე სომხითსაც“, მერე და მერე, დროთა ვითარებაში, მუსრი რომ გაავლო ადგილობრივს — მოხდომილმან, შერყნა, გააცამტვერა მისი ისტორიული ძეგლები, შეიწოვა მისი ტოპონიმები მოძალადის თანდაყოლილი თვისებით. ახლა ლაზებთან, ჭანებთან და მეგრელებთან წინაპრების მენტორული პრეტენზიებით წარმოჩინდებიან ისინი აქა-იქ, იმ მწირი კოლხიზმების არსებობით, დღესაც რომ იძებნება მათ მეტყველებაში, და საკუთრად მიუჩნევიათ. სინამდვილეში კი — შეძენილია: „ჭანჯი“ — ბუზი; „ლაკოტი“ — ლაკვი, ლეკვი და ა.შ.

ეს ყველაფერი ქართული ენათმეცნიერების მიუკერძოებელი კვლევა-მხილების ამოცანაა. ინდოევროპულ ტალღას ჩამოყოლილ ხაოსის ხალხს რანაირად შეეძლო მის გამოჩენამდე რამდენიმე ათასწლეულით კავკასიაში მაცხოვრებელი კოლხისთვის წერა-კითხვა ესწავლებინა, სიტყვა შეესწორებინა აბორიგენისთვის მომთაბარეს, როცა მძლეთამძლე ამირანის სამშობლო უკვე ფოლადს აწრთობდა ინდო-ევროპელთაგან განსხვავებით? მზის და მიწის საგალობელს აღავლენდა „ლილეო“ - „ოდოიათი“, ცხვრის ტყავზე, ოქროს საწმისზე — სარწმუნისზე, იგივე კირბებზე, ხეცხოველზე მკვიდრად წარეწერა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ანი და ხოე, ალფა და ომეგა!?!

აი, ვის, რომელ ქვათაკირს საქართველოისას ებრძვიან ფარულად თუ აშკარად გვარნაცვალი „ქართველები“! ჩუმჩუმელაობით, წაასპიტებით წააქეზებენ ხოლმე მის საწინააღმდეგოდ დანარჩენ საქართველოს, მაგრამ ყოფილა ოდესმე ციხე-კოშკს რაიმე განგებით საკუთარი საძირკველი ამოეთხაროს?! ყოფილა ოდესმე მცენარის კენწეროს, შტამბს თუნდაც ფესვების ამოძირკვა შეძლებოდეს, თუკი თავად ბალავარს და ძირებს არ უმტყუნებს გამძლეობა?! ჰოდა, ამისთანა საგანგებო დანიშნულების კუთხე, ვის მყარად დგომაზეა დამოკიდებული საქართველოს შენობის წონასწორობა, ჩაიკეტება ვითომ თავის თხილისოდენა ნაჭუჭში — სამეგრელოში და ზურგს შეაქცევს საქართველოს საშვილიშვილო ინტერესებს, რომლის საძირკველშიცაა ჩატანებული თავად მსხვერპლად და ღმერთად, ამაღლების, ქედუხრელობის ჯადო-თილისმად?!

ჭორები მოაშორეთ-მეთქი, მიხსენებია მერამდენედ! უმჯობესია თქვენ გვარნაცვალი „ქართველების“ პუტუნს ყური დაუხშოთ და დავდგეთ საქართველოს ნამდვილი ხერხემლის გარშემო, როგორც ეს წესით გვევალება! დავირაზმოთ იგივე დედაბოძის, ქვათაკირის — სამეგრელოს გარშემო, რანაირადაც განხორციელდა ყოველივე ორიათასს მიღმა — სრულიად საქართველოსათვის; როცა ბღაჟბათა მსგავსი აფსუები, უფალმა უწყის, სად მომთაბარეობდნენ იმხანად თავიანთ ძმა ადიღელებითურთ; ხოლო აფხაზეთი, მისი ყოველი საგანძური ასე პირატულად რომ მიუთვისებია სოხუმში გუშინწინ ჩამოვაკებულ აფსუას, ქართველი ხალხის გონიერებისა და სულიერების ოფლგადადენილი მუშაკობის ნაყოფია და არავითარ შემთხვევაში — თითებიდან გამოწოვილი ისტო-

რიოგრაფიული ბოდვების შედეგი. ,,ნუ შევქმნით ,,ერთი წვეთი თაფლის'' სიტუაციასო''. ჩაგვაგონებენ მენტორულად. ამას რა სჯობია, მაგრამ მაშინ გვარნაცვალი ,,ქართველის'' დაკრულზეც ნუ ვიცეკვებთ, ბატონებო! ბოლოს და ბოლოს ბღაჟბების ,,ისტორიულ ექსკურსებს'' თუ მეხუთე კლასის სახელმძღვანელოთა ,,სომხეთის მთიანეთს'' მივაპყროთ ჯეროვანი მზერა, აქეთკენ, მისი საკადრისი გაბათილებისთვის მივმართოთ ჩვენი გაერთიანებული ძალისხმევა და არა უგუნური უარისმთქმელობით კოლხეთის გმირულ ისტორიაზე — დღევანდელი საქართველოს ბალავარზე. ამას მომავალი არ გვაპატიებს, მით უფრო, როცა მოკვეთილი ჭანეთის, ლორეს კონტურები გვიდევს წინ ჭკუის სასწავლებლად!

ამნაირ სცენასაც შევესწრები მეტროპოლიტენის სადგურ ,,ვარკეთილის'' სამარშრუტო ტაქსების გაჩერებასთან.

— ქართველებო, თქვენი დედა და მამა... — შეიკურთხება ოცდაათიოდე წლის ახმახი, ძველმანებში გახვეული გრუზათმიანი, აშკარად აშლილი გამომეტყველებით. მის ამოსაცნობად ეროვნების რეკვიზიტამოცლილი ქართული პასპორტი საჭირო სრულებით არ არის — ჩვენი მითოსური ძმისწულია.

— ქართველებო, თქვენი დედა და მამა... — გინების კორიანტელს დააყენებს.

ყველა მშვიდადაა. გიჟი მიუშვი ნებასაო, თქმულა.

თითქოს ეს აძრახება უმტკივნეულოა, მაგრამ გვავიწყდება, რომ ხალხური სიბრძნის შესატყისად სიფხიზლეში, გონებასიმრთელისას გულის სიღრმეში საიდუმლოდ შენახულს მხოლოდ მთვრალები და გიჟები ამოატივტივებენ ენისწვერზე. ეს წუთია და სამარშრუტო ტაქსიდან გადმოხტება ვინმე წრიპა, ყირმიზსახიანი, წაბლისფერი თმით და ბარაქიან წიხლს მისცხებს დღისით, მზისით ქართველების დამამუნათებელ რომას:

— კიდევ ამოიღებ ხმას, შე ცხენოო, — მიაყო- ლებს ჩემთვის და ბარე ორისთვის მისახვედრი აქცენტით. აი, ვინ არის ჩვენი ერთიანი საქართველოს ჭეშმარიტი მეციხოვნე! აი, ვის უდუღს გულში ნამდვილი სამამულე სისხლი! აი, ვის მხარეში ჩასვლისას ხედავდა დიდი ილია ზოგი- ერთისაგან განსხვავებით ნამდვილ საქართველოს! აი, ვისი უმაგალითო პატროფილიით უწეწავენ ძარღვებს გვარნაცვალი ,,ქართველები'' თავიანთ მოტკბარუნებულ-მოშარბათებულ დუდუკებზე მოცეკვავე შურობუმუს ჩემსას.

17-22 ივლისი, 1999 წ

შენიშვნა დედნისეულია (ავტ.)
აღარ გესმის (მეგრ.)
ძმა აჯამი, ეშმაკმა დალახვროს! (მეგრ.)
მიხეილ ქარდავას შვილიშვილი (მეგრ.)
დათვის ბელი (მეგრ.)
ჯიჯი — დედის ძმა (მეგრ.)
აძუს ასნაირი, ამდენი ასნაირი, გაგონილა ასნაირი (მეგრ.)მამი,
ჭაკი ტლინკებს ყრის (მეგრ.)
„თუნთის შარგვივით“— დათვის ბელი (მეგრ.)
აფსიო — წყალი (აფხ.) აფსო საშოა მეგრულში.
საშოსიო — უბანი, ასი ოჯახის ერთობა
სონ რექ წიე, სი? — საიდან ხარ, ბიჭო (მეგრ.)
ჭიჭე ოტობაიაშე!— პატარა ოტობაიიდან (მეგრ.)
დიდ მუთუნ ვარდ დო ჭიჭე მუ იცი? დიდი არაფერი იყო და პატარა რა იქნება? (მეგრ.)(
ჩქიმ გეჩახილია მოკო — ჩემი ფაფა მინდა (მეგ.)
ოდოშღერში შესული, შემწიფებული (მეგრ.)
ერთგვარიი კეგლი, ორმოში ჩაიყრება გარკვეული რაოდენობის თხილი. შემდეგ დათქმული ოდენობის თხილს ესვრიან ამ ორმოს და ვინც უფრო ადრე დაიცარიელებს ხელს, გამარჯვებულიც ის არის.
ამბროსი ნუ მომიკვდება (მეგრ.)
მობღუნკულ, შიშისგან მოხრილ (მეგრ.
საღორეში (მეგრ.)
კაღუ — კავი (მეგრ.)
კამეჩის რძისგან ამოღებულ ყველს გადაზელვა არ სჭირდება, მაგრამ მაინცდამაინც საამისოდ თუ გაიმეტე, უკეთესს რას იგემებ (მეგრ.)
კუჭუ გელენავას ცხენივით გაფიცხდა თანდათანო (მეგრ.)
ფუფ, ფოფო კიბირ რისალიო? — ფუი, ფოფო კბილებგადმოყრილი?! (მეგრ.)
ხოიტ, სი ჩიჩიეო — ჰაიტ, შე გლახავ! (მეგრ.)
ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა (ინგლ.)
ბედდამწვარნი , ბედოვლათები (მეგრ.)
ტყაჩუ — მეტყვე (მეგრ.)
მომე ძია, შანტალი, შაქარი. ბავშვის ენამოჩლექილი საუბარი მეგრულად.
ჰეი, სოხუმო, სოხუმო, თვალში ვერ ვიხედებიო (მეგრ.)
ბიჭო, გამოაცხვე მჭადი? (მეგრ.)
სულო, სულო, ფუი ასე გააქრე! (მეგრ.)
თენგულია და ბიჭები (მეგრ.)
მე გულადი არა ვარ! (მეგრ.)
ჯინჯ ცუდეს ოკო გისერუე— ძირეულ სახლში უნდა გაითენო (მეგრ.)
ეს, შურკუნტა — ეჰ სულმოკლე ხარ შენ
ჰაიტ, შე სამგლევ! (მეგრ.)
ნოჩო, ავქსენტი და ჯაკო, აგვისტოს თვეში ენგურზე გადადიოდნენ, წვდებოდნენ ისინი და მხარდამხარ (მეგრ.)
ქოიცორქდა, ართ მაჭუკ ვარა გეგნაცათი, სქუა. — თუ გიყვარდე ერთი ყავარჯენი მაინც გადააგდე, შვილო! (მეგრ.)
ქიდამბალე მაჭუკი ღორონთ ქორწანსდა — დაანარცხე ყავარჯენი ღმერთი თუ გწამს! (მეგრ.)
სირცხვილია, ბიძია (მეგრ.)
მიხეილ ქარდავას შვილიშვილი (მეგრ.)

ჯიჯი — დედის ძმა (მეგრ.)
აძუს ასნაირი, ამდენი ასნაირი, გაგონილა ასნაირი (მეგრ.)
შენიშვნა დედნისეულია (ავტ.)
აღარ გესმის (მეგრ.)
ჯიმაჯამი — ძმა აჯამი, ეშმაკმა დალახვროს! (მეგრ.)
ხოკო
ქალო, ხედავ სად გაუწერივართ? (მეგრ.)
ლატანის, ტყრუშული (მეგრ.)

ობიშხა — პარასკევი, ვობის დღე,
ნაყოფიერების ღვთაებაა სვანურში (მეგრ.)

წყალი ნაწყლევ ადგილას, გზა ნაგზაურ ალაგას (მეგრ.)
ფუი, ასე გაქრის სისწრაფით, თვალის დახამხამებაში (მეგრ.)
თუთაშხა — ოთხშაბათი (მეგრ.)
გამოწმენდილ ყოფნას, სულაც რომ არ იყო ის სჯობია (მეგრ.)
ჟაშხა / ჟეშხა — მზის დღე, კვირა (მეგრ.)
იღლიიდან რომ სული მიჰქონდათ (მეგრ.)
ბოგიშბოგი გირინი — შორებელი სახედარი (მეგრ.)
ობიშხა — შაბათი (მეგრ.)
თუთაშხა — ორშაბათი (მეგრ.)
სრული (მეგრ.)
თავკაცი (მეგრ.)
თახაშხა — სამშაბათი (მეგრ.)
ფრთა გამოუვა, გატყიურდება (მეგრ.)
ირიკე — იხტუნე, ეროკე, იცეკვე (მეგრ.)
გაიჭყლიტები (მეგრ.)
ცაშხა — ხუთშაბათი, ცის დღე (მეგრ.)
წკირზე წამობადებულს წკირზე უნდა აღმოხდეს სული (მეგრ.)
უკვდავების წამალი ლაფაროსთან, ყურისძი- რას ხარობდა,
არ იცოდნენ თორემო (მეგრ.)
ტოშბა — ღრმა (მეგრ.)

სადაური ჩიქავას ქალი, სად ეჩრება (მეგრ)
წვეთი ხვრეტს ქვას (ლათ.)

სარჩევი

შურობუმუ — 005

მეიროხანი — 120
ამინ, უკვდავება შენი! — **118**
რეანიმაციული სამი წელიწადის შემდეგ — **118**
მეცენატები ჩემი...
ვალერიან მიხაილოვიჩი — **120**
ორ ზღვას შუა... **122**
Mingrelia, Maranne, Gueguidze.— **124**
ქველმოქმედება წვეთ-წვეთობით —
დიდი ჯოტო
ბატონი საშა ეგუტია
ფუძის ანგელოზის აურა
გამოხმაურებანი — **289**
ავტორთა სტილი დაცულია
მეგობარ მწერალს! (თამაზ პაჭკორია)
დასაბამი
საქართველოს ანექსია კრემლის კულუარებში
სიტყვისგება გუბაზ-მეფის მკვლელებს
აეტი
ფარტაზი
რიტორთა ეროვნული სკოლა
შუაკაცი მსაჯულის მანტიით
წინ, სინთეზისაკენ! ანუ ნეიტრალიტეტის პოზიციიდან
განხეთქილება
გაიღვიძა და დაიძრა (1)
რაა სახელი?!(2)
ღია წერილი პრეზიდენტ გორბაჩოვს
ბარაბას არჩევი
კონტრრევოლუცია
ეროვნული მოძრაობის მეორე ფორპოსტი (I)
მწვანე ჯიხურები
ინტელიგენცია
ჯიმაგე
შუაკაცი მსაჯულის მანტიით (II)
მეიროხანი თუ სინთეზი
ჯამების ჯამი — summa summarum
ცარიელი აუზის დირექტორი
შადრევანი
დრაკონის ნადიმის თვე!
სახელდახელო პასუხი გაზეთ „ფენომენის“ გიორგი ძლევამოსილი
ცოტნე და დაჩოქილი?!

ᲩᲐᲜᲗᲘᲡ

მარტოსული ხეობის მახვში — **247**

ჯურის დარსუ — **293**

ურუევი ვითარცა ძელქვა — **298**

იოანე მარუშიძის ძეობილი — **328**

ძუძუმტე — **344**

საქართველოს უკვდავების ფორმულა — **398**

ინფორმაციული ომის ლელო — **445**

გური ოტოგბაია

ენგიდუნია

ბელეტრისტული
მატიანე

I

რედაქტორი — **ნანა ხუფენია**
კომპიუტერული მომსახურება — **კოკა ფეტელავა**
კორექტურა — **მარი ფეტელავა**
პოლიგრაფიული უზრუნველყოფა —
გამომცემლობა **„ინოვაცია,“**
თბილისი, ძმები კაკაბაძეების 22.
ტირაჟი — 500 ეგზემპლარი
ფასი — 17 ლარი

თბილისი
2010